

ჯურაბ კახასქირი

და აღმოცისკრდა საქართველო
ნიკოფსიიდან დარუბანდამდე



სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი
მძვთივე თაყაიშვილის სახელობის საქართველოს
საისტორიო საზოგადოება
ა ზ ხ ა ზ მ თ ი ს ო რ გ ა ნ ი ზ ა ც ი ა

ზურაბ პაპასქირი

და აღმონკრდა საქართველო

ნიკოფსიიდან დარუბანდამდე

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა
თბილისი – 2009

წიგნში თავმოყრილია ავტორის მიერ სხვადასხვა დროს გამოქვეყნებული და ნაწილობრივ გამოუქვეყნებელი წერილები საქართველოს ისტორიისა და თანამედროვეობის აქტუალურ პრობლემებზე. მასში გაშუქებულია ქართული სახელმწიფოებრიობის, საქართველოს საერთაშორისო ურთიერთობებისა და დიპლომატიის ისტორიის, აფხაზეთის ისტორიისა და ერთიან ქართულ სახელმწიფოში მისი სტატუსის გარკვევასთან დაკავშირებული საკითხები. მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა წყაროთმცოდნეობით და ისტორიოგრაფიულ დაკვირვებებს, გამოჩენილ მეცნიერთა და საზოგადო მოღვაწეთა პორტრეტებს.

წიგნი განკუთვნილია სპეციალისტებისა და საქართველოს ისტორიით დაინტერესებულ მკითხველთა ფართო წრისათვის.

რედაქტორი: საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის
აკადემიკოსი **როინ მეტრეველი**

ს ა რ ჩ ე ბ ი

ავტორისაგან 7

ქ ა რ თ უ ლ ი ს ა ხ ე ლ მ წ ი ფ ი ვ ი

და აღმოცისკრდა საქართველო	9
ბედიის ტაძარი – ერთიანი ქართული სახელმწიფოებრიობის სიმბოლო	18
„Абхазское“ царство – грузинское государство	24
ნიკოფსით დარუბანდამდე. <i>ანუ დიდი დავითი</i>	55
Территория Абхазии в XI-XV вв.	65
საქართველოს ტერიტორიული და სახელმწიფოებრივი მთლიანობის პრობლემა უძველესი დროიდან დღემდე	96
26 მაისი – ეროვნული აღორძინების ნიშანსვეტი	108

ქ ა რ თ უ ლ ი კ ო ლ ი ტ ი კ უ რ ი ს ა მ ყ ა რ ო ს ა ე რ თ ა შ ო რ ი ს ო ა რ ე ნ ა ზ ე

ბაგრატიონთა დინასტია საერთაშორისო-დიპლომატიურ ასპარეზზე	116
ქართული პოლიტიკური სამყარო VIII საუკუნეში	162
„აფხაზეთის“ საკათოლიკოსოს დაარსების თარიღის საკითხისათვის	171
„აფხაზთა“ სამეფოს საგარეო პოლიტიკური ორიენტაციის დაზუსტების საკითხისათვის	184
К вопросу о международной роли Грузии в XI – первой половине XII вв.	196
საქართველო-რუსეთის ომი და აფხაზეთის კონფლიქტის მოწესრიგების პერსპექტივები	209

ა ზ ხ ა ზ ე თ ი ტ კ ი ვ ი ლ ი ჩ ვ ე ნ ი

Парад невежества. Или очередной вымысел известного фальсификатора	224
---	-----

Единственный приоритет – незыблемость, целостность
государства. По поводу мнения г-на Давида Бердзенишвили
о статусе Абхазии 247

„ნაბან წყალს ბავშვი არ უნდა გადავაცოლოთ“. ანუ გაუგრძელდეს თუ
არა საქართველოს პარლამენტის 1992წ. აფხაზეთში არჩეულ
დეპუტატობის უფლებამოსილება 253

საქართველოს ფედერალური მოწყობის შესახებ 262

ზოგიერთი მოსაზრება საქართველოს სახელმწიფოს შემადგენლობაში
აფხაზეთის სტატუსის განსაზღვრის შესახებ 268

ერთხელ კიდევ 1989წ. აფხაზეთის კრიზისის გამომწვევე მიზეზების
შესახებ 283

ო მ ი ს ე მ ო

საქართველოს სახელმწიფოს საგარეო-პოლიტიკური და სამხედრო
დოქტრინა 295

აფხაზეთის კონფლიქტის რაობა და მისი მონაწილენი.
ანუ ვინ ებრძოდა საქართველოს 313

**ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს ი ს ტ ო რ ი ა
უ მ ა ლ ლ ე ს ს კ ო ლ ა შ ი**

20 წელი ეროვნული ისტორიის სამსახურში 323

ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის
კათედრის იუბილე 361

მაგისტრატურაში საქართველოს ისტორიის სწავლების საკითხისათვის ... 364

**წ ყ ა რ ო თ მ ც ო დ ნ ე მ ო ბ ი თ ი დ ა
ი ს ტ ო რ ი ო ბ რ ა შ ი უ ლ ი
დ ა კ ვ ი რ ვ მ ბ მ ბ ი, კ რ ი ტ ი კ ა,
ბ ი ბ ლ ი ო ბ რ ა შ ი ა**

ვინ იყო „ერისთავი ჩიხისა“. „მატიანე ქართლისაჲს“ ტექსტში
ერთი კონიექტურის შეტანის მიზანშეწონილობის შესახებ 371

ვახუშტი ბაგრატიონი – შუა საუკუნეების ხანის ქართული
ისტორიოგრაფიის გიგანტი 381

საქართველოს ისტორიის ზოგიერთი საკითხის კონსტანტინე გამსახურდიასეული გააზრება	393
ქართული ისტორიოგრაფიის მნიშვნელოვანი შენაძენი	401
საინტერესო მონოგრაფია	406
გამოკვლევა ქართული დიპლომატიის ისტორიაზე	413
ქართული დიპლომატიის ისტორიის კვლევის ახალი ეტაპი	419
ენათმეცნიერული გამოკვლევა აფხაზეთის ისტორიულ წარსულზე	422
ნაშრომი დასავლეთ საქართველოს პოლიტიკურ ერთეულთა საგარეო ურთიერთობებზე	436
ნაშრომი ასურელ მამათა მოღვაწეობაზე	442
საეტაპო გამოკვლევა ქართულ ლაპიდარულ ძეგლებზე	448
საინტერესო ნაშრომი სათავადოებზე	452
ნაშრომი ქართველ მემკვიდრეებზე	460
ნაშრომი ქრისტიანობასა და სახელმწიფოებრივ აზროვნებაზე შუა საუკუნეების საქართველოში	465
შუა საუკუნეების ქართული საზოგადოებრივ-პოლიტიკური აზრის შესწავლის ისტორიიდან	474
ნაშრომი საქართველოს პოლიტიკური გაერთიანების საკითხებზე	490
საინტერესო ნაშრომი „აფხაზთა“ სამეფოს ისტორიაზე	509
ნაშრომი ქართლის საერისმთავროს ისტორიაზე	521
საინტერესო ნაშრომი ლაშა-გიორგის პიროვნებაზე	529
საჭირო გამოკვლევა შუა საუკუნეების სომხურ საისტორიო წყაროებზე	537

შ ტ რ ი ხ ე ბ ი
კ ო რ ტ რ ე ტ ე ბ ი ს ა თ ვ ი ს

ღვაწლი ღიღი მამულიშვილისა. <i>გიორგი შარვაშიძე</i>	552
ღიღი მეცნიერის გახსენება. <i>შოთა მესხია</i>	574
გამოჩენილი მეცნიერი, ღირსეული მამულიშვილი. <i>ზურაბ ანჩაბაძე</i>	587
შოთა ბადრიძის გახსენება	596

Видный учёный, большой друг Грузии. К 70-летию <i>Анотолия Петровича Новосельцева</i>	601
ზოგიერთი შტრიხი მარიამ ლორთქიფანიძის პორტრეტისათვის	607

კ ვ ა ლ ი ნ ა თ ე ლ ი

ელიშერ ხომტარია-ბროსე	616
მურმან ბერია წავიდა	621
მისი ოცნება სოხუმში მუშაობის გაგრძელება იყო. <i>ბახვა გამყრელიძე</i>	625
კეთილად მოსაგონარი კაცი. <i>ვლადიმერ ქარჩავა</i>	627

*ედღვნება გამოჩენილი ისტორიკოსის,
ჭეშმარიტი მამულიშვილის,
საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის
წევრ-კორესპონდენტის,
პროფესორ შოთა მესხიას
ნათელ ხსოვნას*

ავტორისაგან

წარმოდგენილი წიგნი არის თითქმის 35-წლიანი სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის ერთგვარი ანგარიში. მასში შესული ნაშრომებიდან ყველაზე ადრინდელია 1976წ. დაბეჭდილი წერილი, ხოლო ბოლო – 2008წ. შემოდგომაზე გამოქვეყნებული სტატია. აღნიშნული გარემოების გამო, ბუნებრივია, წიგნში შესული ყველა პუბლიკაცია ვერ იქნება თანაბარი მეცნიერული ღონის. ამიტომაც ამ ტიპის წიგნის-კრებულის გამოცემა ნამდვილად არის გარკვეულ რისკთან დაკავშირებული.

მიუხედავად ამისა, ჩვენ მაინც გავბედეთ და ჩავთვალეთ მიზანშეწონილად, თავი მოგვეყარა და მკითხველისათვის, უპირატესად კი კოლეგა-ისტორიკოსებისათვის, ფაქტობრივად უცვლელი სახით, მიგვეწოდებინა როგორც სხვადასხვა სამეცნიერო კრებულებსა თუ ჟურნალებში დაბეჭდილი ნაშრომები, ისე პერიოდულ პრესაში გამოქვეყნებული პოპულარული ხასიათის სამეცნიერო-პუბლიცისტური, მათ შორის პოლემიკური წერილები. ამასთან, წიგნში პირველად ქვეყნდება საჯარო პაექრობებზე ოფიციალური ოპონენტის რანგში წაკითხული რამდენიმე რეცენზია სადოქტორო და საკანდიდატო დისერტაციებზე; აგრეთვე ავტორის (იმჟამად საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტროს პირად შემადგენლობასთან მუშაობის განყოფილების უფროსი ოფიცრის) მიერ აფხაზეთში მიმდინარე სამხედრო მოქმედებების პერიოდში (1993 წლის გაზაფხულზე), მომზადებული ლექცია-მოხსენება (ერთგვარი მეთოდური სახელმძღვანელო) საქართველოს საგარეო-პოლიტიკურ და სამხედრო დოქტრინაზე, რომლის საფუძველზეც ჩატარდა მეცადინეობები საქართველოს შეიარაღებული ძალების ყველა საჯარისო ფორმირებაში.

როგორც უკვე ზემოთ აღინიშნა, წიგნში შესული მასალები ძირითადად იბეჭდება იმ სახით, როგორითაც მომზადდა თავის დროზე.

ერთადერთი, რისი რედაქტირებაც აუცილებლად ჩავთვალეთ, ისიც მხოლოდ ტექნიკური, არის ცალკეული სტატიების, აგრეთვე რეცენზიების სამეცნიერო აპარატი. ეს სრულებითაც არ ნიშნავს იმას, რომ, ჩვენ სამეცნიერო აპარატი შევავსეთ და გავამდიდრეთ ახალი, უფრო გვიან გამოსული ლიტერატურით. უბრალოდ, მოხდა არსებულის მოწესრიგება და სქოლიოს ერთიან სისტემაში მოყვანა. რაც შეეხება ძირითად ტექსტს, მას არავითარი აზრობრივი ცვლილება არ განუცდია, ჩასწორდა მხოლოდ ზოგიერთი კორექტურული და სტილისტური უზუსტობანი.

და ბოლოს, წიგნი ეძღვნება, გამოჩენილი ქართველი ისტორიკოსის, XXს. 50-70-იანი წლების დამდეგის ქართული ისტორიოგრაფიის ნამდვილი მშვენიერებისა და ერთ-ერთი ლიდერის, ისტორიკოსთა არაერთი თაობის სათაყვანო პიროვნების, ჭეშმარიტი მამულიშვილის, სამეცნიერო ასპარეზზე ჩემი პირველი გზისგამკვალავის, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის, პროფ. შოთა მესხიას ნათელ ხსოვნას.

შოთა მესხია ყოველთვის იყო და დღესაც რჩება ჩემს კუმირად მეცნიერებაში. ფართო ერუდიციით, შემოქმედებითი ინტერესების მასშტაბებით და თემატური მრავალფეროვნებით, ახლის ძიების მუდმივი წყურვილითა და გონებამახვილური მიგნებებით, ანალიტიკური აზროვნების უმაღლესი ხარისხით, წერის დახვეწილი კულტურით, მეცნიერული პოლემიკისას შეუპოვრობითა და რკინისებური ლოგიკით, ის ყოველთვის იწვევდა ჩემს აღტაცებას და სურვილს მიმებაძა მისთვის. რაც მთავარია, მე ვცდილობდი ვყოფილიყავი შოთა მესხიას პატრიოტული მუხტისა და შემართების, მისი იდეოლოგიის მიმდევარი და გამტარებელი მშობლიური ისტორიისა და საქართველოს ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ინტერესების დაცვის საქმეში (არა მხოლოდ სამეცნიერო ასპარეზზე). თუ როგორ გამომივიდა ყოველივე ეს, მკითხველმა განსაჯოს.

ქართული სახელმწიფო

და აღმოსკრდა საქართველო*

ათასი წლის წინათ – X საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში ჩვენი ქვეყნის ისტორიაში უდიდესი მნიშვნელობის მოვლენა მოხდა – საფუძველი ჩაეყარა ერთიან ქართულ სახელმწიფოს. ცალკეული სამეფო-სამთავროების ერთი დინასტიის ირგვლივ გაერთიანება და საერთო ქართული სახელმწიფოს აღმოცენება სულაც არ ყოფილა ხელსაყრელ გარემოებათა უბრალო დამთხვევის შედეგი. ამას წინ უძღოდა ქართველურ ტომთა სახელმწიფოებრივი ცხოვრების სულ ცოტა ორათასწლოვანი გამოცდილება, რომლის სათავეები დაიანინ-დიონისა თუ აიეტიდების მითიური კოლხეთის სამყაროში უნდა ვეძიოთ. ამერ-იმერის ერთიან საქართველოდ გადაქცევა ლოგიკური დაგვირგვინება იყო ჩვენი წინაპრების მრავალსაუკუნოვანი შეუპოვარი და თავგანწირული ბრძოლისა ეროვნული მთლიანობისა და საერთოქართული კულტურულ-პოლიტიკური სამყაროს შენარჩუნებისათვის.

ქართული საისტორიო ტრადიციის თანახმად, საქართველოში XI საუკუნემდე ორჯერ მაინც უნდა ჰქონოდა ადგილი საერთოქართული ეროვნული სახელმწიფოს შექმნის მცდელობას. თავდაპირველად ეს უნდა მომხდარიყო ქართული სახელმწიფოებრიობის გარიჟრაჟზე – ფარნავაზის ეპოქაში (ძვ.წ. IV-III სს. მიჯნა), ხოლო მეორედ – ვახტანგ გორგასლის ხანაში (V ს. II ნახევარი). ორივე ეს მცდელობა, როგორც ჩანს, საბოლოო ჯამში, წარუმატებელი აღმოჩნდა. არაა გამორიცხული, რომ ერთიანი სახელმწიფოებრივი ორგანიზმის შექმნის მორიგი მცდელობა იყო VIII საუკუნეშიც, ყოველი შემთხვევისათვის, აშკარაა, რომ ამ დროს (დაახლ. VIII ს. შუა ხანები) თითქოს გამოიკვეთა აღმოსავლურ-ქართული დინასტიის სტეფანოზ ერისმთავრის (ატენის სიონის წარწერით: ქართველთა და მეგრელთა ერისთავ-ერისთავთა უფალი) სახლის ერთგვარი პრიორიტეტი საერთოქართული მასშტაბით. მაგრამ, მოგვიანებით სტეფანოზ-არჩილის სახლის დასუსტებით ისარგებლეს მათმა მოქიშპეებმა, როგორც ცენტრში, ისე განაპირა რეგიონებში, რის შედეგადაც არათუ ვერ მოხერხდა იმიერ-ამიერ საქართველოს გაერთიანება,

* წარმოდგენილი სტატიის ოდნავ შემოკლებული ვარიანტი დაიბეჭდა გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ (№129, 27.09.1995). იგი ეძღვნებოდა ქუთაისის ერთიანი საქართველოს დედაქალაქად გამოცხადების 1000 წლისთავს. ამჯერად იბეჭდება სტატიის სრული ვარიანტი.

არამედ თვით აღმოსავლურ-ქართული სახელმწიფო – ქართლის საერის-მთავრო დაიშალა რამდენიმე დამოუკიდებელ პოლიტიკურ ერთეულად: კახეთის საქორეპისკოპოსო, ჰერეთის სამთავრო (შემდგომ სამეფო), ტაო-კლარჯეთის სამთავრო („ქართველთა“ სამეფო). ცალკე არსებობდა თბილისის საამიროც. სწორედ ამ სამეფო-სამთავროებსა და ლაზიკა-ვერისის სამეფოს ნანგრევებზე აღმოცენებული დასავლურ-ქართული სახელმწიფოს – „აფხაზთა“ სამეფოს შორის ქართულ პოლიტიკურ სამყაროში მიმდინარე პერმანენტული ბრძოლის პროცესში იკვეთებოდა ერთიანი სახელმწიფოებრიობის კონტურები.

მაინც რა ვითარებაში გახდა შესაძლებელი ცალკეული ქართული სამეფო-სამთავროების „აფხაზთა“ და „ქართუელთა“ მეფის ბაგრატ III ხელისუფლების ქვეშ გაერთიანება, რა შინაგანმა და საგარეო ფაქტორებმა განაპირობეს საერთოქართული სახელმწიფოს აღმოცენება?

პირველი და უმთავრესი ფაქტორი, რომელმაც მნიშვნელოვანწილად განაპირობა გამაერთიანებელი მოძრაობის წარმატება, იყო ამ პერიოდში შექმნილი უაღრესად ხელსაყრელი დინასტიურ-პოლიტიკური სიტუაცია. კერძოდ ის, რომ ამ დროს მოხერხდა დინასტიურ-ლევგითმური უფლებების მაქსიმალური კონცენტრაცია ერთი პიროვნების – ბაგრატ უფლისწულის ხელში. როგორც ცნობილია, ბაგრატ ბაგრატიონი, გურგენ ბაგრატიონის ძე, მამის ხაზით „ქართუელთა“ მეფის (პაპამისის – ბაგრატ II „რეგენის“) ტახტის კანონიერი მემკვიდრე იყო, დედის – „აფხაზთა“ მეფის გიორგი II (922-957წწ.) ასულის გურანდუხტის – ხაზით კი მას ქუთაისის ტახტზეც ჰქონდა გარკვეული ლევგითმური უფლებები. ამას დაემატა ისიც, რომ ბაგრატ უფლისწული იშვილა იმდროინდელი საქართველოს ყველაზე ძლიერმა დინასტმა – იმიერტაოს ხელისუფალმა დავით კურაპალატმა. ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე შეიძლება ითქვას, რომ დავით კურაპალატის მიერ მაინც-დამაინც ბაგრატიონის მიშვილება, რომელსაც ასეთი ვრცელი დინასტიურ-ლევგითმური არეალი გააჩნდა, იყო წინასწარ გამიზნული აქტი, რომელიც მიმართული იყო, პირველ რიგში, ტაო-კლარჯეთის, ხოლო შემდგომ მთელი საქართველოს ერთი სკიპტრის ქვეშ გაერთიანებისაკენ.

თავისთავად ეს ფაქტი აშკარად მეტყველებს იმაზე, თუ რამდენად იყო მომწიფებული ერთიანი ქართული სახელმწიფოს შექმნის იდეა და რომ გამაერთიანებელ მოძრაობაში „აფხაზთა“ სამეფოს მესვეურთა გარდა აქტიურად იყვნენ ჩართულნი ტაოელი ბაგრატიონები.

საერთო-ქართული სახელმწიფოს წარმოქმნას ხელს უწყობდა ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობა. IX-X საუკუნეებში საქართველოს მაინცდამაინც დიდი ნგრევა-აოხრება არ განუცდია. მართალია, ამ პერიოდში

დშიც იყო უცხოელ დამპყრობთა ცალკეული შემოსევები (ბულა-თურქისა და აბულ-კასიმის ლაშქრობები და სხვ.), რომლებმაც უდავოდ იქონიეს გავლენა საქართველოში მიმდინარე ეკონომიკურ პროცესებზე, მაგრამ მათ მაინც ვერ შეაფერხეს ქვეყნის საერთო ეკონომიკური წინსვლა. საქართველოს ყველა რეგიონს დაეტყო ეკონომიკური აღმავლობა. განვითარების მაღალ დონეს მიაღწია სოფლის მეურნეობამ, ხელოსნურ-მა წარმოებამ, დაეტყო გამოცოცხლება ვაჭრობას, საქალაქო ცხოვრება. IX-X საუკუნეები ქართულ ისტორიოგრაფიაში სამართლიანადაა მიჩნეული, „ახალქალაქების ხანად“. საქართველოს ქალაქები იქცნენ ხელოსნური წარმოებისა და ვაჭრობის მნიშვნელოვან ცენტრებად მთელი ამიერკავკასიის მასშტაბით. ეკონომიკურმა წინსვლამ ერთმანეთს დააკავშირა ცალკეული ქართული რეგიონები, თუმცა ქვეყნის პოლიტიკური დაქსაქსულობა ხელს უშლიდა ერთიანი ეკონომიკური სივრცის შექმნას.

ერთიანი ქართული სახელმწიფოს წარმოქმნა კარგა ხნის შემზადებული იყო იდეოლოგიურად. ჯერ კიდევ X ს. დამდეგისათვის დასრულდა დასავლეთ საქართველოს, ანუ „აფხაზთა“ სამეფოს ერთიანი ქართულ ეკლესიაში ინტეგრაციის პროცესი, რაც საერთო-ქართული იდეის უდიდესი მონაპოვარი იყო. ამიერიდან მცხეთის საკათალიკოსომ მტკიცედ შეკრა ეკლესიურად სრულიად საქართველო, რითაც იდეოლოგიური საფუძველი დაუდო ქვეყნის პოლიტიკურ გაერთიანებას.

და მაინც, ერთიანი ქართული სახელმწიფოს აღმოცენება-ჩამოყალიბება უმთავრესად განაპირობა X ს. მიწურულისათვის შექმნილმა ხელსაყრელმა საგარეო-პოლიტიკურმა პირობებმა. მართლაც, X ს. 70-იან წლებში, როდესაც გადაიდგა პირველი რეალური ნაბიჯები ქართული სამეფო-სამთავროების ერთიანი სახელმწიფოში გაერთიანების გზაზე (ბაგრატ უფლისწულის დასმა ქართლის მმართველად 975წ. და მისივე დასავლეთ საქართველოში გამეფება 978წ.), მახლობელ აღმოსავლეთში შეიქმნა სიტუაცია, როდესაც ვერც ბიზანტია და ვერც არაბთა სახალიფო ვერ ახერხებდნენ პოლიტიკური ჰეგემონის როლში გამოსვლას. ხანგრძლივმა ურთიერთჭიდილმა, აგრეთვე ორივე ქვეყანაში არსებულმა შინაპოლიტიკურმა გართულებებმა მნიშვნელოვნად დაასუსტა მათი საგარეო პოლიტიკური პოტენციალი. საქართველოს გაერთიანებას ხელს ვერ შეუშლიდნენ მეზობელი სომხური პოლიტიკური ერთეულები. იმჟამად არც აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში იყო სერიოზული პოლიტიკური ძალა, რომელსაც შეეძლო კორექტივების შეტანა საქართველოში მიმდინარე პროცესებში. რაც შეეხება ჩრდილოეთ კავკასიას, ის ეთნიკურად და პოლიტიკურად უაღრესად ჭრელ რეგიონს წარმოადგენდა და საქართველოს გაერთიანებას არც იქიდან ემუქრებოდა რაიმე საფრთხე.

ერთი სიტყვით, Xს. 70-იან წლებისათვის ამიერკავკასიაში შექმნილი იყო რამდენადმე მშვიდი ვითარება. ერთადერთი ძალა, რომელიც ასეთუ ისე აცხადებდა აქ მიმდინარე მოვლენებზე კონტროლის გაწვევის პრეტენზიას, იყო ბიზანტიის იმპერია. ბიზანტიის იმპერატორები აღნიშნულ ხანაში ჯერ კიდევ რჩებოდნენ ამიერკავკასიის მთელი რიგი ქრისტიანული სამეფო-სამთავროების სიუზერენად, მათ შორის, იბერიის (ტაო-კლარჯეთის) საკურაპალატოსი, რომლის ლიდერი დავით III დიდი კურაპალატი მოგვევლინა ერთიანი ქართული სახელმწიფოს ჩამოყალიბების ერთ-ერთ ინიციატორად და ორგანიზატორად.

რასაკვირველია, კონსტანტინოპოლისათვის არ იქნებოდა მთლად მისაღები უშუალოდ იმპერიის ჩრდილო-აღმოსავლეთ საზღვრებთან ერთიანი, ძლიერი, შორს მიმავალი პოლიტიკური ამბიციების მქონე სახელმწიფოს შექმნა, რომელიც მომავალში, შესაძლებელია, დაუპირისპირდებოდა ბიზანტიის ინტერესებს აღმოსავლეთში. ამდენად, თეორიულად, სავსებით დასაშვებია, რომ იმპერიის ხელისუფლებას მოენდომებინა გარკვეული ზეგავლენის მოხდენა საქართველოს საშინაო საქმეებზე. მაგრამ, როგორც ჩანს, Xს. 70-იან წლებში ბიზანტიის მმართველ წრეებს ამის თავი არ ჰქონდა. აქვე გასათვალისწინებელია ერთი ფრიად მნიშვნელოვანი გარემოება, რომელსაც თავის დროზე ხაზი გაუსვა აკად. ივანე ჯავახიშვილმა: „კეისრის უფლება საქართველოში არასდროს მაინც უბრალო მფარველობისა და გავლენის საზღვარს არ გადასცილებია, სამეფოს შინაურ საქმეებში გარევის უფლება არ ჰქონია“.

მართალია, ამგვარი დამოკიდებულება იმპერიის ხელისუფლების მხრიდან რამდენადმე შეიცვალა XI საუკუნეში, როდესაც კონსტანტინოპოლი წინ აღუდგა გაერთიანებული საქართველოს პირველი მეფეების – გიორგი I, ბაგრატ IV – სწრაფვას ეროვნულ-სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტის მოპოვებისათვის. მაგრამ IX-X საუკუნეებში ასეთ აქტიურობას ბიზანტიის მხრიდან მაინცდამაინც ადგილი არ ჰქონია. რაც შეეხება კონკრეტულად Xს. 70-80-იან წლებს, ამ პერიოდში იმპერიის ხელისუფლება იმდენად იყო დაუძღვრებული, რომ მას უბრალოდ ძალ-ღონე არ შესწევდა აქტიურად ჩარეულიყო ქართულ პოლიტიკურ სივრცეში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებში. პირიქით, ცნობილია, რომ სწორედ ამ დროს, კერძოდ 979წ., ბიზანტიის მმართველმა მაკედონელთა დინასტიამ ტახტი შეინარჩუნა მხოლოდ იმერტაოს ლიდერის დავით III კურაპალატის წყალობით, რომელიც, კრიტიკულ სიტუაციაში, გამოეხმაურა იმპერიის ხელისუფლების თხოვნას და სამხედრო დახმარება აღმოუჩინა მას აჯანყებული ბარდა სკლიაროსის წინააღმდეგ ბრძოლაში.

ამრიგად, Xს. II ნახევრიდან მახლობელ აღმოსავლეთში არ არსე-

ბობდა გარეშე პოლიტიკური ძალა, რომელსაც შეეძლო ხელი შეეშალა საქართველოში მიმდინარე პროცესებისათვის. სწორედ ეს იყო გამაერთიანებელი მოძრაობის წარმატების უმთავრესი საწინდარი, მიუხედავად ამისა ქართული სახელმწიფოს აღმოცენება-ჩამოყალიბების პროცესი სრულებითაც არ ყოფილა უმტკივნეულო და მას გარკვეული პოლიტიკური გართულებები ახლდა. გავიხსენოთ, რა თანმიმდევრობით განვითარდა მოვლენები.

Xს. შუა ხანებისათვის საქართველოს პოლიტიკური რუკა შემდეგნაირად გამოიყურებოდა: დასავლეთ საქართველო – „აფხაზთა“ სამეფო, რომლის ადმინისტრაციულ დაქვემდებარებაში იყო შიდა ქართლიც, სადაც „აფხაზთა“ მეფის ერისთავი იჯდა. შიდა ქართლში „აფხაზთა“ მეფის ხელისუფლების წინააღმდეგ სისტემატიურად გამოდიოდა ადგილობრივი არისტოკრატია, რომელიც ყოველნაირად ცდილობდა საკუთარი მარიონეტული ხელისუფლების შექმნას დამოუკიდებელი დინასტიით სათავეში. ქართლის აზნაურთა ამ ბრძოლას მხარს უჭერდა კახეთის ქორეპისკოპოსი, რომელიც ვერ ითმენდა დასავლეთ საქართველოს მეფის დიქტატს აღმოსავლეთ საქართველოში და თვითონ აპირებდა გაბატონებას რეგიონში. შედარებით პასიური იყო ამ პერიოდში ჰერეთის სამეფო, რომელსაც ერთმანეთს „აფხაზთა“ მეფეები და კახეთის ქორეპისკოპოსები ეცილებოდნენ. ტაო-კლარჯეთი – „ქართველთა“ სამეფო – ფაქტობრივად 3 დამოუკიდებელ პოლიტიკურ ერთეულად იყო დაყოფილი: იმიერტაოს განაგებდა დავით III დიდი კურაპალატი, ჩრდილოეთ ტაო კი განაწილებული ჰქონდათ ბაგრატ II „ქართველთა“ მეფეს და მის ვაჟს გურგენს. რაც შეეხება თბილისის სამიროს, რომელსაც ჯაფარიდი ამირები მართავდნენ, მისი სამხედრო-პოლიტიკური პოტენციალი ამ დროისათვის მნიშვნელოვნად იყო შესუსტებული და ის ვერ იღებდა აქტიურ მონაწილეობას იმდროინდელ პოლიტიკურ ბატალიებში.

როგორც უკვე ზემოთ აღინიშნა, IX-X საუკუნეებში მიმდინარეობდა პერმანენტული ბრძოლა ცალკეულ ქართულ სამეფო-სამთავროებს შორის საერთოქართულ სამყაროში პოლიტიკური ჰეგემონობის მოსაპოვებლად. ეს ბრძოლა იმთავითვე დაკავშირებული აღმოჩნდა ე.წ. ქართლის (შიდა ქართლის – ისტორიული ქართლის სამეფოს ცენტრალური ოლქის) „მემკვიდრეობასთან“. ის პოლიტიკური ძალა, რომელიც წარმატებას აღწევდა ბრძოლაში „ქართლსა ზედა“ და ხელთ იგდებდა ამ რეგიონს, აცხადებდა პრეტენზიას ლიდერობაზე საერთო ქართული მასშტაბით.

ამგვარი ლიდერის როლში თითქმის მთელი Xს. მანძილზე გამოდიოდა „აფხაზთა“ სამეფო, მაგრამ ის 70-იან წლებში ქაოსმა მოიცვა.

სამეფო ხელისუფლება ვერ აკონტროლებდა სიტუაციას არათუ შიდა ქართლში, არამედ საკუთრივ დასავლეთ საქართველოშიც. ამ ვითარებით მონიდომეს ესარგებლათ კახეთის მმართველ წრეებს და შიდა ქართლის დაუფლება განიზრახეს, მაგრამ ამას წინ აღუდგა ქართლის ერისთავი იოანე მარუშის ძე, რომელმაც „წარავლინა მოციქული“ დავით კურაპალატთან და შესთავაზა მას ან თვითონ დაეკავებინა ქართლი, ან ჩაებარებინა ის თავის შვილობილ ბაგრატიანთა, „რომელსა ეყოდა დედულად აფხაზეთი და ქართლი“. ე.ი. ბაგრატი, არა როგორც ბაგრატიონი, არამედ როგორც დასავლეთ საქართველოს „ლეონიდთა“ სამეფო სახლის შთამომავალი, იღებდა ამ სამეფოს ნაწილს – ქართლს (შიდა ქართლს), რომლის მართვა ტრადიციულად „აფხაზთა“ სამეფოს ტახტის მემკვიდრეთა ფუნქცია იყო. ქართლის ერისთავის იოანე მარუშის ძის წინადადება დავით კურაპალატმა მოიწონა, „წარმოემართა ძალითა თვისითა ყოვლითა და მოვიდა ქართლად“. სწორედ ამ დროს (975წ.) დავით კურაპალატმა პირველად დააფიქსირა საჯაროდ ბაგრატი უფლისწულის დინასტიურ-ლეგიტიმური უფლებები. უფლისციხეში შეკრებილ ქართლის აზნაურებს მან საქვეყნოდ განუცხადა: „ესე არს მემკვიდრე ტაოსი, ქართლისა და აფხაზეთისა, შვილი და გაზრდილი ჩემი. და მე ვარ მოურავი ამისი და თანაშემწე. ამას დაემორჩილენით ყოველნი.“

ამრიგად, ბაგრატი ოფიციალურად გამოცხადდა ქართლის მმართველად, არა მეფედ (ამ დროს, როგორც ცნობილია, ქართლის მეფის ინსტიტუტი საერთოდ არ არსებობდა), არამედ „აფხაზთა“ სამეფოს ერთი ნაწილის – შიდა ქართლის – მმართველად. სრულიად აშკარაა, რომ ქუთაისის ტახტის მიერ კონტროლირებად რეგიონში – შიდა ქართლში ტაოს ბაგრატიონთა სახლის ერთადერთი მემკვიდრის ბაგრატი უფლისწულის მმართველად დასმა იმთავითვე გამიზნული იყო „ქართუელეთა“ და „აფხაზთა“ სამეფოების დინასტიური შეკერისკენ. ბუნებრივია, სეპარატისტულად განწყობილი ქართლის აზნაურებისათვის ბაგრატის მმართველობა მიუღებელი იყო და მათ კვლავ „მოიყვანეს ლაშქარნი კახეთით და გასცეს უფლისციხე“, ხოლო დატყვევებული „გურგენ და ძე მისი ბაგრატი და დედოფალი გურანდუხტი, წარიყვანეს კახეთად“. დავით კურაპალატმა კვლავ „გამოილაშქრა ყოვლითა ძალითა მისითა“. კახელებმა ძლევაძის კურაპალატთან დაზავება არჩიეს. მათ დათმეს უფლისციხე და ბაგრატი უფლისწული დედ-მამითურთ გაათავისუფლეს, ამის სანაცვლოდ კი წირქვალის ციხე და გრუი მიიღეს.

მაგრამ, როგორც ჩანს, ბაგრატის სტატუსის აღდგენა ვერ მოხერხდა, რადგან „მას ჟამსა ეპყრა უფლისციხე და ქართლი გურანდუხტი დედოფალსა“. უნდა ვივარაუდოთ, რომ ბაგრატის ნაცვლად მისი დე-

დის გურანდუხტ დედოფლის მოქცევა ქართლის სათავეში იყო დავით კურაპალატსა და კახელებს შორის მიღწეული კომპრომისის შედეგი. როგორც მოვლენების შემდგომმა მსვლელობამ გვიჩვენა, გურანდუხტ დედოფალი უფრო მისაღები იყო ქართლის აზნაურობისათვის, ვიდრე ბაგრატი.

978წ. იოანე მარუშის ძე ახალი ინიციატივით გამოვიდა. აძვერად მან დავით კურაპალატს ბაგრატის დასავლეთ საქართველოში გამეფება შესთავაზა. ეს გარკვეულ სირთულეებთან იყო დაკავშირებული, რადგან ქუთაისის ტახტი, როგორც ცნობილია, იმ დროს თავისუფალი არ იყო, ის ბაგრატის ბიძას თეოდოსი „უსინათლოს“ ეკავა. სწორედ ამით იყო გამოწვეული დავითის ერთგვარი ყოყმანი. მან მხოლოდ მას შემდეგ დააკმაყოფილა თეოდოსის უგერგილო მმართველობით უკმაყოფილო იოანე მარუშის ძისა და სხვა ღიდებულთა თხოვნა, როდესაც ამ უკანასკნელთ სიმტკიცის პირობა ჩამოართვა და მათგან მძევლები აიყვანა.

ბაგრატის კორონაცია ქუთაისში საზეიმო ვითარებაში მოეწყო. ამ ცერემონიაში საკუთრივ ქართველ ლიდერებთან ერთად, დავით კურაპალატის მიწვევით, მისი მოკავშირე და ვასალი სომხეთის (ანისის) მეფე სუმბატ ბაგრატუნიც მონაწილეობდა. მეზობელი ქვეყნის ხელმძღვანელის ქუთაისში ჩამოყვანით დავით კურაპალატი საკუთარი ძალების ერთგვარ დემონსტრაციას ახდენდა. ამასთან, აღნიშნულ აქტს უდავოდ გარკვეული დიპლომატიური დატვირთვაც ჰქონდა. ის აფხაზეთის ახალი ხელისუფლების საერთაშორისო აღიარებასაც მოასწავებდა.

დასავლეთ საქართველოში პოლიტიკური რეჟიმის შეცვლას უმაღლვე მოჰყვა იოანე მარუშის ძისა და დავით კურაპალატის გეგმის მოწინააღმდეგე ძალების მძაფრი პროტესტი, რამაც ახალი ხელისუფლების მხრივ მკაცრი ღონისძიებების გატარება მოითხოვა. პირველ რიგში, საჭირო გახდა გადაყენებული მეფე თეოდოსის აფხაზეთიდან მოშორება და ტაოში გაგზავნა. 80-იანი წლების დასაწყისში ბაგრატის ხელისუფლების წინააღმდეგ მძლავრი გამოსვლა მოხდა ქართლში. ბაგრატმა ჩაახშო ამბოხება და რეგიონში სათანადო წესრიგი დაამყარა. ამ ღონისძიებებით „აფხაზთა“ ახალმა მეფემ მნიშვნელოვნად განიმტკიცა თავისი ხელისუფლება როგორც დასავლეთ საქართველოში, ისე შიდა ქართლში და ენერგიულად შეუდგა სხვა ქართული ტერიტორიების შემოპტკიცებას. 988-989 წლებში მან შემოიერთა ბაღვაშთა კლდეკარის საერისთავო, რითაც დასრულდა ქართული მიწების ერთიან სახელმწიფოში გაერთიანების კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ეტაპი.

989წ. დავით კურაპალატი იძულებული გახდა, ხელი მოეწერა ანდერძზე, რომლის მიხედვითაც ის მთელ თავის სამფლობელოს ბი-

ზანტიის იმპერატორს უტოვებდა. ეს, რასაკვირველია, უმძიმესი დარტყმა იყო გაერთიანების გზაზე შეძღარი ქვეყნისათვის. მიუხედავად ამისა, საქართველოს გაერთიანების პროცესი არ შეჩერებულა. 994წ. გარდაიცვალა ბაგრატ II „ქართუელთა“ მეფე და მისი მემკვიდრეობა გურგენ-ბაგრატის ხელში გადავიდა.

წყაროებში არ არის ცნობილი, თუ ვინ მიიღო „ქართუელთა“ მეფის ტიტული ბაგრატ „რეგენის“ გარდაცვალების შემდეგ. ფაქტი ერთია, რომ გურგენ ბაგრატიონი – გარდაცვლილი მეფის ვაჟი – არც ერთ წყაროში არ არის მოხსენიებული „ქართუელთა“ მეფის ტიტულით, მაშინ როდესაც ამ ტიტულით ჯერ კიდევ მამის (ე.ი. გურგენის) სიცოცხლეში იხსენიება ბაგრატ III. გამოსარიცხი არ არის, რომ ბაგრატ II-ის გარდაცვალების შემდეგ „ქართუელთა“ მეფის ტიტული თვით დავით კურაპალატს მიეღო, როგორც ამას ზოგიერთი მკვლევარი ფიქრობს, მაგრამ არანაკლებ სარწმუნოა მოსაზრება, რომ საერთო შეთანხმებით ეს ტიტული იმთავითვე (ე.ი. 994-995წწ.) ბაგრატ III-ისათვის ებოძებინათ და ამით კიდევ ერთხელ გაესვათ ხაზი გაერთიანებული საქართველოს მომავალი მეფის ლეგიტიმური უფლებებისთვის ტაო-კლარჯეთში. თუ ყოველივე ეს ასეა, მაშინ სავსებით შესაძლებელია ორი – „აფხაზთა“ და „ქართუელთა“ – სამეფო ტახტის გაერთიანება, მართლაც 994-995 წლებში მომხდარიყო, რაც იმას ნიშნავს, რომ ამჟამინდელ ქუთაისის ერთიანი ქართული სახელმწიფოს დედაქალაქად გამოცხადების) 1000-წლოვან იუბილეს რეალური ისტორიული საფუძველი ეძებნება.

1001წ. ბიზანტიელებმა მუხანათურად მოაკვლევინეს დიდი ქართველი სახელმწიფო და პოლიტიკური მოღვაწე, საქართველოს გაერთიანების მესაძირკვლე დავით კურაპალატი, რომელიც, მის მიერ ხელმოწერილი საბედისწერო ანდერძის მიუხედავად, Xს. 90-იან წლებშიც განაგრძობდა აქტიურ სამხედრო-პოლიტიკურ საქმიანობას. მხცოვანი კურაპალატის გზიდან ფორსირებული ჩამოცილება ბიზანტიის ხელისუფლების მიერ უდავოდ დაკავშირებული იყო დავით ბაგრატიონის აშკარად მოხატულ პროქართულ პოლიტიკურ კურსთან, კერძოდ, მის სურვილთან, მოესწრო 989წ. ანდერძის რევიზია და მთელი მემკვიდრეობა არა ბასილი კეისრისთვის, არამედ ჭეშმარიტად კანონიერი მემკვიდრისთვის – „აფხაზთა“ და „ქართუელთა“ მეფე ბაგრატ III-ისთვის სიცოცხლეშივე გადაეცა.

დავითის სიკვდილმა ერთბაშად დააბა ბაგრატისა და გურგენის ურთიერთობა ბიზანტიასთან. ბასილი კეისარმა შეძლო ტაოელ დიდებულთა გადაბირება და მათი დახმარებით ფაქტობრივად ყოველგვარი

გართულების გარეშე დაეუფლა იმიერტაოს. ქართველმა ლიდერებმა, როგორც ჩანს, სწორად შეაფასეს თანაფარდობა და სამხედრო კონფრონტაციას ძლევამოსილ იმპერატორთან სამშვიდობო მოლაპარაკება არჩიეს. მიღწეული შეთანხმებით ბასილი კეისარმა ცნო ბაგრატ „აფხაზთა“ მეფის ჰეგემონობა საერთოქართულ სამყაროში და მისი პრიორიტეტი კურაპალატის ტიტულის მინიჭებით დაადასტურა. ბაგრატის მამას – გურგენს კი იმპერატორმა მხოლოდ მაგისტროსობა აკმარა. მართალია, XI ს. ქართველი ისტორიკოსი სუმბატ დავითის ძე ამ ფაქტში ბასილი კეისრის ვერაგობას ხედავდა, მაგრამ აშკარაა, რომ ბაგრატს კურაპალატობა ერგო საქართველოში იმ დროს შექმნილი პოლიტიკური და სახელმწიფოებრივი კონიუნქტურის გათვალისწინებით.

მიუხედავად იმისა, რომ ახალბედა ქართულმა სახელმწიფომ საგრძნობი ტერიტორიული დანაკარგი განიცადა, 1001 წლის შეთანხმება ბიზანტიასთან ბაგრატ III-ის მნიშვნელოვან დიპლომატიურ წარმატებად უნდა ჩაითვალოს, ამ ხელშეკრულებით იმპერიამ ცნო ახალი წესრიგი საქართველოში და აღიარა ბაგრატ III-ის ჰეგემონობა. გაერთიანებული საქართველოს პირველი მეფისთვის კურაპალატის ტიტულის ბოძება არა იმდენად იმპერატორის ქვეშევრდომობაში მისი შესვლის გამოხატულება იყო, რამდენადაც კონსტანტინოპოლის მიერ „აფხაზთა“ სამეფოს ახალ საზღვრებში ცნობისა და ბაგრატ III საერთოქართული პოლიტიკური სამყაროს ლიდერად აღიარების აქტი. ყველაზე მთავარი მონაპოვარი კი მაინც ის იყო, რომ ამ შეთანხმებით უზრუნველყოფილი იქნა ბიზანტიის სრული ნეიტრალიტეტი საქართველოში მიმდინარე პროცესების მიმართ, რამაც ხელ-ფეხი გაუხსნა ბაგრატს და საშუალება მისცა მას წარმატებით დაეგვირგვინებინა მისი დიდი წინაპრის – დავით კურაპალატის მიერ დაწყებული საქართველოს გაერთიანების საქმე.

1008 წ. „მეფეთ-მეფე“ გურგენის გარდაცვალების შემდეგ, ბაგრატ III რეალურად დაეუფლა მამისეულ „ქართულთა“ სამეფოს. 1010-1011 წლებში მან წარმატებით განახორციელა სამხედრო კამპანია აღმოსავლეთ საქართველოში, რაც კახეთ-ჰერეთის შემომტკიცებით დასრულდა. ამრიგად, XI ს. 10-იანი წლების დამდეგს „აფხაზთა“ და „ქართულთა“ მეფის ბაგრატ III ბაგრატიონის ტახტის ირგვლივ თითქმის მთელი საქართველო გაერთიანდა. მის ფარგლებს გარეთ მხოლოდ ბიზანტიის მიერ მიტაცებული დავით კურაპალატისეული იმიერტაო და თბილისის საამიროლა რჩებოდა. ქართველ ხალხს კიდევ ერთი საუკუნე დასჭირდა ამ ტერიტორიების დასაბრუნებლად და ქვეყნის საბოლოოდ გასაერთიანებლად, რაც ასე ძლევამოსილად აღასრულა დიდმა დავით აღმაშენებელმა.

ბედის ტაძარი – ერთიანი ქართული სახელმწიფოებრიობის სიმბოლო*

XXI ს. გარიჟრაჟზე ქართველი ხალხი, სრულიად საქართველო, თითქმის ერთდროულად რამდენიმე სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ისტორიულ საიუბილეო თარიღს აღნიშნავს. პირველ რიგში, ესაა ეროვნული სახელმწიფოებრიობის 3000 წლისთავი. საყოველთაოდ ცნობილია, რომ ქართველი ერი უძველესი ცივილიზაციის მქონე ხალხების რიცხვს განეკუთვნება. დღევანდელ მსოფლიოს თითო-ოროლა ხალხი თუ შემორჩა, რომელსაც შეუძლია იამაყოს უფრო ძველი და მდიდარი ისტორიული წარსულით. თავის მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე საქართველომ, ქართველობამ უაღრესად რთული და წინააღმდეგობრივი გზა განვლო. მოხერხებულმა გეოგრაფიულმა მდებარეობამ ჩვენი ქვეყანა იმთავითვე მოაქცია მსოფლიო მოვლენების ორბიტაში. ის ადრეიდანვე ეცნობოდა კაცობრიობის მიღწევებს, მაგრამ, ამასთან, მას თავს ატყდებოდა სხვადასხვა ეპოქაში მიმდინარე გლობალური კატაკლიზმებიც. საქართველო არის უძველესი სამიწათმოქმედო კულტურის ქვეყანა. ჩვენი ხალხი ერთ-ერთი პირველი ეზიარა მეტალურგიას, მაგრამ **ქართველი ერის ყველაზე დიდი მონაპოვარი სწორედ ეროვნული სახელმწიფოებრიობაა, რომელიც, სულ მცირე, 3000 ათას წელს ითვლის.**

ქართული სახელმწიფოებრიობის სამი ათასი წელი ესაა ეროვნული მეობისა და სახელმწიფოებრივი ერთიანობის გადარჩენისათვის თავგანწირული ბრძოლის ჭეშმარიტად გმირული ეპოპეა. ამ დიდ ეროვნულ ბრძოლაში ქართველი ხალხის სულიერ სიმტკიცესა და გაუტეხლობას სჭედავდა და აღუღაბებდა ქრისტიანული სარწმუნოება, რომელიც საქართველოში არასოდეს ყოფილა ოდენ რელიგია. ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე შეიძლება ითქვას, რომ **ქრისტიანობა**, რომლის 2000 წლისთავს ასევე ვუხეიმობთ დღეს, არც მეტი, არც ნაკლები, **ჩვენი ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ცხოვრების იდეოლოგიური საფუძველი იყო.** მაგრამ, ამასთან, ქრისტიანობა იყო ის მძლავრი ბერკეტი,

* წაკითხულ იქნა მოხსენებად საქართველოს საპატრიარქოში. მოხსენების თეზისები დაიბეჭდა: *ბედის ტაძრის 1000 წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია. – ბედია – 1000.* კონფერენციის მასალები. თბ., 2000, გვ. 7-8. სრულად დაბეჭდილია გაზეთში: „*საქართველოს რესპუბლიკა*“; №96, 24.IV.2001. იხ. აგრეთვე **ზ. პაპასქირი.** ბედის ტაძარი – ერთიანი ქართული სახელმწიფოებრიობის სიმბოლო. – *საისტორიო ძიებანი*, ტ. III, გამომც. „*მეცნიერება*“. თბ., 2000, გვ. 3-9. ელექტრონული ვერსია: <http://sais-toriodziebani.googlepages.com/dziebani2000>.

რომელზედაც იშვა შუა საუკუნეების დიდი ქართული ეროვნულ-კულტურული მემკვიდრეობა მსოფლიო მნიშვნელობის ლიტერატურული შედეგებით, უბრწყინვალესი ტაძრებითა და მეცნიერებისა და ხელოვნების სხვა უნიკალური მიღწევებით.

ქართველი ხალხი, ქართული სახელმწიფო სრულად იაზრებდა რა ქრისტიანობის, როგორც ეროვნულ-სახელმწიფოებრივი მსოფლმხედველობის მნიშვნელობას, უდიდეს ძალისხმევას ახმარდა წმინდა საყდრების – ეკლესია-მონასტრების აგებას. უფრო მეტიც, ქართული სახელმწიფოს მშენებლობის გადამწყვეტ ეტაპებზე ჩვენი წინაპრები შთამომავლობას უტოვებდნენ ქრისტიანული ხუროთმოძღვრების ცალკეულ ძეგლებს, რომლებიც ეროვნული სახელმწიფოებრიობის ერთგვარ სიმბოლოებად გვეკვლინებიან. ამ თვალსაზრისით, პირველ რიგში, უნდა დავასახელოთ VII საუკუნის დამდეგს აგებული მცხეთის ჯვარი – სიმბოლო ირანის მიერ მოშლილი ქართლ-იბერიის ეროვნული სახელმწიფოებრიობის აღორძინებისა. ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ცნობიერების თვისობრივად ახალი ეტაპის დადგომის ერთგვარ საგნობრივ გამოხატულებას წარმოადგენდა ის დიდი საეკლესიო-სამონასტრო აღმშენებლობა, რომელიც წამოიწიეს VI საუკუნეში ასურელმა წმინდა მამებმა იოანე ზედაზნელის მეთაურობით და ფართო მასშტაბით განავრცეს მოგვიანებით სერაპიონ ზარზმელმა, გრიგოლ ხანძთელმა და მათმა თანამოაზრეებმა.

სწორედ ამ უკანასკნელთა დიდი მონღომებისა და აგრეთვე ტაოკლარჯეთის ბაგრატიონი მეფე-მთავრების, სხვა ღირსეულ ერისკაცთა აქტიური თანადგომის შედეგად იშვა IX-XI საუკუნეებში ქართული ქრისტიანული ხუროთმოძღვრების ისეთი ბრწყინვალე ძეგლები, როგორცაა: ზარზმა, ოშკი, ხახული, ბანა, შატბერდი, ხანძთა და სხვ. ამ თვალსაზრისით, არანაკლები მნიშვნელობის იყო ის დიდი აღმშენებლობაც, რომელსაც ეწოდნენ „აფხაზთა“ მეფეები დასავლეთ საქართველოში. გიორგი II „აფხაზთა“ მეფისა და მისი ძის ლეონ III-ის მიერ აგებული ჭყონდიდისა და მოქვის ტაძრები, გარდა იმისა, რომ ქართული სულიერების უმნიშვნელოვანეს ცენტრებს წარმოადგენდნენ, ქმნიდნენ საერთო-ქართული სახელმწიფოებრიობის იდეოლოგიას დასავლეთ საქართველოში და ამზადებდნენ ნიადაგს ამერ-იმერის ერთიან ქართულ სახელმწიფოში გაერთიანებისათვის.

X-XI საუკუნეების მიჯნა უდიდესი ნიშანსვეტია 3000-წლოვანი ქართული სახელმწიფოებრიობის ისტორიაში. ამ დროს, პირველად ჩვენი ქვეყნის სინამდვილეში, რეალურად ჩაეყარა საფუძველი ერთიან ქართულ სახელმწიფოს – საქართველოს. ცალკეული სამეფო-სამთავროე-

ბის ბაგრატიონთა დინასტიის ეგიდით გაერთიანება და საერთო-ქართული სახელმწიფოს აღმოცენება, რომლის მესაძირკვლენი იყვნენ: იმიერთაოს ძლევაძოსილი ხელმწიფე, X საუკუნის უკანასკნელი მესამედის საქართველოს აღიარებული ლიდერი – დავით III დიდი კურაპალატი და მისი შვილობილი, მეფე „აფხაზთა და ქართველთა, რანთა და კახთა“ – ბაგრატ III ბაგრატიონი, სულაც არ ყოფილა ხელსაყრელ გარემოებათა უბრალო დამთხვევის შედეგი. ამას წინ უძღოდა ქართველურ ტომთა სახელმწიფოებრივი ცხოვრების სულ ცოტა ორათასწლოვანი გამოცდილება, რომლის საწყისები დაიყენი-დიახისა თუ აიეტიდების ლეგენდარული კოლხეთის წიაღში უნდა ვეძიოთ. ამერ-იმერის ერთიან საქართველოდ გადაქცევა ლოგიკური დაგვირგვინებაა ჩვენი წინაპრების მრავალსაუკუნოვანი შეუპოვარი და თავგანწირული ბრძოლისა ეროვნული მთლიანობისა და საერთო-ქართული კულტურულ-პოლიტიკური სამყაროს შენარჩუნებისათვის.

ქართველი ხალხის სწრაფვა საერთო-ეროვნული სახელმწიფოს შექმნისაკენ, თუ უფრო ადრე არა, ძვ.წ. IV-III საუკუნეებიდან მაინც უნდა დაწყებულიყო. ძველი ქართული საისტორიო ტრადიციით, რომელსაც იზიარებს თანამედროვე მკვლევარ-ისტორიკოსთა მნიშვნელოვანი ნაწილი, ფარნავაზის მიერ შექმნილი ქართლ-იბერიის სამეფო უკვე იყო ერთიანი ქართული სახელმწიფო, რომელიც მოიცავდა დასავლეთ საქართველოსაც – ეგრის-კოლხეთს. ძველი ქართული საისტორიო ტრადიცია ასევე ცალსახად განიხილავდა ქართლის სამეფოს, როგორც ერთიან ქართულ სახელმწიფოს მისი ისტორიის მთელ მანძილზე. უნდა აღინიშნოს, რომ ძველი ბერძნულ-რომაული, ხოლო მოგვიანებით – ბიზანტიური საისტორიო ტრადიცია ფაქტობრივად გამორიცხავდა იბერია-კოლხეთის სახელმწიფოებრივ ერთიანობას, როგორც ანტიკურ ხანაში, ისე ადრეულ შუა საუკუნეებში. ამ ტრადიციით, რომელიც უდავოდ იმსახურებს ნდობას, დასავლეთ საქართველოში არსებობდა კოლხეთის სამეფო (ძვ.წ. VI-III ს.), მოგვიანებით კი – ლაზიკა-ეგრისის სახელმწიფო (ახ.წ. IV-VIII ს. დამდეგი).

მიუხედავად ამისა, სავარაუდოა, რომ ცალკეულ პერიოდებში ადგილი ჰქონდა ქართლ-ეგრისის ერთიან სახელმწიფოში გაერთიანების სერიოზულ მცდელობებს. ამ მხრივ, პირველ რიგში, შეიძლება გამოვყოთ V ს. II ნახევარი – ვახტანგ გორგასლის ეპოქა. ის ფაქტი, რომ ქართულმა საისტორიო ტრადიციამ რატომღაც მაინცდამაინც ვახტანგ გორგასლის სახელს დაუკავშირა საერთო-ქართული სახელმწიფოებრიობის სიმბოლო – სახელმწიფო დროშა („დავითიანთა და გორგასლიანთა“), უდავოდ მიუთითებს ამ დიდი მეფის განსაკუთრებულ ღვაწლზე

ერთიანი ქართული სახელმწიფოს მშენებლობის პროცესში. ამ ბოლო დროს მკვლევართა ერთი ნაწილი სავსებით დამაჯერებლად მსჯელობს ქართლ-ეგრისის სავარაუდო ინტეგრირებაზე ერთიან სახელმწიფოში VIII ს. 30-იან წლებში, რომლის სათავეში სტეფანოზ ქართლის ერისმთავრის სახლი უნდა ყოფილიყო.

და მაინც, ერთიანი ქართული სახელმწიფოს ჩამოყალიბება მთელი საქართველოს მასშტაბით პირველად რეალურად მოხერხდა მხოლოდ XII ს. დამდეგს, როდესაც „აფხაზთა“ მეფე ბაგრატ III ბაგრატიონმა თანმიმდევრულად დაუქვემდებარა ქუთაისის ტახტს ქართული მიწების უდიდესი ნაწილი: ბაგრატიონების „ქართველთა“ სამეფო (ბიზანტიის მიერ 1001 წ. მიტაცებული დავით კურაპალატისეული იმიერ-ტაოს გამოკლებით) და კახეთ-ჰერეთი. ბუნებრივია, ახლადშექმნილ ქართულ სახელმწიფოს ესაჭიროებოდა მისი ძლიერებისა და სიდიადის გამომხატველი სიმბოლოები და სწორედ ასეთ სიმბოლოებად მოეგვინა ქვეყანას ქართული ქრისტიანული ხუროთმოძღვრების ორი უბრწყინვალესი ძეგლი: ბაგრატის ტაძარი ქუთაისში – სახელმწიფოს დედაქალაქში და „საყდარი ბედიისა“ – თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიაზე, ისტორიული ეგრისის ცენტრში.

მიზეზი იმისა, თუ რამ განაპირობა საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის წმინდა სალოცავის, რომელიც შემდგომ ერთიანი ქართული სახელმწიფოს ფუძემდებლის საძვალედ იქცა, მაინცდამაინც ბედაში აშენება, ერთი შეხედვით, თითქოს მარტივია – ძველი ქართული საისტორიო ტრადიციის მიხედვით სწორედ ბედია ითვლებოდა ისტორიული ეგრისის პოლიტიკურ ცენტრ-სიმბოლოდ. აი, რას წერს ამის შესახებ ქართველი მემატიანე: *„ხოლო ეგროსს მისცა ჭუეყანა ზღვსყურისა, და უჩინა საზღვარი: აღმოსავლით მთა მცირე, რომელსაც აწ ჰქვან ლიხი; დასავლით ზღუა; ჩრდილოთ მდინარე მცირისა ხაზარეთისა, სადა წარსწუთების წუერი კაკასისა. ხოლო ამან ეგროს აღაშენა ქალაქი და უწოდა სახელი თუხი ეგრისი. აწ მას ადგილსა ჰქვან ბედია“.*

„ქართლის ცხოვრების“ დასაწყისი მატეიანის ეს ცნობა მრავალმხრივ არის საინტერესო, მაგრამ აქ მთავარი მაინც ისაა, რომ მასში მოხაზულია ეგრისის სახელმწიფოს ტერიტორია, რომლის ცენტრად მიჩნეულია სწორედ ბედია. მაგრამ გასათვალისწინებელია ისიც, რომ ქართულმა საისტორიო ტრადიციამ იცოდა ეგრისის მეორე არანაკლებ მნიშვნელოვანი ცენტრიც – ციხე-გოჯი, რომელიც, როგორც ჩანს, საუკუნეების მანძილზე წარმოადგენდა ეგრისის ხელისუფალთა რეზიდენციას. ისმის კითხვა, რატომ არა ციხე-გოჯი? გარდა ამისა, ის ვითარება, რომელშიც წარმოიქმნა ერთიანი ქართული სახელმწიფო, თით-

ქოს მოითხოვდა იმასაც, რომ „აფხაზთა“ მეფე ბაგრატ III ბაგრატიონს, რომელიც ქუთაისის ტახტზე „აფხაზი“ ლეონიდების უშუალო მემკვიდრედ თვლიდა თავს, აქცენტი გაეკეთებინა თუნდაც ლეონ II-ის წინაპრების თავდაპირველ რეზიდენციანზე – ანაკოფიანზე (დღევანდელი ახალი ათონი) და წამოეწია სწორედ ამ ცენტრის მნიშვნელობა საერთო-ქართული მასშტაბით, მაგრამ, როგორც ვნახეთ, საქართველოს გამაერთიანებელმა მეფემ ერთსაც და მეორესაც გვერდი აუარა და არჩევანი მაინცდამაინც ბეღიანზე შეაჩერა.

ბაგრატ III-ის ეს არჩევანი, ჩვენი აზრით, უდავოდ ადასტურებს იმას, რომ მიუხედავად „აფხაზთა“ მეფეთა გადამწყვეტი როლისა ერთიანი დასავლურ-ქართული სახელმწიფოს შექმნაში, მაშინდელი საქართველოს ისტორიულ-სახელმწიფოებრივ ცნობიერებაში ეგროს-ქუჯის წვლილი უფრო დიდი მნიშვნელობის იყო და სწორედ ისინი მოიაზრებოდნენ დასავლურ-ქართული პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივი სამყაროს ფუძემდებლებად, ხოლო „აფხაზ“ მეფეთა „აფხაზთა“ სამეფო ამ სამყაროს მემკვიდრის როლში განიხილებოდა. სწორედ ამაზე მიუთითებს დიდი ისტორიკოსის ვახუშტი ბატონიშვილის ნაშრომში დაცული თანამიმდევრობაც: „აღწერა ეგრისის ქუეყანისა, ანუ აფხაზეთისა, ანუ იმერეთისა“. გაერთიანებული საქართველოს პირველი მეფის არჩევანი ბეღიანზე ნიშნავდა სწორედ ეგრის-ბეღიის პირველსაწყისისაკენ მობრუნებას და იქნებ ეს იყო სიმბოლური კავშირის გამოხატულება ახალ ერთიან საქართველოს სახელმწიფოსა და უძველეს ბერძნულ მითებში ჩაკარგულ ეგრო-კოლხურ პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივ სამყაროს შორის.

ასეა თუ ისე, ბაგრატ III-მ ბეღია საერთო-ქართული მნიშვნელობის წმინდა ადგილად გამოაცხადა და ის ერთგვარად სატახტო ქალაქის გვერდით დააყენა. ამრიგად, ქუთაისის ბაგრატის ტაძრისა და ბეღიის აგება ბევრად სცილდებოდა რიგითი ქრისტიანული სალოცავების შექმნის განზრახვას. ეს ფაქტი ჭეშმარიტად უდიდესი ეროვნულ-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის მოვლენა იყო. სწორედ ქართული ქრისტიანული ხუროთმოძღვრების ეს ორი ძეგლი წარმოედგინათ თანამედროვეებს ახალი საქართველოსა და მისი სწორუბოვარი ხელმწიფის ბაგრატ III-ის სიძლიერისა და სიდიადის განსახიერებად, რაც ასე მრავლისმეტყველად გამოხატა XIს. ქართველმა მემატიანემ: „უკეთუ ვისმე ენებოს განცდად და გულისხმისყოფად სიმაღლისა თვის დიდებისა მისისა (ე. ი. ბაგრატ III-ის – ზ.პ.), პირველად განიცადოს სამკაული ბეღიისა ეკლესიისა და მისგან გულისხმა ყოს, რომელ არავინ ყოფილ არს სხუა მეფე მსგავსი მისი ქუეყანასა ქართლისასა და აფხაზეთისასა“. ბაგრატი და ბეღია არ იყო უკანასკნელი ტაძრები, რომლებშიც

განსხეულებული იყო ერთიანი ქართული სახელმწიფოს სიძლიერე. მალე მათ შეემატა მცხეთის საკათედრო ტაძარი სვეტიცხოველი, ხოლო XIII. I მეოთხედში დიდმა დავით აღმაშენებელმა ერთიანი ქართული სახელმწიფოს მშენებლობის პროცესის დასრულება დაავიჯებინა გელათის დიდებული ტაძრის აგებით, რომელიც ასევე იქცა ძლიერი, ერთიანი საქართველოს სახელმწიფოს სიმბოლოდ.

XIII-XVIII საუკუნეებში, მიუხედავად ჟამთა სიავისა, ქართველი მეფე-მთავრები მაინც ახერხებდნენ ახალი წმინდა სალოცავების აგებას, მაგრამ ამ პერიოდში აშენებულ არც ერთ ტაძარს არ ჰქონია ის ზოგადქართული სახელმწიფოებრივი დატვირთვა, როგორც ბაგრატს, ბედიას, სვეტიცხოველსა და გელათს. XIX საუკუნეში კი, როდესაც რუსეთის იმპერიამ მოსპო ქართული სახელმწიფოებრიობა და გააუქმა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია, ბუნებრივია, არ აიგებოდა ქართული სახელმწიფოებრიობის განმასახიერებელი ტაძარი-სიმბოლო. ხოლო რაც შეეხება ბოლშევიკურ-ათეისტური რეჟიმის 70-წლიან პერიოდს, ამ დროს არათუ ახალი არ აშენებულა, არამედ რაც იყო, ისიც განადგურდა.

XXს. 90-იანი წლების დამდეგიდან, როდესაც ქართველ ხალხს კვლავ მიეცა დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნის შესაძლებლობა, დაიწყო ახალი ეტაპი ჩვენი ერის სულიერ ცხოვრებაში. ქართველობა მასობრივად მოუბრუნდა დედა-ეკლესიას, რამაც აუცილებელი გახადა ახალი ტაძრების მშენებლობა. უკანასკნელ წლებში სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია II-ის ლოცვა-კურთხევით აიგო ათობით ახალი ეკლესია. მაგრამ ახალ საქართველოს, ისევე როგორც ათასი წლის წინ, დღესაც სჭირდება ქართული სახელმწიფოს სიმტკიცისა და ძლიერების სიმბოლო. სწორედ ასეთ სიმბოლოდ უნდა იქცეს ქ. თბილისში – ქვეყნის დედაქალაქში მშენებარე ახალი გრანდიოზული სამების ტაძარი, რომელიც თავისი ზოგად-ქართული სახელმწიფოებრივი მნიშვნელობით უთუოდ გაუტოლდება სტეფანოზ ერისმთავრის მცხეთის ჯვარს, ბაგრატ III-ის ბედიისა და ბაგრატის ტაძრებს, დიდებულ სვეტიცხოველსა და დიდი დავით აღმაშენებლის საგანე-განსასვენებელს – გელათს.

„АБХАЗСКОЕ“ ЦАРСТВО – ГРУЗИНСКОЕ ГОСУДАРСТВО*

История „Абхазского“ царства, также как и других грузинских политических образований, возникших на рубеже VIII-IX вв. достаточно фундаментально изучена в историографии. В трудах И. А. Джавахишвили, С. Н. Джанашия, Н. А. Бердзенишвили, З. В. Анчабадзе, Г. А. Меликишвили, М. Д. Лордкипанидзе, Д. Л. Мухелишвили, Г. В. Цулая, и других учёных капитально исследованы все кардинальные вопросы, связанные с историей „Абхазского“ царства и убедительно показаны роль и место этого государственного образования в общегрузинском политическом пространстве, в процессе формирования единого грузинского государства.

Практически все исследователи, в том числе и крупнейшие зарубежные учёные однозначно признают „Абхазское“ царство как грузинское национально-государственное объединение.¹ Несмотря на

* სტატია დაიბეჭდა ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის საქართველოს საისტორიო საზოგადოების აგსაზეთის ორგანიზაციის პერიოდულ სამეცნიერო გამოცემაში: „საისტორიო ძიებანი“, ტ. VIII-IX. თბ., 2006, გვ. 68-106. იხ ელექტრ. ვერსია: <http://saistoriodziebani.googlepages.com/dziebani2005-2006>

¹ Наглядным свидетельством сказанного являются комментарии известного русского востоковеда В. Ф. Минорского, помещённые в его капитальном труде об истории Ширвана и Дербенда. Так, давая разъяснение древнейшему грузинскому городу Мцхета, учёный отмечал, что „Мцхет (лежащий на запад от Тифлиса) мог принадлежать скорее юго-западным Багратидам, чем так называемой „Абхазской“ династии западных грузин“ (В. Ф. Минорский. История Ширвана и Дербенда. М., 1963, с. 210, курсив наш – З.П.). В. Ф. Минорский не случайно помещает название династии в кавычки и совершенно недвусмысленно даёт понять, какой этнополитический мир представляла так называемая „Абхазская“ династия. Аналогично поступает учёный и в других местах своего исследования. Так, например, касаясь вопроса о политико-государственной конфигурации Грузии, он пишет: „Помимо Квириканской династии Кахетии, существовали основная династия Багратидов в центральной и южной части Грузии и так называемая Абхазская династия в Западной Грузии“. И это при том, что автор прекрасно осведомлён о собственно абхазах, „небольшом народе“, живущем „в настоящее время... на восточном побережье Чёрного моря (около Сухуми)“ (В. Ф. Минорский. История Ширвана и Дербенда., с. 117, курсив наш – З.П.). В другом месте также отмечено „что в первой половине X в. Картлия была присоединена правителями так называемой „Абхазской“ династии“ (В. Ф. Минорский. История Ширвана и Дербенда., с. 214, курсив наш – З.П.). Наряду с т.н. „Абхазской“ династией, в названном труде В. Ф. Минорского в кавычках помещены также слова: „Абхазия“, „Абхазский“ и т.д. Например, комментируя сообщение арабского автора X в. Мас'уди, учёный пишет, что „Мас'уди проводит различие между истоками Куры, которые он помещает в стране Джурзан в царстве Джурджина, и ее последующим течением через „Абхазские“ владения (выше Тифлиса)“. (В. Ф. Минорский. История

это сепаратистски настроенные абхазские историки и их московские покровители (в основном политики, правильнее сказать – политика-ны) всемерно пытаются убедить общественность в обратном. В различных публикациях постоянно идёт политическая спекуляция названием царства и несведущим читателям внушается мысль о том, что „Абхазское“ царство, якобы, являлось сугубо абхазским (в современном понимании) этнополитическим образованием.¹

Ширвана и Дербенда... с. 214, курсив наш – З.П.). В другом месте, В. Ф. Минорский, обращая внимание на то, что Багратиды считали себя потомками пророка Давида, разъясняет: „Эти цари Грузии (Джурз) назывались „абхазскими“ царями ввиду их связей с правящим домом Абхазии“ (В. Ф. Минорский. История Ширвана и Дербенда... с. 223, курсив наш – З.П.). Рассказывая о деятельности кахетинского царя Ахсартана, учёный отмечает, что „он... находился в плохих отношениях с царём Западной Грузии (Абхазии, как ее называли мусульмане, имея в виду происхождение её династии). Современным правителем „Абхазии“ (читай Грузии – З.П.) был энергичный Баграт /1027-72гг./, сын Георгия I /1014-27/“ (В. Ф. Минорский. История Ширвана и Дербенда... с. 94, курсив наш – З.П.). И, наконец, комментируя сообщение Масуда б. Намдара о том, что ширваншах Фарибурз якобы „покорил абхазцев“ уточняет, что под этими абхазцами следует подразумевать грузин (В. Ф. Минорский. История Ширвана и Дербенда... с. 96, курсив наш – З.П.).

¹ В отличие от политиканов, современные российские историки, профессионально занимающиеся Восточной Европой и особенно Кавказом, также признают грузинский национально-государственный облик „Абхазского“ царства. В этом отношении, прежде всего заслуживает внимания высказывание видного русского востоковеда, крупнейшего знатока истории стран Закавказья, члена-корреспондента АН СССР, проф. А. П. Новосельцева о том, что возникшее в VIII в. **Абхазское царство** „первоначально“ охватившее „территории, преимущественно населённые абхазами, ... в IX в. (после переноса центра „в Западную Грузию“) стало, по сути дела, западногрузинским государством, игравшим важную роль в истории Грузии“ (См. комментарий 17 к главе 42. в кн. Константин Багрянородный, «Об управлении империей». Текст, перевод, комментарии. Под. ред. Г. Г. Литаврина, А. П. Новосельцева. М., 1989, с. 401. Интернет-версию см.: http://oldru.narod.ru/biblio/kb_k30_43.htm#42, в соавторстве с М. В. Бибиковым, курсив наш – З.П.). Почти аналогично высказывается и другой выдающийся русский историк Л. Н. Гумилёв, который пишет: „Эристав Абхазии с помощью хазар добился независимости от империи. Его преемники стали претендовать и на Западную Грузию, постепенно её подчинив. Это случилось позже, в IX-X вв., а возникшее первоначально **Абхазское государство**, распространив свою власть на этнически картвельские земли, куда затем был перенесен и центр государства (в Кутаиси), **постепенно превратилось в грузинское политическое объединение**“ (Интернет-версию см.: <http://gumilevica.kulichki.net/HE2/he2103.htm>, курсив наш – З.П.). Не меньший интерес представляет и видение ещё одного известного исследователя Кавказа В. А. Кузнецова, который отмечая факт создания „Абхазского“ царства в конце VIII в. объединившего „всю Западную Грузию со столицей в Кутаиси“, считает нужным подчеркнуть, что „общим языком для всех народов Абхазского царства становится грузинский язык“ (См.: В. А. Кузнецов. Введение в Кавказове-

Впервые об „Абхазском“ царстве как о собственно абхазо-апсуйском государстве заговорили представители абхазской „народной“ интеллигенции, вышедшие на арену после Февральской революции 1917г. Едва ли не первым из них был известный абхазский деятель, один из лидеров сепаратистского движения 1917-1937гг. Михаил Тарнава, опубликовавший в 1917г.opus об истории абхазской „национальной“ церкви – своего рода „научное“ обоснование создания самостоятельной (от грузинской православной церкви) абхазской церковной организации¹. В данной книжке, автор „Абхазское“ царство фактически объявил государством предков современных абхазов. По его утверждению „могущество и расцвет Абхазии (читай „Абхазского“ царства – **З.П.**) приходят в упадок с прекращением царствования её самостоятельных правителей“ (имеется в виду вступление на „Абхазский“ царский престол в Кутаиси Баграта Багратиони, он же Баграт III – первый царь объединённой Грузии – **З.П.**), после чего якобы „судьба Абхазии сливается с судьбой Грузии“.²

Эта тенденция получила дальнейшее развитие в публикациях других видных представителей абхазского сепаратистского движения 20-30-х годов XXв. Среди них особенно „прославился“ С. М. Ашхацава³, чьи фантастические измышления, лишены всякого здравого смысла. Так, например, С. М. Ашхацава всерьёз заявляет о том, что „Абхазское“ царство – **абхазское национальное государство существовало аж до конца XVв.**, когда оно распалось „на три царства: Кахетинское, Карталинское и Имеретинское и на пять княжеств: Самцхе-Саатабаго, Гурию, Мингрелию, Сванетию и Абхазию“⁴, и что „распадение Абхазского царства в XVв. повело к прекра-

дение. Владикавказ, 2004. См. интернет-версию: <http://www.ossetia.ru/caucasus/abx-adig>, курсив наш – **З.П.**) Ещё более определённо высказывается другой известный кавказовед С. А. Арутюнов: „**Абхазия была населена всегда абхазами, но всегда и грузинами.** Т.е. иногда было грузин там больше, иногда меньше, **но никогда не было так, чтобы на территории Абхазии жили только абхазы или только грузины.** Такого не бывало. Эти народы жили совместно в течение двух тысячелетий, как минимум. ...**В грузинской истории абхазы выступили так, как, может быть, русы-варяги выступили в России. И Абхазское царство стало собирателем грузинских земель...** (Фрагмент из радиопередачи: „Суть событий“, радиостанция „Эхо Москвы“, 13.VIII.2004. См.: <http://www.echo.msk.ru/programs/sut/26630/>, курсив наш – **З.П.**)

¹ М. И. Тарнава. Краткий очерк истории Абхазской церкви. Сухум, 1917.

² Приведено по книге: *Православная Абхазия*. М., 1994, с. 9.

³ С. М. Ашхацава. Пути развития абхазской истории. Издание Наркомпроса Абхазии, 1925, с. 12-22.

⁴ С. М. Ашхацава. Пути развития..., с. 21.

щению чеканки **национальной** (читай – **абхазо-апсуйской** – **З.П.**) монеты“.¹ XVI-XVII вв. же, по мнению автора, „являются эпохой наибольшего падения ... **бывшего Абхазского государства**“.²

ნავია, რომ საქართველოს ისტორიული პროვინციების დაბრუნების თემა პირველად ჯერ კიდევ 1783წ. ქართლ-კახეთის სამეფოსა და რუსეთის იმპერიას შორის გეორგიევსკში დადებული ხელშეკრულების ე.წ. „სეპარატულ“ (საილუმლო) მუხლებში გაიჟღერა.

მართლაც XIX საუკუნეში მიმდინარე რუსეთ-თურქეთის ომების (1806-1812, 1828-1829, 1877-1878 წლების) შედეგად საქართველოს დაუბრუნდა თავისი ისტორიული კუთხეები: სამცხე-ჯავახეთის მნიშვნელოვანი ნაწილი, აჭარა და ა.შ. აღსანიშნავია, რომ „სამხრეთის ტერიტორიების“ სრულად შემოერთების შანსი საქართველოს XX საუკუნეშიც მიეცა, როდესაც მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ შეიქმნა ხელსაყრელი სიტუაცია თურქეთის „დასჯისა“ და მისთვის ისტორიული ქართული (ასევე სომხური) ტერიტორიების „წართმევისა“, მაგრამ სსრ კავშირის მაშინდელი ხელმძღვანელობა და, პირველ რიგში, თვით ი. სტალინი მოერიდა დასავლეთელი მოკავშირეების განაწყენებას და არ მონდომა თურქეთთან არსებული საზღვრების გადასინჯვა. ასე დარჩა საქართველოს ფარგლებს გარეთ ქართველებით დასახლებული ისტორიული ტაო-კლარჯეთის უდიდესი ნაწილი.

რასაკვირველია, რუსეთისა და მოგვიანებით სსრ კავშირის ხელისუფლება ამ ტერიტორიების შემოერთებისას ოდნავადაც არ ფიქრობდა ისტორიული საქართველოს სახელმწიფოებრივ-ტერიტორიული მთლიანობის აღდგენაზე, ის უბრალოდ ზრუნავდა თავისი უკიდევანო იმპერიის შემდგომ ტერიტორიულ განვრცობაზე. უფრო მეტიც, ცნობილია, თუ როგორ უშლიდა იმპერია ხელს ჩვენი ქვეყნის ცალკეული კუთხეების: სამცხე-ჯავახეთის, აფხაზეთის, აჭარის, თვით სამეგრელოსა და სვანეთის ინტეგრირებას ერთიან ქართულ კულტურულ-ეკონომიკურ და პოლიტიკურ სივრცეში. ბუნებრივია, რუსეთს ერთიანი საქართველო კი არ სჭირდებოდა არამედ თბილისისა და ქუთაისის გუბერნიები. მიუხედავად ამისა, რუსეთის მფლობელობის დამყარებას საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის თვალსაზრისით ნამდვილად ჰქონდა პოზიტიური მნიშვნელობა, ვინაიდან ცალკეულ სამეფო-სამთავროებად დაქუცმაცებული ქვეყანა საბოლოოდ კვლავ ერთიან სახელმწიფოებრივ (მართალია ჯერ საერთო-რუსულ) სივრცეში მოექცა, რამაც მნიშვნელოვნად განაპირობა კიდევ 1918წ. ერთიანი დამოუკიდებელი ქართული სახელმწიფოს აღდგენისათვის სათანადო ტერიტორიული ბაზისის შექმნა.

1918 წლის 26 მაისს გამოცხადებული საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა სწორედ XVს. მიწურულს დაშლილი ერთიანი ქართული სახელმწიფოს სამართალმემკვიდრე იყო. ახალბედა ქართული

სახელმწიფოს ტერიტორიულ მთლიანობას იმთავითვე დაემუქრა საფრთხე მეზობელი სახელმწიფოების: რუსეთის, თურქეთისა და სომხეთის მხრიდან. ურთულეს საშინაო და საგარეო პოლიტიკურ ვითარებაში ახალი ქართული სახელმწიფოს ლიდერებმა მაინც შეძლეს საქართველოს სახელმწიფოებრივ-ტერიტორიული მთლიანობის უზრუნველყოფა. ქართული სახელმწიფოს იურისდიქცია გავრცელდა აფხაზეთზე, რომელზეც რუსეთი აცხადებდა პრეტენზიას და აჭარაზე, რომლის დათმობა უჭირდა თურქეთს. საქართველოს შემადგენლობაში დაბრუნდა აღმოსავლეთ კახეთი (ზაქათალის მხარე). ამ საზღვრებში სცნო ოფიციალურად საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა რუსეთის ფედერაციამ 1920წ. 7 მაისის ხელშეკრულებით, რომელიც ვერაგულად დაარღვია 1921წ. თებერვალში, როდესაც წითელი ურდოები შემოუსია საქართველოს და მოახდინა მისი ნაძალადევი გასაბჭოება.

ბოლშევიკმა დემაგოგებმა, რომლებიც 1918-1920 წლებში ყოველნაირად აქეზებდნენ აფხაზებსა და ოსებს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის წინააღმდეგ და მთლიანად მხარს უჭერდნენ მათ „ეროვნულ-სახელმწიფოებრივ“ თვითგამორკვევას, გასაბჭოების შემდეგ ვერ შეძლეს მათ მიერ „აშვებული“ სეპარატისტების მოთოკვა და იძულებული შეიქმნენ მოჩვენებითი „დამოუკიდებლობა“ (ისიც დროებით) ებოძებინათ აფხაზებისათვის, ხოლო ოსებით დასახლებული შიდა ქართლის ნაწილი ე.წ. „სამხრეთ ოსეთის“ ავტონომიურ ოლქად გამოეცხადებინათ. ასე ჩაიდო „ნელი მოქმედების“ ნაღმები რომლებიც იმთავითვე გამიზნული იყო ქართული სახელმწიფოს შიგნიდან ასაფეთქებლად.

კრემლის ბოლშევიკური რეჟიმი 70 წლის მანძილზე, საჭიროების შემთხვევაში, ყოველთვის მარჯვედ ათამაშებდა აფხაზურ და ოსურ „კარტს“ თბილისზე ზეწოლისათვის და ამ გზით უსპობდა მეტი სუვერენიტეტის მოპოვების ყოველგვარ სურვილს საქართველოს კომუნისტურ ხელისუფლებას.

XXს. 80-იანი წლების II ნახევრიდან, როდესაც საქართველო მტკიცედ ჩადგა ეროვნულ-სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენისათვის მებრძოლ მოკავშირე რესპუბლიკათა ავანგარდში და იქცა „მთავარ მეამბოხედ“ მთელი კავშირის მასშტაბით, მოსკოვი გადამწყვეტ შეტევაზე გადავიდა და მთელი ძალით აამოქმედა ადრე ჩადებული ნაღმები. შედეგად მივიღეთ ძმათამკვლელი სისხლიანი კონფლიქტები აფხაზეთსა და სამაჩაბლოში, რომლებიც, როგორც ცნობილია, ახალბედა ქართული სახელმწიფოსათვის სრული კატასტროფით დამთავრდა. საქართველოს სახელმწიფოებრივ-ტერიტორიულ მთლიანობას კიდევ ერთხელ მიაყენეს უძძიმესი დარტყმა: დროებით დაიკარგა აფხაზე-

თი და შიდა ქართლის ნაწილი. ამ მოვლენას ისტორიული თვალსაწი-
ერიდან თუ გადავხედავთ, არ შეიძლება დავეჭვდეთ იმაში, რომ სახე-
ზეა დიდი უსამართლობა, ჩადენილია დიდი ღალატი ქართველი ხალ-
ხისადმი, რომელიც არავის, შინაურს თუ გარეშეს, არ ეპატიება.

საქართველო, ქართული სახელმწიფო, როგორც დავინახეთ, თა-
ვისი მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე არაერთხელ მდგარა დი-
დი განსაცდელის წინაშე, არა ერთხელ დასმულა კითხვის ნიშნის ქვეშ
მისი სახელმწიფოებრივ-ტერიტორიული მთლიანობა, საერთოდ სახელ-
მწიფოებრიობა. მაგრამ ჩვენი წინაპრები ყოველთვის მედგრად დახვედ-
რიან ამგვარ განსაცდელს და თავგანწირული ბრძოლით გადაურჩენიათ
დედა-სამშობლო. XXI საუკუნის ქართველობას არა აქვს უფლება მო-
წყდეს თავის ისტორიულ ფესვებს, დაივიწყოს გმირ წინაპართა მამუ-
ლისათვის თავდადების ნათელი ფურცლები და ბოლომდე არ იბრძო-
ლოს ქართული სახელმწიფოს ერთიანობისა და ტერიტორიული მთ-
ლიანობის აღსადგენად.

ღრმად უნდა გვწამდეს, რომ შორს არაა ის დღე, როდესაც
ბოროტს სძლევეს კეთილი, ისტორიული სამართლიანობა აღსდგება, სა-
ქართველო ერთხელ კიდევ დაიბრუნებს მიტაცებულ ტერიტორიებს და
მსოფლიოს წინაშე წარსდგება ერთიანი, დემოკრატიული სახელმწიფოს
სახით, რომელშიც მის ნებისმიერ მცხოვრებს, განურჩევლად ეროვნე-
ბისა და სარწმუნოებისა, მიეცემა ცივილიზებული განვითარების ყველა
პირობა. საქართველო, ქართველობა – მსოფლიოს ერთ-ერთი უძველესი
ქვეყანა და ხალხი, რომელიც მთელი თავისი ისტორიის მანძილზე
ყოველთვის იდგა მსოფლიო ცივილიზაციის წინა ხაზზე, ამჯერადაც
დაიმკვიდრებს ღირსეულ ადგილს მოწინავე ქვეყნების გვერდით და მტ-
კიცედ ივლის ცივილიზაციისა და პროგრესის გზით.

იბერია გაბრწყინდება!

26 მაისი – ეროვნული აღორძინების ნიშანსვები*

მსოფლიოს ყველა ცივილიზებულ ხალხს აქვს ერთი გამორჩეული დღე, რომელსაც ის აღიქვამს, როგორც საერთო-ეროვნულ დღესასწაულს. როგორც წესი, ასეთი დღის დაბადება დაკავშირებულია ეროვნული სახელმწიფოებრიობის შექმნასთან, ან ისეთ ისტორიულ მოვლენასთან, რომლითაც დაიწყო სრულიად ახალი ეტაპი ამა თუ იმ ქვეყნის ისტორიაში (მაგალითად, 1776 წლის 4 ივლისი – დამოუკიდებლობის დეკლარაციის მიღების დღე აშშ-ში; 1789 წლის 14 ივლისი – ბასტილიის აღების დღე საფრანგეთში).

ისტორიული ბელუკულმართობის შედეგად 3000 წელზე მეტი სახელმწიფოებრიობის მქონე ქართველ ერს ასეთი დღე – ეროვნული აღორძინების სიმბოლო – მხოლოდ ამ 80 წლის გაუთენდა. როგორც ცნობილია, ერთიანმა ქართულმა სახელმწიფომ, რომელიც საბოლოოდ X-XI საუკუნეების მიჯნაზე გაფორმდა, XV საუკუნის მეორე ნახევარში არსებობა შეწყვიტა და მის ნანგრევებზე ცალკეული სამეფო-სამთავროები აღმოცენდნენ, ხოლო 1801 წელს ცარისტული რუსეთის მიერ ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმებით, საერთოდ, ქართული სახელმწიფოებრიობის მოშლა დაიწყო. ქართველი ხალხი არასოდეს შერიგებია ეროვნული სახელმწიფოებრიობის დაკარგვას. ჯერ კიდევ XIX საუკუნის პირველ მესამედში იფეთქა ანტიცარისტულმა აჯანყებებმა (1804 წელს – მთიულეთში, 1812 წელს – კახეთში, 1819-1820წწ. – იმერეთში). ამ თვალსაზრისით, უდავოდ, ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენა იყო 1832 წლის შეთქმულება, რომლის მთავარ მიზანს სწორედ ქართული სახელმწიფოებრიობის აღდგენა წარმოადგენდა.

XIX. 60-იანი წლებიდან ახალი ეტაპი დაიწყო ეროვნულ-განმა-

* აღნიშნული წერილის პირველი საგახეთო ვარიანტი დაიწერა ჯერ კიდევ 1990წ. და გამოქვეყნდა გაზ. „საბჭოთა აფხაზეთში“, 1990წ. 26 მაისს. მოგვიანებით, 1993წ. 26 მაისს, ამ სტიქონების ავტორის (იმჟამად საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტროს II საარმიო კორპუსის პირად შემადგენლობასთან მუშაობის განყოფილების უფროსი ოფიცრის) მიერ ის წაკითხულ იქნა (ოფიციალური მოხსენების სახით) ქ. სოხუმში, აფხაზეთში მიმდინარე საომარი მოქმედებების დროს, საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილ II საარმიო კორპუსის ჯარისკაცთა და ოფიცერთა საზეიმო კრებაზე. სტატიის შევსებული ვარიანტი კი, რომელსაც ამჯერად ვაქვეყნებთ, დაიბეჭდა ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის საქართველოს საისტორიო საზოგადოების აფხაზეთის ორგანიზაციის პერიოდულ სამეცნიერო გამოცემაში: „საისტორიო ძიებანი“, ტ. I. თბ., 1998, გვ. 5-12.

თავისუფლებელ მოძრაობაში. ილია ჭავჭავაძისა და მის თანამოაზრეთა მთელი საქმიანობა მიმართული იყო არა მხოლოდ ქვეყნის კულტურულ-ეკონომიკური აღორძინებისაკენ, არამედ, პირველ რიგში, სწორედ საქართველოს სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური დამოუკიდებლობის მოპოვებას ისახავდა მიზნად. უმთავრესად, ამან დაუპირისპირა ილია ჭავჭავაძე სოციალ-დემოკრატიას, რომელიც, როგორც ცნობილია, ამ საკითხში ანტიეროვნულ „ინტერნაციონალისტურ“ პოზიციებზე იდგა და საქართველოს „რევოლუციური რუსეთისაგან“ მოწყვეტა ვერ წარმოედგინა.

1917წ. ოქტომბერში პეტროგრადში ბოლშევიკების მიერ ძალაუფლების ხელში ჩაგდების შედეგად ქვეყანაში შექმნილმა უალრესად მწვავე პოლიტიკურმა ვითარებამ, რუსეთის იმპერიაში მცხოვრებ ხალხებს თავისუფლების მოპოვების იმედი ჩაუსახა. სულ მალე საბჭოთა რუსეთის მთავრობა იძულებული შეიქმნა, ეცნო პოლონეთისა და ფინეთის დამოუკიდებლობა. 1917წ. 19 ნოემბერს თბილისში მოწვეულ იქნა საქართველოს ეროვნული ყრილობა. აღნიშნულმა ფორუმმა ძირითადად გაიზიარა ნოე ჟორდანიას თვალსაზრისი, რომელიც რუსეთის შემადგენლობაში საქართველოსათვის მხოლოდ ფართო ავტონომიის მინიჭებას გულისხმობდა.

მიუხედავად იმისა, რომ ეროვნული ყრილობა ამაზე შორს არ წასულა, ქართველი ხალხის სახელმწიფოებრივი თვითგამორკვევის საკითხში, თამამად შეიძლება ითქვას, რომ მის მოწვევას უდიდესი ისტორიული მნიშვნელობა ჰქონდა, თუნდაც იმიტომ, რომ მას მერე, რაც რუსეთის იმპერიამ „შეიკვლეა“ საქართველო, პირველად გამოცხადდა საერთოქართული ორგანოს – ერთგვარი წინა პარლამენტის – ეროვნული საბჭოს შექმნა (1917წ. 22 ნოემბერს). ამასთან, ისიც უნდა ითქვას, რომ არც საქართველოს ეროვნულ საბჭოსა და არც ამიერკავკასიის კომისარიატს, რომელიც ჯერ კიდევ 1917 წლის 15 ნოემბერს შეიქმნა, სრულებითაც არ უფიქრიათ რუსეთისაგან საქართველოსა და ამიერკავკასიის მოწყვეტა. ისინი ვარაუდობდნენ, რომ ბოლშევიკები ვერ შეძლებდნენ ძალაუფლების დიდხანს შენარჩუნებას და მალე (დამფუძნებელი კრების მოწვევის შემდეგ) რუსეთში კვლავ დემოკრატია გაიმარჯვებდა. მაგრამ მოვლენები სულ სხვანაირად განვითარდა.

1918წ. 6 იანვარს, როგორც ცნობილია, საბჭოთა მთავრობამ გარეკა დამფუძნებელი კრება. ამით „ერთიანი და განუყოფელი“ დემოკრატიული რუსეთის შექმნის ცდა უნაყოფო გამოდგა და ამიერკავკასია იძულებული გახდა, დამოუკიდებლად ეწარმოებინა თავისი საქმეები. იმიტომ წამყვანმა პოლიტიკურმა პარტიებმა გადაწყვიტეს საკანონმდებლო ფუნქციებით აღჭურვილი სახელმწიფო მმართველობის ორგანოს შექმნა. ასეთ

ორგანოდ მიჩნეულ იქნა ამიერკავკასიის სეიმი, რომელიც მოიწვიეს 1918 წლის 10 თებერვალს.

ახალი ხელისუფლების წინაშე ურთულესი საშინაო და, რაც მთავარია, საგარეო პოლიტიკური პრობლემები იდგა. ვითარება განსაკუთრებით გაამწვავა ბრესტ-ლიტოვსკში საბჭოთა ხელისუფლების მიერ დადებულმა საზავო ხელშეკრულებამ, რომელმაც „იურიდიული“ საფუძველი მისცა მეზობელი თურქეთის ექსპანსიას ამიერკავკასიაში, კერძოდ: საბჭოთა რუსეთის მიერ ბოძებული ბათუმის, ყარსისა და არდაგანის თურქების მიერ ოკუპაციას. დიპლომატიურმა მოლაპარაკებებმა, რომლებსაც თურქეთის წარმომადგენლებთან აწარმოებდა ამიერკავკასიის სეიმის დელეგაცია აკაკი ჩხენკელის მეთაურობით, შედეგი ვერ გამოიღო. 1918 წლის აპრილის დასაწყისში თურქეთის ჯარებმა უკვე ოზურგეთამდე მიაღწიეს.

მდგომარეობა უკიდურესად გაამძაფრა ახალციხის მაზრაში მცხოვრებ მაჰმადიანთა აჯანყებამ. ასეთ ვითარებაში ერთადერთ ხსნას რუსეთისაგან ამიერკავკასიის იურიდიული გამოყოფა და ამ გზით ბრესტის საზავო ხელშეკრულებისაგან გამიჯვნა წარმოადგენდა. 1918წ. 22 (9) აპრილს ამიერკავკასიის სეიმმა ოფიციალურად გამოაცხადა ამიერკავკასიის „დამოუკიდებელი ფედერაციის რესპუბლიკის“ შექმნა, მაგრამ ამანაც ვერ შეაჩერა თურქების ექსპანსიონისტური ზრახვები. პირიქით, ის ახლა იმაზე გაცილებით მეტს მოითხოვდა, ვიდრე ეს ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულებით იყო გათვალისწინებული. თურქეთის მხარე კარგად ხედავდა, რომ შიდაპოლიტიკური კრიზისი ამიერკავკასიაში უკიდურესად გამწვავდა.

მძიმე ვითარება შეიქმნა საქართველოს სოფლებში. 1918წ. თებერვალში ერთდროულად იფეთქა გლეხთა აჯანყებამ ლეჩხუმში, გორში, ზუგდიდში და ა.შ. აღნიშნულ მოძრაობას ქართველი ბოლშევიკები ხელმძღვანელობდნენ. აჯანყებებმა მოიცვა აფხაზეთი და ე.წ. „სამხრეთ ოსეთი“. საქართველოსა და ამიერკავკასიაში მიმდინარე მოვლენებს „ყურადღებას“ არც საბჭოთა რუსეთის მთავრობა აკლებდა. საყოველთაოდ ცნობილია, რომ ჯერ კიდევ 1917 წლის დეკემბერში რსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს სპეციალურ სხდომაზე, რომელსაც ხელმძღვანელობდა ვ. ლენინი, მიუხედავად უმძიმესი ფინანსური მდგომარეობისა, გამოტანილ იქნა დადგენილება ამიერკავკასიაში „კონტრრევოლუციის წინააღმდეგ ბრძოლის ორგანიზაციისათვის“ 500 000 მანეთის გამოყოფისა და ამ თანხის კავკასიის საქმეთა კომისრის სტეფანე შაუმიანის განკარგულებაში გადაცემის შესახებ. ასევე ცნობილია, თუ როგორ მზადდებოდა 1918 წლის იანვარში შეიარაღებული გამოსვლა თბილი-

სში რკპ(ბ) კავკასიის სამხარეო კომიტეტის მიერ და რა როლს ასრულებდა მასში ვ. ლენინის მიერ საგანგებოდ მოვლინებული „სამხედრო სპეციალისტი“. ერთი სიტყვით, 1917წ. დეკემბრიდან 1918წ. მაისამდე ამიერკავკასიის მთავრობა ერთდროულად ორ ფრონტზე იბრძოდა: ერთი მხრივ, ის „შეგნებული საქართველოს წინააღმდეგ აჯანყებული ვანდის“ ჩახშობაზე ზრუნავდა; მეორე მხრივ კი, თურქი დამპყრობლების ქვეყნის ფარგლებიდან განდევნაზე.

1918 წლის მაისში ამიერკავკასიის სეიმმა კვლავ დიპლომატიური მოლაპარაკებების გზით სცადა ჩინიდან გამოსვლა, მაგრამ ბათუმში დაწყებულმა საზავო კონფერენციამ შედეგი ასევე ვერ გამოიღო. თურქეთი სულ ახალ-ახალ ტერიტორიებს ეპოტინებოდა. სიტუაცია დაამძიმა აზერბაიჯანელი მუსავატელების გამოკვეთილმა პროთურქულმა პოზიციამ. ასეთ ვითარებაში თურქეთთან ერთიანი ამიერკავკასიის სახელით ზავის დადება შეუძლებელი შეიქმნა. ერთადერთი გამოსავალი ამიერკავკასიის ფედერაციული რესპუბლიკის დაშლა და მის ნაცვლად საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის დამოუკიდებელი სახელმწიფოების გამოცხადება გახდა.

ბუნებრივია, არ იყო იმის სრული გარანტია, რომ თურქეთი ამის შემდეგ მაინც შეწყვეტდა ექსპანსიას. ამიტომ საჭირო შეიქმნა თურქეთზე ზეწოლის მოსახდენად რომელიმე ევროპული სახელმწიფოს ავტორიტეტის გამოყენება. ასეთ სახელმწიფოდ მიჩნეულ იქნა გერმანია. ეს იყო იძულებითი ნაბიჯი, რადგან საბჭოთა რუსეთი უარს აცხადებდა ამიერკავკასიის დამოუკიდებლობის ცნობაზე და ამდენად მისი ჩართვა თურქეთთან საზავო მოლაპარაკებებში (რისი სურვილი მოსკოვს იმ პერიოდში ნამდვილად ჰქონდა) ამიერკავკასიის ფედერაციული რესპუბლიკის მესვეურთათვის მიუღებელი იყო. ასევე შეუძლებელი იყო გერმანიის მეშვეობით თურქეთის ნეიტრალიზაცია ერთიანი ამიერკავკასიის სახელმწიფოს არსებობის პირობებში, ვინაიდან მუსავატისტური აზერბაიჯანი, როგორც უკვე აღინიშნა, აშკარად თურქეთის კონტრაგენტის როლში გამოდიოდა. ამრიგად, რჩებოდა ერთადერთი გზა – საქართველოს დამოუკიდებელ სახელმწიფოდ გამოცხადება და მასზე გერმანიის პროტექტორატის დამყარება.

და, მართლაც, 1918წ. 26 მაისს თბილისში სახაზინო თეატრის შენობაში საღამოს 5 საათსა და 10 წუთზე ეროვნული საბჭოს თავმჯდომარემ ნოე ჟორდანიამ წაიკითხა დეკლარაცია დამოუკიდებელი ქართული სახელმწიფოს – საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნის შესახებ, რომელიც ერთხმად იქნა დამტკიცებული ეროვნული საბჭოს მიერ. ორი დღის შემდეგ, 1918წ. 28 მაისს ფოთში საქართვე-

ლოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის მეთაურმა ნოე რამი-შვილმა და საგარეო საქმეთა მინისტრმა აკაკი ჩხენკელმა ხელი მოაწერეს შეთანხმებას, რომლის მიხედვითაც გერმანია საქართველოს საზღვრების დაცვას კისრულობდა. ეს იყო დიდი პოლიტიკური და დიპლომატიური გამარჯვება, რომლის წყალობითაც შეჩერებულ იქნა თურქეთის ჯარების შემდგომი წინსვლა საქართველოს სიღრმეში და მათ მიერ ქვეყნის სრული ოკუპაცია.

ამრიგად, 1917-1918წ. პირველ ნახევარში რუსეთის იმპერიასა და ახლო აღმოსავლეთში დატრიალებული კატაკლიზმების შედეგად ამიერკავკასიაში შექმნილმა ურთულესმა პოლიტიკურმა სიტუაციამ, ერთი შეხედვით, სრულიად მოულოდნელად, ქართველ ხალხს დიდი ხნის ნანატრი ოცნების – აღედგინა ეროვნული სახელმწიფოებრიობა – ხორცშესხმის შესაძლებლობა მისცა. ეს იყო უდიდესი ისტორიული მნიშვნელობის ფაქტი მრავალტანჯული ქართველი ერის ისტორიაში. პირველად უკანასკნელი საუკუნეების მანძილზე, ოფიციალურად გამოცხადდა ერთიანი სუვერენული ქართული სახელმწიფოს შექმნა. 26 მაისს ეროვნული საბჭოს მიერ მიღებულ დამოუკიდებლობის აქტში მითითებული იყო: რომ დამოუკიდებელი საქართველოს პოლიტიკური ფორმაა დემოკრატიული რესპუბლიკა; რომ საქართველო დაიკავებს მუდმივ ნეიტრალიტეტს საერთაშორისო ურთიერთობებში; უზრუნველყოფს ქვეყნის ყველა მცხოვრების სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების დაცვას „განურჩევლად ეროვნებისა, სარწმუნოებისა, სოციალური მდგომარეობისა და სქესისა“; განვითარების თავისუფალ ასპარეზს გაუხსნის ქვეყნის ტერიტორიაზე მოსახლე ერებს.

საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას გააჩნდა სუვერენული სახელმწიფოს ყველა ატრიბუტი და მისი ხელისუფლება ევროპული ტიპის სახელმწიფოებრივ ორგანიზაციას წარმოადგენდა. თავისი არსებობის ხანმოკლე პერიოდში უაღრესად მძიმე საშინაო და საგარეო პოლიტიკური პირობების მიუხედავად, მკვდრეთით აღმდგარმა ქართულმა ეროვნულმა სახელმწიფომ და მისმა მესვეურებმა შეძლეს მთელი რიგი პოზიტიური ნაბიჯების გადადგმა. ქვეყნის დემოკრატიული ძალები დაირაზმნენ ეროვნული მთავრობის გარშემო და შეუდგნენ საქართველოს აღორძინებისათვის ზრუნვას. დადგენილ იქნა საქართველოს სახელმწიფოს საზღვრები; ქართული ენა გამოცხადდა სახელმწიფო ენად ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე. ჯერ კიდევ 1918 წლის იანვრიდან ფუნქციონირება დაიწყო ეროვნულმა უნივერსიტეტმა, დაარსდა კონსერვატორია, აჟღერდა ეროვნული ოპერა და ა.შ. ეროვნულ რეგიონებს მიეცა ავტონომია.

სწორედ ამ პერიოდში ე.წ. „სოხუმის ოკრუგს“ კვლავ ეწოდა „აფხაზეთი“. 1919წ. 20 მარტს ახლადარჩეულმა აფხაზეთის სახალხო საბჭომ მიიღო დადგენილება, რომლითაც აფხაზეთი შედიოდა საქართველოს სახელმწიფოს შემადგენლობაში, როგორც მისი ავტონომიური ნაწილი. ამასთან, გადაწყდა შერეული კომისიის შექმნა ავტონომიური აფხაზეთის კონსტიტუციის შესამუშავებლად და საქართველოსთან ურთიერთობის ფორმის დასადგენად.

ეს რომ უბრალო დეკლარაცია არ იყო და რომ აფხაზ ხალხს საქართველოს სახელმწიფოს ფარგლებში ნამდვილად ეძლეოდა კულტურულ-ეკონომიკური განვითარების მანამდე არნახული პერსპექტივები, გამოძღვანდა თუნდაც იმ ფაქტში, რომ კიდევ 1919წ. 27 თებერვალს დიმიტრი გულიას რედაქტორობით გამოვიდა პირველი აფხაზური გაზეთი „აფსნი“. იმავე წელს სოხუმის სამასწავლებლო სემინარიასთან ჩამოყალიბდა ლიტერატურულ – დრამატურული წრე, რომელშიც დაიწყო ხელნაწერი ჟურნალის „დილის კარსკვლავის“ გამოცემა. 1918წ. ქ. სოხუმში ალ. შარვაშიძემ გახსნა დრამატული სასწავლებელი. 1920წ. 29 დეკემბერს კი მცირე საკონსტიტუციო კომისიამ შეიმუშავა პროექტი „დებულებებისა აფხაზეთის ავტონომიური მმართველობის შესახებ“, რომელიც საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუციასთან ერთად იქნა დამტკიცებული კრების მიერ 1921 წლის 21 თებერვალს.

ქართულ სახელმწიფოს არ დასცალდა ჩაფიქრებული გარდაქმნების განხორციელება. სამწუხაროდ, საყოველთაო ეროვნულ-აღმშენებლობით მოძრაობას წინ აღუდგნენ ქართველი ბოლშევიკები, რომლებიც ყოველმხრივ ცდილობდნენ გამოეწვიათ მწვავე სოციალურ-პოლიტიკური კრიზისი ქვეყანაში. მათ ამ ძირგამომთხრელ საქმიანობას მოსკოვიდან უშუალოდ ხელმძღვანელობდნენ ი. სტალინი და ს. ორჯონიკიძე, რომელთა მეცადინეობით საბჭოთა რუსეთის მთავრობა უკვე 1920წ. გაზაფხულიდან აქტიურად შეუდგა „ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური“ საქართველოს „გათავისუფლებისათვის“ ზრუნვას. მაგრამ 1920წ. 7 მაისს საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკასა და საბჭოთა რუსეთს შორის დადებულმა ხელშეკრულებამ დროებით შეაჩერა ბოლშევიკური რუსეთის ექსპანსია. ეს გამოწვეული იყო იმით, რომ იმ პერიოდში საბჭოთა მთავრობას ჯერ კიდევ არ შეეძლო, ერთი ხელის მოსმით, დაუფლებოდა მთელ ამიერკავკასიას.

მოგვიანებით, 1921წ. დამდეგისათვის, შეიქმნა როგორც სამხედრო-პოლიტიკური (წითელი არმიის მიერ პოლონელთა განდევნა და ვრანგელის განადგურება), ისე დიპლომატიური (სავაჭრო ხელშეკრულების

მომზადება ინგლისთან, რის შემდეგაც საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა ლიოდ ჯორჯის მთავრობის მხრიდან განწირული აღმოჩნდა; საერთო ენის გამოჩნება თურქეთთან და ა.შ.) პირობები საქართველოს დასაპყრობად. 1921წ. 28 იანვარს რკპ(ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო გადაწყვეტილება საქართველოს საქმეებში სამხედრო ჩარევისა და მისი ოკუპაციისათვის მოსამზადებელი სამუშაოების ჩატარების შესახებ. საქართველოს ვერც საერთაშორისო მხარდაჭერამ უშველა. მართალია, 1921 წლის 27 იანვარს ანტანტის სახელმწიფოთა უმაღლესმა საბჭომ საქართველოს დამოუკიდებლობა დე-იურე აღიარა, მაგრამ ეს უკვე დაგვიანებული აქცია იყო და მას ამიერკავკასიაში მოვლენების განვითარებაზე რეალური ზეგავლენის მოხდენა არ შეეძლო. 1921 წლის 11-12 თებერვალს, ღამით, ლორეში „ჯანყებულ“ სომეხ გლეხთა დასახმარებლად (ეს იყო საერთაშორისო სამართლებრივი ნორმების უხეში დარღვევა) XI არმიის ნაწილები შემოვიდნენ საქართველოს ტერიტორიაზე. ასე დაიწყო წითელი არმიის „ძლევაძმოსილი წინსვლა“, რომელიც 1921წ. 25 თებერვალს თბილისის თავზე საბჭოთა ხელისუფლების „ტრიუმფალური“ გამარჯვების მაუწყებელი წითელი დროშის აფრიალებით დამთავრდა.

საქართველოს დემოკრატიულმა რესპუბლიკამ – აღორძინებულმა, სუვერენულმა ქართულმა სახელმწიფომ თითქმის 3 წელიწადს იარსება. ეს სამი წელიწადი ქართველი ერის გამოღვიძებისა და აღმასვლის პერიოდი იყო. ამ დროს საქართველოს თავისი მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე პირველად მიეცა საშუალება დამოუკიდებლად შესულიყო ევროპის სახელმწიფოთა დიდ ოჯახში, მაგრამ ჩვენი ქვეყნის პროგრესულ ძალთა ეს დიდი ეროვნული მონაპოვარი ერთბაშად წყალში ჩაყარა 1921 წლის 25 თებერვალს დამყარებულმა ბოლშევიკების მარიონეტულმა რეჟიმმა, რომელმაც სულ მალე ბოლო მოუღო დამოუკიდებელი ქართული სახელმწიფოს არსებობას.

80 წელი გავიდა ქართული სახელმწიფოებრიობის აღდგენიდან. ამ 80 წლის განმავლობაში ჩვენს ქვეყანას არაერთი ქარტახილი დაატყდა თავს. ბოლშევიკურ-კომუნისტურმა რეჟიმმა ყველაფერი გააკეთა იმისათვის, რომ ქართველ ხალხს დავიწყებოდა 26 მაისი, მაგრამ ამაოდ. საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და ეროვნული სახელმწიფოებრიობის მოშლის ზუსტად 70 წლისთავზე – 1991 წლის გაზაფხულზე – 9 აპრილს კვლავ აღდგა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა. მართალია, ეს იყო მხოლოდ დეკლარაცია და ქვეყანა ჯერ კიდევ რჩებოდა საბჭოთა იმპერიის სივრცეში, მაგრამ 1991წ. მეორე ნახევარში განვითარებულმა მოვლენებმა (19 აგვისტოს პუტჩის ჩაფუშვა, ბელოვე-

ქის შეთანხმება და ა.შ.) წერტილი დაუსვა მსოფლიო ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე შავბნელი იმპერიის არსებობას. მოკავშირე რესპუბლიკების „ძმური“ კავშირი ერთბაშად ხუხულასავით დაიშალა და მის ნანგრევებზე 15 ახალი სუვერენული სახელმწიფო აღმოცენდა.

ბუნებრივია, იმპერიულ-რევანშისტული ძალები ვერ მოითმენდნენ დამოუკიდებელი ქართული სახელმწიფოს წარმოქმნას და მის საერთაშორისო აღიარებას, რაც საბოლოოდ გაფორმდა 1992 წლის 31 ივლისს, როდესაც საქართველო გაერო-ს სრულუფლებიან წევრად მიიღეს. სწორედ ამ დროიდან დაიწყო ახალი, ნამდვილი „ჯვაროსნული ლაშქრობა“ დამოუკიდებელი ქართული სახელმწიფოს წინააღმდეგ, რაც ჩვენი ქვეყნისათვის ტრაგიკული შედეგებით დასრულდა: დროებით დაიკარგა აფხაზეთი და შიდა ქართლის ნაწილი; ფუძე-კერას მოსწყდა და საკუთარ სამშობლოშივე ლტოლვილად იქცა 300 ათასი კაცი. და მაინც, მტერმა ამჯერად ვერ გაბედა 1921 წლის გამეორება.

ჩვენმა ხალხმა გაუძლო უმძიმეს გასაჭირს – ნგრევას, შიმშილს, ნელ-ნელა ძალა მოიკრიბა და მტკიცედ დაადგა ქართული სახელმწიფოს აღორძინება-აღმშენებლობის გზას. 1995 წელს მიღებულ იქნა დამოუკიდებელი საქართველოს კონსტიტუცია, არჩეულ იქნა ახალი პარლამენტი, ქვეყნის პრეზიდენტი. **საქართველო გადარჩა.** შორს არაა ის დღეც, როდესაც საქართველო დაიბრუნებს აფხაზეთსა და სამაჩაბლოს, აღდგება ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობა და ჩვენი ქვეყანა ამაყად ჩადგება მსოფლიოს ცივილიზებულ ერებსა და სახელმწიფოებს შორის.

სწორედ ასე, ხვალინდელი დღისადმი ურყევი რწმენით ხვდება სრულიად საქართველო თავის ეროვნულ დღესასწაულს – ქართული სახელმწიფოებრიობის აღდგენის დღეს – 26 მაისს.

**ქართული პოლიტიკური
სამყარო საქრთავოროსო
არქივაში**

**ბაგრატიონთა დინასტია საქრთავოროსო-
დიპლომატიურ ასპარეზში***

ბაგრატიონთა სამეფო დინასტიას, რომელიც თითქმის 1200 წლის მანძილზე იდგა ქართული სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური სამყაროს სათავეში, სამართლიანად უკავია ერთ-ერთი საპატიო ადგილი მსოფლიოს ცნობილ დინასტიათა შორის. მთელი ამ ხნის განმავლობაში ბაგრატიონთა სამეფო დინასტიის წარმომადგენლებმა დიდი ღვაწლი გასწიეს როგორც სამხედრო-პოლიტიკურ, ისე კულტურულ ასპარეზზე. ბაგრატიონთა მრავალფეროვან სახელმწიფოებრივ მოღვაწეობაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია დიპლომატიას. თვით ის ფაქტი, რომ საქართველომ გაუძლო ჟამთა სიავეს და XIX ს. დამდეგამდე შეინარჩუნა თავისი მეობა, ეროვნული სახელმწიფოებრიობა, მნიშვნელოვანწილად განაპირობა სწორედ მმართველი დინასტიის პოლიტიკურმა გამჭრიახობამ და მალალმა დიპლომატიურმა ნიჭმა.

ძველი ქართული საისტორიო ტრადიციის (სუმბატ დავითის ძე) თანახმად, რომელიც ძირითადად გაზიარებულია თანამედროვე ისტორიოგრაფიაში, ბაგრატიონთა საგვარეულო პოლიტიკურ არენაზე პირველად VI ს. 70-იან წლებში გამოჩნდა, როდესაც ამ საგვარეულოს წარმომადგენელი „სახელით გუარამ, განაჩინეს ერისთავად, და ესე ქართლისა ბაგრატიონიანი შვილისშვილნი და ნათესავნი არიან მის გუარამისნი“.¹ გუარამ ბაგრატიონის გამოცხადება ქართლის ერისმთავრად ნიშნავდა სასანიდური ირანის მიერ 523 წ. მოშლილი ეროვნული სახელმწიფოებრიობის აღდგენას, რაც სამხედრო-პოლიტიკურ აქციებთან ერთად არანაკლებ განაპირობა ქართლის ახალი ლიდერის მოქნილმა დიპლომატიამ, კერძოდ, მან შეძლო ბიზანტიის იმპერიის მხარდაჭერის მოპოვება, რაც ბიზანტიის საიმპერატორო კარის მიერ გუარამ ბაგრატიონისათვის კურაპალატის ტიტულის ბოძებაში გამოიხატა. ამით ფაქტობრივად მოხ-

* წარმოდგენილი სტატიის ოდნავ შემოკლებული ვარიანტი დაიბეჭდა წიგნში: **ბაგრატიონები. სამეცნიერო-კულტურული მემკვიდრეობა**. თბ., 2003, გვ. 118-143. ამჯერად იბეჭდება სრული ვარიანტი.

¹ **სუმბატ დავითის ძე**. ცხოვრება და უწყება ბაგრატიონიანთა, – „ქართლის ცხოვრება“; ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით **ს. ყაუხჩიშვილის** მიერ, ტ. I. თბ., 1955, გვ. 373.

და ქართლის სახელმწიფოს ოფიციალური ცნობა იმპერიის მხრიდან და გარკვეულწილად ამ სახელმწიფოს სუვერენიტეტის (ბიზანტიის მფარველობის ქვეშ) საერთაშორისო დიპლომატიური უზრუნველყოფა. მართალია, წყაროებში არ გაგვანჩია არანაირი ინფორმაცია, მაგრამ არაა გამორიცხული, რომ ყოველივე ამას წინ უძღოდა გუარამ ერისთავის ვიზიტი კონსტანტინოპოლში, სადაც მას, ალბათ, ექნებოდა მოლაპარაკებები „უმაღლეს დონეზე“. ქართლის სახელმწიფოს სუვერენიტეტის შემდგომ ზრდა-განმტკიცებას მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი გუარამ ბაგრატიონის მემკვიდრის – სტეფანოზ I-ის დიპლომატიურმა ალლომ, რომლის წყალობითაც, ურთულეს სიტუაციაში მოხერხდა ორივე იმპერიის – ბიზანტიისა და სასანიდური ირანის აგრესიის ღრობებით შეჩერება.

ბაგრატიონთა საგვარეულოს ხელახალი გააქტიურება საერთო-ქართულ პოლიტიკურ არენაზე შეინიშნება VIII ს. II ნახევრიდან, როდესაც ქართლის ერისმთავრის ტახტი დაიკავა ადარნასე ბაგრატიონმა. თავის ღროზე, როგორც ჩანს, ხელისუფლების სათავეში არაბთა ხელშეწყობით მოსული ადარნასე კურაპალატის ბიზანტიური ტიტულით მოხსენიება აშკარად მიუთითებს მის დიპლომატიურ მანევრირებაზე და პოლიტიკური ორიენტაციის შეცვლაზე. დიპლომატია აქტიური იარაღი იყო ადარნასე ბაგრატიონის მემკვიდრის, არაბთა სახალიფოს წინააღმდეგ ენერგიულად მებრძოლი ქართლის ერისმთავრის ნერსე II-ის სახელმწიფოებრივ-პოლიტიკურ არსენალში. მისი უშუალო ინიციატივით გადაიდგა კონკრეტული დიპლომატიური ნაბიჯები ქართლისა და ხაზართა ხაკანათის ურთიერთდაახლოებისა და არაბთა სახალიფოს წინააღმდეგ სამხედრო-პოლიტიკური ბლოკის შეკვრის გზაზე. ამ მიზნით ქართლის ერისმთავარი, როგორც ცნობილია, თვით ეწვია ხაზართა ხაკანს და გამართა მასთან სათანადო კონსულტაციები, რომელიც იმ ეტაპზე უშედეგოდ დასრულდა.¹

თავისი მრავალფეროვანი აქტიური დიპლომატიური საქმიანობით გამოირჩეოდა აშოტ ბაგრატიონი – ქართლის უკანასკნელი ერისმთავარი, ტაო-კლარჯეთში ახალი ქართული სახელმწიფოს (შემდგომში „ქართველთა“ სამეფოს) ფუძემდებელი. მისი პოლიტიკური წარმატებები მნიშვნელოვანწილად განაპირობა საერთო ენის გამონახვამ არაბთა სახალიფოს მთავარ მოწინააღმდეგესთან – ბიზანტიის იმპერიასთან, რომელმაც კურაპალატის ტიტულის მინიჭებით გადაამწყვეტი პოლიტიკურ-

¹ **იოანე საბანიძე**, წამებაჲ ჰაბოისი, რომელი იწამა ქართლსა შინა, ქაღალქსა ტფილისსს., – *ძველი ქართული ჰაგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები*, ილ. აბულაძის რედაქტორობით, ტ. I. თბ., 1963, გვ. 58-59.

დიპლომატიური მხარდაჭერა აღმოუჩინა აშოტ ბაგრატიონს და ხელი შეუწყო ამ უკანასკნელის პოზიციების განმტკიცებას რეგიონში.

IX ს. შუა ხანები და II ნახევარი ბაგრატიონთა საგვარეულოს შიგნით მწვავე დაპირისპირებით აღინიშნა, რაც, სხვა მიზეზებთან ერთად, უდავოდ განაპირობა ბაგრატ I კურაპალატის – ტაო-კლარჯეთის ოფიციალური ხელისუფლების მეთაურის – მიერ მამისეული პრობიზანტიური კურსის გადასინჯვამ და ორიენტაციის არაბთა სახალიფოზე აღება, რასაც ღიად დაუპირისპირდა მისი უმცროსი ძმა გუარამ მამფალი. სწორედ გუარამ ბაგრატიონი ჩაუდგა სათავეში ფართო ანტიარაბულ ფრონტს ამიერკავკასიაში.¹ სრულიად აშკარაა, რომ ამ ბრძოლაში მას ზურგს უმაგრებდა ბიზანტიის იმპერია, რომელმაც გუარამზე ორიენტაცია მას მერე აიღო, რაც ბაგრატ I კურაპალატმა ამიერკავკასიაში ხალიფატის გეგმების განხორციელებაში მიიღო მონაწილეობა, რითაც, ეტყობა, კონსტანტინოპოლის განაწყენება გამოიწვია². მაგრამ გუარამ მამფალმა და ბიზანტიაზე ორიენტირებულმა ძალებმა საბოლოოდ (IX ს. 80-იან წლებში) მაინც მარცხი განიცადეს. 888 წ. ბაგრატ აშოტის ძის სახლის წარმომადგენელმა, ტაო-კლარჯეთის ოფიციალური ხელისუფლების მეთაურმა ადარნასე დავითის ძემ თავი „ქართველთა მეფედ“ გამოაცხადა, რითაც იურიდიულად გააფორმა თავისი პირველობა ტაო-კლარჯეთში. თანამედროვე ისტორიოგრაფიაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ ეს ბიზანტიური დიპლომატიის სერიოზული მარცხი იყო და რომ ადარნასე II ამ შემთხვევაში მოქმედებდა არაბთა სახალიფოს ცენტრალური ხელისუფლების მხარდაჭერით.³

ადარნასე ბაგრატიონი უდავოდ გამორჩეული ლიდერი იყო არა

¹ **პ. ინგოროყვა.** გიორგი მერჩულე. *ქართველი მწერალი მეათე საუკუნისა*. თბ., 1954, გვ. 74; **მ. ლორთქიფანიძე.** ახალი ფეოდალური სამთავროების წარმოქმნა, – *საქართველოს ისტორიის ნარკვევები*, ტ. 2. თბ., 1973, გვ. 473; **ა. აბდლაძე.** ამიერკავკასიის პოლიტიკურ ერთეულთა ურთიერთობა IX-XI საუკუნეებში. თბ., 1988, გვ. 57.

² **მ. ლორთქიფანიძე, ზ. პაპასქირი.** ახალი სამეფო-სამთავროების წარმოქმნა საქართველოში და მათი ადგილი საერთაშორისო ურთიერთობებში. საშინაო დიპლომატია (IX ს. და X ს.-ის I ნახევარი), – *ქართული დიპლომატიის ისტორიის ნარკვევები*, ტ. I. თბ., 1998, გვ. 187.

³ **ზ. პაპასქირი.** „ქართველთა მეფის“ ინსტიტუტის შემოღება და ბიზანტია-ტაო-კლარჯეთის ურთიერთობების ზოგიერთი საკითხი. – *ივანე ჯავახიშვილის სახ. თსუ სოხუმის ფილიალი. აკადემიკოს ილია ვეკუას საიუბილეო დღეები*. სამეცნიერო კონფერენციის მოხსენებათა თეზისები. თბ., 1995, გვ. 75; **მ. ლორთქიფანიძე, ზ. პაპასქირი.** ახალი სამეფო-სამთავროების წარმოქმნა, გვ. 191-193; **ზ. პაპასქირი.** „აფხაზთა“ სამეფოს საგარეო პოლიტიკური ორიენტაციის დაზუსტების საკითხისათვის. – *ქართული დიპლომატია*. წიგნი, ტ. 6. თბ., 1999, გვ. 330.

მარტო ტაო-კლარჯეთის, არამედ მთელი ამიერკავკასიის მასშტაბითაც. მოქნილი დიპლომატიის წყალობით ის აგვარებდა ურთულეს პრობლემებს როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის ფარგლებს გარეთ. ცნობილია, მაგალითად, მისი აქტიური ჩარევა მეზობელი სომხეთის პოლიტიკურ ცხოვრებაში, როდესაც 890წ. მან მისთვის სასურველი კანდიდატი (სმბატ ბაგრატიანი) დასვა სამეფო კარზე.¹ სავსებით მართებულადაა მიზნული ისტორიოგრაფიაში, რომ ამ შემთხვევაში „ქართველთა“ მეფის მოქმედება აშკარად აღემატებოდა ჩვეულებრივი დიპლომატიური ეტიკეტის (მეზობელი ქვეყნის მეფის კორონაციაში მონაწილეობა) ფარგლებს და ის, პირველ რიგში, გარკვეული პოლიტიკური მიზნების რეალიზაციას ემსახურებოდა.² მაგრამ ადარნასე II-ის ჰეგემონური ამბიციები ყველაზე მკაფიოდ გამოვლინდა სმბატ ბაგრატიანის მოწამებრივი სიკვდილის (914წ.) შემდეგ სომხეთში განვითარებულ მოვლენებში, როდესაც აშოტ სმბატის ძის („ერკათის“) სამეფო ტახტზე აყვანა შესაძლებელი გახდა მხოლოდ „ქართველთა“ მეფის დიპლომატიური და სამხედრო ჩარევის შედეგად.³ ადარნასე II ბაგრატიონის დიპლომატიის დიდ წარმატებად უნდა ჩაითვალოს აგრეთვე ის ფაქტი, რომ ბიზანტიის საიმპერატორო კარმა, რომელიც იმთავითვე ეჭვის თვალით უყურებდა „ქართველთა მეფის“ ინსტიტუტის შემოღებას, მაინც ცნო ადარნასეს ლიდერობა და მას კურაპალატის ტიტული მიანიჭა.

Xს. 20-70-იან წლებში ბაგრატიონ მეფე-მთავართა პოლიტიკურ-დიპლომატიური საქმიანობის უმთავრეს მიმართულებად საგარეო არენაზე ბიზანტიასთან ურთიერთობების შემდგომი დარეგულირება-დახვეწა რჩებოდა. ეს ხშირად მოითხოვდა მათ მხრიდან მაქსიმალურ სიფრთხილეს და უტყუარ დიპლომატიურ ალღოს. ცალკეულ შემთხვევებში ტაო-კლარჯეთის ბაგრატიონები არ ერიდებოდნენ საკმაოდ თამამ, გამომწვევ დიპლომატიურ დემარშებს და ამ გზით ახერხებდნენ თავიანთი სუვერენიტეტის დემონსტრირებას. ამის მკაფიო დადასტურებას წარმოადგენს კეჯეს ციხის დაუფლებასთან დაკავშირებული კრიზისი⁴ და განსაკუთ-

¹ იოვანე დრასხანაკერტელი. სომხეთის ისტორია. სომხური ტექსტი ქართული თარგმანით, გამოკვლევიითა და საძიებლებით გამოსცა *ქ. ცაგარეი-შვილმა*. თბ., 1965, გვ. 43-47.

² *მ. ლორთქიფანიძე, ზ. პაპასქირი*. ახალი სამეფო-სამთავროების..., გვ. 192.

³ იოვანე დრასხანაკერტელი. სომხეთის ისტორია..., გვ. 195.

⁴ კონსტანტინე პორფიროგენეტი. De administrando imperio. — „გეორგია“, ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ბერძნული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო *ს. ყაუხჩიშვილმა*, ტ. IV, ნაკვ. II. თბ., 1952, გვ. 264-265; *მ. ლორთქიფანიძე, ზ. პაპასქირი*. ახალი სამეფო-სამთავროების წარმოქმნა..., გვ. 199.

რებით კი არტანუჯის ციხის ირგვლივ ატეხილი „დიპლომატიური სკანდალი“.¹

Xს. უკანასკნელ მეოთხედსა და XIს. დამდეგს საქართველოში განვითარდა მოვლენები, რომელთა შედეგად, პირველად ჩვენი ქვეყნის ისტორიაში, რეალურად გახდა შესაძლებელი ერთიანი ქართული სახელმწიფოს შექმნა. ამ სახელმწიფოს მესაძირკვლე იყო დავით III დიდი კურაპალატი, რომელმაც შეამზადა სათანადო სამხედრო-პოლიტიკური ფონი და, რაც მთავარია, დიპლომატიურადაც უზრუნველყო თავისი შვილობილის – ბაგრატ ბაგრატიონის ჯერ 975წ. ქართლის მმართველად დაყენება, ხოლო მოგვიანებით – 978წ. „აფხაზთა“ (დასავლეთ საქართველოს) მეფედ გამოცხადება. სწორედ ბაგრატ უფლისწულის ქუთაისის ტახტზე აღზევებით დაიწყო მის ირგვლივ დანარჩენი ქართული რეგიონების გაერთიანების პროცესი, რომელიც XIს. დამდეგს ერთიანი ქართული სახელმწიფოს შექმნით დაგვირგვინდა. გამაერთიანებელი მოძრაობის წარმატება მნიშვნელოვნად განაპირობა დავით III კურაპალატის მრავალმხრივმა დიპლომატიურმა მოღვაწეობამაც. დიდი იყო დავით ბაგრატიონის საერთაშორისო ავტორიტეტი. სწორედ მისმა დიპლომატიურმა და სამხედრო-პოლიტიკურმა მხარდაჭერამ გადაარჩინა ბიზანტიის იმპერიის მმართველი მაკედონელთა დინასტია (979წ.) საბოლოო კრახისაგან, თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ იმიერტაოს ლიდერის ბიზანტიური დიპლომატია ყოველთვის არ იყო წარმატებული. 989წ. მან ნაჩქარევად დაუჭირა მხარი იმპერატორ ბასილი II-ის წინააღმდეგ მოწყობილ მორიგ ამბოხს და ამჯერად მარცხი განიცადა, რის გამოც იძულებული გახდა, მთელი თავისი სამფლობელოები ანდერძით, გარდაცვალების შემდგომ, ბასილი II-ისთვის დაეთმო.²

დავით კურაპალატის ანდერძმა, პირველ რიგში, მისი ნამდვილი მემკვიდრე „აფხაზთა“ მეფე ბაგრატ III დააზარალა. მან ვერ შეძლო წინააღმდეგობის გაწევა ბიზანტიის უძლეველი იმპერატორისათვის, რომელმაც 1001წ., დავით კურაპალატის გარდაცვალების შემდეგ, უმაღლესი მთავრად ტაოს და დაეუფლა ნაანდერძე ტერიტორიებს. ბაგრატ III-მ და მისმა მამამ – „მეფეთ-მეფე“ გურგენ ბაგრატიონმა ბიზანტიის იმპერატორთან ღია კონფრონტაციისაგან თავი შეიკავეს და „მორჩილებით“

¹ კონსტანტინე პორფიროგენეტი. De administrando imperio, გვ. 280-287; მ. ლორთქიფანიძე, ზ. პაპასქირი. ახალი სამეფო-სამთავროების., გვ. 200.

² ზ. პაპასქირი. ერთიანი ქართული ფეოდალური სახელმწიფოს წარმოქმნა და საქართველოს საგარეო-პოლიტიკური მდგომარეობის ზოგიერთი საკითხი. თბ., 1990, გვ. 34-37; მ. ლორთქიფანიძე, ზ. პაპასქირი. ერთიანი ქართული სახელმწიფოს წარმოქმნა და მისი დიპლომატიური უზრუნველყოფა, – ქართული დიპლომატიის ისტორიის ნარკვევები, ტ. I. თბ., 1998, გვ. 218-219.

ეახლნენ მას. მაგრამ ბასილი კეისარსა და ბაგრატიონ მეფეებს შორის „უმაღლეს დონეზე“ შემდგარმა შეხვედრამ და გამართულმა მოლაპარაკებებმა მაინც მოუტანა გარკვეული დიპლომატიური წარმატება ქართულ მხარეს, რაც იმაში გამოიხატა, რომ ბიზანტიის იმპერატორმა ბაგრატ III-ს კურაპალატის ტიტული მიანიჭა და ამით ის ცნო საერთო-ქართული პოლიტიკური სამყაროს ჰეგემონად.¹ მართალია, კურაპალატის ტიტულის მიღებით ბაგრატ III ფორმალურად აღიარებდა იმპერიის უზენაესობას, რაც რამდენადმე ლახავდა აღზევების გზაზე შემდგარი ქართული სახელმწიფოს სუვერენიტეტს, მაგრამ ერთიანი საქართველოსათვის ბრძოლის ამ ეტაპზე ამგვარი დიპლომატიური მანევრი ჯერ კიდევ აუცილებელი იყო, რათა ბიზანტიის იმპერიას ხელი არ შეეშალა ქვეყნის შიგნით მიმდინარე გამაერთიანებელი პროცესებისათვის. მართლაც, 1001წ. ბასილი კეისართან მიღწეულმა შეთანხმებამ უზრუნველყო კონსტანტინოპოლის ნეიტრალიტეტი და საშუალება მისცა ბაგრატ III-ს, დაეგვირგვინებინა თავისი დიდი მამობილის – დავით III კურაპალატის მიერ გაკვალული საქართველოს გაერთიანების საქმე.

ბაგრატ III-მ დიპლომატიურ ასპარეზზე სხვა მიმართულებითაც გამოიჩინა თავი. მისი უშუალო ინიციატივითა და მესვეურობით შეიკრა სამხედრო-პოლიტიკური კავშირი ანისის მეფე გაგიკ I-თან, რომელიც მიმართული იყო გათავხედებული განძის ამირა ფადლონის წინააღმდეგ. ამას მოჰყვა წარმატებული ერთობლივი ლაშქრობა განძაში. გაერთიანებული საქართველოს პირველმა მეფემ აიძულა განძის ამირა, სრული კაპიტულაცია გამოეცხადებინა და თავი ოფიციალურად (ყოველივე ეს წერილობით გაფორმდა) საქართველოს მეფის ყმადნაფიცად ეცნო.² ამ გამარჯვებით ერთიორად ამაღლდა ახალი ქართული სახელმწიფოსა და მისი ლიდერის საერთაშორისო ავტორიტეტი. კავკასიის ისტორიის ცნობილი მკვლევარის კ. თუმანოვის შენიშვნით, ბაგრატ III თავისი სიცოცხლის ბოლო წლებში ნამდვილად „იყო ყველაზე ძლიერი ხელისუფალი, ხოლო მისი სამეფო ყველაზე ძლევამოსილი სახელმწიფო კავკასიაში“.³

¹ **ზ. პაპასქირი.** ერთიანი ქართული., გვ. 60; **მ. ლორთქიფანიძე, ზ. პაპასქირი.** ერთიანი ქართული სახელმწიფოს წარმოქმნა., გვ. 224.

² **პ. თოფურია.** აღმოსავლეთ ამიერკავკასიის პოლიტიკური ერთეულები XI-XII საუკუნეებში. თბ., 1975, გვ. 189-190; **ზ. პაპასქირი.** ერთიანი ქართული., გვ. 87-90; **მ. ლორთქიფანიძე, ზ. პაპასქირი.** საქართველოს სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკა და დიპლომატია XI საუკუნეში, – *ქართული დიპლომატიის ისტორიის ნარკვევები*, ტ. I. თბ., 1998, გვ. 226-227.

³ **C. Tumanoff.** The Background to Manzikert. – *The Proceedings of the XIII-th International Congress of Byzantine Studies.* Oxford, 1967, გვ. 425; **ა. აბდალაძე.** „ქართ-

კიდევ უფრო მრავალფეროვანი და მასშტაბური გახდა საქართველოს სამეფო კარის დიპლომატია გაერთიანებული საქართველოს მეორე მეფის – გიორგი I-ის (1014-1027წწ.) ხანმოკლე მოღვაწეობის პერიოდში. გიორგი I-ის დიპლომატიური საქმიანობა გასცდა კავკასიის ფარგლებს და ის შორეულ ეგვიპტესაც გადაწვდა. როგორც უკვე ზემოთ აღვნიშნეთ, გაერთიანების გზაზე შეძღვარ საქართველოს 1001წ. ჯერ კიდევ არ შეეძლო, ანგარიში არ გაეწია ბიზანტიის იმპერიისათვის და იძულებული იყო, ოფიციალურად ეცნო კონსტანტინოპოლის უზენაესობა. საქართველო საერთაშორისო არენაზე ჯერ კიდევ „ბიზანტიის ქვეყნად“ განიხილებოდა, ხოლო მისი ლიდერი კურაპალატის საკარისკაცო ტიტულს ატარებდა. აღსანიშნავია, რომ ეს ტიტული მაინც და მაინც დიდად არ ზღუდავდა საქართველოს მეფის რეალურ სუვერენიტეტს. პირიქით, ეპოქის კონიუნქტურიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ ბიზანტიური ტიტული გარკვეულ ავტორიტეტსაც კი მატებდა მას როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის ფარგლებს გარეთ. მაგრამ უკვე გაერთიანებული (ძირითადად) ქართული სახელმწიფოსათვის, რომელიც მტკიცედ დაადგა პოლიტიკური აღმავლობის გზას და თვითონ აპირებდა ჰეგემონობას რეგიონში, სულაც არ იყო მისაღები სხვა სახელმწიფოს ვასალის (თუნდაც ფორმალური) როლში დარჩენა. ამიტომაც დადგა დღის წესრიგში ბიზანტიასთან არსებული ურთიერთობის გადასინჯვის საკითხი. ბიზანტიას უნდა „ეგრძნო საქართველოს სიძლიერე, ერთხელ და სამუდამოდ ელიარებინა მისი სუვერენობა და თანასწორობა“.¹ ამისათვის კი, პირველ რიგში, საჭირო იყო იმპერიასთან 1001წ. დადებული ხელშეკრულების რევიზია, რაც გულისხმობდა ბრძოლის დაწყებას დავით კურაპალატის მემკვიდრეობის დაბრუნებისა და კონსტანტინოპოლის პროტექტორატიდან ქვეყნის გამოყვანისათვის.

ბიზანტიასთან სამხედრო-პოლიტიკური კონფრონტაცია, ბუნებრივია, მოითხოვდა საერთაშორისო ვითარების ზუსტ ანალიზს და სათანადო დიპლომატიურ სამზადისს. გიორგი I-მა სწორად განსაზღვრა გადამწყვეტ შეტევაზე გადასვლის დრო (1014-1018წწ., როდესაც ბასილი II-ის მთელი ყურადღება გადართული იყო ბულგარეთის კამპანიაზე), შეიჭრა იმიერ-ტაოში და დაიკავა იქაური ციხეები. მან მოიმხრო სომეხი მეფე-მთავრები და ჩართო ისინი თავისი საგარეო-პოლიტიკური გეგმების რეალიზაციაში. ამას საქართველოს მეფე ძირითადად დიპლომატიური არხებით ახერხებდა, თუმცა ცალკეულ შემთხვევებში ის სამ-

ლის ცხოვრება“ და საქართველო-სომხეთის ურთიერთობა. თბ., 1982, გვ. 75.

¹ შ. მესხია. ძველია საკვირველი, – წგნ.: *შ. მესხია. საისტორიო ძიებანი*, ტ. III. თბ., 1986, გვ. 22.

ხედრო ძალის გამოყენებასაც არ ერიდებოდა. ასე, მაგალითად: თუ ვასპურაკანის სომხური სამეფოს ანტიბიზანტიურ კოალიციაში ჩართვის გიორგი I-ისათვის საკმარისი გამოდგა დინასტიური ქორწინება ვასპურაკანის მეფის სენექერიმ არწრუნის ასულ მარიამთან, ანისის სამეფო ტახტზე პროქართული ორიენტაციის პრეტენდენტის ასაყვანად (1017წ. გაგიკ I-ის გარდაცვალების შემდეგ) საჭირო შეიქნა სამხედრო ჩარევა სომხეთის საშინაო საქმეებში საქართველოს მეფის მხრიდან.¹

გიორგი I უშუალოდ იყო დაკავშირებული ბიზანტიის იმპერიაში მოქმედ ანტისახელისუფლებო ოპოზიციასთანაც.² მაგრამ გიორგი მეფის დიპლომატიის მასშტაბები ყველაზე მკაფიოდ გამოვლინდა მის მიერ ეგვიპტის ფატიმიან ხალიფა ალ-ჰაქიმთან დამყარებულ დიპლომატიურ კონტაქტებში,³ რომლის მიზანი ბიზანტიის იმპერიის წინააღმდეგ ფართო კოალიციის შექმნა იყო. სწორედ ასეთი მასშტაბის დიპლომატიური აქციების გამოა მიჩნეული გიორგი I – აღმოსავლეთში ფართო ანტიბიზანტიური ფრონტის სულისჩამდგმელი და ორგანიზატორი – პირველ ქართველ მოღვაწედ, რომელიც შეეცადა საქართველოს ფართო საერთაშორისო ასპარეზზე გაყვანას.⁴ მიუხედავად ამგვარი დიდი დიპლომატიური მზადებისა, გიორგი I-მა მაინც ვერ შეძლო დასახული მიზნის მიღწევა და ის ბიზანტიასთან ჭიდილში დამარცხდა, თუმცა, როგორც ჩანს, გიორგი I-ს არც ამის შემდეგ შეუწყვეტია ზრუნვა ბიზანტიის წინააღმდეგ ახალი სამხედრო კამპანიის მოსამზადებლად. გამოთქმულია ვარაუდი, რომ სიცოცხლის უკანასკნელ წლებში

¹ არისტაკეს ლასტივერტეცი. ისტორია. ქართული თარგმანი გამოკვლევით, კომენტარებითა და საძიებლებით გამოსცა *ქ. ცაგარეიშვილმა*. თბ., 1974; **ზ. პაპასქირი**. ერთიანი ქართული სახელმწიფოს წარმოქმნა..., გვ. 107-113.

² არისტაკეს ლასტივერტეცი. ისტორია..., გვ. 50, 54; გიორგი კედრენე. ქრონოგრაფია, – „გეორგიკა“, ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ბერძნული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო **ს. ყაუხჩიშვილმა**, ტ. V. თბ., 1963, გვ. 46-47; **ზ. პაპასქირი**. ერთიანი ქართული სახელმწიფოს წარმოქმნა..., გვ. 118-119, 121.

³ **ბ. სილაგაძე**. იაჰია ანტიოქიელის ცნობები საქართველო-ბიზანტიის ურთიერთობის შესახებ XI-ის ბოლო მეოთხედსა და XII-ის პირველ მეოთხედში, – „ქართული წყაროთმცოდნეობა“, ტ. V. თბ., 1986, გვ. 116; **ო. ცქიტიშვილი**. მასალები საქართველოს საგარეო პოლიტიკის ისტორიისათვის გიორგი I-ის მეფობის პერიოდში, – *მაცნე*, №4. თბ., 1968, გვ. 121. იაჰია ანტიოქიელის ცნობები უფრო სრულად მოცემულია გ. ბუაჩიძის პუბლიკაციაში. იხ.: **გ. ბუაჩიძე**. ერთი ეპიზოდი საქართველოსა და ბიზანტიის ურთიერთობიდან იაჰია ანტიოქიელის „ისტორიაში“ – *ქართული დიპლომატია*. წელიწადი, ტ. 3. თბ., 1996, გვ. 96-116.

⁴ **ო. ცქიტიშვილი**. მასალები საქართველოს საგარეო პოლიტიკის..., გვ. 125; **ზ. პაპასქირი**. ერთიანი ქართული..., გვ. 144.

მან ბიზანტიის წინააღმდეგ გამოსვლის ახალი გეგმა შეიმუშავა, რომელშიც ოვსეთის ძლიერი სამეფოს ჩართვა იყო გათვალისწინებული.¹ მაგრამ საქართველოს მეფის ეს მცდელობაც ჩაიშალა.

გიორგი I-ის აქტიური ანტიბიზანტიური კურსი XI ს. 30-იან წლებში განაგრძო მისმა მემკვიდრემ ბაგრატ IV-მ (1027-1072წწ.), რომელმაც დაარღვია თავისი დედის – მარიამ დედოფლის მიერ 1030-1031 წლებში² კონსტანტინოპოლში დადებული სამშვიდობო ხელშეკრულება „ერთობისა და სიყვარულისათვის“ და კვლავ შეუტია ბიზანტიას.³ ნიშანდობლივია, რომ ბიზანტიის იმპერიასთან სამხედრო-პოლიტიკური კონფრონტაციის განახლებას ამჯერადაც წინ უძღოდა საქართველოს სამეფო კარის ჩრდილოური დიპლომატიის გააქტიურება, რომლის შედეგი იყო დინასტიური ქორწინება ბაგრატსა და ოვსთა მეფის ასულ ბორენას შორის. ასე დაიწყო ხანგრძლივი დაპირისპირება საქართველოსა და ბიზანტიის იმპერიას შორის, რომლის დროსაც ბაგრატ IV ცდილობდა და ცალკეულ შემთხვევებში წარმატებითაც ახერხებდა კიდევ სერიოზული დარტყმები მიეყენებინა ბიზანტიის ინტერესებისათვის აღმოსავლეთში. ამის ნათელი მაგალითია საქართველოს მეფის აქტიური ჩარევა ე.წ. „სომხეთის საკითხის“ გადაჭრაში 1045წ., როდესაც ის გამოეხმაურა ანისის თავკაცთა დიპლომატიურ ინიციატივას და მონიშნა ბიზანტიის გამოძევება ანისის ქვეყნიდან.⁴ მაგრამ ბიზანტიის იმპერიამ ლიპარიტ ბაღვაშის მეშვეობით მოახერხა ბაგრატ IV-ის ამ ჩანაფიქრის ჩაფუჭვა.⁵

ბიზანტია-ლიპარიტ ბაღვაშის წინააღმდეგ ხანგრძლივი ბრძოლის პროცესში⁶ ბაგრატ IV ცდილობდა ახალი მოკავშირეების მოზიდვას.

¹ **ზ. პაპასქირი.** „მატიანე ქართლისას“ ერთი ცნობის გაგების საკითხისათვის, – *მ. ვორკის სახელობის აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები*, ტ. 1. თბ., 1983, 136-144; **З. Папаскири.** О некоторых вопросах внешней политики Грузинского царства в I трети XI века, – *Сборник работ молодых учёных и специалистов Абхазии*. Сухуми, 1980, გვ. 64-74; **ზ. პაპასქირი.** ერთიანი ქართული..., გვ. 123-138.

² ამ ბოლო დროს ეს მოვლენა 1028-1029 – 1030წწ.-ით თარიღდება. იხ.: **გ. ბუაჩიძე.** ერთი ეპიზოდი საქართველოსა და ბიზანტიის..., გვ. 104-116.

³ **ზ. პაპასქირი.** ერთიანი ქართული..., გვ. 138-139.

⁴ ბიზანტიის ინტერესების შესახებ ანისის სამეფოსადმი დაწვრ. იხ.: **К. Н. Юзбашян.** Грузинские послы в Ани 1045г. – *ბიზანტინოლოგიური ეტიუდები*. თბ., 1978; **К. Н. Юзбашян.** Скилица о захвате Анийского царства в 1045г. – *Византийский временник*, т. 41, М., 1980.

⁵ **ზ. პაპასქირი.** ერთიანი ქართული..., გვ. 160-176; ამის შესახებ იხ. აგრეთვე: **ა. აბდალაძე.** ამიერკავკასიის პოლიტიკურ ერთეულთა..., გვ. 23-25.

⁶ ამ მოვლენებს უკავშირდება კიდევ ერთი ბაგრატიონის, გიორგი I-ისა და ოვსთა მეფის ასულ ალდას შვილის – დემეტრე უფლისწულის დიპლომატიური მოღვაწეობა. მან დედასთან ერთად XI ს. 30-იანი წლების დამდეგს

მკვლევართა ერთი ნაწილის ვარაუდით, შესაძლებელია, ამ მიზნით XI ს. შუა ხანებში ბაგრატ IV-ის დიპლომატიური კონტაქტები დაემყარებინა კიევის რუსეთის დიდ მთავარ იაროსლავ ბრძენთან, რომელიც იმ პერიოდში ეომებოდა ბიზანტიას და შეეთავაზებინა მისთვის იმპერიის წინააღმდეგ ერთობლივი გამოსვლა.¹ ამგვარი სამხედრო-პოლიტიკური თანამშრომლობის გამოვლინება უნდა იყოს იმ პერიოდში საქართველოში 3000 „ვარანგი“ (ვარიაცი-ნორმანი) მეომრის ჩამოსვლა საქართველოში და მათი მონაწილეობა ბაგრატ-ლიპარიტს შორის სასირეთის ჭაღასთან გამართულ ბრძოლაში, რომლის შესახებაც ინფორმაცია „*მატიანე ქართლისაჲმ*“ შემოგვინახა.²

ბაგრატ IV-ის დიპლომატიური ტალანტი განსაკუთრებით გამოვლინდა ბიზანტიაში მისი იძულებითი ვიზიტის დროს, როდესაც მან, ბიზანტიის იმპერატორთან „უმაღლეს ღონეზე“ შეხვედრისას შეძლო დაერწმუნებინა იმპერიის ხელისუფლება საქართველოს მეფესთან კონფონტაციის შემდგომი გაგრძელების სრულ უპერსპექტივობაში და ამით მოახერხა ლიპარიტ ბაღვაშის იზოლაციაში მოქცევა. ამ დროიდან პრინციპულად შეიცვალა საქართველო-ბიზანტიის ურთიერთობის ხასიათი და მათ შორის ფაქტობრივად თანასწორუფლებიანი, სამოკავშირეო ურთიერთობები დამყარდა. ეს ბაგრატ IV-ის დიპლომატიის უდავო წარმატება იყო.³ ასევე წარმატებულად შეიძლება ჩაითვალოს ბაგრატ IV-ის დიპ-

დატოვა თავისი რეზიდენცია ანაკოფია და პოლიტიკური თავშესაფარი ბიზანტიაში ითხოვა. იმპერიის ხელისუფლებამ დემეტრე უფლისწული პატივით მიიღო, უბოძა მას მაგისტროსის ტიტული, ხოლო მოგვიანებით – 40-იან წლებში ის თავის გვირგვინოსან ნახევარძმას – ბაგრატ IV-ს დაუპირისპირა. მაგრამ იმპერიის ხელისუფლებისა და ლიპარიტ ბაღვაშის ორგზისი მცდელობა, აეყვანათ ის სამეფო ტახტზე, უშედეგო გამოდგა (ამის შესახებ დაწვრილ. იხ.: *მატიანე ქართლისა* – „*ქართლის ცხოვრება*“; ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით *ს. ყაუხჩიშვილის* მიერ, ტ. I. თბ., 1955, გვ. 295, 298, 300-301; *გიორგი კედრენე*. ქრონოგრაფია..., გვ. 5; *ზ. პაპასქირი*. ერთიანი ქართული..., გვ. 123-124, 159, 176-177).

¹ **3. В. Папаскири**. „Варанги“ грузинской „Летописи Картли“ и некоторые вопросы русско-грузинских контактов в XI веке – *История СССР*, №3. М., 1981, гв. 164-169; **3. В. Папаскири**. У истоков грузино-русских политических взаимоотношений. Тб., 1982, гв. 32-46; **რ. მეტრეველი**. „და მოვიდეს ვარანგნი“. *ისტორიულ-ფილოლოგიური ნარკვევები*. თბ., 1988; **ზ. პაპასქირი**. ერთიანი ქართული სახელმწიფოს..., გვ. 179-201.

² *მატიანე ქართლისა*..., გვ. 300.

³ **ზ. პაპასქირი**. ერთიანი ქართული..., გვ. 205-210; **მ. ლორთქიფანიძე**, **ზ. პაპასქირი**. საქართველოს სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკა..., გვ. 247-249; **3. В. Папаскири**. От Давида до Давида. *Из истории международных отношений. 70-е годы X – 80-е годы XI вв.* Тб., 2001, гв. 81-84.

ლომატიური აქციები სელჩუკთა წინააღმდეგ. მართალია, ვერ მოხერხდა თურქ-სელჩუკთა ორი შემოსევის თავიდან აცილება, მაგრამ საქართველოს მეფემ თავისი ფილიგრანული დიპლომატიური სვლებით მაინც შეძლო საქართველოს სახელმწიფოს სუვერენიტეტის ხელშეუხლებლობის უზრუნველყოფა.¹ ამასთან, ბაგრატ IV-მ XII. 60-იან წლებში განახორციელა უაღრესად მნიშვნელოვანი სამხედრო-პოლიტიკური აქციები, რომლებიც დიპლომატიურადაც მაღალ დონეზე იყო შემაგრებული. ამის მკაფიო დადასტურებაა თუნდაც ტაშირ-ძორაგეტის სომხური სამეფოს დამორჩილება² და განსაკუთრებით კი განმაურებული ლაშქრობა განძაში, რომელშიც ქართულ ჯართან ერთად მონაწილეობა მიიღო საქართველოს მეფის ცოლისძმამ, ოვსეთის მეფე დორდოლელმა „*ორმოცი ათასითა კაცითა ოვსითა*“;³

დიპლომატია იყო მთავარი მექანიზმი საქართველოს სახელმწიფოს წინაშე მდგარი ურთულესი საშინაო და საგარეო პოლიტიკური პრობლემების გადაჭრისა გიორგი II-ის (1072-1089წწ.) მოღვაწეობის პერიოდში. გიორგი II-ის ეპოქა არის საქართველო-ბიზანტიის დაახლოებისა და სამხედრო-პოლიტიკური ურთიერთთანამშრომლობის შემდგომი გაღრმავების ხანა, რომლის აუცილებლობას თურქ-სელჩუკთა აგრესიის საფრთხე განაპირობებდა. გიორგი II-მ დიპლომატიური არხებით, რომელიც უდავოდ შეხამებული იყო სამხედრო-პოლიტიკურ აქციებთან,⁴ შესძლო თავის დროზე ბიზანტიის მიერ მიტაცებული ზოგიერთი ტერიტორიის – „*კარის ციხე-ქალაქი და მისი მიმდგომი ქვეყანა*“⁵ – დაბრუნება.

ამ პერიოდში საქართველო-ბიზანტიის კეთილმეზობლური-სამოკავშირეო ურთიერთობების შემდგომი განმტკიცება დაკავშირებული უნდა ყოფილიყო გიორგი II-ის დის – მარიამ ბაგრატიონის პიროვნებასთან.

¹ **ზ. პაპასქირი.** შუა საუკუნეების საქართველო საერთაშორისო არენაზე. საქართველოს სახელმწიფოს საგარეო-პოლიტიკური მდგომარეობა XII. 60-80-იან წლებში. თბ., 1991, გვ. 18-24; **მ. ლორთქიფანიძე, ზ. პაპასქირი.** საქართველოს სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკა..., გვ. 249-256; **З. В. Папаскири.** От Давида до Давида..., გვ. 85-96.

² *მატიანე ქართლისა*..., გვ. 307; **ზ. პაპასქირი.** შუა საუკუნეების საქართველო..., გვ. 13-14; **З. В. Папаскири.** От Давида до Давида..., გვ. 89.

³ *მატიანე ქართლისა*..., გვ. 313; **ჯ. სტეფნაძე.** საქართველოს პოლიტიკური ურთიერთობები კავკასიის ხალხებთან XII საუკუნეში. თბ., 1974, გვ. 115-116; **ზ. პაპასქირი.** შუა საუკუნეების საქართველო..., გვ. 25-26.

⁴ **М. Д. Лордкипанидзе.** Из истории византийско-грузинских взаимоотношений (70-е годы ХІв.). – *Византийский временник*, т. 40. М., 1979, гв. 94.

⁵ **დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი.** ცხოვრება მეფეთ-მეფე დავითისი, – „*ქართლის ცხოვრება*“, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით **ს. ყაუხჩიშვილის** მიერ, ტ. I. თბ., 1955, გვ. 318.

როგორც ცნობილია, მარიამ დედოფალი, ჯერ როგორც იმპერატორ მიხეილ VII ღუკას (1072-1078წწ.), ხოლო შემდგომ იმპერატორ ნიკიფორე ბოტანიატეს (1078-1081წწ.) თანამეცხედრე, თითქმის 10 წელი იჯდა ბიზანტიის საიმპერატორო ტახტზე და უდიდესი ავტორიტეტით სარგებლობდა იმპერიის პოლიტიკურ წრეებში. აღსანიშნავია, რომ მარიამ ბაგრატიონი იყო ერთადერთი უცხოელი პრინცესა ბიზანტიის საიმპერატორო ტახტზე XI საუკუნეში.¹

სპეციალურ ლიტერატურაში სწორადაა შენიშნული, რომ უცხოელი პრინცესების გამოჩენას ბიზანტიის ტახტზე თან სდევდა მათ თანამემამულეთა გავლენის ზრდა საიმპერატორო კარზე.² ამასთან დაკავშირებით, ისტორიოგრაფიაში, ამ უკანასკნელ პერიოდში გამოითქვა მოსაზრება, რომ, შესაძლოა, XI ს. 70-80-იან წლებში მარიამ დედოფლის ირგვლივაც შეიკრიბა თანამემამულეთა ჯგუფი, ერთგვარი „ქართული პარტია“, რომლის ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი წარმომადგენელი უნდა ყოფილიყო გრიგოლ ბაკურიანის ძე – პეტრიწონის ქართული სამონასტრო კომპლექსის აღმშენებელი – პიროვნება, რომლის ნამდვილი აღზევება საეჭვოდ ეთხვევა მიხეილ VII ღუკასა და მარიამ დედოფლის მმართველობის ხანას და რომელმაც უშუალოდ გადასცა „კარის ციხე-ქალაქი და მისი მიმდგომი ქვეყანა“ გიორგი II-ს. სავარაუდოა აგრეთვე, რომ სწორედ მარიამ დედოფლისა და „ქართული პარტიის“ აქტიური მეცადინეობით უნდა მომხდარიყო გიორგი II-ისათვის უმაღლესი ბიზანტიური ტიტულის – კესაროსის მინიჭება, რაც ქართული დიპლომატიის უდავო წარმატებად უნდა ჩაითვალოს.³

გიორგი II-ის დიპლომატიური მოღვაწეობის მწვერვალს წარმოადგენს „წარსვლა მაღალსა სულტანსა მალიქმას წინაშე... ასპანს“.⁴ ქართულ ისტორიოგრაფიაში გიორგი II-ის ვიზიტი სელჩუკთა სულტნის მალიქ-შაჰის კარზე მიჩნეულია იმ ვითარებაში (სელჩუკთა პერმანენტული შემოსევების – „დიდი თურქობის“ პირობებში) ერთადერთ სწორ გადაწყვეტილებად, რომელსაც შეეძლო ქვეყნის კრიზისიდან გამოყვანა,⁵

¹ **З. В. Удальцова.** Дипломатия. – წგნ.: *Культура Византии.* Вторая половина VII-XII вв. М., 1989, გვ. 252.

² **З. В. Удальцова.** Дипломатия, გვ. 252-253.

³ **ზ. პაპასქირი.** შუა საუკუნეების საქართველო საერთაშორისო არენაზე..., გვ. 37-40; **З. В. Папаскири.** От Давида до Давида..., გვ. 102-103.

⁴ **დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი.** ცხოვრება მეფეთ-მეფე..., გვ. 321.

⁵ **ბ. შენგელია.** სელჩუკები და საქართველო XI საუკუნეში, თბ., 1968, გვ. 307-319; **რ. მეტრეველი.** გიორგი II-ის მოღვაწეობის შეფასების საკითხი, – წგნ.: **რ. მეტრეველი.** ნარკვევები ფეოდალური საქართველოს ისტორიიდან. თბ., 1972, გვ. 29-60; **რ. მეტრეველი.** დავით IV აღმაშენებელი. *ეპოქის სიცი-*

თუმცა შემდგომში მოვლენები ისე განვითარდა, რომ ისპაჰანში ვიზიტმა საქართველოს რეალურად ვერაფერი სიკეთე ვერ მოუტანა, რაც, ჩვენი აზრით, გიორგი II-ის არც თუ თანმიმდევრული პოლიტიკის შედეგი იყო.¹

1089წ. საქართველოს სამეფო ტახტი დაიკავა დიდმა დავით აღმაშენებელმა, რომლის გონივრული პოლიტიკის შედეგად შესაძლებელი გახდა ქვეყნის უმძიმესი კრიზისიდან გამოყვანა და უმთავრესი საგარეო-პოლიტიკური ამოცანის – საქართველოს ტერიტორიიდან თურქ-სელჩუკთა განდევნა – წარმატებით გადაჭრა. ამ ურთულესი მისიის შესრულება, პირველ რიგში, დაკავშირებული იყო სამხედრო წინააღმდეგობის ორგანიზაციასთან, რომელსაც უდავოდ სათანადო დიპლომატიური უზრუნველყოფაც ესაჭიროებოდა. ამიტომაც დავით IV-მ მთელი თავისი საგარეო-პოლიტიკური და დიპლომატიური საქმიანობა სწორედ ამ კუთხით წარმართა. დავით მეფის დიპლომატიური აქციებიდან ყველაზე მასშტაბურად უნდა ჩაითვალოს კონტაქტების დამყარება სამხრეთ რუსეთის სტეპებში მომთაბარე ყივჩაყურ ტომებთან, რომელსაც ჯერ მოჰყვა დინასტიური ქორწინება „ყივჩაყთა უმთავრესის“ ათრაქა შარაღანის ძის ასულზე, ხოლო შემდეგ ყივჩაყთა 200000-იანი ურდოს გადმოსახლება საქართველოში და მათგან 40-ათასიანი მუდმივი ცხენოსანი ჯარის შექმნა, რომელმაც მნიშვნელოვნად გააძლიერა საქართველოს სახელმწიფოს სამხედრო პოტენციალი და საშუალება მისცა საქართველოს მეფეს, წარმატებით დაეგვირგვინებინა თურქ-სელჩუკთა წინააღმდეგ წარმოებული კამპანია.²

ყივჩაყთა გადმოსახლებას უკავშირდება ქართული დიპლომატიის გააქტიურება ჩრდილოეთ კავკასიაში. აღსანიშნავია, რომ საქართველოსკენ მომავალი ყივჩაყთათვის „გზა მშვიდობისას“ უზრუნველყოფის მი-

აღურ-ეკონომიკური და პოლიტიკური მიმოხილვა. თბ., 1990, გვ., 70; **მ. ლორთქიფანიძე**. საქართველოს შინა-პოლიტიკური და საგარეო ვითარება, XI ს.-ის 80-იანი წლებიდან XII ს.-ის 80-იანი წლებამდე, – *საქართველოს ისტორიის ნარკვევები*, ტ. III. თბ., 1979, გვ. 208; **М. Д. Лордкипанидзе**. Из истории византийско-грузинских взаимоотношений..., გვ. 94-95.

¹ **ზ. პაპასქირო**. შუა საუკუნეების საქართველო საერთაშორისო არენაზე..., გვ. 48-49; **З. В. Папаскири**. От Давида до Давида..., გვ. 107-109.

² **З. В. Папаскири**. У истоков грузино-русских политических взаимоотношений, გვ. 78-102; **რ. მეტრეველი**. დავით IV აღმაშენებელი..., გვ., 169-184; **რ. მეტრეველი**. საქართველოს სახელმწიფოს საგარეო-პოლიტიკური ურთიერთობები XI საუკუნის მიწურულსა და XII საუკუნის I მეოთხედში. დავით აღმაშენებლის დიპლომატია. – *ქართული დიპლომატიის ისტორიის ნარკვევები*, ტ. I. თბ., 1998, გვ. 273-284; **Р. В. Метревели**. Внешняя политика Грузии в средние века. XII век. Тб., 1995, გვ. 14-25; **R. V. Metreveli**. Foreign Policy of Georgia in the Middle Ages (12-th century). Tbilisi, 1997, გვ. 14-26.

ზნით დავით აღმაშენებელი, გიორგი ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესის თანხლებით, პირადად გადავიდა ოვსეთში, დაარეგულირა გამწვავებული ურთიერთობა ოვსებსა და ყივჩაყებს შორის, „ადიხუნა ციხენი დარიალისა და ყოველთა კართა ოვსეთისათა და კავკასიისა მთისათანი“¹ და სრული კონტროლი დაამყარა მთელ ჩრდილოეთ კავკასიაზე. მკვლევართა ერთი ნაწილი არ გამორიცხავს ყივჩაყთა პრობლემის გადაჭრისას გარკვეულ დიპლომატიურ კონსულტაციებს კიევის დიდ მთავარ ვლადიმირ მონომახთან, რომელიც, შესაძლებელია, ირიბად აისახა XVIII ს. მოღვაწის პავლე ალექსეელის ცნობაში.²

არანაკლებ მნიშვნელოვანი იყო კეთილმეზობლური, სამოკავშირეო ურთიერთობების დამყარება მეზობელ შირვანთან, რომელიც ასევე დინასტიური ქორწინებით იქნა განმტკიცებული.³ დავით აღმაშენებელი აქტიურად თანამშრომლობდა ბიზანტიის იმპერიასთან და მის ლიდერთან ალექსი I კომნენოსთან, რომლის ერთ-ერთ ვაჟზე დაქორწინეს საქართველოს მეფის ასული კატაი.⁴ მოგვეპოვება ცნობები უშუალო დიპლომატიური კონტაქტების შესახებ საქართველოს მეფესა და ახლო აღმოსავლეთში წარმოქმნილ ჯვაროსნულ სახელმწიფოთა მეთაურებს შორის.⁵ დიპლომატიური თვალსაზრისით მაღალ დონეზე იყო შემდგარებული ანისის განთავისუფლება თურქ-სელჩუკთაგან და მისი საქართველოს სახელმწიფოსთან შეერთება.⁶

XIII ს. 30-70-იან წლებში, დემეტრე I-სა (1125-1156წწ.) და გი-

¹ დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი. ცხოვრება მეფეთ-მეფე დავითისი., გვ. 336. ამის შესახებ იხ. აგრეთვე: **ი. ჯიჭონია**. დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის ცნობები საქართველო-იმპერკავკასიის ურთიერთობების შესახებ. თბ., 2003, გვ. 9-16.

² **ნ. ასათიანი**. მასალები XVII საუკუნის საქართველოს ისტორიისათვის. თბ., 1973, გვ. 73, 87-88; **შ. მესხია**. ძლევაჲ საკვირველი, გვ. 55-58; **რ. მეტრეველი**. საქართველოს სახელმწიფოს საგარეო-პოლიტიკური., გვ. 255-256; **3. В. Папаскири**. У истоков грузино-русских политических., გვ. 103-105.

³ **ნ. ასათიანი**. საქართველო-შირვანის პოლიტიკური ურთიერთობა XII საუკუნეში, – *XII საუკუნის საქართველოს ისტორიის საკითხები* – თსუ შრომები, ტ. 125. თბ., 1968, გვ. 26-39.

⁴ **გ. კოპალიანი**. საქართველოს ურთიერთობა ჯვაროსნებთან და ბიზანტიასთან XI-XIII სს. მიჯნაზე, – *XII საუკუნის საქართველოს ისტორიის საკითხები* – თსუ შრომები, ტ. 125. თბ., 1968, გვ. 113-120.

⁵ **ზ. ავალიშვილი**. ჯვაროსანთა დროიდან. პარიზი, 1929, გვ. 13-73; **შ. ბადრიძე**. საქართველო და ჯვაროსნები. თბ., 1973, გვ. 12-21; **გ. კოპალიანი**. საქართველოს ურთიერთობა ჯვაროსნებთან და ბიზანტიასთან XI-XIII სს. მიჯნაზე., გვ. 83-121.

⁶ დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი. ცხოვრება მეფეთ-მეფე დავითისის, გვ. 344-345; **ი. ჯავახიშვილი**. ქართველი ერის ისტორია, წ. II, – *თხზულებანი თორმეტ ტომად*, ტ. 2. თბ., 1983, გვ. 207-208.

ორგი III-ის (1156-1184წწ.) მმართველობის პერიოდში საქართველოს სახელმწიფოს უხდებოდა აქტიური ბრძოლა საერთაშორისო არენაზე თავისი პოზიციების განსამტკიცებლად, რაც სამხედრო აქციებთან ერთად დიპლომატიური საშუალებებითაც ხორციელდებოდა. ეს პერიოდი აღინიშნა ახალი დინასტიური ქორწინებებით, რომელთაგან განსაკუთრებით აღსანიშნავია სელჩუკთა სულტან მასუდის დაქორწინება დემეტრე I-ის ასულ რუსუდანზე 1147-1148წწ.-ში. არსებობს ცნობები, რომ სულტან მასუდის გარდაცვალების შემდეგ რუსუდან დედოფალი თავის მაზლს, სულტანის ტახტის პრეტენდენტ სულეიმანშაჰს შეურთავს.¹ დაქვრივების შემდეგ რუსუდან დედოფალი, რომელსაც, როგორც ჩანს, დიდი ავტორიტეტი ჰქონდა მეზობელი მაჰმადიანური გაერთიანებების პოლიტიკურ წრეებში, საქართველოში დაბრუნდა და აქტიურ მონაწილეობას იღებდა სახელმწიფოს მართვაში, ასრულებდა მნიშვნელოვან დიპლომატიურ დავალებებს. კერძოდ, ცნობილია, რომ რუსუდან ბაგრატიონის ინიციატივითა და უშუალო მონაწილეობით გიორგი III-მ 1164წ. დადო ზავი ელდიგუზ ათაბაგთან, რომელიც საქართველოს მეფეს ანისს ელაკებოდა.²

XIII ს. 30-70-იანი წლები აღინიშნა საქართველოს სახელმწიფოს გავლენის შემდგომი განმტკიცებით ჩრდილოეთ კავკასიაში, რომელიც ძირითადად დიპლომატიას ემყარებოდა. საქართველოს მთავარ პარტნიორად რეგიონში კვლავ ოვსეთი რჩებოდა. ამ პერიოდში ქართულ-ოვსური სამხედრო-პოლიტიკური თანამშრომლობა ახალი დინასტიური ქორწინებებით გამყარდა. ოვსეთში ყოფილა გათხოვილი დავით აღმაშენებლის ერთ-ერთი ასული,³ ხოლო გიორგი III დაქორწინდა ოვსეთის მეფის ხუდანის ასულ ბურდუხანზე.⁴ დინასტიურ-ნათესაური კავშირი დამყარებულა დარუბანდის ემირის სახლთანაც.⁵ ისტორიოგრაფიაში სავსებით სწორადაა შენიშნული, რომ დინასტიურ ქორწინებებს ქართული დიპლომატია განიხილავდა, როგორც მოხერხებულ მექანიზმს ჩრდი-

¹ გ. ჯაფარიძე. საქართველო და მახლობელი აღმოსავლეთის ისლამური სამყარო. თბ., 1995, გვ. 95-96.

² ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი. – ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. II. თბ., 1959, გვ. 15. მ. ლორთქიფანიძე. ანისისათვის ბრძოლის ისტორიიდან XIII ს. საქართველოში, – საქართველოს ფეოდალური ხანის ისტორიის საკითხები, წ. I. თბ., 1970, გვ. 108-109; გ. ჯაფარიძე. საქართველო და მახლობელი აღმოსავლეთის ისლამური სამყარო..., გვ. 100.

³ ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, გვ. 47.

⁴ ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, გვ. 4.

⁵ В. Ф. Минорский. История Ширвана и Дербента. М., 1963, гв. 222-223; З. В. Папаскири. У истоков грузино-русских политических взаимоотношений, гв. 74.

ლოეთ კავკასიაზე, პირველ რიგში, ოვსეთზე საქართველოს სახელმწიფოს გავლენის განსამტკიცებლად.¹

დემეტრე I-ის ხანაში ივარაუდება დიპლომატიური კონტაქტების დამყარება კიევის რუსეთთან, რასაც მოჰყვა (1154წ.) დინასტიური ქორწინება: კიევის დიდი მთავარი იზიასლავ მსტისლავის ძე დაქორწინდა საქართველოს („Овези“ – აფხაზეთი) მეფის ასულზე.² გამოთქმულია მოსაზრება, რომ ამ დინასტიური ქორწინების ინიციატორი რუსული მხარე უნდა ყოფილიყო. ამ დროს კიევში იყო ცდა კონსტანტინოპოლის პატრიარქისაგან დამოუკიდებლად კიევში ეროვნებით რუსი მიტროპოლიტის დაყენებისა. ამ საქმის წარმატებით დასაგვირგვინებლად კი აუცილებელი იყო აღმოსავლეთში ქრისტიანულ-მართლმადიდებლური სამყაროს ფორპოსტად მიჩნეული საქართველოს სახელმწიფოსა და მისი ავტოკეფალური ეკლესიის მხარდაჭერის მოპოვება.³ როგორც ჩანს, ამ პერიოდში საქართველოს სამეფო კარი ბიზანტიის იმპერიის წინააღმდეგ სხვა გამომწვევ დიპლომატიურ ნაბიჯებსაც ღებდა. ამას ადასტურებს თუნდაც ის ფაქტი, რომ გიორგი III-მ პოლიტიკური თავშესაფარი მისცა ბიზანტიიდან დევნილ კომნენოსებს, რომლებმაც საიმპერატორო ტახტი დაკარგეს.⁴ გიორგი III პოლიტიკურ თავშესაფარს მეზობელი მაჰმადიანური სახელმწიფოებიდან დევნილ უფლისწულებსაც აძლევდა. კერძოდ, მასთან 1174წ. სტუმრობდა რუმის სულტნის ყილიჩარსლან II-ის ძმა შაჰანშაჰი, რომელიც თავის ძმას აუჯანყდა. გიორგი III-ს ამბოხებული უფლისწული პატივით მიუღია, ხოლო შემდეგ პირადად გაუცილებია ის სოხუმიდან.⁵

თამარის ეპოქა ერთიანი ქართული სახელმწიფოს საერთაშორისო ავტორიტეტის შემდგომი ზრდისა და განმტკიცების ხანაა. ამ ძლიერების მიღწევაში მნიშვნელოვანი იყო ქართული დიპლომატიის წვლილი. ურთულეს საერთაშორისო ვითარებაში თამარი ხშირად გამწვავებულ ურთიერთობებს მეზობელ მაჰმადიანურ სახელმწიფოებთან დიპლომატი-

¹ **Г. А. Кокиев.** Очерки по истории Осетии, ч. I. Владикавказ, 1926, გვ. 36; **З. В. Папаскири.** У истоков грузино-русских политических..., გვ. 59; **რ. მეტრეველი.** საქართველოს სახელმწიფოს საგარეო-პოლიტიკური..., გვ. 269.

² *Ипатьевская летопись.* – Полное собрание русских летописей (შემდგომ – ПСРЛ). т. II. М., 1908, столб. 465, 468; *Воскресенская летопись.* – ПСРЛ. т. VII. М., 1856, გვ. 60.

³ **ო. ჟუჟუნაძე.** საქართველოსა და რუსეთის ურთიერთობის ისტორიიდან XII საუკუნეში, – *საქართველო რუსთაველის ხანაში.* თბ., 1966, გვ. 267-280; **З. В. Папаскири.** У истоков грузино-русских политических..., გვ. 111-116.

⁴ *ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი,* გვ. 16-17.

⁵ **გ. ჯაფარიძე.** საქართველო და მახლობელი აღმოსავლეთის..., გვ. 127-128.

ური არხებით აგვარებდა. ამის ნათელი მაგალითია თუნდაც ე.წ. თამარის „ვიცის წიგნი“, რომელიც მოთავსებულია სპარსულ ხელნაწერთა კოლექციაში დაცულ კრებულში „თარასხოლ“ („მიმოწერა“).¹ ეს დოკუმენტი, რომელიც 1185 წლითაა დათარიღებული,² მკვლევართა დასკვნით, უნდა წარმოადგენდეს ერთგვარ „თავდაუსხმელობის პაქტს“ საქართველოს სახელმწიფოსა და აიუბიანთა სასულტნოს შორის და უნდა ასახავდეს ვითარებას, რომელიც შეიქმნა აიუბიანთა უძლეველ სულთან სალაჰ ად-დინის ხლათზე გალაშქრების დროს.³

თამარის საგარეო პოლიტიკისა და დიპლომატიის ჭეშმარიტ ტრიუმფად არის მიჩნეული (1204წ.) ტრაპიზონის იმპერიის – ბიზანტიის იმპერიის ერთ ნაწილში საქართველოს სატელიტი სახელმწიფოს შექმნა, რომლის სათავეში მან თავისი ახლო ნათესავი ალექსი კომნენოსი, „რომელი იყო მაშინ თვით წინაშე თამარ მეფის შემოხუეწილი“;⁴ ჩააყენა.⁵ ამით საქართველოს მეფემ ცალსახად გამოხატა თავისი ნეგატიური დამოკიდებულება ბიზანტიის იმპერიის იმჟამინდელი რეჟიმისადმი, უფრო მეტიც, ამ ბოლო დროს გამოთქმული მოსაზრების თანახმად, თამარ მეფე ტრაპიზონის იმპერიის მეშვეობით ბიზანტიის ადგილის დაკავებას ცდილობდა.⁶

დიპლომატიას ეკავა მნიშვნელოვანი ადგილი თამარის მემკვიდრეების: ლაშა-გიორგისა და რუსუდან მეფის სახელმწიფოებრივ მოღვაწეობაში. მათ სახელთან არის დაკავშირებული პირველი რეალური დიპლომატიური კონტაქტები დასავლეთ ევროპასთან. კერძოდ, დადასტურებულია მიმოწერა ლაშა-გიორგისა და რომის პაპ ინოკენტი III-ის შორის, რომელიც ფაქტობრივად ახალ ჯვაროსნულ ლაშქრობაში საქართველოს

¹ მ. თოდუა. XII საუკუნის ქართველ მეფეთა და სახელმწიფო მოღვაწეთა ტიტულები და სახელოები, – წგნ.: მ. თოდუა. ქართულ-სპარსული ეტიუდები, ტ. III. თბ., 1979, გვ. 26-27.

² მ. თოდუა. XII საუკუნის ქართველ მეფეთა და სახელმწიფო მოღვაწეთა ტიტულები..., გვ. 82; გ. ჯაფარიძე. საქართველო და მახლობელი..., გვ. 130.

³ მ. თოდუა. XII საუკუნის ქართველ მეფეთა და..., გვ. 81; გ. ჯაფარიძე. საქართველო და მახლობელი აღმოსავლეთის..., გვ. 130; რ. მეტრეველი. საქართველოს სახელმწიფო საერთაშორისო არენაზე XIII. მიწურულსა და XIIIს. დამდეგს. თამარ მეფის დიპლომატია, – ქართული დიპლომატიის ისტორიის ნარკვევები, ტ. I. თბ., 1998, გვ. 332-337.

⁴ ცხოვრება მეფეთ-მეფის თამარისი. – ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. II. თბ., 1959, გვ. 142.

⁵ რ. მეტრეველი. მეფე თამარი. თბ., 1991, გვ. 193-199.

⁶ ლ. ტუსაშვილი. ნარკვევები ქართული დიპლომატიის ისტორიიდან, I. თბ., 1994, გვ. 184.

სახელმწიფოს ჩართვის მიზნით წმინდა ტახტსა და საქართველოს სამეფო კარს შორის მიმდინარე დიპლომატიური კონსულტაციების ასახვა უნდა იყოს.¹ რომის პაპსა (ამჯერად პონორიუს III-ს) და ლაშა-გიორგის შორის აქტიური დიპლომატიური კონტაქტები დაფიქსირებულია 1219წ. ჯვაროსანთა V ლაშქრობის დროს. ამაზე პირდაპირი მითითებაა რუსუდან მეფის 1123წ. დათარიღებულ წერილში რომის პაპ პონორიუს III-სადმი.² რუსუდან მეფეს აქტიური მიმოწერა ჰქონდა აგრეთვე რომის პაპ გრიგოლ IX-სთან (1227-1241წწ.), რომელშიც, სხვა საკითხებთან ერთად, იხილებოდა ქართული ეკლესიის რომის კათოლიკურ ეკლესიასთან შესაძლო უნიის საკითხიც.³

ლაშა-გიორგიმ, რომელიც საკმაოდ მაღალი ავტორიტეტით სარგებლობდა მაჰმადიანურ სამყაროში,⁴ 1220წ. აქტიური დიპლომატიური სამზადისი გაშალა მონღოლთა წინააღმდეგ კოალიციის შესაქმნელად, მაგრამ მის ინიციატივას სათანადო გამოხმაურება არ მოჰყოლია აზერბაიჯანის ათაბაგ უზბეგისა და ხლათის მმართველ ალ-მალქ ალ-ამრაფის მხრიდან.⁵ მონღოლთა წინააღმდეგ ერთიანი ფრონტის შექმნა მეზობელი მაჰმადიანური სახელმწიფოების მონაწილეობით ვერც რუსუდან მეფემ მოახერხა.⁶ სასურველ შედეგს ვერ მიაღწია რუსუდანის სხვა დიპლომატიურმა მანევრებმაც, მათ შორის რუმის სასულტნო-მონღოლების

¹ თ. ნატროშვილი, გ. ჯაფარიძე. ცდა ერთი თარიღის დადგენისა, – *მაცნე*. ენისა და ლიტერატურის სერია, 2. თბ., 1974, გვ. 188.

² მ. თამარაშვილი. ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის. ტფ., 1902, გვ. 7; ი. ტაბაღუა. საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნსაცავებში (XII-XVII სს.), ტ. I. თბ., 1984, გვ. 176.

³ მ. თამარაშვილი. ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის..., გვ. 15-16; ი. ტაბაღუა. საქართველო ევროპის არქივებსა..., გვ. 187-190.

⁴ ამას ადასტურებს ზემოთ უკვე ნახსენებ „თარახსოლ“-ში აღმოჩენილი ერთ-ერთი დოკუმენტი, რომელშიც „მესიის თანაშემწე ლაშა, ძე მეფის გიორგის ასულისა“ გამოცხადებულია „ქვეყნიერებისა და სახელმწიფოს სიდიადედ“... „აღმოსავლეთისა და დასავლეთის სტეფანოსად“, „აფხაზის, შაქისა და აღანის მეფეთა-მეფე“-დ (მ. თოდუა. XII საუკუნის ქართველ მეფეთა და სახელმწიფო მოღვაწეთა..., გვ. 28; დ. ნინიძე. ქართული დიპლომატია XIII საუკუნეში, – *ქართული დიპლომატიის ისტორიის ნარკვევები*, ტ. 1. თბ., 1998, გვ. 119-121).

⁵ ბ. სილაგაძე. საქართველოს ისტორიის ზოგიერთი საკითხი იბნ აღ-ასირის ცნობათა შუქზე, – *საქართველო რუსეთის ხანაში*. თბ., 1966, გვ. 132-133; რ. კიკნაძე. მონღოლები და მათი დაპყრობითი ომები, – *საქართველოს ისტორიის ნარკვევები*, ტ. III. თბ., 1979, გვ. 533; გ. ჯაფარიძე. საქართველო და მახლობელი აღმოსავლეთის..., გვ. 176-178; დ. ნინიძე. ქართული დიპლომატია XIII საუკუნეში..., გვ. 354-359.

⁶ გ. ჯაფარიძე. საქართველო და მახლობელი აღმოსავლეთის..., გვ. 195; დ. ნინიძე. ქართული დიპლომატია XIII საუკუნეში..., გვ. 369.

კონფლიქტის ინსპირირებამ.¹ შედეგად, საქართველოს სახელმწიფო მართლმართო აღმოჩნდა მონღოლი დამპყრობლების წინაშე, რამაც ძირითადად განაპირობა კიდევ მისი მარცხი. მხოლოდ მას შემდეგ, რაც მონღოლებმა დაასრულეს აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველოს დაპყრობა, რუსუდანი იძულებული გახდა დაზავებოდა (1243წ.) მათ.²

XIII ს. II ნახევარში, როგორც ცნობილია, ბაგრატიონთა ტახტი ფაქტობრივად ორ შტოდ გაიყო. აღმოსავლეთში მეფობდა ლაშა-გიორგის ძის დავით VII ულუს სახლი, ხოლო ქუთაისში რუსუდანის ძე დავით VI ნარინი დამკვიდრდა. მონღოლებისაგან მეტი საფრთხე დავით ულუს ემუქრებოდა და ის, ბუნებრივია, ყოველნაირად ცდილობდა, მაქსიმალურად გამოეყენებინა მონღოლურ ულუსებს (ოქროს ურდოსა და ილხანთა სახელმწიფო) შორის არსებული წინააღმდეგობები და ამ გზით უზრუნველყო თავისი ქვეყნის უსაფრთხოება. ცნობილია მისი საქმოდ ოსტატური დიპლომატიური სვლები ამ მიმართულებით.³

მეტი დიპლომატიური აქტიურობით გამოირჩეოდა დავით ნარინი, რომლის მთავარ საზრუნავს ასევე ილხანთა სახელმწიფოსაგან თავის დაცვა წარმოადგენდა. სწორედ ამან განაპირობა დასავლეთ საქართველოს მეფის დიპლომატიური კონტაქტების გააქტიურება ჰულაგუიდების მთავარ მეტოქეებთან: ეგვიპტესთან და ოქროს ურდოსთან. ამას მოწმობს დავით ნარინის მიერ მოწყობილი ორი ელჩობა ეგვიპტეში.⁴ დავით ნარინი ილხანთა სახელმწიფოს წინააღმდეგ სხვა დიპლომატიურ მეთოდებსაც მიმართავდა, კერძოდ, ის პოლიტიკურ თავშესაფარს აძლევდა მეამბოხე უფლისწულებს.⁵ ვარაუდობენ აგრეთვე, რომ დავით

¹ ნ. შენგელია. იბნ-ბიბი ალა ად-დინ ქეიყობადის საქართველოში დაშქრობის შესახებ, – *მაცნე*, ისტორიის... სერია, №1. თბ., 1975, გვ. 97-99; ბ. სილაგაძე. მონღოლთა მეორედ გამოჩენა ამიერკავკასიაში და საქართველოს დაპყრობა-დანაწილება, – *მაცნე*. ისტორიის... სერია, №2. თბ., 1992, გვ. 61-62; გ. ჯაფარიძე. საქართველო და მახლობელი აღმოსავლეთის..., გვ. 176-178; დ. ნინიძე. ქართული დიპლომატია XIII საუკუნეში..., გვ. 354-359.

² ბ. სილაგაძე. მონღოლთა მეორედ გამოჩენა ამიერკავკასიაში..., გვ. 65; ნ. ასათიანი. მონღოლთა საყენოსთან საქართველოს ურთიერთობის ზოგიერთი ფაქტის დაზუსტებისათვის, – *ქართული დიპლომატია*. წელიწადეული, ტ. 1. თბ., 1994, გვ. 98-110; გ. ჯაფარიძე. ერთი ეპიზოდი რუსუდანისა და მონღოლების დიპლომატიური კონტაქტების ისტორიიდან, – *ქართული დიპლომატია*. წელიწადეული, ტ. 2. თბ., 1995, გვ. 166-178; დ. ნინიძე. ქართული დიპლომატია XIII საუკუნეში..., გვ. 381-390.

³ დ. ნინიძე. ქართული დიპლომატია XIII საუკუნეში..., გვ. 414-422.

⁴ ი. ჯავახიშვილი. ქართველი ერის ისტორია, წ. III, – თხზ., ტ. 3. თბ., 1982, გვ. 189; ბ. სილაგაძე. მასალები საქართველო-ეგვიპტის ურთიერთობის ისტორიისათვის, – *ქართული წყაროთმცოდნეობა*, II. თბ., 1968, გვ. 89; დ. ნინიძე. ქართული დიპლომატია XIII საუკუნეში..., გვ. 437-438.

⁵ ივ. ჯავახიშვილი. ქართველი ერის ისტორია, წ. III., გვ. 190-202.

ნარინი ცდილობდა მონღოლთა წინააღმდეგ მცირე აზიის სელჩუკთა (რუმის) სასულტნოს ჩართვას.¹ დავით ნარინმა განაახლა დიპლომატიური კონტაქტები და დაამყარა სამოკავშირეო-პარტნიორული ურთიერთობები ბიზანტიის იმპერიასთან, რომელიც იმპერატორ მიხეილ VIII პალეოლოგის ასულზე დაქორწინებით განამტკიცა.² დასავლეთ საქართველოს მეფე ახერხებდა ტრაპიზონის იმპერიაში განვითარებული მოვლენების კონტროლსაც.³

დიპლომატიური თვალსაზრისით შედარებით პასიური იყო დემეტრე II თავდადებული (1270-1289), რომელიც თავისი პოლიტიკური მიზნების მიღწევას ძირითადად ილხანთა ყაენის კართან საკმაოდ აქტიური თანამშრომლობის გზით ცდილობდა, თუმცა მისთვის არც დიპლომატიური მანევრირება იყო უცხო. ამის დადასტურებად მიჩნეულია დემეტრე II-ის „დიპლომატიური ქორწინებები“.⁴ დემეტრე II-ის დიპლომატიკაზე მსჯელობისას არ შეიძლება გვერდი ავუაროთ მის თავგანწირულ ნაბიჯს, რომელიც, რამდენადმე, მეფის დიპლომატიურ მოხერხებულობაზეც იყო გათვლილი და რომ არა ხუტლუბულას ვერაგული სვლა, შესაძლებელია, დემეტრე მეფეს მოხერხებინა კიდევ ყაენის დარწმუნება საკუთარ ერთგულებაში.

მაღალი დიპლომატიური აქტიურობით გამოირჩეოდა დემეტრე II-ის უფროსი ძე დავით VIII (1292-1311წწ.), რომელსაც იმთავითვე გაურთულდა ურთიერთობა ილხანთა ხელმწიფესთან ყაზან ყაენტან, რის გამოც იბულებული შეიქნა, ეძებნა მოკავშირეები ჰულაგუიდების სახელმწიფოს წინააღმდეგ. ამ მიზნით მან ოქროს ურდოში ორი ელჩობა მოაწყო: ჯერ ერთი ძმის – ვახტანგ ბაგრატიონის (1297წ.), ხოლო შემდეგ მეორე ძმის – ბაადურ (ბაიდუ) ბაგრატიონის მეთაურობით.⁵ ბა-

¹ **ო. სიხარულიძე.** ქართველი ხალხის ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის XIII-XIV სს. თბ., 1967, გვ. 141; **დ. ნინიძე.** ქართული დიპლომატია XIII საუკუნეში..., გვ. 442-443.

² **ბატონიშვილი ვახუშტი.** აღწერა სამეფოსა საქართველოსა, – „ქართლის ცხოვრება“, ტ. IV. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით **ს. ყაუხჩიშვილის** მიერ. თბ., 1973, გვ. 225-226; **ო. ჯავახიშვილი.** ქართველი ერის ისტორია, წ. III, გვ. 149; **დ. ნინიძე.** ქართული დიპლომატია XIII, გვ. 443.

³ **ო. ჯავახიშვილი.** ქართველი ერის ისტორია, წ. III, გვ. 204-208; **დ. ნინიძე.** ქართული დიპლომატია XIII საუკუნეში..., გვ. 444-448.

⁴ **ლ. ტუხაშვილი.** ნარკვევები ქართული დიპლომატიის ისტორიიდან..., გვ. 271; **დ. ნინიძე.** ქართული დიპლომატია XIII საუკუნეში..., გვ. 246.

⁵ **ჟამთააღმწერელი.** – „ქართლის ცხოვრება“. ტ. II. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით **ს. ყაუხჩიშვილის** მიერ. თბ., 1959, გვ. 302-303; **დ. ნინიძე.** საქართველოს საგარეო პოლიტიკა და დიპლომატია XIII საუკუნის ბოლოსა და XV საუკუნის დამდეგს. – ქართული დიპლომა-

ადურ ბატონიშვილის გაგზავნა დიპლომატიური მისიით გამოწვეული იყო იმით, რომ ამ დროისათვის პირველი ელჩობის ხელმძღვანელი ვახტანგ ბატონიშვილი უკვე დავით VIII-ის გუნდში აღარ იყო და ის საკუთარ პოლიტიკურ თამაშს ეწეოდა, რაც დამთავრდა კიდეც მონღოლების მიერ მისი მეფედ დამტკიცებით (1302წ.). დავით VIII-ის დიპლომატიური მოღვაწეობის მასშტაბებზე მეტყველებს მისი კონტაქტები ეგვიპტესთან. სწორედ მის სახელს უკავშირებენ ახალი ხანის დაწყებას საქართველო-ეგვიპტის ურთიერთობებში.¹

ბაგრატიონ მეფეთა შორის დიპლომატიური მოღვაწეობის თვალსაზრისით ერთ-ერთი გამორჩეული ფიგურა იყო გიორგი V ბრწყინვალე (1318-1346წწ.). ქართულ ისტორიოგრაფიაში გიორგი V-ის დიპლომატიის ხაზი შეფასებულია როგორც „აქტიური ლოდინის ტაქტიკა“, რაც გულისხმობს „საკუთარი ქვეყნის პრობლემების გადაჭრას იმპერიასთან (ე. ი. ილხანთა სახელმწიფოსთან) ლოიალური ტაქტიკის გზით“.² გიორგი V-ის საგარეო-პოლიტიკური და დიპლომატიური აქციებიდან, პირველ რიგში, აღსანიშნავია საქართველო-ეგვიპტის ურთიერთობების გააქტიურება. ცნობილია მის მიერ მოწყობილი ორი ელჩობა ეგვიპტეში 1316/1317 და 1320 წლებში.³ პირველი ელჩობის შედეგად, რომლის ხელმძღვანელი იყო პიპა ქვენიფნეველი, ეგვიპტის სულტანმა საქართველოს მეფეს „მისცნა კლიტენი იერუსალიმისანი“.⁴ მეორე ელჩობის შედეგად კი მიღწეული იქნა შეთანხმება იერუსალიმის ჯვრის მონასტრის ახლად შეკაზმვის შესახებ.⁵

ტიის ისტორიის ნარკვევები, ტ. I. თბ., 1998, გვ. 468-469.

¹ **ბ. სილაგაძე**. მასალები საქართველო-ეგვიპტის ურთიერთობის ისტორიისათვის... გვ. 90. ამის შესახებ დაწვრ. იხ.: **გ. ჯაფარიძე**. არაბი ენციკლოპედისტი იერუსალიმის ჯვრის მონასტრის შესახებ, – „*მაცნე*“, ენისა და ლიტერატურის სერია, №3. თბ., 1985, გვ. 180; *XIV-XV სს. არაბი ისტორიკოსების ცნობები საქართველოს შესახებ*. არაბულიდან თარგმნა, შესავალი, შენიშვნები და საძიებელი დაერთო **დ. გონილიძე** შეილმა. თბ., 1988, გვ. 36-37; **გ. კიკნაძე**. საქართველო XIV საუკუნეში. თბ., 1989, გვ. 43; **დ. ნინიძე**. საქართველოს საგარეო პოლიტიკა და დიპლომატია XIII საუკუნის ბოლოსა და XV საუკუნის დამდეგს, გვ. 477-482.

² **დ. ტუნაშვილი**. ნარკვევები ქართული დიპლომატიის... გვ. 278.

³ **დ. ნინიძე**. საქართველოს საგარეო პოლიტიკა და დიპლომატია XIII საუკუნის ბოლოსა და XV საუკუნის დამდეგს... გვ. 492.

⁴ *ძველი ერისთავთა*. **შ. მესხიას** გამოც., – *მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის*. ნაკვ. 30. თბ., 1954, გვ. 350; **დ. ნინიძე**. საქართველოს საგარეო პოლიტიკა და დიპლომატია XIII საუკუნის ბოლოსა და XV საუკუნის დამდეგს... გვ. 492-493.

⁵ **დ. ნინიძე**. საქართველოს საგარეო პოლიტიკა და დიპლომატია XIII საუკუნის ბოლოსა და XV საუკუნის დამდეგს, გვ. 497.

გიორგი V-ის დროს გამოცოცხლდა დიპლომატიური კონტაქტები დასავლეთ ევროპასთან, რაც აისახა საქართველოს მეფისა და რომის პაპ იოანე XXII-ს (1316-1334წწ.) შორის მიმდინარე მიმოწერაში.¹ როგორც ჩანს, ამ კონსულტაციების შედეგი იყო რომის პაპის მიერ საქართველოში ორი კათოლიკე ეპისკოპოსის: თბილისისა (იოანე ფლორენციელი) და სოხუმის (პეტრე გერალდი) დანიშვნა.² გიორგი V-ს დიპლომატიური კონტაქტები დაუმყარებია საფრანგეთის მეფე ფილიპე VI ვალუასთანაც (XIVს.-ის 30-იან წლებში). დიპლომატიური ინიციატივა მოდიოდა საფრანგეთის მეფის მხრიდან, რომელიც გეგმავდა ეგვიპტის სულტნის წინააღმდეგ ახალ ლაშქრობას და სურდა მასში მონაწილეობა საქართველოს მეფესაც მიეღო. გიორგი V გამოეხმაურა ფილიპე VI-ის ამ მოწოდებას, თუმცა საპასუხო წერილში მრავლისმთქმელი შენიშვნა გააკეთა: „საფრანგეთის ლვთაებრივი ხელმწიფენი ხშირად აღძრავენ აღმოსავლეთის მეფეებს სარკინოზების წინააღმდეგ (საბრძოლველად), მაგრამ (საქმე ისაა, რომ) შემდეგ ისინი აღარ მოდიან, სტოვებენ რა (აღმოსავლეთის მეფეებს) ამ მტანჯველ ომში (მართლდ)“.³ მიუხედავად ამგვარი შენიშვნისა, გიორგი V-მ მაინც გამოთქვა მზადყოფნა და შეუთვალა საფრანგეთის მეფეს, რომ 30000 მეომრით წამოვიდოდა „წმინდა მიწის“ გამოსახსნელად.⁴

გიორგი V-ის თანმიმდევრულმა პოლიტიკამ შედეგი გამოიღო. XIVს. 30-იანი წლებისათვის მან თითქმის ყველა შინაპოლიტიკური პრობლემა მოაგვარა და აღადგინა საქართველოს სახელმწიფოებრივი ერთიანობა, ხოლო XIVს. 30-იანი წლების შუა ხანებისათვის (1327-1335წწ.) ილხანთა უღელიც გადაიგლო.⁵ გიორგი V-ის აქტიურმა საგარეო-პოლიტიკურმა და დიპლომატიურმა მოღვაწეობამ მნიშვნელოვნად აამაღლა საქართველოს სახელმწიფოსა და მისი ლიდერის საერთაშორისო ავტორიტეტი. მეზობელი მაჰმადიანი მმართველები ეპითეტებს არ იშურებდნენ საქართველოს მეფის მიმართ და უწოდებდნენ მას „ლომ-

¹ მ. თამარაშვილი. ისტორია კათოლიკობისა ქართველთა..., გვ. 29-36; ი. ტაბაღუა. საქართველო ევროპის არქივებსა..., გვ. 93-99, 203-213.

² მ. თამარაშვილი. ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის..., გვ. 37-38; ი. ტაბაღუა. საქართველო ევროპის არქივებსა და..., გვ. 93-99, 212-213; ამის შესახებ იხ. აგრეთვე: ვ. კიკნაძე. საქართველოს ისტორიის ევროპული წყაროები, – *მნათობი*, №4. თბ., 1983; ვ. კიკნაძე. საქართველოს საგარეო ურთიერთობების ისტორიიდან, – *მნათობი*, №9. თბ., 1982.

³ ვ. კიკნაძე. საქართველოს ისტორიის ევროპული წყაროები..., გვ. 159.

⁴ ვ. კიკნაძე. საქართველოს ისტორიის..., გვ. 159; დ. ნინიძე. საქართველოს საგარეო პოლიტიკა და დიპლომატია XIII საუკუნის ბოლოსა..., გვ. 505.

⁵ დ. ნინიძე. საქართველოს საგარეო პოლიტიკა და დიპლომატია XIII საუკუნის ბოლოსა და XV საუკუნის დამდეგს, გვ. 508.

გულს“, „საბერძნეთის (იგულისხმება ქრისტიანული სამყარო) მეფეთა შორის რჩეულს“, „ქრისტიანობის განმამტკიცებელს“, „საქრისტიანოს გმირ მესიას“, „ნათლისღებულთა ბურჯს“ და ა.შ.¹

გიორგი ბრწყინვალის უახლოესი მემკვიდრეების: დავით IX-სა (1346-1360წწ.) და ბაგრატ V-ის (1360-1393წწ.) დიპლომატიური მოღვაწეობის შესახებ მცირე რამაა ცნობილი. ინფორმაცია შემოგვრჩა მხოლოდ ცალკეულ დინასტიურ ქორწინებებზე, რომელთა პოლიტიკური დატვირთვა აშკარაა. ესაა დავით IX-ის ასულ გულქანის გათხოვება ტრაპიზონელ უფლისწულზე მანუილზე 1077-1078წწ.² და, რაც მთავარია, „იბერთა“ და „აფხაზთა“ მეფე ბაგრატ ბაგრატიონის (ანუ ბაგრატ V-ის) დაქორწინება (1367წ.) ტრაპიზონის იმპერატორის ასულ ანაზე, რომლის დროსაც ტრაპიზონის კეისარი უშუალოდ მოსულა საქართველოში, კერძოდ, „ლაზიკაში“ „ხმელეთისა და საზღვაო ძალითურთ“.³ ბაგრატ V-ის დროს დასტურდება დიპლომატიური კონტაქტები გენუასთან.⁴

თემურ-ლენგის გამოჩენამ კავკასიასა და წინა აზიაში უაღრესად გაართულა საქართველოს საგარეო-პოლიტიკური მდგომარეობა, რამაც გამოიწვია ბაგრატ V-ის დიპლომატიური გააქტიურება, რომლის მიზანი იყო თემურის წინააღმდეგ ერთიანი ფრონტის შექმნა საქართველოს, ბიზანტიის იმპერიისა და ჯალაირიანთა სახელმწიფოს მონაწილეობით. ამ თვალსაზრისით ყურადღებას ამახვილებენ საქართველოს გავლენიანი დიდებულის ქუცნა ამირეჯიბის სამგზის ელჩობაზე კონსტანტინოპოლში.⁵ ივარაუდება დიპლომატიური კონტაქტების დამყარება ეგვიპტესთან, სადაც ჩასულა „ქართველი უფლისწული“⁶ და თემურ-ლენ-

¹ XIV-XV სს. არაბი ისტორიკოსების ცნობები საქართველოს შესახებ, გვ. 52; დ. ნინიძე. საქართველოს საგარეო პოლიტიკა და დიპლომატია XIII საუკუნის ბოლოსა და XV საუკუნის დამდეგს, გვ. 512.

² მიქაელ პანარეტოსი. ტრაპიზონის ქრონიკა, – „გეოგრაფიკა“, ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ბერძნული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო ს. ყაუხჩიშვილმა, ტ. VII. თბ., 1967, გვ. 207-208; დ. ნინიძე. საქართველოს საგარეო პოლიტიკა და დიპლომატია XIII საუკუნის ბოლოსა და XV საუკუნის დამდეგს, გვ. 512.

³ მიქაელ პანარეტოსი. ტრაპიზონის ქრონიკა., გვ. 201-202; ი. ჯავახიშვილი. ქართველი ერის ისტორია, წ. III., გვ. 276-277.

⁴ Т. Берадзе. Мореплавание и морская торговля в средневековой Грузии. Тб., 1989, გვ. 101; დ. ნინიძე. საქართველოს საგარეო პოლიტიკა და დიპლომატია XIII საუკუნის ბოლოსა და XV საუკუნის., გვ. 513-514.

⁵ დ. ნინიძე. საქართველოს საგარეო პოლიტიკა და დიპლომატია XIII საუკუნის ბოლოსა და XV საუკუნის დამდეგს., გვ. 519-520.

⁶ XIV-XV სს. არაბი ისტორიკოსების ცნობები., გვ. 139-140.

გის მთავარ მეტოქესთან – ოქროს ურდოს ყაენთანაც.¹ ბაგრატ V-ის დიპლომატიური მანევრირება და ერთგვარი ცბიერება გამოვლინდა 1386-1387 წლებში, როდესაც თემურ-ლენგთან განცდილი მარცხის შემდეგ მან, ტყვეობაში ჩავარდნილმა, მოჩვენებითი მაჰმადიანობა მიიღო და თავისი სამსახური შესთავაზა მრისხანე დამპყრობელს. სინამდვილეში კი, როგორც ცნობილია, საქართველოს მეფემ თავის შვილებთან – გიორგის, კონსტანტინესა და დავითთან ერთად თემურის ლაშქრის განადგურების გეგმა შეიმუშავა და სისრულეში მოიყვანა კიდეც.² ვარაუდობენ, რომ ეს ოპერაცია ოქროს ურდოს ყაენთან – თოხთამიშთან იყო შეთანხმებული.³

გიორგი VII-ის (1393-1407წწ.) დიპლომატია, ბაგრატ V-სთან შედარებით, რამდენადმე სწორხაზოვანი ჩანს. ის ფაქტობრივად თემურ-ლენგთან ცალსახა კონფრონტაციის გზას ადგა და ხშირად ვერ ითვალისწინებდა ძალთა თანაფარდობას. ამას ნათლად ადასტურებს თავერ ჯალაირიანის (საქართველოს მეფის მოკავშირე აჰმედ ჯალაირიანის ვაჟის) თემურის ლაშქრის მიერ ალყაშემორტყმული ალინჯის ციხიდან გამოხსნასთან დაკავშირებით ამტყდარი „დიპლომატიური სკანდალი“, რომელსაც საბოლოოდ საქართველოს მორიგი აოხრება და „შამქორის ზავის“ (1401წ.) იძულებითი დადება მოჰყვა.⁴ ამ ზავის შემოქმედად მიჩნეულია კონსტანტინე ბატონიშვილი, რომელიც, როგორც შემდგომ გამოჩნდა, არ იზიარებდა თავისი გვირგვინოსანი ძმის შეურიგებელ კურსს და თემურ-ლენგთან შეთანხმების მომხრე იყო.⁵ 1402წ. კონსტანტინე ბატონიშვილი ღიად გაემიჯნა გიორგი VII-ის მიერ „შამქორის ზავის“

¹ ი. ჯავახიშვილი. ქართველი ერის ისტორია, წ. III., გვ. 281; დ. ნინიძე. საქართველოს საგარეო პოლიტიკა და დიპლომატია XIII საუკუნის ბოლოსა და XV საუკუნის დამდეგს..., გვ. 521-522.

² თომა მეწოფეცი. ისტორია თემურ-ლენგისა და მისი შთამომავლობისა. ძველი სომხურიდან თარგმნა, შესავალი და კომენტარები დაურთო **კ. კუციამ**. თბ., 1987, გვ. 24-25; ახალი ქართლის ცხოვრება. – „ქართლის ცხოვრება“. ტ. II. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით **ს. ყაუხჩიშვილის** მიერ. თბ., 1959, გვ. 330, 456.

³ **კ. ტაბატაძე**. ქართველი ხალხის ბრძოლა უცხოელ დამპყრობთა წინააღმდეგ XIV-XV საუკუნეების მიჯნაზე, – საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. III. თბ., 1979, გვ. 684.

⁴ **კ. ტაბატაძე**. ქართველი ხალხის ბრძოლა..., გვ. 684; დ. კაციტაძე. საქართველო XIV-XV საუკუნეთა მიჯნაზე. თბ., 1975, გვ. 142-144, 179; დ. ნინიძე. საქართველოს საგარეო პოლიტიკა და დიპლომატია XIII საუკუნის ბოლოსა და XV საუკუნის დამდეგს..., გვ. 530-540.

⁵ დ. კაციტაძე. ეპიზოდი XV ს. დასაწყისის საქართველოს ისტორიიდან, – *ცისკარი*, №12, თბ., 1972, გვ. 121; დ. ნინიძე. საქართველოს საგარეო პოლიტიკა და დიპლომატია XIII საუკუნის ბოლოსა და..., გვ. 538-540.

დარღვევას და უკვე საკუთარი ინიციატივით ეწვია თემურ-ლენგს, რომელმაც მას „ხალათი, გვირგვინი და ხმლები უბოძა“.¹ მიუხედავად ამისა, კონსტანტინე ბატონიშვილმა მაინც არ გასწირა ძმა და მას თემურის საქართველოში მოსალოდნელი ლაშქრობის შესახებ აცნობა,² თუმცა ამ დიპლომატიურმა სვლებმა შედეგი ვერ გამოიღო – საქართველოს ხელისუფლებამ მაინც ვერ შესძლო 1403 წლის შემოსევის აღკვეთა. დამარცხებული გიორგი VII კვლავ იძულებული გახდა დათანხმებოდა თემურის მიერ წამოყენებულ საზავო პირობებს და ეცნო მისი უზენაესობა, რითაც ფაქტობრივად დასრულდა საქართველო-თემურიანთა თითქმის 20-წლიანი კონფრონტაცია.

თემურ-ლენგის გარდაცვალების შემდეგ (1405წ.) ბაგრატიონი მეფეების – გიორგი VII-ის, კონსტანტინე I-ის (1407-1411წწ.) და ალექსანდრე I დიდის (1412-1442წწ.) მთავარი საზრუნავი თურქმანული გაერთიანებების (პირველ რიგში, ყარა-ყონილუს) ნეიტრალიზება იყო, რის გამოც იყო მცდელობები თემურ-ლენგის ვაჟთან – შაჰროჰთან სამოკავშირეო ურთიერთობების დამყარებისა. ცნობილია, რომ 1435წ. ამ მიზნით ალექსანდრე I-მა თავისი ძე დემეტრე ბატონიშვილი საგანგებო დიპლომატიური მისიით მიავლინა შაჰროჰის კარზე, რომელიც წარმატებით დასრულდა.³ ალექსანდრე I-ის მოღვაწეობას უკავშირდება დიპლომატიური კონტაქტების განახლება ეგვიპტესთან, რომელიც ფორმალურად „წმინდა ადგილების“ საკითხის ირგვლივ კონსულტაციებს ეძღვნებოდა,⁴ თუმცა ამ კონტაქტების დროს, როგორც ჩანს, სხვა მნიშვნელოვანი „სამეფო საქმეებიც“ ირჩეოდა.⁵ ალექსანდრე I-ს ახლო ურთიერთობები ჰქონია ტრაპიზონის იმპერიასთან, რომელიც შემდგრებული ყოფილა დინასტიური ქორწინებებით: ტრაპიზონის იმპერატორი იოანე IV კომნენოსი დაქორწინებული ყოფილა ალექსანდრე I-ის ასულზე.

¹ დ. ნინიძე. საქართველოს საგარეო პოლიტიკა და დიპლომატია XIII საუკუნის ბოლოსა და XV საუკუნის დამდეგს..., გვ. 538-539.

² დ. ნინიძე. საქართველოს საგარეო პოლიტიკა და დიპლომატია XIII საუკუნის ბოლოსა და XV საუკუნის დამდეგს..., გვ. 542-543.

³ ბატონიშვილი ვახუშტი. აღწერა..., გვ. 280-281; დ. ნინიძე. საქართველოს სახელმწიფო საერთაშორისო ურთიერთობებში XVს. I ნახევარში, – *ქართული დიპლომატიის ისტორიის ნარკვევები*. ტ. 2. თბ., 1998, გვ. 16.

⁴ დ. ნინიძე. საქართველოს სახელმწიფო საერთაშორისო ურთიერთობებში XVს. I ნახევარში..., გვ. 18-19.

⁵ გ. ჯაფარიძე. დიპლომატიური კონტაქტები საქართველოსა და ეგვიპტეს შორის XIV-Vსს-ის დასაწყისში იერუსალიმში აღმოჩენილი არაბული დოკუმენტების მიხედვით, – *ქართული დიპლომატია*. წელიწდეული, ტ. 1. თბ., 1994, გვ. 212-216; დ. ნინიძე. საქართველოს სახელმწიფო საერთაშორისო ურთიერთობებში XVს. I ნახევარში..., გვ. 20;

აღსანიშნავია, რომ იოანე IV ტახტისათვის ბრძოლისას, ერთი პერიოდი თურმე საქართველოს აფარებდა თავს.¹

აღექსანდრე I დიდის დიპლომატიის დაინტერესების არეალში კათოლიკური ევროპაც მოექცა. 1438-1439წწ. საქართველოს ეკლესიის დელეგაციამ, რომლის შემადგენლობაში, მაღალ სამღვდლო პირთა გვერდით, მეფის ელჩიც (როგორც ჩანს, საგანგებო რწმუნებებით აღჭურვილი საერო პირი) იყო, მონაწილეობა მიიღო ფერარა-ფლორენციის საეკლესიო კრების მუშაობაში.² როგორც ცნობილია, რომის პაპ ევგენი IV-ის ინიციატივით მოწვეული ამ თავყრილობის მიზანი ვატიკანის ჰეგემონობით კათოლიკური და მართლმადიდებლური ეკლესიების გაერთიანება იყო, რის წინააღმდეგაც საქართველოს დელეგაცია გამოსულა. აღსანიშნავია, რომ ამ კრების მსვლელობისას რომის პაპს კონფიდენციალური შეხვედრა ჰქონია საქართველოს მეფის ელჩთან, რომლის დროსაც ცდილა ზეგავლენა მოეხდინა ქართული დელეგაციის პოზიციაზე, მაგრამ რომის პაპის ამ მონღომებას უშედეგოდ ჩაუვლია.³ ისტორიოგრაფიაში საგანგებოდაა შენიშნული, რომ ფერარა-ფლორენციის საეკლესიო კრებაზე გამგზავრება იყო პირველი ქართული ოფიციალური დიპლომატიური მისია დასავლეთ ევროპაში.⁴

საქართველოს ევროპული დიპლომატია კიდევ უფრო მრავალფეროვანი და მასშტაბური გახდა გაერთიანებული საქართველოს უკანასკნელი მეფის გიორგი VIII-ის მმართველობის პერიოდში (1446-1466წწ.). ამ თვალსაზრისით, პირველ რიგში, ყურადღებას იპყრობს ქართველ მეფე-მთავართა უპრეცედენტო ერთობლივი დიპლომატიური მისია დასავლეთ ევროპაში (1460-1461წწ.), რომლის მთავარ ამოცანას ფართო ანტიოსმალური კოალიციის შექმნა წარმოადგენდა.⁵ სრულიად აშკარაა, რომ ამ კოალიციის შექმნის ერთ-ერთი მთავარი ინიციატორი გიორგი

¹ დ. ნინიძე. საქართველოს სახელმწიფო საერთაშორისო ურთიერთობებში XVს. I ნახევარში., გვ. 25.

² ო. შუშუნაძე. XVს. პირველი ნახევრის საქართველოს საგარეო პოლიტიკის ისტორიისათვის. *ქართული სამეფო-სამთავროების საგარეო პოლიტიკის ისტორიიდან*. I. თბ., 1970, გვ. 5-71. დ. ნინიძე. საქართველოს სახელმწიფო საერთაშორისო ურთიერთობებში XVს. I ნახევარში., გვ. 25-35.

³ ო. შუშუნაძე. XVს. პირველი ნახევრის საქართველოს., გვ. 18-20.

⁴ ლ. ტარდი. უნგრეთ-საქართველოს ურთიერთობა XVI საუკუნეში. თბ., 1980, გვ. 16-17.

⁵ ი. ჯავახიშვილი. ქართველი ერის ისტორია, ტ. IV. თბ., 1967, გვ. 64-72; დ. ნინიძე. ევროპაში ანტიოსმალური კოალიციის შექმნის ცდები და საქართველო. – *ქართული დიპლომატიის ისტორიის ნარკვევები*, ტ. 2. თბ., 1998, გვ. 46-58. ამის შესახებ იხ. აგრეთვე: დ. პაიჭაძე. ევროპის ქვეყნების ანტიოსმალური კოალიცია და საქართველო XVს. 60-იან წლებში. თბ., 1989.

VIII იყო. ეს იყო საქართველოს მეფის მეორე ცდა, წინ აღდგომოდა ოსმალ-თურქთა ექსპანსიას. მანამდე (XV ს. 40-იან წლებში) ის ცდილობდა ბიზანტიის უკანასკნელ იმპერატორ კონსტანტინე XI-სთან სამხედრო-პოლიტიკური კავშირის შეკვრას, რომელიც ღინასტიური ქორწინებით უნდა განმტკიცებულიყო,¹ მაგრამ უშედეგოდ. ქართველ მეფეთაგანთა დიპლომატიური მისია, რომლის შემადგენლობაში, სხვებთან ერთად, მონაწილეობდა ბაგრატიონთა სახლის კიდევ ერთი წარმომადგენლის – „იბერთა“ მეფე ბაგრატის (შემდგომში ქართლ-იმერეთის მეფე ბაგრატ VI) ელჩიც, შეხვდა დასავლეთ ევროპის სხვადასხვა სახელმწიფოთა ლიდერებს – რომის პაპ პიუს II-ით დაწყებული საფრანგეთის მეფეებით შარლ VII-ითა და ლუი XI-ით დამთავრებული, მაგრამ ამ შეხვედრებს და გამართულ დიპლომატიურ კონსულტაციებს რაიმე კონკრეტული შედეგი არ მოჰყოლია და ანტიოსმალური კოალიციის შექმნის მცდელობა ჩაიფუშა.

ევროპული დიპლომატიის ხელახალი გააქტიურება დაკავშირებულია კონსტანტინე II-ის (1478-1505წწ.) მოღვაწეობასთან, რომელმაც ჯერ კიდევ 1471წ. თეთრბატკნიანთა სახელმწიფოს (ალ-ყონლუ) მეთაურთან უზუნ-ჰასანთან ერთად მოაწყო ელჩობა ვენეციაში ანტითურქული კოალიციის შესაქმნელად ნიადავის მოსინჯვის მიზნით.² ამავე პერიოდში ევროპაში საქართველოდან მეორე ელჩობაც ჩასულა, რომლის ინიციატორად კახეთში დამკვიდრებულ გაერთიანებული საქართველოს უკანასკნელ მეფე გიორგი VIII-ს მოიაზრებენ.³ ევროპელებთან დიპლომატიური კონტაქტები ჰქონდა ბაგრატ VI-საც.⁴

კონსტანტინე II-ის დიპლომატიური აქციებიდან ყველაზე მასშტაბურად მანც უნდა ჩაითვალოს ელჩი ნილო (ნილოსი) მონაზონის დიპ-

¹ გიორგი სვრანძე. – გეორგიკა. ტ. VIII. ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ბერძნული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო ს. ყაუხჩიშვილმა. თბ., 1970, გვ. 63-87.

² ე. მამისტვალიშვილი. საქართველოს საგარეო პოლიტიკური ურთიერთობანი XV ს. მეორე ნახევარსა და XVI საუკუნეში. ევროპული წყაროების მიხედვით. თბ., 1981, გვ. 63-64; დ. ნინიძე. XV საუკუნის II ნახევრის ქართული დიპლომატია, – ქართული დიპლომატიის ისტორიის ნარკვევები, ტ. 2. თბ., 1998, გვ. 61.

³ ე. მამისტვალიშვილი. საქართველოს საგარეო პოლიტიკური..., გვ. 64-65; დ. ნინიძე. XV საუკუნის II ნახევრის ქართული დიპლომატია..., გვ. 62-63.

⁴ XV ს. იტალიელ მოგზაურთა ცნობები საქართველოს შესახებ. იტალიურიდან თარგმნა, შესავალი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ე. მამისტვალიშვილმა. თბ., 1981, გვ. 53; ი. დავითაშვილი. XV საუკუნის II ნახევრის იტალიელი მოგზაურები საქართველოს შესახებ (ამბროჯო კონტარინი), – საქართველოს ურთიერთობა ევროპისა და ამერიკის ქვეყნებთან, I. თბ., 1994, გვ. 251-252.

ლომატიური მისია ჯერ ეგვიპტეში (1493-1495წწ.), მოგვიანებით კი (1495წ.) – ესპანეთში, სადაც ის ჩავიდა პოლონეთის გავლით.¹ კონსტანტინე II-მ ესპანეთის ხელისუფლებას ოსმალეთის წინააღმდეგ ერთობლივი მოქმედების საკმაოდ გააზრებული გეგმა შესთავაზა, რომელიც ახლო აღმოსავლეთში შექმნილი მდგომარეობის ჭკვიანურად მოფიქრებულ ანალიზს ემყარებოდა,² მაგრამ ოფიციალური მადრიდი ქართლის მეფის ინიციატივას მხოლოდ დიპლომატიურად გამოეხმაურა და რეალური მოქმედებებისაგან თავი შეიკავა. ასევე უშედეგოდ დამთავრდა ელჩ ნილოს ვიზიტი რომის პაპ ალექსანდრე VI-ის (1492-1503) კარზე.

XVს. 60-იანი წლებიდან, მას მერე, რაც გაერთიანებული საქართველოს უკანასკნელი მეფე გიორგი VIII კახეთში გადავიდა, სადაც სათავე დაუდო ბაგრატიონთა სამეფო სახლის კახეთის შტოს, ერთიანი ქართული სახელმწიფო ფაქტობრივად დაიშალა. ეს მოვლენა ოფიციალურად დაადასტურა 1490წ. კონსტანტინე II-ის მიერ საგანგებოდ შეკრებილმა დარბაზმა, რომელმაც უარი თქვა საქართველოს გაერთიანებისათვის შემდგომი ბრძოლის გაგრძელებაზე.³ ამ დროისათვის უკვე რეალურად ფუნქციონირებდა ბაგრატიონთა სამი დამოუკიდებელი სახლი: ქართლის, კახეთის და იმერეთის. თითოეული მათგანი დამოუკიდებელ საგარეო-პოლიტიკურ და დიპლომატიურ საქმიანობას ეწეოდა. აქედან გამომდინარე, ბაგრატიონთა სხვადასხვა შტოს წარმომადგენლები მხოლოდ იშვიათ შემთხვევებში თუ ახერხებდნენ შეთანხმებულად მოქმედებას საერთაშორისო არენაზე.

XVI საუკუნიდან საქართველოს საგარეო-პოლიტიკური მდგომარეობა უკიდურესად გაუარესდა. მის მეზობლად ერთბაშად წამოიჭიმა ორი უძლიერესი მაჰმადიანური სახელმწიფო: ოსმალეთის იმპერია და სეფევიდების ირანი, რომლებმაც იმთავითვე ერთ-ერთ პრიორიტეტულ საგარეო-პოლიტიკურ ამოცანად კავკასიაზე გაბატონება დაისახეს. ასეთ ვითარებაში ბაგრატიონ მეფეთა მთელი დიპლომატიური საქმიანობა მიმართული იყო ამ ორ ძალას შორის არსებული წინააღმდეგობების თავიანთ სასარგებლოდ მაქსიმალურად გამოყენებისაკენ. ასე, მაგალითად:

¹ ეს არ იყო პირველი შემთხვევა კონსტანტინე II-ის დიპლომატების პოლონეთში ყოფნისა და პოლონეთის სამეფო კარზე მათი უმაღლეს დონეზე მიღებისა. ჯერ კიდევ 1471წ. იქ იმყოფებოდნენ ვენეციაში მიმავალი ელჩებიც, რომელთაც შეხვედრა ჰქონდათ კაზიმეჟ IV-თან. ამის შესახებ იხ.: **ო. ცინცაძე**, მასალები პოლონეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან XV-XVIII სს. თბ., 1966; **ო. ტაბუცაძე**, საქართველო-პოლონეთის ურთიერთობის ისტორიიდან XV-XVII საუკუნეებში, – *მაცნე*, ისტორიის... სერია, №2. თბ., 1991, გვ. 112-113.

² **ე. მამისთვალიშვილი**, საქართველოს საგარეო პოლიტიკური..., გვ. 97.

³ **ბატონიშვილი ვახუშტი**, აღწერა სამეფოსა საქართველოსა..., გვ. 390.

ქართლის მეფე ლუარსაბ I (1527-1556წწ.), რომელიც ირანის მრისხანე შაჰის თამაზ I-ის პერმანენტულ ზეწოლას განიცდიდა, დროდადრო ცდილობდა თურქეთზე ორიენტაციის აღებას. ცნობილია, მაგალითად, რომ მან 1540წ. ელჩი გაუგზავნა ოსმალეთის სულტანს სულეიმან I-ს და მას ირანის წინააღმდეგ გამოსვლა შესთავაზა.¹ თავის მხრივ, იმერეთის მეფე ბაგრატ III (1510-1565წწ.), რომლისთვისაც მთავარ საფრთხეს ოტომანთა იმპერია წარმოადგენდა, ორჯერ (1541წ. და 1547წ.) შეხვდა შაჰ-თამაზს და ითხოვა მისი მხარდაჭერა.² გარკვეულ დიპლომატიურ აქტიურობას ოსმალეთის წინააღმდეგ ლევან კახთა მეფეც ცდილობდა. ამ მიზნით მას 1529წ. დიპლომატიური კონტაქტები ჰქონდა ავსტრიის ერცჰერცოგ ფერდინანდ I-ის ელჩებთან პეტრო დე ნეგროსა და სიმონ დე ლილთან.³ ამ პერიოდში კათოლიკურ ევროპასთან დაკავშირების ცდები ლუარსაბ I-საც ჰქონია, რომელსაც 1545წ. მიუღია რომის პაპ პავლე III-ის წერილი.⁴

დიპლომატიური კონტაქტები დასავლეთ ევროპასთან უფრო აქტიური გახდა XVII. 90-იან წლებში. ეს დაკავშირებული იყო სიმონ I-ის ანტიოსმალურ აქციებთან. ევროპა შეამფოთა 1590წ. სტამბოლში ირან-ოსმალეთს შორის დადებულმა საზავო ხელშეკრულებამ, რომელმაც ფაქტობრივად დააფიქსირა ოსმალეთის სრული გაბატონება აღმოსავლეთში. დაიწყო კონსულტაციები ახალი ანტიოსმალური კოალიციის შესაქმნელად, რომელშიც ქართლის მეფის სიმონ I-ის მონაწილეობაც იყო დაგეგმილი. ცნობილია, რომ ქართლის მეფემ მიიღო გერმანიის იმპერატორ რუდოლფ I-ისა და რომის პაპ კლიმენტი VIII-ის წერილები, ხოლო სიმონ I-მა თვითონაც გაუგზავნა წერილები ერთ-ერთ შესაძლო მოკავშირეს – ესპანეთის მეფე ფილიპე II-ს.⁵ მაგრამ ამ მი-

¹ ლ. ტარდი. უნგრეთ-საქართველოს ურთიერთობა XVI საუკუნეში., გვ. 51; გ. საითიძე. ქართველი ხალხის ბრძოლა ქვეყნის მთლიანობის აღდგენისათვის XVIს. I ნახევარში და მისი დიპლომატიური უზრუნველყოფა. – ქართული დიპლომატიის ისტორიის ნარკვევები, ტ. 2. თბ., 1998, გვ. 105.

² ბატონიშვილი ვახუშტი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა., გვ. 812; გ. საითიძე. ქართველი ხალხის ბრძოლა., გვ. 106-108.

³ ლ. ტარდი. უნგრეთ-საქართველოს ურთიერთობა XVI საუკუნეში., გვ. 45-46; ე. მამისთვალიშვილი. საქართველოს საგარეო პოლიტიკური ურთიერთობანი., გვ. 134; გ. საითიძე. ქართველი ხალხის ბრძოლა., გვ. 103-104.

⁴ მ. თამარაშვილი. ისტორია., გვ. 71-73; ი. ტაბაღუა. საქართველო ევროპის., გვ. 232-233; გ. საითიძე. ქართველი ხალხის., გვ. 107-108.

⁵ მ. თამარაშვილი. ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის., გვ. 77; გ. გაბაშვილი. ქართული დიპლომატიის ისტორიიდან. – მხალეები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის. ნაკვ. 31. თბ., 1954, გვ. 94; ი. ტაბაღუა. საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნსაცავებში., გვ. 223; დ. კაციტაძე. ირან-ოსმალეთის ომები და საქართველო XVIIს. II ნახევარში. – ქართული დიპლომატიის ისტორიის ნარკვევები, ტ. 2. თბ., 1998, გვ. 124-125.

მოწერას რაიმე შედეგი არ მოჰყოლია და ანტიოსმალური კოალიციის შექმნის მორიგი მცდელობა ასევე ჩაიშალა.

XVI საუკუნეში ბაგრატიონი მეფეებიდან დიპლომატიური მანევრირებით განსაკუთრებით გამოირჩეოდნენ კახეთის მეფეები. მათი დიპლომატია ძირითადად ფრთხილი, დათმობითი იყო. მაშინ, როდესაც ქართლის მეფეები – დავით X, ლუარსაბ I და სიმონ I – აქტიურ წინააღმდეგობას უწევდნენ უცხოელ დამპყრობლებს, კახეთის ლიდერები მათთან მორიგებას ამჯობინებდნენ. ამ პოლიტიკას საფუძველი ჩაუყარა ალექსანდრე I-მა (1476-1511წწ.), რომელმაც ჯერ კიდევ 1500წ. ირანის მბრძანებელ ისმაილ I-ს შირვანში აახლა თავისი ძე დიმიტრი „ძღუენითა დიდითა“ და მორჩილება განუცხადა მას.¹

იგივე გააკეთა ლევან კახთა მეფემაც 1555წ. ამასიის ზავის შემდეგ, როდესაც, განსხვავებით ლუარსაბ-სიმონისაგან, რომელთაც აქტიური წინააღმდეგობა გაუწიეს ირანელებს, თავისი ვაჟი იესე ბატონიშვილი წარგზავნა შაჰ-თამაზის კარზე და ამით დაუმტკიცა ერთგულება ირანის შაჰს.² კრიტიკულ სიტუაციაში ანალოგიურად მოქცა ალექსანდრე II-ც (1574-1605წწ.), რომელმაც 1578წ. სრული მორჩილება გამოუცხადა ამიერკავკასიაში მოსულ ოსმალთა სარდალს – მუსტაფა ლალაფაშას.³ მოგვიანებით კი, როდესაც ირანმა შეძლო მდგომარეობის რამდენადმე გამოსწორება, ალექსანდრე II-მ ზურგი აქცია ოსმალებს და ერთგულების ნიშნად შაჰის კარზე თავისი უმცროსი ვაჟი კონსტანტინე მძევლად გაგზავნა.⁴ რასაკვირველია, არ შეიძლება იმის თქმა, რომ ალექსანდრე II-ის ეს დიპლომატიური მანევრები მთლად გამართლებული არ იყო. როგორც სავსებით სწორად მიუთითებდა აკად. ნ. ბერძენიშვილი, კახეთის მეფე მართლაც „იშვიათი სიზუსტით ერკვეოდა ამიერკავკასიაში მოქმედ მოწინააღმდეგე ძალთა შეფასებაში და... ძლიერთა ომში აქტიური ჩარევა შეცდომად მიაჩნდა“. სწორედ ამგვარი ფრთხილი პოლიტიკის წყალობით მოახერხა მან ის, რომ 24 წლის მანძილზე „არც ერთხელ ირანისა და ოსმალთა დამპყრობლები კახეთში არ შესულან... ალექსანდრე მეფეს „რაინდული“ არა ეცხო რა. ის ცივი ანგარიშის კაცი იყო“.⁵

¹ ბატონიშვილი ვახუშტი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა..., გვ. 569.

² დ. კაციტაძე. ირან-ოსმალეთის ომები და საქართველო..., გვ. 121.

³ მ. სვანიძე. საქართველო-ოსმალეთის ურთიერთობის ისტორიიდან XVI-XVII საუკუნეებში. თბ., 1971, გვ. 116; ნ. ასათიანი. ქართულ-რუსული დიპლომატიური კონტაქტები XV საუკუნის II ნახევარში, – ქართული დიპლომატიის ისტორიის ნარკვევები, ტ. 2. თბ., 1998, გვ. 133.

⁴ ნ. ასათიანი. ქართულ-რუსული დიპლომატიური კონტაქტები..., გვ. 134.

⁵ ნ. ბერძენიშვილი. საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ. VI. თბ., 1971, გვ. 194; ნ. ასათიანი. ქართულ-რუსული დიპლომატიური..., გვ. 132.

კახეთის ბაგრატიონებს ეკუთვნით პრიორიტეტი რუსეთთან აქტიური დიპლომატიური კონტაქტების დამყარებაში. პირველი ქართველი დინასტი, რომელმაც კავშირი დაამყარა მოსკოვის სახელმწიფოსთან, კახეთის მეფე ალექსანდრე I იყო, რომელსაც ოფიციალური მიმოწერა ჰქონდა დიდ მთავარ ივანე III-თან.¹ ქართულ-რუსული პოლიტიკურ-დიპლომატიური ურთიერთობების ახალი ეტაპი დაკავშირებულია ლევან კახთა მეფის მოღვაწეობასთან,² რომლის დროსაც გადაიდგა პირველი რეალური ნაბიჯები ორ სახელმწიფოს შორის სამხედრო-პოლიტიკური თანამშრომლობის გზაზე. კერძოდ, დაახლოებით 1562-1563 წლებში რუსთა რაზმი მდგარა კახეთის სანაპირო ციხეებში, ყაზი-ყუმუხის საშამხლოს საზღვართან.³ 1587წ. კი დაიღო პირველი ოფიციალური ხელშეკრულება – „ფიცის წიგნი“, ხოლო 1589წ. რუსეთის მეფე თევდორე ივანეს ძემ „წყალობის სიგელი“ უბოძა კახეთის მეფე ალექსანდრე II-ს. ამ დოკუმენტებით ქართულ პოლიტიკურ სამყაროში რუსეთი პირველად შემოვიდა როგორც ქვეყანა, რომელიც აცხადებდა პრეტენზიას ერთ-ერთი ქართული სახელმწიფოს – კახეთის სამეფოს მფარველობაზე.⁴ ერთი შეხედვით, ეს ალექსანდრე II-ის მნიშვნელოვანი დიპლომატიური გამარჯვება იყო, მაგრამ, როგორც მოვლენების შემდგომმა განვითარებამ დაადასტურა, ეს ნაბიჯი და შემდგომი დიპლომატიური კონტაქტები „ერთმორწმუნე“ რუსეთთან მთლად კარგად გათვლილი არ აღმოჩნდა და, საბოლოოდ, როგორც ცნობილია, ალექსანდრე II-ის სახლისათვის სრული კატასტროფით დამთავრდა: მრისხანე შაჰ-აბასმა არ აპატია ალექსანდრე II-ს „ორმაგი თამაში“ და ცბიერი კახეთის მეფე და მისი ვაჟი გიორგი ფაქტობრივად რუსეთის ელჩების თვალწინ მოაკვლევინა (1605წ.) გამაჰმადიანებულ კონსტანტინე ბატონიშვილს.⁵

¹ **ბ. ასათიანი, ლ. ალექსიძე.** პირველი ქართული ელჩობა მოსკოვში 1483 წელს, – გაზ.: „კომუნისტი“, 1983, №206

² **ლ. ალექსიძე.** საქართველო-რუსეთის საერთაშორისო-სამართლებრივი ურთიერთობა XV-XVIII საუკუნეებში. თბ., 1983, გვ. 41-56; **ბ. ასათიანი.** ქართულ-რუსული დიპლომატიური კონტაქტები..., გვ. 130.

³ **ბ. ასათიანი.** ქართულ-რუსული დიპლომატიური კონტაქტები..., გვ. 130-131.

⁴ **ბ. ასათიანი.** ქართულ-რუსული დიპლომატიური კონტაქტები..., გვ. 141.

⁵ **С. А. Белокуров.** Сношения России с Кавказом, вып. I, 1578-1613гг. М., 1889, გვ. 483-485; *ისქანდერ მუნშის ცნობები საქართველოს შესახებ.* ქართულად თარგმნა და სპარსულ ტექსტთან ერთად გამოსცა **გ. ფუთურიძე.** თბ., 1969, გვ. 48; **ივ. ჯავახიშვილი.** ქართველი ერის ისტორია, ტ. IV..., გვ. 334; **ბერძენიშვილი.** რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან XVI-XVII საუკუნეთა მიჯნაზე. – წგნ.: **ბ. ბერძენიშვილი.** საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ. IV. თბ., 1967, გვ. 134-135.; **გ. ჯამბურია.** ირან-ოსმალეთის ომი და ქართლ-კახეთის სამეფოები. – *საქართველოს ისტორიის ნარკვევები*, ტ. IV. თბ., 1974, გვ. 350; **დ. კაჭარავა.** ქართული დიპლომატია XVII საუკუნეში. – *ქართული დიპლომატიის ისტორიის ნარკვევები*, ტ. 2. თბ., 1998, გვ. 144-145.

საკუთრივ მეფეების გარდა, დიპლომატიურ ასპარეზზე აქტიურობით გამოირჩეოდნენ ბაგრატიონთა საგვარეულოს სხვა წარმომადგენლებიც, პირველ რიგში, უფლისწულები, რომლებიც ასრულებდნენ ცალკეულ დიპლომატიურ დავალებებს. ერთ-ერთი მათგანი იყო გიორგი X-ის ასული გულჩორა, რომელიც ქართლის სამეფო კარმა XVIII ს. დამდეგს საგანგებო დიპლომატიური მისიით გააგზავნა სტამბოლში, რათა იქ ეწარმოებინა მოლაპარაკებები ოსმალეთის ხელისუფლებასთან თავისი დიდი პაპის – სიმონ I-ის ტყვეობიდან გამოხსნასთან დაკავშირებით. სტამბოლში გულჩორამ მოხიბლა სულტნის დედა და იმდენად დაუახლოვდა მას, რომ სულტანმა, დედის რეკომენდაციით, ის შაჰ-აბასთან ელჩად მიაგვლინა. ცნობილია, რომ სულტან აჰმედ I-სა და ირანის შაჰს შორის დიპლომატიური კონსულტაციები დაზავებასთან (1606წ.) დაკავშირებით სწორედ ქართველი პრინცესას მეშვეობით მიმდინარეობდა. მნიშვნელოვანია მისი წვლილი ირან-ოსმალეთის 1612წ. სტამბოლის საზავო ხელშეკრულების დადებაშიც.¹

XVII საუკუნეში ბაგრატიონ მეფეთაგან დიპლომატიური აქტიურობის თვალსაზრისით, პირველ რიგში, აღსანიშნავია თეიმურაზ I-ის მოღვაწეობა. თეიმურაზ ბაგრატიონი, როგორც ცნობილია, კახეთის სამეფო ტახტზე შაჰ-აბას I-მა 1606წ. დაამტკიცა. ამ დროიდან მოყოლებული სწორედ თეიმურაზ მეფის ირგვლივ ტრიალებდა ძირითადად პოლიტიკური მოვლენები როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოში. თეიმურაზ I, რომლის უმთავრეს პოლიტიკურ ამოცანას ირანის ქვეშევრდომობიდან თავის დაღწევა წარმოადგენდა, განუწყვეტლივ მოკავშირეთა ძიებაში იყო. პირველ ეტაპზე ის იმელებს ოსმალეთზე ამყარება, მაგრამ მისმა არაერთგზისმა მცდელობამ, მათ შორის კონსტანტინოპოლში ვიზიტმა და იქ ოსმალეთის ხელისუფლებასთან გამართულმა მოლაპარაკებებმა სასურველი შედეგი ვერ გამოიღო.²

პარალელურად, თეიმურაზ I-მა განაახლა კონტაქტები რუსეთის სახელმწიფოსთან. 1618წ. და 1623წ. მან ორი ელჩობა მოაწყო მოსკოვში, მაგრამ ამ ეტაპზე თეიმურაზ I-ის დიპლომატიურმა მანევრებმა ვერავითარი შედეგი ვერ გამოიღეს. უფრო მეტიც, ამან შაჰ-აბასის უკიდურესი გაღიზიანება გამოიწვია და მან, როგორც ცნობილია, ჯავრი თეიმურაზ I-ის ვაჟებზე და დედაზე – ქეთევან დედოფალზე იყარა. ეს იყო თეიმურაზ I-ის დიპლომატიის სრული კრაზი ირანთან მიმართებაში. ჩვენი აზრით, სავსებით სწორია თვალსაზრისი, რომ თეიმურაზ I-ის პო-

¹ მ. სვანიძე. საქართველო-ოსმალეთის ურთიერთობის..., გვ. 238-250.

² მ. სვანიძე. საქართველო-ოსმალეთის..., გვ. 116-120; მ. სვანიძე. საქართველო-ოსმალეთის ისტორიის ნარკვევები. XIV-XVIII სს. თბ., 1989, გვ. 113-155.

ლიტიკასა და დიპლომატიას აკლდა მისი პაპის ალექსანდრე II-ის მოქნილობა და ჭკუამახვილობა.¹ მართალია, 1625წ. სამხედრო კამპანიის (მარტყოფის კატასტროფა, მარაბდა და ა.შ.) შედეგებმა ირანის შაჰი იძულებული გახდა გადაესინჯა დამოკიდებულება თეიმურაზ I-ისადმი და ეცნო ის ქართლ-კახეთის ქრისტიან მეფედ,² მაგრამ ეს იმ დროს აღმოსავლეთ საქართველოში შექმნილმა სამხედრო-პოლიტიკურმა ვითარებამ განაპირობა და არა თეიმურაზ მეფის წარმატებულმა დიპლომატიამ.

თეიმურაზ I-ის დიპლომატიურ მოღვაწეობაში სრულიად განსაკუთრებული ადგილი უკავია მის მიერ 1626წ. დასავლეთ ევროპაში საგანგებო დიპლომატიური მისიით ნიკოლოზ ჩოლოყაშვილის, იგივე ნიკიფორე ირბახის გაგზავნას, რომელმაც ესპანეთის მეფეს ფილიპე IV-სა და რომის პაპ ურბან VIII-ს გადასცა ქართლ-კახეთის მეფის წერილები. ელჩობამ დასახულ მიზანს – ირანისა,³ თუ თურქეთის⁴ წინააღმდეგ კოალიციის შექმნას ვერ მიაღწია, მაგრამ მას მაინც ჰქონდა გარკვეული მნიშვნელობა თეიმურაზ I-ის საერთაშორისო აღიარებისათვის. XVIIს. 30-იანი წლების შუა ხანებიდან თეიმურაზ I-მა კვლავ განაახლა დიპლომატიური კონტაქტები რუსეთთან, რაც 1639წ. მისი რუსეთის მეფის ერთგულებაზე დაფიცვით დასრულდა.

40-იან წლებში თეიმურაზის კონტაქტები მოსკოვთან კიდევ უფრო ინტენსიური გახდა. უფრო მეტიც, მისი ინიციატივით რუსეთს იმერეთის მეფე ალექსანდრე III-ც დაუკავშირდა. მოსკოვ-ქუთაისის ეს დიპლომატიური კონსულტაციები დამთავრდა იმით, რომ 1651წ. იმერეთის მეფემ ოფიციალურად მოაწერა ხელი რუსეთის ერთგულებისადმი ფიცს.⁵ მაგრამ საკუთრივ თეიმურაზ I-ს ვერც ამან და ვერც შემდგომმა

¹ გ. ჯამბურია. გიორგი სააკაძე. თბ., 1964, გვ. 113; გ. ჯამბურია. შაჰ-აბასის შემოსევები. – საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV. თბ., 1974, გვ. 263.

² ისქანდერ მუნშის ცნობები საქართველოს შესახებ., გვ. 160-161; დ. კაჭარავა. ქართული დიპლომატია XVII საუკუნეში., გვ. 162.

³ Н. Накашидзе. Грузино-русские политические отношения в первой половине XVIIв. Тб., 1968, გვ. 91; ი. ტაბაღუა. საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნსაცავებში. XIII-XXს-ის პირველი მეოთხედი, II. თბ., 1986, გვ. 150.

⁴ მ. სვანიძე. ნიკიფორე ირბახის ევროპაში ელჩობა ანტიოსმალური კოალიციის შექმნის მიზნით 1626-1629წწ., – წგნ.: მ. სვანიძე. საქართველო-ოსმალეთის ისტორიის ნარკვევები. თბ., 1990, გვ. 197-217; Г. Жордания, З. Гамезардашвили. Римско-католическая миссия в Грузия, ч. I. Тб., 1994, გვ. 171; დ. კაჭარავა. ქართული დიპლომატია XVII საუკუნეში., გვ. 169-171.

⁵ ტოლოჩანოვის იმერეთში ელჩობის მუხლობრივი აღწერილობა. 1650-1652წწ. – რუსული ტექსტი, ქართული თარგმანით და ხელნაწერების მიმოხილვით გამოსაცემად მოამზადა ი. ცინცაძემ. თბ., 1970, გვ. 34-85; დ. კაჭარავა. ქართული დიპლომატია XVII საუკუნეში., გვ. 180-187.

კონტაქტებმა რუსეთთან – ერეკლე ბატონიშვილის გაგზავნამ რუსეთში (1653წ.), აგრეთვე თვით მისმა ვიზიტმა მოსკოვში 1658წ.¹ – სასურველი შედეგი ვერ მოუტანა და მან ვერ შესძლო სამეფო ტახტის დაბრუნება. რუსეთიდან დაბრუნების შემდეგ გულგატეხილი მეფე 1660წ. ქართლის მეფე ვახტანგ V (შაჰნავაზს) ჩაბარდა, რომელმაც ის ირანის შაჰს აახლა. მართალია, შაჰ-აბას II-მ თეიმურაზი პატივით მიიღო, მაგრამ მას მერე, რაც ამ უკანასკნელმა ვერ (თუ არ) უზრუნველყო რუსეთიდან ერეკლე ბატონიშვილის ჩამოყვანა,² ირანის ხელისუფლებამ მისადმი ინტერესი დაკარგა და ის ასტრახადის ციხეში გამოკეტა, სადაც გარდაიცვალა კიდეც 1663წ. ასე დამთავრდა ბაგრატიონთა სამეფო საგვარეულოს ამ მეტად კოლორიტული წარმომადგენლის მშფოთვარე პოლიტიკური და დიპლომატიური მოღვაწეობა.

თეიმურაზ I-ის პოლიტიკური კურსის მარცხი აშკარად ნიშნავდა პრორუსული ორიენტაციის უპერსპექტივობას. მიუხედავად ამისა, ის ქართველი ლიდერებიც კი, რომლებიც ირანის მხარდაჭერითა და სანქციით მართავდნენ ქართლს, დროდადრო მაინც ჩრდილოეთისაკენ იცქირებოდნენ. ცნობილია, მაგალითად, რომ XVIII ს. 50-იანი წლების დამდეგს მოსკოვში ქართლის ვალის – როსტომ I-ის, რომელიც, ერთი შეხედვით, მთლიანად შაჰის მორჩილი იყო და საქართველოში ირანული ორიენტაციის მედრომედ ითვლებოდა, ელჩი იმყოფებოდა, რაც არაა გამორიცხვად, როსტომ ხანის შორს მიმავალ გეგმებს უკავშირდებოდა.³ ამ მხრივ, როგორც ჩანს, კიდეც უფრო შორს წავიდა როსტომის მემკვიდრე, მუხრანბატონების შტოს წარმომადგენელი ვახტანგ V (1658-1675), რომელმაც ჯერ კიდეც 60-იან წლებში გამართა დიპლომატიური კონსულტაციები მოსკოვში მიმავალ მაკარი ანტიოქიელთან და პავლე ალექსეელთან და თხოვნით მიმართა მათ, ემუშაებინათ რუსეთის ხელმწიფის წინაშე, რათა მას დახმარება აღმოეჩინა „ურწმუნოთა ბატონობის ქვეშ მოქცეული საქართველოსათვის“.⁴

ვახტანგ V-ს დიდი გეგმები ჰქონდა. ერთიანი ქართული სახელმწიფოს დაშლის შემდეგ ის იყო პირველი ბაგრატიონი ლიდერი, რომელიც ენერგიულად შეეცადა ერთმეფობის აღდგენას. ამის ნათელი დადასტურებაა მისი ფართო მასშტაბის პოლიტიკური აქციები დასავლეთ

¹ თ. ტივაძე. თეიმურაზ I-ის საგარეო პოლიტიკა. თბ., 1990, გვ. 127-137; ვ. მაჭარაძე. ჩანაწერები თეიმურაზ პირველის მოლაპარაკებებისა მოსკოვში 1658 წელს – *თსუ შრომები*, ტ. 113. თბ., 1965, გვ.437-455.

² ფარსადან გორგიჯანიძე. ისტორია. ს. კაკაბაძის გამოც., – *საისტორიო მოამბე*, წ. II. თბ., 1925, გვ. 72.

³ დ. კაჭარავა. ქართული დიპლომატია XVII საუკუნეში., გვ. 187.

⁴ დ. კაჭარავა. ქართული დიპლომატია XVII., გვ. 197.

საქართველოში, მათ შორის თავისი ვაჟის – არჩილის ქუთაისის ტახტზე დასმის არაერთგზისი მცდელობა. ამ ამოცანის შესასრულებლად ის არ ერიდებოდა თვით ოსმალებთან საიდუმლო კონტაქტების დამყარებასაც კი.¹ პარალელურად, ვახტანგ V ფარულად ცდილობდა დაახლოებას დასავლეთ ევროპასთანაც.² მეფობის ბოლო წლებში ვახტანგ V-მ სერიოზული ნაბიჯი გადადგა ირანის გავლენიდან თავის დასაღწევად, მაგრამ უშედეგოდ.

ირანელთა უღლის გადაგდება იყო ვახტანგ V-ის მემკვიდრის გიორგი XI-ის (1676-1688, 1703-1709) დიპლომატიის მთავარი მიზანი. ის ყოველნაირად ცდილობდა მიეღო რომის პაპისა და დასავლეთ ევროპის მხარდაჭერა. არსებობს ცნობა მის მიერ კათოლიკური სარწმუნოების მიღებისა და იტალიური ენის შესწავლის შესახებ.³ მაგრამ გიორგი XI-ის მონღოებამ ამ მიმართულებით რაიმე შედეგი ვერ გამოიღო. ამ ფონზე წარმატებას მიაღწია რუსეთში გადახვეწილმა ერეკლე დავითის ძემ – თეიმურაზ I-ის შვილიშვილმა, რომლის არაერთგზისმა მცდელობამ რუსეთის ხელისუფლების დახმარებით მიეღო კახეთის ტახტი, თავის დროზე მიზანს ვერ მიაღწია. ბოლოს ერეკლე ბატონიშვილი იძულებული გახდა რუსეთი დაეტოვებინა და ირანის შაჰს ხლებოდა, რომელმაც ის გამაჰმადიანების შემდეგ ჯერ ურჩი გიორგი XI-ის ნაცვლად ქართლის მეფედ („ვალი“) დაამტკიცა (1688წ.), ხოლო შემდეგ (1703წ.), როგორც იქნა, ნანატრი კახეთის ტახტიც არგუნა. ეს იყო რუსული დიპლომატიის კიდევ ერთი კრახი საქართველოში.

ასევე უპერსპექტივო გამოდგა რუსეთზე ორიენტირება ვახტანგ V-ის ვაჟის არჩილისათვის, რომელიც XVIII. 80-90-იან წლებში აქტიურად ცდილობდა რუსეთის დახმარებით იმერეთის ტახტის დაკავებას. ის 1682წ. რუსეთშიც კი გაემგზავრა, სადაც 1688 წლამდე დაჰყო, მაგრამ რეალურად ვერაფერს ვერ მიაღწია. მართალია, არჩილმა რამდენიმეჯერ (1690-1691, 1695-1696 და 1698წწ.) მაინც შეძლო იმერეთში გამეფება, თუმცა მას ბოლოს მაინც მოუხდა ტახტის დათმობა, რის შემდეგ კვლავ რუსეთს მიაშურა. რუსეთზე დიდ იმედებს ამყარებდა ბაგრატიონთა სახლის კიდევ ერთი წარმომადგენელი – იმერეთის მეფე ბაგრატ IV (დროგამოშვებით მეფობდა 1660-1681წწ.). მის სახელს უკავშირდება სამი (1667, 1670, 1677წწ.) ელჩობა რუსეთში და მიმოწერა ალექსი მიხეილის ძესა და თევდორე ალექსის ძესთან.⁴ მაგრამ რუსე-

¹ დ. კაჭარავა. ქართული დიპლომატია XVII საუკუნეში..., გვ. 200.

² გ. ჯამბურია. საქართველოს პოლიტიკური ვითარება XVIII-ის 30-90-იან წლებში. – საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV. თბ., 1974, გვ. 349.

³ დ. კაჭარავა. ქართული დიპლომატია XVII საუკუნეში..., გვ. 206.

⁴ დ. კაჭარავა. ქართული დიპლომატია XVII საუკუნეში..., გვ. 213-218.

თის ხელისუფლება იმერეთთან დიპლომატიური ურთიერთობების აღდგენას სჯერდებოდა და აქტიური პოლიტიკური თანამშრომლობისაგან თავს იკავებდა.

რუსეთზე ორიენტაციამ სრული პოლიტიკური კრაზი მოუტანა ბაგრატიონთა დინასტიის ერთ-ერთ გამორჩენილ წარმომადგენელს, მეფე განმანათლებელს – ვახტანგ VI-ს, რომელმაც XVIIIს. I მეოთხედში სერიოზული დიპლომატიური ნაბიჯები გადადგა ირანის გავლენისაგან თავის დასაღწევად და ქართლის სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტის აღსადგენად. ვახტანგ VI-ის დიპლომატიური აქციებიდან ყველაზე მასშტაბური და გახმაურებული იყო სულხან-საბა ორბელიანის დიპლომატიური მისია (1713-1716წწ.) დასავლეთ ევროპაში,¹ რომელიც უმედეგოდ დამთავრდა და ქართლის მეფემ ევროპის ლიდერების მხარდაჭერა ვერ მოიპოვა. 1719-1720წწ. მიმდინარე დიპლომატიური კონსულტაციების შემდეგ თითქოს გამოიკვეთა რუსეთთან სამხედრო-პოლიტიკური თანამშრომლობის კონტურები, მაგრამ უკანასკნელ მომენტში რუსეთის იმპერატორმა პეტრე I-მა მოშალა ე.წ. „სპარსეთის ლაშქრობა“ (1722წ.) და თავისი მოკავშირე ვახტანგ VI მარტოლმარტო შეატოვა ირან-ოსმალეთს.²

ოსმალთა მხრიდან ექსპანსიის აშკარა საფრთხის თავიდან ასაცილებლად ვახტანგ VI-მ საგანგებო დიპლომატიურ აქციებს მიმართა. მან წერილები გაუგზავნა რომის პაპს, ავსტრიის იმპერატორს და სთხოვა მათ შუამდგომლობა თურქეთის ხელისუფლების წინაშე.³ გადამწვევტ სიტუაციაში ვახტანგ VI-მ ვერ გამოამჟღავნა დიპლომატიური ლავირების უნარი და გამომწვევი უარი განაცხადა ოსმალებთან თანამშრომლობაზე, რასაც კატასტროფული შედეგი მოჰყვა. ქართლი ოსმალების მიერ ოკუპირებულ იქნა. პეტრე I-მა კი არა თუ არ დაიცვა თავისი მოკავშირე, არამედ 1724წ. 12 ივლისს თურქეთთან ხელმოწერილი შეთანხმებით ოფიციალურად ცნო ოსმალთა მიერ აღმოსავლეთ საქართ-

¹ ი. ტაბაღუა. სულხან-საბა ორბელიანის დიპლომატიური მისია ევროპაში (1713-1716წწ.). – *ქართული დიპლომატიის ისტორიის ნარკვევები*, ტ. 2. თბ., 1998, გვ. 224-237; ამის შესახებ უფრო სრულად იხ.: ი. ტაბაღუა. საქართველო-საფრანგეთის ურთიერთობა (XVIIIს. I ნახევარი). თბ., 1972.

² გ. პაიჭაძე. ქართლის სამხედრო-პოლიტიკური კავშირი რუსეთთან XVIIIს. 20-იან წლებში, – *საქართველოს ისტორიის ნარკვევები*, ტ. IV. თბ., 1974, გვ. 414-416; დ. კაჭარავა. ვახტანგ VI-ის სამხედრო-პოლიტიკური კავშირი რუსეთთან, – *ქართული დიპლომატიის ისტორიის ნარკვევები*, ტ. 2. თბ., 1998, გვ. 237-247. ამის შესახებ უფრო სრულად იხ.: გ. პაიჭაძე. რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიისათვის (XVIIIს. პირველი მეოთხედი). თბ., 1960.

³ დ. კაჭარავა. ვახტანგ VI-ის სამხედრო-პოლიტიკური კავშირი., გვ. 241.

ველოში დამყარებული ახალი წესრიგი.¹ ვახტანგის მდგომარეობა ვერ შეცვალა „დიდმა ელჩობამ“ რუსეთში, რომელმაც 10 წელზე მეტხანს გასტანა და რუსეთის დახმარების ამოდ მომლოდინე მეფე 1737წ. ასტრახანში გარდაიცვალა. რუსეთის ხელისუფლებისაგან ასევე გაწიბლული დარჩა კახეთის მეფე კონსტანტინე, რომელმაც ვერ აიტანა ოსმალთა დიქტატი და დახმარების სათხოვნელად 1724წ. მოსკოვში საგანგებო დიპლომატიური მისიით ელჩობა გააგზავნა.²

ამ პერიოდში რუსეთთან ურთიერთობა პრიორიტეტული იყო ქუთაისის ტახტის მფლობელი ბაგრატიონებისთვისაც, რომლებიც ოსმალეთის კლანჭებისაგან ქვეყნის დახსნას ასევე ერთმორწმუნე ჩრდილოელ მეზობელს უკავშირებდნენ. ცნობილია იმერთა მეფის ალექსანდრე V-ის (1720-1752წწ.) სახელით მიმდინარე დიპლომატიური კონსულტაციები რუსეთის ხელისუფლების წარმომადგენლებთან ჯერ კიდევ 1722 და 1724 წლებში, აგრეთვე 1732წ. არქიმანდრიტ ნიკოლოზისა და 1738 წლის ტიმოთე გაბაშვილის ელჩობები.³

XVIIIს. შუა ხანებში ქართლ-კახეთის ბაგრატიონთა შორის დაწინაურდა ერეკლე I-ის ვაჟი თეიმურაზ ბატონიშვილი. მოქნილი დიპლომატიის წყალობით მან ჯერ მიიღო ოსმალთა დასტური კახეთის დაკავებაზე (1732წ. კონსტანტინე მეფის გარდაცვალების შემდეგ), მოგვიანებით კი ირანის ახალ მბრძანებელთან ნადირ-შაჰთან გამონახა საერთო ენა და ქართლ-კახეთის ერთპიროვნული ლიდერი გახდა.⁴ შემდგომში, გამოიყენა რა თავისი მზარდი ავტორიტეტი ირანის მმართველი წრეების თვალში, თეიმურაზ II-მ ნადირ-შაჰის ხელისუფლებისაგან ქრისტიანული წესით მეფედ კურთხევის ნებართვა მიიღო, რაც განხორციელდა კიდევ 1745წ. 1 ოქტომბერს. ნადირ-შაჰის პოლიტიკური არენიდან წასვლის შემდეგ (1747წ.), თეიმურაზ II-მ მახვილგონივრული დიპლომატიური სვლებით კიდევ უფრო განამტკიცა თავისი პოზიციები ირანის შაჰის კარზე, რამაც ქართლ-კახეთს უკვე 1749 წლიდან მაინც ფაქტობრივად სრული სუვერენიტეტი მოუპოვა.⁵

¹ გ. პაიჭაძე. ქართლის სამხედრო-პოლიტიკური კავშირი რუსეთთან., გვ. 421; დ. კაჭარავა. ვახტანგ VI-ის სამხედრო-პოლიტიკური კავშირი რუსეთთან., გვ. 243.

² Г. Пайчадзе. Русско-грузинские отношения в 1725-1735гг. Тб., 1965, გვ. 8-9; დ. კაჭარავა. ვახტანგ VI-ის სამხედრო-პოლიტიკური კავშირი., გვ. 245.

³ ქ. ჩხატარაიშვილი. დასავლეთ საქართველო XVIIIს. პირველ ნახევარში. – საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV. თბ., 1974, გვ. 474-477.

⁴ მ. დუმბაძე. ქართლ-კახეთის განთავისუფლება ირანის ბატონობისაგან. – საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV. თბ., 1974, გვ. 603.

⁵ მ. დუმბაძე. ქართლ-კახეთის განთავისუფლება ირანის., გვ. 611.

უფრო მეტიც, თეიმურაზისა და მისი სახლის ავტორიტეტი იმდენად ამაღლდა, რომ თანამედროვენი არ გამოირიცხავდნენ ერეკლე თეიმურაზის ძის, რომელიც მამასთან ერთად მართავდა ქვეყანას 1744 წლიდან, აღზევებას ირანის შაჰის ტახტზე¹. ამ პერიოდში მეზობელი მაჰმადიანური სახანოების წინააღმდეგ წარმატებული სამხედრო კამპანიისა და აქტიური დიპლომატიური ნაბიჯების წყალობით კიდევ უფრო გამოიკვეთა თეიმურაზ-ერეკლეს ლიდერობა აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში, რაც ოფიციალურად აღიარა კიდევ ირანის მბრძანებელმა შაჰროჰმა, რომელმაც თეიმურაზ II-ს „ერანისა და აზერბაიჯანის სპასალარობა“ უბოძა, ხოლო ერეკლე II მის ნაიბად გამოაცხადა².

მიუხედავად ამგვარი წარმატებებისა, ქართლ-კახეთის ლიდერები არ იყვნენ დაზღვეული ცალკეული გართულებებისაგან, რაც მათ აიძულებდათ ახალი მოკავშირეები ეძებნათ. სწორედ ამან გამოიწვია რუსეთთან დიპლომატიური კონტაქტების განახლება, რომლის პიკს წარმოადგენდა თეიმურაზ II-ის ვიზიტი რუსეთში,³ თუმცა ამ ვიზიტს რაიმე კონკრეტული შედეგი არ მოჰყოლია. თეიმურაზ II-ის რუსეთში გარდაცვალების (1762წ.) შემდეგ ქართლ-კახეთის ერთპიროვნული მმართველი ერეკლე II გახდა, რომელმაც თავისი დამოუკიდებელი ხელმწიფობის პირველივე წელი მნიშვნელოვანი დიპლომატიური წარმატებით აღნიშნა. მან მოახერხა ირანის ტახტის ერთ-ერთი რეალური პრეტენდენტის – აზატ-ხანის ხელში ჩაგდება, რომელიც (1763წ.) ირანის იმჟამინდელ მმართველს ქერიმ-ხანს გაუგზავნა და ამით დააცხრო, თეიმურაზ II-ის პეტერბურგში გამგზავრებით გამოწვეული ირანის მბრძანებლის რისხვა.⁴ ქერიმ-ხანმა ერეკლე II ცნო ერთიანი ქართლ-კახეთის მეფედ და აღმოსავლეთ ამიერკავკასიის ხანებს მისადმი მორჩილებაც კი უბრძანა.⁵

ქერიმ-ხანთან ურთიერთობას ერეკლე II-სათვის ხელი არ შეუშლია დამოუკიდებელი საგარეო პოლიტიკა ეწარმოებინა. პირველ რიგში,

¹ მ. დუმბაძე. ბრძოლა დამოუკიდებლობის განმტკიცებისათვის. – *საქართველოს ისტორიის ნარკვევები*, ტ. IV. თბ., 1974, გვ. 613.

² მ. დუმბაძე. ბრძოლა დამოუკიდებლობის განმტკიცებისათვის..., გვ. 618.

³ გ. პაიჭაძე. ქართლისა და კახეთის სამეფოების პოლიტიკური ურთიერთობა რუსეთთან XVIIIს. 50-60-იან წლებში, – *ქართული სამეფო-სამთავროების საგარეო პოლიტიკის ისტორიიდან*, II. თბ., 1973, გვ. 49-89. ამის შესახებ უფრო სრულად იხ.: ვ. მაჭარაძე. მასალები XVIIIს. II ნახევრის რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიისათვის. ნაწ. II. *თეიმურაზ მეორის ელჩობა რუსეთში*. თბ., 1968.

⁴ მ. დუმბაძე. ქართლ-კახეთის საგარეო და საშინაო ვითარება XVIIIს. 60-იან წლებში. – *საქართველოს ისტორიის ნარკვევები*, ტ. IV. თბ., 1974, გვ. 631.

⁵ მ. დუმბაძე. ქართლ-კახეთის საგარეო და საშინაო ვითარება..., გვ. 632.

ეს გამოძღვლანდა 1768-1774წწ. რუსეთ-თურქეთის ომის დროს, როდესაც ქართლ-კახეთის მეფე გამოეხმაურა იმერეთის მეფის სოლომონ I-ის ინიციატივას და დასთანხმდა სამხედრო თანამშრომლობაზე რუსეთთან თურქეთის წინააღმდეგ. ერეკლე II ცდილობდა ესარგებლა შექმნილი სიტუაციით და რუსეთის დახმარებით დაებრუნებინა სამცხე-ჯავახეთი, დაემორჩილებინა ჭარ-ბელაქანი და წერტილი დაესვა ლეკთა თარეშისათვის,¹ მაგრამ, როგორც ცნობილია, ერეკლე II-ის იმედები (ისევე როგორც სოლომონ I-სა) არ გამართლდა. საქართველოში გამოგზავნილმა რუსულმა კორპუსმა ვერც ერთი სამხედრო ოპერაცია ბოლომდე ვერ მიიყვანა და რუსეთის ხელისუფლებამ ამჯერადაც შუა გზაზე მიატოვა ქართველი მეფეები.

მიუხედავად ამისა, ერეკლე II-მ გააგრძელა რუსეთთან თანამშრომლობის გზების ძიება (1772წ. ანტონ I კათალიკოსისა და ლევან ბატონიშვილის ელჩობა პეტერბურგში), მაგრამ ამან ირანთან ურთიერთობების გამწვავების მეტი მას ვერაფერი მოუტანა და ქართლ-კახეთის ლიდერს დასჭირდა მთელი თავისი დიპლომატიური არსენალის სრული მობილიზაცია ქერიმ-ხანის დასაშოშმინებლად.² ერეკლე II-ის მნიშვნელოვანი დიპლომატიური წარმატება იყო თურქეთთან ურთიერთობის მოგვარება 1776-1778წწ.,³ რამაც შეაშფოთა, ერთი მხრივ, სოლომონ I, ხოლო, მეორე მხრივ, რუსეთის დიპლომატია, რომელმაც დაუყოვნებლივ „აუშვა“ ქართლის სამეფო ტახტის პრეტენდენტი ალექსანდრე ბაქარის ძე, თუმცა მალე ურთიერთობა სოლომონ I-თან დარეგულირდა და ერეკლე მეფემ პოლიტიკური კრიზისი თავიდან აიცილა.⁴

XVIII ს. მიწურულს ერეკლე II-მ გააქტიურა დიპლომატიური კონტაქტები დასავლეთ ევროპასთან. ის კათოლიკე მისიონერების მეშვეობით შეეცადა ურთიერთობის დამყარებას ვენეციის სენატთან და ავსტრიის იმპერატორთან, აგრეთვე საფრანგეთის მეფე ლუი XVI-სთან, მაგრამ უშედეგოდ.⁵

¹ ნ. ბერძენიშვილი. საქართველო XVIII საუკუნეში. – წგნ.: ნ. ბერძენიშვილი. საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ. II. თბ., 1965, გვ. 217; გ. პაიჭაძე, ქ. ჩხატარაიშვილი. 1768-1774 წლების რუსეთ-თურქეთის ომი და საქართველო. – საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV. თბ., 1974, გვ. 651.

² მ. დუმბაძე. ქართლ-კახეთის სახელმწიფოს პოლიტიკური ვითარება 70-80-იან წლებში. – საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV. თბ., 1974, გვ. 677.

³ ო. გიგინეიშვილი. საქართველო ოსმალეთის პოლიტიკაში XVIII ს. უკანასკნელ მეოთხედში. – თსუ შრომები, ტ. 73. თბ., 1959, გვ. 220-223; მ. დუმბაძე. ქართლ-კახეთის სახელმწიფოს პოლიტიკური ვითარება..., გვ. 679-681.

⁴ მ. დუმბაძე. ქართლ-კახეთის სახელმწიფოს პოლიტიკური ვითარება 70-80-იან წლებში..., გვ. 683-685.

⁵ მ. თამარაშვილი. ისტორია..., გვ. 398-403; მ. დუმბაძე. ქართლ-კახეთის სახელმწიფოს პოლიტიკური ვითარება 70-80-იან წლებში..., გვ. 685.

ერეკლე II-ის დიპლომატიურ მოღვაწეობაში განსაკუთრებული ადგილი უკავია ქართლ-კახეთისა და რუსეთის 1783 წლის ხელშეკრულებას, რომელიც „გეორგიევსკის ტრაქტატი“-ს სახელითაა ცნობილი. ამ ხელშეკრულებით ქართლ-კახეთი რუსეთის იმპერიის მფარველობაში შედიოდა. ერეკლე II თმობდა სუვერენიტეტის ნაწილს – ფაქტობრივად უარს ამბობდა დამოუკიდებელი საგარეო პოლიტიკის წარმოებაზე, სამაგიეროდ იღებდა ირან-ოსმალეთის მხრიდან უსაფრთხოების სრულ გარანტიას.¹ ერეკლე II იმედოვნებდა, რომ რუსეთის მფარველობაში შესვლით ქვეყანას სიმშვიდეს მოუტანდა და ამით ქართლ-კახეთს ევროპული განვითარების გზით წაიყვანდა. ამ თვალსაზრისით, ქართლ-კახეთის მეფის ეს ნაბიჯი მოცემულ ისტორიულ ვითარებაში თითქოს უმეცდომოდ მოჩანდა, მაგრამ, როგორც შემდგომ გამოირკვა, ქართულმა დიპლომატიამ ამჯერადაც ვერ გაითვალისწინა რუსეთის ხელისუფლების პოლიტიკური არათანმიმდევრულობა და სივერაგე. ყოველივე ამან კი ერეკლე II-ს ურთულესი საგარეო-პოლიტიკური პრობლემები შეუქმნა, რომელთა დაძლევის იმ ყოველთვის ვერ ახერხებდა. ამის ნათელი დადასტურებაა თუნდაც ფაქტობრივი კაპიტულაცია ომარ-ხანის წინაშე 1785წ.² და მაინც ერეკლე II-მ შეძლო სერიოზული ხიფათის თავიდან აცილება. მან ჯერ 1786წ. სამშვიდობო ხელშეკრულება გააფორმა ახალციხის ფაშასთან,³ ხოლო 1788წ. თავდაუსხმელობის ხელშეკრულება დადო ოსმალეთის ცენტრალურ ხელისუფლებასთანაც.⁴

XVIII ს. 80-იანი წლების მიწურულსა და 90-იანი წლებში ერეკლე II-მ სერიოზული შეცდომები დაუშვა. მას არ ეყო პოლიტიკური გამბედაობა, რათა ესარგებლა რუსეთ-თურქეთის 1787-1791წწ. ომის შედეგად შექმნილი ფონით და მიეღო (1790წ.) იმერეთის პოლიტიკური ელიტის წინადადება ქართლ-კახეთისა და იმერეთის სამეფოების გაერთიანების შესახებ. და ბოლოს, ერეკლე II-მ გამოიჩინა სრული დიპლო-

¹ გ. პაიჭაძე. ქართლ-კახეთისა და რუსეთის ურთიერთობის განახლება 80-იანი წლების დასაწყისში. 1783წ. ხელშეკრულება. – *საქართველოს ისტორიის ნარკვევები*, ტ. IV. თბ., 1974, გვ. 686-692; ვ. მაჭარაძე. გეორგიევსკის ტრაქტატი. – *ქართული დიპლომატიის ისტორიის ნარკვევები*, ტ. 2. თბ., 1998, გვ. 247-272. ამის შესახებ იხ. აგრეთვე: ი. ცინცაძე. 1783წ. მფარველობითი ტრაქტატი. თბ., 1960; *გეორგიევსკის ტრაქტატი*. გამოკვლევა, დოკუმენტები და ფოტოპირები ვ. მაჭარაძისა, თბ., 1983.

² მ. დუმბაძე. პოლიტიკურ წინააღმდეგობათა კვანძი. – *საქართველოს ისტორიის ნარკვევები*, ტ. IV. თბ., 1974, გვ. 703-705.

³ მ. დუმბაძე. საგარეო ორიენტაციის გადასინჯვა. – *საქართველოს ისტორიის ნარკვევები*, ტ. IV. თბ., 1974, გვ. 709.

⁴ ქ. ჩხატარაიშვილი. დასავლეთ საქართველო XVIII ს. 70-80-იან წლებში. – *საქართველოს ისტორიის ნარკვევები*, ტ. IV. თბ., 1974, გვ. 750.

მატიური უსუსურობა 1794-1795 წლებში, როდესაც არც კი შეეცადა საერთო ენის პოვნას ირანის მბრძანებელ ალა მაჰმად-ხანთან, რაც, როგორც ცნობილია, კრწანისის კატასტროფით დამთავრდა.¹

გაცილებით უფრო წარმატებულად შეიძლება ჩაითვალოს ბაგრატიონთა სახლის მეორე დიდი წარმომადგენლის – იმერეთის მეფე სოლომონ I-ის (1752-1784წწ.) დიპლომატიური მოღვაწეობა. პირველი დიდი წარმატება სოლომონ I-მა მოიპოვა 1767წ., როდესაც ოფიციალურად გააფორმა საზავო ხელშეკრულება ოსმალეთთან, რომლის მიხედვით იმერეთი ცხადდებოდა მფარველობაში მყოფ (და არა ვასალურ) სახელმწიფოდ. აღსანიშნავია, რომ იმ დიპლომატიური მისიის ხელმძღვანელი, რომელმაც სტამბოლში ხელი მოაწერა აღნიშნულ ხელშეკრულებას, იყო იმერეთის ბაგრატიონთა სახლის კიდევ ერთი წარმომადგენელი, სოლომონ I-ის ძმა იოსებ გაენათელი, ამ მოლაპარაკებების მომზადებაში კი მონაწილეობა მიიღო ერეკლე II-მ². XVIIIს. 60-იან წლებში სოლომონ I-მა გადადგა პირველი ნაბიჯები რუსეთის დიპლომატიური მხარდაჭერის მოსაპოვებლად. დიპლომატიურმა კონსულტაციებმა (მაქსიმე ქუთათელის ელჩობა 1768წ.) მოსკოვსა და ქუთაისს შორის რუსეთ-თურქეთს შორის დაწყებული ომის ვითარებაში რეალური შედეგი გამოიღო და რუსეთის ხელისუფლებამ საქართველოში 480-კაციანი სამხედრო რაზმი გამოგზავნა გრაფ ტოტლებენის სარდლობით, ხოლო 1769წ. ოქტომბერში მიიღო გადაწყვეტილება დამატებით 3700 მეომრის გაგზავნის შესახებ.³ მაგრამ, როგორც ზემოთ აღინიშნა, რუსეთის სამხედრო შენაერთმა, მიუხედავად ცალკეული წარმატებული ოპერაციებისა, საბოლოოდ ვერც ერთი დასახული ამოცანა ვერ შეასრულა და 1772წ. უკან გაბრუნდა. და მაინც, რუსულ-ქართული სამხედრო-პოლიტიკური და დიპლომატიური თანამშრომლობა 1768-1774წწ. რუსეთ-თურქეთის ომის დროს მთლად უნაყოფო არ გამოდგა. ქუჩუკ-კაინარჯის საზავო ხელშეკრულებაში რუსულმა მხარემ პირველად ოფიციალურად შეზღუდა თურქეთის გავლენა დასავლეთ საქართველოზე, კერძოდ, „ბრწყინვალე პორტას“ „საზეიმოდ და სამუდამოდ“ უარი განაცხადებინა „ხარკად ჭაბუკებისა და ქალიშვილების მოთხოვნასა და ყო-

¹ მ. დუმბაძე, ზ. ცქიტიშვილი. საქართველო-ირანის ურთიერთობის გამწვავება. ირანელთა შემოსევა 1795წ. – საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV. თბ., 1974, გვ. 754-768.

² ქ. ჩხატარაიშვილი. დასავლეთ საქართველოს განთავისუფლება ოსმალთა ბატონობისაგან. – საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV. თბ., 1974, გვ. 645.

³ გ. პაიჭაძე, ქ. ჩხატარაიშვილი. 1768-1774 წლების რუსეთ-თურქეთის ომი და საქართველო..., გვ. 648-652.

ველგვარ სხვა გადასახადზე“.¹

სოლომონ I-მა XVIII ს. 70-იან წლებში გადადგა უფრო მკვეთრი ნაბიჯები (დავით კვინიხიძის ელჩობა 1774წ.) იმერეთის რუსეთის მფარველობის ქვეშ შესაყვანად.² 1783წ. გეორგიევსკის ტრაქტატის ხელმოწერის შემდეგ, იმერეთის მეფე კვლავ შეეცადა რუსეთის მფარველობაში შესვლას,³ მაგრამ ამ მცდელობებს კონკრეტული შედეგი არ მოჰყოლია. რუსეთის მფარველობაში შესვლას ლამობდა იმერეთის მეფე დავით გიორგის ძე (1784-1789წწ.), რომელმაც ამ მიზნით ჯერ გაგზავნა ელჩობა მაქსიმე კათალიკოსის, ზურაბ წერეთლისა და დავით კვინიხიძის შემადგენლობით (1784წ.), ხოლო შემდეგ რუსეთში უკვე ახალი ელჩი ბესარიონ გაბაშვილი (ბესიკი) მიავლინა (1787წ.), მაგრამ ორივე ეს მისია უშედეგოდ დასრულდა.⁴

ერეკლე II-ის შემდეგ ქართლ-კახეთის სამეფო ტახტზე ასულმა გიორგი XII-მ გადადგა მთელი რიგი დიპლომატიური ნაბიჯები გეორგიევსკის ტრაქტატის ასამოქმედებლად, მაგრამ რუსეთის დიპლომატიამ თავის სასარგებლოდ გამოიყენა ქართლ-კახეთის უკანასკნელი მეფის სათხოვარი პუნქტები, აგრეთვე სამეფო სახლის შიგნით არსებული დაპირისპირებები და გიორგი XII-ის სიცოცხლეშივე მიიღო გადაწყვეტილება ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმების შესახებ, რომელიც, როგორც ცნობილია, საბოლოოდ გაფორმდა რუსეთის იმპერატორ ალექსანდრე I-ის მიერ 1801წ. 12 სექტემბერს ხელმოწერილი მანიფესტით უკვე გიორგი XII-ის გარდაცვალების შემდეგ.⁵

ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმებისა და ქვეყანაში რუსული მმართველობის დამყარების შემდეგ ბაგრატიონთა დინასტიის, ერეკლე II-სა და გიორგი XII-ის სახლის ცალკეული წარმომადგენლები საკმაოდ ენერგიულად ცდილობდნენ სამეფო ხელისუფლების აღდგენას გეორგიევსკის ტრაქტატის პირობების საფუძველზე და სათანადო დიპლომატიურ ნაბიჯებსაც დგამდნენ ამ მიმართულებით. ცნობილია, მაგალითად, რომ დავით ბაგრატიონმა, რომელიც, ერთი პერიოდი (გიორგი XII-ის გარდაცვალებიდან – 1800წ. 28 დეკემბრიდან 1801წ. მაისამდე)

¹ **Е. И. Дружинина.** Кучук-Каинарджский мир. М., 1955, გვ. 356; **გ. პაიჭაძე, ქ. ჩხატარაიშვილი.** 1768-1774 წლების რუსეთ-თურქეთის ომი და თურქეთის ომი და საქართველო..., გვ. 663.

² **გ. პაიჭაძე, ქ. ჩხატარაიშვილი.** 1768-1774 წლების რუსეთ..., გვ. 663.

³ **ქ. ჩხატარაიშვილი.** დასავლეთ საქართველო XVIII ს. 70-..., გვ. 666-667.

⁴ **ქ. ჩხატარაიშვილი.** დასავლეთ საქართველო 80-90-იან წლებში. – საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV. თბ., 1974, გვ. 744, 749-751.

⁵ **მ. დუმბაძე.** ქართლ-კახეთის სახელმწიფოს გაუქმება და რუსეთთან შეერთება. – საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV. თბ., 1974, გვ. 806-812.

უძღვებოდა სახელმწიფო საქმეებს, 1812წ. სექტემბერში რუსეთის სამეფო კარს წარუდგინა „ორი ჩანაწერი საქართველოს უკეთესად მოწყობის შესახებ“¹, რომელშიც ჩამოაყალიბა მთელი პროგრამა ქართლ-კახეთის სახელმწიფოებრივი მოწყობისა ახალ პირობებში. აღსანიშნავია, რომ გეორგიევსკის ტრაქტატის პირობების დარღვევასა და სამეფო ხელისუფლების გაუქმებაში დავით ბატონიშვილი დიპლომატიურად არ ადანაშაულებდა ხელმწიფე-იმპერატორს, არამედ მთელ პასუხისმგებლობას კნორინგსა და ციციანოვს აკისრებდა.² ბუნებრივია, რუსეთის ხელისუფლებამ ყურად არ იღო დავით ბაგრატიონის თხოვნა-პროექტი და მის ავტორს ციმბირში გადასახლებითაც კი დაემუქრა.³

ერეკლე II-ის სახლის წარმომადგენელთაგან განსაკუთრებული სამხედრო-პოლიტიკური და დიპლომატიური აქტიურობით გამოირჩეოდა ალექსანდრე ერეკლეს ძე ბაგრატიონი, რომელიც ფაქტობრივად მთელი 30 წლის მანძილზე მეთაურობდა ქვეყნის პატრიოტული ძალების ბრძოლას ეროვნული სახელმწიფოებრიობის აღსადგენად. ცნობილია მისი მიმართვები და წერილები რუსეთის იმპერატორისადმი, მთავარმართებლებისადმი (გენ. პ. ციციანოვი, გენ. ნ. რტიშჩევი), აგრეთვე სხვა მაღალი ჩინის მოხელეებისადმი, რომლებშიც იკვეთება ალექსანდრე ბატონიშვილის, როგორც პოლიტიკოსისა და დიპლომატის შთამბეჭდავი სახე.⁴

უადრესად საინტერესო და მრავალფეროვანია ბაგრატიონთა დინასტიის უკანასკნელი „მოპიკანის“, იმერეთის მეფე სოლომონ II-ის (1789-1810) დიპლომატიური მოღვაწეობა. 1801წ. ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმების შემდეგ სოლომონ II-მ, სწორად გაანალიზა რა შექმნილი ვითარება, ყოველნაირად შეეცადა არ გაემწვაკვებინა ურთიერთობა რუსეთთან. 1803წ. მან საგანგებო დიპლომატიური მისიით გაგზავნა ცნობილი სახელმწიფო მოღვაწე, გამოცდილი დიპლომატი სოლომონ ლიონიძე. სოლომონ მეფის მიზანი იყო რუსეთის იმპერატორის მფარველობის ქვეშ მიეღწია ქუთაისის ტახტის ირგვლივ მთელი დასავლეთი საქართველოს გაერთიანებისათვის. მაგრამ რუსეთის ხელისუფლების სულ სხვა გეგმები ჰქონდა. მან ფაქტობრივად თავს მოახვია სოლომონ II-ს ე.წ.

¹ *Две записки царевича Давида „О лучшем устройстве Грузии“*, изд. **И. Ениколопов**. – *მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის*, ნაკ. I. თბ., 1942, გვ. 128-155.

² **ა. ბენდიანიშვილი**. ეროვნული საკითხი საქართველოში 1801-1921წწ. თბ., 1980, გვ. 92; **გ. იობაშვილი**. ქართული პოლიტიკურ-დიპლომატიური აზრი XIX საუკუნეში. – *ქართული დიპლომატიის ისტორიის ნარკვევები*, ტ. 2. თბ., 1998, გვ. 331.

³ **გ. იობაშვილი**. ქართული პოლიტიკურ-დიპლომატიური..., გვ. 334-340.

⁴ **გ. იობაშვილი**. ქართული პოლიტიკურ-დიპლომატიური..., გვ. 334-340

„ელაზნაურის ტრაქტატი“, რომელიც გაფორმდა 1804წ. 25 აპრილს და რომლის მიხედვითაც იმერეთი რუსეთის ქვეშევრდომობაში შევიდა. 1810 წელს კი რუსეთის კავკასიურმა ადმინისტრაციამ შეძლო სოლომონ II-ის თბილისში ჩამოტყუება და იქ მისი დაპატიმრება, თუმცა იმერთა მეფემ მოახერხა გაქცევა და ახალციხეში ჩასვლა.

აქ მან აქტიური დიპლომატიური საქმიანობა გააჩაღა. ის დახმარებას სთხოვდა ოსმალეთს, ირანს. უფრო მეტიც, მან „მოსკოვის იმპერატორს“ მსოფლიოს „უნივერსალურ არბიტრთან“, საფრანგეთის ძღვევამოსილ იმპერატორ ნაპოლეონ I-თანაც კი უჩივლა. ცნობილია, რომ სოლომონ II-მ 1810წ. 20 ოქტომბერსა და 1811წ. 6 იანვარს საფრანგეთის იმპერატორს წერილებით მიმართა,¹ რომლებშიც ის ნაპოლეონ I-ს გამოსარჩლებასა და მფარველობას სთხოვდა.² მაგრამ სოლომონ II-ის იმედებს აღსრულება არ ეწერა და გაწბილებული ბაგრატიონთან სახლის უკანასკნელი გვირგვინოსანი მეფე 1815წ. ოსმალეთში, დევნილობაში გარდაიცვალა.

ამრიგად, ჩვენ ძალზე სქემატურად მიმოვიხილეთ ბაგრატიონთა თითქმის 1200-წლოვანი მოღვაწეობა საერთაშორისო-დიპლომატიურ ასპარეზზე. როგორც აქ მოტანილი მასალიდან ჩანს, ბაგრატიონი მეფე-მთავრები აქტიურად იყვნენ ჩართულნი საერთაშორისო პოლიტიკურ ცხოვრებაში და ქვეყნის მთელ რიგ საჭირობო საკითხებს საგარეო არენაზე დიპლომატიური მოლაპარაკებების გზით აგვარებდნენ.

ბაგრატიონი მეფე-მთავრები ფლობდნენ დიპლომატიური ხელოვნების ყველა საიდუმლოს. ისინი ძირითადად კარგად ერკვეოდნენ მსოფლიო პოლიტიკაში მიმდინარე მოვლენებში და ცდილობდნენ მაქსიმალურად გამოეყენებინათ ძლიერ მეზობელ სახელმწიფოთა შორის არსებული წინააღმდეგობანი. ბაგრატიონი მეფე-მთავრები ხელმძღვანელობდნენ ელჩობების ორგანიზებას, ცალკეულ შემთხვევებში კი უშუალოდ ედგნენ სათავეში დიპლომატიურ მისიებს. ცნობილია ქართველი მეფე-მთავრების არაერთი ვიზიტი მეზობელ სახელმწიფოებში. არსებობს მონაცემები მეზობელი სახელმწიფოების ლიდერთან ბაგრატიონი მეფეების (დავით IV აღმაშენებლის, დემეტრე I-ის, თამარ მეფის) ოფიციალური თუ საიდუმლო შეხვედრების შესახებ XII საუკუნეში. ეს პრაქტიკა გრ-

¹ ი. ტაბაღუა. საქართველო-საფრანგეთის ურთიერთობის ისტორიიდან (XVIII ს. მიწურული – XIX ს. დასაწყისი), თბ., 1974, გვ. 68-70, 73-75.

² ცნობილია, რომ ნაპოლეონ I-ს წერილები მისწერეს და შველა სთხოვეს აგრეთვე ალექსანდრე ბატონიშვილმა და გიორგი XII-ის ვაჟმა თეიმურაზ ბატონიშვილმა. ამის შესახებ იხ.: ი. ტაბაღუა. საქართველო-საფრანგეთის ურთიერთობის ისტორიიდან..., გვ. 51-52, 57-59.

ძელდებოდა გვიან შუა საუკუნეებში (თეიმურაზ I-ის ვიზიტები ოსმალეთსა და რუსეთში, ვახტანგ VI-ის „დიდი ელჩობა“ რუსეთში, თეიმურაზ II-ის ვიზიტი რუსეთში და ა.შ.).

ბაგრატიონი მეფე-მთავრები აქტიურად ერეოდნენ მეზობელი სახელმწიფოების საშინაო ცხოვრებაში და შესაძლებლობისამებრ ცდილობდნენ იქ სასურველი პოლიტიკური წესრიგის დამყარებას (ადარნასე II „ქართველთა“ მეფისა და გიორგი I-ის პოლიტიკურ-დიპლომატიური აქციები სომხეთში და ა.შ.). ამ მხრივ, საგანგებოდ უნდა აღინიშნოს თამარ მეფის მიერ ბიზანტიის იმპერიის ერთ ნაწილში სატელიტი სახელმწიფოს – ტრაპიზონის იმპერიის დაარსება 1204წ., რაც, როგორც უკვე აღინიშნა, ქართული დიპლომატიის ტრიუმფად უნდა ჩაითვალოს. აღსანიშნავია, რომ მომდევნო ხანის მეფეებიც (დავით VI ნარინი, გიორგი V ბრწყინვალე და სხვ.) ცდილობდნენ და დროდადრო წარმატებითაც ახერხებდნენ ტრაპიზონის იმპერიის საშინაო საქმეების გაკონტროლებას.

ბაგრატიონ მეფეთა დიპლომატიურ პრაქტიკაში მნიშვნელოვანი ფუნქცია ენიჭებოდა დინასტიური ქორწინებებს, მეზობელი სახელმწიფოების მმართველ დინასტიებთან. არც თუ იშვიათად ბაგრატიონთა სამეფო სახლის ცალკეული წარმომადგენლები – მეზობელი ქვეყნების დედოფლები – აქტიურად მონაწილეობდნენ თავიანთი სახელმწიფოების პოლიტიკურ ცხოვრებაში და იქ საქართველოსთვის სასურველ კონიუნქტურას ქმნიდნენ. ამ მხრივ, პირველ რიგში, საგანგებოდ უნდა აღინიშნოს ბაგრატ IV-ის ასულის, მარიამ ბაგრატიონის მოღვაწეობა ბიზანტიის საიმპერატორო ტახტზე (1071-1081წწ.). ბაგრატიონი პრინცესები მნიშვნელოვან დიპლომატიურ დავალებებსაც ასრულებდნენ და არა მარტო საქართველოს მასშტაბით (გულჩორა ბაგრატიონი) დიპლომატიურ საქმიანობაში აქტიურად იყვნენ ჩართულნი ბაგრატიონთა სახლის უფლისწულები, რომლებიც, რიგ შემთხვევებში, უშუალოდ ხელმძღვანელობდნენ დიპლომატიურ მისიებს და აგვარებდნენ ურთულეს საგარეო-პოლიტიკურ პრობლემებს.

ბაგრატიონ მეფე-მთავართა დიპლომატიურ არსენალში მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა მიმოწერას უცხო სახელმწიფოთა ხელმძღვანელებთან. შემორჩენილია ქართველ მეფეთა არაერთი წერილი დასავლეთ ევროპის, რუსეთისა და სხვა სახელმწიფოთა ლიდერებისადმი, რომლებშიც წარმოჩენილია ბაგრატიონთა დინასტიის ცალკეული წარმომადგენლების პოლიტიკურ-დიპლომატიური იერ-სახე. ბაგრატიონი მეფეების დიპლომატიური მოღვაწეობის მასშტაბებზე მეტყველებს აგრეთვე მეზობელ სახელმწიფოებთან დადებული ხელშეკრულებები.

და ბოლოს, როგორც უკვე ზემოთ აღინიშნა, ბაგრატიონთა 1200-წლოვანი ზეობის პერიოდი სულაც არ ყოფილა მხოლოდ და მხოლოდ დიპლომატიური გამარჯვებების ხანა და დიდ წარმატებებს ამ მიმართულებით, არც თუ იშვიათად, თან სდევდა ცალკეული მარცხიანი ნაბიჯებიც, ზოგჯერ კი სრული პოლიტიკური კრაზი. უმეტესწილად ეს გამოწვეული იყო პოლიტიკური გულუბრყვილობით, საერთაშორისო არენაზე მიმდინარე მოვლენების არასწორი შეფასება-ანალიზით და ა.შ. მიუხედავად ამისა, საერთო ჯამში, ნამდვილად შეიძლება ითქვას, რომ ბაგრატიონთა დიპლომატიური საქმიანობა უდავოდ წარმატებული იყო.

ქართული პოლიტიკური სამყარო VIII საუკუნეში*

ლეონ ისავრიელის დიპლომატიური მისია კავკასიაში და ბიზანტიის გავლენის ნაწილობრივი აღდგენა დასავლეთ საქართველოში. VIII ს. მიწურულს ლაზიკა-ეგრისში არაბთა სამხედრო ნაწილების განთავსებით, რომელიც მოჰყვა ლაზიკის პატრიკიოზის სერგი ბარნუკის ანტი-ბიზანტიურ დემარშს 697 წელს, სახალიფოს პოლიტიკური გავლენა დასავლეთ საქართველოზეც გავრცელდა. VIII ს. დამდეგს კი არაბებმა ფეხი მოიკიდეს ლაზიკა-ეგრისის განაპირა მხარეებში, კერძოდ, მათი გარნიზონები ჩადგნენ კოდორის ხეობის ციხეებში. სახალიფოს უზენაესობა ცნო აბაზგია-აფხაზეთმაც, რომელიც ამ დროისათვის მოიცავდა ტერიტორიას მდ. გუმიშთის ჩრდილოეთით – მდ. ბზიფის შესართავამდე. ამრიგად, VIII ს. 10-იანი წლების დასაწყისისათვის არაბები, ფაქტობრივად, მთელ საქართველოს დაეპატრონენ. აღსანიშნავია, რომ ეს მათ მოახერხეს არა ფართომასშტაბიანი სამხედრო ექსპედიციების მოწყობის გზით, არამედ მოქნილი დიპლომატიის წყალობით. ამ თვალსაზრისით გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა დასავლეთ საქართველოს იმდროინდელი ლიდერის, ლაზიკის პატრიკიოზის სერგი ბარნუკის ძის გადმობირებას, რომელმაც თვითონ ჩააბარა ქვეყანა არაბებს. ყოველივე ეს ბიზანტიური დიპლომატიის სრული კრახი იყო.

ბიზანტიის იმპერიის ხელისუფლება, ცხადია, ვერ შეეგუებოდა მოვლენების ამგვარ განვითარებას და მან უმაღლვე გადადგა საპასუხო დიპლომატიური ნაბიჯები დასავლეთ საქართველოში შერყეული პოზიციების აღსადგენად. იმპერიის მესვეურებმა „ღალატისათვის“ ლაზთა და აბაზგთა სამაგალითო დასჯა გადაწყვიტეს. ამ მიზნით კონსტანტინოპოლმა საგანგებო დიპლომატიური მისიით კავკასიაში მოავლინა საიმპერატორო კარის მაღალი რანგის მოხელე (სპათარი), ცნობილი სამხედრო და პოლიტიკური მოღვაწე, მოქნილი დიპლომატი ლეონ ისავრიელი, რომელსაც აღანთა მოსყიდვა და მათი აბაზგ-ლაზების წინააღმდეგ ამხედრება დაევალა.

დასავლეთ საქართველოში, ფაზისში მოსულ ლეონ ისავრიელს თავდაპირველად გაუჭირდა აღანთა-ოვსეთში გადასვლა და თავისი მისიის აღსრულება. მან ეს მხოლოდ მას შემდეგ შეძლო, როდესაც „აფსილთა შორის უპირველესის“ მარინოსის გადმობირება მოახერხა. ამ უკანასკნელმა უზრუნველყო ბიზანტიელი ემისრის თავის ტერიტორია-

* პარაგრაფი წიგნიდან: *ქართული დიპლომატიის ისტორია*. თსუ გამომცემლობა. თბ., 2003, გვ. 98-109.

ზე უზიფათო გატარება და მისი ალანიაში გადაყვანა, სადაც ლეონ ისავრიელმა ყოველგვარი გართულებების გარეშე მოისყიდა ალან-ოსები და ისინი აბაზგებს მიუსია. აბაზგები შეეცადნენ დიპლომატიური არხებით მოეგვარებინათ კონფლიქტი ალანებთან. ამ მიზნით მათ ორი ელჩობა მოაწვევეს ალანია-ოვსეთში. ამ ელჩობათა მიზანი ქვეყნის მესვეურების მოსყიდვის გზით კონსტანტინოპოლის რეზიდენტის ხელში ჩაგდება იყო. მაგრამ ორივე ეს ელჩობა წარუმატებელი გამოდგა. ალან-ოსებმა ვერაგულად მოატყუეს აბაზგ-აფხაზები, ფულიც აიღეს, ბიზანტიელი სტუმარი კი მათ არ გადასცეს. უფრო მეტიც, ალანებმა კვლავ დალაშქრეს აბაზგთა ქვეყანა და იქიდან მრავალი ტყვეც წაიყვანეს.

ამრიგად, ლეონ ისავრიელმა ალანთა და აფშილთა მეშვეობით შეძლო აბაზგების ბლოკირება, რის შემდეგაც ეს უკანასკნელნი მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდნენ. ამით დაუყოვნებლივ ისარგებლა ბიზანტიის იმპერატორმა იუსტინიანე II-მ (705-711წწ.). მან აბაზგთა მმართველს საგანგებო წერილი გამოუგზავნა, რომელშიც უბრძანებდა, ხელი შეეწყოს ლეონ ისავრიელის ბიზანტიაში უვნებლად მობრუნებისათვის, რის სანაცვლოდაც ადრე ჩადენილი ცოდვების პატიებას ჰპირდებოდა. აბაზგებმა ერთუზიანზიმით მიიღეს იმპერატორის ეს წინადადება და სათანადო აქტიურობაც გამოიჩინეს ბიზანტიელი დიპლომატის ალანიიდან გადმოსაყვანად. მაგრამ მათი მესამე ელჩობაც ჩრდილოეთ კავკასიაში უშედეგოდ დასრულდა. ლეონ ისავრიელი არც ამჯერად ენდო აბაზგებს და მოცდა ამჯობინა.

ბიზანტიის ხელისუფლება დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ლეონ ისავრიელის დიპლომატიურ მისიას კავკასიაში და მისი წარმატების უზრუნველსაყოფად დამატებითი, ამჯერად უკვე სამხედრო ზომების მიღებაც გადაწყვიტა. ლაზიკა-ეგრისში გადასროლილ იქნა სამხედრო დესანტი (ბიზანტიურ-სომხური რაზმი), რომელმაც ალყა შემოარტყა ლაზიკის მმართველთა რეზიდენციას – არქეოპოლისს (ციხე-გოჯს). მაგრამ არაბები ოპერატიულად გამოეხმაურნენ ბიზანტიელთა ამ გამოხტომას და აიძულეს ისინი, სასწრაფოდ დაეტოვებინათ ლაზიკის მთავარი ციხის მისადგომები. ამის შემდეგ ბიზანტიელთა დესანტის ნაწილი აფშილებისა და მისიმიანეთის მთებში ჩარჩა და იქ ყაჩაღობით ირჩენდა თავს. ამ რაზმის იმედით ლეონ ისავრიელმა დატოვა ალანია და მათკენ გამოეშურა. გზად მან მოინდომა მისიმიანთა მთავარი სიმაგრის – ე.წ. „რკინის ციხის“ (წახარის) დაუფლება, რომელიც არაბებს ეკავათ. მათ გარნიზონს სომეხი კომენდანტი ვინმე ფარასმანი ხელმძღვანელობდა. ლეონმა მოციქული, ასევე სომეხი – ამჯერად უკვე თავისი რაზმიდან – გაუგზავნა ფარასმანს და ციხის ჩაბარება მოსთხოვა, მაგრამ კომენ-

დანტმა ლეონის ელჩი ცივი უარით გამოისტუმრა. ასეთ ვითარებაში ბიზანტიელებს ისევ „აფსილთა შორის უპირველესი“ მარინოსი გამოეყოფა. მან სამასი აფშილი მიაშველა მათ და დაეხმარა ციხის დაუფლებაში. ამის შემდეგ მარინოსმა მალაღჩინოსან ბიზანტიელ სტუმარს უკვე აფშილეთში დიდი მიღება მოუწყო და ბოლოს, თვითონ მიაცილა ზღვის ნაპირამდე, საიდანაც ლეონი გემით სამშობლოში გაემგზავრა.

ლეონ ისავრიელის მოგზაურობამ კავკასიაში ძირითადად მიაღწია დასახულ მიზანს. რამდენადმე შეირყა არაბთა გავლენა დასავლეთ საქართველოში. ბიზანტიური დიპლომატიის ეს წარმატება მნიშვნელოვანწილად განაპირობა „აფშილთა შორის უპირველესის“ მარინოსის გამოკვეთილმა ანტიარაბულმა პოზიციამ. მარინოსის ანტიარაბული დემარში განპირობებული იყო აფშილეთის არისტოკრატიის სურვილით, თავი დაეღწია ლაზიკის უზენაესობისაგან. ამასთან, აფშილთა სწრაფვა სუვერენიტეტის მოპოვებისაკენ ინსპირირებული იყო კონსტანტინოპოლის მიერ, რომელიც ამ გზით ცდილობდა ანტიბიზანტიურად განწყობილი ლაზიკა-ეგრისის ცენტრალური ხელისუფლებისათვის საპასუხო დარტყმის მიყენებას. საბოლოოდ მარინოსმა მიაღწია კიდეც მიზანს, ის გამოვიდა ლაზიკა-ეგრისის ცენტრალური ხელისუფლების დაქვემდებარებიდან და უშუალოდ ბიზანტიის იმპერატორის ვასალი გახდა, რის გამოხატულებასაც წარმოადგენდა „აფშილთა შორის უპირველესისათვის“ პატრიკიონის ტიტულის ბოძება.

ლეონ ისავრიელის დიპლომატიური მისიის შედეგი იყო ისიც, რომ აბაზგა-აფშილეთის მესვეურებმაც ცნეს ბიზანტიის იმპერიის უზენაესობა და ამიერიდან ამ მხარეს „ერისთავი კეისრისა“ მართავდა. ამრიგად, VIII ს. 10-იანი წლების დამდეგისათვის ბიზანტიამ ჩამოაცილა რა ლაზიკა-ეგრისს აბაზგა და აფშილეთი, ნაწილობრივ შეძლო თავისი გავლენის აღდგენა დასავლეთ საქართველოში. მოგვიანებით VIII ს. 20-იანი წლებისათვის იმპერიამ ლაზიკა-ეგრისის ცენტრალურ ოლქებზეც აღადგინა თავისი კონტროლი. ეს იყო ბიზანტიის ხელისუფლებასა და ქართლის ერისმთავრის სახლს შორის სამხედრო-დიპლომატიური თანამშრომლობის გააქტიურების პირველი რეალური ნაყოფი.

VIII ს. 20-იან წლებში ბიზანტია-ხაზარეთ-არაბთა სახელმწიფოს კონფრონტაციის გამწვავება და ქართული პოლიტიკური სამყარო VIII ს. 30-40-იან წლებში. VIII ს. 20-იან წლებში უკიდურესად გამწვავდა ურთიერთობა ბიზანტიასა და არაბთა სახალიფოს შორის. ამ დაპირისპირებაში ბიზანტიის იმპერიის მთავარი მოკავშირე და სატელიტი იყო ხაზართა ხაკანატი, რომელსაც, ბუნებრივია, საკუთარი ინტერესები გა-

აწდა კავკასიაში. ამ კონფრონტაციაში აქტიურად აღმოჩნდა ჩართული ქართლის ერისმთავრის სახლი. ქართლის პოლიტიკურ ლიდერთა ანტი-არაბული საქმიანობის გააქტიურება გამოწვეული იყო იმით, რომ სახალიფომ თავის მხრივ გააძლიერა ზეწოლა მათზე. მას მერე, რაც არაბებმა ლაზიკა-ეგრისი დაიკავეს და ამით დაასრულეს მთელი საქართველოს დაპყრობა, მათ თავიანთი რეჟიმი ქართლში კიდევ უფრო გაამკაცრეს. VIII ს. 20-იან წლების მიწურულს სახალიფოს მიერ დანიშნულმა ამიერკავკასიის ახალმა გამგებელმა ჯარაჰ იბნ-აბდალლაჰმა განაახლა ე.წ. „დაცვის სივლი“; რომლის თანახმადაც, ქართლის მოსახლეობას ახალი ვალდებულებები დაეკისრა. ამან უკიდურესად დაძაბა ვითარება აღმოსავლეთ საქართველოში. ქვეყნის ხელისუფლება არაბთა დიქტატის წინააღმდეგ სერიოზული ზომების მიღებისათვის მზადებას შეუდგა.

730 წ. ახლო ხანებში, „ქართველი მალიქი“ (ქართლის ერისმთავარი სტეფანოზი) გამოვიდა სათანადო დიპლომატიური ინიციატივით, წარავლინა თავისი ელჩი ხაზართა ხაკან ხაკასრთან და მას ამიერკავკასიაში არაბთა წინააღმდეგ ერთობლივი ლაშქრობის მოწყობა შესთავაზა. ხაზარები გამოეხმაურნენ ქართლის ლიდერის ამ ინიციატივას და გამოგზავნეს დიდი ლაშქარი ხაკანის ძის – ბარჯიკის სარდლობით. გადამწყვეტი შეტაკება მოხდა აზერბაიჯანში – ქ. არდებილთან 730 წ. ხაზარებმა გაანადგურეს არაბთა ჯარი. ბრძოლაში დაიღუპა ცნობილი არაბი სარდალი, ქართლის არაერთხელ დამლაშქრავი ჯარაჰ იბნ-აბდალლაჰი. არაბთა დამარცხებაში დიდი წვლილი შეიტანა „ქართველთა მალიქმა“, რომელიც თავისი „ჭკვიანური რჩევებით“ დიდად დაეხმარა ხაზართა სარდალს.

ბიზანტიის იმპერიამ, რომელიც არაბთა სახალიფო-ხაზარეთის დაპირისპირებისას ხაზარებს უმაგრებდა ზურგს, თავის სასარგებლოდ გამოიყენა ქართლის მმართველი დინასტიის მზარდი ავტორიტეტი და აქტიურად დაუჭირა მხარი ძის შემდგომ აღზევებას სრულიად საქართველოს მასშტაბით. ამ დროიდან დასავლეთ საქართველოს უდიდესი ნაწილი, მდ. კელასურს იქითა მხარის – აფხაზეთის, რომელიც „საბერძნეთის“ (ე.ი. ბიზანტიის იმპერიის) ფარგლებში შედიოდა, – გამოკლებით, ქართლის ერისმთავრის ხელისუფლების ქვეშ მოექცა. ეს მოხდა ბიზანტიის იმპერიის აქტიური დიპლომატიური მხარდაჭერით. ბიზანტიის საიმპერატორო კარმა ამით ერთგვარად შური იძია „მოლაღატე“ ლაზიკის პატრიკიოზის სერგი ბარნუკის ძის საგვარეულოზე და დასავლეთ საქართველოში მისთვის სასურველი რეჟიმი დამყარა.

ამრიგად, VIII ს. 30-იან წლებისათვის აშკარად გამოიკვეთა ბიზანტია-ქართლის ერისმთავართა ალიანსი, რომელიც, პირველ რიგში, მი-

მართული იყო არაბთა სახალიფოს მხარდამჭერი ძალების წინააღმდეგ დასავლეთ საქართველოში. უფრო მეტიც, ამ დროს ბიზანტიამ და ქართლმა მოახდინეს ლაზიკა-ეგრისის ერთგვარი გადანაწილება. იმპერიის ხელისუფლებამ „დააკმაყოფილა“ აბაზგია-აფშილეთის ლიდერთა სწრაფვა, ჩამოშორებოდნენ ლაზიკა-ეგრისს და თავისთვის დაიტოვა აბაზგია-აფშილეთი (მდ. კელასურამდე), ხოლო ლაზიკის დანარჩენ ნაწილში ქართლის ერისმთავრის მფლობელობა სცნო. ამით ბიზანტიამ ერთხელ და სამუდამოდ წერტილი დაუსვა ლაზიკა-ეგრისის, როგორც ცალკე სახელმწიფოებრივი გაერთიანების, არსებობას. ეგრისის დიდი ნაწილის ქართლისათვის მიერთებითა და ბიზანტიის ერთგული ქართლ-ეგრისის ერთიანი სახელმწიფოს („საქართველოს“) შექმნით იმპერია იურიდიულად განაგრძობდა თავისი გავლენის სფეროებს და ფაქტობრივად ცდილობდა იმ ვითარების აღდგენას, რომელიც შეიქმნა 628 წელს ჰერაკლე კეისრისა და ხაზარების მიერ თბილისის აღების შემდეგ.

არაბთა სახალიფო, ბუნებრივია, ასე იოლად ვერ დათმობდა თავის პოზიციებს საქართველო-კავკასიაში. VIII ს. 30-იანი წლების შუახანებში არაბებმა მოაწყვეს გრანდიოზული სამხედრო ექსპედიცია ცნობილი სარდლის მურვან იბნ-მუჰამადის მეთაურობით, რომლის დროსაც დალაშქრეს როგორც ამიერ, ისე იმიერკავკასიაც და სერიოზული დარტყმა მიაყენეს ხაზართა გავლენას რეგიონში. ამ ლაშქრობის დროს არაბებმა სასტიკად იძიეს შური „ურჩ“ ქართველებზე. ჯერ იყო და ააოხრეს აღმოსავლეთ საქართველო, შემდეგ კი ქართლის ერისმთავრის სტეფანოზის ძეთა მირისა და არჩილის დევის მოტივით გადავიდნენ ლაზიკა-ეგრისშიც და იქაურობაც მოაოხრეს.

მაგრამ დასახული ამოცანა არაბებმა ბოლომდე მაინც ვერ შეასრულეს, მათ ვერ შეიპყრეს მირი და არჩილი, ხოლო ანაკოფიის (ახალი ათონი) ციხის კედლებთან განცდილი მარცხის შემდეგ საერთოდ იძულებულნი შეიქნენ დასავლეთ საქართველო დაეტოვებინათ. ბიზანტიის დიპლომატიამ მარჯვედ გამოიყენა მირისა და არჩილის მიერ აფხაზეთში მოპოვებული სამხედრო წარმატება და ქართლის ერისმთავრები კონსტანტინოპოლის მფარველობის ქვეშ აიყვანა. ეს მოხდა მას შემდეგ, რაც მურვან-„ყრუს“ ლაშქარზე გამარჯვებისთანავე მირმა და არჩილმა, აგრეთვე ლეონ „აფხაზეთის ერისთავმა“ საგანგებო ელჩობა წარგზავნეს კონსტანტინოპოლს, რომელმაც ბიზანტიის იმპერატორს საზეიმოდ ამცნო არაბებზე მოპოვებული გამარჯვების ამბავი.

იმპერიის ხელისუფლებამ სწორად შეაფასა დასავლეთ საქართველოში განვითარებული მოვლენები და მნიშვნელოვანი პოლიტიკურ-დიპლომატიური მხარდაჭერა აღმოუჩინა არაბთა წინააღმდეგ მებრძოლ

ქართველ ლიდერებს. ბიზანტიის საიმპერატორო კარმა ოფიციალურად სცნო მირისა და არჩილის სამეფო უფლებები ქართლ-ეგრისში და მათ ამისი დამადასტურებელი ორი სამეფო გვირგვინი გამოუგზავნა. ამავე დროს, იმპერატორმა განსაზღვრა ლეონის სტატუსიც და დაუმტკიცა მას „აფხაზეთის ერისთავობა“ მემკვიდრეობით, თან გააფრთხილა ის, რომ ამიერიდან არ ევნო ქართლის „მეფეთათვის“.

ერთი სიტყვით, ბიზანტიის ხელისუფლებამ დასავლეთ საქართველოში, ფაქტობრივად, ახალი წესრიგი დაამყარა. მან განამტკიცა ქართლის მმართველი დინასტიის ლეგიტიმური უფლებები ეგრისზე, ხოლო „აფხაზეთის ერისთავს“ უბრძანა ლოიალობა გამოეჩინა ქართლ-ეგრისის ხელმწიფეთა მიმართ. ბიზანტიის იმპერატორის ეს „ბრძანება“ გახდა საფუძველი ქართლ-ეგრისის „სამეფო“ სახლთან, რომლის სათავეში მირის გარდაცვალების შემდეგ, მისი უმცროსი ძმა არჩილი ერთპიროვნულად მოექცა, ლეონ „აფხაზეთის ერისთავის“ შემდგომი დაახლოებისა, რაც დინასტიური ქორწინებითაც განმტკიცდა. ლეონი დაქორწინდა მირის ერთ-ერთ ასულზე და ამით ქართლ-ეგრისის „სამეფო“ სახლის სრულუფლებიანი წევრი გახდა. მაგრამ აფხაზეთის ერისთავი უფრო შორსაც წავიდა. მან დიპლომატიურად უარი თქვა არჩილის მიერ საჩუქრის სახით შემოთავაზებულ ტერიტორიულ შენამენზე, თავი არჩილის ვასალად გამოაცხადა და თავისი სამკვიდრებელიც (ე.ი. აფხაზეთი) მას გადასცა. ამის სანაცვლოდ შორსმჭვრეტელმა „აფხაზეთის ერისთავმა“ ლეგიტიმური თვალსაზრისით გაცილებით უფრო მნიშვნელოვანი პოლიტიკური კომპენსაცია მიიღო: მას ერგო ბიზანტიის იმპერატორის მიერ მირისა და არჩილისათვის გამოგზავნილ ორ „გვირგვინთაგან“ ერთი (მირისათვის განკუთვნილი) „სამეფო გვირგვინი“.

ამრიგად, VIII ს. 30-იანი წლების მიწურულისათვის საქართველოში შეიქმნა სრულიად ახალი სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური ვითარება. მთელი ამიერ-იმერი კელასურს იქითა მხარის (მაშინდელი აფხაზეთის) ჩათვლით იურიდიულად გაფორმდა ერთიან სახელმწიფოში, რომლის სათავეში იდგა ქართლის ერისმთავრის – არჩილის სახლი. „აფხაზეთის ერისთავმა“ ლეონმა უარი თქვა „საბერძნეთზე“, ნებაყოფლობით შემოვიდა საერთო-ქართულ პოლიტიკურ სამყაროში და თავისი ახალი – ქართლ-ეგრისის „მეფის“ მირის ერთ-ერთი პოლიტიკური მემკვიდრის სტატუსით, უმაღლესი ქართული პოლიტიკური ელიტის წამყვან ფიგურად იქცა. ამ დროიდან იწყება „აფხაზეთის ერისთავის“ პოლიტიკური კარიერის ახალი ეტაპი, რომელიც მოგვიანებით (VIII ს. 70-იან წლებში) არჩილის მემკვიდრეთა (იოვანე, ჯუანშერი) პოლიტიკური არენიდან წასვლის შემდეგ, დასავლეთ საქართველოში მისი ერთპიროვნული მმართვე-

ლობის დამყარებით დასრულდა.

ბრძოლა არაბი დამპყრობლების წინააღმდეგ VIIIს. II ნახევარში და მისი საერთაშორისო-დიპლომატიური უზრუნველყოფა. ქართლ-ეგრისის ერთიან სახელმწიფოში გაერთიანება ქართლის ერისმთავრის არჩილის მესვეურობით, რომელიც ბიზანტიის იმპერიის დასტურითა და დიპლომატიური მხარდაჭერით განხორციელდა მხოლოდ ფორმალური აქტი აღმოჩნდა. რეალურად ასეთი სახელმწიფო არც არსებობდა, ვინაიდან ჯერ მასლამა იბნ აბდ ალ-მალიქისა, ხოლო შემდეგ მურვან იბნ მუჰამმადის დამსჯელი ექსპედიციების შედეგად სტეფანოზ მთავრის სახლის ხელისუფლება აღმოსავლეთ საქართველოში სრულიად ნომინალური იყო. ფაქტობრივად, ის მხოლოდ კახეთ-ჰერეთს (ისიც პირველ ეტაპზე) აკონტროლებდა. უფრო მეტიც, ამ დროიდან არაბთა საოკუპაციო რეჟიმი კიდევ უფრო გამკაცრდა, რაც სახალიფოს ახალი ადმინისტრაციული ერთეულის – თბილისის საამიროს შექმნით იყო გამოწვეული. თბილისის ამირას კონტროლქვეშ აღმოჩნდა ქართლის ერისმთავარიც, რომლის ტახტზე არაბებმა სტეფანოზის სახლის დამცრობის შემდეგ ბაგრატიონთა საგვარეულოს წარმომადგენელი ადარნასე აღაზევკეს.

VIIIს. 60-იანი წლებიდან ხაზარებმა კვლავ გაააქტიურეს სამხედრო-პოლიტიკური აქციები სამხრეთ კავკასიის მიმართულებით. ეს იყო ერთგვარი საპასუხო რეაქცია რეგიონში არაბთა გავლენის განმტკიცების საპირისპიროდ, რომელიც განსაკუთრებით შესამჩნევი გახდა სახალიფოს სათავეში 749წ. აბასიდების დინასტიის მოსვლის შემდეგ. ხაზართა გააქტიურება მოხდა საქართველოს ცალკეულ რეგიონებში, კერძოდ, კი კახეთის მთის რაიონებში, ანტიარაბული წინააღმდეგობის ესკალაციის ფონზე. ხაზარეთის მმართველი წრეები ცდილობდნენ მაქსიმალურად გამოეყენებინათ ანტიარაბული განწყობილებები საქართველოში და მოემზადებინათ ნიადაგი სახალიფოს წინააღმდეგ ფართო ფრონტით შეტევისათვის.

ამას ისახავდა მიზნად ხაზართა ხაკანის დიპლომატიური ინიციატივა, დაკავშირებოდა კახეთში დამკვიდრებულ არჩილ „მეფის“ სახლს, რომელიც საქართველოში ანტიარაბული ფრონტის წინამძღოლად ითვლებოდა და მასთან ახლო დინასტიურ-ნათესაური ურთიერთობების დამყარებით სამხედრო-პოლიტიკური ბლოკის შეკვრას შეეცადა, მაგრამ ხაზართა ელჩობა კახეთში უშედეგოდ დასრულდა. ჯუანშერ არჩილის ძის გარემოცვამ არ მიიღო ხაკანის წინადადება დამოყვრების თაობაზე – ხაკანს ჯუანშერის დის, შუმანას ცოლად შერთვა სურდა, რითაც გაანაწყენა პოტენციური მოკავშირე. ხაზართა ელჩობიდან 3 წლის შემდეგ კი 764წ. ხაკანმა გამოგზავნა დიდი ლაშქარი, რომელიც დარუბან-

დის გზით შემოიჭრა ამიერკავკასიაში, დაესხა კახეთს, შეიპყრო ჯუან-შერი და მისი და შუშანი, შემდეგ ააოხრა თბილისი, მთლიანად ქართლი და დარიალის გზით უკან გაბრუნდა. გზაში შუშანმა თავი მოიწამლა და ამდენად დინასტიური ქორწინება ხაზართა ხაკანსა და არჩილ „მეფის“ სახლს შორის, რასაც გარკვეული სარგებლობის მოტანა შეეძლო არაბთა წინააღმდეგ მებრძოლი ქართველებისათვის, არ შედგა. მიუხედავად ამისა, ხაზარეთის მეფემ ჯუანშერს კარგი მიღება მოუწყო, 7 წლის განმავლობაში ის პატივში ჰყავდა და ბოლოს დიდი საჩუქრებით სამშობლოში გამოისტუმრა.

სახალიფოს უღლის დამძიმებამ არაბების წინააღმდეგ აამხედრა არა მარტო განაპირა რეგიონების მოსახლეობა, რომელთა შორის განსაკუთრებით გააქტიურდნენ წანართა მთიელი ტომები, არამედ ქართლის პოლიტიკური წრეები, რითაც უმაღლეს სარგებლად ბიზანტიის იმპერიამ, რომელმაც კურაპალატის ტიტულის ბოძებით ადარნასე ბაგრატიონს არაბთა წინააღმდეგ გადამწყვეტი მოქმედებების დაწყებისაკენ უბიძგა. მაგრამ ამ ეტაპზე რაიმე კონკრეტულ გამოსვლებს არაბთა საოკუპაციო რეჟიმის წინააღმდეგ ქართლის ერისმთავრის მხრიდან ადგილი არ ჰქონია.

ვითარება შეიცვალა ადარნასე ბაგრატიონის მემკვიდრის ნერსე ერისმთავრის მმართველობის პერიოდში, როდესაც სახალიფოს ხელისუფლებას მოუწია დამსჯელი იძულებითი ზომების მიღება ქართლის გაურჩეული ლიდერის მიმართ. 772წ. ის დაბარებულ იქნა ბაღდადს, სადაც დააპატიმრეს და სამი წლის მანძილზე საპყრობილეში ამყოფეს. 775 წელს ხალიფა მაჰდიმ ნერსე შეიწყალა და კვლავ დააბრუნა ტახტზე. ნერსე არც ამის შემდეგ იჩენდა საჭირო ლოიალობას არაბთა სახალიფოს ხელისუფლებისადმი, რის გამოც კვლავ დაიბარეს ბაღდადში. მაგრამ ამჯერად ნერსე ერისმთავარი არ ეახლა ხალიფას და არაბთა წინააღმდეგ გადამწყვეტი მოქმედებების დაწყებისათვის მზადებას შეუდგა.

თავდაპირველად მან ოჯახი დასავლეთ საქართველოში, „სარკინოხთაგან კრძალულ“ ქვეყანაში, რომელსაც უკვე აფხაზეთის მთავარი განაგებდა, გახიზნა, თვითონ კი სამხედრო-პოლიტიკური დახმარების მიღების იმედით ხაზართა ხაკანის კარს მიაშურა. ხაზარებმა მას მეტად მაღალ დონეზე მიღება მოუწყვეს და კარგა ხანს ქართლის ერისმთავარი და მისი საკმაოდ მრავალრიცხოვანი ამაღლი დიდ პატივშიც ჰყავდათ. მაგრამ დიპლომატიური მოლაპარაკებები ხაზართა ხაკანთან უმაღლეს დონეზე უშედეგო აღმოჩნდა. იმ ეტაპზე ხაზარებმა თავი შეიკავეს სამხედრო კამპანიისაგან აღმოსავლეთ საქართველოში. გაწბი-

ლებული ერისმთავარი იძულებული გახდა, დაეტოვებინა ხაზარეთი და თავი აფხაზეთისათვის (დასავლეთ საქართველო) შეეფარებინა.

ნერსეს ურჩობით გაბრაზებულმა არაბებმა მაინც აარიდეს თავი სიტუაციის გამწვავებას ქართლში და ერისმთავრად ნერსეს სახლიკაცი, მისი დისწული სტეფანოზ გურგენის ძე დასვეს, ხოლო თვით ნერსეს დართეს ნება, ოჯახთან ერთად ქართლში დაბრუნებულიყო და როგორც კერძო პირს თავისუფლად ეცხოვრა. ეს იყო გარკვეული კომპრომისი არაბების მხრიდან. საქმე ისაა, რომ VIII ს. 80-იანი წლებისათვის არაბთა სახალიფოს ძლიერება რამდენადმე შეირყა და ის დაპყრობილ მხარეებში უკვე უწინდებურად ვერ ახერხებდა რადიკალური ზომების გატარებას ვასალების მიმართ. ადრე ეს ადვილად კეთდებოდა. მაგალითად, VIII ს. 50-იან წლებში არაბთა სარდალმა ასიმ-იბნ-აბდ-ალლაჰმა თავი მოჰკვეთა საქართველოში ანტიარაბული ფრონტის აღიარებულ თავკაცს არჩილ „მეფეს“.

ამრიგად, VIII ს. მთელ მანძილზე ქართული პოლიტიკური სამყარო ურთულესი საგარეო-პოლიტიკური პრობლემების წინაშე აღმოჩნდა. მთავარ საფრთხეს ამ ეტაპზე არაბთა სახალიფო წარმოადგენდა. მიუხედავად იმისა, რომ არაბებმა ერთი პერიოდი შეძლეს ქვეყნის სრულ კონტროლქვეშ მოქცევა, რეალურად არაბობამ ფეხი მხოლოდ ისტორიული ქართლის ერთ ნაწილში მოიკიდა. ქართველი პოლიტიკური ლიდერები ყოველნაირად ცდილობდნენ და უმეტეს შემთხვევაში წარმატებით ახერხებდნენ კიდევ გზებისა და საშუალებების მოძებნას, მათ შორის აქტიური დიპლომატიური საქმიანობით, არაბთა სახალიფოს ზეწოლის გასაუვნებელსაყოფად და ქვეყნის სუვერენიტეტის რაღაც დონით მაინც შესანარჩუნებლად.

„აფხაზეთის“ საკათოლიკოსოს დაარსების თარიღის საკითხისათვის*

„აფხაზეთის“ საკათოლიკოსოს დაარსების ზუსტი თარიღის დადგენა, როგორც ცნობილია, დღემდე რჩება ქართული ისტორიოგრაფიის გადაუჭრელ პრობლემად. მიუხედავად იმისა, რომ არაერთი მეცნიერი შეეცადა ნათელი მოეფინა აღნიშნული საკითხისათვის,¹ შეიძლება ითქვას, რომ საბოლოო მიზანი ჯერჯერობით მიღწეული არ არის. მკვლევართა უმრავლესობა დასავლეთ საქართველოში კონსტანტინოპოლის საპატრიარქოსაგან დამოუკიდებელი, ეროვნულ (ქართულ და არა აფსუა-აფხაზურ) ნიადაგზე შემდგარი საეკლესიო ორგანიზაციის შექმნას IX-X საუკუნეების რომელიღაც მონაკვეთზე ვარაუდობს და ამას „აფხაზთა“ მეფეთა ანტიბიზანტიური პოლიტიკური კურსის რეალიზაციის შედეგად მიიჩნევს. თუმცა ისტორიკოსთა ერთ ნაწილს „აფხაზეთის“ საკათოლიკოსოს დაარსების თარიღი VIII ს. I ნახევარშიც გადააქვს. მოცემულ საკითხზე დამაჯერებელი პასუხის გაცემას აძნელებს წყაროების სიმწირე და აგრეთვე მათში მეტ-ნაკლებად ურთიერთგამომრიცხავი ინფორმაციის არსებობა.

პირველი ცნობა, რომელიც გვაწვდის კონკრეტულ ინფორმაციას „აფხაზეთის“ საკათოლიკოსოს შექმნაზე მოგვეპოვება „ქართლის ცხოვრების“ ზოგიერთ (XVIII ს.) ნუსხაში გაკეთებული ჩანართის სახით. ამ მინაწერის თანახმად, რომელიც ერთვის ჯუანშერ ჯუანშერიანის თხზულებას, „აქა გამოჩნდა კ(ათალიკო)ზი აფხაზეთისა, ჟამსა მას ლეონ ისავროსისა ქ(რისტ)ეს აქეთ შუდას ოც წელსა“.² ამ ცნობას ნდობას

* წაკითხულ იქნა მოხსენებად სამეცნიერო კონფერენციაზე: „საქართველოში ქრისტიანობის გავრცელების 2000 წელი“ (2-4 ნოემბერი, 2005). პირველად დაიბეჭდა აღნიშნული კონფერენციის კრებულში. იხ. **ზ. პაპასქირი**, „აფხაზეთის“ საკათოლიკოსოს დაარსების თარიღის საკითხისათვის. – „მართლმადიდებლობა აფხაზეთში და ეროვნული თვითიდენტიფიკაციის საკითხები“. I. თბ., 2005, გვ. 74-87. ნაშრომის პუბლიკაცია იხ. აგრეთვე: **ზ. პაპასქირი**, „აფხაზთა“ საკათალიკოსოს დაწესების ქრონოლოგიისათვის. – *შოთა მესხია – 90*. საიუბილეო კრებული მიძღვნილი შოთა მესხიას 90 წლისთავისადმი. თბ., 2006, გვ. 201-213.

¹ სხვადასხვა დროს „აფხაზეთის“ საკათოლიკოსოს დაარსების საკითხით დაინტერესდნენ და საყურადღებო მოსაზრებები გამოთქვეს: კ. კეკელიძემ, ნ. ბერძენიშვილმა, ს. ყაუხჩიშვილმა, პ. ინგოროყვამ, ზ. ანნაბაძემ, მ. ლორთქიფანიძემ, ვ. გოილაძემ და სხვ. ამ უკანასკნელ ხანს აღნიშნულ პრობლემას საგანგებოდ იკვლევენ მიტროპოლიტი ა. ჯაფარიძე, ბ. დიასამიძე, ბ. კუდავა, თ. ქორიძე.

² *ჯუანშერ ჯუანშერიანი*. ცხოვრება ვახტანგ გორგასლისა, – *ქართლის ცხოვრება*, ტ. I. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით **ს. ყაუხჩიშვილის** მიერ. თბ., 1955, გვ. 255.

უცხადებს საქართველოს ეკლესიის ისტორიის მკვლევარი, მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე, რომელიც ცდილობს შეამაგროს ის იერუსალიმის პატრიარქის ღოსითეოსის (XVII ს.) მონაცემებით¹. გარდა ამისა, ა. ჯაფარიძის აზრით, „ქართლის ცხოვრების“ ჩანართში დაფიქსირებულ ფაქტს, თითქოს ადასტურებს ვახუშტი ბატონიშვილის შემდეგი ცნობაც: „ოდეს განდგა ლეონ და იწოდა აფხაზთა მეფედ, მაშინ მოუძღურებულ იყვნენ ბერძენნიცა; და ამ ლევანის მიერ, ანუ შეძღვომთა მისთავან განთავისუფლდა თხოვნითა ბერძენთაგანვე, ვინათგან სახელიცა მისი ესრეთვე წარმოაჩინებს, რამეთუ უწოდებენ კათალიკოზსა აფხაზეთისასა და არა ეგრისისასა და იმერეთისასა“².

ვახუშტი ბატონიშვილის ეს ცნობა, თავისთავად, უდავოდ საინტერესოა, ვინაიდან ის ერთნიშნად ადასტურებს, რომ „აფხაზეთის“ საკათოლიკოსოს სახელის მქონე საეკლესიო ორგანიზაცია, მხოლოდ „აფხაზთა“ სამეფოს ხანაში შეიძლება შექმნილიყო. მაგრამ ის ნამდვილად ვერ გამოდგება 720 წელს დასავლეთ საქართველოს ეკლესიის კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს იურისდიქციიდან გამოსვლისა და დამოუკიდებელი საეკლესიო ორგანიზაციის შექმნის საბუთად იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ვახუშტის „ლევანი“, როგორც ეს სავსებით სამართლიანად შენიშნა ბ. დიასამიძემ, არის არა ლეონ I „აფხაზეთის ერისთავი“, არამედ მისი ძმისწული ლეონ II – პირველი „აფხაზთა“ მეფე³. ასევე ძნელი გასაზიარებელია ა. ჯაფარიძის დასკვნა იმის შესახებ, რომ ლეონ I „აფხაზეთის ერისთავი“ (720 წლის ახლო ხანებში) თითქოს ანტიბიზანტიურ პოლიტიკას ადგა და სწორედ ამის გამოვლინება იყო მის მიერ საეკლესიო სუვერენიტეტის მოპოვება⁴. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ლეონ I-ის მოღვაწეობის ამსახველი ერთადერთი ცნობა ყოველგვარი დაეჭვების გარეშე მიგვანიშნებს, რომ ის (ამ ეტაპზე მაინც) ბიზანტიის იმპერატორის კრეატურა და მისი კურსის გამტარებელი იყო.⁵

¹ ა. ჯაფარიძე. საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია, ტ. II. თბ., 1998, გვ. 92.

² ბატონიშვილი ვახუშტი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა. – ქართლის ცხოვრება, ტ. IV. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. თბ., 1973, გვ. 746.

³ ბ. დიასამიძე. ქრისტიანობა დასავლეთ საქართველოში (I-X საუკუნეები). ბათუმი, 2001, გვ. 200-202.

⁴ ა. ჯაფარიძე. საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია., გვ. 93.

⁵ ჯუანშერ ჯუანშერიანი. ცხოვრება ვახტანგ გორგასლისა., გვ. 239-240. ამასთან დაკავშირებით, ჩვენ ვერ გავიზიარებთ მერვან იბნ-მუჰამედის დამსჯელი ექსპედიციის წინ საქართველოში შექმნილი საერთო-პოლიტიკური ვითარების ბ. დიასამიძისეულ ხედვასაც. კერძოდ, დასკვნას იმის შესახებ,

ერთი სიტყვით, „აფხაზეთის“ საკათოლიკოსოს დაარსება მაინც-დამაინც 720წ. და, მით უფრო ამ მოვლენის წარმოჩენა ლეონ „აფხაზეთის ერისთავის“ მიერ გადაღებულ ანტიბიზანტიურ ნაბიჯად საეჭვოდ მოჩანს. ასე დაბეჯითებით ამას ვერ ვიტყვით ვ. გოილაძის მოსაზრებაზე „აფხაზეთის“ საკათოლიკოსოს 744-750 წლებში – ანტიოქიის საპატრიარქოს სათავეში თეოფილაქტეს ყოფნის პერიოდში – დაარსების შესახებ,¹ რომელიც გაიზიარა ა. ჯაფარიძემ.² ვ. გოილაძის არგუმენტაცია ზოგადად ნამდვილად ანგარიშგასაწვევია, თუმცა არის ერთი გარემოება, რომელიც ხელს უშლის მის უპირობოდ გაზიარებას. კერძოდ, ვ. გოილაძე თვლის, რომ 744წ. ახლო ხანებში ლეონ „აფხაზეთის ერისთავის“ უნდა გაეერთიანებინა ეგრის-აფხაზეთი³, რისი დაშვების არავითარი საფუძველი არა გვაქვს. 744-750 წლებში თუ არჩილი – გაერთიანებული (თუნდაც ფორმალურად) ქართლ-ეგრისის სახელმწიფოს მეთაური (რომლის ვასალი გახდა „ერისთავი კეისრისა“ ლეონი) არა, მისი მემკვიდრე – იოვანე (სწორედ ის იხსენიება ეგრისის მმართველად არჩილის გარდაცვალების შემდეგ)⁴ მაინც იქნებოდა ცოცხალი.⁵

რომ სტეფანოზ ერისმთავარს დასავლეთ საქართველოს დაკავებაში ხელს არაბები უწყობდნენ (**ბ. დიასამიძე**. ქრისტიანობა დასავლეთ., გვ. 196). პირიქით, VIII ს. 10-20-იან წლებში განვითარებული მოვლენები ერთიმხად მიუთითებენ, რომ სტეფანოზ-არჩილის სახლი სათავეში ედგა ანტიარაბულ ფრონტს ამიერკავკასიაში. ამ საკითხთან დაკავშირებით იხ.: **ზ. პაპასქირი**. ბიზანტიის დიპლომატია და პოლიტიკური ცვლილებები დასავლეთ საქართველოში VIII ს. I ნახევარში. – *ქართული დიპლომატია*. წიგნი-წიგნი, ტ. 4. თბ., 1997, გვ. 291-308; **ზ. პაპასქირი**. დასავლეთ საქართველო – აფხაზეთის პოლიტიკური ისტორიიდან. *VIII საუკუნის I ნახევარი*. – წგნ.: **ზ. პაპასქირი**. აფხაზეთი საქართველოა. თბ., 1998, გვ. 102-120.

¹ **ვ. გოილაძე**. ქართული ეკლესიის სათავეებთან. თბ., 1991, გვ. 168-175. მეცნიერის აზრით თეოფილაქტე ანტიოქიის პატრიარქის მიერ კურთხეული კათოლიკოსი იოანე უნდა იყოს ბიჭვინთის (აფხაზეთის) და არ მცხეთის (ქართლის) კათოლიკოსი. ვ. გოილაძე თვლის, რომ სწორედ ამ (ბიჭვინთის) კათოლიკოსმა აკურთხა გუთების ეპისკოპოსად იოანე.

² **ა. ჯაფარიძე**. საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია., გვ. 90. ამ თვალსაზრისს დამაჯერებლად მიიხევენ ბ. დიასამიძე (იხ.: **ბ. დიასამიძე**. ქრისტიანობა დასავლეთ საქართველოში., გვ. 203) და ჯ. გამახარიაც (იხ.: **ჯ. გამახარია**. აფხაზეთი და მართლმადიდებლობა (II ს. – 1921წ.). თბ., 2005, გვ. 117).

³ **ვ. გოილაძე**. ქართული ეკლესიის სათავეებთან., გვ. 168.

⁴ *მატიანე ქართლისა*. – *ქართლის ცხოვრება*. ტ. I. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით **ს. ყაუხჩიშვილის** მიერ. თბ., 1955, გვ. 249.

⁵ „მატიანე ქართლისაჲს“ ცნობის თანახმად იოვანე მხოლოდ ლეონ II-ის მიერ „აფხაზეთა“ მეფის ტიტულის მიღების წინ ჩანს გარდაცვლილი. *მატიანე ქართლისა*., გვ. 251.

„აფხაზეთის ერისთავის“ ხელისუფლების ქვეშ ეგრის-აფხაზეთის მოქცევა კი სავარაუდებელია სწორედ იოვანეს გარდაცვალების შემდეგ, რაც სულ ცოტა 760 წლამდე მაინც არაა მოსალოდნელი. შესაძლებელია, ეს მოხდა თუნდაც VIII ს. 60-იან წლებში, მაშინ როდესაც ჯუანშერი (7 წლის განმავლობაში)¹ „საპატო ტყვეობაში“ ჰყავდა ხაზართა ხაკანს.² იქნებ, სწორედ იოვანეს გარდაცვალებითა და ჯუანშერის ტყვეობით გამოწვეული ვაკუუმით ისარგებლა „აფხაზეთის ერისთავმა“ (არაა გამორიცხული ეს მართლაც ყოფილიყო ლეონ I) და, როგორც „ხოსროიანთა“ სახლის ლეგიტიმურმა წარმომადგენელმა (სიძემ) დაიკავა იოვანეს ადგილი.

მიუხედავად ზემოთაღნიშნულისა, მთლიანად მაინც ვერ გამოვრიცხავთ „აფხაზეთის“ საკათოლიკოსოს დაარსების შესაძლებლობას VIII ს. 40-იან წლებში. მაგრამ, ამ შემთხვევაში, უნდა ვივარაუდოთ, რომ ეს მოხდებოდა ერთიანი ეგრის-აფხაზეთის ხელისუფლების სათავეში „აფხაზეთის ერისთავის“ მოსვლამდე. ამ თვალსაზრისით, ჩვენი აზრით, მეტად საყურადღებოა ის ფაქტი, რომ ახლადშექმნილი დამოუკიდებელი საეკლესიო ორგანიზაციის მეთაურმა რეზიდენცია დაიღო ბიჭვინთაში. თუ „აფხაზეთის“ საკათოლიკოსო შეიქნა „აფხაზთა“ სამეფოს ეპოქაში, როდესაც სახელმწიფოს პოლიტიკურმა ცენტრმა ანაკოფია-ახალი ათონიდან ქვეყნის შუაგულში (ქუთაისში) გადმონაცვლა, რაღა აზრი უნდა ჰქონოდა რელიგიური ცენტრის სამეფო რეზიდენციიდან ასე შორს – უკიდურეს ჩრდილო-დასავლეთში გადატანას. განა უპრიანი არ იქნებოდა, „აფხაზეთის“ კათოლიკოსად წოდებული დასავლეთ საქართველოს ეკლესიის მეთაური, აქვე, ქუთაისთან ახლოს, თუნდაც ფაზისში, რომელიც IX საუკუნეში ითვლებოდა ყველაზე მნიშვნელოვან საეკლესიო ცენტრად სწორედ დასავლეთ საქართველოს მასშტაბით³, დამჯდარიყო და აქედან ემართა თავისი სამწყსო.⁴ ერთი სიტყვით, ჩვენ

¹ აკად. ივ. ჯავახიშვილის გამოთვლით 764-771წწ. იხ.: ივ. ჯავახიშვილი. ქართველი ერის ისტორია, ტ. II. თბ., 1965, გვ. 80-81.

² *მატიანე ქართლისა*., გვ. 250.

³ ფაზისის სამიტროპოლიტო თავისი 4 (როდოპოლისის, საისი-ცაიშის, პეტრას, ზივანევის) ეპარქიით ფაქტობრივად მოიცავდა მთელ დასავლეთ საქართველოს დღევანდელი აფხაზეთის ტერიტორიაზე განლაგებული (სებასტოპოლისი-აბაზგიისა და ნიკოფსიის) საარქიეპისკოპოსოების გამოკლებით. იხ.: *გეორგიკა*. ტ. IV, ნაწ. II. ბიზანტიელ მწერალთა ცნობები საქართველოს შესახებ. ბერძნული ტექსტები ქართული თარგმანიურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო *ს. ყაუხჩიშვილმა*. თბ., 1952, გვ. 180-181.

⁴ აქ შეიძლება სხვა ქვეყნების პრაქტიკის მოშველიებაც. მაგალითად, ცნობილია, რომ XIV ს.-ში მოსკოვის სამთავროს წარმატებული ბრძოლა პოლიტიკური ჰეგემონობის მოსაპოვებლად და საბოლოო ჯამში ამ პოლი-

იმის თქმა გვინდა, რომ ჰიპოთეტურად, სულაც არ არის გამორიცხული „აფხაზეთის“ საკათოლიკოსო VIII ს. 70-იან წლებამდეც, როდესაც „აბო ტფილელის მარტვილობის“ თითქმის დოკუმენტური ცნობით აფხაზეთის მთავარი ნამდვილად იყო მთელი დასავლეთ საქართველოს ხელისუფალი,¹ შექმნილიყო.

ეს თუ ასეა, მაშინ სავარაუდოა, რომ „აფხაზეთის“ საკათოლიკოსოს დაარსება კონსტანტინოპოლთან გარკვეული დაპირისპირების პირობებში მოხდებოდა. ასეთი დროებითი დაპირისპირების ხანად კი სავსებით შესაძლებელია მივიჩნიოთ მხოლოდ VIII ს. 20-50-იანი წლების დამდეგი, როდესაც ბიზანტიის იმპერია ხატმებრძოლეობამ მოიცვა. იქნებ, მართლაც ამ დროს (უფრო VIII ს. 40-იან წლებში) განუდგა აფხაზეთი (ამ შემთხვევაში საკუთრივ „აფხაზეთის საერისთავო“) ბიზანტიას ეკლესიურად, როგორც ამას ფიქრობენ ცალკეული მკვლევრები.² მოსალოდნელია, რომ სწორედ საკუთრივ აფხაზეთის ფარგლებში უნდა გაეკეთებინა ჯერ კიდევ „საერისთავოს“ სტატუსის მქონე აფხაზეთის პოლიტიკურ ხელმძღვანელობას აქცენტი ბიჭვინთაზე და დაეპირისპირებინა ის კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს პოლიტიკის გამტარებელი აბაზგიის (სებასტოპოლისის) საარქიეპისკოპოსოსათვის, ვინაიდან დასავლეთ საქართველოს ერთიან სახელმწიფოში – „აფხაზთა“ სამეფოში – გაერთიანების შემდეგ, მეტად საეჭვოა ბიჭვინთას, მიუხედავად „ძველი დიდებისა“;³ კონკურენცია გაეწია იმავე ფაზისისათვის, რომელიც, რო-

ტიკური ერთეულის ირგვლივ რუსული მიწების გაერთიანება მნიშვნელოვანწილად განაპირობა იმან, რომ იმ პერიოდში (1326 წლის შემდეგ) სწორედ მოსკოვი გადაიქცა ქვეყნის რელიგიურ ცენტრად. იხ.: **С. М. Соловьёв.** Сочинения, кн. II. *История России с древнейших времён*, т. 3-4. М., 1988, გვ. 222-223; *Очерки истории СССР. Период Феодализма. IX-XV вв.* В двух частях. Под ред. **Б. Д. Грекова** (отв. ред.), **Л. В. Черепнина** и **В. Т. Пашуто**, ч. II. М., 1953, გვ. 202, 356; **Л. В. Черепнин.** Объединение русских земель вокруг Москвы, – *История СССР. С древнейших времён до наших дней*, т. II. М. 1966, გვ. 87.

¹ **იოანე საბანისძე.** წამებაჲ ჰაბოისი, რომელი იწამა ქართლსა შინა, ქალაქსა ტვილისს., – *ძველი ქართული პავიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები. იღ. აბულაძის* რედაქტორობით, ტ. I. თბ., 1963, გვ. 59-60.

² **ვ. გოილაძე.** ქართული ეკლესიის სათავეებთან..., გვ. 168-175; **ა. ჯაფარიძე.** საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია..., გვ. 90; **ბ. დიასამიძე.** ქრისტიანობა დასავლეთ საქართველოში..., გვ. 203; **ჯ. გამახარია.** აფხაზეთი და მართლმადიდებლობა..., გვ. 117.

³ როგორც ცნობილია, ბიჭვინთის ეპარქიამ საყოველთაო აღიარება მოიპოვა IV საუკუნიდან, როდესაც ბიჭვინთის ეპისკოპოსმა სტრატოფილემ მონაწილეობა მიიღო ნიკეაში გამართული (325წ.) მსოფლიო პირველი საეკლესიო კრების მუშაობაში. იხ.: *გეორგიკა*. ტ. I. ბიზანტიელ მწერალთა ცნობები საქართველოს შესახებ. ბერძნული ტექსტები ქართული თარგმანითურთ

გორც უკვე აღვნიშნეთ, ლაზიკის სამიტროპოლიტოს (ფაქტობრივად მოე-
ლი დასავლეთ საქართველოს) ცენტრი იყო.

მეორე ცნობა, რომელიც იწვევს ინტერესს „აფხაზეთის“ საკათო-
ლიკოსოს დაარსების თარიღთან დაკავშირებით, ასევე „ქართლის ცხოვ-
რების“ გვიანდელი ნუსხის ჩანართში გვხვდება. ამ ცნობის თანახმად:
„...ამან ბაგრატ განაჩინა და განაწესა კათალიკოზი აფხაზეთს ქრისტეს
აქეთ“ 830 წელს.¹ „მატიანე ქართლისაჲს“ ამ მინაწერში ნახსენები
ბაგრატი ტაო-კლარჯეთის სამთავროს (შემდგომში „ქართველთა“ სამე-
ფოს) ფუძემდებლის ამოტ ბაგრატიონის ძე ბაგრატ I კურაპალატი. ნ.
ბერძენიშვილმა სავსებით სამართლიანად შეიტანა ეჭვი ამ ცნობის სან-
დობაში. მეცნიერმა კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს იურისდიქციის
ქვეშ მყოფ საეკლესიო კათედრათა ნუსხების (ნოტიციების) ანალიზის
საფუძველზე დაასკვნა, რომ 886-912 წლებში ლიხთიმერეთი ეკლესიუ-
რად ჩამოცილებული იყო ბიზანტიისაგან. მისი განმარტებით, „ეს დრო
(IX ს. II ნახევარი) კარგად უდგება ბაგრატ I აფხაზთა მეფის ხანას
(861-873(906)წწ.“ ამიტომ, ასკვნის ნ. ბერძენიშვილი, სწორედ ამ
ბაგრატ აფხაზთა მეფეს უნდა გულისხმობდეს ზემოთ მოყვანილი „ცნო-
ბა აფხაზეთში კათალიკოზობის დაარსების შესახებ, რომელიც გაუგებ-
რობით ბაგრატ I არტანუჯელ კურაპალატს (826-876წწ.)“ მიაწერეს².

აკად. ნ. ბერძენიშვილისაგან განსხვავებით, პ. ინგოროყვა ნდობით
ეკიდებოდა „მატიანე ქართლისაჲს“ ქრონიკისათვის დართულ ამ მინა-
წერს და მიიჩნევდა, რომ „ქართლ-მესხეთის სამეფოს (იბერიის) მეთა-
ური ბაგრატ I მეფე-კურაპალატი“ ნამდვილად მონაწილეობდა აფხაზე-
თის საკათალიკოსოს დაარსების საქმეში.³ მეცნიერის აზრით ბაგრატ
კურაპალატის მონაწილეობა გამოინატა მისი, როგორც „იბერიის
(ქართლ-მესხეთის) მეფე-კურაპალატის...“ მხრიდან აფხაზეთის საკათო-
ლიკოსოს ცნობაში.⁴ ამავე თვალსაზრისს ავითარებენ ამჟამად ა. ჯა-

გამოსცა და განმარტებები დაურთო **ს. ყაუხჩიშვილმა**. თბ., 1961, გვ. 2-10.

¹ *ქართლის ცხოვრება* დასაბამითგან მეათცხრამეტე საუკუნემდის თარგმ-
ნილი და გამოცემული **უ. ბროსე**, წიგნისა საიმპერატორო აკადემიისა მე-
ცნიერებათა. ნაწ. I. სანკტპეტერბურდს, 1849, გვ. 190; **პ. ინგოროყვა**. გიორ-
გი მერჩულე. *ქართველი მწერალი მეათე საუკუნისა*. თბ., 1954, გვ. 244. იხ.
აგრეთვე: *მატიანე ქართლისაჲს*., გვ. 255; **ნ. ბერძენიშვილი**. სავაზირო ფეო-
დალურ საქართველოში. *ჭყონდიდელო-მწიგნობართუხუცესი*. – წგნ.: **ნ. ბერ-
ძენიშვილი**. საქართველოს ისტორიის საკითხები, წ. III. თბ., 1966, გვ. 46; **ბ.
კუდავა**. აფხაზთა საკათალიკოსოს ისტორიიდან (IX-XIII სს.). – *ქართული
ლიტერატურა*. წელიწადური, ტ. 9. თბ., 2002, გვ. 565.

² **ნ. ბერძენიშვილი**. სავაზირო ფეოდალურ საქართველოში., გვ. 45.

³ **პ. ინგოროყვა**. გიორგი მერჩულე., გვ. 245.

⁴ **პ. ინგოროყვა**. გიორგი მერჩულე., გვ. 245.

ფარიძე¹ და ბ. დიასამიძე,² ჯ. გამახარია.³

ჩვენი აზრით, „მატიანე ქართლისაჲს“ ტექსტზე გაკეთებული ეს მინაწერიც არ უნდა იყოს მთლად უადგილო და ის შეიძლება ასახავს კიდევაც რაღაც კონკრეტულ მოვლენას, რომელიც უკავშირდება „აფხაზეთის“ საკათოლიკოსოს დაარსება-ფუნქციონირებას, თუმცა ტაო-კლარჯეთის ოფიციალური ხელისუფლების მეთაურის, „ქართველთა კურაპალატის“ ბაგრატ ამოტის ძის მიერ უშუალოდ კათოლიკოსის „განწესება“ მეზობელ სახელმწიფოში – „აფხაზთა“ სამეფოში, როგორც სავსებით სამართლიანად მიუთითებს ახალგაზრდა ისტორიკოსი ბ. კუდავა, ნამდვილად საეჭვოა⁴.

ერთადერთი რაც ჩვენ, ამ შემთხვევაში, კათოლიკოსის „განწესების“ ფაქტში შესაძლებელია დავინახოთ პოლიტიკური მხარდაჭერაა, რომელიც „აფხაზთა“ სამეფომ ბაგრატ I კურაპალატისაგან მიიღო. მართალია, „მატიანე ქართლისაჲს“ მონაცემების მიხედვით, ტაო-კლარჯეთის მმართველი ამკარად (IXს. 40-50-იან წლებში უეჭველად) „აფხაზთა“ მეფის პოლიტიკური მეტოქეა,⁵ მაგრამ ეს სულაც არ უნდა ნიშნავდეს იმას, რომ ტაოს ხელმწიფეს არ გაუჩნდებოდა სურვილი, მხარი დაეჭირა ქუთაისის ტახტის ანტიბიზანტიური დემარშისათვის – გამოყოფოდა ბიზანტიას ეკლესიურად. აქ გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ ბაგრატ კურაპალატმა, რომელიც, თავის დროზე, ბიზანტიის იმპერიის სანქციით მოვიდა ტაო-კლარჯეთის ხელისუფლების სათავეში, მალე (IXს. 40-იან წლებში ეს მოხდარი ფაქტია) კარდინალურად შეიცვალა საგარეო-პოლიტიკური ორიენტაცია და არაბთა სახალიფოს პოლიტიკის ფარვატერში მოექცა, რის სანაცვლოდაც არაბებისაგან შიდა ქართლი მიიღო.⁶ აღნიშნულიდან გამომდინარე, ვფიქრობთ, სრულიად დასაშვებია, ბაგრატ კურაპალატი ამ ნაბიჯით ახდენდა თავისი

1 ა. ჯაფარიძე. საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია..., გვ. 93.

2 ბ. დიასამიძე. ქრისტიანობა დასავლეთ საქართველოში..., გვ. 219.

3 ჯ. გამახარია. აფხაზეთი და მართლმადიდებლობა..., გვ. 118.

4 ბ. კუდავა. აფხაზთა საკათოლიკოსოს ისტორიიდან..., გვ. 565.

5 ამასთან დაკავშირებით, ბ. კუდავა ყურადღებას აქცევს იმ გარემოებასაც, რომ ბაგრატ კურაპალატი და „აფხაზთა“ მეფე საქართველოში ბუღა-თურქის ლაშქრობის დროს მოწინააღმდეგე ბანაკებში იყვნენ. ბ. კუდავა. აფხაზთა საკათოლიკოსოს ისტორიიდან..., გვ. 565.

6 ამის შესახებ იხ.: მ. ლორთქიფანიძე, ზ. პაპასქირი. ახალი სამეფო-სამთავროების წარმოქმნა და მათი ადგილი საერთაშორისო ურთიერთობებში. საშინაო დიპლომატია. – წგნ.: ქართული დიპლომატიის ისტორიის ნარკვევები, I ნაწილი. თბ., 1998, გვ. 186-187; ზ. პაპასქირი. „აფხაზთა“ სამეფოს საგარეო-პოლიტიკური ორიენტაციის დაზუსტების საკითხისათვის. – ქართული დიპლომატია. წელიწადი, ტ. 6. თბ., 1999, გვ. 329-330.

ანტიბიზანტიური კურსის დემონსტრირებას.

„აფხაზეთის“ საკათოლიკოსოს დაარსების თარიღის დადგენისას მკვლევრები სავსებით მართებულად გადამწყვეტ მნიშვნელობას ანიჭებენ კონსტანტინოპოლის საპატრიარქოსადმი დაქვემდებარებული ეპარქიების ნუსხებს (ნოტიციებს). ეს ნოტიციები თავის დროზე საგანგებოდ შეისწავლეს აკად. ს. ყაუხჩიშვილმა¹ და პ. ინგოროყვამ.² გამოყოფენ კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს ეპარქიათა ნუსხების ორ ჯგუფს: პირველი ჯგუფის ნოტიციებს, რომლებიც შეუდგენიათ VII-IX საუკუნეებში, არაუგვიანეს 820-829წწ. და მეორე ჯგუფის, რომელთა შედგენას უკავშირებენ ბიზანტიის იმპერატორის ლეონ VI-ის (886-912წწ.) ეპოქას³. პირველი ჯგუფის ნოტიციებში კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს კათედრებს შორის დასახელებულია დასავლეთ საქართველოს ეპარქიები: ფასისის (ლაზიკის) სამიტროპოლიტო მისდამი დაქვემდებარებული 4 (როდოპოლისის, საისი-ცაიშის, ჰეტრას, ზიგანევის) საეპისკოპოსოთი, სებასტოპოლისისა (აბაზგიის) და ნიკოფსიის საარქიეპისკოპოსოები.⁴ 901-907 წლებით დათარიღებულ მეორე ჯგუფის პირველსავე ნუსხაში კი მხოლოდ სებასტოპოლისის საარქიეპისკოპოსოა მოხსენიებული.⁵ ამ ფაქტს მკვლევრები ერთნიშნად მიიჩნევენ იმის დადასტურებად, რომ X ს. დასაწყისისათვის დასავლეთ საქართველოს ეკლესია უკვე გამოსული იყო კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს იურისდიქციიდან.

¹ გეორგიკა. ტ. IV, ნაწ. II. თბ., 1952, გვ. 180-201.

² პ. ინგოროყვა. გეორგი მერჩულე., გვ. 234-242. ამ უკანასკნელ ხანს, ბ. კუდავამ მიმოქცევაში შემოიტანა ნოტიციების უახლესი გამოცემა (*Notitiae Episcopatum Ecclesiae Constantinopolitanae. Texte critique, introduction et notes par Jean Darrouzès.* A. A. Institut Français d'Études Byzantines. Paris, 1981.) და მისი კრიტიკული ანალიზის საფუძველზე კორექტივი შეიტანა ამ ნოტიციათა მონაცემების გააზრებაში. ბ. კუდავა. კონსტანტინოპოლის საპატრიარქო და დასავლეთ საქართველოს საეკლესიო ცენტრები (IX ს.) – *ისტორიანი*. სამეცნიერო კრებული. მიძღვნილი როინ მეტრეველის დაბადების 60 წლისთავისადმი. თბ., 2000, გვ. 43-48; ბ. კუდავა. აფხაზეთა საკათოლიკოსოს., გვ. 574-575; ბ. კუდავა. დასავლეთ საქართველოს ეკლესია (IX-XI სს). *ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაციის ავტორეფერატი*. თბ., 2002, გვ. 7-13. იხ. აგრეთვე: თ. ქორიძე. აფხაზეთის საკათოლიკოსოს ისტორია (IX-XVII სს.). *ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაციის ავტორეფერატი*. თბ., 2003, გვ. 9-10.

³ გეორგიკა., ტ. IV, ნაწ. II. გვ. 184; მ. დ. ლორდკიპანიძე. Возникновение новых феодальных государств. – *вспн.: Очерки истории Грузии*, т. II, Тб., 1988, გვ. 288; ბ. კუდავა. კონსტანტინოპოლის საპატრიარქო და., გვ. 43; თ. ქორიძე. აფხაზეთის საკათოლიკოსოს ისტორია., გვ. 8-9.

⁴ გეორგიკა., ტ. IV, ნაწ. II. გვ. 180-181.

⁵ გეორგიკა., ტ. IV, ნაწ. II. გვ. 185.

აკად. ნ. ბერძენიშვილის აზრით, ეს უნდა მომხდარიყო ბაგრატ „აფხაზთა“ მეფის მმართველობის დროს.¹ პ. ინგოროყვას მიხედვით, უფრო ადრე – VIII ს. 30-იან წლებში.² აკად. კ. კეკელიძეს კი, პირიქით, დასავლეთ საქართველოს მიერ საეკლესიო სუვერენიტეტის მოპოვება X ს. II ნახევარში გადაქონდა.³ აკად. ს. ყაუხჩიშვილი ამ მოვლენას X ს. დამდეგით ათარილებდა.⁴ დაახლოებით ამავე თვალსაზრისს ავითარებდა ზ. ანჩაბაძეც, თუმცა ის თვლიდა, რომ დასავლეთ საქართველოს ეკლესიამ ფაქტობრივი დამოუკიდებლობა მოიპოვა უკვე IX ს. 40-იანი წლების შემდეგ, მას მერე, რაც „აფხაზთა“ სამეფომ აღკვეთა ბიზანტიის ხელისუფლების მცდელობა, იარაღის ძალით აღედგინა იმპერიის გავლენა „აფხაზეთზე“.⁵

აკად. მ. ლორთქიფანიძის აზრით დასავლეთ საქართველოს ეკლესიის კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს სიუზერენიტეტისაგან განთავისუფლება მოხდა IX ს. განმავლობაში და ეს პროცესი X ს. დამდეგისათვის დასრულებული ჩანს.⁶ X ს. დამდეგით ათარილებენ უკვე არსებული „აფხაზეთის“ საკათოლიკოსოს კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს უზენაესობიდან გამოსვლას ვ. გოილაძე⁷ და ა. ჯაფარიძე.⁸ ბიზანტიის იმპერიაში IX ს. 20-40-იანი წლების დამდეგს შექმნილი საშინაო და საგარეო-პოლიტიკური ვითარების ანალიზის საფუძველზე, ბ. დიასამიძე მიდის იმ დასკვნამდე, რომ კონსტანტინოპოლის საპატრიარქომ იმჟამად („აფხაზთა“ მეფის დემეტრე II-ის მმართველობის პერიოდში – 825-861 წწ.) ცნო „აფხაზეთის“ საკათოლიკოსოს დამოუკიდებლობა.⁹

კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს იურისდიქციიდან დასავლეთ საქართველოს ეკლესიის გამოსვლის საკითხი ამ ბოლო დროს საგანგებოდ შეისწავლა ბ. კუდავამ, რომელმაც, როგორც უკვე ზემოთ აღინიშ-

¹ ნ. ბერძენიშვილი. სავაზირო ფეოდალურ საქართველოში..., გვ. 45.

² პ. ინგოროყვა. გიორგი მერჩულე..., გვ. 245.

³ კ. კეკელიძე. კანონიკური წყობილება ძველ საქართველოში. – წგნ.: *კ. კეკელიძე*. ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, ტ. IV. თბ., 1957, გვ. 354-355.

⁴ *გეორგიკა...*, ტ. IV, ნაწ. II. გვ. 196-201.

⁵ **З. В. Анчабадзе**. Из истории средневековой Абхазии. Сухуми, 1959, гв. 146.

⁶ **მ. ლორთქიფანიძე**. ახალი ფეოდალური სამთავროების წარმოქმნა. – *საქართველოს ისტორიის ნარკვევები*, ტ. II. თბ., 1973, გვ. 424, 427; **М. Д. Лордкипанидзе**. Возникновение новых феодальных государств., гв. 289; **М. Д. Лордкипанидзе**. Абхазское царство. – წგნ.: *Разыскания по истории Абхазии/ Грузия*. Тб., 1999, гв. 159.

⁷ ვ. გოილაძე. ქართული ეკლესიის სათავეებთან. თბ., 1991, გვ. 178.

⁸ ა. ჯაფარიძე. საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია..., გვ. 96.

⁹ ბ. დიასამიძე. ქრისტიანობა დასავლეთ საქართველოში..., გვ. 219.

ნა, სამეცნიერო ბრუნვაში შემოიტანა ფრანგი მეცნიერის ჟან დარუზეს მიერ მომზადებული ნოტიციების კრიტიკული გამოცემა. ამ მასალებზე დაყრდნობით მკვლევარი მივიდა დასკვნამდე, რომ „დასავლეთ საქართველოს საეკლესიო ცენტრების (ძირითადი ცენტრის – ფაზისის სამიტროპოლიტოსა და აგრეთვე ნიკოფსიის საარქიეპისკოპოსოს) ბიზანტიური დაქვემდებარებიდან, გამოსვლა მოხდა IX ს. 80-90-იან წლებში¹, რითაც ფაქტობრივად დაადასტურა აკად. ნ. ბერძენიშვილის მოსაზრება „აფხაზთა“ სამეფოს მიერ საეკლესიო სუვერენიტეტის მოპოვების შესახებ ბაგრატ „აფხაზთა“ მეფის ზეობის პერიოდში.² ამავე თვალსაზრისს ავითარებს თ. ქორიძეც.³

ჩვენ მთლიანად ვუჭერთ მხარს ახალგაზრდა მკვლევართა ამ დასკვნას და შევეცდებით შევამაგროთ ის ახალი არგუმენტებით. ამ თვალსაზრისით, უაღრესად საყურადღებოდ მიგვაჩნია ვახუშტი ბატონიშვილის ზემოთ მოყვანილი ცნობა, კერძოდ, მისი ის ნაწილი, რომელშიც აღნიშნულია, რომ დასავლეთ საქართველოს ეკლესია განთავისუფლდა „თხოვნითა ბერძენთაგანვე“, ანუ კონსტანტინოპოლის დასტურით. ვფიქრობთ, სწორია ბ. დიასამიძე, როდესაც (ვახუშტის ამ ცნობაზე დაყრდნობით) დასავლეთ საქართველოს ეკლესიის მიერ ავტოკეფალიის მოპოვების ინიცირებას „აფხაზურ“ მხარეს მიაწერს, მაგრამ ვერ დავეთანხმებით მკვლევარს იმაში, რომ ეს შეიძლებოდა მომხდარიყო „აფხაზთა“ მეფე დემეტრე II-ის მმართველობის პერიოდში.⁴

ჩვენი აზრით, დემეტრე II-ის დროს (30-40-იან წლებში მაინც) „აფხაზთა“ სამეფო ჯერ კიდევ მკვეთრ ანტიბიზანტიურ კურსს ადგა და ამ ეტაპზე რომც დავეუშვათ დასავლეთ საქართველოს ეკლესიის კონსტანტინოპოლის იურისდიქციიდან გამოსვლა, ეს მხოლოდ და მხოლოდ ბიზანტიასთან დაპირისპირების პირობებში და კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს გვერდის ავლით მოხდებოდა. ისმის კითხვა: მაშინ როდის შეიძლებოდა მიემართა ოფიციალურ ქუთაისს თხოვნით ბიზანტიის ხელისუფლებისათვის, მიენიჭებინა დასავლეთ საქართველოს ეკლესიისათვის ავტოკეფალია? ასეთ პერიოდად ჩვენ ბაგრატ „აფხაზთა“ მეფის მოღვაწეობის ხანა, უფრო კონკრეტულად კი IX ს. 80-იანი წლები, გვესახება, ვინაიდან სწორედ ამ დროიდან შეიცვალა მკვეთრად ბიზანტია – „აფხაზთა“ სამეფოს ურთიერთობები და ის ღია კონფრონტაციიდან (ალბათ პირველად ლეონ II-ის განდგომის შემდეგ), სულ ცოტა, კეთილ-

¹ ბ. კუდავა. კონსტანტინოპოლის საპატრიარქო და..., გვ. 47; ბ. კუდავა. აფხაზთა საკათოლიკოსოს ისტორიიდან..., გვ. 574.

² ნ. ბერძენიშვილი. სავაზირო ფეოდალურ საქართველოში..., გვ. 45.

³ თ. ქორიძე. აფხაზეთის საკათოლიკოსოს ისტორია..., გვ. 9-10.

⁴ ბ. დიასამიძე. ქრისტიანობა დასავლეთ საქართველოში..., გვ. 216-219.

მეზობლობისა და თანამშრომლობის რეჟიმში გადავიდა.

ორიოდე სიტყვით იმის შესახებ თუ რა ვითარებაში მოხდა ეს მობრუნება „აფხაზთა“ სამეფო-ბიზანტიის ურთიერთობებში. IX ს. მიწურულს „აფხაზთა“ მეფის გიორგი I „აღწეველის“ გარდაცვალების შემდეგ, როგორც ცნობილია, დასავლეთ საქართველოს სამეფო კარზე სახელმწიფო გადატრიალება მოხდა, რის შედეგად ტახტი გარდაცვლილი მეფის ქვრივის ფავორიტმა იოანე შავლიანმა დაიკავა. ტახტის კანონიერი მემკვიდრე უფლისწული ბაგრათი (გიორგი I-ის ძმისწული, დემეტრე I-ის ძე), რომელიც შეთქმულებმა „შთაადეს ზღუასა... დემეტრემ განარინა... და მიიწია იგი კონსტანტინეპოლედ“.¹

მაგრამ შავლიანთა დინასტიამ დიდ ხანს ვერ შეინარჩუნა ტახტი. გარკვეული დროის შემდეგ (IX ს. 80-იანი წლების დამდეგისათვის) „მოსცა ბერძენთა მეფემან“ ბაგრატ უფლისწულს „ლაშქარი და მოგზავნა ზღვთ და ნავითა შემოვიდა აფხაზეთად, და მოკლა ადარნასე, ძე იოვანესი, და დაიპყრა აფხაზეთი“.² როგორც ვხედავთ, ბიზანტიის იმპერიის ხელისუფლება აქტიურად ჩაერია „აფხაზთა“ სამეფოს საშინაო საქმეებში და ქუთაისში მისთვის მისაღები პოლიტიკური ძალა მოიყვანა ხელისუფლებაში.³ ამ დროიდან (IX ს. მიწურული – X ს. I ნახევარი) ბიზანტია-„აფხაზთა“ სამეფოს ურთიერთობა აშკარად კონსტრუქციული მიმართულებით ვითარდებოდა, რაც დასტურდება როგორც ბიზანტიური,⁴ ისე ქართული⁵ წყაროების მონაცემებით.⁶ სწორედ ასეთ პოლიტი-

¹ *მატიანე ქართლისაჲს*., გვ. 261. „მატიანე ქართლისაჲს“ ამ ცნობის ახლე-ბური ინტერპრეტაციისათვის იხ.: **ზ. პაპასქირი**. ვინ იყო „ერისთავი ჩიხისა“. – *ქართული წყაროთმცოდნეობა*. XI. თბ., 2006, გვ. 64-71.

² *მატიანე ქართლისაჲს*., გვ. 261.

³ **ზ. პაპასქირი**. „აფხაზთა“ სამეფოს საგარეო-პოლიტიკური., გვ. 332-333.

⁴ ამის მაგალითია კონსტანტინოპოლის პატრიარქის ნიკოლოზ მისტიკოსის წერილები „აფხაზთა“ მეფე გიორგი II-ისადმი, რომლებშიც აშკარად იგრძნობა სამოკავშირეო ურთიერთობები „აფხაზთა“ სამეფოსა და ბიზანტიას შორის IX ს. მიწურულსა და X ს. I მესამედში. იხ.: *გეორგიკა*., ტ. IV, ნაწ. II. გვ. 212-213.

⁵ ჩვენი აზრით, კონსტანტინოპოლისა და ქუთაისის თბილი ურთიერთობები ასახულია „*მატიანე ქართლისაჲს*“ ცნობაში გიორგი II „აფხაზთა“ მეფის მიერ თავისი ორი ვაჟის ბიზანტიაში გაგზავნის შესახებ: „სიცოცხლესავე დიდისა გიორგი აფხაზთა მეფისასა გაეგზავნეს ორნი შეილნი საბერძნეთს, თეოდოსი და ბაგრატ, რათა მუნ იზრდებოდინ, ამისთვის რათა შემდგომად სიკუდილისა მისისა არა იყოს ბრძოლა და ვლდომა“. იხ.: *მატიანე ქართლისაჲს*., გვ. 261.

⁶ ჩვენი ეს დასკვნა ეწინააღმდეგება აკად. გ. მელიქიშვილის თვალსაზრისს იმის შესახებ, რომ IX-X საუკუნეების მთელ მანძილზე „აფხაზთა“ სამეფო ერთნიშნად აღიარებდა მკვეთრად გამოსატულ ანტიბიზანტიურ პო-

კურ ფონზე, სავსებით შესაძლებელია, ბაგრატ „აფხაზთა“ მეფეს მართლაც გამოეჩინა დაპლატონური ინიციატივა და „ეთხოვა“ ბიზანტიის ხელისუფლებისათვის, ეშუამდგომლა კოსტანტინოპოლის პატრიარქის წინაშე, რათა ამ უკანასკნელს ელიარებინა დასავლეთ საქართველოს ეკლესიის დამოუკიდებლობა.

ამ დასკვნას ერთგვარად ამაგრებს ქართლის პრეცედენტიც. ძველი ქართული საისტორიო ტრადიციის თანახმად, როგორც ცნობილია, ვახტანგ გორგასალმა სწორედ კოსტანტინოპოლს მიმართა „თხოვნით“ და ბიზანტიის იმპერიის პოლიტიკურ და სასულიერო ხელისუფლებასთან შეთანხმებით მიადწია კათოლიკოსობის დაწესებასა და ამ გზით ქართლის ეკლესიის ავტოკეფალიის აღიარებას.

ამრიგად, ზოგადად, რომ შევაჯამოთ ჩვენი დაკვირვებები, შეიძლება ასეთი სურათი მივიღოთ. კოსტანტინოპოლის საპატრიარქოს იურისდიქციიდან დასავლეთ საქართველოს ეპარქიების გამოყოფის პროცესი დაიწყო ჯერ კიდევ VIII ს. 20-40-იან წლებში (უფრო 744-750წწ.), როდესაც შესაძლოა „აფხაზეთის ერისთავმა“ ბიჭვინთის იერარქს მიაწია „აფხაზეთის კათოლიკოსის“ წოდება, რაც ოფიციალურად აღიარა კიდევ ანტიოქიის პატრიარქმა. მაგრამ ამ ეტაპზე ვერ მოხერხდა კოსტანტინოპოლის საპატრიარქოს დაქვემდებარებიდან გამოსვლა. ამ მიმართულებით მეორე მცდელობას ადგილი უნდა ჰქონოდა უკვე „აფხაზთა“ სამეფოს შექმნის შემდეგ, როდესაც პოლიტიკური სუვერენიტეტის მოპოვების ფონზე ერთიან დასავლურ-ქართულ სახელმწიფოს დასჭირდა ბიზანტიის პოლიტიკურ-იდეოლოგიური გავლენისაგან თავისუფალი, დამოუკიდებელი საეკლესიო ორგანიზაცია. სავსებით შესაძლებელია ეს მომხდარიყო სწორედ 830 წლის ახლო ხანებში, როგორც ამას გვამცნობს „მატიანე ქართლისაჲს“ ზემოთმოყვანილი მინაწერი. ყოველ შემთხვევაში ის ფაქტი, რომ „აფხაზეთში“ კათოლიკოსის „განწესების“ (მაინცდამაინც 830 წელს) შესახებ საქართველოში გარკვეული საისტორიო ტრადიცია არსებულა, უთუოდ ანგარიშგასაწევია. სავარაუდოა, რომ მაშინ მოხდა დასავლეთ საქართველოს ეკლესიის დამოუკიდებლობის დეკლარირება, რომელიც, ბუნებრივია, ერთბაშად არ ცნო კოსტანტინოპოლის საპატრიარქომ. ალბათ, ამიტომაცაა, რომ დასავლეთ საქართველოს ეპარქიები ამ დროს ჯერ კიდევ ფიგურირებენ ნოტიციებში. და

ლიტიკას. იხ.: **გ. მელიქიშვილი**. ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური გაერთიანება და საქართველოში ფეოდალურ ურთიერთობათა განვითარების ზოგიერთი საკითხი. თბ., 1973, გვ. 4-24. ამ მოსაზრების კრიტიკა იხ.: **ზ. პაპასქირი**. „აფხაზთა“ სამეფოს საგარეო-პოლიტიკური ორიენტაციის დაზუსტების საკითხისათვის., გვ. 325-335.

ბოლოს, კონსტანტინოპოლის საპატრიარქოსაგან სრული სუვერენიტეტის მოპოვება დასავლეთ საქართველოს ეკლესიამ შეძლო IX ს. 80-იან წლებში, როდესაც „აფხაზთა“ სამეფოსა და ბიზანტიის იმპერიას შორის დამყარდა კეთილმეზობლური, სამოკავშირეო ურთიერთობები. შესაძლებელია, ეს ყოფილიყო ორი ქვეყნის პოლიტიკური თანამშრომლობის პირველი რეალური ნაყოფი.

„აფხაზთა“ სამეფოს საგარეო პოლიტიკური ორიენტაციის დაზუსტების საკითხისათვის*

VIII-IX საუკუნეების მიჯნა სამათასწლოვანი ქართული სახელმწიფოებრიობის ისტორიაში მნიშვნელოვან ტენილს წარმოადგენს. ეს იყო უდიდესი ცვლილებების ხანა, როდესაც უძველესი ქართული სახელმწიფოების – ქართლ-იბერიისა და ეგრის-ლაზიკის – ნანგრევებზე აღმოცენდნენ ახალი სამეფო-სამთავროები: კახეთის საქორეპისკოპოსო, ჰერეთის სამთავრო, ტაო-კლარჯეთის სამთავრო (შემდგომში „ქართუელთა“ სამეფოდ წოდებული) და „აფხაზთა“ სამეფო. გადამწყვეტ ფაზაში შევიდა თბილისის საამიროს დამოუკიდებელ პოლიტიკურ ერთეულად ჩამოყალიბების პროცესი. ისტორიოგრაფიაში საკმაოდ საფუძვლიანადაა გამოკვლეული ქართლისა და ეგრისის სამეფოების მოშლისა და მათ ადგილზე ახალი სახელმწიფოებრივი წარმონაქმნების აღმოცენების როგორც სოციალურ-ეკონომიკური, ისე საგარეო-პოლიტიკური ფაქტორები. ასევე კარგადაა შესწავლილი აღნიშნულ ერთეულთა საშინაო თუ საგარეო-პოლიტიკური მდგომარეობა IX-X საუკუნეებში. ამ მხრივ გამონაკლისს არ წარმოადგენს დასავლურ-ქართული სახელმწიფო – „აფხაზთა“ სამეფო. ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე შეიძლება ითქვას, რომ ქართულ ისტორიოგრაფიაში, კერძოდ, ივ. ჯავახიშვილის, ს. ჯანაშიას, ნ. ბერძენიშვილის, ზ. ანჩაბაძის, მ. ლორთქიფანიძის, დ. მუსხელიშვილისა და სხვა მკვლევართა შრომებში კაპიტალურადაა დამუშავებული „აფხაზთა“ სამეფოს ისტორიასთან დაკავშირებული ყველა საკვანძო საკითხი და დამაჯერებლად არის ნაჩვენები ამ სახელმწიფოებრივი წარმონაქმნის როლი და ადგილი საერთო-ქართულ პოლიტიკურ სამყაროში, ერთიანი ქართული სახელმწიფოს ფორმირების პროცესში.

მიუხედავად ამისა, არის რიგი საკითხებისა, რომელთა გააზრება არაა სათანადოდ არგუმენტირებული და მოითხოვს შემდგომ დახვეწა-დაზუსტებას. ერთ-ერთ ასეთ პრობლემად გვესახება „აფხაზთა“ სამეფოს საგარეო პოლიტიკური ორიენტაციის საკითხი IX-X საუკუნეებში, უფრო ზუსტად, 978 წლამდე – ბაგრატ III-ის მიერ „აფხაზთა“ სამეფო ტახტის დაკავებამდე. ამ პრობლემაზე ყურადღების გამახვილება განაპირობა აკად. გ. მელიქიშვილის მიერ წამოყენებულმა, ჩვენი აზრით, მცდარმა მოსაზრებამ, რომლის თანახმად, „აფხაზთა“ სამეფო, ფაქტობრივად IX-X საუკუნეების მთელ მანძილზე გამოცხადებულია ბიზანტი-

* დაიბეჭდა კრებულში: *ქართული დიპლომატია*, წელიწდეული, ტ. 6. თბ., 1999, გვ. 325-335.

ის იმპერიასთან მკვეთრად დაპირისპირებულ ძალად. აღნიშნული დასკვნა მნიშვნელოვანი რგოლია გ. მელიქიშვილის მიერ ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური გაერთიანების საკითხთან დაკავშირებით შემუშავებულ კონცეფციაში, რომელიც მან წარმოადგინა 1973 წელს გამოცემულ მონოგრაფიაში.¹

ამ თვალსაზრისის მიხედვით, X საუკუნის 70 წლებში, როდესაც გადაიღვა გადამწყვეტი ნაბიჯები (ბაგრატ უფლისწულის დაყენება შიდა ქართლში – 975წ., ხოლო შემდეგ – 978წ. მისი დასავლეთ საქართველოში გამეფება) ერთიანი ქართული სახელმწიფოს შექმნის გზაზე, საქართველოში ერთადერთ გამაერთიანებელ ძალად, გამაერთიანებელი მოძრაობის ჰეგემონად „აფხაზთა“ სამეფო რჩებოდა. ამასთან, მთლიანად არის უარყოფილი ამ პროცესებში იმდროინდელი ქართული პოლიტიკური სამყაროს აღიარებული ლიდერის დავით კურაპალატის მონაწილეობა. ერთ-ერთ მთავარ ხელისშემშლელ გარემოებად, რომლის გამოც იმიერტაოს ძღვევამოსილ ხელისუფალს თითქოს არ შეეძლო გადამწყვეტი როლის თამაში ქვეყნის გაერთიანების პროცესში, მითითებულია დავით ტაოელის ვასალური დამოკიდებულება კონსტანტინოპოლის საიმპერიო კარისადმი.

თავის დროზე ჩვენ არ გავიზიარეთ გ. მელიქიშვილის ეს შეხედულება და სათანადო არგუმენტაციის მოშველიებით შევეცადეთ დაგვესაბუთებინა, რომ სულაც არ არის აუცილებელი ერთიანი ქართული სახელმწიფოს ფორმირების პროცესის (დასაწყის სტადიაზე ბაგრატ III-ის მმართველობის პერიოდში) დაკავშირება მკვეთრად გამოხატული ანტიბიზანტიური პოლიტიკის გატარებასთან.² ამჯერად კი საჭიროდ ჩავთვალეთ გაგვერკვია, თუ რამდენად სწორია დასკვნა იმის შესახებ, რომ „აფხაზთა“ სამეფო წარმოქმნის დღიდან ვიდრე 978 წლამდე განუწყვეტლივ ადგა ანტიბიზანტიურ ორიენტაციას და მთელი ამ ხნის მანძილზე ყოველთვის ითვლებოდა კონსტანტინოპოლისადმი დაპირისპირებულ ძალად.

ის ფაქტი, რომ „აფხაზთა“ სამეფოს აღმოცენება VIII საუკუნის მიწურულს მართლაც იყო ერთგვარი შედეგი დასავლეთ საქართველოს იმდროინდელი ლიდერის ლეონ „აფხაზთა ერისთავის“ ანტიბიზანტიური კურსისა, რასაკვირველია, არავითარ ეჭვს არ იწვევს. როგორც ცნო-

¹ **გ. მელიქიშვილი.** ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური გაერთიანება და საქართველოში ფეოდალურ ურთიერთობათა განვითარების ზოგიერთი საკითხი. თბ., 1973, გვ. 4-24.

² **ზ. პაპასქირი.** ერთიანი ქართული ფეოდალური სახელმწიფოს წარმოქმნა და საქართველოს საგარეო-პოლიტიკური მდგომარეობის ზოგიერთი საკითხი. თბ., 1990, გვ. 11-62.

ბილია, ამაზე პირდაპირ მიუთითებს „მატიანე ქართლისაჲს“ ავტორი: „რა ჟამს მოუძღურდეს ბერძენნი, გააღვა მათგან ერისთავი აფხაზთა სახელითა ლეონ, ძმისწული ლეონ ერისთავისა, რომლისაჲ მიეცა სამკვიდროდ აფხაზეთი. ესე მეორე ლეონ ასულიწული იყო ხაზართა მეფისა, და ძალითა მათითა გააღვა ბერძენთა, დაიპყრა აფხაზეთი და ევრისი ვიდრე ლიხაძე, სახელ იღვა მეფე აფხაზთა, რამეთუ მიცვალებულ იყო იოვანე და დაბერებულ ჯუანშერ. და შემდგომად ამისა ჯუანშერცა მიიცვალა“.¹

ისტორიოგრაფიაში (ს. ჯანაშია, ზ. ანაბაძე, მ. ლორთქიფანიძე) სათანადოდ არის ახსნილი ეს ფაქტი და გამორკვეულია ის საგარეო-პოლიტიკური ფაქტორები, რომლებმაც განაპირობეს დასავლეთ საქართველოში – ლაზიკა-ევრისის სახელმწიფოს ნანგრევებზე, ახალი პოლიტიკური ერთეულის – „აფხაზთა“ სამეფოს ოფიციალური გაფორმება.² ასევე არ არის სადავო, რომ ლეონ II და მისი მემკვიდრენი, IX-X საუკუნეებში თანმიმდევრულად იღწვოდნენ ბიზანტიისაგან სრული, როგორც პოლიტიკური, ისე იდეოლოგიური თავისუფლების მოპოვებისათვის და მნიშვნელოვან წარმატებებს აღწევდნენ კიდევ ამ მიმართულებით. როგორც ცნობილია, X საუკუნის დამდეგიდან მაინც, დასავლეთ საქართველოს ეკლესია გამოვიდა კონსტანტინოპოლის პატრიარქის სამწყსოს შემადგენლობიდან და მცხეთის საპატრიარქოს დაუქვემდებარდა.³

მაგრამ ნიშნავს თუ არა ყოველივე ეს იმას, რომ IX-X საუკუნეების მთელ მანძილზე მიმდინარეობდა მუდმივი კონფრონტაცია ქუთაისსა და კონსტანტინოპოლს შორის და „აფხაზთა“ სამეფო კარი ყოველთვის ატარებდა მკვეთრად გამოხატულ ანტიბიზანტიურ კურსს. ვფიქრობთ, „მატიანე ქართლისაჲს“ და ზოგიერთი ბიზანტიური წყაროს მონაცემები არ იძლევიან ამგვარი მტკიცების საშუალებას. პირიქით, აღ-

¹ *მატიანე ქართლისა*. – *„ქართლის ცხოვრება“*; ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით **ს. ყაუხჩიშვილის** მიერ, ტ. I. თბ., 1955, გვ. 251, ხაზგასმა ჩვენია – **ზ.პ.**

² **С. Н. Джанашиа**. О времени и условиях возникновения Абхазского царства. – *შრომები*, ტ. II, თბ., 1952, გვ. 327-341; **З. В. Анчабадзе**. Из истории средневековой Абхазии. *VI-XVII вв.* Сухуми, 1959, გვ. 96-105; **მ. ლორთქიფანიძე**. ახალი ფეოდალური სამთავროების წარმოქმნა. – *საქართველოს ისტორიის ნარკვევები*, ტ. II. თბ., 1973, გვ. 416-418; **М. Д. Лордкипанидзе**. Возникновение новых феодальных государств. – *Очерки истории Грузии*, т. II. Тб., 1988, გვ. 281.

³ ამის შესახებ დაწვრილებით იხ.: **З. В. Анчабадзе**. Из истории..., გვ. 144-151; **მ. ლორთქიფანიძე**. ახალი..., გვ. 416-418; **М. Д. Лордкипанидзе**. Возникновение..., გვ. 286-289.

ნიშნულ წყაროთა მასალები აშკარად მოწმობენ, რომ უკვე IX საუკუნის პირველ ნახევარში შეიმჩნევა ერთგვარი „დათბობა“ ბიზანტია – „აფხაზთა“ სამეფოს ურთიერთობებში. ამის დადასტურება უნდა იყოს „აფხაზთა“ სამეფოს აქტიური გამოსვლა ბიზანტიის ვასალის, ტაო-კლარჯეთის ლიდერის აშოტ ბაგრატიონის მხარეზე.

ცნობილია, რომ აშოტ ბაგრატიონი ტაოში დაფუძნების შემდეგ ყველანაირად ცდილობდა, და ხშირ შემთხვევაში, წარმატებითაც ახერხებდა თავისი პოზიციების რამდენადმე აღდგენას აღმოსავლეთ საქართველოში, კერძოდ, მან ფაქტობრივად წაართვა შიდა ქართლი თბილისის ამირას და მის მოკავშირეს გრიგოლ კახეთის ქორეპისკოპოსს.¹ უფრო მეტიც, შესაძლოა, მან თავისი გავლენა ბარდავამდეც კი განავრცო,² რითაც სერიოზული პრეტენზია განაცხადა ამიერკავკასიის მასშტაბით ლიდერობაზე³. მართალია, წყაროები არაფერს გვამცნობენ იმის თაობაზე, თუ რამდენად იყო შეთანხმებული ბიზანტიის ხელისუფლებასთან აშოტ კურაპალატის ასეთი ფართომასშტაბიანი სამხედრო კამპანია, მაგრამ უეჭველია, რომ ქართლის ყოფილი ერისმთავრის ეს წარმატებები სავსებით მოსაწონი იქნებოდა კონსტანტინოპოლისათვის, რომლისთვისაც ამ ეტაპზე სწორედ აშოტი წარმოადგენდა ყველაზე სანდო პარტნიორსა და მთავარ დასაყრდენ ძალას ამიერკავკასიაში.

ამ ფონზე ნაკლებად მოსალოდნელი უნდა ყოფილიყო „აფხაზთა“ მეფის თანამშრომლობა ტაო-კლარჯეთის ხელისუფალთან და მისი მონაწილეობა გრიგოლ ქორეპისკოპოსისა და თბილისის ამირას წინააღმდეგ მიმართულ სამხედრო აქციებში. ერთი შეხედვით, ქუთაისის ტახტისათვის, რომელიც, როგორც ცნობილია, იმთავითვე ადგა გამოკვეთილ ანტიბიზანტიურ კურსს, მაინცდამაინც არ უნდა ყოფილიყო სასურველი ბიზანტიის გავლენის შემდგომი გაძლიერება რეგიონში და ისეთი პროცესებისათვის მხარის დაჭერა, რომლებიც პრინციპში, იმპერიის წისქვილზე ასხამდა წყალს. მაგრამ, როგორც ჩანს, IX საუკუნის რომელიღაც

¹ *მატიანე ქართლისა*, გვ. 252-253.

² **სუმბატ დაეითის ძე**. ცხოვრება და უწყება ბაგრატიონიანთა. – *ქართლის ცხოვრება*. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით **ს. ყაუხჩიშვილის** მიერ. ტ. I. თბ., 1955, გვ. 377; **პ. ინგოროყვა**. გიორგი მერხულე. თბ., 1954, გვ. 50-52; **М. Д. Лордкипანიძე**. Возникновение..., გვ. 309-310; **ა. აბდალაძე**. ამიერკავკასიის პოლიტიკურ ერთეულთა ურთიერთობა IX-XI საუკუნეებში. თბ., 1988, გვ. 140; **მ. ლორთქიფანიძე**, **ზ. პაპასქირი**. ახალი სამეფო-სამთავროების წარმოქმნა საქართველოში და მათი ადგილი საერთაშორისო ურთიერთობებში (IX-Xს-ის I ნახევარი). საშინაო დიპლომატია. – *ქართული დიპლომატიის ისტორიის ნარკვევები*. ტ. I. თბ., 1998, გვ. 184.

³ **ა. აბდალაძე**. ამიერკავკასიის..., გვ. 141.

მონაკვეთზე (არა უგვიანეს პირველი მეოთხედისა), შესაძლებელია, მოხდა კონსტანტინოპოლ-ქუთაისის ურთიერთობის ნორმალიზაცია.

უნდა ვივარაუდოთ, რომ ბიზანტიის ხელისუფლება, დროთა განმავლობაში, იძულებული გახდა, შეეგუებოდა განდგომილი ლეონ „აფხაზთა ერისთავის“ ეგიდით შექმნილი ახალი სახელმწიფოს შექმნას და შეიძლება გარკვეული ნაბიჯები გადადგა კიდევ მასთან შესარიგებლად. არაა გამორიცხული, რომ ამ საქმეში პოზიტიური როლი შეასრულა ბიზანტიის ვასალმა აშოტ ბაგრატიონმა, რომლის სიძეც იყო თევდოსი „აფხაზთა“ მეფე.¹ თავის მხრივ, „აფხაზთა“ სამეფოს ბიზანტიისკენ „მობრუნება“, ალბათ ხალიფატის მხრიდან საშიშროების ზრდამ განაპირობა. როგორც ზოგიერთი ბიზანტიელი ავტორის (თეოფანეს გამგრძელებელი) მონაცემებიდან ირკვევა, 832 წელს ბიზანტიელებს დასავლეთ საქართველოში სარკინოხების წინააღმდეგ აჯანყებული „აფხაზების“ დასახმარებლად საზღვაო ექსპედიცია გამოუგზავნიათ თეოფობისა და ბარდას წინამძღოლობით, რომელსაც, მარცხი განუცდია.²

ერთგვარად ბიზანტიური პოლიტიკის ფარვატერში მოჩანს ქუთაისის ტახტი ამიერკავკასიაში ბულა-თურქის ლაშქრობისას (852-854წწ). ცნობილია, რომ ამ დროს „აფხაზთა“ სამეფო აღმოჩნდა იმ ძალებს შორის, რომლებიც დაუპირისპირდნენ ბულა-თურქს. „*მატიანე ქართლისაჲს*“ ცნობით, „...თევდოსი, მეფე აფხაზთა, გამოვიდა წინააღმდეგობად მისა, დადგა კუერცხობს. ხოლო ბულა, ვითარცა ცნა, წარავლინა ზირაქ, სპასალარი თვისი, და ბაგრატ, ძე აშოტ კურაპალატისა: შეიბნეს და გააქცივნეს აფხაზნი და მოსწყდა სიმრავლე ურიცხვი. და თევდოსი მეფე წარვიდა მეოტი ვზასა დვალეთისასა“.³ მართალია, ამ შემთხვევაშიც არ არის მინიშნება იმაზე, თუ რამდენად იყო დაკავშირებული ბიზანტია საქართველოში ამ დროს მიმდინარე მოვლენებთან, მაგრამ სრულიად აშკარაა, რომ ის ძალები, რომლებიც ღიად უპირისპირდებოდნენ ბაღდადის ხელისუფლებას, ბუნებრივია, ბიზანტიის იმპერიის პოტენცი-

¹ *მატიანე ქართლისაჲს*., გვ. 252-253; **3. В. Анчабадзе**. Из истории., გვ. 122.

² **თეოფანეს გამგრძელებელი**. – *გეორგიაკა*. ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ბერძნული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო **ს. ყაუხჩიშვილმა**. ტ. IV, ნაკვ. II, თბ., 1952, გვ. 227; **М. Д. Лордкипанидзе**. Возникновение., გვ. 296-300.

³ *მატიანე ქართლისაჲს*., გვ. 256. ზ. ანჩაბაძე „აფხაზთა მეფეთა დივანზე“ დაყრდნობით თვლის, რომ ამ დროს „აფხაზთა“ მეფე იყო დემეტრე და სწორედ ის გამოვიდა ბულა-თურქის წინააღმდეგ (იხ.: **3. В. Анчабадзе**. Из истории., გვ. 141-142). ანალოგიურ შეხედულებას იზიარებს ელ. ცაგარეიშვილი (იხ.: **ელ. ცაგარეიშვილი**. საქართველოში ბულა-თურქის ლაშქრობის საკითხისათვის. – *მაცნე*, №4, 1968, გვ. 110-112).

ური მოკავშირეები იყვნენ. ამ ძალებში კი, როგორც დავინახეთ, არც-
თუ მეორეხარისხოვან როლს თამაშობდა „აფხაზთა“ სამეფო.

აქვე არ შეიძლება ყურადღება არ გავაძახვილოთ ერთ გარემოება-
ზე, რომელიც, ჩვენი აზრით, ნათლად მეტყველებს იმაზე, რომ არ არის
გამართლებული, ერთი მხრივ, მაინცდამაინც IX-X საუკუნეების განმავ-
ლობაში, მუდმივად ანტიბიზანტიურ ძალად გამოვაცხადოთ „აფხაზთა“
სამეფო მხოლოდ იმიტომ, რომ თავის დროზე ლეონ II დაუპირისპირდა
იმპერიას, ხოლო მეორე მხრივ, ტაო-კლარჯეთის ბაგრატიონები ტრადი-
ციულად ბიზანტიის ყურმოჭრილ ვასალებად ჩავთვალოთ, იმ მოტივით,
რომ ამ სახელმწიფოებრივი წარმონაქმნის ფორმირება მოხდა კონსტან-
ტინოპოლის მხარდაჭერითა და სანქციით.

ამაზე მიუთითებს თუნდაც ის ფაქტი, რომ უკვე IX საუკუნის 40-
იან წლებში აშოტის მემკვიდრეებს შორის არ იყო ერთი აზრი ბიზან-
ტიასთან დამოკიდებულების საკითხში. მართალია, აშოტის სიკვდილის
შემდეგ, ბაგრატიონთა საგვარეულოს უფროსად აღიარებული ბაგრატ I,
როგორც ჩანს, თავდაპირველად სარგებლობდა იმპერიის მხარდაჭერით,¹
რადგან საიმპერატორო კარმა სწორედ მას მიანიჭა კურაპალატის ტი-
ტული, მაგრამ მოგვიანებით, სრულიად აშკარაა, რომ ის საკმაოდ ნაყო-
ფიერად თანამშრომლობდა ამიერკავკასიაში ბაღდადის ხელისუფლების
წარმომადგენლებთან და ცალკეულ შემთხვევებში მარჯვედ იყენებდა მათ
ბრძოლაში „ქართლსა ზედა“. სწორედ არაბი სარდლის მოჰამედ ჰალი-
დის ძის დახმარებით, რომელსაც „*მოერთო ბაგრატ, ძე აშოტ კურაპა-
ლატისა*“; მიიღო მან ქართლი 842 წლის ახლო ხანებში.²

როგორც უკვე დავინახეთ, ხალიფატის ცენტრალური ხელისუფ-
ლების მოკავშირე იყო ბაგრატ კურაპალატი ბულა-თურქის ლაშქრობის
დროსაც, მაშინ, როდესაც მისი უმცროსი ძმა გუარამ მამფალი, პირი-
ქით, აქტიურად გამოვიდა საჰაკ იბნ-ისმაილის დასაცავად და დაუ-
პირისპირდა თბილისის გამდგარი ამირას დასასჯელად მოსულ ბულა-
თურქს. უფრო მეტიც, ამ დროიდან, გუარამ მამფალი იქცა ანტიარაბუ-
ლი ფრონტის ერთგვარ ორგანიზატორად ამიერკავკასიაში.³ სავარაუდოა,

¹ არჩევანი ბაგრატზე – აშოტ ბაგრატიონის შუათანა (და არა უფროს) ძე-
ზე, გაკეთდა ძმებთან შეთანხმებით. ფიქრობენ, რომ ამგვარ გადაწყვეტი-
ლებას მხარს უჭერდა ბიზანტიის საიმპერატორო კარი. იხ.: **М. Д. Лордки-
панидзе. Возникновение...**, გვ. 312.

² *მატიანე ქართლისა...*, გვ. 255; **თ. პაპუაშვილი**, რანთა და კახთა სამეფო,
თბ., 1982, გვ. 177; **М. Д. Лордкипанидзе. Возникновение...**, გვ. 263, 347.

³ **პ. ინგოროყვა**. გიორგი მერჩულე, გვ. 74; ; **მ. ლორთქიფანიძე**. ახალი..., გვ.
473; **ა. აბდლაძე**. ამიერკავკასიის..., გვ. 57. საერთოდ, ბულა-თურქის ლაშქ-
რობის დროს ნათლად გამომჟღავნდა ის წინააღმდეგობები, რომელიც არ-

რომ ამ დროს გუარამ მამფალის ფართო ანტიარაბული მოღვაწეობა მხარდაჭერას პოულობდა კონსტანტინოპოლის მხრიდან. ამ თვალსაზრისით, უდავოდ ნიშანდობლივია „მატიანე ქართლისაჲს“ დაფიქსირებული ინფორმაცია თბილისში გაამირებული ვინმე გაბულოცის (ამირა საჰაკის მონის) გუარამის მიერ შეპყრობისა და მაინცდამაინც ბიზანტი-აში გაგზავნის შესახებ.¹

უნდა ვიფიქროთ, რომ იმპერიამ ორიენტაცია გუარამზე მას მერე აიღო, რაც ბაგრატ კურაპალატმა ამიერკავკასიაში ხალიფატის გეგმების რეალიზაციაში მიიღო აქტიური მონაწილეობა, რითაც ეტყობა კონსტანტინოპოლის განაწყენება გამოიწვია. ყოველი შემთხვევისათვის, სრულიად აშკარაა, რომ IX ს. 60-80-იან წლებში ბაგრატ კურაპალატის სახლსა და გუარამ მამფალის შტოს შორის ატეხილ მძაფრ შინაომში, იმპერია ცალსახად ამ უკანასკნელის მხარეს იყო. თავის მხრივ, ტაო-კლარჯეთის ოფიციალური ხელისუფლება სულ უფრო იხრებოდა ბაღდადისაკენ და გამოკვეთილად ანტიბიზანტიურ კურსს ატარებდა. უფრო მეტიც, ჩვენ, საერთოდ ვფიქრობთ, რომ ბაგრატ კურაპალატის სახლის წარმომადგენლის ადარნასე ბაგრატიონის მიერ „ქართველთა“ მეფის ტიტულის მიღება მოხდა იმპერიასთან დაპირისპირების ფონზე, უშუალოდ ხალიფატის ცენტრალური ხელისუფლების აქტიური მხარდაჭერით.² ყოველივე ამით, ჩვენ იმის თქმა გვინდა, რომ პოლიტიკური სიტუაცია საქართველოში IX საუკუნეში სულაც არ იყო მარტივი და რომ ქართველი ლიდერებიც, მათ შორის, დასავლეთ საქართველოს მესვეურები, არცთუ ისე იშვიათად იცვლიდნენ ორიენტაციას.

ის, რომ „აფხაზთა“ სამეფო IX-X სს. ცალსახად არ აღგა ანტი-ბიზანტიურ კურსს, განსაკუთრებით მკაფიოდ გამოვლინდა IX ს. 80-იან წლებში, როდესაც კონსტანტინოპოლმა სახელმწიფო გადატრიალების გზით ქუთაისის ტახტზე დასვა თავისი კრეატურა „ბაგრატ ძე აფხაზ-

სებობდა ქართულ პოლიტიკურ ერთეულებსა და ცალკეულ ლიდერებს შორის. ფაქტობრივად გამოიკვეთა ორი ბანაკი: ხალიფატის ცენტრალური ხელისუფლების მხარეს არმოხნდა გრადიციულად ბიზანტიის კრეატურად მიჩნეული ტაო-კლარჯეთის ოფიციალური ხელისუფლება ბაგრატ კურაპალატის სახით, ხოლო გუარამ მამფალმა, „აფხაზთა“ მეფესა და კახეთის ქორეპისკოპოსთან ერთად საპირისპირო მხარე დაიკავა.

¹ *მატიანე ქართლისაჲს*, გვ. 257.

² **ზ. პაპასქირი**. „ქართველთა მეფის“ ინსტიტუტის შემოდგება და ბიზანტია-ტაო-კლარჯეთის ურთიერთობის ზოგიერთი საკითხი. – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თსუ სოხუმის ფილიალი. აკად. ილია ვეკუას საიუბილეო დღეები, სამეცნიერო კონფერენცია, მოხსენებათა თეზისები. თბ., 1995, გვ. 75; **მ. ლორთქიფანიძე, ზ. პაპასქირი**. ახალი სამეფო-სამთავროების..., გვ. 192-193.

თა მეფისა დემეტრესი“.

პოლიტიკური კრიზისი დასავლეთ საქართველოში ჯერ კიდევ 60-ანი წლების მიწურულს დაიწყო როდესაც სამეფო კარზე მოხდა გადატრიალება, რის შედეგადაც ტახტი დაიკავა გარდაცვლილი გიორგი I-ის („აღწეფელის“) ქვრივის ფავორიტმა იოანე შავლიანმა. ტახტის კანონიერი უფლისწული ბაგრატი (გიორგი მეფის ძმისწული, დემეტრე მეფის ძე) კი კონსტანტინოპოლში აღმოჩნდა.¹ ამ მოვლენებში იმთავითვე ჩართული აღმოჩნდა გუარამ მამფალის სახლი. უზურპატორმა იოანე შავლიანმა, სამეფო ტახტზე თავისი დინასტიური უფლებების განმტკიცების მიზნით, ბაგრატიონთა საგვარეულოსთან დანათესავება გადაწყვიტა და „მოჰგვარა... ძესა თავისსა ადარნასეს ცოლი, ასული გუარამ ამოტის ძისა“.²

გარდა ამისა, ეს დინასტიური ქორწინება უდავოდ მიზნად ისახავდა სამხედრო-პოლიტიკური ბლოკის შეკვრას გუარამის საგვარეულოსთან და მიმართული იყო ტაო-კლარჯეთის ოფიციალური ხელისუფლების – ბაგრატ კურაპალატის სახლის წინააღმდეგ, რომელიც „აფხაზთა“ სამეფოს მთავარ მოქიშპედ რჩებოდა „ქართლსა ზედა“ ბრძოლაში. სავარაუდოა, ყოველივე ამის უკან იდგა ბიზანტიის იმპერია, რომელიც საქართველოში მიმდინარე დაპირისპირებაში ცალსახად უჭერდა მხარს გუარამ მამფალის სახლს და იმ ძალებს, ვის მხარეზეც გუარამ ბაგრატიონი გამოდიოდა, ამ შემთხვევაში, დასავლეთ საქართველოს შავლიან მეფეებს, რომლებიც იმთავითვე ჩაერთნენ შიდა ქართლისათვის ბრძოლაში. სწორედ ამ პერიოდში მიაღწია პიკს კონფორტაციამ ქართველ ლიდერებს შორის. უფრო მეტიც, კონფლიქტში აქტიურად ჩაერთო მეზობელი სომხეთის ხელისუფალი ამოტ ბაგრატუნი, რომელიც დიდი ხანია, უძინებდა ქართლსა და ცდილობდა იქიდან „აფხაზთა“ გამოძევებას.

„მატიანე ქართლისაჲს“ კონიუნქტურით, აღნიშნული კონფლიქტის მთავარ მონაწილეებად საერთოდ „აფხაზები“ და სომხები მოჩანან: „იბრძოდეს სომეხნი და აფხაზნი ქართლსა ზედა“.³ ცნობილია, რომ ამოტ ბაგრატიონის ზურგს უკან იდგა სახალიფო, რომელმაც, როგორც ზოგიერთი მკვლევარი ვარაუდობს, ამოტს „სომეხთა და ქართველთა მთავართა მთავრის“ ტიტული უბოძა.⁴ სომეხთა კონტრაგენტებად გამოდი-

¹ *მატიანე ქართლისაჲს*, გვ. 258.

² *მატიანე ქართლისაჲს*, გვ. 258.

³ *მატიანე ქართლისაჲს*, გვ. 259.

⁴ **Г. Г. Микиртумян.** Грузинское феодальное княжество Кахети VIII-XI вв. и его взаимоотношения с Арменией. Ереван, 1983, გვ. 90. ა. აბდალაძის აზრით, საეკვოა, რომ ხალიფას ამგვარი ტიტული ებოძებინა ამოტისათვის, თუმცა

ან დავით ბაგრატიის ძე და ლიპარიტ ბაღვაში, ხოლო „ნასრა, ძე გურამისა, და გურგენ იყვნეს აფხაზთა კერძ“¹ „მატიანის“ მონაცემიდან არ ჩანს, თუ როგორ დამთავრდა ეს დაპირისპირება. ვარაუდობენ, რომ გამარჯვება სომხებმა მოიპოვეს². მაგრამ ნასრამ განაგრძო ბრძოლა და მოტყუებით მოკლა დავით ბაგრატიის ძე.³ ამას მოჰყვა კონფლიქტის ახალი ესკალაცია: „ნასრას შეუკრბეს მტერად სომეხნი, ლიპარიტ და ქართველნი, და აშოტ, ძე დავითისი, და მათ თანა სარკინოზნი და შეებნეს ნასრას და გააქციეს... და წარვიდა საბერძნეთს წინაშე ბერძენთა მეფისა“⁴ ამ შემთხვევაში განსაკუთრებით ხაზგასასმელია კონფლიქტში „სარკინოზების“ მონაწილეობა, რომელიც კიდევ ერთი მოწმობაა იმისა, რომ ტაო-კლარჯეთის ოფიციალური ხელისუფლება აქცენტს სომხებზე და მათ ზურგს უკან მდგარ ხალიფატზე აკეთებდა. და ეს მაშინ, როდესაც დამარცხებული ნარსა კონსტანტინოპოლში პოულობს თავშესაფარს.

ყოველივე აქედან მხოლოდ ერთი დასკვნის გაკეთება შეიძლება: საქართველოში IX-საუკუნის 60-80-იან წლებში ბიზანტია-ხალიფატის ინტერესების მორიგი შეჯახება მოხდა, რომლის დროსაც ერთი ბანაკი („აფხაზთა“ მეფე, ნასრა, გურგენი) ბიზანტიაზეა ორიენტირებული, ხოლო მეორე (ბაგრატ კურაპალატის სახლის წევრი, ლიპარიტ ბაღვაში, სომხები) აშკარად სარგებლობს ხალიფატის დიპლომატიური და სამხედრო მხარდაჭერით. ძნელი სათქმელია, თუ რამ განაპირობა პრობიზანტიური დაჯგუფების მარცხი, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ იმპერიის ხელისუფალთა მიერ გატარებულ საგანგებო ღონისძიებებს დასავლეთ საქართველოში პოლიტიკური რეჟიმის შესაცვლელად, უნდა ვივარაუდოთ, რომ კონსტანტინოპოლი ამაში „აფხაზთა“ სამეფოს მაშინდელ ლიდერებს ადანაშაულებდა.

როგორც ჩანს, ბიზანტიის ხელისუფლებამ ეჭვს ქვეშ დააყენა შავლიანთა სახლის სანდლობა⁵ და ქუთაისში მისთვის უფრო მისაღები პოლიტიკური რეჟიმის დამყარება გადაწყვიტა. ამ მიზნით „მოსცა ბერძენთა მეფემან“ ბაგრატ უფლისწულს, რომელიც, როგორც ვიცით, ბი-

სავსებით დასაშვებია, რომ 862 წლის შემდეგ მისთვის ქართლზე მეთვალყურეობა მიენდოთ. ა. აბდლაძე. ამიერკავკასიის..., გვ. 172.

¹ *მატიანე ქართლისა...*, გვ. 259.

² **З. В. Анчабадзе.** Из истории..., გვ. 125

³ *მატიანე ქართლისა...*, გვ. 259

⁴ *მატიანე ქართლისა...*, გვ. 259

⁵ შემთხვევითი არ უნდა იყოს ის გარემოება, რომ უკანასკნელი შეტაკების დროს ნასრას გვერდით არც „აფხაზები“ იდგნენ და არც გურგენი, რომელსაც მოგვიანებით უკვე ნასრას მოწინააღმდეგეებს შორისაც კი ვხვდავთ. *მატიანე ქართლისა...*, გვ. 261.

² აღსანიშნავია, რომ „სამხრეთის ტერიტორიების“ სრულად შემოერთების შანსი საქართველოს XX საუკუნეშიც მიეცა, როდესაც მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ შეიქმნა ხელსაყრელი სიტუაცია თურქეთის „დასჯისა“ და მისთვის ისტორიული ქართული (ასევე სომხური) ტერიტორიების „წართმევისა“, მაგრამ სსრ კავშირის მაშინდელი ხელმძღვანელობა და, პირველ რიგში, თვით ი. სტალინი მოერიდა დასავლეთელი მოკავშირეების განაწვევებას და არ მოინდომა თურქეთთან არსებული საზღვრების გადასინჯვა. ასე დარჩა საქართველოს ფარგლებს გარეთ ქართველებით დასახლებული ისტორიული ტაო-კლარჯეთის უდიდესი ნაწილი. ამის შესახებ იხ.: *ერთი იდეოლოგიური კამპანიის ისტორიიდან*. საბჭოთა კავშირის ტერიტორიული პრეტენზიები თურქეთისადმი 1945-1953 წლებში. მასალები გამოსაცემად მოამზადა და შესავალი წერილი დაურთო **ჟ. სამუშიამ**. თბ., 2003.

უფრო მეტიც, ცნობილია, თუ როგორ უშლიდა იმპერია ხელს ჩვენი ქვეყნის ცალკეული კუთხეების: სამცხე-ჯავახეთის, აფხაზეთის, აჭარის, თვით სამეგრელოსა და სვანეთის ინტეგრირებას ერთიან ქართულ კულტურულ-ეკონომიკურ და პოლიტიკურ სივრცეში. **დროა გაიგოს ყველამ, შინ თუ გარეთ, რომ რუსეთს ერთიანი საქართველო კი არ სჭირდებოდა არამედ თბილისისა და ქუთაისის რუსული გუბერნიები.** თუმცა არც იმის უარყოფა იქნებოდა მართებული, რომ რუსეთის მფლობელობის დამყარებას საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის თვალსაზრისით ნამდვილად ჰქონდა პოზიტიური მნიშვნელობა, ვინაიდან ცალკეულ სამეფო-სამთავროებად დაქუცმაცებული ქვეყანა საბოლოოდ კვლავ ერთიან სახელმწიფოებრივ (მართალია ჯერ საერთო-რუსულ) სივრცეში მოექცა, რამაც მნიშვნელოვნად განაპირობა კიდევ 1918წ. ერთიანი დამოუკიდებელი ქართული სახელმწიფოს აღდგენისათვის სათანადო ტერიტორიული ბაზისის შექმნა.¹

ერთი სიტყვით, 1801წ. აქტი ნამდვილად შეიძლება ჩაითვალოს საქართველო-რუსეთის პირველი ომის დასაწყისად. მეორე ომი რუსეთთან საქართველომ 1921წ. გადაიხადა, როდესაც ამჯერად უკვე ბოლშევიკურმა რუსეთის იმპერიამ არ უღალატა ტრადიციას, ვერაულოდ დაარღვია მის მიერვე 1920წ. 7 მაისს ხელმოწერილი საქართველო-რუსეთის სამშვიდობო ხელშეკრულება და წითელი ურდოები შემოუსია საქართველოს, მოახდინა მისი ანექსია და ოკუპაცია და სუვერენული სახელმწიფო რუსული იმპერიის ნაწილად გადააქცია.

საქართველო-რუსეთის მორიგ (III) ომად ნამდვილად შეიძლება მივიჩნიოთ 1992-1993 წლებში აფხაზეთში დატრიალებული ტრაგედია, თუმცა ამ შემთხვევაში საქმე ისე მარტივად არ არის, როგორც 1801 და 1921 წლებში. ამჯერად რუსეთი ფარულად მოქმედებდა და ერიდებოდა მეზობელი ქვეყნის – საქართველოს საშინაო საქმეებში ღიად ჩარევას. და მაინც, იმის უარყოფა, რომ სეპარატისტული ამბოხი აფხაზეთში (ისევე როგორც ე.წ. „სამხრეთ ოსეთში“) ინსპირირებული იყო ოფიციალური მოსკოვის მიერ და რომ მის ზურგს უკან მთლიანად რუსული სამხედრო მანქანა იდგა,² ვეჭვობთ, დღეს, სრულ ჭკუაზე მყოფ

¹ **ზ. პაპასკირი.** საქართველოს ტერიტორიული და სახელმწიფოებრივი მთლიანობის პრობლემა უძველესი დროიდან დღემდე. – *საისტორიო ძიებანი*, V, თბ., 2002, გვ. 13-14. ელექტრონ. ვერსია: <http://saistoriodziebani.googlepages.com/dziebani2002>.

² **ზ. პაპასკირი.** აფხაზეთის კონფლიქტის რაობა და მისი მონაწილეები. *ანუ ვინ ებრძოდა საქართველოს*. – *საისტორიო ძიებანი*, II, თბ., 1999, გვ. 368-378; **З. В. Папаскири.** Сущность Абхазского конфликта и его участники. Или кто же воевал с Грузией. – *Политика геноцида и этнической чистки в Абхазии (Гру-*

კაცს შეეძლოს. დიახ, რეალურად, ეს იყო საქართველო-რუსეთის ომი, რომლის მიზანი მხოლოდ და მხოლოდ რუსეთის იმპერიის დაშლის შენერება იყო და არა აფხაზი და ოსი ხალხების სახელმწიფოებრიობაზე ზრუნვა.¹

და ბოლოს, 2008 წლის აგვისტო – ყოველგვარ საღ აზრს მოკლებული ღია და დაუფარავი აგრესია სუვერენული სახელმწიფოს მიმართ, რომელსაც რუსეთის ფედერაციის პირველმა პირებმა ურცხვად „операция по принуждению к миру“ უწოდეს. ამით მათ თითქოს შეაჩერეს „მიხილ სააკაშვილის ფაშისტური რეჟიმის“ მიერ დაწყებული ოსი და აფხაზი (გაუგებარია აფხაზები რა შუაშია, აფხაზეთში ხომ თოფი საერთოდ არ გავარდნილა) ხალხების „გენოციდი“. მართლაც რომ მკრეხელობაა გენოციდზე ლაპარაკობდნენ ის ადამიანები, რომლებმაც ამოწყვიტეს მრავალტანჯული ჩეჩენი ხალხი, მოაწყო ნორდ-ოსეთი, ბესლანის ტრაგედია და ა.შ.

ამრიგად, პასუხი კითხვაზე თუ მერამდენე ომია ეს რუსეთსა და საქართველოს შორის, ვფიქრობთ სრულიად ნათელია – 2008 წლის აგვისტოში მიმდინარეობდა საქართველო-რუსეთის IV ომი, რომელშიც ერთი შეხედვით რუსეთმა გაიმარჯვა, ხოლო საქართველო დამარცხდა. მაგრამ ისმის კითხვა რამდენად მიაღწია დასახულ მიზანს „გამარჯვებულმა“ მხარემ და რა მოუტანა მას ამ „გამარჯვებამ“. თუ გავანალიზებთ მოვლენების შედეგომ (ნ. სარკოზის სამშვიდობო მისიის ამოქმედების) განვითარებას, საქართველოზე მოპოვებული გამარჯვების შედეგად რუსეთის მიერ მიღებული პოლიტიკური დივიდენდები შეიძლება ითქვას ნულის ტოლია. უფრო მეტიც, ცივილიზებულმა მსოფლიომ ერთხმად დაგმო რუსეთის აგრესიული ქმედებები და კატეგორიულად მოითხოვა მისგან აგრესიის შედეგების ანულირება.

ამ თვალსაზრისით, რად ღირს თუნდაც ევროსაბჭოს (ეს ორგანი-

зия) – *главное оружие агрессивного сепаратизма*. Материалы международной конференции-семинара, 6-7 июля, 1999г. Тб., 1999, გვ. 131-140; **Z. Papaskiri**. The Essence of the Conflict in Abkhazia and its Participants. Or Those Who Struggled Against Georgia. – *Policy of Genocide and Ethnic Cleansing in Abkhazia (Georgia) – the Main Tool of aggressive Separatism*. Proceedings of the International Conference-Seminar, July 6-7, 1999. Tbilisi, 1999, გვ. 133-142.

¹ ის თუ როგორ პასუხობს ამჟამინდელი რუსეთის ხელისუფლება მცირე ერების მცდელობებს, მოიპოვონ ეროვნულ-სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტი ნათლად გამოჩნდა ჩეჩნეთის მაგალითზე. განა იმაზე მეტი ცინიზმი შეიძლება იყოს, რომ სხვის ტერიტორიაზე უჭერდე მხარს დამოუკიდებელი ოსური სახელმწიფოს შექმნას, ხოლო საკუთრივ ოსეთში (ე.წ. „ჩრდილოეთ ოსეთში“), თავიანთ სამშობლოში მცხოვრებ ოსებს არ აძლევდე ამის უფლებას.

ზაცია რუსეთის მიმართ ყოველთვის საკმაოდ ლოიალური იყო) მიერ ულტიმატუმის დონეზე დაყენებული მოთხოვნა, კრემლის მიერ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის აღიარების დეზავუირების შესახებ, რომ არაფერი ვთქვათ ევროკავშირის მართლაც რომ ისტორიულ გადაწყვეტილებებზე. ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე შეიძლება ითქვას, რომ ასეთი ერთსულოვანი მსოფლიო თანამეგობრობა თვით სსრ კავშირის ავღანეთში შეჭრის დროსაც კი არ ყოფილა. იმას, რომ რუსეთმა რეალურად ვერაფერი მიიღო საქართველოში მოპოვებული გამარჯვებიდან, რომელსაც ამ დღეებში აშშ-ის თავდაცვის მინისტრმა რობერტ გეიტსმა მეტად მოსწრებულად „პიროსის გამარჯვება“¹ უწოლა,² თვით რუსეთის ყველაზე რეაქციულად განწყობილი სამხედროებიც კი აღიარებენ.³

¹ „პიროსის გამარჯვება“ – ამ გამოთქმას ხშირად იყენებენ ისეთი გამარჯვების აღსანიშნავად, როდესაც დანაკარგები მეტია მიღწეულ წარმატებაზე. გამოთქმა უკავშირდება ეპიროსის მეფის პიროსის მიერ რომაელების წინააღმდეგ მოგებულ ბრძოლას ასკულუმთან (ძვ.წ. 279წ.), რომლებმაც მას საბოლოო გამარჯვება მაინც ვერ მოუტანა.

² ამის შესახებ რადიოსადგურ „თავისუფლებაზე“ დაყრდნობით ინფორმაცია გაავრცელა „The Georgian Times“-მა. ელექტრ. ვერსია: <http://www.geotimes.ge/index.php?m=home&newsid=14647&lang=geo>.

³ აი როგორ აფასებს რუსულ სამხედრო კამპანიას საქართველოში მაგალითად ცნობილი პოლკოვნიკი ვლადიმერ კვაჩკოვი (მთავარი ექვემოტანილი ა. ჩუბაისის ლიკვიდაციის მიზნით მოწყობილ ტერაქტში): „...результат её (საქართველოზე ლაშქრობის – ზ.პ.) в целом для нас негативен. По ряду военно-технических показателей грузинская армия превосходила российскую. В отношении ВВС стала наглядной настоящая катастрофа. Грузинские штурмовики Су-25, модернизированные израильской компанией Elbit, могли действовать в ночное время, и наша авиация не способна была им эффективно противодействовать. Даже на третий день войны грузинские ВВС продолжали наносить удары по российским военным колоннам... Дислоцированная в Северо-кавказском ВО авиация за все это время не смогла завоевать господство в воздухе. Не было достаточного количества боеспособных самолётов. По нормам советского времени, дежурная эскадрилья должна была подняться в воздух в течение 10 минут... Прорыв грузинской бригадной тактической группы в Цхинвал 8 августа стал возможен в условиях отсутствия в составе СКВО хотя бы эскадрильи штурмовых ударных вертолетов типа Ка-50/52, способных ночью поразить колонны с боевой техникой в условиях горной местности“. მიუხედავად ამისა, – აგრძელებს ვ. კვაჩკოვი, – რუსეთის არმიამ შეძლო მოწინააღმდეგის დამარცხება თუმცა დასახულ მიზანს მაინც ვერ მიაღწია: „у нас была уникальная возможность обеспечить установление в Грузии совершенно иного режима. 12 августа начался коллапс грузинской армии и органов управления. От полной победы над Грузией нас отделяло несколько часов. Мне достоверно известно, что перед подразделениями спецназа уже была поставлена задача высадиться в Тбилиси и захватить Саакашвили

ახლა იმის შესახებ თუ რა მოუტანა „თავისუფლებისა და ეროვნულ-სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისათვის“ მებრძოლ „გმირ“ აფხაზ და ოს ხალხებს. აგვისტოს მოვლენებიდან გასულმა ორმა თვემ ნათლად აჩვენა, რომ საქართველოს მიმართ განხორციელებულმა რუსულმა სამხედრო აგრესიამ, აფხაზეთისა და ე.წ. „სამხრეთ ოსეთის“ დამოუკიდებლობის აღიარების თაობაზე კრემლის მიერ მოწყობილი იაფფასიანი „დიპლომატიური ფარსის“ (რომლის არავის არ სჯერა) მიუხედავად, აფხაზები და ოსები სულაც არ მიაახლოვა „ნანატრ“ თავისუფლებასთან და „სახელმწიფოებრივ დამოუკიდებლობასთან“. პირიქით, რუსეთის ფედერაციის მესვეურების ამ სრულიად გაუპართლებელმა და თავისი ფორმით უკიდურესად გამომწვევმა თავხედურმა ნაბიჯმა მთელი მსოფლიო ერთბაშად გამოაფხიზლა. ყველასათვის ცხადი გახდა თუ ვინ იყო ნამდვილი ინსპირატორი და მთავარი სულისჩამდგმელი 1992-1993 წლებში საქართველოში მოწყობილი სეპარატისტული ამბოხებებისა და ვინ აწარმოებდა „ჯვაროსნულ“ ომს ერთიანი ქართული სახელმწიფოებრიობის წინააღმდეგ.

და, თუ აღრე, ვინმე თანაუგრძნობდა მცირე „დაჩაგრული“ აფხაზი ხალხის (აგრეთვე ე.წ. „სამხრეთ ოსების“) „სამართლიან“ ბრძოლას რუსული „დემოკრატიის“ ზოგიერთი ქურუმის მიერ „მცირე იმპერიად“ შერაცხული საქართველოს წინააღმდეგ, ამჯერად სრულიად ნათელი გახდა „დამოუკიდებელი“ აფხაზეთისა და „სამხრეთ ოსეთისათვის“ მებრძოლთა „ისტორიული მისიის“ ჭეშმარიტი არსი. განა იმაზე დიდი გულუბრყვილობა შეიძლება იყოს, რომ ყბადაღებულ „დამუკიდებლობის აღიარებას“ რეალურად მოჰყვება ახალი „დამოუკიდებელი სახელმწიფოების“ ფორმირება და განმტკიცება. ეს ხომ მორიგი იმპერიული ბლეფია, რომლითაც თავიანთი მოსკოველი პატრონების მოწოდებით აბრუებენ თავიანთ თანამემამულეებს აფხაზი და ოსი ხალხების ახლად მოვლენილი ბელადები. მხოლოდ გარკვეული პათოლოგიით შეპყრობილ ადამიანს თუ შეუძლია, წარმოიდგინოს, რომ ვინმე, ოდესმე,

для последующего предания суду как организатора геноцида – либо нейтрализовать его. В России уже находился кандидат на роль главы не враждебного России, демократического грузинского государства“. და თუ რატომ ვერ შესრულდა ეს ამოცანა ვ. კვაჩკოვი ასკვნის: „Не хватило политической воли. А в результате мы получили ситуацию, когда послевоенное мироустройство не слишком отличается от довоенного, что в рамках военной теории не позволяет говорить о полноценной победе“. იხ.: Владимир Квачков. На нас надвигаются грозные события. – Информационная служба: МАПО «Народная Защита» იხ.: ელექტრონ. ვერსია: http://maponz.info/index.php?option=com_content&Itemid=9&id=1410&task=view (ხაზგასმა ჩვენია – ზ.პ.).

მოსკოვში დაუშვებს დამოუკიდებელი აფხაზეთის (კომიკურ „სამხრეთ ოსეთზე“ რომ არაფერი ვთქვათ) არსებობას.

თუმცა არც ესაა ახალი. მაგალითად, ცნობილია, თუ როგორ აბრიყვებდნენ თავიანთ თანამემამულეებს აფხაზური სეპარატისტული მოძრაობის „სულიერი მამები“ XXს. 90-იან წლებში ანალოგიური ხასიათის ზღაპრებით. ჩვენ მხედველობაში გვაქვს სოხუმის დღევანდელი სეპარატისტული რეჟიმის ერთ-ერთი წამყვანი იდეოლოგის, „უშიშროების საბჭოს მდივნის“ სტანისლავ ლაკობას მიერ შეთხზული მითი იმის შესახებ, რომ, თავის დროზე, ვ. ლენინმა თითქოს აღუთქვა ევრემ ეშბას აფხაზეთისათვის დამოუკიდებლობის ბოძება „в случае успешного завершения «абхазской миссии» в Турции“.¹ აქ იგულისხმება ე.წ. „დიპლომატიური დავალება“, რომელიც ვ. ლენინმა თითქოს მისცა ე. ეშბასა და ნ. ლაკობას თურქეთში ქემალ ათათურქის მთავრობასთან მოლაპარაკებისას. 1921წ. 16 მარტს მოსკოვში დაიდო რუსეთ-თურქეთის ხელშეკრულება. ს. ლაკობას აზრით, თურმე, ვ. ლენინმა „აჩუქა“ აფხაზეთს „დამოუკიდებლობა“ იმ ღვაწლის გამო, რომელიც თითქოს გასწიეს ამ მოლაპარაკებების დროს ე. ეშბამ და ნ. ლაკობამ ბათუმის საკითხზე შეთანხმების მიღწევისათვის.²

ანუ აფხაზი მკვლევრის მტკიცებით, ის, რომ თურქეთის მთავრობამ უარი თქვა ბათუმსა და მის შემოგარენზე, თურმე აფხაზი ბოლშევიკი ლიდერების დამსახურება ყოფილა, რის სანაცვლოდ მათ მიეცათ უფლება გამოეცხადებინათ აფხაზეთის „დამოუკიდებლობა“. ე. ი. გამოდის, რომ ვ. ლენინი ყველა გზებით ცდილობდა ბათუმის შემომტკიცებას, მაგრამ რატომღაც ამავე დროს, თმობდა აფხაზეთს. დიდი დაკვირვება არ სჭირდება იმას, რომ ამ შემთხვევაში ს. ლაკობა უბრალოდ ასულელებს მკითხველს. მას შესანიშნავად ესმის, რომ ვ. ლენინს სულაც არ აინტერესებდა აფხაზეთის „დამოუკიდებლობა“. აკი თვითონვე აღნიშნავს, რომ „Ильич (იგულისხმება ვ. ლენინი – **ზ.პ.**) был одержим идеей мировой революции и мыслил не «грузинями», «абхазиями», а континентами и «азиями»“.³

მან არ შეიძლება არ იცოდეს ისიც, რომ არა თუ ე.წ. „აფხაზეთის სსრ“, რომელიც სამოკავშირეო ხელშეკრულების საფუძველზე საქართველოს სსრ-ის შემადგენელ ნაწილად აღიარეს, არამედ თვით ისეთი საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების შექმნა, როგორც იყო საქართველო, სომხეთი და აზერბაიჯანი – ოფიციალურად სუვერენუ-

¹ **С. Лакоба.** Ответ историкам из Тбилиси. *Документы и факты.* Сухуми, 2001, გვ. 90.

² **С. Лакоба.** Ответ историкам из Тбилиси..., გვ. 88.

³ **С. Лакоба.** Ответ историкам из Тбилиси..., გვ. 90.

ლი სახელმწიფოები, – რომელთა სათავეში იდგნენ **რუსეთის** კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკებისა) ცენტრალური კომიტეტისა და **რკა(ბ)** ცკ კავკასიის ბიუროს წევრები და წევრობის კანდიდატები, მხოლოდ პოლიტიკური თამაში და ხალხისთვის თვალში ნაცრის შეყრა იყო. ამით რუსეთის ბოლშევიკური რეჟიმი, არც მეტი, არც ნაკლები, ცდილობდა დაეფარა ამიერკავკასიის ოკუპაცია და ანექსია.¹

აბსოლუტურად იგივე სიტუაციაა დღესაც. რა უნდა იმის მიხვედრას, რომ მოსკოვს, ამჟამადაც მხოლოდ და მხოლოდ, იმპერიის აღდგენისა და „XX საუკუნის გეოპოლიტიკური კატასტროფის – სსრ კავშირის დაშლის“ (ვ. პუტინის შეფასება) შედეგად შექმნილი რეალობის რევიზიის დაუცხრომელი სურვილი ამოძრავებს. თანაც, ამ მიზნის მისაღწევად რუსეთის ხელისუფლებას სულაც არ სჭირდება რაიმე ახალი დიალომატიური ფანდების გამოგონება. სრულიად საკმარისია ყბადაღებული „*მეგობრობისა და თანამშრომლობის ხელშეკრულების*“ გაფორმება, რომელიც „საშუალებას აძლევს“ მას „იურიდიულად დააკანონოს“ რუსეთის შეიარაღებული ძალების რეგულარული ნაწილების განთავსება აფხაზეთსა და „სამხრეთ ოსეთში“.

ანუ კრემლი ზუსტად იმავე სცენარით მოქმედებს, რომლითაც მან 1940წ. ბოლო მოუღო ბალტიისპირეთის (ლიტვის, ლატვიისა და ესტონეთის) სუვერენულ სახელმწიფოებს და ეს ქვეყნები საბჭოური იმპერიის ნაწილად აქცია. ამასთან, ამჯერად, ვ. პუტინს და მის კომპანიას თავიანთ პარტნიორ სეპარატისტ ლიდერებთან ნაკლებად საბოლიშო აქვთ, ვინაიდან აფხაზეთისა და „სამხრეთ ოსეთის“ დამოუკიდებლობა რუსეთის მიერ მეზობელ სახელმწიფოზე მოპოვებული სამხედრო „გამარჯვების“ შედეგია და არა აფხაზი და ოსი ხალხების „გმირული ბრძოლისა“. სწორედ ეს აძლევს უფლებას მოსკოვს, იპარპაშოს ოკუპირებულ აფხაზეთსა და „სამხრეთ ოსეთში“ და ფორსირებულად მოახდინოს ამ ტერიტორიების ანექსია. ამის ნათელი მაგალითია თუნდაც რუსული საოკუპაციო ჯარების ბოლო დროინდელი ქმედებები სამეგრელო-აფხაზეთის ადმინისტრაციულ საზღვარზე („აფხაზი მესაზღვრეების“ გაძევება „სახელმწიფო“ საზღვრიდან), რომლებიც სხვა არაფერია, თუ არა „მეგობარი სახელმწიფოს“ – აფხაზეთის „სუვერენიტეტის“ აბუჩად აგდება.

ამ ფონზე, რაც არ უნდა პარადოქსულად უნდა მოგვეჩვენოს ეს, ნამდვილად ჩნდება საკვებით საფუძვლიანი ოპტიმიზმი, რომ უახლოეს პერიოდში, საერთაშორისო ძალისხმევით, ნამდვილად მოიძებნება აფხა-

¹ ამის შესახებ დაწვრილ. იხ.: **ზ. პაპასქირი**. ნარკვევები თანამედროვე აფხაზეთის ისტორიული წარსულიდან, ნაკვ. II. 1917-1993. თბ., 2007, გვ. 85-87.

ზეთის კონფლიქტის (ისევე როგორც ცხინვალის) მშვიდობიანი მოწესრიგებისა და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის ქმედითი მექანიზმები. რა გვაქვს მხედველობაში და რატომ ვართ ასე დაჯერებული კონფლიქტების მოგვარების პერსპექტივაში.

რუსეთის „ტრიუმფალურმა სვლამ“ საქართველოში მთლიანად გამოაშკარავა „რუსული დათვის“ იმპერიული ამბიციები და რევანშისტული განწყობილებები. სახეზეა მსოფლიო მასშტაბის ახალი დაპირისპირების კონტურები. დღეს უკვე ყველასათვის ნათელია, რომ რუსეთის მხრიდან აშკარად ადგილი აქვს სერიოზულ მცდელობას, ძირეულად შეცვალოს არსებული გეოპოლიტიკური ბალანსი. სწორედ ამას ვერ ურიგდება დღეს მსოფლიო თანამეგობრობა და არა იმას, რომ დიდი რუსეთი უსამართლოდ მოექცა პატარა საქართველოს. დასავლეთის მხრიდან კეთდება საკმაოდ მკვეთრი გამაფრთხილებელი განცხადებები რუსეთის მისამართით. ფაქტობრივად ღია ტექსტით მოითხოვენ მოსკოვისაგან გონს მოსვლას და სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობების ცივილიზებულ რელსებზე გადაყვანას. ბიძგი ამ პროცესს, როგორც ცნობილია, მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე ანგარიშგასაწვევი საერთაშორისო ორგანიზაციის – ევროკავშირის სახელით მოქმედი საფრანგეთის პრეზიდენტის ნიკოლა სარკოზის სამშვიდობო მისიამ მისცა. სწორედ საფრანგეთის ლიდერის პირით განუცხადა ევროკავშირმა (საერთოდ მთელმა ცივილიზებულმა სამყარომ) რუსეთს, რომ ის მომავალში ვერ დარჩება კონფლიქტის მომრიგებელ მხარედ და რომ აუცილებელია ახალ სამშვიდობო ფორმატზე გადასვლა.

ამ თვალსაზრისით, არანაკლებ მწვავე იყო გერმანიის ფედერალური კანცლერის ანგელა მერკელის (საყოველთაო აღიარებით, რუსეთის დიდი გულშემატკივრის) სოჭში, პრეზიდენტ დ. მედვედევთან სტუმრობისას, გაკეთებული განცხადება იმის შესახებ, რომ მსოფლიო კიდევ 15 წელიწადს ვერ დაუცდის აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის გაყინული კონფლიქტების მოგვარებას და რომ საჭიროა ახალი საერთაშორისო მექანიზმების ამოქმედება მათ გადასაწყვეტად. სულ უფრო კატეგორიული ხდება აშშ-ის ადმინისტრაციის პოზიცია. ძალზედ ნიშანდობლივია ისიც, რომ მსოფლიომ ფაქტობრივად სრული ბოიკოტი გამოუცხადა რუსეთის მიერ აფხაზეთისა და „სამხრეთ ოსეთის“ დამოუკიდებლობის აღიარებას. ნიკარაგუასა და ზოგიერთი ტერორისტული ორგანიზაციის მიერ აფხაზეთისა და „სამხრეთ ოსეთის“ დამოუკიდებლობის აღიარების სასარგებლოდ გაკეთებული განცხადებები, ვისაც ესმის, ამ მოვლენის დისკრედიტაცია უფროა, ვიდრე მისი მხარდაჭერა და ეს, აშშ-ის სახელმწიფო მდივნის კონდოლიზა რაისის თქმისა არ

იყოს, ნამდვილად ვერ ჩაითვლება რუსული დიპლომატიის ტრიუმფად.

უფრო მეტიც, ეს არის სრული დიპლომატიური კრახი, რომლის მსგავსი ძნელად თუ ახსოვს საბჭოთა კავშირის ისტორიასაც კი. თვით თავისი თავხედობით ისეთი ზღვარს გადასული აქტი, როგორც იყო საბჭოთა ჯარების პოლონეთში შეჭრა 1939წ. სექტემბერში არ ყოფილა ასე ერთსულოვნად უარყოფილი მსოფლიო თანამეგობრობის მიერ. პირიქით, სსრ კავშირის ამ აქციას მხარდამჭერებიც კი ჰყავდა მეორე ზესახელმწიფოს – გერმანიისა (რომელთან 1939წ. 23 აგვისტოს დადებული პაქტის საფუძველზეც განხორციელდა კიდევც საბჭოთა აგრესია პოლონეთში) და მისი მოკავშირეების სახით.

ასევე გარკვეული საერთაშორისო მხარდაჭერა ჰქონდა მოსკოვის სადამსჯელო ოპერაციებს უნგრეთში 1956წ. და ჩეხოსლოვაკიაში 1968წ. როგორც ცნობილია, ეს აგრესიული ქმედებები ოფიციალურადაც კი იყო სანქცირებული სოციალისტური ბანაკის სახელმწიფოთა (ვარშავის ხელშეკრულების ორგანიზაციაში შემავალი) უმრავლესობის მიერ და არაერთი მხარდამჭერი ჰყავდა ე.წ. „მესამე სამყაროს“ წარმომადგენელ სახელმწიფოთა შორისაც. და ბოლოს, გარკვეული საერთაშორისო-დიპლომატიური უზრუნველყოფის გარეშე არ დარჩენილა სსრ კავშირის მიერ განხორციელებული ავღანეთის ოკუპაცია XXს. 70-იანი წლების მიწურულს. ოფიციალურ მოსკოვს ამჯერადაც მხარი დაუჭირეს მისმა სატელიტმა სახელმწიფოებმა ვარშავის ხელშეკრულების ორგანიზაციიდან და საბჭოთა კავშირის კმაყოფაზე მყოფმა ე.წ. „მესამე სამყაროს“ ქვეყნების დიდმა ნაწილმა, რომლებმაც 1980წ. მოსკოვის ოლიმპიადაზე მონაწილეობის მიღებით, ფაქტობრივად, აღიარეს ავღანეთში საბჭოთა აგრესიის ლეგიტიმურობა.

ყოველივე ეს მიუთითებს იმ აზრის სისწორეზე (ამას ხაზს უსვამს არაერთი პოლიტიკოსი და ანალიტიკოსი, როგორც ჩვენში ისე, საქართველოს ფარგლებს გარეთაც) რომ სსრ კავშირისაგან განსხვავებით, დღევანდელ რუსეთს აშკარად არა აქვს სამხედრო-პოლიტიკური პოტენციალი, რომ გავლენა იქონიოს დანარჩენ მსოფლიოზე. ამის დემონსტრირება მოხდა თუნდაც შანხაის თანამშრომლობის ორგანიზაციის ქვეყნების ლიდერთა შეხვედრაზე და რაც მთავარია, დსთ-ის სახელმწიფოს მეთაურთა სამიტზე, როდესაც მათში მონაწილე სახელმწიფოებმა არა თუ არ დაუჭირეს მხარი მოსკოვის ავანტიურისტულ გადაწყვეტილებას აფხაზეთისა და „სამხრეთ ოსეთის“ დამოუკიდებლობის შესახებ, არამედ ფაქტობრივად ღიად დააფიქსირეს თავიანთი ნეგატიური დამოკიდებულება (ყველაზე მკაფიოდ ეს ჩინეთმა გააკეთა) საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დარღვევისადმი. შედეგად, დღეს,

რუსეთის ხელისუფლება მეტად არაკომფორტულ სიტუაციაში მოექცა.

ასეთ ვითარებაში ვ. პუტინი და მისი „პოლიტიკური თოჯინა“ დ. მედვედევი იხტიბარს მაინც არ იტყვიან და ჯიუტად აგრძელებენ თავიანთი ყოველგვარ საერთაშორისო-სამართლებრივ ნორმებს მოკლებული გადაწყვეტილებების გამართლებას, თუმცა მათი ეს მცდელობები აშკარად ვერ აღწევენ მიზანს. ერთადერთი ბერკეტი, რომლით მანიპულირებასაც ცდილობენ რუსეთის თავგასული ლიდერები ცალკეული ევროპული სახელმწიფოების შანტაჟირებისათვის, რასაკვირველია, ნავთობის ექსპორტის შეზღუდვის მუქარაა. მაგრამ, როგორც ჩანს, ჯერ-ჯერობით, ეს ფაქტორი მოსკოვისათვის მთლად სასურველ ეფექტს ნამდვილად ვერ იძლევა, ყოველ შემთხვევაში იდეოლოგიის დონეზე მაინც.

ამას ადასტურებს თუნდაც ევრო-კავშირისა და ევრო-საბჭოს მკვეთრად გამოხატული ანტირუსული პოზიცია, რომელზეც ზემოთ უკვე გავამახვილეთ ყურადღება. ამ თვალსაზრისით საერთო პოლიტიკურ კლიმატს ვერ ცვლის ზოგიერთი ევროპელი ლიდერის (პირველ რიგში კანცლერ ანგელა მერკელის) დიპლომატიური რევერანსები, რომლებიც „ცხელ გულზე“ რუსეთის ხელისუფლების ზომამზე მეტად გაღიზიანების თავიდან აცილების შთაბეჭდილებას უფრო ტოვებს, ვიდრე ზოგადად მოსკოვისადმი ქედის მოღრეკის. აქვე არ შეიძლება არ აღინიშნოს ისიც, რომ დასავლეთ ევროპისათვის ნავთობისა და გაზის ონკანის გადაკეტვა არანაკლებ (თუ უფრო მეტად არა) თვით რუსეთისთვისაა მეტად სარისკო, რადგან ამით შეწყდება ვალუტის შემოდინება, რაც, თავის მხრივ, სერიოზულ დარტყმას მიაყენებს რუსეთის ეკონომიკას.

და მაინც რას უნდა მოველოდეთ მსოფლიო თანამეგობრობისაგან და რამდენად ქმედითი შეიძლება აღმოჩნდეს ევროპელი და ამერიკელი პარტნიორების თანადგომა. ჩვენ, რასაკვირველია, შორს უნდა ვიყოთ იმ ილუზიისაგან, რომ ცივილიზებული მსოფლიო ერთბაშად დააჩოქებს რუსეთს და ყველა საშუალებით აღკვეთს მის ხელახალ შესაძლო აგრესიას საქართველოს მიმართ. ალბათ, სწორია აზრი, რომ დღევანდელი ევროპა ნამდვილად არაა მზად (იქნებ არცაა სასურველი) ომი გამოუცხადოს ბირთვული იარაღის მქონე გაუწონასწორებელ სახელმწიფოს, თანაც იმის გამო, რომ ის ცდილობს საქართველოს ცალკეული ტერიტორიების მიტაცებას. მაგრამ, როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, ფსონი ამჯერად იმაზე ბევრად უფრო დიდია, ვიდრე ერთი პატარა ქვეყნის – საქართველოს, რომელიც საერთო ევროპულ ოჯახში ინტეგრაციას ესწრაფვის, ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ინტერესების დაცვა.

სრულიად აშკარაა, და ეს, ვფიქრობთ, სათანადოდაა გაცნობიერებული მსოფლიო ლიდერების მიერ, რომ თუ რუსეთის ხელისუფლება-

ში მოსულ „ქორებს“ დღეს საქართველოს ავანტიურა გაუვიდათ, ხვალ ისინი სრულ კონტროლს დაამყარებენ აზერბაიჯანზე, რის შემდეგაც ფაქტობრივად შეიქმნება ყველა პირობა ირანთან ანტიდასავლური სამხედრო-პოლიტიკური ბლოკის შეკვრისა. პარალელურად, განავითარებენ შეტევას ურჩ უკრაინაზე (ეს პროცესი უკვე დაწყებულია), აქცევენ მას მოსკოვის სატელიტად და ამით ძირითადად აღადგენენ გავლენას ყოფილი საბჭოეთის დიდ ნაწილზე. აი სწორედ ეს იქნება გეოპოლიტიკური კატასტროფა, რომელსაც ნამდვილად მოჰყვება ბრძოლა მსოფლიოს ახალი გადანაწილებისათვის.

აი ამიტომაც მიგვაჩნია, რომ მსოფლიო თანამეგობრობა ყველაფერს გააკეთებს რუსეთის იმპერიული ამბიციების მოსათოკად. და თუ კრემლი მაინც არ აიღებს ხელს თავის აგრესიულ ქმედებებზე მეზობლების მიმართ, სულაც არაა გამორიცხული, რუსეთს მართლაც უარი ეთქვას ყოველგვარ თანამშრომლობაზე და ის სრულ იზოლაციაში მოექცეს. ამას კი დღევანდელი რუსეთი, როგორც სავსებით სწორად შენიშნავენ ანალიტიკოსები, ნამდვილად ვერ აიტანს და სავსებით რეალურია, რომ მას ქვეყნის სრული ეკონომიკური და პოლიტიკური კოლაფსი მოჰყვება. ის რომ მოვლენების ამგვარი განვითარების საფრთხე რეალურად არსებობს, რუსეთის საფონდო ბირჟებზე შექმნილმა პანიკურმა სიტუაციამ და ქვეყნიდან ინვესტიციების მასობრივი გადინების საგანგაშო ტენდენციამ აჩვენა. და ყოველივე ეს მხოლოდ სიტყვიერი გაფრთხილების შედეგად. ადვილი წარმოსადგენია, თუ რა შეიძლება მოხდეს ეკონომიკური სანქციების ამოქმედებისა და სრული საერთაშორისო იზოლაციის შემთხვევაში.

ამრიგად, ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით, არ შეეცდებით, თუ ვიტყვით, რომ რუსეთი საკმაოდ რთული არჩევანის წინაშე დგას. მან ან უნდა გააგრძელოს კონფრონტაციული კურსი და დაუპირისპირდეს დანარჩენ მსოფლიოს, რასაც შეიძლება მისთვის კატასტროფული შედეგები მოჰყვება, ან კიდევ ერთხელ და სამუდამოდ ხელი აიღოს იმპერიის აღდგენის უტოპიურ გეგმაზე. სხვა გამოსავალი კრემლის ლიდერებს უბრალოდ არა აქვთ. სწორედ ეს გვაძლევს ჩვენ ოპტიმიზმის საფუძველს, როდესაც ვაცხადებთ, რომ აგვისტოს მოვლენებმა არა თუ არ დაგვაშორა, არამედ შეიძლება მიგვაახლოვა კიდევ ქვეყნის ერთიანობის აღდგენის პერსპექტივას.

და ბოლოს, არის კიდევ ერთი გარემოება, რომელიც სულ ცოტა მეტ გარკვეულობას შეიტანს აფხაზეთისა და „სამხრეთ ოსეთის“ გაყინული კონფლიქტების მშვიდობიანად მოგვარების პროცესში. ესაა რუსეთის ხელისუფლების გადაწყვეტილება, უარი თქვას სამშვიდობო მი-

სიაზე კონფლიქტის ზონებში. ანუ, თუ ადრე რუსეთი მთელ მსოფლიოს მოაჩვენებდა თავს მშვიდობის ერთადერთ გარანტად, კონფლიქტის ერთ-ერთი მონაწილის მხარეზე ღია სამხედრო გამოსვლითა და რაც მთავარია, სეპარატისტული რეგიონების სუვერენულ სახელმწიფოებად აღიარებითა შემდგომ კი მათთან ე.წ. „მეგობრობისა და თანამშრომლობის ხელშეკრულებების“ გაფორმებით (რომელთა თანახმადაც რუსეთის შეიარაღებული ნაწილები უკვე არ წარმოადგენენ სამშვიდობო ძალებს), მოსკოვმა მოიხსნა მშვიდობისმყოფელის ფუნქცია.

ამიერიდან, უკვე ყველასთვის ცხადი გახდა, რომ რუსული სამხედრო კონტინგენტი არასოდეს არ წარმოადგენდა სამშვიდობო მისიას და ის აქამდე, ფაქტობრივად, სეპარატისტული რეჟიმების სასაზღვრო ჯარის ფუნქციას ასრულებდა. რასაკვირველია, ამას მსოფლიო თანამეგობრობაც მშვენივრად ხედავდა, მაგრამ, რუსეთის განაწყენების შიშით, სირაქლემას პოზაში ყოფნას ამჯობინებდა. ამის ნათელი დემონსტრირება ხდებოდა ყოველ 6 თვეში ერთხელ გაეროს უშიშროების საბჭოს სხდომებზე, როდესაც ეს ორგანო ერთგვარი თავის მოწონებით აღიარებდა რუსეთის სამშვიდობო მისიის (გაეროს მანდატით) კეთილმყოფელ გავლენას და მწვანე შუქს უნთებდა ამ მისიის გაგრძელებას აფხაზეთში.

კრემლის ბოლოდროინდელმა გამოქვეყნებმა ნაბიჯებმა, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ვითარება კარდინალურად შეცვალა. ღღეს უკვე მსოფლიო თანამეგობრობა, იძულებულია სერიოზულად იფიქროს საქართველოს ტერიტორიაზე არსებული კონფლიქტების მოგვარების ახალ მექანიზმებზე. სულ უფრო აქტუალური ხდება რუსული „სამშვიდობო“ მისიის ჩანაცვლებისა და ახალი სამშვიდობო ფორმატის ამოქმედების აუცილებლობის იდეა. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ მსოფლიო თანამეგობრობის ეს მანამდე სრულიად უპრეცედენტო თანადგომა ფუჭად არ ჩაივლის და საქართველოს მალე მიეცემა სახელმწიფოებრივი ერთიანობის აღდგენის რეალური შესაძლებლობა.

ПАРАД НЕВЕЖЕСТВА

*Или очередной вымысел известного
фальсификатора**

Вот уже наступил новый 1993 год, а в Абхазии всё ещё не затухает пламя войны. Вновь и вновь гибнут люди. Лидеры абхазских сепаратистов, окончательно потерявшие рассудок по-прежнему толкают своих соплеменников на бессмысленную и бесперспективную бойню. Абхазский народ уже который раз за свою многострадальную историю, становятся жертвой губительной авантюристической политики своих новоявленных кумиров и вождей.

Касаясь вопроса о причинах нынешней трагедии, мы недавно писали, что братоубийственная война в Абхазии идеологически, исподволь готовилась на протяжении не одного десятилетия. Т.н. «духовные отцы» абхазского народа – представители научной и творческой интеллигенции: историки, археологи, филологи, писатели своими небылицами и утопическими измышлениями постоянно «держали»

* აღნიშნული სტატია-გამოსმაურება დაიწერა ქართულად და პირველად გამოქვეყნდა 1992წ. მიწურულს აფხაზეთში დაწყებული სამხედრო დაპირისპირების ფონზე (იხ. **ზ. პაპასქირი**. „უმეცრობის ფართი-ფურთი“, ანუ ცნობილი ფალსიფიკატორის მორიგი გამოსდომა. – გაზ. „აფხაზეთის ხმა“, 21.XI.1992, 26.XI.1992. სტატიის შემოკლებული ვარიანტი დაბეჭდა გაზ. „ლიტერატურულმა საქართველომაც“ (№25, 24.VI, №26. 1.VII, 1994). სტატია დაბეჭდილია აგრეთვე წიგნში: **ზ. პაპასქირი**. აფხაზეთი საქართველოა. თბ., 1998, გვ. 76-101). მოგვიანებით გამოქვეყნდა ამ სტატიის რუსული ვარიანტიც (იხ. **З. Папаскири**. Парад невежества. Или очередной вымысел известного фальсификатора. – Газ. «Демократическая Абхазия», 26.02.1993, 3.03.1993, 7.03.1993.). აღსანიშნავია, რომ რუსულმა პუბლიკაციამ სეპარატისტთა ბანაკში იმთავითვე დიდი ვნებათა დღევა გამოიწვია. იხ. როგორც „მთავარი მაკოპრომეტირებელი მასალა“, შემდგომ გამოყენებულ იქნა სეპარატისტების „გენერალური პროკურატურის“ მიერ ამ სტრიქონების ავტორის მიმართ სისხლის სამართლის საქმის აღძვრისას (ამის შესახებ იხ. **ა. ასლანიშვილი**. ზურაბ პაპასქირის ასი მძიმე დღე. – გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 12.II.1994; **ზ. პაპასქირი**. აფხაზეთი საქართველოა, გვ. 8). წინამდებარე რუსული ვარიანტი იბეჭდება უცვლელად, მხოლოდ, თავის დროზე, გაზეთში (რომელიც, სხვათა შორის, მზადდებოდა უმძიმეს პირობებში – მასირებული დაბომბვების ქვეშ) გაპარული ზოგიერთი კორექტურული ხასიათის ხარვეზის ჩასწორებით.

ли» людей под «нужным напряжением и сеяли семена вражды между двумя народами. В этих «баталиях» особенно отличились историки, которые всемерно старались исторически обосновать стремление абхазских сепаратистов оторвать от «ненавистных» грузин, якобы всегда приносивших зло и горе абхазам и навсегда впасть в «объятия» «братской» России – «спасительницы» всех угнетённых народов.

С этой целью, наши «друзья-коллеги» из научно-исследовательского «корпуса» сепаратистов самым гнусным образом искажали историческую правду о прошлом грузинского и абхазского народов. Везде и всюду выискивали факты «давления» над абхазами. Абхазию, совершенно бесцеремонно объявляли родиной лишь апсуа-абхазов, которые, дескать, будучи единственными полноправными хозяевами этой земли, только и должны были заботиться о будущем (читай о достижении независимости от Грузии) своей отчизны, а грузины и представители других национальностей, проживающие на «гостеприимной земле древней Апсны» просто обязаны помочь им в этом «благородном» деянии.

Вот почему нынешние сепаратисты и одурманенные их шовинистической пропагандой простые абхазы возомнили, что они могут всё. Могут навязать христианскому населению, составляющему, как минимум 90 проц. всех жителей (в том числе и собственно абхазам) автономной республики ярко выраженную мусульманскую символику; могут объявить «суверенную советскую социалистическую республику» и этим самым, за один миг, почти половину населения, без их согласия, сделать гражданами «другого государства» и т.д.

Откровенная ложь и клевета стали нормой жизни сепаратистский настроенных абхазских учёных, которые ничем не брезговали в охаивании и фальсификации истории Грузии-Абхазии. Шла настоящая травля людей. В этой разнузданной антигрузинской кампании активно включились и «творившие» здесь русские историки: доктор исторических наук Ю. Н. Воронов и кандидат исторических наук В. Логинов. Смело можно утверждать, что они не только ни в чём не уступали, но порой даже превосходили своих абхазских коллег, всемерно стараясь стереть исторические следы грузин на территории современной Абхазии. В этом плане особо следует отметить «заслуги» Ю. Воронова.

Наша общественность достаточно хорошо осведомлена об антигрузинских публикациях Ю. Воронова. Его активность в этом направлении началась ещё во второй половине 70-х годов, когда он без всякого основания, расположенные в Абхазии памятники грузинского христианского зодчества объявил достоянием абхазов. В да-

льнейшем, нападки Ю. Воронова на историю и культуру грузинского народа, постепенно приобрели систематический и более масштабный характер, хотя до последнего времени, они внешне, как бы оставались в рамках «академического суждения»; Однако, после того как учёный Воронов надел на себя и мантию «политического лидера», его деятельность на этом поприще приобрела качественно новый облик и всецело встала на службу политической конъюнктуры абхазского национал-сепаратистского движения.

Ярким свидетельством сказанного является т.н. «экспресс-очерк» Ю. Воронова «*Абхазы – кто они?*», выпущенный малым предприятием «*Адырра*» в 1992г. буквально перед бегством его автора в Гудауту.

Первое, и главное, что бросается в глаза при ознакомлении данной брошюры (всего из 30 страниц) – это совершенно беспардонное стремление автора поставить вверх ногами даже всю мировую историю, лишь бы не сказать реальную правду о совместно пройденном историческом пути грузин и абхазов на протяжении не одного тысячелетия. В этом опусе фактически невозможно найти место, где, хотя бы вскользь, было бы зафиксировано почти постоянное пребывание грузин и абхазов в едином историческом и культурно-политическом мире. Более того, автор всемерно старается вообще зачеркнуть какую-либо близость между этими, веками, жившими бок о бок народами. Наглядным свидетельством этого можно считать первую главу брошюры, в которой речь идет о роли и месте абхазского языка в семье современных языков мира.

По мнению Ю. Воронова, абхазский язык вместе с другими северокавказскими языками представляет собой своеобразный «реликт некогда обширной языковой общности, существовавшей... примерно 7 тысяч лет назад и охватывавшей весь Кавказ и обширные районы южнее». Интересно, что в этой «обширной языковой» среде новая «восходящая звезда» лингвистической науки не может найти место для картвельских языков, принадлежность которых к иберийско-кавказской семье, куда, как правило, наряду с картвельскими включают абхазо-адыгские, чечено-ингушские и дагестанские языки (и само существование этой семьи языков) признано им лишь плодом «активной пропаганды» советских учёных в 30-60-х годах XX века, ныне лишённого всякого научного обоснования. И это в то время, когда по утверждению Ю. Воронова, абхазо-адыгские языки, бог знает, с какими языками обнаруживают генетическое родство, начиная с нахо (чечено-ингушский)-дагестанских, с которыми они якобы составляют не иберо-кавказскую, а «северокавказскую семью язы-

ков» и заканчивая мертвыми языками (хаттский, хуррито-урартский) Малой Азии.

Более того, достигнутые «в последнее время успехи лингвистической реконструкции» (особенно труды С. Старостина и др.) позволили ему ещё глубже заглянуть в историю абхазо-адыгов и установить «факт дальнего родства (по происхождению) между северокавказскими, сино-тибетским (китайский, тибетский, восточно-гималайский и др.) и енисейскими языками, на основе чего реконструирована сино-кавказская макросемья, включившая большинство неостратических языков старого света и выявляющая глубинное родство с индейскими (калифорнийские и др.) языками субамериканского континента.

Наш новоявленный лингвист и на этом не останавливается и свои языковедческие изыскания завершает выявлением языковых контактов (через западнокавказские языки) между нахо-дагестанскими «языками» и «с афразийской макросемьей», выводящей нас к эпохе расообразования и моменту проникновения Хомо Сапиенс с африканской прародины на Ближний Восток (около 30 тыс. лет назад), откуда пошло его расселение в Европу, на Кавказ и в Восточную Азию».

Для подтверждения гипотезы о дальнем родстве абхазо-адыгов с чёрным населением Африки Ю. Воронов не довольствуется одной лишь «лингвистической реконструкцией» и дополнительно привлекает археологический материал из Холодного грота (центральная Абхазия). Антропологические материалы этого памятника по догадкам Ю. Воронова ясно свидетельствуют о том, что местное население ещё в ту эпоху (14-13 тысячелетия, до н.э.) «характеризовалось... выраженными негроидными чертами».

Конечно, нет никакого смысла, тем паче неспециалисту, вступать в спор с человеком, делавшим столь «выдающиеся» открытия, в области языкознания, но чрезвычайно трудно уйти от элементарного, даже для несведущего в лингвистике простого смертного, вопроса – насколько научно говорить о генетических и негенетических контактах абхазского языка с почти со всеми живыми и мёртвыми языками мира, начиная с северокавказских языков, заканчивая языками африканских негров и ни слова не замолвить о родстве абхазского языка с картвельскими языками?

Если Ю. Воронов действительно серьёзно думает о том, что абхазов лингвистически и антропологически, в самом деле, больше связывает с негроидами Африки, нежели с картвельским населением Кавказа, то, что подделаешь, как говорится – это его воля. Можно с уверенностью сказать, что этим грузины абсолютно ничего не теря-

ют, но интересно, что даёт такое родство абхазскому народу? Ну что нам до этого? Пусть об этом ломают голову те, кого так болезненно раздражает любое признание грузино-абхазского родства. А вообще перед тем, как завести речь об антропологическом сходстве предков современных абхазов с негроидами Африки, Ю. Воронову не помешало бы узнать мнение тех абхазов, которые носят такие исконно грузинские фамилии (а таковых, как известно, несколько десятков тысяч среди 90-тысячного абхазского населения), как: Гулия, Гургулия, Дамения, Гварамия, Кварацхелия, Дзидзария и т.д. и уж потом заявить на весь мир об их африканских корнях. Хотя сегодня у некоторых представителей вышеназванных фамилий так помутился разум, что едва ли они откажутся от обнаруженных так спешно для них Ю. Вороновым, новых родственников. Так им и надо. Когда с человеком происходит не что иное, как паралич памяти, и он напрочь забывает о своих настоящих корнях, более того становится врагом своих соплеменников, он и не достоин лучшей участи.

Что же касается грузино-абхазского антропологического сходства, то это в науке общепризнанная истина, и Ю. Воронову перед тем, как побывать в Центральной Африке (допустим в той же Республике Чад) и выяснить факт родства между абхазами и тамошними неграми, следовало осчастливить нас хотя бы простой констатацией грузино-абхазского антропологического родства.

Ю. Воронов отдельную главу посвящает вопросу об этногенезе абхазов. Стараясь любыми средствами обосновать тезис об аборигенстве абхазов (и только их) на Западном Кавказе, он тенденциозно освещает имеющуюся в науке теорию о происходящих в регионе за последние 5 тысяч лет миграционных процессах. По его мнению, прародиной абхазов являлась территория Колхиды и северо-восточные районы Малой Азии, а прародину же картвельских племён следует искать «вне пределов Западного Закавказья в северо-восточных областях Малой Азии, откуда в рассматриваемый регион с начала переместились... сваны, а в начале I тысячелетия до н.э...и занны, оттеснившие «праабхазов к северу». Одновременно Ю. Воронов, без всякой аргументации, беспартийно заявляет, что на рубеже II и I тысячелетий до н.э. имело место переселение «прямых языковых предков адыгов» с Колхиды «на северные склоны Западного Кавказа» и с этим связывает «широкую культурную экспансию», шедшую из Колхиды по Черноморскому побережью... на северные склоны Центрального и Западного Кавказа», достигшие своего апогея в IX-VII веках до н.э., что, по разъяснению Ю. Воронова выразилось в возникновении т.н. «колхидско-кобанской металлургической провинции».

Таким образом, как говорится, одним росчерком пера Ю. Воронов отнял у грузин т.н. «Колхидскую культуру», создателями которой, по общему признанию учёных считаются наши прославленные предки – колхи, а также некоторые другие картвельские племена (макроны, сасперы, тибарены и др.). Главное для соответствующего научного обоснования этого весьма далеко идущего вывода наш «всезнающий» археолог особо не печётся. Он довольствуется общим заявлением о том, что заннские племена проникли в Колхиду всего лишь с начала I тысячелетия до н. э. (возникновение же «Колхидской культуры» предполагают, как минимум, с XIV в. до н.э.), а сваны, появившиеся, по мнению Ю. Воронова в эти края несколько раньше, ничего не имели общего с металлургией и земледелием. Т.е. получается, что творцами «Колхидской культуры» были не колхи-грузины, а абхазы, которые и переправили эту культуру на Северный Кавказ вместе с отправляющимися туда адыгами.

Следует особо отметить, что при описании этнической карты Западного Кавказа Ю. Воронов практически ни разу не упоминает «колхов» и живущих здесь (по его мнению, только лишь с начала I тысячелетия до н.э.) западногрузинских племён называет «заннами». И это совершенно не случайно. Как известно, в то время (I тысячелетие до н.э.) существовала чётко очерченная письменная традиция о проживающих на территории Западной Грузии колхских племенах, которых более поздние греко-византийские авторы почему-то однозначно отождествляли с лазско-грузинским этническим миром, а не абхаз-адыгами. Конечно, «глубоко мыслящему» учёному, который не забывает о тех единичных сведениях (не ранее I-Пвв. н.э.) об «абазг-апсилах», следовало бы вспомнить самое распространённое в тогдешнем цивилизованном мире название западных грузин – «колхи», однако, в этом случае, ему наверняка, пришлось бы «раскрыть скобки» и дать разъяснение, почему древние греки якобы «создателей» «Колхидской культуры» – абхаз-адыгов называли колхами, а не «абазг-апсилами».

Вместе с тем, мы позволим себе, Ю. Воронову, как учёному-археологу, напомнить об одной – азбучной в археологической науке – истине: смена одного этноса другим, захват его территории и длительное обитание на нём, как правило, сопровождается определёнными, а порой даже (если эти племена совершенно далеки друг от друга в этнокультурном отношении) значительными изменениями в хозяйственно-культурной жизни региона. Т.е. если колхи-картвелы появились на территории Западной Грузии только в I тысячелетии до н.э., а до этого здесь проживали совершенно чуждые им (возможно потомки

каких-то африканских негров) абхазо-адыгские племена, то такое довольно резкое изменение этнического состава, обязательно должно было бы найти соответствующее отражение в материальной культуре. Более того, за этим должен был последовать даже определённый срыв в общей развитии хозяйственно-культурной жизни Западной Грузии. Насколько нам известно, пока ещё ни один археолог не сумел обнаружить какие-нибудь отклонения в общей схеме хозяйственно-культурного развития исторической Колхиды хотя бы с XXII-XX вв. до н.э. Поэтому, прежде чем категорически утверждать первоначальное проживание абхазов на территории Колхиды, Ю. Воронову следовало бы найти должное объяснение этому факту и затем уж громогласно заявлять о древнейших корнях абхаз-адыгов на всём Западном Кавказе.

Не менее тенденциозно и искажённо освещено историческое прошлое Абхазии в третьей главе брошюры с довольно многозначительным и несколько философским заглавием: *«История абхазов – узкотерриториальное и общечеловеческое»*. В этой части, автор старается показать общую картину взаимоотношений абхазов с внешним миром. По наблюдениям Ю. Воронова, абхазы на протяжении всей своей истории имели самые тесные контакты почти со всеми основными центрами мировой цивилизации. По его утверждению, Западный Кавказ (со своим абхазо-адыгским населением) в бронзовом веке представлял собой глубокую периферию малоазийского варианта ближневосточной культурной общности, а «в раннежелезную эпоху помимо влияния из Малой Азии решающую роль в сложении местной (т. е. абхазской – **З.П.**) материальной культуры сыграло государство Урарту. Интересно, почему урартские клинописные надписи, сохранившие достаточно разнообразный материал о «Колха-Кулхе», территория, которой как раз и охватывала юго-западные районы Закавказья, ничего не знают о каких-либо абхазских племенах, якобы населяющих данный регион?

С VIII в. до н.э., по мнению Ю. Воронова, Западный Кавказ попадает под «воздействие... Эгейского мира», а к III веку до н.э. уже «весь быт местного населения (здесь уже не совсем ясно, местное население какого региона Западного Кавказа, или собственно территории современной Абхазии, имеет в виду наш автор), в том числе и горных долин, был «пропитан элементами греческой культуры». В VI-VIII же веках н.э. для Абхазии «особое значение приобрели транскавказские перевальные дороги, благодаря которым через территорию Абхазии прошли ответвления Великого шёлкового пути, связывавшего Средиземноморье с Индией и Китаем». Через этот путь, –

отмечает Ю. Воронов, – Абхазия была связана с десятками центров Европы и Азии и Африки. Эти же «перевальные дороги, – по его словам, – сыграли важную роль в становлении раннефеодального Абхазского царства, последующая история которого была связана с Византией, стимулировавшей его расцвет в X веке и оказывавшей воздействие на жизнь в крае до самого своего заката в XV веке».

XIV-XVII века, – пишет далее Ю. Воронов, – «характеризуются в истории края возрождением и углублением средиземноморских связей», в чём «особую роль... сыграли фактории Генуи на побережье Абхазии, оставившие глубокий след в местной экономике, политической истории и культуре. Эта, как говорится, почти идиллическая картина политической и культурно-экономической жизни края, которую рисует Ю. Воронов, не меняется даже после утверждения здесь Турции, «использовавшей Абхазию в качестве главного плацдарма в завоевании Западного Кавказа». В это время (с конца XV-XVIII вв.) в Абхазии «широкое распространение... получают огнестрельное оружие, характерные кавказские кинжалы, определённого покроя одежда (черкеска, башлык и др.), курительные трубки, складывается самобытная абхазская кухня (можно подумать», что у абхазов до прихода турков не было своей «самобытной кухни»). Весь этот экскурс завершается констатацией того, как с 1810 года в Абхазии интенсивно пошёл «процесс европеизации через посредство, главным образом, России». Вот таково, в основном, представление Ю. Воронова о пути, пройденном абхазским народом.

Как видим, в данном экскурсе нашлось место для всех, начиная с урартцев и древних греков, кончая генуэзцами, турками и русскими, и, что самое главное, каждый из этих народов, оказывается, вносил только лишь позитивный вклад в жизнь абхазцев. В этом, своего рода, «почётном» списке не видно только Грузии и грузин. Будто их вообще не было. За все это время Ю. Воронов лишь однажды и то с явным подтекстом, упоминает о взаимоотношениях абхазов с грузинским миром: «С конца XI и до середины XIII века, – пишет он, – Абхазское воеводство на автономных началах входило в состав «Царства абхазов и картвелов», а позднее частично («Верхняя Абхазия») было аннексировано соседившей с ним с востока Мегрелией». Наш «беспристрастный» летописец этим предложением исчерпал почти двухтысячную совместную историю грузин и абхазов.

В этой «премудрости» Ю. Воронова немало спорного, если не больше, однако, на этот раз, ограничимся лишь отдельными, общего характера, замечаниями. Прежде всего, считаем необходимым заявить: любое суждение о существовании какого-либо абхазского эт-

нополитического и культурного мира на территории Колхиды до I-Пвв. н.э. лишено всякого основания. Это своего рода повторение известной «теории» профессора Г. Турчанинова – большого любителя сенсации, по которой предки абхазов не только просто населяли территорию Колхиды, но, вообще, были единственными хозяевами т.н. «Колхидской культуры» и Колхидского царства эпохи Аиетидов со своей древнейшей письменностью т. н. «Майкопской плиты» (следует отметить, что в своё время, этот «научный бред Г. Турчанинова, получил достойный ответ со стороны самих российских же учёных).

На самом деле, начиная с конца II тысячелетия (если не раньше), как уже отмечалось выше, существует достаточно богатая письменная традиция (ассирийско-урартское – «килхи», «колхи»-«кулха», древнегреческий цикл об аргонавтах и т.д.), по которой Западную Грузию, в том числе и территорию современной Абхазии, в основном, населяли картвельские племена. В первую очередь, это «колхи» (Псевдо-Скилак Кариандский – IVв. до н.э.). Помимо собственно «колхов», в северной части Восточного Причерноморья зафиксированы «кораксы, которые, по указанию древнегреческого автора VIв. до н.э. Гекатея Милетского также были колхским племенем. В сочинениях античных авторов отдельно фигурируют «сваны» (Страбон, Плиний и др.), «свано-колхи» (Страбон, Птолемей), а также «саниги» и «гениохи», которых большая часть ученых (И. А. Орбели, Н. Я. Марр, С. Н. Джанашиа, Г. А. Меликишвили и др.) совершенно обоснованно причисляют к картвельскому этническому миру. Возникает вопрос: если предки абхазов – «абазг»-«апсилы» и до I-Пвв. проживали на территории современной Абхазии, почему же тогда именно о них (а не, например, о «сванах») ничего не знают владевшие достаточно обширной информацией о племенах Восточного Причерноморья древнегреческие авторы? Разве тот факт, что Диоскурия – Севастополис – нынешний Сухуми известен в древнегрузинской исторической традиции сванским названием «Цхуми», не есть подтверждение сообщения Страбона о расселении (до IV в. н.э.) в этом регионе сванских племён? Пусть читатель сам поразмыслит о том, насколько честно (не говоря уж о научности) закрывать на все глаза и нагло утверждать первоначальное проживание абхазов в окрестностях Цхуми-Диоскурии.

Нас также интересует: именно в каких абхазских памятниках обнаружил Ю. Воронов так отчётливо «решающую роль» урартской цивилизации «в сложении местной (т.е. абхазской – **З.П.**) материальной культуры»? Или каким образом он, вообще, сумел определить абхазское происхождение тех или иных памятников, якобы подверг-

шихся урартскому влиянию? Разве не кто-либо другой, а сам досто-почтенный Ю. Воронов не утверждает, что «увязка естественных древних региональных особенностей с конкретным современным этносом, получившая широкое распространение в условиях отечественной национально-административной государственной системы, привели к тому, что предметы и сооружения стали использоваться для обоснования прав представителей той или иной национальности на власть над данной территорией...» и что «большинство произведений человеческих рук является плодом многообразных попыток и взаимодействий разноязычных индивидуумов и коллективов»?

В брошюре Ю. Воронова не менее произвольно и тенденциозно освещены вопросы возникновения и дальнейшего развития Царства «абхазов». Считая данную политическую единицу, бесспорно, абхазским национальным государственным образованием, Ю. Воронов ни слова не говорит об этнополитической и культурной направленности данного государства. Вместе с тем, он особо подчёркивает политическое и культурное влияние Византийской империи на Абхазию не только в VIII-Xвв., но и вплоть до XVв. Это, ни больше, ни меньше, абсурд и полнейшее незнание процесса формирования Царства «абхазов», так как появление в конце VIIIв. в Западной Грузии, на месте развалившегося Эгриси-Лазики, нового государства, именуемого Царством «абхазов», было результатом не политического влияния Византии на Абхазию, как раз наоборот, оно было прямым следствием конфронтации правителей Абхазии с империей.

ერთი შეხედვით, რასაკვირველია, იმათი პოზიცია, ვინც ითხოვს აფხაზეთის დეპუტატებისათვის უფლებამოსილების შეწყვეტას, სავსებით სამართლიანია. მართლაც, ამ განვლილი 10 წლის განმავლობაში ქვეყანაში შეიქმნა სრულიად ახალი პოლიტიკური კონიუნქტურა. სხვას ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, გარკვეული ცვლილება განიცადა ელექტორატმა დემოგრაფიული თვალსაზრისითაც. საარჩევნო ხმის უფლება მოიპოვა დევნილთა იმ თაობამ, რომელიც 1992წ. 10 წლისაც კი არ იყო.

* დაიბეჭდა გაზ. „საქართველოს რესპუბლიკაში“, №190, 20.V.II.2003; №191, 21.VII.2003; №192, 22.VII.2003.

ამასთან დაკავშირებით მართლაც ძნელია არ დაეთანხმო არასამთავრობო ორგანიზაცია: „საზოგადოებრივი პროგრამების ფონდის“ თავმჯდომარეს, ნიჭიერ ახალგაზრდა კაცს, პროფესიონალ იურისტს მანუჩარ ახალაიას, რომელიც გულისტკივილით წერს: „ის, რომ ჩვენი მამების თაობამ გააკეთა არჩევანი 1992 წელს, სრულებით არ ნიშნავს იმას, რომ ჩვენ – მათი შვილები... უალტერნატივოდ ვცნობთ ამ არჩევანს და ჩვენს გაჭაღარავებამდე ეს ასე უნდა დარჩეს“ (იხ. „ჩვენი გაზეთი“, №6, 2003წ. გვ. 3). ან განა ვინმეს ექვევება, რომ საარჩევნო ვადების არსებობა მთელს მსოფლიოში სწორედ ელექტორატის მიერ გარკვეული პერიოდის შემდეგ თავისი ადრე მიღებული არჩევანის შესაძლო გადასინჯვის აუცილებლობითაა განპირობებული?! ან კიდევ ვინმემ შეიძლება იღავოს იმაზე, რომ სახელმწიფომ არ უნდა დაუშვას საკუთარ მოქალაქეთა თუნდაც მცირერიცხოვანი ნაწილის „კონსტიტუციური უფლებების დარღვევა და ყველაზე მაღლა სწორედ კანონის უზენაესობა და ადამიანის უფლებები უნდა დააყენოს“. რასაკვირველია, ყოველივე ეს აქსიომაა, მაგრამ არსებობს დიდი **მაგრამ**, რომლის გამოც დღევანდელი საქართველო იძულებულია, ღროებით თავი შეიკავოს ამ საყოველთაო ნორმების უპირობო დაცვისაგან და შეგნებულად მიიღოს, ერთი შეხედვით ნამდვილად არაპოპულარული და არადემოკრატიული გადაწყვეტილება – კიდევ ერთხელ გაუგრძელოს უფლებამოსილება ღმერთმა ქნას, უკანასკნელად) საქართველოს პარლამენტში 1992წ. აფხაზეთში არჩეულ დეპუტატს.

რაში მდგომარეობს ის **მაგრამ**, რომლის გამოც, ჩვენ იძულებული ვართ, ხაზს ვუსვამ, **იძულებული ვართ** გავაკეთოთ ამგვარი დასკვნა. როგორც ცნობილია, აგერ უკვე მე-10 წელი სრულდება, მას შემდეგ, რაც საქართველოს ცენტრალური ხელისუფლება ვერ ახორციელებს თავის იურისდიქციას აფხაზეთზე და ჩვენი ქვეყნის ეს ძირძველი კუთხე მოწყვეტილია დედა-სამშობლოს. სამშვიდობო პროცესმა, რომელშიც აქტიურადაა ჩართული გაერო, ეუთო, სხვა საერთაშორისო ორგანიზაციები, მართალია, გარკვეულწილად შეზღუდა (განსაკუთრებით 1999წ. ეუთოს სტამბოლის სამიტის შემდეგ) საქართველოს „მეგობარი“ რუსეთის შესაძლებლობანი აქტიურად დაიცვას სოხუმის სეპარატისტული რეჟიმი, მაგრამ ამან ჯერჯერობით რაიმე რეალური შედეგი კონფლიქტის მშვიდობიანი მოწესრიგების საქმეში მაინც ვერ მოგვცა და აფხაზეთი კვლავ რჩება საქართველოს სახელმწიფოს კონსტიტუციურ-სამართლებრივი სივრცის მიღმა. ე. ი. ვითარება არ შეცვლილა და ჩვენ კვლავ დავდევით ისეთივე სიტუაციის წინაშე, როგორიც იყო 1995 და 1999 წლების საპარლამენტო არჩევნების წინ.

მაშინ, როგორც ცნობილია, საქართველოს უმაღლესმა საკანონმდებლო ორგანომ, ქვეყნის პოლიტიკურმა ხელმძღვანელობამ ცნობილ ექსპერტებთან, სამართლისა და სახელმწიფო მოწყობის თვალსაჩინო (მათ შორის უცხოელ) სპეციალისტებთან კონსულტაციების შემდეგ მიიღო, ჩვენი აზრით, ერთადერთი სწორი გადაწყვეტილება (რომელიც აისახა „საქართველოს პარლამენტის არჩევნების შესახებ“ 1995 წლის ორგანული კანონის გარდამავალ დებულებებში) აფხაზეთში 1992წ. არჩეული დეპუტატების უფლებამოსილების გაგრძელების შესახებ აფხაზეთში დემოკრატიული არჩევნების ჩატარებისათვის სათანადო პირობების შექმნამდე.

1999 წლის საქართველოს უმაღლესმა საკანონმდებლო ორგანომ, „პარლამენტის არჩევნების შესახებ“ კანონში კვლავ გაითვალისწინა რა არსებული ვითარება, ერთხელ კიდევ გაუგრძელა უფლებამოსილება 1992 წელს აფხაზეთში არჩეულ დეპუტატებს „აფხაზეთში საქართველოს იურიდიქციის სრულ აღდგენამდე და საქართველოს პარლამენტის წევრთა არჩევნებისათვის აუცილებელი პირობების შექმნამდე“. ამასთან კანონში საგანგებოდ მიეთითა, რომ „აფხაზეთში ერთმანდატიან საარჩევნო ოლქებში საქართველოს პარლამენტის წევრთა არჩევნების ჩატარებისა და მათი უფლებამოსილების ცნობისთანავე უფლებამოსილება გაგრძელებული პარლამენტის წევრთა უფლებამოსილება შეწყდება“ (თავი მე-8, მუხლი 59, გარდამავალი დებულებანი). ფაქტობრივად ასევეა შესული ეს ფორმულირება ამჟამად მოქმედი საარჩევნო კოდექსის 197-ე მუხლში, სადაც აღნიშნულია აგრეთვე ისიც, რომ 1992წ. აფხაზეთში არჩეულ პარლამენტის წევრს უფლებამოსილება შეუწყდება იმ შემთხვევაშიც, თუ ის რეგისტრირებული იქნება პარლამენტის წევრობის კანდიდატად.

ამ გადაწყვეტილების მიღებისას გათვალისწინებული იყო შემდეგი გარემოებები:

ა) **ლეგიტიმურობის ხარისხი.** 1992 წლის საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობდა აფხაზეთის მრავალეროვანი მოსახლეობის (მათ შორის საკუთრივ აფხაზი ეროვნების წარმომადგენელთა) მნიშვნელოვანი (50%-ზე მეტი მაინც) ნაწილი. სწორედ ეს მომენტია გადამწყვეტი 1992 წელს აფხაზეთში არჩეული დეპუტატების ლეგიტიმურობის ხარისხის განსაზღვრისას.

ბ) **სამართლებრივი მემკვიდრეობის პრინციპი.** ე. ი. იმ შემთხვევაში, თუ უფლებამოსილება შეუწყდება 1992 წელს აფხაზეთში არჩეულ დეპუტატებს, აფხაზეთს არ ეყოლება წარმომადგენლობა საქართველოს პარლამენტში, ეს კი, ნებსით თუ უნებლიედ, იქნება იურიდი-

ული დადასტურება იმისა, რომ აფხაზეთი არ არის საქართველოს სახელმწიფოს შემადგენელი ნაწილი (ამ შემთხვევაში დევნილთა მიერ აფხაზეთის ფარგლებს გარეთ არჩეული ახალი დეპუტაცია იქნება არა მთლიანად აფხაზეთის მოსახლეობის (მათ შორის აფხაზთა) წარმომადგენლობა საქართველოს ხელისუფლების უმაღლეს ორგანოში, არამედ მხოლოდ დევნილთა წარმომადგენლობა.

გ) აფხაზეთის დღევანდელი ვითარება. აფხაზეთის ტერიტორიაზე დღემდე მოქმედებს ცენტრალური ხელისუფლების მიერ 1993წ. გამოცხადებული საგანგებო (საომარი) მდგომარეობა. მისი გაუქმება და საქართველოს პარლამენტში ახალი დეპუტაციის არჩევა მხოლოდ აფხაზეთიდან გამოდევნილი მოსახლეობის მიერ, ფაქტობრივად ნიშნავს შეგუებას 1993 წლის 30 სექტემბრის შემდგომ აფხაზეთში შექმნილ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ კონიუნქტურასთან, ანუ სეპარატისტული რეჟიმის კანონიერების ცნობა-აღიარებას, რაც, არც მეტი, არც ნაკლები, ანტისახელმწიფოებრივ ქმედებად უნდა იქნას შეფასებული.

დ) საერთაშორისო სამართლებრივ-პოლიტიკური კონიუნქტურა. მსოფლიო თანამეგობრობა, ითვალისწინებს რა აფხაზეთში შექმნილ არაორდინალურ სიტუაციას, რომელიც არ იძლევა იქ ნორმალური, დემოკრატიული არჩევნების ჩატარების საშუალებას, უკანონოდ თვლის 1994 წლიდან დღემდე სეპარატისტული რეჟიმის მიერ აფხაზეთში ჩატარებულ ყველა ღონის არჩევნებს. ასეთ შემთხვევაში დიდია ალბათობა იმისა, რომ აფხაზეთის დეპუტაციის არჩევა ენგურს გამოლმა საქართველოში, აფხაზეთის მოსახლეობის მხოლოდ ერთი ნაწილის მიერ იმავე მსოფლიო თანამეგობრობამ ასევე უკანონოდ ცნოს. გარდა ამისა, აფხაზეთის დეპუტაციის არჩევნების მოწყობით აფხაზეთის ფარგლებს გარეთ ფაქტობრივად ჩვენ ვაღიარებთ, რომ სეპარატისტებს ჰქონდათ სრული უფლება ჩატარებინათ არჩევნები მათ მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე.

ასეთია, ძირითადად, ის მოტივაცია, რომლის გამოც 1995 და 1999 წელს საქართველოს ხელისუფლებამ მიზანშეწონილად ჩათვალა 1992 წელს აფხაზეთში არჩეული საქართველოს პარლამენტის დეპუტატებისათვის უფლებამოსილების გაგრძელება „აფხაზეთში საქართველოს იურისდიქციის სრულ აღდგენამდე და საქართველოს პარლამენტის წევრთა არჩევნებისათვის აუცილებელი პირობების შექმნამდე“. ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე შეიძლება ითქვას, რომ დღესაც ფაქტობრივად შეუძლებელია რაიმე დამაჯერებელი კონტრარგუმენტების მოძებნა ამ გადაწყვეტილების რევიზიისათვის. ყოველ შემთხვევაში, ამის არგუმენტად ნამდვილად ვერ გამოდგება ის, რომ თითქოს აფხაზეთში 1992

წელს არჩეული საქართველოს პარლამენტის დეპუტატების ლეგიტიმურობის არავის სჯერა, როგორც ამას აცხადებს ზემოთ ნახსენები კ. ჩოფლიანი, რადგან, თურმე ნუ იტყვიო და, 1992 წლის ოქტომბერში, როდესაც „ეს დეპუტაცია არჩეულ იქნა... ჩვენ საქართველოს დიდ ტერიტორიას ვერ ვაკონტროლებდით“ (იხ. გაზეთი „რეზონანსი“, 1 მაისი, 2003წ.). უფრო მეტიც, კ. ჩოფლიანის მტკიცებით, ეს არჩევნები კანონიერად იმიტომაც ვერ ჩაითვლება, რომ „ამ ტერიტორიიდან (იგულისხმება აფხაზეთი – ზ.პ.) ძალიან ბევრი ადამიანი უკვე სხვა ქვეყნებში იყო წასული. რეალურად, აფხაზეთის ტერიტორიაზე ძირითადად ქართველები იყვნენ დარჩენილნი. ეს დეპუტაცია ფაქტიურად ქართულმა მოსახლეობამ აირჩია“.

აქ, რბილად რომ ვთქვათ, სულ ცოტა ორი უზუსტობა მაინც არის: 1. 1992 წლის 11 ოქტომბერს, როდესაც ჩატარდა საპარლამენტო არჩევნები საქართველოში, აფხაზეთის უმეტეს ნაწილს – ქ. სოხუმი, სოხუმის რაიონი (ეშერის გამოკლებით), ოჩამჩირისა და გალის რაიონები – ქართული მხარე აკონტროლებდა; 2. ამ ტერიტორიაზე მცხოვრებ აფხაზთა (სხვა ეროვნების წარმომადგენლებზე რომ არაფერი ვთქვათ) დიდი ნაწილი ჯერ კიდევ ადგილზე იყო და მონაწილეობდა არჩევნებში. მაგალითისთვის მოვიყვან გულრიფშის რაიონში ჩატარებულ არჩევნებს. აქ არჩევნებში მონაწილეობა მიიღო რაიონის ტერიტორიაზე მცხოვრებ ხმის უფლების მქონე 1500-მდე აფხაზიდან დაახლოებით 850-მა; 5000-მდე რუსიდან – დაახლოებით 3200-მა, 12000-მდე სომეხიდან – 10000-ზე მეტმა. არანაკლები იყო არაქართველ ამომრჩეველთა აქტიურობა ოჩამჩირის რაიონში (ზოგიერთი სოფლის გარდა, რომელსაც აფხაზები აკონტროლებდნენ) და, რაც მთავარია, ავტონომიური რესპუბლიკის დედაქალაქში – სოხუმში. ერთი სიტყვით, მიუხედავად უმძიმესი ვითარებისა, მაშინ მაინც მოხერხდა არჩევნების ორგანიზებულად ჩატარება და ამომრჩეველს ჰქონდა საშუალება, ხმა მიეცა მისთვის სასურველი კანდიდატებისათვის.

1992 წელს არჩეულ დეპუტატთა ლეგიტიმურობის ხარისხის განსაზღვრისას არ შეიძლება ყურადღება არ მიექცეს ერთ ფრიად მნიშვნელოვან გარემოებასაც. 1992წ. 11 ოქტომბრის არჩევნები, როგორც ცნობილია, ჩატარდა ე.წ. „დაჩეხილი სიებით“, რაც იმაში მდგომარეობდა, რომ აფხაზეთის მე-9 საარჩევნო ოლქი ცალკე იყო გამოყოფილი და არჩევნებში თითოეულ პარტიას, ბლოკს გააჩნდა კონკრეტულ კანდიდატთა სია. აქედან გამომდინარე, ამომრჩეველი ფაქტობრივად ხმას აძლევდა არა ამა თუ იმ პარტიას ან ბლოკს ზოგადად, არამედ კონკრეტულ პიროვნებებს (ისევე როგორც მაჟორიტარ კანდიდატებს), რაც

უდავოდ ზრდის მათი ლეგიტიმურობის ხარისხს. ამასთან, ხაზგასასმელია ის გარემოებაც, რომ 1992 წლის არჩევნებმა საქართველოს პარლამენტში საკმაოდ სრულად წარმოადგინა ქვეყნის იმდროინდელი პოლიტიკური სპექტრი, რაც აღიარებული იქნა საერთაშორისო ექსპერტების მიერ. სხვა საკითხია, მოგვწონს თუ არა 1992 წელს არჩეული დეპუტატების საქმიანობა პარლამენტში, აქ პრეტენზიები ნამდვილად შეიძლება გვქონდეს და არა მხოლოდ აფხაზეთის დეპუტაციის მიმართ, მაგრამ ეს არავის არ უნდა აძლევდეს უფლებას, ეჭვქვეშ დააყენოს მათი ლეგიტიმურობა და ფაქტობრივად ამტკიცოს იგივე, რასაც აგერ უკვე 10 წელია გვიკვირებენ სეპარატისტები.

დროა, ყველამ გაიგოს, რომ საქართველოს პარლამენტში აფხაზეთში არჩეული ავტონომიური რესპუბლიკის მრავალეროვანი მოსახლეობის (მათ შორის აფხაზთა) რწმუნებით აღჭურვილი დეპუტაციის ყოფნა უმნიშვნელოვანესი პოლიტიკურ-სამართლებრივი კაპიტალია, რომელზეც უარის თქმა მხოლოდ იმის გამო, რომ მისი საქმიანობა ყოველთვის მოსაწონი არ არის, სახელმწიფოებრივი ღალატის ტოლფასია, ვინაიდან, როგორც უკვე ზემოთ აღინიშნა, ეს ფაქტობრივად იქნება აფხაზეთის დანარჩენი საქართველოსაგან მოწყვეტის იურიდიული დადასტურების დასაწყისი. ასე რომ, მოგვწონს ეს თუ არა, მანამ სანამ საქართველო არ დაიბრუნებს აფხაზეთს და იქ შესაძლებელი არ გახდება საყოველთაო არჩევნების ჩატარება, რაოდენ არადემოკრატიულიც არ უნდა იყოს ეს, 1992 წელს აფხაზეთში არჩეული საქართველოს პარლამენტის დეპუტატებისათვის უფლებამოსილების გაგრძელებას, სახელმწიფოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე, ალტერნატივა ნამდვილად არა აქვს. ეს არის ტრაგიკული აუცილებლობა. სხვა გამოსავალი სამწუხაროდ ჯერჯერობით არ არსებობს.

ამასთან აღსანიშნავია ისიც, რომ დემოკრატიული პრინციპებისა და ფასეულობების ამგვარი დარღვევა არ არის მთლად უპრეცედენტო. ცნობილია (ეს ფაქტი მოყვანილია გაზეთ „რეზონანსის“ ზემოთაღნიშნულ პუბლიკაციაში), მაგალითად, რომ 1949წ. ჩინეთში კომუნისტების მიერ გომინდანის მთავრობის დამხობის შემდეგ, რამდენიმე ათეული წლის მანძილზე კუნძულ ტაივანზე ოფიციალურად განაგრძობდა ფუნქციონირებას ჩან კაიშის „ეროვნული ხელისუფლება“, მათ შორის პარლამენტიც, რომლის გადარჩევა გადაიღო გაურკვეველი ვადით – ჩინეთში გომინდანის ხელისუფლების აღდგენამდე. მთელი ამ ხნის მანძილზე, მსოფლიო თანამეგობრობას (სოციალისტური ბანაკის ქვეყნების გამოკლებით) არა თუ არ შეუტანია ეჭვი ჩან კაიშის ხელისუფლების (მათ შორის პარლამენტის) ლეგიტიმურობაში, არამედ საერთოდ მიაჩნ-

და კ. ტაივანზე გახიზნული მთავრობა ჩინეთის სახელმწიფოს ერთადერთ ლეგიტიმურ ხელისუფლებად. რად ღირს თუნდაც ის ფაქტი, რომ 1971 წლამდე (ე. ი. 1949 წლიდან 22 წლის განმავლობაში) გაეროში ჩინეთს, ამ ორგანიზაციის ერთ-ერთ დამფუძნებელ სახელმწიფოს, გაეროს უშიშროების საბჭოს მუდმივ წევრს, რომელსაც ვეტოს უფლება აქვს, წარმოადგენდა არა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის კომუნისტური რეჟიმი, არამედ ჩან კაიშის „ეროვნული მთავრობა“.

არანაკლებ მრავლისმეტყველია 1921 წელს სამშობლოდან განდევნილი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის მაგალითიც. ცნობილია, რომ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა ემიგრაციაშიც განაგრძობდა ფუნქციონირებას და თავგამოდებით იბრძოდა თავისი ფუნქციების აღდგენისათვის. საერთაშორისო თანამეგობრობა თანაუგრძნობდა ნ. ჟორდანიას ხელისუფლების ამ ბრძოლას და ფაქტობრივად მხოლოდ მას (და არა საქართველოს სსრ-ს კომუნისტურ რეჟიმს) მიიჩნევდა საქართველოს ერთადერთ ლეგიტიმურ ხელისუფლებად. ამ ხელისუფლებამ ოფიციალური სტატუსი დაკარგა მხოლოდ 1933 წელს, მას შემდეგ, რაც საფრანგეთის პარლამენტმა მოახდინა რატიფიცირება 1932წ. სსრ კავშირთან დადებული თავდაუსხმელობის პაქტისა (ე.წ. „ჩარჩო ხელშეკრულებისა“). ამ ხელშეკრულების ერთ-ერთი მუხლი ხელისმომწერ მხარეებს (ე.ი. საფრანგეთის მთავრობას) ავალდებულებდა, არ მიეცა „ბინადრობის ნება“ იმ ორგანიზაციებისათვის, რომლებიც „მთლიანად მისი (ე. ი. სსრ კავშირის – **ზ.პ.**) ტერიტორიების ან მათი ნაწილის (ამ შემთხვევაში საქართველოს – **ზ.პ.**) მთავრობის სახელს ან წარმომადგენლობას იჩემებდნენ“.

ე. ი. გამოდის, რომ, როგორც ჩინეთის გომინდანის მთავრობა, ისე საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ხელისუფლება, დევნილობაში ყოველგვარი ხელახალი არჩევნების ჩატარების გარეშე (იმის გამო, რომ მისი ჩატარების პირობები არ არსებობდა), ინარჩუნებდნენ სრულ ლეგიტიმურობას და დიდი ხნის მანძილზე რჩებოდნენ თავიანთ სახელმწიფოთა ერთადერთ ლეგიტიმურ წარმომადგენლობად საერთაშორისო არენაზე. მსოფლიოს წამყვანმა სახელმწიფოებმა მხოლოდ მაშინ შეიცვალეს პოზიცია ჩინეთისა და საქართველოს ეროვნული მთავრობების მიმართ, როდესაც დარწმუნდნენ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკასა და სსრ კავშირთან შემდგომი კონფრონტაციის გაგრძელების სრულ უპერსპექტივობაში. ამიტომაც მათ უბრალოდ ხელი ჩაიჭიეს და შეწყვიტეს გომინდანისა და საქართველოს ეროვნულ მთავრობათა მხარდაჭერა. ბუნებრივია, ამ შემთხვევაში, მსოფლიოს წამყვანი სახელმწიფოების მოქმედება საკუთარი ეროვნული ინტერესებით იყო ნაკარნახევი.

ახლა დავსვათ კითხვა: პასუხობს კი საქართველოს ეროვნულ-სახელმწიფოებრივ ინტერესებს უფლებამოსილების შეწყვეტა საქართველოს პარლამენტის 1992 წელს აფხაზეთში არჩეული დეპუტაციისათვის, რომელიც არის საქართველოს ხელისუფლების უმაღლეს ორგანოში დანარჩენი საქართველოსაგან ღროებით მოწყვეტილი აფხაზეთის ერთადერთი ლეგიტიმური შტო? იქნებ არ ავყვეთ ემოციებს და კარგად დავფიქრდეთ იმაზე, თუ, პირველ რიგში, ვის აძლევს ხელს აფხაზეთში დარჩენილ მოსახლეობასა და საქართველოს ცენტრალურ ხელისუფლებას შორის ამ ერთადერთი შემაკავშირებელი პოლიტიკურ-სამართლებრივი რგოლის მოშლა? ვფიქრობთ, ამ რიტორიკული კითხვის პასუხი სრულიად ნათელია.

მე კარგად მესმის აფხაზეთის დეპუტაციისათვის უფლებამოსილების შეწყვეტისა და ხელახალი არჩევნების ჩატარების პოლიტიკური მოტივაცია. არავისთვის არ არის საიდუმლო, რომ აფხაზეთის დეპუტაცია პარლამენტში (ზოგიერთი გამონაკლისის გარდა) მოიაზრება, როგორც არსებული ხელისუფლების მხარდამჭერი ძალა. აქედან გამომდინარე, მისი პარლამენტში დარჩენა ყველაზე მეტად აღიზიანებს ოპოზიციურ პარტიებს. პირდაპირ ვიტყვი, არც მე ვარ აღფრთოვანებული 1992წ. აფხაზეთიდან არჩეული დეპუტაციის მოღვაწეობით და ვთვლი, რომ მათ ნამდვილად შეეძლოთ (ვალდებულნიც იყვნენ) გამოეჩინათ მეტი შეძარბება და პრინციპულობა, თუნდაც აფხაზეთის პრობლემებთან დაკავშირებული საკითხების განხილვისას.

ჩემი აზრით, სწორედ მათი პასიურობის შედეგია თუნდაც ის, რომ აფხაზეთის პრობლემის მშვიდობიანი მოწესრიგების საკითხთან დაკავშირებით საქართველოს პარლამენტის მიერ 1996წ. 17 აპრილს მიღებული ნამდვილად კარგი დადგენილება ფაქტობრივად ქალაქზე დარჩა. ჩემში, როგორც პრეზიდენტ ე. შევარდნაძის ამჟამინდელი გუნდისადმი მკვეთრად ოპოზიციურად განწყობილი კაცისათვის, ასევე გამაღიზიანებელია აფხაზეთის დეპუტაციის ზოგიერთი წარმომადგენლის მხრიდან ხელისუფლების მუდმივი ადვოკატის როლში გამოსვლა. მაგრამ მიმაჩნია, რომ ყოველივე ეს მაინც არ არის საკმარისი არგუმენტი იმისათვის, რომ მოვითხოვოთ აფხაზეთის დეპუტაციის (რომელიც, როგორც უკვე აღინიშნა, წარმოადგენს ქვეყნის ცენტრალური ხელისუფლებისა და საქართველოდან ღროებით მოკვეთილ აფხაზეთს შორის დამაკავშირებელ ერთადერთ რგოლს) დათხოვნა და ამით შევქმნათ პოლიტიკურ-სამართლებრივი ვაკუუმი, ანუ როგორც ხალხში იტყვიან: „**ნაბან წყალს ბავშვი არ უნდა გადავაცოლოთ**“.

აქვე, საგანგებოდ მინდა ხაზი გავუსვა შემდეგ გარემოებასაც.

მიუხედავად ჩემი ამჟამინდელი ოპოზიციური განწყობილებისა, არ მივესალმები ავტონომიური წარმონაქმნების წარმომადგენლობათა შეურიგებელ ოპოზიციონერობას ცენტრალური ხელისუფლების მიმართ და მიმაჩნია, რომ, სახელმწიფო ინტერესებიდან გამომდინარე, გაცილებით უფრო გამართლებულია ავტონომიების წარმომადგენლობა (ეს არანაკლებ ეხება ქვეყანაში მცხოვრებ ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლებსაც) მუდმივად იყოს ლოიალური ცენტრალური ხელისუფლებისადმი, ვიდრე კრიჭაში ედგეს მას. თავის მხრივ, პოლიტიკური ოპოზიცია, თუ მას უპირველეს ყოვლისა აინტერესებს საქართველოს სახელმწიფოებრივი ერთიანობა და ძლიერება, გაგებით უნდა შეხვდეს ავტონომიებისა და ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლების ამგვარ „მორჩილებას“ და ელექტორატის გაზრდის მიზნით არ უნდა ცდილობდეს ცენტრალურ ხელისუფლებასა და ავტონომიებს (ასევე ეროვნულ უმცირესობებს) შორის კონფრონტაციის ჩამოგდებას.

უმჯობესია ოპოზიციამ შეგნებულად დაუთმოს ხელისუფლებას ეს ერთგვარი „ფორა“ (ავტონომიებისა და ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლების ხმები), ვიდრე ითამაშოს მათ უკმაყოფილებაზე. რასაკვირველია, ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ოპოზიციამ საერთოდ უარი თქვას საარჩევნო კამპანიაზე ავტონომიებსა და ეროვნული უმცირესობით დასახლებულ რაიონებში, მაგრამ ეს უნდა გაკეთდეს განსაკუთრებული სიფრთხილითა და დელიკატურობით. ამ შემთხვევაში პოლიტიკური აგიტაციის ამოსავალი პოზიცია უნდა იყოს არა იმის მტკიცება, თუ როგორი ცუდია დღევანდელი ხელისუფლება, არამედ ის, თუ როგორ შეცვლის თვით ოპოზიცია ქვეყნის თითოეული მოქალაქის (განურჩევლად ეროვნებისა) ცხოვრებას უკეთესობისაკენ, ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ.

ამრიგად, ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, კიდევ ერთხელ ვადასტურებთ, რომ საქართველოს სახელმწიფოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე, საქართველოს პარლამენტში 1992წ. აფხაზეთიდან არჩეული დეპუტაციისათვის უფლებამოსილების გაგრძელებას აფხაზეთში საქართველოს იურისდიქციის ფაქტობრივ აღდგენამდე და იქ საპარლამენტო არჩევნების ჩატარებისათვის აუცილებელი პირობების შექმნამდე, ალტერნატივა ნამდვილად არა აქვს.

საქართველოს ფედერალური მოწყობის შესახებ*

პირველ რიგში, შევჩერდები საკითხზე იმის შესახებ, თუ როგორი სახელმწიფო გვინდა: ფედერაციული თუ უნიტარული. მე ვფიქრობ, არ არსებობს ქართველი, მით უფრო აფხაზეთის მკვიდრი, ვინც არ იცის ფედერაციის უარყოფითი მხარე ქვეყნის ერთიანობის თვალსაზრისით. არჩევანის გაკეთება რომ შეიძლებოდეს, ბუნებრივია, ცალსახად მივიღებდი აზრს ქართული სახელმწიფოს უნიტარული მოწყობის შესახებ. აქვე არ შეიძლება არ აღვნიშნო, რომ ჩვენ ხშირად ვმსჯელობთ ტერმინოლოგიურ ასპექტებზე და ნაკლებ ყურადღებას ვაქცევთ პრობლემის რეალურ არსს. მაგალითად, დღეს დიდი ბრიტანეთის ოფიციალური სახელწოდებაა „დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფო“ („*The United Kingdom of Great Britain and Northern Ireland*“), რაც თითქოს უნდა გულისხმობდეს იმას, რომ ეს სახელმწიფო ორი დამოუკიდებელი სუბიექტის ერთგვარ კავშირს წარმოადგენს. სინამდვილეში კი ეს სულაც არ არის ასე. ჩრდილოეთ ირლანდიას არასოდეს არ ჰქონია სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტის ის ხარისხი, რაც გააჩნდა, დაუშვავთ, უნიტარულ საქართველოს სსრ-ში შემავალ აფხაზეთის ასსრ-ს. უფრო მეტიც, ამ თვალსაზრისით მას არა აქვს არავითარი უპირატესობა დიდი ბრიტანეთის ე.წ. სხვა „ავტონომიებთან“ (შოტლანდია, უელსი) შედარებით, ანუ დიდი ბრიტანეთი ფაქტობრივად უნიტარულ სახელმწიფოს წამოადგენს.

მიუხედავად იმისა, რომ მე იდეალურად მიმაჩნია საქართველოს სახელმწიფოს უნიტარული მოწყობა, ყოველგვარი ტერიტორიული ავტონომიების გარეშე, მაინც ვთვლი, რომ დღეს არსებული სინამდვილიდან გამომდინარე, ჩვენი ქვეყნის ფედერაციულ მოწყობას ალტერნატივა არა აქვს. უფრო მეტიც, 1918 წლის 8-11 ივნისიდან, როდესაც საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შემადგენლობაში აფხაზეთი აღიარეს როგორც ავტონომიური წარმონაქმნი, საქართველოს სახელმწიფომ ფაქტობრივად ფედერაციის სახე მიიღო. ასევე იყო საქართველოს სსრ-ის არსებობის პერიოდშიც, როდესაც ჩვენი ქვეყანა მხოლოდ

* აღმოსავლეთ-დასავლეთის ურთიერთობათა კვლევის ცენტრში გამართულ საქართველოს ფედერალიზაციის საკითხებისადმი მიძღვნილ დისკუსიაზე გამოსვლის ტექსტი. დაიბეჭდა. *საქართველოს ფედერალიზაციის პერსპექტივები: PRO ET CONTRA*: მასალების კრებული. აღმოსავლეთ-დასავლეთის ურთიერთობათა კვლევის საერთაშორისო ცენტრი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პოლიტოლოგიის ინსტიტუტი, ფრიდრიხ ებერტის ფონდი; რედაქტორები: *გ. კეშელავა, გ. ლორთქიფანიძე*. თბ., 2000, გვ. 89-98.

ქალაქზე იყო უნიტარული. სინამდვილეში კი მასში 3 ავტონომიური სუბიექტი იყო. ერთი სიტყვით, საქართველო ფაქტობრივად ფედერაციას წარმოადგენდა, ოღონდ ეს იყო ვერტიკალური ფედერაცია. აფხაზეთი და სხვა ავტონომიური წარმონაქმნები (აჭარა, ე.წ. „სამხრეთ ოსეთი“) ფედერაციის სუბიექტები იყვნენ და ემორჩილებოდნენ საქართველოს ცენტრალურ ხელისუფლებას.

რაც შეეხება ე.წ. „ჰორიზონტალურ ფედერაციას“, რაზეც აქ გამახვილდა ყურადღება პროფ. ლევან მატარაძის გამოსვლაში, მიმაჩნია, რომ ეს მოდელი (გულისხმობს ხელისუფლების ქვემოდან ზემოთ ნებაყოფლობით დელეგირებას) საქართველოსთვის მიუღებელია. სხვათა შორის, სოხუმის სეპარატისტული რეჟიმი, რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, ფაქტობრივად ამ პრინციპზე გეთავაზობს ერთიანი ქართულ-აფხაზური სახელმწიფოს შექმნის იდეას. მათი აზრით, აფხაზეთი უნდა აღიარებულ იქნეს საქართველოსაგან დამოუკიდებელ სახელმწიფოდ და მხოლოდ ამის შემდეგ უნდა გაერთიანდეს მასთან ახალ, ერთიან ფედერაციულ სახელმწიფოებრივ წარმონაქმნში. ე.ი. საქართველო და აფხაზეთი გამოდიან როგორც თანასწორუფლებიანი სუვერენული სახელმწიფოები, რომლებიც გაერთიანების შემთხვევაში ნებაყოფლობით გადასცემენ ნაწილ უფლებამოსილებებს საერთო-ფედერალურ სტრუქტურებს.

ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე შეიძლება ვამტკიცოთ, რომ ამგვარი მოდელი დაახლოებით იგივეა, რაც ფორმალურად იყო სსრკ, რომელიც წარმოადგენდა 15 „თანასწორუფლებიანი“ რესპუბლიკის (სახელმწიფოების) „ნებაყოფილობით“ კავშირს. ასეთივე იყო იუგოსლავიის ფედერაცია (6 თანასწორუფლებიანი სუბიექტი) და ჩეხოსლოვაკია (ჩეხეთი+სლოვაკეთი). როგორც ცნობილია, ყველა ეს სახელმწიფო დაიშალა. აქედან გამომდინარე, ყოველგვარი მსჯელობა იმაზე, რომ მოხდეს აფხაზეთის, როგორც თანასწორუფლებიანი სუბიექტის გაერთიანება საქართველოსთან, უნდა შეწყდეს. ამას ფაქტობრივად მივყავართ აფხაზეთის, როგორც საქართველოსაგან დამოუკიდებელი სახელმწიფოს, იურიდიულ აღიარებამდე.

სწორედ ეს არის ერთადერთი მექანიზმი, რისი მეშვეობითაც, თანამედროვე მსოფლიოს საერთაშორისო-სამართლებრივი კონიუქტურის პირობებში, სოხუმის რეჟიმს უნდება შანსი მიაღწიოს აფხაზეთის დამოუკიდებლობის დე იურე გაფორმებასაც. სხვა შესაძლებლობა აფხაზეთის სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტისა უბრალოდ არ არსებობს. ამიტომაცაა, რომ სამხედრო გამარჯვების „მომპოვებელი“ ვლ. არძინბა მიდის დამარცხებულ საქართველოსთან სახელმწიფოებრივ კავშირზე, ერთიანი ფედერალური (თუ კონფედერაციული) სახელმწიფოს შექმნაზე,

რომლის პრეზიდენტობას (რამდენადაც ჩემთვის ცნობილია) ის დიდსულოვნად უთმობს ბ-ნ ელუარდ შევარდნაძეს, ხოლო დედაქალაქად ცნობს თბილისს (ისევე, როგორც სსრკ-ს დედაქალაქი იყო მოსკოვი (რუსეთი), ჩეხოსლოვაკიისა – პრაღა (ჩეხეთი), იუგოსლავიისა კი – ბელგრადი (სერბეთი).

მართალია, ფედერაციულ სახელმწიფოზე წასვლა და ამ გზით აფხაზეთის მოქცევა ერთიან სახელმწიფოებრივ სივრცეში, დღევანდელ ვითარებაში თითქოს არ მოჩანს მთლად ურიგო ვარიანტად. მოვლენათა ნორმალური განვითარების (აფხაზეთში ომამდელი დემოგრაფიული კონიუნქტურის აღდგენისა და იქ საერთოქართული ეროვნულ-სახელმწიფოებრივი მენტალიტეტის დამკვიდრების) პირობებში, სავსებით შესაძლებელია, მომავალში იმდენად გაღრმავდეს რეგიონის ინტეგრაცია საერთო-ქართულ სახელმწიფოში, რომ ღრთა განმავლობაში მართლაც მოიხსნას ერთიანი სახელმწიფოებრიობის დაშლის ყოველგვარი საფრთხე. მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს ისიც, რომ რეალურად არსებობს სხვა არასასურველი პერსპექტივაც (და ამას აშკარად მოწმობს უკანასკნელი პერიოდის პრაქტიკაც), კერძოდ, თანასწორუფლებიანი სუბიექტებისაგან შემდგარი ფედერალური წარმონაქმნი ძალიან ადვილად იშლება. მათ შორის, ისეთი ერთობაც კი დაიშალა, რომელიც სახელმწიფოებრივი ინტეგრაციის ხარისხით საქართველო-აფხაზეთზე დაბლა ნამდვილად არ იდგა. მხედველობაში მაქვს რუსეთი-უკრაინა-ბელორუსია, რომელთაც უდავოდ ერთიანი ეთნოკულტურული და პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივი ფესვები (კიევის რუსეთი) აქვთ.

ერთი სიტყვით, ფედერაციის ის მოდელი, რომელსაც სეპარატისტები გვთავაზობენ და რომელიც გულისხმობს მხოლოდ ჰორიზონტალურ ურთიერთობებს, ჩემი აზრით, კატეგორიულად მიუღებელია. ამასთან, როგორც უკვე აღვნიშნე, მაინც მიმაჩნია, რომ, დღევანდელი ვითარებიდან გამომდინარე, ქართული სახელმწიფოებრიობის მომავალი მის ფედერაციულ მოწყობაშია. საქართველო უნდა იყოს ფედერაციული სახელმწიფო, მაგრამ ეს უნდა იყოს ვერტიკალური ფედერაცია, რომელშიც ქვეყნის ცალკეული რეგიონები გახდებიან ფედერაციის სუბიექტები (დღევანდელი დაყოფა, პრინციპში, მისაღებია, თუმცა გარკვეული კორექტივების შეტანას მაინც მოითხოვს). აფხაზეთი იქნება ამ ფედერაციის სუბიექტი, თუმცა რამდენადმე განსხვავებული სტატუსით. ის უნდა დარჩეს ავტონომიურ რესპუბლიკად (ან უბრალოდ „რესპუბლიკად“, რომელსაც ექნება სახელმწიფოებრიობის უფრო მაღალი ხარისხი (თავისი კონსტიტუციით, პარლამენტით და ა.შ.).

ამასთან დაკავშირებით, მე ვერ დავეთანხმები იმ აზრს, რომ ამ

მიმართულებით ჩვენ სუფთა ადგილიდან ვიწყებთ. 1918-1920 წლების მემკვიდრეობა, აგრეთვე მთელი საბჭოური გამოცდილება, არის იმის ნათელი მაგალითი, რომ, პრინციპში, საქართველოში ეს საკითხი გადაწყვეტილი იყო. მე არ ვიცი, რა უნდა მიეცეს აფხაზეთს იმაზე მეტი, რაც ჰქონდა საბჭოთა პერიოდში.

აქ სახელმწიფო ენაზე იყო მსჯელობა და აღინიშნა, რომ აფხაზებს უნდა სჯეროდეთ, რომ მათ ენას ხელს არავინ ახლებს. ამ თვალსაზრისით, არავითარი პრობლემა არ არსებობს. კარგად ცნობილია, სწორედ აფხაზეთი იყო ერთადერთი ავტონომიური რესპუბლიკა სსრ კავშირში, რომლის კონსტიტუციაში აფხაზეთი ენა – რუსულ და ქართულ (მოკავშირე რესპუბლიკის) ენებთან ერთად – ოფიციალურად იყო გამოცხადებული სახელმწიფო ენად. ამდენად, ჩვენ ამ შემთხვევაშიც პოზიტიური გამოცდილება გვაქვს, რომელიც გასაზიარებელიც კია.

ჩვენ უფრო მეტს ვაძლევთ აფხაზეთს, ვიდრე ფედერაციის ნებისმიერ სუბიექტს ეძლევა რუსეთში. ამასთან დაკავშირებით ურიგო არ იქნება გავიხსენოთ კიდევ ერთი ფაქტი საბჭოური პერიოდის პრაქტიკიდან. კერძოდ, თავის დროზე საქართველოს სსრ-ს უმაღლესი საბჭოს (ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს) თავმჯდომარის მოადგილის სტატუსი ჰქონდათ აფხაზეთის ასსრ-ს უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარესა და მის კოლეგებს აჭარის ასსრ-დან და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქიდან, მაშინ როდესაც არც ერთ ანალოგიურ ნომენკლატურულ პირს მსგავსი თანამდებობა არ ეკავა რსფსრ-ში.

აგრეთვე მინდა შევეხო პროფ. ვაჟა კეშელავას მიერ აქ გაკეთებულ განცხადებას აფხაზეთის ომის შედეგების თაობაზე, მე მთლიანად ვიზიარებ აზრს იმის შესახებ, რომ საქართველოს ხელისუფლებამ დიდი შეცდომა დაუშვა, როდესაც ასე მოუმზადებლად შეიყვანა შეიარაღებული ნაწილები აფხაზეთში, თუმცა ამ აქციის იურიდიული საფუძვლიანობა, ბუნებრივია, ეჭვს სრულებით არ იწვევს. საქართველოს ხელისუფლებას ჰქონდა სრული იურიდიული უფლება შეეყვანა ჯარები ქვეყნის ნებისმიერ რეგიონში, მათ შორის აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე. სხვა საკითხია, რომ ჩვენი სახელმწიფო არ აღმოჩნდა მზად ამგვარი ოპერაციის (ვგულისხმობთ სარკინიგზო მაგისტრალების დაცვის უზრუნველყოფას) სათანადო დონეზე ჩასატარებლად. მაგრამ იმ დღიდან, როდესაც კონფლიქტი ნამდვილ ომში გადაიზარდა და მასში ჩვენ დაგვიპირისპირდა არა მხოლოდ სეპარატისტულად განწყობილი აფხაზობა, არამედ მეზობელი სახელმწიფოდან დაძრული ურდოები (რუსი კაზაკობა, ჩრდილოეთ კავკასიელი „კონფედერატები“, რუსეთის ფედერაციის რეგულარული ნაწილები), ის ჭეშმა-

რიტად სამამულო ომად გადაიქცა.

აფხაზეთის ომი ქართველებისათვის მართლაც სამამულო ომი იყო, რომელშიც თითოეული ჩვენგანი, რიგითი მეომრიდან დაწყებული ქვეყნის პრეზიდენტით დამთავრებული, იცავდა, არც მეტი არც ნაკლები, საქართველოს სახელმწიფოს ერთიანობას. ამდენად, ამ ომში გამარჯვება სრულიად საქართველოს გამარჯვება იქნებოდა და არა კიტოვან-იოსელიანისა პერსონალურად. თუ ჩვენ სხვანაირად მიუვდგებით ამ საკითხს, მაშინ, ფაქტობრივად, გავამართლებთ იმ ვაი-პატრიოტების „მოღვაწეობას“, რომლებიც ყველაფერს აკეთებდნენ იმისათვის, რომ აფხაზეთში „ე. შეკარდნაძის ხუნტას“ არ გაემარჯვა. ჩვენ არ გვაქვს ამგვარი შეფასებების უფლება თუნდაც იმიტომ, რომ ჩირქი არ მოვცხნოთ ჟიული შარტავას – ამ ჩვენი დროის ცოტნე დადიანისა და აფხაზეთში საქართველოს ერთიანობისათვის გმირულად დაცემულ მამულიშვილთა უკვდავ ხსოვნას.

კიდევ ერთი საკითხი, რომელზედაც მინდა გავამახვილო ყურადღება. აბსოლუტურად ვეთანხმები აქ გამოთქმულ თვალსაზრისს იმის შესახებ, რომ ინტეგრაციული პროცესები დამახასიათებელი იყო ჩვენი ქვეყნის ისტორიული განვითარებისათვის. ეს რომ ასე არ ყოფილიყო და ქართველობაში გენეტიკურად არ ყოფილიყო ჩადებული საერთო-ეროვნული ერთობის დრმა შეგნება თავისი გეოპოლიტიკური მდგომარეობიდან გამომდინარე, საქართველო დღეს, სულ ცოტა, ორ ნაწილად (იმიერ-ამიერად) მაინც იქნებოდა დაყოფილი. ჩვენში (სლავებისა და გერმანელებისაგან განსხვავებით) მეტი იყო გენეტიკური კოდი ინტეგრაციისა, მიუხედავად იმისა, რომ დასავლურ-აღმოსავლური იმპერიები ერთმანეთთან ჭიდილში თითქმის ყველა დროში თიშავდა ქართულ პოლიტიკურ სამყაროს. ერთი სიტყვით, დეზინტეგრაციული პროცესები, როგორც წესი, საგარეო ფაქტორით იყო განპირობებული.

თუმცა, აქვე, ისიც არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ ჩვენს ისტორიაში, არც თუ იშვიათად, ყოფილა მომენტები, როდესაც ესა თუ ის იმპერია ობიექტურად ხელს უწყობდა ინტეგრაციულ პროცესებს. ასე იყო, მაგალითად, III-IV საუკუნეებში, როდესაც, აშკარად, რომის იმპერიის მხარდაჭერით ლაზიკა-ვერისის მეფეებმა მოახერხეს მთელი დასავლეთ საქართველოს გაერთიანება ერთიან ვერისის სახელმწიფოში. ასე მოხდა VIII ს. I ნახევარში, როდესაც ბიზანტიის იმპერიამ დაამყარა სრული კონტროლი მთელ საქართველოზე; VIII ს. დამდეგსაც, როდესაც უკვე არაბებმა მოაქციეს იმიერ-ამიერ საქართველო თავიანთი გავლენის ქვეშ.

მაგრამ ყველაზე ნათლად ეს რუსეთის იმპერიის ფარგლებში ჩვენი ყოფნის დროს მოხდა. სავსებით ნათელია, რომ ცარისტული რუსე-

თი XIX საუკუნეში, როდესაც ეტაპობრივად იკავებდა ქართულ მიწა-წყალს, პირველ რიგში, საკუთარი სახელმწიფოს ტერიტორიულ განვრცობაზე ზრუნავდა და ყველაზე ნაკლებად ფიქრობდა 1918 წლისათვის როგორმე უზრუნველყო აღორძინებული ქართული სახელმწიფოს ტერიტორიული ერთიანობა. მაგრამ რუსეთის პოლიტიკამ კავკასიაში, მათ შორის ომებმა ოსმალეთის იმპერიასთან, ობიექტურად ნამდვილად შეუწყო ხელი ქართველი ერის კონსოლიდაციას და ქართული ტერიტორიების ერთიან სახელმწიფოებრივ სივრცეში მოქცევას.

და ბოლოს. მიუხედავად იმისა, რომ ქართველობაში მძლავრობდა ერთიანობის გენეტიკური კოდი, ისტორიული პრაქტიკა მართლაც ადასტურებს ჩვენი ქვეყნის რამდენადმე ტრადიციულ ფედერაციულ მოწყობას, ოღონდ არა დავით აღმაშენებლისა და თამარ მეფის ეპოქაში, როგორც აქ შეცდომით ითქვა, არამედ გვიან შუა საუკუნეებში, როდესაც საგარეო-პოლიტიკური მდგომარეობის უკიდურესად გაუარესებამ გამოიწვია ერთიანი ქართული სახელმწიფოს დაშლა ცალკეულ სამეფო-სამთავროებად.

აღნიშნული სამეფო-სამთავროები „პატარა საქართველოებს“ წარმოადგენდნენ და იმ ეპოქაშიც (XVI-XVIII საუკუნეებში) ინარჩუნებდნენ ერთიანობის მუხტს. თვით აფხაზეთშიც კი, რომელიც, მიზეზთა გამო, ყველაზე მეტად იყო ამოვარდნილი საერთო-ქართული კულტურულ-პოლიტიკური ორგანიზმიდან, სახელმწიფო ენად რჩებოდა ქართული, ხოლო შარვაშიძეთა სამთავრო სახლის წარმომადგენლებისათვის, რომლებიც ზოგჯერ გამაჰმადიანებულნიც კი იყვნენ (XVIII საუკუნეში), ქუთაისის ბაგრატიონთა ტახტი ითვლებოდა სიუზერენად. გვიან შუა საუკუნეების დასასრულს რეალურად ჩამოყალიბდა ერთგვარი ფედერაციულობის ნიშნები, რომლებმაც, ბუნებრივია, გარკვეული ტრადიცია შექმნეს და დღეს მათი იგნორირება, მით უფრო აფხაზეთის მიმართ, უდავოდ პოლიტიკურად გაუმართლებელი იქნებოდა.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, კიდევ ერთხელ მინდა დავაფიქსირო ჩემი აზრი: საქართველო უნდა იყოს ფედერაციული სახელმწიფო, მაგრამ ეს ფედერაცია უნდა იყოს ვერტიკალური და ასიმეტრიული და არავითარ შემთხვევაში ჰორიზონტალური.

**ზოგიერთი მოსაზრება საქართველოს სახელმწიფოს
შემადგენლობაში აფხაზეთის სტატუსის
განსაზღვრის შესახებ***

უკანასკნელ პერიოდში, „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ ქვეყანაში დაწყებული აღმშენებლობის პროცესში, კვლავ მთელი სისრულით დაისვა აფხაზეთისა და ე.წ. „სამხრეთ ოსეთად“ მონათლული შიდა ქართლის ნაწილის ერთიან ქართული სახელმწიფოებრივ სივრცეში რეინტეგრაციისა და უმოკლეს ვადაში საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის საკითხი. პრესის ფურცლებზე დაფიქსირდა არა ერთი საინტერესო მოსაზრება, ზოგი მისაღები ზოგი მიუღებელი. უფრო მეტიც, შექმნილია და სამსჯავროზე გამოტანილ იქნა პროექტები, რომლებშიც არის მცდელობა საქართველოს შემადგენლობაში აფხაზეთის სახელმწიფოებრივი სტატუსის განსაზღვრისა. ამ მხრივ, ჩვენი ყურადღება განსაკუთრებით მიიპყრო დოკუმენტმა, რომლის სახელწოდებაა: **„კონცეფცია საქართველოს სახელმწიფოში აფხაზეთის განსაკუთრებული სტატუსის შესახებ“** (ავტორები: კ. კუბლაშვილი, ა. გეგეშიძე, ი. ხაინდრაგა, პ. ზაქარეიშვილი და სხვ. თბ., 2004);

ჩვენი არჩევანი ძირითადად განაპირობა იმან, რომ სწორედ ამ დოკუმენტშია წარმოდგენილი პრობლემის ყოვლისმომცველი და ამომწურავი ანალიზი, თანაც აღნიშნულ პროექტში გარკვეულწილად აკუმულირებული და გაზიარებულია პროფ. გიორგი ხუბუას თვალსაზრისი.¹ წარმოდგენილ სტატიაში შეფასება ეძლევა, აგრეთვე ქართულ-აფხაზური ურთიერთობებისა და აფხაზეთის კონფლიქტის მოწესრიგების საკითხების ირგვლივ გამოქვეყნებულ ზოგიერთ სხვა მასალასაც. კერძოდ, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის, პროფ. გიორგი ანჩაბაძისა და პოლიტო-

* წაკითხულ იქნა მოხსენებად ბათუმის შოთა რუსთაველის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩატარებულ სამეცნიერო სესიაზე: „*საქართველოს სახელმწიფო – უნიტარული თუ ფედერაციული*“. გამოქვეყნდა ამავე კონფერენციის მასალებში. იხ. **ზ. პაპასქირი**. ზოგიერთი მოსაზრება საქართველოს სახელმწიფოს შემადგენლობაში აფხაზეთის სტატუსის განსაზღვრის შესახებ. – კრებ.: **„საქართველოს სახელმწიფო – უნიტარული თუ ფედერაციული“**, გამომც.: „*ბათუმის უნივერსიტეტი*“. ბათუმი, 2005.

¹ პროფ. გ. ხუბუას მოსაზრებები აღნიშნულ საკითხზე იხ.: **გ. ხუბუა**, ფედერირებული საქართველო? – *საქართველოს ფედერალიზაციის პერსპექტივები: PRO ET CONTRA*: მასალების კრებული. აღმოსავლეთ-დასავლეთის ურთიერთობათა კვლევის საერთაშორისო ცენტრი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პოლიტოლოგიის ინსტიტუტი, ფრიდრიხ ებერტის ფონდი; რედაქტორები: **გ. კეშელავა, გ. ლორთქიფანიძე** თბ., 2000, გვ. 132-153.

ლოგის დოქტორის დავით დარჩიაშვილის¹ ცალკეულ მოსაზრებებს.

იმთავითვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ზოგადად ჩვენ მივესალმებით და ვიზიარებთ „კონცეფციაში“ ჩამოყალიბებულ ძირითად დებულებებს და მიგვაჩნია, რომ მთლიანობაში, ეს დოკუმენტი, ნამდვილად შეიძლება დაედოს საფუძვლად აფხაზეთის საქართველოს სახელმწიფოებრივ სივრცეში დაბრუნების თბილისის მიერ შეთავაზებულ ვარიანტს. ამასთან, ჩვენ გვაქვს პრინციპული ხასიათის შენიშვნები, რომლებიც ეხება არა იმდენად ცენტრსა და რეგიონს შორის უფლებამოსილების გამიჯვნის „კონცეფციაში“ წარმოდგენილ მოდელს, რაც, ჩვენის აზრით, ძირითადად, უდავოდ მისაღებია, არამედ ე.წ. „იდეოლოგიურ საფარველს“, რომელშიც აშკარად შეიმჩნევა ერთგვარი კაპიტულანტური განწყობილებები. აქვე საგანგებოდ უნდა შევნიშნოთ, რომ თვით დოკუმენტში (ყოველ შემთხვევაში იმ ნაწილში, რომელიც გამოქვეყნდა) ეს ისე მკაფიოდ არ ჩანს, როგორც მის ავტორთა ცალკეულ გამოსვლებსა და პუბლიკაციებში, რაც გვაფიქრებინებს იმას, რომ „კონცეფციის“ გამოუქვეყნებელ (I-IV) ნაწილებში მთლად სწორად ვერ არის გაშუქებული ისეთი საკითხები, როგორიცაა: ქართულ-აფხაზური პოლიტიკურ-სამართლებრივი ურთიერთობების ისტორია, 1992-1993წწ. კონფლიქტის მიზეზები და მიმდინარეობა, პოსტკონფლიქტური ვითარება და ა.შ.

პირველ რიგში, ჩვენ ვერაფრით ვერ გავიზიარებთ მინიშნებებს იმაზე, რომ აფხაზეთში დატრიალებულ ტრაგედიაში ქართული მხარე იყო დამნაშავე, ან უკეთეს შემთხვევაში ქართულმა მხარემ უნდა აღიაროს პასუხისმგებლობა მომხდარზე და ბოდიში მოუხადოს აფხაზ ხალხს (ამ აზრს ხშირად ანვითარებს გიორგი ანჩაბაძე).

ჩვენ, რასაკვირველია, შორსა ვართ იმ აზრისაგან, რომ გავამართლოთ საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს მიერ 1992 წლის 14 აგვისტოს გადადგმული ნაბიჯი – ეს ნამდვილად იყო საბედისწერო შეცდომა, მაგრამ არა დანაშაული, თანაც ისეთი, რომელიც „ცალსახად უნდა დავგმოთ“, „რათა აფხაზის ცნობიერებაში ქართველი მტრის ხატი დავამსხვრიოთ“ (დ. დარჩიაშვილი). ამგვარი ცალმხრივი მიდგომა კატეგორიულად მიუღებელია. ნუ შევქმნით ისეთ შთაბეჭდილებას, თითქოს აფხაზური მხარე სრულიად უდანაშაულო, „უცოდველი კრავი“, მართლაც, ქართველთა უსამართლო აგრესიის მსხვერპლი ყოფილიყოს, როგორც ამას გვიკვირებენ სეპარატისტები და მათთან ერთად აფხაზი ხალხის მწარე ხვედრით „გულდათუთქული“ გულშემატკივრები მოსკოვიდან.

¹ დ. დარჩიაშვილი, მოსაზრებები ქართულ-აფხაზური კონფლიქტის გადაწყვეტის თაობაზე. – გაზ. : „24 საათი“, 13 იანვარი, 2005.

თუ მომხდარს ობიექტურად გავაანალიზებთ, ძნელი არ იქნება დავასკვნათ, რომ მთავარი დამნაშავე მაინც აფხაზური მხარე იყო, რომლის უკანონო, ხაზს ვუსვამთ უკანონო შეიარაღებულმა ფორმირებამ მოულოდნელად ცეცხლი გაუხსნა საქართველოს სახელმწიფოს შეიარაღებულ ნაწილებს, რომელთაც საკუთარი ქვეყნის შიგნით, ნებისმიერ რეგიონში, გადაადგილების სრული იურიდიული უფლება გააჩნდათ. ამით ჩვენ იმის თქმა გვინდა, რომ სისხლისღვრა, პირველ რიგში, პროვოცირებული იყო არა თბილისის, არამედ ვ. არძინბას ხელისუფლების მიერ და რომ ეს იყო იმ დიდი პოლიტიკური დაკვეთის რეალიზაცია, რომელსაც კრემლი ამზადებდა ათეული წლების მანძილზე და რომლის გენერალური რეპეტიციაც იყო 1989 წლის 15-16 ივლისის ტრაგედია (აღსანიშნავია, რომ აფხაზეთის კონფლიქტის გაჩაღების სწორედ ამგვარ ახსნას იძლევა ცნობილი რუსი პოლიტოლოგი სვეტლანა ჩერვონნაია). საქართველოს ხელისუფლების შეცდომა (და არა დანაშაული) კი იყო არა ის, რომ გამოიყენა თავისი იურიდიული უფლება და შეიყვანა შეიარაღებული ნაწილები იქ სადაც ჩათვალა საჭიროდ, არამედ ის, რომ მან ჯეროვნად ვერ გაანალიზა აფხაზეთში შექმნილი უკიდურესად მწვავე ვითარება, ბოლომდე ვერ გათვალა მოსალოდნელი გართულებები და ამით უნებლიედ, თვითონაც შეუწყო ხელი შეიარაღებული კონფლიქტის ინსპირირებას.

ერთი სიტყვით, თვითგვემას თვითმიზნად ნუ ვაქცევთ და ნუ მოვერიდებით იმას, რომ ყველაფერს თავისი სახელი დაერქვას. დღეს, ფაქტობრივად, მთელმა მსოფლიომ აღიარა, რომ აფხაზეთში მოხდა ეთნოწმენდა, რაც კაცობრიობის წინაშე დანაშაულად არის აღქმული. ჩვენის აზრით კი, ის რაც სეპარატისტებმა და მათმა გადამთიელმა მოკავშირეებმა ჩაიდინეს ნამდვილი გენოციდია და ნურავინ შეეცდება აფხაზი სეპარატისტების ნამოქმედარის შელამაზებას. ამასთან, მე არავის მოვუწოდებ შურისძიებისაკენ. საბედნიეროდ, ჩვენ ხალხს ამ მხრივ არც სჭირდება ზედმეტი შეგონება, რადგან საყოველთაოდ ცნობილია, რომ ქართველობა ისტორიულად მიმტვევებელი ერია და მას ამჯერადაც შეუძლია ბევრ რამეზე თვალის დახუჭვა.

ჩვენ მზად ვართ ვაპატიოთ აფხაზობას ისტორიული დალატი, ათასობით სრულიად უდანაშაულო ადამიანის სისხლი, ყოველივე მომხდარი უბრალოდ გაუგებრობად, ორი მოძმე ერის ტრაგედიად გამოვაცხადოთ და თანაბრად გავინაწილოთ პასუხისმგებლობა, მაგრამ ამაზე მეტს ნურავინ მოგვთხოვს. არავის არა აქვს უფლება აუკრძალოს საქართველოს სახელმწიფოს, ქართველ ხალხს, მით უფრო დევნილებს ფიქრი აფხაზეთზე. დღეს საქართველოში ძნელად თუ მოიძებნება პი-

როვნება, პოლიტიკური წრეებიდან იქნება ის თუ რიგითი მოქალაქე, რომელიც პრინციპულად იყოს წინააღმდეგი სამშვიდობო პროცესის და ე.წ. „ომის პროპაგანდას“ ეწეოდეს. უფრო მეტიც, ჩვენ მთლიანად ვიზიარებთ და ცალსახად მხარს ვუჭერთ სახელმწიფო მინისტრის ბ-ნ გ. ხანდრაგას ფრთიან გამონათქვამს: „მთავარია დავიბრუნოთ არა უბრალოდ ტერიტორია, არამედ აფხაზი ხალხი“, რაც ძალის გამოყენების შემთხვევაში ნამდვილად გაჭირდება. მაგრამ მოჭარბებული პაციფიზმის (ზოგიერთი ანალიტიკოსის გამოსვლაში აშკარად შეიმჩნევა: ნუ იქნება ოღონდ ომი და თუგინდ აფხაზეთი დაკარგოთ) ზღვარიც არსებობს. მეორე მხარეს კარგად უნდა ახსოვდეს, რომ ჩვენ მშობლიური მიწა-წყლის დაკარგვას არასოდეს შეუურიგდებით და თუ სამშვიდობო მოლაპარაკებები შედეგს ვერ გამოიღებს, იძულებული გავხდებით სხვა მექანიზმები ავაძულოთ. ეს სულაც არ არის მუქარა და ნებისმიერი მოწოდება სამშობლოს ერთიანობის დაცვისათვის ბრძოლისაკენ შეიძლება „პრაგმატულად კონტრპროდუქტიულად“ და „არაეთიკურად“ მოეჩვენოს მხოლოდ იმას, ვინც აფხაზეთს ამ სამშობლოს ნაწილად არ მიაჩნებს. ეს კი არა მარტო იდეოლოგიური, არამედ ისტორიოგრაფიული კაპიტულაციაა.

ღიას, არა თუ ღიად დეკლარირება, არამედ იოტისოდენა მინიშნებაც კი იმაზე, რომ აფხაზეთი ისტორიულად მარტო აფხაზთა სამშობლოა, ხოლო ქართველებისათვის მხოლოდ მუდმივად საცხოვრებელი ადგილი, არც მეტი არც ნაკლები, ისტორიოგრაფიული კაპიტულაციაა. ამიტომაც მიუღებლად მიგვაჩნია ჩვენ დაკანონება იმისა, რომ აფხაზეთის „პრეზიდენტი“ შეიძლება იყოს მხოლოდ წარმოშობით აფხაზი“, როგორც ამას გვთავაზობენ „კონცეფციის“ ავტორები. ამ შემთხვევაში ვითარებას პრინციპულად ვერ ცვლის ის, რომ ეს „პრეზიდენტი“ დე-ფაქტო არ იქნება აფხაზეთის ხელისუფლების პირველი პირი და, რომ ის მხოლოდ წარმომადგენლობითი უფლებებით აღიჭურვება.

ჩვენის აზრით, აფხაზეთის ოფიციალური ხელისუფლების მეთაურის (პრეზიდენტის) პოსტი, რაოდენ ფორმალურიც არ უნდა იყოს ის, უნდა დაიკავოს აფხაზეთის ნებისმიერმა მკვიდრმა განურჩევლად ეთნიკური წარმომავლობისა, რომელსაც ეცოდინება (საშუალო დონეზე მაინც) ორივე სახელმწიფო ენა – აფხაზური და ქართული. ამავე დროს, ჩვენ საგსებით დასაშვებად მიგვაჩნია საერთო-ქართულ სახელისუფლებო დონეზე ოფიციალურად დავაფიქსიროთ აფხაზთა, როგორც საქართველოს სახელმწიფოს ერთ-ერთი შემქმნელი ერის, გამორჩეულობა და დავუკანონოთ ამ ერის წარმომადგენელს ერთ-ერთი წამყვანი თანამდებობა ქვეყნის სახელისუფლებო იერარქიაში. არაფერი გვაქვს საწინააღმდეგო, ეს იყოს სენატის თავმჯდომარის პოსტი.

ისტორიოგრაფიული თვალსაზრისით სრულიად მიუღებლად მიგვაჩნია აგრეთვე მტკიცება იმისა, თითქოს ქართული ისტორიული არგუმენტის „ობიექტურობის სერუპულოზურად შემოწმება ისევე“ ძნელი იყოს, როგორც „ისტორიის აფხაზთა ვერსიის ობიექტურობისა“ (დ. დარჩიაშვილი). სეპარატისტების მიერ შეთხზული ისტორიული „ზღაპრების“ (რომლის მიხედვითაც აფხაზეთი არასოდეს ყოფილა საქართველო) გაბათილება სულაც არ წარმოადგენს დიდ სიძნელეს და ეს სათანადოდ გაკეთებულია კიდევ ქართულ ისტორიოგრაფიაში (თუმცა ზოგიერთი ჩვენი „ურა-პატრიოტი“ მაინც უკმაყოფილოა ქართველ ისტორიკოსთა ნაღვაწით და კატეგორიულად მოითხოვს მათგან აფსუა-აფხაზთა ფაქტობრივად ამოგდებას საერთო ქართული ისტორიული პროცესიდან). ამასთან დაკავშირებით უდავოდ მისაღებია დ. დარჩიაშვილის დასკვნა, რომ „ისტორიული აფხაზი თანამედროვე, კოლექტიური ქართველის წინაპარიც“ - აა, „ისტორიული აფხაზეთი კი – მისი სამშობლო“ და რომ სწორედ ამაში დევს „ჩვენი ქართველობისა და აფხაზეთის იდენტობისა და ისტორიული სივრცის საზიარობის გასაღები“. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ქართველთა და აფხაზთა ერთიან სახელმწიფოებრივ სივრცეში მომავალი თანაცხოვრების პერსპექტივა ამ ჭეშმარიტების აღიარების (თანაც ეს აუცილებლად უნდა გააკეთოს აფხაზურმა მხარემ) გარეშე პრაქტიკულად რეალობას მოკლებულია.

ასეთია ჩვენი ზოგადი მიდგომები იდეოლოგიურ-ისტორიოგრაფიული კუთხით. ახლა რაც შეეხება უშუალოდ საქართველოს სახელმწიფოს შემადგენლობაში აფხაზეთის სტატუსის განსაზღვრის პრობლემას. ამასთან დაკავშირებით, პირველ რიგში, დგება საკითხი, თუ როგორი უნდა იყოს საერთოდ საქართველოს სახელმწიფოებრივი მოწყობის მოდელი – უნიტარული თუ ფედერაციული. ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე უნდა ითქვას, რომ ჩვენ ამ შემთხვევაში ფაქტობრივად არა გვაქვს არჩევნის საშუალება¹. ოდნავი გაუღერებაც კი იმისა, რომ საქართველო უნდა დარჩეს უნიტარულ სახელმწიფოდ, რომელიც თუნდაც განსაკუთრებულ უფლებებს მიანიჭებს აფხაზეთს, იმთავითვე სპობს აფხაზურ მხარესთან ყოველგვარი დიალოგის პერსპექტივას. უფრო მეტიც, საკითხის ასე დაყენება მისცემს საფუძველს მოწინააღმდეგე მხარეს და მის მხარდამჭერ ძალებს (პირველ რიგში რუსეთს) პოლიტი-

¹ ამ საკითხზე ჩვენი პოზიცია პირველად ოფიციალურად დავაფიქსირეთ ჯერ კიდევ 1999 წელს. იხ.: *საქართველოს ფედერალიზაციის პერსპექტივები: PRO ET CONTRA*: მასალების კრებული. აღმოსავლეთ-დასავლეთის ურთიერთობათა კვლევის საერთაშორისო ცენტრი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პოლიტოლოგიის ინსტიტუტი, ფრიდრიხ ებერტის ფონდი; რედაქტორები: *გ. კეშელავა, გ. ლორთქიფანიძე*. თბ., 2000, გვ. 89-98.

კური სპეკულირებისათვის: დაადანაშაულოს თბილისი არაკონსტრუქციულობაში და მოლაპარაკებითი პროცესის ჩიხში შეყვანაში. ამის არაერთი პრეცედენტი გვაქვს.

ჩვენ არავისზე ნაკლებად არ გვესმის, რომ სახელმწიფოს ფედერაციული მოწყობის პირობებში ქვეყნის დეცენტრალიზაციის მეტი რისკი არსებობს. ამდენად, რასაკვირველია, არჩევნის გაკეთება რომ შეიძლებოდეს, სრულიად უალტერნატივოდ ჩავთვლიდით საქართველოს სახელმწიფოს უნიტარულ მოწყობას. მაგრამ ეს განვლილი ეტაპია. ნუ დაგვავიწყდება, რომ თუ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა (რომლის კონსტიტუციაში ოფიციალურად იყო დაფიქსირებული სამი ავტონომიური წარმონაქმნი: აფხაზეთი, ბათუმის მხარე, ზაქათალის ოლქი) არა, საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა, 2 ავტონომიური რესპუბლიკითა (აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ) და 1 ავტონომიური ოლქით (სამხრეთ ოსეთის), მაინც შეიცავდა ფედერაციული სახელმწიფოს ელემენტებს.

უფრო მეტიც, 1921 წლის 16 დეკემბერს საქართველოს სსრ-სა და აფხაზეთის სსრ-ს შორის დადებული ე.წ. „სამოკავშირეო ხელშეკრულება“, ფაქტობრივად, ახალი ფედერაციული სახელმწიფოს დაფუძნებას ნიშნავდა და მოსკოვი ალბათ ვერევე გამოაცხადებდა საქართველოს ფედერაციულ რესპუბლიკად, რომ არა ერთი გარემოება: იმ პერიოდში პრაქტიკულად უკვე გადაწყვეტილი იყო საქართველოს სსრ-ის ძალით შეყვანა ახალი ფედერაციული გაერთიანების – ამიერკავკასიის სოციალისტური ფედერაციული საბჭოთა რესპუბლიკის შემადგენლობაში და ერთგვარ უხერხულობას შექმნიდა ერთი ფედერაციული სახელმწიფოს სხვა ფედერაციულ სახელმწიფოში გაწვევრიანება. მართალია, მოგვიანებით კრემლისთვის ამ გარემოებას ხელი არ შეუშლია, იგივე ამიერკავკასიის ფედერაციული სახელმწიფო შეეყვანა ახალ ფედერაციულ სახელმწიფოში – საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირში, მაგრამ ამ შემთხვევაში, გარეგნულად (თავდაპირველად 1924წ. სსრკ კონსტიტუციის მიღებამდე მაინც) რჩებოდა ისეთი შთაბეჭდილება, რომ სსრკ-ს სახით იქმნებოდა არა ერთიანი სახელმწიფო, არამედ მხოლოდ ე.წ. „სუვერენულ სახელმწიფოთა“ კავშირი.

აქ გასათვალისწინებელია რუსეთის ფედერაციის პრეცედენტიც. აფხაზური მხარისთვის (ალბათ მოსკოვისთვისაც) ძნელი ასახსნელი იქნება, თუ რატომ უნდა იყოს ორი ავტონომიური წარმონაქმნის – ყოფილი ავტონომიური რესპუბლიკების – აჭარისა და აფხაზეთის (შესაძლოა მესამე – ცხინვალის ავტონომიური რეგიონის) მქონე საქართველოს სახელმწიფო უნიტარული და იგივე რუსეთი, რომლის შემად-

გენლობაში წარმოდგენილია ასეთივე ყოფილი ავტონომიური რესპუბლიკები და სხვა ავტონომიური წარმონაქმნები – ფედერაციული. ზემოთქმულიდან გამომდინარე, მიგვაჩნია, რომ საქართველოს სახელმწიფოს ფედერაციული მოწყობის ამთავითვე დეკლარირების გარეშე აფხაზეთის ერთიან ქართულ სახელმწიფოებრივ სივრცეში რეინტეგრაციასზე ფიქრიც კი არ შეიძლება.

სხვათაშორის ამ თვალსაზრისმა საკმაოდ მყარად მოიკიდა ფეხი, როგორც პოლიტიკოსებს შორის, ისე სამეცნიერო წრეებშიც.¹ საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლებმა, სხვადასხვა დროს, არა ერთხელ გააკეთეს განცხადება, საქართველოს სახელმწიფოს შესაძლო ფედერაციული მოწყობის თაობაზე. უფრო მეტიც, საქართველოს კონსტიტუციაში ფაქტობრივად სრულიად არაორაზროვნად დაფიქსირდა საქართველოს სახელმწიფოს ფედერაციული მოწყობის პერსპექტივა.² ერთი სიტყვით, თუ ჩვენ გვინდა რაიმე წარმატებას მივალწით აფხაზურ მხარესთან დიალოგში, აუცილებელია მათ იმთავითვე შევთავაზოთ საქართველოს სახელმწიფოს ფედერაციულ საწყისებზე მოწყობის მოდელი, რომელშიც აფხაზეთს მართლაც ექნება განსაკუთრებული სტატუსი. ამ თვალსაზრისით ჩვენ მთლიანად ვუჭერთ მხარს „კონცეფციის“ ავტორებს იმაში, რომ ყველაზე გონივრული იქნება საქართველომ უპირატესობა მიანიჭოს ასიმეტრიული ფედერალიზმის პრინციპს (გვ. 7).

აქვე გვინდა გავაკეთოთ ერთი განმარტება: ნუ მივანიჭებთ ტერმინოლოგიურ მხარეს გადაძწყვეტ მნიშვნელობას. უმჯობესია აქცენტი გადავიტანოთ პრობლემის რეალურ არსზე, ანუ თბილისსა და სოხუმს შორის კონსტიტუციურ-სამართლებრივი ურთიერთობების ხასიათზე. დღეს, მაგალითად, ყველასათვის ცნობილია, რომ დიდი ბრიტა-

¹ იხ.: საქართველოს სტრატეგიული კვლევების და განვითარების ცენტრის ბიულეტენი №4, მარტი, 1998; საქართველოს ფედერალიზაციის პერსპექტივები: **PRO ET CONTRA**: მასალების კრებული. აღმოსავლეთ-დასავლეთის ურთიერთობათა კვლევის საერთაშორისო ცენტრი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პოლიტოლოგიის ინსტიტუტი, ფრიდრიხ ებერტის ფონდი; რედაქტორები: **გ. კეშელავა, გ. ლორთქიფანიძე**. თბ., 2000.

² ამასთან დაკავშირებით ვერ გავიზიარებთ „კონცეფციის“ ავტორების რეზიუმეს იმის შესახებ „თუ რატომ უნდა თქვან (აფხაზეთმა – **ზ.პ.**) უარი თუნდაც დე-იურე არ შემდგარ და ნაკლებად დამოუკიდებლობაზე საქართველოს შემადგენლობაში ბუნდოვანი მომავლის სასარგებლოდ“ (კონცეფცია..., გვ. 2, ხაზგასმა ჩვენია – **ზ.პ.**). ჩვენ არ გვესმის თუ რატომაა ბუნდოვანი აფხაზეთისათვის აფხაზეთის მომავალი „საქართველოს შემადგენლობაში“. ქართული მხარე ყოველთვის სთავაზობდა აფხაზეთს მინიმუმ იმას, რაც რუსეთში ე.წ. „რესპუბლიკებს“ გააჩნიათ. ან რითი არ არის საქართველოს კონსტიტუციაში არსებული მინიშნება ქვეყნის ფედერაციული მოწყობის თაობაზე კონკრეტული „მესიჯი“ აფხაზეთისთვის?

ნეთის ოფიციალური სახელწოდებაა: „დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფო“ („*The United Kingdom of Great Britain and Northern Ireland*“), რაც ერთი შეხედვით თითქოს უნდა გულისხმობდეს იმას, რომ ეს სახელმწიფო ორი თანასწორუფლებიანი სუბიექტის (დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის) ერთგვარ კავშირს წარმოადგენს. სინამდვილეში კი ეს ასე სულაც არ არის. ჩრდილოეთ ირლანდიას არასოდეს არ ჰქონია სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტის (ის არც არის სახელმწიფოებრივი წარმონაქმნი) ის ხარისხი, რაც გააჩნდა დაუუმვათ, უნიტარული საქართველოს სსრ-ში შემავალ იმავე აფხაზეთის ასსრ-ს, რომელიც ოფიციალურად ითვლებოდა „სოციალისტურ სახელმწიფოდ“, ჰქონდა თავისი კონსტიტუცია, სახელმწიფო გერბი და ა.შ.

კიდევ ერთი საკითხი, რომელშიც ძნელია არ დავეთანხმოთ კონცეფციის ავტორებს – მიდგომა ე.წ. „*ბოდენის დოკუმენტისადმი*“: საქართველოში გაეროს გენერალური მდივნის სპეციალური წარმომადგენლის დიტერ ბოდენის მიერ გაეროს გენერალური მდივნის მეგობარი სახელმწიფოების წარმომადგენლებთან ერთად 2001 წელს შემუშავებული ეს დოკუმენტი, როგორც ცნობილია, ჩვენში იმთავითვე მწვავე კრიტიკის ობიექტი გახდა, თუმცა არ შეიძლება ითქვას, რომ ეს კრიტიკა მთლად არგუმენტირებული იყო. აქცენტი ძირითადად გაკეთდა დოკუმენტში დაფიქსირებულ ფორმულაზე, რომ აფხაზეთი არის „*სუვერენული წარმონაქმნი*“ და ყურადღების მიღმა დარჩა განმარტება იმის შესახებ, რომ ეს „*წარმონაქმნი*“ არსებობს არა ცალკე, დამოუკიდებლად, არამედ მოქცეულია „*სახელმწიფო საქართველოს შიგნით*“.

ჩვენ გაცილებით უფრო მნიშვნელოვნად მიგვაჩნია სწორედ ეს განმარტება და საერთოდ დოკუმენტის სულისკვეთება. ამ მხრივ რად ღირს თუნდაც დოკუმენტის დასახელება: „*კომპეტენციათა გამიჯვნის ძირითადი პრინციპები თბილისსა და სოხუმს შორის*“, ანუ არა „*აფხაზეთის სახელმწიფოსა*“ და „*საქართველოს სახელმწიფოს*“ შორის, არამედ ფაქტობრივად **ცენტრსა** (თბილისი) და **ავტონომიას** (სოხუმი) შორის. სწორედ ეს მომენტია მთავარი ამ დოკუმენტში. სხვათაშორის აფხაზეთი მხარე შესანიშნავად ჩასწვდა ამ ნიუანსს. ამიტომაცაა „*ბოდენის დოკუმენტი*“ ასე მიუღებელი სეპარატისტული რეჟიმისათვის.

ამ საკითხზე მსჯელობისას გასათვალისწინებელია შემდეგი გარემოება: „*ბოდენის დოკუმენტი*“ არის არა უბრალოდ რამდენიმე უცხოელი დიპლომატის რჩევა, არამედ ეს, ფაქტობრივად, საერთაშორისო თანამეგობრობის, საქართველოს მეგობარი ქვეყნების ოფიციალური ხედვაა. ამიტომაც მასზე ხელალებით უარის თქმა პოლიტიკურად და დიპლო-

მატიურად წამგებიანი ნაბიჯი იქნება. ამით, ჩვენ შეიძლება თვითონვე ჩამოვიშოროთ მოკავშირეები, მოვექცეთ ერთგვარ იზოლაციაში და მართლმართო შევრჩეთ რუსეთს, რომელიც, როგორც ცნობილია, ისედაც ნებისმიერ საბაბს ეძებს კონფლიქტური სიტუაციის დასაკონსერვებლად და მოლაპარაკებითი პროცესის ჩასაშლელად. ასე რომ, ჩვენ ამ ნაწილშიც ვუჭერთ მხარს „კონცეფციის“ ავტორებს და ასევე ვთვლით, რომ „ბოდენის დოკუმენტის“ ფუძემდებლური პრინციპების კონკრეტული, სამართლებრივად და პოლიტიკურად გამართული, დემოკრატიული მექანიზმებითა და გარანტიებით შევსების შემთხვევაში შესაძლებელი გახდება ორივე მხარისათვის მისაღები გადაწყვეტილებების მიღება“ (გვ. 2).

ახლა რაც შეეხება საქართველოს სახელმწიფოს შემადგენლობაში აფხაზეთის სტატუსის განსაზღვრასთან დაკავშირებულ საკითხებს. ჩვენ მთლიანად ვიზიარებთ „კონცეფციის“ ავტორების თვალსაზრისს, რომ „აფხაზეთს... როგორც ერთიანი ქართული სახელმწიფოს ჩამომყალიბებელი ერთ-ერთი ერის – აფხაზების ერთადერთ სამშობლოს, **განსაკუთრებული, ყველასაგან განსხვავებული** სტატუსი უნდა ჰქონდეს“ (გვ. 7, ხაზგასმა ჩვენია – **ზ.პ.**) და რომ საქართველომ „რეგიონალიზმისა და ფედერალიზმის პრინციპების შერწყმის საფუძველზე“ უნდა წარმოადგინოს ქვეყნის „ტერიტორიულ-სახელმწიფოებრივი მოწყობის“ ისეთი სპეციალური მოდელი, რომელშიც ანგარიში გაეწევა „აფხაზეთის ისტორიულად და სამართლებრივად ჩამოყალიბებულ გამორჩეულობას, საქართველოს სხვა რეგიონების კულტურულ, პოლიტიკურ, ისტორიულ და გეოგრაფიულ თავისებურებებს“ და რაც მთავარია **„დღევანდელ რეალობას“** (გვ. 7, ხაზგასმა ჩვენია – **ზ.პ.**)

ამავე დროს, ჩვენ ნამდვილად გაგვიჭირდება ერთნიშნად დავუჭიროთ მხარი ფორმულას (პროფ. გ. ხუბუას მიერ შემოთავაზებულსა და „კონცეფციაში“ გაზიარებულს), რომლის თანახმადაც აფხაზეთი ცხადდება არა „ფედერალური ქართული სახელმწიფოს ნაწილად, არამედ „ფედერალური ქართული სახელმწიფოს წევრად“ („წევრ-სახელმწიფოდ“). მიგვაჩნია, რომ ამ შემთხვევაში გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში არსებული ტერიტორიულ-სახელმწიფოებრივი მოწყობის პრაქტიკის უცვლელად გადმოტანა მთლად გამართლებული არ არის. გერმანიის ფედერაციულ სახელმწიფოში შემავალი ე.წ. „წევრი-სახელმწიფოები“ – „Land“-ები, როგორც ცნობილია, ერთი ეთნოსით (გერმანელებით) დასახლებული მხარეებია, რომლებიც მიუხედავად ეთნოსის შიგნით არსებული ტომობრივი თავისებურებებისა (ბავარიელები, საქსონელები და ა.შ.) ისტორიულად ყოველთვის ქმნიდნენ ერთიან გერმანულ ეთნო-პოლიტიკურ და კულტურულ სამყაროს.

საქართველოს შემთხვევაში, კი ვითარება გარკვეულწილად განს-

ხედავს. მართალია, აფხაზობა მიუხედავად თავისი ეთნო-ტომობრივი ინდივიდუალობისა, ისტორიულად ასევე იყო საერთო-ქართული კულტურულ-პოლიტიკური და სახელმწიფოებრივი ორგანიზმის ნაწილი, მაგრამ უკანასკნელი 100 წლის მანძილზე რუსულმა იმპერიულმა მანქანამ ის მოწყვიტა საერთო-ქართულ სამყაროს და რუსულ კულტურულ-პოლიტიკურ სივრცეში მოაქცია. შედეგად დღევანდელ აფხაზობას (რომლის მნიშვნელოვან ნაწილს, ჩვენი ისტორიული ბედუკუდმართობით, გააფხაზებული ქართველები შეადგენენ) ჩამოუყალიბდა საკუთარი (სამწუხაროდ, ზოგად-ქართულთან დაპირისპირებული) ეროვნულ-სახელმწიფოებრივი მენტალიტეტი და, მოგვწონს ეს ჩვენ თუ არა, ის მიისწრაფვის სახელმწიფოებრივი თვითგამორკვევისაკენ.

ასეთ ვითარებაში კი კონსტიტუციურ ნორმად მიღება დებულებისა, რომ აფხაზეთი „არის სუვერენული სახელმწიფოებრივი ერთეული... რომელიც უმაღლეს სახელმწიფო (ანუ საქართველოს – **ზ.პ.**) ხელისუფლებასთან ურთიერთობაში გამოდის **თანასწორუფლებიანი და დამოუკიდებელი პარტნიორის სახით**“, ან კიდევ „აფხაზეთი არის ფედერალური ქართული სახელმწიფოს **წევრი** (წევრი-სახელმწიფო) და **არა ნაწილი**“, (გვ. 9, ხაზგასმა ჩვენია – **ზ.პ.**) რომელსაც აქვს სახელმწიფოს ხარისხი, კონსტიტუციის დამდგენი ძალაუფლება, ნამდვილად შეიცავს გარკვეულ საშიშროებას ქვეყნის ერთიანობის თვალსაზრისით.

მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, არ შეიძლება იმის უარყოფა, რომ „**კონცეფციის**“ ამ დებულებებს ნამდვილად აქვს ერთგვარი დიპლომატიური პერსპექტივა მოლაპარაკების პროცესში. თანაც გასათვალისწინებელია ისიც, რომ საერთაშორისო სამართლის სუბიექტად რჩება „მხოლოდ ერთი სახელმწიფო – საქართველოს სუვერენული სახელმწიფო“, ხოლო „წევრი-სახელმწიფოს სუვერენიტეტი არსებითად სამართლის მეცნიერებაში ცნობილ ე.წ. „საშინაო სუვერენიტეტს“ ნიშნავს (გვ. 11).

ამ თვალსაზრისით არანაკლებ მნიშვნელოვანია იმის ხაზგასმა, რომ „საქართველოს სახელმწიფო მთელი ხალხის მიერ არის დაფუძნებული და ლეგიტიმირებული (და არ არის შექმნილი წევრი-სახელმწიფოების მთავრობათა შეთანხმების საფუძველზე)“ და რომ ამის გამო „**კონსტიტუციურ-სამართლებრივი თვალსაზრისით შეუძლებელი და დაუშვებელია მისი შემადგენელი წევრი-სახელმწიფო(ები)ს გამოყოფა ერთიანი სახელმწიფოსაგან**“ (გვ. 11). და მაინც, იმის დეკლარირება, რომ აფხაზეთი არის ფედერალური საქართველოს წევრი სახელმწიფო და არა ნაწილი იდეოლოგიურად მიუღებელია. ამით ჩვენ ფაქტობრივად ვადიარებთ, რომ აფხაზეთი არ არის საქართველო და ის სხვა ქვეყანაა. ნუ დაგვავიწყდება, რომ სწორედ ეს იყო მთავარი იდეოლოგიურ-ისტორიოგრაფიული პოსტულატი აფხაზური სეპარატისტული მოძრაობისა,

რომელიც მათ ფაქტობრივად რეალობად აქციეს კიდევც. ამასთან შე-
რიგება კი არც მეტი არც ნაკლები კაპიტულაციაა.

ჩვენ მთლიანად ვუჭერთ მხარს „კონცეფციაში“ გატარებულ თვალ-
საზრისს, რომ აფხაზეთი უნდა იყოს საპარლამენტო რესპუბლიკა, „რო-
მელიც არ ითვალისწინებს ხალხის მიერ პრეზიდენტის პირდაპირ არჩე-
ვას, თუმცა დასაშვებად მიიჩნევა არაპირდაპირ არჩეული, მხოლოდ წარ-
მომადგენლობითი უფლებების მქონე პრეზიდენტის ინსტიტუტის არსებო-
ბას. ასევე მისაღებია ფორმულა, რომლის მიხედვითაც პრემიერ-მინისტ-
რია აფხაზეთის „ადმარსულებელი ხელისუფლების მეთაური და აფხაზე-
თის ხელისუფლების უმაღლესი წარმომადგენელი საქართველოს უმაღლეს
სახელმწიფო ხელისუფლებასთან (ფედერაციასთან) ურთიერთობაში“.

აღსანიშნავია, რომ ამგვარი მოდელი ფაქტობრივად აპრობირებული
იყო საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში, როდესაც 1919წ. არ-
ჩეული აფხაზეთის სახალხო საბჭოს პირველმა თავმჯდომარემ დიმიტ-
რი (არზაყან) ემუხვარმა გადაინაცვლა აფხაზეთის კომისარიატის (მთავ-
რობის) თავმჯდომარის თანამდებობაზე, რის შემდეგაც სწორედ ის გახ-
და აფხაზეთის ხელისუფლების პირველი პირი. ეს მოდელი დღეს მოქ-
მედებს აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში, ხოლო აფხაზეთის ავტო-
ნომიური რესპუბლიკის კონსტიტუციაში სათანადო ცვლილებების შე-
ტანის შემდეგ, აფხაზეთის ლეგიტიმური ხელისუფლების პირველ პი-
რად ითვლება არა უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე, არამედ მთავრო-
ბის თავმჯდომარე.

საკვებით სწორია დებულება, რომ ეთნიკურად აფხაზი არის არა
ეროვნული უმცირესობა, არამედ ის განიხილება „როგორც საქართვე-
ლოს ფედერალური სახელმწიფოს ჩამომყალიბებელი ერთ-ერთი ერი“,
რომ მას აქვს „რეგიონალური იდენტურობის გრძნობა, რომელიც ეფუ-
ძნება აფხაზეთის საკუთარ ერთადერთ სამშობლოდ და მოსახლეობის
დანარჩენი ნაწილისაგან გამორჩეულობის შეგრძნებას“, აფხაზეთის ქარ-
თველობა კი „ამ პოლიტიკური ერთეულის მკვიდრი ერია“.

არაფერი გვაქვს საწინააღმდეგო, იმასთან დაკავშირებითაც, რომ აფ-
ხაზეთის კონსტიტუციით განისაზღვროს „საკუთარი ოფიციალური სა-
ხელწოდება, ტერიტორიის საზღვრები (ფედერალურ ხელისუფლებასთან
შეთანხმებით), ტერიტორიაზე არსებული... რაიონები, აფხაზეთის შიდა
სტრუქტურა“ (გვ. 13). აფხაზეთს ასევე შეიძლება მიეცეს გარკვეული
დონით საგარეო ურთიერთობებში მონაწილეობის უფლება იმ კონკრე-
ტიკით რაც მოცემულია „კონცეფციაში“ (გვ. 14).

„კონცეფციაში“ სწორადაა გადაჭრილი მოქალაქეობის პრობლემა:
„აფხაზეთის მოქალაქე იმავდროულად და ავტომატურად არის საქარ-
თველოს სახელმწიფოს მოქალაქე“. ამ ფორმულის ოფიციალურ დოკუ-

მენტში (პირადობის მოწმობაში) ასახვა შეიძლება ასეთი ჩანაწერით: – „მოქალაქეობა – აფხაზეთის რესპუბლიკა – საქართველოს ფედერაციული რესპუბლიკა“.

აბსოლუტურად მისაღებია, რომ თბილისსა და სოხუმს შორის რაიმე სახელმწიფოებრივ-სამართლებრივი დავის წარმოქმნისას, საბოლოო გადაწყვეტილების მიღების უფლება ენიჭებათ საქართველოს უზენაეს და კონსტიტუციურ სასამართლოებს. ნამდვილად მოსაწონია აგრეთვე დებულება იმის შესახებ, რომ საქართველოს პარლამენტის ზედა პალატაში (სენატში) „აფხაზეთის წარმომადგენლობაში თავიდანვე უზრუნველყოფილი იქნება აფხაზი ეროვნების პირთა გარკვეული ოდენობა, ხოლო წარმომადგენლობას ექნება აფხაზეთთან დაკავშირებულ ნებისმიერ საკითხზე განსაკუთრებული, გადამწყვეტი ხმის უფლება, თანაც ისე, რომ საკითხის გადასაწყვეტად დადგენილი მაღალი ქვორუმის გამო აუცილებელი გახდება სწორედ აფხაზეთის წარმომადგენლობაში აფხაზი ეროვნების პირთა თანხმობა“ (გვ. 17).

არანაკლებ მნიშვნელოვანია გადაწყვეტილების მიღებისას მაღალი ქვორუმების სისტემის ამოქმედება საკუთრივ აფხაზეთის უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში. როგორც სავსებით მართებულად აღნიშნავენ „კონცეფციის“ ავტორები, „ამ სისტემის უპირატესობა და განსაკუთრებულობა იმაში მდგომარეობს, რომ იგი გვერდს უვლის წარმომადგენლობითი ორგანოს ეთნიკური პრინციპის საფუძველზე არჩევის ვარიანტს“. მართლაც „ეთნიკურ საფუძველზე წარმომადგენლობითი ორგანოს დაკომპლექტება“ არა უბრალოდ „წინააღმდეგობაშია საყოველთაო, თანასწორი და თავისუფალი არჩევნების კონსტიტუციურ პრინციპთან“, ვინაიდან ის ლახავს მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობის დემოკრატიულ უფლებებს, არამედ თავისი არსით ის, ფაქტობრივად, აპარტიდულია.

თავის დროზე (1991წ.) საქართველოს ხელისუფლებამ დაუშვა მიუტევებელი შეცდომა, როდესაც სეპარატისტების ზეწოლით დათანხმდა ეთნიკური პრინციპის საფუძველზე საარჩევნო კანონის ამოქმედებას – ე.წ. 28+26+11-ს. რომლის თანახმადაც 90 ათასამდე აფხაზს აფხაზეთის უზენაეს საბჭოში დაუკანონდა 28 ადგილი, ხოლო 250 ათასამდე ქართველს მხოლოდ – 26. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ამით საქართველოს ხელისუფლებამ აფხაზობა, არც მეტი არც ნაკლები, ოფიციალურად გამოაცხადა ერთადერთ მკვიდრ მოსახლეობად და ფაქტობრივად იურიდიულად გააფორმა აფხაზთა ეთნიკრატია და ეთნოდიქტატურა აფხაზეთში.¹ ეს კი არ შეიძლება ჩაითვალოს უბრალო დათმო-

¹ იხ.: აგრეთვე **ზ. პაპასქირი**, აფხაზეთის ტრაგედია, წიგნში: **ზ. პაპასქირი**, აფხაზეთი საქართველო, თბ., 1998, გვ. 207-211

ბად, ეს იყო სრული კაპიტულაცია იდეოლოგიურ-ისტორიოგრაფიული თვალსაზრისით, რომელსაც სულ მალე, როგორც დავინახეთ, უმძიმესი შედეგები მოჰყვა.

არადა, როგორც საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში, ისე საქართველოს სსრ-შიც არსებობდა გაცილებით უფრო მარტივი პრაქტიკა, რომლის დროსაც ყოველგვარი ოფიციალური დაკანონების გარეშე, ასე ვთქვათ „სამუშაო ვითარებაში“, ხელისუფლება ახერხებდა აფხაზური ეთნიკური უმრავლესობის (ქართველებთან მიმართებაში) უზრუნველყოფას აფხაზეთის უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში. ასე მაგალითად, ცნობილია, რომ 1919წ. დემოკრატიული პრინციპების სრული დაცვით არჩეულ აფხაზეთის სახალხო საბჭოში აფხაზებს ქართველებზე სულ ცოტა ორი დეპუტატით მეტი მაინც ჰყავდათ.¹ 1985წ. არჩეულ აფხაზეთის უმაღლეს საბჭოში აფხაზებს ჰყავდათ 54 დეპუტატი, ქართველებს კი – 52.

„კონცეფციაში“ საინტერესოდაა გადაჭრილი სამხედრო სამსახურთან დაკავშირებული საკითხები. კერძოდ, მისაღებად მიგვაჩნია, პირველ ეტაპზე, (კონფლიქტის მოწესრიგებიდან სულ ცოტა 3-5 წლის განმავლობაში) აფხაზი ახალგაზრდების გათავისუფლება საქართველოს შეიარაღებულ ძალებში სავალდებულო სამხედრო სამსახურისაგან. ამავ დროს, ჩვენ მთლად კარგად ვერა გვაქვს გააზრებული დებულება, რომლის თანახმადაც აფხაზეთის რესპუბლიკის უმაღლეს სახელმწიფო ორგანოებს ენიჭებათ უფლება თვითონ შექმნან „ოფიციალური პოლიციური ფორმირებები“ (გვ. 29), რომელშიც გაივლიან სავალდებულო სამხედრო სამსახურს აფხაზი ახალგაზრდები. ჩვენის აზრით, ეს ფორმულა დახვეწა-დაზუსტებას მოითხოვს. კერძოდ, გასარკვევია საკითხი, არის თუ არა ეს პოლიციური ფორმირებები შესაბამისი ფედერალური უწყების დაქვემდებარებაში. ეს თუ ასე არ არის, მაშინ თბილისისაგან სრულიად დამოუკიდებელი შეიარაღებული სტრუქტურის არსებობა აფხაზეთში კატეგორიულად მიუღებელია.

პრინციპში, არა გვაქვს პრეტენზია, რომ „აფხაზეთის ხელისუფლებას... შეიძლება ჰქონდეს საქართველოს ეროვნული ბანკის კონტროლით სახელმწიფოს ეროვნული ვალუტის მონეტებისა და კუპონების“ გამოშვებისა და მათზე (ადგილობრივი ხელისუფლების გადაწყვეტილებით) აფხაზეთის ისტორიული პიროვნებების, საზოგადო მოღვაწეთა, აფხაზეთის გერბის, აფხაზეთის ტერიტორიაზე არსებული ისტორიული ნაგებობებისა და კულტურის ძეგლთა გამოსახვის უფლება. ერთია მხო-

¹ იხ.: დ. ჩიტაია. აფხაზეთის სახალხო საბჭო, საკანდიდატო დისერტაციის ხელნაწერი, თბ., 2002.

ლოდ, ამ შემთხვევაში გარკვეული სიფრთხილე გვმართებს. მაგ. არაფერი გვაქვს საწინააღმდეგო მონეტაზე ან კუპიურაზე გამოისახოს ისეთი პიროვნებები, როგორცაა დიმიტრი გულია, ივანე პაპასჭირი და ა.შ. რომლებიც საკუთრივ აფხაზურ ნაციონალურ კულტურას წარმოადგენენ, მაგრამ ყოვლად დაუშვებელია, აფხაზურ ეროვნულ სამყაროს მივაკუთნოთ და ამის გამო სოხუმში გამოშვებულ მონეტაზე ან კუპიურაზე გამოვსახოთ მაგალითად „აფხაზთა“ მეფე ლეონ II, რომელიც მიუხედავად თავისი შესაძლო აფხაზური ტომობრივი წარმომავლობისა, იყო არა აფხაზი სახელმწიფო მოღვაწე, არამედ საერთო ქართული ლიდერი, რომელმაც საფუძველი დაუდო დასავლეთ საქართველოში ერთიან ქართულ (ხაზს ვუსვამთ **ქართულ** და არა **აფსუა-აფხაზურ**) ეროვნულ სახელმწიფოს.

პრინციპული შენიშვნა არა გვაქვს აფხაზეთში უძრავი ქონების შეძენის შეზღუდვისა და უძრავი ქონების რესტიტუციის საკითხების ირგვლივ „*კონცეფციაში*“ წარმოდგენილ მოსაზრებებთან დაკავშირებით.

ძირითადად მისაღებია კონფლიქტის მოწესრიგების შესახებ „*შეთანხმებაში*“ ჩამოყალიბებული დებულებები (გვ. 21-25), თუმცა „*შეთანხმების*“ ზოგიერთი მუხლი, ჩვენის აზრით, მაინც მოითხოვს კორექტირებას. პირველ რიგში ეს ეხება „*შეთანხმების*“ შემდეგ დებულებას: „მხარეები ადასტურებენ, რომ ისტორიულად საქართველო აფხაზთა და ქართველთა მიერ შექმნილი სახელმწიფო და მათი საერთო სამშობლოა, აფხაზეთი კი აფხაზი ხალხის სამშობლო, სადაც აფხაზებთან ერთად საუკუნეთა მანძილზე მუდამ ცხოვრობდნენ ქართველები“ (გვ. 22). ხაზგასმით უნდა აღვნიშნოთ, რომ აფხაზეთი **ქართველებისათვის ისეთივე (თუ უფრო მეტად არა) სამშობლოა, როგორც აფხაზთათვის და არა უბრალოდ მუდმივად საცხოვრებელი ადგილი**. ამიტომ რაიმე განსხვავებული ჩანაწერის გაკეთება ქართველთა მიმართ კატეგორიულად მიუღებელია.

დაზუსტებას მოითხოვს, აგრეთვე მუხლი იმის შესახებ, რომ „აფხაზეთის მოსახლეობის აღწერის შედეგების მიხედვით რეფერენდუმში მონაწილეობის უფლება აქვს **აფხაზეთში მცხოვრებ ყველა პირს**, რომელსაც რეფერენდუმის დღისთვის შეუსრულდა 18 წელი...“ აქ ჯერ ერთი აუცილებლად უნდა ჩაემატოს სიტყვა „**მუდმივად**“ და რაც მთავარია, უნდა ჩაიღოს შეზღუდვა უცხო ქვეყნის მოქალაქეებზე. ანუ ეს მუხლი შეიძლება ასე ჩასწორდეს: „...რეფერენდუმში მონაწილეობის უფლება აქვს აფხაზეთში **მუდმივად მცხოვრებ ყოველ პირს, გარდა უცხო ქვეყნის მოქალაქეებისა**,“ და შემდეგ როგორც ტექსტშია.

ამ დებულებასთან რამდენადმე კავშირშია: „ფედერალური შეთან-

ხმება „აფხაზეთის განსაკუთრებული სტატუსის შესახებ“-ის მე-8 მუხლის ჩანაწერი მოქალაქეობის შესახებ. მასში სწორად არის აღნიშნული, რომ „აფხაზეთის მოქალაქე ამავედროულად და ავტომატურად არის საქართველოს მოქალაქე“ (გვ. 30). მაგრამ, ჩვენის აზრით, აქვე აუცილებლად უნდა განიმარტოს აგრეთვე, რომ საქართველო-აფხაზეთის მოქალაქე ამავედროულად არ შეიძლება იყოს სხვა რომელიმე უცხო ქვეყნის მოქალაქე (გარდა იმ გამონაკლისი შემთხვევებისა, როდესაც საქართველოს პრეზიდენტი ანიჭებს საქართველოს მოქალაქეობას სხვა ქვეყნის ცალკეულ მოქალაქეებს).

„კონცეფციაში“ გამოკვეთილად არ არის ნათქვამი, თუ რომელი ქვეყნის მოქალაქეებად ჩაითვლებიან ის ქართველები, რომლებიც ამჟამად ცხოვრობენ აფხაზეთში (თუნდაც გალის რაიონში), ან ისინი, რომლებიც დაუბრუნდებიან თავიანთ მუდმივად საცხოვრებელ ადგილს ე.წ. „გარდამავალ პერიოდში“, ანუ აფხაზეთის პოლიტიკური სტატუსის გარკვევამდე. ამასთან დაკავშირებით ჩვენ კატეგორიულად მიუღებლად მიგვაჩნია იმის დაშვებაც კი, რომ ე.წ. „გარდამავალ პერიოდში“ აფხაზეთში მცხოვრებ ან დაბრუნებულ ქართველებს უნდა მიეცეს მხოლოდ „ქართულად განათლების მიღების და ეროვნული სათვისტომოს შექმნის შესაძლებლობა“ (დ. დარჩიაშვილი). ცნობილია, რომ სათვისტომოებს ამა თუ იმ ერის წარმომადგენლები ქმნიან უცხო ქვეყანაში და არა საკუთარ სამშობლოში. ამიტომ ამგვარი მიდგომა არის პირდაპირი აღიარება იმისა, რომ აფხაზეთი იქაური ქართველისათვის არ არის ისეთივე სამშობლო, როგორც აფხაზეთათვის. ეს კი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, იდეოლოგიურ-ისტორიოგრაფიული კაპიტულაციაა.

ასეთია ძირითადად ჩვენი შენიშვნები ექსპერტთა ჯგუფის (კ. კუბლაშვილი, პ. ზაქარეიშვილი და სხვ.) მიერ მომზადებულ დოკუმენტზე: „კონცეფცია საქართველოს სახელმწიფოში აფხაზეთის განსაკუთრებული სტატუსის შესახებ“ ბუნებრივია, ჩვენ არ გვქონდა საშუალება შევხებოდით „კონცეფციის“ ყველა დებულებას (ასეთი მიზანი არც დაგვისახავს) და შემოვიფარგლეთ მხოლოდ ცალკეული მოსაზრებების ანალიზით. კიდევ ერთხელ ვიმეორებთ, მთლიანობაში „კონცეფცია“ (განსაკუთრებით „ფედერალური შეთანხმება „აფხაზეთის განსაკუთრებული სტატუსის შესახებ“, რომელშიც ძირითადად სწორადაა ჩამოყალიბებული თბილისისა და სოხუმის შორის უფლებამოსილებათა სფეროები) ნამდვილად საყურადღებო და ანგარიშგასაწევი დოკუმენტია და ის მართლაც შეიძლება დაედოს საფუძვლად ქართული მხარის ვარიანტს მოლაპარაკებით პროცესში.

ერთხელ კიდევ 1989 წ. აფხაზეთის კრიზისის გამომწვევი მიზეზების შესახებ*

1989 წლის გაზაფხულზე აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში, როგორც ცნობილია, უკიდურესად გამწვავდა პოლიტიკური სიტუაცია, რაც გამოიწვია 1989 წლის 18 მარტს ლიხნის თავყრილობაზე, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის პარტიული და საბჭოთა ხელმძღვანელობის, მათ შორის, საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივნის ბორის ადლეიბასა და აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ვალერიან კობახიას უშუალო მონაწილეობით, მიღებულმა ანტიკონსტიტუციურმა გადაწყვეტილებებმა.

როგორც ცნობილია, ლიხნის თავყრილობაზე მიღებული გადაწყვეტილებები იყო საქართველოსა და ქართველი ხალხის მორიგი „დაბეზღება“. დოკუმენტებში აღნიშნული იყო, რომ საქართველოში უხეშად ირღვეოდა „ლენინური ეროვნული პოლიტიკა“. აფხაზთა თავყრილობის მონაწილეები კატეგორიულად სვამდნენ 1931 წელს დაშვებული „ტრაგიკული შეცდომის“ (როდესაც თითქოს „დამოუკიდებელი“ აფხაზეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა, აფხაზი ხალხის ნების გარეშე, გადააკეთეს აფხაზეთის ავტონომიურ საბჭოთა რესპუბლიკად საქართველოს სსრ-ის შემადგენლობაში) დაუყოვნებლივ გამოსწორების საკითხს, ანუ აფხაზეთის ასსრ-ის ფაქტობრივად საქართველოს სსრ-ის შემადგენლობიდან გამოყვანას, რაც ეწინააღმდეგებოდა როგორც სსრკ-ის, ისე საქართველოს სსრ-ის კონსტიტუციებს, რომლებშიც ერთნიშნად იყო დადასტურებული და კონსტიტუციურად განმტკიცებული მოკავშირე რესპუბლიკათა (ამ შემთხვევაში საქართველოს სსრ-ის) ტერიტორიული მთლიანობის ურყევობა.

სპეციალურ ლიტერატურაში¹ საკმაოდ ამომწურავადაა გაანალიზებული ე.წ. „აფხაზეთის ასსრ-ის“ რეალური სახელმწიფოებრივი სტატუსის საკითხი 1921-1931 წლებში და კონკრეტულ დოკუმენტურ მასალაზე დაყრდნობით, დამაჯერებლად არის ნაჩვენები, რომ ე.წ. „ხელშეკრულებითი აფხაზეთის სსრ“ არასოდეს არ წარმოადგენდა საქართ-

* დაიბეჭდა გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, №35, 23. 02. 2007.

¹ **А. Ментешавили.** Исторические предпосылки современного сепаратизма в Грузии, Тб., 1998; **Д. Гамахария, Б. Гогия.** Абхазия – историческая область Грузии. Тбилиси, 1997; **Л. Тоидзе.** К вопросу о политическом статусе Абхазии. *Страницы истории 1921-1931.* Тб., 1996; **З. Папаскири.** О национально- государственном облике Абхазии/Грузия, *С древнейших времен до 1993г.* Тб., 2003 და ა.შ.

ველოს სსრ-ისაგან დამოუკიდებელ „მოკავშირე რესპუბლიკას“, და რომ „დე-ფაქტო“ მთელი ამ პერიოდის განმავლობაში ის ითვლებოდა ავტონომიურ ერთეულად საქართველოს სსრკ-ის შემადგენლობაში. უფრო მეტიც, ნესტორ ლაკობას ნაციონალისტურ-სეპარატისტული რეჟიმის მცდელობა (1925წ.), კონსტიტუციურად მოეწყვიტა აფხაზეთი დანარჩენი საქართველოსაგან, როგორც ცნობილია, სრული კრაზით დასრულდა.

აღნიშნულის გათვალისწინებით, საქართველოზე მორიგი პასკვილის შეთითხვნას (როგორც ცნობილია, ასეთი „დოკუმენტები“ აღრეც – 1957, 1967, 1978, 1984 წლებში – იქმნებოდა, მაგრამ იმხანად მათ აფხაზეთის ქართველობის რაიმე მასშტაბური საპროტესტო აქცია არ მოჰყოლია, რაც აიხსნებოდა შემდეგი გარემოებით: მიუხედავად იმისა, რომ საკავშირო ხელისუფლება მოხერხებულად იყენებდა „აფხაზურ საჩივრებს“ თბილისზე გავლენის შესანარჩუნებლად, მთლიანობაში, ის მაინც ერიდებოდა ურთიერთობების მკვეთრად გამწვავებას საქართველოს ხელისუფლებასთან და ამიტომაც, მაინც და მაინც, დიდ ყურადღებას არ აქცევდა აფხაზთა დაბეზღებებს), შეიძლება რაიმე სერიოზული გართულება არც გამოეწვია. მაგრამ ამ შემთხვევაში „ლიხნის თავყრილობაზე“ მიღებულ გადაწყვეტილებებს, ხელისუფლებისათვის და თვით აფხაზებისათვის მოულოდნელად, აფხაზეთის ქართულმა მოსახლეობამ და სრულიად საქართველომ მწვავე პროტესტით უპასუხა. ეს გამოწვეული იყო იმით, რომ ყოველივე ეს მოხდა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის პარტიული და საბჭოთა ხელმძღვანელობის, მათ შორის, საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივნის ბორის ადღეიბასა და აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ვალერიან კობახიას უშუალო მონაწილეობითა და დასტურით. უფრო მეტიც მათ ოფიციალურად მოაწერეს ხელი ე.წ. „ლიხნის მიმართვას“, რითაც ფეხქვეშ გათელეს ავტონომიური რესპუბლიკის მკვიდრი ქართული მოსახლეობის ეროვნული ინტერესები.

დაიწყო ქართული ეროვნულ-პატრიოტული ძალების მასობრივი საპროტესტო გამოსვლები, როგორც საკუთრივ აფხაზეთი, ისე თბილისში, რაც, როგორც ცნობილია დამთავრდა 9 აპრილის ტრაგედიით. ხელისუფლებისათვის უმართავი გახდა პროცესები აფხაზეთში სადაც ქართული ეროვნული ინტერესების სადარაჯოზე უყოყმანოდ დადგა ადგილობრივი მკვიდრი მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი.

მოვლენების ეპიცენტრში აღმოჩნდა აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი, რომლის ქართველმა სტუდენტობამ და პროფესორ-მასწავლებლებმა ღიად გაილაშქრეს ლიხნის თავყრილობის მიერ მიღებული

ანტიქართული გადაწყვეტილებების წინააღმდეგ და კატეგორიულად მოითხოვეს უნივერსიტეტის აფხაზ ხელმძღვანელთა, პირველ რიგში კი რექტორის, პროფ. ალექო გვარამიას მხრიდან „ლიხნის მიმართვაზე“ თავიანთი ხელმოწერის დეზავუირება. უნივერსიტეტის ხელმძღვანელობამ, როგორც მოსალოდნელი იყო არაფრად ჩააგდო ქართული მხარის ეს მოთხოვნა და ელემენტარულ დათმობებზეც კი არ წავიდა. შედეგად დაიწყო ქართველ სტუდენტთა და პროფესორ-მასწავლებელთა საპროტესტო აქცია, რომელმაც მალე შიმშილობის ფორმა მიიღო.

აქციას სოლიდარობა გამოუცხადა აფხაზეთის ქართული მოსახლეობის ფართო ფენებმა და ის საერთო-სახალხო პროტესტში გადაიზარდა. ხელისუფლებამ, მათ შორის, საქართველოს პოლიტიკურმა ხელმძღვანელობამ და საკავშირო ცენტრიდან მოგზავნილმა ემისრებმა ვერაფერი გააწყვეს აფხაზურ მხარესთან და ვერ დაიყოლიეს ის რაიმე შემხვედრ ნაბიჯებზე. ასეთ ვითარებაში საქართველოს ხელისუფლება იძულებული გახდა მიეღო იმ დროისათვის სრულიად უპრეცედენტო გადაწყვეტილება და წასულიყო აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართული ნაწილის ბაზაზე სოხუმში ახალი ქართული უმაღლესი სასწავლებლის – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოხუმის ფილიალის დაარსებაზე.

1989 წლიდან დღემდე ქართულ საზოგადოებაში, მათ შორის დენილებშიც, არ არის ერთი აზრი აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის გაყოფისა და მისი ქართული ნაწილის ბაზაზე ახალი ქართული უმაღლესი სასწავლებლის – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოხუმის ფილიალის დაფუძნების თაობაზე. არც თუ ისე იშვიათად, შევხვდებით ასეთ შეფასებას: მაშინ, 1989 წლის გაზაფხულზე, როდესაც აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართველმა სტუდენტობამ და პროფესორ-მასწავლებლებმა ვერ აიტანეს უნივერსიტეტის აფხაზური ნაწილის გამოკვეთილი ანტიქართული კურსი და არ ისურვეს სეპარატისტებთან ერთად ერთ უმაღლეს სასწავლებელში სწავლა და მუშაობა, ქართულმა მხარემ დაამავა და უნივერსიტეტის განღიებით თავად გაამწავა პოლიტიკური სიტუაცია აფხაზეთში. ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე შეიძლება ითქვას, რომ **ეს, არც მეტი არც ნაკლები, მკრეხელური ბრალდებაა.** ამგვარი შეფასების ავტორები შეიძლება რამდენიმე კატეგორიად დაგვყოთ.

ერთნი, არ არიან რა სათანადოდ ჩახედული XX საუკუნის 50-80-იანი წლების აფხაზეთის სინამდვილეში, თავს უფლებას აძლევენ „დამოდვრონ“ ის ადამიანები, რომლებიც XXს. 80-იანი წლების მიწურულს მედგრად დადგნენ საერთო-ეროვნული სახელმწიფოებრივი ინტერესების სადარაჯოზე და დაადანაშაულონ ისინი დესტრუქციულ

ქმედებებში. კერძოდ, ამის მცდელობას ადგილი ჰქონდა ამ რამდენიმე ხნის წინათ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოხუმის ფილიალში, რომლის პერიოდული ორგანოს: გაზეთ „სოხუმის სადროშოს“ ფურცლებზე გამქვეყნდა (აშკარად უმაღლესი სასწავლებლის იმჟამინდელი ადმინისტრაციის ხელშეწყობით) ვინმე გივი ხაზალაძის (მასალათა გამძლეობის დოცენტის, რომელიც არავინ იცის, თუ რატომ კითხულობდა სოხუმის უნივერსიტეტში ფსიქოლოგიის ზოგად კურსს) „დარიგებანი“. მასში აფხაზეთის ქართველობა, პირველ რიგში, აფხაზეთის უნივერსიტეტის ამბოხებული ქართველი პროფესორ-მასწავლებლები და სტუდენტები, ფაქტობრივად, რუსეთის იმპერიული პოლიტიკის გამტარებელ პროვოკატორებად და აფხაზებთან შუღლის გამძალებლად იყვნენ მონათლულნი. თურმე ეს, ქართველებს (და არა აფხაზებს) გადაუხვევია მრავალსაუკუნოვანი ისტორიული ძმობის გზიდან, ეს, მათ უღალატია აკაკი წერეთლის, გიორგი შარვაშიძის, კონსტანტინე გამსახურდიას იდეებისათვის.

მეორენი, მიუხედავად იმისა, რომ შესანიშნავად ერკვევიან აფხაზეთის საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების ნიუანსებში, ხშირ შემთხვევაში თვითონ არიან ამ პროცესების მონაწილე და, შეიძლება ითქვას, შექმნილი ვითარების მსხვერპლნიც, ჯეროვნად ვერ აცნობიერებენ ეროვნული თვითშეგნება გამოღვიძებული აფხაზეთის ქართველობის სატკივარს და იძლევიან ზოგიერთი მოვლენის არაადექვატურ შეფასებას. მაგალითისათვის დავასახელებდი ჩემთვის (და არამართო ჩემთვის) ფრიად პატივსაცემ პიროვნებას, აფხაზი ხალხის ღირსეულ შვილს, ქართულ-აფხაზური ისტორიული ძმობისა და ერთობის დიდ მებაირახტრესა და ბურჯს, ბატონ ლორიკ მარშანიას, რომლის ერთ-ერთ პუბლიკაციაში უნივერსიტეტის გაყოფა, სამწუხაროდ, ახსნილია „ქართველი ექსტრემისტების რადიკალიზმით“.¹

მაგრამ განსაკუთრებით საგანგაშოა ქართული მხარის დადანაშაულება უნივერსიტეტის გახლეჩაში აფხაზეთის მკვიდრ ქართველთა მხრიდან. მათ შორის, არიან ისინიც, ვინც თავს პოლიტიკოსობაზე დებენ (კერძოდ, აფხაზეთის ლეგიტიმური ხელისუფლების ერთ-ერთი ხელმძღვანელი, უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, ნაპოლეონ მესხია, რომელიც ამ რამდენიმე ხნის წინ, ბ-ნ ლორიკ მარშანიას ზემოთდასახელებული წიგნის პრეზენტაციაზე, უხეშად დაესხა თავს ამ სტრიქონების ავტორს, მხოლოდ იმიტომ, რომ მან მორიდებულად, მეცნიერული და ადამიანური ეთიკის სრული დაცვით, მიუთითა წიგნის ავ-

¹ იხ.: **Л. Маршания.** Абхазия. Пути к миру и возрождению. Тб., 2006, გვ. 210. ხაზგასმა ჩვენია – ზ.პ.).

ტორს, მის მიერ უნებლიედ დაშვებულ შეცდომაზე). შევეცდებით ახსნა მოვუძებნოთ აფხაზეთის ქართველობის ამ კატეგორიის ამგვარ, მე ვიტყვოდი კაპიტულანტურ, პოზიციას.

უკანასკნელი ათწლეულების (საბჭოთა კავშირის ხელისუფლების სათავეში ნიკიტა ხრუშჩოვის მოსვლის შემდეგ) განმავლობაში აფხაზეთში პარტიული და სახელმწიფო ნომენკლატურის მიერ გატარებულმა გამოკვეთილმა პროაფხაზურმა კონიუნქტურამ დააბეჩავა ადგილობრივი ქართველობა, მნიშვნელოვნად დააქვეითა მისი ეროვნული თვითშეგნება და ჩამოუყალიბა არასრულფასოვნების კომპლექსი. უნდა ითქვას, რომ ამაში გარკვეულწილად დამნაშავეა არა მხოლოდ ადგილობრივი სახელისუფლებო სტრუქტურები, არამედ საქართველოს ცენტრალური ხელისუფლებაც. რასაკვირველია, გულუბრყვილობა იქნებოდა, გვეფიქრა, რომ მოსკოვი დაუშვებდა საქართველოს ხელისუფლების მხრიდან ზედმეტად აქტიურ ჩარევას აფხაზეთის „სამინაო“ საქმეებში, მაგრამ ეს მაინც არ ამართლებს თბილისის პასიურობას. ვფიქრობთ, საკავშირო ცენტრის დიქტატის პირობებშიც კი შესაძლებელი იყო ქმედითი მექანიზმების მოძებნა რეგიონში მიმდინარე პროცესების დასარეგულურებლად.

ამის ნაცვლად, სამწუხაროდ, საქართველოს სსრ-ის კომუნისტური ხელმძღვანელობა, ხშირ შემთხვევაში, თვალებს ხუჭავდა და სირაქლემის პოზას იღებდა. განსაკუთრებით კრიტიკას ვერ უძლებს საქართველოს ხელისუფლების საკადრო პოლიტიკა. სრული დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ 60-იანი წლებიდან მაინც კარდინალური საკადრო საკითხები ავტონომიურ რესპუბლიკაში მთლიანად აფხაზური ნომენკლატურის კარნახით წყდებოდა. აფხაზური ნომენკლატურა ყოველნაირად ცდილობდა და წარმატებითაც ახერხებდა, ე.წ. „ქართულ თანამდებობებზე“ შეერჩია და დაენიშნა საშუალო უნარისა და შესაძლებლობების პიროვნებები, რომელთა ქართველობის ხარისხი მხოლოდ და მხოლოდ პასპორტში გაკეთებული ჩანაწერითლა შემოიფარგლებოდა¹.

სეპარატისტები ვერაფრით ვერ დაუშვებდნენ ხელმძღვანელ თანა-

¹ ამის საწინააღმდეგო მაგალითია თუნდაც ცნობილი ვაჟა ზარანდია, რომელიც ვლადისლავ არძინბამ, რეგლამენტის უხეში დარღვევითა და, რაც მთავარია, ქართულ და აფხაზურ მხარეებს შორის არსებული ე.წ. „ჯენტლმენური შეთანხმების“ სრული იგნორირებით, ქართული დეკლარაციის დაუკითხავად, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარედ დაამტკიცებინა აფხაზეთის ახლად არჩეულ უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოს 1992 წლის მაისში. ეს ვაჟბატონი, როგორც ცნობილია, ერთგულად ემსახურა სეპარატისტულ რეჟიმს 1992-1993 წლების ძმათამკვლელი ომის დროს და დღესაც საკმაოდ კომფორტულად გრძნობს თავს უქართველებო აფხაზეთში.

მდებობებზე პატრიოტი ქართველების დაწინაურებას. მათ სჭირდებოდათ უნიათო, არაფრით გამორჩეული, მათი ნების უსიტყვოდ შემსრულებელი ადამიანები, რომელთათვისაც სრულიად უცხო იყო ქართული ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ინტერესები. ის თითო-ოროლა ქართველი მოღვაწე კი, რომელიც გამოიჩინდა „ზომაზე მეტ ქართველობას“ და დაუპირისპირდებოდა აფხაზ ხელისუფალთა ნაციონალისტურ კურსს, იმთავითვე ხდებოდა სეპარატისტების ანგარიშსწორების ობიექტი.

თავის მხრივ საქართველოს ცენტრალური ხელისუფლება არა თუ არ იცავდა ამ ე.წ. „აქტიურ ქართველებს“, არამედ, პირიქით, აფხაზ სეპარატისტთა გულის მოგების მიზნით, დემონსტრაციულად იშორებდა მათ. ამის მაგალითად გამოდგება თუნდაც XXს. 60-70-იანი წლებში სეპარატისტული გამოსვლების ფონზე განხორციელებული საკადრო გადაწყვეტილებები, როდესაც აფხაზური ნომენკლატურისა და სეპარატისტული წრეების მოთხოვნით სოხუმიდან „გამოწვეულნი“ იქნენ: 1967წ. – აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე მიხეილ ჩიქოვანი და საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის მეორე მდივანი დამიანე გოგოხია, ხოლო 1978 წელს – ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ავთანდილ საყვარელიძე და საქართველოს კომპარტიის სოხუმის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი გიორგი ჟორჟოლიანი.

არავითარი მხარდაჭერა არ ჰქონდათ იმ აფხაზ მოღვაწეებსაც, რომლებსაც ქართულ-აფხაზურ ურთიერთობებში მეტ-ნაკლებად ობიექტური პოზიცია ეკავათ და, ასე თუ ისე, ცდილობდნენ, გამიჯვნოდნენ სეპარატისტულ იდეოლოგიას. ეს ტენდენცია განსაკუთრებით გამოიკვეთა 1978 წლის ე.წ. „აფხაზური რევოლუციის“ შემდეგ. ამ მხრივ განსაკუთრებით თვალში საცემია მეჯიდ ხვარცკიასა და იგივე ლორიკ მარშანიას მაგალითი, რომლებიც ერთმანეთის მიყოლებით, 1979-1980 წწ., გაანთავისუფლეს იდეოლოგიის დარგში საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის მდივნის თანამდებობიდან. ამასთან, თუ მ. ხვარცკია იქვე დატოვეს და გადაიყვანეს სამეცნიერო-პედაგოგიურ სამუშაოზე საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტში, ლ. მარშანია საერთოდ მოაშორეს სოხუმს და თბილისში, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის აპარატში „დააწინაურეს“. ამგვარი პოლიტიკის შედეგი იყო ის, რომ აფხაზეთში ჩამოყალიბდა ყოვლად უხერხემლო, აფხაზ ხელისუფალთა მონურ სამსახურს შეჩვეული და მთლიანად მათზე დამოკიდებული ქართული ნომენკლატურა, რომელიც, სამწუხაროდ, ხშირ შემთხვევაში, როგორც პროფესიონალური მომხადების დონით, ისე ზოგადი ინტელექტითაც

აშკარად ჩამოუვარდებოდა მოწინააღმდეგე მხარეს.

აფხაზეთში ქართული მოსახლეობის თანდათანობითი დაბეჩავებისა და მისი საკუთარ სამშობლოშივე მეორეხარისხოვან ხალხად გადაქცევის პროცესს ხელს უწყობდა საქართველოს კომუნისტური ხელისუფლების არათანმიმდევრული და ცალმხრივი პოლიტიკა განათლების, მეცნიერებისა და კულტურის სფეროში. პირველ რიგში, ყურადღება ექცეოდა აფხაზი ეროვნების სამეცნიერო-პედაგოგიური და შემოქმედებითი კადრების მომზადებას, მათთვის მუშაობის საუკეთესო პირობების შექმნას. ყოველნაირად იღვენებოდა ქართული სახელმწიფოებრივი სულისკვეთების, ქართული სულიერების ნებისმიერი სახით გამოვლინება სასწავლო-სამეცნიერო და კულტურულ-შემოქმედებით დაწესებულებებში. ამის მკაფიო მაგალითია თუნდაც ის, თუ რა აუტანელ პირობებში უხდებოდა მოღვაწეობა ქართულ დასს სამსონ ჭანბას სახელობის სოხუმის სახელმწიფო დრამატულ თეატრში; როგორი წინააღმდეგობით ხვდებოდნენ აფხაზები ქართული სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის ჩამოყალიბებას; რა გადაულახავ სიძნელეებს აწყდებოდნენ ქართველი მწერლები თავიანთ ნაწარმოებთა გამოქვეყნებისას და როგორი ცინიკური დამოკიდებულება იყო მათდამი აფხაზეთის მწერალთა კავშირში.

პოლიტიკურ დანაშაულად ითვლებოდა ქართულ-აფხაზური ისტორიულ-კულტურული ერთობის აღიარება და პროპაგანდა, ხოლო პირებს, რომლებიც შემჩნეულნი იქნებოდნენ ამგვარ „დანაშაულში“, უმაღლვე აკერებდნენ „აფხაზი ხალხის მტრის“, იარლიყს, მაშინ, როდესაც ხელისუფლება არავითარ ზომებს არ იღებდა იმ აფხაზ მოღვაწეთა (მეცნიერების, მწერლების და ა.შ.) მიმართ, რომელთა მთელი საქმიანობა მიმართული იყო საქართველოსა და ქართველი ხალხის წინააღმდეგ. განსაკუთრებით თვალნათლივ გამოძულავნდა ეს ისტორიოგრაფიაში. სწორედ ისტორიული წარსულის გაყალბებამ დაიკავა გამორჩეული ადგილი ნაციონალ-სეპარატისტთა პოლიტიკურ და იდეოლოგიურ არსენალში. საყველთაოდ ცნობილია, თუ რა ურცხვად ატყუებდნენ აფხაზური სეპარატისტული „ისტორიოგრაფიის მამები“ ხალხს თავიანთი ნაცოდვილარით, რა მიწიერ და არამიწიერ ცოდვებში არ სდებდნენ ბრალს საქართველოს სახელმწიფოსა და ქართველ ხალხს, სრულიად უსაფუძვლოდ აცხადებდნენ მათ საუკუნეების მანძილზე აფხაზი ხალხის თავზე დატრიალებული ყველა უბედურებისა და ბოროტების მიზეზად.

ანტიქართული ფსიქოზით დაავადებული ცალკეული ისტორიკოს-პოლიტიკოსები ისეთ მკრეხელობამდეც კი მიდიოდნენ, მზად იყვნენ თვით რუსეთის იმპერიის მიერ XIX საუკუნეში მოწყობილ აფხაზი

ხალხის გენოციდშიც კი ქართველები დაედანაშაულებინათ. და ეს ყველაფერი მათ გასდიოდათ. ქართველი მეცნიერების ნებისმიერი მცდელობა, საკადრისი პასუხი გაეცათ საქართველო-აფხაზეთის ისტორიის გამყალბებლებისათვის, უმეტეს შემთხვევაში, გადაულახავ წინააღმდეგობას აწყდებოდა ხელისუფლების სათანადო სტრუქტურების მხრიდან, როგორც სოხუმში, ისე თბილისში.

ასეთ ვითარებაში, სამწუხაროდ ქართველ ისტორიკოსთა უმრავლესობა (ეს განსაკუთრებით ეხება სოხუმში მოღვაწე მეცნიერებს) ვერ ბედავდა სიტყვის ამოღებას და ღუმილს ამჯობინებდა, ხოლო იმ თითო-ოროლა მეცნიერს, რომელიც არ უშინდებოდა ამ კონიუნქტურას და მაინც იმაღლებდა ხმას, უმაღვე თავს სეპარატისტულად განწყობილი აფხაზების რისხვა ატყდებოდა (ამ მხრივ არაერთი უსიამოვნება შეხვედრია ამ სტრიქონების ავტორსაც.) ყოველივე ამის შედეგი იყო ის, რომ **არამართო აფხაზებმა, არამედ აფხაზეთის ქართველობის საკმაოდ მნიშვნელოვანმა ნაწილმაც მართლა დაიჯერა, რომ აფხაზეთი არასოდეს არ იყო საქართველო, ხოლო აფხაზეთის მკვიდრ მოსახლეობას მხოლოდ და მხოლოდ აფსუა-აფხაზები წარმოადგენენ.** აქედან გამომდინარე, ქართველებს, როგორც „მოსულ ხალხს“ არ უნდა ჰქონოდა უფლება შეცილებოდა რეგიონის ერთადერთ მკვიდრ მოსახლეობას – აფხაზებს, „საკუთარი“ სამშობლოს – აფხაზეთის მოვლა-პატრონობაში.

და მაინც, არავითარი გამართლება არა აქვს აფხაზეთის ქართველობის პასიურობას. როგორც არ უნდა ყოფილიყო ოფიციალური კონიუნქტურა აფხაზეთში, ქართულ მოსახლეობას, პირველ რიგში კი მის პოლიტიკურ ელიტას – პარტიულ-საბჭოთა ნომენკლატურას – არ ჰქონდა უფლება პირში წყალი ჩაეგუბებინა და გულგრილად ეცქირა იმისათვის, თუ როგორ მოურიდებლად ილახებოდა რეგიონის მკვიდრი ქართული მოსახლეობის ეროვნული თავმოყვარეობა ერთი ძუჭა სეპარატისტების მხრიდან. იმის ნაცვლად, რომ დროულად გამოფხინლებულიყო და აფხაზთა ნაციონალისტური დემარშებისათვის აქტიური ეროვნული მოქალაქეობრივი პოზიცია დაეპირისპირებინა, აფხაზეთის ქართული ნომენკლატურის წარმომადგენელთა აბსოლუტური უმრავლესობა, თავისი ლაჩრული ღუმილით კიდევ უფრო ათამამებდა სეპარატისტებს.

უფრო მეტიც, ქართველთა შორის არც თუ ცოტანი იყვნენ ისეთი „მოღვაწენიც“, რომლებიც არა თუ არ იმაღლებდნენ ხმას სეპარატისტული გამოხდომების წინააღმდეგ, არამედ, რიგ შემთხვევებში, პირიქით, ყოველნაირად ცდილობდნენ კრიტიკულ სიტუაციაში გამოკვეთილი პროაფხაზური პოზიცია დაეკავებინათ და ამით თავისი ერთ-

გულება დაემტკიცებინათ „ძლიერთათვის ამა ქვეყნისა“, რათა შემდგომ საჩუქრად „თბილი სავარძელი“ მიეღოთ, ან შეენარჩუნებინათ. დიახ, სწორედ ლაჩრული დუმილი და პირფერობა გახდა ნომენკლატურაში მოხვედრისა და ამ გზით მატერიალური კეთილდღეობის უზრუნველყოფის უმთავრესი საშუალება. ამიტომაც ქართველი კაცის შეგნებაში მყარად გაჯდა აზრი, რომ ვერავითარ წარმატებას ვერ მიღწევ სამსახურებრივად, თუ ვერ გამონახავ „საერთო ენას“ აფხაზობასთან, თუ არ ჩავთვლიან ისინი თავიანთ კაცად. „საერთო ენის“ გამონახვა კი, პირველ რიგში, აქტიურ ეროვნულ პოზიციაზე უარის თქმისა და ფაქტობრივად სეპარატისტთა პოლიტიკურ-იდეოლოგიური გავლენის ქვეშ მოქცევის ხარჯზე ხდებოდა. ვინც არ გაითვალისწინებდა ამას, ის, ბუნებრივია, იმთავითვე განწირული იყო. ყოველივე ეს ქართველ კაცს ლაქიის ფსიქოლოგიას უნერგავდა. სამწუხაროდ, სწორედ ამგვარმა ფსიქოლოგიამ გამოიწვია აფხაზეთის ქართველობის დიდი ნაწილის ეროვნული თავმოყვარეობის სრული დეგრადაცია.

ასეთ ვითარებაში ვერ აღმოჩნდა მოწოდების სიმაღლეზე აფხაზეთის ქართული სამეცნიერო და შემოქმედებითი ინტელიგენცია, რომელსაც არ ეყო გამბედაობა და ვერ იტვირთა ერის წინამძღოლის ფუნქცია. ესეც არ იყო შემთხვევითი, ვინაიდან ქართული ინტელიგენციაც, ისევე როგორც ნომენკლატურა, ყალიბდებოდა პროაფხაზური კონიუნქტურის პირობებში და იმთავითვე ექცეოდა მისი გავლენის ქვეშ. ფაქტობრივად, ქართველი მწერლები, მეცნიერები, იშვიათი გამონაკლისის გარდა, სრულ ინდეფერენტულობას იჩენდნენ რეგიონში მიმდინარე პროცესებისადმი და არანაირად არ ცდილობდნენ, დაპირისპირებოდნენ თავიანთი აფხაზი კოლეგების ანტიქართულ გამოხდომებს. უფრო მეტიც, ამ სფეროშიც გამოიკვეთა აფხაზური ნაციონალისტური ღინების ფარვატერში მავალ ქართველ მწერალთა და მეცნიერთა ერთგვარი „ელიტა“, რომელთაც არასოდეს მიუტანიათ გულთან საერთო-ქართული ეროვნული სატკივარი და, რომელიც სათანადოდ იყო დაფასებული აფხაზური ხელისუფლების მიერ. ნიშანდობლივია, რომ ამ ე.წ. „ელიტის“ ზოგიერთი წარმომადგენელი 1993 წლის ტრაგედიის შემდეგ სოხუმში დარჩა და დღესაც „წარმატებით“ განაგრძობს თავის „შემოქმედებით მოღვაწეობას“ სეპარატისტული რეჟიმის საამებლად.

ერთი სიტყვით, ათეული წლების მანძილზე აფხაზეთის ქართველობის მხრიდან პოლიტიკურ ასპარეზზე აფხაზთა „მონოპოლიური უფლებებისადმი“ სრულმა შემგუებლობამ და „უსიტყვო მორჩილებამ“ გაათამაშა სეპარატისტები, ხელი შეუწყო აფხაზობის მმართველ ერად ჩამოყალიბებასა და აფხაზური ეთნოკრატიისა და ეთნოდექტატურის დამ-

ყარებას ავტონომიურ რესპუბლიკაში. ქართველობის ამგვარმა პასიურობამ მიიყვანა ერთი მუჭა სეპარატისტები იმ დასკვნამდე, რომ იქაურ ქართველებს არა თუ არა აქვთ უფლება, არამედ მათ საერთოდ არ დაეშაოთ და არცა აქვთ მოთხოვნილება, დაიცვან თავისი ეროვნული ინტერესები და რომ ისინი უბრალოდ ვალდებული არიან, უსიტყვოდ დაემორჩილონ ცხოვრების იმ წესს, რომელსაც აფხაზური ეთნოკრატია კარნახობდა.

აი ამან გამოიწვია სეპარატისტთა გათავზელება. სწორედ აფხაზეთის ქართველობის უნიათობამ და ბედოვლათობამ დაარწმუნა აფხაზები იმაში, რომ მათ ყველაფრის უფლება გააჩნიათ: აქვთ უფლება რეგიონის მოსახლეობის 90%-ს – ქრისტიანებს (მათ შორის, თვით აფხაზთა დიდ ნაწილსაც) თავს მოახვიონ გამოკვეთილი ისლამისტური სახელმწიფოებრივი სიმბოლიკა; აქვთ უფლება ქართველების ნების სრულიად იგნორირებით, უხეშად დაარღვიონ საყოველთაოდ აღიარებული სამართლებრივი ნორმები და შეცვალონ კონსტიტუცია და ამით, ერთი ხელის მოსმით, მეოთხედ მილიონზე მეტი მკვიდრი ქართული მოსახლეობა მოწყვიტონ დედა-სამშობლოს და სხვა სახელმწიფოს მოქალაქეებად აქციონ.

მართალია, 80-იანი წლების II ნახევრიდან საქართველოში ეროვნული მოძრაობის აზვირთება, მოგვიანებით კი აფხაზეთში დატრიალებულმა ტრაგედიამ აფხაზეთის ქართველობის დიდი ნაწილი თითქოს გამოიყვანა „საღათას ძილიდან“ და რამდენადმე მტკიცე ეროვნულ მრწამსზე მოაქცია, მაგრამა ფაქტია ისიც, რომ ათწლეულების მანძილზე ჩამოყალიბებული ფსიქოლოგია (სეპარატისტების ნებისმიერი კაპრიზებისადმი შეგუება) ჯერ კიდევ ბოლომდე არაა დაძლეული. აფხაზეთის ქართველობაში, როგორც ენგურს გაღმა, ისე ენგურს გამოღმაც (!) საკმაოდ არიან ისეთი ადამიანები, რომლებიც კვლავ ძველებურად აპირებენ თავიანთ აფხაზ „მომძეებთან“ ერთად, მათ „ჭკუაზე“, წყნარად, „შეხმატკბილებულად“ ცხოვრებას.

ეს ის ხალხია, რომელიც აფხაზეთის ტრაგედიის მიზეზებს ეძებს არა აფხაზურ სეპარატიზმსა და მოსკოვის იმპერიულ პოლიტიკაში (უკიდურეს შემთხვევაში, არა მხოლოდ ამაში), არამედ „ექსტრემისტულად განწყობილი“ ქართველი პოლიტიკოსებისა და ცალკეული პიროვნებების „დესტრუქციულ ქმედებებში“, რომლებმაც დაურღვიეს მათ იდილია და „არიეს“ ქვეყანა. მათთვის არა აქვს არავითარი მნიშვნელობა, თუ როგორი პოლიტიკურ-იდეოლოგიური კონიუნქტურის ქვეშ იცხოვრებენ, ოღონდ პირადი მატერიალური კეთილდღეობა ნუ მოაკლდებათ. მხოლოდ ასეთ ხალხს არ შესწევს უნარი, გაითავისოს საერ-

თო-ეროვნული სატკივარი, არ შეუძლია იმის გაგება, თუ რატომ არ ისურვა 80-იანი წლების მიწურულს მძაფრ პატრიოტულ ნოტაზე შემდგარმა ქართველმა სტუდენტობამ, რომელმაც თავი დააღწია მარქსიზმ-ლენინიზმისა და პროლეტარული ინტერნაციონალიზმის „უკვდავი იდეების“ ტყვეობას, ანტიქართული იდეოლოგიის ბუნაგად ქცეულ აფხაზურ უნივერსიტეტში დარჩენა. მხოლოდ ასეთ ხალხს შეუძლია დაინახოს კრიმინალი იმაში, რომ ქართველ ახალგაზრდას საკუთარ სამშობლოში – საქართველოში, რომლის განუყოფელ ნაწილსაც წარმოადგენს აფხაზეთი, საერთო-ქართული ეროვნულ-სახელმწიფოებრივი სულისკვეთების მატარებელ უმაღლეს სასწავლებელში სურდა სწავლა.

ასე რომ, 1989წ. აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის გახლეჩა და მისი ქართული ნაწილის ბაზაზე თსუ სოხუმის ფილიალის შექმნა სულაც არ იყო „ქართველ ექსტრემისტთა დესტრუქციული ქმედების“, მით უფრო „კარიერასა და ფულს დახარბებულ“ ქართველ პროფესორ-მასწავლებელთა ჯიუტი აზირება, როგორც ამას აბრალებდნენ და დღესაც აბრალებენ აფხაზეთის ქართველობის საერთო-სახალხო საპროტესტო (სხვათა შორის აფხაზეთის სინამდვილეში მანამდე უპრეცედენტო) აქციის ორგანიზატორებსა და მონაწილეებს სეპარატისტები და მათი ლაქია ცალკეული მედროვე ქართველები. ეს იყო ქართული აფხაზეთისათვის დაწყებული დიდი ეროვნული ბრძოლის პირველი რეალური ნაყოფი. ამით აფხაზეთის ქართველობამ, პირველად უკანასკნელი 40 წლის მანძილზე, აშკარად დაანახა მოსკოვისაგან შეგულიანებულ სეპარატისტულ ძალებს, რომ აფხაზეთი მათი სამშობლოცაა და რომ ისინი არავის მისცემენ დანარჩენი საქართველოსაგან მისი მოწყვეტის ნებას. ქართველმა სტუდენტებმა და პროფესორ-მასწავლებლებმა ხმამაღლა განაცხადეს, რომ აფხაზეთის უნივერსიტეტი (ხაზს ვუსვამ, აფხაზეთის და არა აფხაზების) მათთვის ისეთივე მშობლიურია, როგორც აფხაზეთის და რომ ისინი არ დაუშვებენ ამ უნივერსიტეტის სეპარატისტების მიერ ერთიანი ქართული სახელმწიფოებრიობის წინააღმდეგ 1989 წლის 18 მარტს ლიხნში ოფიციალურ (ავტონომიური რესპუბლიკის პირველი პირების) დონეზე გამოცხადებული „ჯვაროსნული ომის“ იდეოლოგიური მედროშის როლში გამოსვლას.

დიახ, სწორედ ლიხნის თავყრილობაზე მიღებულმა ექსტრემისტულმა და ანტიკონსტიტუციურმა გადაწყვეტილებებმა ააფეთქა უნივერსიტეტი, სწორედ ამ თავხედურმა გადაწყვეტილებებმა გახლიჩა აფხაზეთის საზოგადოება ორ ნაწილად და არა იმან, რომ ქართველ მწერლებს მოუნდათ თანამდებობები მწერალთა კავშირში ან სოხუმის თეატრის ქართული დასი აუხირდა აფხაზურ დირექციას, ხოლო სოხუ-

მის „დინამოს“ ქართველმა ფეხბურთელებმა **საკუთარი ქვეყნის ჩემპიონატში** არჩიეს თამაში. დროა, ერთხელ და სამუდამოდ, გავიგოთ, რომ ყოველივე ეს იყო შედეგი არა ქართველთა აზიურებისა და ე.წ. „კარიერისტული ამბიციებისა“, არამედ საპასუხო რეაქცია სეპარატისტების თავგასულ პარპაშზე.

ეს იყო ბრძოლა იმპერიისა და მის დამქაშთა წინააღმდეგ საქართველოსა და ქართული სახელმწიფოსათვის, აფხაზეთში ქართული ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ცნობიერების დამკვიდრებისათვის. აი, ამ ბრძოლის ავანგარდში ჩადგა ყველაზე კრიტიკულ ჟამს აფხაზეთის უნივერსიტეტის ქართველი სტუდენტობა და პროფესორ-მასწავლებლები, რომლებმაც სრული დაუმორჩილებლობა გამოუცხადეს სეპარატისტულ კონიუნქტურას. აქვე არ შეიძლება საგანგებოდ არ აღვნიშნოთ, რომ ქართველ სტუდენტთა და პროფესორ-მასწავლებელთა დაუმორჩილებლობის აქციის მაშინდელი ლიდერები სულაც არ ისახავდნენ მიზნად მაინცდამაინც დამოუკიდებელი უმაღლესი სასწავლებლის დაარსებას,¹ პირიქით, **მათი უმთავრესი ამოცანა სწორედ რომ აფხაზეთის უნივერსიტეტის გადარჩენა იყო.** ერთადერთი აუცილებელი პირობა, რომლის შესრულებასაც ისინი კატეგორიულად აყენებდნენ, იყო, უნივერსიტეტი (უფრო სწორად, მისი აფხაზური ხელმძღვანელობა რექტორის, პროფ. ალექო გვარამიას მეთაურობით) ოფიციალურად გამიჯვნოდა ე.წ. „ლიხნის დეკლარაციას“. აფხაზეთის უნივერსიტეტის გახლეჩა და თსუ-ს სოხუმის ფილიალის დაარსება მხოლოდ და მხოლოდ ამ მთავარი მოთხოვნის შეუსრულებლობამ განაპირობა.

¹ სხვათა შორის, ამ იდეას მოწინააღმდეგენი ჰყავდა, და არა მხოლოდ სახელისუფლებო წრეებში, გარკვეულწილად მას კრიტიკულად შეხვდნენ ქართული ეროვნული მოძრაობის ცალკეული ლიდერები, სამეცნიერო და შემოქმედებითი ინტელიგენციის წარმომადგენლები, მათ შორის, ქართული ეროვნული მოძრაობის ერთ-ერთი თავკაცი, სრულიად საქართველოს რუსთაველის საზოგადოების პრეზიდენტი აკაკი ბაქრაძე, რომელიც საპროტესტო აქციის მონაწილეებს მოუწოდებდა, არ დაეტოვებინათ უნივერსიტეტი და შიგნიდან ებრძოლათ სეპარატისტული იდეოლოგიის წინააღმდეგ.

ო მ ი ს ე ქ ო

საქართველოს სახელმწიფოს საგარეო-პოლიტიკური და სამხედრო დოქტრინა*

განსახილველი საკითხები:

1. საქართველოს სახელმწიფოს გეოპოლიტიკური მდგომარეობა;
2. საქართველოს რესპუბლიკის საგარეო-პოლიტიკური დოქტრინის ძირითადი კონტურები;
3. საქართველოს სამხედრო დოქტრინის ძირითადი არსი.

ლიტერატურა:

- ელ. შვეარდნაძე. ვაშენოთ ახალი დემოკრატიული საქართველო. საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარის ბატონ ელუარდ შვეარდნაძის სიტყვა რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის წინასაარჩევნო კრებაზე 1992 წლის 9 ოქტომბერს. – გაზეთი: „საქართველოს რესპუბლიკა“, № 210-211, 10 ოქტომბერი.
- ელუარდ შვეარდნაძის სიტყვა ჰელსინკში – ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის სხდომაზე 1992წ. 10 ივლისს. – გაზეთი: „საქართველოს რესპუბლიკა“, №127, 1992წ. 11 ივლისი.
- ელუარდ შვეარდნაძის სიტყვა ნიუ-იორკში – გაერო-ს გენერალური ასამბლეის 47-ე სესიაზე, 1992წ. 25 სექტემბერს. – გაზეთი: „საქართველოს რესპუბლიკა“, №194-195, 29 სექტემბერი, 1992წ.

* წარმოდგენილი მასალა მომზადდა 1993წ. გაზაფხულზე აფხაზეთში მიმდინარე სამხედრო დაპირისპირების პერიოდში საქართველოს რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების მეორე საარმიო კორპუსის პირად შემადგენლობასთან აღმზრდელობითი მუშაობის განყოფილებაში ამ სტრიქონების ავტორის (იმუამად აღნიშნული განყოფილების უფროსი ოფიცრის) მიერ. ეს არის ერთგვარი მეთოდური სახელმძღვანელო, განკუთვნილი პირად შემადგენლობასთან მუშაობის დარგში საჯარისო ნაწილების მეთაურთა მოადგილეებისათვის. აღსანიშნავია, რომ ამ მასალის საფუძველზე ჩატარდა დეკცია-საუბრები საქართველოს სახელმწიფოს საგარეო-პოლიტიკურ და სამხედრო დოქტრინაზე საქართველოს რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების ყველა საჯარისო ნაწილში.

- **აღ. ჩიკვაიძე.** „ბოროტსა სძლია კეთილმან, არსება მისი გრძელა!“ *სიტყვა გაერო-ს გენერალური ასამბლეის სესიის სხდომაზე*. – გაზეთი: „საქართველოს რესპუბლიკა“, № 144, 1 აგვისტო.
- **აღ. ჩიკვაიძე.** საუბარი გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ კორესპონდენტთან. – გაზეთი: „საქართველოს რესპუბლიკა“, №262, 26 დეკემბერი, 1992წ.
- **თ. ჯაფარიძე.** საქართველო უბრუნდება ცივილიზებულ ერთა ოჯახს. *საქართველოს რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილის ბატონ თედო ჯაფარიძის გამოსვლა განიარაღებისა და საერთაშორისო უსაფრთხოების საკითხებზე გაერო-ს გენერალური ასამბლეის 47-ე სესიის პირველ კომიტეტში ზოგადი კამათის დროს – 1992წ. 16 ოქტომბერს*. – გაზეთი: „საქართველოს რესპუბლიკა“, № 247, 3 დეკემბერი, 1992წ.
- **თ. ჯაფარიძე.** დაჩქარდეს უსაფრთხოების საერთო-ეროვნული კონცეფციის შექმნა. – გაზეთი: „უწყებანი“, № 9, 6 მარტი 1993წ.

1. საქართველოს სახელმწიფოს გეოპოლიტიკური მდგომარეობა.

საქართველოს სახელმწიფოს საგარეო-პოლიტიკური და სამხედრო დოქტრინის გაშუქებისას პირველ რიგში საჭიროა მოკლედ მიმოვიხილოთ ჩვენი ქვეყნის გეოპოლიტიკური მდგომარეობა.

საქართველო, როგორც ცნობილია, მდებარეობს კავკასიაში – ორი კონტინენტის – ევროპისა და აზიის შესაყარზე. ეს ფაქტორი ისტორიულად ყოველთვის ახდენდა თითქმის გადამწყვეტ გავლენას ჩვენი ქვეყნის საგარეო-პოლიტიკური და სამხედრო მდგომარეობაზე. უძველესი დროიდან დღემდე საქართველოს მიწა-წყალი დაულაშქრავს ათასი ჯურის დამპყრობლებს, რომლებიც კი ოდესმე გამოჩენილან კავკასიის რეგიონში – ასურელ-ურარტელებით დაწყებული ოსმალებითა და ყიზილბაშებით დამთავრებული. ამგვარმა გეოგრაფიულმა მდებარეობამ მნიშვნელოვანწილად განაპირობა ის, რომ საქართველო ერთგვარად „ისტორიამ გეოპოლიტიკურ ჯვარს აცვა“ (ედ. შევარდნაძე).

პოლიტოლოგები სწორად შენიშნავენ, რომ კავკასია პრაქტიკულად ყველა დროში და ეპოქაში გამოირჩეოდა პოლიტიკური არასტაბილურობით, რაც იმის შედეგი იყო, რომ აქ თითქმის მუდმივად ადგილი ჰქონდა „რეგიონის პრედომინანტულ სახელმწიფოთა გეოსტრატეგიული ინტერესების ჭიდილს გავლენის სფეროების გადანაწილებისათვის“ (თ. ჯაფარიძე). ამ თვალსაზრისით კავკასია მიჩნეულია არანაკლებ რთულ რეგიონად ვიდრე, მაგალითად, ბალკანეთი ან ახლო და შუა აღმოსავ-

ლეთი, მაგრამ აღნიშნული რეგიონებისაგან განსხვავებით კავკასიას, საზოგადოდ, და საკუთრივ საქართველოს გეოპოლიტიკურ სიტუაციას მწვავე თავისებურებას ანიჭებდა ის გარემოება, რომ ის ოდითგანვე წარმოადგენდა ერთგვარ ბუფერულ ზონას მძლავრი გეოპოლიტიკური ძალებისათვის და მუდამ იყო მათი მისწრაფებებისა და ინტერესების რეალიზაციის ასპარეზი. აქ ერთმანეთს უპირისპირდებოდნენ დასავლეთისა თუ აღმოსავლეთის, სამხრეთისა და ჩრდილოეთის უძველესი იმპერიები, რელიგიები.

სარწმუნოებრივ-იდეოლოგიურმა დაპირისპირებამ განსაკუთრებული დადი დაასვა რეგიონის საერთო-პოლიტიკურ და კულტურულ-ეკონომიკურ ცხოვრებას ადრეული შუა საუკუნეებიდან – ისლამის აღმოცენებიდან (VIII ს.). იმ დროიდან დაწყებული აქამდე დაუძლეველ ფაქტორად რჩება კონფრონტაცია ქრისტიანობასა და მაჰმადიანობას შორის. სავარაუდოა, რომ, ახლო მომავალში ეს კონფრონტაცია არა თუ არ შენელებს, არამედ შეიძლება კიდევ უფრო გამწვავდეს. ამის საფუძველს იძლევა ისლამური ფუნდამენტალიზმის ახალი გამოცოხლება, რომელიც მოჰყვება ირანის ისლამურ რევოლუციას და რომლის გავლენა შესამჩნევად გაძლიერდა მთელ რიგ ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებში, მათ შორის კავკასიის რეგიონის მაჰმადიანურ მოსახლეობაში.

საქართველოს საგარეო-პოლიტიკურ მდგომარეობაზე გეოპოლიტიკური თვალსაზრისით დიდ როლს თამაშობდა ის ფაქტიც, რომ კავკასია-საქართველოზე გადის ევროპა-აზიის სავაჭრო გზა. ეს გარემოება, რასაკვირველია, იმთავითვე მნიშვნელოვან პოზიტიურ მომენტებსაც შეიცავდა, ვინაიდან ჩვენი ქვეყანა ამ გზით იძენდა სამხრეთისა და დასავლეთის მოწინავე ცივილიზაციების კულტურულ-სამეურნეო გამოცდილებას. მაგრამ ამ გამოცდილების ათვისება მხოლოდ მშვიდობიანობის პირობებში იყო შესაძლებელი.

ამდენად, დღესაც, ის სიკეთე, რაც საქართველომ შეიძლება ნახოს თავისი გეოპოლიტიკური პოზიციების გათვალისწინებით მთლიანად დამოკიდებულია იმაზე თუ რამდენად სტაბილური იქნება საერთო-პოლიტიკური სიტუაცია რეგიონში. აქედან გამომდინარე, ქართული სახელმწიფოს საგარეო-პოლიტიკური კურსი არ შეიძლება შეიცავდეს კონფრონტაციულ მომენტებს და ის მთელი თავისი არსით მხოლოდ მშვიდობიანი, კონსტრუქციული ხასიათის უნდა იყოს. სწორედ ამ ფუძემდებლური პრინციპით ხელმძღვანელობს საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა საგარეო-პოლიტიკური კურსის შემუშავებისას.

2. საქართველოს რესპუბლიკის საგარეო-პოლიტიკური დოქტრინის ძირითადი კონტურები. საქართველოს რესპუბლიკის საგარეო-პო-

ლიტიკურ დოქტრინაზე საუბრისას პირველ რიგში საჭიროა მსმენელთა ყურადღება გამახვილდეს იმ სირთულეებზე, რაც თან ახლავს ახალბედა სახელმწიფოს საგარეო-პოლიტიკური კურსის განსაზღვრას. იმთავითვე უნდა დაფიქსირდეს, რომ ეს არა არის იოლი საქმე, რომ „საგარეო-პოლიტიკური კონცეფციის შემუშავება, – როგორც ამას სავსებით სამართლიანად შენიშნავს საქართველოს რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი პროფ. ალ. ჩიკვაიძე – კვლევითი პროცესია“, რომლის დროსაც უნდა დამუშავდეს მთელი კომპლექსი პრობლემებისა და მის ბაზაზე ჩამოყალიბდეს დღევანდელი საქართველოს მოდელი საერთაშორისო ურთიერთობათა ახალ სისტემაში. ამასთან, ხაზი უნდა გაესვას იმას, რომ საქართველოს (და არა მარტო საქართველოს, არამედ ნებისმიერი სხვა სახელმწიფოს) საგარეო-პოლიტიკური პრიორიტეტების განსაზღვრისას გათვალისწინებული უნდა იქნას ის აქსიომატ ქცეული ჭეშმარიტება, რომლის მიხედვითაც საგარეო პოლიტიკა ქვეყნის საშინაო პოლიტიკის პირდაპირ გაგრძელებას წარმოადგენს.

აქედან გამომდინარე, საქართველოსთან თანამედროვე ცივილიზებული მსოფლიოს ურთიერთობის ინტენსიურობა და ხასიათი მთლიანად იქნება დამოკიდებული იმაზე თუ რამდენად მოსაწონი იქნება მსოფლიოს მოწინავე ქვეყნების თვალში საქართველოს მთავრობის საშინაო-პოლიტიკური კურსი, როგორი ტემპებით განვანხორციელებთ რეფორმებს ეკონომიკაში. ამ თვალსაზრისით, ყურადსაღებია ის გადაწყვეტილებები, რომლებიც მიღებულ იქნა განვითარებული ქვეყნების წარმომადგენლობით ფორუმზე ტოკიოში, სადაც ხაზგასმით აღინიშნა, რომ „დახმარება საბჭოთა კავშირის ყოფილ, ამჟამად დამოუკიდებელ რესპუბლიკებს **ცალ-ცალკე მათთან მომხდარი რეფორმების გათვალისწინებით გამოეყოფა**“ (ალ. ჩიკვაიძე).

დღეს აშკარაა, რომ ჩვენს ქვეყანაში ჭეშმარიტი საბაზრო ეკონომიკის შექმნა შესაძლებელია იმ შემთხვევაში, თუ ხელშეწყობა ექნება ე.წ. „ღია კარის“ პოლიტიკას. ხელსაყრელ პირობებს შევქმნით უცხოური ინვესტიციებისათვის. მაქსიმალურად გამოვიყენებთ მსოფლიოს ეკონომიკურ და ფინანსურ ორგანიზაციებს (საერთაშორისო სავალუტო ფონდი, მსოფლიო ბანკი, შავი ზღვის აუზის ქვეყნების ეკონომიკური თანამშრომლობის სისტემა და სხვ.), რომელთა საქმიანობაშიც უკვე არის ჩართული საქართველო, როგორც ამ ორგანიზაციათა სრულყოფილებიანი წევრი. ყოველივე ამის გარეშე, რასაკვირველია, გაჭირდება უმწვავესი ეკონომიკური კრიზისიდან გამოსვლა, ხოლო ამ პროცესების ინტენსიფიკაცია თავის მხრივ, უშუალოდ დააკავშირებული ყოველმხრივ მოზომილ საგარეო-პოლიტიკურ კურსთან.

ჩვენი ქვეყნის საშინაო-პოლიტიკური კურსის განსაზღვრისას, გასათვალისწინებელია აგრეთვე ის, რომ თანამედროვე ცივილიზებული მსოფლიო არანაკლებ მნიშვნელობას ანიჭებს საზოგადოებრივ ცხოვრებაში დემოკრატიული პრინციპების დანერგვა-განვითარებას. ამკარაა, რომ მსოფლიო თანამეგობრობა მხოლოდ იმ შემთხვევაში დაამყარებს საქართველოსთან მრავალმხრივ კონტაქტებს და ამოგვიდგება მხარში, თუ ჩვენ შევძლებთ თანამედროვე დემოკრატიული ცხოვრების წესებისა და ინსტიტუტების დამკვიდრებას. წინააღმდეგ შემთხვევაში საქართველოს ელის სრული იზოლაცია, რითაც საერთოდ საფრთხე შეექმნება დამოუკიდებელი ქართული სახელმწიფოს არსებობას.

საქართველოს საგარეო-პოლიტიკური დოქტრინის შემუშავებისას, როგორც უკვე აღინიშნა, ამოსავალ წერტილად უნდა მივიჩნიოთ ჩვენი ქვეყნის გეოპოლიტიკური მდებარეობა, კერძოდ კი იმ რეალობის გათვალისწინება, რომ კავკასიის რეგიონზე „მუდმივად ახდენდა და ახდენს გავლენას მსოფლიოს წამყვანი და ჩვენი მეზობელი დიდი სახელმწიფოების პოლიტიკა“ (აღ. ჩიკვაიძე). მაგრამ ამასთან, აუცილებელია კარგად იქნას გაცნობიერებული ის ძირეული ხასიითის ცვლილებები, რომლებსაც ადგილი ჰქონდა საზოგადოდ მსოფლიოში ამ უკანასკნელ ხანს.

მსოფლიოში მიმდინარე გლობალური ცვლილებების არსისა და მათდამი საქართველოს მთავრობის დამოკიდებულების უკეთ გარკვევის მიზნით, საჭიროა მსმენელებს მიეთითოს, ამ თვალსაზრისით, ისეთი საპროგრამო მასალების დამუშავების აუცილებლობაზე, როგორიცაა საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის ედ. შევარდნაძის მიერ ჰელსინკში (ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის სხდომაზე 1992წ. 10 ივლისს) და ნიუ-იორკში (გაერო-ს გენერალური ასამბლეის 47-ე სესიაზე, 1992წ. 25 სექტემბერს) წარმოთქმული სიტყვები; აგრეთვე საქართველოს რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრის ალ. ჩიკვაიძისა (ნიუ-იორკში, გაერო-ს სხდომაზე 1992წ. 31 ივლისს) და საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილის თ. ჯაფარიძის (ნიუ-იორკში განიარაღების საერთაშორისო უსაფრთხოების საკითხებზე გაერო-ს გენერალური ასამბლეის 47-ე სესიის პირველ კომიტეტში) გამოსვლათა ტექსტები.

90-იანი წლების დასაწყისი, როგორც ცნობილია, დაემთხვა ყველა გაგებით უპრეცედენტო მოვლენებს, რომელთა შორის უმთავრესი უნდა იყოს საბჭოთა იმპერიის დაშლა, რის შედეგადაც ათწლეულების მანძილზე ჩამოყალიბებული საერთაშორისო ურთიერთობების სპექტრი თუ მთლიანად არა მნიშვნელოვნად მაინც მოიშალა. მსოფლიო ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე დიდი ზესახელმწიფოს ასეთი ერთბაშად და,

შეიძლება ითქვას, რამდენადმე მოულოდნელი დანგრევა, რომ უმტკივნეულოდ არ ჩაივლიდა ეს, რასაკვირველია, ცხადზე უცხადესი იყო, მაგრამ ალბათ ვერავინ ვერ წარმოიდგენდა თუ ეს გლობალური ხასიათის მოვლენა ადვენ სირთულესა და, რაც მთავარია **გაურკვევლობას** წარმოშობდა საერთაშორისო ურთიერთობებში. სწორად არის შენიშნული, რომ შეიქმნა ისეთი სიტუაცია, როდესაც ძველი კონცეფციები და დოქტრინები მთლიანად ემსხვერპლა პოლიტიკური, ეკონომიკური, სამხედრო, სამართლებრივი, სოციალური გარემოს ცვლილებებს (თ. ჯაფარიძე).

დაიწყო მსოფლიო პოლიტიკური მოწყობისა და გეოპოლიტიკური განაწილების ახალი პროცესები „ახალი სამხედრო-სტრატეგიული, პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური სისტემების მეშვეობით საფუძველი ეყრება ახალ მსოფლიო წყობას, რომელშიც ახალი ტიპის თანამშრომლობა და გლობალური პარტნიორული ურთიერთობა უნდა დამყარდეს. ახალი მსოფლიო წყობის ჩამოყალიბების პროცესი არ იქნება ადვილი. ის ერთა თანამეგობრობისაგან მოითხოვს უპრეცედენტო კონსენსუსის პირობებში მართლაც რომ ერთობლივი ქმედებისათვის მზადყოფნას, ეს კი მაშინდა იქნება შესაძლებელი, თუ დიდი და მცირე ქვეყნები თავიანთ მოქმედებებში დაეყრდნობიან მსოფლიოში მიღებული მორალის კრიტერიუმებს – სამართლიანობას, მშვიდობას, განიარაღებას, დემოკრატიის განვითარებას, ადამიანის უფლებების დაცვასა და კანონის უზენაესობას“ (თ. ჯაფარიძე).

თანამედროვე ეტაპზე საერთაშორისო ვითარება ისეთი სისწრაფით იცვლება, რომ თვით „ძლიერთა ამა ქვეყნისა“-თაც აღარ ძალუძთ საგარეო-პოლიტიკურ კურსში აქცენტების შეცვლა და სათანადო კორექტივების დროული შეტანა. ეს იმდენად დიდ ძალისხმევას მოითხოვს, რომ ამერიკელებსაც კი უჭირთ „ცივი ომის“ შემდგომ პოლიტიკაში პრიორიტეტების ჩამოყალიბება და აბა რა გასაკვირია, რომ ასეთ რთულ სიტუაციაში ჩვენმა ახალბედა სახელმწიფომ ერთბაშად ვერ წარმოადგინოს ყოველმხრივ დახვეწილი საგარეო-პოლიტიკური კონცეფცია. ქართული სახელმწიფოს საგარეო-პოლიტიკური დოქტრინის შემუშავებისას საქართველოს მთავრობა ითვალისწინებს ქვეყნის პოლიტიკურ, ეკონომიკურ-ტექნიკურ, სამხედრო, დემოგრაფიულ პოტენციალს და ამაზე დაყრდნობით არჩევს პრიორიტეტებს.

ჩვენ, ისევე როგორც ნებისმიერი სხვა ქვეყანა, ვაღივებთ ვართ პრიორიტეტების არჩევისას რეალურად შევხედოთ „საკუთარ ზომა-წონას. შესაძლებლობებსა და პერსპექტივებს“ (ალ. ჩიკვაძე). მართალია, საერთაშორისო ორგანიზაციები ძირითადად იმისათვის არის შექმნილი,

რომ ნებისმიერმა სახელმწიფომ (განსაკუთრებით ეს მცირე სახელმწიფოებს ეხება) თავისი სიმართლე არ დაკარგოს, მაგრამ ამასთან არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ პატარა სახელმწიფოს არა აქვს უფლება დიდი შეცდომა დაუშვას. ნებისმიერი სახელმწიფო (ამასთან მცირე უფრო, ვიდრე ძლიერი) კომპრომისის უნარს უნდა ფლობდეს, მით უფრო თუ კომპრომისის ჩარჩოები ქვეყნის პრინციპულ ინტერესებს არ დააზიანებს და მის პრესტიჟს არ შელახავს“ და რაც მთავარია „სწორი საგარეო პოლიტიკისათვის სრულიად შეუთავსებელია ისეთი ამბიციაცია, რომელიც ვიწრო ნაციონალიზმად და პროვინციალობად აღიქმება“ (ალ. ჩიკვაძე).

მაინც რა ადგილი უნდა ეკავოს ახალბედა ქართულ სახელმწიფოს თანამედროვე მსოფლიო პოლიტიკაში და როგორი უნდა იყოს მისი საერთაშორისო საქმიანობის ძირითადი კონტურები.

პირველი და უმთავრესი, რაც ცალსახად გადაწყვეტილად უნდა მივიჩნიოთ ესაა საქართველოს მტკიცე და განუხრელი ორიენტაცია დასავლეთზე. სწორედ პროდასავლური ორიენტაცია უნდა იქცეს ჩვენს ქვეყნის საგარეო-პოლიტიკური დოქტრინის ქვაკუთხედად. მეორე არანაკლებ მნიშვნელოვანი ამოცანა საქართველოს სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკისა, როგორც ეს არაერთხელ აღინიშნა სახელმწიფოს მეთაურის გამოსვლებში, არის აქტიური ნეიტრალიტეტის პოლიტიკის გატარება, ყველა სახელმწიფოსთან მეგობრული ურთიერთობის დამყარება, და რაც მთავარია მეზობელ ქვეყნებთან დიდი გეოპოლიტიკური ძალების ბალანსის მიღწევა, რომელიც სრულებითაც არ მოექცევა წინააღმდეგობაში ზოგად-დასავლურ ორიენტაციასთან.

დავიწყოთ იმის განხილვით, თუ რას ნიშნავს მტკიცე პროდასავლური ორიენტაცია და რამდენად რეალურია მისი მიღწევა. საყოველთაოდ ცნობილია, საქართველო, მიუხედავად იმისა, რომ ისტორიულად ყოველთვის განიცდიდა აღმოსავლური სამყაროს გავლენას, ძირითადად მაინც, თავისი ცხოვრების წესით, მუდამ რჩებოდა დასავლური ყაიდის ქვეყნად. ამის ნათელი დადასტურებაა თუნდაც ის, რომ სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ის მოდელი, რომელიც საქართველომ შექმნა შუა საუკუნეებში ქართული ფეოდალიზმის სახით, ტიპოლოგიურად, დასავლეთ ევროპულის ერთგვარ ანალოგს წარმოადგენს.

მთელი თავისი მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე საქართველო თითქმის ყოველთვის მკვეთრად ავლენდა სწრაფვას დასავლეთისაკენ, იქნებოდა ეს საბერძნეთ-რომისა თუ ბიზანტიის ეპოქა, მაგრამ პროდასავლური ორიენტაცია განსაკუთრებით აქტუალური გახდა მას მერე, რაც 1453წ. თურქებმა დაიკავეს კონსტანტინოპოლი და ამით სრულიად ახალი გეოპოლიტიკური სიტუაცია შექმნეს აღმოსავლეთში.

მუსლიმანურ გარემოცვაში აღმოჩენილ ქრისტიანული საქართველოსათვის დასავლური სამყაროსაგან მოწვევით კატასტროფის ტოლფასი იყო და, ბუნებრივია, ქართველმა პოლიტიკურმა წრეებმა იმთავითვე დაიწყეს ზრუნვა ამ გარემოცვისაგან თავის დასაღწევად. მაგრამ, სამწუხაროდ, ჩვენი წინაპრების არაერთგზის მცდელობებს XV-XVIII საუკუნეებში შედეგი არ მოყოლია.

მართალია, გამოჩნდა ერთგვარი ალტერნატივა დიდი ჩრდილოელი მეზობლის „ერთმორწმუნე“ რუსეთის სახით, მაგრამ, როგორც შემდგომ გაირკვა, ორიენტაციამ რუსეთზე ვერ გაამართლა ის იმედები, რომლებსაც ამყარებდნენ მასზე ქართველი პოლიტიკოსები. ევროპული განვითარების ზღურბლზე მდგარმა რუსეთის იმპერიამ საქართველოს მიმართ გააკეთა ის, რისი გაკეთებაც სამი საუკუნის მანძილზე ვერ მოახერხეს ირანმა და თურქეთმა – მოსპო ეროვნული სახელმწიფოებრიობა და ამით საქართველო დიდი ხნით მსოფლიო პოლიტიკური ცხოვრებიდან ამოავლო.

1918წ. მას მერე, რაც ბოლშევიკური რევოლუციის შედეგად რუსეთი სამოქალაქო ომის ქაოსმა მოიცვა დასავლეთის, კერძოდ კი გერმანიის აქტიური მხარდაჭერის წყალობით, საქართველომ დროებით შესძლო რუსეთის „კლანჭებიდან“ თავის დაღწევა და ეროვნული სახელმწიფოებრიობის აღდგენა, ამით ჩვენს ქვეყანას მიეცა შანსი ფართო საერთაშორისო არენაზე გასვლისა. მაგრამ არც ამჯერად მიიღო საქართველომ ის აუცილებელი თანადგომა დასავლეთისაგან, რომელიც საჭირო იყო დამოუკიდებლობის შესანარჩუნებლად. პირველ მსოფლიო ომში გამარჯვებულმა ანტანტამ, სამწუხაროდ, ვერ შესძლო ბოლშევიკური ავანტურის ლიკვიდაცია რუსეთში და 20-იანი წლების დამდეგიდან რუსეთი კვლავ გადაიქცა მთავარ ფაქტორად კავკასიისა და ახლო აღმოსავლეთის გეოპოლიტიკურ ბალანსში. საქართველო კვლავ გაიწირა.

90-იანი წლების დამდეგს საბჭოთა იმპერიის დაშლის შედეგად განვითარებულმა მოვლენებმა საქართველოს დასავლეთთან მტკიცე დაკავშირების სრულიად ახალი პერსპექტივები შექმნა. არ არის დასამალი, უფრო მეტიც, კატეგორიულად შეიძლება ვამტკიცოთ, რომ, ამჯერად დასავლეთის ქვეყნების საქართველოსთან მჭიდრო პოლიტიკური და კულტურულ-ეკონომიკური კონტაქტების დამყარებას ძლიერი, შეიძლება ითქვას გადამწყვეტი იმპულსი შემატა ელუარდ შევარდნაძის – მსოფლიო მასშტაბის პოლიტიკური მოღვაწის პიროვნულმა როლმა, რომლის განსაკუთრებული ღვაწლი კომუნისტურ-ტოტალიტარული სისტემის მსხვერველსა და „ცივი ომის“ ეპოქის დასრულებაში ასე ცალსახადაა აღიარებული საერთაშორისო არენაზე. ყოველგვარი გადაჭარბე-

ბის გარეშე შეიძლება ითქვას, რომ ედ. შევარდნაძის საქართველოს სახელმწიფოს სათავეში მოსვლის შემდეგ დასავლეთის დაინტერესება ახალი საქართველოთი ერთი-ორად გაიზარდა და თუ რაიმე გლობალურ კატაკლიზმებს არ ექნება ადგილი, ჩვენს ქვეყანას შეიძლება დაეკისროს ახალი მნიშვნელოვანი ფუნქცია, რაც იმაში უნდა გამოიხატოს, რომ ის შეასრულებს აქტიური შუამავლის როლს დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის.

ქართული სახელმწიფოს სწორედ ამ ფუნქციის შესრულების პირველ გამოვლინებად უნდა მივიჩნიოთ საქართველოს სამთავრობო დელეგაციის საქმიანობა ირანში ვიზიტისას. მართალია, ამის ფართო აფიშირება არ მომხდარა, მაგრამ აშკარაა, რომ ედ. შევარდნაძის მოლაპარაკებებს ირანის ხელმძღვანელობასთან უმაღლეს დონეზე ამგვარი დატვირთვა უდავოდ ჰქონდა. მხედველობაში გვაქვს ამერიკა-ირანის გამწვავებული ურთიერთობის შესაძლო მორეგულირება ახლო მომავალში და ამ პროცესში საქართველოს პოლიტიკური ლიდერის აქტიური დიპლომატიური მონაწილეობა. წინააღმდეგ შემთხვევაში, ძნელი წარმოსადგენია, რომ აშშ-ის ადმინისტრაციას მოსწონებოდა საქართველოს ხელმძღვანელობის, ერთი შეხედვით ისეთი უაღრესად „ანტიამერიკული“ ნაბიჯი, როგორც ამერიკისადმი აშკარად მტრულად განწყობილ ქვეყანასთან – ირანთან კეთილმეზობლური, მეგობრული ურთიერთობის დამყარებაა. დასავლეთი, როგორც ჩანს სერიოზულად აპირებს დაეყრდნოს საქართველოს, რეგიონის სხვა მწვავე საერთაშორისო პრობლემების მოგვარების საქმეშიც.

საქართველოს სწრაფვა, გახდეს დასავლური ცივილიზებული პოლიტიკური სამყაროს ნაწილი ბევრადაა დამოკიდებული ურთიერთობებზე წამყვან სახელმწიფოებთან, პირველ რიგში ამერიკის შეერთებულ შტატებთან. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ამჟამად ჩვენი ქვეყნის ურთიერთობები აშშ-ისთან ძალზე დამაიმედებელია. საქართველო-აშშ-ის დაახლოების თვალსაზრისით, უდავოდ საეტაპო იყო სახელმწიფო მდივნის ჯეიმს ბეიკერის ჩამოსვლა თბილისში 1992წ. მაისში, აგრეთვე სახელმწიფოს მეთაურის ე. შევარდნაძის ოფიციალური ვიზიტი ამერიკის შეერთებულ შტატებში.¹

საქართველოს სახელმწიფოსათვის არანაკლებ პრიორიტეტულია ურთიერთობები გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკასთან. ორ ქვეყანას

¹ წარმოდგენილი დოკუმენტაციის მოხსენების ჩვენს ხელთ არსებული პირი, რომელიც სოხუმიდან გამოგვყვა, ნაკლებად აღმოჩნდა (მას აკლია 1 გვერდი), ხოლო თავდაცვის სამინისტროს არქივში, სამწუხაროდ არ აღმოჩნდა მისი ასლი. ამიტომ ფრაგმენტი, რომელიც ეხება საქართველო-ამერიკის შეერთებული შტატების ურთიერთობებს არ არის სრული.

შორის ურთიერთობების დასაწყისი იყო ვიცე-კანცლერისა და საგარეო საქმეთა მინისტრის ჰანს-დიტრიხ გენშერის ვიზიტი საქართველოში. გერმანიის, როგორც ახალბედა ქართული სახელმწიფოს ერთგული მოკავშირისა და მფარველის როლი ცალსახად გამოიკვეთა ამ უკანასკნელ ხანს, რაც გამოიხატა გფრ-ს მთავრობის ამასწინანდელ განცხადებაში საქართველო-რუსეთის ურთიერთობების დაძაბვის თაობაზე, რომელშიც გერმანიის მხარემ ყოველგვარი რევერანსების გარეშე გააფრთხილა რუსეთის ხელისუფლება, რომ საქართველოს სუვერენიტეტის შელახვის შემთხვევაში, ის გადასინჯავს ურთიერთობას მოსკოვთან.

კარგი ურთიერთობა აქვს საქართველოს დიდ ბრიტანეთთან, რომელთანაც დაიღო ხელშეკრულება განათლების, მეცნიერებისა და კულტურის დარგში თანამშრომლობის შესახებ. ხელმოწერილია აგრეთვე შეთანხმება ინვესტიციების დაცვისა და წახალისების შესახებ და დეკლარაცია – ორი ქვეყნის საგარეო საქმეთა სამინისტროების თანამშრომლობის შესახებ. მიუხედავად საფრანგეთის დღევანდელი ხელისუფლების ერთგვარი პასიურობისა მაინც აღმაგალი ხაზით ვითარდება ურთიერთობა ამ ქვეყანასთან. საკმაოდ ჩქარი ტემპებით ვითარდება პოლიტიკური და ეკონომიკური ურთიერთობები იტალიასთან. იგივე ითქმის ჩვენი ქვეყნის ურთიერთობებზე იაპონიასთან, კანადასთან, ესპანეთთან და ა.შ. ყოველივე ეს კი იმის საწინდარია, რომ საქართველო ამჯერად მაინც შესძლებს მტკიცედ დაადგეს დასავლური ცივილიზაციისაკენ მიმავალ გზას.

როგორც უკვე აღინიშნა, თანამედროვე ქართული სახელმწიფოს ამჟამად გამოკვეთილმა პროდასავლურმა ორიენტაციამ ოდნავადაც არ უნდა შეაფერხოს ჩვენი ქვეყნის ურთიერთობები მეზობელ სახელმწიფოებთან. ყოველგვარი დაეჭვების გარეშე შეიძლება ითქვას, რომ ამ მხრივ არავითარი საშიშროება არ ემუქრება ჩვენს ურთიერთობებს თურქეთის რესპუბლიკასთან, რომელიც ამ უკანასკნელ ხანს თავად მტკიცედ დაადგა ევროპული განვითარების გზას და მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწია ამ მიმართულებით. დღეს ყველასათვის კარგად არის ცნობილი თურქეთის სამხედრო-პოლიტიკური და ეკონომიკური პოტენციალი – ამ თვალსაზრისით ის ევროპის ერთ-ერთ მძლავრ სახელმწიფოს წარმოადგენს. ამიტომ უაღრესად მნიშვნელოვანი და ამავე დროს სასიხარულოცაა ის ფაქტი, ამ ქვეყანამ ასე ოპერატიულად გამოგვიწოდა დახმარების ხელი, დადო რა პირველმა ფართო მასშტაბის ხელშეკრულება საქართველოს რესპუბლიკასთან. ამით ქვეყანამ, რომელიც ტრადიციულად ჩვენს ისტორიულ მტერს წარმოადგენდა, პირველად დაამყარა საქართველოსთან მტკიცე მეგობრული, **თანასწორუფლებიანი**

ურთიერთობა.

საქართველო-თურქეთის ურთიერთობის შემდგომი გაღრმავების საქმეში ალბათ დიდ როლს შეასრულებს ორივე ქვეყნის აქტიური პარტნიორობა ახლად შექმნილ შავი ზღვის აუზის სახელმწიფოთა თანამშრომლობის ორგანიზაციაში. რასაკვირველია, თურქეთს „როგორც შავი ზღვისპირეთის ერთ-ერთ უძლიერეს ქვეყანას თავისი ინტერესები აქვს“, რაც თუნდაც იმაში გამოიხატება, რომ ევროპის „საერთო ბაზარში“ შესვლა სურს და ახალი თანამშრომლობის პოლიტიკური ლიდერობა კი ამ კუთხით გარკვეულ ქულებს შესძენს. მაგრამ ფაქტია, რომ თურქეთის ეს ლტოლვა სრულებითაც არ ბღალავს ჩვენს ინტერესებს. პირიქით, დღეს ყველა პირობა არსებობს იმისათვის, რომ თურქეთთან დავამყაროთ ისეთი ურთიერთობა, „რომელიც რელიგიურად განსხვავებული ძლიერი და მცირე სახელმწიფოს კეთილი დამოკიდებულებისა და ინტერესთა დამთხვევის მაგალითი იქნება“ (ალ. ჩიკვაიძე).

ამ უკანასკნელ პერიოდში ქართულმა დიპლომატიამ გრანდიოზული ნაბიჯები გადადგა ირანთან ურთიერთობის მორეგულირების საქმეში და, რაც მთავარია, ეს მოხდა ისე, რომ არავითარი ზიანი არ მიყენებია საქართველო-აშშ-ს ურთიერთობებს. თანამედროვე საერთაშორისო პოლიტიკაში ოდნავად ჩახედული კაცისთვისაც კი აშკარაა, თუ რა დიდ რისკთან იყო დაკავშირებული, ამ თვალსაზრისით, საქართველოს სახელმწიფო დელეგაციის, მართლაც რომ ისტორიული ვიზიტი ირანში – ქვეყანაში, რომელიც ჯერ-ჯერობით თავის საგარეო პოლიტიკას მთლიანად ანტიამერიკულ ფუნდამენტზე აგებს. ძნელი გასაგები არ უნდა იყოს, თუ რა ჭეშმარიტად ფილიგრანული დიპლომატიური ხელოვნება იყო საჭირო ჩვენი ქვეყნის ლიდერის მხრიდან იმისათვის, რომ არც ირანის ხელმძღვანელობა გაელიზიანებინა საქართველოს გამოკვეთილ პროამერიკულ ორიენტაციას და არც ვაშინგტონს აღძვროდა რაიმე ეჭვები დღევანდელი ირანის მესვეურებთან საქართველოს ხელმძღვანელობის ასეთი თბილი დამოკიდებულების გამო.

საბოლოოდ, ვიზიტმა თავისი შედეგებით ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. რომ არაფერი ვთქვათ ამ ეკონომიკურ სარგებელზე, რაც უნდა მოუტანოს ჩვენს ქვეყანას თეირანში დადებული ხელშეკრულებების რეალიზაციამ, უაღრესად დიდია ამ ვიზიტის შედეგები პოლიტიკური თვალსაზრისით. როგორც ირკვევა, თეირანის შეხვედრების შემდეგ შესამჩნევად გამოცოცხლდა მუსლიმანური სამყაროს დაინტერესება საქართველოთი. ამის დადასტურებაა თუნდაც აზერბაიჯანის რესპუბლიკის ასეთი მკვეთრი „მობრუნება“ ჩვენი ქვეყნისაკენ და აგრეთვე ედ. შევარდნაძისა და ჯ. დუდაევის სენსაციური შეხვედრა ბაქოში, რომ-

ლის შედეგად ჩეჩნეთის პრეზიდენტმა, როგორც თვითონ აღნიშნა, ძირეულად შეიცვალა თავისი უწინდელი დამოკიდებულება საქართველოს დღევანდელი ხელისუფლების მიმართ.

პოზიტიური მიმართულებით ვითარდება ჩვენი ურთიერთობა სომხეთთანაც, თუმცა არ შეიძლება იმის არ აღნიშვნაც, რომ ერევანი ჯერჯერობით არ იჩენს ისეთ აქტიურობას საქართველოსთან ურთიერთობაში, როგორც უბრალოდ მართებს სომხეთის გეოპოლიტიკური მდებარეობაში ჩავარდნილ სახელმწიფოს, უდავოდ კეთილად განწყობილი მეზობლისადმი. რაც შეეხება ყარაბაღის კონფლიქტს, რომელიც, რასაკვირველია, ერთგვარ გავლენას ახდენს ჩვენს ურთიერთობებზე სომხეთთან და აზერბაიჯანთან, აქ საქართველო ვალდებულია ბოლომდე დარჩეს ნეიტრალური, როგორც ეს აქამდე იყო. უფრო მეტიც, ბოლო პერიოდში იკვეთება საკმაოდ კარგი პერსპექტივები იმისათვის, რომ ქართული დიპლომატია გამოვიდეს აქტიური შუამავლის როლში და ხელი შეუწყოს კონფლიქტის მშვიდობიანად მოგვარებას. ეს იქნება გამოვლინება სწორედ იმ აქტიური ნეიტრალიტეტის პოლიტიკისა, რომლის გატარებასაც აპირებს ჩვენი სახელმწიფო საერთაშორისო არენაზე.

საქართველოს საგარეო პოლიტიკურ დოქტრინაზე საუბრისას საჭიროა განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდეს ჩვენი ქვეყნის დამოკიდებულებაზე ე.წ. დსთ-სთან და აგრეთვე რუსეთ-საქართველოს ურთიერთობაზე თანამედროვე ეტაპზე. მსმენელებს უნდა განემარტოთ, რომ ჯერ კიდევ არ არის კარგად გარკვეული თუ რამდენად სიცოცხლისუნარიანი იქნება ეს ახალი გაერთიანება. ჯერ-ჯერობით რჩება ისეთი შთაბეჭდილება, რომ მისმა დამაარსებლებმა ამგვარი გაერთიანების შექმნის იდეა მხოლოდ იმიტომ გამოიგონეს, რომ დაეშალათ საბჭოთა კავშირი, მაგრამ არც ისაა გამორიცხული, რომ გარკვეულ წრეებს რუსეთში სურთ „თანამეგობრობის“ ჭერქვეშ კვლავ შეკრიბონ ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკები და ამჯერად უკვე ამ გზით მოახდინონ იმპერიის მოდერნიზება.

ამ თვალსაზრისით, ის ფაქტი, რომ საქართველო არ გაწევრიანდა დსთ-ში, რასაკვირველია, უდავოდ პოზიტიური მნიშვნელობისაა. თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ რეალურად ეს ბევრ ვერაფერს ცვლის, რადგან **საქართველო კვლავ რჩება იმ ეკონომიკურ და, რაც მთავარია, სამხედრო-პოლიტიკურ სივრცეში, რომელშიც მოქცეულია (და არავინ იცის როდის გამოვლენ იქიდან) ყველა ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკა უკლებლივ, თვით ბალტიის რესპუბლიკების ჩათვლით.** აქედან გამომდინარე, ნებისმიერი მტკიცება იმის თაობაზე, რომ საქართველოს დღევანდელ ხელისუფლებას მაინცდამაინც სურს დსთ-ში შესვლა, ყველა შემთ-

ხვევაში პოლიტიკური უვიცობაა, გარკვეული წრეების მხრიდან კი პოლიტიკური სპეკულაციაა და მეტი არაფერი. **მანამ საქართველო იქნება სამანეთო ზონაში და ეკონომიკურად ძველებურად მჭიდროდ იქნება დაკავშირებული** დსთ-ის ქვეყნებთან (სხვა ალტერნატივა კი ჯერჯერობით, სამწუხაროდ, არ ჩანს) **ჩვენ ფაქტობრივად, გვსურს თუ არ გვსურს, იძულებული ვართ ვიცხოვროთ ერთიანი ეკონომიკური ცხოვრებით.**

იგივე ითქმის პოლიტიკურ ასპექტზეც, რადგან საქართველოში ჯერ კიდევ დგას რუსეთის ჯარი, რომელიც ასრულებს (ყოველ შემთხვევაში უნდა შეასრულოს) დამოუკიდებელი სახელმწიფოსათვის ისეთ უმთავრეს და აუცილებელ ფუნქციას, როგორცაა ქვეყნის საზღვრების დაცვა. სხვა საკითხია, რომ ჩვენმა სახელმწიფომ თავიდან უნდა აიცილოს ის იურიდიული „მარწუხები“, რომელთა მეშვეობითაც მავანს და მავანს შეიძლება სურვილი გაუჩნდეს საქართველოს დაბრუნებისა იმპერიის შემადგენლობაში. პირდაპირ უნდა ითქვას, შექმნილ სიტუაციაში ეს არ არის მთლად ადვილი საქმე. ყველა კარგად ვხედავთ თუ როგორ ვერ ელევა იმპერიული რუსეთი საქართველოს და ეს ბუნებრივია – საქართველო თავისი გეოპოლიტიკური მდებარეობით ყოველთვის იყო მთავარი დასაყრდენი რუსეთის ბატონობისა კავკასიაში.

დღეს რუსეთი მიხვდა, ყოველ შემთხვევაში ოფიციალურად მაინც, რომ უნდა დატოვოს საქართველო, მაგრამ ის ყველაფერს აკეთებს, რათა შეინარჩუნოს აქ თავისი გავლენა მაინც და არ დაუშვას ჩვენი ქვეყნის გამოსვლა რუსეთის სამხედრო-პოლიტიკური სივრციდან მთლიანად. სწორედ ამიტოა გამოწვეული ის ბარიერები, რომლებიც წამდაუწუმ ჩნდება საქართველო-რუსეთის მოლაპარაკებებზე და, რომელთა გამო, დღემდე რუსეთის მხარე არ აწერს ხელს ყოველისმომცველ თანასწორუფლებიან ხელშეკრულებას საქართველოსთან, ასეთ ვითარებაში, საქართველოს ხელისუფლების ცალსახა და უდავოდ სწორი პოზიცია უკავია ე.წ. დსთ-ის მიმართ. თვლის რა ამ გაერთიანებას შინაგანი „წინააღმდეგობებით აღსავსე... გარდამავალ, ცვალებად სტრუქტურად“ საქართველოს მთავრობას მიზანშეწონილად მიაჩნია **არა მასში გაწევრიანება, არამედ ორმხრივი ურთიერთობების დამყარება დსთ-ს თითოეულ სახელმწიფოსთან ცალ-ცალკე** (ალ. ჩიკვაიძე).

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ამ პოლიტიკური კურსის რეალიზაციაზე ბევრადაა დამოკიდებული რუსეთის აგრესიულობის ნეიტრალიზება. ამ თვალსაზრისით, დიდი მნიშვნელობა ენიჭება დსთ-ს წევრ ისეთ მძლავრ სახელმწიფოსთან ურთიერთობას, როგორიც უკრაინაა. არ არის გამორიცხული (და ჩვენი მხრიდან ყველაფერი უნდა გავაკეთოთ ამისათვის), რომ უახლოეს მომავალში შეიქმნას უკრაინა-საქართ-

ველოს ერთგავრი „ტანდემი“, რომელიც წინააღმდეგა რუსეთის იმპერიულ ზრახვებს თუნდაც შავი ზღვის ფლოტის მიმართ და საზოგადოდაც. ამ კუთხით, იმედის მომცემია ის დაინტერესება, რომელსაც ამ უკანასკნელ ხანს იჩენს უკრაინის ხელმძღვანელობა აფხაზეთის კონფლიქტში რუსეთის მონაწილეობასთან დაკავშირებით.

რუსეთ-საქართველოს ურთიერთობების დაძაბვა, რაც, რასაკვირველია, უშუალოდ არის დაკავშირებული აფხაზეთის კონფლიქტთან, აიძულებს საქართველოს ხელისუფლებას ეძიოს სხვა ალტერნატიული გზებიც რუსეთის ფაქტორის ნეიტრალიზებისათვის ქვეყნის შიგნით მიმდინარე სამხედრო-პოლიტიკურ პროცესებში. ამ თვალსაზრისით, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ჩრდილოეთ კავკასიის ხალხებთან ურთიერთობის მოწესრიგებას. საქართველო, როგორც ცნობილია, ისტორიულად, მუდამ იყო მჭიდროდ დაკავშირებული აღნიშნულ რეგიონთან. ქართველებსა და ჩრდილოეთ კავკასიის ხალხებს ერთმანეთთან აახლოებდა საერთო-კავკასიური ნათესაობა და ცხოვრების წესი, თუმცა ეს არ უშლიდა ხელს გარკვეულ კონფრონტაციას ჩვენს ქვეყანასა და ჩრდილოეთ კავკასიის ხალხებს შორის ისტორიის ცალკეულ მონაკვეთებზე. ეს კონფრონტაცია ჩვენი ქვეყნისათვის განსაკუთრებით მტკივნეული იყო მაშინ, როდესაც მისი საერთო სამხედრო პოლიტიკური ძლიერება ეცემოდა და ის გარეშე მტრების შემოსევა-აოხრების ასპარეზად იქცეოდა. ამით უმაღლეს სარგებლობდნენ კავკასიონის ქედს გადაღმა მცხოვრები ცალკეული ტომები (სხვებზე მეტად ოსები და ლეკები) და თავიანთი წვლილი შეჰქონდათ საქართველოს დაცემა-განადგურებაში. მაგრამ იყო ისტორიის ნათელი ფურცლებიც. ის კი არაა ცალკეულ შემთხვევებში (XIII ს.) საქართველო ახერხებდა თავისი სამხედრო-პოლიტიკური კონტროლის ქვეშ მოექცია ეს რეგიონი მთლიანად – „ნიკოფსით დარუბანდამდე“.

დღეს რუსეთის იმპერიული ძალები, აფხაზი და ოსი ექსტრემისტების მეშვეობით მოხდა ანტიქართული „ბუმის“ პროვოცირება ჩრდილოეთ კავკასიაში, რის შედეგადაც ჩვენი ქვეყნის წინააღმდეგ ე.წ. „კავკასიის მთიელ ხალხთა კონფედერაციის“ ეგიდით დაიძრა და თავისებურ „ჯვაროსნულ“ ომში ჩაება აღნიშნული რეგიონის მაჰმადიანური მოსახლეობის გარკვეული ნაწილი. მაინც როგორ შეიძლება ამ აგორებული ანტიქართული ტალღის ჩაცხრობა და ჩრდილოეთ კავკასიის ხალხებთან კეთილმეზობლური, მეგობრული ურთიერთობების დამყარება. სამთავრობო დონეზე ამ პრობლემების მოგვარების შესაძლებლობები რამდენადმე შეზღუდულია, რადგან ჩრდილოეთ კავკასიის ავტონომიები რუსეთის ფედერაციის შემადგენლობაში შედიან და მათთან ცალკე რაიმე ურთი-

ერთობების დამყარება რუსეთის სახელმწიფოს საშინაო საქმეებში ჩარევის პრეცედენტს შექმნის, რასაც, ბუნებრივია, მოსკოვი არ მოითმენს. საქართველო ამ ხალხებთან ურთიერთობებში ძირითადად უნდა დაეყრდნოს არასამთავრობო ორგანიზაციებს, ფართოდ გამოიყენოს სახალხო დიპლომატიის შესაძლებლობები.

და ბოლოს, რუსეთთან ურთიერთობების სტაბილიზაციას ალტერნატივა არა აქვს. ჩვენ არ შეიძლება რუსეთი მტრად მოვიკიდოთ. ეს საქართველოსთვის დამლუპველი იქნება. არ უნდა ავყვეთ ემოციებს. მთავარია, რუსეთთან დიპლომატიურ ჭიდილში იდეოლოგიურად ვაჯობოთ მეტოქეს, მთელ მსოფლიოს დავანახოთ, რომ ჩვენ გვსურს (და სხვანაირად არც შეიძლება იყოს) ახლო, კეთილმეზობლური, მეგობრული ურთიერთობა დავამყაროთ რუსეთის სახელმწიფოსთან. ის დროა უკვე, რუსეთმაც გაითავისოს, რომ საქართველოს სახით მას ჰყავს, მართალია, სამხედრო-პოლიტიკური თვალსაზრისით მასზე ბევრად უფრო სუსტი, მაგრამ **თანასწორუფლებიანი პარტნიორი – დამოუკიდებელი სახელმწიფო და არა ერთ-ერთი საბჭოთა რესპუბლიკათაგანი.** რუსეთის ფედერაციასთან სწორედ ამგვარი ურთიერთობების დამყარების საფუძველზე გახდება შესაძლებელი იმ დიდი გეოპოლიტიკური ბალანსის მიღწევა, რომელიც როგორც უკვე აღვნიშნეთ წარმოადგენს ჩვენი ქვეყნის საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთ უმთავრეს მიზანს.

3. საქართველოს სამხედრო დოქტრინის ძირითადი არსი. საქართველოს სახელმწიფოს საგარეო-პოლიტიკური დოქტრინიდან უნდა გამოძინარეობდეს არსებითად ქვეყნის სამხედრო დოქტრინაც. ამ საკითხის გაშუქებისას აუცილებელია მსმენელებს კარგად განვუმარტოთ, რომ საქართველოს სამხედრო დოქტრინის ძირითადი არსი მდგომარეობს მისი სამხედრო უსაფრთხოების უზრუნველყოფაში, რომ სამხედრო დოქტრინა საერთოდ უნდა იყოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციის შემადგენელი ნაწილი. საქართველოს ხელისუფლება უდიდეს ყურადღებას აქცევს სამხედრო დოქტრინის შემუშავებას. ვინაიდან ჩვენი სახელმწიფო, როგორც უკვე ზემოთ აღვნიშნა, საერთაშორისო არენაზე აქტიური ნეიტრალიტეტის პოლიტიკას ატარებს მისი სამხედრო პოლიტიკაც ადეკვატური უნდა იყოს – ჩვენ აქტიური თავდაცვის პოზიციაზე უნდა ვიდგეთ.

ქვეყნის თავდაცვა გარეშე მტრის შემოსევისაგან – არის სახელმწიფოს უმთავრესი ფუნქცია. ამდენად დამოუკიდებელი სახელმწიფოს მშენებლობისას ხელისუფლება ვალდებულია სწორედ ამ საკითხს მიაქციოს გამორჩეული ყურადღება. საქართველოს, როგორც ცნობილია, თითქმის ორი საუკუნის მანძილზე დაკარგული ჰქონდა ეროვნული სა-

ხელმწიფოებრიობა. მთელი ამ პერიოდის განმავლობაში მხოლოდ 1918-1921 წლებში არსებობდა ეროვნული ჯარი, რომელსაც დაკისრებული ჰქონდა ქვეყნის თავდაცვის უზრუნველყოფა. 1921წ. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ჩვენი ქვეყნის თავდაცვის უზრუნველყოფის მისია ისევ რუსულ ჯარს დაეკისრა. ყოველივე ამან უაღრესად ნეგატიურად იმოქმედა ქართველი ხალხის საბრძოლო უნარიანობის ღონეზე. ქართველი კაცი, ბუნებრივია, ვერ ამუღავნებდა იმ ენთუზიზმს საბჭოთა კავშირის (ფაქტობრივად რუსეთის) შეიარაღებულ ძალებში სამსახურისას, რასაც, ჩვეულებრივ, იჩენენ ხოლმე ეროვნულ ჯარში ყოფნისას.

რასაკვირველია, ეს ოდნავადაც არ აკნინებს ქართველთა გმირულ შემართებას და მაღალ პროფესიონალიზმს მეორე მსოფლიო ომის ფრონტებზე, მაგრამ ფაქტია, რომ ქართველობა ძირითადად მაინც მოუძზადებული აღმოჩნდა იმ სამხედრო ფუნქციის შესასრულებლად, რომელიც წამოიჭრა დამოუკიდებელი სახელმწიფოს წინაშე. ამასთან, საქართველოს შეიარაღებული ძალების შექმნის პროცესი მნიშვნელოვნად გაართულა ჩვენს ქვეყანაში დატრიალებულმა პოლიტიკურმა მოვლენებმა, რომლებმაც არ მოგვცა საშუალება თანმიმდევრულად და დინჯად მოგვეხდინა გადასვლა საბჭოთა ჯარიდან ეროვნულ არმიაზე. ქართული შეიარაღებული ძალების ფორმირება ფაქტობრივად ხორციელდებოდა სტიქიურად, ამან კი, ბუნებრივია, შექმნა გარკვეული სიძნელეები, რომელთა დაძლევა უახლოეს მომავალში ალბათ გაჭირდება. მაგრამ, ქართველმა ხალხმა ყველაფერი უნდა იღონოს მოპოვებული თავისუფლების დასაცავად, ამიტომაცაა ასეთი საშური საქმე თანამედროვე შეიარაღებული ძალების შექმნა. ამისათვის კი უპირველეს ყოვლისა აუცილებელია (და ეს პროცესი ამ ბოლო დროს საკმაოდ ორგანიზებულად მიმდინარეობს) „ერთიანი და მხოლოდ ერთიანი“ არმიის შექმნა (ედ. შევარდნაძე).

მაინც როგორი უნდა იყოს საქართველოს სახელმწიფოს სამხედრო დოქტრინა და რა ხასიათის შეიარაღებულ ძალებზე უნდა იფიქროს ჩვენმა ქვეყანამ. საიდუმლო არ არის, რომ საქართველო თავისი ეკონომიკური და დემოგრაფიული პოტენციალით სამხედრო პოლიტიკაში რაიმე შორსმიმავალ, მით უფრო აგრესიულ მიმართულებაზე ვერ იფიქრებს. ის უდავოდ შეეცდება შეინარჩუნოს შეიარაღებული ძალების ის მინიმალური რაოდენობა, რომელიც საკმარისი იქნება ქვეყნის თავდაცვისათვის, ე.ი. ჩვენი არმიის, საზღვაო და საჰაერო ფლოტის, სამხედრო მრეწველობის შექმნის დოქტრინას საფუძვლად უნდა დაედოს გონივრული საკმარისობის იდეა (ედ. შევარდნაძე). ეს იმას ნიშნავს, რომ

ჩვენი ქვეყნის შეიარაღებული ძალების საერთო რაოდენობა (საერთო ევროპული და ამერიკული ნორმების შესაბამისად) არ უნდა აღემატებოდეს საქართველოს მოსახლეობის 0,6-0,8% ე.ი. 20-25 ათას კაცს.

თანამედროვე საქართველოს შეიარაღებული ძალები პირველ რიგში „უნდა ემსახურებოდნენ საქართველოს დამოუკიდებლობისა და ტერიტორიული მთლიანობის რუსუბლიკის სახმელეთო, საზღვაო და საჰაერო საზღვრების დაცვას“. ამასთან ერთად ისინი უნდა გახდნენ ქვეყნის კონსტიტუციური, დემოკრატიული წყობილების, ეროვნული უსაფრთხოების დაცვის გარანტიც. საქართველო უნდა იყოს ერთგული არაპროვოცირებადი თავდაცვის ძირითადი პრინციპებისა. ჩვენ, რასაკვირველია, რომც გვინდოდეს, მაინც ვერ შევქმნით ისეთ შეიარაღებულ ძალებს, რომლებსაც შეეძლებათ შეაჩერონ ისეთი ძლიერი მეზობლის აგრესია, როგორებიც არიან რუსეთი და თურქეთი, მაგრამ ის მაინც უნდა მოვახერხოთ, რომ სხვა დანარჩენი მეზობლების შემოტევას გავუძლოთ.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ საქართველოს არა აქვს არავითარი ტერიტორიული პრეტენზია, რომელიმე მეზობელი სახელმწიფოს მიმართ. საერთოდ, თანამედროვე ქართული სახელმწიფოს „სამხედრო დოქტრინა, ჩვენი საერთაშორისო სამხედრო კავშირები მხოლოდ თავდაცვითი, ჰუმანური, ცივილიზებული და რაც მთავარია მშვიდობის მოყვარული უნდა იყოს, ისინი არასოდეს არ უნდა იყვნენ მიმართული არამც თუ მეზობლების, არამედ ნებისმიერი სხვა სახელმწიფოს მიმართ, რასაკვირველია, თუ რომელიმე მათგანი არ მიმართავს აგრესიას ჩვენი ქვეყნის წინააღმდეგ“ (ელ. შევარდნაძე)

საქართველოს სახელმწიფოს სამხედრო პოლიტიკაზე საუბრისას აუცილებელია გავითვალისწინოთ ის ფაქტი, რომ ჩვენი ქვეყანა ჯერ კიდევ რჩება რუსეთის სამხედრო-პოლიტიკურ სივრცეში – აქ განლაგებულია რუსეთის ჯარები. როგორც ცნობილია, ამჟამად მიმდინარეობს აქტიური მოლაპარაკებებითი პროცესი რუსეთის მთავრობასთან, ამ ჯარების დროებითი სტატუსის განსაზღვრისა და საქართველოდან მათი გაყვანის ვადების შესახებ. საქართველოს ხელისუფლება ყველაფერს აკეთებს იმისთვის, რომ აღნიშნული ჯარების დროებითი სტატუსის განსაზღვრა დაეფუძნოს, როგორც მსოფლიოში არსებულ პრაქტიკასა და პრეცედენტებს, ასევე საერთაშორისო სამართლის პრინციპებს; გაითვალისწინოს იმ ქვეყნების გამოცდილება, რომელთაც აქვთ უცხო სახელმწიფოების ბაზები და თავიანთ ტერიტორიაზე ჰყავთ მათი ჯარები.

საბოლოოდ კი ქართული სახელმწიფოს სამხედრო პოლიტიკის მიზანი უნდა იყოს რუსეთის სამხედრო-პოლიტიკური სივრციდან თავის დაღწევა და ჩვენი ქვეყნის საერთო ევროპულ სამხედრო-პოლიტიკურ

გაერთიანებაში გაწევრიანება. საქართველოს შეიარაღებული ძალები უნდა თანამშრომლობდნენ მსოფლიოს დემოკრატიული ქვეყნების არმიებთან, ნატოსთან და ა.შ. ამ მიმართულებით, როგორც ცნობილია, უკვე გადაიდგა პირველი ნაბიჯები. ქართველო პოლიტიკურ და სამხედრო მოღვაწეთა ვიზიტები ბრიუსელში – ნატო-ს შტაბ-ბინაში, იძლევა იმის იმედს, რომ არცთუ ისე შორეულ მომავალში ეს პრობლემაც უთუოდ გადაიჭრება. მანამდე კი, ჩვენ უნდა ვიზრუნოთ იმაზე, რომ ქართულმა არმიამ დროულად და კვალიფიციურად აითვისოს ის დიდი სამხედრო გამოცდილება, რომელიც თანამედროვე მსოფლიოს გააჩნია. ის უნდა აღიჭურვოს უახლესი შეიარაღებით, ჯეროვნად დაეუფლოს თანამედროვე სტრატეგიასა და ტაქტიკას. მხოლოდ ამ გზით შევძლებთ ჩვენ ძლიერი, თავდაცვისუნარიანი, მობილური არმიის შექმნას, რომელიც მედგრად დადგება ერისა და მამულის სადარაჯოზე.

აფხაზეთის კონფლიქტის რაობა და მისი მონაწილენი

*ანუ ვინ ებრძოდა საქართველოს**

აფხაზეთის კონფლიქტის შესახებ უკვე საკმაოდ ბევრი ითქვა და დაიწერა. სხვა საკითხებთან ერთად, ყურადღების ცენტრშია კონფლიქტის მიზეზების ძიება და მისი არსის დადგენა. უნდა ითქვას, რომ ავტორთა დიდი უმრავლესობა, სავსებით სამართლიანად მიიჩნევს, რომ აფხაზეთის კონფლიქტი არ დაწყებულა 1992წ. 14 აგვისტოს, როდესაც საქართველოს რესპუბლიკის – მსოფლიო თანამეგობრობის მიერ იმდროისათვის უკვე სუვერენულ სახელმწიფოდ აღიარებული ქვეყნის, გაერო-ს სრულუფლებიანი წევრის – ხელისუფლების გადაწყვეტილებით, სარკინიგზო მაგისტრალების გაძლიერებული დაცვის უზრუნველყოფის მიზნით, თავდაცვის სამინისტროსა და შინაგან საქმეთა სამინისტროს შეიარაღებული ნაწილები გადაადგილდნენ **საკუთარი სახელმწიფოს – საქართველოს – შიგნით** აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე, ე. წ. „აფხაზურმა გვარდიამ“ მოულოდნელად ცეცხლი გაუხსნა ოხურეისთან (ოჩამჩირის რ-ნი) და აგუძერასთან (გულრიფშის რ-ნი). წანამძღვრები აფხაზურ-ქართული სამხედრო დაპირისპირებისა მზადდებოდა, სულ ცოტა, უკანასკნელი ასი წლის მანძილზე, როდესაც ჯერ ცარისტულმა რუსეთმა, ხოლო შემდგომ კრემლის ბოლშევიკურმა რეჟიმმა ყველაფერი გააკეთეს აფხაზობაში ანტიქართული სულისკვეთების გაღვივებისა და აფხაზეთის დანარჩენი საქართველოსაგან მოწყვეტის პირობების შესაქმნელად.

* წაკითხულია მოხსენებად საერთაშორისო კონფერენცია-სემინარზე: „გენოციდისა და ეთნიკური წმენდის პოლიტიკა აფხაზეთში (საქართველო) – აგრესიული სეპარატიზმის მთავარი იარაღი“, 6-7 ივლისი, 1999წ. თბ., 1999. აღნიშნული მოხსენების რუსული და ინგლისური ვარიანტი გამოქვეყნდა კონფერენცია-სემინარის მასალებში (იხ.: **З. В. Папаскири. Сущность Абхазского конфликта и его участники. Или кто же воевал с Грузией.** – «*Политика геноцида и этнической чистки в Абхазии (Грузия) – главное оружие агрессивного сепаратизма*». Материалы международной конференции-семинара, 6-7 июля, 1999г., Тб., 1999. გვ. 131-140; **Z. Papaskiri. The Essence of the Conflict in Abkhazia and its Participants. Or Those Who Struggled Against Georgia.** – «*Policy of Genocide and Ethnic Cleansing in Abkhazia (Georgia) – the Main Tool of aggressive Separatism*». Proceedings of the International Conference-Seminar, July 6-7, 1999, Tbilisi, 1999, გვ. 133-142. წარმოდგენილი ქართული ვარიანტი დაიბეჭდა ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის საქართველოს საისტორიო საზოგადოების აფხაზეთის ორგანიზაციის პერიოდულ სამეცნიერო გამოცემაში: „*საისტორიო ძიებანი*“, ტ. II. თბ., 1999, გვ. 368-378.

აფხაზთა შეიარაღებული წინააღმდეგობა, რომელსაც მოჰყვა კონფლიქტის ინსპირაცია, მართლაც მოულოდნელი იყო, ვინაიდან, მანამდე, საქართველოს ხელისუფლების მიერ დაგეგმილი ეს აქცია შეთანხმებული იყო ვ. არძინბასთან. მაგრამ ამ უკანასკნელმა არა თუ არაფერი იღონა „გაუგებრობის“ თავიდან ასაცილებლად, არამედ საბოლოოდ ჩამოიხსნა ნიღაბი და აფხაზეთის მთელ მოსახლეობას „ქართველი ოკუპანტებისა და აგრესორების“ წინააღმდეგ „სამამულო ომისაკენ“ მოუწოდა. როგორც სავსებით მართებულად შენიშნავს რუსი მეცნიერი-პოლიტოლოგი სვეტლანა ჩერვონაია, სწორედ ვ. არძინბას ეს მოწოდება უნდა ჩაითვალოს კონფლიქტის ინსპირაციად¹ (და არა საქართველოს შეიარაღებული ნაწილების გადაადგილება საკუთარი სახელმწიფოს ფარგლებში), კონფლიქტისა, რომელიც სულ მალე ნამდვილ ომში გადაიზარდა.

იმთავითვე უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს მთავრობას სრული იურიდიული უფლება ჰქონდა, თვითონ განესაზღვრა ქვეყნის ნებისმიერ რეგიონში შეიარაღებული ძალების გამოყენების აუცილებლობა. ამდენად, აფხაზ სეპარატისტთა და მათ მფარველ-წამქეზებელთა მტკიცებები საქართველოს მიერ აფხაზეთის ანექსიისა და ოკუპაციის შესახებ, ბუნებრივია, სრული პოლიტიკური და იურიდიული უწიგნურობის გამოვლენებაა და პოლიტიკური სპეკულაციისათვის არის გამიზნული. სამწუხაროა მხოლოდ ის, რომ სეპარატისტთა ამგვარ აბსურდულ შეფასებებს, თავის დროზე ხმა აუწყო ე. წ. „ზვიადისტურმა ოპოზიციამ“, რომელმაც, ფაქტობრივად, სოლიდარობა გამოუცხადა „ქართველი ოკუპანტების“ წინააღმდეგ მებრძოლ „გმირ“ აფხაზ ხალხს და ასევე კატეგორიულად მოითხოვა „ხუნტის“ ჯარების დაუყოვნებელი გამოყვანა აფხაზეთიდან.

სეპარატისტები დღესაც, მას მერეც კი, რაც მთელმა მსოფლიომ, გაერო-მ, ეუთო-მ, სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებმა, არაერთხელ ცალსახად აღიარეს აფხაზეთი ერთიანი ქართული სახელმწიფოს განუყოფელ ნაწილად, ჯიუტად (თუმცა ამაოდ) ცდილობენ, შეცდომაში შეიყვანონ მსოფლიო თანამეგობრობა და დაადანაშაულონ საქართველო აფხაზეთის მიმართ განხორციელებულ აგრესიაში. სინამდვილეში, უკვე ყველასათვის ამკარა გახდა, თუ რა ხასიათის კონფლიქტს ჰქონდა ადგილი აფხაზეთში. კერძოდ ის, რომ ეს იყო ჩვეულებრივი სეპარატისტული ამბოხი, მთლიანად პროვოცირებული რუსეთის იმპერიული ძალების მიერ.

ერთა თვითგამორკვევის ბოლშევიკურ ლოზუნგს ფარისევლურად ამოფარებულმა სეპარატისტებმა, რომლებმაც თავი წარმოიდგინეს ავტო-

¹ С. М. Червонная. Абхазия – 1992. Посткоммунистическая Вандея. М., 1993, გვ. 35.

ნომიური რესპუბლიკის სრულ ბატონ-პატრონებად, ფეხქვეშ გათელეს აფხაზეთის მკვიდრი ქართული მოსახლეობის (რომელიც ავტონომიური რესპუბლიკის საერთო მოსახლეობის თითქმის ნახევარს შეადგენდა) **თვითგამორკვევის უფლება** და მათ დაუკითხავად და მათი ნების საწინააღმდეგოდ, იარაღის ძალით მოახერხეს აფხაზეთის საქართველოს იურისდიქციიდან დროებით გამოყვანა და მისი ცალკე სახელმწიფოდ „de-facto“ გადაქცევა. საერთაშორისო სამართლით, **ეს არის სუვერენული სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობის დარღვევა**, რის წინააღმდეგაც კატეგორიულად გამოდის მსოფლიო თანამეგობრობა. ამიტომაცაა, რომ დღემდე არავინ ცნო (და არც მომავალში არავინ ცნობს) „აფხაზეთის დამოუკიდებლობა“ და ის რჩება ე. წ. „აუღიარებელ რესპუბლიკად“. უფრო მეტიც, სხვადასხვა საერთაშორისო ფორუმებზე ერთსულოვნად დაიგმო აფხაზ სეპარატისტთა დანაშაულებრივი ქმედებები. ერთ-ს ბუდაპეშტისა და ლისაბონის სამიტებმა ოფიციალურად აღიარა აფხაზეთში მომხდარი ეთნოწმენდის ფაქტი, რაც, ფაქტობრივად, დადასტურა გაერო-ს უშიშროების საბჭომაც, ხოლო დსთ-ის ქვეყნებმა, მათ შორის, რუსეთმაც, დაკანონეს ეკონომიკური სანქციები (ეკონომიკური ბლოკადა) სოხუმის სეპარატისტული რეჟიმის მიმართ.

აფხაზეთის კონფლიქტის რაობის გარკვევის საკითხთან დაკავშირებით, ყურადღება გვინდა მივაქციოთ საზოგადოებაში არც თუ ისე იშვიათად მთარუელ ფრაზას: „უაზრო ომი“. სავსებით გასაგებია, რომ ამ გამონათქვამის ავტორებს, უმეტეს შემთხვევაში, ქართულ-აფხაზური კონფლიქტი სავსებით სამართლიანად ესმით, როგორც ძმთამკვლელი ომი და, ამდენად, მიაჩნიათ ის უაზროდ. ერთი შეხედვით, ეს მართლაც ასეა. განა უაზრობა არაა ის, რომ აფხაზი პაპასქირი იარაღით ხელში იბრძვის ქართველი პაპასქირის წინააღმდეგ და დედა-ბუდიანად ყრის მას აფხაზეთიდან. სამხედრო დაპირისპირების პერიოდში, სოხუმის ერთ-ერთმა გაზეთმა გამოაქვეყნა ორივე მხარეს დალუპულთა სიები. გამოირკვა, რომ ერთი და იგივე გვარების წარმომადგენლები (სიჭინავები, ჭითანავები, ქირიები, ნაჭყებიები, ძაძამიები, ჟვანიები, ახვლედიანები და ა. შ.) ილუპებოდნენ ფრონტის ორივე მხარეს. ცნობილ აფხაზ ბოვეიკთა შორის გამოირჩეოდნენ სწორედ გააფხაზებული ქართველები. ერთ-ერთი მათგანი, ვინმე არტურ ჭითანავა ხელმძღვანელობდა ქართველთა მასობრივ დახვერეთებს ეშერაში,¹ ხოლო ასევე გააფხაზებულმა ოლეგ პაპასქირმა (ე.წ. „სოხუმის ბატალიონის“ მეთაური) და მისმა ხელქვეითებმა სიცოცხლეს გამოასალმეს ჟიული შარტავა და მისი თანამებრძოლები.

¹ ინფორმაცია იხ.: **Люлю Чхенкели. Двух истин не бывает. Показания президента ГРУ в Автономной Республике Абхазия.** Тб., 1996, გვ. 46.

მიუხედავად ამისა, ყოველგვარი მსჯელობა ომის უაზრობაზე, აბსოლუტურად გაუძარტლებელია. უფრო მეტიც, ეს არის ერთგვარი მკრეხელობა იმ ასეულობით გამირულად დაღუპული ვაჟკაცის ხსოვნისადმი, ვინც ალაღად დასდო თავი სამშობლოსათვის. რამდენადაც უცნაურად არ უნდა მოგვეჩვენოს, ეს ვრცელდება იმ აფხაზ ჭაბუკებზეც, რომლებსაც ღრმად სწამდათ, რომ ისინი მშობლიური აფხაზეთის თავისუფლებისათვის იბრძოდნენ. მათი ხვედრი გაცილებით უფრო ტრაგიკულია, ვინაიდან ისინი გახდნენ სრულიად უაზრო და უპერსპექტივო ავანტიურის მსხვერპლნი. სეპარატისტთა იდეოლოგიებმა აფხაზი ახალგაზრდები აომეს, არც მეტი, არც ნაკლები, საკუთარი ისტორიის წინააღმდეგ და აომეს ისინი არა სხვა ვინმეს, არამედ თვით დიდი მეფის – ლეონ II-ის დროშის ქვეშ. იმ ლეონისა, რომელმაც VIII ს. მიწურულს დაარწია ქართული სახელმწიფოებრიობის აკვანი დასავლეთ საქართველოში. ანუ დასავლურ-ქართული სახელმწიფოს ფუძემდებლის ლეონ II-ის სახელი გამოიყენეს ქართული სახელმწიფოებრიობის წინააღმდეგ ბრძოლის იდეოლოგიურ სიმბოლოდ.

და ურცხვად ატარებენ დღეს ლეონ II-ის ორდენს მის მიერ შექმნილი სახელმწიფოს ერთადერთი სამართალმემკვიდრის – საქართველოს – მტრები, ისინი, ვინც ეს ჯილდო მიიღო სწორედ იმ ხალხის გაუბედურებისათვის, რომელიც ბოლომდე იდგა ლეონ II-ისა და მისი მემკვიდრეების რუდუნებით შექმნილი დიდი სამშობლოს – საქართველოს ერთიანობის სადარაჯოზე. დიახ, სწორედ ქართველობა იცავდა ამ ომში ლეონ II-ის დროშას, ლეონ II-ის ნაანდერძევ სახელმწიფოს – საქართველო-აფხაზეთს, მის ტერიტორიულ მთლიანობას, და იცავდა მას არა მხოლოდ და არა იმდენად თავგზაბნეული და გაბრიყვებული აფხაზი სეპარატისტებისაგან, არამედ, და უმეტესად, მეზობელი ქვეყნის ფარული, ზოგჯერ კი – ღია აგრესიისაგან. სწორედ ქართველებისათვის იყო ეს ომი ჭეშმარიტად სამაძულო ომი და რაოდენ სამწუხაროა, რომ ზოგიერთ ვაი-ქართველს დღესაც კი ვერ გაუთავისებია, თუ სად უნდა მდგარიყო იმ ტრაგიკულ დღეებში, როდესაც, ფაქტობრივად, ქართული სახელმწიფოს ყოფნა-არყოფნის საკითხი წყდებოდა და ვის წინააღმდეგ აღეძართა იარაღი.

დიახ, ამ ომში საქართველოს წინააღმდეგ არ გამოდიოდა მარტო სეპარატისტულად განწყობილი აფხაზობა. აბსურდულია იმის გაფიქრება კი, რომ გაგრისა და სოხუმის ალების ოპერაციები დაიგეგმა „აფხაზური გენერალური შტაბის“ მიერ, ხოლო სოხუმისა და ოჩამჩირის განუწყვეტელი საავიაციო დამომბვები „აფხაზური ავიაციისა და არტილერიის“ შემოქმედება იყო. დღეს ყველასათვის ნათელია და **დოკუმენ-**

ტურადაცაა დაფიქსირებული ის გადამწყვეტი წვლილი, რომელიც აფხაზთა „გამარჯვებაში“ შეიტანეს მეზობელი სახელმწიფოს სამხედრო სტრუქტურებმა და მოხალისეებმა. ამით, წითელ-ყავისფრად შეღებილმა რუსეთმა, მიუხედავად მისი ხელმძღვანელობის ერთგვარი გარეგნული დემოკრატიულობისა, შური იძია და სამაგალითოდ დასაჯა კიდევ „ურჩი“, „მემბოხე“ საქართველო, რომელმაც, თავის დროზე, ააბუნტა მოკავშირე რესპუბლიკები, ხოლო მისმა ლიდერმა ელუარდ შევარდნაძემ ლომის წილი დაიდო კომუნისტურ-ტოტალიტარული სისტემის – რუსული იმპერიის სიმტკიცის უმთავრესი ბერკეტის – რღვევაში.

და მაინც, კონკრეტულად რა ძალები დაუპირისპირდნენ საქართველოს აფხაზეთში? პირველ რიგში, ეს იყო ე.წ. „კაკასიის მთიელ ხალხთა კონფედერაცია“, რომელიც ჯერ კიდევ ომამდე გამოდიოდა ღიად ქართული სახელმწიფოს ერთიანობის წინააღმდეგ და დაუფარავად აქეზებდა აფხაზობას კონფორტაციისაკენ. კონფლიქტის დაწყების პირველ დღეებში, როგორც ცნობილია, გამოქვეყნდა კაკასიის მთიელ ხალხთა კონფედერაციის „პრეზიდენტისა“ და „პარლამენტის“ თავმჯდომარის მუსა შანიბოვისა და იუსუფ სოსლანბეკოვის ერთობლივი ბრძანება, რომელშიც ნათქვამი იყო:

„В связи с тем, что исчерпаны все меры для мирного решения вопроса о выводе **окупационных** сил Грузии с территории **суверенной Абхазии** и во исполнение постановления сессии Парламента КГНК указывает:

1. Всем штабам Конфедерации обеспечить переброску добровольцев на территорию **Абхазии для вооружённого отпора агрессорам.**
2. Всем вооружённым формированиям Конфедерации при противодействии им каких-либо сил вступать в бой и пробиваться на территорию Абхазии любыми методами.
3. **Объявить город Тбилиси зоной бедствия, при этом использовать все методы, включая теракты.**
4. **Объявить всех лиц грузинской национальности на территории Конфедерации заложниками»...**¹

როგორც იტყვიან, კომენტარი ზედმეტია. არსებობს მონაცემები, რომ კაკასიის მთიელ ხალხთა კონფედერაციის შეიარაღებული ფორმირებები (მცირე ჯგუფები მაინც) იმყოფებოდნენ აფხაზეთში კონფლიქტის დაწყებამდეც, ხოლო აფხაზი ახალგაზრდები გადიოდნენ სამხედ-

¹ დოკუმენტი მოყვანილია წიგნიდან: **Люлю Чхенкели. Двух истин не бывает.**, გვ. 84, ხაზგასმა ჩვენია – **ზ.პ.**

რო მომზადებას გროზნოში.¹ 14 აგვისტოს შემდეგ კი კონფედერატე-ბის რაოდენობა მატულობდა. 1993წ. აგვისტოში, ლინდავის მიდამოებ-ში, ფრონტის წინა ხაზზე, ამ სტრიქონების ავტორი პირადად შეხვდა ერთ ჩეჩენ „ბოვეიკს“, ვინმე ყურეიმ აულდინოვს, რომელმაც დაადას-ტურა, რომ ის აფხაზეთში იბრძოდა 1992 წლის 21 აგვისტოდან. ჩრ-დილოეთ კავკასიიდან მოდიოდნენ არა უბრალოდ ბოვეიკები, არამედ სა-ბჭოურ არმიაში გამობრძმედილი ოფიცრები. მათ შორის, პირველ რიგ-ში, უნდა დასახელდეს საბჭოთა არმიის პოლკოვნიკი სულთან სოსნა-ლიევი (წარმოშობით ყაბარდოელი), რომელიც რუსეთის სამხედრო სტ-რუქტურების რეკომენდაციით დაინიშნა აფხაზეთის „თავდაცვის მინის-ტრის“ მოვალეობის შემსრულებლად. აფხაზეთში იბრძოდნენ: ადიღე-ლები, ყაბარდოელები, ჩერქეზები, ოსები, ყარაჩაელები.²

ჩრდილოეთ კავკასიელი კონფედერატებიდან, ყველაზე მრავალრი-ცხოვან, და ამავე დროს, სამხედრო თვალსაზრისით, მომზადებულ და გაწვრთნილ ძალას ჩეჩენი მოხალისეები წარმოადგენდნენ: მათ შორის ყველაზე კოლორიტული ფიგურა უდავოდ შამილ ბასაევი იყო თავისი ე.წ. 1 ჩეჩნური ბატალიონით (აღსანიშნავია, რომ ჩეჩნეთის ომის დროს ეს ბატალიონი უკვე „აფხაზური ბატალიონის“ სახელით იყო ცნო-ბილი). სეპარატისტები შამილ ბასაევის ფორმირებაზე დიდ იმედებს ამყარებდნენ სოხუმის დაცემის შემდეგაც, როდესაც ისინი ამზადებდნენ ოპერაციას კოდორის ხეობაში. თუმცა, როგორც ჩანს, შ. ბასაევის რაზმის ნაცვლად, ამ მიმართულებით გამოყენებულ იქნა ი. ბაგრაძიანის სახელობის სომხური ბატალიონი. ცნობილია, აგრეთვე, რომ ჩეჩნების ერთი ნაწილი, კაზაკებთან და აფხაზებთან ერთად, ოქტომბერში გადას-როლილ იქნა სამეგრელოში, ექსპრეზიდენტის მომხრეთა ლაშქრობაში

¹ ეს უკანასკნელი ფაქტი, ერთგვარი თავისმოწონებით, აუწყა მოსახლეო-ბას აფხაზეთის ტელევიზიით სოხუმში, ომამდე რამდენიმე თვით ადრე, აფ-ხაზური სეპარატიზმის ერთ-ერთმა იდეოლოგმა, ამჯერად ვ. არძინბას რე-ჟიმის მიერ აფხაზეთიდან მოკვეთილმა – ოლეგ დომენიამ.

² სხვათა შორის, ერთ-ერთი ამათაგანი, ე. ი. ყარაჩაელი კასიმ დბალოვი დაპატიმრებული იყო რუს სემიონ სმეტანინთან და რომან კრასნოვთან ერ-თად, სეპარატისტების მილიციის მიერ, სოხუმის რ-ნის სოფ. ოდიშში მათ მიერ მოწყობილი სასაკლავოს გამო. ამ გარეწრებმა ტყვიამფრქვევის ჯე-რით დახოცეს ამ სოფლის 26 ბერძენი მოსახლე. მოგვიანებით, სეპარატი-სტების სასამართლომ დბალოვს გამოუტანა სიკვდილით დასჯა, თუმცა, როგორც ბ-ნ რუზგენ გოგოხიას ინფორმაციით ირკვევა, ბოლო დრომდე განაჩენი სისრულეში არ იყო მოყვანილი. 1994 წლის იანვარ-თებერვალში, ჩემს მიერ მოწოდებული ამ ინფორმაციის საფუძველზე, სოფ. ოდიშში ბერ-ძენი მოსახლეობის მასობრივი დახოცვის ფაქტის გამო, საგანგებო განც-ხადება გააკეთა ბ-ნმა თამაზ ნადარეიშვილმა, მაგრამ გენოციდის ამ ფაქ-ტმა მაინც ვერ ჰპოვა სათანადო გამოხმაურება.

მონაწილეობის მისაღებად.¹

სეპარატისტების ერთ-ერთ დამრტყმელ მოიერიშე ძალას წარმოადგენდა კაზაკობა. სადღეისოდ გამოვლენილია უამრავი მასალა, პირველ რიგში, თავად კაზაკ მოხალისეთა აღიარებანი. ასე, მაგალითად, გაზეთ „იზვესტიის“ კორესპონდენტის ალექსეი ჩელნოკოვის მონაცემებით: «Ударной силой штурмовавших город (იგულისხმება ბოლო იერიში სოხუმზე 1993წ. სექტემბერში) были казаки. За ними шли абхазский, чеченский, осетинский, адигейский – всего 10 батальонов». იმავე წყაროს ცნობით: 1 – კაზაკურ ასეულს, რომელმაც დაიკავა სოხუმის ცენტრი, მეთაურობდა ყუბანის კაზაკთა ატამანი ნიკოლაი პუტკო (Путко).² აფხაზეთის გმირად იქნა აღიარებული პოლკოვნიკი ვიანესლავ ილიუნიჩევი, რომელიც არჩეულ იქნა „აფხაზეთის კაზაკთა კავშირის ატამანად“.³ ცნობილია, აგრეთვე, ვინმე იგორ სამოილოვის მოღვაწეობა. ეს უკანასკნელი აფხაზებმა დააპატიმრეს 29 სექტემბერს.⁴

აფხაზეთში მეომარი კაზაკებიდან, აღსანიშნავია, აფხაზეთის კაზაკთა კავშირის გენერალ-მაიორად მოხსენიებული ანდრეი სერდიუკოვისა⁵

¹ სხვათა შორის, ეს ინფორმაცია 1993 წლის 19 ოქტომბერს მე მომაწოდა ბესლან კობახიამ, ჩემმა ყოფილმა სტუდენტმა, ომის დროს ვ. არძინბას ხელისუფლების მინისტრმა, როდესაც მან მომინახულა შინაგან საქმეთა სამინისტროს იზოლატორში, აფხაზეთის უზენაესი საბჭოს დეპუტატ დაურ ბარგანჯიასთან, ჩემს უნივერსიტეტელ კოლეგასთან და დაურ მარღანიასთან, ასევე ჩემს ყოფილ სტუდენტთან და მეგობართან, რომელიც სოხუმის ადების შემდეგ სეპარატისტების მიერ ქალაქის კომენდანტის მოადგილედ იყო დანიშნული, ერთად. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ჩეჩენ-აფხაზთა და კაზაკთა უშუალო მონაწილეობა სამეგრელოში განვითარებულ მოვლენებში, მოგვიანებით, როდესაც ქობალიას „ლაშქრობა“ ჩაიფუშა, უარყო აფხაზეთის პროკურორის მოადგილემ სერგეი ბგანბამ.

² **Алексей Челноков.** Кровавый пир гудаутских сепаратистов. – წიგნიდან: *«Распятая Грузия»*. Составители сборника **Бесик Пипия, Зураб Чиквиладзе.** Санкт-Петербург, 1995, გვ. 119.

³ **Ирина Кирьянова.** Гонят, гонят из Сухуми наших казаков. – წიგნიდან: *«Распятая Грузия»*. Составители сборника **Бесик Пипия, Зураб Чиквиладзе.** Санкт-Петербург, 1995, გვ. 230.

⁴ **Ирина Кирьянова.** Гонят, гонят из Сухуми..., გვ. 231. სხვათა შორის, ამ პიროვნების დაპატიმრებას პროტესტით შეხვდნენ მისი თანამებრძოლები და ისინი შეეცადნენ მის დახსნას. როგორც მოგვიანებით შევიტყვე ერთი კაზაკი ბოვეიკის – იური რომანცოვისაგან, რომელთანაც ერთად სოხუმის იზოლატორის კამერაში გავატარე 1 დღე-ღამე, მომხდარა შეიარაღებული თავდასხმა ქალაქის მილიციაზე, სადაც იმყოფებოდა დაპატიმრებული ი. სამოილოვი. შეტაკებისას ერთ-ერთ თავდამსხმელს გაუვარდა ყუმბარა და იქვე გარდაიცვალა, დაიღუპა, აგრეთვე, კიდევ ერთი თუ ორი ბოვეიკი.

⁵ **Алексей Челноков.** Казачьего генерала использовали и забыли. – წიგნიდან:

და გენერალ-მაიორ ივანე კონონოვის («Верховный атаман Казачьего объединения «Казачье войско России») „მოღვაწეობა“.¹ აფხაზეთის გმირის წოდება მიიღო კაზაკთა ასეულის ატამანმა ბლინოვმა. აფხაზეთში თავი „გამოიჩინეს“, აგრეთვე, ბორის აკულინიჩევა (მეტსახელად «აკულა»), კაზაკთა ასეულის მეთაურმა ნიკოლაი გუსკომ და გენადი კოლოდინმა (მეტსახელად «колода»)² და ა. შ.

კაზაკთა და სხვა „ბოევიკთა“ დასაქირავებლად რუსეთში ფუნქციონირებდა მოხალისეთა დაქირავების არაერთი ცენტრი, რომელთაგან აღსანიშნავია ნიკოლაი ლისენკოს „რუსული ლეგიონი“, რომელიც განთავსებული იყო სანკტ-პეტერბურგში. „ბოევიკთა“ დაქირავებას ეწეოდა გენერალ-მაიორი ლუნიოვი (Лунёв), რომელმაც სოხუმის შტურმისათვის დაიქირავა რიგის ОМОН-ის 80 მეომარი.³ მისმა მოგვარემ, „რუსული ლეგიონის“ წევრმა იგორ ლუნიოვმა ზუგდიდში (ექსპრეზიდენტის შტაბში) ჩაიყვანა 32 დაქირავებული – რუსები, ჩეჩნები, ადიღეელები⁴. დონის, ყუბანისა და თერგის კაზაკობის გადმობირებას ხელმძღვანელობდა ვ. არძინბას უზენაესი საბჭოს წევრი, «Славянский дом»-ის აფხაზური ორგანიზაციის ლიდერი, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი ვიქტორ ლოგინოვი, სხვათა შორის, ასევე ჩემი ყოფილი სტუდენტი, რომელთანაც თავის დროზე მაკავშირებდა საკმაოდ თბილი ურთიერთობა და, რომელიც 1988-1989 წლებამდე გარკვეულ სიმპათიებს ამჟღავნებდა ქართველებისა და საქართველოს მიმართ.

და მაინც, გადამწყვეტი როლი აფხაზთა სამხედრო „გამარჯვებაში“ ითამაშეს არა ე. წ. „მოხალისეებმა“ (კონფედერატებმა, კაზაკებმა და ა.შ.), არამედ რუსეთის არმიის რეგულარულმა ნაწილებმა და ოფიცერ-სპეციალისტებმა. სრული კატეგორიულობით მინდა განვაცხადო, როგორც მოწმემ და აფხაზეთის ომის უშუალო მონაწილემ (მე ვიყავი მე-2 საარმიო კორპუსის პირად შემადგენლობასთან მუშაობის განყოფილების უფროსი ოფიცერი), რომ ვერც მოხალისე კაზაკები და ვერც კონფედერატები თუნდაც განიარაღებულ ქართულ ჯარს ვერ მოერეოდნენ. საქართველო დაამარცხა რუსეთის არმიის მძიმე არტილერიამ და

«Распятая Грузия». Составители сборника Бесик Пипия, Зураб Чиквиладзе. Санкт-Петербург, 1995, გვ. 233-237.

¹ Иван Кононов. Россия должна прежде всего защитить своих соотечественников. – *Независимая газета*, 21.IX.1996.

² Люлю Чхенкели. Двух истин не бывает..., გვ. 65.

³ Люлю Чхенкели. Двух истин не бывает..., გვ. 18-19.

⁴ Юлия Калинина. Теракт в масштабе государства. – წიგნიდან: «Распятая Грузия». Составители сборника Бесик Пипия, Зураб Чиквиладзе. Санкт-Петербург, 1995, გვ. 176.

ავიაცია.

აფხაზეთის ომში მონაწილე რეგულარული ნაწილებიდან პირველ რიგში უნდა აღინიშნოს გუდაუთაში განლაგებული სადესანტო-მოიერიშე პოლკი (ДШП), რომლის ერთ-ერთი ბატალიონი (მეთაური რომან სემიგულინი) კონფლიქტის პირველი დღეებიდან იყო ჩართული საომარ მოქმედებებში (ეკავა ეშერის სეისმური ლაბორატორიის უბანი). სოფ. შრომის (სოხუმის რ-ნი) ალების გეგმას ამუშავებდა და უშუალოდ ხელმძღვანელობდა ოპერაციას ამავე პოლკის ოფიცერი, პოდპოლკოვნიკი კუდინოვი. ეშერის უბანზე ჩასატარებელ ოპერაციებს სათავეში ედგა იმავე პოლკის სხვა ოფიცერი, პოდპოლკოვნიკი კრავჩუკი.

სამხედრო ოპერაციების დაგეგმვა-განხორციელებაში უშუალოდ იყვნენ ჩართულნი გენერლები ჩინდაროვი და ალექსეევი. ამ უკანასკნელის ავიაციამ აქტიური მონაწილეობა მიიღო 1993წ. მარტში სოხუმზე განხორციელებული შტურმისას. შრომის ოპერაციის წინ გენ. ჩინდაროვმა მდ. ხიფსთაზე ჩაატარა სამტაბო სწავლება, რომელშიც რუსებთან ერთად მონაწილეობდნენ აფხაზი საველე მეთაურებიც. მოახდინეს მდ. გუმიხის გადალახვის იმიტაცია. ოპერაციის ჩატარებისას მთავარი დარტყმა უნდა განეხორციელებინა გენ. ჩინდაროვის მოიერიშე ავიაციას. მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ აგრეთვე გენერლები სოროკინი და სიგუტკინი.¹ რუს სამხედროთა შორის მეტად კოლორიტულ ფიგურად მოჩანს საჰაერო-სადესანტო ჯარების (ВДВ), პოლკოვნიკი ანატოლი სიდორენკო, რომელიც კურირებას უწევდა ცალკეულ სამხედრო ფორმირებებს, რომლებიც გადაძალეს აფხაზებმა 1993 წლის 27 ივლისის სამშვიდობო შეთანხმების შემდეგ.²

განსაკუთრებული წვლილი აფხაზი სეპარატისტების სამხედრო მხარდაჭერის უზრუნველყოფაში მიუძღვის გენერალ-პოლკოვნიკ გიორგი კონდრატიევს, რუსეთის თავდაცვის მინისტრის პირველ მოადგილეს. სწორედ მისი უშუალო ხელმძღვანელობით მოხდა განჯაში განთავსებული 345-ე საპარაშუტო-სადესანტო პოლკის გადმოსროლა გუდაუთაში 1992წ. აგვისტოს მიწურულს.³ ასევე მისი უშუალო ბრძანე-

¹ Люлю Чхенкели. Двух истин не бывает..., გვ. 26-29.

² ეს სიდორენკო უნდა იყოს ის ოფიცერი, რომელიც საკმაოდ მაღალ პოსტზე იყო ომის შემდგომ სოხუმში. არაა გამორიცხული, რომ სწორედ მან მოაკითხა იზოლატორში ზემოთ ნახსენებ კაზაკ „ბოვეის“ (ის ასე უწოდებდა თავის თავს) – იური რომანცოვს. მეტად მრავლისმეტყველია ის ფრაზა, რომლითაც მიმართა განრისხებულმა პოლკოვნიკმა თავის ხელქვეითს (ეს უკანასკნელი მთვრალ მდგომარეობაში დებოშისათვის იყო დაკავებული) და, რომელიც, როგორც იტყვიან, ჩემი ყურით გავიგონე, – «Как тебе не стыдно, ты же русский солдат!».

³ Люлю Чхенкели. Двух истин не бывает..., გვ. 61.

ბით I რანგის კაპიტანმა ვ. ფომინმა 1992წ. 2 ოქტომბერს – გაგრის შტურმის დღეს ჩაატარა მოჩვენებითი სწავლება, რომლის ნამდვილი მიზანი იყო: „Не допустить высадку морского десанта грузинской стороны в районе Пицунда (Гагры) в плоть до применения оружия“.¹ თვით გენ. გ. კონდრატიევი იმყოფებოდა ერთ-ერთ ხომალდზე: „Безукаризенный“ – 1 საათის განმავლობაში.²

რუსეთის რეგულარული ნაწილების უშუალო მონაწილეობა საომარ მოქმედებებში აღიარა თვით პავლე გრაჩოვმა, რუსეთის თავდაცვის მინისტრმა, რომელმაც აღნიშნა, რომ სოხუმის მიმართულებით რუსეთის ნაწილები ახორციელებდნენ „выборочно-прицельный огонь... только по тем огневым точкам, которые обстреливали... сейсмологическую лабораторию в Эщерах“.³ თუმცა, იყო სხვა ცინიკური განცხადებაც. ვ. გრაჩოვმა დაადანაშაულა ქართული მხარე იმაში, თითქოს ისინი ღებავდნენ თავიანთ თვითმფრინავებს, უკეთებდნენ მას რუსეთის არმიის გამოსაცნობ ნიშნებს და თვითონ ბომბავდნენ თავიანთ ქალაქებს. მაგრამ ეს მკრეხელური სიცრუე გაქარწყლდა 1993წ. 19 მარტს, როდესაც სოხუმთან ჩამოვარდებულ იქნა რუსეთის თვითმფრინავი СУ-27, №11 საბორტო ნომრით. თვითმფრინავს მართავდა მაიორი ვაცლავ შიპკო, რომელიც როსტოვის ოლქიდან იყო მოვლინებული ბომბორის აეროდრომზე, სადაც მიიღო კიდევ საბრძოლო დავალება.

ესაა მხოლოდ მცირე ნაწილი მასალებისა, რომლებიც აშკარად მეტყველებენ რუსეთის სამხედრო სტრუქტურების უშუალო მონაწილეობაზე აფხაზეთის კონფლიქტში. ამჯერად, ჩვენ არ შევჩერდებით რუსეთის პოლიტიკური წრეების (განსაკუთრებით, რუსეთის სათათბიროს დეპუტატების მნიშვნელოვანი ნაწილის) როლზე კონფლიქტის გაღრმავებასა და შემდგომ ესკალაციაში. ეს ცალკე მსჯელობის თემაა.

¹ Доклад командира отряда судов по фактическим действиям в период с 22. 09 по 05. 10. 92 г. – მოტანილია წიგნიდან: **Люлю Чхенкели**. Двух истин не бывает..., გვ. 61.

² Доклад командира отряда судов..., გვ. 61.

³ **Люлю Чхенкели**. Двух истин не бывает..., გვ. 63.

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს ი ს ტ ო რ ი ა უ მ ა ლ ლ ე ს ს კ ო ლ ა შ ი

20 წელი ეროვნული ისტორიის სამსახურში*

1979 წლის 5 თებერვალს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს გადაწყვეტილებით მ. გორკის სახელობის სოხუმის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი გარდაიქმნა სახელმწიფო უნივერსიტეტად. ეს იყო უდიდესი მნიშვნელობის ფაქტი არა მხოლოდ აფხაზეთის, არამედ სრულიად საქართველოს კულტურულ ცხოვრებაში. ახლა აფხაზეთის მოსახლეობის დიდი ხნის ოცნება – სოხუმი გახდა საუნივერსიტეტო ქალაქი. სოხუმის უნივერსიტეტის დაარსება არ იყო ჩვეულებრივი მოვლენა საბჭოურ სინამდვილეში. უფრო მეტიც, იმ დროისათვის ეს ერთგვარ გამონაკლისსაც კი წარმოადგენდა, რადგან მანამდე თითქმის ყველა მოკავშირე რესპუბლიკას (გარდა რსფსრ-სა და უკრაინისა) მხოლოდ ერთი საუნივერსიტეტო ცენტრი გააჩნდა. ეს იყო კრემლის იმპერიული რეჟიმის მიერ შემუშავებული ერთგვარი სტერეოტიპი, რომლიდანაც გადახვევას ის სულაც არ აბირებდა. ამიტომაც სსრ კავშირის ხელმძღვანელობა გულგრილად ეკიდებოდა საქართველოდან მომავალ წინადადებებს ქუთაისის, ბათუმისა თუ სოხუმის უნივერსიტეტების შექმნის თაობაზე.

უნივერსიტეტის გახსნის იდეა განსაკუთრებით აქტუალური იყო აფხაზეთში, სადაც მზარდი აფხაზური სეპარატისტული მოძრაობა ამას იყენებდა პოლიტიკური სპეკულაციისათვის. სიტუაციას განსაკუთრებით დაბავდა ისიც, რომ 70-იანი წლებისათვის რსფსრ-ს შემადგენლობაში შემავალ ყველა ავტონომიურ რესპუბლიკაში (მათ შორის ჩრდილოეთ კავკასიის ავტონომიურ რესპუბლიკებში) უკვე ფუნქციონირებდა სახელმწიფო უნივერსიტეტი.

ამ გარემოებას სეპარატისტული მოძრაობის მაშინდელი ლიდერები დემაგოგიურად იყენებდნენ საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების წინააღმდეგ. მათი მტკიცებით, აფხაზეთს სწორედ თბილისი უშლიდა ხელს უნივერსიტეტის გახსნაში. ეს იყო ერთ-ერთი არგუმენტი

* დაიბეჭდა ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის საქართველოს საისტორიო საზოგადოების აფხაზეთის ორგანიზაციის პერიოდულ სამეცნიერო გამოცემაში: „საისტორიო ძიებანი“, ტ. IV. თბ., 2001, გვ. 3-47. ის ელექტრონული ვერსია: <http://saistoriodziebani.googlepages.com/dziebani2001>

იმისათვის, რომ დაესაბუთებინათ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის საქართველოს სსრ-ს შემადგენლობაში შემდგომი ყოფნის მიზანშეუწონლობა. სინამდვილეში კი სრულიად აშკარაა (და ეს, რასაკვირველია, აფხაზებმაც მშვენივრად იცოდნენ), რომ ახალი უნივერსიტეტის გახსნას საქართველოს ხელისუფლებას მაშინ არავინ ეკითხებოდა. ეს მთლიანად მოსკოვის კომპეტენცია იყო. მაგრამ 1978წ. აფხაზეთში განვითარებულმა მოვლენებმა, კერძოდ, იმის შიშმა, რომ ავტონომიურ რესპუბლიკაში სიტუაცია უმართავი გახდებოდა, კრემლი აიძულა, გადაედგა არაორდინარული ნაბიჯი და წასულიყო რიგ დათმობებზე „ამბოხებული“ აფხაზეთის მიმართ. ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს მაშინდელმა პარტიულმა ხელმძღვანელობამ მეტნაკლებად შეძლო ინიციატივის თავის ხელში აღება. მის მიერ მომზადებულ იქნა საგანგებო დოკუმენტი აფხაზეთში გამწვავებული ვითარების დასარეგულირებლად გასატარებელი ღონისძიებების შესახებ, რომელიც მოსკოვმა ფაქტობრივად უცვლელი სახით დაამტკიცა.

ერთ-ერთი ამ ღონისძიებათაგანი ითვალისწინებდა არსებული სოხუმის პედაგოგიური ინსტიტუტის ბაზაზე სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაარსებას. დიახ, ახლადგახსნილი უნივერსიტეტი სწორედ ამ სახელით ფიგურირებდა მოსკოვიდან გამოგზავნილ სსრკ მინისტრთა საბჭოს ოფიციალურ დოკუმენტში, ასევე იწოდებოდა ის მთელი მომდევნო პერიოდის (თვით სსრ კავშირის ლიკვიდაციამდე) მანძილზე. მიუხედავად ამისა, სეპარატისტულად განწყობილი აფხაზური ინტელიგენციის, რომელსაც მხარს უჭერდა ავტონომიური რესპუბლიკის პარტიული ხელმძღვანელობაც, ზეწოლის შედეგად სოხუმის უნივერსიტეტი, როგორც იტყვიან, იმთავითვე „დე-ფაქტო“, ხოლო 1979წ. 23 აპრილის საქართველოს კპ ცკ-ისა და მინისტრთა საბჭოს ერთობლივი დადგენილების (მას ხელს ე. შევარდნაძე და ზ. პატარიძე აწერდნენ) მიღების შემდეგ – რამდენადმე „დე-იურე“-დაც, „აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტად“ გამოცხადდა.

აფხაზები თავიანთ მოთხოვნას, უნივერსიტეტისათვის დაერქმიათ „აფხაზეთის (და არა სოხუმის) უნივერსიტეტი“, ასაბუთებდნენ იმით, რომ იმ პერიოდში რუსეთის ავტონომიური რესპუბლიკების ცენტრებში გახსნილი უნივერსიტეტები იწოდებოდნენ შესაბამისი ავტონომიური რესპუბლიკის სახელწოდების მიხედვით, მაგალითად, „Северо-Осетинский (და არა ორჯონიკიძის) государственный университет“, „Чечено-Ингушский (და არა გროზნოს) государственный университет“, „Кабардино-Балкарский (და არა ნალჩიკის) государственный университет“, „Дагестанский (და არა მახაჩკალის) государственный уни-

верситет“ და ა.შ. უფრო მეტიც, თვით ზოგიერთი მოკავშირე რესპუბლიკის ცენტრში განთავსებული უნივერსიტეტის სახელწოდებაშიც კი დაფიქსირებული იყო არა ქალაქი, არამედ რესპუბლიკა, მაგალითად, „Белорусский (და არა მინსკის) государственный университет“, „Латвийский (და არა რიგის) государственный университет“ და ა.შ. გარდა ამისა, აფხაზები აქცენტს აკეთებდნენ იმაზეც, რომ სოხუმში იყო განთავსებული მეორე უმაღლესი სასწავლებელი, რომელიც ატარებდა „საქართველოს (და არა სოხუმის) სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტის“ (სხვათა შორის, რუსულად „Грузинский институт субтропического хозяйства“) სახელს.

მართალია, ერთი შეხედვით, ამაში საგანგაშო ნამდვილად არაფერი იყო, ვინაიდან უმაღლესი სასწავლებლის რუსული სახელწოდება: „Абхазский... университет“ – ქართულადაც და აფხაზურადაც ითარგმნებოდა არა როგორც „აფხაზური“ ანუ „აფსუა“, არამედ როგორც „აფხაზეთის“, ე. ი. „აფსნის“, მაგრამ ეს მაინც იწვევდა ქართველთა გაღიზიანებას, რადგან აფხაზები იმთავითვე შეუდგნენ იმ მენტალიტეტის დამკვიდრებას, რომ ეს უნივერსიტეტი მართლაც მხოლოდ მათი, ანუ აფხაზური ნაციონალური უმაღლესი სასწავლებელი იყო.

ახლად შექმნილ უნივერსიტეტში, როგორც მოსალოდნელი იყო, ძირეული თვისობრივი ცვლილებები მოხდა: სწავლება გახდა ხუთწლიანი, გაიხსნა ახალი საუნივერსიტეტო ფაკულტეტები და სპეციალობები. შესაბამისად, საჭირო გახდა ახალი კათედრების გახსნაც. ერთ-ერთი ასეთი კათედრა, რომელიც შეიძლება უნივერსიტეტის პირმშოდ ჩაითვალოს, იყო საქართველო-აფხაზეთის ისტორიის კათედრა. ამ კათედრის შექმნის უშუალო ინიციატორი და სულისჩამდგმელი იყო უნივერსიტეტის პირველი რექტორი, გამოჩენილი აფხაზი მეცნიერი, ქართული ისტორიოგრაფიის ერთ-ერთი ყველაზე თვალსაჩინო წარმომადგენელი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, მშობლიური აფხაზეთისა და სრულიად საქართველოს დიდი პატრიოტი პროფ. **ზურაბ ანჩაბაძე**. მაგრამ სანამ საკუთრივ კათედრის გახსნის პერიპეტეებს შევეჩებოდეთ, მიზანშეწონილად მიგვაჩნია, მოკლედ შევჩერდეთ იმაზე, თუ რა უძლოდა წინ საქართველო-აფხაზეთის ისტორიის კათედრის ჩამოყალიბებას და რა ტრადიციები არსებობდა სოხუმის პედაგოგიურ ინსტიტუტში საქართველოს ისტორიის მეცნიერული კვლევისა და სწავლების სფეროში. სამწუხაროდ, სრული და ამომწურავი წარმოდგენის შექმნა ამ კუთხით, მთელ რიგ მიზეზთა გამო, ამჯერად ვერ მოხერხდება, თუმცა ზოგადი სურათის შექმნა მაინც შეიძლება.

სოხუმის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი, როგორც ცნო-

ბილია, 1932წ. გაიხსნა. ეს იყო პირველი უმაღლესი სასწავლებელი აფხაზეთში. თავდაპირველად ინსტიტუტში იყო ერთი – საბუნებისმეტყველო ფაკულტეტი. მას სულ ორიოდე თვეში დაემატა საზოგადოებრივ მეცნიერებათა ფაკულტეტიც, რომლის სტრუქტურაშიც იმთავითვე წამყვანი ადგილი დაიკავა „ისტორიის“ სპეციალობამ. XXს. 30-იანი წლების I ნახევარი საბჭოთა კავშირში ისტორიის მეცნიერებისათვის უძძიმესი იყო. ქვეყნის მთელ რიგ უნივერსიტეტებში ფაქტობრივად დაიხურა ისტორიის ფაკულტეტები. კომუნისტურ-ტოტალიტარულმა რეჟიმმა განსაკუთრებით აითვალისწინა ეროვნული ისტორიები. სწორედ ამ პერიოდში მიაღწია კულმინაციას თანამედროვე ქართული ისტორიოგრაფიის მამამთავრის, დიდი ივანე ჯავახიშვილის დევნამ. კომუნისტური ხელისუფლების მხრიდან ეროვნული ისტორიის ნამდვილი დაცინვის გამოხატულება იყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის კათედრის გამგედ ძველი ბოლშევიკის (განათლებით ვეტერინარის?!) ფილიპე მახარაძის დანიშვნა.

ტოტალიტარული იდეოლოგიის მკაცრი სუსხი არანაკლები სიმწვავეთ იგრძნობოდა აფხაზეთში, სადაც ნესტორ ლაკობას დიქტატორული რეჟიმის პარპაშმა ყოველგვარ დასაშვებ ზღვარს გადააცილა. აფხაზ ბოლშევიკთა აღიარებული თავკაცი ყოველნაირად ცდილობდა და საკმაოდ წარმატებითაც ახერხებდა კიდევ ავტონომიურ რესპუბლიკაში ანტიქართული კონიუნქტურის შექმნასა და აფხაზეთის აფხაზების „სახელმწიფოდ“ გადაქცევას. მიუხედავად ამისა, ვერ ვიტყვით, რომ მას შინაგანად მაინცდამაინც გულთან ახლოს მიჰქონდა თავის თანამემამულეთა ეროვნული სატკივარი და განსაკუთრებულ ზრუნვას ამჟღავნებდა აფხაზური ენის, ლიტერატურისა და ისტორიის მიმართ. ამის ნათელი დადასტურებაა თუნდაც მისი ნიჰილისტური და რამდენადმე ცინიკური დამოკიდებულება აფხაზური ენისადმი.

აი, რას ამბობდა ნ. ლაკობა აფხაზეთის საბჭოების VI ყრილობაზე (6 თებერვალი, 1931წ.) გამოსვლისას: „Институт абхазского языка и литературы. Когда он организовывался, то я говорил, это слишком громкое название и боюсь, что дело останется только в названии. Какого чёрта нужно заниматься исследованием абхазского языка, когда надо передать на этом языке то, что он не может дать, от него не возьмёшь больше того, что он в состоянии дать. Если в абхазском языке нет ГПУ, то пиши прямо ГПУ, но когда начинаешь придумывать для абхазского языка всякую чепуху, начинаешь переводить непере译имое – спрашивается: кому это надо? Начинаются профессорские переводы абхазских пословиц, поговорок на русский язык – получается искажение смысла, абсурд, глупость. Всё это на-

зывается „научной“ работой или научно-исследовательским делом. Абхазский язык сам по себе прост, – он не терпит профессорских упражнений. Неужели этого до сих пор не поймут „научные“ работники абхазского языка. Или ещё так. Всё время занимаются тем, что хотят доказать, что абхазская литература существовала ещё до Адама. Не было её в истории и поставьте точку...“¹

როგორც ვხედავთ, აფხაზეთის მაშინდელ კომუნისტურ ხელმძღვანელობას სულაც არ აწუხებდა აფხაზური ლიტერატურული ენის ბედ-იღბალი და მეცნიერ-სპეციალისტთა მონღომებას, დაეხვეწათ მშობლიური ენა, დაცინვით სრულიად უსაგნო „профессорские упражнения“-ს, აბსურდსა და სისულელეს უწოდებდა. განა საკითხავია, რომ ასეთი მრწამსის პოლიტიკური ლიდერი რაიმეს იღონებდა აფხაზეთის (სრულიად საქართველოზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია) თავადაზნაურული ისტორიული წარსულის ჭეშმარიტად მეცნიერული შესწავლისათვის. ერთადერთი, რასაც ყოველნაირად ცდილობდნენ სეპარატისტულად განწყობილი აფხაზი ბოლშევიკი მოღვაწენი ამ მიმართულებით, იყო ის, რომ ხალხისთვის მიეწოდებინათ აფხაზეთის გაყალბებული ისტორია და ამ გზით შეექმნათ ერთგვარი ისტორიოგრაფიული საფუძველი ე.წ. „დამოუკიდებელი“ აფხაზური სახელმწიფოს – აფხაზეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის არსებობისათვის. უნდა ითქვას, რომ 20-იან წლებში ამ თვალსაზრისით აფხაზეთის კომუნისტურმა რეჟიმმა მართლაც მიაღწია საგრძნობ „წარმატებებს“. აფხაზეთის სსრ-ის მთავრობის უშუალო დაკვეთითა და ფინანსური უზრუნველყოფით გამოიცა სიმონ ბასარიას, სემიონ აშხაცავას, კონსტანტინე კუდრიაცკევის ანტიქართული სულისკვეთებით გაჟღენთილი წიგნები² მათში სრულიად თავდაყირა იყო დაყენებული საქართველო-აფხაზეთის ისტორიული წარსული და აფხაზეთი წარმოჩენილი იყო, როგორც დანარჩენი საქართველოსაგან ისტორიულად მთლიანად მოწყვეტილი მხარე, რომელსაც ჰქონდა თითქმის ორათასწლოვანი დამოუკიდებელი სახელმწიფოებრივი ისტორია.

ასეთ ისტორიოგრაფიულ ფონზე დაიწყო ფუნქციონირება აფხაზეთში პედაგოგიურმა ინსტიტუტმა, რომელიც სხვა დარგის სპეციალისტებთან ერთად იმთავითვე ისტორიკოსებსაც ამზადებდა. 1936წ. სოხუმის პედაგოგიური ინსტიტუტის ისტორიის სპეციალობამ პირველი კურ-

¹ Дж. Гамахария, Б. Гогия. Абхазия – историческая область Грузии. Тб., 1997. გვ. 503.

² С. П. Басария. Абхазия в географическом, этнографическом и экономическом отношении. Сухум-Кале, 1923; С. М. Ашхацава. Пути развития абхазской истории. Сухум, 1925; К. Кудрявцев. Сборник материалов по истории Абхазии. Сухуми, 1926.

სდამთავრებულები გამოუშვა. აღსანიშნავია, რომ „ისტორიის“ სპეციალობის პირველ კურსდამთავრებულთა შორის იყო განათლების სფეროს ღვაწლმოსილი მუშაკი **კონსტანტინე ჟორდანია** (სოხუმის უნივერსიტეტის ამჟამინდელი რექტორის, პროფ. ოთარ ჟორდანიას მამა).

როგორც ირკვევა, უმაღლესი სასწავლებლის ფუნქციონირების ამ ეტაპზე (1932-1936წწ.) საქართველო-აფხაზეთის ისტორიის კურსით „ისტორიის“ სპეციალობაზეც კი არ ისწავლებოდა, თუმცა გარკვეული სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოები საკუთრივ აფხაზეთის ისტორიის შესასწავლად იმუშაოდ მაინც მიმდინარეობდა. ასე, მაგალითად, სოხუმში მოღვაწე ცნობილმა რუსმა ისტორიკოსმა **ა. ფადეევმა**, რომელიც შემდგომ მცირე ხნით სათავეში ედგა სოხუმის პედაგოგიური ინსტიტუტის ისტორიის კათედრას (გაიხსნა 1938-1939 სასწ. წ.), 1934წ. გამოცა განმაზოგადებელი ნაშრომი აფხაზეთის ისტორიაზე.¹

პირველი 5 წლის განმავლობაში სოხუმის პედაგოგიურ ინსტიტუტში მხოლოდ რუსული სექტორი ფუნქციონირებდა. ქართველობას, რომელიც ავტონომიური რესპუბლიკის მოსახლეობის უმრავლესობას შეადგენდა, საშუალება არ ჰქონდა, ადგილზე მიეღო უმაღლესი განათლება მშობლიურ ენაზე. ეს იყო კიდევ ერთი გამოვლინება ანტიქართული პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივი კონიუნქტურისა აფხაზეთში, რომელსაც ყოველნაირად ნერგავდა ნ. ლაკობას დიქტატორული რეჟიმი. ვითარება პრინციპულად შეიცვალა 1937 წლიდან, როდესაც ნ. ლაკობას პოლიტიკური არენიდან წასვლის (ის გარდაიცვალა 1936წ. დეკემბერში) შემდეგ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ხელმძღვანელობაში მოვიდნენ ცენტრალური ხელისუფლებისადმი უფრო ლოიალურად განწყობილი კომუნისტი ლიდერები საქართველოს მაშინდელი პარტიული ხელმძღვანელის ლავრენტი ბერიას თანამოაზრისა და თანამებრძოლის ალექსი აგრბას მეთაურობით.

ამ დროიდან დაიწყო სოხუმის პედაგოგიური ინსტიტუტის – ფაქტობრივად რუსული უმაღლესი სასწავლებლის ეროვნულ-სახელმწიფოებრივი თვალსაზრისით თვისობრივად გარდაქმნის პროცესი, რისი პირველი გამოხატულება იყო ქართულ სექტორზე მიღების გამოცხადება. „ისტორიის“ სპეციალობაზე პირველი ქართული ჯგუფი სწორედ 1937 წელს შეიქმნა, 1938წ. კი ქართულ სექტორზე მიღება ჩატარდა ყველა სპეციალობაზე. აღსანიშნავია, რომ მათ შორის, ვინც 1938წ. ჩაირიცხა სოხუმის პედაგოგიური ინსტიტუტის „ისტორიის“ სპეციალობის ქართულ სექტორზე, იყო შემდგომ საქართველოს ისტორიის კათედრის პროფესორი **ვლადიმერ (ვალეკო) ქარჩავა**, პარალელურ რუსულ ჯგუფ-

¹ **А. В. Фадеев.** Краткий очерк истории Абхазии, т. I. Сухуми, 1934.

ში კი სწავლობდა თვით **ზურაბ ანჩაბაძე**.

ამ პერიოდიდან იწყება საქართველოს ისტორიის, როგორც ცალკე დისციპლინის სწავლება სოხუმის პედაგოგიურ ინსტიტუტში. ამ დიდი ეროვნული საქმის სათავეებთან იდგა ცნობილი ქართველი ისტორიკოსი **სარგის კაკაბაძე**, რომელიც სისტემატურად ჩადიოდა თბილისიდან სოხუმში და უკითხავდა ლექციების კურსს საქართველოს ისტორიაში ისტორიის სპეციალობის სტუდენტებს. ამ სალექციო კურსის საფუძველზე ს. კაკაბაძემ 1941წ. გამოსცა კიდევ საქართველოს ისტორიის მოკლე კურსი რუსულ ენაზე.¹ 40-იან წლებში სოხუმში ჩამოდიოდა და საქართველოს ისტორიაში ლექციების კურსს კითხულობდა ქართული ისტორიოგრაფიის კიდევ ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი – პროფ. **ვარლამ დონდუა**. 1940წ. სოხუმის პედაგოგიურ ინსტიტუტში ისტორიის კათედრის ბაზაზე შეიქმნა სსრ კავშირის ისტორიისა და მსოფლიო ისტორიის კათედრები. სსრ კავშირის ისტორიის კათედრას, რომლის სასწავლო დისციპლინათა შორის იყო საქართველოს ისტორია, 1941 წლიდან სათავეში ჩაუდგა (მანამდე კათედრის გამგე იყო **ა. მელეხოვი**, რომელმაც შეცვალა **ა. ფაღვევი**) შემდგომში გამოჩენილი ქართველი ისტორიკოსი, პროფ. **ირაკლი ანთელავა**. 1956-1982 წლებში აღნიშნულ კათედრას ხელმძღვანელობდა პროფ. **ირაკლი ახალაია**.

უმაღლესი განათლების საბჭოური სისტემა, ისევე როგორც სასკოლო განათლება, მთლიანად იდგა იმპერიული პოლიტიკის სამსახურში და მის უმთავრეს მიზანს წარმოადგენდა ახალი, ეროვნულ ფესვებს მოწყვეტილი საბჭოური მენტალიტეტის ადამიანის – Homo Sovieticus-ის ფორმირება. 70-იან წლებში სკკპ-მ უკვე ოფიციალურად გამოაცხადა ლოზუნგი ახალი ისტორიული ერთობის – საბჭოთა ხალხის ჩამოყალიბება. ამ ახალი ერთობის ფორმირება, ბუნებრივია, უნდა მომხდარიყო რუსებისა და რუსულის ბაზაზე. თვით სსრ კავშირის ჰიმნიც კი გაჟღერდა იმპერიული ლოზუნგი: „*Союз нерушимый республик свободных. Сплотила навеки великая Русь*“. ამ მიზნის განხორციელების გზაზე გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭებოდა ახალგაზრდობის აღზრდას რუსულ-საბჭოურ ისტორიულ ფასეულობათა აღქმა-ათვისების საფუძველზე. აქედან გამომდინარე, როგორც საშუალო სკოლაში, ისე უმაღლეს სასწავლებელშიც („ისტორიის“ სპეციალობაზე) ძირითად და სავალდებულო საისტორიო დისციპლინად რჩებოდა „*სსრკ ისტორია*“, რომელიც სხვა არაფერი იყო, თუ არა რუსეთის ისტორია. სწორედ ეს საგანი – ე.წ. „*სსრკ ისტორია*“ ისწავლებოდა საშუალო სკოლებში ერთიანი პროგრამით მთელი ქვეყნის მასშტაბით 5-6 წლის

¹ **С. Н. Какабадзе**. Краткий очерк истории Грузии. Сухуми, 1941.

განმავლობაში – დაწყებული IV კლასიდან X-XI კლასებით დამთავრებული (არ ისწავლებოდა მხოლოდ V-VI კლასებში).

შექმნილი იყო სრულიად პარადოქსული სიტუაცია, როდესაც საქართველოს (ისევე როგორც ნებისმიერი სხვა მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკის) მოსწავლე ახალგაზრდობას (წნორის საშუალო სკოლა იქნებოდა ეს თუ დიხაზურგას) მოეთხოვებოდა რუსეთის (ე. ი. სხვა ქვეყნის) ისტორიის ზუსტად იმ დოზითა და მოცულობით ცოდნა, როგორც ეს იყო გათვალისწინებული მოსკოვის საუკეთესო სკოლების მოსწავლეებისათვის, რომელთათვის ეს საგანი არა უცხო ქვეყნის, არამედ მშობლიური ისტორია იყო. და ეს მაშინ, როდესაც იმავე წნორისა თუ დიხაზურგას სკოლებში (ისევე როგორც ნებისმიერ სხვა სკოლაში) მშობლიური საქართველოს ისტორია ფაქტობრივად ფაქულტატური საგნის დონეზე ისწავლებოდა. შედარებისათვის კმარა თუნდაც ის ფაქტი, რომ ე.წ. რუსეთის ათასწლოვანი სახელმწიფოებრივი ისტორია გადმოცემული იყო 4 საკმაოდ სქელტანიან (სასკოლო სახელმძღვანელოებისათვის) ტომში, მაშინ როდესაც სამათასწლოვანი სახელმწიფოებრიობის მქონე საქართველოს (საკუთარი სამშობლოს) ისტორიას ქართველი ახალგაზრდობა ეუფლებოდა მცირე მოცულობის ერთადერთი სახელმძღვანელოს მეშვეობით. ამასთან, თუ „სსრ კავშირის“ (ანუ რუსეთის) *ისტორიას*“ გააჩნდა სტაბილური დატვირთვა (თითოეული ტომი ისწავლებოდა ერთი წლის მანძილზე), „საქართველოს ისტორიის“ ერთი სახელმძღვანელოს მასალა გადანაწილებული იყო ოთხ სასწავლო წელზე (VII-X კლასები).

კიდევ უფრო მძიმე იყო მდგომარეობა უმაღლეს სკოლაში, კერძოდ, პედაგოგიურ ინსტიტუტებში, სადაც სხვა დარგის სპეციალისტებთან ერთად მიმდინარეობდა საშუალო სკოლის პედაგოგ-ისტორიკოსთა მომზადებაც. „ისტორიის“ სპეციალობის სასწავლო გეგმებში საქართველოს ისტორია შედიოდა სპეციალურ გრაფაში, რომელსაც ერქვა „მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკის თავისებურებებიდან გამომდინარე სასწავლო დისციპლინები“, რომლებშიც, პირველ რიგში, იგულისხმებოდა მოკავშირე ან ავტონომიური რესპუბლიკის ისტორია. ამ დისციპლინისათვის გამოყოფილი იყო სასწავლო საათების მიზერული რაოდენობა: უკეთეს შემთხვევაში 4 აკადემიური საათი (დღევანდელი 2 საათი) 2 სემესტრის განმავლობაში. აღსანიშნავია აგრეთვე ისიც, რომ „ისტორიის“ სპეციალობის სასწავლო გეგმაში ეროვნულ ისტორიას არც თუ იშვიათად სვამდნენ მხოლოდ დამამთავრებელ (IV ან V კურსებზე) და ამ საგანში იყო მხოლოდ ერთი გამოცდა. და ეს მაშინ, როდესაც ძირითადი საისტორიო დისციპლინა – ე.წ. „სსრკ ისტორია“

(ანუ რუსეთის ისტორია) ისწავლებოდა განუწყვეტლივ 8 სემესტრის (I-IV კურსებზე) განმავლობაში და ყოველი სასწავლო წლის (თუ სემესტრის არა) ბოლოს მთავრდებოდა გამოცდით. აფხაზეთის სინამდვილეში საქართველოს ისტორიისათვის გამოყოფილი საათების რაოდენობა კიდევ უფრო შემცირებული იყო, ვინაიდან საათების გარკვეული ნაწილი ეთმობოდა საკუთრივ ავტონომიური რესპუბლიკის ისტორიის შესწავლას.

ერთი სიტყვით, პედაგოგიური ინსტიტუტის „ისტორიის“ სპეციალობის კურსდამთავრებული პრაქტიკულად მოკლებული იყო შესაძლებლობას, მიეღო საფუძვლიანი ცოდნა ეროვნულ ისტორიაში. ეს კი, თავის მხრივ, გავლენას ახდენდა საქართველოს ისტორიის სწავლების ხარისხზე საშუალო სკოლაში. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით სავალალო მდგომარეობა იყო საქართველოს არაქართულ (რუსულ, აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ) სკოლებში, სადაც ისტორიის მასწავლებლებად ხშირ შემთხვევაში მუშაობდნენ ისეთი პედაგოგები, რომელთაც უმაღლესი განათლება საერთოდ საქართველოს ფარგლებს გარეთ ჰქონდათ მიღებული და, აქედან გამომდინარე, წარმოდგენაც კი არ ჰქონდათ საქართველოს ისტორიაზე (ეს პრობლემა დღესაც უმწვავესად დგას საქართველოს განათლების სისტემის წინაშე).

ასეთ ვითარებაში საქართველოს უმაღლესი განათლების სისტემაში ერთადერთი ნათელი წერტილი იყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, სადაც, როგორც ცნობილია, დაარსების დღიდან ფუნქციონირებდა დიდი ივანე ჯავახიშვილის მიერ დაფუძნებული საქართველოს ისტორიის კათედრა, რომელიც ხელმძღვანელობდა მაღალკვალიფიციური კადრების მომზადებას საქართველოს ისტორიის პროფილით. ისტორიის ფაკულტეტზე საქართველოს ისტორია ისწავლებოდა პირველი სემესტრიდან (სამი სემესტრის განმავლობაში) და სასწავლო საათების რაოდენობა თითქმის უტოლდებოდა სსრ კავშირის ისტორიისათვის გამოყოფილი საათების რაოდენობას. გარდა ამისა, კათედრას მიჰყავდა სპეცკურსები და სპეცსემინარები საქართველოს ისტორიის აქტუალურ პრობლემებზე. ყოველივე ეს აძლევდა საშუალებას სტუდენტ ახალგაზრდობას, მიეღო სიღრმისეული ცოდნა საქართველოს ისტორიაში, რასაც, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ვერ ახერხებდნენ პედაგოგიური ინსტიტუტების კურსდამთავრებულნი.

ასეთი ვითარება იყო ყველგან და, ბუნებრივია, არც სოხუმის პედაგოგიური ინსტიტუტი იქნებოდა გამონაკლისი, სადაც მდგომარეობას ისიც ართულებდა, რომ უმაღლესი სასწავლებლის წამყვანი ისტორიკოსები, პროფესორები რომელთაც, სხვათა შორის, სალოქტორო დი-

სერტატიები, უმეტესწილად, დაცული ჰქონდათ საქართველოს ისტორიაში, იმის გამო, რომ ეროვნული ისტორია, ასე ვთქვათ, მეორეხარისხოვან საგნად ითვლებოდა, ძირითადად სსრკ ისტორიის კურსს კითხულობდნენ და წლების განმავლობაში ე.წ. სსრ კავშირის ისტორიის (აგრეთვე მსოფლიო ისტორიის) სპეციალისტებად ყალიბდებოდნენ. შედეგად, აფხაზეთში მოღვაწე ქართველ მეცნიერ-ისტორიკოსთა შორის (რომელთაც გარეგნულად ნამდვილად არ აკლდათ სამეცნიერო რევალიები და ამ მხრივ ისინი აფხაზეთს არ ჩამოუვარდებოდნენ) პრაქტიკულად არ მოიძებნებოდა მეცნიერი, ვინც პროფესიონალურ დონეზე ჩახედული იყო საქართველოს ისტორიის პრობლემებში (შეიძლება ითქვას, რომ ამ მხრივ ერთადერთი გამონაკლისი იყო პროფ. **ირაკლი ანთელავა**, რომლის აფხაზეთში ყოფნა ვერ იგუეს მომძლავრებული აფხაზეთის სეპარატიზმის „მაძებმა“ და 1956წ. ის იძულებული შეიქნა სოხუმი დაეტოვებინა და მეცნიერული მოღვაწეობა თბილისში გაეგრძელებინა.). სეპარატიზტულად განწყობილ აფხაზ ისტორიკოსთა თავხედურ თავდასხმებს საქართველოს ისტორიასა და ქართულ კულტურაზე ათეული წლების მანძილზე ადგილზე, აფხაზეთში, მოპასუხე არავინ ჰყავდა.

და მაინც, ყოველივე ზემოაღნიშნული ოდნავადაც არ აკნინებს იმ ისტორიკოსთა ღვაწლს, რომლებმაც უძიმეს ვითარებაში თავიანთ თავზე აიღეს ერთი შეხედვით არაპრესტიჟული (და რამდენადმე უმაღური) საქმე და წლების განმავლობაში ასწავლიდნენ სოხუმის პედაგოგიურ ინსტიტუტში საქართველოს ისტორიას. მათ შორის განსაკუთრებული პატივითა და მოწიწებით უნდა მოვიხსენიოთ დოცენტები: **სოკრატ მიმისტარაშვილი** და **ალექსანდრე სოფია**. ეს უკანასკნელი თითქმის სამი ათეული წლის მანძილზე რჩებოდა ფაქტობრივად ერთადერთ ლექტორად საქართველოს ისტორიაში სოხუმის პედაგოგიურ ინსტიტუტში. პარალელურად 60-70-იან წლებში საქართველოს ისტორიის კურსი წაუკითხავთ აფხაზ ისტორიკოსებს – დოცენტებს **გიორგი ამინბასა** და **მიხეილ გუნბას**. აღნიშნულმა პიროვნებებმა ნამდვილად შექმნეს გარკვეული ტრადიცია სოხუმის პედაგოგიურ ინსტიტუტში საქართველოს ისტორიის სწავლების სფეროში. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ მათ საქართველოს ისტორიასთან ერთად უხდებოდათ საკუთრივ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ისტორიის სალექციო კურსის წაკითხვაც. აფხაზეთის ასსრ-ის ისტორიის კურსს წლების მანძილზე კითხულობდა აგრეთვე გამოჩენილი აფხაზი ისტორიკოსი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, პროფ. **გიორგი ძიძარია**.

ამ ფონზე გაცილებით მრავალფეროვანი და ნაყოფიერი იყო სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა საქართველოს ისტორიის პრობლემებზე. პედაგოგიური ინსტიტუტის პროფესორ-მასწავლებლებმა სერიოზული წვლილი შეიტანეს საქართველო-აფხაზეთის ახალი და უახლესი ისტორიის ცალკეული პრობლემების დამუშავებაში. ამ მხრივ განსაკუთრებით უნდა აღვნიშნოთ მეცნიერებათა დოქტორების: **ირაკლი ანთელავას** (იკვლევდა XIX ს. საქართველოს სოციალური ისტორიის საკითხებს, მის კალამს ეკუთვნის ორტომიანი გამოკვლევა *სახელმწიფო გლეხებზე*), **ირაკლი ახალაიას** (სწავლობდა XIX-XX სს. საქართველოს სოციალური და პოლიტიკური ისტორიის საკითხებს, არის საქართველოს რევკომებზე საეტაპო ნაშრომის ავტორი), **დიმიტრი ლემონჯავას** (XIX ს. საქართველოს სოციალური ისტორიის პრობლემატიკა), **ვანტანგ ადამიას** (XIX ს. II ნახევრის საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური ისტორიისა და 1918-1921 წწ. საქართველო-ინგლისის ურთიერთობების საკითხები), **ვლადიმერ ქარჩავას** (XX ს. საქართველო-აფხაზეთის სოციალურ-პოლიტიკური ისტორიის პრობლემები) მოღვაწეობა.

საქართველოს ძველი და შუა საუკუნეების აქტუალურ საკითხებს იკვლევდა პროფ. **გიორგი სოსელია**. საქართველო-აფხაზეთის ისტორიის აქტუალურ პრობლემებზე მუშაობდნენ მეცნიერებათა კანდიდატები: **ლევან ძიდიგური** (საგლეხო რეფორმა აფხაზეთში), **გიორგი ამიჩბა** (ქართული ნარატიული წერილობითი წყაროები შუა საუკუნეების აფხაზეთზე), **რაულ ზონელია** (სომხური საისტორიო წყაროები „აფხაზთა“ სამეფოზე), **სერგო შარია** (XX ს. 20-იანი წლების აგრარული ისტორია). მეცნიერული თვალსაზრისით, უაღრესად წარმატებული იყო პედაგოგიურ ინსტიტუტში მუშაობის წლები პროფ. **გიორგი ძიძარიასათვის** (1957-1965 წლებში ის იყო პედაგოგიური ინსტიტუტის რექტორი), რომელმაც ამ პერიოდში შექმნა ფუნდამენტალური შრომები XIX-XX ს. დამდეგის აფხაზეთის სოციალურ-ეკონომიკურ და კულტურულ-პოლიტიკურ ცხოვრებაზე. აფხაზეთის ისტორიის ცალკეულ პრობლემებს სწავლობდნენ პედაგოგიური ინსტიტუტის ის თანამშრომლებიც, რომლებიც მუშაობდნენ სკკპ ისტორიისა და მეცნიერული კომუნიზმის საფუძვლების კათედრებზე: **პროფ. ბორის კვარაცხელია**, დოცენტები **იროლიონ წურწუშია**, **ანტონინა ხაშბა**, **ანტონ ადღეიბა** და სხვ.

და მაინც, საქართველო-აფხაზეთის ისტორიის კვლევას სოხუმის პედაგოგიურ ინსტიტუტში არ ჰქონდა სისტემური ხასიათი, განსხვავებით საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის დიმიტრი გულიას სახელობის აფხაზეთის ენის, ლიტერატურისა და ისტორიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტისა, სადაც მიმდინარეობდა აფხაზეთის ისტორიის, არ-

ქელოგიისა და ეთნოგრაფიის პრობლემების გეგმაზომიერი და მიზან-მიმართული შესწავლა. უმთავრესი მიზეზი კი, რის გამოც სოხუმის პედაგოგიური ინსტიტუტი ვერ იქცა საქართველო-აფხაზეთის ისტორიის მეცნიერული კვლევის ცენტრად, იყო ის გარემოება, რომ უმაღლესი სასწავლებლის სტრუქტურაში არ იყო შესაბამისი უჯრედი – კათედრა ან პრობლემური ლაბორატორია, რომელსაც დაეკისრებოდა მუშაობის კოორდინირება-წარმართვა ამ მიმართულებით.

ვითარება შეიცვალა 1973წ. სოხუმის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის რექტორად პროფ. **ზურაბ ანჩაბაძის** დანიშვნის შემდეგ. უმაღლესი სასწავლებლის ხელმძღვანელის თანამდებობაზე თვალსაჩინო მეცნიერი ისტორიკოსის, საქართველო-აფხაზეთისა და კავკასიის ისტორიის აღიარებული მკვლევარის მოსვლამ, რომელიც იმთავითვე შეუდგა აქტიურ პედაგოგიურ მოღვაწეობასაც, მნიშვნელოვნად გამოაცოცხლა ინტერესი საქართველო-აფხაზეთის ისტორიისადმი. გარდა იმისა, რომ პროფ. **ზ. ანჩაბაძე** კითხულობდა ლექციების კურსს საქართველოს, აფხაზეთის ისტორიაში, არქეოლოგიის საფუძვლებში, დამხმარე ისტორიულ დისციპლინებში, მან გარს შემოიკრიბა ნიჭიერი ახალგაზრდები (მათ შორის, ამჟამად საქართველოს ისტორიის კათედრის დოცენტი **ჯამბულ ანჩაბაძე**, ცნობილი აფხაზი ისტორიკოსები **სტანისლავ ლაკობა, რეზო კაცია** და სხვ.), რომელთაც უტარებდა სპეციალურ მეცადინეობებს საქართველო-აფხაზეთის ისტორიის აქტუალურ პრობლემებზე და ამ გზით ამზადებდა მათ მომავალი სამეცნიერო მუშაობისათვის. მოგვიანებით, 1977წ. **ზ. ანჩაბაძის** უშუალო ინიციატივითა და თაოსნობით პედაგოგიურ ინსტიტუტში შეიქმნა „ისტორიული აფხაზეთმცოდნეობის“ სასწავლო-სამეცნიერო ლაბორატორია, რომელიც მთლიანად დაკომპლექტდა ახალგაზრდა მეცნიერთა კადრებით. მათ შორის იყვნენ **ჯამბულ ანჩაბაძე** (ლაბორატორიის გამგე), **ალიკ გაბელია** (არქეოლოგი, შემდგომ საქართველო-აფხაზეთის ისტორიის კათედრის წევრი, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი, ამჟამად აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორია-იურიდიული ფაკულტეტის დეკანი), **სიმა დბარი** (ეთნოგრაფი, ამჟამად ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი) და სხვ.

უნდა აღინიშნოს, რომ ლაბორატორიის სახელწოდებამ – „ისტორიული აფხაზეთმცოდნეობა“ („Историческое абхазоведение“) და არა „აფხაზმცოდნეობა“, იმთავითვე გამოიწვია სეპარატისტულად განწყობილ აფხაზ პროფესორ-მასწავლებელთა გაღიზიანება, რომელთათვის მიუღებელი აღმოჩნდა ცნება „აფხაზეთმცოდნეობა“ („абхазоведение“) „აფხაზმცოდნეობის“ („абхазоведение“) ნაცვლად. ბ-ნი **ზ. ანჩაბაძე** იძლეოდა სავსებით დასაბუთებულ განმარტებას ამასთან დაკავშირებით.

ის საგანგებოდ უსვამდა ხაზს, რომ „ისტორიული აფხაზეთმცოდნეობა“ გულისხმობდა მთლიანად აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის, და არა მხოლოდ აფხაზთა, ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის (სწორედ ამ ჭრილში მიმდინარეობდა კვლევა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის დ. გულიას სახელობის აფხაზეთის ენის, ლიტერატურისა და ისტორიის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში) შესწავლას.

„ისტორიული აფხაზეთმცოდნეობის“ სასწავლო-სამეცნიერო ლაბორატორია პროფ. ზ. ანჩაბაძეს ესახებოდა (ის ამას ოფიციალურადაც აცხადებდა) მომავალი საქართველო-აფხაზეთის ისტორიის კათედრის ერთგვარ ჩანასახად, თუმცა თვით კათედრის გახსნა პედაგოგიური ინსტიტუტის პირობებში ფაქტობრივად გამორიცხული იყო. სხვა (პოლიტიკურ თუ იდეოლოგიურ) გარემოებებზე რომ არაფერი ვთქვათ, არსებულ სიტუაციაში ამის შესაძლებლობას საქართველო-აფხაზეთის ისტორიისათვის გამოყოფილი სასწავლო საათების (იკითხებოდა მხოლოდ „ისტორიის“; ფილოლოგიურ და პედაგოგიურ სპეციალობებზე) რაოდენობა არ იძლეოდა.

უნივერსიტეტის გახსნისთანავე მისმა ხელმძღვანელმა გადადგა პირველი ნაბიჯები საქართველო-აფხაზეთის ისტორიის კათედრის შესაქმნელად. მოსამზადებელი სამუშაოს შესრულება დაევალა სსრ კავშირის ისტორიის კათედრის (რომელიც კურირებდა საქართველო-აფხაზეთის ისტორიის სწავლებას) გამგეს პროფ. ირაკლი ახალაიას. მან ამ საქმეში ჩართო ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი, იმჟამად მსოფლიო ისტორიის კათედრის მასწავლებელი ზურაბ პაპასქირი, რომელსაც პარალელურად მიჰყავდა საქართველოს ისტორიის კურსიც და ითვლებოდა (დოც. ა. სოფიასთან ერთად) დარგის წამყვან სპეციალისტად. სწორედ ამ ორმა პიროვნებამ, რექტორის უშუალო ხელმძღვანელობით, მოამზადა კათედრის სამუშაო დოკუმენტაცია. შედგა კათედრის დისციპლინათა ნუსხა. გარდა საქართველოს ისტორიის საუნივერსიტეტო კურსისა, რომელიც ისწავლებოდა „ისტორიის“ სპეციალობის I და II კურსებზე (3 სემესტრის განმავლობაში, ისევე როგორც თსუ-ს ისტორიის ფაკულტეტზე), კათედრას მიჰყავდა „აფხაზეთის ისტორია“, „არქეოლოგიის საფუძვლები“, „ეთნოგრაფიის საფუძვლები“, „დამხმარე ისტორიული დისციპლინები“.

კათედრას დაევალა აგრეთვე საქართველო-აფხაზეთის ისტორიის პროფილით სპეციალიზაციის დისციპლინების წაყვანა, რაც გულისხმობდა სპეცკურსებისა და სპეცსემინარების ჩატარებას „ისტორიის“ სპეციალობის III-V კურსებზე, აგრეთვე საკურსო და სადიპლომო შრომების ხელმძღვანელობას. აქედან გამომდინარე, საქართველო-აფხაზეთის

ისტორიის კათედრას (ერთადერთს ფაკულტეტზე) დაეკისრა გამომშვე-
ბი კათედრის ფუნქციის შესრულება. ამასთან, საქართველო-აფხაზეთის
ისტორიის კათედრა იმთავითვე გადაიქცა საუნივერსიტეტო კათედრადაც,
რაც განპირობებული იყო იმით, რომ, რექტორის ბრძანებით, უნივერსი-
ტეტის დღის განყოფილების ყველა სპეციალობის I კურსებზე (I-II
სემესტრის განმავლობაში) შემოღებულ იქნა საქართველო-აფხაზეთის
ისტორიის სავალდებულო კურსი, საკმაოდ სოლიდური დატვირთვით
(2სთ. კვირაში, I სემესტრი მთავრდებოდა ჩათვლით, II სემესტრი –
გამოცდით).

კათედრის ფორმირების საწყის სტადიაზე შეიქმნა გარკვეული წი-
ნააღმდეგობები მის სახელწოდებასთან დაკავშირებით. მიუხედავად იმი-
სა, რომ კათედრის ძირითადი სასწავლო დისციპლინა სწორედ „*საქარ-
თველოს ისტორია*“ იყო, რომლის ნაწილსაც წარმოადგენდა საკუთრივ
„*აფხაზეთის ისტორია*“; აფხაზეთში იმ დროს შექმნილი ვითარების
ფონზე პრაქტიკულად გამორიცხული იყო კათედრისათვის „*საქართვე-
ლოს ისტორიის კათედრის*“ სახელი მიენიჭებინათ. თავის მხრივ, ნამ-
დვილად დიდ უხერხულობას ქმნიდა სახელწოდება „*საქართველოსა და
აფხაზეთის ისტორიის კათედრა*“, ვინაიდან ამ შემთხვევაში გამოდიოდა
თითქოს აფხაზეთი არ იყო საქართველოს ნაწილი. გაითვალისწინა რა
ყოველივე ეს, პროფ. ზ. ანჩაბაძემ საქართველოს უმაღლესი და საშუა-
ლო სპეციალური განათლების სამინისტროს დასამტკიცებლად წარუდ-
გინა ერთგვარი კომპრომისული ვარიანტი: „*საქართველოს სსრ-ისა და
აფხაზეთის ასსრ-ის ისტორიის კათედრა*“; მაგრამ სამინისტროს კოლე-
გიამ, რომლის მუშაობაში თვით ზ. ანჩაბაძეც მონაწილეობდა, მაინც
აარიდა თავი საქართველოსა და აფხაზეთის ერთდროულად მოხსენიე-
ბას და კათედრის სახელწოდებად „*სსრ კავშირის ისტორიის №2 კა-
თედრა*“ არჩია. ამ სახელწოდების ინიციატორი იყო თვით მინისტრი,
ცნობილი ისტორიკოსი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-
კორესპონდენტი პროფ. **დავით ჩხიკვიშვილი**, რომელიც იმ პერიოდში
პარალელურად განაგებდა სკკპ ისტორიის №2 კათედრას თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტში. ასე დაერქვა სოხუმის (აფხაზეთის) სა-
ხელმწიფო უნივერსიტეტის ახლადშექმნილ საქართველო-აფხაზეთის ის-
ტორიის კათედრას „*სსრ კავშირის ისტორიის №2 კათედრა*“ („*Ка-
федра истории СССР №2*“).

კათედრის გამგის თანამდებობაზე, როგორც მოსალოდნელი იყო,
დაინიშნა (შეთავსებით) უნივერსიტეტის რექტორი, პროფ. **ზურაბ ანჩა-
ბაძე**. იმჟამად სოხუმის უნივერსიტეტში ფუნქციონირებდა კათედრის
გამგის მოადგილის (ოფიციალურად „იდუურ-აღმზრდელით“ სვერო-

ში) ინსტიტუტი. ამ თანამდებობაზე დაინიშნა დოც. **ზურაბ პაპასქირი**, რომელსაც, სიტუაციიდან გამომდინარე (კათედრის გამგე თვით რექტორი იყო), ფაქტობრივად დაევალა კათედრის მთელი მუშაობის წარმართვა. უნდა აღინიშნოს, რომ უნივერსიტეტის რექტორის გადაწყვეტილებამ ზ. პაპასქირის კათედრის გამგის მოადგილის თანამდებობაზე დაინიშნის შესახებ სეპარატისტულად განწყობილ პროფესორ-მასწავლებელთა მხრიდან გამოიწვია გარკვეული პროტესტი, რომელიც ძირითადად ორი გარემოებით იყო განპირობებული. პირველ რიგში, სეპარატისტულად განწყობილ აფხაზობას ახლადგახსნილი კათედრა აფხაზეთის (და არა საქართველო-აფხაზეთის) ისტორიის კათედრად წარმოედგინათ და, ამდენად, მათ სურდათ ამ კათედრის მუშაობა მთლიანად აფხაზური სეპარატისტული იდეოლოგიის კონიუნქტურას დაქვემდებარებოდა. აქედან გამომდინარე, მათთვის მიუღებელი იყო კათედრის გამგის მოადგილედ ეროვნებით ქართველი ზ. პაპასქირის კანდიდატურა, მით უფრო, რომ ეს უკანასკნელი ამ დროისათვის, აფხაზ სეპარატისტთა თვალში, უკვე სარგებლობდა „საეჭვო“ რეპუტაციით პროფ. შ. ინალ-იფასა და სხვა აფხაზ მკვლევართა ანტიქართული შეხედულებების აქტიური კრიტიკის გამო. მაგრამ აფხაზთა ეს პროტესტი პროფ. ზ. ანჩაბაძემ, ბუნებრივია, არ მიიღო და კათედრა მშვიდად შეუდგა საქმიანობას.

კათედრის თავდაპირველი შემადგენლობა შემდეგნაირად გამოიყურებოდა: პროფ. **ზურაბ ანჩაბაძე** (კათედრის გამგე), დოც. **ზურაბ პაპასქირი** (კათედრის გამგის მოადგილე), დოც. **ალექსანდრე სოფია**, უფრ. მასწ. **ტატიანა კონჯარია**, მასწ. **ჯამბულ ანჩაბაძე**, მასწ. **ვლადიმერ ანცუპოვი** (კათედრის ძირითადი თანამშრომლები). მათ გარდა კათედრაზე შეთავსებით მუშაობდნენ: საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, პროფ. **გიორგი ძიძარია**, პროფ. **არველოდ კუბრავა**, დოც. **გიორგი ამიჩბა**, დოც. **იური არგუნი**, დოც. **ოლეგ ბლაჟბა**, დოც. **მიხეილ გუნბა**. მოგვიანებით კათედრის წევრები გახდნენ: მასწ. **ლავრენტი კემულარია**, მასწ. **იოსებ (სოსო) ადამია**, მასწ. **ვახტანგ ჭანია**, მასწ. **ლუიზა ბესელია**, მასწ. **ჯონი აფაქიძე**. ლაბორანტებად მუშაობდნენ **ბელა აჩბა**, **დავით ჩიტაია**, **როლანდ ნიჟარაძე**, **ნინელი ხუბულავა**. ცალკეული სპეციალური დისციპლინები წაუკითხავთ თბილისიდან მოწვეულ სპეციალისტებს: პროფ. **ლეონიდე შერვაშიძეს**, მეცნიერებათა კანდიდატებს **გიორგი ანჩაბაძეს**, **მალხაზ ბარამიძეს**, **მელეა ქანთარიას**, **ვალერი ვაშაკიძეს**.

სოხუმის უნივერსიტეტის საქართველო-აფხაზეთის ისტორიის კათედრის სასწავლო მუშაობა ძირითადად აიგო თსუ საქართველოს ის-

ტორიის კათედრის მუშაობის სქემაზე, ბუნებრივია, მთელი რიგი თავისებურებების გათვალისწინებით. პირველი და უმთავრესი განსხვავება ის იყო, რომ კათედრას, როგორც უკვე აღვნიშნეთ, გარდა საქართველოს (აგრეთვე აფხაზეთის) ისტორიის კურსისა, მიჰყავდა არქეოლოგიური და ეთნოგრაფიული დისციპლინებიც (როგორც ცნობილია, ამ დარგებს თსუ-ში სპეციალური არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის კათედრები ემსახურება). მნიშვნელოვნად გადახალისებული იყო სპეციალიზაციის დისციპლინების ნუსხაც. გარდა იმ საგნებისა, რომლებიც ისწავლებოდა თსუ საქართველოს ისტორიის სპეციალობაზე (1. „საქართველოს (აფხაზეთის) ისტორიის წყაროთმცოდნეობა“ – პროფ. **ზ. ანჩაბაძე**; 2. „საქართველოს (აფხაზეთის) ისტორიის ისტორიოგრაფია“ – პროფ. **ზ. ანჩაბაძე**; 3. „ქართლის ცხოვრება“ – ძველი და შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიის წყარო“ – დოც. **ზ. პაპასქირი**; 4. „საქართველოს საგარეო-პოლიტიკური ურთიერთობები XI-XII საუკუნეებში“ – დოც. **ზ. პაპასქირი**; 5. „საქართველოს ისტორიის ბერძნულ-რომაული წყაროები“ – მ/კ **ვ. ვაშაკიძე** და ა.შ.).

საქართველოს ისტორიის უკეთ დაუფლების მიზნით ისწავლებოდა ისეთი დისციპლინები, როგორიცაა: „ქართული პალეოგრაფია“ (ს. ადამია), „საქართველოს ეთნოგრაფია“ (მ/კ **მ. ქანთარია**, **ლ. ბესელია**), „საქართველოს არქეოლოგია“ (მ/კ **მ. ბარამიძე**, **ჯ. აფაქიძე**). საგანგებო ყურადღება ექცეოდა აფხაზეთმცოდნეობას. ცალკე სპეცკურსების სახით იკითხებოდა: „აფხაზთა ეთნოგრაფია“ (მ/კ **ი. არგუნი**, **ლ. ბესელია**), „აფხაზეთის არქეოლოგია“ (დოც. **მ. გუნბა**, დოც. **ო. ბლაჟბა**), „შუა საუკუნეების ქართული წყაროები აფხაზეთსა და აფხაზეთზე“ (დოც. **გ. ამიჩა**), „XIX-XX საუკუნის დამღევის აფხაზეთის ისტორიის პრობლემები“ (პროფ. **გ. ძიძარია**), „აფხაზეთის ასსრ სოციალურ-პოლიტიკური ისტორიის საკითხები“ (პროფ. **ა. კუპრავა**) და ა.შ.

როგორც უკვე ზემოთ აღინიშნა, კათედრას დაეკისრა საქართველო-აფხაზეთის ისტორიის ზოგადი კურსის წაკითხვა უნივერსიტეტის ყველა ფაკულტეტსა და სპეციალობაზე. აფხაზეთის სინამდვილეში ამ ფუნქციის შესრულება გარკვეულ სირთულეებთან იყო დაკავშირებული. კათედრის პოლიტიკა ეროვნული ისტორიის სწავლების საქმეში იმთავითვე გამოიკვეთა. კათედრის წევრები საქართველო-აფხაზეთის ისტორიის წაკითხვისას მთლიანად ხელმძღვანელობდნენ ქართულ ისტორიოგრაფიაში შემუშავებული სქემითა და პრინციპებით. საკუთრივ აფხაზეთის ისტორია სტუდენტობას მიეწოდებოდა საერთოქართული ისტორიის ჭრილში და მასთან ორგანულ კავშირში. ამით კათედრის პროფესორ-მასწავლებლები ახერხებდნენ უმთავრესი მიზნის – ჩაენერგათ

სტუდენტი ახალგაზრდობისათვის მშობლიური საქართველო-აფხაზეთის სიყვარული – მიღწევას. ბუნებრივია, კათედრის წევრთა ეს მისწრაფება არ დარჩენილა შეუმჩნეველი უნივერსიტეტში მომუშავე სეპარატისტულად განწყობილი აფხაზი მოღვაწეებისათვის, რომლებიც, როგორც იტყვიან, „ხიშტებით ხვდებოდნენ“ საერთოქართული პატრიოტული სულისკვეთების პროპაგანდის ნებისმიერ გამოვლინებას აფხაზეთის უნივერსიტეტში.

ამ მხრივ განსაკუთრებით კრიტიკული სიტუაცია შეიქმნა 1982-1983 წლებში, როდესაც პროფესორ-მასწავლებელთა ერთმა ჯგუფმა, აფხაზური სეპარატიზმის ერთ-ერთი იდეოლოგის დოც. **ოლეგ დომენიას** მეთაურობით აფხაზ სტუდენტთა ნაწილი აუმხედრა დოც. **ზ. პაპასქირს** და ოფიციალურად დააყენა რექტორატისა და ზემდგომი პარტიული ორგანოების (თვით სკკპ ცკ-ს) დონეზეც კი მისი სამსახურიდან დათხოვნის საკითხი. კონფლიქტის დარეგულირებაში გადამწყვეტი როლი შეასრულა უნივერსიტეტის რექტორისა და კათედრის გამგის პროფ. **ზ. ანჩაბაძის** გამოკვეთილმა არაორაზროვანმა პოზიციამ, რომელმაც თავისი უაღრესად აკადემიური და დასაბუთებული გამოსვლებით მთლიანად გააქარწყლა სეპარატისტ „მოღვაწეთა“ დემაგოგიური ბრალდებები და დაიცვა თავისი უმცროსი კოლეგა ბინძური თავდასხმებისაგან. საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ იმ პერიოდში (1982-1984წ. იანვარი) უნივერსიტეტში გამართულმა დებატებმა კიდევ ერთხელ გამოავლინეს **ზურაბ ანჩაბაძის** როგორც გამოჩენილი ისტორიკოსის ურყევი მეცნიერული ავტორიტეტი, ისე თავისი ქვეყნის – საქართველო-აფხაზეთის დიდი მამულიშვილის მაღალი მოქალაქეობრივი ღირსეობები. აქვე არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ ხსენებული კონფლიქტის დარეგულირებაში პოზიტიური როლი შეასრულა აფხაზეთის მაშინდელი პოლიტიკური ხელმძღვანელობის ზოგიერთმა მაღალჩინოსანმაც (მათ შორის საოლქო კომიტეტის მდივნებმა: **ვილენ ალავიძემ** და **რუფეტ ბუტბამ**, აგრეთვე განათლებისა და მეცნიერების განყოფილების გამგემ **ვიქტორ ალექსანდროვმა**).

და მაინც, უნივერსიტეტში მოკალათებულმა სეპარატისტულმა ძალებმა იმ პერიოდში მიაღწიეს გარკვეულ წარმატებას. უშუალოდ **ო. დომენიასა** და მის „თანამებრძოლთა“ მოთხოვნით საქართველო-აფხაზეთის ისტორიის ერთიანი სალექციო კურსი (არასპეციალურ ფაკულტეტებზე) დაიყო ორ ნაწილად: I სემესტრში იკითხებოდა „*საქართველოს ისტორია*“ (36 საათის ოდენობით), ხოლო II სემესტრში თითქმის იმავე მოცულობით (34სთ) – „*აფხაზეთის ისტორია*“. გარდა ამისა, „ყოველგვარი გაუგებრობის“ (უფრო სწორად, აფხაზ სტუდენტთა „გადი-

ზიანების“) თავიდან ასაცილებლად **ზ. პაპასქირს** „უარი ათქმევინეს“ მეცადინეობების ჩატარებაზე ე.წ. „აფხაზურ“ და რუსულ სექტორებზე (ეს „აკრძალვა“ მოიხსნა 1985-1986 სასწავლო წლიდან). მიუხედავად ამისა, კათედრის წევრებს მაინც არ გადაუხვევიათ ალებული კურსიდან და ეროვნულ-სახელმწიფოებრივი თვალსაზრისით რაიმე კორექტივი არ შეუტანიათ თავიანთ სალექციო კურსში, როგორც საქართველოს, ისე საკუთრივ აფხაზეთის ისტორიის სწავლებისას. ამ მხრივ ერთადერთი გამონაკლისი იყო **ტ. კონჯარია**, რომელიც პედაგოგიური ფაკულტეტის აფხაზურ სექტორზე სტუდენტებს აფხაზურ ენაზე უკითხავდა ლექციების კურსს „აფხაზეთის ისტორიაში“ (სხვა დანარჩენი სპეციალობების რუსულ სექტორებზე, მათ შორის „აფხაზური ენისა და ლიტერატურის“ სპეციალობაზეც კი საქართველო-აფხაზეთის ისტორია რუსულ ენაზე იკითხებოდა) და რომლის „გაკონტროლება“ კათედრას არ შეეძლო.

1983 წლის სექტემბრიდან პროფ. **ზურაბ ანჩაბაძე** გადადგა საქართველო-აფხაზეთის ისტორიის კათედრის გამგის თანამდებობიდან და მისი რეკომენდაციით კათედრის გამგედ მოწვეული იქნა ცნობილი ისტორიკოსი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **არველოდ კუპრავა**, რომელიც მანამდე წლების განმავლობაში სათავეში ედგა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის დიმიტრი გულიას სახელობის აფხაზეთის ენის, ლიტერატურისა და ისტორიის ინსტიტუტის ისტორიის განყოფილებას. ბ-ნი ზურაბის ამ ერთი შეხედვით მოულოდნელი გადაწყვეტილების მიღების მიზეზი იყო ის უმძიმესი ფსიქოლოგიური ზეწოლა, რომელსაც ის 1977-1978 წლებიდან დაწყებული სისტემატურად განიცდიდა სეპარატისტულად განწყობილი აფხაზი პროფესორ-მასწავლებლების მხრიდან, რომელთაც ვერაფრით მოახერხეს **ზ. ანჩაბაძის** თავიანთ მედროშედ გადაქცევა. სხვათა შორის, იმ პერიოდში ბ-ნი ზურაბი სერიოზულად ფიქრობდა რექტორის თანამდებობის დატოვებასა და შემდგომი მოღვაწეობის თბილისში, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმში გაგრძელებაზე (ივარაუდებოდა მისი საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტისა თუ აკადემიკოს-მდივნის მოვალეობის შემსრულებლად დანიშვნა).

პროფ. **ა. კუპრავას**, ეროვნებით ქართველის, დანიშვნა საქართველო-აფხაზეთის ისტორიის კათედრის გამგედ არ იყო შემთხვევითი. იმჟამად აფხაზებს კათედრის პროფილით პრაქტიკულად არ ჰყავდათ მეცნიერებათა დოქტორი. ერთადერთი პიროვნება (პროფ. გიორგი ძიძარას გარდა), რომელსაც მაშინ დაცული ჰქონდა სადოქტორო დისერტაცია მოცემული სპეციალობით, იყო ბაჯგურ საღარია, რომელსაც არავითარი კონტაქტი არ ჰქონდა უნივერსიტეტთან. რაც შეეხება პროფ. ა.

კუპრავას, ის შეთავსებით (0,5 საშტატო განაკვეთზე) უკვე მუშაობდა კათედრაზე და კითხულობდა აფხაზეთის ისტორიის (საბჭოთა პერიოდი) კურსს „ისტორიის“ სპეციალობაზე. აფხაზი ეროვნების დოცენტის კათედრის გამგედ დანიშვნა იმ სიტუაციაში, როდესაც კათედრის ძირითადი თანამშრომლების აბსოლუტურ უმრავლესობას შეადგენდნენ ეროვნებით ქართველები, რომელთაგან ორს, მათ შორის კათედრის გამგის მოადგილეს, ჰქონდა დოცენტის სამეცნიერო წოდება, ნამდვილად შექმნიდა გარკვეულ უხერხულობას. მით უფრო, რომ იმ დროს (1983წ. სექტემბრისათვის) ისტორიის ფაკულტეტის დანარჩენი ორი კათედრის („სსრ კავშირის ისტორიისა“ და „მსოფლიო ისტორიის“) გამგეები აფხაზები (დოცენტები: **რაულ ზონელია** და **დიმიტრი გულია**) იყვნენ. ასეთ ვითარებაში ეროვნებით ქართველი პროფესორის კანდიდატურა, რომელიც სამეცნიერო რეგალიებითაც (მეცნიერების დოქტორი, საქართველოს სსრ-სა და აფხაზეთის ასსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე) შეუვალი იყო და, რაც მთავარია, აფხაზური სეპარატისტული კონიუნქტურის წინააღმდეგ ხმასაც ვერ ამოიღებდა, ნამდვილად უალტერნატივო აღმოჩნდა.

ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე შეიძლება ითქვას, რომ პროფ. **ა. კუპრავას**, თავისთავად – ბუნებით – უაღრესად სიმპათიური ადამიანის, ქართველობა არასოდეს გასცილებია პასპორტის გრაფას. თავისი აღზრდით ის განეკუთვნებოდა კომუნისტური მრწამსის იმ ე.წ. „ქართველ“ მოღვაწეთა რიცხვს, რომელთათვისაც უცხო იყო ზოგადქართული ეროვნული სატკივარი (სამწუხაროდ, ასეთები საკმაოდ მრავლად იყვნენ აფხაზეთში) და რომლებიც მთელი თავისი საქმიანობით ჯდებოდნენ აფხაზური სეპარატისტული კონიუნქტურის ჩარჩოებში. შემთხვევითი არ არის, რომ პროფ. **ა. კუპრავა** 1992-1993 წლების სამხედრო კონფლიქტის შემდეგ არა თუ დარჩა სოხუმში, არამედ დღემდე „ქებათა-ქებას“ უძღვნის (იქაურ პრესაში) იმ აფხაზ ბოლშევიკ ლიდერებს, რომლებმაც, თავის დროზე, ლომის წილი დაიდეს ანტიქართული ისტერიის გაღვივებაში.

მიუხედავად არსებული პოლიტიკურ-იდეოლოგიური წნეხისა, აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველო-აფხაზეთის ისტორიის კათედრამ მაინც მიაღწია სერიოზულ წარმატებებს როგორც სასწავლო-აღმზრდელობითი, ისე სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის სფეროში და იმთავითვე გადაიქცა ერთ-ერთ მოწინავე კათედრად მთელი უნივერსიტეტის მასშტაბით. კათედრის წევრებმა აიმაღლეს სამეცნიერო კვალიფიკაცია. 1980-1988 წლებში საკანდიდატო დისერტაციები დაიცვეს: **ჯამბულ ანჩაბაძემ, ვახტანგ ჭანიამ, ლავრენტი კეპულარიამ,**

ვლადიმირ ანცუპოვმა, ჯონი აფაქიძემ, როლანდ ნიჟარაძემ; ალექსანდრე სოფიამ დაიცვა სადოქტორო დისერტაცია. ფაქტობრივად კათედრაზე მომზადდა პირველი სახელმძღვანელო აფხაზეთის ისტორიაში, რომლის ავტორები იყვნენ პროფესორები: **ზურაბ ანჩაბაძე** (XIX საუკუნემდე), **გიორგი ძიძარია** (1801-1921წწ.), **არველოდ კუპრავა** (1921-1981წწ.).¹ უნდა აღინიშნოს, რომ ამ სახელმძღვანელოს გამოსვლას გაღიზიანებით შეხვდა სეპარატისტულად განწყობილი აფხაზური ინტელიგენცია, რომელმაც უნივერსიტეტში სპეციალურად მოწყობილ განხილვაზე, როგორც იტყვიან, კრიტიკის ქარ-ცეცხლში გაახვია სახელმძღვანელოს ის ნაწილი, რომელშიც გადმოცემული XIX საუკუნემდელი ისტორია.

კათედრაზე მომზადდა სასწავლო პროგრამები საქართველოს ისტორიის წყაროთმცოდნეობასა და XI-XIII სს. საქართველოს საერთაშორისო ურთიერთობებში (ავტორი-შემდგენელი დოც. **ზ. პაპასქირი**).² საგანგებო ყურადღება ეთმობოდა მუშაობას ე.წ. „აფხაზურ“ სექტორებზე. იყო მცდელობები ცალკეული დისციპლინების აფხაზურ ენებზე წაკითხვისა, კერძოდ, „აფხაზთა ეთნოგრაფიის“ (დოც. **ი. არგუნი**) და „აფხაზეთის არქეოლოგიის“ (დოც. **მ. გუნბა**). უფრო მეტიც, კათედრის გამგის მოადგილის უშუალო ინიციატივით, 1985წ. აფხაზმა სტუდენტმა **ირინე აგრბამ**³ პირველად მოამზადა სადიპლომო შრომა აფხაზურ ენაზე (თემა: „მატიანე ქართლისას“ ცნობები „აფხაზთა“ სამეფოზე“). კათედრა საერთოდ განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა სტუდენტთა სამეცნიერო-კვლევით მუშაობას. კათედრის წევრთა ხელმძღვანელობით მომზადებული სტუდენტური მოხსენებები მოწონებას იმსახურებდნენ რესპუბლიკურ სამეცნიერო კონფერენციებზე, რომლის მუშაობაში, როგორც წესი, აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ კათედრის ცალკეული წევრები, ხოლო კათედრის გამგის მოადგილე სისტემატურად შედიოდა საქართველოს ისტორიის სექციის ჟიურის შემადგენლობაში, თავმჯდომარეობდა აღნიშნული სექციის სხდომებს.

¹ **З. В. Анчабадзе, Г. А. Дзидзария, А. Э. Куправа.** История Абхазии. Учебное пособие. Сухуми, 1986.

² აღნიშნული სასწავლო პროგრამები მომზადებული იქნა თსუ-ის საქართველოს ისტორიის კათედრაზე სტაჟირებისას კათედრის მაშინდელი გამგის აკად. **მარიამ ლორთქიფანიძის** ხელმძღვანელობით (1985 თუ 1986წ.) სამწუხაროდ, მოგვიანებით (XX ს. 90-იან წლებში) კათედრაზე ვერ მოხერხდა ამ პროგრამების პირველი პირის მოძიება, სხვა პირები კი სოხუმში დარჩა.

³ ამჟამად ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი, ერთი პერიოდი იყო აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორია-იურიდიული ფაკულტეტის დეკანი.

კათედრა იმთავითვე გადაიტყა საქართველო-აფხაზეთის ისტორიის პრობლემების მეცნიერული კვლევის მნიშვნელოვან ცენტრად. პროფ. **ზ. ანჩაბაძის** ხელმძღვანელობით კათედრა შეუდგა დიდი თემის – „აფხაზეთის ასსრ ქლაქებისა და სოფლების ისტორიის“ დამუშავებას. მომზადდა ისტორიული ნარკვევები აფხაზეთის მთელ რიგ ქალაქებზე და სოფლებზე. მათ შორის საგანგებოდ უნდა აღინიშნოს ნარკვევები: ოჩამჩირეზე (**ჯ. ანჩაბაძე**), ახალ ათონზე (**გ. ამიჩა**), სოფ. ღურიფშზე (**ტ. კონჯარია**). აღსანიშნავია აგრეთვე ისიც, რომ კათედრის წევრმა **ვ. ანცუპოვმა** საკანდიდატო დისერტაციაც კი დაიცვა (მეცნ.-ხელმძღვ. **ზ. ანჩაბაძე**) ქ. სოხუმზე. პარალელურად კათედრაზე მიმდინარეობდა შუა საუკუნეების საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური ისტორიის პრობლემების კვლევა (**ზ. პაპასქირი**, **ს. ადამია**). კათედრის წევრებმა 1980-1988 წლებში გამოაქვეყნეს ათეულობით ნაშრომი, მათ შორის მონოგრაფიები. კათედრის მეცნიერული პოტენციალის აღიარება იყო ის, რომ მის წევრთა ნაღვაწი აღინიშნა მაღალი სამთავრობო ჯილდოებით. ასე, მაგალითად: 1982წ. კათედრის დამაარსებელსა და პირველ გამგეს პროფ. **ზ. ანჩაბაძეს** „საქართველოს ისტორიის ნარკვევების“ რვატომეულის შექმნისათვის (ის არის მე-3 ტომის რედაქტორი) მიენიჭა საქართველოს სახელმწიფო პრემია; იმავე 1982წ. დოც. **ზ. პაპასქირს** ნაშრომთა ციკლისათვის XI-XIIIსს. საქართველოს საერთაშორისო ურთიერთობების ისტორიიდან, რომელშიც უმთავრესი იყო მონოგრაფია რუსეთ-საქართველოს ურთიერთობებზე,¹ საქართველოს კომკავშირის პრემია მიენიჭა.

საქართველო-აფხაზეთის ისტორიის კათედრის წევრები აქტიურად იყვნენ ჩართულნი ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის საქართველოს საისტორიო საზოგადოების აფხაზეთის ორგანიზაციის (თავმჯდომარე პროფ. **გიორგი ძიძარია**) მუშაობაში, დოც. **ზ. პაპასქირი** იყო ამ ორგანიზაციის თავმჯდომარის მოადგილე. პროფ. **ზ. ანჩაბაძე**, პროფ. **ა. კუპრავა**, დოც. **ზ. პაპასქირი** იყვნენ საქართველოს მეცნიერ-ისტორიკოსთა ყოველწლიური ბორჯომის შეხვედრების უცვლელი მონაწილენი. კათედრა სისტემატურად ეწეოდა მეცნიერული ცოდნის პროპაგანდას საზოგადოება „ცოდნის“ ხაზით. კათედრის თანამშრომლები აქვეყნებდნენ სამეცნიერო-პოპულარული ხასიათის მასალებს პრესის ფურცლებზე, გამოდიოდნენ რადიოთი და ტელევიზიით.

1985წ. გაზაფხულზე სსრ კავშირში დაწყებულმა გარდაქმნის პროცესმა, დემოკრატიზმისა და საჯაროობის პრინციპების დამკვიდრე-

¹ **З. В. Папаскири.** У истоков грузино-русских политических взаимоотношений. Тб., 1982.

ბამ გზა გაუხსნა თავისუფალ აზრს. ასეთ ვითარებაში ერთბაშად ამოხეთქა დაგროვილმა ეროვნულმა სატკივარმა. საბჭოურ იმპერიაში შემავალ მოკავშირე რესპუბლიკებში აზვირთდა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა, რომლის ფლაგმანად ბალტიისპირეთის რესპუბლიკებთან ერთად საქართველო მოგვევლინა. საერთოქართულმა ეროვნულ-განმათავისუფლებელმა მოძრაობამ, რომლის ეპიცენტრი, ბუნებრივია, დედაქალაქი იყო, მოიცვა რეგიონებიც, მათ შორის აფხაზეთიც. ეროვნული მოძრაობის ავანგარდში იდგა ქართველი ახალგაზრდობა, რომლის ყველაზე აქტიურ ნაწილს სტუდენტობა წარმოადგენდა. აფხაზეთში ეს მისია თავის თავზე აიღო სოხუმის უნივერსიტეტის ქართველმა სტუდენტობამ. და ეს არ იყო შემთხვევითი მოვლენა. ამ დროისათვის აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი უკვე იქცა სეპარატიზმის უმნიშვნელოვანეს იდეოლოგიურ ცენტრად. მანამდე ამ ფუნქციას აფხაზეთში, როგორც ცნობილია, ძირითადად აფხაზეთის მწერალთა კავშირი და დ. გულიას სახელობის აფხაზეთის ენის, ლიტერატურისა და ისტორიის ინსტიტუტი ასრულებდნენ.

აფხაზეთის მწერალთა კავშირი უმთავრესად აფხაზ მწერალთა გაერთიანებას წარმოადგენდა, რომელშიც მაქსიმალურად იზღუდებოდა ქართველ მწერალთა მიღება. საკმარისია ითქვას, რომ 1988-1989წწ. მიჯნაზე აფხაზეთის მწერალთა კავშირის 78 წევრიდან ქართველი მხოლოდ 25-მდე იყო, ხოლო აფხაზი – სულ ცოტა 2-ჯერ მეტი. და ეს მაშინ, როდესაც აფხაზეთის ქართული მოსახლეობა თითქმის 3-ჯერ აღემატებოდა აფხაზთა რიცხვს და არც მწერლური ნიჭისა და ტალანტის დეფიციტს განიცდიდა (შეიძლება ითქვას, რომ ქართველებს ეს მოჭარბებულადაც კი გვაქვს). გარდა ამისა, ცნობილია, თუ როგორ იზღუდებოდა ქართველ მწერალთა შემოქმედებითი საქმიანობა და რა სერიოზულ, ხშირ შემთხვევაში გადაულახავ სიძნელებებთან იყო დაკავშირებული მათი ნაწარმოებების პუბლიკაცია. ის, რომ მწერალთა კავშირი წარმოადგენდა სეპარატისტული მოძრაობის მთავარ შტაბს, დაადასტურა იმ ფაქტმაც, რომ სწორედ ამ ორგანიზაციის ბაზაზე ჩამოყალიბდა პირველი ოფიციალური სეპარატისტული მოძრაობა „აიდგილარა“, რომლის თავმჯდომარედაც აფხაზეთის მწერალთა კავშირის მაშინდელი ხელმძღვანელი, ცნობილი აფხაზი მწერალი ალექსი გოგუა იქნა არჩეული. როგორც იტყვიან, ეს იყო უკანასკნელი წვეთი, რომელმაც შეავსო ქართველ მწერალთა მოთმინების ფიალა და იძულებული გახადა ისინი, დაეტოვებინათ აფხაზეთის მწერალთა კავშირი.

რაც შეეხება საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აფხაზეთის ენის, ლიტერატურისა და ისტორიის ინსტიტუტს – წმინდა აფხაზურ

ნაციონალურ დაწესებულებას, რომელშიც მხოლოდ თითო-ორი კართველი თუ მუშაობდა, ის ათეული წლების განმავლობაში სეპარატისტული იდეოლოგიის „გონებრივ-ინტელექტუალურ“ ცენტრს წარმოადგენდა, რომლის მთავარი დანიშნულება აფხაზეთის დანარჩენი საქართველოსაგან მოწყვეტის „მეცნიერულ“-ისტორიოგრაფიული საფუძვლების შექმნა იყო. ამ ინსტიტუტის ანტიქართული საქმიანობა განსაკუთრებით გამოძვვევი გახდა, როცა პროფ. გიორგი ძიძარიას გარდაცვალების (1988წ.) შემდეგ, ინსტიტუტის დირექტორის პოსტი დაიკავა ვლადისლავ არძინბამ, რომელმაც ფაქტობრივად გამოიყვანა ინსტიტუტი საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის დაქვემდებარებიდან.

და მაინც, მწერალთა კავშირსა და მით უფრო აფხაზური ენის, ლიტერატურისა და ისტორიის ინსტიტუტში მიმდინარე პროცესებს არ გამოუწვევია აფხაზეთის ქართული მოსახლეობის მასობრივი პროტესტი. აფხაზეთი უნივერსიტეტში განვითარებულმა მოვლენებმა „აფეთქა“. როგორც უკვე აღვნიშნეთ, აფხაზური სეპარატიზმის მამებმა უნივერსიტეტის გახსნის დღიდანვე დაიწყეს ზრუნვა უმაღლესი სასწავლებლის სეპარატისტული მოძრაობის ფორპოსტად გადაქცევისათვის. მართალია, პედაგოგიური ინსტიტუტის პირობებშიც (განსაკუთრებით 60-70-იან წლებში) იყო ინსტიტუტის აფხაზურ-სეპარატისტულ რეღსებზე გადაყვანის მცდელობა, მაგრამ იმ პერიოდში, ერთი მხრივ, ქართველთა სიმრავლისა (ისინი სტუდენტთა კონტინგენტისა და პროფესორ-მასწავლებელთა შემადგენლობის თითქმის 2/3-ს შეადგენდნენ) და, მეორე მხრივ, ინსტიტუტის ხელმძღვანელობის, პირველ რიგში, რექტორის, პროფ. **ზურაბ ანჩაბაძის**, გონივრული სახელმწიფოებრივი პოლიტიკის წყალობით მეტნაკლებად შენარჩუნებული იქნა სტაბილური ვითარება.

უნივერსიტეტის გახსნისთანავე სეპარატისტულმა ძალებმა გადადგეს პირველივე ნაბიჯები სიტუაციის მათ სასარგებლოდ შესაცვლელად. ჯერ იყო და, მათი მოთხოვნით, როგორც ითქვა, უმაღლეს სასწავლებელს ოფიციალურად ეწოდა აფხაზეთის უნივერსიტეტი, რითაც ხაზი გაესვა აფხაზთა პრიორიტეტს. მეორე ნაბიჯი გადადგმული უნივერსიტეტის ეროვნული იერ-სახის შესაცვლელად იყო ე.წ. „აფხაზური“ სექტორის გახსნა, რომელშიც, მართალია, სწავლება არა აფხაზურ, არამედ რუსულ ენაზე მიმდინარეობდა, მაგრამ იქ ჩარიცხვის უფლება მხოლოდ აფხაზი ეროვნების აბიტურიენტებს (მათ, ვინც აფხაზურად წერა-კითხვა იცოდა) ჰქონდათ. ამიერიდან უნივერსიტეტის სტუდენტთა კონტინგენტის ფორმირება ხდებოდა შემდეგი პრინციპით: 1/3 – რუსული სექტორი (სადაც ირიცხებოდნენ იგივე აფხაზები, ქარ-

თველები, რუსები და ე.წ. რუსულენოვანი მოსახლეობის სხვა წარმომადგენლები), 1/3 – ქართული სექტორი (ირიცხებოდნენ ძირითადად ქართველები) და 1/3 – აფხაზური სექტორი (ირიცხებოდნენ მხოლოდ აფხაზები).

თავისთავად აფხაზთა სურვილი მშობლიურ (და არა რუსულ) ენაზე მიეღოთ განათლება, რასაკვირველია, უდავოდ მისასაღებელი იყო და ქართველობას, ბუნებრივია, არც შეიძლებოდა ჰქონოდა რაიმე ამის საწინააღმდეგო. მაგრამ იმთავითვე ეჭვს ბადებდა ის გარემოება, რომ განათლების ე.წ. „გაეროვნულებას“ აფხაზები რატომღაც იწყებდნენ არა საშუალო სკოლიდან (როგორც ცნობილია, აფხაზებს მხოლოდ დაწყებითი განათლება აქვთ მშობლიურ ენაზე), არამედ უმაღლესი სასწავლებლიდან, რაც პედაგოგიური თვალსაზრისით სრული ნონსენსი იყო. სულ მალე გაირკვა, რომ ყოველივე ეს ბლუფი და, პირველ რიგში, საკუთარი ხალხის მოტყუება იყო.

სეპარატისტებს ოდნავადაც არ ჰქონიათ იმის სურვილი, რომ სწავლება მშობლიურ ენაზე ჰქონოდათ. სხვას რას მივაწეროთ ის ფაქტი, რომ ე.წ. „სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის“ თითქმის 10 წლის მანძილზე მათ არც კი მოუნდომებიათ საშუალო სკოლის (უმაღლეს განათლებაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია) „გაეროვნულება“ და იქ ზედა კლასებში სწავლება კვლავინდებურად მხოლოდ რუსულ ენაზე მიდის. ერთი სიტყვით, სრულიად აშკარაა, რომ ე.წ. „აფხაზური“ სექტორის შემოღება მხოლოდ ერთ მიზანს ემსახურებოდა. ამ გზით სეპარატისტები ცდილობდნენ აფხაზი ეროვნების სტუდენტთა რაოდენობის ხელოვნურად გაზრდას, რომელსაც უნდა მოჰყოლოდა და მოჰყვა კიდევ აფხაზური ენის მცოდნე აფხაზ სპეციალისტთა (რომელთაც, პერსპექტივაში, თითქოს ლექციები აფხაზურ ენაზე უნდა წაეკითხათ) მოზიდვა. შედეგად, სულ რაღაც 5-6 წელიწადში (1985-1986 წლებისათვის) უნივერსიტეტის თანამშრომელთა და სტუდენტთა ეროვნული შემადგენლობა შეიცვალა. აფხაზები რიცხობრივად თითქმის გაუთანაბრდნენ ქართველებს.

ღროთა განმავლობაში უნივერსიტეტში ზომაზე მეტად გააქტიურდნენ სეპარატისტულად განწყობილი ძალები, რომელთაც პროფ. ზ. ანჩაბაძის გარდაცვალების შემდეგ ხელში ჩაიგდეს უმაღლესი სასწავლებლის მართვის ბერკეტები და მთელი მისი საქმიანობა სეპარატისტულ კონიუნქტურას დაუქვემდებარეს. ამ პოლიტიკის სულისჩამდგმელი იყო უნივერსიტეტის მაშინდელი პრორექტორი (სამეცნიერო დარგში), იმ პერიოდში აფხაზური სეპარატისტული მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი დოც. **ოლეგ დომენია**. სამწუხაროდ, ასეთ კრიტიკულ სიტუა-

ციაში ვერ აღმოჩნდა მოწოდების სიმაღლეზე აფხაზეთის უნივერსიტეტის ხელმძღვანელობაში მყოფი „ქართული ნომენკლატურა“, რომელიც, იმის ნაცვლად, რომ აქტიურად დაპირისპირებოდა უნივერსიტეტში გახშირებულ ანტიქართულ თავხედურ გამოხდომებს, როგორც იტყვიან, „პირში წყალს იგუბებდა“ და ღუმილს ამჯობინებდა.

ამის ნათელი გამოვლინება იყო თუნდაც „აფხაზეთის ისტორიის“ სახელმძღვანელოს ყბადალებული განხილვა, რომელიც მოაწყო (1987წ. მარტში) **ო. დომენიამ** უნივერსიტეტში და რომელიც ანტიქართული ემოციების მორიგ დემონსტრირებად იქცა. აღნიშნული სახელმძღვანელო, როგორც უკვე აღვნიშნეთ, შეიძლება ითქვას, მთლიანად საქართველო-აფხაზეთის ისტორიის კათედრაზე მომზადდა. ფაქტობრივად ის მისი ავტორების – კათედრის პროფესორების: **ზ. ანჩაბაძის**, **გ. ძიძარიასა** და **ა. კუპრავას** – მიერ უნივერსიტეტში წაკითხული ლექციების ერთგვარ გადაშეშავებულ ვარიანტს წარმოადგენდა. ამ განხილვაზე სეპარატისტულად განწყობილმა აფხაზმა მეცნიერებმა (არა მხოლოდ ისტორიკოსებმა) კრიტიკის ქარ-ცეცხლში გაატარეს სახელმძღვანელოს I ნაწილი (XIX საუკუნემდელი ისტორია, ავტორი **ზ. ანჩაბაძე**).

მათ განსაკუთრებულ რისხვას იწვევდა ის, რომ სახელმძღვანელოს ავტორები (განსაკუთრებით ეს თვალში საცემია **ზ. ანჩაბაძის** ნაწილში) აფხაზეთის ისტორიას განიხილავდნენ საერთოქართული ისტორიის ჭრილში და მასთან ორგანულ კავშირში. მიუხედავად იმისა, რომ ამ განხილვას ესწრებოდა მთელი საუნივერსიტეტო „ქართული ელიტა“, რომელსაც, აკადემიური თვალსაზრისით, ნამდვილად ხელეწიფებოდა (ყოველ შემთხვევაში, აფხაზ ფილოლოგ-ფილოსოფოსებზე არანაკლებ) „საისტორიო საკითხებში“ ჩარევა და ქართულ-აფხაზური ისტორიული ერთობის დაცვა, მათგან არავინ გამოსულა. ერთადერთი, ვინც აფხაზეთის უნივერსიტეტის ქართული ნაწილის სახელით „შეება“ დომენია-გურგულიების და მათ დამქაშთა ამ ანტიქართულ დემარშს, საქართველო-აფხაზეთის ისტორიის კათედრის გამგის მოადგილე იყო, რომელმაც საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ი. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის უფროს მეცნიერ-თანამშრომელთან **გიორგი ანჩაბაძესთან** (ის იმ პერიოდში შეთავსებით აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველო-აფხაზეთის ისტორიის კათედრაზეც მუშაობდა) ერთად საკადრისი პასუხი გასცა აფხაზი „კოლეგების“ თავდასხმებს **ზ. ანჩაბაძეზე** და ქართულ ისტორიოგრაფიაზე.

სხვათა შორის, ეს ერთეული შემთხვევა არ ყოფილა. ქართული „საუნივერსიტეტო ელიტა“ ღუმიდა მაშინაც, როდესაც აფხაზებმა განა-

ხორციელეს „მასირებული შეტევა“ (1983-1984წ. დამდეგი) სტუდენტურ აუდიტორიაში ქართულ-აფხაზური ისტორიული ერთობის პროპაგანდის წინააღმდეგ, რომელსაც ეწოდნენ საქართველო-აფხაზეთის ისტორიის კათედრის წევრები და, პირველ რიგში, კათედრის გამგის მოადგილე. ასე იყო 1983წ. მიწურულსა და 1984წ. იანვარში ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის **ალექსი პაპასქირის** (ეროვნებით აფხაზის) „სენსაციური“ მოხსენებების ირგვლივ უნივერსიტეტში გამართული „დებატების“ დროს და ცოტა უფრო ადრეც, როდესაც **ო. დომენიამ** და მისმა ამფონებმა სამაგალითოდ „დასაჯეს“ საქართველო-აფხაზეთის ისტორიის კათედრის გამგის მოადგილე და ფაქტობრივად აუკრძალეს მას რუსულ და აფხაზურ აუდიტორიებში მეცადინეობების ჩატარება; უფრო მეტიც, როგორც უკვე ითქვა, უმაღლეს პარტიულ ინსტანციებში (თვით სკკპ ცკ-ს ღონეზეც კი) დააყენეს საკითხი მისი უნივერსიტეტიდან დათხოვნის შესახებ.

უნივერსიტეტში ვითარება პრინციპულად არ შეცვლილა მას შემდეგაც, როდესაც 1988წ. გაზაფხულზე ჩატარებულ რექტორის არჩევნებში **ო. დომენიას** სეპარატისტულმა ფრთამ სრული ფიასკო განიცადა და მასში, ერთი შეხედვით, პროქართული ორიენტაციის (ყოველ შემთხვევაში, მაშინ ეს ასე მოჩანდა) კანდიდატმა **ალეკო გვარამიამ** (ასევე ეროვნებით აფხაზმა) გაიმარჯვა. უნივერსიტეტის ახალმა ხელმძღვანელმა ვერ შეძლო თავი დაეღწია აღმავლობის გზაზე შემდგარი სეპარატისტული კონიუნქტურის გავლენისაგან. უფრო მეტიც, ის თვით შეეცადა, მოეწვევებინა თავი აფხაზური ეროვნული ინტერესების დაცვისათვის აქტიურ მებრძოლად და ყოველნაირად შეეცადა, წინ აღსდგომოდა ქართული ეროვნული თვითშეგნებისა და სულისკვეთების გამოცოცხლების პროცესს, რომელმაც მოიცვა აფხაზეთის უნივერსიტეტის ქართველი სტუდენტობა.

ეს ის პერიოდი იყო, როდესაც მთელ საქართველოში, უპირველეს ყოვლისა, დედაქალაქში აზვირთდა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა და დაიწყო ბრძოლა დიდი ილიას ლოზუნგით: „*ენა, მამული, სარწმუნოება*“. ამ ბრძოლაში იმთავითვე საკმაოდ აქტიურად ჩაერთვნენ აფხაზეთის ქართული ინტელიგენციის ცალკეული წარმომადგენლები. ეს იყო ის ხალხი, რომელმაც ჯერ კიდევ 70-იან წლებში აღიმაღლა ხმა აფხაზური სეპარატიზმის წინააღმდეგ, რის გამოც კომუნისტური ხელისუფლების რისხვა დაიმსახურა. მოვლენების ეპიცენტრად იქცა აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი. სწორედ აფხაზეთის უნივერსიტეტის ქართველი სტუდენტობა აღმოჩნდა აფხაზეთში საერთოქართული ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ინტერესების დაცვი-

სათვის ბრძოლის წინა ხაზზე. ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე შეიძლება ითქვას, რომ ეს მნიშვნელოვანწილად (თუ მთლიანად არა) საქართველო-აფხაზეთის ისტორიის კათედრის, პირველ რიგში, მისი ახალგაზრდა თანამშრომლებისა და აღზრდილების: **დავით ჩიტაიას, ვახტანგ ჭანიას, ბესარიონ ოდიშარიას** და აწვანსვენებული **სოსო აღამიას** დამსახურება იყო.

სწორედ მათი აქტიური მეცადინეობითა და უშუალო ხელმძღვანელობით აფხაზეთის უნივერსიტეტში მომზადდა პირველი ქართული სტუდენტური ხელნაწერი ჟურნალი „*ცხუძი*“. ჟურნალის გამოცემაში, სხვა ფაკულტეტების სტუდენტებთან ერთად, „ლომის წილი“ დაიდეს საქართველო-აფხაზეთის ისტორიის კათედრის აღზრდილებმა: **შორენა თოფურია**მ, **ლია ახალაძე**მ, **ბეჟან ხორავა**მ, **ბადრი გოგია**მ და სხვებმა. **შორენა თოფურია** იყო ამ ჟურნალის პირველი ნომრის მთავარი რედაქტორი (მომდევნო ნომრებს შესაბამისად რედაქტორობდნენ **ლია ახალაძე** და **ბეჟან ხორავა**). ქართული საუნივერსიტეტო სტუდენტური ჟურნალის გამოსვლამ სეპარატისტულად განწყობილ აფხაზ პროფესორ-მასწავლებელთა და სტუდენტთა რისხვა გამოიწვია. მათთვის მიუღებელი აღმოჩნდა საერთოქართული ეროვნულ-სახელმწიფოებრივი სულისკვეთებისა და ქართულ-აფხაზური ისტორიული ერთობის პროპაგანდა, რომელიც ლაიტმოტივად გასდევდა ჟურნალში დაბეჭდილ უკლებლივ ყველა სტატიას. ისინი ვერ ეგუებოდნენ იმასაც, რომ ქართველმა სტუდენტებმა თანამშრომლობის ხელი გაუწოდეს თავიანთ აფხაზ თანატოლებს და მოინდომეს მათი აქტიური ჩართვა ჟურნალის საქმიანობაში. და ბოლოს, სეპარატისტების მოთმინების ფიალა აავსო იმან, რომ ჟურნალის პირველი ნომერი ოფიციალურად მიეძღვნა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის 70-ე წლისთავს (ჟურნალის სატიტულო გვერდზე საგანგებოდ იყო მითითებული ჟურნალის გამოსვლის თარიღი – 26 მაისი, 1988წ.).¹

სეპარატისტულად განწყობილმა აფხაზმა პროფესორამ რექტორ **ა. გვარამიას** კატეგორიულად დაუყენა ჟურნალის აკრძალვის საკითხი.

¹ აღსანიშნავია, რომ ამ ფაქტზე საგანგებოდ გაამახვილა ყურადღება საქართველოს ალკე ცენტრალური კომიტეტის მაშინდელმა პირველმა მდივანმა ქმა **სესილი გოგბერძემ**, რომელიც სპეციალურად ჩამოვიდა სოხუმში და დაესწრო უნივერსიტეტის საექტო დარბაზში გამართულ ჟურნალის პრეზენტაციას. უფრო მეტიც, ქმა სესილიმ მაშინ (1988წ.), რექტორის **ა. გვარამიას**ა და აფხაზი პარტიულ-კომკავშირული ელიტის წარმომადგენელთა თანდასწრებით ჩაიდინა „გაუგონარი დანაშაული“ და, ყველასათვის მოულოდნელად, ქართველ სტუდენტებს ოფიციალურად მიულოცა 26 მაისი, რასაც სტუდენტთა ერთსულოვანი ოვაცია მოჰყვა.

მათ ხელზე დაიხვიეს პროფ. **თეიმურაზ მიბჩუანის** სტატიაში მოცემული სახელწოდება „*ცხუმის*“ განმარტება, რომელშიც ხაზგასმული იყო მისი ქართული წარმომავლობა. მაგრამ სეპარატისტთა ეს მცდელობა უშედეგოდ დამთავრდა, რაშიც მნიშვნელოვანი როლი შეასრულა საქართველო-აფხაზეთის ისტორიის კათედრის თანამშრომლების მიერ დაკავებულმა ურყევმა პოზიციამ.

საქართველოს ისტორიის კათედრის წევრების ეროვნულ-პატრიოტული მოღვაწეობა არ შემოფარგლულა უნივერსიტეტით. ისინი აქტიურად ჩაერთვნენ საერთოქართულ ეროვნულ მოძრაობაში და არა მხოლოდ აფხაზეთის მასშტაბით. **ს. ადამია, ვ. ჭანია, დ. ჩიტაია, ბ. ოდიშარია** იდგნენ ილია ჭავჭავაძის საზოგადოების აფხაზეთის ორგანიზაციის შექმნის სათავეებთან და იყვნენ ამ ორგანიზაციის ხელმძღვანელი ორგანოს – დარბაზის წევრები. კათედრის გამგის მოადგილე დოც. **ზ. პაპასქირი** იყო ინიციატორი მოძრაობისა, რომელმაც 1989წ. 11 მარტს დააფუძნა სრულიად საქართველოს რუსთაველის საზოგადოების აფხაზეთის რეგიონალური ორგანიზაცია. ის არჩეულ იქნა ამ ორგანიზაციის თავმჯდომარის მოადგილედ.

საქართველოს ისტორიის კათედრის წევრები აქტიურად მონაწილეობდნენ 1989წ. აპრილ-მაისში მიმდინარე აფხაზეთის უნივერსიტეტის ქართველ სტუდენტთა და პროფესორ-მასწავლებელთა დაუმორჩილებლობის აქციაში, რომელიც, როგორც ცნობილია, აფხაზეთის უნივერსიტეტის ქართული ნაწილის ბაზაზე ახალი, ეროვნული სასწავლებლის – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოხუმის ფილიალის დაარსებით დამთავრდა. კათედრის წევრები (**ზ. პაპასქირი, ს. ადამია, ვ. ჭანია, დ. ჩიტაია, ბ. ოდიშარია**) შედიოდნენ დაუმორჩილებლობის აქციის ხელმძღვანელ შტაბში.

ი. ჯავახიშვილის სახელობის თსუ სოხუმის ფილიალის დაარსებიდან იწყება თვისობრივად ახალი ეტაპი კათედრის ისტორიაში. ამიერიდან მას ოფიციალურად ეწოდა საქართველოს ისტორიის კათედრა. იმის გამო, რომ პროფ. **ა. კუპრავა** დარჩა აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში, კათედრის გამგედ არჩეულ იქნა დოც. **ზ. პაპასქირი**. თსუ სოხუმის ფილიალში გადმოვიდა აფხაზეთის უნივერსიტეტის საქართველო-აფხაზეთის ისტორიის კათედრის წევრთა უმრავლესობა – ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატები: **ჯ. ანჩაბაძე, ლ. კემულარია, ვ. ჭანია, რ. ნიჟარაძე, ჯ. აფაქიძე**; მასწავლებლები: **ს. ადამია, დ. ჩიტაია**. 1989წ. საქართველოს ისტორიის კათედრაზე მიღებულ იქნენ ისტორიის მეცნიერებათა დოქტორები: **ვლადიმერ ქარჩავა** და **ბორის კვარაცხელია**, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი **ავთანდილ კილასონია**, მას-

წავლელელი ბესარიონ ოდიშარია.

1989-1992 წლებში კათედრას, ისევე როგორც თსუ სოხუმის ფილიალს მთლიანად, ურთულეს პირობებში მოუხდა ფუნქციონირება. მიუხედავად ამისა, თამამად შეიძლება ითქვას, რომ მას თავი არ შეურცხვენიდა და საკმაოდ ნაყოფიერად იღვანა სასწავლო-სამეცნიერო ასპარეზზე. განახლებულ იქნა კათედრის დისციპლინათა ნუსხა. იმის გამო, რომ ცალკე შეიქმნა ძველი მსოფლიო ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის კათედრა (კათედრის გამგე, პროფ. თ. მიბრუნნი) არქეოლოგიური და ეთნოგრაფიული დისციპლინების წაყვანა დაევალა ამ კათედრას. გაიზარდა საათების რაოდენობა საქართველოს ისტორიაში. კათედრა დიდ ყურადღებას უთმობდა ახალგაზრდა, პერსპექტიული კადრების დაკვალიანებას. კათედრის რეკომენდაციით მიზნობრივ ასპირანტურაში გაიგზავნენ: **ბადრი გოგია** (ისტორიული არმენისტიკის განხრით), **ბეჟან ხორავა** (ისტორიული გეოგრაფიის განხრით) და **ლია ახალაძე** (ქართული პალეოგრაფიის განხრით). კათედრის წევრები იმაღლებდნენ კვალიფიკაციას. 1990-1991წწ. გამოქვეყნდა კათედრის გამგის, **ზ. პაპასქირის** მონოგრაფიები¹. ეს ნაშრომები დაედო საფუძვლად მის სადოქტორო დისერტაციას, რომელიც დაცულ იქნა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თსუ საქართველოს ისტორიის სადისერტაციო საბჭოზე 1991წ.²

კათედრის წევრები აქტიურად იყვნენ ჩართულნი იდეოლოგიურ-ისტორიოგრაფიულ „ომში“ სეპარატისტებთან. ისინი სისტემატურად აქვეყნებდნენ სამეცნიერო-პოპულარული ხასიათის მასალებს პერიოდულ პრესაში, გამოდიოდნენ რადიოთი და ტელევიზიით. ამ მხრივ განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს **ზ. პაპასქირის**, **ვ. ჭანიასა** და **დ. ჩიტაიას** პუბლიკაციები. საქართველოს ისტორიის კათედრა იყო ტონის მიმცემი აფხაზეთში მიმდინარე საზოგადოებრივ-პოლიტიკურ პროცესებშიც. ისინი მედგრად იღვანენ 1989წ. 15-16 ივლისის ტრაგიკულ დღეებში, ხოლო კათედრის უფრ. მასწავლებელი **სოსო ადამია**, რომელიც უშუალოდ მონაწილეობდა შეტაკებაში, ბევრზე გადაურჩა სისხლიან ანგარიშსწორებას (მოგვიანებით, 1989წ. დეკემბერში ის ტრაგიკულად დაიღუპა ავტოკარიაში). კათედრის წევრები აქტიურ მონაწილეობას იღებ-

¹ **ზ. პაპასქირი**. ერთიანი ქართული ფეოდალური სახელმწიფოს წარმოქმნა და საქართველოს საგარეო პოლიტიკური მდგომარეობის ზოგიერთი საკითხი. თსუ გამომცემლობა, თბ., 1990; **ზ. პაპასქირი**. შუა საუკუნეების საქართველო საერთაშორისო არენაზე. გამომც. „მეცნიერება“; თბ., 1991.

² **З. В. Папаскири**. Международное положение средневековой Грузии. 70-е годы X – 80-е годы XVI вв. Диссертация на соискание учёной степени доктора исторических наук в форме научного доклада. Тб., 1991.

დნენ ეროვნულ-პოლიტიკური ორგანიზაციების დაფუძნებაში. პროფ. ვ. ქარჩავა იყო საქართველოს სახალხო ფრონტის აფხაზეთის ორგანიზაციის ერთ-ერთი დამაარსებელი და მისი თანათავმჯდომარე. როგორც ზემოთ აღინიშნა, ს. ადამია, ვ. ჭანია, დ. ჩიტაია, ბ. ოდიშარია შედიოდნენ ილია ჭავჭავაძის საზოგადოების აფხაზეთის ორგანიზაციის ხელმძღვანელ ბირთვში.

კათედრის წევრთა მაღალი საზოგადოებრივი ავტორიტეტის მაჩვენებელი იყო ის ფაქტი, რომ ისინი წამოყენებულ იქნენ დეპუტატობის კანდიდატებად 1990წ. 28 ოქტომბრის საქართველოს უზენაესი საბჭოსა (ზ. პაპასქირი) და 1991წ. აფხაზეთის უზენაესი საბჭოს (ვ. ჭანია) არჩევნებზე. ზ. პაპასქირი იდგა ახალი ზეპარტიული მოძრაობის – „აფხაზეთის პროგრესულ-დემოკრატიული კავშირის“ (დაფუძნდა 1992წ. 11 მარტს) შექმნის სათავეებთან, იყო ამ ორგანიზაციის პრეზიდენტის წევრი. მისი აქტიური მონაწილეობითა და რედაქტორობით მომზადდა აკტ-ს ოფიციალური განცხადებები, რომლებმაც სეპარატისტთა უკიდურესი გაღიზიანება გამოიწვიეს. სხვათა შორის, აფხაზეთის სამართალდამცავი ორგანოები შეეცადნენ სისხლის სამართლის საქმის აღძვრა ახლადშექმნილი ორგანიზაციის ხელმძღვანელების (მათ შორის ზ. პაპასქირის) წინააღმდეგ. ზ. პაპასქირი იყო ერთ-ერთი ინიციატორი აფხაზეთის ქართული ეროვნულ-პოლიტიკურ გაერთიანებათა მაკოორდინირებული ორგანოს – „აფხაზეთის ეროვნული ერთიანობის საბჭოს“ შექმნისა (დააფუძნა აფხაზეთის ქართული მოსახლეობის წარმომადგენელთა ყრილობამ 1992წ. 9 მაისს). მისი უშუალო მონაწილეობით მომზადდა ამ ორგანოს არაერთი ოფიციალური დოკუმენტი.

1992წ. 14 აგვისტოს დაწყებულმა ძმათამკვლელმა ომმა, როგორც ცნობილია, შეუძლებელი გახადა სასწავლო პროცესის განახლება უმაღლეს სასწავლებლებში. ასეთ პირობებში კათედრას, ბუნებრივია, არ მიეცა ნორმალური ფუნქციონირების საშუალება. ახლა ბევრს წერენ აფხაზეთის ომის მიზეზებზე. ზოგს ის სამამულო ომად მიაჩნდა და თავს მოვალედ თვლიდა ღირსეულად შეესრულებინა თავისი მამულიშვილური ვალი. ზოგი კი მას საქართველოს ხელისუფლების მიერ მოწყობილ უპასუხისმგებლო ავანტიურად აცხადებდა და ამით ცდილობდა თავისი პასიურობის გამართლებას. ამჯერად ჩვენ, გასაგები მიზეზების გამო, მოვერიდებით ვრცელ მსჯელობას ამ საკითხთან დაკავშირებით¹, აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ ვისი და რისი მიზეზითაც არ უნდა

¹ ეს საკითხი საკმაოდ ამომწურავად გვაქვს გაშუქებული ნაშრომში: „აფხაზეთის ტრაგედია“. მიზეზები და გაკვეთილები. იხ.: ზ. პაპასქირი. აფხაზეთი საქართველო. თბ., 1998, გვ. 192-231.

დაწვებულიყო კონფლიქტი აფხაზეთში, ერთი რამ იმთავითვე ცხადი იყო: **საქართველოს ტერიტორიულ და სახელმწიფოებრივ ერთიანობას რეალური საფრთხე ემუქრებოდა** (ამის არდანახვა საკუთარი მოლაღატური განზე დგომის გამართლების უსუსური ცდაა). ასეთ ვითარებაში კი ყველა მამულიშვილი ერთმნიშვნელოვნად უნდა დამდგარიყო სამშობლოს ერთიანობის სადარაჯოზე და, როგორც იტყვიან, სისხლის უკანასკნელ წვეთამდე უნდა დაეცვა ის.

სწორედ ასე მოიქცა საქართველოს ისტორიის კათედრის წევრთა აბსოლუტური უმრავლესობა. ისინი, ბევრ თავიანთ კოლეგასთან ერთად (სამწუხაროდ, სოხუმის უნივერსიტეტში აღმოჩნდნენ ისეთებიც, ვინც „ბრძოლის ველს“ დემონსტრაციულად გაერიდა და სულ სხვა „ფრონტზე“ დაიწყო „მოღვაწეობა“), უყოყმანოდ ჩადგნენ ერთიანი ქართული სახელმწიფოს დამცველთა რიგებში და ბოლო დღემდე არ დაუტოვებით მშობლიური ქალაქი. ზოგიერთმა მათგანმა (**ზ. პაპასქირი, ა. კილასონია, ლ. კემულარია**) კი ჯარისკაცის ფარაჯა ჩაიცვა და საქართველოს შეიარაღებულ ძალებში სამსახურით მოკრძალებული წვლილი შეიტანა ახალგაზრდა ქართული ჯარის მშენებლობის საქმეში. 1993წ. სექტემბრის ბატალიების დროს მძიმედ დაიჭრა კათედრის წევრი, დოც. **ლ. კემულარია**, რომელიც წინა ხაზზე იარაღით ხელში გმირულად იგერიებდა მომხვდურთა შემოტევას. ხოლო კათედრის გამგე, რომელმაც „დროულად“ ვერ გამოაღწია სამშვიდობოს, დაპატიმრებულ იქნა სეპარატისტთა უშიშროების სამსახურის მიერ და მან აფხაზეთა ტყვეობაში ასი უმძიმესი დღე გაატარა. მხოლოდ ფართო საზოგადოების, სამეცნიერო წრეების, უპირველესად თსუ რექტორის აკად. **როინ მეტრეველის**, სამთავრობო სტრუქტურების ძალისხმევით გახდა შესაძლებელი მისი ტყვეობიდან დახსნა.

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თსუ სოხუმის ფილიალის თბილისში გადმობარგების შემდეგ საქართველოს ისტორიის კათედრამ უნივერსიტეტის სხვა უჯრედებთან ერთად 1993წ. ნოემბერში, უმძიმეს პირობებში (ერთობ შეთხელებულად) განაახლა მუშაობა. აფხაზეთა ტყვეობიდან ჯერ კიდევ არ იყო მობრუნებული კათედრის გამგე **ზ. პაპასქირი**, მძიმე ავადმყოფობის გამო ვერ შეძლო სამსახურებრივი მოვალეობის შესრულება პროფ. ვ. ქარჩავამ, ომში მიღებული ჭრილობა გაურთულდა და მოსკოვში სამკურნალოდ დარჩა დოც. **ლ. კემულარია**, შექმნილი ოჯახური მდგომარეობის გამო დაგვიანებით გამოცხადდა სამსახურში დოც. **ა. კილასონია**. ასეთ ვითარებაში მუშაობის მთელი სიმძიმე დააწვა კათედრის დანარჩენ წევრებს: დოც. **ჯ. ანჩაბაძეს**, პროფ. **ბ. კვარაცხელიას**, მასწავლებლებს: **დ. ჩიტაიას**, **ბ. ოდიშარიას**, რომ-

ლებმაც ასე თუ ისე მოახერხეს 1993-1994 სასწ. წლის I სემესტრის ჩამთავრება. II სემესტრიდან კი კათედრის მუშაობა თანდათანობით ჩვეულ რიტმში ჩადგა და შეუდგა თავისი ფუნქციის შესრულებას.

კათედრის ძირითადი სასწავლო დისციპლინებია „საქართველოს ისტორია“ და „ქართული კულტურის ისტორია“, რომლებიც ისწავლება უნივერსიტეტის ყველა ფაკულტეტსა და სპეციალობაზე. გარდა ამისა, კათედრას მიჰყავს „ქართული დიპლომატიის ისტორიის“ ზოგადი კურსი („დიპლომატიისა და საერთაშორისო ურთიერთობების ისტორიისა“ და „პოლიტოლოგიის“ სპეციალობებზე), „საქართველოს ისტორიის წყაროთმცოდნეობისა“ და „საქართველოს ისტორიის ისტორიოგრაფიის“ კურსები, აგრეთვე დამხმარე ისტორიული დისციპლინები („ქართული პალეოგრაფია“, „ეპიგრაფიკა“, „ისტორიული გეოგრაფია“, „დიპლომატიკა“), არჩევითი კურსები (სპეცკურსები, სპეცსემინარები) საქართველოს ისტორიის პროფილით. ამჟამად კათედრაზე მუშაობენ: პროფ. **ზ. პაპასქირი** (კათედრის გამგე), პროფ. **ბ. კვარაცხელია**, დოც. **ჯ. ანჩაბაძე**, დოც. **ა. კილასონია**, ისტ. მეცნ. კანდ. მასწ. **ბ. ზორავა**, ისტ. მეცნ. კანდ. მასწ. **ლ. ახალაძე**, ისტ. მეცნ. კანდ. უფრ. მასწ. **დ. ჩიტაია**, ისტ. მეცნ. კანდ. მასწ. **რ. ჭანტურია**, ისტ. მეცნ. კანდ. **ვ. ეზუგბაია**, უფრ. მასწ. **ბ. ოდიშარია**. საათობრივი ანაზღაურების წესით კათედრას მოწვეული ჰყავს პროფ. **მიხეილ სვანიძე** და პროფ. **გურამ ყორანაშვილი**. კათედრის ლაბორანტია **ნინელი ხუბულავა**.

1994 წლიდან დღემდე, სხვადასხვა დროს, კათედრაზე მუშაობდნენ დოც. **ვ. ჭანია**, დოც. **რ. ნიჟარაძე**, აგრეთვე ცნობილი მეცნიერები: პროფ. **ილია ანთელავა**, პროფ. **ვალერი სილოგავა**, პროფ. **გიორგი ანჩაბაძე**. მთელი ამ ხნის მანძილზე კათედრაზე მიმდინარეობდა გარკვეული მუშაობა სწავლების მეთოდის დასახვეწად. პროფესორ-მასწავლებლები სისტემატურად ანახლებდნენ სასწავლო პროგრამებს, სალექციო მასალებს. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია კათედრის გამგის საქმიანობა. მისი უშუალო მონაწილეობით (დოც. **გონა. საითიძესთან** ერთად) ივანე ჯავახიშვილის სახელობის თსუ ქართული სახელმწიფო და სახალხო დიპლომატიის ისტორიის სამეცნიერო-კვლევით ცენტრში მომზადდა და გამოიცა „ქართული დიპლომატიის ისტორიის“ პირველი სასწავლო პროგრამა (რედაქტორი აკად. **რ. მეტრეველი**, თსუ გამომც., 2001). კათედრის გამგე მონაწილეობს აგრეთვე „ქართული დიპლომატიის ისტორიის“ პირველი საუნივერსიტეტო სახელმძღვანელოს შექმნაშიც, რომელსაც ასევე ამზადებს თსუ ქართული დიპლომატიის ისტორიის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი.

კათედრა მომზადებული შეხვდა უმაღლეს სკოლაში მიმდინარე

რეფორმას. სწორედ საქართველოს ისტორიის კათედრა აღმოჩნდა ერთადერთი ფაკულტეტზე, რომელზეც შესაძლებელი გახდა მაგისტრატურის გახსნა. კათედრაზე გახსნილია აგრეთვე ასპირანტურაც. დღეისთვის კათედრას ჰყავს 7 ასპირანტი. ორმა კი უკვე დაამთავრა ასპირანტურის კურსი, რომელთაგან ერთმა – **ეპიფანე გვენეტაძემ** (პირველმა სოხუმის უნივერსიტეტის ასპირანტურის კურსდამთავრებულთაგან) უკვე დაასრულა მუშაობა საკვალიფიკაციო ნაშრომზე (მეცნ.-ხელმძღვანელი პროფ. **ზ. პაპასქირი**) და წარმოადგინა ის დასაცავად.

სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის თვალსაზრისით კათედრისათვის უკანასკნელი წლები უაღრესად ნაყოფიერი იყო. 1994-2001წწ. საკანდიდატო დისერტაციები დაიცვეს და აიმაღლეს კვალიფიკაცია **ბ. ხორავამ**, **ლ. ახალაძემ**, **დ. ჩიტაიამ**, **რ. ჭანტურიამ**. ამთავრებს მუშაობას საკანდიდატო დისერტაციაზე უფრ. მასწ. **ბ. ოდიშარია**. აქტიურად მუშაობენ სადოქტორო დისერტაციებზე დოც. **ჯ. ანჩაბაძე** და დოც. **ა. კილასონია**. აღნიშნულ პერიოდში კათედრის წევრებმა შექმნეს და გამოსცეს არაერთი მნიშვნელოვანი ნაშრომი. მათგან საგანგებოდ უნდა გამოიყოს **ზ. პაპასქირისა** და **ბ. ხორავას** მონოგრაფიები.¹ კათედრის ცალკეული წევრები აქტიურად იყვნენ ჩართულნი სხვადასხვა მნიშვნელოვანი სამეცნიერო პროექტების განხორციელებაში. ამ მხრივ აღსანიშნავია კათედრის გამგის მონაწილეობა ისეთი სოლიდური გამოცემების მომზადებაში, როგორცაა: „*ქართული დიპლომატიის ისტორიის ნარკვევებისა*“ და „*ქართული დიპლომატიური ლექსიკონის*“ ორტომეულები² ივანე ჯავახიშვილის ენციკლოპედიური ლექსიკონი.³ ამ პროექტში მონაწილეობდა აგრეთვე კათედრის წევრი, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი **ბეჟან ხორავაც**, რომელმაც მოამზადა 50-მდე დასახელების მასალა. **ზ. პაპასქირისა** და **ლ. ახალაძის** სტატიები გამოქვეყნდა აფხაზეთის ისტორიის ამსახველ ფუნდამენტურ კრებულში⁴: მასალები აფხაზეთის ისტორიის პრობლემებისადმი მიძღვლილი კრებულისათვის მოამ-

¹ **ზ. პაპასქირი**. აფხაზეთი საქართველოა. თბ., 1998 (ამ წიგნისათვის ავტორს 1998წ. მიენიჭა გიორგი შარვაშიძის სახელობის სახელმწიფო პრემია); **З. В. Папаскири**. От Давида до Давида. Из истории международных отношений Грузии. 70-е годы X – 80-е годы XI вв. Тб., 2001; **ბ. ხორავა**. ოდიშ-აფხაზეთის ურთიერთობა XV-XVIII სს. თბ., 1996; **ბ. ხორავა**. დადიანთა სამთავრო სახლის ახალი დინასტია. თბ., 2001.

² *ქართული დიპლომატიის ისტორიის ნარკვევები*. ტ. I-II. თბ., 1998; *ქართული დიპლომატიური ლექსიკონი*. ტ. I. თბ., 1997, ტ. II. თბ., 1999.

³ *ივანე ჯავახიშვილი*. ენციკლოპედიური ლექსიკონი. თბ., 2002.

⁴ **З. Папаскири**. Территория Абхазии в XI-XV вв. – *Разыскания по истории Абхазии/Грузия*. Изд. „Мецниереба“. Тб., 1999; **Л. Ахаладзе**. Эпиграфические памятники Абхазии. – *Разыскания по истории Абхазии/Грузия*. Изд. „Мецниереба“. Тб., 1999.

ზადეს **ზ. პაპასქირმა, ბ. ხორავამ, დ. ჩიტაიამ.**¹

კათედრის მზარდი სამეცნიერო პოტენციალის ყველაზე ნათელი გამოვლინებაა ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის საქართველოს საისტორიო საზოგადოების აფხაზეთის ორგანიზაციის ყოველწლიური შრომების კრებულის – „*საისტორიო ძიებანის*“ გამოცემა, რომლის სარედაქციო კოლეგიის წამყვან ბირთვის სწორედ კათედრის თანამშრომლები (**ზ. პაპასქირი** – მთ. რედაქტორი, **ჯ. ანჩაბაძე, ბ. კვარაცხელია, ა. კილასონია, ბ. ხორავა** – სარედაქციო კოლეგიის წევრები) წარმოადგენენ. ამ კრებულში სისტემატურად ქვეყნდება კათედრის წევრების (**ზ. პაპასქირის, ჯ. ანჩაბაძის, ა. კილასონიას, ბ. ხორავას, ბ. კვარაცხელიას, ლ. ახალაძის, დ. ჩიტაიას, რ. ჭანტურიას**) მასალები. კათედრის თანამშრომელთა აქტიური მონაწილეობით გამოდის აგრეთვე აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემიის პერიოდული ორგანო: „*აფხაზეთის მოამბე*“. ამ გამოცემის რედაქტორია **დ. ჩიტაია**, რედაქტორის მოადგილე – **ბ. ოდიშარია**, ხოლო პასუხისმგებელი მდივანი – **ლ. ახალაძე**. კათედრის გამგე არის თსუ ქართული სახელმწიფო და სახალხო დიპლომატიის ისტორიის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის პერიოდული გამოცემის – „*ქართული დიპლომატიის*“ წელიწადულის სარედაქციო კოლეგიის წევრი.

საქართველოს ისტორიის კათედრის სამეცნიერო ავტორიტეტის ერთგვარი გამოხატულებაა აგრეთვე ის, რომ კათედრის გამგე 1994 წლიდან უცვლელად არის თსუ საქართველოს ისტორიის სადისერტაციო საბჭოს წევრი. მთელი ამ ხნის მანძილზე ის იყო 10-მდე სადოქტორო და საკანდიდატო დისერტაციის ოფიციალური ოპონენტი. ივ. ჯავახიშვილის სახელობის თსუ სოხუმის ფილიალის საქართველოს ისტორიის კათედრის, როგორც ეროვნული ისტორიის მეცნიერული შესწავლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ცენტრის როლი მკაფიოდ გამოვლინდა იმაშიც, რომ სწორედ კათედრა და მისი ხელმძღვანელი გამოვიდნენ ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის საქართველოს საისტორიო საზოგადოების აფხაზეთის ორგანიზაციის აღდგენის ინიციატივით და ბოლომდე მიიყვანეს ეს საქმე. ამჟამად ეს ორგანიზაცია (თავმჯდომარე **ზ. პაპასქირი**, თავმჯდომარის მოადგილე – **ბ. კვარაცხელია**) აქტიურად იღწვის აფხაზეთიდან დევნილ ისტორიკოსთა მიზანმიმართული და კოორდინირებული მუშაობის უზრუნველსაყოფად. ამის დადასტურებაა

¹ **ზ. პაპასქირი**. დღევანდელი აფხაზეთი XIII-XV საუკუნეებში. – *აფხაზეთის ისტორიის პრობლემები*. თბ., 1998; **ბ. ხორავა**. ეთნიკური პროცესები ჩრდილო კავკასიაში და აფხაზეთი. – *აფხაზეთის ისტორიის პრობლემები*. თბ., 1998; **დ. ჩიტაია**. აფხაზეთი – საქართველოს პირველი რესპუბლიკის ავტონომიური ერთეული (1918-1921 წწ.). – *აფხაზეთის ისტორიის პრობლემები*. თბ., 1998.

„საისტორიო ძიებანი“ (მთავარი რედაქტორი **ზ. პაპასქირი**) პირველი სამი ტომის გამოსვლა, რომლის შესახებაც ზემოთ უკვე იყო საუბარი და რომელმაც თავისი მაღალი აკადემიური დონითა და პრობლემატიკის მრავალფეროვნებით უკვე მოიპოვა გარკვეული ავტორიტეტი სამეცნიერო წრეებში. აღსანიშნავია, რომ „საისტორიო ძიებანი“ შეტანილია საქართველოს სწავლულ ექსპერტთა საბჭოს (სეს-ის) მიერ დატკიცებულ გამოცემათა ნუსხაში, რაც, თავისთავად, უდავოდ, კრებულის აღიარებაა.

1994-2001 წლებში საქართველოს ისტორიის კათედრის წევრები აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ სხვადასხვა სამეცნიერო სიმპოზიუმებისა და კონფერენციების მუშაობაში, გამოდიოდნენ მოხსენებებით. მათგან საგანგებოდ უნდა აღინიშნოს ქრისტიანობის 2000 წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სიმპოზიუმი (ლ. ახალაძე), ბუდიის ტაძრის აგების 1000 წლისთავისადმი მიძღვნილი სიმპოზიუმი (**ზ. პაპასქირი, ლ. ახალაძე, ბ. ხორავა**); თსუ-ში მარტყოფის ბრძოლისადმი მიძღვნილი სამეცნიერო-თემატიკური კონფერენცია (**ზ. პაპასქირი**); საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ი. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის დაარსების 60 წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია (**ლ. ახალაძე**) და ა.შ.

კათედრა მნიშვნელოვან ყურადღებას უთმობდა სტუდენტთა სამეცნიერო-კვლევით მუშაობას. კათედრის ინიციატივით დაწესდა და ყოველწლიურად ტარდებოდა „*დიპლომატიისა და საერთაშორისო ურთიერთობების ისტორიის*“ სპეციალობის სტუდენტთა სამეცნიერო-თემატიკური კონფერენცია: „*საქართველო საერთაშორისო არენაზე*“, რომელიც ეძღვნება ეროვნული სახელმწიფოებრიობის აღდგენის დღეს (26 მაისს) და ტრადიციულად ტარდება მაისის ბოლო დეკადაში.

არანაკლები ყურადღება ექცევა სტუდენტი ახალგაზრდობის ეროვნულ-პატრიოტული სულისკვეთების აღზრდის საქმეს. ამ მიზნით კათედრა ატარებს ინტელექტუალურ თამაშებს: „*საქართველო ჩემი სამშობლოა*“ – „*ისტორიის*“, „*პოლიტოლოგიის*“, „*დიპლომატიისა და საერთაშორისო ურთიერთობების ისტორიის*“ სპეციალობათა სტუდენტებთან. ამ მიმართულებით კათედრის მიერ ორგანიზებული ღონისძიებებიდან აღსანიშნავია აფხაზეთში ქართული ეროვნული მოძრაობის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენლის, კათედრის უფრ. მასწავლებლის **სოსო ადამიას** ხსოვნისადმი მიძღვნილი საღამო, რომელიც გაიმართა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში 1995წ. მაისში და რომელზედაც ნათლად წარმოჩინდა საქართველოს ისტორიის კათედრის ღვაწლი აფხაზეთში ქართული ეროვნული თვითშეგნების გამოღვიძების საქმეში.

1999წ. კათედრამ, უკვე საკუთრივ ივანე ჯავახიშვილის სახ. თსუ სოხუმის ფილიალში მოაწყო იმავე **სოსო ადამიასა** და მისი სულიერი ძმისა და მეგობრის და აფხაზეთში ქართული ეროვნული მოძრაობის ერთ-ერთი თავკაცის **ვლადიმერ (ვოვა) ვეკუას** ხსოვნის საღამო.

საქართველოს ისტორიის კათედრის ეროვნულ-პატრიოტული საქმიანობა არასოდეს არ შემოფარგლულა მხოლოდ უნივერსიტეტით. უმთავრეს ამოცანას, ბუნებრივია, წარმოადგენდა და წარმოადგენს სეპარატისტული ისტორიოგრაფიის მხილება და საქართველო-აფხაზეთის ისტორიულ წარსულზე ობიექტური, მეცნიერულად დასაბუთებული ცოდნის პროპაგანდა. სწორედ ამ მიზანს ემსახურება კათედრის გამგის ლექციების ციკლი: „*აფხაზეთი: ისტორიული წარსული და თანამედროვეობა*“; რომელიც მას აგერ უკვე ორი წელია მიჰყავს (რუსულ ენაზე) აფხაზეთის რადიოთი (საქართველოს რადიოს I არხზე). პარალელურად მიდის ამ მასალის პუბლიკაცია ქართულ (არასამთავრობო ორგანიზაცია „*საზოგადოებრივი პროგრამების ფონდი*“-ს პერიოდულ ორგანოში: „*ჩვენი გაზეთი*“) და რუსულ (გაზეთი „*Свободная Грузия*“) ენებზე. წაკითხული მასალის საფუძველზე ფაქტობრივად უკვე მომზადებულია გამოსაცემად 500-გვერდიანი წიგნი, რომელშიც მეტ-ნაკლები სისრულითაა გადმოცემული აწინდელი აფხაზეთის ისტორია უძველესი დროიდან XXს. მიწურულამდე. ამ ნაშრომის ერთგვარი ანოტაცია-რეზიუმე დაიბეჭდა აფხაზეთისადმი მიძღვნილ გაზეთ-ჟურნალ „*მეფეთუბანში*“ (№5(34), ოქტომბერი 2001), ხოლო მისი ინგლისური ვარიანტი განთავსებულია ინტერნეტში (www.abkhazeti.com/hist.htm).

გაზეთ „*ჩვენი გაზეთის*“ ფურცლებზე სისტემატურად იბეჭდება აგრეთვე **ლ. ახალაძის** მიერ აფხაზეთის კულტურის ძეგლებზე მომზადებული მასალები. სხვადასხვა დროს პერიოდულ პრესაში უაღრესად საინტერესო სამეცნიერ-პოპულარული ხასიათის წერილები გამოაქვეყნეს **ჯ. ანჩაბაძემ**, **ა. კილასონიამ**, **ბ. ზორავამ**, **დ. ჩიტაიამ**, **ბ. ოდიშარიამ**, **ლ. ახალაძემ**. მათში განხილულია საქართველო-აფხაზეთის ისტორიის საკვანძო საკითხები, ნაჩვენებია სეპარატისტული ისტორიოგრაფიის მტკიცებათა სრული უსაფუძვლობა.

კათედრის წევრები აქტიურად მონაწილეობენ აფხაზეთის კონფლიქტის მოწესრიგებასთან დაკავშირებულ სხვადასხვა სამეცნიერო კონფერენციებისა და სხვა სახის ფორუმების მუშაობაში. ამათგან საგანგებოდ უნდა გამოიყოს კათედრის გამგის მონაწილეობა 1999წ. 6-7 ივნისს ჩატარებულ საერთაშორისო კონფერენცია-სემინარის მუშაობაში, რომლის თემა იყო: „*აფხაზეთში (საქართველო) გენოციდისა და ეთნოწმენდის პოლიტიკა – აგრესიული სეპარატიზმის მთავარი იარაღი*“. მან

ამ კონფერენცია-სემინარზე წაიკითხა მოხსენება თემაზე: „აფხაზეთის კონფლიქტის არსი და მისი მონაწილენი (ანუ ვინ იბრძოდა საქართველოს წინააღმდეგ“), რომელიც დაიბეჭდა რუსულ და ინგლისურ ენებზე.¹ ამავე დროს, ის თავმჯდომარეობდა აღნიშნული სემინარის ერთ-ერთ სხდომასაც.

კათედრის წევრები აქტიურად არიან ჩართულნი საზოგადოებრივ-პოლიტიკურ პროცესებშიც. ისინი იყვნენ უშუალო ინიციატორები და დამფუძნებლები დევნილთა ახალი სახალხო მოძრაობის „აფხაზეთიდან დევნილთა კავშირისა“, რომელიც დაფუძნდა 1996წ. აპრილში. კათედრის 5 წევრი (**ზ. პაპასკირი, ა. კილასონია, ჯ. ანჩაბაძე, დ. ჩიტაია, ბ. ოდიშარია**) არჩეული იქნა „კავშირის“ ხელმძღვანელ ორგანოში – მთავარ საბჭოში, ხოლო კათედრის გამგე გახდა „დევნილთა კავშირის“ თავმჯდომარის მოადგილე. სწორედ საქართველოს ისტორიის კათედრის წევრები წარმოადგენდნენ ამ მოძრაობის ერთგვარ გონებრივ-ანალიტიკურ ცენტრს, რომელიც წლების მანძილზე ქმნიდა „კავშირის“ პოლიტიკურ-იდეოლოგიურ დოკუმენტაციას (შემთხვევითი არ იყო ის, რომ „დევნილთა კავშირის“ მასალები და დოკუმენტები (დანართის სახით) მთლიანად გამოქვეყნდა კათედრის გამგის, „დევნილთა კავშირის“ თავმჯდომარის მოადგილის წიგნში: „აფხაზეთი საქართველოა“). მათი უშუალო მეცადინეობით გამოიცა საინფორმაციო ბიულეტენის 2 ნომერი, გამოდის „დევნილთა კავშირის“ პერიოდული ორგანო – გაზეთი „დევნილი“ (რედაქტორი – კათედრის დოც. **ა. კილასონია**).

ასეთია, ძალზე მოკლედ, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოხუმის ფილიალის – სოხუმის უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის კათედრის მიერ განვლილი გზა. სრულიად გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ არსებობის 20 წლის მანძილზე საქართველოს ისტორიის კათედრა თავისი საქმიანობით ყოველთვის იღგა ეროვნული მეცნიერებისა და უმაღლესი განათლების წინა ხაზზე. მუხლჩაუხრელად იღვწოდა სტუდენტი ახალგაზრდობის პატრიოტული სულისკვეთებით აღზრდისათვის.

და მაინც, 20 წელი არ არის დიდი დრო, მით უფრო ისეთი კო-

¹ იხ.: **З. В. Папаскири**. Сущность Абхазского конфликта и его участники. Или кто же воевал с Грузией. – «Политика геноцида и этнической чистки в Абхазии (Грузия) – главное оружие агрессивного сепаратизма». Материалы международной конференции-семинара, 6-7 июля, 1999г., Тб., 1999. გვ. 131-140; **Z. Papaskiri**. The Essence of the Conflict in Abkhazia and its Participants. Or Those Who Struggled Against Georgia. – «Policy of Genocide and Ethnic Cleansing in Abkhazia (Georgia) – the Main Tool of aggressive Separatism». Proceedings of the International Conference-Seminar, July 6-7, 1999, Tbilisi, 1999, გვ. 133-142.

ლექტივისათვის, რომლის წევრთა დიდი ნაწილიც ახალგაზრდულია და მხოლოდ ახლა იწყებს ფრთების გაშლას მეცნიერებაში. ეს არის მხოლოდ დასაწყისი იმ დიდი გზისა, რომელიც საქართველოს ისტორიის კათედრას ჯერ კიდევ წინა აქვს ეროვნული ისტორიის კვლევისა და ახალგაზრდობისათვის მისი მაღალკვალიფიციურად გადაცემის მეტად საშურ და ჭეშმარიტად მამულიშვილურ საქმეში. კათედრის კოლექტივს კარგად ესმის, თუ რა ხილულ და უხილავ წინააღმდეგობებს შეიძლება წააწყდეს ის ამ დიდ გზაზე, განსაკუთრებით აფხაზეთში დაბრუნების შემდეგ, რომელიც, იმედია, ახლო ხანებში მოხდება. მაგრამ ის ოდნავადაც არ უშინდება ამ წინააღმდეგობებს, იმედიანად შეჰყურებს მომავალს და მზადაა უშურველად იღვაწოს ახალი აფხაზეთის, ერთიანი ქართული სახელმწიფოს აღმშენებლობისათვის.

ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის კათედრის იუბილე*

მოგესალმებით სოხუმის ღვენილი უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის კათედრის სახელით, კათედრისა, რომელიც უკვე 20 წლის ისტორიას ითვლის. საგანგებოდ მინდა შევნიშნო, რომ ჩვენი კათედრა ჯერ კიდევ კომუნისტური რეჟიმის პირობებში შეიქმნა (1980-1981 სასწ. წელს), გამოჩენილი მეცნიერისა და მამულიშვილის, მშობლიური აფხაზეთისა და სრულიად საქართველოს დიდი პატრიოტის, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის, აფხაზეთის უნივერსიტეტის პირველი რექტორის, პროფ. ზურაბ ანჩაბაძის მეცადინეობითა და მონაწილეობით. მართალია, აღნიშნულ კათედრას მაშინ ოფიციალურად სსრ კავშირის ისტორიის №2 კათედრა ერქვა, მაგრამ ფაქტობრივად ეს იყო საქართველო-აფხაზეთის ისტორიის კათედრა, ვინაიდან ის ემსახურებოდა მხოლოდ საქართველოს, აფხაზეთის ისტორიის (აგრეთვე არქეოლოგია-ეთნოგრაფიის, სხვა დამხმარე ისტორიული დისციპლინების) სწავლების საქმეს და არავითარი შეხება არ ჰქონდა ე.წ. „სსრ კავშირის ისტორიის“ სასწავლო დისციპლინასთან, რომელიც, როგორც ცნობილია, ფაქტობრივად რუსეთის ისტორიას წარმოადგენდა. გარდა საქართველოს, აფხაზეთის ისტორიის ზოგადი კურსისა, რომელიც, სხვათა შორის, იკითხებოდა აფხაზეთის უნივერსიტეტის ყველა სპეციალობაზე, კათედრას მიჰყავდა სპეციალიზაციის (საქართველო-აფხაზეთის ისტორიის პროფილით) დისციპლინები, ანუ ატარებდა სპეცკურსებსა და სპეც-სემინარებს საქართველოს, აფხაზეთის ისტორიის აქტუალურ პრობლემებზე.

1989 წლის გაზაფხულზე აფხაზეთში განვითარებულმა მოვლენებმა, როგორც ცნობილია, გამოიწვიეს აფხაზეთის უნივერსიტეტის გახლეჩა და ამ უმაღლესი სასწავლებლის ქართული ნაწილის ბაზაზე ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოხუმის ფილიალის დაფუძნება, რომელიც აფხაზეთში იმჟამად არსებული გამოკვეთილი სეპარატისტული კონიუნქტურის პირობებში, იმთავითვე ურყევად დადგა საერთო-ქართული ეროვნულ-სახელმწიფოე-

* შოთა რუსთაველის სახ. ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის კათედრის 10 წლის იუბილისადმი მიძღვნილ სამეცნიერო კონფერენციაზე წარმოთქმული მისაღმების ტექსტი. დაიბეჭდა კრებულში: *საისტორიო მაცნე*. გამომც. „ბათუმის უნივერსიტეტი“. ბათუმი, 2002, გვ. 204-207.

ბრივი ინტერესების სადარაჯოზე. აღნიშნული სასწავლებლის დაარსების დღიდან (1989წ. 14 მაისი) ფუნქციონირება დაიწყო აფხაზეთის უნივერსიტეტის საქართველოს-აფხაზეთის ისტორიის სამართალმემკვიდრე საქართველოს ისტორიის კათედრამაც. ამ დროიდან ის უკვე ოფიციალურადაც იწოდა საქართველოს ისტორიის კათედრად და ეს იყო ივ. ჯავახიშვილის მიერ დაარსებული თსუ საქართველოს ისტორიის კათედრის შემდეგ რიგით მეორე კათედრა.

ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის კათედრა, რომლის დაარსების 10 წლისთავსაც დღეს აღვნიშნავთ, ასევე, როგორც ჩვენი კათედრა, შეიძლება ითქვას, უნივერსიტეტის პირმშოა. 10 წელი ნამდვილად არ არის ის „ასაკი“, რომ ვილაპარაკოთ რაღაც განსაკუთრებულ მიღწევებზე ეროვნული ისტორიის კვლევისა და სწავლების სფეროში, მაგრამ ის, რაც ბათუმის უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის კათედრას ამ მოკლე დროში გაუკეთებია უდავოდ საგანგებო აღნიშვნის ღირსია. ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე შეიძლება ითქვას, რომ ამ ხნის მანძილზე კათედრის მიერ შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი თუ პედაგოგიური ნაღვაწი, რომლის შედეგები მხოლოდ ნაწილობრივაა ექსპონირებული კაბინეტში, ნათელი მაგალითია იმისა, თუ როგორ შეიძლება მუხლჩაუხრელად, ზედმეტი ხმაურისა და თავის მოწონების გარეშე ერთგულად ემსახურო ჩვენი დიდი ისტორიული მემკვიდრეობის მეცნიერული შესწავლისა და ამ ცოდნის ახალგაზრდობისათვის მაღალკვალიფიციურად გადაცემის ჭეშმარიტად მამულიშვილურ საქმეს.

მაგრამ საქართველოს ისტორიის კათედრის სახელოვანი კოლექტივი, მისი აღიარებული თავკაცი, თანამედროვე ქართული ისტორიოგრაფიის ერთ-ერთი შესანიშნავი წარმომადგენელი, აწ გარდაცვლილი პროფ. აბელ სურგულაძე, დღევანდელი ნიჭიერი და უნარიანი ხელმძღვანელი პროფ. ბიჭიკო დიასაძიძე ნამდვილად ვერ შეძლებდნენ ასეთი წარმატებების მიღწევას, რომ არა ის საერთო-აღმშენებლობითი სულისკვეთება, რომელიც სუფევს ბათუმის უნივერსიტეტში და რომლის თვალსაჩინო გამოხატულებაა თვით ამ სასწავლებლის მთავარი კორპუსის უნიკალური შენობა. თამამად შეიძლება ითქვას, რომ იმ დონის საუნივერსიტეტო კომპლექსი, როგორც ბათუმშია, ალბათ ძნელად თუ მოიძებნება, სულ ცოტა, ყოფილი სსრ კავშირის მასშტაბით მაინც. თქვენ, ბათუმი, მთლიანად აჭარის გმირული კუთხე, რომელიც ისტორიულად ყოველთვის იდგა საერთო-ქართული აღმშენებლობის წინა ხაზზე, და რომელმაც 3 საუკუნის მანძილზე ატარა ქართველობის მძიმე ჯვარი, ნამდვილად იმსახურებთ ქართული განათლებისა და ეროვნული

სულიერების ისეთ დიდ ტაძარს, როგორც დღეს ბათუმის უნივერსიტეტია.

და ბოლოს, მინდა შევეხო ერთ, ჩემთვის მტკივნეულ თემას. მე უკვე მეოთხედ საუკუნეზე მეტია ვიღწვი სოხუმის უნივერსიტეტში და უნდა ვაღიარო, რომ მთელი ამ ხნის განმავლობაში (მხედველობაში მაქვს XXს. 70-80-იანი წლები) კონტაქტები სოხუმისა და ბათუმის უნივერსიტეტებს შორის ნამდვილად ვერ იყო სათანადო დონეზე. არადა, თუნდაც საქართველოში არსებული სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური კონიუნქტურიდან გამომდინარე, სწორედ ორი ავტონომიის უმაღლესი სკოლის მუშაკებსა და სტუდენტობას შორის უნდა ყოფილიყო სამაგალითო ურთიერთობები. განსაკუთრებულ აქტუალობას იძენს ეს დღევანდელ ვითარებაში, როდესაც აფხაზეთი დროებით მოწყვეტილია დედა-სამშობლოს და სოხუმის უნივერსიტეტი დევნილობაშია. ამასთან, არ ვიქნები ორიგინალური, თუ ვიტყვი, რომ დღეს აფხაზეთი სრულიად საქართველოს ყველაზე დიდი ტკივილია. ამ პრობლემის მშვიდობიანად გადაჭრაში კი აჭარას, როგორც ავტონომიას, ნამდვილად შეუძლია დამატებითი იმპულსების შეტანა. ამ შემთხვევაში, პირველ რიგში, მე მხედველობაში მაქვს სახელმწიფოებრივი მოწყობის ის მოდელი, რომელიც აჭარაშია და რომელიც შეიძლება (რასაკვირველია, ზოგიერთი თავისებურების გათვალისწინებით) სამაგალითო გამოდგეს აფხაზეთისთვის აფხაზეთის ერთიან ქართულ სახელმწიფოში ინტეგრირების პროცესში.

ბატონებო, ნება მიბოძეთ, კიდევ ერთხელ მივესალმო ბათუმის უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის კათედრას, მივულოცო მას სახელოვანი იუბილე და ვუსურვო ახალი შემოქმედებითი წარმატებები სამეცნიერო-პედაგოგიურ საქმიანობაში.

მაგისტრატურაში საქართველოს ისტორიის სწავლების საკითხისათვის*

ქართული სახელმწიფოს მშენებლობის თანამედროვე ეტაპზე უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება განათლების სისტემის შემდგომ დახვეწას. კომუნისტურ-ტოტალიტარული წყობილების ნგრევამ საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფერო, მათ შორის განათლებაც გაათავისუფლა მკაცრი იდეოლოგიური მარწუხებისაგან. დღის წესრიგში დადგა განათლების სისტემის, მათ შორის უმაღლესი განათლების, ძირეული რეფორმირების საკითხი, რომელიც, პირველ რიგში, გულისხმობს დასავლური მოწინავე გამოცდილების დანერგვა-ათვისებას. ამასთან, ეს სულაც არ ნიშნავს ყოველივე იმ პოზიტიურზე უარის თქმას, რომელიც ნამდვილად გააჩნდა განათლების, კერძოდ უმაღლესი განათლების საბჭოურ სისტემასაც.

დღეს ვერ ვიტყვით იმას, რომ სსრ კავშირის წამყვანი უნივერსიტეტები, ისეთი, როგორცაა: მოსკოვის მ. ლომონოსოვის სახელობის უნივერსიტეტი, აგრეთვე ლენინგრადის, კიევის, თბილისის, ტარტუს, რიგის, ნოვოსიბირსკის უნივერსიტეტები პრინციპულად რაიმეთი ჩამორჩებოდნენ დასავლეთის ყველაზე სოლიდურ საუნივერსიტეტო ცენტრებს. შეიძლება ითქვას, რომ ერთადერთი გამოკვეთილი მანკიერი მხარე საბჭოური განათლების სისტემისა სწორედ მისი მარქსისტულ-ლენინური ტოტალიტარული იდეოლოგიის მკაცრ ჩარჩოებში მოქცევა იყო, რომელიც ნამდვილად ხელს უშლიდა თავისუფალი, დემოკრატიული ფასეულობების მატარებელი პიროვნების ფორმირებას.

კიდევ ერთი უპირატესობა, რომელიც უდავოდ გააჩნდა უმაღლესი განათლების დასავლურ მოდელს, იყო ის, რომ იქ გაცილებით მეტი ყურადღება ექცეოდა ვიწრო სპეციალიზაციას, უშუალოდ ამა თუ იმ სპეციალობისათვის აუცილებელი სასწავლო დისციპლინების საფუძვლიან დაუფლებას. სწორედ ეს მომენტი განაპირობებდა უნივერსიტეტის კურსდამთავრებულთა მაღალ პროფესიონალიზმს კონკრეტული მიმართულებით. მთავარი მექანიზმი, რომლის მეშვეობითაც ხდებოდა ამ შედეგის მიღწევა, ანუ მაღალკვალიფიციური, საბაზრო ეკონომიკის პირობებში კონკურენტუნარიანი სპეციალისტის მომზადება, იყო საუნივერსიტეტო სწავლების ორსაფეხურიანი – ბაკალავრიატი-მაგისტრატურა – სისტემა. სწორედ სწავლების ამ ფორმის დანერგვა დაედო საფუძვლად

* დაიბეჭდა კრებულში: „ისტორია – ერის მეხსიერება და ქვეყნის ძლიერების ბაღავარი“. გამომც. „ბათუმის უნივერსიტეტი“. ბათუმი, 2003.

უმაღლესი განათლების რეფორმას საქართველოში XXს. 90-იან წლებში, რომელიც პირველად განხორციელდა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში.

აღნიშნული რეფორმა გატარდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილიალებშიც, მათ შორის სოხუმის უნივერსიტეტშიც, რომელიც, როგორც ცნობილია, 1989 წლის შემდეგ წარმოადგენს დღევანდელი უნივერსიტეტის სტრუქტურულ დანაყოფს. ამასთან, ხაზგასმით გვინდა აღვნიშნოთ, რომ ჩვენი უმაღლესი სასწავლებელი არის თსუ-ის ფილიალთაგან ერთადერთი, რომელსაც დაერთო ნება, ჰქონოდა სწავლების ორივე საფეხური, როგორც ბაკალავრიატი, ისე მაგისტრატურა.

ცნობილია, რომ უმაღლესი განათლების ზედა საფეხურის – მაგისტრატურის გახსნა მთელი რიგი მოთხოვნების დაკმაყოფილებასთანაა დაკავშირებული. უმთავრესი მოთხოვნა ამა თუ იმ სპეციალობით მაგისტრატურის გახსნისას, არის შესაბამის კათედრაზე ძირითად შტატში მეცნიერებათა ერთი დოქტორისა და ორი კანდიდატის ყოლა. 2000 წლისათვის, როდესაც სოხუმის უნივერსიტეტში განხორციელდა პირველი ბაკალავრების გამოშვება, მაგისტრატურის გახსნა შესაძლებელი გახდა მხოლოდ რამდენიმე სპეციალობაზე, მათ შორის, საქართველოს ისტორიის სპეციალობით.

ერთი შეხედვით, თსუ სოხუმის ფილიალის საქართველოს ისტორიის კათედრას, რომელიც დაკომპლექტებულია საკმაოდ მაღალი კვალიფიკაციის პროფესორ-მასწავლებლებით (2 მეცნიერებათა დოქტორი, 6 მეცნიერებათა კანდიდატი) თითქოს არ უნდა გაძნელებოდა მაგისტრანტებთან მუშაობა, სამაგისტრო შრომების ხელმძღვანელობა. აქ გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ საქართველოს ისტორიის კათედრა დაარსების დღიდან (1980-1981 სასწ. წ.) იყო ფაქტობრივად ერთადერთი გამომშვები კათედრა ისტორიის სპეციალობაზე. მას მიჰყავდა სპეციალიზაციის დისციპლინები, ხელმძღვანელობას უწევდა სადიპლომო შრომების მომზადებას. უფრო მეტიც, 1998 წლიდან კათედრაზე ფუნქციონირებს ასპირანტურაც. ერთი სიტყვით, ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე შეიძლება ითქვას, რომ 2000 წლისათვის სოხუმის უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის კათედრას ეროვნული ისტორიის მეცნიერული კვლევისა და ახალგაზრდობისათვის მისი მაღალკვალიფიციურად გადაცემის საქმეში უკვე გააჩნდა საკმაოდ მდიდარი გამოცდილება.

მიუხედავად ამისა, მაგისტრატურის გახსნამ კათედრა მთელი რიგი პრობლემების წინაშე დააყენა, რომელთაგან უმთავრესი მაინც იყო საქართველოს ისტორიის ზოგადი კურსის სწავლება მაგისტრატურის

I კურსზე. პრობლემის სირთულე განპირობებული იყო იმით, რომ საქართველოს ისტორიის სრული საუნივერსიტეტო კურსი მაგისტრანტებს უკვე ჰქონდა მოსმენილი ბაკალავრიატზე, სადაც მას დათმობილი აქვს სასწავლო საათების საკმაოდ დიდი რაოდენობა (კვირეული დატვირთვა I, II, III, IV სემესტრში 4-4 საათი). ასეთ ვითარებაში, უპრიანი იქნებოდა მაგისტრანტებისათვის წაგვეკითხა საქართველოს ისტორიის ისტორიოგრაფია (ისე, როგორც ეს კეთდება მაგისტრატურაში მსოფლიო ისტორიის სასწავლო დისციპლინების სწავლებისას), მაგრამ ბაკალავრიატზე ეს საგანიც ისწავლება (III-IV კურსებზე). ამდენად, ხელახლა ისტორიოგრაფიის წაკითხვა გაუმართლებელი იქნებოდა.

მდგომარეობას ართულებდა ის გარემოებაც, რომ საქართველოს ისტორიის ზოგადი კურსი მაგისტრატურის სასწავლო გეგმით გათვალისწინებული იყო ერთი სემესტრის განმავლობაში (I კურსზე, I სემესტრში) და მისთვის გამოყოფილი საათების რაოდენობაც საკმაოდ დიდი იყო: სულ 72 საათი, აქედან 48 სალექციო, 24 კი – პრაქტიკული მეცადინეობებისათვის (ამჟამად, შესაბამისად 40+20). ამასთან, დისციპლინის დასახელებიდან – „*საქართველოს ისტორია*“ (ზოგადი კურსი და არა სპეციალური დისციპლინა) – გამომდინარე, მას უნდა მოეცვა ქვეყნის ისტორია სრულად (უბველესი დროიდან დღემდე) და ეს უნდა წაეკითხა ერთ ლექტორს, რაც, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ბაკალავრიატზე საქართველოს ისტორიის თითოეულ პერიოდს თავისი სპეციალისტი ჰყავს (ამჟამად თსუ-ს სოხუმის ფილიალში, ისტორიის სპეციალობაზე, პერიოდების მიხედვით, 4 სხვადასხვა სპეციალისტი ასწავლის), არც თუ ისე ადვილი და მოსახერხებელია.

მაგისტრატურაში საქართველოს ისტორიის ზოგადი კურსის სწავლების პრობლემა ჩვენამდე, ბუნებრივია, დადგა თსუ-ს საქართველოს ისტორიის კათედრაზე. იქ ასეთი გზა აირჩიეს – წაეკითხათ საქართველოს ისტორია გარე სამყაროსთან მჭიდრო კავშირში (პროფ. თ. ღუნღუა). თავისთავად ეს უაღრესად საინტერესო მიდგომაა, თუმცა ვერ ვიტყვით, რომ ის სრულად პასუხობდეს დასახულ მიზანს. ჩვენ სხვა მიმართულებით წავედით: გამოვყავით საქართველოს ისტორიის (დასაბამიდან ჩვენს დრომდე) ძირითადი პრობლემები და დავეგემეთ მათ ირგვლივ განმაზოგადებელი ლექციების წაკითხვა თითოეული თემის ირგვლივ არსებული ისტორიოგრაფიული მემკვიდრეობის ანალიზის ფონზე. პრაქტიკულ მეცადინეობებზე ხდება სალექციო მასალის გაღრმავება ამა თუ იმ სპეციალური მოგრაფიისა და სხვა მასალის გაცნობა-განხილვის გზით.

თვალსაჩინოებისათვის მოვიყვანოთ ზოგიერთი თემის დასახელებას:

- ქართველთა და აფხაზთა ეთნოგენეზის პრობლემა ისტორიოგრაფიაში;
- ქართული სახელმწიფოებრიობის გენეზისის პრობლემა ისტორიოგრაფიაში;
- ძველი კოლხური სამყარო;
- ქართლის სამეფოს წარმოქმნა და მისი ადგილი საერთაშორისო არენაზე ელბინისტურ ხანაში;
- ქრისტიანობა საქართველოში;
- ქართული ფეოდალიზმის გენეზისისა და განვითარების პრობლემა ისტორიოგრაფიაში;
- „აფხაზთა“ სამეფოს ეთნოკულტურული და პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივი იერ-სახე;
- დავით III დიდი კურაპალატი და ბაგრატ III – ერთიანი ქართული სახელმწიფოს მესაბიძრეკლენი;
- ერთიანი ქართული სახელმწიფოს ბრძოლა ეროვნული სუვერენიტეტის მოპოვებისათვის საერთაშორისო არენაზე XI საუკუნეში;
- დავით IV აღმაშენებლის საქართველო;
- გიორგი V ბრწყინვალე;
- ვახტანგ VI-ის მოღვაწეობის შეფასების საკითხი;
- ერეკლე II-ის მოღვაწეობის შეფასების საკითხი;
- ილია ჭავჭავაძე – ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის წინამძღოლი;
- ქართული სოციალ-დემოკრატია;
- ბრძოლა საბჭოური რეჟიმის წინააღმდეგ XXს. 20-70-იან წლებში;
- ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის აზვირთება XXს. 80-იან წლებში და დამოუკიდებელი ქართული სახელმწიფოებრიობის აღდგენა და ა.შ. (სულ 48 თემა).

ჩვენს მიერ შემოთავაზებული სქემა გამართლებულია, ერთი მხრივ, იმიტომ, რომ ხდება ბაკალავრიატში შესწავლილი მასალის აღდგენა, მეორე მხრივ კი, მაგისტრანტებს ეძლევათ საშუალება, უფრო ღრმად ჩაწვდნენ საქართველოს ისტორიის საკვანძო პრობლემებს, შეიქმნან წარმოდგენა მათი ისტორიოგრაფიული შესწავლის მდგომარეობაზე. ფაქტობრივად, ეს არის ის სამუშაო, რომელიც ტრადიციულად სრულდებოდა ასპირანტებთან (საქართველოს ისტორიაში) საკანდიდატო მინიმუმის გამოცდისათვის მზადების ფორმატით. აღსანიშნავია, რომ გამოსაშვები სახელმწიფო გამოცდაც სპეციალობაში სწორედ ამ მასალის ჩაბარებას გულსჩემობს.

აქედან გამომდინარე, უპრიანი იქნებოდა მაგისტრანტთა გამოსაშვები გამოცდა ჩათვლილიყო (ყოველ შემთხვევაში იმ მაგისტრანტებისათვის მაინც, რომლებიც მიიღებენ შეფასებას „ფრიადი“) საკანდიდატო მინიმუმის გამოცდადაც. მაგრამ, სამწუხაროდ, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჯერჯერობით თავს იკავებენ ამგვარი გადაწყვეტილების მიღებისაგან და იმ მაგისტრანტებს (ფრიადოსნებსაც კი), რომლებიც დააპირებენ ასპირანტურაში სწავლის გაგრძელებას, უწევთ არა თუ საკანდიდატო მინიმუმის, არამედ თვით მისაღები გამოცდის ჩაბარებაც კი.

ჩვენი აზრით, საკითხისადმი ამგვარი მიდგომა, რამდენაღმე დაბლა სწევს მაგისტრატურის, როგორც უმაღლესი განათლების ზედა საფეხურის პრესტიჟს. ეს მით უფრო თვალში საცემია დასავლეთში არსებული პრაქტიკის ფონზე. არადა, ჩვენში უმაღლესი განათლების ორსაფეხურიან სისტემაზე გადასვლა სწორედ საერთოევროპულ და ამერიკულ სტანდარტებთან მიახლოების სურვილითაა განპირობებული. ევროპისა და ამერიკის უნივერსიტეტებში, როგორც ცნობილია, სამაგისტრო ნაშრომის დაცვა და მაგისტრის ხარისხის მიღება არის პირველი ეტაპი მეცნიერის მომზადებისა, ე. ი. ფაქტობრივად ის, რაც ჩვენში საკანდიდატო დისერტაციის დაცვითა და მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მოპოვებით მიიღწევა. მეორე ეტაპი კი, იქაც და ჩვენშიც, სადოქტორო დისერტაციაა. ამრიგად, გამოდის, რომ ჩვენში მაგისტრის ხარისხი არ ანიჭებს მის მფლობელს უფლებას პირდაპირ დაიცვას სადოქტორო დისერტაცია. ე. ი. ამ ფორმით მაგისტრატურა ჩვენში თითქოს ზედმეტ შუალედურ რგოლსაც კი წარმოადგენს.

ერთადერთ გამოსავლად ამ საკმაოდ უხერხული სიტუაციიდან ჩვენ მიგვაჩნია მაგისტრანტებისათვის (ფრიადოსნებისთვის მაინც) ასპირანტურის პირველი საფეხურის (მისაღები და საკანდიდატო მინიმუმის გამოცდების) გაუქმება და მათთვის პირდაპირ ორწლიანი საასპირანტო ვადის დაწესება საკვალიფიკაციო დისერტაციის დასასრულებლად.

მაგრამ მოვუბრუნდეთ მაგისტრატურაში საქართველოს ისტორიის სწავლების საკითხს. პირდაპირ ვიტყვით, რომ ჩვენს მიერ წარმოდგენილი სქემით მუშაობა არ არის მაინცდამაინც ადვილი. ის საგნის ხელმძღვანელისაგან მოითხოვს საქართველოს ისტორიის ყველა პერიოდის, თითოეული განსახილველი პრობლემის მეტნაკლებად სრულ, ამომწურავ ცოდნას. დღევანდელი ვიწრო სპეციალიზაციის პირობებში კი ამის მიღწევა საკმაოდ რთულია. ამდენად, რასაკვირველია, მუშაობის პროცესში გარკვეული ხარვეზებისაგან ნამდვილად ვერ ვიქნებით დაზღვეული. მაგრამ ამან არ უნდა დაგვაფრთხოს, ვინაიდან საქმე ეხება სა-

ქართველოს ისტორიის საკანძო პრობლემების განზოგადებას, ეს კი სათანადო კვალიფიკაციის გამოცდილი სპეციალისტისათვის მაინცდამაინც რთული არ უნდა იყოს.

აქ მხედველობაში მისაღები კიდევ ერთი გარემოება: მაგისტრატურაში (საქართველოს ისტორიის სპეციალობით) სასწავლო გეგმით, გარდა საქართველოს ისტორიის ზოგადი კურსისა, გათვალისწინებულია სპეციალური კურსების წაკითხვა ქვეყნის ისტორიის სხვადასხვა გლობალურ პრობლემებზე, სწორედ დარგის ვიწრო სპეციალისტების მიერ. ეს კი საშუალებას გვაძლევს რამდენადმე შევავსოთ ის მასალა, რომელიც შესაძლებელია ვერ მიეწოდა (და ვერც მიეწოდებოდა) მაგისტრანტს ზოგადი კურსის წაკითხვისას. სწორედ ამგვარი კომპლექსური მიდგომითაა შესაძლებელი სასურველი შედეგის მიღება.

თსუ-ის სოხუმის ფილიალში საქართველოს ისტორიის სპეციალობით მაგისტრატურაში დაგროვილი ჯერ კიდევ საკმაოდ მწირ გამოცდილებაზე საუბრისას არ შეიძლება არ შევეხოთ სამაგისტრო შრომების შერჩევისა და მათზე მუშაობის საკითხსაც. გასულ 2001-2002 სასწავლო წელს ჩვენს უმაღლეს სასწავლებელში განხორციელდა ისტორიკოს მაგისტრთა პირველი გამოშვება. მათ დროულად (I კურსზე) დაუმტკიცდათ სამაგისტრო შრომების თემები. მთავარი კრიტერიუმი თემის შერჩევისას იყო მათში დასმული პრობლემების შემდგომი მეცნიერული შესწავლის მეტნაკლები საჭიროება. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ზუთი შესრულებული სამაგისტრო შრომიდან სამი მაინც იყო დისერტაბელური:

- „აფხაზთა“ სამეფოს საგარეო პოლიტიკური მდგომარეობა VIII-X ს. I ნახევარში;
- აფხაზეთის სამთავროს პოლიტიკური მდგომარეობა XIX ს. I მეოთხედში;
- ლევან მუსხელიშვილის ისტორიოგრაფიული მეტკვიდრეობა.
ამჟამინდელი ჩვენი მაგისტრანტები მუშაობენ არანაკლებ ორიგინალურ და ჯერ კიდევ მეცნიერულად ნაკლებად შესწავლილ პრობლემებზე. აი, ზოგიერთი მათგანის დასახელება:
- რუსული პრესა აფხაზეთის კონფლიქტის შესახებ;
- უფლისციხის ისტორიიდან;
- „ჩოხატაური და მისი შემოგარენი“ და ა.შ.

ვფიქრობთ, თითოეული ზემოთ დასახელებული თემა ასევე შეიძლება გადაიზარდოს საკანდიდატო დისერტაციაში.

და ბოლოს, წარმოდგენილი მასალა არ არის ზოგადად მაგისტრატურაში საქართველოს ისტორიის სწავლების მეთოდის სრული და

ამომწურავი ანალიზი. ჩვენ ამის პრეტენზია ნამდვილად არა გვაქვს. ეს არის მხოლოდ ამ მიმართულებით სოხუმის უნივერსიტეტში დაგროვილი გამოცდილების ფონზე პრობლემის ჩვენეული ხედვა. რასაკვირველია, სოხუმის უნივერსიტეტში (ისევე როგორც საქართველოს სხვა უმაღლეს სასწავლებლებში) მაგისტრატურა მხოლოდ პირველ ნაბიჯებს დგამს. ამდენად, ბევრი რამ ჯერ კიდევ დასახვეწი და გასამართია. მაგრამ საქართველოს ისტორიის კათედრას ნამდვილად გააჩნია ინტელექტუალური პოტენციალი და სათანადო პედაგოგიური გამოცდილება, რომ წარმატებით გაართვას თავი ამ მეტად რთულ და საპასუხისმგებლო მისიას.

**ჭყაროთმცოდნეობითი და
ისტორიოგრაფიული
დაკვირვებები, კრიტიკა,
ბიბლიოგრაფია**

ვინ იყო „მატიანე ჩართლისაჲ“

*„მატიანე ჩართლისაჲს“ ტექსტში ერთი კონიექტურის შეტანის
მიზანშეწონილობის შესახებ*

„მატიანე ჩართლისაჲს“ სახელით ცნობილი ქართული ქრონიკა სავსებით სამართლიანად ითვლება VIII-XI საუკუნეების საქართველოს ისტორიის უპირველეს წყაროდ. მასში, როგორც ცნობილია, თანმიმდევრულადაა გადმოცემული ქვეყნის პოლიტიკური ცხოვრების პერიპეტები მოცემულ პერიოდში. ამასთან, საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ სწორედ „მატიანე ჩართლისაჲთ“ იწყება დასავლეთ საქართველოს ისტორიის მეტ-ნაკლებად სრულად წარმოჩენა „*ჩართლის ცხოვრებაში*“.¹

* წაკითხულ იქნა მოხსენებად ივანე ჯავახიშვილის სახ. ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტში გამართულ სამეცნიერო სესიაზე. დაიბეჭდა კრებულში: „*ქართული წყაროთმცოდნეობა*“. XI, გამომც. „*მემატიანე*“. თბ., 2006, გვ. 64-71.

¹ თავის დროზე, აკად. ივ. ჯავახიშვილმა, მიიჩნია რა „*მატიანე ჩართლისაჲს*“ ავტორი აღმოსავლეთ საქართველოს მკვიდრად, დაასკვნა, რომ ის ნაკლებად იყო ჩახედული დასავლეთ საქართველოს ამბებში და მას „აფხაზეთის შესახებ... მხოლოდ საზოგადო ცნობები“ გააჩნდა (ივ. ჯავახიშვილი. ძველი ქართული საისტორიო მწერლობა. – *თხზულებანი თორმეტ ტომად*, ტ. VIII. თბ., 1977, გვ. 201-202). ეს თვალსაზრისი ფართოდაა გავრცელებული ისტორიოგრაფიაში (В. Н. Габашвили. *Историкография Грузии XI-XVIII вв. – Очерки истории исторической науки СССР*, т. I. М., 1955, გვ. 142; М. Д. Лордкипანიძე. Введение. – წგნ.: *Матиане Картлиса*. Перевод, введение и комментарии М. Д. Лордкипанидзе. Тб., 1976, გვ. 15, 17). მართალია, „*მატიანე ჩართლისაჲს*“ ავტორი, ერთი შეხედვით, თითქოს ნამდვილად არ აღგვიწერს დასავლეთ საქართველოს მოვლენებს ისე დაწვრილებით, როგორც აღმოსავლეთ საქართველოსა და ტაო-კლარჯეთისას, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ის ნაკლებად გათვითცნობიერებულია ამ მიმართულებით, მით უფრო არა გვაქვს საფუძველი ამის გამო ეჭვი შევიტანოთ „აფხაზეთა“ სამეფოს შესახებ მემატიანის მიერ მოწოდებული ცნობების სანდოობაში და დავადანაშაულოთ ის ტენდენციურობაში, რასაც აკეთებს აკად. გ. მელიქიშვილი (იხ.: გ. მელიქიშვილი. ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური გაერთიანება და საქართველოში ფეოდალურ ურთიერთობათა განვითარების ზოგიერთი საკითხი. თბ., 1973, გვ. 9). თამამად შეიძლება ითქვას, რომ „*მატიანე ჩართლისაჲს*“ ქრონიკა არის ერთადერთი წერილო-

მართალია, „მატიანე ქართლისაჲს“ ტექსტი ძირითადად გამართულია და ის შედარებით ადვილად იკითხება, მაგრამ მასში მაინც არის ზოგიერთი ბუნდოვანი ადგილი, რომლის გაგება გარკვეულ სიძნელებთანაა დაკავშირებული. ამ თვალსაზრისით რად ღირს თუნდაც ფრაგმენტი ვარანგების მოსვლის შესახებ საქართველოში XI ს. შუა ხანებში, რომლის ირგვლივ დღემდე არ წყდება პოლემიკა მკვლევრებს შორის.¹

ამჯერად ყურადღებას მივაპყრობთ „მატიანე ქართლისაჲს“ კიდევ ერთ ნაწყვეტს, რომლის ტექსტი, ჩვენი აზრით, გარკვეულ კორექტირებას მოითხოვს. ესაა ქრონიკის ის ადგილი, რომელშიც ავტორი მოგვითხრობს IX ს. 60-იანი წლების მიწურულს „აფხაზთა“ სამეფო კარზე დატრიალებულ მოვლენებზე. მოგვყავს ეს ფრაგმენტი აკად. ს. ყაუხჩიშვილის მიერ შეჯერებული ვარიანტის მიხედვით: „*მას ჟამსა გამოვიდა გიორგი, აფხაზთა მეფე, ძმა თეოდოსესი და დემეტრესი, ძე ლეონისი; დაიპყრა ქართლი და დაუტევა ერისთავად ჩიხას ძე დემეტრესი, და ვითარ გარდაიცვალა გიორგი აფხაზთა მეფე, დარჩა ძე დემეტრესი მცირე, რომელსა ერქუა ბაგრატ, რომელი იცნობების ექსორია-ქმნილობით და ცოლმან გიორგი მეფისამან მოკლა ძე დემეტრესი, ერისთავი ჩიხისა. და ეცრუა იგი ივანე მთავარსა შავლიანსა, და შთაავდეს ბაგრატ ზღუასა.*

ბითი წყარო, რომელშიც თანმიმდევრულადაა გადმოცემული „აფხაზთა“ სამეფოს ისტორია (**ზ. პაპასქირი**. ნარკვევები თანამედროვე აფხაზეთის ისტორიული წარსულიდან. ნაკ. I. *უძველესი დროიდან 1917 წლამდე*. თბ., 2004, გვ. 50). გარდა ამისა, მატიანეში საკუთრივ ქართლის ამბებზე აქცენტირება შეიძლება აიხსნას არა მხოლოდ მისი ავტორის გათვითცნობიერებით (ის საკმაოდ ღრმად და საფუძვლიანად იცნობს სხვა ქართულ მხარეებსაც), არამედ იმითაც, რომ IX-X საუკუნეებში სწორედ ქართლის ირგვლივ განვითარებული მოვლენები მოექცა ყურადღების ცენტრში (**Г. В. Цулая**. Источниковедческие проблемы „Летописи Каргли“. – წგნ.: *Летопись Каргли*. Перевод, введение и примечания **Г. В. Цулая**. Тб., 1982, გვ. 28; **ზ. პაპასქირი**. ერთიანი ქართული სახელმწიფოს წარმოქმნა და საქართველოს საგარეო პოლიტიკური მდგომარეობის ზოგიერთი საკითხი. თბ., 1990, გვ. 16-17).

¹ ამის შესახებ დაწვრილ. იხ.: **ი. ცინცაძე**. ძიებანი რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან (X-XVI სს.). თბ., 1956, გვ. 22-37; **ბ. ბერძენიშვილი**. რეცენზია ი. ცინცაძის სადოქტორო დისერტაციაზე – „ძიებანი რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან (X-XVI სს.)“. – წგნ.: **ბ. ბერძენიშვილი**. *საქართველოს ისტორიის საკითხები*, ტ. V. თბ., 1971, გვ. 194-204; **З. В. Папаскири**. „Варанги“ грузинской „Летописи Каргли“ и некоторые вопросы русско-грузинских контактов в XI веке. – „*История СССР*“, №3, 1981, გვ. 164-169; **ზ. პაპასქირი**. ერთიანი ქართული სახელმწიფოს წარმოქმნა... გვ. 179-193; **დ. გოგოლაძე**. „მატიანე ქართლისაჲს“ ცნობა „ვარანგთა“ შესახებ. – *ქართული დიპლომატია*, წელიწადეული, ტ. 5. თბ., 1998, გვ. 275-298; **ბ. ვაჩნაძე**. **გ. ჭეიშვილი**. საქართველოს ისტორიის ახალი პერსონაჟები. – *Dedicatio*. ისტორიულ-ფილოლოგიური ძიებანი. თბ., 2001, გვ. 92-118.

ხოლო ღმერთმან განარინა იგი, და მიიწია ქლაქად კონსტანტინეპოლედ“.¹

როგორც ვხედავთ, შეუიარაღებელი თვალითაც ჩანს, რომ აქ მათიანი ტექსტი შინაარსობრივად მთლად გასაგები არაა. კერძოდ, რამდენადმე ჭირს იმის გარკვევა, თუ ვინ არის ჩიხის ერისთავად დანიშნული „ძე დემეტრესი“ – ის, ვინც „ცოლმან გიორგი მეფისამან მოკლა“, თუ „ბაგრატი, რომელი იცნობების ექსორიაქმნილობით“. ან საერთოდ ხომ არ არის ერთი და იგივე პიროვნება გიორგი მეფის ქვრივის მიერ მოკლული „ძე დემეტრესი“ და ექსორიაქმნილობით ცნობილი ბაგრატი უფლისწული. ამ კითხვაზე თითქოს პასუხი მოგვეპოვება „ქართლის ცხოვრების“ უძველეს ნუსხებში. კერძოდ, ანა დედოფლისეულ ნუსხაში ჩვენთვის საინტერესო ნაწყვეტი შემდეგნაირად გამოიყურება: „მას ჟამსა გამოვიდა გიორგი, აფხაზთა მეფე, ძმა თეოდოსესი და დიმიტრისი, ძე ლეონისი, დაიპყრა ქართლი და დაუტევა ერისთავად ჩიხას ძე დიმიტრისი, რომელსა ერქუა ბაგრატი, რომელი იცნობ(ებ)ის ექსორიაქმნილობით. და ცოლმან მეფისამა(ნ) მოკლა ძე დემეტრესი, ერისთავი ჩიხისა, და ეცრუა იგი ივანე მთავარსა შავლიანსა, და შთააგდეს ბაგრატი ზლუას. ხოლო ღმერთმან განარინა იგი, და მიიწია ქლაქად კონსტანტინეპოლედ“.²

დაახლოებით ამავე რედაქციით გვხვდება ეს ფრაგმენტი მარიამისეულ ნუსხაშიც: „მას: ჟამსა: გამოვიდა: იგი: აფხაზთა: მეფე: ... და: იპყრა: ქართლი: და: დაუტევა: ერისთავად: ჩიხას: ძე: დიმიტრისი:) რომელსა: ერქუა: ბაგრატი: რომელ: იცნობის: ექსორა: ქმნილობით: და: ცოლმან:) მეფისმა: მოკლა: ძე: დემეტრესი: ერისთავი: ჩიხისა: და: ეცრუა: იგი: ივანე: მთავარსა: შავლიანსა:) და: შთააგდეს: ბაგრატი: ზლუას: ხოლო: ღმერთმან: განარინა: იგი: და: მიიწია: ქლაქად: კონსტანტინეპოლედ“.³ ე.ი. ორივე ნუსხაში, თითქოს გარკვევით წერია, რომ „ერისთავი ჩიხისა“, რომელიც დანიშნა გიორგი „აფხაზთა“ მეფემ, იყო ბაგრატი. ეს ბაგრატი მოკლა გარდაცვლილი მეფის ქვრივმა, რის შემდეგაც ის შეეთქვა ივანე შავლიანს და მათ „შთააგდეს“ ბაგრატი „ზლუას“. „ქართლის ცხოვრების“ ამ ხელნაწერების მონაცემების საფუძველზე აკად. ივ. ჯავახიშვილმა, თავის დროზე, დაასკვნა, რომ ჩიხის ერისთავი, მართლაც,

¹ მატიანე ქართლისა. – ქართლის ცხოვრება. ტ. I. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. თბ., 1955, გვ. 258.

² ქართლის ცხოვრება. ანა დედოფლისეული ნუსხა. დასაბუჟდად მოამზადა ფილოლოგიის განყოფილებაში ს. ყაუხჩიშვილის რედაქციით. თბ., 1942, გვ. 164. ხაზგასმა ჩვენია – ზ.პ.

³ ქართლის ცხოვრება. მარიამ დედოფლის ვარიანტი. ე. თაყაიშვილის გამოც. ტფ., 1906, გვ. 223-224. ხაზგასმა ჩვენია – ზ.პ.

ბაგრატ უფლისწული იყო.¹

იმავე თვალსაზრისზე იღვას აკად. ნ. ბერძენიშვილიც, რომელიც „მატიანე ქართლისაჲს“ ამ ცნობის კომენტირებისას, სვამდა კითხვას: „ჩიხის ერისთავი აქ ქართლის ერისთავად ხომ არ იგულისხმება?“ და ამას შემდეგნაირად ხსნიდა: „ეს ბაგრატ დემეტრეს ძე იყო გიორგი მეფის ძმისწული... გიორგი ლეონის ძე უშვილო ჩანს და ტახტის მემკვიდრედ ბაგრატ დემეტრეს ძე გამოდიოდა. აფხაზთა მეფეებს ამის შემდეგაც ეძინევათ, რომ უფლისწულებს, ტახტის მემკვიდრეებს ქართლის მმართველად ნიშნავენ“.² ამ კომენტარიდან სრულიად ნათლად ჩანს, რომ ძე დემეტრესი, რომელიც „აფხაზთა“ მეფე გიორგი I-მა (861-868წწ.) „დაუტევა ერისთავად ჩიხას“, ნ. ბერძენიშვილის აზრით, იყო ბაგრატ უფლისწული.³

ერთი სიტყვით, თითქოს ყველაფერი გარკვეულია, თუმცა კითხვები მაინც რჩება. მაგალითად, რატომაა, რომ მემატიანე მხოლოდ მას შემდეგ აფიქსირებს ივანე შავლიანის მონაწილეობას სახელმწიფო გადატრიალებაში, როდესაც ქვრივმა დედოფალმა უკვე მოკლა ჩიხის ერისთავი. რა ისეთი დიდი პრობლემა იყო მკვდარი უფლისწულის ზღვაში ჩაგდება, რომ მემატიანეს საგანგებოდ არ აღენიშნა ივანე შავლიანის ჩართვა შეთქმულებაში სწორედ ამ ღონისძიებისათვის. ამ ფონზე არ შეიძლება არ მიიპყროს ყურადღება „ქართლის ცხოვრების“ იმ ნუსხებმა (კერძოდ, მახაბლისეულმა), რომელთა დაყრდნობითაც, როგორც ჩანს, აღადგინა „მატიანე ქართლისაჲს“ ზემოთ მოყვანილი ცნობა აკად. მარი ბროსემ. „ქართლის ცხოვრების“ მისეულ გამოცემაში ვკითხულობთ: „მას ჟამსა გამოვიდა აფხაზთა მეფე გიორგი აღწეფელი, ძმა) თევდოსესი და დემეტრესი, ძე ლეონისი, დაიპყრა ქართლი და დაუტევა ერისთავად ჩიხას, ძე დემეტრესი): და ვითარ გარდაიცვალა გიორგი აფხაზთა მეფე, დარჩა ძე დემეტრესი მცირე, რომელსა ერქუა ბაგრატ, რომელი იცნობების ექსორია ქმნილობით, და ცოლ-მან გიორგი მეფისამან მოკლა ტინინე, ძე დემეტრესი, ერისთავი ჩიხისა, და ეცრუა იგი იოანე, მთავარსა შავლალიანსა, და შთაავდეს ბაგრატ ზღუასა. ხოლო ღმერთ-მან განარინა იგი, და მიიწია კონსტანტინეპოლედ“.⁴

¹ ივ. ჯავახიშვილი. ქართველი ერის ისტორია, ტ. II. თბ., 1965, გვ. 100.

² ნ. ბერძენიშვილი. საქართველოს ისტორიის საკითხები. თბ., 1990, გვ. 354.

³ აქვე არ შეიძლება არ აღვნიშნოთ, რომ აკად. ნ. ბერძენიშვილის შრომების VIII ტომის 1990 წლის გამოცემისათვის დართულ სახელთა საძიებელში „ბაგრატ ძე დემეტრესი“ განმარტებულია არა როგორც ჩიხის ერისთავი, არამედ „ჩიხის ერისთავის ძმა“. იხ.: ნ. ბერძენიშვილი. საქართველოს ისტორიის საკითხები..., გვ. 679. საზგასმა ჩვენია – ზ.პ.

⁴ ქართლის ცხოვრება დასაბამითგან მეათცხრამეტე საუკუნემდის თარგმ-

არანაკლებ საინტერესოა „მატიანე ქართლისაჲს“ ამ ცნობის ინტერპრეტაცია დიდი ფრანგი ქართველოლოგის მიერ გამოცემულ „საქართველოს ისტორიაშიც“. აი, რას წერს მეცნიერი ამასთან დაკავშირებით: „გიორგისა, აბხაზეთის მთავრისა, რომელმაც დაიპყრა ქართლი, და აგრედვე ჩინაში ერისთავად დასვა თავისი ძმისწული ტინენი. ეს ერისთავი მალე მოკლულ იქნა მისი ბიძოლის, გიორგის ქვრივის ბრძანებით“.¹ კიდევ უფრო საგულისხმოა მ. ბროსეს კომენტარი იმავე წიგნში მოთავსებულ ერთგვარ დანართში, რომელშიც ავტორი ვახუშტი ბატონიშვილის თხზულების მასალაზე დაყრდნობით მიმოიხილავს „ისტორიას ეგრისისა, აფხაზეთისა ანუ იმერეთისა...“: მისი განმარტებით გიორგი I-მა, „თეგლორეს ძმამ, დაიპყრა ივერია, დასვა ჩინის ერისთავად ძმისწული თვისი თინენი და გარდაიცვალა 877წ. იოანე მამის (გიორგის) მემკვიდრედ შეიქმნა. მისმა დედამ მისთვის გვირგვინის მოსაპოვებლად მოჰკლა თინენი და განდევნა ზღვის გადაღმა ძმა მისი ბაგრატი. ბაგრატი გადაურჩა ზღვის ღელვასა და ქარიშხალს და მივიდა კონსტანტინეპოლს“.²

ის, რომ „ქართლის ცხოვრების“ უძველეს (შეიძლება ჩვენამდე არ მოღწეულ) რედაქციებში ნამდვილად იყო ანა დედოფლისეული და მარიამისეული ნუსხებისაგან განსხვავებული, ჩვენი აზრით, უფრო სრული ინფორმაცია გიორგი „აფხაზთა“ მეფის გარდაცვალების შემდეგ ქვეყანაში განვითარებულ მოვლენებზე, დასტურდება ვახუშტი ბატონიშვილის თხზულების შესაბამისი ადგილიდან. ვახუშტი ბაგრატიონის მიხედვით: „ჟამსა ამს გამოვიდა მეფე აფხაზთა და დაიპყრა ქართლი და დაუტევა ერისთავად ჩინას ტინენ ძე დიმიტრისა. ხოლო შემდგომად, გარდაიცვალა რა გიორგი მეფე აფხაზთა, ცოლმან მისმან მოკლა ტინენ ძე დიმიტრისა და ეცრუა იოანე მთავარსაცა და შთავადეს ძე დი-

ნილი და გამოცემული უ. ბროსე, წვერისა საიმპერატორო აკადემიისა მეცნიერებათა. ნაწ. I. სანკტპეტერბურდს, 1849, გვ. 191-192 (ხაზგასმა ჩვენია – **ზ.პ.**). ფაქტობრივად იგივე ტექსტი მეორდება მ. ბროსეს „ქართლის ცხოვრების“ აკად. ნ. მარის რედაქციით მომზადებულ გამოცემაში. იხ.: ქართლის ცხოვრება დასაბამითგან მეთატცხრამეტე საუკუნემდის გამოცემული დეაწ-ლითა უ. ბროსე, წვერისა რუსეთის სამეცნიერო აკადემიისა. ნაწ. პირველი. კელმეორედ დაბეჭდილი აკადემიკოს ნიკო მარის თვალმიდევნებით. პეტროგრადს, 1923, გვ. 191-192.

¹ მ. ბროსე. საქართველოს ისტორია. ორ ნაწილად. მეფეთა და მთავართა გენეალოგიით და ხრონოლოგიით. ნათარგმნი და განმარტებული სიმ. დოლობერიძის მიერ. გამოცემული ნიკ. დოლობერიძის მიერ. ტფ., 1895, გვ. 94 (ხაზგასმა ჩვენია – **ზ.პ.**). იქვე მ. ბროსე წერს, რომ ბაგრატი იყო „ძმისწული აბხაზეთის მთავრისა“.

² მ. ბროსე. საქართველოს ისტორია., გვ. 294. ხაზგასმა ჩვენია – **ზ.პ.**

*მიტრისავე ბაგრატ ზღუასა შინა*¹. ამ ინფორმაციას კიდევ უფრო აზუსტებს ვახუშტი ბატონიშვილი თავისი თხზულების სხვა ადგილას. ის წერს: „ამისთვის შეიპყრა (გიორგი I-ის ქვრივმა-ზ.პ.) ძე დიმიტრისა ერისთავი ჩიხისა ტინენ და მოკლა იგი და უძრწემესი ძე დიმიტრისავე ბაგრატ მცირე ჰასაკითა ექსორია ჰყო და მოგზაური ბაგრატ შთაავდეს ზღუასა შინა“².

ამრიგად, ჯერ ვახუშტი ბატონიშვილი, ხოლო შემდეგ მ. ბროსე, ფაქტობრივად „ქართლის ცხოვრების“ პირველი მეცნიერ-კომენტატორები, რომელთა (განსაკუთრებით ვახუშტის) განკარგულებაში შესაძლებელია ყოფილიყო ქართული მატრიანეების კრებულის ზოგიერთი ჩვენამდე არმოდღეული ხელნაწერი, გვთავაზობენ „მატიანე ქართლისაჲს“ ცნობის პრინციპულად განსხვავებულ რედაქციას. მასში, „ქართლის ცხოვრების“ ანა დედოფლისა და მარიამისეული ნუსხებისაგან განსხვავებით, ფიგურირებს არა მხოლოდ ერთი ბაგრატ უფლისწული, თავისი ბიძის მიერ ჩიხის ერისთავად დანიშნული, რომელიც თითქოს ჯერ მოკლეს, შემდეგ კი „შთაავდეს ზღუასა“, არამედ დემეტრე „აფხაზთა“ მეფის ერთბაშად ორი ძე, რომელთაგან ერთი – „ერისთავი ჩიხისა“ ტინენ მოკლულ იქნა, ხოლო მეორე – „უძრწემესი ძე დიმიტრისავე ბაგრატ მცირე ჰასაკითა... შთაავდეს ზღუასა შინა“.

ალბათ, ვახუშტი ბაგრატიონისა და მ. ბროსეს ეს განმარტებები გაითვალისწინა აკად. ს. ყაუხჩიშვილმა, როდესაც „ქართლის ცხოვრების“ სხვადასხვა ხელნაწერების კრიტიკული შეჯერების შედეგად დადგენილ ტექსტში პირდაპირ არ გადმოიტანა ასევე მის მიერ გამოცემული ანა დედოფლისეული ნუსხის რედაქცია. თუმცა მეცნიერმა, როგორც დავინახეთ, მაინც შეიკავა თავი „მატიანე ქართლისაჲს“ ტექსტის ვახუშტისეული ვარიანტის მიხედვით გამართვისაგან. შედეგად, მივიღეთ ახალი რედაქცია, რომლიდანაც, როგორც უკვე აღვნიშნეთ, მთლად გარკვევით არ ჩანს, ნამდვილად იყო თუ არა ბაგრატ უფლისწული „ერისთავი ჩიხისა“.

ეს კითხვა უპასუხოდ რჩებათ „მატიანე ქართლისაჲს“ რუსულ ენაზე მთარგმნელებს. აი, როგორ თარგმნის, მაგალითად, მოცემულ ფრაგმენტს აკად. მ. ლორთქიფანიძე: „В это время, выступил Гиорги царь абхазов... захватил Картли и оставил эриставом в Чиха, сына Деметре, и, когда скончался Гиорги царь абхазов, остался сын Деметре малолетным, которого звали Багратом и который известен изгнанием. А жена царя убила сына Деметре, эристава Чихи, обману-

¹ ბატონიშვილი ვახუშტი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა. – ქართლის ცხოვრება, ტ. IV. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. თბ., 1973, გვ. 131. ხაზგასმა ჩვენია – ზ.პ.

² ბატონიშვილი ვახუშტი. აღწერა..., გვ. 797. ხაზგასმა ჩვენია – ზ.პ.

ლა она Иване მთავარა Шавлиანი и бросили Баграта в море...“.¹ ე.ი ამ თარგმანის მიხედვით არ ჩანს მკაფიოდ ჩიხის ერისთავად მაინცდამაინც ბაგრატ უფლისწულის ყოფნა. ამასთან, მთარგმნელი გრძნობს, რომ აქ ყველაფერი რიგზე არ არის და საჭიროდ მიიჩნევს, რამდენადმე სიცხადე შეიტანოს ამ საკითხში. „Текст не совсем понятен: – ვკითხულობთ მ. ლორთქიფანიძის კომენტარში. – сын Деметре Баграт назван эриставом Чиха. Про него сказано, что он был убит и был изгнан. В некоторых списках вместе с Багратом назван некий Тинен... Согласно Вахушти эриставом в Чиха был назначен Тинен сын Деметре, которого убили, а Баграта, младшего сына того же Деметре, изгнали“.² მიუხედავად ამგვარი დაეჭვებისა, აკად. მ. ლორთქიფანიძე მაინც ვერ ბედავს კორექტივის შეტანას „მატიანე ქართლისაჲს“ ტექსტში და საკითხს ფაქტობრივად ღიად ტოვებს. უფრო მეტიც, სხვა ნაშრომში მეცნიერი სრულიად გარკვევით წერს, რომ „გიორგი ეგრის-აფხაზეთის მეფემ დაპყრობილი ქართლი თავის სამეფოს შეუერთა და იქ ერისთავად თავისი ძმისწული ტახტის მემკვიდრე ბაგრატ უფლისწული დააყენა“.³

მ. ლორთქიფანიძისაგან განსხვავებით უკომენტაროდ თარგმნის ამ ფრაგმენტს გ. წულაია: „Георгий, царь абхазов, брат Феодосия и Деметрэ, сын Леона, силой овладел Картли и поставил эриставом в Чихе сына Деметрэ. Когда же преставился Георгий, царь абхазов, сын Деметрэ пребывал в малолетстве, звали его Багратом; и известен (он) как изгнанник“.⁴ ამ თარგმანიდანაც გაჭირდება იმის გაგება, თუ ვინაა „ერისთავი ჩიხისა“, თუმცა გ. წულაია, როგორც ჩანს, ჩიხის ერისთავად მიიჩნევს ბაგრატ უფლისწულის ძმას. აი, როგორ აშუქებს მკვლევარი დასავლეთ საქართველოს სამეფო კარზე დატრიალებულ მოვლენებს აფხაზეთსა და აფხაზებზე გამოქვეყნებულ მონოგრაფიაში: „Летописец не называет его (იგულისხმება „ერისთავი ჩიხისა“ – ზ.პ.), но именует „сыном Деметре“... Этот „сын Деметре“ – племянник Георгия I и внук Леона второго и которого „Георгий, царь абхазов... поставил эриставом в Чихи“, „пребывал в малолетстве“ и можно полагать – под надзором регента. После смерти бездетного Георгия... Вдо-

¹ Матиане Картлиса. Перевод, введение и., გვ. 31.

² Матиане Картлиса. Перевод, введение..., გვ. 72. საზგასმა ჩვენია – ზ.პ.

³ მ. ლორთქიფანიძე. ქართული ფეოდალური მონარქიის შექმნა. – საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. II. თბ., 1973, გვ. 517. საზგასმა ჩვენია – ზ.პ. იგივე აზრია გატარებული ამ ნაშრომის რუსულ გამოცემაშიც. იხ.: М. Д. Лордкипанидзе. Образование грузинской феодальной монархии. – წგნ.: Очерки истории Грузии, т. II. Тб., 1988, გვ. 358.

⁴ Летопись Картли. Перевод, введение и примечания Г. В. Цулая..., გვ. 50.

ვა გეორგია ორგანიზავალა დვორცოვუი ინტრიგუ, ვ რეზულტატე კოტორი „**ერისტავი ჩიხსკოი**“ ი ეგო ბრატა ბაგრატა, **ედიწვენნიხ ზაკონნიხ პრეტენდენტოხ ნა პრესტოლ აბჰაზსკოი ცარსტვა, – ოდნოი უბილი, ა დრუგოი – ბაგრატა – ჭუდომ უდაღოს ოტპრავიტი ვ კონსტანტინოპოლ**“.¹

როგორც ვხედავთ, გ. წულაიაც ვახუშტი ბატონიშვილის მსგავსად აფიქსირებს დემეტრე მეფის ორ ძეს, ერთს – „ჩიხის ერისთავს“, რომელიც მოკლეს და მეორეს – ბაგრატს, რომელიც სასწაულებრივად გადარჩა და თავი შეაფარა კონსტანტინოპოლს. მაგრამ მკვლევარი აქვე უშვებს სერიოზულ შეცდომას, როდესაც მცირეწლოვნად („**პრეხივალ ვ მალეტსტვე**“) მიიჩნევს ჩიხის ერისთავს და არა ბაგრატს. არადა, „**მატანე ქართლისაიხ**“ ტექსტში სავსებით გასაგებად წერია, რომ „**დარჩა ძე დემეტრესი მცირე, რომელსა ერქუა ბაგრატ, რომელი იცნობების ექსორიაქნილობით**“. ამასთან, როგორც ჩანს, გ. წულაია არ იცნობს ვახუშტი ბატონიშვილის ზემოთ მოყვანილ კომენტარს. წინააღმდეგ შემთხვევაში, ის ასე კატეგორიულად ვერ იტყოდა ჩიხის ერისთავზე, რომ „**Летописец не называет его**“.

თავის დროზე, ჩიხის ერისთავზე დაახლოებით ანალოგიურ კომენტარს აკეთებდა ზ. ანჩაბაძეც, რომელსაც ეტყობა ასევე გამორჩა ვახუშტი ბატონიშვილის ცნობა. მისთვისაც უცნობია ჩიხის ერისთავის სახელი („**имени его летописец не называет**“, – წერს მეცნიერი),² თუმცა ზ. ანჩაბაძე თვლის, რომ ის არ იყო ბაგრატ უფლისწული. მისი აზრით, „**наследниками бездетного Георгия были его племянники, Чихский эристав и малолетный Баграт**. Однако, жена Георгия I организовала заговор, в результате которого **чихский эристав был убит, но Баграта спасли его приверженцы и отправили в Константинополь**“.³

ამ ბოლო დროს, ჩიხის საერისთავოზე მსჯელობისას „**მატანე ქართლისაიხ**“ ცნობას შეეხო მ. ბახტაძე, რომელმაც უკრიტიკოდ გაიზიარა ქრონიკის ჩვენთვის საინტერესო მონაკვეთის ნ. ბერძენიშვილისეული გაგება და ასევე ჩათვალა, რომ „**ერისთავი ჩიხისა**“, რომელიც დანიშნა გიორგი I-მა იყო ბაგრატ უფლისწული.⁴ ასევე ესმის ცნობა

¹ **Г. В. Цулая.** Абхазия и абхазы в контексте истории Грузии. *Домонгольский период.* Краткие очерки. М., 1995, გვ. 74. საზგასმა ჩვენია – **ზ.პ.**

² **З. В. Анчабадзе.** Из истории средневековой Абхазии. Сухуми, 1959, გვ. 123.

³ **З. В. Анчабадзе.** Из истории средневековой..., გვ. 123. საზგასმა ჩვენია – **ზ.პ.**

⁴ **მ. ბახტაძე.** ერისთავობის ინსტიტუტი საქართველოში. თბ., 2003, გვ. 127. აღსანიშნავია, რომ მ. ბახტაძეს რამდენადმე არასწორად აქვს გადმოცემული ზ. ანჩაბაძის თვალსაზრისი მოცემულ საკითხზე. მისი განმარტე-

ჩიხის ერისთავის შესახებ შ. გლოველსაც.¹

ამრიგად, როგორც ვხედავთ, მიუხედავად ვახუშტი ბატონიშვილისა და მარი ბროსის, აგრეთვე ზოგიერთ თანამედროვე მკვლევართა (ზ. ანჩაბაძე, გ. წულაია) მცდელობისა, „მატიანე ქართლისაის“ ცნობა გიორგი „აფხაზთა“ მეფის გარდაცვალების შემდეგ განხორციელებული სახელმწიფო გადატრიალების შესახებ, ჩვენი აზრით, კვლავ გაუმართავი რჩება და წყაროს ქართულ² და რუსულ³ ენებზე გამომცემლები უკრიტიკოდ იღებენ აკად. ს. ყაუხჩიშვილის რედაქციას. ვითარების ასე დატოვება კი, ჩვენი აზრით, მთლად გამართლებული არ არის. ვფიქრობთ, არავითარი საფუძველი არ გვაქვს, არ ვენდოთ „მატიანე ქართლისაის“ ჩვენთვის საინტერესო ადგილის ვახუშტი ბაგრატიონისა და მარი ბროსისეულ წაკითხვას და არ შევავსოთ „მატიანის“ შესაბამისი ნაწყვეტი იმ მასალით, რომელიც მათ ვარიანტში მოგვეპოვება.

ბით ისე გამოდის, თითქოს ზ. ანჩაბაძეს გიორგი I-ის მიერ ქართლში დანიშნულ ერისთავად (მ. ლორთქიფანიძის მსგავსად) ბაგრატი მიაჩნია (მ. ბახტაძე, ერისთავობის ინსტიტუტი საქართველოში., გვ. 126).

¹ შ. გლოველი. აფხაზთა სამეფო. დისერტაცია ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად (ხელნაწერის უფლებით). თბ., 2004, გვ. 77. აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ პირველად ოფიციალურად ამ საკითხზე ყურადღება გაგამახვილეთ სწორედ შ. გლოველის საკანდიდატო დისერტაციის ოპონირებისას. იხ.: ზ. პაპასქირი. საინტერესო ნაშრომი „აფხაზთა“ სამეფოს ისტორიაზე. – საისტორიო ძიებანი. წელიწდეული, VII. თბ., 2004, გვ. 318-320.

² ასე მაგალითად, „ქართლის ცხოვრების“ ილ. ანთელავასა და ნ. შოშიაშვილის მიერ მომზადებულ გამოცემაში უცვლელადაა გადმოტანილი ს. ყაუხჩიშვილის ვარიანტი: „მას ჟამსა გამოვიდა გიორგი, აფხაზთა მეფე, ძმა თეოდოსესი და დემეტრესი, ძე ლეონისი; დაიპურა ქართლი და დაუტევა ერისთავად ჩიხას ძე დემეტრესი, და ვითარ გარდაცვალა გიორგი აფხაზთა მეფე, დარჩა ძე დემეტრესი მცირე, რომელსა ერქუა ბაგრატ, რომელი იცნობების ექსორიაქმნილობით და ცოლმან გიორგი მეფისამან მოკლა ძე დემეტრესი, ერისთავი ჩიხისა. და ეცრუა იგი ივანე მთავარსა შავლიანსა, და შთააგდეს ბაგრატ ზღუასა. ხოლო ღმერთმან განარინა იგი, და მიიწია ქალაქად კონსტანტინეპოლედ“; იხ.: ქართლის ცხოვრება. გამოსაცემად მოამზადეს, წინასიტყვაობა და ტერმინთა განმარტება დაურთეს აკადემიკოსებმა ილ. ანთელავამ და ნ. შოშიაშვილმა. თბ., 1996, გვ. 208.

³ ასევე უკრიტიკოდ და უკომენტაროდაა გადატანილი ს. ყაუხჩიშვილის რედაქცია ცნობილი აფხაზი ისტორიკოსის გ. ამიხბას წიგნში (იხ.: *Абхазия и абхазы средневековых грузинских повествовательных источников*. Грузинские тексты на русский язык перевел, предисловием и примечаниями снабдил Г. А. Амичба. Тб., 1988, გვ. 59.), თუმცა ეს უკანასკნელი კარგად იცნობს „მატიანე ქართლისაის“ ამ ცნობის ვახუშტი ბატონიშვილისეულ ვერსიას და გამოქვეყნებულიც კი აქვს ის იმავე წიგნში (*Абхазия и абхазы средневековых грузинских повествовательных источников*., გვ. 130-131).

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, მიგვაჩნია, რომ ქართველი მემატიანის აღნიშნული ცნობის ტრადიციული ინტერპრეტაცია უნდა გადაისინჯოს და „მატიანე ქართლისაჲს“ ტექსტის ს. ყაუხჩიშვილისეულ ვარიანტში გარკვეული კონიექტურა უნდა იქნას შეტანილი. ამის გაკეთება მით უფრო საშუურია დღეს, როდესაც, როგორც ცნობილია, გამოსაცემად მზადდება „ქართლის ცხოვრების“ კრებულის ახალი, კრიტიკულად დადგენილი ტექსტი.

აქვე წარმოვადგენთ, ამ კონიექტურის ჩვენეულ საშუაო ვარიანტს: „მას ჟამსა გამოვიდა გიორგი, აფხაზთა მეფე, ძმა თეოდოსესი და დემეტრესი, ძე ლეონისი; დაიპყრა ქართლი და დაუტევა ერისთავად ჩიხას ძე დემეტრესი **ტინენ**. და ვითარ გარდაიცვალა გიორგი აფხაზთა მეფე, დარჩა (**სხუა**) ძე დემეტრესი მცირე, რომელსა ერქუა ბაგრატი, რომელი იცნობების ექსორია-ქმნილობით. და ცოლმან გიორგი მეფისამან მოკლა ძე დემეტრესი **ტინენ**, ერისთავი ჩიხისა. და ეცრუა იგი ივანე მთავარსა შავლიანსა, და შთაავდეს ბაგრატი ზღუასა. ხოლო დმერთმან განარინა იგი, და მიიწია ქალაქად კოსტანტინეპოლედ“.

ვახუშტი ბაგრატიონი – შუა საუკუნეების ხანის ქართული ისტორიოგრაფიის გიგანტი*

ვახუშტი ბაგრატიონი ჭეშმარიტად უდიდესი მოვლენაა არა მართო ეროვნულ ისტორიოგრაფიაში, არამედ ქართული წიგნიერებისა და ზოგადად ქართული კულტურის ისტორიაში. ის, როგორც აღორძინების ხანის დასავლეთ ევროპელი დიდი მოღვაწენი, ტიტანივით მოველინა შუა საუკუნეების ქართულ აზროვნებასა და სრულიად ახალ საფეხურზე აიყვანა ის.

ვახუშტი ბაგრატიონი მრავალმხრივი მოღვაწეა. ის თავის დიდ წინამორბედებთან – სულხან-საბა ორბელიანთან და ვახტანგ VI-სთან ერთად, ენციკლოპედიურად განათლებული პიროვნება იყო. ენციკლოპედიური ხასიათისაა მისი მოღვაწეობაც. ის ერთდროულად იყო: ისტორიკოსი, გეოგრაფოსი, პოეტი, მთარგმნელი ლექსიკოგრაფი. მაგრამ მის მეცნიერულ მემკვიდრეობაში უმთავრესი ადგილი მაინც ისტორიოგრაფიას უკავია. მართალია, ვახუშტი ბატონიშვილი სავსებით სამართლიანად ითვლება ქართული გეოგრაფიული მეცნიერების ფუძემდებლად, რაზედაც მეტყველებს მისი ფუნდამენტური კვლევა გეოგრაფია-კარტოგრაფიის დარგში, მაგრამ ის, პირველ რიგში, მაინც ისტორიკოსია და მისი გეოგრაფიული მოღვაწეობაც მხოლოდ ერთ მიზანს – ჩვენი ქვეყნის ისტორიული წარსულის უკეთ შეცნობას ემსახურებოდა.

ვახუშტი ბაგრატიონის ბიოგრაფიიდან ბევრი რამ ბურუსითაა მოსილი. ვახუშტი დაბადებულა 1696 წ. თბილისში. ის ვახტანგ ბატონიშვილის (შემდგომში ქართლის მეფის ვახტანგ VI-ის) „უკანონო“ ვაჟი იყო, თუმცა ხარჭასთან ნაშობი შვილი ვახტანგ VI-ს, ცნობილი ქართველი ისტორიკოსის ვალერიან გაბაშვილის მოსწრებული თქმისა არ იყოს, „არასოდეს არ გაუნაპირებია, სხვა შვილებთან ერთად მეფის კარზე ზრდიდა და მზრუნველობასა და ყურადღებას არ აკლებდა“ მას.¹ უცნობია ვახუშტის დედის ვინაობა. ვარაუდობენ, რომ ის მდაბიოთა წრიდან უნდა ყოფილიყო.²

* წაკითხულია მოსხენებად ვახუშტი ბაგრატიონის დაბადებიდან 300 წლის იუბილესადმი მიძღვნილ სამეცნიერო-თემატურ კონფერენციაზე ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოხუმის ფილიალში (1997 წლის ნოემბერი). დაიბეჭდა ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის საქართველოს საისტორიო საზოგადოების აფხაზეთის ორგანიზაციის პერიოდულ სამეცნიერო გამოცემაში: „საისტორიო ძიებანი“, ტ. I. თბ., 1998, გვ. 239-250.

¹ ვ. გაბაშვილი. ვახუშტი ბაგრატიონი. თბ., 1969, გვ. 12.

² ვ. გაბაშვილი. ვახუშტი ბაგრატიონი, გვ. 13; შ. ხანთაძე. ქართული ისტო-

სწავლა-აღზრდა ვახუშტიმ სამეფო კარზე მიიღო. მისი პირველი მასწავლებლები ვახტანგ VI-ის კარის ოქროს ხატის დეკანოზი იესე გარსევანიშვილი და მისი ძმა გიორგი ყოფილან.¹ ამ უკანასკნელის განსაკუთრებული ღვაწლი ბატონიშვილთა, მათ შორის ვახუშტის აღზრდაში საყოველთაოდ ყოფილა აღიარებული და დაფასებული. ცნობილია, რომ ვახუშტი ბაგრატიონმა თავის მასწავლებელს 1723წ. უბოძა ქვემო ქართლში მდებარე სოფელი ნადარბაზევი.² ვახუშტი ბაგრატიონმა ეროვნული სწავლა-აღზრდის პარალელურად „აღასრულა ყოველი სწავლა ლათინთა ფრანგული“.³ ის იმდენად გაწაფული ყოფილა ლათინურ ენა-სა და „ლათინთა სწავლებაში“, რომ ლევენდაც კი შექმნილა რომში მისი ცხოვრებისა და სწავლების შესახებ. სინამდვილეში კი „ფრანგული სწავლა“ ანუ „ევროპული განათლება“ მას თბილისში კათოლოკე მისიონერთა სკოლაში უნდა მიეღო.⁴ თბილისშივე უნდა დაეწყო ვახუშტი ბაგრატიონს თავისი მეცნიერული მოღვაწეობაც.

XVIII ს. დამდეგიდან, ვახტანგ VI-ის ჯანიშინობის პერიოდთან (1703წ.), როგორც ცნობილია, თბილისში კულტურულ-საგანმანათლებლო ცხოვრება ჩქეფდა. XIV-XVII საუკუნეების ერთგვარი „ჩავარდნის“ შემდეგ ეს იყო პირველი დიდი გამოცოცხლება ეროვნულ-კულტურულ ცხოვრებაში და ის მთლიანად დაკავშირებულია ვახტანგ VI-ის სახელთან. სწორედ ვახტანგ VI-ისა და მისი დასის, რომლის უთვალსაზიროესი წარმომადგენელი იყო დიდი სულხან-საბა ორბელიანი, მრავალმხრივი, ნაყოფიერი კულტურულ-საგანმანათლებლო მოღვაწეობის წყალობით ამ პერიოდში მოხდა არა მარტო ქართული ეროვნულ-კულტურული ტრადიციების აღდგენა-განახლება, არამედ ქვეყანა ევროპეიზაციის გზასაც დაადგა. ქვეყნის ევროპეიზაციის პოლიტიკურ-ეკონომიკური მიზანი, როგორც სავსებით სამართლიანადაა მითითებული ისტორიოგრაფიაში, თავისი გამოხატულებას, პირველ რიგში, სწორედ კულტურულ-საგანმანათლებლო მოღვაწეობის სარბიელზე პოულობდა.⁵

ვახტანგ VI-ის დასის საქმიანობა მეცნიერების მრავალ დარგს და-აჩნდა. როგორც ცნობილია, თვით ვახტანგ მეფე ფრიად „ცოდნის მო-

რიოგრაფია XVIII საუკუნეში. თბ., 1985, გვ. 58.

¹ ვ. გაბაშვილი. ვახუშტი..., გვ. 18; შ. ხანთაძე. ქართული..., გვ. 58.

² ვ. გაბაშვილი. ვახუშტი ბაგრატიონი, გვ. 18.

³ ეს ცნობა მომდინარეობს ფაენელიშვილის პოემა „ვახტანგიანიდან“. „ვახუშტი ქრისტეს მოსავი, მის ცნებაზედა დარგული, სულ აღასრულა ყოველი სწავლა ლათინთა ფრანგული“. იხ. შ. ხანთაძე. ქართული..., გვ. 58.

⁴ ვ. გაბაშვილი. ვახუშტი ბაგრატიონი, გვ. 23; ; შ. ხანთაძე. ქართული ისტორიოგრაფია..., გვ. 58

⁵ ვ. გაბაშვილი. ვახუშტი ბაგრატიონი, გვ. 6.

ყვარე, ბრძენი...“¹ იყო რომელსაც საღმრთო ცოდნასთან ერთად საერო ცოდნაც ჰქონდა მიღებული. პოეზიისა და ლიტერატურათმცოდნეობასთან ერთად, ის გატაცებული იყო მეცნიერების ისეთი დარგებით, როგორიცაა: იურისპრუდენცია, ასტრონომია, ქიმია, მათემატიკა კარტოგრაფია და ა. შ. განსაკუთრებით დიდი ამაგი დასდო ვახტანგ VI-მ ისტორიოგრაფიას. მან „შეკრიბნა მეცნიერნი კაცნი და მოიხუნა საცა რა ქართლის ცხოვრებაჲ პოვა და კუალად გუჯარნი მცხეთისანი, გელათისანი და მრავალთა ეკლესიათა და დიდებულთა და შეამოწმეს და რომელ განრყენილ იყო, განმართესა და სხვანიცა წვრილნი მოიხუნეს, რომელიმე სომეხთა და სპარსთა ცხოვრებისაგან გამოხუენეს და ასრეთ აღწერეს“.²

ვახტანგ VI-ის „სწავლულ კაცთა“ კომისიის მოღვაწეობა იყო ახალი ეტაპი ქართულ საისტორიო მწერლობაში. სწორედ ამ კომისიამ, პირველად ეროვნულ ისტორიოგრაფიაში შემოიტანა წყაროებისადმი კრიტიკული დამოკიდებულება, წყაროთა წრის გაფართოება, მათი ავტორიანობისადმი ყურადღების გაძლიერება.³ სწავლულ კაცთა კომისიის საქმიანობას უკავშირდება საისტორიო დოკუმენტების წინასწარი შესწავლისა და შემოწმების, შერყვნილი ადგილების შესწორების მეთოდის დანერგვა, რომელიც დამხმარე საისტორიო დისციპლინის „დიპლომატიკის“ საფუძველს წარმოადგენს და რომლის გამოყენებაც აქტიურად დაიწყო ევროპელმა ისტორიკოსებმა მხოლოდ XVIII ს. 80-იანი წლებიდან.⁴

ვახტანგ VI-ის მიერ დაწყებული ამ ერთგვარი „ისტორიოგრაფიული ბუძის“ ფონზე იწყება ვახუშტი ბაგრატიონის, როგორც მეცნიერი ისტორიკოსის მოღვაწეობაც. მაგრამ ვახუშტი ბაგრატიონის მოღვაწეობა სულაც არ იყო „სწავლულ კაცთა“ კომისიის საქმიანობის უბრალო გაგრძელება. ეს იყო კრიტიკული ათვისება-გააზრება მთელი ქართული ისტორიოგრაფიული მემკვიდრეობისა ზოგადად და, პირველ რიგში, სწორედ ბერი ეგნატაშვილის კომისიის ნაღვაწისა. საყოველთაოდ ცნობილია, თუ როგორი კრიტიკული თვალით უყურებდა ვახუშტი ბაგრატიონი „ახალ ქართლის ცხოვრებას“. ვარაუდობენ, რომ სწორედ „მეცნიერ კაცთა“ მიერ მომზადებულ „ქართლის ცხოვრებაში“ მის მიერ შემჩნეულმა „წინააღმდეგობებმა“ და „უსწორებულებებმა“ („ვიხილეთ ესე-

¹ ბატონიშვილი ვახტანგი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა. – „ქართლის ცხოვრება“, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. IV. თბ., 1973, გვ. 481.

² ქართლის ცხოვრება. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. I. თბ., 1955, გვ. 024.

³ შ. ხანთაძე. ქართული ისტორიოგრაფია., გვ. 39.

⁴ ვ. გაბაშვილი. ვახუშტი ბაგრატიონი, გვ. 54, 57.

ოდენი წინააღმდეგნი და უსწორებულობანი“) უბიძგა უფლისწულს და-
ეწერა „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“.¹

მართალია, ვახუშტი ბაგრატიონმა თავისი მთავარი ნაშრომი რუ-
სეთში ყოფნის დროს დაწერა, მაგრამ მისი დაინტერესება საქართვე-
ლოს ისტორიული წარსულითა და მის მიერ ამისთვის საჭირო საინ-
ტერესო მასალების მოძიება, როგორც ჩანს, ადრიდანვე დაიწყო. სავსე-
ბით სწორად აღნიშნავდა აკად. ივანე ჯავახიშვილი, რომ ვახუშტის
ნაშრომი „იმდენად დიდია და მრავალმხრივი, რომ შეუძლებელია მას
მარტო ამ სამი წლის განმავლობაში (ე. ი. 1724-1745 წლებში, რო-
გორც ამას წერს თვით ვახუშტი ბატონიშვილი² – ზ.პ.) მოესწრო
მისი შემუშავება და დაწერა. ამიტომ, უეჭველია, მას თხზულებისათვის
მასალები და საბუთები დიდი ხნიდან მოყოლებული უნდა ეგროვებინა,
იქნება როდესაც ჯერ კიდევ საქართველოში იყო“.³

არაა გამორიცხული, რომ ეს რამდენადმე უკავშირდება მის პო-
ლიტიკურ საქმიანობას. ცნობილია, რომ 1715 წლიდან ვიდრე 1724
წლამდე ის აქტიურად იყო ჩართული ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვ-
რებაში. 1715 წელს, ვახუშტისავე ცნობით, ვახტანგ VI-ის მიერ მეფის
ადგილას დატოვებულ ბაქარ ბატონიშვილს გაუგზავნია „ძმა თვისი“ ვა-
ხუშტი განდგომილი დათუნა ქსნის ერისთავის დასამორჩილებლად „და
დაიპყრა მამული მისი (დათუნა ერისთავის) ვახუშტიმ“.⁴ მოგვიანებით,
1719წ. ვახუშტი თავის უფროს ძმა – ბაქართან ერთად კვლავ ამყა-
რებს წესრიგს ქსნის ხეობაში.⁵ ის მეთაურობდა იმ რაზმს, რომელსაც
დაევალა ვახტანგ VI-ის დისწულის – ალექსანდრე გიორგის ძის იმე-
რეთში გასამეფებლად პირობების მომზადება⁶. ვარაუდობენ, რომ სწო-
რედ ამ სიტუაციაში მოხდა ვახუშტი ბაგრატიონის დაქორწინება გიო-
რგი აბაშიძის ასულ მარიამზე.⁷

ვახუშტი არაერთხელ დამდგარა იარაღით ხელში სამშობლოს და-

¹ **ს. ყაუხჩუშვილი.** ვახუშტი ბატონიშვილის საისტორიო ნაშრომი „აღწერა
სამეფოსა საქართველოსა“. – „ქართლის ცხოვრება“, ტექსტი დადგენილი
ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით **ს. ყაუხჩუშვილის** მიერ, ტ. IV.
თბ., 1973, გვ. 07.

² „გარნა შრომა ჩვენი არა მცირე იყო, რომელსა ზედა ვიშრომეთ კინიდა
წელნი სამნი მარადის წერისა, გამოძიებითა, მატიანეებთა და ცხოვრებათა
ძიებათა“. იხ. **ბატონიშვილი ვახუშტი.** აღწერა სამეფოსა..., გვ. 11.

³ **ივ. ჯავახიშვილი.** ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, – *თხზულებ-
ბანი თორმეტ ტომად.* ტ. VIII. თბ., 1977. გვ. 325.

⁴ *ქართლის ცხოვრება*..., ტ. IV, გვ. 496.

⁵ *ქართლის ცხოვრება*..., ტ. IV, გვ. 498.

⁶ *ქართლის ცხოვრება*..., ტ. IV, გვ. 498.

⁷ **ვ. გაბაშვილი.** ვახუშტი ბაგრატიონი, გვ. 29.

საცავად. „ხოლო მოსრული იყო განსჯის ხანი შულავერს, ეოტნა სპანი და მოესრა შულავერი. მსმენელმან მეფემან (ვახტანგ VI-მ – **ზ.პ.**) წარავლინა ვახუშტი სპითა საბარათიანო-იმერლითა მივიდნენ ესენი და მოსრნეს ელნი ბორჩალუ“.¹ უფლისწული-ისტორიკოსი, შესაძლებელია, მონაწილეობას იღებდა ვახტანგ VI-ის დიპლომატიურ ღონისძიებებშიც. ხოლო ერთი პერიოდი (1722წ.), როდესაც ვახტანგ VI ტახტის მემკვიდრე ბაქარ ბატონიშვილთან ერთად ქართველთა ჯარით რუსეთის იმპერატორ პეტრე I-ის მოლოდინში განჯას იყო დაბანაკებული, ვახუშტი ბაგრატიონი საერთოდ ქართლის სამეფოს დროებით გამგებლადაც კი იყო დანიშნული.²

ბუნებრივია, ამ პერიოდში და სხვა დროსაც მისთვის ხელმისაწვდომი იქნებოდა სამეფო კანცელარიის დოკუმენტები, რომელთა შედგენილობა ასე კარგადაა მიმოხილული მის დიპლომატიკურ მიმოხილვაში „*მეფეთა წერილისათვის*“:³ ამ მხრივ განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ვახუშტი ბატონიშვილის საქმიანობა ქვემო ქართლის (საბარათიანოს და თრიალეთის) სარდლის თანამდებობაზე, რომელზედაც ის დაინიშნა 1721წ.⁴ ამავე წელს ვახუშტიმ მეფის დავალებით ავალიშვილთან ერთად მოახდინა მისთვის ჩაბარებული სადროშოს ტერიტორიის დასახლებული პუნქტების და მოსახლეობის აღწერა.⁵ საფიქრებელია, რომ ამ და სხვა სადროშოების აღწერილობათა მასალები, რომელსაც ის ალბათ ასევე უდავოდ იცნობდა, ფართოდ იქნა გამოყენებული ვახუშტის მიერ „*საქართველოს ისტორიაზე*“ მუშაობისას.

ვახუშტი ბაგრატიონი, მიუხედავად მისი მრავალმხრივ მეცნიერული მოღვაწეობისა, როგორც უკვე ავლნიშნეთ, მოწოდებით ისტორიკოსი იყო.⁶ მისი მთავარი ნაშრომი – „*აღწერა სამეფოა საქართველოსა*“, პირველ რიგში, არის საისტორიო თხზულება, რომელიც შევსებულია საქართველოს ცალკეული კუთხეების ვრცელი ისტორიულ-გეოგრაფიული, ეთნოგრაფიული და ა. შ. აღწერილობებით და ეს სრულიადაც არ არის შემთხვევითი. ვახუშტი ბატონიშვილს, ანუ როგორც ის უწოდებს

¹ *ქართლის ცხოვრება*..., ტ. IV, გვ. 501.

² **ივ. ჯავახიშვილი**. ძველი ქართული..., გვ. 325; **ვ. გაბაშვილი**. ვახუშტი ბაგრატიონი, გვ. 32; **შ. ხანთაძე**. ქართული ისტორიოგრაფია..., გვ. 59

³ *ქართლის ცხოვრება*..., ტ. IV, გვ. 37.

⁴ **ივ. ჯავახიშვილი**. ძველი ქართული..., გვ. 325; **ვ. გაბაშვილი**. ვახუშტი ბაგრატიონი, გვ. 30. **შ. ხანთაძე**. ქართული ისტორიოგრაფია..., გვ. 59.

⁵ იხ. *მასალანი საქართველოს სტატისტიკური აღწერილობისა მე-18 საუკუნეში*. **ე. თაყაიშვილის** რედ. ტფ., 1907.

⁶ **დ. მუსხელიშვილი**. ვახუშტი ბაგრატიონი ჩვენი თანამედროვე, – გაზ. „*საქართველოს რესპუბლიკა*“, №251, 9 ოქტომბერი, 1997, გვ. 4.

თავის თავს, „მეფის შვილ ვახუშტის“, ღრმად სწამდა, რომ ჭეშმარი-
ტი ისტორიული თხზულება აუცილებლად უნდა მოიცავდეს გეოგრა-
ფიულ მასალასაც – მისი სიტყვით: „ადგილის აღწერას“. „მატიანე, –
წერს ის, – განიყოფების ოთხ წილად: ადგილის აღწერად, ნათე-
სავმეტყველებად (ეთნოგენეზი და გენეალოგია), წლისმრიცხველობად
(ქრონოლოგია) და მოქმედების აღწერად (პოლიტიკური ისტორია).¹

ამასთან დაკავშირებით, ყურადღება უნდა გავამახვილოთ ერთ გა-
რემოებაზე. ამ უკანასკნელ დრომდე ვახუშტი ბაგრატიონის თხზულე-
ბის ისტორიული და გეოგრაფიული ნაწილები ცალ-ცალკე იბეჭდე-
ბოდა. რის გამოც შეიქმნა მცდარი აზრი, რომ ვახუშტი ბარგატიონმა
დაწერა არა ერთი მთლიანი თხზულება „აღწერა სამეფოსა საქართვე-
ლოსა“, არამედ ორი სხვადასხვა ნაწარმოები: 1) ისტორიული თხზუ-
ლება: „საქართველოს ცხოვრება“ და 2) გეოგრაფიული ნაშრომი: „აღ-
წერა სამეფოსა საქართველოსა“. ამ გაუგებრობას ბოლო მოუღო აკად.
სიმონ ყაუხჩიშვილმა, რომელმაც გულმოდგინედ შეისწავლა მეცნიერი
ბატონიშვილის თხზულების ყველა არსებული ხელნაწერი (სულ 20),
რომლებშიც ვახუშტის ნაშრომი ცალსახად წარმოდგენილია როგორც
ერთი მთლიანი თხზულება, რომლის საერთო სათაურად ს. ყაუხჩი-
შვილმა სავსებით დასაბუთებულად მიიჩნია სწორედ „აღწერა სამეფოსა
საქართველოსა“ და ასე გამოსცა კიდეც ის 1973 წელს.²

„ადგილის აღწერის“ ისტორიოგრაფიის სამსახურში ჩაყენება იმ
დროს ახალი რამ იყო. მას საფუძველი ფლამანდიელმა მეცნიერმა ორ-
ტელიუსმა ჩაუყარა.³ ვახუშტიმ, რომელსაც კარგად ესმოდა გეოგრაფიუ-
ლი მასალის გამოყენების აუცილებლობა ისტორიული თხზულების წე-
რის დროს, პირველად შემოიტანა „ადგილის აღწერა“ თავის საქართ-
ველოს ისტორიაში.⁴ ეს იყო უდიდესი ნოვატორობა ქართულ საისტო-
რიო მწერლობაში. ამასთან, აღსანიშნავია ის, რომ „ადგილის აღწერა“
უპირატესად არის ისტორიული გეოგრაფია. სწორედ ისტორიული გე-
ოგრაფიის ფუძემდებლად გვევლინება ის პირველ რიგში.⁵ თავისი კუ-
თხობრივი აღწერილობა მას ხეობების მიხედვით აქვს მოცემული და

¹ ქართლის ცხოვრება..., ტ. IV, გვ. 4.

² ამის შესახებ დაწვრ. იხ. ს. ყაუხჩიშვილი. ვახუშტი ბატონიშვილის სა-
ისტორიო ნაშრომი..., გვ. 08-012.

³ დ. მუსხელიშვილი. ვახუშტი ბაგრატიონი..., გვ. 4.

⁴ დ. მუსხელიშვილი. ვახუშტი ბაგრატიონი..., გვ. 4.

⁵ ამასთან დაკავშირებით სავსებით სწორად შენიშნავდა შ. ხანთაძე, „რომ
ვახუშტი ქვეყნის გეოგრაფიულ დახასიათებას მის ისტორიასთან შერწყმუ-
ლად წარმოდგენდა, გეოგრაფიას ისტორიის განუყოფელ ნაწილად მიი-
ნედა“. იხ. შ. ხანთაძე. ქართული ისტორიოგრაფია..., გვ. 65.

ეს საკვებით გამართლებულია, ვინაიდან, როგორც ცნობილია, ძველ საქართველოში სწორედ „ხეობა“ წარმოადგენდა ძირითად ისტორიულ-გეოგრაფიულ და ადმინისტრაციულ ერთეულს.¹ ვახუშტის „აღწერილობიდან“ შედარებით ვრცელი და სრულია ქართლ-კახეთის სამეფოთა „აღწერა“, რაც იმით უნდა აიხსნას, რომ მან ზედმიწევნით კარგად იცოდა სწორედ ეს კუთხეები (რასაკვირველია, უფრო ქართლი). ის საკმაოდ კარგად იყო ინფორმირებული იმერეთზეც. შედარებით მწირია უფლისწული-ისტორიკოსის ცოდნა სამცხე-საათაბაგოზე, აფხაზეთზე, სვანეთზე, სადაც ის, როგორც ჩანს, ნამყოფი არ იყო და ამ მხარეების აღწერისას ძირითადად წერილობით და ზეპირ („სმენილთა კაცთა“) წყაროებს ეყრდნობოდა.²

ვახუშტი ბატონიშვილის თხზულების ძირითადი ნაწილი – „ისტორია“ ანუ „მოქმედების აღწერა“ ორი ნაწილისაგან შედგება. როგორც მიუთითებდა ივანე ჯავახიშვილი: „პირველი ნაწილი „ქართლის ცხოვრების“ დამუშავება და შევსებაა, მეორე ნაწილი კი საქართველოს ისტორიის იმავე ხანას ეხება, რომლის ისტორია მეფე ვახტანგ VI-ის შეყრილმა სწავლულმა კაცებმა შეადგინეს“. მართლაც, „მოქმედების აღწერის“ პირველი ნაწილი ფაქტობრივად „ქართლის ცხოვრების“ ახალი, შემოკლებული რედაქციაა. ვახუშტი ამას იმით ხსნის, რომ „ქართლის ცხოვრება“ „სამოქალაქოს (ე. ი. პოლიტიკურ ისტორიას – **ზ.პ.**) მოგვითხრობს შესწმით და ვრცლად, ამიტომ მას შეუდგენია „მცირე მათიანე“, რათა ის „მკითხველთა არა საწყინოდ და ადრე საცნობელ“ ყოფილიყო.³ მაგრამ ამასთან, ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ვახუშტი ბაგრატიონი სულაც არა არის რიგითი მემათიანე. ის უფრო რედაქტორ-კომენტატორია, რომელიც აკეთებს „ქართლის ცხოვრებაში“⁴ გადმოცემული მთელი რიგი მოვლენების ანალიზს, ასწორებს და აზუსტებს ამა თუ იმ ინფორმაციას.⁵

ყოველივე ეს ვახუშტის თხზულების ამ ნაწილსაც უდავოდ ორი-

¹ **გ. გაბაშვილი.** ვახუშტი ბაგრატიონი, გვ. 106; **დ. მუსხელიშვილი.** ვახუშტი ბაგრატიონი..., გვ. 7.

² **ვ. გაბაშვილი.** ვახუშტი ბაგრატიონი, გვ. 108.

³ **ივ. ჯავახიშვილი.** ძველი ქართული საისტორიო მწერლობა..., გვ. 328.

⁴ ისტორიოგრაფიაში დადგენილია, რომ ვახუშტი ძირითადად XVIIIს. რედაქტირებულ ნუსხებს ემყარებოდა, თუცა, არ გამორიცხავენ იმასაც, რომ მის განკარგულებაში უნდა ყოფილიყო XVIII საუკუნემდელი ნუსხებიც. ამის შესახებ ის. **შ. მესხია,** ვახუშტი და ძველი ქართული საისტორიო მწერლობა. – „ანალები“, I. თბ., 1947, გვ. 13-51.

⁵ **შ. მესხიას** საკვებით საფუძვლიანი მოსაზრებით ვახუშტის უშუალო მონაწილეობა უნდა მიეღო „ქართლის ცხოვრების“ ტექსტის დადგენაში. **შ. მესხია.** ვახუშტი და ძველი ქართული..., გვ. 29.

გინალური გამოკვლევის ელფერს აძლევს.¹ ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით აღსანიშნავია ვახუშტის ქრონოლოგიური გენეალოგიური დაკვირვებები. ის საგანგებოდ გამოყოფს თავისი ისტორიოგრაფიული ძიებების ამ მხარეს: „შრომა ჩვენი ამისათვის არს, ვინაიდან ორნი ნაწილნი იგი (წლისმრიცხველობა და ნათესავთმეტყველება, ანუ ქრონოლოგია და გენეალოგია – **ზ.პ.**) გამოჩენილ არიან, რათა განვაცხადოთ, და რომ „ქართლის ცხოვრებაში“ ქორონიკონნი (ე. ი. თარიღები – **ზ.პ.**) არიან იშვიათ“.² მართლაც, შუა საუკუნეების ქართული მატრიანების ეს ხარვეზი უდავოდ თვალშისაცემია. მართალია, ამ მიმართულებით ერთგვარი წინსვლა შეიმჩნევა ვახტანგ VI-ის „სწავლულ კაცთა“ კომისიის ნამუშევარში, მაგრამ ეს საქმე თვისობრივად ახალ საფეხურზე სწორედ ვახუშტი ბაგრატიონმა აიყვანა. მან საქართველოს ისტორიის ქრონოლოგია ააგო ძველი და შუა საუკუნეების პერიოდის მსოფლიო ისტორიის უნძიშენლოვანეს მოვლენებზე და ცნობილ უცხოელ ხელმწიფეთა ზეობის წლებზე.³

„მოქმედების აღწერის“ მეორე ნაწილი (XIV-XVIII ს. I ნახევარი) კი მთლიანად ორიგინალური ნაწარმოებია. ის აგებულია პირველწყაროებზე. ვახუშტი ბაგრატიონი უხვად იყენებდა სხვადასხვა დოკუმენტურ მასალას – სიგელ-გუჯრებს. როგორც უკვე აღინიშნა, ვახუშტი ბაგრატიონი კარგად იცნობდა იმ დროისათვის ევროპაში შემუშავებულ მეცნიერული დიპლომატიკის მეთოდებს, რის დადასტურებასაც წარმოადგენს მისი „შესავლის“ ის ნაკვეთი, რომელსაც ეწოდება „მეფეთა წერილისათვის“ და რომელიც მიჩნეულია ქართული სიგელთმცოდნეობის ანუ დიპლომატიკის პირველ ზოგად მიმოხილვად.⁴ უფლისწული-ისტორიკოსი იძლევა სიგელ-გუჯრების კლასიფიკაციას. კერძოდ, ის კარგად ასხვავებს ბრძანებას სიგელისა და გუჯრისაგან. ცალკე გამოყოფს ერთიანი და პოლიტიკურად დაშლილი საქართველოს სამდივანმწიგნობროთა დოკუმენტებს. ვახუშტიმ პირველმა მიაქცია ყურადღება ზეპირ წყაროებს და, რაც მთავარია, ნივთიერ წყაროებს: ეკლესიამონასტრების წარწერანი და „ხატნი“, ნაქალაქარებთან, ნასოფლარებთან, ნაციხარებთან დაკავშირებული მასალები და ა. შ.

ვახუშტი ბაგრატიონი თავის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“-ში გვევლინება, როგორც უაღრესად განსწავლული და ერუდირებული ისტორიკოსი. ის კარგად იცნობს როგორც ძველი და შუა საუკუნეების

¹ ვ. გაბაშვილი. ვახუშტი ბაგრატიონი, გვ. 110.

² ქართლის ცხოვრება., ტ. IV, გვ. 4.

³ ვ. გაბაშვილი. ვახუშტი ბაგრატიონი, გვ. 33.

⁴ ვ. გაბაშვილი. ვახუშტი ბაგრატიონი, გვ. 5.

პერიოდის ისტორიოგრაფიულ მემკვიდრეობას, ისე მისი თანამედროვე ევროპული ისტორიული მეცნიერების მიღწევებსაც. XVII-XVIII საუკუნეებში დასავლეთ ევროპასა და რუსეთში წარმოდგენილი იყო ისტორიოგრაფიის სამი სკოლა: „ჰუმანიტური, საისტორიო-საეკლესიო და ერუდიტულ-ისტორიული“.¹ ვახუშტი ბაგრატიონი გაცნობილი იყო სამივე სკოლის ისტორიკოსთა თხზულებებს, მაგრამ ყველაზე ახლოს ის იდგა ერუდიტულ-ისტორიული სკოლის მოღვაწეებთან.² ამ სკოლის უმთავრეს დამახასიათებელ ნიშნად მიჩნეულია ის, რომ მისმა წარმომადგენლებმა უარყვეს ჰუმანიტური ისტორიოგრაფიის მიერ აღდგენილ-დამკვიდრებული რიტორიკული თხრობა და საფუძველი დაუდეს მეცნიერულ ანალისტიკას.³ აღსანიშნავია, რომ ვახუშტი ბაგრატიონი არა მარტო იცნობდა ევროპულ ისტორიკოსთა შემოქმედებას, არამედ თარგმნიდა კიდევ ქართულ ენაზე მათ ცალკეულ ნაწარმოებებს. კერძოდ, 1740წ. მას რუსულიდან უთარგმნია ვილჰელმ სტრატემანის „საპოლიტიკო თეატრი“.

ვახუშტი ბაგრატიონის, როგორც ისტორიკოსის ერთ-ერთი ღირსებაა ის, რომ მისი თხზულების ყველა ნაწილში წინ წამოწეულია ერთიანი, მთლიანი საქართველოს ისტორიის იდეა. ეს იდეა რეალიზებულია თვით დაშლილობის ხანის ცალკეული სამეფო-სამთავროების ისტორიის თუ გეოგრაფიის გადმოცემისას. ამ იდეის წარმოჩენის მიზნითაა, მაგალითად, ჩამოთვლილი ქართველი ტომების და საქართველოს ერთიანი სამეფოს აღმნიშვნელი ქართული და უცხოური სახელები. ამ თვალსაზრისით საინტერესოა, მაგალითად ვახუშტის პირველი ატლასის მინაწერი, რომელშიც კვითხულობთ: „ძველთაგან ტომებით სამეფოსა ამის ქვეყნისა სახელნი არიან ქართლოსიანი: რომელ არს საქართველო: კვალად მიღებული: იბერია ანუ გიორგიანი“.⁴

ვახუშტის ღრმა რწმენით, საქართველოა აგრეთვე ძველი კოლხიდაც: „ამას (ოდიშს) სწერენ ევროპელნი კოლხიდად, სადიდამ იაზონ წარიღო ოქროს რუნი ანუ საწმისი...“.⁵ (სხვათა შორის, ამ ცნობიდან ამკარად ჩანს, რომ ვახუშტი მითს არგონავტების შესახებ რუსული მასალებიდან იცნობდა). ვახუშტი ბაგრატიონი ქართველთა ისტორიული ერთობის დემონსტრირებისას ხაზს უსვამდა სამ გარემოებას („სამნი ხილულნი ესენი“): „პირველი, უკვე თუ ჰკითხო ვისმე ქართველსა, ანუ იბერელსა, მესხსა, ჰერ-კახსა „რა რჯული ხარ“, წამს მოგიგებს „ქართველი“. მეორედ, არს ამათ ყოველთა წიგნი და ენა ერთი-იგივე

¹ ვ. გაბაშვილი. ვახუშტი ბაგრატიონი, გვ. 143.

² ვ. გაბაშვილი. ვახუშტი ბაგრატიონი, გვ. 146.

³ ვ. გაბაშვილი. ვახუშტი ბაგრატიონი, გვ. 146.

⁴ ვახუშტი ბაგრატიონი. საქართველოს ატლასი (XVIII), თბ., 1997, გვ. 1.

⁵ ქართლის ცხოვრება, ტ. IV, გვ. 775-776.

ფარნაოზ პირველსა მეფისაგან ქმნული: – და ჰკითხო წინათქმულთა მათ კაცთა: „რა ენა და წიგნი უწყი“, მოვიგებს მცის: – „ქართული“. რამეთუ არა იტყვის არცა რჯულსა, ენასა და წიგნსა იმერეთსა, ანუ მესხთა და ჰერ-კახთასა, არამედ ქართულსა. მესამედ: არსადმე ვიხილავთ დიდთა შენებულთა და ეკლესია-მონასტერთა ანუ ხატთა და ჯუართა ძვირფასთა, რომელთა ზედა იყოს სხუათა მეფეთა სახელნი თვინიერ – „ჩვენ მეფემან საქართველოსამან ანუ ქართლისა და აფხაზეთისამან – რომელთა ზედა წერილ არიან ქუათა, ხატთა და ჯუართა ზედა“.¹ ე. ი. ვახუშტი ბატონიშვილს საერთო-ეროვნული ერთობის მაჩვენებლად საკსებით სამართლიანად მიაჩნდა საერთო სარწმუნოება (ქართული მართმადიდებლობა), ქართული ენა და ქართული წიგნიერება.

არანაკლებ საინტერესოა ქართული ზნე-ჩვეულებების ვახუშტისეული დახასიათება. უფლისწული-ისტორიკოსი თვლის, რომ ქართველებს ახასიათებთ „პირმტკიცობა, მტერთა ზედა ერთობა, თავისუფლებისათვის მხნედ ბრძოლა, მაგრად დგომა მისთვის... ოდესმე განდგიან თვის-თვისად, გარნა მარადის გარე მტერთა ზედა ერთობდნენ“.² თუ ჩვენი ქვეყნის ისტორიულ წარსულს და აგრეთვე სულ უახლესი ისტორიის პერიპეტიებს გავიზიარებთ, სამწუხაროდ, გამძვინვარება გაიზიარო ვახუშტი ბატონიშვილის ეს ოპტიმისტური განცხადება და უფრო გინდა დაეთანხმო მის კიდევ ერთ გამონათქვამს: „გარნა შურითა ურთიერთთა და გარეშეთა მტერთაგან იქმნა განყოფილობა“.³ როგორ ეხმიანება ისტორიკოსის ეს აზრი ამ უკანასკნელ ხანს ჩვენს თავს დატრიალებულ ტრაგედიას.

ვახუშტი ბაგრატიონი არის პატრიოტი ისტორიკოსი. მაგრამ მისი პატრიოტიზმი სულაც არ არის ყალბი და ემოციებს აყოლილი. მას კარგად აქვს გათავისებული ისტორიის, როგორც პატრიოტული დისციპლინის დანიშნულება: „მატიანე განამხნობს კაცსა და ერთგულ ჰყოფს ქვეყანისად; მატიანე აცნობებს ნათესავთ-ჩამომავლობასა, და დასდებს თავსა სარწმუნოებისათვის და მოყუარულ ჰყოფს მოყვასსა მოყუასისა მიმართ“.⁴ მაგრამ ვახუშტი ბატონიშვილს მხედველობაში აქვს მართალი ისტორია, რომელიც „განარჩევს კეთილსა და ბოროტსა“ და რომელიც „აღამაღლებს კეთილის ქმნულებასა და გმობს უკეთურთ ქმნულებასა“, ისტორია, რომელიც „მეტყველებს ჭეშმარიტსა და არა სცბის“.⁵

ვახუშტი ბაგრატიონის თხზულების ღირსებებზე მსჯელობისას,

¹ *ქართლის ცხოვრება*, ტ. IV, გვ. 291-292.

² *ქართლის ცხოვრება*, ტ. IV, გვ. 291-292.

³ *ქართლის ცხოვრება*, ტ. IV, გვ. 292.

⁴ *ქართლის ცხოვრება*, ტ. IV, გვ. 4.

⁵ *ქართლის ცხოვრება*, ტ. IV, გვ. 806.

საჭიროდ მიგვაჩნია, ორიოდ სიტყვით შევჩერდეთ ვახუშტის მასალებზე, რომლებიც ეხება აწინდელი აფხაზეთის ისტორიულ წარსულს. მიუხედავად იმისა, რომ ვახუშტი ბატონიშვილის ცოდნა აფხაზეთზე შედარებით ნამდვილად შეზღუდულია, ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე შეიძლება ვამტკიცოთ, რომ მისი მონაცემები საქართველოს ამ კუთხეზე ფრიად სარწმუნოა და დიდი წყაროთმცოდნეობითი მნიშვნელობისაა. ამის მაგალითად გამოდგება თუნდაც მის მიერ მოტანილი ერთი ცნობა, რომელშიც ნათლად ჩანს უფლისწული-ისტორიკოსის მყარი, არა ზერელე წარმოდგენა აფხაზეთის ისტორიულ განვითარებაზე XIII-XVII საუკუნეებში.

მხედველობაში გვაქვს ინფორმაცია იმის შესახებ, თუ როგორ გამოაცხადა ბაგრატ ერისთავმა თავი იმერეთის მეფედ (XV ს. 60-იანი წლები) და მისთვის აღმოჩენილი მხარდაჭერისათვის საფასურად როგორ მიიღეს: „დადიანმან ოდიში, გურიელმან გურია, შარვაშიძემ აფხაზნი და ჯიქნი და გელოვანმან სუანეთი, და ბაგრატ მეფობდა მათ ზედა ესრეთ“.¹ ჩვენ შემთხვევითად არ გვეჩვენება ის გარემოება, რომ ვახუშტი ბატონიშვილის თხზულებიდან მოყვანილი ამ ცნობის თანახმად, შარვაშიძემ განსხვავებით დასავლეთ საქართველოს სხვა მთავრებისაგან – დადიანი, გურიელი, გელოვანი, რომლებმაც განიმტკიცეს შესაბამისი რეგიონები: ოდიში, გურია, სვანეთი, – მიიღო არა აფხაზეთი, ასევე კონკრეტული რეგიონი, არამედ მხოლოდ ხელმძღვანელობა აფხაზეთსა და ჯიქებზე. ეს კიდევ ერთი დამადასტურებელი საბუთია იმისა, რომ თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორია მაშინ სულაც არ იყო ადმინისტრაციულად ერთიანი და რომ შარვაშიძეები იმ დროს, უკეთეს შემთხვევაში, რჩებოდნენ მხოლოდ აფხაზეთის საერისთავოს მფლობელებად. ასე თუ ისე, ერთი რამ ნათელია: ვახუშტის, რომელიც მოღვაწეობდა XVIII საუკუნეში, როდესაც შარვაშიძეები ერთმნიშვნელოვნად ითვლებოდნენ აფხაზეთის მმართველებად (სხვათა შორის, მის დღევანდელ საზღვრებში), ჰქონდა სერიოზული მიზეზები, რომ არ გადაეტანა თავისი დროის კონიუნქტურა XV საუკუნეში და შარვაშიძეთა გვარის მაშინდელი წარმომადგენლები არ მიეჩნია დღევანდელი აფხაზეთის მფლობელებად.²

ამრიგად, ვახუშტი ბაგრატიონის თხზულება სრულიად ახალი სიტყვაა მრავალსაუკუნოვან ქართულ საისტორიო მწერლობაში. ესაა

¹ *ქართლის ცხოვრება*, ტ. IV, გვ. 806

² ამის შესახებ იხ. აგრეთვე: **ზ. პაპასქირი**. აწინდელი აფხაზეთის ისტორიული წარსულიდან. *XI-XV სს.* – წგნ.: **ზ. პაპასქირი**. აფხაზეთი საქართველო. თბ., 1998, გვ. 159.

პირველი ცდა ჩვენი ქვეყნის ისტორიული განვითარების ზოგადი სურათის წარმოდგენისა. მაგრამ ეს არაა ისტორიის უბრალო რიტორიკული თხრობა. ივანე ჯავახიშვილის სწორი შენიშვნით, ვახუშტი ბატონიშვილის ნაშრომი „არის ქართველთა მრავალსაუკუნოვანი წარსულის საზოგადო ფილოსოფიურ-ისტორიული მიმოხილვა, რომლის მსგავსიც ქართულ მწერლობაში არც წინათ დაწერილა და არც შემდეგში. მართო ეს გარემოება უკვე, სხვაც არ იყოს რა, ქართველ სახელოვან მეცნიერ-ბატონიშვილის სიდიადესა და სწორუბოვრობას ამტკიცებს“.¹ სწორედ ამ და სხვა გარემოებათა გამო განაგრძობს დიდი ივანე ჯავახიშვილი: ვახუშტი ბაგრატიონი „XVIII საუკუნის ქართულ მწერლობაში ნამდვილ უებრო ბუმბერაზად წარმოგვიდგება“.²

ძნელია, მცირე მოცულობის წერილში ვახუშტი ბაგრატიონის ისტორიოგრაფიული მემკვიდრეობის სრული და ყოვლისმომცველი წარმოჩენა. მოცემულ მასალას არც შეიძლება ჰქონდეს ამის პრეტენზია. ჩვენ მხოლოდ შევეცადეთ, ძალზე სქემატურად გვეჩვენებინა დიდი ისტორიკოსის მეცნიერული მოღვაწეობის ცალკეული ასპექტები. მაგრამ, ვფიქრობთ, აქ წარმოდგენილი მასალაც სრულად საკმარისია იმისათვის, რომ ვაღიაროთ სახელოვანი წინაპრის სიდიადე და დაბადებიდან 300 წლის თავზე ღირსეული პატივი მივაგოთ ქართული ისტორიოგრაფიის ჭეშმარიტი გიგანტის – ვახუშტი ბაგრატიონის ხსოვნას.

¹ ივ. ჯავახიშვილი. ძველი ქართული..., გვ. 338.

² ივ. ჯავახიშვილი. ძველი ქართული..., გვ. 347.

საქართველოს ისტორიის ზოგიერთი საკითხის კონსტანტინე გამსახურდიას ურდის ურდის გააზრება*

ქართული მხატვრული სიტყვის დიდოსტატის, ეროვნული ლიტერატურის ნამდვილი გიგანტის, დიდი მწერლისა და მამულიშვილის კონსტანტინე გამსახურდიას შემოქმედება სისხლ-ხორცეულადაა დაკავშირებული ჩვენი მრავალტანჯული სამშობლოს ისტორიულ წარსულთან. მისი სწორუპოვარი მხატვრული ქმნილებები (სხვათა შორის, არა მხოლოდ ისტორიული რომანები) შეიძლება ითქვას, დახუნძლულია ისტორიული მასალებით, რომლებშიც უდიდესი პატივისცემითა და სიყვარულით არის გაცოცხლებული ქართველი ხალხის მიერ განვლილი გზა დასაბამიდან თითქმის XXს. პირველი ნახევრის ჩათვლით. ამ თვალსაზრისით, რად ღირს თუნდაც მისი „*მოვარის მოტაცება*“, რომელიც თამამად შეიძლება მივიჩნიოთ ერთგვარ საისტორიო ენციკლოპედიად და რომელშიც აისახა როგორც მთლიანად საქართველოს, ისე მისი ცალკეული კუთხეების (ოდიშ-აფხაზეთის, სვანეთის და ა.შ.) ისტორიული წარსული.

ბუნებრივია, ძნელია მცირე მოცულობის წერილში, თუნდაც სქემატურად, წარმოვიჩინოთ კონსტანტინე გამსახურდიას ისტორიული თვალსაწიერი მთლიანად. ჩვენ არც შეიძლება გვქონდეს ამის გაკეთების პრეტენზია. ამჯერად, შემოვიფარგლებით ერთი კონკრეტული საკითხით – თუ როგორ ჰქონდა მწერალს გააზრებული XIს. I მესამედის საქართველოს ისტორიის უმნიშვნელოვანესი მოვლენები¹ და როგორ ესადა-

* დაიბეჭდა ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის საქართველოს საისტორიო საზოგადოების აფხაზეთის ორგანიზაციის პერიოდულ სამეცნიერო გამოცემაში: „*საისტორიო ძიებანი*“, ტ. I. თბ., 1998, გვ. 295-304. ელექტრ. ვერსია იხ. <http://saistoriodziebani.googlepages.com/dziebani2003>

¹ წარმოდგენილი ნაშრომის მონახაზი შეიქმნა ჯერ კიდევ 1991-1992 წლებში, მაგრამ დასრულებული სახე მიიღო მხოლოდ 1999 წლის გაზაფხულზე, როდესაც წაკითხულ იქნა მოხსენების სახით საქართველოს პირველი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას დაბადებიდან 60 წლისთავისადმი მიძღვნილ სამეცნიერო სესიაზე, რომელიც გაიმართა ივანე ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოხუმის ფილიალში. მოგვიანებით, იმავე 1999 წელს კონსტანტინე გამსახურდიას შემოქმედების ამ მხარეზე საინტერესო ნარკვევი გამოაქვეყნა აკად. რ. მეტრეველმა (იხ.: რ. მეტრეველი. „დიდოსტატის“ ისტორიული ფონი. – წგნ.: რ. მეტრეველი. ისტორიზმი ქართველი მწერლების შემოქმედებაში. თბ., 1999, გვ. 61-70). მიუხედავად იმისა, რომ რ. მეტრეველის ნარკვევში მოცემულია უაღრესად საყურადღებო დაკვირვებები განსახილველი პრობლემის ირგვლივ, ჩვენ, ამჯერად მაინც შევიკავით თავი ამ მასალით ჩვენი ნაშრომის შევსებისაგან

გება მათი კ. გამსახურდიასეული ახსნა თანამედროვე ქართული ისტორიოგრაფიაში შემუშავებულ მეცნიერულ ხედვას.

როგორც დასმული პრობლემიდან ჩანს, მსჯელობა გვექნება კონსტანტინე გამსახურდიას ლიტერატურულ შედეგზე: „დიდოსტატის მარჯვენა“. რასაკვირველია, აქ არ შევუდგებით ამ ნაწარმოების მხატვრულ ღირსებებზე საუბარს, აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ „დიდოსტატის მარჯვენა“ ქართული პროზის სრულიად უნიკალური ძეგლი, მისი ნამდვილი მშვენიერებაა.

„დიდოსტატის მარჯვენაში“, როგორც ცნობილია, აისახა ჩვენი ქვეყნის ისტორიის ურთულესი პერიოდი XII. I მესამედი, როდესაც ახლადფეხადგმულ ერთიან ქართულ სახელმწიფოს უხდებოდა ბიზანტიის უძლეველი და უბოროტესი იმპერიის აგრესიის მოგერიება კონსტანტინოპოლისაგან სრული სუვერენიტეტის მოპოვებისათვის ბრძოლა. სწორედ ეს ამოცანა იდგა „დიდოსტატის მარჯვენის“ მთავარი პერსონაჟის გაერთიანებული საქართველოს მეორე მეფის გიორგი I-ის (1014-1027წწ.) წინაშე.

საგანგებოდ უნდა აღვნიშნოს, რომ კონსტანტინე გამსახურდიამ, შეიძლება ითქვას, უფრო ადრე, ვიდრე ამას გააკეთებდა ისტორიოგრაფია, სავსებით მართებულად მიუთითა იმ განსაკუთრებულ მისიაზე, რომელიც იტვირთა გიორგი I-მა. „ბალობიდანვე მიყვარდა და მოცუბდა აფხაზთა მეფე გიორგი პირველი,“ – აღვნიშნავს მწერალი თავის წინასიტყვაობაში, – „სიჭაბუკეში მომემატა პატივისცემა მისდამი, როცა გავიგე, თუ რამოდენა ვეშაპს შებშია ეს შესანიშნავი რაინდი. მიყვარდა ის ორ კურაპალატს (იგულისხმება გიორგი I-ის მამა – საქართველოს გამაერთიანებელი მეფე ბაგრატ III კურაპალატი /978-1014წწ./ და მისი მემკვიდრე – ბაგრატ IV /1027-1072წწ./ – ზ.პ.) შორის გამოსრესილი მეფე“.¹

კ. გამსახურდია პროტესტს გამოთქვამს იმ უსამართლობის გამო, რომელსაც ადგილი აქვს „ქართლის ცხოვრებაში“ და რაც იმაში გამოინატა, რომ ასეთ ძლიერ მოღვაწეს, მწერლის სიტყვებით: „კოლოსალური ძალის მატარებელს“, რომელიც მედგრად შეეჭიდა მსოფლიო იმპერიის მბრძანებელს და „ერთხელ მაინც დაამარცხა კვისარი ბიზანტიისა... ამ უბადლო ვაჟკაცს... უშიშოს, ვითარცა უხორცოს“, შუა სა-

და მიზანშეწონილად ჩავთვალეთ ზემოაღნიშნულ სამეცნიერო სესიაზე წაკითხული მოხსენების უცვლელი სახით დაბეჭდვა, მითუმეტეს, რომ ახლო მომავალში ვაპირებთ კონსტანტინე გამსახურდიას შემოქმედების საფუძვლიან შესწავლას სწორედ ამ კუთხით.

¹ კ. გამსახურდია. რჩეული თხზულებანი. ტ. II. თბ., 1959, გვ. 813, ხაზგასმა ჩვენია – ზ.პ.

უკუნეების საქართველოს უმთავრეს საისტორიო წიგნში მხოლოდ ორი-ოდე გვერდი აქვს დათმობილი.¹

მართლაც, ძნელია არ დაეთანხმო მწერლის ამ უდავოდ სამართლიან შენიშვნას. გიორგი I, მიუხედავად თავისი ახალგაზრდობისა, ურთულეს პოლიტიკურ პროცესებს მართავდა და არა მხოლოდ საქართველოს მასშტაბით, მაგრამ ქართველმა მემკვიდრეებმა რატომღაც ყოველივე ეს ვერ „შეამჩნია“. მაგალითისათვის კმარა თუნდაც საქართველოს მეფის აქტიური ჩარევა მეზობელი სომხეთის – ანისის სამეფოს საშინაო საქმეებში, რომელიც ფაქტობრივად დოკუმენტურად ასახა არა სხვა ვინმემ, არამედ თვით თითქმის ამ მოვლენების თანამედროვემ, ცნობილმა სომეხმა ისტორიკოსმა არისტაკეს ლასტივერტციმ.

სომეხი ისტორიკოსის გადმოცემით, მეფე გაგიკის გარდაცვალების (1017წ.) შემდეგ ანისის სამეფოში შინაომი ატეხილა, რომლის დროსაც ერთმანეთს დაპირისპირებიან მეფე გაგიკის შვილები: „სუმბატი, რომელიც იოანედ იწოდებოდა და აშოტი (სუმბატის) მკვიდრი ძმა. ...ისინი ერთმანეთს შეეტაკნენ ქვეყნის დანაწილებისათვის, საჭირო შეიქნა სასამართლო, მათთან მოვიდა აფხაზთა მეფე გიორგი და მშვიდობიანად შეარიგა ისინი. ორი სახელის მქონე სუმბატს (ასაკით) უფროსობის გამო (გიორგიმ) მისცა წილი: ანისის ციხე, მის გარშემო მდებარე გავარებითურთ, ხოლო აშოტს – ქვეყნის შიდა მხარე, რომელიც სპარსეთსა და საქართველოს უყურებდა“.² კიდევ უფრო მრავლისმთქმელი მომდევნო ფრაგმენტი სომეხი ისტორიკოსის თხზულებიდან: „აშოტის მხრიდან ერთი მთავარი საჩივრით მოვიდა გიორგისთან და უთხრა, რომ შატაკი ჩემი სამკვიდრო ადგილია, რომელიც ჩემგან უსამართლოდ წაიღო სუმბატმაო. ეს რომ გიორგიმ მოისმინა, დიდი რისხვითა და სიბრაზით აღენტო და ჯარი დაადევნა (სუმბატს) კვალდაკვალ... (გიორგის ჯარებმა) გზაზე (ქალაქ) ანისის კარამდე გვამების ხროვა დააყენეს... შეაყრობილი სუმბატი მათ გიორგისთან მოიყვანეს, რომელმაც ბრძანა მისი ჩამწყვდევა. შემდეგ წაართვა სამი ციხე-სიმაგრე და გაათავისუფლა (სუმბატი)“.³

როგორც ვხედავთ, გიორგი I-ის პოლიტიკური ავტორიტეტი საკმაოდ მაღალია საერთაშორისო მასშტაბით. ის, არც მეტი არც ნაკლები, გამოდის არბიტრის როლში სომხეთის საშინაო კონფლიქტში. უფრო მეტიც, მას უნარი შესწევს ისეთი წესრიგი დაამყაროს ანისის სა-

¹ კ. გამსახურდია. რჩეული თხზულებანი, ტ. II, გვ. 813.

² არისტაკეს ლასტივერტცი. ისტორია. ქართული თარგმანი გამოკვლევით, კომენტარებითა და საძიებლებით გამოსცა *ქ. ცაგარეიშვილმა*. თბ., 1974, გვ. 44, ხაზგასმა ჩვენია – **ზ.პ.**

³ არისტაკეს ლასტივერტცი. ისტორია, გვ. 44. ხაზგასმა ჩვენია – **ზ.პ.**

მეფოში, როგორც სურს: ურჩნი დასაჯოს, მეფე შეიპყროს და ჩაამწყვდილოს და ა.შ. ყოველივე ეს კი აშკარად მეტყველებს იმაზე, რომ საქართველოს მეფე მთლიანად აკონტროლებს პოლიტიკურ სიტუაციას მეზობელ სახელმწიფოში და რომ ანისის მეფე სუბპატი ფაქტობრივად მისი ვასალია.

ქართველი მემკვიდრისათვის ასევე უცნობია გიორგი I-ის სხვა გახმაურებული საგარეო-პოლიტიკური აქციები, მათ შორის მისი კონტაქტები ეგვიპტის ფატიმიან ხალიფა ალ-ჰაქიმთან. თანამედროვე ქართულ ისტორიოგრაფიაში ამ და სხვა მასალებზე დაყრდნობით შემუშავებულია მყარი თვალსაზრისი იმის შესახებ, რომ სწორედ გიორგი I იყო პირველი მონარქი, რომელიც შეეცადა საქართველოს სახელმწიფოს ფართო საერთაშორისო არენაზე გაყვანას.¹

უაღრესად მახვილგონივრულია კ. გამსახურდიას გამოთქმა „**ორ კურაპალატს შორის გამოსრესილი მეფე**“. მასში ზუსტად არის მინიშნებული გიორგი I-ის პოლიტიკური კურსის პრინციპული განსხვავება მისი წინამორბედი (ბაგრატ III) და მომდევნო (ბაგრატ IV – განსაკუთრებით მმართველობის ბოლო პერიოდში) მეფე-კურაპალატთა პოლიტიკისაგან. დღევანდელი გადასახედიდან, სრულიად აშკარაა და ისტორიოგრაფიაშიც საკმაოდ მკაფიოდაა ნაჩვენები გიორგი I-ის შეურიგებელი ანტიბიზანტიური კურსი, რითაც ის უდავოდ განსხვავდებოდა მამამისისაგან – ბაგრატ III-საგან, რომელიც თავს არიდებდა ღია კონფრონტაციას ბიზანტიის მრისხანე იმპერატორთან ბასილი II-სთან და ოფიციალურად აღიარებდა კონსტანტინოპოლის უზენაესობას².

როგორც ცნობილია, ამის გარეგნულ გამოხატულებას წარმოადგენდა ბაგრატ III-სათვის კურაპალატის ბიზანტიური საკარისკაცო ტიტულის მინიჭება 1001 წელს. თუმცა, აქვე არ შეიძლება არ აღინიშნოს ისიც, რომ ბაგრატ III-ის მხრიდან კურაპალატის ტიტულის მიღება დიპლომატიური მოსაზრებებით იყო ნაკარნახევი. ამით, ჯერ მხოლოდ „აფხაზთა“ მეფე³ ბაგრატ III ცდილობდა (და მიაღწია კიდეც)

¹ **ო. ცქიტიშვილი**. მასალები საქართველოს საგარეო პოლიტიკის ისტორიისათვის გიორგი I-ის პერიოდში, – „*მაცნე*“, №4. თბ., 1968, გვ. 125; **ზ. პაპასქირი**. ერთიანი ქართული ფეოდალური სახელმწიფოს წარმოქმნა და საქართველოს საგარეო პოლიტიკური მდგომარეობის ზოგიერთი საკითხი. თბ., 1990, გვ. 114.

² საქართველო-ბიზანტიის ურთიერთობების ხასიათის შესახებ ბაგრატ III-ის მეფობის პერიოდში იხ.: **ზ. პაპასქირი**. ერთიანი ქართული... გვ. 58-60.

³ არაა გამორიცხული ამ დროისათვის (პაპის – „ქართუელთა“ მეფის ბაგრატ II „რეგუენის“ გარდაცვალების – 994წ. – შემდეგ) ბაგრატ III (ფორმალურად) უკვე „ქართუელთა“ მეფის ტიტულსაც ატარებდა (იხ.: **ზ. პაპასქირი**. ერთიანი ქართული... გვ. 75-82).

ბასილი კეისრის ნეიტრალიზებას, რათა ეს უკანასკნელი არ ჩარეულიყო აქტიურად საქართველოს საშინაო საქმეებში და ხელი არ შეეშალა ქუთაისის ტახტის ირგვლივ ქვეყნის გაერთიანებისათვის. რაც შეეხება ბაგრატ IV-ს, ის (ჯერ კიდევ მცირეწლოვანი) ტახტზე ასვლის პირველ წლებში, მართალია, მოექცა დედამისის, მარიამ დედოფლის და მისი თანამოაზრეების – პრობიზანტიური დასის – გავლენის ქვეშ და ამ გუნდის დიპლომატიური აქტიურობის წყალობით კურაპალატის ტიტულიც მიიღო, მაგრამ, მოგვიანებით, როდესაც დამოუკიდებლად დაიწყო ქვეყნის მართვა, ბაგრატ მეფემ ძირეულად გადასინჯა ურთიერთობა ბიზანტიასთან და ენერგიულად შეუდგა მამისეული ანტიბიზანტიური კურსის გატარებას, რაც, საბოლოო ჯამში, შეიძლება ითქვას, მარცხით დამთავრდა. XIს. 50-იანი წლების შუა ხანებში ბაგრატ IV იძულებული შეიქნა, უარი ეთქვა ბიზანტიასთან კონფრონტაციაზე და ეცნო იმპერატორის უზენაესობა.¹

სავსებით დამაჯერებელია ისტორიოგრაფიული თვალსაზრისით კ. გამსახურდიას მიერ დახატული საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის მელქისედეკ I-ის პოლიტიკური პორტრეტი. მელქისედეკი ნაწარმოებში არაერთხელაა გამოყვანილი, როგორც გიორგი I-ის ანტიბიზანტიური კურსის მოწინააღმდეგე. „არც... ბიზანტიასთან სამტრო პოლიტიკას იზიარებდა“-ო მელქისედეკ კათალიკოსი, – წერს მწერალი.² მას არ მოსწონდა, რომ „ბაგრატის ძემ – გიორგიმ კურაპალატისა და ნოველისიმოსის ხარისხებს ბიზანტიის წინააღმდეგ ბრძოლა... არჩია“.³ ბიზანტიასთან ერთმორწმუნეობას ამოფარებული მელქისედეკ კათალიკოსი აშკარად ბიზანტიის იმპერიის კონტრაგენტის როლში გამოდის. ის წუხს, რომ გიორგი არ ჰგავს მამამისს ბაგრატ კურაპალატს და მასსავით არ ექცევა „გულმოდგინედ ... სარწმუნოებისა და ზნეობის საქმეებს“.⁴

სწორედ ეს იწვევს გიორგი მეფის კურსის მომხრეთა პროტესტს. სასახლეში შეურიგებელი აზრთა სხვადასხვაობის ატმოსფერო სუფევდა. „დედოფალი და კათალიკოსი ისე გაიტაცა ბრმადმორწმუნეობამ, რომ ისინი საქართველოს მტერს როდი ხედავენ კეისარში, არამედ ქრისტიან-

¹ ამის შესახებ დაწვრილ. იხ.: ვ. კობალიანი. საქართველოსა და ბიზანტიის ურთიერთობა 970-1070 წლებში. თბ., 1969, გვ. 72-89, 129-279; მ. ლორთქიფანიძე. საქართველოს შინა-პოლიტიკური და საგარეო ვითარება XIს. 80-იანი წლებიდან XIს. 80-იან წლებამდე. – საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. III. თბ., 1979, გვ. 170-191; ზ. პაპასჭირი. ერთიანი ქართული ფეოდალური სახელმწიფოს წარმოქმნა..., გვ. 150-210.

² კ. გამსახურდია. რჩეული..., გვ. 540.

³ კ. გამსახურდია. რჩეული..., გვ. 593.

⁴ კ. გამსახურდია. რჩეული..., გვ. 486.

ნული სამყაროს უზენაეს არსებას, რომელიც ვითარცა რომის იმპერატორი... მხოლოდ ღმერთს უთმობდა პირველობას ამ ქვეყნად“, – ასე გადმოსცემს მწერალი ზვიად სპასალარის – გიორგი I-ის უერთგულესი მოხელის ფიქრებს.¹ სრულიად აშკარაა, რომ ზვიად სპასალარის ეს შეფასებები უდავოდ ავტორისეულია.

თანამედროვე ქართული ისტორიოგრაფია მთლიანად იზიარებს იმდროინდელი საქართველოს შინაპოლიტიკური ვითარების კ. გამსახურდიასეულ ანალიზს. თავის დროზე, დაახლოებით იგივე დასკვნას აკეთებდა აკად. ნ. ბერძენიშვილი, რომელიც ასევე თვლიდა, რომ ქართული ეკლესიის მესვეურები საქართველო-ბიზანტიის კონფლიქტის დროს (XI ს. 20-იან წლებში) აშკარად პრობიზანტიურ ორიენტაციას ადგენენ.² მართალია, გამოჩენილი მეცნიერის ეს მოსაზრება რამდენადმე საეჭვოდ მიიჩნია ვ. კოპალიანი,³ მაგრამ ზოგიერთი დოკუმენტური წყაროს (კათალიკოს მელქისედეკის „დაწერილი“) მონაცემები აშკარად მოწმობენ აკად. ნ. ბერძენიშვილის დასკვნის სისწორეს,⁴ რაც რამდენადმე ღვაწლად საბუთო კიდეც 1990წ. გამოცემულ მონოგრაფიაში.⁵

„დიდოსტატის მარჯვენაში“ ასევე სწორად არის ნაჩვენები დედოფალ მარიამის პოლიტიკური სახეც, კერძოდ, მისი და მელქისედეკ კათალიკოსის მოკავშირეობა. სათანადო წერილობითი წყაროები (მაგალითად, XI ს. არაბი ავტორის იაჰია ანტიოქიელის თხზულება,⁶ რომ-

¹ კ. გამსახურდია. რჩეული..., გვ. 584-585.

² ნ. ბერძენიშვილი. ქართული მიწების პოლიტიკური გაერთიანება, – წგნ.: ნ. ბერძენიშვილი. ისტორიის ისტორიის საკითხები, ტ. VI. თბ., 1973, გვ. 22.

³ ვ. კოპალიანი. საქართველოსა და ბიზანტიის..., გვ. 148-158.

⁴ არაა გამორიცხული, რომ ნ. ბერძენიშვილის დასკვნა ემყარებოდა კიდეც (თუმცა კონკრეტული მსჯელობა ამ კუთხით მკვლევარს არა აქვს) მის მიერვე საგანგებოდ შესწავლილ და გამოცემულ კათალიკოს მელქისედეკის „დაწერილს“ (იხ.: ნ. ბერძენიშვილი. მცხეთის საბუთი XI საუკუნისა. – წგნ.: ნ. ბერძენიშვილი. საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ. IV. თბ., 1967, გვ. 217-286), რომელშიც ერთნიშნადაა დაფიქსირებული საქართველოს ეკლესიის საჭეთმპყრობლის საკმაოდ თბილი ურთიერთობები ბიზანტიის იმ კენისრებთან (ბასილი II, კოსტანტინე VIII, რომანოზ არგვიროსი), რომლებიც ღიად გამოდიოდნენ საქართველოს სახელმწიფოს წინააღმდეგ.

⁵ ზ. პაპასქირი. ერთიანი ქართული..., გვ. 134-135.

⁶ იაჰია ანტიოქიელის ცნობები ქართულად გამოქვეყნებული აქვთ ო. ცქიტიშვილსა და ბ. სილაგაძეს (იხ.: ო. ცქიტიშვილი. მასალები საქართველოს საგარეო პოლიტიკის ისტორიისათვის..., გვ. 115-133; ბ. სილაგაძე. იაჰია ანტიოქიელის ცნობები საქართველო-ბიზანტიის ურთიერთობის შესახებ X ს. ის ბოლო მეოთხედსა და XI ს.-ის I მეოთხედში. – კრ.: ქართული წყაროთმცოდნეობა, VI. თბ., 1986, გვ. 108-126. იაჰია ანტიოქიელის ცნობები უფრო სრულად მოცემულია გ. ბუაჩიძის პუბლიკაციაში. იხ.: გ. ბუაჩიძე. ერთი ეპიზოდი საქართველოსა და ბიზანტიის ურთიერთობიდან იაჰია ანტიოქიელის

ლის ვ. როზენისეულ გამოცემასაც¹ კარგად იცნობდა კ. გამსახურდია) აშკარად ადასტურებენ კათალიკოს მელქისედეკის აქტიურ მონაწილეობას მარიამ დედოფლის „სამშვიდობო ინიციატივაში“, რომელიც, ფაქტობრივად, გარდაცვლილი გიორგი I-ის ანტიბიზანტიური კურსის სრულ რევიზიას წარმოადგენდა და მიმართული იყო ბიზანტიის იმპერიასთან „ერთობის“ დამყარებისაკენ. ნაწარმოებში კარგად არის ნაჩვენები დედოფალ მარიამისა და მელქისედეკ კათალიკოსის ეს ალიანსი. „მარიამ დედოფლისა და მელქისედეკ კათალიკოსის მომხრენი“² აქტიურად მოქმედებენ ფარსმან სპარსის წინააღმდეგ. გიორგი I-ის კრიტიკის ფონზე, კათალიკოსი მის თანამცხედრეს დემონსტრაციულად „წმინდანთა სწორ დედოფალ მარიამად“ მოიხსენიებს.³

მარიამ დედოფლის პიროვნებასა და გიორგი მეფესთან მისი ურთიერთობის საკითხზე მსჯელობისას, არ შეიძლება გვერდი ავუაროთ შორენას სახეს. ისმის კითხვა, რატომ შემოიტანა ავტორმა რომანში გიორგი I-ის სასიყვარულო ისტორია. არის ეს მთლიანად მწერლის ფანტაზია (მაგალითად, ისეთივე, როგორიცაა დავით აღმაშენებლისა და დედისიმედის სასიყვარულო ამბავი), თუ მას რაიმე ისტორიული საფუძველი გააჩნია. ყოველგვარი დაეჭვების გარეშე შეიძლება ვამტკიცოთ, რომ კ. გამსახურდიას ეს თემა შემთხვევით არ წამოუწვია. შორენას რეალური ისტორიული პროტოტიპი ჰყავს. ესაა გიორგი I-ის ე.წ. „მეორე ცოლი“, „ოვსთა მეფის ასული“, რომელსაც პირდაპირ ასახელებს XII ს. „მატიანე ქართლისად“ წოდებული ქართული ქრონიკა⁴ და რომლის სახელი – ალდა – დაფიქსირებულია იმავე საუკუნის ბიზანტიურ წყაროში⁵.

თანამედროვე ქართულ ისტორიოგრაფიაში უკვე ახსნილია გიორგი I-ის ოვსთა მეფის ასულზე შესაძლო დაქორწინების ეს, ერთი შეხედვით, მეტად უცნაური ფაქტი და მიჩნეულია, რომ ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს რეალურ ისტორიულ მოვლენასთან. კერძოდ, როგორც ჩანს, პოლიტიკური მოსაზრებით გიორგი I-მა გადაწყვიტა მისი კურსის

„ისტორიაში“ – *ქართული დიპლომატია*. წელიწდეული, ტ. 3. თბ., 1996, გვ. 96-116.

¹ **В. Розен**. Император Василий Болгаробойца. Извлечения Яхьи Антиохийского. Издал, перевел и объяснил барон **В. Розен**. СПб, 1883.

² **კ. გამსახურდია**. რჩეული..., გვ. 583.

³ **კ. გამსახურდია**. რჩეული..., გვ. 768.

⁴ *მატიანე ქართლისა*. – *ქართლის ცხოვრება*. ტ. I. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით **ს. ყაუხჩიშვილის** მიერ. თბ., 1955, გვ. 295.

⁵ **გიორგი კედრენე**. ქრონოგრაფია. – წგნ.: *გეორგიკა*. ბიზანტიელ მწერალთა ცნობები საქართველოს შესახებ. ტ. V. ბერძნული ტექსტები ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო **ს. ყაუხჩიშვილმა**. თბ., 1963, გვ. 5.

მოწინააღმდეგე დედოფალ მარიამის გზიდან ჩამოცილება და ოვსეთის სამეფოსთან დინასტიურ-ნათესაური ურთიერთობის დამყარებით მძლავრი მოკავშირის შექმნა ბიზანტიის იმპერიის წინააღმდეგ. მაგრამ გიორგი I-ის ეს მცდელობა, სავარაუდოა, მარცხით დამთავრდა. მან ვერ შეძლო ის, რაც მოგვიანებით მოახერხა მისმა დიდმა შთამომავალმა დავით აღმაშენებელმა, რომელმაც, დაახლოებით ანალოგიურ სიტუაციაში, მიაღწია პირველ ცოლთან – ტახტის მემკვიდრე დემეტრე უფლისწულის დედასთან – განქორწინებას და ახალი მეუღლის – „ყივჩაყთა უმთავრესის ათრაქა შარაღანის ძის“ ასულ გურადუხტის გადედოფლებას.¹ ეტყობა, გიორგი I ვერ მოერია დედოფალ მარიამისა და მელქისედეკ კათალიკოსის აღიანსს და შეიძლება შეეწირა კიდევ თავის ამ წამოწყებას.²

ესაა მხოლოდ მცირე ნაწილი დიდი ქართველი მწერლის ნაფიქრალიდან ჩვენი ქვეყნის ისტორიულ წარსულზე. მოცემული მასალა, ჩვენი აზრით, იძლევა საკმაოდ მკაფიო წარმოდგენას კონსტანტინე გამსახურდიას შესაშურ ისტორიოგრაფიულ ალლოზე, მის უნარზე, წარმოაჩინოს ეპოქის მაქსიმალურად რეალისტური სურათი.

¹ ამის შესახებ იხ.: **ი. ჯაფახიშვილი**. ქართველი ერის ისტორია, ტ. II. თბ., 1965, გვ. 219-220; **ზ. ავალიშვილი**. ჯვაროსანთა დროიდან. *4 ისტორიული ნარკვევი*. პარიზი, 1929, გვ. 25-29; **შ. ბადრიძე**. საქართველო და ჯვაროსნები. თბ., 1973, გვ. 15-18; **შ. ბადრიძე**. საქართველოს ურთიერთობები ბიზანტიასთან და ჯვაროსნებთან. თბ., 1984, გვ. 124-125; **ზ. პაპასქირი**. ერთიანი ქართული., გვ. 125-126.

² დაწვრილ. იხ.: **ზ. პაპასქირი**. „მატიანე ქართლისას“ ერთი ცნობის გაგების საკითხისათვის. – *მ. გორგის სახ. აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები*, I. თბ., 1983, გვ. 136-144; **З. В. Папаскири**. О некоторых вопросах внешней политики Грузинского царства в I трети XI века. – *Сборник работ молодых ученых и специалистов Абхазии*. Сухуми, 1980, гв. 64-74; **ზ. პაპასქირი**. ერთიანი ქართული., გვ. 123-138.

ქართული ისტორიოგრაფიის მნიშვნელოვანი შენაქენი*

გამოდახილი შოთა მესხიას მონოგრაფიაზე: „საშინაო პოლიტიკური
ვითარება და სამოხელეო წყობა XII საუკუნის
საქართველოში“. თბ., 1979

გამოვიდა გამოჩენილი ქართველი ისტორიკოსის, ქართული საბჭოთა ისტორიოგრაფიის ერთ-ერთი ყველაზე თვალსაჩინო წარმომადგენლის, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის პროფ. შოთა მესხიას ვრცელი გამოკვლევა „საშინაო პოლიტიკური ვითარება და სამოხელეო წყობა XII საუკუნის საქართველოში“. აღნიშნული ნაშრომი მხოლოდ ნაწილია იმ დიდი ჩანაფიქრისა, რომლის განხორციელებაც განსვენებულ მეცნიერს არ დასცალდა.

როგორც სათაურიდან ჩანს, ნაშრომი ეძღვნება XIII. საქართველოს სახელმწიფოს შინაპოლიტიკური ცხოვრების მეტად მნიშვნელოვანი პრობლემის – ქვეყნის სამოხელეო სისტემის შესწავლას. მასში ფუნდამენტალურადაა გამოკვლეული აღნიშნულ პრობლემასთან დაკავშირებული ყველა საკვანძო საკითხი. პირველად ქართულ ისტორიოგრაფიაში შესწავლილია XII-XIIIსს. საქართველოს ერთ-ერთი უძლიერესი ფეოდალური საგვარეულოს მხარგრძელთა სახლის ისტორია.

ნაშრომის პირველ თავში, რომელიც სავაზიროს წარმოქმნის პრობლემას ეძღვნება, შ. მესხია უარყოფს ისტორიოგრაფიაში გაბატონებულ შეხედულებას სავაზიროს, როგორც სათათბირო ორგანოს, XII საუკუნეში ჩამოყალიბების შესახებ. მკვლევარი გულდასმით აანალიზებს წყაროების მონაცემებს ვაზირის ან ვაზირთა შესახებ და ასკვნის, რომ XIIIს. საქართველოს ისტორიის ამსახველ მასალებში ყველგან იხსენიება მხოლოდ ერთი ვაზირი – მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელი, რომ თამარის მეფობის ბოლო წლებამდე (ათაბაგობის დაწყებამდე) „სავაზირო, როგორც საგანგებო დაწესებულება, ვაზირთა სათათბირო, საკრებულო ორგანო“ არ არსებობდა.

* წარმოდგენილი გამოდახილი შოთა მესხიას მონოგრაფიაზე პირველად გამოქვეყნდა წიგნის გამოსვლისთანავე გაზეთ „საბჭოთა აფხაზეთში“ (№82, 1980წ. 25 აპრილი). მოგვიანებით, სტატია დაიბეჭდა ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის საქართველოს საისტორიო საზოგადოების აფხაზეთის ორგანიზაციის პერიოდული სამეცნიერო გამოცემის: „საისტორიო ძიებანი“ პროფ. შოთა მესხიას დაბადებიდან 90 წლისთავისადმი მიძღვნილ ტომში (იხ. *საისტორიო ძიებანი*, ტ. VIII-IX. თბ., 2006, გვ. 31-36. იხ ელექტრონული ვერსია: <http://saistoriodziebani.googlepages.com/dziebani2005-2006>).

ამასთან დაკავშირებით განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს აგრეთვე განსვენებული მეცნიერის მოსაზრება იმის შესახებ, რომ ე.წ. „გუნია გალის“ წარწერის მონაცემები არ შეიძლება მიჩნეულ იქნას თამარის დროს მეფის ხელისუფლების შეზღუდვის მაჩვენებლად.

შ. მესხიას აზრით, ასევე უსაფუძვლოა თამარ მეფის პირველი ისტორიკოსის თხზულებაში ნახმარი ფრაზის „ერთნებობისა და თანადგომის“ გამოყენება „თამარის სამეფო ხელისუფლების შეზღუდვისა და მეფესა და დიდებულთა შორის ხელისუფლების განაწილების მოწმობად“. მკვლევარი მიუთითებს, რომ აღნიშნული ფრაზა წარმოადგენს მხოლოდ და მხოლოდ ზოგად გამოთქმას და ის არ შეიძლება გამოცხადდეს „თამარის ეპოქისათვის დამახასიათებელ პოლიტიკურ დოქტრინად“. აქედან გამომდინარე, შ. მესხია ასკვნის, რომ მიუხედავად დიდებულთა არაერთგზის მცდელობისა, თამარმა მაინც შეძლო თავისი თვითმყრობელური ხელისუფლების შენარჩუნება და (ისევე როგორც გიორგი III) მართავდა ქვეყანას არა ყოვლისშემძლე სავაზიროს, მეფის ხელისუფლების შემზღუდველი საგანგებო დაწესებულების მეშვეობით, არამედ „დარბაზის რიგის“ მაღალი რანგის ერთგულ მოხელეებზე დაყრდნობით, რომელთაც მეთაურობდა „მეფის უპირველესი მოხელე – ვაზირი – მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელი“.

ნაშრომის მეორე თავი ეძღვნება სამეფო ხელისუფლების ცენტრალური აპარატის – „დარბაზის რიგის“ მაღალი რანგის მოხელეთა ვინაობის დადგენასა და მათი როლის შეფასების საკითხს ქვეყნის საშინაო-პოლიტიკურ ცხოვრებაში. აღნიშნულ პრობლემაზე მსჯელობას შ. მესხია იწყებს ვაზირის – მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელის ინსტიტუტის შესწავლით. აკრიტიკებს რა ზოგიერთი მეცნიერის (ს. კაკაბაძე, ს. ერემიანი) მტკიცებას არაქართველ (ყივჩაყ, სომეხ) მოღვაწეთა მომძღავრებისა და გადამწყვეტი როლის შესახებ ქვეყნის მმართველობაში, ავტორი აღნიშნავს, რომ საკითხისადმი ამგვარი მიდგომის მიზეზად იმდროინდელი საქართველოს სამოხელეო წყობის არასწორი გაგება, პირველ რიგში კი ვაზირის – მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელის როლის შეუფასებლობა – უგულებელყოფა უნდა მივიჩნიოთ.

როგორც ცნობილია, მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდლის თანამდებობა დავით აღმაშენებლის მეფობის დროს შეიქმნა და იგი იმთავითვე მეფის თვითმყრობელური ხელისუფლების მთავარ დასაყრდენად იქცა. შ. მესხია, მიუთითებს რა მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდლის ხელისუფლების როლზე ერთიანი ფეოდალური მონარქიის გაძლიერებისა და განმტკიცების საქმეში, ჩვენი აზრით, საკმაოდ დამაჯერებლად ასაბუთებს მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელის სახელოს შემდგომ ზრდასა და განმ-

ტკიცებას თამარის ეპოქაში. მკვლევარის აზრით, ამის მაჩვენებელი უნდა იყოს მწიგნობართუხუცეს-ჰყონდიდელისათვის პროტოუპერტიმოსის, ანუ სამეფოს უპირველესი მოქალაქის ტიტულის მინიჭება. განსაკუთრებით აღსანიშნავია შ. მესხიას მიერ მწიგნობართუხუცეს-ჰყონდიდელის სამხედრო ფუნქციებზე ყურადღების გამახვილება. უაღრესად მნიშვნელოვანია ამ თვალსაზრისით, მეცნიერის დასკვნა იმის შესახებ, რომ მწიგნობართუხუცეს-ჰყონდიდელს არა თუ ხელი მიუწვდებოდა სამხედრო უწყებაზეც, არამედ ის ზღუდავდა და აკონტროლებდა ამირსპასალარის ხელისუფლებას.

შ. მესხია საფუძვლიანად იკვლევს XIII. საქართველოს სამეფოს ცენტრალური ხელისუფლების სხვა ორგანოებს: მანდატურთუხუცესის, ამირსპასალარის, მეჭურჭლეთუხუცესის, მსახურთუხუცესის და სხვა სახელოების ჩამოყალიბების ისტორიას და არკვევს ამ თანამდებობებზე მყოფ პირთა ვინაობას. ავტორი აღნიშნავს, რომ სახელმწიფო ხელისუფლების მართვის ცენტრალური აპარატის ჩამოყალიბება დაიწყო საქართველოს ერთიანი ფეოდალური მონარქიის შექმნიდან (X-XI საუკუნეების მიჯნა) და მან „უფრო გამოკვეთილი სახე მიიღო“ ღვათ ალმაშენებლის მოღვაწეობის ხანაში. მკვლევარმა დაადგინა, რომ ამ ხანაში გამოიკვეთა საქართველოს ლაშქრის მთავარსარდლის – ამირსპასალარის თანამდებობა. ამავე ხანაში ჩამოყალიბდა მანდატურთუხუცესის (შინაგანი საპოლიციო სამსახურისა და მეფის დაცვის უფროსის) სახელო, რომელიც მეცნიერის აზრით, ღვათ ალმაშენებლის დროს მწიგნობართუხუცეს-ჰყონდიდელის შემდეგ ყველაზე ძლიერი ხელისუფალი გახდა. ღვათის მეფობის ხანას აკუთვნებს შ. მესხია აგრეთვე მეჭურჭლეთუხუცესის სახელოს ფორმირებასაც.

უარყოფს რა პ. ინგოროყვას მოსაზრებას ჯერ 1178-84 წლების საქართველოში „სავაზიროს რეფორმისა“, ხოლო შემდეგ 1184-1191წწ. სამოხელეო წყობაში ერთგვარი „რესტავრაციის“ ჩატარების შესახებ, შ. მესხია აღნიშნავს, რომ მიუხედავად დიდგვაროვანთა მრავალგზის მოთხოვნებისა, თამარმა შეძლო უმნიშვნელოვანეს თანამდებობებზე ძირითადად სამეფო ხელისუფლების ერთგულთა დაწინაურება. მეცნიერის აზრით, ეს იყო არა გიორგი III მიერ „ორბელთა აჯანყების“ ჩახშობის (1178წ.) შემდეგ დამხობილ საგვარეულოთა რესტავრაცია (როგორც ამას ფიქრობს პ. ინგოროყვა), არამედ „თამარის თვითმყრობელური ხელისუფლების სიძლიერისა და ოპოზიციურ ძალებზე გამარჯვების ძირითადი მოწმობა“, გიორგი III საშინაო-პოლიტიკური კურსის გაგრძელება.

ნაშრომის მესამე – ყველაზე ვრცელი თავი მიძღვნილია მხარგრძელთა ფეოდალური საგვარეულოს ისტორიის შესწავლისადმი. როგორც

ცნობილია, მხარგრძელებს ხანგრძლივი დროის განმავლობაში ეკავათ ამისპასალარის, ხოლო შემდეგ ათაბაგის თანამდებობებიც და მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ იმდროინდელი საქართველოს შინაპოლიტიკურ ცხოვრებაში, განსაკუთრებით კი თამარის მეფობის დროს. ქართულ და სომხურ ისტორიოგრაფიაში არ არის ერთი აზრი მხარგრძელთა წარმომავლობის, კონფესიური კუთვნილების, ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში მათი როლისა და დ სხვა საკითხების შესახებ.

შ. მესხიამ თავი მოუყარა მხარგრძელთა მოღვაწეობის ამსახველ ყველა საინტერესო წყაროს და მათი მონაცემების სკრუპულოზური ანალიზის შედეგად დამაჯერებლად დაასაბუთა, რომ: ა) მხარგრძელები არ არიან არც ქართული და არც სომხური წარმოშობის და მომდინარეობენ ერთ-ერთი ქურთული ტომიდან, რომელიც გადმოსახლდა სომხეთში XI ს. 50-60-იან წლებში; მხარგრძელი იყო ერთადერთი გვარსახელი მთელი საგვარეულოსი; ეს „წმინდა ქართული ფორმა – „მხარგრძელი“ არის დადასტურებული სომხურ წარწერებშიც და მიუთითებს მხარგრძელთა ადრევე (არაუგვიანეს XIII ს. შუა წლებისა) გაქართველებაზე, „ქართულ-ფეოდალურ საგვარეულოდ გადაქცევაზე“; ბ) თავდაპირველად მონოფიზიტი და ტამირ-ძორაკეტში გადასვლის შემდეგ სომხურ გრიგორიანულ ეკლესიას შეკედლებული მხარგრძელთა წინაპრები დავით აღმაშენებლის მიერ ჩრდილოეთ სომხური მიწების შემოერთების შემდეგ თანდათანობით მთლიანად რელიგიურადაც გაქართველდნენ. ქართულმა სახელმწიფოებრიობამ და მისმა გარემომ ქურთული წარმოშობის საგვარეულო „მხარგრძელთა“ ქართულ საგვარეულოდ აქცია; გ) მხარგრძელთა აღზევება დაიწყო დავით აღმაშენებლის დროს. განსაკუთრებით კი ისინი დაწინაურდნენ გიორგი III მეფობის ბოლო წლებში, როდესაც ორბელთა დამხობის (1178წ.) შემდეგ ამ საგვარეულოს მთავარი წარმომადგენელი – სარგის მხარგრძელი მტკიცედ ჩადგა „იმ ქართველ დიდებულთა შორის, რომელთაც მეფის ნდობა, ერთგულება და სიყვარული დაიმსახურეს“. მიუხედავად იმისა, რომ თამარის ეპოქაში მხარგრძელები კიდევ უფრო ამაღლდნენ სამოხელეო კიბეზე და მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ იმდროინდელი საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში, ისინი ისევე ემორჩილებოდნენ მეფე-ქალს, როგორც ამ თანამდებობაზე მყოფნი დავით აღმაშენებელს, დემეტრე I თუ გიორგი III. მხარგრძელები სომხურ ტერიტორიებს მართავდნენ არა როგორც დამოუკიდებელი თუ ნახევარდამოუკიდებელი „ზაქარიანები“, არამედ როგორც საქართველოს მეფის უერთგულესი მოხელეები.

ამრიგად, შოთა მესხიას ნაშრომი „საშინაო-პოლიტიკური ვითარება და სამოხელეო წყობა XII ს. საქართველოში“ ქართული ფეოდა-

ლური სახელმწიფოს განვითარების ამ უმნიშვნელოვანესი პერიოდის შინაპოლიტიკური ისტორიის ფუნდამენტალურ გამოკვლევას წარმოადგენს. მასში საფუძვლიანადაა შესწავლილი და ახლებურადაა გადაჭრილი XIII ს. საქართველოს შინაპოლიტიკური ცხოვრების და სამოხელეო წყობის მთელი რიგი საკვანძო საკითხები. ამის საშუალება მეცნიერს მისცა, როგორც სამართლიანად აღნიშნავენ წიგნის რედაქტორ-გამომცემლები, აკ. სურგულაძე და ნ. შოშიაშვილი, „საკვლევი საკითხების წყაროთმცოდნეობითი ბაზის გაფართოებამ, წინამორბედ მკვლევართან შედარებით წყაროების ახლებურმა კვლევამ და ინტერპრეტაციამ, ქართული ისტორიოგრაფიის უახლესი მიღწევების გამოყენებამ, გამოცდილი, მაღალკვალიფიციური ისტორიკოსის ალლომ, ტრადიციულ თვალსაზრისთა კრიტიკული შემოწმებისა და გადასინჯვის უნარმა“.

ყოველივე ზემოაღნიშნული უფლებას გვაძლევს შოთა მესხიას წიგნის გამოსვლა მივიჩნიოთ მნიშვნელოვან მოვლენად, წინგადადგმულ ნაბიჯად ქართულ ისტორიულ მეცნიერებაში.

საინტერესო მონობრაჟია

რეცენზია თეიმურაზ მიბჩუანის მონოგრაფიაზე: „მეგობრობის სათავეებთან“ . თბ., 1986.*

ჩვენი ქვეყნის ერებსა და ხალხებს შორის პოლიტიკური, ეკონომიკური თუ კულტურულ-ეთნიკური კონტაქტების შესწავლა-განზოგადება საბჭოური ისტორიოგრაფიის ერთ-ერთ მთავარ საკვლევადიებო უბანს წარმოადგენს. ამ პრობლემატიკას დიდი ყურადღება ექცევა თანამედროვე ქართულ ისტორიოგრაფიაში, რაზედაც მეტყველებს ქართველი ისტორიკოსების, არქეოლოგების და ეთნოგრაფების არაერთი საინტერესო ნაშრომი. ამასწინათ, ამ ხასიათის საისტორიო ლიტერატურა კიდევ ერთი მნიშვნელოვანი გამოკვლევით შეივსო. გამოძეგმლობა „საბჭოთა საქართველომ“ დასტამბა აფხაზეთის მ. გორკის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის მსოფლიო ისტორიის კათედრის დოცენტის თეიმურაზ მიბჩუანის მონოგრაფია: – „მეგობრობის სათავეებთან“, რომელშიც სათანადო ისტორიულ, არქეოლოგიურ, ეთნოგრაფიულ, ენობრივ და ფოლკლორულ მასალებზე დაყრდნობით შესწავლილია დასავლეთ საქართველოს მთელი (სვანების) ურთიერთობა ჩრდილოეთ კავკასიელ – ყარაჩაელ და ბალყარელ ხალხებთან; ნაჩვენებია აღნიშნულ ხალხებს შორის საუკუნეების მანძილზე არსებული კეთილმეზობლური და მეგობრული ურთიერთობის შედეგად ეთნიკური ინფილტრაციისა და კულტურული ურთიერთზემოქმედების სასიკეთო ზეგავლენა.

სარეცენზიო ნაშრომის შინაარსი რამდენადმე სცილდება სათაურს. სხვა საკითხებთან ერთად მასში დასმულია და სათანადოდ არის შესწავლილი იმიერკავკასიაში ქართველურ ტომთა (სვანთა) განსახლების პრობლემა უძველესი დროიდან გვიან შუა საუკუნეებამდე. აღნიშნული საკითხი თანამედროვე კავკასიათმცოდნეობის ერთ-ერთ ურთულეს და ნაკლებად დამუშავებულ პრობლემას წარმოადგენს. მეცნიერული კვლევა-ძიება ამ მიმართულებით ფაქტობრივად ჩვენი საუკუნის 50-იან წლებში დაიწყო, როდესაც გამოქვეყნდა ცნობილი საბჭოთა მეცნიერის პროფ. ლ. ლავროვის სტატია ჩრდილოეთ კავკასიაში სვანთა განსახლების შესახებ (XIXს-მდე).

ამ პრობლემის დამუშავებაში თავისი წვლილი შეიტანეს ქართველმა მეცნიერებმაც, რომელთაგან განსაკუთრებით თვალსაჩინოა რ.

* წარმოდგენილი რეცენზია პირველად დაიბეჭდა გაზეთში „საბჭოთა აფხაზეთში“, № №54, 18. 03. 1987. იმავე წელს რეცენზია გამოქვეყნდა აგრეთვე ჟურნ.: *მნათობი*, №8. 1987, გვ. 173-176.

ხარადისა და აღ. რობაქიძის ღვაწლი. მათ მიერ ჩატარებული ტოპონიმების, გვარების, მატერიალური კულტურის ძეგლების, წერილობითი წყაროებისა და ონომასტიკურ მონაცემთა სკრუპულოზური შესწავლის შედეგად მიღებულმა დასკვნამ რეალური საფუძველი მოუპოვეს შეხედულებას იმიერკავკასიაში ქართველური (სვანური) მოსახლეობის არსებობის შესახებ. მიუხედავად ამისა, მთელი რიგი მეცნიერები, განსაკუთრებით კი ყარაჩაი-ბალყარეთის ისტორიის, მატერიალური კულტურის მკვლევრები (ე. ალექსეევა, ბ. კალოევი, მ. ჩეჩენოვი, მ. მიზიევი და სხვა.) ჯეროვნად ვერ აფასებენ ქართველ მეცნიერთა მიერ მიღებულ შედეგებს და პრაქტიკულად უარყოფენ სვანთა ჩრდილოეთ კავკასიაში განსახლების შესაძლებლობას. სწორედ ამან განაპირობა ამ პრობლემის ყოველმხრივ, მონოგრაფიული შესწავლის აუცილებლობა, რაც ჩვენი აზრით, წარმატებით განახორციელა თ. მიბჩუანმა.

სარეცენზიო ნაშრომი შედეგია მკვლევრის ხანგრძლივი, ნაყოფიერი მეცნიერული კვლევისა, რომლის დროსაც იგი წლების განმავლობაში ადგილზე უშუალო დაკვირვებების მეთოდით აგროვებდა მასალას, როგორც საკუთრივ დასავლეთ საქართველოს მთიანეთში, ისე ყაბარღო-ბალყარეთის ასსრ-სა და ყარაჩაი-ჩერქეზეთის აო-ში; ახდენდა საკვლევი ობიექტების ტოპონიმიკურ აღწერას, გულმოდგინედ სწავლობდა მატერიალური კულტურის ძეგლებს, იწერდა ინფორმაციებს ხანდაზმული ადამიანებისგან და ა.შ. გარდა ამისა თ. მიბჩუანმა გააანალიზა მრავალრიცხოვან (ძველი ბერძნული, ბიზანტიური, სომხური, რუსული, ქართული) წერილობით წყაროთა მონაცემები და წარმოადგინა ჩრდილოეთ კავკასიაში ქართველ ტომთა განსახლების უაღრესად საინტერესო და ამასთან დამაჯერებელი სურათი.

ნაშრომის პირველ თავში – „*ძველი წერილობითი წყაროები სვანთა ჩრდილოეთ კავკასიაში განსახლების შესახებ*“, ავტორი ეხება „ებზე“ და „სავიარ“ ეთნონიმების მნიშვნელობის გარკვევის საკითხს. ამ ეთნონიმების ახსნას დიდი მნიშვნელობა აქვს არა მარტო სვანთა და ყარაჩაი-ბალყარეთის ხალხების ურთიერთობისათვის, არამედ თვით ამ ხალხების – ყარაჩაელებისა და ბალყარელების მათ ამჟამინდელ ტერიტორიაზე დასახლების დროის დასადგენად. დღეისათვის გაბატონებული შეხედულებით, აღნიშნული ხალხები ჩრდილოეთ კავკასიაში გამოჩნდნენ XVI-XVII საუკუნეებში. თ. მიბჩუანის დაკვირვებით კი, ბალყარელები სვანების მეზობლად ცხოვრობდნენ გაცილებით უფრო ადრე, არა უგვიანეს VIII-XII საუკუნეებისა.

მკვლევრის ეს დასკვნა ალებულია ტერმინ „ებზეს“ ანალიზზე. ცნობილია, რომ ამ ეთნონიმით ყარაჩაელები და ბალყარელები მოიხსენიებენ

სვანებს. თავის დროზე აკად. ს. ჯანაშიამ მართებულად დაუკავშირა ტერმინი „ებზე“-„აბზა“, „აბასკ“, „ობეზი“-ს და სავსებით სწორად მიიჩნია იგი ისტორიული „აფხაზეთის“ („აბაზგია“) სახელწოდებიდან ნაწარმოებად. „აფხაზეთად“ კი, როგორც ცნობილია, სხვადასხვა დროს საკუთრივ „აბაზგია“-„აფშილეთის“ გარდა, იწოდებოდა როგორც დასავლეთი საქართველო (VIII-X სს.), ისე მთლიანად იმიერ-ამიერ საქართველო (XI-XII საუკუნეებში და მოგვიანებითაც). ამდენად, თ. მიბჩუანის დასკვნა იმის შესახებ, რომ სვანები შესაძლებელია „ებზე“-დ ეცნოთ მხოლოდ მას მერე, რაც სვანეთი გახდა „აფხაზეთის“ (ე. ი. „აფხაზთა“ სამეფოს) შემადგენელი ნაწილი (არა უადრეს VIII ს. მიწურულისა), სავსებით მისაღებია, თუმცა არც ისაა გამოსარიცხი, რომ ბალყარლები „ებზე“-სვანებს მოგვიანებითაც გასცნობდნენ, თუნდაც XIII-XIV საუკუნეებში, როცა უცხოურ წყაროებში „აფხაზეთად“ ჯერ კიდევ იწოდებოდა მთელი საქართველო და, ბუნებრივია, სვანეთიც.

ბალყარლები რომ მაინცდამაინც VIII საუკუნიდან არ იცნობდნენ სვანებს, იქიდანაც უნდა ჩანდეს, რომ მათ ისინი სწორედ „ებზეს“ უწოდებენ. დასავლეთ საქართველოს „აფხაზთა“ მეფის (თუ მთავრის) ხელისუფლების ქვეშ გაერთიანება, როგორც ცნობილია, სადღაც VIII ს. II ნახევარშია სავარაუდებელი. ამდენად, ძნელი საფიქრებელია, რომ მეზობელი ხალხებისათვის საქართველოს განაპირა ოლქები, მით უფრო ისეთი გამოკვეთილი ეთნო-პოლიტიკური რეგიონი, როგორიც იყო სვანეთი (ამის დამადასტურებელ მასალას უხვად ვხვდებით ბერძნულ-ბიზანტიურ წყაროებში) უახლოესი მეზობლებისათვის ერთბაშად გადაქცეულიყო „აფხაზეთ“-„ებზე“-დ. ეს უფრო მოსალოდნელია მოგვიანებით, თუნდაც IX და განსაკუთრებით X საუკუნეში, როდესაც „აფხაზთა“ მეფე გიორგი II აქტიურ პოლიტიკას ატარებდა იმიერკავკასიაში. ჩვენ იმის თქმა გვინდა, რომ თუ ბალყარელები VIII საუკუნეში მაინც ცხოვრობდნენ ჩრდილოეთ კავკასიაში სვანების მეზობლად, ისინი აუცილებლად დაიმანსოვრებდნენ სვანებს თავიანთი სახელწოდებით. მაგრამ სვან-ბალყართა კონტაქტები, ეტყობა, მაშინ დაიწყო, როდესაც გარე სამყაროს, ამ შემთხვევაში, ჩრდილოელ მეზობლებს, საკუთრივ „სვანეთი“-დიდი ხნის დავიწყებული ჰქონდათ და ამ მხარეს ისინი „აფხაზეთ“-„ებზე“-დ იცნობდნენ.

ამასთან დაკავშირებით, ინტერესს იწვევს აგრეთვე თ. მიბჩუანის მსჯელობა რუსული წყაროების ტერმინ „ობეზის“ შესახებ, რომელსაც ის, ისევე როგორც ს. ჯანაშია, „ებზე“-დან ნაწარმოებად მიიჩნევს. ჩვენ არაფერი გვაქვს ამ პრინციპულად სწორი დებულების საწინააღმდეგო, მაგრამ ვერ გავიზიარებთ დასკვნას იმის შესახებ, თითქოს ტერმინ „ობეზ“-ში იგულისხმებოდა არა საქართველო მთლიანად, არამედ საკუ-

ორივ აფხაზეთი და დასავლეთ საქართველოც, ან რომ ამ ტერმინით ლეონ II-ის დროიდან (VIII ს.) უცხოელები აღნიშნავდნენ დასავლეთ საქართველოს მოსახლეობას.

საკითხი იმის შესახებ, თუ რა დროიდან ჩნდება და რა იგულისხმება რუსული წერილობითი ძეგლების „ობეზის“ ქვეშ, სათანადოდ არის შესწავლილი ისტორიოგრაფიაში და, ამდენად, არ მიგვაჩნია მიზანშეწონილად ამ საკითხზე აქ დაწვრილებით შეჩერება და მხოლოდ ზოგიერთი განმარტებით დაკმაყოფილებით. ძველ რუსულ წყაროებში უძველესი წერილობითი ცნობები „ობეზებზე“ ჩნდება არა უადრეს XI საუკუნისა. ყველა ის სიუჟეტი, რომელშიც იხსენიებიან „ობეზები“, ეხება ისტორიულ მოვლენებს, რომელთაც ადგილი ჰქონდათ XI საუკუნიდან. ჩვენ არ გავგაჩნია არც ერთი რუსული ცნობა „ობეზების“ მოხსენიებით, რომელშიც ლაპარაკი იყოს XI საუკუნემდე ამბებზე.

ეს, რასაკვირველია, არ გამორიცხავს იმის შესაძლებლობას, რომ „ობეზი“ – „აფხაზეთი“ ძველ რუსეთში ცნობილი იყო XI საუკუნემდეც. პირიქით, სავსებით დასაშვებად მიგვაჩნია, მაგალითად, რომ ძველ რუსეთში „ობეზი“ – „აფხაზეთს“ შეეღწია X ს. შუა ხანებიდან მაინც, როდესაც, ერთის მხრივ, საკმაოდ აქტიურად მოქმედებდა ჩრდილოეთ კავკასიაში გიორგი II, „აფხაზთა“ მეფე, ხოლო, მეორე მხრივ, რუსებიც უახლოვდებოდნენ ამ რეგიონს. ამ თვალსაზრისით, ნიშანდობლივია ტმუტარაკანის რუსული სამთავროს წარმოქმნა ტამანის ნ-კ-ზე, რომელსაც მკვლევრები X ს. შუა ხანებით ათარიღებენ.

ყოველივე ეს, ვიმეორებთ, სავსებით დასაშვებს ხდის აზრს იმის შესახებ, რომ ძველი რუსეთი იცნობდა „ობეზი“ – „აფხაზეთს“ მაშინაც კი, როდესაც „აფხაზეთი“ არ ნიშნავდა საქართველოს მთლიანად და მხოლოდ დასავლეთ საქართველოთი შემოიფარგლებოდა (XI ს. დასაწყისამდე), მაგრამ, ამჯერად, ჩვენ ვლაპარაკობთ ამ ტერმინის – „ობეზის“ – დასავლეთ საქართველოს მნიშვნელობით – დოკუმენტურ დაფიქსირებაზე ძველ რუსულ წერილობით ძეგლებში, ამგვარ რამეს კი დღემდე აღმოჩენილ და კომენტირებულ რუსულ მასალებში ვერ ვხვდებით. ამდენად, დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ ყველა იმ ცნობაში, რომელშიც იხსენიებიან „ობეზები“, იგულისხმება XI ს. შემდგომი დროის „აფხაზეთი“ – ე. ი. „აფხაზეთი“ მთელი საქართველოს გაგებით.

უადრესად საინტერესოა თ. მიხეუანის მიერ ტერმინ „სავიარის“ ირგვლივ ჩატარებული კვლევა. სვანები, როგორც ცნობილია, ახლაც ბალყარლებს „სავირებს“ ანუ „სავიარს“ უწოდებენ. ამ ეთნონიმს მკვლევარი უკავშირებს სავირებს (ბულგარელთა მონათესავე თურქულენოვან ტომს), რომელთა შესახებ უძველესი ცნობა გვხვდება ახ.წ. III ს. ცნობილი ბერძენი ბუნებისმეტყველისა და გეოგრაფოსის კლავდიუს პტოლე-

მაიოსის „გეოგრაფიულ სახელმძღვანელოში“ და რომლებიც ადრეულ შუა საუკუნეებში მნიშვნელოვან სამხედრო ძალას წარმოადგენენ ჩრდილოეთ კავკასიაში. იმდენად, რამდენადაც სვანები ბალყარლებს „სავარს“ ეძახიან, თ. მიბჩუანი სავსებით მართებულად სვამს კითხვას, ჰქონდათ თუ თავის ღროზე რაიმე კონტაქტები სვანურ ტომებს ძველ სავირებთან.

სათანადო წერილობით წყაროებზე დაყრდნობით მკვლევარი აკეთებს, ჩვენის აზრით, სწორ დასკვნას იმის შესახებ, რომ სვანები და სავირები ჯერ კიდევ VI საუკუნიდან იცნობდნენ ერთმანეთს და „მხარ-დამხარ იბრძოდნენ საერთო მტრის წინააღმდეგ“. VIII ს. შემდეგ სავირები წყაროებში არ იხსენიებიან, ფიქრობენ, რომ VII-VIII საუკუნეებში ამ ტომების ნაწილი დამკვიდრდა ჩრდილოეთ დაღესტანში, სადაც გარკვეული როლი შეასრულა ზოგიერთი დაღესტნური ტომის ფორმირებაში. ამასთან, თ. მიბჩუანი თანამედროვე ბალყარლებსაც სავირები-საგან წარმოშობილად მიიჩნევს.

აქედან გამომდინარე, მკვლევარი აკეთებს დასკვნას იმის შესახებ, რომ მოყოლებული VI საუკუნიდან გვიან შუა საუკუნეებამდე სვანებსა და „სავირ“-„ბალყარლებს“ ერთმანეთის მეზობლად უნდა ეცხოვრათ ჩრდილოეთ კავკასიაში (წინააღმდეგ შემთხვევაში, ორივე ხალხი დაივიწყებდა ერთმანეთის აღმნიშვნელ ეთნონიმებს – „ებზე“ და „სავიარს“). აქვე მკვლევარი მიუთითებს, რომ სვან-ბალყართა უშუალო მეზობლობა იმიერკავკასიაში იმ შემთხვევაშია მოსალოდნელი, თუ ამ მხარის გარკვეულ ნაწილში, „ახლანდელი ყარაჩაი-ბალყარეთის უკიდურეს ჩრდილოეთ საზღვრებამდე ანუ იმიერკავკასიის ბარამდე“ (სადაც, თ. მიბჩუანის აზრით, იწყებოდა „სავირ“-„ბალყართა“ მიწა-წყალი – ზ.პ.) ვიგულისხმებთ სვანური მოსახლეობის არსებობას.

სვანთა ჩრდილოეთ კავკასიაში განსახლებისა და მათ მიერ დაკავებული ტერიტორიული საზღვრების დადგენას ეძღვნება სპეციალურად სარეცენზიო წიგნის მომდევნო სიუჟეტი. თავისი ნაშრომის ამ ნაწილში თ. მიბჩუანი დაწვრილებით მიმოიხილავს მრავალფეროვან საისტორიო მასალას დაწყებული სტრაბონის მონაცემებიდან XIX ს. მეორე ნახევრის მასალებით დამთავრებული. ამ მასალებზე დაყრდნობით მკვლევარი აკეთებს დასკვნას სვანური ტომების იმიერკავკასიაში განსახლების შესახებ ჯერ კიდევ ანტიკური ხანიდან. იგივე დასტურდება ადრეულ შუა საუკუნეებშიც.

მკვლევრის მიერ მოყვანილი მრავალრიცხოვანი მასალებიდან, ამ მხრივ, ყველაზე საგულისხმოდ მიგვაჩნია VII ს. ბიზანტიელი ავტორის მენანდრეს მითითება იმის შესახებ, რომ სვანები ცხოვრობენ „კავკასიის გარშემო“. ასევე საინტერესოა ლეონტი მროველის ცნობა, რომლის

მიხედვითაც სვანეთი გადაჭიმული იყო „დიდოეთიდგან ვიდრე ეგრისამდე“ და სვანების მოხსენიება ჩრდილოეთ კავკასიის ხალხებს შორის იმავე ლეონტი მროველის თხზულების ძველ სომხურ თარგმანში. მაგრამ, ამავე დროს, რამდენადმე საეჭვოდ მიგვაჩნია თ. მიბჩუანის მიერ სვანთა ჩრდილოეთ კავკასიაში განსახლების დამამტკიცებელ მასალად ზოგიერთი წყაროს ჩვენების მოტანა. პირველ რიგში, მხედველობაში გვაქვს სტრაბონის ცნობა, რომელიც, მართალია, უდავოდ, ადასტურებს სვანთა ფართო განსახლებას, მაგრამ მასში ლაპარაკია იმის შესახებ, რომ სვანებს უპყრიათ „კავკასიონის მწვერვალები, რომლებიც დიოსკურიის ზემოთ არის“ (ხაზგასმა ჩვენია – **ზ.პ.**) და არაფერია ნათქვამი მაინცდამაინც იმიერკავკასიაზე.

ასევე ნაკლებად დამაჯერებელია კირაკოზ განძაკეცისა და სტეფანოს ორბელიანის, თავისთავად უაღრესად საინტერესო ცნობების (დავით ნარინის სვანეთში „სონთა მეფედ“ დადგომის შესახებ) გამოყენება კავკასიონს ქედს გადაღმა „სონთა ქვეყნის“ არსებობის დასამტკიცებლად. ეს, რასაკვირველია, სრულებით არ ნიშნავს ამ პერიოდში ჩრდილოეთ კავკასიაში სვანური მოსახლეობის არსებობის უარყოფას. უბრალოდ, ამ, შესაძლებელია, პრინციპულად სწორი დასკვნის შესამაგრებლად, ვფიქრობთ, მოცემული წყაროების ცნობები არ გამოდგება.

სხვა საკითხია მოგვიანო ხანის (XVI-XVIIIსს.) რუსული წყაროების მონაცემები, რომლებიც, ჩვენის აზრით, აშკარად მეტყველებენ „სონთა ქვეყნის“ რეალურად არსებობაზე ჩრდილოეთ კავკასიაში. ამ მხრივ, პირველ რიგში, ყურადღებას იპყრობს ნიკონისეული მატეიანის ცნობა ივანე IV (1533-1584წწ.) სიმამრის თემრიუყ იდაროვის მიერ (1562-1563წწ.) 164 „მშანსკიე“ და „სონსკიე“ დასახლების დაპყრობის შესახებ. ცნობა ჯერ კიდევ ლ. ლავროვმა მიიჩნია XIV-XVIIIსს. ყუბანის სათავეებში სვანთა ჩასახლების არსებობის შესახებ.

თ. მიბჩუანი ლავროვისეულ დათარიღებას უარყოფს და სამართლიანად თვლის, რომ სვანებს აღნიშნულ ტერიტორიაზე უფრო ადრეც უნდა ეცხოვრათ. ამასთან, მკვლევარი აზუსტებს „მშანთა“ და „სონთა“ 164 დასახლების არეალს და ვარაუდობს, რომ ეს დასახლებები იყო არა მარტო მდ. ყუბანის სათავეებთან, არამედ მალკის, ბახსანის, ზედა მალყარის, ბეზინგისა და ჩეგემის ხეობებში, სადაც, ავტორის თქმით, დღემდე მოღწეული სვანური წარმოშობის ტოპონიმები, სვანური ტიპის კოშკები, სვანური გვარები, ქრისტიანულ ეკლესია-სამლოცველოთა გადმონაშთები. სხვა მასალებიდან ინტერესს იწვევს 1743წ. შედგენილი რუსული დოკუმენტის (ჩრდილოეთ კავკასიის ხალხების აღწერილობა) ცნობა, რომელშიც პირდაპირაა აღნიშნული „სონთა“ განსახლება ბახსანის, ყუმისა და ყუბანის სათავეებთან.

ამრიგად, XVI-XVIII სს. წყაროები ეჭვმიუტანლად ადასტურებენ სვანურ ტომთა ყოფნას ჩრდილოეთ კავკასიის საკმაოდ ვრცელ ტერიტორიაზე. როგორც აღნიშნავს თ. მიბჩუანი, ამ ტომებს სახელწოდება „სონი“ შემორჩათ მაშინაც კი, როცა მათ „ჩრდილოეთ კავკასიის უცხო ტომებში ასიმილაციის შედეგად დაკარგეს სარწმუნოებრივი და ეროვნულობის დამახასიათებელი ნიშან-თვისებები, და შემორჩათ მხოლოდ რწმენა სვანური წარმომავლობის შესახებ, რაც დღესაც შეინიშნება მათში“.

სარეცენზიო წიგნში თანმიმდევრულად არის ნაჩვენები სვანური ტომების ყარაჩაელებში და ბალყარლებში გათქვეფვის პროცესი, რომელიც, უდავოდ, საკმაოდ ხანგრძლივ პერიოდს მოიცავდა. მკვლევარს მოდიებული აქვს ყარაჩა-ბალყარულ ნიადაგზე ასიმილირებული ათეულობით სვანური გვარი. წიგნში ასევე მოყვანილია და გაშიფრულია უამრავი სვანური წარმოშობის ტოპონიმი. ნაშრომს ერთვის ფოტოლიუსტრაციები, რომლებიც გარკვეულ წარმოდგენას გვიქმნიან იმიერკავკასიის, ჩვენთვის საინტერესო, რეგიონში არსებულ ქართული კულტურის ძეგლებზე. უთუოდ ყურადსაღებია ავტორის წუხილი აღნიშნულ ძეგლთა სავალალო მდგომარეობის გამო. ის გულისტკივილით აღნიშნავს, რომ ისეთი ქართული (ჯვრის ფორმის) ტაძრები, როგორიცაა XI-XII საუკუნეებში აგებული ე.წ. სენტისა და შოანას ეკლესიები გაპარტახებულა და გავერანებულა.

თ. მიბჩუანის მონოგრაფიის მიმართ, გარდა ზემოაღნიშნულისა, გვაქვს ტექნიკური ხასიათის შენიშვნები. სათანადოდ არ არის წარმოჩენილი ის მდიდარი ფოლკლორული მასალა, რომელიც ავტორს აქვს შეგროვილი. აქა-იქ ვხვდებით განმეორებებს. წიგნში გაპარულია ზოგიერთი არაზუსტი გამოთქმა, მაგ., რუსული «*Никоновская летопись*» თარგმნილია როგორც „ნიკონოვის მატანე“, მაშინ როდესაც უნდა იყოს „ნიკონის (ან „ნიკონისეული“) მატანე“ (აღნიშნულ მატანეს ეს სახელწოდება მიაკუთვნეს იმის გამო, რომ ის XVII საუკუნეში ეკუთვნოდა ცნობილ რუს საეკლესიო მოღვაწეს – პატრიარქ ნიკონს). მაგრამ ეს და სხვა ხარვეზები ოდნავადაც არ ამცირებს თ. მიბჩუანის გამოკვლევის მეცნიერულ ღირებულებას, რომლის მთავარ ღირსებას წარმოადგენს ის, რომ მასში, პირველად ჩვენს ისტორიოგრაფიაში, მონოგრაფიულად არის შესწავლილი მანამდე ნაკლებად დამუშავებული მთელი რიგი საკითხები და მეცნიერულად დასაბუთებულია აზრი ქართველურ (სვან) ტომთა განსახლების შესახებ ჩრდილოეთ კავკასიაში; ნაჩვენებია მათი როლი ყარაჩაელი და ბალყარელი ხალხების ფორმირებაში. ამდენად, აღნიშნული ნაშრომი ჩვენი ისტორიოგრაფიის მნიშვნელოვან შენაძენად უნდა ჩაითვალოს.

გამოკვლევა ქართული დიპლომატიის ისტორიაზე

რეცენზია ლოვარდ ტუხაშვილის მიერ ისტორიის მეცნიერებათა
დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილ
ნაშრომზე: „ქართული დიპლომატიის განვითარება და საგარეო
პოლიტიკის აქტუალური პრობლემები (XI-XIV სს.)“
სპეციალობა 24.00.01 საქართველოს ისტორია. 1995*

ლოვარდ ტუხაშვილის სახელი კარგა ხანია ცნობილია არა მარტო მეცნიერ-ისტორიკოსთა ვიწრო წრისთვის. მისმა გამოკვლევებმა და სამეცნიერო-პოპულარული ხასიათის სტატიებმა იმთავითვე მიიპყრეს ფართო საზოგადოებრიობის ყურადღება. ლ. ტუხაშვილის მიერ ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი სადისერტაციო ნაშრომი ლოგიკური დაგვირგვინებაა იმ მრავალმხრივი და ნაყოფიერი კვლევითი საქმიანობისა, რომელსაც აი თითქმის სამი ათეული წელია ეწევა მეცნიერი.

სამეცნიერო ნაშრომი წარმოადგენს პირველ ცდას ქართული დიპლომატიის ისტორიის ზოგადი სურათის შექმნისა ჩვენი ისტორიული წარსულის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან მონაკვეთზე – XI-XIV ს. I ნახევარში. მასში განხილულია საკვლევ პრობლემასთან დაკავშირებული ისეთი გლობალური საკითხები, როგორცაა: ქართული სახელმწიფოს საგარეო დიპლომატიის განმსაზღვრელი ინსტიტუტები, ფეოდალური საქართველოს დიპლომატიის განვითარების ფორმები, ქართული დიპლომატიის ძირითადი პრობლემები XI-XII საუკუნეებში, საქართველოს სამეფო კარის პოლიტიკურ-დიპლომატიური მიდგომა სომხეთის შემოერთების პრობლემისადმი, ქართული დიპლომატია XII-XIII სს. მიჯნაზე, ქართული დიპლომატია „დიდი რესტავრაციის“ (გიორგი ბრწყინვალის) ხანაში და ა.შ.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ის, რომ თითოეული ამ საკითხის გაშუქებისას დისერტანტი საკმაოდ დაწვრილებით ჩერდება საქართველოს საგარეო თუ საშინაო-პოლიტიკური ისტორიის სხვა ურთულეს პრობლემებზეც და იძლევა მათ ორიგინალურ გააზრებას. სადისერტაციო ნაშრომში, ჩვენის აზრით, ძირითადად სწორადაა მონიშნული ქართული დიპლომატიის განვითარების ზოგადი ხაზი საკვლევ პერიოდ-

* რეცენზია მომზადდა როგორც წამყვანი ორგანიზაციის დასკვნა. ის სრულად იქნა წაკითხული (სადისერტაციო საბჭოს სწავლული მდივნის მიერ) სადისერტაციო ნაშრომის დაცვისას ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტში. იბეჭდება პირველად.

ში. ამასთან, მკვლევარს შეგნებულად გადააქვს აქცენტი საქართველოს სამეფო კარის მიზანსწრაფულ, წინასწარგანსაზღვრულ, გეგმაზომიერ საგარეო-პოლიტიკურ აქტივებზე, რომელსაც ის უწოდებს „აქტიურ დიპლომატიურ ნასაქმს“ და სულაც არ ისახავს მიზნად აბსოლუტურად ყველა საგარეო-პოლიტიკური ღონისძიების დაწვრილებით გაშუქებას. სწორედ ამითაა გამოწვეული ის, რომ ნაშრომის უდიდესი ნაწილი ეთმობა XII-XIII ს. დამდეგის მოვლენების გაანალიზებას.

ლ. ტუხაშვილის სადისერტაციო შრომის მრავალ ღირსებათაგან განსაკუთრებით უნდა გამოვყოთ: კვლევის არაორდინალური გზების დიება; მთელი რიგი საკითხების ახლებურად დასმა; სამეცნიერო აზროვნებაში ახალი სპეციალური ცნებების („თამარის სათნოების კონცეფცია“, „შიშის დიპლომატია“, „აქტიური ლოდინის ტაქტიკა“ და სხვ.) შემოტანა. თამამად შეიძლება ითქვას, რომ წარმოდგენილი დისერტაცია არ არის რიგითი საკვალიფიკაციო შრომა, ის არის სოლიდური მეცნიერული გამოკვლევა, რომელშიც სრულად არის გამოვლენილი დისერტანტის მაღალი პროფესიონალიზმი და ერუდიცია, რაც უდავოს ხდის მისთვის საძიებელი ხარისხის მინიჭებას.

ლ. ტუხაშვილის სადისერტაციო ნაშრომის ერთ-ერთ უმთავრეს ღირსებად მიგვაჩნია ის, რომ მისი გაცნობისას ჩნდება ცალკეულ პრობლემებზე კიდევ ერთხელ ჩაფიქრებისა და მათი კრიტიკული გააზრების სურვილი, რაც აუცილებელი პირობაა მეცნიერული ჭეშმარიტების დადგენისათვის. სწორედ აღნიშნულმა გარემოებამ გვიბიძგა გამოვხმაურებოდით დისერტაციაში აღძრულ ზოგიერთ, ჩვენის აზრით, სადავო საკითხს და გამოგვეხატა მათდამი ჩვენი დამოკიდებულება.

პირველ რიგში, ვერ გავიზიარებთ ლ. ტუხაშვილის მსჯელობას ქართველ ისტორიკოსთა კერძოდ, საქართველოს საგარეო-პოლიტიკური ისტორიის მკვლევართა უდიდესი ნაწილის „ეპიგონურ-სტერეოტიპული“ აზროვნების შესახებ. სამწუხაროდ, დისერტანტის ამ საკმაოდ უაპელაციო განცხადებას არ ახლავს ქართველ მეცნიერ-ისტორიკოსთა ნაღვაწის კონკრეტული, გამოწვლილვითი კრიტიკული ანალიზი მოცემული მიმართულებით. ამასთან, ჩვენთვის გაუგებარია, თუ რატომ ჩამოაშორა დისერტანტმა ვ. გაბაშვილი, მ. ლორთქიფანიძე და დ. მუსხელიშვილი იმ მკვლევართა რიცხვს, რომელთა ნაშრომები, მისი სიტყვებით, აკად. ივ. ჯავახიშვილის და აკად. ნ. ბერძენიშვილის დებულებათა ფაქტობრივ შემაგრება-განმტკიცებას ემსახურებიან.

ზემოთჩამოთვლილი მეცნიერები ივ. ჯავახიშვილ-ნ. ბერძენიშვილის სკოლის უთვალსაჩინოესი წარმომადგენლები არიან და მათ არანაკლები წვლილი შეუტანიათ თანამედროვე ქართული ისტორიოგრაფიის ფუძემდებელთა მთელი რიგი დებულებების დახვეწა-გაღრმავებაში. ასევე

არ გვესმის რაში გამოიხატა აკად. გ. მელიქიშვილის მახვილგონივრუ-
ლობა საქართველო-ბიზანტიის ურთიერთობებზე მსჯელობისას, რომე-
ლსაც ასე ხაზს უსვამს დისერტანტი. ეს შეფასება მით უფრო გაუგე-
ბარია, რომ თვით ლ. ტუხაშვილი თავისი ნაშრომის სათანადო ადგი-
ლას (დისერტაციის ტექსტი, გვ. 24) მთლიანად ემიჯნება გ. მელიქი-
შვილის დასკვნებს აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.

მეტი დასაბუთება სჭირდება მოსაზრებას იმის შესახებ, რომ მწიგ-
ნობართუხუცეს-ჭყონდიდელის სახელო შეიქმნა გიორგი II-ის მეფობის
პერიოდში. ამასთან დაკავშირებით, მიუღებლად მიგვაჩნია დასკვნა იმის
შესახებაც, თითქოს ქართული ეკლესია (ავტოკეფალიის მოპოვების დრო-
იდან) დავით აღმაშენებლამდე სამეფო ხელისუფლების დაქვემდებარე-
ბის ქვეშ იყო და ამდენად დავით IV-სათვის სრულებითაც არ იყო აუ-
ცილებელი სასულიერო პირის (ეპისკოპოსის) მოწვევა მთავრობის სა-
თავეში. ჩვენი ქვეყნის ისტორიაში გვაქვს არაერთი მაგალითი (დავით
აღმაშენებლამდე), როდესაც ქართული ეკლესიის მესვეურები სულაც
არ იყვნენ ლოიალურნი საერო ხელისუფლების მიმართ და ცალკეულ
შემთხვევებში ამკარად ანტისამთავრობო კურსსაც კი ადგენენ, მათ შო-
რის საგარეო-პოლიტიკური ორიენტაციის საკითხშიც. ამ მხრივ განსა-
კუთრებით თვალში საცემია მელქისედეკ კათალიკოსის მაგალითი, რომ-
ლის გამოკვეთილ პრობიზანტიურ საქმიანობაზე (გიორგი I-ის ანტიბი-
ზანტიური კურსის საპირისპიროდ), ამ ბოლო დროს, სპეციალურად გა-
მახვილდა ყურადღება ისტორიოგრაფიაში.¹ აღსანიშნავია, რომ ლ. ტუ-
ხაშვილიც არ ტოვებს უყურადღებოდ ამ ფაქტს და სავსებით მართე-
ბულად უთითებს, რომ „XII ს. I მესამედში საქართველოს სახელმწიფო-
ებრივი და საეკლესიო პოლიტიკა ერთმანეთს არ დაემთხვა“ (გვ. 52).

არ არის სწორი აზრი იმის შესახებ, თითქოს „აფხაზეთა“ სამე-
ფოს შექმნა ბიზანტიის იმპერიის მიერ იყო ინსპირირებული (გვ. 24).
მართალია, „აფხაზეთის“ ერისთავის დაწინაურებას დასავლეთ საქარ-
თველოს მასშტაბით (ეგრისის ხელისუფალთა საპირისპიროდ) თავდაპირ-
ველად უდავოდ უჭერდა მხარს კონსტანტინოპოლი, მაგრამ სრულიად
ამკარაა, რომ ლეონ II-ის მიერ ძალაუფლების ხელში ჩაგდება ეგრის-
აფხაზეთში და მეფის ტიტულის მიღება გამოკვეთილი ანტიბიზანტიუ-
რი ქმედება იყო, რაზედაც პირდაპირ მიუთითებს „*მატიანე ქართლისა-
ოს*“ ავტორი („*რაჟამს მოუძღურდეს ბერძენნი, გააღვა მათგან ერისთავი
აფხაზეთა...*“).

¹ ზ. პაპასქირი. ერთიანი ქართული ფეოდალური სახელმწიფოს წარმოქმნა
და საქართველოს საგარეო პოლიტიკური მდგომარეობის ზოგიერთი საკი-
თხი. თბ., 1990, გვ. 134-137.

ასევე გაუმართლებლად მიგვაჩნია აგრეთვე მსჯელობა ბიზანტია-ხაზარეთის კომპრომისზე „აფხაზთა“ სამეფოს წარმოქმნასთან დაკავშირებით. გაუგებარია, რატომ არ უნდა ვენდოთ „მატიანე ქართლისაჲს“ ცნობას იმის შესახებ, რომ ლეონ II-ს ბიზანტიის წინააღმდეგ მხარს უჭერდა ხაზართა მეფე და, რომ ის სწორედ „ძალითა მათითა გაადგა ბერძენთა“ (ხაზგასმა ჩვენია – ზ.პ.). ამავე დროს, ჩვენ არც ხაზართა სამეფოს როლის („აფხაზთა“ სამეფოს წარმოქმნაში) გაზვიადების მომხრე ვართ და ამდენად ვერ გავიზიარებთ ლ. ტუხაშვილის დასკვნას, თითქოს იმ პერიოდში არსებობდა ერთგვარი „პოლიტიკური კოოპერაცია“ „აფხაზთა“ სამეფოსა და ხაზარეთს შორის (გვ. 253), თუძცა აზრი იმის შესახებ, რომ ხაზართა სახელმწიფოს დაცემის შემდეგ „აფხაზთა“ სამეფომ შეცვალა ის ჩრდილოეთ კავკასიაში, ძირითადად სწორად გვეჩვენება. ეს სრულებითაც არ უნდა ნიშნავდეს იმას, რომ საქართველოს მეფის ტიტულატურაში „ხაზართა და რუსის მბრძანებლის“ ტიტულის შეტანა აღნიშნული კონიუნქტურის ასახვა იყოს და „აფხაზ“ მეფეთა ტიტულიდან მომდინარეობდა. ჩვენის აზრით, „თარასოლში“ დაფიქსირებული ზემოთმოყვანილი ტიტულის შემოსვლა ქართველ მეფეთა ტიტულატურაში დაკავშირებული უნდა იყოს დავით აღმაშენებლის ჩრდილოურ პოლიტიკასთან.

ვერ დავეთანხმებით დისერტანტის აზრს, იმის შესახებ, რომ უფლისწულ ბაგრატის სამწლიანი „მძევლობა“ კონსტანტინოპოლში უდავოდ (ხაზგასმა ჩვენია – ზ.პ.) ხელსაყრელი აღმოჩნდა ორი მხარისთვის (გვ. 48). ვფიქრობთ, ასეთ კატეგორიულ დასკვნას სათანადო არგუმენტაცია სჭირდება. კერძოდ, უნდა გაირკვეს, თუ რაში გამოიხატა აღნიშნული „მძევლობის“ სარგებლიანობა ქართული მხარისათვის.

სწორად შენიშნავს ლ. ტუხაშვილი, რომ XIIს. 20-იანი წლების მიწურულს სამხრეთ საქართველოში მიმდინარე შინაომი არ ატარებდა გლეხთა სოციალური პროტესტის ხასიათს და რომ ეს ბრძოლები არ უნდა მივიჩნიოთ „წვრილი ერის“ სოციალურ გამოსვლად, როგორც ეს მიღებულია ისტორიოგრაფიაში. მაგრამ ჩვენ არც ამ მოვლენების ვიწრო-რელიგიურ ჩარჩოებში მოქცევა მიგვაჩნია გამართლებურად და ვთვლით, რომ იმდროინდელი შიდაქართული დაპირისპირება გამოწვეული იყო უწინარეს ყოვლისა, სწორედ ერთიანი ქართული სახელმწიფოს მისწრაფებებისა და ბიზანტიის ჰეგემონისტური ინტერესების ურთიერთშეთავსებლობით, რაზედაც სავსებით სამართლიანად მიუთითებს დისერტანტი, ოღონდ არა მხოლოდ რელიგიურ-იდეოლოგიურ სფეროში – ეს არ იყო განმსაზღვრელი, არამედ პირველ რიგში, პოლიტიკურში.

ვერ გავიზიარებთ ლ. ტუხაშვილის შეფასებებს გიორგი I-ის ქვირივის მარიამ დედოფლის დიპლომატიური მოღვაწეობის შესახებ. პირ-

ველ რიგში, არ მიგვაჩნია სწორად აზრი, თითქოს დედოფალი მარიამი კონსტანტინოპოლში ჩასულიყოს (1030-1031წწ.), მხოლოდ „სრულუფლებიანი და საგანგებო ელჩის“ რანგში. იმ დროს, როგორც ცნობილია, ბაგრატ IV ჯერ კიდევ მცირეწლოვანი იყო და ქვეყნის საქმეებს მთლიანად დედამისი განაგებდა, ფაქტობრივად ის რეგენტის ფუნქციას ასრულებდა. ამდენად, მარიამის სტატუსი ამ შემთხვევაში თითქმის სახელმწიფოს მეთაურის სტატუსს უახლოვდებოდა და არა სრულუფლებიანი დიპლომატიური წარმომადგენლისა.

ასევე კორექტირებას მოითხოვს აზრი იმის შესახებ, თითქოს მარიამ დედოფალს შეექმნას პირველი ქართული „მუდმივი წარმომადგენლობა ბიზანტიაში“ (გვ. 53). ასეთი რამ, დავით კურაპალატის ეპოქაში მაინც უნდა ჩამოყალიბებულიყო. ყოველ შემთხვევაში, ათონის ქართული ლავრის ამგვარი ფუნქცია (Xს. 70-იანი წლებიდან) ეჭვს არ უნდა იწვევდეს. ვფიქრობთ, გაჭირდება აგრეთვე მარიამის ვოიაჟში (XIIს. 50-იანი წლების შუა ხანები) რაიმე ანტიბიზანტიური ქმედების (კერძოდ, სულტანთან დაკავშირების მცდელობის) ძიება.

მარიამ დედოფალი, ჩვენი აზრით, პრობიზანტიური (ლ. ტუხაშვილის ზუსტი განმარტებით, „კომპრომისული“) პოლიტიკის ერთ-ერთი სულისჩამდგმელი იყო და თავისი მოღვაწეობის არცერთ ეტაპზე მას რაიმე ანტიბიზანტიური ნაბიჯი არ გადაუდგამს. აქედან გამომდინარე, ცალსახად მის „ჭეშმარიტ პატრიოტობაზე“, ისევე როგორც „უნიონისტ“ (ესეც ლ. ტუხაშვილის ტერმინია) მელქისედეკის „დიდ დიპლომატიაზე“ ხაზის გასმა მთლად გამართლებულად არ მიგვაჩნია. ასეთი შეფასებების ფონზე დისერტანტმა ფაქტობრივად ჩრდილში დატოვა გიორგი I, რომლის დიპლომატიური მოღვაწეობის მასშტაბები მართლაც რომ საყოველთაოდ ცნობილია. ამ შემთხვევაში, გიორგი I-ის მიერ ქართულ დიპლომატიაში შეტანილი სიახლეების, ლ. ტუხაშვილის სიტყვებით, „ტაქტიკურ-პოლიტიკური ხერხები“-ს (მოწინააღმდეგე ძალების გათიშვა, წონასწორობა მეზობლებთან, მოკავშირის ამორჩევის კრიტერიუმი, ძალის დემონსტრაციის მეთოდი და ა.შ.) უბრალო კონსტატაცია, სულაც არ არის საკმარისი ამ ჭეშმარიტად საერთაშორისო მასშტაბის პოლიტიკოსის დიპლომატიური აქტიურობის სრულყოფილი დახასიათებისათვის.

დაზუსტებას საჭიროებს ლ. ტუხაშვილის დასკვნა ბიზანტიის ჰეგემონისტური მისწრაფებებისადმი ბაგრატ III-ის დაპირისპირების შესახებ (გვ. 62). მიგვაჩნია, რომ ბაგრატ მეფე არასოდეს აშკარად არ გამოსულა კონსტანტინოპოლის წინააღმდეგ. პირიქით, კურაპალატის ტიტულის მიღებით მან ფაქტობრივად ცნო ბიზანტიის უზენაესობა, რითაც უზრუნველყო იმპერიის ნეიტრალიტეტი საქართველოში მიმდინარე გამა-

ერთიანებული პროცესებისადმი.

გაზვიადებულად მიგვაჩნია მსჯელობა სელჩუკთა აგრესიის გაძლიერების პერიოდში ქართული დიპლომატიის (ბაგრატ IV-ისა და გიორგი II-ის) სრული დაბნეულობის შესახებ. ბაგრატ IV-ს, მიუხედავად სელჩუკებთან ორგზის განცდილი მარცხისა, მაინც ჰქონდა ცალკეული დიპლომატიური წარმატებები. კერძოდ, მან მოხერხებულად გამოიყენა სულთან ალფ-არსლანთან დადებული შეთანხმება და დაამყარა კონტროლი ტაშირ-ძორაკეთზე. მანვე მოქნილი დიპლომატიური სვლით დაიკავა გაგის ციხე.

ასევე თვალში საცემია საქართველოს სამეფო კარის დიპლომატიური აქტიურობა გიორგი II-ის მეფობის პირველ პერიოდში (70-იან წლებში) მაინც, რაც, პირველ რიგში, გამოიხატა კონსტანტინოპოლთან პარტნიორობისა და თანამშრომლობის ურთიერთობის შემდგომ გაღრმავებაში. ასე რომ, აზრი, თითქოს ქართულმა დიპლომატიამ ვერ მოძებნა ბიზანტია-სელჩუკეთის – „ამ ორი ვეშაპის ურთიერთდაპირისპირებაზე აგებული წონასწორობის მოდუსი“, მთლად ზუსტი არ არის. ამგვარი მოდუსი მოძებნილი იყო და ქართული დიპლომატია კარგა ხანს მოხერხებულად იყენებდა მას საკუთარი მიზნებისათვის, მაგრამ სხვა საკითხია, რომ მანაზკერტის კატასტროფის შემდეგ ბიზანტია უკვე არ წარმოადგენდა იმ ძალას, რომელსაც შეეძლო სერიოზულად დაპირისპირებოდა მოზღვავებულ თურქობას. სწორედ ამან განსაზღვრა საქართველოს ბედი XI ს. 80-იან წლებში.

უაღრესად საინტერესოა დისერტანტის დაკვირვებები საქართველოს სახელმწიფოს საგარეო-ეკონომიკურ ურთიერთობაზე, თუმცა აქაც ვხვდებით ზოგიერთ საკამათო თეზისს. ასე, მაგალითად, ჩვენის აზრით, არ არის სწორი დასკვნა იმის შესახებ, რომ მხოლოდ ბაგრატ IV-ის დროიდან გაჩნდა „სომხური“ და „ბიზანტიური“ ოლქების შემოერთების ინტერესი. ასეთი სწრაფვა, თუ უფრო ადრე არა, დავით კურაპალატის ეპოქაში მაინც ამკარაა. გაუგებარია ლ. ტუხაშვილის ეჭვი იმის შესახებ, საჭირო იყო თუ არა საერთაშორისო სავაჭრო მაგისტრალების დაუფლება მაშინ, როდესაც საქართველოს არ შეეძლო ამ მაგისტრალების ეკონომიკური ათვისება (გვ. 95).

დასასრულს, კიდევ ერთხელ გვინდა აღვნიშნოთ, რომ ჩვენს მიერ აქ გამოთქმული შენიშვნები შეეხება მხოლოდ ცალკეულ კონკრეტულ საკითხებს და მიზნად ისახავენ მათ შემდგომ დახვეწა-დაზუსტებას. რაც შეეხება ლ. ტუხაშვილის სადისერტაციო ნაშრომს მთლიანად, იგი, ვიმეორებთ, შესრულებულია მაღალ მეცნიერულ დონეზე და მისი ავტორი უდავოდ იმსახურებს ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხს.

ქართული დიპლომატიის ისტორიის კვლევის ახალი ეტაპი*

„ქართული დიპლომატიის“ წელიწდეულის პირველი სამი ტომის გამოსვლა უდავოდ მნიშვნელოვანი მოვლენაა უკანასკნელი პერიოდის საქართველოს სამეცნიერო-კულტურულ ცხოვრებაში. გარდა იმისა, რომ ეს ფაქტი თავისთავად შეიძლება ვადიაროთ, თანამედროვე ქართული საისტორიო მეცნიერების თვალსაჩინო მიღწევად, საქართველოს საგარეო-პოლიტიკური ურთიერთობებისა და დიპლომატიის ისტორიის კვლევის თვისობრივად ახალი ეტაპის დასაწყისად, „ქართული დიპლომატიის“ გამოცემა, დღევანდელ სიტუაციაში, გარკვეულ პოლიტიკურ დატვირთვისაც იძენს.

არავისთვის არ არის საიდუმლო, რომ ჩვენს ახალბედა სახელმწიფოს, რომელიც ახლა დგამს პირველ დამოუკიდებელ ნაბიჯებს საერთაშორისო არენაზე, ყველა ერთნაირად არ უყურებს. ჯერ კიდევ საკმაოდ არიან ძალები, რომელთაც ჯეროვნად არა აქვთ გააზრებული საქართველოს სახელმწიფოს როლი და ადგილი კავკასია-ახლო აღმოსავლეთის სივრცეში და სათანადო ანგარიშს არ უწევენ ჩვენი ქვეყნის ეროვნულ ინტერესებს. მავანს, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ ვერ გაუცნობიერებია შექმნილი რეალობა და ვერ შერიგებია სუვერენული ქართული სახელმწიფოს არსებობას, რომელსაც XX საუკუნის მიწურულს ისტორიამ კვლავ დააკისრა გარკვეული ფუნქცია საერთაშორისო მასშტაბით. არადა, კავკასიის რეგიონში ამ ბოლო დროს განვითარებულმა მოვლენებმა თვალნათლივ დაანახა ყველას, რომ საქართველოს გვერდის ავლით არავის ძალუძს რაიმე სერიოზული კორექტივების შეტანა პოლიტიკურ ძალთა განლაგებაში და კონკრეტული სამხედრო-სტრატეგიული თუ ეკონომიკური მიზნების რეალიზება. ასეთ ვითარებაში, როგორც არასდროს, საჭიროა მთელი ჩვენი ისტორიული მემკვიდრეობის წარმოჩენა და მეცნიერულად დასაბუთებული, ობიექტური სურათის შექმნა ქართული პოლიტიკური სამყაროს საგარეო ურთიერთობებზე, ჩვენი ქვეყნის საერთაშორისო როლზე მისი ისტორიის მთელ მანძილზე. თამამად შეიძლება ითქვას, რომ „ქართული დიპლომატიის“ წელიწდეულის პირველი ტომები ამ იდეის რეალურად ხორცშესხმის ნამდვილად კარგი დასაწყისია.

* წაკითხულ იქნა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გამართულ „ქართული დიპლომატიის“ წელიწდეულის პირველი სამი ტომის პრეზენტაციაზე. დაიბეჭდა გაზეთში: „საქართველოს რესპუბლიკა“, №244, 5.XII.1996.

რასაკვირველია, წელიწდულის ტომებში მოთავსებული პუბლიკაციების სრულფასოვანი, კვალიფიციური შეფასება არ არის ადვილი საქმე და, ბუნებრივია, ამის ასე სახელდახელოდ გაკეთება არც არის მიზანშეწონილი. ამიტომ, ამჯერად მხოლოდ ზოგადი შთაბეჭდილებებით შემოვიფარგლებით.

პირველი, რაც საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, ესაა კრებულში შესულ ნაშრომთა ფართო ქრონოლოგიური ჩარჩოები. მათში გაშუქებულია ჩვენი ქვეყნის საგარეო-პოლიტიკური ურთიერთობები ქართული სახელმწიფოებრიობის გარიჟრაჟიდან – დაიქმნი-დიაოხისა და ძველი კოლხეთ-იბერიის ეპოქიდან – დღემდე. ყურადღებას იქცევს, აგრეთვე, წელიწდულის პუბლიკაციათა თემატური მრავალფეროვნებაც. სტატიების უდიდესი ნაწილი, ბუნებრივია, ეხება საქართველოს საგარეო-პოლიტიკური ურთიერთობების და დიპლომატიის ისტორიის კონკრეტულ საკითხებს, მაგრამ არანაკლებ ინტერესს იწვევს წერილები თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობათა თეორიული ასპექტების შესახებ და ცალკეულ ხელშეკრულებათა საერთაშორისო-სამართლებრივი ანალიზი. ცალკე უნდა გამოვყო სტატიების ჯგუფი, რომელშიც მოცემულია სხვადასხვა დიპლომატიური ტერმინის შინაარსი. უნდა აღინიშნოს, რომ ეს ქართული დიპლომატიის ისტორიის კვლევის სრულიად ახალი მიმართულებაა.

კრებულში გარკვეული ადგილი ეთმობა თვალსაჩინო ქართველ ისტორიკოსთა და განმანათლებელთა ისტორიოგრაფიული მემკვიდრეობის წარმოჩენასაც. ამ მხრივ, განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ცნობილი ქართველი პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწის, დიპლომატის, მეცნიერ-ისტორიკოსისა და იურისტის, საქართველოს საგარეო-პოლიტიკური ურთიერთობებისა და დიპლომატიის მეცნიერული შესწავლის ერთ-ერთი პიონერის ზურაბ ავალიშვილის ნარკვევები XVI-XVII საუკუნეების საქართველო-ირანის ურთიერთობაზე. არანაკლებ მნიშვნელოვანია საგარეო და საშინაო დიპლომატიის შესწავლის თვალსაზრისით ა. ჩხენკელის უაღრესად საინტერესო მემუარული ჩანაწერი და 1920-1922 წლებში დასავლეთ ევროპაში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის დიპლომატიური მოღვაწეობის ამსახველი სხვა დოკუმენტები, ივერიელ მეფეთა და მთავართა 1790 წლის ტრაქტატის პუბლიკაცია. კრებულში გამოქვეყნებული დოკუმენტური მასალებიდან მაინც განსაკუთრებით ფასეულია თანამედროვე საქართველოს საგარეო-პოლიტიკური ურთიერთობებისა და საერთაშორისო ორგანიზაციებში ჩვენი ქვეყნის მონაწილეობის ამსახველი ფუნდამენტური დოკუმენტები. კრებულს ამდიდრებს ნარკვევები მეზობელი ქვეყნების პოლიტიკურ

ცხოვრებაზე და ა.შ.

„ქართული დიპლომატიის“ წელიწდეულის მასალების ღირებულებას უდავოდ ზრდის ის ფაქტი, რომ მთელ რიგ სტატიებში მოცემულია ამა თუ იმ მოვლენის ახლებური გააზრება, გამომზეურებულია საქართველოს საგარეო პოლიტიკისა და დიპლომატიის ისტორიის არაერთი ახალი ფაქტი, განსაკუთრებით მისასაღებელია ისიც, რომ კრებულში ღვაწლმოსილ მეცნიერთა გვერდით ღირსეულადაა წარმოდგენილი ახალგაზრდა ისტორიკოსებიც, რომლებიც ახლა იწყებენ სამეცნიერო-კვლევით საქმიანობას.

დაბოლოს: „ქართული დიპლომატიის“ წელიწდეულის ტომების ღირსებებზე საუბრისას არ შეიძლება ხაზგასმით არ აღინიშნოს გამოცემის მაღალი პოლიგრაფიული დონე, რაც უდავოდ გამომცემლობისა და სტამბის თანამშრომელთა კვალიფიციური მუშაობის შედეგია. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ბოლო წლების განმავლობაში პოლიგრაფიული თვალსაზრისით ამ დონის გამოცემა (ისტორიის დარგში მაინც) არ განხორციელებულა.

ამრიგად, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართული სახელმწიფო და სახალხო დიპლომატიის ისტორიის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის მიერ „ქართული დიპლომატიის“ წელიწდეულის გამოცემა ჩვენი ისტორიოგრაფიის მნიშვნელოვანი წინგადადგმული ნაბიჯია. მივულოცოთ წელიწდეულის ავტორებს, მის სარედაქციო კოლეგიას, მთავარ რედაქტორს, ამ შესანიშნავი გამოცემის თაოსანს და ჭეშმარიტად სულისჩამდგმელს აკადემიკოს როინ მეტრეველს ეს დიდი გამარჯვება და ვუსურვოთ ახალი შემოქმედებითი წარმატებები.

ენათმეცნიერული გამოკვლევა აფხაზეთის ისტორიულ წარსულზე

რეცენზია თეიმურაზ გვანცელაძის მიერ ფილოლოგიის მეცნიერებათა
დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილ
სადისერტაციო ნაშრომზე „აფხაზეთის ისტორიოგრაფიის
ლინგვისტური საფუძვლები“
სპეციალობა 10.02.09 – მთის იბერიულ-კავკასიური ენები. 1997.

აწინდელი აფხაზეთის ძველი და შუა საუკუნეების პერიოდის ეთნიკური ისტორიის პრობლემები ყოველთვის იწვევდა მეცნიერ-ისტორიკოსთა საგანგებო ინტერესს, მაგრამ განსაკუთრებული სიმწვავე ამ საკითხების შესწავლამ შეიძინა XX ს. 50-იანი წლების შუახანებიდან, მას მერე, რაც გამოვიდა პავლე ინგოროყვას განმარტებული ნაშრომი: „გიორგი მერჩულე“¹ ამ პერიოდიდან, ცნობილი მიზეზების გამო, აღნიშნულ პრობლემატიკაზე მუშაობამ გარკვეული პოლიტიკურ-იდეოლოგიური დატვირთვაც მიიღო და ის, როგორც ცნობილია, ერთგვარი წნეხის ქვეშ მოექცა. ამასთან, ეს წნეხი ძირითადად გავრცელდა ქართველ მეცნიერებზე, რომელთაც რამდენადმე „აეკრძალათ“ მონაცინონალისტო აფხაზ ისტორიკოსთა ნაცოდვილარის სერიოზული კრიტიკა და სრული სიმართლის „საამჟამოაზე“ გამოტანა.

მიუხედავად ამისა, არ შეიძლება ითქვას, რომ ქართულმა ისტორიოგრაფიამ პრინციპულად რაიმე დათმო. პირიქით, ნ. ბერძენიშვილის, გ. მელიქიშვილის, მ. ინაძის, ნ. ლომოურის, მ. ლორთქიფანიძის, დ. მუსხელიშვილის, ე. ხოშტარია-ბროსეს და სხვა მკვლევართა ნაშრომებში სათანადო მეცნიერული სიზუსტით შექდებოდა აფხაზეთის ეთნიკური ისტორიის ე.წ. „სადავო“ პრობლემები, თუმცა არსებული კონიუნქტურის გამო ნამდვილად იზღუდებოდა მათი „ფართო რეკლამირება“, რის გამოც შეიქმნა მცდარი აზრი, თითქოს ქართველი ისტორიკოსები ვერ დგანან თავის დონეზე და მათ წააგეს აფხაზეთთან ისტორიოგრაფიული ჭიდილი.

უფრო მეტიც, ზოგიერთი საქმეში ჩაუხედავი „გულშემატკივარი“ სრულიად უბოდიშოდ სდებს ბრალს ქართველ ისტორიკოსებს კონიუნქტურულობაში და ლამის ეროვნულ დალატშიც კი. სინამდვილეში ქარ-

¹ თანამედროვე აფხაზეთისა და ზოგადად დასავლეთ საქართველოს ეთნიკური ისტორიის საკითხებისადმი მიძღვნილია აღნიშნული ნაშრომის IV თავი. იხ.: **პ. ინგოროყვა**. გიორგი მერჩულე. *მწერალი მეთე საუკუნისა*. თბ., 1954, გვ. 114-295.

თულ ისტორიოგრაფიას გააჩნია (პირველ რიგში, ამის ნათელი დადასტურებაა ფუნდამენტური განმაზოგადებელი გამოცემის „საქართველოს ისტორიის ნარკვევების“ შესაბამისი ტომები) საკმაოდ მკაფიო და მეცნიერულად არგუმენტირებული წარმოდგენა ძველი და შუასაუკუნეების ხანის დასავლეთ საქართველო-აფხაზეთის ეთნიკურ ისტორიაზე. აღნიშნული, რასაკვირველია, სრულებითაც არ ნიშნავს იმას, რომ მოცემული მიმართულებით ყველაფერი გარკვეულია და შემდგომ კვლევა-ძიებას არ საჭიროებდეს. პირიქით, აფხაზეთის ეთნიკურ ისტორიასთან დაკავშირებული ძალიან ბევრი საკითხი ჯერ კიდევ ბურუსითაა მოცული და უფრო საფუძვლიან და, რაც მთავარია, კომპლექსურ შესწავლას მოითხოვს. განსაკუთრებით ეს ეხება აფხაზთა ეთნოგენეზისა და თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიაზე მათი განსახლების საკითხს. ამ თვალსაზრისით, თეიმურაზ გვანცელაძის მიერ დასაცავად წარმოდგენილი სადისერტაციო შრომა უდავოდ კიდევ ერთ წინგადადგმულ ნაბიჯს წარმოადგენს.

სარეცენზიო ნაშრომი შედგება შესავლის, 11 თავის და დასკვნისაგან. მას ახლავს გამოყენებული წყაროებისა და სამეცნიერო ლიტერატურის საკმაოდ ვრცელი სია.

შინაარსობრივად სადისერტაციო შრომა ორ ნაწილად იყოფა. პირველი 5 თავი წმინდა ისტორიულ-წყაროთმცოდნეობით ძიებებს უკავია, ხოლო დანარჩენი 6 თავი – მკვლევრის ლინგვისტურ დაკვირვებებს. აქედან გამომდინარე, ჩვენი შეფასებები, ბუნებრივია, ძირითადად, სწორედ სარეცენზიო შრომის პირველ ნაწილში მოცემულ მასალას შეეხება.

თ. გვანცელაძის ისტორიულ-წყაროთმცოდნეობითი კვლევა მთლიანად ეხება აფხაზეთსა და აფხაზეთზე „ქართლის ცხოვრების“ მათიანეებსა და აგრეთვე ზოგიერთ სხვა ძეგლში მოცემული მასალების ანალიზს. კერძოდ, მას საგანგებოდ აქვს შესწავლილი ტერმინების – „აფხაზეთისა“ და „აფხაზების“ სემანტიკა „ქართლის ცხოვრების“ ე.წ. ლეონტი მროველისეულ თხზულებებში; „ეგურ“ ფუძისაგან მომდინარე გეოგრაფიული და სატომო სახელები; ლეონტი მროველის კონცეფცია კავკასიელ ეთნოსთა წარმომავლობისა და თავდაპირველი საცხოვრისის შესახებ; აფხაზეთთან დაკავშირებული მასალები ჯუანშერის მათიანეში; ტერმინების: „აფხაზისა“ და „აფხაზეთის“ – სემანტიკის ცვლის დინამიკა „ქართლის ცხოვრების“ მათიანეებში და ა.შ.

მისასაღმებელია ავტორის მცდელობა, ახლებურად მიუდგეს „ქართლის ცხოვრების“ მასალებს აფხაზეთზე და აფხაზეთზე, თუმცა აქვე არ შეიძლება არ აღვნიშნოთ, რომ დისერტანტის ნოვაციები ამ მიმართულებით, ჩვენი აზრით, უფრო მყარ არგუმენტაციას მოითხოვს.

თავდაპირველად ნაშრომის ამ ნაწილისა და საერთოდ გამოკვლევის პოზიტიურ მხარეებზე. უთუოდ სწორი და დამაჯერებელია დისერტანტის დაკვირვებები „ქართლის ცხოვრების“ დასაწყის ნაწილში აფხაზეთის მოხსენიების შესახებ (მხედველობაში გვაქვს მატიანის ინფორმაცია ადერკის მეფობის დროს მოციქულთა: ანდრია პირველწოდებულისა და სიმონ კანანელის ეგრისისა და აფხაზეთში ქადაგების შესახებ). თ. გვანცელაძეს, ჩვენი აზრით, სავსებით მართებულად მიაჩნია მატიანის ეს ნაწილი გვიანდელ ჩანართად. ამასთან დაკავშირებით, არ შეიძლება არ დავეთანხმოთ აგრეთვე დასკვნას იმის შესახებაც, რომ ექვთიმე ათონელის თხზულებაში ამავე ფაქტის გადმოცემისას მოხსენიებული აფხაზეთი უნდა აღნიშნავდეს არა საკუთრივ აფხაზეთს (დღევანდელი გაგებით), არამედ დასავლეთ საქართველოს მთლიანად, თუმცა ამას ასევე დაბეჯითებით ვერ ვიტყვით იმავე ფაქტის გიორგი ხუცეს-მონაზონისეულ აღწერაზე, სადაც არ არის აუცილებელი აფხაზეთი დასავლეთ საქართველოს აღმნიშვნელი ტერმინი იყოს. ჩვენი აზრით, არაა გამორიცხული, რომ ამჯერად აფხაზეთი მთლიანად გაერთიანებულ ქართულ სახელმწიფოსაც ნიშნავდეს.

სავსებით სწორია, აგრეთვე, ტერმინ „აფხაზეთისა“ და „სრულიად აფხაზეთის“ თ. გვანცელაძისეული გაგება გიორგი ხუცეს-მონაზონის თხზულების იმ ადგილებიდან, რომელშიც გადმოცემულია გიორგი მთაწმინდელის დასავლეთ საქართველოში და საკუთრივ აფხაზეთში ყოფნის ამბავი. დამაჯერებელია დისერტანტის დასკვნები ტერმინების „შიდა ეგრისისა“, ე.ი. საკუთრივ ეგრისის და „ეგრისის“, როგორც მთელი დასავლეთ საქართველოდ გაგების შესახებ. ასევე სწორია თ. გვანცელაძის აზრი იმის შესახებაც, რომ XIII საუკუნის I ნახევარში ცხუმში და აფხაზეთი „ერთი და იმავე მიწა-წყალი არ იყო“ და რომ „ცხუმში არ შედიოდა აფხაზეთში“. თუმცა ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ამ პერიოდში ცხუმში რაღაც **დამოუკიდებელი პოლიტიკური (!) ერთეულის** ცენტრი იყო, როგორც ამას აღნიშნავს დისერტანტი. სწორია თ. გვანცელაძის დაკვირვებები დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის თხზულებაში ტერმინ აფხაზეთის გამოყენებასთან დაკავშირებით.

ორიოდე სიტყვით დისერტანტის ლინგვისტური ძიებების შესახებ და მათ მნიშვნელობაზე აწინდელი აფხაზეთის ისტორიული წარსულის აღსადგენად. ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე შეიძლება ვამტკიცოთ, და ამას სავსებით სამართლიანად მიუთითებს თავად დისერტანტი, ენათმეცნიერებას ცალკეულ შემთხვევებში მართლაც შეუძლია „გადამწყვეტი მნიშვნელობის საბუთების მიწოდება“ ისტორიკოსებისა და ეთნოლოგებისათვის. თ. გვანცელაძე ფაქტობრივად პირველი ქართველი მეც-

ნიერია, რომელიც ამ კუთხით მიუდგა ლინგვისტურ მასალას და შეეცა- და მისი ისტორიოგრაფიის სამსახურში ჩაყენებას. სწორედ ესაა ყვე- ლაზე ფასეული სადისერტაციო ნაშრომში. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ამ მიმართულებით ე.წ. „აფხაზურმა ისტორიოგრაფიამ“ უკვე გა- დადგა გარკვეული ნაბიჯები (მხედველობაში მაქვს შ. ინალ-იფას გახ- მაურებული წიგნი¹, რომელშიც სრულიად გაყალბებულად და დილე- ტანტურად იყო წარმოდგენილი აფხაზური ენობრივი მასალა), თ. გვან- ცელაძის კვლევა განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს.

რასაკვირველია, ჩემს კომპეტენციაში არ შედის დისერტანტის შრომის ამ ნაწილის კვალიფიციური შეფასება, მაგრამ თავს უფლებას ვაძლევ, სადისერტაციო საბჭოს მოკრძალებით გაუუზიარო ზოგადი შთაბეჭდილე- ბები ამ ნაწილის მიმართაც. პირველი და უმთავრესი, რომელიც აშკა- რად თვალშისაცემია, არის დისერტანტის მიერ საკვლევი მასალის ღრმა ცოდნა და პროფესიონალიზმი. თ. გვანცელაძის დასკვნებიდან ჩვენი ყუ- რადღება განსაკუთრებით მიიპყრო ტერმინ „აბასგა“-ს ბერძნულში არა უშუალოდ აფხაზურ-აბაზგური მეტყველებიდან, არამედ ოსთა ენიდან შესვლის შესახებ, თუმცა, მიგვაჩნია, რომ ძვ.წ. II საუკუნემდე, რო- დესაც პირველად დაფიქსირდა ძველბერძნულ წყაროში ტერმინი „აბას- გა“, ამის პოლიტიკური პირობები ნაკლებად არსებობდა. საინტერესოდ გვეჩვენება, აგრეთვე „აფშილთან“ შედარებით ტერმინ „აფშელისათვის“ უპირატესობის მინიჭება, თუმცა გვეჩვენება, რომ ამ შემთხვევაშიც მეტი არგუმენტაციაა საჭირო. ამასთან დაკავშირებით ნიშნადობლივად მიგ- ვაჩნია გვარ-სახელ „აფშილავას“ და არა „აფშელავას“ არსებობა.

ჩვენ მთლიანად ვეთანხმებით დისერტანტის აზრს „ისტორიანი და აზმანი შარავანდელთანის“ ტექსტში „ლაშას“ სახელთან დაკავშირებით მოცემული განმარტების ინტერპრეტაციის საკითხში და ასევე მიგვაჩ- ნია, რომ ტერმინების: „აფსარი“-„აფსილი“-„აფსუა“ – იდენტიფიკაცია არავითარ ეჭვს არ უნდა იწვევდეს.

საგანგებოდ უნდა აღვნიშნოთ თ. გვანცელაძის დასკვნები ქართვე- ლური სუბსტრატის საკითხთან დაკავშირებით აფხაზური ენის დიალექ- ტთა ფონოლოგიურ სისტემაში, რომლებიც, ჩვენი აზრით, უდავოდ იძ- ლევა აკად. სიმონ ჯანაშიას ცნობილი თეზისის: „აფხაზებს, მათი დლე- ვანდელი ტერიტორიის დიდ ნაწილზე, წინ უსწრებდა სვანურ-ზანური მოსახლეობა“² – ენათმეცნიერულ დასაბუთებას. საკვებით მისაღები და დამაჯერებელია თ. გვანცელაძის ზოგიერთი მსჯელობები აფხაზურ ენა-

¹ Ш. Д. Инал-ипа. Вопросы этнокультурной истории абхазов. Сухуми, 1976.

² ს. ჯანაშია. თუბალ-თაბალი, ტიბარენი, იბერი. – შრომები, ტ. III, თბ., 1959, გვ. 15.

ში ქართველური წარმოშობის ზოგიერთი სოციალური ტერმინის გაჩენის დროს საკითხთან დაკავშირებით, აგრეთვე ქართველური წარმოშობის სუბსტრატული ტოპონიმების შესახებ აფხაზეთში (განსაკუთრებით ბიჭვინთა, გაგრა (გაგარი), ტყვარჩელი და ა.შ.). უაღრესად საინტერესოა დაკვირვებები ქართველურ ფენაზე აფხაზეთა დაგროვილ ლექსიკაში, აგრეთვე ქართველური წარმოშობის გვარ-სახელებზე და მათ მნიშვნელობაზე აფხაზურ ტომთა ისტორიული მიგრაციის დროისა და მარშრუტის საკითხის გარკვევისას.

ამრიგად, ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე შეიძლება ითქვას, რომ თ. გვანცელაძის მიერ დამუშავებული ლინგვისტური მასალა უდავოდ მნიშვნელოვან სამსახურს გაუწევს ისტორიოგრაფიას დღევანდელი აფხაზეთისა და საკუთრივ აფხაზეთის ეთნიკური ისტორიის საკითხების უკეთ შესწავლის საქმეში. ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, მიმაჩნია, რომ თეიმურაზ გვანცელაძის სადისერტაციო ნაშრომის სახით საქმე გვაქვს სოლიდურ მეცნიერულ გამოკვლევასთან, რომელშიც კაპიტალურად არის დამუშავებული საკვლევი პრობლემა (განსაკუთრებით ლინგვისტური თვალსაზრისით) და მიღებულია უაღრესად საყურადღებო შედეგები. ყოველივე ეს მძღვეს უფლებას, ვიშუამდგომლო სადისერტაციო საბჭოს წინაშე, რათა თეიმურაზ იონას ძე გვანცელაძეს მიენიჭოს ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხი.

წარმოდგენილი სადისერტაციო ნაშრომის მიმართ გაგვანჩნია ცალკეული შენიშვნები. ამასთან, საგანგებოდ გვინდა აღვნიშნოთ, რომ ყველა ჩვენი შენიშვნა ეხება სარეცენზიო ნაშრომის არა ძირითად – ენათმეცნიერულ ნაწილს, რომლის მიხედვითაც, პრინციპში, უნდა მიენიჭოს კიდევ დისერტანტს საძიებელი ხარისხი, არამედ ისტორიულ-წყაროთმცოდნეობით ძიებებს.

თ. გვანცელაძის ნაშრომის ამ ნაწილის მთავარ ნაკლად მიგვანჩნია ის, რომ მკვლევარი, ჩვენი აზრით, ზედმეტად გაერთო „ქართლის ცხოვრების“ მათიანეებში გვიანდელი ჩანართების ძიებით და რამდენადმე ჰიპერკრიტიკულად მოეკიდა კრებულის ქართულ ნუსხებში დაფიქსირებულ ინფორმაციას აფხაზეთისა და აფხაზეთზე V-VIII საუკუნეების მოვლენებთან დაკავშირებით. ასე, მაგალითად: ჩვენ ვერაფრით ვერ გავიზიარებთ დისერტანტის მიერ დაშვებულ შესაძლებლობას იმის შესახებ, რომ „არჩილის წამების“ ტექსტში დაფიქსირებული აფხაზეთი, სადაც არაბებმა სასტიკი მარცხი განიცადეს (ლაპარაკია მურვან ყრუს ლაშქრის დამარცხებაზე ანაკოფიასთან მირისა და არჩილის მიერ)¹, ნიშნავ-

¹ ლეონტი მროველი. წამება წმიდისა და დიდებულისა მოწამისა არჩილისი, რომელი-იგი იყო მეფე ქართლისა. – *ქართლის ცხოვრება*. ტექსტი და-

დეს არა საკუთრივ აფხაზეთს, არამედ მთელ დასავლეთ საქართველოს.

მეტი არგუმენტაცია სჭირდება დისერტანტის აზრს იმის შესახებ, რომ ლეონტი მროველის კონცეფციაში მოცემულ კავკასიელ ეთნოსთა შორის აფხაზები თითქოს იგულისხმებოდნენ „კავკასიანებში“, რაც იმის მაჩვენებელია, რომ აფხაზთა წინაპრები იმ პერიოდში, სვანებისაგან განსხვავებით, ცხოვრობდნენ არა ეგროსის წილხვედრ ქვეყანაში, არამედ მის ფარგლებს გარეთ – ჩრდილოეთ კავკასიაში. ამასთან დაკავშირებით, ჩვენ გადაჭარბებულად გვეჩვენება საერთოდ ლეონტი მროველის რაიმე მწყობრ სისტემაზე ლაპარაკი და ვფიქრობთ, რომ ლეონტი მროველს ძალზე ზერელე წარმოდგენა ჰქონდა დასავლეთ საქართველო-აფხაზეთზე, რის გამოც მის მასალაზე დაყრდნობით რაიმე სერიოზული დასკვნების გაკეთება რეგიონის ეთნიკური რუკის შესახებ გაუმართლებლად მიგვაჩნია.

ვერაფრით ვერ გავიზიარებთ თ. გვანცელაძის დასკვნებს ჯუანშერ ჯუანშერიანის თხზულებად მიჩნეული მატეანის „ცხოვრება ვახტანგ გორგასლისას“ ტექსტში აფხაზეთთან დაკავშირებული ფრაგმენტების გვიან ჩამატების შესახებ და ვფიქრობთ, რომ დისერტანტის მიერ მოტანილი არგუმენტაცია, განსაკუთრებით კი „ქართლის ცხოვრების“ სომხური თარგმანისათვის (ქართულ ორიგინალთან შედარებით) უპირატესობის მინიჭება სრულიად მიუღებელია. ცალკეულ შემთხვევებში, ჩვენი აზრით, არ არის ზუსტი ჯუანშერის ტექსტის თ. გვანცელაძისეული წაკითხვაც. ასე, მაგალითად: ჩვენ ვერ დავეთანხმებით დისერტანტის მტკიცებას იმის შესახებ, რომ ფრაგმენტში: „მასვე ჟამსა გამოვიდეს ბერძენნი აფხაზეთად, რამეთუ ბერძენთა ჰქონდა ეგრისწყალს ქუემოთი კერძი ყოველი და დაიპყრეს ეგრისწყლიდან ვიდრე ციხე-გოჯადმდე“¹ – აფხაზეთი მოიცავდეს მთელ დასავლეთ საქართველოს, რაც თ. გვანცელაძეს მიაჩნია იმის მოწმობად, რომ ეს ფრაგმენტი მოგვიანებითაა (VIII საუკუნის შემდეგ) ჩამატებული და ის მატეანის თავდაპირველ ტექსტში არ იყო.

ამ საკითხთან დაკავშირებით ჩვენ მთლიანად ვემხრობით ტექსტის ს. ყაუხჩიშვილისეულ გაგებას და მიგვაჩნია, რომ მოცემულ ცნობაში უბრალოდ ლაპარაკია ბერძენთა მხოლოდ გადმოსვლაზე აფხაზეთში, საიდანაც მათ, როგორც ჩანს, დაიწყეს ტერიტორიის დაპყრობა „ეგრისწყლიდან ვიდრე ციხე-გოჯადმდე“ და არა იმაზე, რომ აღნიშნული ტერი-

დგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. ტ. I. თბ., 1955, გვ. 247.

¹ ჯუანშერ ჯუანშერიანი. ცხოვრება ვახტანგ გორგასლისა. – ქართლის ცხოვრება. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. ტ. I. თბ., 1955, გვ. 146.

ტორია (ეგრისწყალსა და ციხე-გოჯს შუა) შედიოდა აფხაზეთში. რაც შეეხება იმ ფაქტს, რომ „ქართლის ცხოვრების“ სომხური თარგმანის შესაბამის ადგილას არ არის მოხსენიებული აფხაზეთი, ჩვენი აზრით, ეს ტექსტის შემოკლებით არის გამოწვეული.

განსახილველ ცნობაში მთავარი ფაქტია არა ის, თუ სად გადმო-სხეს ბერძენთა ლაშქარი, არამედ ის, რომ ამ ლაშქარმა დაიპყრო კონ-კრეტული ტერიტორია. სრულიად აშკარაა, რომ სომეხმა მთარგმნელმა, რომელიც, როგორც საყოველთაოდაა აღიარებული, შემოკლებულ თარგ-მანს აკეთებს, დატოვა უმთავრესი ფაქტი – „ეგრისწყლის ქვემოთ ქუ-ჯის ციხემდე“ ტერიტორიის დაპყრობა და მიზანშეწონილად არ ჩათვა-ლა იმის მითითება, თუ საიდან გადმოვიდნენ ბერძნები, ე.ი. ის ფაქტი, რომ სომხურ თარგმანში არ გვხვდება „აფხაზეთი“, სულაც არ ნიშ-ნავს იმას, რომ მატიანის თავდაპირველ ტექსტშიც არ იყო ეს სიტყვა. პირიქით ეს გარემოება უფრო იმაზე მიუთითებს, რომ სწორედ ქართუ-ლი ტექსტი იძლევა სრულ და ყოვლისმომცველ ინფორმაციას აღნიშ-ნულ მოვლენაზე და ისაა უფრო სანდო და არა სომხური თარგმანი. ასევე გვესმის ჩვენ ჯუანშერის ქრონიკის ის ფრაგმენტი, სადაც მოთხ-რობილია ვახტანგ გორგასლის მიერ ბერძნებისაგან „ციხენი აფხაზე-თისანი ყოველნი ვიდრე ციხე-გოჯამდე“ განთავისუფლებაზე.¹

ვერ დავეთანხმებით დისერტანტს „ცხოვრება ვახტანგ გორგასლი-სას“ იმ ფრაგმენტის გაგებაშიც, სადაც ლაპარაკია იმაზე, თუ როგორ „გამოიკითხა კეისარმან საზღვარი საბერძნეთისა, ქუეყანასა ზღვსა პირ-სა, რომელ არს აფხაზეთი... ეგრისწყლითგან ვიდრე მდინარემდე მცი-რისა ხაზარეთისა... და დაუწერა ეგრისწყალსა და კლისურსა შუა ქვე-ყანა ზითვად და სხუა აფხაზეთი უკუსცა ბერძენთა ვახტანგ“² თ. გვან-ცელაძეს, ჩვენი აზრით, სრულიად უსაფუძვლოდ შეაქვეს ეჭვი ისტორი-ოგრაფიაში გაბატონებულ შეხედულებაში, რომლის მიხედვითაც მოყვა-ნილ ტექსტში მოცემულია საკუთრივ აფხაზეთის საზღვრები, რომლის ნაწილი (ეგრისწყლიდან კლისურამდე) ბერძენთა კეისარმა მზითევში მის-ცა ვახტანგ გორგასალს. ამ შემთხვევაში არგუმენტად ვერ გამოდგება ის გარემოება, რომ V საუკუნეში არ შეიძლებოდა ყოფილიყო „მდინარე მცირისა ხაზარეთისა“, რადგან ხაზარები ისტორიულ არენაზე გამოჩე-ნენ მხოლოდ VIII ს. შუა ხანებიდან.

ამასთან დაკავშირებით, ჩვენ ვიზიარებთ, თ. გვანცელაძის შენიშვ-ნას იმის შესახებ, რომ მატიანის ამ ნაწილს უდავოდ ატყვია გვიანდე-ლი რედაქცია (ჩვენი აზრით, არა უგვიანეს XI საუკუნისა), მაგრამ ეს

¹ ჯუანშერ ჯუანშერიანი. ცხოვრება ვახტანგ გორგასლისა, გვ. 157.

² ჯუანშერ ჯუანშერიანი. ცხოვრება ვახტანგ გორგასლისა, გვ. 177.

სულაც არ არის საკმარისი, რათა საერთოდ უარყოთ ცნობაში მოცემული ინფორმაცია. ჯუანშერის ქრონიკაში დაფიქსირებული მასალა აფხაზეთის საზღვრებზე და ქართველებსა და ბერძნებს შორის არსებულ „სადავო ტერიტორიებზე“ იმდენად კონკრეტული და მიზანმიმართულია, რომ ის არ შეიძლება რაიმე სერიოზულ საისტორიო ტრადიციას არ ეფუძნებოდეს და კონკრეტული ისტორიული რეალობის ამსახველი არ იყოს. სხვა საკითხია, თუ რამდენად შეესაბამება ეს უშუალოდ ვახტანგ გორგასლის ეპოქას.

ჩვენ უფრო მიზანშეწონილად მიგვაჩნია, ამგვარი ვითარება ვივარაუდოთ VII-VIII ს. I ნახევრის მანძილზე, როდესაც, როგორც ჩანს, ტერმინმა აფხაზეთი მოიცვა ისტორიული აფშილეთის მიწა-წყალი და მისი საზღვარი ეგრისთან, სხვადასხვა წყაროების მიხედვით, მართლაც, კლისურასა და ეგრისწყალს შორის მერყეობდა. აზრი იმის შესახებ, რომ ეს ფრაგმენტი ამ სახით „ქართლის ცხოვრებაში“ უნდა შეეტანა XIII ს. (როდესაც შესრულდა სომხური თარგმანი) შემდგომ მოღვაწე ინტერპრეტატორს (XV ს. მიწურულამდე, როდესაც გადაიწერა ე.წ. ანასეული ნუსხა), არ არის მისაღები თუნდაც იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ XIII-XV საუკუნეებში არავითარი საფუძველი არ არსებობდა აფხაზეთის ჯუანშერის ქრონიკაში დაფიქსირებულ საზღვრებში მოსაქცევად. ამ პერიოდის მოვლენების გაშუქებისას, როგორც ცნობილია, საკუთრივ აფხაზეთი („აფხაზეთის საერისთავო“) მხოლოდ ანაკოფიას იქით ივარაუდება და მას არაფერი აქვს საერთო ეგრისწყალსა და კლისურას შორის ტერიტორიასთან, რომელიც, ისევე, როგორც ცხუმის საერისთავო მთლიანად, ცალსახად „სრულიად ოდიშად ანაკოფიამდე“ განიხილებოდა.¹

თ. გვანცელაძის ჯუანშერის ქრონიკაში ასევე გვიანდელ ჩანართად მიაჩნია ის ფრაგმენტიც, რომელშიც გადმოცემულია მურვან ყრუს დასავლეთ საქართველო-აფხაზეთში ლაშქრობის ცნობილი ფაქტი, კერძოდ, ამ ფრაგმენტის ის ნაწილი, სადაც ნათქვამია, რომ „შეგლო ყრუმან კლისორა, რომელი მას ჟამსა იყო საზღვარი საბერძნეთისა და საქართველოსა, და შემუსრა ქალაქი აფხაზეთისა და აფშილეთისა ცხუმი. და მოადგა ციხესა ანაკოფიასასა“... (ტექსტი მოყვანილია სადისერტაციო ნაშრომიდან). დისერტანტი ამ შემთხვევაშიც, რატომღაც გადამწყვეტ მნიშვნელობას ანიჭებს „ქართლის ცხოვრების“ სომხურ თარგმანს, რომელშიც მართლაც არ არის ინფორმაცია საბერძნეთ-საქართველოს საზ-

¹ ბატონიშვილი ვახუშტი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა. – ქართლის ცხოვრება. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. ტ. IV. თბ., 1973, გვ. გვ. 258.

ღვარზე და აფხაზეთ-აფშილეთის ქალაქ ცხუმზე, და თვლის, რომ ეს ფრაგმენტები XII-XV საუკუნეებში უნდა იყოს ჩამატებული.

პირდაპირ ვიტყვით, არც ეს და არც სხვა არგუმენტები, რომელთა მოყვანასაც ცდილობს მკვლევარი, ვერ გამოდგება მისი ამ დასკვნის შესამაგრებლად. როგორც უკვე ზემოთ აღვნიშნეთ, XIII-XV საუკუნეების საქართველოს ეთნიკური და ტერიტორიულ-ადმინისტრაციული კონიუნქტურა, ჩვენი აზრით, პრაქტიკულად გამორიცხავს აფხაზეთის ჯუანშერისეულ საზღვრებში მოქცევას, რომ არაფერი ვთქვათ საქართველო-საბერძნეთის (ბიზანტიის) არსებულ საზღვრებზე თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიაზე, რომელიც XIII-XV საუკუნეებისათვის სრული ანაქრონიზმია. ამ საკითხის დაზუსტებისათვის საჭიროდ მიგვაჩნია, გავერკვეთ, თუ როდის უფრო იყო შესაძლებელი ცხუმის მოქცევა აფხაზეთ-აფშილეთში: VIII ს. ახლო ხანებში, როდესაც სხვა წყაროებითაც დასტურდება კლისურა-კოდორი-ეგრისწყლის მონაკვეთზე ეგრის-აფხაზეთის საზღვრის არსებობა, თუ XIII-XV საუკუნეებში, როდესაც, როგორც უკვე ზემოთ აღვნიშნეთ, ეს ტერიტორია თვით ანაკოფიამდე ცალსახად ოდიშად იწოდება.

XII საუკუნეში შესრულებული „ქართლის ცხოვრების“ სომხური თარგმანის მონაცემებით აპელირება ამჯერადაც არაფერს გვაძლევს. თუ საქმე სომხურ წყაროებზე მიდგა, ამ თვალსაზრისით გაცილებით უფრო მრავალისმთქმელი და სანდოა VIII ს. დათარიღებული სომხური ანონიმური გეოგრაფია, რომელშიც დაფიქსირებულია შემდეგი ცნობა: „ბულგართა და პონტოს ზღვას შორის სახლობენ გაშების, თურქებისა და სვანების ტომები ავაზის ქვეყნის ზღვისპირა ქალაქ სებასტოპოლისამდე და აქედან მდინარემდე, რომელსაც ეწოდება დრაკონი, ანუ ვეშაპი, რომელიც გამოდის ალანეთიდან და ყოფს აფხაზთა და ეგერთა ქვეყანას“.¹

როგორც ვხედავთ, VII ს. სომხური წყარო საკმაოდ მკაფიოდ და გასაგებად აღნიშნავს იმას, რომ სებასტოპოლისი ანუ ცხუმი არის აფხაზებისა და აფშილების ქალაქი და რომ აფხაზეთის საზღვარი ეგრისთან ამ დროს გადის მდ. დრაკონზე (მკვლევართა აზრით, ეს არის მდ. კოდორი),² ე.ი. სომხური წყარო ამბობს დაახლოებით იმას, რასაც ჯუანშერ ჯუანშერიანი. განსხვავება მხოლოდ ისაა, რომ ქართველი მემატიანის მონაცემებით, VIII ს. 30-იან წლებში ეგრის-აფხაზეთის საზღ-

¹ მოყვანილია წიგნიდან: **დ. ლეთოდიანი**. აფხაზეთის, აფშილეთის და სანთიგეთის პოლიტიკური დამოკიდებულება ეგრისთან (ლაზიკასთან) IV-VIII სს-ში. თბ., 1991, გვ. 170.

² **დ. მუსხელიშვილი**. საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები. I. თბ., 1977, გვ. 98; **З. В. Анчабадзе**. Из истории средневековой Абхазии. Сухуми, 1959, гв. 65.

ვრები გადიოდა არა კოდორზე, არამედ კელასურზე. დაახლოებით ასეთივე სიტუაციას ასახავს VIII ს. ბიზანტიელი ავტორი თეოდოსი განგრელი, რომელიც „აფსილიის მხარის საზღვარს“ „სოფელ მოქვის ზემოთ“ ათავსებს.¹ ერთი სიტყვით, სრულიად უეჭველია, რომ ჯუანშერ ჯუანშერიანის მიერ მოტანილი ცნობა აფხაზეთისა და აფშილეთის ქალაქ ცხუმზე და საბერძნეთ-საქართველოს საზღვარზე ეპოქისეულია და მისი ამოღება მატეანის ტექსტიდან იმ მოტივით, თითქოს ის არ ასახავდეს VIII საუკუნეში არსებულ ვითარებას, რომლისკენაც ფაქტობრივად გვიბიძგებს დისერტანტი, აშკარად ნაჩქარევია.

ჯუანშერის ქრონიკაში ტერმინ „აფშილეთის“ დაფიქსირებასთან დაკავშირებით თ. გვანცელაძე მიიჩნევს, რომ XIII-XV საუკუნეების ავტორმა ის გამოიყენა ცხუმის საერისთავოს ტერიტორიის აღსანიშნავად, მაგრამ უჭირს იმის თქმა, თუ რატომ უნდა გაეკეთებინა ეს, ე.ი. რატომ უნდა დაერქმია ცხუმის საერისთავოსთვის, დისერტანტის სიტყვებით რომ ვთქვათ, აღნიშნული ტერიტორიის „უკვე გამოუსადეგარი და სხვა ქართული წყაროებისათვის უცხო სახელი აფშილეთი“. ანალოგიად ხაზარებისა და ოსების შესაძლო აღრევის მაგალითის მოყვანა ლეონტი მროველის თხზულებიდან, სრულიად უადგილოა.

ჩვენ სავსებით ვეთანხმებით თ. გვანცელაძეს იმაში, რომ ძველი წელთაღრიცხვის მოვლენებთან დაკავშირებით ხაზარების ხსენება ანაქრონიზმია (თუმცა არ მიგვაჩნია აუცილებლად, ლეონტი მროველის ხაზარებში ოსები ვიგულისხმობთ) და ვიზიარებთ აზრს, რომ ხაზარების „ჩასმა“ უძველესი პერიოდის მოვლენებში იმ დროს მოხდებოდა, როდესაც ეს ტომები მართლაც აქტიურ ძალას წარმოადგენდნენ საერთაშორისო არენაზე. მაგრამ ამ ლოგიკით ვერ მივუდგებით ჯუანშერის ქრონიკაში „აფშილეთის“ მოხსენიების ფაქტს, ვინაიდან XII-XV საუკუნეების ქართული ისტორიული ცნობიერებისათვის ეს ტერმინი, როგორც ჩანს, სრულიად უცნობი იყო. ამ თვალსაზრისით ნამდვილად არ უნდა იყოს შემთხვევითი ის ფაქტი, რომ „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანის“ ავტორი (XIII ს.) რატომღაც არ იცნობს აფშილებს, თუმცა მას არ ავიწყდება სანიგები,² რომლებიც, როგორც ცნობილია, VI ს. შემდეგ

¹ თეოდოსი განგრელი. – გეორგიკა. ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ბერძნული ტექსტი ქართული თარგმანით გამოსცა და განმარტებები დაურთო *ს. ყაუხჩიშვილმა*, ტ. IV, ნაკვ. I. თბ., 1941, გვ. 50; *Т. Г. Папуашвили*. Взаимоотношения грузин и абхазов на фоне политической обстановки в Эгриси и Абхазии в VII-VIII вв. – წგნ.: *Г. А. Амичба, Т. Г. Папуашвили*. Из истории совместной борьбы грузин и абхазов против иноземных завоевателей. VI-VIII вв. Тб., 1985, გვ. 58.

² *ისტორიანი და აზმანი შარავანდედიანი*. – ქართლის ცხოვრება. ტექსტი

ფაქტობრივად არ ჩანან ისტორიის ასპარეზზე.

ვერ დავეთანხმებით თ. გვანცელაძის განმარტებას იმის შესახებ, თითქოს „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთაის“ მატრიანეში, ცხუმის გარდა თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიაზე (ცხუმიდან ნიკოფსიამდე), არ არის დაფიქსირებული სხვა ადმინისტრაციული ერთეული. მკვლევრის ეს აზრი ეფუძნება თამარის ისტორიკოსის თხზულების შესაბამისი ადგილის კ. კეკელიძისეულ წაკითხვას, რომელიც გაიმეორა ს. ყაუხჩიშვილმა¹ და რომლის საფუძველზეც ზ. ანჩაბაძემ თამარ მეფეს შეცდომით მიაწერა აფხაზეთის საერისთავოს ლიკვიდაცია.² მაგრამ ქართულ ისტორიოგრაფიაში³ უკვე კარგა ხანია გასწორებულია კ. კეკელიძისეულ წაკითხვასთან დაკავშირებული ეს გაუგებრობა და სავსებით დასაბუთებულად არის ნაჩვენები, რომ „ისტორიანი და აზმანის“ ტექსტში დასახელებული ოთალო შარვაშიძე იყო არა ცხუმის ერისთავი, არამედ აფხაზეთისა და რომ თამარის ეპოქაში აფხაზეთის საერისთავოს არავითარ გაუქმებასა და მისი ტერიტორიის ცხუმის საერისთავოსთან შერწყმას ადგილი არ ჰქონია.

აქვე არ შეიძლება გვერდი ავუაროთ „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთაის“ ტექსტის კიდევ ერთი ადგილის გაგების საკითხს. ესაა ფრაგმენტი გიორგი III-ის ცხოვრებიდან. „ოდესმე, ჟამსა ზამთრისასა, გარდავიდის ლიხთიმერეთს და მიუწიის ზღუად პონტოსა, მოიწიის და მონადირის აღანთა ქუეყანა, რომელ არს აფხაზეთი“.⁴ თ. გვანცელაძე, ცდილობს რა როგორმე საკუთრივ აფხაზეთი მოაქციოს ჩრდილოეთ კავკასიაში, თვლის, რომ ამ შემთხვევაში აფხაზეთი აშკარად პოლიტიკურად აღანთა ქვეყნის ნაწილია და მას ფაქტობრივად არაფერი აქვს საერთო საქართველოს სახელმწიფოსთან, გარდა იმისა, რომ თვით აღანთა სახელმწიფო საქართველოს ყმადნაფიცია და, ამდენად, გიორგი III-ს

დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით **ს. ყაუხჩიშვილის** მიერ. ტ. II. თბ., 1959, გვ. 48.

¹ *ისტორიანი და აზმანი შარავანდედიანი*, გვ. 33-34.

² **З. В. Анчабадзе.** Из истории средневековой Абхазии..., გვ. 177-178.

³ **გ. ცქიტიშვილი.** „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთაის“-ს ერთი ადგილის წაკითხვისათვის. – *საქართველო რუსთაველის ხანაში*. თბ., 1966; **ილ. ანთელავა.** მასალები „ისტორიანი და აზმათა“ ტექსტის დადგენისა და ინტერპრეტაციისათვის. – წგნ.: **ილ. ანთელავა.** XI-XIV სს. ქართული საისტორიო წყაროები. თბ., 1988, გვ. 13-14; **დ. გოგოლაძე.** „აფხაზთა“ საერისთავოს, დღევანდელი აფხაზეთის ძველ ეთნოსთა ვინაობისა და ეთნოსის მკვიდრობის საკითხი. თბ., 1995, გვ. 12-14; **მ. ბახტაძე.** საერისთავო ქვეყნები და ერისთავობის ინსტიტუტი XI-XV სს. საქართველოში. – *სადისერტაციო მაცნე*. თბ., 1995, გვ. 13-14.

⁴ *ქართლის ცხოვრება...* ტ. II., გვ. 15.

თავისუფლად შეეძლო ენადირა თავისი ვასალის – ალანთა მეფის სამფლობელოში.

ტექსტის ამგვარ გაგებას არავითარი გამართლება არა აქვს. ჯერ ერთი, ქართულმა საისტორიო ტრადიციამ სრულიად გარკვევით დააფიქსირა და არა მარტო XII საუკუნეში, არამედ თვით ლეონ II-ის დროს – IX ს. დამდეგს, როდესაც შეიქმნა დასავლურ-ქართული სახელმწიფო – „აფხაზთა“ სამეფო, აფხაზეთის საერისთავოს, როგორც ცალკე ადმინისტრაციული ერთეულის არსებობა,¹ რომელსაც უდავოდ თავისი კონკრეტული ეთნო-ტერიტორიული შინაარსი გააჩნდა (უნდა ვივარაუდოთ, რომ ეთნიკური აფხაზები ამ პერიოდიდან ძირითადად სწორედ ამ საერისთავოში იყვნენ განსახლებულნი). როგორც უკვე ზემოთ აღინიშნა, არავითარი საფუძველი არ არსებობს, ვიფიქროთ აფხაზეთის საერისთავოს გაუქმებაზე XII საუკუნეში.

თუ ერთი წუთითაც წარმოვიდგენთ, რომ აფხაზეთი არ შედიოდა საქართველოს სახელმწიფოს შემადგენლობაში და მის ფარგლებს გარეთ იყო, მაშინ საკითხავია, რანაირად დაერქვა ჯერ დასავლეთ საქართველოს – IX-X საუკუნეებში, ხოლო შემდეგ – XI-XII საუკუნეებში – ერთიან ქართულ სახელმწიფოს აფხაზეთი. ერთი სიტყვით, აქ პასუხი სრულიად ცალსახაა. რაც შეეხება „ისტორიანი და აზმანის“ მოყვანილ ფრაგმენტს, მასში იგულისხმება არა ის, რომ აფხაზეთი შედის ალანიაში, არამედ პირიქით, გიორგი III ნადირობს ალანიაში, რომელიც განიხილება აფხაზეთის ნაწილად. აქ, რასაკვირველია, იგულისხმება არა საკუთრივ აფხაზეთი (აფხაზეთის საერისთავო), არამედ დიდი აფხაზეთი, ანუ გაერთიანებული ქართული სახელმწიფო.²

¹ ბატონიშვილი ვახუშტი. აღწერა სამეფოსა..., გვ. 796.

² ამის შესახებ იხ. **З. В. Папаскири**. У истоков грузино-русских политических взаимоотношений, Тб., 1982, გვ. 60. აქვე გვინდა საგანგებოდ შევნიშნოთ, რომ თ. გვანცელაძის სადოქტორო დისერტაციის ირგვლივ საჯარო პაექრობისას ჩვენ (ამჯერად უკვე ზეპირად, რაც სამწუხაროდ არ აისახა რეცენზიის წინასწარ მომზადებულ ტექსტში) ყურადღება გავამახვილეთ აგრეთვე „ალანის ქვეყნის“ ვახუშტისეულ ლოკალიზაციაზეც: „ალანი არს სუანეთის დასავლეთ და ბედიის ჩრდილოთ. აქუს აღმოსავლეთ კავკასი და საზღვარი სუანთა; სამკრით კავკასი ბედი-ოდიშს და ამას შორის; დასავლეთ კავკასი, ჩრდილოთცა კავკასი. უდის შუაში სუანეთის მდინარე“ (**ბატონიშვილი ვახუშტი**. აღწერა სამეფოსა..., გვ. 788-789) და აღვნიშნეთ, რომ ვახუშტი ბატონიშვილის მიხედვით, ალანის ქვეყანა სადღაც სვანეთისა და აწინდელი აფხაზეთის შუა მთიან ზონაშია (აკად. დ. მუსხელიშვილის მიხედვით, მდ. კოდორის ზემო წელში. იხ. **დ. მუსხელიშვილი**. საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები, I. თბ., 1977, გვ. 98.) და აღმოსავლეთით, დასავლეთით, ჩრდილოეთით და სამხრეთით კავკასიონის ქედის ტოტებითაა შემოსაზღვრული. აღსანიშნავია, რომ ვახუშტი ბატონი-

სადისერტაციო ნაშრომში არის არაერთი სხვა სადავო საკითხიც, მათ შორის მტკიცება იმის შესახებ, თითქოს ჯუანშერის ქრონიკაში დაფიქსირებული ლეონ აფხაზეთის ერისთავისთვის ბიზანტიის იმპერატორის მიერ აფხაზეთის მემკვიდრეობით მფლობელობაში გადაცემა ნიშნავდეს ლეონის გამოსვლას იმპერატორის სიუზერენიტეტიდან. ბიზანტიას არავითარი უარი ნებაყოფლობით არ უთქვამს აფხაზეთის საერისთავოს სიუზერენობაზე. მან უბრალოდ ქართლის ერისმთავრები აიყვანა მფარველობის ქვეშ და უბრძანა ლეონს ლოიალობა მათდამი. ასე რომ, არაფერია გასაკვირი იმაში, თუ „აფხაზეთის ერისთავი“ ჯერ კიდევ კარგა ხანს დარჩებოდა ბიზანტიის ვასალად და მან მხოლოდ ხაზართა მხარდაჭერით გაინთავისუფლა თავი VIII ს. მიწურულს. აქვე არ შეიძლება არ დავეთანხმეთ დისერტანტს იმაში, რომ მთლიანად ეს ამბავი (მხედველობაში გვაქვს ინფორმაცია მირისა და არჩილის, აგრეთვე ლეონ „აფხაზეთის ერისთავის“ გაერთიანებულ ელჩობაზე კონსტანტინოპოლში და იმპერატორის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებზე), გარკვეული პოლიტიკურ-დინასტიური მოსაზრებით, მართლაც გვიან შეეტანათ, მაგრამ არა XIII ს. შემდეგ, როგორც მითითებულია სადისერტაციო ნაშრომში, არამედ X-XI საუკუნეების მიჯნაზე, ბაგრატ III მეფობის პერიოდში.

დისერტანტი ძირითადად სწორად მსჯელობს ბაგრატ III-ის ხელისუფლების ქვეშ ქართული მიწების გაერთიანების პროცესზე და სავსებით სამართლიანად თვლის, რომ ბაგრატ უფლისწულის ქართლში დასმა, რომელსაც ის ძალზე გონებამახვილურად „უფლისციხის აქტს“ უწოდებს, არ იყო ქართლის ტახტის კანონიერი დაკავება. მაგრამ არაა მართებული დასკვნა იმის შესახებ, რომ სწორედ ამის გამო არ იწოდა ის (იმ დროს – 975 წ.) „ქართუელთა მეფედ“. აქ უნდა აღინიშნოს, რომ „ქართუელთა მეფის“ ტიტული, მართალია, რამდენადმე ნიშნავს ისტორიული ქართლის (იბერიის) მეფის სამართალმემკვიდრეობას, მაგრამ X ს. 70-იან წლებში შიდა ქართლი არ იყო „ქართუელთა“ სამეფოს შემადგენელი ნაწილი. ის ამ დროს, როგორც ცნობილია, „აფხაზთა“ სამეფოს ფარგლებშია. რაც შეეხება ბაგრატის დასმას შიდა ქართლში, ეს იყო ერთგვარი სამხადისი ბაგრატის ცენტრში – ქუთაისში გადაყვანისა და მისი ქვეყნის სათავეში – „აფხაზთა“ მეფის ტახტზე ასაყვანად.

ამრიგად, თ. გვანცელაძის ისტორიულ-წყაროთმცოდნეობითი ძიებები, მიუხედავად საკითხთა ორიგინალური დაყენებისა და ცალკეულ

შეიღის თხზულების მიხედვით, ამ „აღლანის ქვეყანას“ არაფერი აქვს საერთო ოვსეთთან და ის ერთმნიშვნელოვნად ეგრის-აფხაზეთ-იმერეთში მოიაზრება.

შემთხვევებში საკმაოდ დამაჯერებელი მსჯელობებისა, ჩვენი აზრით, ძირითადად ძალზე ჰიპოთეტურია და მასზე დაყრდნობით კატეგორიული დასკვნების გამოტანა სარისკოა. ყოველივე ეს სრულებითაც არ ნიშნავს იმას, რომ ეჭვი შევიტანოთ თ. გვანცელაძის კვალიფიკაციაში. პირიქით, მიგვაჩნია, რომ დისერტანტმა მთელი რიგი საკითხების დაყენებით ისტორიოგრაფიული თვალსაზრისითაც, რომ არაფერი ვთქვათ ნაშრომის ლინგვისტურ მხარეზე, უდავოდ მისცა ერთგვარი ბიძგი საკვლევი პრობლემების ხელახალ გააზრებას, რაც თავისთავად არცთუ ისე უმნიშვნელოა.

დასასრულს, საჭიროდ ვთვლი კიდევ ერთხელ დავადასტურო, რომ თ. გვანცელაძის გამოკვლევა ნამდვილად არის კიდევ ერთი წინგადადგმული ნაბიჯი „აფხაზური პრობლემის“ ისტორიოგრაფიული და განსაკუთრებით ლინგვისტური შესწავლის საქმეში და ის უდავოდ იმსახურებს ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის საბიძგელ ხარისხს.

ნაშრომი დასავლეთ საქართველოს პოლიტიკურ ერთეულთა საგარეო ურთიერთობებზე

რეცენზია ზაალ ქორთუას მიერ ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილ ნაშრომზე: „დასავლეთ საქართველოს სამეფო-სამთავროების საგარეო პოლიტიკური ურთიერთობანი XVII საუკუნის პირველ ნახევარში (ურთიერთობა ოსმალეთ-სპარსეთთან და ევროპასთან)“.

სპეციალობა: 07.00.01 – საქართველოს ისტორია.

ქართული პოლიტიკური სამყაროს საგარეო ურთიერთობების ისტორიის პრობლემები ყოველთვის წარმოადგენდა ისტორიკოსთა საგანგებო დაინტერესების საგანს. ამ პრობლემათა შემდგომი შესწავლა-გააზრება განსაკუთრებულ აქტუალობას იძენს დღეს, როდესაც საქართველომ კვლავ აღიდგინა სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა და ფართო საერთაშორისო ასპარეზზე გავიდა. სწორედ ახლაა საჭირო სრულად წარმოვაჩინოთ მთელი ჩვენი ისტორიული მემკვიდრეობა და შევქმნათ მეცნიერულად დასაბუთებული, ობიექტური სურათი ჩვენი ქვეყნის მრავალმხრივ საგარეო პოლიტიკურ ურთიერთობებზე, ვაჩვენოთ მისი საერთაშორისო როლი და ადგილი კავკასია-ახლო აღმოსავლეთის სივრცეში. აქედან გამომდინარე, ნებისმიერი ცდა, კიდევ ერთხელ იქნას საგულდაგულოდ შესწავლილი ერთიანი ქართული სახელმწიფოს თუ ცალკეული სამეფო-სამთავროების საგარეო პოლიტიკური ისტორიის ესა თუ ის პრობლემა, უთუოდ მისასალმებელი და ყოველმხრივ გამართლებულია.

ზაალ ქორთუას სადისერტაციო ნაშრომში აღძრული საკითხები ისტორიოგრაფიული თვალსაზრისით არ განეკუთვნება ნაკლებად დამუშავებულ პრობლემათა რიცხვს. პირიქით, ქართული სამეფო-სამთავროების საგარეო პოლიტიკური ურთიერთობები XVIII ს. I ნახევარში თამამად შეიძლება ითქვას, რომ საკმაოდ საფუძვლიანადაა შესწავლილი ისტორიოგრაფიაში. ამ პრობლემას სხვადასხვა დროს შეხებიან და ცალკეული საკითხები უკვლევიათ: მ. თამარაშვილს, ივ. ჯავახიშვილს, ნ. ბერძენიშვილს, ვ. გაბაშვილს, ზ. ანჩაბაძეს, ი. ცინცაძეს, ნ. ნაკაშიძეს, მ. სვანიძეს, გ. ჯამბურias, ე. ჩოჩიევს, ი. ტაბაღუას, ილ. ანთელავას, და სხვ. მიუხედავად ამისა გასარკვევი და დასაზუსტებელი ჯერ კიდევ საკმაოადაა, მით უფრო ამ ბოლო დროს, როცა მიმოქცევაში შემოვიდა დასავლეთ ევროპის არქივებსა და წიგნთსაცავებში მოძიებული ზოგიერთი ახალი მასალა და ამით წყაროთმცოდნეობითი ბაზა რამდენადმე

გაფართოვდა. ნაშრომის მთავარი სიახლე სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ მასში ამ და სხვა ადრე ცნობილ მასალებზე დაყრდნობით, პირველად ისტორიოგრაფიაში, მონოგრაფიულადაა შესწავლილი დასავლურ-ქართული პოლიტიკური ერთეულების საგარეო ურთიერთობები XVIII. I ნახევარში.

სარეცენზიო ნაშრომი შედგება შესავლის, 5 თავისა და დასკვნისაგან. **პირველ თავში** მოცემულია საკვლევი პრობლემის ირგვლივ არსებული საისტორიო წყაროებისა და სპეციალური ლიტერატურის მიმოხილვა, ავტორი სათანადოდ აფასებს იმ მკვლევართა აზრს, რომლებმაც მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს ევროპული თუ აღმოსავლური საისტორიო მასალების გამოვლენასა და წყაროთმცოდნეობით დამუშავებაში.

მეორე თავში გაშუქებულია დასავლეთ საქართველოს სამეფო-სამთავროების ურთიერთობა ოსმალეთთან XVIII. I ნახევარში. მასში სავსებით სწორადაა შენიშნული, რომ ქართული სამეფო-სამთავროების საგარეო პოლიტიკური მდგომარეობის ძირითად განმსაზღვრელ ფორმულად XVIII. I ნახევარიდან რჩებოდა 1555 წელს ამასიაში დადებული ირან-ოსმალეთის ცნობილი საზავო ხელშეკრულება. მოცემულ თავში საკმაოდ დაწვრილებითაა გადმოცემული ოსმალეთთან ქართული სამეფო-სამთავროებისა და უწინარესად სამეგრელოს სამთავროს ლიდერის ლევან II დადიანის ურთიერთობის პერიპეტეები, ნაჩვენებია ოდიშის მთავრის დიპლომატიური ტალანტი. ძირითადად სწორია დისერტანტის დასკვნა იმის შესახებ, რომ დასავლეთ საქართველოს პოლიტიკური ერთეულების ურთიერთობა ოსმალეთთან მოცემულ პერიოდში შეფასდეს, როგორც ფორმალური ვასალიტეტი და, რომ ოსმალეთის ხელისუფლება ამ დროს არ იყო მზად, და არც მიაჩნდა მიზანშეწონილად უფრო მკაცრი პოლიტიკა გაეტარებინა რეგიონში.

მესამე თავში განხილულია დასავლურ ქართული გაერთიანებების სპარსეთთან ურთიერთობის პრობლემა. კერძოდ, მასში გარკვეულია თუ რა ადგილი ეკავა დასავლეთ საქართველოს სპარსეთის საგარეო პოლიტიკურ გეგმებში შაჰ-აბას I-ის მმართველობის პერიოდში და განსაკუთრებით XVIII. 30-იან წლებში, როდესაც გამოიკვეთა სპარსეთის ერთგვარი ალიანსი ოდიშის მთავართან. საინტერესოა დისერტანტის დაკვირვებები, ერთი მხრივ, ირანში შემუშავებულ სავაჭრო გეგმასა და მეორე მხრივ ლევან II დადიანის თითქმის ანალოგიური სავაჭრო-ეკონომიკური პროექტის ირგვლივ.

მეცნიერული თვალსაზრისით განსაკუთრებით ფასეულია სადისერტაციო ნაშრომის **IV** და **V თავები**, რომლებშიც შესაბამისად შეს-

წავლილია კონტაქტები კათოლიკურ ევროპასთან ზოგადად და კონკრეტულად თეატინელ მისიონერთა მოღვაწეობა დასავლეთ საქართველოში XVII ს. I ნახევარში. ავტორი სკრუპულოზურად აშუქებს აღნიშნულ პრობლემასთან მეტ-ნაკლებად დაკავშირებულ თითქმის ყველა საკითხს. ამ მხრივ, საგანგებოდ უნდა აღვნიშნოთ დისერტანტის მიერ საფრანგეთის აღმოსავლურ პოლიტიკაზე ყურადღების გამახვილება და კონსტანტინოპოლში საფრანგეთის დიპლომატიური მისიის როლის წარმოჩენა დასავლეთ საქართველო-კათოლიკურ ევროპას შორის კავშირურთიერთობების დამყარების საქმეში. უაღრესად საინტერესოა ზ. ქორთუას მიერ მოტანილი მასალა ლევან II დადიანის ტოსკანის ჰერცოგ ფერდინანდ II-სთან დიპლომატიური კონტაქტების დამყარების შესახებ, რომელიც აფართოებს ჩვენს წარმოდგენებს ოდიშის მთავრის ევროპული პოლიტიკის მასშტაბებზე. ამასთან დაკავშირებით, საკვებით დამაჯერებლად მიგვაჩნია დისერტანტის დასკვნა იმის შესახებ, რომ ოდიშის მთავარი ლევან II დადიანი, რომელიც ამ პერიოდში რეალურად აცხადებდა პრეტენზიას მთელი დასავლეთ საქართველოს პოლიტიკური ლიდერობაზე, მტკიცედ იდგა ევროპულ ორიენტაციაზე და ყველაფერს აკეთებდა მთელი რეგიონის კათოლიკურ ევროპასთან, თანამედროვე ტერმინოლოგიით რომ ვთქვათ, ერთგვარი ინტეგრაციისთვის.

ამრიგად, ზ. ქორთუას საკვალიფიკაციო ნაშრომში საფუძვლიანადაა შესწავლილი დასავლეთ საქართველოს სამეფო-სამთავროების საგარეო პოლიტიკური ისტორიის საკითხების საკმაოდ ვრცელი სპექტრი და მეტ-ნაკლები სისრულითაა ნაჩვენები დასავლურ-ქართული პოლიტიკური ერთეულების როლი და ადგილი ამიერკავკასია-ახლო აღმოსავლეთში მიმდინარე პროცესებში. ავტორი ამჟღავნებს საკვლევ პრობლემის ირგვლივ არსებული მასალებისა და ისტორიოგრაფიის ღრმა ცოდნას, ის კარგად ფლობს მეცნიერული კვლევის მთელ „სამზარეულოს“, წერს გამართულად.

ყოველივე ზემოაღნიშნული მაძლევს უფლებას დავასკვნა, რომ **ზაალ ქორთუას** სადისერტაციო შრომა: „**დასავლეთ საქართველოს სამეფო-სამთავროების საგარეო პოლიტიკური ურთიერთობანი XVII საუკუნის პირველ ნახევარში (ურთიერთობა ოსმალეთ-სპარსეთთან და ევროპასთან)**“ არის დასრულებული გამოკვლევა, რომელიც მთლიანად პასუხობს საკანდიდატო დისერტაციისადმი წაყენებულ კრიტერიუმებს და ვიშუამდგომლო სადისერტაციო საბჭოს წინაშე, რომ მის ავტორს მიენიჭოს ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი.

ამასთან, სადისერტაციო ნაშრომის მიმართ გვაქვს ცალკეული შენიშვნები, რომელთა გათვალისწინება, ჩვენის აზრით, მომავალში დაეხ-

მარებოდა დისერტანტს საკვლევი პრობლემის შემდგომ დახვეწასა და ცალკეული საკითხების უფრო მკაფიოდ გააზრებაში.

პირველ რიგში, რამდენადმე ზედაპირულად გვეჩვენება დისერტაციის I თავი – წყაროებისა და ლიტერატურის შესახებ, რომელიც, ჩვენი აზრით, მართლაც მხოლოდ მოკლე მიმოხილვას, ფაქტობრივად მშრალ ჩამონათვალს წარმოადგენს. ნაშრომი გაცილებით უფრო მოიგებდა, თუ მასში იქნებოდა წყაროებისა და არსებული ისტორიოგრაფიული მეტკვიდროების კრიტიკული ანალიზი, რაც მთავარია, სადისერტაციო თემას უნდა მისცემოდა უფრო მკვეთრი ისტორიოგრაფიული დასაბუთება. გარდა ამისა, ვფიქრობთ, ისტორიოგრაფიულ მიმოხილვაში და საერთოდ ნაშრომში სათანადო ადგილი უნდა დათმობოდა პროფ. ზ. ანჩაბადისა (განსაკუთრებით მისი საკანდიდატო დისერტაციის ხელნაწერს) და პროფ. გ. ჯამბურიას შრომებს.

ჩვენი აზრით, მთლად ზუსტი არ არის ლევან II დადიანის პოლიტიკა ოსმალეთის მიმართ XVIII ს. 20-იან წლებში გაავაზროთ, როგორც „დაუმორჩილებლობის პოლიტიკა“ (გვ. 38). ლევან II, როგორც წესი, მთელი თავისი მოღვაწეობის მანძილზე ცდილობდა, და მოქნილი დიპლომატიის წყალობით საკმაოდ ოსტატურად ახერხებდა კიდევ, სწორედ რომ არ ეგრძნობინებინა ხონთქარისთვის თავისი ურჩობა და თავიდან აეცილებინა ღია კონფრონტაცია „ბრწყინვალე პორტასთან“.

ნაშრომის ცალკეულ ადგილებში, ასევე ავტორეფერატში ვხვდებით გამოთქმას: „დასავლეთ საქართველოს ურთიერთობები ოსმალეთთან“. უნდა იყოს „დასავლეთ საქართველოს სამეფო-სამთავროების ურთიერთობები“.

ვფიქრობთ, სათაურიდან გამომდინარე, ნაშრომში უფრო ვრცლად უნდა გაშუქებულიყო იმერეთის სამეფოსა და გურიის სამთავროს საგარეო პოლიტიკური ურთიერთობები. ყოველი შემთხვევისათვის, გვეჩვენება, რომ სამეგრელოს სამთავროს ფონზე აღნიშნული პოლიტიკური ერთეულების საგარეო პოლიტიკური სახე ერთგვარად დაიჩრდილა. ასევე ვფიქრობთ, რომ მეტი ყურადღება უნდა მიქცეოდა მოსკოვის სახელმწიფოს პოლიტიკას დასავლეთ საქართველოს სამეფო-სამთავროების მიმართ.

ჩვენ ძირითადად ვეთანხმებით დისერტანტის დასკვნას იმის შესახებ, რომ ოსმალეთი შეგნებულად ხუჭავდა თავს ბევრ რამეზე დასავლეთ საქართველოში, თავს იკავებდა აშკარა დაპყრობითი ომისგან და რეგიონის უშუალოდ მიერთებისაგან, რათა არ მოეშალა დასავლეთ საქართველოდან ტყვეების გაყვანის პრაქტიკა. თუმცა ამ შემთხვევაში ლაპარაკი უნდა იყოს არა თურქეთის პოლიტიკაზე ზოგადად, არამედ

მის რელიგიურ პოლიტიკაზე. ჩვენ იმის თქმა გვინდა, რომ ოსმალეთის მიერ დასავლეთ საქართველოს ოკუპაცია, თავისთავად, სულაც არ ნიშნავდა იმას, რომ ამის შემდეგ სტამბოლი ვერ გაიყვანდა ტყვეებს რეგიონიდან. ამ შემთხვევაში მთავარი იყო ის, რომ თურქეთს არ მოეხდინა მხარის ისლამიზაცია და ადგილობრივი ქრისტიანული მოსახლეობა ერთბაშად „თანამომხეობად“ არ ექცია, რითაც მართლაც მოსპობდა ტყვეების ბაზას. აქვე არ შეიძლება საგანგებოდ არ აღვნიშნოთ, რომ ეს მოსაზრება სწორედ ასე აქვს ჩამოყალიბებული საქართველოში ტყვეთა სყიდვის სპეციალისტს ა. კილასონიას, რომლის მასალებსაც ვყრდნობა დისერტანტი, თუმცა რატომღაც მხოლოდ ერთხელ იხსენიებს მას.

ჩვენის აზრით, მეტი კრიტიკული მიდგომა სჭირდება ოსმალთა ისტორიკოსის მუსტაფა ნაიმას ცნობას იმის შესახებ, რომ „ყიზილბაშები დათარეშობდნენ“ დასავლეთ საქართველოში (XVII ს-ის 30-იანი წლები). ვფიქრობთ, როსტომ ქართლის მეფის 30-ათასიანი სპარსული ლაშქრის ასეთი მასშტაბული ექსპედიცია იმერეთში, რომელშიც ნაიმას სიტყვებით აქტიური მონაწილეობა მიუღიათ დადიანისა და გურიელის სამხედრო ძალებსაც და რომლის დროსაც ყიზილბაშები თითქოს შავი ზღვის სანაპიროებამდე გასულან, უთუოდ უნდა ასახულიყო ქართულ და უცხოურ წყაროებში.

დისერტანტი თავის ნაშრომში აღნიშნავს, რომ „როსტომ მეფე და ლევან დადიანი საერთაშორისო ასპარეზზე სპარსეთის შაჰის ფორმალური აღიარებით ცდილობდნენ დამოუკიდებლობის შენარჩუნებას“ (გვ. 77-78). მიუხედავად იმისა, რომ ლევან დადიანი როსტომ მეფის მსგავსად მართლაც ცდილობდა სპარსეთის შაჰისთვის თავი ერთგულ ყმად მოეჩვენებინა, მიგვაჩნია, რომ ამ კონტექსტში მათი ერთად მოხსენიება საერთაშორისო სამართლებრივი თვალსაზრისით მაინც გაუძარტლებელია. როსტომი ოფიციალურად და ფაქტობრივადაც ქართლში ირანის შაჰის მიერ დანიშნული მოხელე – „ვალი“ – იყო, ხოლო ლევან II დადიანი, რომელსაც საერთაშორისო არენაზე სულაც ოსმალეთის სულთნის ვასალის სტატუსი ჰქონდა (ეს ირანის მიერაც იყო აღიარებული: 1555, 1590, 1612, 1639 წლების ირან-ოსმალეთის საზავო ხელშეკრულებებით), თავისი ნებით აცხადებდა თავს სპარსეთის შაჰის ყმად. გარდა ამისა, ლევან დადიანი ფორმალურად არც ქართული პოლიტიკური იერარქიის შიგნით იყო მთლად სუვერენული ხელისუფალი. როგორც ცნობილია, დადიანები იურიდიულად იმერეთის ბაგრატიონთა სამეფო ტახტის ქვეშევრდომად ითვლებოდნენ.

გვაქვს ზოგიერთი მეთოდური ხასიათის შენიშვნაც. ცალკეულ შემთხვევებში ვხვდებით უზუსტობებს ლიტერატურის მითითების წესში

(გვ. 23-ე – უნდა მიეთითოს არა „საქართველოს ისტორიის ნარკვევები“, ზოგადად, არამედ შესაბამისი თავის ან პარაგრაფის ავტორის გვარი, დასათაურება და მხოლოდ შემდეგ გამოცემის სახელწოდება). არაა აუცილებელი ცალკეულ ისტორიკოსთა არა ინიციალით, არამედ სახელით (სრულად) მოხსენიება (მაგ. ნოდარ შენგელაია – გვ. მე-9; ილია ტაბაღა გვ. 76-ე; გულჩინა აკოფაშვილი გვ. 108-ე, მანანა ტაბაღა – გვ. 118-ე). არის ცალკეული ენობრივი და სტილისტური უზუსტობები.

ეს და სხვა ნაკლებად თვალშისაცემი ხარვეზები არ ატარებენ პრინციპულ ხასიათს და ვერ ახდენენ არსებით გავლენას საკვალიფიკაციო შრომის ხარისხზე რომელიც მთლიანობაში შესრულებულია სათანადო მეცნიერულ დონეზე და მისი ავტორი, როგორც უკვე ზემოთ აღინიშნა იმსახურებს ძიებულ ხარისხს.

ნაშრომი ასურელ მამათა მოღვაწეობაზე

რეცენზია დავით მერკვილაძის მიერ ისტორიის მეცნიერებათა
კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილ
ნაშრომზე: „სირიელი სასულიერო მოღვაწენი ქართლში
(ასურელი მამები)“.

სპეციალობა 07.00.01 – საქართველოს ისტორია. 1997.

ქართული ქრისტიანული სამყაროს შესწავლას მუდამ ექცეოდა საგანგებო ყურადღება ქართველოლოგიურ მეცნიერებებში. პირველ რიგში, ეს აიხსნება იმ განუზომელი როლით, რომელსაც ისტორიულად ასრულებდა და დღესაც ასრულებს ქრისტიანობა ჩვენი ქვეყნის სულიერ ცხოვრებაში. საყოველთაოდ აღიარებული ჭეშმარიტებაა, რომ ქრისტიანობა ქართველთათვის არასოდეს ყოფილა ოდენ რელიგია. ისტორიამ მას განსაკუთრებული მისია დააკისრა. ქრისტიანობა ჩვენი ხალხისთვის იმთავითვე იქცა ეროვნული ხსნის იდეოლოგიად, ქართველობის უმთავრეს ატრიბუტად, ცხოვრების წესად. ამიტომაცაა, რომ სხვადასხვა დარგის სპეციალისტები, მათ შორის ისტორიკოსებიც, დიდი რუდუნებით სწავლობდნენ ქართული ქრისტიანიზმის წარსულს, მის მსოფლმხედველობრივ თუ პოლიტიკურ-იდეოლოგიურ ასპექტებს.

აღსანიშნავია, რომ თვით კომუნისტურ-ათეისტური მოძღვრების დიქტატის პირობებშიც კი საქართველოში არ შეწყვეტილა ქრისტიანობის მეცნიერული კვლევა, თუმცა არსებული იდეოლოგიური ბარიერები, ბუნებრივია, არ აძლევდნენ საშუალებას მკვლევრებს, ფართოდ გაეშალათ მუშაობა ამ მიმართულებით. მიუხედავად ამისა, თამამად შეიძლება ითქვას, რომ დღეისთვის ქართველოლოგიის ამ უბანზე საკმაოდ თვალსაჩინო წარმატებებია მოპოვებული. მეტ-ნაკლები სისრულითაა შესწავლილი და დამუშავებული ქართულ ქრისტიანიზმთან დაკავშირებული ყველა მნიშვნელოვანი საკითხი. ამ მხრივ არ არის გამოჩინებული დღეს დასაცავად წარმოდგენილი სადისერტაციო ნაშრომის თემაც.

სრულიად აშკარაა ასურელ მამათა განსაკუთრებული ღვაწლი ჩვენი ერის სულიერ ცხოვრებაში. შემთხვევითი არ უნდა იყოს ის გარემოება, რომ ეროვნულმა ცნობიერებამ მათი სახელები ფაქტობრივად მოციქულებს გაუთანაბრა. სწორედ ამით აიხსნება ის ცხოველი ინტერესი, რომელსაც მუდამ იწვევდა ამ ჭეშმარიტად დიდ მოღვაწეთა საქმიანობა და რომელსაც არაერთი საინტერესო გამოკვლევა მიეძღვნა როგორც ჩვენში, ისე საზღვარგარეთაც. მიუხედავად ამისა, რასაკვირვე-

ლია, ყველა პრობლემა ჯერ კიდევ არ არის საბოლოოდ გარკვეული და დადგენილი. ასურელ მამათა ცხოვრებასთან დაკავშირებული ბევრი საკითხი მოითხოვს დაზუსტებასა და ახლებურ გააზრებას. ერთი სიტყვით, როგორც ამბობენ: „სამკალი (ჯერ კიდევ) ფრიად არს“. ამდენად, ახალგაზრდა ისტორიკოსის დავით მერკვილაძის სურვილი, კიდევ ერთხელ ჩაუღრმავდეს ამ პრობლემის ცალკეულ ასპექტებს, უდავოდ დასაბუთებული და ყოველმხრივ მისასალმებელია.

სადისერტაციო ნაშრომი შედგება შესავლისა და ხუთი თავისაგან, რომელთაგან ზოგიერთი პარაგრაფებადაცაა დაყოფილი. ნაშრომს ერთვის გამოყენებული წყაროებისა და სპეციალური ლიტერატურის საკმაოდ ვრცელი სია.

პირველ თავში დისერტანტი იძლევა პრობლემის ირგვლივ არსებული საისტორიო მასალებისა და ისტორიოგრაფიის მიმოხილვას. ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე მინდა აღვნიშნო, რომ ამ ბოლო დროს მე იშვიათად შემხვედრია, მით უფრო საკანდიდატო დისერტაციებში, ასეთ მაღალ დონეზე შესრულებული წყაროთმცოდნეობითი და ისტორიოგრაფიული ანალიზი. ავტორს ფუნდამენტალურად აქვს განხილული ასურელ მამათა „ცხოვრებანი“, სხვა საისტორიო წყაროები. სრულად აქვს წარმოჩენილი მთელი ისტორიოგრაფიული მექვიდრეობა. დასანანია მხოლოდ ის, რომ იგი არ იძლევა ამ მექვიდრეობის ერთგვარ შეჯამებას და არ მიუთითებს იმაზე, თუ კონკრეტულად რამ ვერ დააკმაყოფილა მკვლევარი და რამ აიძულა ის, ხელი მოეკიდა მოცემული პრობლემის დამუშავებისათვის. ჩვენ იმის თქმა გვინდა, რომ ნაშრომის ამ ნაწილში უპრიანი იქნებოდა, ყოფილიყო სადისერტაციო თემის გამოკვეთილი ისტორიოგრაფიული დასაბუთება და იმ სიახლის ჩვენება, რომელიც შეაქვს დისერტანტს საკვლევი პრობლემის შესწავლაში.

დისერტაციის **მეორე თავი** ეძღვნება ქართლში ასურელ მამათა მოსვლის დროის დადგენას. ეს პრობლემა დიდი ხანია მეცნიერთა პოლემიკის საგანს წარმოადგენს. დისერტანტი გულდასმით იხილავს ამ საკითხთან დაკავშირებით გამოთქმულ შეხედულებებს და, ჩვენი აზრით, სავსებით დამაჯერებლად ასკვნის, რომ ასურელი მამების ქართლში მოსვლის დრო VI ს. 30-იანი წლებით (უფრო ზუსტად, 532-537 წწ.) უნდა განისაზღვროს. ამ დასკვნის არგუმენტაციისას დისერტანტი ეხება ქართლის პოლიტიკური ისტორიის ცალკეულ საკითხებსაც, რომელთაგან განსაკუთრებით უნდა გამოვყოთ ქართლში მეფობის გაუქმების ავტორისეული გააზრება, რომლის მიხედვითაც აღმოსავლეთ საქართველოში მეფობა გაუქმებულა არა 523 წელს, არამედ მოგვიანებით, დაახლოებით 540 წლის ახლო ხანებში.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ საკითხში დ. მერკვილაძე ძირითადად იზიარებს ვ. გოილაძის შეხედულებას. ამჯერად ჩვენ არ ვაპირებთ კამათს ამ, თავისთავად უაღრესად საინტერესო, საკითხთან დაკავშირებით, თუმცა ვფიქრობთ, რომ ეს თვალსაზრისი უფრო მყარ არგუმენტაციას მოითხოვს, მით უფრო, რომ ამ უკანასკნელ ხანს ისტორიოგრაფიაში გამოითქვა განსხვავებული შეხედულებაც,¹ რომლის ასახვა სასურველი იყო სადისერტაციო ნაშრომში.

ლოგიკურად გვეჩვენება დისერტანტის მსჯელობა აბიბოს ნეკრესელის წამების თარიღთან დაკავშირებით და ასევე მიგვაჩნია, რომ აბიბოსის წამებას ადგილი უნდა ჰქონოდა არა 590 წლის ახლო ხანებში, როგორც ამას ფიქრობდა აკად. კ. კეკელიძე, არამედ 571 წლამდე. თუმცა აქვე გვაქვს პატარა შენიშვნა „*აბიბოს ნეკრესელის მარტვილობის*“ ერთი ადგილის დისერტანტისეულ წაკითხვასთან დაკავშირებით. კერძოდ, ჩვენ ვიზიარებთ პროფ. ლ. მენაბდისეულ გაგებას „*მარტვილობის*“ ტექსტში მოცემული აბიბოსის წინასწარმეტყველებისა: „*ვითარ დელაკაცსაცა მას უწინა წარმეტყველა შემდგომად ხოლო მისსა მოსვლად ბერძენთაი და დაპყრობაი ქუეყანის ამის ჩუენისაი, რომელიც იგი იქმნა მსწრაფლ*“ და ვერ ვხედავთ ვერავითარ წინააღმდეგობას, თუ რატომ არ უნდა ნიშნავდეს მოტანილ ტექსტში დაფიქსირებული „*იქმნა მსწრაფლ*“ მართლაც იმას, რომ წინასწარმეტყველება ახდა სწრაფად, დროის მოკლე მონაკვეთში.

არანაკლებ საინტერესოა საკვალიფიკაციო ნაშრომის **მესამე თავი** ასურელ მამათა აღმსარებლობის შესახებ. ჩვენ მთლიანად ვეთანხმებით დისერტანტის დასკვნას იმის თაობაზე, რომ ასურელი მამები მხოლოდ დიოფიზიტური მიმდინარეობის პროპაგანდისტები იყვნენ. მართალია, ეს მოსაზრება არ არის ორიგინალური, როგორც ცნობილია, თავის დროზე, მას ივანე ჯავახიშვილი იცავდა, მაგრამ უდავოდ ანგარიშგასაწევია დისერტანტის არგუმენტაცია, განსაკუთრებით მისი დაკვირვებები ქართულ-სომხურ საეკლესიო ურთიერთობებზე მთელი VI საუკუნის მანძილზე, რომელსაც დ. მერკვილაძემ საგანგებო პარაგრაფი მიუძღვნა.

დისერტანტის მიერ მოტანილი არგუმენტები, ჩვენი აზრით, ცალსახად მეტყველებენ, რომ ქართლი VI საუკუნეში სულაც არ იყო მონოფიზიტური აღმსარებლობის ქვეყანა, რომელსაც თითქოს თავი შეაფარეს მონოფიზიტობისათვის დევნილმა ასურელმა მამებმა, როგორც ამას უშვებენ კ. კეკელიძე და ლ. მენაბდე. ამასთან დაკავშირებით, სა-

¹ იხ.: დ. ლეთოდიანი. საქართველოს საგარეო პოლიტიკრი ვითარება VI ს-ის პირველ ნახევარში. 532 წლის „უვალო ზავის“ შედეგები. – *ქართული დიპლომატია*, წელიწადი, ტ. 3. თბ., 1996, გვ. 80-95.

განგებოდ გვინდა აღვნიშნოთ, რომ ასურელი მამების ქართლში მოსვლა არაფრით არ შეიძლებოდა ყოფილიყო განპირობებული მათი მხრიდან აქ თავშესაფრის ძიების სურვილით. ამ შემთხვევაში მათი ჩამოსვლა ნამდვილად არ მიიღებდა ასეთ დიდ რეზონანსს. წმინდა ასურ მამათა მოსვლა ქართლში და მათი მოღვაწეობა უდიდესი პოლიტიკურ-იდეოლოგიური მნიშვნელობის მოვლენა იყო.

ეს იყო წინასწარგამიზნული აქტი და გამოწვეული იყო იმ პერიოდში აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში შექმნილი საერთო რელიგიურ-პოლიტიკური სიტუაციით. შემთხვევითი არ არის ის, რომ ასურელ მამათა ჩამოსვლა ქრონოლოგიურად ემთხვევა იმ პერიოდს – VI ს. 30-40-იანი წლების მიჯნა, როდესაც სპარსეთის პოლიტიკურ-იდეოლოგიურმა ექსპანსიამ აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში თავის პიკს მიაღწია. სომხეთი ცალსახად მოექცა სპარსეთის იდეოლოგიური პოლიტიკის ფარვატერში, რაც საბოლოოდ იურიდიულად გააფორმა კიდეც 551 წლის დვინის საეკლესიო კრებამ. უფრო მეტიც, VI ს. 40-იან წლებში, როგორც ცნობილია, სპარსეთმა სერიოზული ნაბიჯები გადადგა თავისი გავლენის დასავლეთ საქართველოში დასამყარებლადაც. ერთი სიტყვით, VI ს. 30-40-იან წლებში დიოფიზიტობას ქართლში უდიდესი საფრთხე შეექმნა. საჭირო შეიქნა საგანგებო ზომების გატარება, რათა არ დაეშვათ ქართლის მოწყვეტა ჭეშმარიტად მართლმადიდებლური სამყაროდან. თავისთავად ცხადია, რომ ეს არ იყო უბრალოდ რელიგიურ მიმდინარეობათა ჭიდილი. ეს განვლდა დიდი პოლიტიკური ბრძოლა ორ იმპერიას – სპარსეთსა და ბიზანტიას – შორის. აქედან გამომდინარე, არ გამოვირიცხავთ, რომ ასურ მამათა მოღვაწეობას უკან სულაც ბიზანტიის იმპერია მდგარიყო.

საკვალიფიკაციო ნაშრომის **მეოთხე თავში** დისერტანტი იხილავს ასურელ მამათა ეროვნული კუთვნილების საკითხს და, ჩვენი აზრით, სავსებით დამაჯერებლად უარყოფს თეზისს მათი ქართული წარმომავლობის შესახებ, თუმცა ამ შემთხვევაშიც, მისი ცალკეული გამონათქვამები ამა თუ იმ არგუმენტთან დაკავშირებით მაინცდამაინც მისაღებად არ მიგვაჩნია. მაგალითად, ჩვენ ვერ დავეთანხმებით დ. მერკვილადისეულ გაგებას ცნობისა, რომელშიც ნათქვამია, რომ შიო მღვიმელი „...ლოცუასა შინა და ფსალმუნებასა ასურებრსა და ბერძნულსა იხმარებდა, რამეთუ **ორივე ესე ესწავა ნეტარსა მას...**“ და ვთვლით, რომ აქ ნამდვილად საქმე გვაქვს შიო მღვიმელის მიერ სწორედ ასურული და ბერძნული ენების შესწავლასთან და გამოთქმა „**ორივე ესე ესწავა**“ სულაც არ ეხება უბრალოდ ლოცვებისა და ფსალმუნთა კითხვის შესწავლას, როგორც ამას ფიქრობს დისერტანტი.

ამ პრობლემასთან დაკავშირებით შევეხებით კიდევ ერთ საკითხს. ჩვენ ვიზიარებთ დ. მერკვილაძის აზრს იმის შესახებ, რომ ღვათით გარეჯელმა ასევე არ იცოდა ქართული ენა, მაგრამ მთლად დამაჯერებლად არ მიგვაჩნია ამის არგუმენტად იმ ფაქტის მოყვანა, რომ ღვათითმა გარეჯის მიდამოებში მონადირე ღიღებულს – ბუბაქარს შეკითხვაზე სომხურად უპასუხა. მკვლევარი რატომღაც ფიქრობს, რომ ბუბაქარი ღვათითს ალბათ მაინცდამაინც ქართულად მიმართავდა და ვინაიდან ამ უკანასკნელმა არ იცოდა ქართული, სომხურად მხოლოდ ამიტომ უპასუხა. მაგრამ ისმის კითხვა, რატომ მაინცდამაინც სომხურად და არა ღვათითთან ბერძნულად, რომელიც, ჩვენი აზრით, არანაკლებ უნდა სცოდნოდა ქართველ ღიღებულს და რომლის პრიორიტეტიც, როგორც საერთაშორისო ენისა, სრულიად აშკარა იყო იმ პერიოდში. ამდენად, უნდა ვივარაუდოთ, რომ ღვათითმა სომხურად მხოლოდ იმ მიზეზით უპასუხა ბუბაქარს, რომ ეს უკანასკნელი გამოესაუბრა მას სომხურად.

სადისერტაციო ნაშრომის დასკვნით მე-5 თავში დაზუსტებულია ასურელ მამათა რაოდენობა და მათი სახელები. ავტორი სავსებით დასაბუთებულად ანიჭებს უპირატესობას „იოანე ზედაზნელის ცხოვრების“ მონაცემებს და ასკვნის, რომ იოანეს ქართლში თან მოჰყვა 12 შეგირდი, ხოლო მე-13 – ანტონ მარტყოფელი საქართველოში მოგვიანებით ჩამოვიდა.

ამრიგად, ღვათით მერკვილაძის საკანდიდატო დისერტაციაში ფუნდამენტურადაა განხილული ასურელ მამათა მოღვაწეობასთან დაკავშირებულ საკითხთა საკმაოდ ვრცელი სპექტრი. მასში ახლებურადაა გააზრებული და დაზუსტებული საკვლევი პრობლემის ისეთი გლობალური საკითხები, როგორიცაა: ასურელ მამათა ჩამოსვლის დრო, მისიონერთა აღმსარებლობის საკითხი, მათი ეროვნული კუთვნილება, ვინაობა, რაოდენობა და სხვ. დისერტანტი ამჟღავნებს ღრმა განსწავლულობას, ის შესანიშნავად ფლობს მეცნიერული კვლევის ხერხებს და მეთოდოლოგიას, აქვს წერის მაღალი კულტურა.

ყოველივე ზემოაღნიშნული მამლევს უფლებას, დავასკვნა, რომ **ღვათით მერკვილაძის** სადისერტაციო შრომა: „**სირიელი სასულიერო მოღვაწენი ქართლში („ასურელი მამები“)**“ არის დასრულებული მეცნიერული გამოკვლევა, რომელიც მთლიანად ესადაგება საკანდიდატო დისერტაციისადმი წაყენებულ კრიტერიუმებს და ვიშუამდგომლო სამეცნიერო-საატესტაციო საბჭოს წინაშე, რომ მის ავტორს მიენიჭოს ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი.

ამასთან, ბუნებრივია, სადისერტაციო ნაშრომი არ არის დაზღვეული ცალკეული ფრიად უმნიშვნელო ნაკლოვანებებისაგან, რომელთა

შესახებაც ზემოთ ნაწილობრივ უკვე ვისაუბრეთ. ამჯერად, ყურადღება გვინდა შევანეროთ ზოგიერთ მეთოდური ხასიათის ხარვეზზე. ამ თვალსაზრისით, ჩვენი მთავარი შენიშვნა ეხება ნაშრომის სტრუქტურას. კერძოდ, მიგვაჩნია, რომ ნაშრომის ბოლოს აუცილებლად უნდა ყოფილიყო დასკვნა, რომელშიც ავტორს უნდა შეეფასებინა საკუთარი კვლევის ძირითადი შედეგები. რამდენადმე უყურადღებოდაა შედგენილი გამოყენებული წყაროებისა და ლიტერატურის სია. მასში ჩამოთვლილია ისეთი ნაშრომები [მაგ.: კ. კეკელიძის (სიაში დასახელებული რიგითი ნომრები: 38, 39, 40, 41), ნ. მარის (112, 113), ზ. გამსახურდიას (12), ვ. გოილაძის (17), ნ. ჰიგულევსკაიას (115, 116), კ. თუმანოვის (136)], რომლებმაც ასახვა ვერ ჰპოვეს სადისერტაციო შრომის ძირითად ნაწილში, ყოველ შემთხვევაში, მათ ვერ ვხვდებით სქოლიოებში, მაშინ, როდესაც სქოლიოებში და თვით ისტორიოგრაფიულ მიმოხილვაში საგანგებოდ განხილული ზოგიერთი ნაშრომი [მაგ.: ილ. აბულაძის (დაფიქსირებულია დისერტაციის მე-8 გვერდზე), გ. მელიქიშვილის (გვ. 37), ე. გაბიაშვილის (გვ. 8), შუა საუკუნეების ხანის სომეხი ისტორიკოსის თხზულება (გვ. 11)] საერთოდ გამორჩენილია სიაში.

ეს და სხვა ნაკლებად თვალშისაცემი ხარვეზები აბსოლუტურად არ ატარებენ პრინციპულ ხასიათს და ოდნავადაც ვერ ახდენენ გავლენას საკვალიფიკაციო შრომის ხარისხზე, რომელიც მთლიანობაში უდავოდ მაღალ მეცნიერულ დონეზეა შესრულებული და მისი ავტორი, როგორც უკვე ზემოთ აღვნიშნეთ, იმსახურებს ძიებულ ხარისხს.

სამთავრო გამოკვლევა ქართულ ლაპიდარულ კვლევებში

რეცენზია ნოდარ შოშიაშვილის მიერ ისტორიის მეცნიერებათა
დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილ
ნაშრომზე: „ქართული წარწერების კორპუსი. ლაპიდარული
წარწერები“. სპეციალობა: 07.00.02 – საქართველოს
წყაროთმცოდნეობა და ისტორიოგრაფია. 1998.

ქართული ეპიგრაფიკული მასალა შუა საუკუნეების პერიოდის საქართველოს ისტორიის უმნიშვნელოვანეს წყაროს წარმოადგენს. „ქართლის ცხოვრების“ ქრონიკებთან და სხვა წერილობით ძეგლებთან ერთად ქართული ლაპიდარული წარწერები ქმნიან იმ აუცილებელ წყაროთმცოდნეობით ბაზას, რომელიც იძლევა ჩვენი ქვეყნის ისტორიული წარსულის რეალურად აღდგენის საშუალებას.

ქართული ლაპიდარული ძეგლების მოძიება-გამომზეურება და მათი შემდგომი წყაროთმცოდნეობითი დამუშავება, ყოველთვის იყო ისტორიკოს-ფილოლოგთა ყურადღების ცენტრში და თამამად შეიძლება ითქვას, რომ ამ მხრივ სადღეისოდ ჩვენ საკმაოდ სოლიდურ მემკვიდრეობას ვფლობთ. ამ მეცნიერული მემკვიდრეობის შექმნაში თავისი მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ბატონმა ნოდარ შოშიაშვილმა, რომელიც აგერ უკვე 4 ათეულ წელზე მეტია, რაც მუხლჩაუხრელად, ყოველგვარი ზედმეტი ხმაურის გარეშე, ნაყოფიერად იღწვის ეროვნული ისტორიოგრაფიის სამსახურში. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ბ-ნი ნოდარი ეკუთვნის იმ მცირერიცხოვან მკვლევართა რიცხვს, რომელიც თავისი მეცნიერული კვლევა-ძიების მასშტაბურობითა და სიღრმით, ფართო ერუდიციით და განსწავლულობით ყოველგვარი ფორმალობების გარეშედაც, დიდი ხანია, იმსახურებს ყველაზე მაღალ მეცნიერულ რეგალიებს. ამდენად, დღევანდელი საჯარო პაექრობა, ჩემის აზრით, და დარწმუნებული ვარ, ამას იზიარებს აქ დამსწრეთა აბსოლუტური უმრავლესობაც, საკითხის ოფიციალური, ფორმალური მხარის მოწესრიგებისათვის გამიზნული ღონისძიება უფროა, ვიდრე კოლეგებისა და საზოგადოების დარწმუნება დისერტანტის მაღალ მეცნიერულ ღირსებებში.

ნ. შოშიაშვილის მიერ დასაცავად წარმოდგენილი ნაშრომი „ქართული წარწერების კორპუსი. ლაპიდარული წარწერები“, რომელიც, როგორც ცნობილია, წიგნად ჯერ კიდევ 1980წ. გამოიცა, უდავოდ მნიშვნელოვანი მოვლენაა ჩვენს ისტორიოგრაფიაში. ის კარგა ხანია, იქცა

სამაგიდო წიგნად, რომელსაც გვერდს ვერ აუვლის შუა საუკუნეების პერიოდის საქართველოს ისტორიის სფეროში მომუშავე ვერც ერთი მკვლევარი-ისტორიკოსი. ნაშრომი არის ქართული ლაპიდარული წარწერების ყველაზე სრული გამოცემა. მასში თავმოყრილია აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველოში იმ დროისთვის აღმოჩენილი ყველა უძველესი (V-X საუკუნეების) ქართული წარწერა. სულ 234 ლაპიდარული ძეგლი.

თითოეული წარწერა შესწავლილია პალეოგრაფიულად, მოცემულია ფოტოები, წარწერათა გრაფიკული მონახაზები. ნაშრომს ერთვის მდიდარი ბიბლიოგრაფია და საძიებლები. აღნიშვნის ღირსია ის გარემოება, რომ დისერტანტს შეაქვს გარკვეული კორექტივები თითქმის ყველა წარწერის წაკითხვაში. ფაქტობრივად საქმე გვაქვს წარწერათა ტექსტების კრიტიკულ დადგენასთან. ყურადღებას იქცევს განხილულ ლაპიდარულ ძეგლთა დისერტანტისეული დათარიღებებიც. ამასთან დაკავშირებით ნ. შოშიაშვილის მიერ მოტანილი არგუმენტაციები ძირითადად სწორი და დამაჯერებელია. საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ წარწერათა დათარიღებებისას დისერტანტი ფართოდ იყენებს პალეოგრაფიულ დაკვირვებებს. მის მიერ დაზუსტებულია V-X საუკუნეების ქართული პალეოგრაფიული ნიშნები.

უაღრესად საინტერესოა საკვალიფიკაციო ნაშრომის ის ნაწილი, რომელშიც ქართულ ლაპიდარულ წარწერათა მონაცემების ფონზე გაშუქებულია V-X საუკუნეების სოციალურ-პოლიტიკური ისტორიის ცალკეული საკითხები და გამოთქმულია უაღრესად საყურადღებო მოსაზრებები. ამ თვალსაზრისით ჩვენს ყურადღებას განსაკუთრებით იქცევს VI-VIII საუკუნეებში კედლის ლაპიდარულ წარწერათა სიმცირის მიზეზების დისერტანტისეული ახსნა. მკვლევარი, ჩვენის აზრით, სავსებით სწორად თვლის, რომ ეს გამოწვეული იყო მოცემულ პერიოდში მონუმენტური საკულტო ნაგებობათა მშენებლობის შემცირებით, რაც თავის მხრივ განპირობებული იყო VI-VIII საუკუნეებში შექმნილი საშინაო და საგარეო ვითარებით. კერძოდ: 1) უცხოელი დამპყრობლების (ბიზანტია, არაბები, ხაზარები) გახშირებული ამოხრებელი ლაშქრობებით, რის გამოც ქვეყანა ვერ იცლიდა დიდი მშენებლობებისთვის; 2) საერისმთავრო ხელისუფლების დასუსტების შედეგად მსხვილი ტაძრების მშენებლობების შემცირებით; 3) VI-IX საუკუნეებში არ წარმოქმნილა ახალი ეპარქიები და არ აშენებულა ახალი საეპარქიო საყდრები; და 4) V-VIII საუკუნეებში თითქმის არ იყო დიდი სენიორიები, რის გამოც არ შენდებოდა დიდი საფეოდალო (საუფლო) ტაძრები.

არანაკლებ საყურადღებოა დისერტანტის დაკვირვება იმ ფაქტზე,

რომ განსხვავებით ბოლნისის წარწერისა, ურბნისისა და ნიქოზის წარწერებში არ იხსენიება ირანის შაჰი, რაც მკვლევრის სწორი შენიშვნით შიდა ქართლის ამ ნაწილში განსხვავებულ ვითარებაზე (ან განსხვავებულ ეპოქაზე) მიუთითებს. რაც შეეხება ამ წარწერებში ქართლის მეფეთა მოუხსენებლობას, ამ ფაქტს მკვლევარი, ჩვენის აზრით, პრინციპში, სწორად ხსნის იმით, რომ „ქართულ წარწერებში ქვეყნის ადგილობრივი მეთაურის მოხსენიება გვიან შემოვიდა წესად (X საუკუნეში)“ თუმცა მიგვაჩნია, რომ ამ დასკვნას მეტი არგუმენტაცია სჭირდება.

დისერტანტი ყურადღებას ამახვილებს და აზუსტებს VI-X საუკუნეების პოლიტიკურ ისტორიის არაერთ საკითხს, რომელთა შორის აღსანიშნავია დაკვირვებები ბაგრატიონთა საგვარეულოს შესახებ, ბიზანტია-საქართველოს ურთიერთობებზე, პოლიტიკურ-ადმინისტრაციულ სიტუაციაზე აღმოსავლეთ საქართველოში და ა.შ.

ამრიგად, ნ. შოშიაშვილის საკვალიფიკაციო ნაშრომში განხილულია და სათანადო აკადემიური სიღრმით გაანალიზებულია V-X საუკუნეების საქართველოს ისტორიისა და წყაროთმცოდნეობის საკითხთა ძალზე ვრცელი წრე. მეცნიერის მიერ ჩატარებული პალეოგრაფიულ-წყაროთმცოდნეობითი კვლევა არის საეტაპო მნიშვნელობის, ხოლო საკვლევი პერიოდის საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური ისტორიის ცალკეული საკითხების ირგვლივ გამოთქმული მოსაზრებები და მიღებული დასკვნები მაღალი ისტორიოგრაფიული ღირებულებისაა.

ყოველივე ზემოთქმული მაძლევს უფლებას ვიშუამდგომლო სადისერტაციო საბჭოს წინაშე, რომ ნოდარ შოშიაშვილს მიენიჭოს ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის ძიებული ხარისხი.

სადისერტაციო ნაშრომის მიმართ, ჩვენ შენიშვნები პრაქტიკულად არ გვაქვს, გვსურს მხოლოდ დისერტანტის და სპეციალისტ-მკვლევართა ყურადღება მივაპყროთ ნაშრომში განხილული ზოგიერთი საკითხის ჩვენეულ გააზრებას. პირველ რიგში, ესაა სტეფანოზ მამფაღლის წარწერის დათარიღების საკითხი. ჩვენ ვერ გავიზიარებთ ნ. შოშიაშვილის დასკვნას, რომ ეს წარწერა გადათარიღდეს ერთი საუკუნით და მხარს ვუჭერთ ამ წარწერის ტრადიციულ დათარიღებას – 739 წლით. მიგვაჩნია, რომ წარწერაში დაფიქსირებული სტეფანოზ ერისმთავრის ტიტული („ქართველთა და მეგრელთა ერისთავისა“) უნდა იყოს ამოსავალი წარწერის დათარიღებისას. ვფიქრობთ, რომ აღნიშნული ტიტული არის იურიდიული დადასტურება VIII ს. 30-იან წლებში მომხდარი ფაქტისა – ეგრისში ადგილობრივი ხელისუფლების მოშლისა და დასავლეთ საქართველოს ქართლის ერისმთავართა (სტეფანოზ ერისმთავრის სახლის) ხელისუფლების ქვეშ მოქცევისა, რაზედაც პირ-

დაპირ მიუთითებს „ქართლის ცხოვრების“ შესაბამისი მატიანე.¹

ჩვენ ასევე ვთვლით, რომ არა გვაქვს სერიოზული საფუძველი ვამტკიცოთ დავით კურაპალატის მიერ 994 წლიდან – ბაგრატ II „რეგვენის“ გარდაცვალების შემდეგ – „ქართველთა“ მეფის ტიტულის მიღება. ამ რამდენიმე წლის წინ ჩვენ საგანგებოდ გავამახვილეთ ყურადღება ამ საკითხზე² და ამდენად არ მიგვაჩნია აუცილებლად ამის შესახებ აქ ფართო მსჯელობის გამართვა, აღვნიშნავთ, მხოლოდ, რომ ერთადერთი წყარო – ათონის ლავრაში გადაწერილი ექვთიმე ათონელის ხელნაწერისათვის დართული იორდანე მაირინისელის ანდერძ-მინაწერები, რომლებშიც დავითი მოხსენიებულია „ქართველთა მეფედ“, არ გამოდგება მყარ არგუმენტად იმისათვის, რომ იმიერ-ტაოსა და სრულიად საქართველოს ლიდერი დავით კურაპალატი უყოყმანოდ მივიჩნიოთ „ქართუელთა მეფის“ კონკრეტული ტიტულის მატარებლად და ისიც, მაინცდამაინც, 994 წლიდან. სხვაგან, როგორც ნარატიულ წყაროებში ისე ლაპიდარულ ძეგლებში დავით ბაგრატიონი, როგორც წესი იხსენიება კურაპალატად და მხოლოდ გამონაკლის შემთხვევაში უბრალოდ „მეფედ“.

დასასრულ, ერთხელ კიდევ მინდა გამოვხატო ჩემი ცალსახა დამოკიდებულება წარმოდგენილი სადისერტაციო ნაშრომისა და პატივისცემა დისერტანტის მიმართ და მოუწოდო სადისერტაციო საბჭოს წევრებს, ერთხმად მიანიჭონ ბ-ნ ნოდარ შოშიაშვილს ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხი.

¹ ამის შესახებ იხ. **ზ. პაპასქირი**. ბიზანტიის დიპლომატია და პოლიტიკური ცვლილებები დასავლეთ საქართველოში VIII ს-ის I ნახევარში. – *ქართული დიპლომატია*, წელიწადი, ტ. 4. თბ, 1997, გვ. 300-302, 307-308.

² იხ. **ზ. პაპასქირი**. ერთიანი ქართული ფეოდალური სახელმწიფოს წარმოქმნა და საქართველოს საგარეო-პოლიტიკური მდგომარეობის ზოგიერთი საკითხი. თბ, 1990, გვ. 75-82.

საინტერესო ნაშრომი სათავალოებზე

გიორგი ოთხმეზურის მიერ ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილ ნაშრომზე: „შიდა ქართლის მცირე სათავალოები (XV-XVII სს.)“.

სპეციალობა 07.00.01 – საქართველოს ისტორია. 1999.

სათავალოები სრულიად უნიკალური მოვლენაა გვიან შუა საუკუნეების პერიოდის საქართველოში. მათი წარმოქმნა განაპირობა საქართველოს საგარეო თუ საშინაო პოლიტიკურ ცხოვრებაში წარმოქმნილმა სირთულეებმა, რომლებმაც გადაწყვეტი გავლენა იქონიეს ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაზე. ქართულ ისტორიოგრაფიაში საკმაოდ საფუძვლიანადაა შესწავლილი სათავალოების სისტემა. ფაქტობრივად არაა დარჩენილი მოცემულ პრობლემასთან მეტ-ნაკლებად დაკავშირებული არც ერთი საკითხი, რომლებზედაც მკვლევარებს არ გაემახვილებინოთ სათანადო ყურადღება. გამორკვეულია სათავალოების აღმოცენება-ჩამოყალიბების მიზეზები და თავისებურებები, გამოთქმულია მოსაზრებები სათავალოთა ინსტიტუტის როლსა და ადგილზე ქართულ ისტორიულ სინამდვილეში; ხაზგასმულია ცალკეულ რეგიონებში მათი ფუნქციონირების სპეციფიკა და ა.შ.

მიუხედავად ამისა, აღნიშნული პრობლემა, ისევე როგორც ნებისმიერი სხვა საკითხი, არ შეიძლება ჩაითვალოს ბოლომდე დამუშავებულად. ჯერ კიდევ საკმაოდაა საკითხთა წრე, რომლებიც მოითხოვენ შემდგომ ფუნდამენტურ კვლევა-ძიებას. სწორედ ასეთ საკითხს წარმოადგენს გიორგი ოთხმეზურის მიერ სადოქტორო დისერტაციის თემად არჩეული შიდა ქართლის მცირე სათავალოები, რომლებიც პირველად იქცნენ ყოველმხრივი, ამომწურავი, მონოგრაფიული შესწავლის საგნად.

სადისერტაციო ნაშრომი შედგება შესავლის, 6 თავისა და დამატებისგან, რომელშიც შესულია „*შეწირულების წიგნი ქუცნა ამირეჯიბისა ულუმბოს ღვთისმშობლისადმი*“ და რიგი ეპიგრაფიული ძეგლებისა (შესაბამისი ფოტომასალით), რომელთა უმრავლესობა მიმოქცევაში უშუალოდ დისერტანტის მიერაა შემოტანილი. ნაშრომს დართული აქვს შემოკლებათა განმარტება და გამოყენებული წყაროებისა და ლიტერატურის სია.

შესავალში განხილულია ის მიზეზები, რომლებმაც განაპირობეს სათავალოების წარმოქმნა: საგარეო ვითარებისა (ოსმალეთისა და ირანის ძლიერი მაჰმადიანური იმპერიების გარემოცვაში მოქცევა) და ამის პარალელურად საშინაო პოლიტიკური მდგომარეობის მკვეთრი გაუარე-

სება (ერთიანი სახელმწიფოს დაშლა ცალკეულ სამეფო-სამთავროებად, რაც მოჰყვა ცენტრალური ხელისუფლების დაუძღვრებას და ა.შ.). აღნიშნულია, რომ ცენტრალური ხელისუფლების მოშლამ საშუალება მისცა ფეოდალებს მნიშვნელოვნად აემაღლებინათ თავიანთი სოციალური სტატუსი და დიდებულიდან თავადად გადაქცეულიყვნენ. უფრო მეტიც, მოხდა სამოხელეო თანამდებობების გვარებად დამკვიდრება (ზევდგინიძე გახდა ამილახორი, გაბელიძე – ამირეჯიბი და ა.შ.).

ნაშრომის ამ ნაწილში განსაზღვრულია შიდა ქართლის, როგორც ქვეყნის ცენტრალური რეგიონის, საუკუნეების მანძილზე ერთიანი სამხედრო-ადმინისტრაციული ერთეულის როლი და მნიშვნელობა საქართველოს ისტორიაში და ამით დასაბუთებულია საკვლევი თემის ამ გეოგრაფიული არეალით განსაზღვრა. ყურადღებაა გამახვილებული შიდა ქართლის ისტორიის ზოგიერთ საკითხზე ადრინდელ ხანაში და დაზუსტებულია ზოგიერთი მოვლენის თარიღი. კერძოდ, ჩვენის აზრით, სავსებით სწორადაა განსაზღვრული ბაზალეთის ზავისა და კახეთის ქორეპისკოპოსის მიერ კახეთის დაბრუნების თარიღი (956წ.). ასევე მართებულია გ. ოთხმეზურისეული გაგება „*მატიანე ქართლისაის*“ იმ ნაწილისა, სადაც ჩამოთვლილია „აფხაზთა“ მეფის წინააღმდეგ მებრძოლი აზნაურები: „გოდერძი მგდეური, მამა ყანჩაელი, დაჩი კორინთელი“ და ა.შ.). მკვლევარს ისინი, ჩვენი აზრით, სავსებით არგუმენტირებულად, მიაჩნია არა კახელ აზნაურებად, როგორც ეს მიღებულია ქართულ ისტორიოგრაფიაში, არამედ ქართლებებად. ასევე გასაზიარებელია დისერტანტისეული წაკითხვა ჟამთააღმწერლის თხზულების იმ მონაკვეთისა, რომელიც ეხება ოვსთა მთავრის ფარეჯანის მიერ ქართლის მოოხრებას (იხ. სადისერტაციო ნაშრომის მე-9 გვ.).

შესავალ ნაწილში საგანგებო ყურადღება ექცევა შიდა ქართლის ტერიტორიის ერთ ნაწილში საბჭოთა ხელისუფლების მიერ ე.წ. „სამხრეთ ოსეთის“ სახელმწიფოებრივი წარმონაქმნის შექმნის ისტორიას და ნაჩვენებია მისი სრული უსაფუძვლობა ისტორიული თვალსაზრისით. ასევე სავსებით სწორადაა მითითებული, რომ „სამაჩაბლო“ ამ რეგიონის მხოლოდ ერთ ნაწილს თუ შეიძლება ეწოდოს. ამასთან დაკავშირებით არ შეიძლება საგანგებოდ არ აღვნიშნოთ გიორგი ოთხმეზურის წვლილი ისეთი საშური გამოცემის მომზადებაში, როგორიც არის „*ოსთა საკითხი*“, რომელშიც, როგორც ცნობილია, შესულია მისი მეტად საინტერესო პუბლიკაცია შიდა ქართლის ეპიგრაფიკულ ძეგლებზე.

სადისერტაციო ნაშრომში ცალკეა გამოყოფილი წყაროებისა და ისტორიოგრაფიის მიმოხილვა. ამასთან, იმის გამო, რომ წყაროთმცოდ-

ნობითი დაკვირვებები გადატანილია უშუალოდ ნაშრომის ძირითად ნაწილში, მას ამჯერად ნაკლები ყურადღება ექცევა. დისერტანტი მოკლედ მიმოიხილავს ქართველ ისტორიკოსთა (ს. კაკაბაძე, ნ. ბერძენიშვილი, დ. გვრიტიშვილის, ო. სოსელიას, გ. ჯამბურას, ნ. ასათიანის, ილ. ანთელავას და სხვ.) კვლევის შედეგებს სათავადოების წარმოქმნის, მათი სტრუქტურისა და სოციალურ-ეკონომიკური იერსახის შესახებ.

დისერტაციის **პირველი თავი** ეძღვნება გაბელიძე-ამირეჯიბთა საგვარეულოს, რომლის ისტორიის კვლევისას დისერტანტი, სავსებით საფუძვლიანად, განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს ალექსანდრე I დიდის თანამედროვის, მისი სიმამრის ქუცნა ამირეჯიბის მიერ გაცემულ „*შეწირულების წიგნს ულუმბოს ღვთისმშობლისადმი*“, რომლის მონაცემები (სხვა საბუთებთან და ნარატიულ წყაროთა ცნობებთან შეჯერებით) საშუალებას აძლევს მას დაადგინოს გაბელიძე-ამირეჯიბთა საგვარეულოს გენეალოგია და მათი სამამულო მფლობელობა ორი საუკუნის (XV-XVI სს.) მანძილზე. აღნიშნული დოკუმენტის მნიშვნელობამ განაპირობა დისერტანტის მხრიდან საბუთის ხელახალი გამოცემის აუცილებლობა, არსებული თედო ჟორდანიასეული გამოცემისგან განსხვავებული პირთა იდენტიფიკაციით, დათარიღებით, სათანადო კომენტარებითა და საძიებლებით (იხ. სადისერტაციო ნაშრომი, დამატება №2).

მეორე თავში – განხილულია ჯავახიშვილთა საგვარეულოს ისტორია. დაზუსტებულია აღნიშნული სათავადოს ისტორიის ამსახველი მთელი რიგი დოკუმენტების შედგენის თარიღი. ამ თვალსაზრისით, განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს „*ჯავახიშვილთა საჩივრის წიგნი*“: დადგენილია ამ დოკუმენტის გამომცემის ვინაობა – კახა ჯავახიშვილი – და შედგენის დრო (1468 – XV ს. 70-იანი წლები), ერთმანეთისაგან გამიჯნული და დათარიღებულია ამ საბუთის ტექსტში გადმოცემული სხვადასხვა ისტორიული მოვლენები. დაზუსტებულია აგრეთვე ჯავახიშვილის „*შეწირულების წიგნი მცხეთის სვეტიცხოვლისადმი*“-ს შედგენის თარიღი – ღოროთეოს II-ის კათალიკოსობის პერიოდი (1503-1516 წწ.), დადგენილია აგრეთვე ამ დოკუმენტში დასახელებულ პირთა ნათესაური კავშირი.

მესამე თავში ასევე სკრუპულოზურადაა გაშუქებული მანაბელთა სახლის ისტორია. ჩვენ მთლიანად ვიზიარებთ დისერტანტის ვარაუდს იმის შესახებ, რომ შუა საუკუნეებში სამეფო სახლისა და სხვადასხვა ფეოდალურ საგვარეულოთა (ბაღვაშთა, ქსნის ერისთავთა) მატრიანთა გვერდით არსებობდა მანაბელთა საგვარეულო ქრონიკაც. გ. ოთხმეზური, ჩვენის აზრით, სავსებით დამაჯერებლად უარყოფს ისტორიოგრაფიაში მიღებულ თვალსაზრისს მანაბელთა წინაპრებად აზნაურ თავხე-

ლიძეთა, კერძოდ, თირის სამონასტრო კომპლექსის სამრეკლოზე ამოკვეთილ წარწერაში მოხსენიებული – მაჩაბელ თავხელიძის მიჩნევის შესახებ. მკვლევარი სწორად აღნიშნავს, რომ გვარ-სახელი მაჩაბელი თავად იქცა პირის სახელად და არა პირიქით (ისევე როგორც პირის სახელად გადაიქცა გვარ-სახელები: გამრეკელი, მხარგრძელი და სხვ.). მით უმეტეს, რომ მაჩაბელი ჯერ კიდევ XIII ს. II ნახევრის დოკუმენტში იხსენიება. დისერტანტი აზუსტებს ბააღურ მაჩაბლის „საჩივრის წიგნის“ შედგენის თარიღს (1658-1664წწ.), აგრეთვე სამაჩაბლოს ტერიტორიას.

მეოთხე თავში სათანადო დოკუმენტურ მასალებზე დაყრდნობით აღდგენილია საფლავანდიშვილოს მცირე სათავადოს ისტორია. ხაზგასმულია, რომ სხვა სათავადოებისაგან განსხვავებით საფლავანდიშვილოს წარმოქმნა განაპირობა სასისხლო დავამ, კერძოდ, რამინ გაბელიძის ძმის მიერ სიაოშ ფლავანდიშვილის მამის მოკვლამ. ამის გამო 1488წ. ალექსანდრე იმერთა მეფის განჩინებით გაბელიძეებმა ფლავანდიშვილებს სისხლის საზღაურში მისცეს „ოქონა მონასტერი და სოფელი სხვათა ეკლესიებითა“. ლაპიდარული და ფრესკული წარწერების მონაცემებისა და სხვა არაპირდაპირი მასალის გათვალისწინებით დისერტანტი ახერხებს ფლავანდიშვილთა სხვადასხვა თაობის საგვარეულოს უწყვეტი გენერალური ხაზისა და მათი სამფლობელოების დადგენას.

მეხუთე თავი ეძღვნება სააკაძეთა სათავადოს ისტორიას. ხაზგასმულია ის გარემოება, რომ ამ სათავადოს წარმოქმნა მთლიანად გიორგი სააკაძის პირაღმა ღვაწლმა და დამსახურებამ განაპირობა. დისერტანტი აზუსტებს სააკაძეების შესახებ უძველესი დოკუმენტის „გაცვლილობის წიგნი გულშარ დედოფლისა სააკაძეებისადმი“ შედგენის თარიღს – 1462 წელი (ადრე მიღებული 1412 წლის ნაცვლად). დადგენილია ატენელ სააკაძეთა უწყვეტი გენეალოგიური ხაზი – XVI ს. II ნახევრიდან XVII ს. მიწურულამდე.

მექვსე თავში მოცემულია ინფორმაცია შიდა ქართლის სხვა მცირე სათავადოთა: ფავნელიშვილთა (ფავლენიშვილთა), ჩიჯავაძეთა, ავალიშვილთა, აბაშიძეთა, ხერხეულიძეთა, დიასამიძეთა, შალიკაშვილთა, როჭიკაშვილთა, ხიდირბეგიშვილთა, სიამარდიშვილთა, თაქთაქიძე-თაქთაქიშვილთა სათავადოების შესახებ.

დამატებაში დისერტანტი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, იძლევა ქუცნა ამირეჯიბის შეწირულების წიგნის ულუმბოს ღვთისმშობლისადმის ვრცელ წყაროთმცოდნეობით ანალიზს. აქვე მოცემულია ძირითადად დისერტანტის მიერ მოძიებული და შესწავლილი ბერიჯვრის სტელის, რკონის, ახალქალაქის, ფავნისისა და მეტეხის წარწერების პალეოგრაფი-

ულ-წყარომცოდნეობითი კვლევის შედეგები.

ამრიგად, გიორგი ოთხმეზურის სადისერტაციო ნაშრომი წარმოადგენს სოლიდურ მეცნიერულ გამოკვლევას, რომელშიც პირველად ისტორიოგრაფიაში მონოგრაფიულადაა შესწავლილი შიდა ქართლის მცირე სათავადოთა ისტორია XV-XVII საუკუნეებში. დისერტანტის მიერ ჩატარებული კვლევა მნიშვნელოვნად ავსებს ისტორიოგრაფიაში არსებულ ხარვეზს და უდავოდ აფართოებს ჩვენს წარმოდგენებს გვიან შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიულ წარსულზე საზოგადოდ. უაღრესად ფასეულია გ. ოთხმეზურის წყარომცოდნეობითი დაკვირვებები, განსაკუთრებით ეპიგრაფიკული მასალების ანალიზი. ყოველივე ზემოაღნიშნული მაძლევს უფლებას ვიშუამდგომლო სადისერტაციო საბჭოს წინაშე, რათა გიორგი კონსტანტინეს ძე ოთხმეზურს ნაშრომისთვის „შიდა ქართლის მცირე სათავადოები (XV-XVII სს.)“ მიენიჭოს ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის საძიებელი ხარისხი.

წარმოდგენილი სადისერტაციო ნაშრომის მიმართ გვაქვს ცალკეული, არაარსებითი ხასიათის შენიშვნები, რომელთაგან მხოლოდ ერთი ეხება ნაშრომის ძირითად პრობლემას. როგორც ცნობილია, ისტორიოგრაფიაში არის მნიშვნელოვანი აზრთა სხვადასხვაობა სათავადოების როლისა და ადგილის შესახებ ქართულ ისტორიულ სინამდვილეში. დისერტანტი თავისი შრომის შესავალ ნაწილში მხოლოდ გაკვრით ეხება ამ პრობლემას. სასურველი იყო ამ საკითხის უფრო ფართოდ გაშლა სადისერტაციო ნაშრომში და სათანადო შეფასების მიცემა. კერძოდ, უფრო მკვეთრად იყო გასაცემი პასუხი კითხვაზე, თუ რა მოვლენა იყო სათავადო, მოუტანა მან მხოლოდ ზიანი, თუ რაიმე პოზიტიური წვლილიც შეიტანა ქვეყნის ცხოვრებაში.

დანარჩენი შენიშვნები ეხება ადრინდელ პერიოდს და მაინცდამაინც პრინციპული ხასიათი არცა აქვს, მაგრამ მაინც მიგვაჩნია საჭიროდ მათზე შეჩერება.

ჩვენის აზრით, მთლად ზუსტი არ არის ოსების საქართველოში ჩამოსახლებაზე, როგორც რუსეთის იმპერიული პოლიტიკის შედეგზე მსჯელობა (გვ. 12). ოსთა ჩამოსახლება, როგორც ეს სავსებით სამართლიანად არის აღნიშნული სადისერტაციო ნაშრომშიც, ძირითადად მოხდა გვიან შუა საუკუნეებში ქართველ მეფეთა და თავადთა ხელშეწყობით, საქართველოში რუსეთის მფლობელობის დამყარებამდე და არა მის შემდეგ. სხვა საკითხია, რომ რუსეთის ხელისუფლებამ, როგორც მეფის დროინდელმა, ისე განსაკუთრებით ბოლშევიკურმა, ყველაფერი გააკეთა ოსთა ქართველებთან დაპირისპირებისა და ამ გზით შიდა ქართლში „ცხელი წერტილის“ გაჩენისათვის.

სადისერტაციო ნაშრომის მე-13 გვერდზე ბაგრატ III ზეობის წლებად მითითებული 975-1014 წლები. სამწუხაროდ, ეს არ არის პირველი შემთხვევა, როდესაც ბაგრატის გამეფების თარიღად 975 წელს უთითებენ, ასეთი რამ გვხვდება სხვა მკვლევართა შრომებშიც. ბაგრატ III გამეფების 975 წლით დათარიღება პრინციპულად მიუღებელია, ვინაიდან ბაგრატ უფლისწულის შიდა ქართლის მმართველად დასმა სრულებითაც არ ნიშნავს მის იქ გამეფებას. ბაგრატი პირველად მეფედ აკურთხეს 978 წელს დასავლეთ საქართველოში, ამიტომაც იწოდებოდა ის, პირველ რიგში, „აფხაზთა“ მეფედ, ხოლო საკუთრივ ქართლი (ფაქტობრივად შიდა ქართლი) ბაგრატ III-ის „აფხაზთა“ სამეფოს მხოლოდ ნაწილი იყო. რაც შეეხება ბაგრატ უფლისწულის მმართველობას ქართლში, ის, როგორც ჩანს, ხანმოკლე გამოდგა.

როგორც ცნობილია, დავით კურაპალატის ქართლიდან წასვლის შემდეგ კახელები მოადგნენ უფლისციხეს და „შეიპყრეს გურგენ და ძე მისი ბაგრატ და დედოფალი გურანდუხტ“¹. დავით კურაპალატი იძულებული შეიქმნა სასწრაფოდ გამოელაშქრა კახეთს. კახელებსა და დავით კურაპალატს შორის მიღწეული შეთანხმებით კახელებმა გაათავისუფლეს დატყვევებულნი და სანაცვლოდ წირქუალის ციხე და გრუი მიიღეს. უფრო მეტიც, არსებობს სერიოზული საფუძველი ვიფიქროთ, რომ კახელთა და ქართლის დიდაზნაურთა ზეწოლით დავით კურაპალატს საერთოდ მოუხდა ბაგრატ უფლისწულის გაწვევა ქართლიდან და ამ რეგიონის გურანდუხტ დედოფლისთვის ჩაბარება². სწორედ ამაზე უნდა მეტყველებდეს „მატიანე ქართლისაჲს“, ერთი შეხედვით მეტად უცნაური, ცნობა იმის შესახებ, რომ „მას ჟამსა (ე.ი. იმ დროს, როდესაც კახელებმა დავით კურაპალატის მოთხოვნით გაათავისუფლეს დატყვევებული ბაგრატი და მისი დედ-მამა – **ზ.პ.**) ეპყრა უფლისციხე და ქართლი გურანდუხტ დედოფალსა“³.

ასევე ვერ გავიზიარებთ სადისერტაციო ნაშრომში განვითარებულ თვალსაზრისს იმის შესახებ, თითქოს „აფხაზთა“ მეფე ლეონ III-ს დაეკარგოს კონტროლი ქართლზე 956-957 წლებში კახელებთან დადებული ზავის („ბაზალეთის ზავი“) შემდეგ და, რომ ამ მხრივ „სტატუს კვოს“ აღდგენა მხოლოდ დემეტრეს გამეფების შემდეგ მოხერხდა. ლეონ III, მიუხედავად იმისა, რომ მას (მამის გარდაცვალების გამო)

¹ *მატიანე ქართლისა*. – *ქართლის ცხოვრება*. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით **ს. ყაუხჩიშვილის** მიერ. ტ. I. თბ., 1955, გვ. 274.

² ამის შესახებ იხ.: **ზ. პაპასქირი**. ერთიანი ქართული ფეოდალური სახელმწიფოს წარმოქმნა და საქართველოს საგარეო-პოლიტიკური მდგომარეობის ზოგიერთი საკითხი. თბ., 1990, გვ. 67-68.

³ *მატიანე ქართლისა*, გვ. 275, ხაზგასმა ჩვენია – **ზ.პ.**

მოუწია კახეთის დატოვება, საკმაოდ ძლევამოსილი ხელისუფალი იყო და ტოლს არ უღებდა თავის ყოვლისშემძლე მამას – „აფხაზთა“ მეფე გიორგი II-ს. „მატიანე ქართლისაჲს“ ავტორი აკი მიუთითებს, რომ „განადიდა უფალმან ღმერთმან მეფობა მისი მსგავსად მამისა მისისა“.¹ გარდა ამისა, როგორც იმავე „მატიანე ქართლისაჲს“ ქრონიკიდან ირკვევა, ლეონ III-მ მოგვიანებით კვლავ შეუტია კახეთს: „ჩადგა არაგვისპირსა, ასწყვიდა მუხნარი, ხერკი და ბაზალეთი“.²

კახეთი საბოლოოდ კრახისგან მხოლოდ „აფხაზთა“ მეფის მოულოდნელმა სიკვდილმა იხსნა. ამასთან, ჩვენ ვეთანხმებით გ. ოთხმეზურს და მართლაც არ მიგვაჩნია აუცილებლად იოანე მარუშის ძის ერისთავობა ქართლში ლეონის გამეფების დროიდან (თუმცა, პრინციპში, ამის მთლიანად გამორიცხვაც არ მიგვაჩნია გამართლებულად). მაგრამ ამ თანამდებობაზე ყანჩაელთა საგვარეულოს წარმომადგენელთა ყოფნას, ჩვენის აზრით, უთუოდ დამატებითი არგუმენტაცია სჭირდება. ჩვენ უფრო იქითკენ ვიხრებით, რომ ლეონ III-ის მეფობის პერიოდში ქათლის ერისთავი სულაც დემეტრე უფლისწული იყო.

მთლად დამაჯერებლად არ გვეჩვენება დისერტანტის დასკვნა ქუცნა ამირეჯიბის მიერ აღდგენილი ტაძრის კედლებში ჩატანებული ქვის XII ს. დათარიღებული წარწერის ტექსტზე, რომელშიც, მისი აზრით, საქართველოს მეფე გიორგი I უნდა იყოს მოხსენიებული „ყოველსავე აღმოსავლისავე კურაპალატისას“ ტიტულით. ჩვენ საეჭვოდ მიგვაჩნია გიორგი I-ის მიერ რაიმე ბიზანტიური ტიტულის ტარება, ვინაიდან ის, როგორც ცნობილია, მთელი თავისი მეფობის მანძილზე, თითქმის პერმანენტულად იბრძოდა ბიზანტიის იმპერიის წინააღმდეგ. ის ფაქტი, რომ ბაგრატ III-მ დავით კურაპალატის სიკვდილის შემდეგ მიიღო კურაპალატობა, სულაც არ ნიშნავს იმას, რომ გიორგი I-საც მამის გარდაცვალებისთანავე ავტომატურად უნდა მიეღო ეს ტიტული. ბაგრატ III-სთვის კურაპალატის ტიტულის ბოძება საქართველო-ბიზანტიას შორის გარკვეული პოლიტიკური (ვასალური, თუ სამოკავშირეო) ურთიერთობის დამყარების გარეგნული გამოხატულება იყო. ბიზანტიის იმპერიის ხელისუფლება საკმაოდ სერიოზულად უდგებოდა ქართველი მეფე-მთავრებისათვის ამა თუ იმ ტიტულის მინიჭებას და ყოველთვის გარკვეულ პოლიტიკურ შინაარსს უღებდა საფუძვლად ამგვარ „წყალობას“. ამ თვალსაზრისით, ნამდვილად არ იყო შემთხვევითი, რომ ბაგრატ IV-ს კურაპალატობა მას მერე ებოძა, რაც დედამისმა, მარიამ დედოფალმა კონსტანტინოპოლში ხელი მოაწერა ბიზანტიასთან „მშვი-

¹ *მატიანე ქართლისა*, გვ. 270, ხაზგასმა ჩვენია – **ზ.პ.**

² *მატიანე ქართლისა*, გვ. 270.

დობისა და ერთობის“ ხელშეკრულებას.

ვერ გავიზიარებთ დისერტანტის ოპტიმიზმს XVII. იტალიელი კარტოგრაფის ჯაკოპო გასტალდის რუკის მიხედვით, იმ დროს აფხაზ-აფსუთა მაინცდამაინც მხოლოდ ჩრდილოეთ კავკასიაში მოსახლეობის შესახებ (სადისერტაციო ნაშრომის მე-10 გვერდი). შუა საუკუნეების ევროპული რუკები, ხშირ შემთხვევაში, რამდენადმე წინააღმდეგობრივ მონაცემებს შეიცავენ (ხშირია ანაქრონიზმიც) და მხოლოდ მათზე დაყრდნობით ძნელია კატეგორიული დასკვნის გამოტანა. აქვე საგანგებოდ გვინდა აღვნიშნოთ, რომ გ. ოთხმეზური საერთოდ დიდი ყურადღებით ეკიდება აფხაზეთის ისტორიის საკითხებს და საჭიროების შემთხვევაში დაუზარებლად და მაღალ კვალიფიციურად ასრულებს თავის პროფესიონალურ მოვალეობას. ამასთან დაკავშირებით, მინდა გავიხსენო მისი ჩამოსვლა სოხუმში, ჩემი თხოვნით, 1988 წელს, რომლის დროსაც მან სპეციალურად მოინახულა წებელდა და ადგილზე შეისწავლა ი. ვორონოვისა და ო. ბლაჟბას მიერ იქ მოპოვებული ფილა XIV საუკუნის ქართული წარწერით.

გვაქვს ტექნიკური ხარისხის შენიშვნები სქოლიოს მიმართაც. ამ მხრივ განსაკუთრებით გვეხამუშება ლეონტი მროველის მოხსენიება – ლ. მროველად (გვ. 5) და სხვ. მიუხედავად ამ და სხვა თვალში ნაკლებად საცემი ხარვეზებისა, რომლებიც, ვიმეორებთ, აბსოლუტურად არ ატარებენ პრინციპულ ხასიათს, ვადასტურებთ ჩვენს საერთო დასკვნას და ვთვლით, რომ გიორგი ოთხმეზურის ნაშრომი მთლიანად პასუხობს სადოქტორო დისერტაციისადმი წაყენებულ ყველა მოთხოვნას, ხოლო მისი ავტორი უყოყმანოდ იმსახურებს ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის სადიბეღელ ხარისხს.

ნაშრომი ქართველ მემატინაემებზე

რეცენზია **მამუკა ჯოღბორდის** მიერ ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილ ნაშრომზე **„ლეონტი მროველი და ჯუანშერი მსოფლიო ისტორიის ზოგიერთი საკითხის შესახებ“**.
სპეციალობა 07.00.02 – საქართველოს ისტორიის წყაროთმცოდნეობა და ისტორიოგრაფია. 2001.

საყოველთაოდ ცნობილი ჭეშმარიტებაა, რომ *„ქართლის ცხოვრება“* არის შუა საუკუნეების საქართველოს დიდი წიგნი – ნამდვილი დედა-ისტორია, რომელიც აკად. ნიკო ბერძენიშვილის ხატოვანი და უადრესად ზუსტი განსაზღვრებით, *„სახარებასთან“* და *„ვეფხისტყაოსანთან“* ერთად ურყევ ბურჯად ედგა ჩვენს ეროვნულობას. ასევე ცნობილია, რომ *„ქართლის ცხოვრების“* ყოველმხრივი ისტორიულ-ფილოლოგიური შესწავლა მუდამ იყო მეცნიერული ქართველოლოგიის საგანგებო კვლევის საგანი. დაწყებული XVIII ს. დამდეგიდან, როდესაც „სწავლულ კაცთა“ კომისიამ ფაქტობრივად *„ქართლის ცხოვრების“* პირველი კრიტიკული რედაქცია განახორციელა, დღემდე შესრულებულია კოლოსალური სამუშაო. ძირითადად (მეტნაკლები სიზუსტით) დადგენილია *„ქართლის ცხოვრების“* შედგენილობა, ცალკეულ მათიანეთა შექმნის დრო, გამოთქმულია მოსაზრებები ავტორთა ვინაობის შესახებ და ა.შ. უფრო მეტიც, *„ქართლის ცხოვრების“* კრებულის წყაროთმცოდნეობითი და ისტორიოგრაფიული შესწავლის თვალსაზრისით საერთოდ ძნელია მოიძებნოს რაიმე კონკრეტული ასპექტი, რომელიც მკვლევართა ყურადღების გარეშე დარჩენილიყოს.

მიუხედავად ამისა, სრულიად აშკარაა, რომ შუა საუკუნეების ქართული ისტორიოგრაფიის ამ სწორუპოვარი ძეგლის მეცნიერული შესწავლა-დამუშავება სულაც არ არის დასრულებული. ერთ-ერთ პრობლემად, რომელიც, ჩვენი აზრით, ნამდვილად მოითხოვს შემდგომ კვლევასა და მეცნიერულ გააზრებას, გვესახება *„ქართლის ცხოვრების“* მემატინაეთა ისტორიოგრაფიული თვალსაწიერის ჩვენება. შეიძლება ითქვას, რომ **მამუკა ჯოღბორდის** სადისერტაციო ნაშრომი, წარმოდგენილი გამოქვეყნებული მონოგრაფიის სახით (გამომც. *„ქართლი“*, გორი, 2000), სწორედ ამ მიმართულებით გადადგმული კიდევ ერთი წარმატებული ნაბიჯია.

სადისერტაციო ნაშრომი შედგება შესავლის, 3 თავისა და დასკვნისაგან. მას დართული აქვს დამოწმებული საისტორიო წყაროებისა და სპეციალური სამეცნიერო ლიტერატურის სია (სულ 105 დასახელების). ნაშრომის მთავარ მიზანს წარმოადგენს „ქართლის ცხოვრების“ დასაწყისის მათიანებში: ლეონტი მროველის თხზულებად მიჩნეულ „ცხოვრება ქართველთა მეფეთასა“ და ჯუანშერ ჯუანშერიანის „ცხოვრება ვახტანგ კორგასლისაში“ გადმოცემული მსოფლიო ისტორიის ფაქტების აღნუსხვა, მათი მეცნიერული ანალიზი და ამ ფონზე, ერთი მხრივ, ქართველ მემატიანეთა წყაროთმცოდნეობითი ბაზის გამორკვევა, ხოლო, მეორე მხრივ, მათი ისტორიოგრაფიული კვალიფიკაციის წარმოჩენა. სწორედ ამ ორი მომენტის გათვალისწინებით წარმოდგენილი სადისერტაციო შრომა შეესაბამება ჩვენი სადისერტაციო საბჭოს პროფილს, სპეციალობით: „საქართველოს ისტორიის წყაროთმცოდნეობა და ისტორიოგრაფია“.

შესავალში დისერტანტი იძლევა საკვლევი თემის აქტუალობის დასაბუთებას. აქვეა მოცემული პრობლემის ირგვლივ არსებული საისტორიო წყაროებისა და სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვაც, რომელშიც ავტორი აკეთებს არაერთ საყურადღებო დასკვნას, კერძოდ, მართებულად მიგვაჩნია ნაშრომში განვითარებული თვალსაზრისი იმის შესახებ, რომ ლეონტი მროველი უნდა ჩაითვალოს არა მისდამი მიწერილი მათიანის ავტორად, არამედ რედაქტორ-გამფორმებლად. ჩვენი აზრით, ასევე სწორია დასკვნა იმის შესახებაც, რომ ლეონტი მროველის „არმენოფილობა“ გარკვეულწილად სომხური წერილობითი წყაროების გავლენითაა გამოწვეული.

პირველ თავში საგანგებოდაა განხილული „ქართლის ცხოვრების“ დასაწყისის მათიანებში არაერთხელ მოხსენიებული „ნებროთის წიგნის“ რაობის საკითხი. დისერტანტის აზრით, არ არის დამაჯერებელი რიგ ქართველ მკვლევართა (კ. კეკელიძე, ა. ბოგვერაძე და სხვ.) დასკვნა იმის შესახებ, რომ არავითარი „ნებროთის წიგნი“ არ არსებობდა. ის მხარს უჭერს საპირისპირო შეხედულებას (ი. ჯავახიშვილი, პ. ინგოროყვა), რომლის მიხედვითაც „ნებროთის წიგნი“ „უცილობლად არსებობდა“ და ეს უნდა ყოფილიყო იგივე „სპარსთა ცხოვრება“.

სადისერტაციო ნაშრომის **II თავი** მთლიანად ეძღვნება ლეონტი მროველის თხზულებაში გადმოცემული მსოფლიო ისტორიის ფაქტების ანალიზს. მასში საგანგებოდ გაშუქებულია და გამოთქმულია მოსაზრებები ნებროთისა და ნებროთიანობის, ქართველი მემატიანეების (ლეონტი, ჯუანშერი) ბიბლიური მემკვიდრეობისადმი დამოკიდებულების, უძველეს ქართულ საისტორიო თხზულებებში: „მოქცევაჲ ქართლისაის“

ქრონიკასა და „მეფეთა ცხოვრებაში“ ალექსანდრე მაკედონელის ქართლში მოსვლის თაობაზე არსებული ინფორმაციის რეალურობის, III-IV საუკუნეების რომი-ირანს შორის განვითარებული მოვლენებისა და სხვა საკითხების შესახებ.

აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით დისერტანტის მიერ გაკეთებული დასკვნებიდან ჩვენ საგანგებოდ გამოვყოფდით აზრს იმის შესახებ, რომ ქართლის მეფეთა „ნებროთიანობისადმი“ ხაზგასმა ლეონტი მროველის მიერ „მათი გარკვეული ორიენტაციის... გამომხატველი... უნდა იყოს“ და რომ ლეონტი მროველის „სპარსოფილობის“ საფუძველი არის აღმოსავლეთში ალექსანდრე მაკედონელის მოსვლამდე არსებული ისტორიული რეალობა. ამასთან, ჩვენ რამდენადმე ხელოვნურად მიგვაჩნია დისერტანტის მცდელობა, ლეონტი მროველის „სპარსოფილობა“ ახსნას მის პერიოდში (XI ს.) არსებული ანტიბიზანტიური იდეოლოგიური კონიუნქტურითაც. ვფიქრობთ, საქართველოს ისტორიული წარსულის ერთგვარ მიბმას აქემენიდურ ირანთან, რომელიც მართლაც ასე მკვეთრადაა მოცემული „ქართლის ცხოვრების“ დასაწყის მატრიანეში, არავითარი კავშირი არა აქვს XI საუკუნეში ბიზანტიის იმპერიის წინააღმდეგ მიმდინარე ბრძოლის იდეოლოგიურ უზრუნველყოფასთან.

ჩვენი აზრით, სრულიად მართებულია მ. ჯოლბორდის კრიტიკული დამოკიდებულება ისტორიოგრაფიაში (გ. ახვლედიანი) გამოთქმული ვარაუდისადმი იმის შესახებ, თითქოს ქართველი მემატიანეები საბრძოლო ეპიზოდების აღწერისას მხოლოდ ხალხური მოტივებით საზრდობდნენ და მთლიანად ვეთანხმებით დისერტანტის აზრს, რომლის მიხედვითაც თვით ქართული „ფოლკლორული მოტივების ერთ-ერთ ძირითად წყაროს სწორედ ბიბლია წარმოადგენდა“.

საინტერესოა მ. ჯოლბორდის დაკვირვებები „ქართლის ცხოვრების“ ალექსანდრე მაკედონელის მიერ ქართლის დალაშქრის შესახებ დასაწყისი მატრიანის ინფორმაციის ირგვლივ. ჩვენ ვიზიარებთ დისერტანტის დასკვნას, რომ ალექსანდრე მაკედონელი, როგორც ჩანს, ნამდვილად არ ყოფილა საქართველოში. მაგრამ არა გვკონია, რომ ლეონტი მროველის მიერ ამ ფაქტის მოტანა პოლიტიკური და იდეოლოგიური მოსაზრებებით ყოფილიყოს ნაკარნახევი და მხოლოდ იმ პოლიტიკურ კონიუნქტურას ასახავდეს, „რომელიც წარმოიშვა სამეფო-სამთავროებს შორის გაერთიანებისათვის ბრძოლის პირობებში“.

ჩვენი აზრით, იმის მიუხედავად, იყო თუ არა ნამდვილად ალექსანდრე მაკედონელი ან მისი რომელიმე სარდალი საქართველოში, მაინც უნდა ვივარაუდოთ, რომ ქართლის სამეფოს საბოლოო ფორმირების პროცესი უშუალო კავშირში იყო იმ დიდ კატაკლიზმებთან, რომელიც

მოჰყვა აღმოსავლეთში ალექსანდრე მაკედონელის მოსვლას და რომლის უშუალო შედეგი იყო აქ მანამდე არსებული სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური კონიუნქტურის სრული მსხვერვა. როგორც ცნობილია, აქემენიდური ირანის უძლეველი იმპერიის, რომელიც ფაქტობრივად მთელ აღმოსავლეთს აკონტროლებდა და რომლის პერიფერიასაც ალბათ წარმოადგენდა ქართლიც, დამხობამ ძირეულად შეცვალა პოლიტიკური ვითარება აღმოსავლეთში და ბიძგი მისცა ირანის ქვეშევრდომობის ქვეშ მყოფ ქვეყნებს დაეწყოთ ბრძოლა ეროვნულ-სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტის მოპოვებისათვის.

ამ ბრძოლამ უფრო დიდი მასშტაბები მიიღო ალექსანდრე მაკედონელის გარდაცვალების შემდეგ, როდესაც მისი უკიდევანო იმპერიის ნანგრევებზე ერთი-მეორის მიყოლებით წარმოიქმნენ ახალი (ელინისტური) სახელმწიფოები. ვფიქრობთ, არსებობს ყველა საფუძველი ქართლის სამეფოს ფორმირების პროცესიც ამ მოვლენებს დაუკავშიროთ. ერთი სიტყვით, ჩვენ იმის თქმა გვინდა, რომ ძველი ქართული საისტორიო ტრადიციის („მოქცევა ქართლისაჲს“ ქრონიკა, „მეფეთა ცხოვრება“) შემუშავებულ თვალსაზრისს, რომელიც ქართლის სამეფოს საბოლოო ჩამოყალიბებას, ასე ვთქვათ, პოსტმაკედონურ ეპოქას უკავშირებს, რეალური ისტორიული საფუძველი გააჩნია და ის ნამდვილად არ არის ქართველი მემატიანეების მიერ გარკვეული პოლიტიკურ-იდეოლოგიური მოსაზრებებით შეთხზული ამბავი.

არანაკლებ საინტერესოა საღისერტაციო ნაშრომის **III თავი**, რომელშიც გაანალიზებულია ჯუანშერ ჯუანშერიანის თხზულებაში გადმოცემული ზოგიერთი ფაქტი. ამ ფაქტების გააზრებას დისერტანტი მიჰყავს, ჩვენი აზრით, სავსებით სწორ დასკვნამდე, რომ ქართველი მემატიანე კარგად იყო გათვითცნობიერებული VIII ს. I მესამედში ბიზანტიური ირანს შორის არსებული კონფრონტაციის პერიპეტიებსა და არაბთა სახალიფოს პოლიტიკურ-იდეოლოგიური იერსახის ფორმირებაში. ასევე უეჭველად მიგვაჩნია მ. ჯოლბორდის აზრი იმის შესახებ, რომ ჯუანშერ ჯუანშერიანი თავისი თხზულების დაწერისას სხვა უცხოურ წყაროებთან ერთად იყენებდა „მუსლიმთა წმინდა წიგნს – ყურანს“.

საღისერტაციო ნაშრომის დასკვნით ნაწილში მოკლედია შეჯამებული ჩატარებული კვლევის შედეგები.

ამრიგად, **მაშუკა ჯოლბორდის** საღისერტაციო ნაშრომი: „**ლეონტი მროველი და ჯუანშერი მსოფლიო ისტორიის ზოგიერთი საკითხის შესახებ**“, წარმოადგენს მეცნიერულად გამართულ და დასრულებულ გამოკვლევას, რომელშიც ორიგინალურად არის დასმული და გაანალიზებული „ქართლის ცხოვრების“ დასაწყის მათიანეებში გადმოცემული

მსოფლიო ისტორიის ცალკეული ფაქტები. დისერტანტი საკმაოდ კარგად ერკვევა განსახილველ პრობლემებში, მისი მსჯელობა ძირითადად დამაჯერებელი და არგუმენტირებულია. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, თავს უფლებას ვაძლევ, ვიშუამდგომლო სადისერტაციო საბჭოს წინაშე, რათა მამუკა ოთარის ძე ჯოლობორდს მიენიჭოს ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის საბიბელი ხარისხი.

ბუნებრივია, წარმოდგენილი სადისერტაციო ნაშრომისადმი გვაქვს ცალკეული შენიშვნები, რომელთა შესახებაც ნაწილობრივ უკვე მოგახსენეთ. ჩვენი აზრით, უფრო მკაფიოდ იყო საჭირო საკვლევი თემის აქტუალობის ჩვენება არსებული მეცნიერული მეშვედრეობის უფრო სრული, ღრმა და კვალიფიციური ისტორიოგრაფიული ანალიზის ფონზე. ძალზე მოუწესრიგებელია სამეცნიერო აპარატი, კერძოდ, სქოლიოში და ასევე გამოყენებული ლიტერატურის სიაშიც, რატომღაც არ არის მითითებული მთელი რიგი ავტორებისა, რომელთა შეხედულებებზე ფართოდაა მსჯელობა სადისერტაციო შრომაში. ამგვარ „დაჩაგრულ“ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ ისეთი დიდი სახელები, როგორიცაა: დ. ბაქრაძე, ნ. მარი, ვ. მილერი, ა. ხახანაშვილი, მ. ჯანაშვილი, თ. ჟორდანი, ე. თაყაიშვილი, ს. ჯანაშია, ვ. დონდუა და სხვ. უფრო მეტიც, მ. ჯანაშვილისა და ს. ჯანაშიას მოსაზრებები „არიან-ქართლის“ იდენტიფიკაციასთან დაკავშირებით დისერტანტს რატომღაც პ. ინგოროყვას ნაშრომის მიხედვით მოჰყავს (გვ. 48.), ხოლო, „ქართლის ცხოვრების“ კრებული შედგენის დროზე მსჯელობისას, ი. ჯავახიშვილის, პ. ინგოროყვას, კ. კეკელიძის, ს. ყაუხჩიშვილის, ვ. დონდუას, შ. მესხიასა და რ. კიკნაძის თვალსაზრისებს კი მ. ლორთქიფანიძის პუბლიკაციებზე დაყრდნობით უთითებს (გვ. 6.).

და ბოლოს, სადისერტაციო ნაშრომში დასმული პრობლემატიკიდან გამომდინარე, ჩვენი აზრით, უპრიანი იქნებოდა დისერტანტის კვლევის სფეროში მოქცეულიყო ანტიკური ეპოქის საქართველოს ისტორიულ წარსულთან უშუალოდ დაკავშირებული მსოფლიო ისტორიის ისეთი გახმაურებული მოვლენები, როგორიცაა: ე.წ. „მითრიდატეს ომები“ და რომაელთა გავლენის დამყარება იბერიასა და კოლხეთში. ამასთან, სასურველი იყო დისერტანტს სათანადო მეცნიერული ახსნა მიეცა იმისათვის, თუ რატომ არ ჰპოვეს ასახვა აღნიშნულმა მოვლენებმა „ქართლის ცხოვრების“ დასაწყის მატრიანეში. ეს და სხვა უფრო ნაკლებად თვალში საცემი ხარვეზები არ აკნინებენ მამუკა ჯოლობორდის საკვალიფიკაციო ნაშრომის ღირსებას, რომელიც, მთლიანობაში, ვიმეორებთ, იმსახურებს მოწონებას, ხოლო მისი ავტორი – ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის საბიბელ ხარისხს.

**ნაშრომი ქრისტიანობასა და სახელმწიფოებრივ
აზროვნებაზე შუა საუკუნეების
საქართველოში**

რეცენზია **მარიამ მამულაშვილის** მიერ ისტორიის მეცნიერებათა
კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად
წარმოდგენილ ნაშრომზე **„ქრისტიანობა და სახელმწიფოებრივი
აზროვნების ისტორია საქართველოში (IV-XIII სს.)“**.
სპეციალობა 07.00.01 – საქართველოს ისტორია 2001.

მტკიცებას არ საჭიროებს ის ფაქტი, რომ ქრისტიანობას სრულიად განსაკუთრებული ადგილი უკავია საქართველოს, ქართველი ხალხის სულიერ ცხოვრებაში. ფაქტია ისიც, რომ ჩვენი ქვეყნისათვის, ქართველობისათვის ქრისტიანობა არასოდეს ყოფილა უბრალოდ რელიგიური რწმენა, ის იმთავითვე გახდა ქართული ეროვნული თვითშეგნების საფუძველთა საფუძველი, ჩვენი ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ცხოვრების უმთავრესი იდეოლოგიური საყრდენი. ამასთან, ქრისტიანული მსოფლმხედველობა იყო მთავარი მასაზრდოებელი წყარო შუა საუკუნეების ქართული ცივილიზაციისა, რომელმაც, როგორც ცნობილია, მსოფლიოს კულტურული საგანძური არაერთი ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობის შედეგურით გაამდიდრა. ქრისტიანული სულისკვეთებით იყო გაჟღენთილი მთლიანად შუა საუკუნეების ეპოქის მოწინავე ქართული საზოგადოებრივი აზროვნებაც. ამ თვალსაზრისით გამონაკლისი არ იყო საკუთრივ ქართული სახელმწიფოებრივი აზრიც.

ქრისტიანობის როლი საქართველოს სულიერ და სოციალურ-პოლიტიკურ ცხოვრებაში, ერთიანი ქართული სახელმწიფოს ფორმირებაში ყოველთვის იქცეოდა ქართველ მეცნიერ-ისტორიკოსთა, საერთოდ ქართველოლოგთა ფართო წრის ყურადღებას. მართალია, ტოტალიტარულ-კომუნისტური იდეოლოგიის კონიუნქტურის პირობებში რამდენადმე გაძნელებული იყო აღნიშნული თემის სრულყოფილი, ობიექტური კვლევა და ხშირად ვერც ხერხდებოდა ჩვენი ქვეყნის ისტორიაში ქრისტიანული ეკლესიის პროგრესული როლის წარმოჩენა, მაგრამ ქართველ მედიევისტ-ისტორიკოსთა თუ ფილოლოგთა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ისინი არ უფრთხოდნენ რეჟიმის სუსხს და არც თუ იშვიათად ქმნიდნენ მაღალი დონის მეცნიერულ გამოკვლევებს მოცემული მიმართულებით. შედეგად, სადღეისოდ, ჩვენს განკარგულებაშია საკმაოდ მდიდარი მეცნიერული მემკვიდრეობა, რომლის გამოწველილვითი შესწავლა და შემდგომი შევსება თანამედროვე ქართული ისტორიოგრაფიის, საერ-

თოდ ქართველოლოგიის ერთ-ერთ გადაუდებელ ამოცანად გვესახება. ამ თვალსაზრისით, უდავოდ, მისასაღებელია ახალგაზრდა მკვლევრის მარიამ მამულაშვილის მიერ ქართული სახელმწიფოებრივი აზროვნების ფორმირებაში ქრისტიანობის როლის საგანგებო შესწავლა, რომელიც წარმოადგენს მის მიერ დღეს საპაექროდ გამოტანილი სადისერტაციო ნაშრომის თემას.

დისერტანტის დაინტერესება მოცემული პრობლემით ნამდვილად არ არის შემთხვევითი. პირველ რიგში, ეს განპირობებულია იმ განუზომელი როლით, რომელიც, როგორც უკვე ზემოთ აღვნიშნეთ, ქრისტიანულმა ეკლესიამ, საერთოდ ქრისტიანულმა მსოფლმხედველობამ შეასრულა ქართული ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ცხოვრების მოწესრიგების საქმეში. ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე შეიძლება ითქვას, რომ საერთო-ქართული ეროვნულ-სახელმწიფოებრივი სამყაროს ფორმირება, მისი თვითმყოფადობა ქრისტიანულ მრწამსს ეფუძნებოდა. სწორედ ქრისტიანობა განსაზღვრავდა, ძირითადად, ქართული სახელმწიფოს ზოგადპოლიტიკურ ინტერესებსა და მისწრაფებებს.

სადისერტაციო ნაშრომი შედგება შესავლის, 3 თავისა და დასკვნისაგან. მას დართული აქვს გამოყენებული საისტორიო წყაროებისა და სპეციალური სამეცნიერო ლიტერატურის საკმაოდ ვრცელი სია.

შესავალში ნაჩვენებია საკვლევი თემის აქტუალობა და მოკლედაა მიმოხილული პრობლემის ირგვლივ არსებული წყაროები და ლიტერატურა.

პირველ თავში: **„ქრისტიანობა და ქართული სახელმწიფოებრივი აზრის წანამძღვრები“**, რომელიც დაყოფილია 4 პარაგრაფად, თანმიმდევრულადაა გაანალიზებული საქართველოს კულტურულ-პოლიტიკური გარემოცვა IV-XII საუკუნეებში, ქართველ მეფეთა ტიტულატურის ფორმირების ეტაპები, პოლიტიკური ორიენტაციისა და ეროვნული თვითშეგნების ჩამოყალიბების პრობლემები.

მეორე თავი: **„ქართული მესიანიზმის პრობლემები“** – თავის მხრივ იყოფა 3 პარაგრაფად, რომლებშიც საგანგებოდაა განხილული მესიანიზმის არსი და მისი გამოვლინება ქართულ პოლიტიკურ აზროვნებაში, ერთიანი კავკასიური სახელმწიფოს პოლიტიკური იდეის ფორმირების საკითხი, თამარის კანონიზაციის მნიშვნელობა ქართულ სახელმწიფოებრივ აზროვნებაში.

მესამე თავში: **„ქართული სახელმწიფოებრივი და საეკლესიო პოლიტიკა“**, რომელიც 2 პარაგრაფისაგან შედგება, ყურადღება გამახვილებულია ეკლესია-მონასტრების მნიშვნელობაზე საქართველოს პოლიტიკურ და კულტურულ ყოფაში. ცალკეა განხილული ქართველთა გან-

მანათლებლის საკითხი.

დასკვნაში მოკლედაა შეჯამებული ჩატარებული კვლევის შედეგები.

საქართველოს კულტურულ-პოლიტიკურ გარემოცვაზე მსჯელობისას ავტორი სავსებით სწორად აკეთებს აქცენტებს ბიზანტიასთან, მაზდეანურ სპარსეთთან, სომხურ და მაჰმადიანურ სამყაროსთან ურთიერთობებზე. უდავოდ ლოგიკურია ქართულ ბიზანტიური ურთიერთობების ორ ეტაპად დაყოფა: 1. ქართველთა მხრიდან ბიზანტიური კულტურული მემკვიდრეობის ათვისების პერიოდი; 2. ბიზანტიის იმპერიასთან კულტურულ-პოლიტიკური მეტოქეობის ხანა, რომელიც, დისერტანტის აზრით, განსაკუთრებით მწვავედ X საუკუნიდან – ერთიანი ქართული მონარქიის ჩამოყალიბების დროიდან. ამასთან დაკავშირებით, სავსებით მართებულია ამგვარი მეტოქეობის დამადასტურებელ ფაქტად ბერძენ მღვდელმთავრებთან გიორგი მთაწმინდელის ცნობილი პოლემიკის მოყვანა, თუმცა ვერ დავეთანხმებით სადისერტაციო ნაშრომში გატარებულ აზრს იმის შესახებ, თითქოს გიორგი მთაწმინდელის „ქვეყანა ჩვენი აფხაზეთი“ ქართულ ცნობიერებაში მოიაზრებოდა „როგორც „ყოველი ქართლის“, გინდაც „საქართველოს“ შემადგენელი ნაწილი“ (გვ. 14).

ვფიქრობთ, რომ მოცემულ კონტექსტში „აფხაზეთი“ ნიშნავს სრულიად საქართველოს (თუნდაც „ყოველ ქართლს“) და არა მხოლოდ მის ნაწილს. მთლად ზუსტი არ არის ერთიანი ქართული მონარქიის შექმნის ზოგადად X საუკუნით დათარიღებაც. ეს მოვლენა, როგორც ცნობილია, X-XI სს. მიჯნით თარიღდება. ჩვენი აზრით, გასამართია დებულება იმის შესახებაც, რომ „ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადებას უკავშირდება ქართველთა და სომეხთა ეთნიკური დადგინების პროცესი“ (გვ. 17). ქართველთა და სომეხთა ეთნიკური ჩამოყალიბება ქრისტიანობამდე დიდი ხნით ადრე მოხდა. ამ შემთხვევაში მსჯელობა უნდა იყოს ქართველთა და სომეხთა გამოკვეთილი ეროვნული მენტალიტეტის ფორმირებაზე, რომელსაც ნამდვილად მისცა დიდი ბიძგი ქართველთა და სომეხთა ქრისტიანობაზე მოქცევამ.

ძირითადად დამაჯერებელია დისერტანტის მსჯელობა ქართულ-სომხურ ურთიერთობებზე, თუმცა, ამ თვალსაზრისით, ნაშრომში გატარებულ ყველა დებულებას ვერ გავიზიარებთ, კერძოდ, მიგვაჩნია, რომ მეტი არგუმენტაცია სჭირდება თავის დროზე ა. აბლაძის მიერ წამოყენებულ მოსაზრებას, რომელსაც ავითარებს დისერტანტი თავის საკვალეფიკაციო ნაშრომში და რომლის მიხედვითაც ლეონტი მროველის „არმენოფილური გადახრა“ XI ს. შუა ხანების საქართველოს სამეფო კარის პოლიტიკური კონიუნქტურის შედეგი იყო. ჩვენ არ გამოვრიცხავთ

გარკვეული „პროსოშური კონიუნქტურის“ არსებობას XIს. საქართველოს სახელმწიფო პოლიტიკაში, მაგრამ მიგვაჩნია, რომ ეს არ არის საკმარისი არგუმენტი ასეთი შორს მიმავალი დასკვნის გასაკეთებლად.

სხვას რომ თავი დავანებოთ, ძნელი წარმოსადგენია, რომ XII საუკუნეში – დავით აღმაშენებლისა და თამარ მეფის ეპოქაში, როდესაც სერიოზული ნაბიჯები გადაიდგა სომეხთა ქართულ პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივ და კონფესიონალურ სივრცეში ინტეგრაციისათვის და როდესაც ყოველნაირად ცდილობდნენ სომხურ გრიგორიანობასთან შედარებით ქართული მართლმადიდებლობის უპირატესობის წარმოჩენასა და საერთოდ ქართული საწყისის წინ წამოწევას (მესიანისტური მისია), არ ეზრუნათ „ქართლის ცხოვრების“ დასაწყის მატეიანეში დაფიქსირებული სომეხთა ჰეგემონისტური ამბიციების დამადასტურებელი მასალის „რედაქტირებაზე“. აღნიშნული მასალის „რედაქტირება“ რომ ვერ მოხერხდა, ამის მიზეზი კი, ჩვენი აზრით, იმდროინდელი ქართული ისტორიოგრაფიის სისუსტეში უნდა ვეძიოთ, რომელმაც ვერ მოუწია კონტრარგუმენტები ლეონტი მროველის თხზულებაში გატარებულ „არმენოფილურ“ თვალსაზრისს.

ვერ გავიზიარებთ დისერტანტის დასკვნას იმის შესახებაც, რომ XI საუკუნეში საქართველოში საზოგადოდ ადგილი ჰქონდა სომეხ არშაკუნთა განდიდებას. ყოველ შემთხვევაში, ამის საბუთად ნამდვილად ვერ გამოდგება ისტორიკოს სუმბატ დავითის ძის მიერ გიორგი I-ის მეუღლის მარიამ დედოფლის „ბრწყინვალეთა მათ ძლიერთა და დიდთა მეფეთა არშაკუნიანთა“ შთამომავლად გამოცხადება. მარიამ არწრუნის პიროვნების ამ ფორმით განდიდების უკან იმალება საქართველოს დედოფლის კონკრეტული პოლიტიკური ნაბიჯის – ბიზანტიასთან მშვიდობის ძიების სუმბატისეული შეფასება. ეს უფრო სუმბატ დავითის ძის პოლიტიკური ორიენტაციის მაჩვენებელია, ვიდრე არშაკუნიანთა დინასტიის საყოველთაო აღიარებისა იმდროინდელ საქართველოში. თავის დროზე ჩვენ ამ საკითხზე საგანგებოდ გავამახვილეთ ყურადღება¹ და, ამდენად, აქ მის განვრცობას საჭიროდ არ მივიჩნევთ.

დისერტანტს საინტერესო დაკვირვებები აქვს საქართველო-მაჰმადიანური სამყაროს ურთიერთობებზე. სავსებით სწორადაა შენიშნული, რომ არაბთა სახალიფო ერთგვარად აგრძელებდა მაზდეანური ირანის ტრადიციას და, ქართულთან შედარებით, გაცილებით უფრო ლოიალურად ექცეოდა სომხურ სარწმუნოებას. ასევე სწორია დასკვნა იმის შე-

¹ იხ.: **ზ. პაპასქირი**. ერთიანი ქართული ფეოდალური სახელმწიფოს წარმოქმნა და საქართველოს საგარეო-პოლიტიკური მდგომარეობის ზოგიერთი საკითხი, თბ., 1990, გვ. 140-150.

სახედაც, რომ ბიზანტიის საეკლესიო წრეები მეტ კეთილგანწყობილებას იჩენდნენ სომეხი მღვდელმთავრებისადმი ვიდრე საქართველოს ეკლესიის მესვეურებისადმი, თუმცა მიგვაჩნია, რომ ეს ურთიერთობები, ძირითადად, მაინც კონკრეტული ეპოქის პოლიტიკური კონიუნქტურით იყო განპირობებული. ზუსტია დისერტანტის მსჯელობა აგრეთვე საქართველო-ჯვაროსნების ინტერესთა თანხვედრაზე, თუმცა XI ს. მიწურულს განვითარებული მოვლენების ქრონოლოგიაზე მსჯელობისას სასურველი იყო აკად. რ. მეტრეველისა და ზოგიერთი სხვა მკვლევრის ცალკეული კომენტარების გაცნობაც.

სადისერტაციო ნაშრომში ასევე საინტერესოაა გაშუქებული ქართველ მეფეთა ტიტულატურის ფორმირების ეტაპები. ავტორის ანალიზი ამჯერადაც ძირითადად საკმაოდ ზუსტი და ამომწურავია, თუმცა ზოგიერთი დასმული საკითხი, ჩვენი აზრით, მაინც მოითხოვს უფრო ღრმა დაკვირვებას. კერძოდ, არ იქნებოდა ურიგო ავტორს გაეთვალისწინებინა ბაგრატ III-ის მიერ „ქართველთა“ მეფის ტიტულის მიღების დროისა და ვითარების შესახებ ისტორიოგრაფიაში არსებული განსხვავებული მოსაზრებები (ერთი მხრივ, ი. ჯავახიშვილისა და მისი მიმდევრების, მეორე მხრივ კი, მ. ლორთქიფანიძის, ნ. შოშიაშვილის, ვ. სილოგავას, ზ. პაპასქირის) და ამის შემდეგ დაეფიქსირებინა თავისი პოზიცია, რომლის თანახმადაც ბაგრატ III-მ მხოლოდ გურგენ „მეფეთ-მეფის“ გარდაცვალების შემდეგ მიიღო „ქართველთა“ მეფის ტიტული. დისერტანტი სწორად აღნიშნავს, რომ ქართველ მეფე-მთავართა მიერ ბიზანტიური ტიტულების ტარება ყოველთვის არ გამოხატავდა მაინცდამაინც იმპერიისადმი მათ ვასალურ დამოკიდებულებას, მაგრამ ამ პრობლემაზე, და საერთოდ საქართველო-ბიზანტიის ურთიერთობათა ხასიათზე მსჯელობისას უპრიანი იყო ი. ჯავახიშვილის, ს. ჯანაშიას, პ. ინგოროყვას და სხვა ქართველ მკვლევართა შესაბამისი კომენტარების მოხმობა.

მართებულია დისერტანტის დასკვნა იმის შესახებ, რომ დავით აღმაშენებლის ეპოქაში ჩნდება აბსოლუტიზმის ელემენტები. ამის დასასაბუთებლად მკვლევარი იშველიებს „ერთნებაობისა და თანადგომის“ პრინციპის დამკვიდრებას და ფაქტობრივად იზიარებს თვალსაზრისს, რომლის მიხედვითაც ამ პრინციპის შემოღება თამარის დროს არ მომხდარა. ამასთან, მიგვაჩნია, რომ ამ საკითხზე მსჯელობისას არ შეიძლება გვერდი ავუაროთ შ. მესხიას ცნობილ ფუნდამენტურ გამოკვლევას XIII ს. საქართველოს სახელმწიფო წყობილებაზე და სამოხელეო სისტემაზე, რომელიც რატომღაც გამორჩენია დისერტანტს.

საინტერესო დაკვირვებებია მოცემული სარეცენზიო ნაშრომში საქართველოს პოლიტიკურ ორიენტაციასთან დაკავშირებით. უდავოდ

სწორია დისერტაციაში განვითარებული თეზისი იმის შესახებ, რომ ტრილინგვისტური თეორიის საპირისპიროდ ქართულის ქრისტეს ენად, აგრეთვე კონსტანტინეპოლის – ღვთისმშობლის მფარველობის ქვეშ მყოფი ქალაქის პარალელურად საქართველოს ღვთისმშობლის წილხვდომილ ქვეყნად გამოცხადება და ა.შ., ერთგვარად ბიზანტიის კულტურულ-პოლიტიკური აგრესიის მოსაგერიებლად გადადგმული ნაბიჯები იყო. რაც შეეხება თვალსაზრისს, თითქოს ლეონტი მროველის თეორია ქართლის სახელმწიფო ინსტიტუტების სპარსული სამყაროდან მომდინარეობის შესახებ, XI ს. საქართველოში არსებული ანტიბიზანტიური პოლიტიკური კონიუნქტურის ნაყოფი უნდა იყოს, ჩვენ ის ნაკლებად დამაჯერებლად გვეჩვენება. ამას წინათ, ჩვენ უკვე აღვნიშნავდით (რეცენზია მ. ჯოლობორდის საკანდიდატო დისერტაციაზე) და დღეს კვლავ ვთვლით საჭიროდ, კიდევ ერთხელ გავიმეოროთ, რომ ქართლის სამეფოს ფორმირების მიბმა სახელმწიფოს მოწყობის „სპარსულ წესთან“ მთლიანად მიესადაგება ელინისტურამდელი ხანის ისტორიულ რეალობას და ამასთან დაკავშირებით XI ს. ანტიბიზანტიურ კონიუნქტურაზე ყურადღების გამახვილება სრულიად გაუმართლებლად მიგვაჩნია.

საქართველოს პოლიტიკურ ორიენტაციაზე და საერთაშორისო არენაზე შესაძლო მოკავშირე-პარტნიორთა ძიების თვალსაზრისით, საკმაოდ მახვილგონივრულად გვეჩვენება დისერტანტის მიგნება, იოანე მთაწმინდელის „ლტოლვა სპანია“-დ, ევროპაში ახალი პოლიტიკური მოკავშირის ძიების (ბიზანტიის გავლენისაგან თავის დაღწევის მიზნით) მცდელობად მიიჩნოს.

საქართველო-დასავლეთის ურთიერთობების ჭრილშია მოხსენიებული ევროპული მასალები იოანე პრესვიტერზე, რომელშიც, როგორც ცნობილია, მკვლევართა დიდი ნაწილი დავით აღმაშენებელს და მის მემკვიდრეებს მოიაზრებს. თუმცა ამ ფაქტზე მსჯელობისას დისერტანტი რატომღაც იფარგლება შ. ბადრიძისა და ზ. გამსახურდიას ნაშრომებზე მითითებით და მისი ყურადღების მიღმა რჩება შ. მესხიას, რ. მეტრეველისა და სხვა მკვლევართა ნაშრომები. იგივე მდგომარეობა გვაქვს საქართველო-ჯვაროსნების ურთიერთობის ფაქტებზე მსჯელობისას. ამ შემთხვევაში მთავარ წყაროდ დისერტანტს მითითებული აქვს მხოლოდ თ. ნატროშვილის ნაშრომი.

დისერტანტი ამჟღავნებს მაღალ ერუდიციას ქართული ეროვნული თვითშეგნების ჩამოყალიბების პრობლემის გაშუქებისას ძველი ქართული ლიტერატურის ძეგლების ანალიზის ფონზე. ჩვენი აზრით, ეს ნაწილი ერთ-ერთი საუკეთესოა სადისერტაციო ნაშრომში. თუმცა აქაც არ შეგვიძლია არ გამოვხმაუროთ ერთ თეზისს, რომელიც, ვფიქრობთ,

მოითხოვს მცირეოდენ კომენტარს. მხედველობაში გვაქვს კონსტატაცია იმისა, რომ ლეონტი მროველი, რომელიც დისერტანტს ერთმნიშვნელოვნად XIს. მწერლად მიაჩნია, „ქართლოსის ოჯახში არ გულისხმობს სვანებს, მეგრელებს, აფხაზებს, დვალეებს, ჰერებს... გიორგი მერჩულე კი მათ პოლიტიკურ ქართლში მოიაზრებს“ (გვ. 68-69). დისერტანტის აზრით, ეს გამოწვეულია იმით, რომ „მროველის დროს (ე. ი. XI საუკუნეში – **ზ.პ.**) საქართველოს გაერთიანების პროცესი უფრო შორს არის წასული, ვიდრე მერჩულეს დროს“ (გვ. 69).

საკმაო დამაჯერებლობით შეიძლება ვამტკიცოთ, რომ ლეონტი მროველის ეთნოგენეტიკური სქემა მეტ-ნაკლებად ზუსტი ანარეკლია იმ ეპოქისა, როდესაც მერმინდელი საქართველო რეალურად ორი სახელმწიფოებრივი გაერთიანებით – ქართლითა და ეგრისით იყო წარმოდგენილი. აქედან, ლეონტის თვალთახედვით, ეგროსის წილხვედრი ქვეყანა მოიცავდა იმ ტერიტორიასაც, რომელშიც ივარაუდება აფხაზთა და სვანთა განსახლება. ყოველი შემთხვევისათვის, ეს ტომები უდავოდ პოლიტიკური ეგრისის შიგნით მოიაზრებოდნენ. ასეთი ვითარება კი რეალურად IV-VI საუკუნეებში (თუ უფრო ადრე არა) მაინც გვაქვს. გიორგი მერჩულეს დროს კი ვითარება ძირეულად შეცვლილია. ამ პერიოდში „ყოველი ქართლის“ იდეა იმარჯვებს და მთელი საქართველო, დასავლეთ საქართველო-აფხაზეთის ჩათვლით, კულტურულ-იდეოლოგიურად ერთიან ქართლად განიხილება. უფრო მეტიც, ისტორიულ ეგრისში მჯდარი „აფხაზი“ მეფეები ტაო-კლარჯეთში დამკვიდრებულ ბაგრატიონებს სწორედ „ყოველი ქართლის“ პოლიტიკურ მემკვიდრეობას ეცილებიან.

პრობლემათა მრავალფეროვნებითა და მათი კვლევის სიღრმით გამოირჩევა სადისერტაციო ნაშრომის მეორე თავი, რომელიც ქართულ მესიანიისტურ აზრს ეხება. უდავოდ მართებულია დისერტანტის დასკვნა იმის შესახებ, რომ „სრულყოფილი ქართული პოლიტიკური მესიანიზმი“ XI-XII საუკუნეებში „უფრო ქართული სახელმწიფოს დიპლომატიური ხაზის იდეოლოგიურ დასაბუთებას ისახავდა მიზნად, ვიდრე გადაშენების საფრთხით გამოწვეული სასოწარკვეთილებისაგან ერის ხსნას“ და რომ „მესიანიისტური იდეა ქართველ ერზე და ქართულ ენაზე სავსებით ემთხვევა ძლიერი საქართველოს სულისკვეთებას“.

ქართული მესიანიისტური იდეის პოლიტიკური რეალიზაციის ერთ-ერთ მიმართულებად დისერტანტს სამართლიანად მიაჩნია საქართველოს სახელმწიფოს მთელი კავკასიის გამაერთიანებლის როლში გამოსვლა და საქართველოს ეგიდით ერთიანი კავკასიური სახელმწიფოს შექმნის მცდელობა, რომელიც ასე მკვეთრად გამოვლინდა XI-XII საუ-

კუნებში. აქვე გვინდა გავამახვილოთ ყურადღება ნაშრომის ამ ნაწილში გატარებულ თვალსაზრისზე შუა საუკუნეებში სვანთა ჩრდილოეთ კავკასიაში განსახლების შესახებ. დავამატებთ მხოლოდ, რომ სასურველი იყო ამ საკითხზე მსჯელობისას გათვალისწინებული ყოფილიყო თ. მიბრუნისა და ზოგიერთი სხვა მკვლევრის არგუმენტებიც.

სადისერტაციო ნაშრომში თამარის კანონიზაცია სავსებით არგუმენტირებულად არის დაკავშირებული მესიანისტური იდეის სრულყოფასთან. პირველ რიგში, ამის გამოვლინებად სწორადაა მიჩნეული თამარის სამების მეოთხე წევრად გააზრება. ძირითადად ზუსტი და დამაჯერებელია დისერტანტის მსჯელობა ამ პრობლემასთან დაკავშირებულ ცალკეულ საკითხებზე, თუმცა უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ზოგიერთი თემის გაშუქებისას საჭირო იყო ისტორიოგრაფიული მეტკვიდრეობის უფრო სრულად გათვალისწინება. კერძოდ, დავით სოსლანის უფლებამოვალეობებზე საუბრისას, უპრიანი იქნებოდა, პირველ რიგში, ქართველ ისტორიკოსთა (შ. მესხიას, რ. მეტრეველის, გ. თოგოშვილის და სხვ.) შრომების გათვალისწინება.

სადისერტაციო ნაშრომის დასკვნით მე-3 თავში საინტერესო დაკვირვებებია მოცემული ეკლესია-მონასტრების როლზე ქვეყნის სოციალურ-პოლიტიკურ ცხოვრებაში, საერთოდ ეკლესიისა და სახელმწიფო ხელისუფლების ურთიერთდამოკიდებულებაზე. დისერტანტი იძლევა ერთგვარ პერიოდიზაციას ამ მიმართებით. მისი აზრით, პირველი პერიოდი – ხანძელის ეპოქის ჩათვლით, იყო აშკარა ბიზანტიის გავლენის ხანა ქართულ საეკლესიო ცხოვრებაში. განსაკუთრებულ ტენილადაა მიჩნეული გიორგი მთაწმინდელის ეპოქა, როდესაც იყო საეკლესიო ცხოვრებაში დემოკრატიული პრინციპების დამკვიდრების მცდელობა. ცალკეა გამოყოფილი დავით აღმაშენებლის ეპოქა, როდესაც გიორგი მთაწმინდელის იდეების ერთგვარი ხორცშესხმა მოხდა.

დისერტანტი იზიარებს შეხედულებას, რომლის მიხედვითაც დემოკრატიული იდეები საეკლესიო სფეროდან ფეხს იკიდებდა საერო ცხოვრებაშიც. ამის გამოვლინებად მიჩნეულია მესამე წოდების პოლიტიკური როლის ზრდა თამარის ეპოქაში, რაც, დისერტანტის აზრით, პირველ რიგში, გამოიხატა „თბილისელ მოქალაქეთა ერთ-ერთი თავკაცის“ აბულასანის დაწინაურებაში. საგანგებოდ უნდა შევნიშნოთ, რომ ეს საკითხები ქართულ ისტორიოგრაფიაში საკმაოდ ფუნდამენტალურადაა დამუშავებული (იხ. შ. მესხიას, გ. მელიქიშვილის, რ. მეტრეველისა და სხვ. გამოკვლევები) და დისერტანტს უთუოდ მართებდა მათი სრული გათვალისწინება. განსაკუთრებით თვალში საცემია ის, რომ XII. 80-იან წლებში თბილისში თვითმმართველობის შემოღებასთან დაკავშირებით

დისერტაციაში რატომღაც მოყვანილია ვრცელი ციტატა ფილოსოფოს ა. ჯოხაძის ნაშრომიდან და სრულიად იგნორირებულია ამ პრობლემის მეცნიერული შესწავლის პიონერის შ. მესხიას საეტაპო ნაშრომი.

ორიგინალურობით გამოირჩევა სარეცენზიო ნაშრომის დასკვნითი ნაწილი, რომელშიც დისერტანტი გვთავაზობს უაღრესად საყურადღებო დაკვირვებებს იმ ევოლუციაზე, რომელიც განიცადა ქართულმა რელიგიურ-საზოგადოებრივმა აზროვნებამ ქართველთა განმანათლებლის გარკვევის საკითხთან დაკავშირებით. სავსებით სწორადაა შენიშნული, რომ ქართველთა განმანათლებლის პრობლემის გადაწყვეტა გარკვეულ პოლიტიკურ მიზანს ემსახურებოდა. ამით ქართველები ცდილობდნენ „საკუთარი თავისთავადობის დასაბუთებას ქრისტიან მეზობლებთან მიმართებაში“. ეს კი განაპირობებდა „თვითმყოფადი ქართული სახელმწიფოებრივი თუ რელიგიური აზროვნების“ ჩამოყალიბებასა და შემდგომ განვითარებას.

ასეთია მოკლედ მარიამ მამულაშვილის სადისერტაციო ნაშრომის ძირითადი დებულებები. როგორც ვხედავთ, შესრულებულია უაღრესად შრომატევადი სამუშაო. ნაშრომში განხილული და სათანადო აკადემიურ დონეზე გაანალიზებულია საკვლევ პრობლემასთან მეტ-ნაკლებად დაკავშირებულ საკითხთა საკმაოდ ფართო წრე. დისერტანტი ამჟღავნებს ანალიტიკური აზროვნების მაღალ დონეს. მისი მსჯელობები და დასკვნები ძირითადად დამაჯერებელი და არგუმენტირებულია. მართალია, სადისერტაციო ნაშრომი არ არის დაზღვეული ცალკეული ხარვეზებისაგან, რომელთა შესახებაც ზემოთ ნაწილობრივ უკვე გვქონდა მსჯელობა (გვაქვს სხვა, ტექნიკური ხასიათის შენიშვნები, რომლებიც დისერტაციის წიგნად გამოცემის შემთხვევაში ადვილად გამოსწორებადია), მაგრამ მთლიანობაში ნაშრომი უდავოდ იმსახურებს მოწონებას. ეს არის დასრულებული გამოკვლევა, რომელიც ნამდვილად იძლევა საკმაოდ სრულ სურათს სახელმწიფოებრივი აზროვნების ფორმირების ეტაპებზე შუა საუკუნეების საქართველოში და ქრისტიანობის როლზე ამ პროცესში.

ყოველივე ზემოთქმული მადლევს უფლებას, ვიშუამდგომლო სადისერტაციო საბჭოს წინაშე, რათა **მარიამ არჩილის ასულ მამულაშვილს** ნაშრომისათვის: **„ქრისტიანობა და სახელმწიფოებრივი აზროვნების ისტორია საქართველოში (IV-XIII სს.)“** – მიენიჭოს ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის საძიებელი ხარისხი.

შუა საუკუნეების ქართული საზოგადოებრივ-პოლიტიკური აზრის შესწავლის ისტორიიდან*

რეცენზია გიორგი მჭედლიშვილის მიერ ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილ ნაშრომზე: „შუა საუკუნეების ქართული საზოგადოებრივ-პოლიტიკური აზრის ძირითადი მიმართულებები და „ვეფხისტყაოსანი“.

სპეციალობა 24.00.02 ისტორიული კულტუროლოგია. 2002.

შოთა რუსთაველის უკვდავი პოემა „ვეფხისტყაოსანი“, გარდა იმისა, რომ საყოველთაოდაა აღიარებული მსოფლიო ლიტერატურის შედეგად, გარკვეულწილად XII ს. საქართველოს ერთგვარ მატთანესაც წარმოადგენს. შემთხვევითი არ არის, რომ XII საუკუნეს ისტორიკოსები არცთუ იშვიათად უბრალოდ „რუსთაველის ეპოქად“ მოიხსენიებენ. და ეს მიუხედავად იმისა, რომ „ვეფხისტყაოსანში“ საქართველოს ხსენებაც კი არ არის და თვით ავტორის პირდაპირი მითითებით, მასში გადმოცემული ისტორია თითქოს „სპარსულ ამბავსაც“ კი წარმოადგენს. სინამდვილეში კი სრულიად უეჭველია, რომ ნაწარმოებში მთლიანად ჩვენი ქვეყნის ისტორიული რეალობაა ასახული. ის იმდროინდელი საქართველოს ერთგვარი სარკეა. ამიტომაცაა, რომ ისტორიკოსები XI-XIII სს. საქართველოს ისტორიის მთელ რიგ პრობლემებზე მსჯელობისას გვერდს ვერ უვლიან ამ გენიალურ ნაწარმოებს და მის მონაცემებზე აგებენ თავიანთ მოსაზრებებს ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკური და კულტურული ცხოვრების ამა თუ იმ საკითხზე.

შოთა რუსთაველის პოემა ისტორიოგრაფიული კუთხით საკმაოდ კარგადაა შესწავლილი. პირველი დაკვირვებები ამ მიმართულებით ჯერ კიდევ XIX საუკუნეში გაკეთდა (პლატონ იოსელიანი, მარი ბროსე, თედო ჟორდანი, მოსე ჯანაშვილი და სხვ.). „ვეფხისტყაოსანზე“ დაყრდნობით არაერთი საყურადღებო მოსაზრება საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიის საკითხებზე წამოაყენა ივანე ჯავახიშვილმა. დიდია „ვეფხისტყაოსნისა“ და მისი ავტორის „საიდუმლოებათა“ გახსნის საქმეში ნიკო მარისა და პავლე ინგოროყვას წვლილი. XI-XII საუკუნეების საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკური და

* დაიბეჭდა ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის საქართველოს საისტორიო საზოგადოების აფხაზეთის ორგანიზაციის პერიოდულ სამეცნიერო გამოცემაში: „საისტორიო ძიებანი“, ტ. VIII-IX, თბ., 2006, გვ. 499-519. იხ ელექტრონული ვერსია: <http://saistoriodziebani.googlepages.com/dziebani2005-2006>

კულტურული ცხოვრების, სახელმწიფოსა და სამართლის, წყარო-მცოდნეობისა და ისტორიოგრაფიის ცალკეული პრობლემების განხილვისას შოთა რუსთაველის პოემის მონაცემებს საგანგებო ყურადღება ექცევა ნიკო ბერძენიშვილის, შოთა მესხიას, სარგის კაკაბაძის, მამია ღუმბაძის, აბელ კიკვიძის, კოტე გრიგოლიას, პროკოფი რატიანის, გიორგი სოსელიას, ივანე სურგულაძის, ვახტანგ აბაშმაძის, ივანე ლოლაშვილის, ნოდარ შოშიაშვილის, მარიამ ლორთქიფანიძის, როინ მეტრეველისა და სხვა მკვლევართა შრომებში.

ერთ-ერთ ყველაზე აქტუალურ პრობლემას, რომელიც მუდამ იყო რუსთველოლოგიის, კერძოდ, ასე ვთქვათ, „ისტორიული რუსთველოლოგიის“ ყურადღების ცენტრში, წარმოადგენს XI-XII საუკუნეებში, უპირატესად კი თამარის ეპოქაში, მიმდინარე საზოგადოებრივ-პოლიტიკური პროცესები. მიუხედავად ამისა, თამამად შეიძლება ითქვას, რომ ამ მიმართულებით კვლევა სულაც არ არის დასრულებული და ბევრი რამ ჯერ კიდევ გასარკვევი და დასაზუსტებელია. ერთ-ერთ ასეთ პრობლემად ჩვენ გვეჩვენება რუსთაველის ეპოქის ქართული საზოგადოებრივ-პოლიტიკური აზრი, რომლის ცალკეული ასპექტების მონოგრაფიული შესწავლის ცდას წარმოადგენს გიორგი მჭედლიშვილის მიერ წარმოდგენილი სადოქტორო დისერტაცია.

გ. მჭედლიშვილის საკვალიფიკაციო ნაშრომი არის ავტორის მრავალწლიანი ნაყოფიერი მეცნიერული კვლევის (რომელიც აისახა მის მიერ გამოქვეყნებულ 20-მდე პუბლიკაციაში) შეჯამება. მასში დასმული და რამდენადმე ორიგინალურად გაშუქებულია შოთა რუსთაველის ვინაობის, პოემის დაწერის დროისა და პირობების, პოეტის საზოგადოებრივ-პოლიტიკური მრწამსის, შუა საუკუნეების ქართული საზოგადოებრივი აზრის, როგორც თანამედროვეთა, ისე მოგვიანო ხანის მოღვაწეთა რუსთაველის ნაწარმოებისადმი დამოკიდებულებისა და „*ვეფხისტყაოსანთან*“ დაკავშირებული სხვა აქტუალური საკითხები.

სარეცენზიო ნაშრომი (საერთო მოცულობა – 332 გვერდი, ძირითადი ტექსტი – 284 გვ.) შედგება შესავლის, ხუთი თავისა და დასკვნისაგან. II და IV თავები შესაბამისად დაყოფილია 3 და 4 პარაგრაფად. ნაშრომს დართული აქვს ვრცელი ბიბლიოგრაფია.

შესავალში ნაჩვენებია საკვლევი თემის აქტუალობა. სავსებით მართებულადაა ხაზგასმული „*ვეფხისტყაოსნის*“, როგორც პირველწყაროს მნიშვნელობა „შუა საუკუნეების ქართული პოლიტიკური აზროვნებისა და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ბრძოლების შესასწავლად“.

პირველ თავში – „*რუსთაველისა და მისი ეპოქის ისტორიული პრობლემები*“ – დისერტანტი იძლევა XIII. ამსახველი ქართული სა-

ისტორიო თხზულებების – „ქართლის ცხოვრების“ მატთანეთა კრიტიკულ შეფასებას და აყენებს მათში არსებული „შეუმჩნეველი ინფორმაციის“ „არა მხოლოდ პირდაპირი გაგებით“, არამედ „გარკვეული ისტორიული პროცესების ლოგიკური აღდგენის“ გზით გამოვლენის ამოცანას, თუმცა მთლად კარგად არ გვესმის, თუ რას ნიშნავს გამოთქმა „ვიხელმძღვანელოთ, წყაროთა ღუმილის შემთხვევაში, აზროვნების ისტორიის ნიადაგზე გამოტანილი დასკვნებით“.

ასევე გაუგებარია, რატომ თვლის გ. მჭედლიშვილი, რომ „ქართლის ცხოვრების“ კრიტიკულ შესწავლას არც თუ დიდი ხნის ისტორია აქვს“. როგორც ცნობილია, „ქართლის ცხოვრებაზე“ მუშაობა ჯერ კიდევ XVIIIს. დამდეგს ვახტანგ VI-ის „მეცნიერ კაცთა კომისიამ“ დაიწყო, ხოლო თვისებრივად ახალი ეტაპი საქართველოს ისტორიის „დედა-წიგნის“ წყაროთმცოდნეობითი შესწავლისა მარი ბროსეს სახელს უკავშირდება. ე. ი. იმ შემთხვევაშიც კი, თუ „მეცნიერ კაცთა“ მიერ შესრულებულ სამუშაოს ანგარიშს არ გავუწევთ, „ქართლის ცხოვრების“ კრიტიკული შესწავლა მარი ბროსედან მაინც უნდა დავიწყოთ, რასაც სულ ცოტა საუკუნენახევრის წინ მაინც ჩაეყარა საფუძველი. ეს კი ნამდვილად არ არის ცოტა დრო.

ჩვენ მთლიანად ვიზიარებთ დისერტანტის დასკვნას იმის შესახებ, რომ თამარის ისტორიკოსებს „მოდასეობა“ ნამდვილად უშლიდა ხელს, სრულად და ობიექტურად მოეცათ „მძვინვარე ეპოქის დუღილი“, რომ ეს მხოლოდ მხატვრული ხერხებით („ჭრელად ლაპარაკი“) იყო შესაძლებელი, რაც აღასრულა კიდევ შოთა რუსთაველმა, მაგრამ, ამასთან, მთლად გამართლებულად არ მიგვაჩნია გ. მჭედლიშვილის ერთგვარი მცდელობა, საისტორიო მწერლობას დაუპირისპიროს პოეზია და მას, როგორც „უფრო ფილოსოფიურსა და უფრო მნიშვნელოვანს, ვიდრე ისტორია“ (არისტოტელეს განმარტება), მიანიჭოს უპირატესობა ისტორიული პროცესის აღდგენისას. ჩვენი აზრით, არც დიდი პოეზიაა დაზღვეული „მოდასეობისაგან“ და ამ თვალსაზრისით მისი გაფეტიშება არ შეიძლება. თვით ის ფაქტი, რომ „ვეფხისტყაოსნის“ გენიალურობა უმთავრესად განაპირობა მასში განვითარებულმა ეპოქისათვის თითქმის რევოლუციურმა ჰუმანისტურმა იდეებმა, რომლებიც ვერ თავსდებოდა იმდროინდელი ფეოდალური საზოგადოების იდეოლოგიის ჩარჩოებში, გარკვეულწილად სწორედ მისი ავტორის „მოდასეობის“ მაჩვენებელია.

უაღრესად საინტერესოა სადისერტაციო ნაშრომის მეორე თავი: „ძალაუფლების ანატომია XI-XII საუკუნეების საქართველოში“. მასში დისერტანტი შეეცადა, თვალი გაედევნებინა სახელმწიფო ხელისუფლების ევოლუციისათვის და ეჩვენებინა ის ცვლილებები, რომლებიც გა-

ნიცადა მმართველობის სისტემამ XI-XII საუკუნეების საქართველოში. ამასთან დაკავშირებით, გ. მჭედლიშვილი რატომღაც საგანგებოდ ჩერდება გაერთიანებული საქართველოს მეორე მეფის – გიორგი I-ის მოღვაწეობაზე და სვამს კითხვას, რამდენად შეიძლება ის ყოფილიყო ერთპიროვნული მმართველი – ტირანი. დისერტანტის არჩევანი, ამ შემთხვევაში, მთლიანად განაპირობა დიდი ქართველი მწერლის კონსტანტინე გამსახურდიას რომანში „დიდოსტატის მარჯვენა“ დასმულმა პრობლემამ. ამიტომაცაა, რომ სადისერტაციო ნაშრომში ავტორი გიორგი I-ის მოღვაწეობის შესახებ მსჯელობს არა იმდენად არსებულ საისტორიო მასალაზე დაყრდნობით, არამედ ძირითადად ყურადღებას ამახვილებს კონსტანტინე გამსახურდიას მიერ შექმნილი ლიტერატურული პერსონაჟის დახასიათებაზე.

სინამდვილეში გიორგი I-ის მოღვაწეობის ამსახველი როგორც ქართული, ისე უცხოენოვანი (ბიზანტიური, სომხური, არაბული) წყაროები არ აფიქსირებენ რაიმე განსაკუთრებულს, რომელიც მიგვანიშნებდეს ამ მონარქის გამორჩეულ თვითმპყრობლურ მისწრაფებებზე. როგორც ცნობილია, გიორგი I თავისი ხანმოკლე მეფობის მანძილზე მთლიანად საგარეო-პოლიტიკური პრობლემებით იყო დაკავებული და მას ქვეყნის შიგნით რაიმე სერიოზული ღონისძიებები თავის ე.წ. „ტირანული ხელისუფლების“ განსამტკიცებლად არ გაუტარებია. უფრო მეტიც, გიორგი I მეფეს მოუხდა ზოგიერთ დათმობაზე წასვლა, რაც, პირველ რიგში, კახეთ-ჰერეთის ერთიანი ქართული სახელმწიფოდან გამოსვლასა და ქუთაისის ტახტის მხრიდან მისი ცალკე სახელმწიფოებრივ წარმონაქმნად ცნობაში გამოიხატა.

მიუხედავად ამისა, ჩვენ მაინც ვფიქრობთ, რომ გიორგი I-ს ნამდვილად ჰყავდა სერიოზული ოპოზიცია ქვეყნის შიგნითაც, მაგრამ ეს ოპოზიცია მეფეს უპირისპირდებოდა მისი ანტიბიზანტიური პოლიტიკის გამო და მხოლოდ ამდენად ახდენდა გავლენას ქვეყნის შინაპოლიტიკურ ცხოვრებაზე. ანუ ჩვენ იმის თქმა გვინდა, რომ გიორგი I შეეწირა არა თავისი „ტირანული აზრებების“ გამოვლინებას, რომელსაც თითქოს ვერ შეეგუა ფეოდალური არისტოკრატია, არამედ კონკრეტულ საგარეოპოლიტიკურ (ანტიბიზანტიურ) კურსს, რომელსაც არ იზიარებდა საქართველოს მმართველი წრეების ერთი ნაწილი.

ეს საკითხი, თავის დროზე, ჩვენ საგანგებოდ დავამუშავებთ¹ და ამჯერად მასზე არ ვაპირებთ ფართო მსჯელობის გამართვას. აღვნიშ-

¹ იხ.: **ზ. პაპასქირი**. ერთიანი ქართული ფეოდალური სახელმწიფოს წარმოქმნა და საქართველოს საგარეო-პოლიტიკური მდგომარეობის ზოგიერთი საკითხი. თბ., 1990, გვ. 102-140.

ნავთ მხოლოდ, რომ თუ დისერტანტს სურდა ყურადღების გამახვილება სამეფო ხელისუფლების ხასიათზე ერთიანი ქართული სახელმწიფოს ფორმირების დასაწყის სტადიაზე, მას ბევრად უფრო საინტერესო მასალას მისცემდა არა გიორგი I-ის, არამედ მისი მამის ბაგრატ III-ის მოღვაწეობა, რომლის დროსაც ცალკეული ქართული რეგიონების ერთიან სახელმწიფოში გაერთიანების ურთულესი პროცესი მართლაც მოითხოვდა მკაცრი ცენტრალიზებული მმართველობის (თვითმპყრობელური) ფორმების დანერგვას, რასაც წარმატებით გაართვა კიდეც თავი ბაგრატ III-მ.

ბაგრატ III-ის თვითმპყრობელური ტენდენციების პირველი დიდი გამოვლინება, როგორც ცნობილია, იყო ქართლის დიდაზნაურთა გამოსვლის ჩახშობა Xს. 80-იანი წლების დამდეგს,¹ ხოლო მოგვიანებით გაურჩეული ფეოდალის – რატი ბაღვაშის დამორჩილება.² მაგრამ თავისი ნამდვილი „ტირანული“ თვისებები ბაგრატ III-მ მაინც XIს. 10-იანი წლების დამდეგს გამოამჟღავნა, როდესაც სასტიკი რეპრესიები გაატარა კლარჯეთის ბაგრატიონთა სახლის მიმართ (ნაწილი დაახოცინა, ნაწილმა თავი ბიზანტიას შეაფარა)³ და ამ რეგიონში თავისი დიქტატი დაამყარა.

აქვე საგანგებოდ გვინდა შევნიშნოთ, რომ გარკვეული ისტორიული პროცესების ანალიზისას, მკვლევარი ისტორიკოსი, პირველ რიგში, უნდა აპელირებდეს არა თანამედროვე მწერლის მიერ დანახული სამყაროთი, არამედ კონკრეტული საისტორიო მასალით. რაც შეეხება კონსტანტინე გამსახურდიას გენიალურ ნაწარმოებს – „დიდოსტატის მარჯვენას“, რომლის კრიტიკულ ანალიზსაც გ. მჭედლიშვილი იძლევა, მასში, მართალია, ნამდვილად საკმაოდ ზუსტად (სხვათა შორის, ისტორიოგრაფიული თვალსაზრისითაც) არის ასახული იმდროინდელი საქართველოს ისტორიული სინამდვილე, მაგრამ 900 წლის შემდეგ შექმნილმა მნატვრულმა ნაწარმოებმა მაინც არ შეიძლება გადაწონოს კონკრეტული ისტორიოგრაფიული მემკვიდრეობა.

სადისერტაციო ნაშრომის ამ ნაწილში სავსებით სწორადაა აღნიშნული, რომ „XI საუკუნემ – ქართული ეროვნული სახელმწიფოს

¹ *მატიანე ქართლისა.* – *ქართლის ცხოვრება.* ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით *ს. ყაუხჩიშვილის* მიერ, ტ. I. თბ., 1955, გვ. 276; ამ გამოსვლის ხასიათის შესახებ იხ.: *ზ. პაპასქირი.* ერთიანი ქართული..., გვ. 68-71.

² *მატიანე ქართლისა...*, გვ. 276-277; *ზ. პაპასქირი.* ერთიანი..., გვ. 38-43.

³ *სუმბატ დავითის ძე.* ცხოვრება და უწყება ბაგრატიონიანთა. – *ქართლის ცხოვრება.* ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით *ს. ყაუხჩიშვილის* მიერ, ტ. I. თბ., 1955, გვ. 382.

მშენებლობის ხანამ შეცვალა შუა საუკუნეების ყველაზე მნიშვნელოვანი და დიდი ტაძრები“ და რომ „ბაგრატი, სვეტიცხოველი, გელათი, ალავერდი, სამთავისი... მტკიცე, ერთიანი, განუყოფელი საქართველოსათვის ბრძოლის შენაძენი“ იყო. სამწუხაროა მხოლოდ, რომ დისერტანტმა ამ სიას რატომღაც ჩამოაშორა ბედია. არადა, სწორედ დიდი ბაგრატ მეფის, საქართველოს გამაერთიანებლის მიერ აგებული ბედია იყო, პირველ რიგში (ქუთაისის ბაგრატის ტაძართან ერთად), იმთავითვე აღქმული ახლადშექმნილი ქართული სახელმწიფოს ძლიერებისა და სიდიადის სიმბოლოდ,¹ რასაც საგანგებოდ გაუსვა ხაზი „*მატიანე ქართლისაჲს*“ ავტორმა.² ასევე სწორია დასკვნა იმის შესახებაც, რომ „სამეფო ხელისუფლება IX-X-XI საუკუნეების საქართველოში პროგრესულ პოლიტიკურ ძალას წარმოადგენდა, რამდენადაც მთელ ამ საყოველთაო არევ-დარევაში უწინარესად ამყარებდა წესრიგს უწესრიგობაში“, მაგრამ უპრიანი იყო ავტორს ამ შემთხვევაში აღენიშნა, რომ ეს ზოგადი ფორმულა სამეფო ხელისუფლების როლზე (ევროპის ქვეყნების მიმართ) ეკუთვნის ფრიდრიხ ენგელსს.

ასევე ჩვენთვის მთლად გასაგები არ არის დისერტანტის თეზისი სამეფო ხელისუფლებასა და დიდაზნაურთა მეტოქეობის განსაკუთრებით IX ს. დამლევადან გამწვავების შესახებ, როცა, მისი სიტყვებით, „ქართველი ხალხის წინაშე უმნიშვნელოვანესი სახელმწიფოებრივი ამოცანა წამოიჭრა საქართველოს გაერთიანების სახით“. გ. მჭედლიშვილის აზრით, „ეს იყო დასაწყისი სამსაუკუნოვანი პროცესისა“.

ჩვენთვის უცნობია, თუ რის საფუძველზე მიიჩნევს დისერტანტი IX ს. მიწურულს ერთიანი ქართული სახელმწიფოს შექმნისათვის ბრძოლის დასაწყისად. ეს პრობლემა გაცილებით უფრო ადრე წამოიჭრა. პირველად ეს აშკარად შეიმჩნევა ვახტანგ გორგასლის ეპოქაში, ხოლო უფრო მკვეთრად – VIII ს. შუა ხანებში, როდესაც, როგორც უკანასკნელი პერიოდის კვლევებმა (ნ. ბერძენიშვილი, დ. მუსხელიშვილი, ზ. ალექსიძე, გ. აბრამიშვილი, ზ. პაპასქირი და ა.შ.)³ ნათლად წარმოაჩინა

¹ ამის შესახებ იხ.: **ზ. პაპასქირი**. ბედიის ტაძარი – ერთიანი ქართული სახელმწიფოებრიობის სიმბოლო. – *საისტორიო ძიებანი*, წელიწადი, III. თბ., 2000, გვ. 3-9. იხ. ელექტრ. ვერსია: <http://saistoriodziebani.googlepages.com/dziebani2000>.

² *მატიანე ქართლისაჲს*, გვ. 281.

³ **ნ. ბერძენიშვილი**. საქართველოს ისტორიის საკითხები. თბ., 1990, გვ. 579; **ზ. ალექსიძე**. ქართული და სომხური წყაროები VIII ს. დამდეგს ქართლისა და ეგრისის საეკლესიო ერთიანობის შესახებ. – წგნ.: *„ეპისტოლეოთა წიგნი“*: სომხური ტექსტი ქართული თარგმანით, გამოკვლევისა და კომენტარებით გამოსცა **ზ. ალექსიძემ**. თბ., 1968, გვ. 173; **გ. აბრამიშვილი**. სტეფანოზ მამფალის წარწერა ატენის სიონში. თბ., 1977, გვ. 35; **დ. მუსხელი-**

ნეს, შესაძლებელია, „დე-იურე“ მოხდა კიდევ იმერ-ამერის ქართლის ერისმთავართა სახლის ხელისუფლების ქვეშ გაერთიანება. IX ს. ღამდე-გიდან კი ახლადშექმნილ სამეფო-სამთავროებს შორის გაჩაღებული პერ-მანენტული დაპირისპირება ქართულ პოლიტიკურ სამყაროში ჰეგემონობისათვის ნამდვილად ნიშნავდა ქვეყნის გაერთიანებისათვის ბრძოლის დაწყებას.

IX ს. მიწურულს ურთიერთობების რაიმე განსაკუთრებული გამწვავება სამეფო ხელისუფლებასა და ფეოდალურ არისტოკრატიას შორის, რომელიც თითქოს გამოწვეული იყოს ახალი პროცესის – სამეფო ხელისუფლების მიერ ქვეყნის გაერთიანებისთვის ბრძოლის დაწყებით წყაროებში არ შეინიშნება. პირიქით, ამ პერიოდისათვის „აფხაზთა“ სამეფომ, რომელიც იმ დროს ყველაზე აქტიურად ცდილობდა და მეტ-ნაკლებად ახერხებდა კიდევ მოეპოვებინა ჰეგემონობა საერთო-ქართულ სამყაროში, საბოლოოდ დაძლია შინაპოლიტიკური კრიზისი და მიაღწია გარკვეულ სტაბილიზაციას. ასევე სტაბილური გახდა ვითარება ტაო-კლარჯეთში, სადაც 80-იანი წლების მიწურულისათვის ფაქტობრივად დასრულდა თითქმის 20-წლიანი ფეოდალური შინაომი, რომლიდანაც გამარჯვებული ბაგრატ აშოტის ძის სახლი გამოვიდა. ამ სახლის წარმომადგენელმა ადარნასე ღავითის ძემ კი თავისი გამარჯვება „ქართველთა“ მეფის ტიტულის მიღებით დააგვირგვინა.

სავსებით სწორია ქვეყნის პოლიტიკური გაერთიანების იდეოლოგიური საფუძვლების შემზადებაში საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის გადამწყვეტი როლის დისერტანტისეული შეფასება. ჩვენ ასევე მთლიანად ვეთანხმებით ნაშრომში გატარებულ თვალსაზრისს იმის შესახებაც, რომ გაერთიანებისათვის ბრძოლაში თვით ეკლესიას ჰქონდა საკუთარი მიზანი და რომ მას ამოძრავებდა ე.წ. ცეზარო-პაპიზმის მისწრაფებები. ასევე სწორია იმის მტკიცებაც, რომ ქვეყნის გაერთიანებისათვის ბრძოლის პროცესში „ეკლესია მთლიანი ფრონტით“ ყოველთვის არ გამოდიოდა სამეფო ხელისუფლების მხარეზე, რომ მისი გარკვეული ნაწილი ფეოდალურ ოპოზიციას უჭერდა მხარს.

სხვათა შორის, საქართველოს ეკლესიის მესაჭეთა ოპოზიციურობა მკვეთრად გამოვლინდა სწორედ გიორგი I-ის ეპოქაში, როდესაც კათოლიკოსი მელქისედეკი საკმაოდ აქტიურად გამოდიოდა ბიზანტიასთან დაახლოების ინიციატივით (ცნობილია მისი კარგი ურთიერთობა

შეილი. საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები, II. თბ., 1980, გვ. 76-77; **ზ. პაპასქირი.** ბიზანტიის დიპლომატია და პოლიტიკური ცვლილებები დასავლეთ საქართველოში VIII ს. I ნახევარში. – *ქართული დიპლომატია*, წელიწადი, ტ. IV. თბ., 1997, გვ. 297-300.

ბიზანტიის იმჟამინდელ იმპერატორებთან: ბასილი II-სთან, კონსტანტინე VIII-სთან და რომანოზ არგვიროსთან) და ამით უპირისპირდებოდა გიორგი I-ის ანტიბიზანტიურ კურსს¹. ჩვენი აზრით, სწორედ ამ დროიდან იწყება ურთიერთობის გამწვავება სამეფო ხელისუფლებასა და ეკლესიის ხელმძღვანელობას შორის, რომელმაც ერთგვარ აპოგეას მიაღწია XII. 60-იან წლებში, როდესაც ბაგრატ IV-მ გიორგი მთაწმინდელის ავტორიტეტის გამოყენებით მოინდომა ურჩი მღვდელმთავრების ალაგმვა და ეკლესიაში მისთვის სასურველი წესრიგის დამყარება. ამ მცდელობამ, როგორც ცნობილია, მამინ მიზანს ვერ მიაღწია, მაგრამ რაც ვერ მოახერხა ბაგრატ IV-მ, რეალურად განახორციელა მისმა ძლევაძმოსილმა შვილიშვილმა დავით IV აღმაშენებელმა, რომელმაც ნამდვილად შეძლო ეკლესიის სახელმწიფო კონტროლის ქვეშ მოქცევა. ეს ფაქტი კი უდავოდ საქართველოში თვითმპყრობელური რეჟიმის დამყარების მანიშნებელი იყო.

სწორად მიგვაჩნია დისერტანტის დასკვნა იმის შესახებ, რომ XII-XIII საუკუნეების მიჯნის საქართველო სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დონით უახლოვდებოდა იმ სიტუაციას, როდესაც ჩნდება ფეოდალური წყობის რღვევის პირველი ნიშნები და ქვეყანა გარდამავალ ეპოქაში გადადის, რითაც იქმნება პირობები აბსოლუტური მმართველობის დამყარებისათვის. ამასთან დაკავშირებით, უთუოდ გამართლებულია გ. მჭედლიშვილის მიერ გიორგი III-ის პიროვნებაზე ყურადღების გამახვილება და მის მოღვაწეობაში აბსოლუტიზმის ნიშნების ძიება, თუმცა აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ გიორგი III-ის ეპოქაში განვითარებული მოვლენების „მწვავე კლასობრივ ბრძოლებად“ მონათვლა შეცდომაა. უკიდურეს შემთხვევაში, ხელისუფლებისათვის ბრძოლის ფაქტები, რომელსაც ადგილი ჰქონდა საქართველოში ამ დროს, შეიძლება შეფასდეს როგორც შიდაკლასობრივი (და არა კლასობრივი) ბრძოლის გამოვლინება. აღსანიშნავია, რომ სწორედ ამ ჭრილშია განხილული ეს მოვლენები სპეციალურ ლიტერატურაში. პირველ რიგში, მხედველობაში გვაქვს აკად. როინ მეტრეველის ცნობილი მონოგრაფია².

ჩვენი აზრით, ასევე რამდენადმე გადასასინჯია ქართულ ისტორიოგრაფიაში დამკვიდრებული და სადისერტაციო ნაშრომში განვითარებული თვალსაზრისი იმის შესახებ, რომ გიორგი III-მ თითქოს პრინციპულად შეცვალა დემეტრე I-ის ე.წ. „თავდაცვითი“ პოლიტიკა და მეზობელი ქვეყნების მიმართ დავით აღმაშენებლის კურსის გამგრძელებ-

¹ ამის შესახებ დაწვრ. იხ.: **ზ. პაპასქირი**. ერთიანი ქართული..., გვ. 133-137.

² **რ. მეტრეველი**. შიდაკლასობრივი ბრძოლა საქართველოში XII საუკუნეში, თბ., 1973 გვ. 102-137.

ლად მოგვევლინა. მიგვაჩნია, რომ დემეტრე I არანაკლებ აქტიურად იბრძოდა საქართველოს საერთაშორისო ავტორიტეტის ასამაღლებლად და საკმაოდ მნიშვნელოვან წარმატებებს აღწევდა ამ მიმართულებით. სწორედ ამიტომ იყო ის აღიარებული თანამედროვეთა მიერ უძლიერეს ხელმწიფედ. ამის დამადასტურებელია თუნდაც XIII. ცნობილი შირვანელი პოეტის ფელეკი შირვანის ოდა, რომელშიც დემეტრე I მოხსენიებულია „აფხაზეთისა და შაქის შაჰინშაჰად, ჰორიზონტების მეფედ“.¹

ჩვენ ვერ გავიზიარებთ დისერტანტის დასკვნას იმის შესახებაც, თითქოს „იმჟამინდელი საქართველოს საზოგადოების ყველა ფენისათვის თამარის, როგორც ქალის გახელმწიფება უფრო მიმზიდველი და მისაღები იყო, ვიდრე გიორგის დემნათი შეცვლა“. ყოველი შემთხვევისათვის, ამის არგუმენტად, ვფიქრობთ, ნამდვილად არ გამოდგება ის გარემოება, რომ ხალხი დემნა უფლისწულის პოზიციას, „მიუხედავად მისი სამართლიანობისა, უგულოდ“ მოეკიდა. დემნას მარცხი და თამარის გამეფება, პირველ რიგში, გიორგი III-ის თვითმპყრობლური რეჟიმის სიძლიერემ განაპირობა და არა საქართველოს მოსახლეობის ფართო ფენების სიმპათია-ანტიპათიამ ტახტის ამა თუ იმ პრეტენდენტის მიმართ.

საინტერესოა დისერტანტის დაკვირვებები ყუთლუ-არსლანის დასის გამოსვლის ირგვლივ. ჩვენ ვიზიარებთ ნაშრომში განვითარებულ თვალსაზრისს იმის შესახებ, რომ ეს მოვლენა „განვითარებული ფეოდალიზმის რღვევისა და ახალი (ბურჟუაზიული) ურთიერთობების ჩასახვა-წარმოქმნის ერთ-ერთ ნიშნად მივიჩნიოთ“. გ. მჭედლიშვილი ასევე სწორად აღნიშნავს, რომ ყუთლუს დასის გამოსვლას მოჰყვა ე.წ. „მესამე წოდების“ წარმომადგენელთა – დიდვაჭარ-ფინანსისტთა გავლენის ზრდა სახელმწიფოებრივ ცხოვრებაში. მაგრამ აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ეს თვალსაზრისი არ არის ახალი, მას საკმაოდ ბევრი მომხრე ჰყავს და მათი დასახელება, თუ ყველასი არა, შ. მესხიასა² და რ. მეტრეველის³ მაინც, დისერტანტს უთუოდ მართებდა. ყუთლუ-არსლანის დასის გამოსვლასთან დაკავშირებით ჩვენი ყურადღება მიიპყრო დისერტანტის კიდევ ერთმა უდავოდ მართებულმა დასკვნამ იმის შესახებ, რომ ყუთლუსა და მისი მომხრეების „პოლიტიკური პროგრამა არავითარ სპარსულ წესს არ შეიცავდა“. თუმცა ამ საკითხზე არის ილ. ანთელავას განსხვავებული მოსაზრებაც, რომელსაც ყუთლუ-არსლანის

¹ **З. М. Буниятов.** Грузия и Ширван в I-ой половине XII века. – *Грузия в эпоху Рус-тавели.* Тб., 1966, გვ. 289; **З. В. Папаскири.** У истоков грузино-русских политических взаимоотношений. Тб., 1982, გვ. 122.

² **შ. მესხია.** საქალაქო კომუნა შუა საუკუნეების თბილისში. თბ., 1962, გვ. 100-144. იხ. აგრეთვე: **შ. მესხია.** *სახელმწიფოებრივი ძებნა.* ტ. I. თბ., 1982, გვ. 279-318.

³ **რ. მეტრეველი.** შიდაკლასობრივი ბრძოლა..., გვ. 324.

„კარავი“ დიდ სელჩუკთა სასულთნოში არსებული პოლიტიკური სისტემის ერთგვარ ანალოგიად მიაჩნია¹ და უპრიანი იქნებოდა, გ. მჭედლიძეილს გაეკეთებინა ამ თვალსაზრისის სათანადო კომენტარი.

სარეცენზიო ნაშრომში სავსებით მართებულადაა ხაზგასმული, რომ თამარის ორივე დაქორწინება პოლიტიკური ბრძოლის გაგრძელება იყო, რომლის დროსაც ერთმანეთს უპირისპირდებოდა ორი მოწინააღმდეგე ბანაკი. ასევე სწორია დასკვნა იმის შესახებაც, რომ გიორგი რუსს მხარს უჭერდნენ ის ძალები, რომლებიც ცდილობდნენ მეფის ერთპიროვნული ხელისუფლების შეზღუდვას. ამ თვალსაზრისით, მოსაწონია დისერტანტის მიერ გიორგი რუსის ნოვგოროდში მთავრად ყოფნის პერიოდზე და იქ არსებულ ვითარებაზე (როგორც ცნობილია, ნოვგოროდში პოლიტიკურ ძალაუფლებას მთლიანად ვეჩე და არა მთავარი ფლობდა) აქცენტის გაკეთება. ჩვენც ასევე ვთვლით, რომ ნოვგოროდში პოლიტიკური წრთობამიღებული რუსი უფლისწულისათვის ნამდვილად არ იქნებოდა უცხო საქართველოში 1184-1185 წლებში შექმნილი სიტუაცია.

სხვათა შორის, ამის შესახებ ჩვენ საგანგებოდ მივუთითეთ კიდევ ოცი წლის წინ გამოქვეყნებულ მონოგრაფიაში², რომელშიც არ გავიზიარეთ აკად. გ. მელიქიშვილის მოსაზრება იმის შესახებ, თითქოს ძველი რუსეთის სახელმწიფოებრივი კონიუნქტურის პირობებში აღზრდილი იურისათვის ძნელი შესაგუებელი იქნებოდა საქართველოს ფეოდალური არისტოკრატის ყოვლისშემძლეობა.³ დასაბამია, რომ დისერტანტს გამოეჩინა როგორც აკად. გ. მელიქიშვილის თვალსაზრისი, ისე ჩვენი კომენტარიც. ჩვენი ნაშრომის არცოდნა, რასაკვირველია, დიდი ტრაგედია ნამდვილად არ არის, მაგრამ, ვფიქრობთ, სრულიად მიუტყვევებელია აკად. გ. მელიქიშვილის მონოგრაფიის იგნორირება, მით უფრო, რომ დისერტაციაში განხილულ მთელ რიგ საკითხებზე აწვანსვენებულ მეცნიერს ჰქონდა საგანგებო მსჯელობა. საერთოდ რჩება შთაბეჭდილება, რომ დისერტანტი მაინცდამაინც კარგად არ იცნობს თამარის ქორწინებების პერიპეტეებს, რაზედაც მეტყველებს თუნდაც ის, რომ დავით სოსლანთან მის ქორწინებას შეცდომით 1189 წლით ათარიღებს. არადა, ისტორიოგრაფიაში დიდი ხანია დადგენილად ითვლება (ეს სავსებით დამაჯერებლად დაასაბუთეს ცნობილმა სომეხმა მკვლევარმა პარუირ მუ-

¹ ილ. ანთელავა. ყუთლუ-არსლანის დასის გამოსვლის შესახებ. – *მაცნე, ისტორიის... სერია*, №4, 1977, გვ. 187-188.

² **З. В. Папаскири.** У истоков грузино-русских..., გვ. 142.

³ **გ. მელიქიშვილი.** ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური გაერთიანება და საქართველოში ფეოდალურ ურთიერთობათა განვითარების ზოგიერთი საკითხი. თბ., 1973, გვ. 155-157.

რადიანმა¹ და ქართველმა არმენოლოგმა ალექსანდრე აბდალაძემ²), რომ თამარის მეორედ დაქორწინება მოხდა არა უგვიანეს 1188 წლის პირველი ნახევრისა.

ცოტა უცნაურად გვეჩვენება რეპლიკა იმის შესახებ, რომ თამარის პირველი ქორწინების წინ რუსუდან დედოფალი და სამეფო კარის მოხელენი დავით სოსლანს (გ. მჭედლიშვილის შეფასებით, „საუცხოო კანდიდატურას... თამარის ქმრობისა“) თითქოს „განგებ ვერ ხედავდნენ“. ვფიქრობთ, ამგვარი მტკიცების არავითარი საფუძველი არა გვაქვს. სრულიად აშკარაა, რომ 1185წ. გიორგი რუსის კანდიდატურას რუსუდანმა იმიტომ კი არ დაუჭირა მხარი, რომ დაივიწყა მისივე გაზრდილი ოსი უფლისწულის არსებობა, არამედ ეს მთლიანად განპირობებული იყო იმ დროს სამეფო კარზე შექმნილი ძალთა თანაფარდობით.

სადისერტაციო ნაშრომის მესამე თავში – **„კონსტიტუციური უფლებებისათვის ბრძოლა რუსთაველის ეპოქის საქართველოში და „ვეფხისტყაოსნის“ ავტორის პოლიტიკური მოძღვრება“** – მოცემულია უაღრესად საინტერესო დაკვირვებები შოთა რუსთაველის პოლიტიკურ მრწამსზე. ჩვენი აზრით, უდავოდ გასაზიარებელია დისერტანტის დასკვნა იმის შესახებ, რომ „ვეფხისტყაოსნის“ „ისტორიულ შიფრს“ წარმოადგენს „კონსტიტუციური უფლებებისათვის ბრძოლა და პოლიტიკური თავისუფლების მძაფრი წყურვილი“ და რომ ეს მთლიანად ესადაგება „იმდროინდელი საქართველოს კულტურის, განსაკუთრებით პოლიტიკური აზროვნების არსებულ დონეს და ეპოქის იდეურ ძვრებს“. ამავე თავში მოცემულია პოემის შექმნის თარიღის (1177-1191წწ.) დადგენის მცდელობა.

მეოთხე თავში – **„რუსთაველის ბიოგრაფიის ზოგიერთი საკითხი და პოემა „ვეფხისტყაოსანი“ თანადროული საქართველოს პოლიტიკური ისტორიის სწორი გაგებისათვის“** – განხილულია საქართველოს საშინაო პოლიტიკური ცხოვრების ცალკეული ასპექტები. დისერტანტი, ჩვენი აზრით, სავსებით მართებულად ამხევილებს ყურადღებას თამარის უშვილობაზე და სწორად მიგვანიშნებს იმაზე, რომ ამ გარემოებამ აშკარად დაძაბა სიტუაცია. უფრო მეტიც, ჩვენ საერთოდ მიგვაჩნია, რომ თამარის უშვილობა, თავის დროზე, გახდა საბაბი გიორგი რუსის დადანაშაულებისა „სოდომურ ცოდვაში“, მოგვიანებით კი თამარის გაჭიანურებულმა უნაყოფობამ მეორე ქმართანაც მისცა საფუძველი

¹ П. М. Мурадян. К хронологии некоторых событий в Грузии и Армении конца XIII в. – *Вестник Матенадарана*, №9, 1969, გვ. 130-131.

² ა. აბდალაძე. XII-XIII სს. საქართველოს ისტორიის ქრონოლოგიის შესწავლისათვის. – *მაცნე*, ისტორიის... სერია, №2, 1974, გვ. 145.

რუსი უფლისწულის მომხრეებს, გაეფანტათ ყოველგვარი ეჭვები მის, ასე ვთქვათ, „მაკაკაცურ ღირსებებთან“ დაკავშირებით. ყოველი შემთხვევისათვის, გიორგი რუსის ამგვარი რეაბილიტაციის გარეშე, წარმოუდგენლად მიგვაჩნია ისეთი გრანდიოზული აჯანყების ორგანიზება, რომელსაც ადგილი ჰქონდა 1191წ. (მასში, როგორც ცნობილია, მონაწილეობა მიიღო ქართველ დიდებულთა ფართო წრემ) და რომლის მთავარი მიზანი იყო გიორგი რუსის ადრინდელი სტატუსის (მეფე-ქმრის) აღდგენა.¹

თამარის ქორწინებებთან დაკავშირებით კიდევ ერთი საკითხი იქცევა მკვლევართა ყურადღებას – „მეფე-ქმრის“ სტატუსი. არის მეფე ქმრის როლის დამცრობისა და ამ ფონზე მხარგრძელთა ყოვლისშემძლეობის მტკიცების ტენდენცია (ამ მხრივ, როგორც ცნობილია, განსაკუთრებით სცოდავენ სომეხი ისტორიკოსები, რომლებიც ამ გზით ცდილობენ ე.წ. „სომხური ლობის“ წინ წამოწევას თამარის კარზე). მეორე მხრივ, ადგილი აქვს მეფე-ქმრის როლის გადაჭარბებულ შეფასებასაც და ფაქტობრივად სახელმწიფოს პირველ პირად მის მიჩნევას. გვრჩება შთაბეჭდილება, რომ გ. მჭედლიშვილი უფრო ამ მეორე თვალსაზრისისაკენ იხრება. ამას ადასტურებს მისი ზოგიერთი გამონათქვამი.

ასე, მაგალითად: ის აღნიშნავს, რომ 1191წ. „ოპოზიციასზე დიდი ბრძოლისა და სისხლისღვრის შემდეგ“ გამარჯვება სწორედ დავით სოსლანმა მოიპოვა, რასაც მოჰყვა „ხელისუფლების სრული გადახალისება. სოსლანმა, – მიუთითებს დისერტანტი. – თამარის მომხრეთა მხარდაჭერით, როგორც საერო, ისე სასულიერო ასპარეზზე დააწინაურა ცენტრალური ხელისუფლების ერთგული მოღვაწენი“. ამ დასკვნით, დავით სოსლანი, სულ ცოტა, მთავრობის მეთაურის რანგში მაინც გვევლინება, რაც, ჩვენი აზრით, სრულიად გაუმართლებელია. სინამდვილეში, მეფე-ქმარი არ იყო დამოუკიდებელი პოლიტიკური ფიგურა, მით უფრო – ქვეყნის პოლიტიკური ლიდერი (ამ ფუნქციას ასრულებდა თვით თამარი). მეფე-ქმარი მხოლოდ ვალდებული იყო, შეესრულებინა თავისი გვირგვინოსანი თანამეცხედრისა და ქვეყნის უზენაესი ხელისუფლის განკარგულებები. ერთადერთი სფერო, სადაც ის უშუალოდ ცვლიდა მეფეს და გადამწყვეტ როლს თამაშობდა, ომის დროს

¹ სამწუხაროდ, თავის დროზე, ვერ მოხერხდა აღნიშნულ საკითხზე ჩვენი ამ დაკვირვების სრულად გამოქვეყნება და ის მხოლოდ თეზისების სახით დაიბეჭდა (იხ.: **ზ. პაპასქირი**. XII ს. საქართველოს შინაპოლიტიკური ცხოვრების ერთი მოვლენის გაგების საკითხისათვის. – *საზოგადოებრივ მეცნიერებათა დარგში ახალგაზრდა მეცნიერთა II რესპუბლიკური კონფერენციის მასალები*. თბ., 1980).

ჯარის მთავარსარდლობა იყო.¹

მოყვანილ ფრაგმენტში მთლად გამართულად არ გვეჩვენება აგრეთვე გამოთქმა: „სოსლანმა, თამარის მომხრეთა მხარდაჭერით... დააწინაურა...“ და ა.შ. საქართველო 1191 წლისათვის სულაც არ იყო დაყოფილი უბრალოდ თამარისა და გიორგი რუსის მომხრეებად, ანუ აჯანყების მიზანი ზოგადად თამარის დამხობა და გიორგი რუსის გამეფება არ ყოფილა. ამ შემთხვევაში არგუმენტად ვერ გამოდგება თამარის მემატიანის აღშფოთება იმის გამო, რომ ამბოხებულებმა დაიფიცეს „რუსის გამეფებისა და მისის მეფე-ყოფისათვის“ და ეს უკანასკნელი გეგუთის სამეფო რეზიდენციაშიც კი მოიყვანეს. სრულიად აშკარაა, რომ თამარის გარეშე გიორგი რუსის – საზოგადოების ფართო ფენებისათვის ვიღაც გადაძვირებული მეფობა წარმოუდგენელი იქნებოდა და რომ ეს შეუძლებელია, არ გაეთვალისწინებინათ აჯანყებულებს. ასე რომ, ერთადერთი მიზანი, რომელიც ამოძრავებდათ თამარის პირველი მეფე-ქმრის მომხრეებს, იყო სწორედ დავით სოსლანის და არა თამარის დამხობა, ანუ ისინი იბრძოდნენ გიორგი რუსის უფლებების აღდგენისათვის მეფე-ქმრის სტატუსში. სხვა ლოზუნგით აჯანყება, რასაკვირველია, იმთავითვე განწირული იქნებოდა და ნამდვილად ვერ მოიპოვებდა ასეთ საყოველთაო მხარდაჭერას.

ამავე დროს, ჩვენ მაინც არ გამოვრიცხავთ, რომ ვარდან დადიანს – აჯანყების ფაქტობრივ ხელმძღვანელს და მის მომხრეებს მართლაც ჰქონდათ ჩაფიქრებული ერთგვარი „სასახლის გადატრიალება“ და სავსებით შესაძლებელია, გამარჯვების შემთხვევაში მათ აეძულებინათ თამარი, რეალური ძალაუფლება, ხაზს ვუსვამთ, **რეალური ძალაუფლება და არა იურიდიული**, მეფე-ქმრის უფლებებში აღდგენილი გიორგი რუსისათვის გადაელოცა. უეჭველია, რომ დასავლეთ საქართველოს ფეოდალური ელიტა ამ გზით ცდილობდა სამეფო კარზე დაკარგული გავლენის აღდგენას.

აქვე საჭიროდ მიგვაჩნია იმის კონსტატირება, რომ, თავის დროზე, თამარისა და გიორგი რუსის კონფლიქტიც ამ ნიადაგზე უნდა ყოფილიყო წარმოშობილი. თამარის მეორე ისტორიკოსის მიერ დაფიქსირებული გიორგი რუსის აქტიურობა, და არა მხოლოდ სამხედრო სფეროში, არამედ, სავარაუდოა, პოლიტიკურ პროცესებშიც (როგორც ცნობილია, მემატიანე მას მიაწერს ცალკეულ პირთა მიმართ რეპრესიების

¹ მეფე-ქმრის უფლებებზე იხ.: გ. თოგოშვილი. საქართველო-ოსეთის ურთიერთობის ისტორიიდან. უძველესი დროიდან XIV ს. დამდეგამდე. სტალინბერი, 1958, გვ. 155-167; З. В. Папаскири. У истоков грузино-русских..., გვ. 62.

გატარებას)¹ მისი მხრიდან რეალური სამეფო უფლებების მოპოვებისათვის ბრძოლის გამოვლინებად უნდა მივიჩნიოთ. საფიქრებელია, რომ მეფე-ქმრის ეს სწრაფვა ძალაუფლების უზურპირებისათვის ინსპირირებული იყო იმ პოლიტიკური დასის მიერ, რომლის ინიციატივითაც მოხდა რუსი უფლისწულის ჩამოყვანა საქართველოში და რომ ეს ჯგუფი უკვე მაშინ ცდილობდა ამ გზით სამეფო ხელისუფლების გარკვეულ ჩარჩოებში მოქცევას. ყოველივე ეს, ჩვენი აზრით, მთლიანად ესადაგება XIII. 80-90-იან წლების დამდეგს საქართველოში მიმდინარე საზოგადოებრივ-პოლიტიკური დაპირისპირების ქარგას და პრინციპში იმ თვალსაზრისს, რომელსაც ავითარებს დისერტანტი თავის საკვალიფიკაციო ნაშრომში.

სადისერტაციო გამოკვლევის ამ ნაწილში გ. მჭედლიშვილი აზუსტებს XIII. მიწურულისა და XIII. დამდეგის მეჭურჭლეთუხუცესთა სიას, ზეობის დროს და ცდილობს მეჭურჭლეთუხუცესთა რიგში ადგილი მოუნახოს შოთა რუსთაველს. მისი აზრით, ამ უკანასკნელს აღნიშნული თანამდებობა უნდა სჭეროდა აბულასანის შემდეგ. ამასთან, დისერტანტი სავსებით სამართლიანად მიიჩნევს, რომ აბულასანს თანამდებობა უნდა დაეტოვებინა გიორგი რუსის გაძევებისთანავე, ოღონდ არა 1189წ., როდესაც გ. მჭედლიშვილის ვარაუდით მოხდა „დავითის გახელმწიფება“, არამედ 1188 წლის I ნახევარში მაინც.

დამაჯერებელია დისერტანტის მსჯელობა შოთა რუსთაველის მსოფლმხედველობრივ მრწამსზე. ჩვენ ვეთანხმებით მის დასკვნას, რომ „ვეფხისტყაოსნის“ ავტორის მსოფლმხედველობა უმთავრესად ქრისტიანული მოძღვრების საფუძველზეა აგებული. საინტერესოა გ. მჭედლიშვილის მსჯელობა შოთა რუსთაველის შესაძლო დიპლომატიურ მოღვაწეობაზე (მას რეალურად მიაჩნია დიდი პოეტის გაგზავნა საგანგებო დიპლომატიური მისიით პალესტინაში 1192წ.), აგრეთვე შოთა რუსთაველის მსოფლმხედველობრივ კავშირზე მაქსიმე აღმსარებელთან და იოანე დამასკელთან.

სადისერტაციო ნაშრომის დასკვნით თავში – „ვეფხისტყაოსნის“ წინააღმდეგ ბრძოლის იდეური მოტივები შუა საუკუნეების ქართულ საზოგადოებაში“ – ყურადღება გამახვილებულია იმ იდეოლოგიურ ფაქტორებზე, რომლებიც ასაზრდოებდნენ „ვეფხისტყაოსნისა“ და მისი ავტორის დევნას ოფიციალური ქართული ეკლესიის მესვეურთა მხრიდან. ამ თვალსაზრისით, გ. მჭედლიშვილი საგანგებოდ ჩერდება კათო-

¹ ცხოვრება მეფეთ-მეფისა თამარისი. – ქართლის ცხოვრება. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. II. თბ., 1959, გვ. 120-121.

ლიკოსების დომენტი IV-ისა და ანტონ I-ის დამოკიდებულებაზე შოთა რუსთაველის თხზულებისადმი. სხვათა შორის, დომენტი კათოლიკოსის პიროვნებისა და მისი პოლიტიკურ-დიპლომატიური მოღვაწეობის ზოგიერთ ასპექტზე საინტერესო დაკვირვებები აქვს ახალგაზრდა მკვლევარს ბონდო კუპატაძეს¹ და არ იქნებოდა ურიგო, დისერტანტს ყურადღება მიექცია ამ პუბლიკაციისათვის.

ჩვენი აზრით, გ. მჭედლიშვილი სავსებით სამართლიანად იზიარებს ზვიად გამსახურდიას დასკვნას იმის შესახებ, რომ შოთა რუსთაველი არ იყო ორთოდოქსი ქრისტიანი და რომ ის მიელტვოდა „რელიგიათა შერიგებას, ერთი ჰარმონიული საყოველთაო რელიგიის ნიჟარადაგზე“. დისერტანტს ასევე სწორად აქვს გააზრებული დავით აღმაშენებლისა (და აგრეთვე მისი მემკვიდრეების) მიერ გატარებული რჯულ-შემწყნარებლური კურსის პოლიტიკური აუცილებლობა.

ასეთია, ძირითადად, საკითხთა ის წრე, რომელიც გაანალიზებულია გ. მჭედლიშვილის სადისერტაციო ნაშრომში. ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე შეიძლება აღვნიშნოთ, რომ შესრულებულია კოლოსალური სამუშაო. დისერტანტი ამუღავნებს ნაშრომში დასმული საკითხების ღრმა და კვალიფიციურ ცოდნას, ის კარგად იცნობს პრობლემის ირგვლივ არსებულ მეცნიერულ მემკვიდრეობას, რომელიც, სხვათა შორის, საკვლევი თემის სპეციფიკურობიდან გამომდინარე, ძალზე მრავალფეროვანია და ერთდროულად მოიცავს ისტორიოგრაფიას, სამართალს, ფილოსოფიას, ფილოლოგიას და ა.შ. გ. მჭედლიშვილი ახერხებს XIII ს. საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკური და კულტურული ცხოვრების ურთულეს პრობლემებზე არსებული მოსაზრებების ნიუანსებში ჩაწვდომას და მათი სკრუპულოზური ანალიზის საფუძველზე დამაჯერებლად აყალიბებს თავის შეხედულებებს. მისი დასკვნები, ძირითადად, საისტორიო მასალებით შემაგრებული და არგუმენტირებულია. საგანგებოდ უნდა აღვნიშნოთ დისერტანტის წერის მაღალი კულტურა. ვფიქრობთ, გ. მჭედლიშვილმა თავისი კვლევით სერიოზული წვლილი შეიტანა XIII ს. საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური ისტორიის მთელი რიგი საკითხებისა და საზოგადოებრივი აზრის მეცნიერული კვლევის საქმეში და რამდენადმე წინ წასწია ამ პრობლემათა შესწავლა.

ნაშრომი, ბუნებრივია, არ არის დაზღვეული ცალკეული ნაკლოვანებებისაგან. ძირითადად ეს ეხება ტექნიკურ მხარეს. მაგალითად, ჩვენ აუცილებლად მიგვაჩნია ბიბლიოგრაფიაში ჩამოთვლილი თითოეული

¹ ბ. კუპატაძე. უპრინციპო კომპრომისი ქართულ დიპლომატიაში (კათალიკოსის დომენტი IV). – *ქართული დიპლომატია*, წელიწადი, IV. თბ., 1997, გვ. 251-258.

წყაროს თუ სამეცნიერო ნაშრომის ერთხელ მაინც მითითება ნაშრომში. მართალია, გამოკვლევაში ძირითადად ჩანს ბიბლიოგრაფიაში დასახელებული მონოგრაფიების თუ სამეცნიერო სტატიების კვალი, მაგრამ, უმეტეს შემთხვევაში, ეს მასალები კონკრეტულად არ არის მითითებული. სასურველი იყო დისერტანტს სქემატურად მაინც მოეცა მოკლე ისტორიოგრაფიული მიმოხილვა და ამ ფონზე დაესაბუთებინა ამ ხასიათის ნაშრომის შექმნის აუცილებლობა. არის გაპარული ცალკეული ფაქტობრივი შეცდომები. მაგალითად, XIII ს. მიწურულის ცნობილი ქართველი დიდებული გუზან ტაოელი რატომღაც „ნაყიფაყარად“ არის გამოცხადებული. მაგრამ ეს და სხვა შენიშვნები, რომელთა შესახებ ზემოთ უკვე გვქონდა მსჯელობა, ზოგადად ვერ აყენებენ ჩრდილს წარმოდგენილ სადისერტაციო ნაშრომს, რომელიც მთლიანობაში ნამდვილად მაღალ მეცნიერულ დონეზეა შესრულებული და პასუხობს სადოქტორო დისერტაციისადმი წაყენებულ მოთხოვნებს, ხოლო მისი ავტორი უდავოდ იმსახურებს საძიებელ ხარისხს.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, თავს უფლებას ვაძლევთ, ვიშუამდგომლოთ სადისერტაციო საბჭოს წინაშე, რათა **გიორგი მჭედლიშვილს** ნაშრომისათვის: „**შუა საუკუნეების ქართული საზოგადოებრივ-პოლიტიკური აზრის ძირითადი მიმართულებები და „კეფხისტყაოსანი“** – მიენიჭოს ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხი.

ნაშრომი საქართველოს პოლიტიკური გაერთიანების საკითხებზე*

რეცენზია გურამ გაბუნიას მიერ ისტორიის მეცნიერებათა
ლოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად
წარმოდგენილ ნაშრომზე „საქართველო X საუკუნის ბოლო
მეოთხედსა და XI ს. დასაწყისში“. საქართველოს სახელმწიფოებრივი
გაერთიანების პრობლემური საკითხები.
სპეციალობა 07.00.01– საქართველოს ისტორია, 2002.

საქართველოს პოლიტიკური გაერთიანებისა და ერთიანი ქართული სახელმწიფოს წარმოქმნის პრობლემის მეცნიერულ შესწავლა-დამუშავებას ქართული ისტორიოგრაფიის განვითარების ყველა ეტაპზე ექცეოდა სრულიად განსაკუთრებული ყურადღება. ფაქტობრივად ძნელია მოიძებნოს შუა საუკუნეების პერიოდის, და არა მარტო ამ ხანის, საქართველოს ისტორიის მეტ-ნაკლებად სოლიდური მკვლევარი, რომელიც გაკვრით მაინც არ შეხმიანებოდას X ს. მიწურულსა და XI ს. დამდეგს განვითარებულ მოვლენებს, რომელთაც მოჰყვა იმერ-ამერის გაერთიანება და პირველად ქვეყნის ისტორიაში ერთიანი ქართული სახელმწიფოს ფორმირება.

თავის დროზე ამ პრობლემატიკაზე საგანგებოდ გაამახვილა ყურადღება თანამედროვე ქართული ისტორიოგრაფიის მამამთავარმა აკად. ივანე ჯავახიშვილმა, რომლის ფუძემდებლურ დებულებებზე აიგო კიდევ ძირითადად IX-XI ს. დამდეგის პოლიტიკური ქარტეხილების მეცნიერული ანალიზი. უაღრესად მნიშვნელოვანია ერთიანი ქართული სახელმწიფოს წარმოქმნის ცალკეულ ასპექტებზე ს. ჯანაშიასა და ნ. ბერძენიშვილის დაკვირვებები. საქართველოს პოლიტიკური გაერთიანების პრობლემა არაერთხელ გამხდარა სპეციალური მონოგრაფიული შესწავლის საგანი. ამ თვალსაზრისით უდავოდ საეტაპოა აკად. მ. ლორთქიფანიძის მიერ ჩატარებული კვლევა, რომელიც შეჯამდა გასული საუკუნის 60-იან წლებში გამოცემულ ცნობილ მონოგრაფიაში¹, აგრეთვე მის განმაზოგადებელი ხასიათის ნარკვევებში, რომლებიც შევიდა „საქართვე-

* დაიბეჭდა დაიბეჭდა ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის საქართველოს საისტორიო საზოგადოების აფხაზეთის ორგანიზაციის პერიოდულ სამეცნიერო გამოცემაში: *საისტორიო ძიებანი*, VI, თბ., 2003, გვ. 305-326. იხ. ელექტრ. ვერსია: <http://saistoriodziebani.googlepages.com/dziebani2003>

¹ მ. ლორთქიფანიძე. ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური გაერთიანება. თბ., 1963.

ლოს ისტორიის ნარკვევების“ II და III ტომებში¹.

საქართველოს გაერთიანების საკითხებს აქტიურად იკვლევდნენ XXს. 70-90-იან წლებშიც. გამოიცა არაერთი სპეციალური ნაშრომი, მონოგრაფია, რომლებშიც ახლებურად იქნა გაშუქებული საკვლევე პრობლემის ცალკეული საკითხები. მიუხედავად ამისა, თამამად შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს პოლიტიკური გაერთიანების პრობლემის შემდგომ მეცნიერულ კვლევას ნამდვილად არ დაუკარგავს აქტუალობა და კიდევ ერთხელ მის ყოველმხრივ გამოწვლილვით შესწავლას უდავოდ აქვს გარკვეული პერსპექტივა. სწორედ ეს მიზანია დასახული გურამ გაბუნias მიერ ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილ სადისერტაციო ნაშრომში.

ნაშრომი შედგება წინათქმის, შესავლის, შვიდი თავისა და დასკვნებისაგან. მას დართული აქვს საგვარეულო ნუსხები და რუკები, აგრეთვე გამოყენებული საისტორიო წყაროებისა და სამეცნიერო ლიტერატურის სია.

შესავალ ნაწილში, რომელიც მოცულობით საკმაოდ ვრცელია, ნაჩვენებია საკვლევე თემის აქტუალობა, დასახული მიზანი. აქვე დისერტანტი მიმოიხილავს წყაროთმცოდნეობით ბაზას და ისტორიოგრაფიულ მემკვიდრეობას, უთითებს ნაშრომის თეორიულ და პრაქტიკულ მნიშვნელობაზე. სადისერტაციო ნაშრომის ამ ნაწილში ცალკეა მიმოხილული საერთაშორისო ვითარება ერთიანი ქართული სახელმწიფოს წარმოქმნის წინ, აგრეთვე საქართველოს როლი და ადგილი მსოფლიო პოლიტიკაში ძვ.წ. VI საუკუნიდან დაწყებული ახ.წ. Xს. მიწურულამდე. შესავალ ნაწილში განსაზღვრულია აგრეთვე ნაშრომის ქრონოლოგიური ჩარჩოები და არის გამაერთიანებელი მოძრაობის ცალკეული პერიოდების დადგენის მცდელობა.

დისერტანტი საკმაოდ დამაჯერებლად აჩვენებს საქართველოს პოლიტიკური გაერთიანების პრობლემაზე ყურადღების კიდევ ერთხელ გამახვილებისა და მისი გადამწყვეტი ეტაპის (Xს. უკანასკნელი მეოთხედი – XIს. დამდეგი) მონოგრაფიულად დამუშავების აუცილებლობას. ამასთან, ის ხაზს უსვამს განსახილველი საკითხების „მეცნიერული ისტორიზმის პოზიციებიდან ერთ მთლიანობაში“ გააზრება-გაანალიზებას. უდავოდ სწორია გ. გაბუნias დასკვნა იმის შესახებ, რომ ბაგრატ უფ-

¹ მ. ლორთქიფანიძე. ახალი ფეოდალური სამთავროების წარმოქმნა. – წგნ.: საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. II. თბ., 1973; მ. ლორთქიფანიძე. ქართული ფეოდალური მონარქიის შექმნა. – წგნ.: საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. II. თბ., 1973; მ. ლორთქიფანიძე. საქართველოს შინა-პოლიტიკური და Xს. 80-იან წლებიდან XIს. 80-იან წლებამდე. – წგნ.: საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. III. თბ., 1979.

ლისწულის 978წ. ქუთაისში გამეფებით მხოლოდ დაიწყო ერთიანი ქართული სახელმწიფოს აღმშენებლობა. აქვე არ შეიძლება გვერდი ავუაროთ საღისერტაციო ნაშრომის ამ ნაწილში (ეს გვხვდება ნაშრომის სხვა თავებშიც) გატარებულ თვალსაზრისს იმის შესახებ, რომ ეს იყო „საქართველოს პოლიტიკური მთლიანობის **ხელახალი** აღდგენა-დაფუძნება“ ან კიდევ „საქართველოს **ხელახალი** პოლიტიკური გაერთიანება“.

მართალია, ძველი ქართული საისტორიო ტრადიციის თანახმად, რომელსაც თანამედროვე ისტორიოგრაფიაში არაერთი მომხრე ჰყავს, ქართული პოლიტიკური სამყარო (იმერ-ამერი) ერთიან სახელმწიფოებრივ (ქართლი-იბერიის სამეფოს) სივრცეში მოქცეული იყო ძვ.წ. III საუკუნიდან მაინც, მაგრამ ამ თეზისის უკომენტაროდ მიღება და იმის ერთმნიშვნელოვნად აღიარება, რომ XII. დამდეგს ბაგრატ III აღადგინა საქართველოს ოდინდელი ერთიანობა, მთლად გამართლებულად არ მიგვაჩნია. ამასთან, ჩვენ მხარს ვუჭერთ დისერტანტის დასკვნას იმის შესახებ, რომ VIII ს. 30-იანი წლებიდან, მართლაც ჰქონდა ადგილი გარკვეულ ძვრებს დასავლეთ საქართველოს ქართლის პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივ სივრცეში ინტეგრირებისათვის,¹ მაგრამ ისიც ცხადია, რომ მოცემულ პერიოდში ქართლ-ეგრისის „გაერთიანება“ ქართლის ერისმთავრის არჩილ „მეფის“ ხელისუფლების ქვეშ რეალურ საფუძვლებს მოკლებული იყო და ის მხოლოდ ფორმალურ ხასიათს ატარებდა.

საღისერტაციო ნაშრომის შესავალ ნაწილში საინტერესოაა წარმოჩენილი მსოფლიო პროცესებთან საქართველოს კავშირი, ანუ დისერტანტის მოსწრებული და გონებაამახვილური გამოთქმა რომ ვინმართ, საქართველოს ადგილი „ევრაზიული სივრცის გეოპოლიტიკურ მოზაიკაში“. უდავოდ სწორია გ. გაბუნიას დასკვნა, რომ „საქართველო... მთლიანობაში ყოველთვის წარმოადგენდა შესაბამისი ეპოქის მოწინავე ისტორიულ-კულტურული მსოფლიოს (ე.წ. „ოიკუმენეს“) განუყოფელ ნაწილს“ და რომ „ქართველთა ქვეყანა“, რომელიც „ერთდროულად შედიოდა ორივე (აღმოსავლეთისა და დასავლეთის) გეოპოლიტიკურ რეგიონში, არც ერთ ისტორიულ ეპოქაში არ ყოფილა ცივილიზებული „ოიკუმენეს“ მიღმა“.

უარესად საინტერესო და ამასთან ლოგიკურად გამართულია დისერტანტის დაკვირვებები „ისტორიულ-კულტურულ მსოფლიოში“ („ოიკუმენე“) ძვ.წ. VI-V საუკუნეებიდან განვითარებულ პროცესებზე. არ შეიძლება არ დაეთანხმო გ. გაბუნიას თეზისს იმის შესახებ, რომ „ელი-

¹ იხ.: **ზ. პაპასქირი**. ბიზანტიის დიპლომატია და პოლიტიკური ცვლილებები დასავლეთ საქართველოში VIII ს. I ნახევარში. – *ქართული დიპლომატია*, წელიწდეული, ტ. 4. თბ., 1997, გვ. 300-308.

ნისტურ ხანაში (ძვ.წ. IV-ისს.) საფუძველი ჩაეყარა თავისი მასშტაბითა და ხანგრძლივობით კაცობრიობის ისტორიაში არნახულ ინტეგრაციულ პროცესებს“, რომ ამ ეპოქაში „მოხერხდა „აღმოსავლეთისა“ და „დასავლეთის“... ტრადიციული ოპოზიცია-დაპირისპირების რამდენადმე განმუხტვა, მისი ნეიტრალიზაცია. მოხდა ცივილიზებული კაცობრიობის განვითარების ორი მაგისტრალური – ევროპული (ელნიური, მოგვიანებით, ბერძნულ-რომაული) და აზიური (აღმოსავლური) გზისა და კულტურების ზოგადსაკაცობრიო, ე. ი. უნივერსალურ ღირებულებათა საინტერესო სინთეზი“. სავსებით მართებულია აგრეთვე დისერტანტის დასკვნა იმის შესახებ, რომ ერთიანი ქართული სახელმწიფოს წარმოქმნა დაემთხვა „ბიზანტიის იმპერიის ხელახალი აღორძინების ბოლო ეტაპს“ და რომ „ბიზანტიურმა ფაქტორმა ჩვენი ქვეყნის საბოლოოდ გაერთიანებისა და სრული დამოუკიდებლობის მოპოვებისათვის დაწვებული ბრძოლის პროცესი მნიშვნელოვნად შეაფერხა“.

ნაშრომის I თავში, რომლის სათაურია: „**ცვლილებები საქართველოს ეკონომიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში**“, – მიმოხილულია ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური ვითარება IX-X საუკუნეებში. ყურადღებაა გამაჩვილებული საერთო-ეკონომიკურ აღმავლობაზე, რომელიც შეიმჩნევა მოცემულ პერიოდში (VIIIს. შუა ხანებიდან) როგორც სოფლად, ისე ქალაქად. დისერტანტი ამ პროცესებს უწოდებს „დიდ ეკონომიკურ გარდატეხას“, რომელიც, მისი აზრით, საფუძვლად დაედო ქვეყნის „ეკონომიკურ ერთიანობას“. ქალაქებსა და საქალაქო ცხოვრებაზე მსჯელობისას გ. გაბუნია საგანგებოდ ჩერდება თბილისზე, რომელსაც რატომღაც მოიხსენიებს „ქართველთა ეროვნულ დედაქალაქად“ (ჩვენი აზრით, ქუთაისი არანაკლებ „ეროვნული დედაქალაქი“ იყო). ამასთან, ის სავსებით სწორად მიუთითებს (მ. ლორთქიფანიძეზე დაყრდნობით), რომ თბილისი „არ წარმოადგენდა ტიპიურ ქალაქს საქართველოსათვის“. ასევე საგანგებოდაა ნაჩვენები ქუთაისის მნიშვნელობა, რომელსაც მკვლევარი თავდაპირველად ეგრისის პოლიტიკურ ცენტრად მიიჩნევს, ხოლო შემდეგ – ქართლის ერისმთავართა („ქართუელთა და მეგრელთა“) სახელმწიფოს ერთ-ერთ რეზიდენციად.

ის ფაქტი, რომ ქუთაისი ნამდვილად იყო თბილისიდან გამოდევნილი სტეფანოზ ქართლის ერისმთავრის სახლის წარმომადგენელთა სატახტო ქალაქი, ჩვენი აზრითაც, არავითარ ეჭვს არ უნდა იწვევდეს, მაგრამ ვერ გავიზიარებთ დასკვნას იმის შესახებ, რომ ქუთაისი იყო ლაზიკა-ეგრისის სახელმწიფოს პოლიტიკური ცენტრი VII საუკუნესა და VIIIს. დამდეგს (სადისერტაციო ნაშრომის II თავში გ. გაბუნია უფრო შორსაც მიდის და ქუთაისს ეგრის-ლაზიკის სატახტო ქალაქად მიიჩნევს IVს. დასაწყისიდან). ჩვენი აზრით, ლაზიკა-ეგრისის სახელმ-

წიფოს არსებობის მთელ მანძილზე (ახ.წ. II-IIIსს.-დან VIIIს. დამდეგამდე) ლაზ მეფეთა თუ პატრიკიოზთა მთავარ რეზიდენციად რჩებოდა არქეოპოლისი — ციხე-გოჯი. ქუთაისის პოლიტიკური დაწინაურება კი მთლიანად უკავშირდება „ხოსროვანთა“ დინასტიის დამკვიდრებას და სავლეთ საქართველოს ამ ერთ-ერთ უძველეს ქალაქში.

არ მიგვაჩნია სწორად დისერტანტის მიერ ქუთაისის გამოცხადება „საქართველოს ერთიანი სახელმწიფოს დედაქალაქად“ უკვე 978 წლიდან. მართალია, 978წ. მოხდა ბაგრატ უფლისწულის ქუთაისის ტახტზე აღზევება, მაგრამ ეს ჯერ კიდევ არ ნიშნავდა იმას, რომ ბაგრატი უკვე მაშინ ერთიანი საქართველოს მეფედ, ხოლო ქუთაისი ავტომატურად ამ გაერთიანებული სახელმწიფოს დედაქალაქად იქცა. 978 წლიდან ქუთაისი კიდევ კარგა ხანს რჩებოდა მხოლოდ „აფხაზთა“ სამეფოს დედაქალაქად. ერთიანი საქართველოს დედაქალაქად კი მისი გადაქცევა უკავშირდება ბაგრატ „აფხაზთა“ მეფის მიერ „ქართველთა“ მეფის ტიტულის მიღებას. თავის დროზე, ჩვენ საგანგებოდ შევეხეთ ქუთაისის „აფხაზთა“ სამეფოს დედაქალაქიდან ერთიანი ქართული სახელმწიფოს დედაქალაქად ტრანსფორმაციის საკითხს¹ და გამოვთქვით მოსაზრება, რომ ეს შეიძლებოდა მომხდარიყო 994 წლის შემდეგ, როდესაც გარდაიცვალა „ქართუელთა“ მეფე ბაგრატ II „რეგუენი“ და მისი სამეფო ტიტული, შესაძლოა, უკვე მაშინ მიიღო მისივე შვილიშვილმა „აფხაზთა“ მეფე ბაგრატ III-მ.²

IX-Xსს. სოციალური ვითარების გაშუქებისას გ. გაბუნია სწორად მიუთითებს, რომ ამ პერიოდში აზნაურობა — მისი გამოთქმით, „სოციალურად გაბატონებული წოდება“, რამდენიმე ფენისაგან შედგებოდა და საგანგებოდ გამოყოფს „დიდებულ აზნაურებს“, მაგრამ IX-X საუკუნეებში საუბარი „დიდებულ აზნაურებზე“, როგორც ცალკე ჩამოყალიბებულ ფენაზე, ჩვენ ნაადრევად გვეჩვენება. როგორც ცნობილია, ცნება „დიდებული აზნაურის“ გაჩენა უკავშირდება ამა თუ იმ დიდგვაროვნის მიერ სამეფო კარზე მაღალი სამონხელეო თანამდებობის დაკავებასა და ამ გზით „დიდების“ მოპოვებას. ასეთი რამ კი ძირითადად ხდებოდა ერთიანი სახელმწიფოს შექმნის შემდეგ. ამიტომაცაა ისტორიოგრაფიაში აღნიშნული, რომ „დიდებული აზნაურების“ ცალკე ფენად ფორმირება იწყება XI საუკუნიდან.

ძირითადად მართებულია გ. გაბუნიას მსჯელობა IX-Xსს. ქართუ-

¹ იხ.: **ზ. პაპასქირი**. და აღმოცისკრდა საქართველო. — გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1995წ. 27 სექტემბერი.

² ამის შესახებ იხ.: **ზ. პაპასქირი**. ერთიანი ქართული ფეოდალური სახელმწიფოს წარმოქმნა და საქართველოს საგარეო-პოლიტიკური მდგომარეობის ზოგიერთი საკითხი. თბ., 1990, გვ. 75-82.

ლი ფეოდალური საზოგადოების შიგნით არსებულ სოციალურ წინააღმდეგობებზე. პირველ რიგში, ეს ეხება დასკვნას იმის შესახებ, რომ „თავისუფალ მწარმოებელთა ინტენსიური დაყმევება-გაგლეხების პროცესი უმტკივნეულოდ არ მიმდინარეობდა“, მაგრამ, ვფიქრობთ, არა გვაქვს საფუძველი (ყოველ შემთხვევაში, IX-X საუკუნეებში მაინც) ვილაპარაკოთ „ქართველი მწარმოებელი მოსახლეობის“ რაღაც განსაკუთრებულ, „გააფთრებულ ბრძოლაზე“ მიწისა და პირადი თავისუფლებისათვის. სადისერტაციო ნაშრომის ამავე ნაწილში გ. გაბუნია ეხება „პატრონყმობას“ და იძლევა ამ სისტემის დეფინიციას, მიიჩნევს რა მას „საზოგადოებრივ-ეკონომიკური და პოლიტიკური სისტემის მეტად საინტერესო – ერთდროულად ზოგად-უნივერსალურ და კონკრეტულ-ორიგინალურ ფორმად“. აქვე მას, ჩვენი აზრით, რამდენადმე უადგილოდ, მოჰყავს აკად. მ. ლორთქიფანიძის მიერ ჯერ კიდევ 1962წ. გაკეთებული შენიშვნა იმის თაობაზე, რომ „პატრონყმობა ერთ-ერთი ნაკლებად შესწავლილი სოციალური ფენომენია ქართულ ისტორიოგრაფიაში“. ცნობილია, რომ 60-იანი წლების დამდეგიდან დღემდე ქართულ ისტორიოგრაფიაში არაერთი მკვლევარი შეეხო პატრონყმობის სისტემის არსს, ხოლო გ. მამულაძემ სპეციალური მონოგრაფიაც კი მიუძღვნა მას. აღსანიშნავია, რომ სადისერტაციო ნაშრომის ბიბლიოგრაფიაში ეს ნაშრომი დაფიქსირებულია.

სადისერტაციო ნაშრომის II თავი – „ახალი ქართული სამეფოსამთავროები“ – შედგება 4 პარაგრაფისაგან. ერთიანობის წინამძღვრებზე მსჯელობისას, რომელიც მოცემული თავის I პარაგრაფის სათაურადაა გატანილი, დისერტანტი ყურადღებას ამახვილებს საქართველოს საგარეო-პოლიტიკურ მდგომარეობაზე IX-X საუკუნეებში ის სწორად შენიშნავს, რომ VIIIს. შუახანებიდან დაწყებულ „საქართველოს საშინაო სტაბილიზაციას დაემთხვა კავკასიის და, საერთოდ შუა აღმოსავლეთის ვრცელ რეგიონში შედარებით მყარი საგარეო მშვიდობიანობის დამყარების პროცესიც“. სადისერტაციო ნაშრომის ამ ნაწილში ასევე ცალკე პარაგრაფი აქვს დათმობილი ეგრის-აფხაზეთის სამეფოს წარმოქმნასა და მის როლს გამაერთიანებელ პროცესებში.

დისერტანტი ძირითადად სწორად ახალიზებს დასავლეთ საქართველოში VIIIს. მანძილზე განვითარებულ მოვლენებს. კერძოდ, მართებულია მისი დასკვნა, რომ არჩილ „მეფის“ დროს მოხდა ძველი ეგრისის სამეფოსა და ქართლის საერისმთავროს ერთიან სახელმწიფოში გაერთიანება და რომ „ქართველთა ამ ახალი პოლიტიკური ერთობის ერთ-ერთი მთავარი ეპიცენტრი... ქუთაისი იყო“. სწორადაა შენიშნული აგრეთვე, რომ „ამ საერთო ქართული... პოლიტიკური გაერთიანების

არსებობა მეტად ხანმოკლე აღმოჩნდა“. ჩვენი მხრიდან დავამატებდით, რომ ამგვარ გაერთიანებას, შეიძლება ითქვას, რეალურად საერთოდ არ უარსებია, ფაქტობრივად მისი მხოლოდ დეკლარირება მოხდა, რადგან აღმოსავლეთ საქართველოში მობრუნებულმა არჩილ „მეფემ“ ქართლის „მემკვიდრეობის“ სრულად დაბრუნება ვერ მოახერხა და იძულებული შეიქნა, მხოლოდ კახეთს დასჯერებოდა. არჩილ „მეფისა“ და „ხოსროვანთა“ დინასტიის ღვაწლზე საუბრისას არ შეიძლება არ აღვნიშნოთ, რომ გ. გაბუნია მ სრულიად დაუმსახურებლად წაართვა მათ ანაკოფიის ბრძოლაში მოპოვებული გამარჯვება. მართალია, დისერტანტი, სავსებით სამართლიანად, საგანგებოდ მიუთითებს ანაკოფიის ბრძოლის დიდ მნიშვნელობაზე, მაგრამ იქვე რატომღაც აღნიშნავს, რომ ამ ბრძოლამ „სახელი და დიდება“ მხოლოდ „...აფხაზეთის ახლად წარმოქმნილ სამთავროს მოუტანა“.

ცნობილია, რომ ანაკოფიის ბრძოლის შესახებ ისტორიოგრაფიაში არ არის ერთი აზრი. ზოგიერთი მკვლევარი საერთოდ ეჭვის თვალთ უყურებს არათუ ამ ბრძოლის რეალურობას, არამედ საერთოდ მურვან „ყრუს“ ლაშქრობას საქართველოში. ჩვენ ნდობით ვეკიდებით ქართული წყაროების (პირველ რიგში, ჯუანშერ ჯუანშერიანის ქრონიკის) ცნობებს ამ მოვლენაზე და მიგვაჩნია, რომ ისინი ძირითადად ზუსტად ასახავენ ისტორიულ რეალობას. აქედან გამომდინარე, მიგვაჩნია, რომ ანაკოფიის კელლებთან ქართლელთა და აფხაზთა გაერთიანებული ლაშქრის მიერ მოპოვებული „დიდი ძღვევის“ მთავარი შემოქმედნი სწორედ ქართლის ერისმთავრები მირი და არჩილი იყვნენ და არა ე.წ. „აფხაზეთის სამთავრო“, რომლის ხელმძღვანელი ლეონ ერისთავი, როგორც მატეანიდან ჩანს, იმ დროს საერთოდ არ იმყოფებოდა ანაკოფიაში. თუ ჯუანშერის მატეანეს ვენდობით (არადა, დისერტანტი სწორედ ამ მატეანის ცნობებზე აგებს თავის თვალსაზრისს), მაშინ ცხადი ხდება, რომ ანაკოფიასთან მიღწეულმა სამხედრო წარმატებამ პოლიტიკური დივიდენდები, პირველ რიგში, სწორედ „ხოსროვანთა“ სახლს მოუტანა: ბიზანტიის იმპერატორმა სწორედ მირი და არჩილი ცნო ქართლ-ეგრისის მეფეებად, ლეონს კი მხოლოდ აფხაზეთის მემკვიდრეობითი ერისთავობა არგუნა.

ასევე არასწორია გ. გაბუნიას განცხადება იმის შესახებ, რომ „ეგრის-აფხაზეთის სახელმწიფო საზღვარი“ ოდესმე „ნიკოფსიდან იწყებოდა და... კლისურამდე აღწევდა“. კლისურაზე (მდ. კელასური) **ეგრის-აფხაზეთის** სახელმწიფო საზღვარი არასოდეს გადიოდა. კლისურა იყო ე.წ. „აფხაზეთის საერისთავოს“ საზღვარი ლაზიკა-ეგრისთან. „აფხაზეთის საერისთავოს“ კი არავითარი „სახელმწიფო საზღვარი“ არ

გააჩნდა, ამ დროს ის „საბერძნეთის“ ანუ ბიზანტიის იმპერიის ნაწილად განიხილებოდა და კლისურაზე სწორედ ბიზანტიის სახელმწიფო საზღვარი გადიოდა საქართველოსთან („კლისურა... მას უამსა იყო საზღვარი საბერძნეთისა და საქართველოსა“).

სადისერტაციო ნაშრომის ამ ნაწილში ავტორი სავსებით მართებულად მიუთითებს, რომ „აფხაზეთის და დანარჩენი ეგრისის პოლიტიკური გაერთიანება ნებაყოფლობითი დინასტიური ხასიათის აქცია“ იყო. ასევე სწორია დასკვნა იმის შესახებაც, რომ „დასავლეთ საქართველოს მიწა-წყალზე, აფხაზეთის მოთავეობით, ძველი მროველისეული მასშტაბის ეთნიკურ-პოლიტიკური ეგრისი („ახალი ეგრისი“) აღდგა“. სხვათა შორის, ჩვენც სწორედ ასე გვესმის ცნება „ეგრის-აფხაზეთი“, ანუ ძველი ეგრისი VIII ს. უკანასკნელი მესამედიდან გახდა აფხაზეთი.

საკვალიფიკაციო ნაშრომში ცალკე პარაგრაფი ეძღვნება ისტორიული აფხაზეთის მოსახლეობისა და აფხაზთა ეთნიკური წარმომავლობის გარკვევის საკითხს (ამასთან, დისერტანტი ისტორიულ აფხაზეთად მოიაზრებს ტერიტორიას ნიკოფსიიდან კლისურამდე). გ. გაბუნია იზიარებს პ. ინგოროყვას თვალსაზრისს აფხაზთა ქართველური ეთნიკური წარმომავლობის შესახებ. უფრო მეტიც, მოსაზრება, რომლის თანახმადაც „ისტორიული აფხაზები და ახლანდელი აფსუები ერთი და იგივე ხალხია“, ხოლო „აფხაზეთის მიწა-წყალი ერთდროულად და თავიდანვე ქართველი და აფსუა-აფხაზი ხალხების საერთო სამშობლო“-ა, არც მეტი, არც ნაკლები, „დრომოჭმულ სტერეოტიპად“, „მეცნიერულად ყალბ, სახელმწიფოებრივი და ეროვნული უსაფრთხოების თვალსაზრისით მეტიმეტად სახიფათო“ შეხედულებადაა გამოცხადებული, რომელსაც გადაჭრით უნდა გავემიჯნოთ, რადგან „მეცნიერულ-თეორიულ და პრაქტიკულ მოღვაწეობაში ასეთი კაპიტულანტური პოლიტიკის შედეგები არაერთხელ დასტურია საშიშ, ხშირად სისხლიან ბუმერანგად ჩვენს სამშობლოს“.

ჩვენ არ ვთვლით საჭიროდ, გავაკეთოთ მოცემულ საკითხზე გ. გაბუნიას მიერ მოტანილი არგუმენტაციის დაწვრილებითი ანალიზი, მით უფრო, რომ მას არა აქვს პრეტენზია იყოს ორიგინალური ამ საკითხში და აცხადებს, რომ „ისტორიული აფხაზეთის მოსახლეობის, მისი ეთნიკური შემადგენლობისა და ვინაობის, საერთოდ, ეგრის-აფხაზეთის სამეფოს ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ბუნებისა და ხასიათის შესახებ უაღრესად დელიკატურ პრობლემატიკაზე მსჯელობისას“, ის „ძირითადად ნ. მარის, პ. ინგოროყვას, ნ. ბერძენიშვილის, თ. გამყრელიძისა და სხვათა მიერ გამოთქმულ მოსაზრებებს“ ეყრდნობა. ჩვენ მხოლოდ ზოგადი ხასიათის კომენტარებით შემოვიფარგლებით.

დავიწყებთ იმის კონსტატაციით, რომ ძველმა ქართულმა საისტორიო ტრადიციამ არ იცის არავითარი ე.წ. „ძველი“ და „ახალი“ აფხაზები. მისთვის VIII-Xსს. და XVI-XVIIIსს. აფხაზობა ერთი და იგივე ხალხია. არავითარი ეთნიკური განსხვავება ე.წ. „ძველსა“ და „ახალ“ აფხაზებს შორის არ შეუძნეია XIX-XXს. I ნახევრის ქართულ ისტორიოგრაფიასაც (ერთადერთ გამონაკლისად შეიძლება მივიჩნიოთ ნ. მარის თვალსაზრისი აბასხ-აფხაზთა მესხ-„მოსხებისაგან“ წარმომავლობის შესახებ). მტკიცება იმის შესახებ, თითქოს ი. ჯავახიშვილს აბაზგები და აფშილები ქართველურ ტომებად მიაჩნდა, აგებულია დიდი მეცნიერის ადრინდელ ნაშრომში („ქართველი ერის ისტორიის“ I წიგნის 1913 წლის გამოცემაში) მოცემულ ერთ გამონათქვამზე, რომელიც მან უკვე იმავე ნაშრომის მეორე (1928წ.) გამოცემაში უარყო, როდესაც (სხვათა შორის, ნ. მარის პასუხად, რომელმაც საკუთარ მოწაფეს შენიშვნა მისცა აფხაზების ქართველებად გამოცხადების გამო) ი. ჯავახიშვილმა ერთმნიშვნელოვნად განმარტა, რომ აფხაზებს ის მხოლოდ „ქართველთა მონათესავედ თვლის“ და არ უწოდებს მათ ქართველებს, მეგრელებისა და სვანებისაგან განსხვავებით. ივანე ჯავახიშვილის ეს კომენტარი შესულია „ქართველი ერის ისტორიის“ I წიგნის ყველა მომდევნო გამოცემაში.¹

გარდა ზემოაღნიშნული განმარტებისა, ი. ჯავახიშვილის სხვადასხვა (როგორც საისტორიო, ისე განსაკუთრებით ენათმეცნიერულ) ნაშრომებში ისტორიული აფხაზების ქვეშ სრულიად გარკვევით იგულისხმებიან თანამედროვე აფხაზები, მათი დღევანდელი ენითა და ზნე-ჩვეულებებით.² ერთი სიტყვით, ნათლად შეიძლება ითქვას, რომ ქართული საისტორიო აზროვნება XXს. შუა ხანებამდე ე.წ. „ძველსა“ და „ახალ“ აფხაზებს განიხილავდა ერთ ხალხად, ანუ „ძველ“ აფხაზებს მიიჩნევდა თანამედროვე აფსუა-აფხაზთა წინაპრად.

პირველი მეცნიერი, ვისაც ეჭვი შეეპარა ამაში, იყო პ. ინგოროყვა, რომელმაც, როგორც ცნობილია, უარყო „ძველ“ აფხაზთა აფხაზურადიღეური წარმომავლობა და ისინი ქართველურ ტომებად გამოაცხადა. მაგრამ პ. ინგოროყვას ეს თვალსაზრისი არ მიიღო ქართულმა ისტორიოგრაფიამ, და არა იმის გამო, თითქოს ის ერთგული დარჩა კომუნისტურ-ტოტალიტარული იდეოლოგიის მიერ ნაქადაგები ყბადაღებული „პროლეტარული ინტერნაციონალიზმის“ ლენინური პრინციპისა, რო-

¹ იხ.: ივ. ჯავახიშვილი. თხზულებანი. ტ. I. თბ., 1979, გვ. 152.

² ამის შესახებ კონკრეტულ მასალას შეიძლება გავეცნოთ ამ უკანასკნელ ხანს გამოცემულ ი. ჯავახიშვილის ენციკლოპედიურ ლექსიკონში. იხ.: ივანე ჯავახიშვილი. ენციკლოპედიური ლექსიკონი. მთ. რედაქტორი აკად. რ. მეტრეველი. თბ., 2002.

გორც ამას გვიკვირებს დღეს ურა-პატრიოტულ ლოზუნგებს ამოფარებული ზოგიერთი ჩვენი კოლეგა. მთელი კატეგორიულობით შეიძლება ითქვას, რომ ქართულმა ისტორიოგრაფიამ და, პირველ რიგში, მისმა მაშინდელმა ლიდერმა აკად. ნ. ბერძენიშვილმა პ. ინგოროყვას დაუწუნა მეცნიერული არგუმენტაცია.

თუნდაც ერთი წუთით წარმოვიდგინოთ, რომ 1953წ. შემდეგ სსრ კავშირში შექმნილმა პოლიტიკურ-იდეოლოგიურმა კონიუნქტურამ მართლაც იქონია გავლენა ქართველ ისტორიკოსთა (ასევე ლინგვისტთა) მეცნიერულ კეთილსინდისიერებაზე და მათ შეასრულეს „რეჟიმის დაკვეთა“ პ. ინგოროყვას თვალსაზრისის კრიტიკისას, ვინ დაუშალა ქართულ ისტორიოგრაფიას, გამოეცხადებინა „ძველი“ აფხაზები ქართველურ ტომებად ადრე, ე.წ. სტალინი-ბერიას „პროქართული“ კონიუნქტურის პირობებში. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, განა ამას ყველაზე უკეთ აკად. სიმონ ჯანაშია, რომელსაც, მეცნიერულ კომპეტენციასთან ერთად, ხელისუფლების მხრიდან, როგორც ცნობილია, სოლიდური პოლიტიკური მხარდაჭერაც ჰქონდა და არც არავისზე ნაკლები პატრიოტი იყო (რად ღირს თუნდაც მისი „*Об одном примере искажения исторической правды*“, რომელშიც მან ჭეშმარიტად ილიასეული პასუხი გასცა საქართველოს ისტორიის გამყალბებლებს), არ გააკეთებდა?! არადა, სწორედ ს. ჯანაშიამ, 1946წ. გამოცემულ ნარკვევში გიორგი შარვაშიძის ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე, ნათლად აჩვენა, თუ რას ნიშნავდა შარვაშიძეთა საგვარეულოს და მათ თანამომძეთა ტომით „აფხაზობა“ და მათი სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური და კულტურული „ქართველობა“. სწორედ ს. ჯანაშიას ეს თვალსაზრისი განავითარა შემდგომ აკად. ნ. ბერძენიშვილმა, რომლის ნაშრომებში გაჩნდა „კულტურული ისტორიული ქართველის“ ცნება.

ყოველივე ამის შემდეგ, ჩვენს გაკვირვებას იწვევს ზოგიერთი კოლეგის მცდელობა (ეს შეიძინევა წარმოდგენილ სადისერტაციო ნაშრომშიც), რადაც არ უნდა დაუჯდეს, გამოაცხადოს ნ. ბერძენიშვილი პ. ინგოროყვას კონცეფციის მომხრედ. ერთხელ და სამუდამოდ უნდა ითქვას, რომ ნ. ბერძენიშვილი არსად და არასდროს არ ლაპარაკობდა ძველ აფხაზთა ეთნიკურ ქართველობაზე. ის ყველგან და ყოველთვის ხაზს უსვამდა მათ „კულტურულ-ისტორიულ“ ქართველობას. ამასთან, სრულიად ცხადია, რომ ნ. ბერძენიშვილს არ აეჭვებდა „ძველ“ და „ახალ“ აფხაზთა ეთნო-ტომობრივი იდენტურობა. ყველაზე მკაფიოდ ნ. ბერძენიშვილის თვალსაზრისი ამ საკითხთან დაკავშირებით ჩამოყალიბებულია მის შემდეგ განცხადებაში: „ერთ-ერთი ხელის შემწყობი პირობათაგანი იმისა, – წერდა ნ. ბერძენიშვილი. – რომ მთიელმა აფხაზებმა

(ე. ი. აფსუა-აფხაზებმა – ზ.პ.) შედარებით ადვილად შეითვისეს მათი დამხველური თანამოძმენი, იმაში მდგომარეობდა, რომ ადგილობრივი აფხაზური მოსახლეობა, ხალხის ფართო მასა ინარჩუნებდა თავის საკუთარ ენას. ამის პირდაპირი მოწმობაა XIII ს. ქართველი მწერლის მითითება („ლაშა“)“.¹

ყოველივე ამის აღნიშვნა მხოლოდ იმისთვის დაგვჭირდა, რომ არ შეიძლება ქართული ისტორიოგრაფიის „მამების“ და თანამედროვე ქართველ ისტორიკოსთა დიდი ნაწილის ნააზრევის ასე ერთი ხელის მოსმით „დრომოჭმულ“, „მეცნიერულად ყალბ“ და ეროვნულ-სახელმწიფოებრივი თვალსაზრისით მეტისმეტად სახიფათო შეხედულებად გამოცხადება. მით უფრო მაშინ, როდესაც არა ხარ მთლად დარწმუნებული იმაში, რომ თუნდაც „აფსილები“, „ჰიპოთეზურ დონეზე მაინც“, „არ აღძრავენ ერთგვარ ეჭვს მათი ადილეურ-ჩერქეზული წარმომავლობის შესახებ“. არაფერს ვამბობთ დისერტანტის მიერ მოტანილ ისეთ უსუსურ არგუმენტებზე, როგორცაა: ცნება „აფხაზეთის“ მეგრული „აფხა“-დან წარმომავლობის საკითხი ან კიდევ ხმამაღლა განცხადება იმის შესახებ, რომ თითქოს „პატარა აფხაზეთი ისევე არ შეიძლება იყოს ორი სხვადასხვა ხალხის დედა-სამშობლო, როგორც არ შეიძლება ერთ ადამიანს ერთდროულად ორი მშობელი დედა ჰყავდეს, ან ორი დედაენა ჰქონდეს“.

შორს არ წავალთ და, იმის დასადასტურებლად, რომ შედარებით პატარა ტერიტორიაზე შეიძლება ერთდროულად ცხოვრობდეს არაერთი ავტოქტონი ტომი, ჩვენი მეზობელი დაღესტნის მაგალითი გამოდგება. როგორც ცნობილია, ჩრდილოეთ კავკასიის ამ რეგიონში, რომელიც, მიუხედავად იმისა, რომ ტერიტორიულად აფხაზეთზე გაცილებით დიდი იყო, საბჭოურ ხანაში აფხაზეთივით ავტონომიურ რესპუბლიკას წარმოადგენდა, ერთდროულად ცხოვრობს არა ორი, არამედ, სულ ცოტა, 20-ზე მეტი აბორიგენი, ანუ კავკასიური წარმომავლობის ხალხი, რომელთაგან ძალიან ბევრს (უკანასკნელი დაუზუსტებელი მონაცემებით – 12-ს) უკვე საკუთარი დამწერლობა და ეროვნული ლიტერატურა გააჩნია.

არც ისაა სწორი, თითქოს „კაცობრიობის ისტორია ჯერ არ“ იცნობდეს „მაგალითს, რომ რომელიმე სახელმწიფოს ერთპიროვნული ლიდერის ტიტული უცხო ქვეყნის, ხალხის თუ ტომის სახელის აღნიშვნით იწყებოდეს“. საყოველთაოდ ცნობილი ფაქტია (ამას, სხვათა შორის, ძალიან ხშირად იხსენებდა ზ. ანჩაბაძე, სეპარატისტულად განწყო-

¹ ნ. ბერძენიშვილი. საქართველოს ისტორიის საკითხები. ტ. VIII. თბ., 1990, გვ. 616. ხაზგასმა ჩვენია – ზ.პ.

ბილ აფხაზ მოღვაწეებთან კამათისას), რომ ბულგარეთის სახელმწიფო, თავის დროზე, შექმნეს და თავიანთი სახელწოდებაც მისცეს ვოლგისპირეთიდან ბალკანეთის ნ-კ-ზე გადასულმა თურქული მოდემის ბულგართა ტომებმა. მაგრამ უკვე მესამე თაობაში ამ სახელმწიფოს წარმოშობით თურქი მეთაური თავის თავს სლავს უწოდებდა. ამას დავამატებდით ძველი რუსეთის მაგალითსაც. ცნობილია, და ამას ყველაზე თავგადაკლული ანტინორმანისტებიც კი ვერ უარყოფენ, რომ კიევის რუსეთის სლავური სახელმწიფო შექმნა არასლავურმა, მართლაც **უცხო**, გარედან მოსულმა ნორმანულ-სკანდინავიურმა დინასტიამ, რომელმაც, შესაძლებელია, მისცა კიდეც ახლადშექმნილ სახელმწიფოს „რუს“-ის სკანდინავიური სახელიც. დღეს განა ვინმე იტყვის, რომ რიურიკმა, ოლეგმა და მისმა მემკვიდრეებმა შექმნეს არა ძველი რუსულ-სლავური, არამედ ნორმანული სახელმწიფო.

მაგრამ ჩვენ ეს მაგალითები არ მოგვიყვანია იმის სამტკიცებლად, რომ დასავლეთ საქართველოში ე.წ. „აფხაზური“ დინასტიის ხელისუფლებაში მოსვლა ანალოგიური ხასიათის მოვლენად მივიჩნიოთ. პირიქით, ხაზგასმით გვინდა აღვნიშნოთ, რომ **ლეონ II და მისი წინაპრები, რომლებიც VIII ს. II ნახევრიდან დაწინაურდნენ საერთოქართულ** (ხაზს ვუსვამთ, **საერთოქართულ**, და არა მხოლოდ დასავლეთ საქართველოს მასშტაბით) **პოლიტიკურ ასპარეზზე, ზემონახსენები ბულგარებისა და ნორმანებისაგან განსხვავებით სულაც არ იყვნენ უცხო, გარედან მოსული ხალხი.** ისინი, მიუხედავად შესაძლო ეთნიკურ-ტომობრივი განსხვავებისა, ქართულ კულტურულ-პოლიტიკურ სამყაროში დიდი ხნის (თუ ძველი კოლხეთის ეპოქიდან არა, ეგრის-ლაზიკის პერიოდიდან მაინც) შემოსულები იყვნენ და მათ სამოღვაწეო ასპარეზს მხოლოდ ქართული (ჯერ დასავლურქართული – კოლხურ-ლაზური, ხოლო შემდეგ – საერთოქართული) სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური სივრცე წარმოადგენდა.

ამიტომაცაა, რომ შუა საუკუნეების ქართულ საისტორიო ტრადიციას არასოდეს გაუმახვილებია ყურადღება „აფხაზთა“ ეთნო-ტომობრივ „უცხოობაზე“. შუა საუკუნეების საქართველოსთვის აფხაზი, როგორც სავსებით სამართლიანად მიუთითებდა აკად. ნ. ბერძენიშვილი, კულტურულ-ისტორიულად ისეთივე ქართველი იყო, როგორც ქართლელი, კახელი, ეგრი, სვანი და ა.შ. სწორედ ამიტომაცაა, რომ აფხაზეთის – „ხოსროვანთა“ ქართლ-ეგრისის „ერთიანი სახელმწიფოს“ ნაწილის – ერისთავის ლეონ II-ის აღზევება მეფის რანგში და მისი ხელისუფლების გავრცელება „ხოსროვანთა“ დინასტიის კუთვნილ ეგრისზე მილიანად, ქართველ მემკვიდრეს მიაჩნია სრულიად კანონზომიერ აქტად.

ასე რომ, ყველა კოლეგას გვინდა მოუწოდოთ: მანამ, სანამ არ მოვიყვანთ ურყევ არგუმენტებს საკუთარი თვალსაზრისის შესამაგრებლად, ნუ გამოვაცხადებთ საქართველოს ინტერესების დასაცავად იმას, რომ თანამედროვე ქართველ ისტორიკოსთა საკმაოდ დიდი ნაწილი დღესაც არ იზიარებს პ. ინგოროყვას თვალსაზრისს და ერთგული რჩება აფხაზთა ეთნო-ტომობრივ წარმომავლობაზე ქართულ ისტორიოგრაფიაში ი. ჯავახიშვილის, ს. ჯანაშიასა და ნ. ბერძენიშვილის მიერ შემუშავებული კონცეფციისა. ამასთან, სავსებით ბუნებრივად მიგვაჩნია, რომ არსებობდეს განსხვავებული თვალსაზრისიც, მაგრამ, ვიმეორებთ, ეს არ უნდა გახდეს სხვადასხვა პოლიტიკური ბრალდებების წამოყენების საბაბი.

მაგრამ მოვუბრუნდეთ სადისერტაციო ნაშრომს, რომლის მესამე თავში – მისი სათაურია „დიდი ისტორიული მოვლენების წინ“ – გაშუქებულია „ქართლსა ზედა“ ბრძოლის თითქმის საუკუნენახევრიანი ისტორია. ცალკე პარაგრაფადაა გამოყოფილი ეგრის-აფხაზეთის სამეფოს საშინაო და საგარეო-პოლიტიკური მდგომარეობა IX–Xს. I ნახევარში, საგანგებოდაა განხილული იოანე მარუშის-ძის დასის პოლიტიკური პროგრამა.

ნაშრომის IV თავში, რომელსაც შთამბეჭდავი სათაური აქვს: „უფლისციხის 975 წლის მოვლენების „გამოცანა“ და პოლიტიკური შეფასების ცდა“, – ყურადღებაა გამახვილებული უფლისციხეში ბაგრატ უფლისწულის ქართლის მმართველად გამოცხადების დინასტიურ-ლეგიტიმურ ასპექტებზე. გ. გაბუნია სავსებით სწორად მიუთითებს, რომ უფლისციხეში ბაგრატი მეფედ არ გამოუცხადებიათ და რომ ის მხოლოდ „ცენტრალური ხელისუფლების (იგულისხმება ქუთაისის ტახტი – ზ.პ.) წარმომადგენლად, ე. ი. განმგებლად შიდა ქართლში“ აღიარეს. ეს კი, დისერტანტის სწორი დაკვირვებით, ნიშნავდა ბაგრატ ბაგრატიონის „ეგრის-აფხაზეთის სამეფოს „სახელმწიფოებრივ სივრცეში“ კანონიერი გზით“ შემოსვლას. თუმცა აქვე გ. გაბუნია ფაქტობრივად შეცდომას (ეჭვობა მექანიკურს) უშვებს და რატომღაც ბაგრატ უფლისწულს მაშინდელი „აფხაზეთის მეფის“ ძმისწულად აცხადებს.

სადისერტაციო ნაშრომის ამ ნაწილზე მსჯელობისას ჩვენ ვერ ავუვლით გვერდს დისერტანტის განცხადებას იმის შესახებ, რომ გუარანდუხტისთვის უფლისციხისა და ქართლის ჩაბარება, დავით კურაპალატისა და კახელების დაზავების შემდეგ, თითქოს იყო „აფხაზთა პარტიის“ გამარჯვება. ჩვენი ღრმა რწმენით, გუარანდუხტ დედოფალი არ განასახიერებდა ე.წ. „პროაფხაზურ ძალებს“. ამ ძალების ლიდერი სწორედ რომ იოანე მარუშის-ძე იყო, რომელიც სუსტი თეოდოსის ნაცვ-

ლად ბაგრატ ბაგრატიონის დასავლეთ საქართველოში გამეფებისათვის იჭერდა თადარიგს და ამ გზით ცდილობდა ქუთაისის ტახტის შესუსტებული გავლენის აღდგენას ქართლში. ქართლის დიდაზნაურები კი, რომელთა კრეატურაც გახდა გუარანდუხტ დედოფალი, პირიქით, ყოველნაირად ცდილობდნენ, თავი დაეღწიათ „აფხაზთა“ მეფის ქვეშევრდომობისაგან, მოეპოვებინათ თავისუფლება და უფლისციხეში დაესვათ „სუვერენი“ დინასტი. აქვე გვინდა შევნიშნოთ, რომ ჩვენი ეს თვალსაზრისი კარგა ხანია გაცხადებულია¹ და დასაწინაა, რომ ის ვერ მოხვდა დისერტანტის ყურადღების არეალში.

ჩვენთვის ასევე გაუგებარია, რატომ არაა „მთლად საცნაური... თუ რა ფაქტორებმა განაპირობეს“ დავით III დიდი კურაპალატის ერთგვარი ყოყმანი 978წ. ბაგრატ უფლისწულის ქუთაისში „აფხაზთა“ მეფის ტახტზე აყვანის წინ, რაზედაც ამახვილებს ყურადღებას დისერტანტი თავისი ნაშრომის V თავში. თავის დროზე ამ საკითხზე ჩვენ საგანგებოდ გავამახვილეთ ყურადღება და აღვნიშნეთ, რომ აქ რაიმე დაუძლეველ წინააღმდეგობასთან არ უნდა გვქონდეს საქმე². შეიძლება გ. გაბუნია არ იზიარებს ჩვენს დასკვნებს, თუმცა ეს მაინც არ ათავისუფლებს მას სათანადო კომენტარისაგან.

დისერტანტი სავსებით მართებულად ამახვილებს ყურადღებას 978წ. ქუთაისში ბაგრატ III-ის მეფედ კურთხევის ცერემონიაში ანისის მეფე სმბატ ბაგრატუნის მონაწილეობის ფაქტზე და მიიჩნევს ამას ბაგრატ III-ის ხელისუფლების საერთაშორისო აღიარების მაჩვენებლად. ამასთან, ჩვენ ვერ გავიზიარებთ ნაშრომში გატარებულ აზრს იმის შესახებ, რომ 978 თუ 979წ. ტაშირ-ძორაგეტის კვირიკიან-ბაგრატუნთა სამეფოს გაფორმება იყო ერთიანი ქართული სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართული შირაკელ ბაგრატუნთა (ე. ი. ანისის ტახტის) საპასუხო „მტრული აქცია“. ლორე-ტაშირის, ანუ ტაშირ-ძორაგეტის სამეფოს წარმოქმნა, პირველ რიგში და უმთავრესად, იყო ერთიანი სომხური სახელმწიფოებრიობის, რომელსაც ფორმალურად მაინც განასახიერებდა ანისის ტახტი, წინააღმდეგ მიმართული აქტი. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ანისის მეფეები IXს. მიწურულიდან აქტიურად ერეოდნენ შიდაქართულ საქმეებში და პრეტენზიას აცხადებდნენ „ქართლის მემკვიდრეობაზე“, ამ სახელმწიფოს დაქუცმაცებისკენ გადადგმული ნაბიჯი არ შეიძლება ჩაითვალოს ბაგრატ III-ის სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართულ „მტრულ აქციად“.

სადისერტაციო ნაშრომის ამ ნაწილში განხილულია ტაო-კლარ-

¹ ზ. პაპასქირი. ერთიანი ქართული..., გვ. 67-71.

² ზ. პაპასქირი. ერთიანი ქართული..., გვ. 20-26.

ჯეთის – „ქართველთა“ სამეფოს ურთიერთობები ბიზანტიასთან და სომხურ სამყაროსთან. აქვე დისერტანტი საგანგებოდ ჩერდება დავით კურაპალატის გამაერთიანებელ მოღვაწეობაზე. ის სავესებით სამართლიანად მიიჩნევს დავით კურაპალატს თავისი ეპოქის უდიდეს პოლიტიკურ მოღვაწედ, ჭეშმარიტ მართლმადიდებელ-ქრისტიანად და გულმხურვალე ქართველ მამულიშვილად, მაგრამ აქვე ხაზს უსვამს, რომ არაა მომხრე მისი მოღვაწეობის არც დაკნინებისა და არც გაზვიადებისა. დასაბამია, რომ გ. გაბუნია ასეთი ზოგადი განცხადებით იფარგლება და რატომღაც თავს იკავებს დავით კურაპალატის „როლისა და მნიშვნელობის თაობაზე ქართულ ისტორიოგრაფიაში“ ამ უკანასკნელ ხანს მიმდინარე პოლემიკაში „უფრო ვრცლად“ მონაწილეობისაგან. არადა, მის მიერ არჩეული საკვლევი პრობლემიდან გამომდინარე, უპრიანი იქნებოდა, სწორედ ამ საკითხზე გამახვილებულიყო ყურადღება.

სადისერტაციო ნაშრომის ამ ნაწილში ასევე საგანგებო მსჯელობაა 988-989წწ. პოლიტიკურ კრიზისზე, რომელიც მოჰყვა ბაგრატ III-ის გალაშქრებას კლდეკარის ერისთავის რატი ბაღვაშის წინააღმდეგ. გ. გაბუნია ფაქტობრივად იზიარებს ა. აბდალაძის აზრს და თვლის, რომ ბაგრატ III-ის ამ ლაშქრობის რეალური მიზანი იყო დავით კურაპალატის სამფლობელოების დაკავება და რომ ამით ის ცდილობდა, არ დაეშვა ბიზანტიის მიერ იმიერ-ტაოს დაუფლება, რატი ბაღვაშის ფაქტორს კი სამეფო კარის მესვეურთა მიერ მოგონილ პოლიტიკურ ხრიკად მიიჩნევს.

მიუხედავად იმისა, რომ გ. გაბუნიას ამ დაკვირვებებში უდავოდ არის ლოგიკა, ჩვენ მაინც მიგვაჩნია, რომ კონფლიქტი ბაგრატ III-სა და მის მამობილს შორის ინსპირირებული იყო რატი ბაღვაშის მიერ. ჩვენ ვერ დავეთანხმებით აზრს იმის შესახებ, რომ 989წ. დავით კურაპალატმა უარყო 975წ. უფლისციხეში მიცემული დაპირება და უარი თქვა ბაგრატზე, როგორც თავის მემკვიდრეზე. ასევე ვერ გავიზიარებთ დასკვნას, რომ X ს. 90-იან წლებში დავით კურაპალატის მიერ მაჰმადიანური საამიროების წინააღმდეგ წარმოებულ ძლევამოსილ სამხედრო კამპანიას თითქოს ქართველთა სასარგებლოდ არსებითად არაფრის შეცვლა არ შეეძლო და „ისტორიული სომხეთის ტერიტორიების „განთავისუფლება“... უფრო ბიზანტიის სახელმწიფოებრივ ინტერესებს ემსახურებოდა“. უნდა აღინიშნოს, რომ ქართულ ისტორიოგრაფიაში¹ საკ-

¹ იხ.: **შ. ბადრიძე**. საქართველოს ურთიერთობები ბიზანტიასთან და დასავლეთ ევროპასთან. თბ., 1984, გვ. 68-69; **მ. ლორთქიფანიძე**. ახალი ფეოდალური, გვ. 484; **М. Д. Лордкипанидзе**. Из истории грузино-византийских взаимоотношений на грани X-XI вв. – კრ.: საქართველოს ფეოდალური ხანის ის-

მაოდ დამაჯერებლად არის ნაჩვენები, რომ ეს მთლად ასე არ იყო და რომ Xს. 90-იანი წლების სამხედრო-პოლიტიკური აქციები, პირველ რიგში, სწორედ საქართველოს ეროვნულ-სახელმწიფოებრივ ინტერესებს ემსახურებოდა. ასე რომ, ვიდრე ასეთ დასკვნას გააკეთებდა, დისერტანტი ვალდებული იყო, მოეცა საწინააღმდეგო მოსაზრების კრიტიკული ანალიზი.

გ. გაბუნია ძირითადად სწორად აანალიზებს 1001წ. დავით კურაპალატის სიკვდილის შემდეგ საქართველოში შექმნილ პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივ კონიუნქტურას და მართებულად მიიჩნევს, რომ ბიზანტიის იმპერიამ ამ დროს ბაგრატ III სცნო სრულიად საქართველოს პოლიტიკურ ლიდერად და რომ ეს იყო „ერთიანი ქართული სახელმწიფოს... დაბადების“ ოფიციალურად ცნობის აქტი. ამასთან, ის აღნიშნავს, რომ „იმპერიას თავის მზაკვრულ გეგმებზე ხელი არ აუღია“. დისერტანტის ეს დასკვნა ზოგადად, რასაკვირველია, მისაღებია, მაგრამ, როგორც იტყვიან, არა უკომენტაროდ. საქმე იმაშია, რომ ბიზანტიის იმპერიას ამ ეტაპზე – 1001 წლიდან 1014 წლამდე ბაგრატ III-ის გარდაცვალებამდე არ გადაუდგამს რაიმე სერიოზული ნაბიჯი ერთიანებული საქართველოს პირველი მეფის წინააღმდეგ. ეს კი გამოწვეული იყო იმით, რომ ბაგრატ III-მ კურაპალატის ტიტულის მიღებით ოფიციალურად სცნო კონსტანტინოპოლის უზენაესობა და ამით უზრუნველყო ბიზანტიის ნეიტრალიტეტი საქართველოს შიგნით მიმდინარე პროცესებისადმი. იმპერიის ხელისუფლება „მზაკვრულ პოლიტიკაზე“ გადავიდა მოგვიანებით და ეს იყო საპასუხო რეაქცია გიორგი I-ისა და მისი მემკვიდრის ბაგრატ IV-ის მიერ გატარებულ მკვეთრ ანტიბიზანტიურ კურსზე.

სადისერტაციო ნაშრომის ამ ნაწილში ყურადღებაა გამახვილებული გამაერთიანებელ მოძრაობაში ჰეგემონობის საკითხზე და სავსებით მართებულად არის აღნიშნული ქუთაისის ტახტის გადამწყვეტი როლი. ამასთან, დისერტანტი უყურადღებოდ არ ტოვებს „ქართველთა“ სამეფოს პოლიტიკური ძალების როლსა და ღვაწლსაც, აგრეთვე ხაზს უსვამს მცხეთის საკათალიკოსო ტახტის დიდ თანადგომასა და ძალისხმევას. ეს უდავოდ სწორი მიდგომაა და მით უფრო იმ ფონზე, როდესაც ამ რამდენიმე ხნის წინ იყო სერიოზული მცდელობა (გ. მელიქიშვილი) ტაო-კლარჯეთისა და მისი ლიდერების, პირველ რიგში კი, დავით კურაპალატის როლის დაკნინება-დამცრობისა ერთიანი ქართული სახელმწიფოს შექმნის საქმეში.

ტორიის საკითხები, II. თბ., 1972, გვ. 40; **ზ. პაპასქირი**. ერთიანი ქართული ფეოდალური სახელმწიფოს., გვ. 49-57.

მაგრამ აქვე არ შეიძლება არ შევნიშნოთ, რომ, სიტუაციიდან გამომდინარე, ყველა კუთხეს არ შეუტანია თანაბარი წვლილი ქუთაისის ტახტის გარშემო ქვეყნის გაერთიანების პროცესში. პირიქით, ამას ყოველნაირად უშლიდნენ ხელს კახეთის საქორეპისკოპოსოს მესვეურები, რომლებიც შიდა ქართლის აზნაურებთან ერთად დიდ წინააღმდეგობას უწევდნენ იოანე მარუშის-ძისა და დავით კურაპალატის გეგმის რეალიზაციას. ამდენად, იმის განცხადება, რომ მოცემულ ეტაპზე კახეთმა და ჰერეთმა რაიმე პოზიტიური წვლილი შეიტანა 975წ. დაწყებულ პროცესში, ჩვენი აზრით, გაუმართლებელია. იგივე ითქმის თბილისზე, რომელიც ამ დროს, ცნობილი მიზეზების გამო, ფაქტობრივად გამოთიშული იყო გამაერთიანებელი მოძრაობიდან.

აქვე ჩვენ კატეგორიულად ვერ დავეთანხმებით დისერტანტის მტკიცებას იმის შესახებ, თითქოს „მატიანე ქართლისაჲში“ გატარებულმა ე.წ. „ქართლოცენტრისტულმა ტენდენციებმა“ ხელი შეუშალეს „მშობლიური ისტორიის არაერთი პირველხარისხოვანი პრობლემის“, მათ შორის „X-XI საუკუნეების მიჯნაზე ერთიანი სახელმწიფოს აღდგენის“ მეცნიერულ კვლევა-ძიებას. „მატიანე ქართლისაჲს“, ისევე როგორც „ქართლის ცხოვრების“ სხვა ქრონიკებს, უდავოდ აქვთ „ქართლოცენტრისტული გადახრა“, მაგრამ, ჯერ ერთი, ეს ძირითადად ობიექტური მიზეზებითაა განპირობებული და მეორეც, ამით ნაკლებად იზარალა VIII ს. შემდგომმა ისტორიამ. ყოველ შემთხვევაში, თამამად შეიძლება ითქვას, რომ ამ თვალსაზრისით „მატიანე ქართლისაჲს“ თხზულებას ნამდვილად არ შეუქმნია რაიმე სერიოზული სიძნელეები ერთიანი ქართული სახელმწიფოს შექმნის „საიდუმლოებათა“ არსში ჩაწვდომის საქმეში. თავისი პირუთვნელობითა და ობიექტურობით გამორჩეულ „მატიანე ქართლისაჲს“ ავტორს ოდნავადაც არ დაუკნინებია დასავლეთ საქართველოს პოლიტიკური ძალებისა და ქუთაისის ტახტის ჰეგემონური როლი ქვეყნის გაერთიანებისა და ერთიანი ქართული სახელმწიფოს წარმოქმნის ხანგრძლივ პროცესში.

სადისერტაციო ნაშრომის VI თავში – „გაერთიანებული საქართველოს სახელმწიფოს ტერიტორიული ზრდა. ბრძოლა ცენტრალური ხელისუფლებისა და ეროვნული სუვერენიტეტის განმტკიცებისათვის“ – თანმიმდევრულადაა გაშუქებული 1001 წლის შემდგომი პოლიტიკური მოვლენები: ჰერეთისა და კახეთის შემოერთება, ქუთაისის ტახტის კონტროლის დამყარება კლარჯეთის ბაგრატიონთა სამფლობელოზე და ა.შ. ცალკე პარაგრაფი ეძღვნება განძა-არანზე ბაგრატ III-ის გალაშქრებასა და საქართველოს სახელმწიფოს გაზრდილი საგარეოპოლიტიკური პოტენციალის ჩვენებას. უაღრესად საყურადღებოა დისერტანტის მსჯე-

ლობა ბაგრატ III-ის ბედიაში დასაფლავების ირგვლივ, კერძოდ, დასკვნა იმის შესახებ, რომ გაერთიანებული საქართველოს პირველი მეფის სამუდამო განსასვენებლად ბედიის შერჩევა ძირითადად განპირობებული იყო „ლეონიდების“ დინასტიის წარმომავლობით საბედიანოდან.

ამ თვალსაზრისში უდავოდ არის გარკვეული ლოგიკა, თუმცა, ჩვენი აზრით, ბედიის წინ წამოწევა მაინც სხვა ფაქტორებმა განაპირობეს. როგორც ცნობილია, შუა საუკუნეების ქართული საისტორიო ტრადიციის თანახმად, სწორედ ბედიაა მიჩნეული ეგროსის წილხვედრი ქვეყნის პოლიტიკურ ცენტრად. ამდენად, ბაგრატ III-ის ეს არჩევანი მოწმობს იმას, რომ მიუხედავად „აფხაზთა“ მეფეთა გადამწყვეტი როლისა ერთიანი დასავლურ-ქართული სახელმწიფოს შექმნაში, მაშინდელი საქართველოს ისტორიულ-სახელმწიფოებრივ ცნობიერებაში ეგროს-ქუჯის წვლილი უფრო დიდი მნიშვნელობისა იყო და სწორედ ისინი მოიაზრებოდნენ დასავლურ-ქართული პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივი სამყაროს ფუძემდებლად, ხოლო „აფხაზ“ მეფეთა „აფხაზთა“ სამეფო სწორედ ამ სამყაროს მემკვიდრის როლში განიხილებოდა.¹

სადისერტაციო ნაშრომის დასკვნითი VII თავი ეძღვნება Xს. მიწურულისა და XIIს. დამდეგის საქართველოს კულტურული მიღწევების მიმოხილვას. მასში საგანგებოდაა გამახვილებული ყურადღება ქუთაისზე, როგორც ეროვნული კულტურის უმნიშვნელოვანეს ცენტრზე.

განმაზოგადებელ დასკვნებში მოკლედაა შეჯამებული დისერტანტის მიერ ჩატარებული კვლევის შედეგები.

ასეთია, ზოგადად, გ. გაბუნიას მიერ წარმოდგენილი სადისერტაციო ნაშრომის შინაარსი. როგორც ვხედავთ, შესრულებულია საკმაოდ დიდი მოცულობის სამუშაო. ავტორი შეეცადა კომპლექსურად განეხილა და ერთიანად გაეაზრებინა IX-XIIს. დამდეგს საქართველოში მიმდინარე პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული პროცესები, რომლებმაც განაპირობეს გამაერთიანებელი მოძრაობის წარმატებით დაგვირგვინება და ქუთაისის ტახტის ირგვლივ ერთიანი ქართული სახელმწიფოს წარმოქმნა. სწორედ ესაა სარეცენზიო ნაშრომის მთავარი სიახლე. ამასთან, სადისერტაციო ნაშრომი გარკვეულწილად წარმოადგენს მოცემული პრობლემის ირგვლივ XXს. 60-90-იან წლებში ქართულ ისტორიოგრაფიაში ჩატარებული კვლევის ერთგვარ შეჯამებას. მასში აგრეთვე დასახულია საკვლევ პრობლემასთან დაკავშირებული

¹ ამის შესახებ დაწვრ. იხ.: **ზ. პაპასქორი**. ბედიის ტაძარი – ერთიანი ქართული სახელმწიფოებრიობის სიმბოლო. – „საისტორიო ძიებანი“, III. თბ., 2000, გვ. 6-7. იხ. ელექტრ. ვერსია: <http://saistoriodziebani.googlepages.com/dziebani2000>.

არაერთი საკითხის შემდგომი შესწავლა-დამუშავებისა და დაზუსტების ამოცანა. რაც მთავარია, ესაა მაღალ აკადემიურ დონეზე შესრულებული გამოკვლევა, რომელშიც, ფაქტობრივად პირველად ჩვენს ისტორიოგრაფიაში, მონოგრაფიულადაა გაშუქებული საქართველოს ისტორიის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პერიოდი – Xს. უკანასკნელი მეოთხედი – XIს. დამდეგი – ეპოქა, რომელმაც შვა ერთიანი ქართული სახელმწიფო. მართალია, მთელი რიგი საკითხების დისერტანტისეული ანალიზი, შეიძლება იყოს სადავო (რაზედაც გავამახვილეთ კიდეც ყურადღება წარმოადგენილ რეცენზიაში), მაგრამ, ძირითადად, გ. გაბუნias მსჯელობა დამაჯერებელი და არგუმენტირებულია, დასკვნები კი – მისაღები. ვფიქრობთ, გ. გაბუნias საკვალიფიკაციო ნაშრომი, მიუხედავად მასში არსებული ცალკეული ხარვეზებისა, მთლიანობაში საქართველოს მრავალსაუკუნოვანი ისტორიის ამ ურთულესი და, ამასთან, კარდინალური პრობლემის შემდგომი მეცნიერული დამუშავების საქმეში გარკვეული წინგადადგმული ნაბიჯია.

საინტერესო ნაშრომი „აფხაზთა“ სამეფოს ისტორიაზე*

რეცენზია შალვა გლოველის მიერ ისტორიის მეცნიერებათა
კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად
წარმოდგენილ ნაშრომზე „აფხაზთა სამეფო“
სპეციალობა 07.00.01 – საქართველოს ისტორია. 2004.

„აფხაზთა“ სამეფოდ წოდებული დასავლურ-ქართული სახელმწიფოს წარმოქმნა-განვითარება, მისი ეთნო-კულტურული და პოლიტიკური ისტორიის საკითხები დიდი ხანია იქცევის მკვლევართა საგანგებო ყურადღებას. მართალია, ისტორიკოსთა არაერთი თაობის ნაყოფიერი მეცნიერული კვლევის შედეგად ქართულ ისტორიოგრაფიაში შექმნილია სრულიად ნათელი, ობიექტური, მეცნიერულად ყოველმხრივ არგუმენტირებული შეხედულება „აფხაზთა“ სამეფოს ეთნოკულტურულ და პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივ იერ-სახეზე, ნაჩვენებია მისი როლი და ადგილი საერთო-ქართულ პოლიტიკურ სამყაროში, მაგრამ ინტერესი აღნიშნული პრობლემის შემდგომი გაღრმავებული შესწავლისადმი ჯერ კიდევ დიდია, უკანასკნელ პერიოდში კი, შეიძლება ითქვას, ერთი-ორად გაიზარდა. ეს, პირველ რიგში, განაპირობა არა იმდენად მეცნიერულმა აუცილებლობამ, რამდენადაც პოლიტიკურმა ფაქტორებმა. კერძოდ, აფხაზური სეპარატისტული ე.წ. „ისტორიოგრაფიის“ მხრიდან „აფხაზთა“ სამეფოს თემით გაუთავებელმა სპეკულირებამ.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ სეპარატისტულად განწყობილი აფხაზი ისტორიკოს-პოლიტიკოსები ყოველნაირად ცდილობენ თავს მოახვიონ საზოგადოებას ფალსიფიკატორული თეზისი იმის შესახებ, რომ „აფხაზთა“ სამეფო იყო არა ქართული პოლიტიკური გაერთიანება, არამედ აფხაზური ნაციონალური სახელმწიფო, რომლის სამართალმემკვიდრეს თითქოს წარმოადგენს ამჟამინდელი აფხაზეთის თვითაღიარებული რესპუბლიკა. აფხაზური სეპარატისტული „ისტორიოგრაფიის“ ეს მტკიცება ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს. ის იმდენად საფუძველს მოკლებული და არასერიოზულია, რომ, ერთი შეხედვით, არც არის ღირსი აკადემიური პასუხისა. მაგრამ არც ის იქნებოდა გამართლებული, რომ საქართველოს მტრების ეს აღვირაზნინილი „ისტორიოგრაფიული“ თა-

* დაიბეჭდა ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის საქართველოს საისტორიო საზოგადოების აფხაზეთის ორგანიზაციის პერიოდულ სამეცნიერო გამოცემაში: „საისტორიო ძიებანი“ ტ. VII თბ., 2004, გვ. 313-326. ის ელექტრონული ვერსია: <http://saistoriodziebani.googlepages.com/dziebani2004>.

რეში მთლად უპასუხოდ დაგვეტოვებინა. გარდა ამისა, გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ თავისთავად არც ისტორიული მეცნიერებაა ერთ ადგილზე გაჩერებული და ნებისმიერი პრობლემა, მათ შორის თვით ყველაზე ამომწურავად დამუშავებულიც კი, შედგომ შესწავლას საჭიროებს. ასეთ პრობლემათა რიცხვს მიეკუთვნება „აფხაზთა“ სამეფოს ისტორიაც, რომელსაც ეძღვნება შალვა გლოველის სადისერტაციო ნაშრომი.

შ. გლოველის მიერ შესრულებული სამუშაო, მისივე სამართლიანი შენიშვნით, წარმოადგენს „აფხაზთა“ სამეფოს ისტორიის მონოგრაფიულ გამოკვლევას. ამასთან, იმთავითვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ეს ნამდვილად არ არის ამ პოლიტიკური ერთეულის მონოგრაფიული შესწავლის პირველი ცდა. ამგვარი სამუშაო კარგა ხანია ჩატარებულია. თავდაპირველად, პროფ. ზურაბ ანჩაბაძემ თავის ფუნდამენტურ გამოკვლევაში შუა საუკუნეების აფხაზეთის ისტორიულ წარსულზე სპეციალური თავი მიუძღვნა „აფხაზთა“ სამეფოს ისტორიას,¹ ხოლო შედგომ აკად. მარიამ ლორთქიფანიძემ სადოქტორო დისერტაციაში ასევე ცალკე თავად გამოყო „აფხაზთა“ სამეფო.² ეს ორი ნაშრომი, ჩვენი აზრით, შეიძლება ჩაითვალოს „აფხაზთა სამეფოს“ ისტორიის ყოველმხრივი, მონოგრაფიული შესწავლის პირველ ცდად. მათში დასმული და სათანადო მეცნიერული კომპეტენტურობითაა განხილული „აფხაზთა“ სამეფოს ისტორიის ყველა საკვანძო საკითხი. გარდა ამისა, „აფხაზთა“ სამეფოს ისტორიის ცალკეული საკითხები საფუძვლიანადაა დამუშავებული სხვა ქართველ მკვლევართა შრომებშიც.³

ყოველივე ეს, ბუნებრივია, რამდენადმე ართულებდა ახალგაზრდა მკვლევრის მუშაობას, თუმცა, თამამად შეიძლება ითქვას, რომ მან წარმატებით გაართვა თავი ამ სირთულეს და შეძლო ორიგინალური ნაშრომის შექმნა „აფხაზთა“ სამეფოზე.

წარმოდგენილი სადისერტაციო ნაშრომი შედგება შესავლის, 5 თავისა და

¹ **З. В. Анчабадзе.** Из истории средневековой Абхазии. Сухуми, 1959, გვ. 95-159.

² **მ. ლორთქიფანიძე.** ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური გაერთიანება. თბ., 1963, გვ. 176-200; მ. ლორთქიფანიძის ეს ნაშრომი, როგორც ცნობილია, გადაამუშავებული სახით შესულია „*საქართველოს ისტორიის ნარკვევების*“ II ტომის ქართულ (**მ. ლორთქიფანიძე.** ახალი ფეოდალური სამთავროების წარმოქმნა. – *საქართველოს ისტორიის ნარკვევები*, ტ. II. თბ., 1973, გვ. 416-445) და რუსულ (**М. Д. Лордкипанидзе.** Возникновение новых феодальных государств. – *წგნ.: Очерки истории Грузии*, т. II. Тб., 1988, გვ. 280-306) გამოცემებში.

³ **ზ. პაპასქირი.** ნარკვევები თანამედროვე აფხაზეთის ისტორიული წარსულიდან. ნაკ. I. *უძველესი დროიდან 1917 წლამდე.* თბ., 2004, გვ. 37-55. იქვე შესაბამისი ლიტერატურა.

ვისა (ამთვან მე-5 თავი დაყოფილია 5 პარაგრაფად) და დასკვნისაგან. ნაშრომს დართული აქვს დამოწმებული საისტორიო წყაროებისა და სპეციალური სამეცნიერო ლიტერატურის საკმაოდ ვრცელი სია (სულ 337 დასახელების), რომელშიც შესულია გამოცემები ქართულ, რუსულ, გერმანულ და ფრანგულ ენებზე.

შესავალში მოცემულია საკვლევი თემის აქტუალობის დასაბუთება. აქვე მოკლედაა მიმოხილული პრობლემის ირგვლივ არსებული ისტორიოგრაფიული მეტაკვიდროება. ნაშრომის **პირველ თავში** გადმოცემულია „აფხაზთა“ სამეფოს წარმოქმნის ისტორია. დისერტანტი სწორად აღნიშნავს, რომ ქართულ ისტორიოგრაფიაში აღნიშნული პოლიტიკური ერთეულის სახელწოდებასთან დაკავშირებით არაერთგვაროვანი მიდგომაა და „ეგრის-აფხაზეთის სამეფოსა“¹ და „ლიხსიქეთის სამეფოსთან“² შედარებით სავსებით მართებულად უპირატესობას ანიჭებს სახელწოდებას – „აფხაზთა სამეფო“. ერთია მხოლოდ, ჩვენ ვთვლით, რომ მოცემულ სახელწოდებაში წინწკლებში უნდა მოვაქციოთ არა გამოთქმა – „აფხაზთა სამეფო“ მთლიანად, როგორც ეს თითქმის საყოველთაოდ მიღებული ისტორიოგრაფიაში, არამედ მხოლოდ სიტყვა „აფხაზთა“. „აფხაზთა“ სამეფოს მთლიანად წინწკლებში მოქცევით ჩვენ ერთგვარად, ეჭვის ქვეშ ვაყენებთ თვით სამეფოს არსებობის რეალურობას. არადა, ამ შემთხვევაში სწორედ სიტყვა „აფხაზთა“ არ შეესაბამება თავის რეალურ შინაარსს და საჭიროებს დამატებით განმარტებას, რის გამოც აუცილებელია მისი წინწკლებში ჩასმა. რაც შეეხება სიტყვა „სამეფოს“ ან „მეფეს“ (გამოთქმა „აფხაზთა“ მეფე-ში), აქ ყველაფერი გარკვეულია – „აფხაზთა“ სამეფო ნამდვილად იყო სამეფო, რომელსაც მართავდა მეფის ტიტულის მატარებელი სუვერენული ხელმწიფე.

ნაშრომის ამ თავში დისერტანტი საკმაოდ დაწვრილებით მიმოიხილავს დასავლეთ საქართველოში VIII ს. 30-იან წლებში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებს. ის სწორად აღნიშნავს, რომ მირისა და არჩილის მოღვაწეობა იყო დასაწყისი „ქართული სახელმწიფოს ახალი ფორმით“ აღდგენისა. ასევე მართებულა დასკვნა აფხაზეთის ერისთავის – ლეონ I-ის არჩილთან ვასალურ ურთიერთობაში შესვლის შესახებაც, მაგრამ ვერ გავიზიარებთ დისერტანტის დასკვნას თითქოს ეს ყოფილიყოს უბრალოდ „ეგრის-აფხაზეთის გაერთიანება“, რომელიც მოგვიანებით დაედო დასავლეთ საქართველოში ახალი ქართული სახელმწიფოს (იგულისხმება „აფხაზთა“ სამეფო) შექმნას. აქ ჩვენ საქმე გვაქვს

¹ მ. ლორთქიფანიძე. ახალი ფეოდალური სამთავროების., გვ. 341.

² ა. აბდლაძე. ამიერკავკასიის პოლიტიკურ ერთეულთა ურთიერთობა IX-XI საუკუნეებში. თბ., 1988, გვ. 41.

უფრო დიდ მოვლენასთან – ბიზანტიის ხელდებული მხარის – აფხაზეთის ინტეგრირებასთან საერთო-ქართულ (ანუ ქართლ-ეგრისის) პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივ სივრცეში.

საინტერესოა დისერტანტის დაკვირვებები „აფხაზთა“ სამეფოს შექმნის დროის შესახებ. ის მხარს უჭერს ლეონ II-ის გამეფების ვახუშტისეულ დათარიღებას (786წ.)¹ და „აფხაზთა“ სამეფოს შექმნას ისტორიოგრაფიაში მიღებული VIII ს. მიწურულის ნაცვლად² VIII ს. 80-იანი წლებით ათარიღებს. სავსებით სწორია შ. გლოველის ხაზგასმა იმაზე, რომ „აფხაზეთის ერისთავის“ ეგიდით „ეგრის-აფხაზეთის გაერთიანება გამოწვეული იყო საერთო ინტერესებით“ და რომ გაერთიანებისას ეგრის-აფხაზეთს შორის რაიმე სერიოზულ დაპირისპირებას არ შეიძლება ადგილი ჰქონოდა. მკვლევარი ასევე მართებულად მიიჩნევს „დიდ შეცდომად“ იმის მტკიცებას, თითქოს ლეონ II-ს ხაზარები ეგრისის დასაპყრობად გამოეყენებინოს. ასევე სწორია დისერტანტის განმარტება, რომ ქართველი მემატიანე „დაპყრობაში“ გულისხმობს ხელისუფლების აღებას „დაუფლებას“ უკვე გაერთიანებულ ეგრის-აფხაზეთში და არა აფხაზეთის მიერ ეგრისის დაპყრობას, როგორც ეს სურს წარმოაჩინოს ზოგიერთ აფხაზ ისტორიკოსს.³

რაც შეეხება დისერტანტის მტკიცებას, თითქოს უკვე ეგრის-აფხაზეთის გაერთიანება აფხაზეთის მთავრის ხელისუფლების ქვეშ (VIII ს. 80-იანი წლების დამდგენისათვის), იყო ანტიბიზანტიური აქტი და ის არ შეიძლებოდა მომხდარიყო იმპერიის სანქციით, ეს, ჩვენი აზრით, მეტ არგუმენტაციას მოითხოვს. ამ შემთხვევაში, არ მიგვაჩნია მთლად გამართლებულად აქცენტის გაკეთება ბიზანტიის საშინაო-პოლიტიკურ ცხოვრებაში განვითარებულ კრიზისულ მოვლენებზე (ხატმებრძოლეობა), რითაც თითქოს ისარგებლა აფხაზეთის ერისთავმა და კონსტანტინოპოლის სურვილის საწინააღმდეგოდ გააერთიანა ეგრის-აფხაზეთი თავისი ხელისუფლების ქვეშ. ჩვენი აზრით, ამ მოვლენის შეფასებისას, პირველ რიგში, გათვალისწინებული უნდა იქნეს არა ბიზანტიის იმპერიის შიგნით მიმდინარე მოვლენები, არამედ ვითარება საერთაშორისო არენაზე, კერძოდ კი ბიზანტია-არაბების დაპირისპირების ხასიათი და ქართული პოლიტიკური სამყაროს ადგილი ამ დაპირისპირებაში. თუ ამ რეალობიდან

¹ ბატონიშვილი ვახუშტი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა. – ქართლის ცხოვრება, ტ. IV. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. თბ., 1973, გვ. 127, 795-796.

² С. Н. Джанашия. О времени и условиях возникновения Абхазского царства. – წგნ.: ს. ჯანაშია. შრომები. II. თბ., 1952, გვ. 339.

³ М. М. Гунба. Абхазия в I тысячелетии. Социально-экономические и политические отношения. Сухуми, 1989, გვ. 243.

გამოვალთ, სრულიად ცხადი ხდება, რომ VIII ს. 60-იანი წლებიდან მაინც, არა თუ არჩილის „სამეფო“ სახლი, რომლის წევრიც გახდა VIII ს. 30-იან წლებში „ერისთავი კეისრისა“ ლეონ, არამედ, როგორც ჩანს, თვით არაბების მიერ აღზევებული ადარნასე ბაგრატიონის ხელისუფლება განუდგა სახალიფოს და პრობიზანტიურ ორიენტაციას დაადგა (ამ თვალსაზრისით ნიშანდობლივია ადარნასე ბაგრატიონის კურაპალატის ტიტულით მოხსენიება).

როგორც ცნობილია, ამ მხრივ კიდევ უფრო შორს წავიდა ნერსე ერისთავი, რომელსაც გამოკვეთილი ანტიარაბული პოლიტიკის გამო ხალიფამ საერთოდ ჩამოართვა ერისმთავრის ტახტი. ასეთ მკვეთრად გამოხატული ანტიარაბული კონიუნქტურის პირობებში ძნელი წარმოსადგენია, ვივარაუდოთ რაიმე კონფორტაცია ბიზანტიასა და ქართულ პოლიტიკურ სამყაროს შორის (ამას ფაქტობრივად გამორიცხავს იოვანე საბანისძის თხზულების საერთო სულისკვეთება). აფხაზეთის ერისთავის მთელი დასავლეთ საქართველოს მასშტაბით გაბატონება კი, ჩვენი აზრით, მოხდა იოვანე არჩილის-ძის (რომელიც ეგრისის მმართველად ითვლებოდა) გარდაცვალების შემდეგ და ეს მთლიანად სტეფანოზ-არჩილის „სამეფო“ სახლის შიდა დინასტიური მოვლენა იყო. ერთი სიტყვით, ჩვენ იმის თქმა გვინდა, რომ არაა აუცილებელი ეგრის-აფხაზეთის აფხაზეთის მთავრის ხელისუფლების ქვეშ მოქცევა, რომელიც VIII ს. 80-იანი წლების დამდეგისათვის ნამდვილად მომხდარი ფაქტია, განვიხილოთ ანტიბიზანტიურ აქტად. სხვა საქმეა ამ გაერთიანებული ქვეყნის მეთაურის ლეონ II-ის განდგომა იმპერიისაგან და მის მიერ სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტის ატრიბუტის – მეფის ტიტულის მიღება, რომელიც, მართლაც ერთნიშნად, ურტყამდა კონსტანტინოპოლის ინტერესებს.

სადისერტაციო ნაშრომის მე-2 თავი ეძღვნება „აფხაზთა“ სამეფოს საზღვრებსა და ტერიტორიულ დაყოფას. მასში განსაკუთრებული ყურადღებაა გამახვილებული „აფხაზთა“ სამეფოს სამხრეთ საზღვარზე და ამასთან დაკავშირებით საგანგებოდაა გაანალიზებული „აბო ტფილელის მარტვილობის“ და სხვა წყაროთა მონაცემები ტრაპეზუნტის მხარის „აფხაზთა“ სამეფოსადმი დამოკიდებულების შესახებ. ავტორი, ჩვენი აზრით, საკმაო დამაჯერებლობით ასაბუთებს იმას, რომ „აბო ტფილელის მარტვილობის“ შესაბამისი ცნობა გულისხმობს ტრაპეზუნტისა და მისი შემოგარენის მოქცევას „აფხაზთა“ სამეფოს ფარგლებში.

ამავე თავში, ხაზგასმულია, რომ შიდა ქართლზე „აფხაზთა“ სამეფოს კონტროლის დამყარების შემდეგ „ქართლის ერისთავად“ დაინიშნა ტახტის მემკვიდრე კონსტანტინე, რაც დისერტანტის მართებული შენიშვნით ამ რეგიონის განსაკუთრებულ მნიშვნელობაზე მიუთითებს. ეს

ნამდვილად ასეა, მაგრამ შიდა ქართლის მართვის სადავეების უფლისწულებისათვის ჩაბარების ტრადიცია, როგორც ცნობილია, ჯერ კიდევ IX ს. 60-იანი წლებიდან „აფხაზთა“ მეფის გიორგი I „აღწეფელის“ დროიდან იღებს სათავეს და ამის აღნიშვნაც იყო საჭირო. ამასთან უშუალოდაა დაკავშირებული ე.წ. – „ჩიხის საერისთავოსა“ და „ჩიხის ერისთავის“ სტატუსის საკითხი. დისერტანტი იხილავს „მატიანე ქართლისაჲს“ ცნობას „აფხაზთა“ მეფე გიორგი I-ის მიერ ქართლის დაპყრობისა და „ერისთავად ჩიხას ძე დემეტრესი“-ს დატოვების შესახებ. ქართულ ისტორიოგრაფიაში, „მატიანე ქართლისაჲს“ ამ ცნობაში დაფიქსირებულ ერისთავად მიიჩნევენ ბაგრატ დემეტრეს ძეს გიორგი I-ის ძმისწულს¹, რომელიც მოგვიანებით, იმავე ქრონიკის ცნობით, გიორგი I-ის ქვრივმა და იოანე შავლიანმა „შთააგდეს... ზღვასა“ და სასიკვდილოდ გაწირეს.

შ. გლოველი უკრიტიკოდ იღებს ამ თვალსაზრისს და ასევე ასკვნის, რომ ჩიხას დატოვებული ერისთავი არის ბაგრატ დემეტრეს ძე. ჩვენ არა ვართ დარწმუნებული, რომ „ძე დემეტრესი“, რომელიც გიორგი I-მა „დაუტევა ერისთავად ჩიხას“ და „ძე დემეტრესი მცირე, რომელსა ერჭუა ბაგრატ, რომელი იცნობების ექსორიაქმნილობით“ მაინც-დამაინც ერთი და იგივე პიროვნებაა. „მატიანე ქართლისაჲს“ აღნიშნული ცნობა, ჩვენი აზრით, არ გვაძლევს ამის ასე დაბეჯითებით მტკიცების საშუალებას. თვალსაჩინოებისათვის საჭიროდ მივიჩნევთ მოვიყვანოთ „მატიანეს“ ტექსტის შესაბამისი ნაწილი სრულად: „*მას ჟამსა გამოვიდა გიორგი, აფხაზთა მეფე, ძმა თეოდოსესი და დემეტრესი, ძე ლეონისი; დაიპყრა ქართლი და დაუტევა ერისთავად ჩიხას ძე დემეტრესი, და ვითარ გარდაიცვალა გიორგი აფხაზთა მეფე, დარჩა ძე დემეტრესი მცირე, რომელსა ერჭუა ბაგრატ, რომელი იცნობების ექსორიაქმნილობით. და ცოლმან გიორგი მეფისამან მოკლა ძე დემეტრესი, ერისთავი ჩიხისა. და ეცრუა იგი ივანე მთავარსა შავლიანსა, და შთააგდეს ბაგრატ ზღუასა. ხოლო ღმერთმან განარინა იგი, და მიიწია ქალაქად კოსტანტინეპოლედ*“²

ჩვენი აზრით, აქ აშკარად დემეტრე „აფხაზთა“ მეფის ორ ძეზეა საუბარი. აქედან ერთია ის, რომელიც გიორგი I-მა „დაუტევა ერისთა-

¹ ივ. ჯავახიშვილი. ქართველი ერის ისტორია. ტ. II. თბ., 1965, გვ. 100; ნ. ბერძენიშვილი. საქართველოს ისტორიის საკითხები. ტ. VIII. თბ., 1990, გვ. 354; მ. ლორთქიფანიძე. ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური გაერთიანება., გვ. 517; მ. ბახტაძე. ერისთავობის ინსტიტუტი საქართველოში. თბ., 2003, გვ. 127.

² *მატიანე ქართლისა*. – *ქართლის ცხოვრება*. ტ. I. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. თბ., 1955, გვ. 258.

ვად ჩიხას“ და რომელიც მოკლა გიორგი I-ის ქვრივმა, ხოლო მეორე, რომელიც ჯერ კიდევ იყო მცირეწლოვანი და „რომელსაც ერქუა ბაგრატი“. „მატიანე ქართლისაჲს“ ტექსტის ამგვარ გაგებას უჭერს მხარს ვახუშტი ბატონიშვილი, რომელიც სრულიად გარკვევით წერს, რომ: „უამსა ამას გამოვიდა მეფე აფხაზთა და დაიპყრა ქართლი და დაუტევა ერისთავად ჩიხას ტინენ ძე დიმიტრისა. ხოლო შემდგომად, გარდაიცვალა რა გიორგი მეფე აფხაზთა, ცოლმან მისმან მოკლა ტინენ ძე დიმიტრისა და ეცრუა იოანე მთავარსაცა და შთაავლეს ძე დიმიტრისავე ბაგრატი ზღუასა შინა“.¹ ამ ინფორმაციას კიდევ უფრო აზუსტებს ვახუშტი ბატონიშვილი თავისი თხზულების სხვა ადგილას. ის წერს: „ამისთვის შეიპყრა (გიორგი I-ის ქვრივმა – ზ.პ.) ძე დიმიტრისა ერისთავი ჩიხისა ტინენ და მოკლა იგი და უმრწემესი ძე დიმიტრისავე ბაგრატი მცირე ჰასაკითა ექსორია ჰყო და მოგზაური ბაგრატი შთაავლეს ზღუასა შინა“.²

ამრიგად, ეჭვს გარეშეა, რომ ვახუშტი ბატონიშვილს ჰქონდა სავსებით მკაფიო წარმოდგენა იმის შესახებ, რომ დემეტრე „აფხაზთა“ მეფეს ჰყავდა ორი ძე: ერთი – ტინენ, რომელიც თავისმა ბიძამ „აფხაზთა“ მეფე გიორგი I-მა დანიშნა „ერისთავად ჩიხას“, ხოლო მეორე – უმრწემესი – ბაგრატი, რომელიც მცირეწლოვანი იყო. ვფიქრობთ, არა გვაქვს არავითარი საფუძველი არ ვენლოთ ვახუშტი ბაგრატიონის ამ დაზუსტებას. აქედან გამომდინარე, მიგვაჩნია, რომ „მატიანე ქართლისაჲს“ ტექსტის ჩვენთვის საინტერესო ადგილის ტრადიციული ინტერპრეტაცია უნდა გადაისინჯოს. სადისერტაციო ნაშრომის ამავე თავში, დისერტანტი სავსებით მართებულად იზიარებს ისტორიოგრაფიაში გამოთქმულ მოსაზრებას იმის შესახებ, რომ გიორგი I-ის მიერ ქართლის დაპყრობა ჯერ კიდევ არ ნიშნავდა რეგიონზე „აფხაზთა“ მეფის მტკიცე ძალაუფლების დამყარებას.³

უაღრესად საინტერესოა სადისერტაციო ნაშრომის მესამე თავი, რომელშიც დადგენილია „აფხაზთა“ მეფეების ქრონოლოგიური რიგი. მასში კრიტიკულადაა გაანალიზებული „აფხაზთა მეფეთა დივანის“ მონაცემები. სწორადაა შენიშნული, რომ ე.წ. „აფხაზთა“ მეფეთა დინასტია არ შეიძლება იყოს ლაზეთის მთავრების დინასტია, როგორც ამას ფიქრობდა პ. ინგოროყვა.⁴ მაგრამ დისერტანტის მცდელობა გადა-

¹ ბატონიშვილი ვახუშტი. აღწერა..., გვ. 131. ხაზგასმა ჩვენია – ზ.პ.

² ბატონიშვილი ვახუშტი. აღწერა..., გვ. 797. ხაზგასმა ჩვენია – ზ.პ.

³ დ. მუსხელიშვილი. საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები. II. თბ., 1980, გვ. 184.

⁴ პ. ინგოროყვა. გიორგი მერჩულე. თბ., 1954, გვ. 192-193.

სინჯოს იმავე პ. ინგოროყვას თვალსაზრისი, რომლის თანახმადაც ლეონ I-ის შემდეგ აფხაზეთის ხელისუფლების სათავეში უნდა ყოფილიყვნენ თეოდორე I და კონსტანტინე II¹ (ამ სქემას მხარს უჭერდა ზ. ანჩაბაძე),² ჩვენი აზრით, მთლად დამაჯერებელი არ არის. ამ შემთხვევაში მითითება ქართულ წყაროებზე (იგულისხმება „მატიანე ქართლისაჲ“) არაფერს იძლევა.

„მატიანე ქართლისაჲს“ ავტორი მხოლოდ ლეონ I-ისა და ლეონ II-ის ნათესაურ კავშირს აფიქსირებს და სულაც არ ამბობს იმას, რომ ლეონ II მაინც და მაინც თავისი ბიძის ლეონ I-ის შემდეგ მოვიდა ქვეყნის სათავეში. „მატიანე ქართლისაჲში“ ლეონ II-ის მაინც და მაინც ლეონ I-ის ძმისწულობაზე იმიტომ გაამახვილა ყურადღება, რომ თავისი, როგორც ჩანს ხანგრძლივი, ნაყოფიერი მოღვაწეობით, სწორედ ის იყო უფრო ცნობილი ქართული საზოგადოებისათვის. რაც შეეხება მის მომდევნო მთავრებს – თეოდორესა და კონსტანტინეს (ამ უკანასკნელის რეალურობა ეჭვს არ იწვევს), მათი ყოფნა ხელისუფლების სათავეში, ეტყობა არც ხანგრძლივი ყოფილა და არც რაიმეთი ღირშესანიშნავი. ამ თვალსაზრისით არ შეიძლება არ დაგვაფიქროს იმანაც, რომ იოვანე საბანიძე, რომელიც არ იშურებს საქებარ სიტყვებს აფხაზეთის მთავრის მისამართით, რატომღაც არ გვამცნობს მის ვინაობას. ვფიქრობთ, ეს მთავარი ლეონ I, რომ ყოფილიყო, „აბო ტფილელის მარტვილობის“ ავტორი, ამას აუცილებლად აღნიშნავდა.

სადისერტაციო ნაშრომის ამ ნაწილში დისერტანტი ყურადღებას ამახვილებს თანამეფობის ინსტიტუტზე „აფხაზთა“ სამეფოში. ამ თვალსაზრისით უდავოდ ფასეულია მისი დაკვირვებები „ფავენელის დაწერილის“ მონაცემებზე. აქვე შ. გლოველი მსჯელობს „მეფეთა დივანის“ დოსითეოსისეულ ნუსხაში დაფიქსირებულ მეფე „ანტარნასე-დავითზე“ და გვთავაზობს მეტად საინტერესო ჰიპოთეზას, მასში ვიგულისხმობთ დავით III დიდი კურაპალატი.

სარეცენზიო გამოკვლევის **მეოთხე თავში** დისერტანტი თანმიმდევრულად გადმოგვცემს ქვეყნის გაერთიანებისათვის ქართული პოლიტიკური გაერთიანების ბრძოლის ისტორიას და წარმოაჩენს „აფხაზთა“ სამეფოს როლსა და ადგილს ამ პროცესში. ნაშრომში სწორადაა შენიშნული, რომ ქართულ სამეფო-სამთავროებს შორის მიმდინარე ბრძოლაში წარმართველი საკუთრივ საქართველოს გაერთიანების იდეა არ ყოფილა, არამედ ეს იყო სწრაფვა სამეფო-სამთავროთა საზღვრების გაფართოებისა და ჰეგემონობისათვის. ასევე სწორია დასკვნა იმის შესა-

¹ პ. ინგოროყვა. გიორგი მერჩულე, გვ. 193.

² З. В. Анчабадзе. Из истории средневековой Абхазии., გვ. 78.

ნებ, რომ ცალკეულ სამეფო-სამთავროებში იყვნენ ქვეყნის გაერთიანებისა და ერთიანი ცენტრალიზებული ხელისუფლების შექმნის მოსურნე ძალები, თუმცა ვერ დავეთანხმებით დისერტანტის აზრს თითქოს ამ ძალების „ძირითადი ბირთვი“ შიდა ქართლში ყოფილიყო.

ამ თვალსაზრისით იოანე მარუშის ძის პიროვნებაზე ყურადღების გამახვილება არაფერს არ იძლევა, ვინაიდან ის შიდა ქართლის არისტოკრატის ლიდერი არ იყო და არც შიდა ქართლი წარმოადგენდა მის „საკუთარ სამფლობელოს“, როგორც ამას შეცდომით აღნიშნავს შ. გლოველი. იოანე მარუშის ძე იყო ქუთაისის ტახტის, ანუ ქვეყნის ცენტრალური ხელისუფლების სრულუფლებიანი წარმომადგენელი რეგიონში. ის ფაქტობრივად ასრულებდა მეფისნაცვლის ფუნქციას, რაც შეეხება შიდა ქართლის არისტოკრატიას, ის არა თუ არ იყო გამაერთიანებელი მოძრაობის (რომლის ინიციატორი და სულის ჩამდგმელი იყო იოანე მარუშის ძე), ავანგარდში, არამედ, პირიქით, ფაქტობრივად, ერთიანად გამოდიოდა ბაგრატ უფლისწულის ხელისუფლების ქვეშ სრულიად საქართველოს გაერთიანების მარუშის ძისეული გეგმის წინააღმდეგ.

ჩვენ სწორად მიგვაჩნია დისერტანტის დასკვნა იმის შესახებ, რომ ბაგრატის 975 წელს უფლისციხეში დასმით იოანე მარუშის ძესა და დავით კურაპალატს სულაც არ უცდიათ შიდა ქართლის „აფხაზთა“ სამეფოსაგან გამოყოფა და ახალი სახელმწიფოს შექმნა, როგორც ამას ფიქრობს გ. მჭედლიძე¹, მაგრამ არ შეგვიძლია დავეთანხმოთ მის თვალსაზრისს იმის შესახებ, რომ დემეტრე „აფხაზთა“ მეფის გარდაცვალების შემდეგ ქუთაისის ტახტზე თეოდოსი უსინათლოს დასმა იოანე მარუშის ძის დასის ძალისხმევით მოხდა და რომ ეს თითქოს მიზნად ისახავდა დასავლეთ საქართველოს სამეფო ტახტზე „ლეონიდების“ დინასტიის შენარჩუნებას, რათა შემდგომ ამ დინასტიის წარმომადგენელს (დედის ხაზით) ბაგრატ უფლისწულს ჰქონდა „აფხაზთა“ მეფის ტახტის დაკავების ლეგიტიმური უფლება.

ჯერ ერთი, არსაიდან ჩანს, რომ ამ დროს ქუთაისის ტახტის მიტაცებას ლამობდა მაინც და მაინც სხვა საგვარეულოს წარმომადგენელი და მეორეც, უშუალოდ თეოდოსი უსინათლოს ქუთაისში გამეფების შემდგომ განვითარებულ მოვლენათა მსვლელობიდან, ლოგიკურად გამომდინარეობს, რომ იოანე მარუშის ძის გეგმა პირველ რიგში, მიმართული იყო სწორედ ქუთაისის ახალი ხელისუფლების წინააღმდეგ. ამ საკითხებზე ჩვენ სხვაგან გვაქვს საგანგებო მსჯელობა² და ამიტომ ამ-

¹ გ. მჭედლიძე. ბაგრატ მესამის საქართველო. ქუთაისი, 1996, გვ. 478.

² მ. ლორთქიფანიძე, ზ. პაპასქირი. ერთიანი ქართული სახელმწიფოს წარმოქმნა და მისი დიპლომატიური უზრუნველყოფა. – წგნ.: ქართული დიპ-

ჯერად თემის გამლისაგან თავს შევიკავებთ. რაც შეეხება დისერტანტის მიერ დასმულ კითხვას, თუ რატომ პირდაპირ (ანუ უშუალოდ დემეტრე „აფხაზთა“ მეფის გარდაცვალების შემდეგ – **ზ.პ.**) არ მოითხოვეს ბაგრატი მეფედ „აფხაზეთისა“, ვფიქრობთ, ეს არც თუ ისე ადვილი საქმე იყო, ვინაიდან, წესით ტახტი დემეტრე მეფის გარდაცვალების შემდეგ, პირველ რიგში, სწორედ მის ძმას ეკუთვნოდა და არა დისწულს. ამიტომ, ბუნებრივია, იოანე მარუშის ძე და დავით კურაპალატი იმთავითვე მოერიდებოდნენ ზედმეტ გართულებებს და მართლაც დაელოდებოდნენ ბაგრატის ქუთაისის ტახტზე „კანონიერ“ მოსვლას. მაგრამ მოვლენების ფორსირება გამოიწვია თეოდოსის უგერგილო მმართველობამ, უფრო მეტად კი მისმა პოლიტიკურმა გარიგებამ კახეთის ქორეპისკოპოსთან – კვირიკე II-სთან, რომლის ძალითაც, როგორც ჩანს, „აფხაზთა“ ახალი მეფე უთმობდა შიდა ქართლს თავის პარტნიორსა და მოკავშირეს.

სწორედ ამ გარემოებებმა გადააწყვეტინა იოანე მარუშის ძესა და დავით კურაპალატს თეოდოსის სიცოცხლეშივე ბაგრატ უფლისწულის ტახტზე აყვანა და, სხვათა შორის, ისინი სულაც არ დალოდებიან ბაგრატის გასრულწლოვანებას, როგორც ამას ფიქრობს შ. გლოველი. ბაგრატი სრულწლოვანი შეიქნა მოგვიანებით, Xს. 80-იანი წლების დამდეგს, როდესაც მან გადადგა გადამწყვეტი ნაბიჯები შიდა ქართლის სეპარატისტული განწყობილებების აღსაკვეთად და იქ თავისი ერთპიროვნული ხელისუფლების განსამტკიცებლად. ამ საკითხებთან დაკავშირებით, ჩვენ მთლად არგუმენტირებულად არ მიგვაჩნია დისერტანტის მცდელობა გადასინჯოს ისტორიოგრაფიაში გამოთქმული მოსაზრება, რომლის მიხედვითაც ბაგრატ III და მისი დედა გუარანდუხტ დედოფალი, რომელსაც 975 წლიდან „ეპყრა უფლისციხე და ქართლი“ „საქართველოს ცენტრალიზაცია-დეცენტრალიზაციისთვის მებრძოლი ძალების საპირისპირო ბანაკებში მოიაზრებიან“.¹

ჩვენ ასევე ვერ დავეთანხმებით შ. გლოველს იმაშიც, თითქოს

ლომატიის ისტორიის ნარკვევები, ტ. I. თბ., 1998, გვ. 210-212; **მ. ლორთქიფანიძე**, **ზ. პაპასქირი**. ერთიანი ქართული სახელმწიფოს წარმოქმნა და მისი საერთაშორისო დიპლომატიური უზრუნველყოფა. – წგნ.: *ქართული დიპლომატიის ისტორია*. თბ., 2003, გვ. 136; **З. В. Папаскири**. От Давида до Давида. Из истории международных отношений Грузии. 70-е годы X – 80-е годы XI вв. Тб., 2001, გვ. 17-19.

¹ **ზ. ალექსიძე**. ატენის სიონის სომხური წარწერები. თბ., 1978, გვ. 52-57; **ზ. პაპასქირი**. ერთიანი ქართული ფეოდალური სახელმწიფოს წარმოქმნა და საქართველოს საგარეო პოლიტიკური მდგომარეობის ზოგიერთი საკითხი. თბ., 1990, გვ. 69-71.

გურგენ ბაგრატიონს „მეფეთ-მეფის“ ტიტული მიეღოს მხოლოდ იმით, რომ „ქართველთა“ მეფის ტიტული ბაგრატ II-ის გარდაცვალების შემდეგ დავით III კურაპალატს ჰქონდა. მართალია, 994წ. დავით კურაპალატის მიერ „ქართველთა“ მეფის ტიტულის მიღებას, გააჩნია საკმაოდ მყარი არგუმენტაცია¹ (თუმცა ამ საკითხთან დაკავშირებით არსებობს განსხვავებული მოსაზრებაც),² მაგრამ, ამ შემთხვევაში, მთავარია ის, რომ გურგენის მიერ „მეფეთა-მეფის“ ტიტულის მიღება არავითარ კავშირში არ იყო დავით კურაპალატის „ქართველთა მეფობასთან“. სუმბატ დავითის ძის სრულიად დამაჯერებელი განმარტებით, „გურგენს მეფეთ-მეფე ეწოდა“ იმის გამო, რომ გურგენის გამეფებამდე მისი ძე „ბაგრატ მეფე იქმნა აფხაზეთს“.³

მოცულობით ყველაზე ვრცელია საღისერტაციო ნაშრომის **მეხუთე თავი**, რომლის სათაურია: **„აფხაზთა სამეფოს“ შინაარსი**. მასში თანმიმდევრულად გაშუქებულია შემდეგი საკითხები: „აფხაზთა“ სამეფოს საგარეო და საშინაო პოლიტიკა; „აფხაზთა“ სამეფოსა და „აფხაზთა“ მეფეების რელიგიურ კულტურული პოლიტიკა; სენიორალური სისტემა „აფხაზთა“ სამეფოში; სამოხელეო ინსტიტუტები და ბოლოს, „აფხაზთა“ სამეფოს ეთნიკური შედგენილობის საკითხი. ამ თემების განხილვისას განსაკუთრებით გამოვყოფდით მსჯელობას ანტიოქიის პატრიარქ თეოფილაქტეს (744-750წწ.) მიერ იოანეს აფხაზეთის კათალიკოსად შესაძლო კურთხევის შესახებ. არანაკლებ საყურადღებოა დაკვირვებები სენიორალურ სისტემაზე, „მამასახლისისა“ და „გალატოზთა უხუცესის“ სამოხელეო ინსტიტუტებზე.

ღისერტანტს საკმაოდ ვრცელადა აქვს მიმოხილული ეთნიკური ისტორიის საკითხები. ნაშრომის ამ ნაწილში საკვებით სწორადაა შენიშნული, რომ თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორია უძველესი დროიდან მუდამ იყო ქართველთა საცხოვრისი, ამასთან, ის არ უარყოფს აწინდელ აფხაზთა წინაპრების მოსახლეობასაც, თუმცა სწორად მიიჩნევს, რომ დროთა განმავლობაში ისინი „შეერწყნენ ძირძველ ქართულ მოსახ-

¹ *ქართული წარწერების კორპუსი*, დაპიდარული წარწერები. I. *აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველო* (V-X სს.). შეადგინა და გამოსაცემად მოამზადა **ნ. შოშიაშვილმა**. თბ., 1980, გვ. 56; *ქართული წარწერების კორპუსი*. II. *დასავლეთ საქართველოს წარწერები*. ნაკვ. I (IX-XIII სს.). შეადგინა და გამოსაცემად მოამზადა **გ. სილოგავამ**. თბ., 1980, გვ. 52-53; **М. Д. Лордкипанидзе**. Возникновение новых феодальных государств..., გვ. 338-339.

² **ზ. პაპასქირი**. ერთიანი ქართული..., გვ. 75-82.

³ **სუმბატ დავითის ძე ბაგრატიონი**. ცხოვრება და უწყება ბაგრატიონიანთა. – ტ. I. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით **ს. ყაუხჩიშვილის** მიერ. თბ., 1955, გვ. 382.

ლეობას“. საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ ის კარგად არის გათვით-
ცნობიერებული პრობლემის ირგვლივ არსებულ აზრთა სხვადასხვაობა-
ში და საკმაოდ ტაქტიანად აკეთებს ამათუ იმ თვალსაზრისის ანა-
ლიზს. დასანანია მხოლოდ, რომ ძირითადად კარგად გაკეთებულ ისტო-
რიოგრაფიულ მიმოხილვაში ასახვა ვერ ჰპოვა აკად. დ. მუსხელიშვი-
ლის მიერ ამ უკანასკნელ ხანს გამოთქმულმა მოსაზრებამ აფსილ-აფ-
შილთა ეთნიკური ვინაობის შესახებ.¹

არასწორადაა გაგებული XVIII ს. არაბი ავტორის იაკუთის ცნობა
აფხაზეთზე. კერძოდ, დისერტანტი უკრიტიკოდ იღებს ზოგიერთი ისტო-
რიკოსის² მიერ მოცემულ ამ ცნობის ინტერპრეტაციას და იაკუთის „აფ-
ხაზეთში“ შეცდომით გულისხმობს დღევანდელ აფხაზეთს. არადა, სრული-
ად ცხადია, რომ იაკუთი ამ შემთხვევაში საუბრობს „აფხაზეთზე“ ფარ-
თო გაგებით, ანუ სრულიად საქართველოზე, ქვეყანაზე, რომელიც ესაზ-
ღვრება „ბაბ ალ-ბაბვს“ ანუ დარუბანდს. თანამედროვე აფხაზეთის ტე-
რიტორია კი, როგორც ცნობილია, ძალიან შორსაა ჩრდილო-აღმოსავ-
ლეთ კავკასიიდან.

ასეთია შ. გლოველის სადისერტაციო ნაშრომის ზოგადი შინაარ-
სი. როგორც ვხედავთ ავტორს ჩატარებული აქვს უადრესად შრომატე-
ვადი სამუშაო. ფაქტობრივად ეს არის შეჯამება და კრიტიკული გააზ-
რება „აფხაზეთა“ სამეფოს ირგვლივ არსებული მთელი ისტორიოგრა-
ფიული მემკვიდრეობისა. მასში სათანადო მეცნიერული სიღრმითაა გაა-
ნალიზებული „აფხაზეთა“ სამეფოს ისტორიასთან დაკავშირებული ყველა
საკვანძო პრობლემა. თვალში საცემია შ. გლოველის მისწრაფება შეი-
ტანოს სიახლე ამა თუ იმ ფაქტის, მოვლენის დადგენა-დაზუსტებასა და
შეფასებაში. უძეტეს შემთხვევაში, მისი ეს მცდელობა უდავოდ წარ-
მატებულია, თუმცა დისერტანტის ზოგიერთი მოსაზრება მოითხოვს
უფრო დამაჯერებელ არგუმენტაციას. წარმოდგენილი სადისერტაციო
ნაშრომი არ არის დაზღვეული ცალკეული ხარვეზებისაგან, მაგრამ
მთლიანობაში, თამამად შეიძლება ითქვას, რომ ის არის მაღალ მეცნი-
ერულ დონეზე შესრულებული გამოკვლევა, რომლის შედეგები უცი-
ლობლად ჰპოვებს სათანადო ასახვას ისტორიოგრაფიაში.

¹ **Д. Мухелишвили.** Исторический статус Абхазии в грузинской государственности. – *Разыскания по истории Абхазии/Грузия.* Тб., 1999, გვ. 122-123.

² **Д. Гамахария, Б. Гогия.** Абхазия – историческая область Грузии. Тб., 1997, გვ. 583; **თ. მიბჩუანი.** აფხაზეთის მეფეები და მთავრები. თბ., 1997, გვ. 56.

ნაშრომი ქართლის სამრისმთავროს ისტორიაზე

რეცენზია ლელა ჭინჭარაულის მიერ ისტორიის მეცნიერებათა
კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილ
ნაშრომზე „ქართლის საერისმთავრო VI-IX საუკუნეებში“
სპეციალობა 07.00.01 – საქართველოს ისტორია 2005.

ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე შეიძლება ითქვას, რომ VI-IX საუკუნეები საქართველოს მრავალსაუკუნოვანი ისტორიის ერთ-ერთი ყველაზე საიდუმლოებებით მოცული პერიოდია, რომლის სრულყოფილი, ამომწურავი შესწავლა დიდ სირთულეებთანაა დაკავშირებული. პირველ რიგში ეს, რასაკვირველია, განპირობებულია წერილობითი წყაროების სიმწირით. გარდა ამისა, ის მასალებიც, რომლებიც სადღეისოდ, ასე თუ ისე, მაინც არის მკვლევართა განკარგულებაში, უაღრესად ფრაგმენტული და ხშირ შემთხვევებში წინააღმდეგობრივია, რაც პრაქტიკულად არ იძლევა მოცემული პერიოდის ისტორიული წარსულის სრულად გაშუქების საშუალებას.

მიუხედავად ამისა, ადრეული შუა საუკუნეების (განსაკუთრებით IV-VIII სს.) საქართველოს, განსაკუთრებით კი ქართლის ისტორია, ზოგადად ნამდვილად არ არის ურიგოდ შესწავლილი (ამ მხრივ საგანგებოდ უნდა გამოვყოთ ა. ბოგვერადისა და დ. მუსხელიშვილის ფუნდამენტური გამოკვლევები), თუმცა ისიც ცხადია, რომ აღნიშნული ხანის ისტორიის მთელი რიგი საკვანძო პრობლემები, ჯერ კიდევ მოითხოვს შემდგომ დამუშავებასა და დაზუსტებას. მათ რიცხვს უთუოდ განეკუთვნება საკუთრივ ქართლის საერისმთავროს ისტორიასთან დაკავშირებული საკითხები. უფრო მეტიც, ისტორიოგრაფიაში დღემდე არავის უცდია ქართლის საერისმთავროს – ადრეული შუასაუკუნეების ქართული სახელმწიფოს, ისტორიული იბერია-ქართლის სამეფოს სამართალმემკვიდრის – ისტორიის მონოგრაფიული შესწავლა. სწორედ საისტორიო მეცნიერებაში არსებული ამ ხარვეზის ერთგვარი, მე ვიტყვოდი მხოლოდ ნაწილობრივი შევსების ცდას წარმოადგენს ლელა ჭინჭარაულის მიერ ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი ნაშრომი.

სარეცენზიო შრომა შედგება შესავლის, 4 თავისა და დასკვნისაგან. მას თან ერთვის ნაშრომში დამოწმებული საისტორიო წყაროებისა და სპეციალური სამეცნიერო ლიტერატურის სია. შესავალში ნაჩვენებია საკვლევი თემის აქტუალობა და მოკლედაა მიმოხილული პრობ-

ლემის ირგვლივ არსებული ძირითადი საისტორიო წყაროები და ისტორიოგრაფია. აქვე ყურადღება გამახვილებულია იმ მეცნიერულ სიახლეებზე, რომლის შეტანასაც ცდილობს დისერტანტი.

პირველ თავში – „ქართლის საერისმთავროს წარმოქმნა“ – გადმოცემულია გუარამ-გურგენის ერისმთავრად „განჩინების“ ისტორია. სადისერტაციო ნაშრომის ამ ნაწილში სწორადაა შენიშნული, რომ გუარამ ერისმთავარი არ იყო სუვერენული მმართველი, თუმცა ბიზანტიური საკარისკაცო ტიტულის (კურაპალატის) ფლობის გამო, მისი მთლად კეისრის „მოხელის“ დონეზე დაყვანას ნამდვილად ვერ დაუჭერთ მხარს. აქ გასათვალისწინებელია ერთი გარემოება, რომელსაც, თავის დროზე, საგანგებოდ გაუსვა ხაზი აკად. ი. ჯავახიშვილმა: „**კეისრის უფლება საქართველოში არას დროს მანც უბრალო მფარველობისა და გავლენის საზღვარს არ გადასცილება, სამეფოს შინაურ საქმეებში გარევის უფლება არა ჰქონია**“¹.

დიდი მეცნიერის ეს რემარკა, ზედმიწევნით ესადაგება იმ ვითარებას, რომელშიც მოხდა გუარამ ბაგრატიონისათვის კურაპალატის ტიტულის მინიჭება. ქართლის ახალი ლიდერისათვის (რომელიც ხელისუფლებაში მოვიდა აღმოსავლეთში ბიზანტიის მთავარი მეტოქის სასანიანთა ირანის წინააღმდეგ წარმოებული განმათავისუფლებელი ბრძოლის შედეგად) კურაპალატის ტიტულის ბოძება, ჩვენი აზრით, სრულებითაც არ ნიშნავდა მის გადაქცევას იმპერატორის უბრალო მოხელედ. ამ აქტით ფაქტობრივად მოხდა ქართლის სახელმწიფოს ოფიციალური ცნობა იმპერიის მხრიდან და გარკვეულწილად ამ სახელმწიფოს სუვერენიტეტის (ბიზანტიის მფარველობის ქვეშ) საერთაშორისო დიპლომატიური უზრუნველყოფა.²

ასევე სწორია დისერტანტის დასკვნა, რომ უპირატესობა უნდა მიენიჭოს ტერმინ „ერისმთავარს“. ეს ტერმინი მართლაც უფრო ზუსტად ასახავს რეალურ ვითარებას, თუნდაც იმიტომ, რომ ჩვეულებრივი ერისთავისაგან განსხვავებით ერისმთავარი ფაქტობრივადაც და სამართლებრივადაც უფრო დიდი სტატუსის – სახელმწიფოს მეთაურის – მატარებელი იყო. მაგრამ არ მიგვაჩნია მართებულად მოსაზრება იმის შესახებ, თითქოს გუარამ-გურგენის მიერ მეფის ტიტულის არმილება უპირატესად შინაპოლიტიკურმა კონიუნქტურამ (კერძოდ ერისთავების

¹ ივ. ჯავახიშვილი. ქართველი ერის ისტორია. ტ. II. თბ., 1965, გვ. 112, ხაზგასმა ავტორისაა

² ზ. პაპასქირი. ბაგრატიონთა დინასტია საერთაშორისო დიპლომატიურ ასპარეზზე. – კრებ: **ბაგრატიონები. სამეცნიერო და კულტურული მემკვიდრეობა**. თბ., 2003, გვ. 118.

პოზიციაში) განაპირობა. მიუხედავად იმისა, რომ ერისთავებისათვის ნამდვილად მიუღებელი იყო ერთპიროვნული მონარქი, რომელიც ადგილებზე მათ მფლობელობას შეზღუდავდა, სამეფო ხელისუფლების აღდგენის ნაცვლად ახალი – ერისმთავრობის – ინსტიტუტის დაწესება მაინც არ იყო შიდა-ქართული ინიციატივა და ის მთლიანად საგარეო-პოლიტიკური კონიუნქტურით იყო გამოწვეული.

ამასთან დაკავშირებით, არ შეიძლება ყურადღება არ მიიქციოს ჯუანშერ ჯუანშერიანის ერთმა ცნობამ, რომელიც ჩვენი აზრით, ერთნიშნად მიუთითებს (განსხვავებით დისერტანტის ინტერპრეტაციისა), რომ ქართლის ერისთავები ბიზანტიის ხელისუფლებას სთხოვდნენ სწორედ სამეფო ხელისუფლების აღდგენას და არა ერისმთავრის დაყენებას: „და წარგზავნეს მოციქული წინაშე ბერძენთა მეფისა, და ითხოვეს, რათა უჩინოს მეფე ნათესავთაგან მეფეთა ქართლისათა...“¹ როგორც ვხედავთ, ერისთავებს სურთ სწორედ მეფე, თანაც თავიანთი წრის რიგითი წარმომადგენელი კი არა, არამედ ქართლის სამეფო სახლის შვილი. ამიტომაც მიენიჭა უპირატესობა გუარამ-გურგენს, რომელიც იმავე ჯუანშერ ჯუანშერიანის განმარტებით იყო „ძისწული მირდატისი, ვახტანგის ძისა, ბერძნის ცოლისაგან“.²

ე.ი. ქართლის ხელისუფლების ახალი მეთაურის ლეგიტიმური კავშირი ვახტანგ გორგასლის სამეფო სახლთან სრულიად ცხადია. რაც შეეხება ქართლის ერისმთავართა მიერ მეფის ტიტულის არ მიღებას, როგორც უკვე ზემოთ აღინიშნა, ეს მთლიანად საგარეო-პოლიტიკური ფაქტორით იყო განპირობებული. რაც მთავარია, ეს შესანიშნავად ესმოდათ შუა საუკუნეების ქართველ მწერლებსა და მემატიანეებს. ამას ადასტურებს თუნდაც იმავე ჯუანშერის შენიშვნა სტეფანოზ ერისმთავარზე. მან „მეფობისა სახელი ვერ იკადრა“ არა იმიტომ, რომ ეს ერისთავებს არ უნდოდათ, არამედ „სპარსთა და ბერძენთა შიშისაგან“.³

საკვალიფიკაციო ნაშრომის II თავი – „ქართლის ერისმთავართა წარმომავლობა. ბაგრატიონები“ – ეძღვნება ბაგრატიონთა საგვარეულოს ქართული წარმომავლობისა და მათთან ქართლის ერისმთავართა სახლის კავშირის დადგენას. დისერტანტი კრიტიკულად აანალიზებს ამ პრობლემის ირგვლივ ისტორიოგრაფიაში გამოთქმული მოსაზრებებს და საკმაო დამაჯერებლობით ასაბუთებს ბაგრატიონების არასომხურ

¹ ჯუანშერ ჯუანშერიანი. ცხოვრება ვახტანგ გორგასლისა. – ქართლის ცხოვრება. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. I. თბ., 1955, გვ. 217, ხაზგასმა ჩვენია – ზ.პ.

² ჯუანშერ ჯუანშერიანი. ცხოვრება ვახტანგ გორგასლისა, გვ. 220.

³ ჯუანშერ ჯუანშერიანი. ცხოვრება ვახტანგ გორგასლისა, გვ. 222.

წარმომავლობას. ამასთან დაკავშირებით, განსაკუთრებით საინტერესო და ანგარიშგასაწევია დისერტანტის დაკვირვებები მოვსეს ხორენაცისა და სებეოსის თხზულებათა მონაცემებზე.

სადისერტაციო ნაშრომის III თავს, რომლის სათაურია: „**ქართლის ერისმთავართა ქრონოლოგიური რიგი**“, როგორც მოცულობით, ისე განსახილველი საკითხების მრავალფეროვნებით, გამორჩეული ადგილი უკავია. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ეს ცალკე აღებული, დამოუკიდებელი მონოგრაფიული გამოკვლევაა კია. მასში თანმიმდევრულად და მეტ-ნაკლები სისრულით განხილულია აღნიშნულ პრობლემასთან დაკავშირებული საკითხები. დისერტანტი იძლევა სათანადო ნარატიული წყაროებისა და ნუმიზმატიკური მასალების საკმაოდ კვალიფიციურ წყაროთმცოდნეობით ანალიზს და მასზე დაყრდნობით აზუსტებს ერისმთავართა ვინაობას, მათი მმართველობის პერიოდს.

ნაშრომის ამ ნაწილში სავსებით საფუძვლიანად გაზიარებულია თვალსაზრისი გუარამ-გურგენის იდენტურობის შესახებ. ჩვენ ასევე, ძირითადად, ვეთანხმებით გუარამ-გურგენის ხელისუფლების სათავეში მოსვლის თარიღად VI ს.-ის 70-80-იანი წლების მიჯნის (579-582წწ.) მიჩნევას. უაღრესად საყურადღებოდ გვეჩვენება აგრეთვე ლ. ჭინჭარაულის დაკვირვებები წერილობითი წყაროებისათვის უცნობ ჯუანშერის პიროვნების ირგვლივ, რომელიც მას ქართლის ერისმთავრად (გუარამის შემდეგ მოკლე პერიოდში) მიაჩნია.

პრინციპში, ჩვენ სავსებით დასაშვებად მიგვაჩნია, რომ გუარამ კურაპალატის შემდეგ, შესაძლებელია, მართლაც გაჩაღდა ბრძოლა ერისმთავრის ტახტისათვის, რომელშიც გაიმარჯვა ჯუანშერმა, მაგრამ გაგვიჭირდება ეს ჯუანშერი ასე ერთბაშად, ყოველგვარი არგუმენტაციის გარეშე, რატომღაც ვახტანგ გორგასლის „სხვა“ ასულის ძის ვახტანგის შვილად ჩავთვალოთ. აქ შეიძლება დაისვას სრულიად ბუნებრივი კითხვა, რატომ უნდა ვეძიოთ ჯუანშერი ასე შორს? რა უმლის ხელს თუნდაც იმას, რომ ეს უკანასკნელი უბრალოდ გუარამის ძმად მივიჩნიოთ, რომელსაც, როგორც გვარში უფროსს, ლეგიტიმური თვალსაზრისით, ტახტის დაკავების გაცილებით უფრო საფუძვლიანი პრეტენზია ექნებოდა ვიდრე (დისერტანტის გამოთვლით) გუარამის პაპის მირდატის დის შვილიშვილს.

დამაჯერებელია დისერტანტის მსჯელობა სტეფანოზ I-ის მოღვაწეობის ორი პერიოდისა და აგრეთვე ორი ადარნასეს (ადარნასე I სტეფანოზის ძისა და ადარნასე II ბაკურის ძის) ერისმთავრობის შესახებ. ასევე სწორად გვეჩვენება დასკვნა იმის შესახებ, რომ თეოფანე ჟამთააღმწერელთან მოხსენიებული იბერიელთა მთავარი ვარსაძუსე,

რომელიც 627წ. ნინევიასთან ბრძოლის დროს ბიზანტიელებმა დაატყვევეს, არ იყო ქართლის ერისმთავარი. ამავე დროს, ვერ დავეთანხმებით მოსაზრებას იმის შესახებ თითქოს მოვსეს კალანკატვაცის ცნობაში ნახსენებ ორ მთავართაგან, რომლებიც 628წ. თბილისის აღების შემდეგ „შეპყრობილნი მეფის (პერაკლე კეისრის – ზ.პ.) წინაშე დააყენეს“ და რომელთაგან სომეხი იტორიკოსის განცხადებით „ერთი მხარის მმართველი იყო სპარსეთიდან, მეორე კი ქართველთა ქვეყნის ადგილობრივი მცხოვრები“, არც ერთი (უფრო სწორად, მეორე) არ შეიძლება ყოფილიყო ერისმთავარი.

ამ შემთხვევაში არგუმენტად ვერ გამოდგება ის, რომ მოვსეს კალანკატვაცი მას ერისმთავარს არ უწოდებს და უბრალოდ „ქართველთა ქვეყნის ადგილობრივ მცხოვრებად“ მოიხსენიებს, ვინაიდან ციტატის დასაწყისში სრულიად გარკვევითაა აღნიშნული, რომ: „მოიყვანეს **ორი მთავარი...**“ და ა.შ. ასევე ძნელი წარმოსადგენია, რომ „ქართველთა ქვეყნის ადგილობრივ მცხოვრებში“ იგულისხმებოდეს თბილისის ციხისთავი, რასაც ვარაუდობს დისერტანტი. ისეთ მწვავე დაპირისპირების ჟამს, როგორსაც ადგილი ჰქონდა 627-628 წლებში, დაუჯერებელია, სპარსეთის სარდლობას თბილისის ციხისთავად (ანუ სპარსული გარნიზონის მეთაურად) ქართველი დაენიშნა.

საინტერესოა ლ. ჭინჭარაულის დაკვირვებები გუარამ II კურაპალატის ვინაობასთან დაკავშირებით. დისერტანტი საკმაოდ დიდ ადგილს უთმობს აგრეთვე ატენის სიონის ცნობილ წარწერაში მოხსენიებულ სტეფანოზ მამფალის პიროვნებას, რომელსაც ის მიიჩნევს ქართლის ერისმთავრად, მაგრამ არა მირისა და არჩილის მამად, არამედ ნერსე I-ის შვილად. მირისა და არჩილის მამა სტეფანოზი კი, მისი აზრით, დაჩის ჩამომავალია და ის საერთოდ არ ყოფილა ერისმთავარი. ჩვენ ასე ერთბაშად ვერც გავიზიარებთ და ვერც ვუარყოფთ ამ დასკვნას, თუმცა არგუმენტად იმის მოყვანა, რომ არჩილისა და მირის მამის „მეფობა“ წყაროებში საგანგებოდ არაა დაფიქსირებული, მთლად დამაჯერებელად არ გვეჩვენება.

დისერტანტი სავსებით სწორად აღნიშნავს, რომ მირი გარდაიცვალა მურვან ყრუს მიერ საქართველოს დატოვებიდან არც თუ ისე დიდ ხნის შემდეგ, მაგრამ ეს თარიღი, რატომღაც 744წ. გადააქვს, როდესაც კავკასიის ექსპედიციიდან ძლევა მოსილად დაბრუნებულმა მურვან იბნ-მუჰამადმა ხალიფას ტახტი დაიკავა. უფრო მეტიც, ლ. ჭინჭარაული თვლის, რომ მრისხანე არაბი სარდლის „საქართველოდან წასვლის შემდეგ მირის მცხეთაში დაკრძალვა არავითარ საფრთხეს აღარ წარმოადგენდა“. ჩვენ ვერ გავიზიარებთ დისერტანტის ამგვარ ოპტიმიზმს. მართალია,

მურვან ყრუს სადამსჯელო ექსპედიციამ დასავლეთ საქართველოში ნამდვილად ვერ მიაღწია დასახულ მიზანს, მაგრამ ამით ვითარება აღმოსავლეთ საქართველოში ოდნავადაც არ შემსუბუქებულა. პირიქით, სწორედ ამ პერიოდში (თბილისის საამიროს შექმნის შემდეგ) მყარდება აქ სახალიფოს სრული დიქტატი, რამაც არ მისცა საშუალება მირიარჩილის სახლს, მობრუნებულიყო თბილისში. სხვათა შორის, ამას ჩვენი დისერტანტიც აღიარებს, როდესაც იქვე (მეორე გვერდზე) აღნიშნავს, რომ „სწორედ ამ პერიოდიდან იწყება არაბთა ჭეშმარიტი ბატონობა ქართლში“ (გვ. 88).

სადისერტაციო ნაშრომის ამ ნაწილში საკმაოდ ვრცელი მსჯელობაა აღმოსავლეთ საქართველოში არჩილის მოღვაწეობაზე. ჩვენ მთლიანად ვეთანხმებით დისერტანტის დასკვნას იმის შესახებ, რომ არჩილი ნამდვილად იყო ერისმთავარი. უფრო სწორედ, ჩვენი აზრით, ის ითვლებოდა ერისმთავრად – ქართლის სახელმწიფოს მეთაურად („მეფედ“). სხვა საკითხია, რომ არჩილი რეალურად ვერ ანხორციელებდა თავის ძალაუფლებას მთელი ქვეყნის (სხვათა შორის იმიერ-ამიერ საქართველოს) მასშტაბით და მისი მოღვაწეობის ასპარეზი აღმოსავლეთ საქართველოში ძირითადად კახეთ-ჰერეთით შემოიფარგლებოდა.

რაც შეეხება VIII ს. II ნახევრის ერისმთავრებს – ადარნასე ბაგრატიონსა და მის ვაჟს ნერსე II-ს, ვფიქრობთ, მათი აღზევება თავდაპირველად მოხდა სახალიფოს ინციატივითა და სანქციით სწორედ არჩილის სახლის საპირისპიროდ, თუმცა, შემდგომ, როგორც ჩანს, ჯერ ადარნასემ (იმის მაჩვენებელია მისი კურაპალატობა), ხოლო მოგვიანებით (VIII ს. 70-იან წლებში) ნერსემაც გადასინჯეს თავიანთი საგარეოპოლიტიკური ორიენტაცია და ღიად დაუპირისპირდნენ არაბთა სახალიფოს. აქვე, დისერტანტი საგანგებოდ ეხება არჩილის წამების დათარიღების საკითხს და მიგვაჩნია, რომ ამ მოვლენის მისეული დათარიღება (761 წ.), პრინციპში, მისაღებია, თუმცა ჩვენ მაინც უფრო VIII ს. 50-იანი წლების შუა ხანებისკენ ვიხრებით.

ნაშრომში ცალკე (IV) თავადაა გამოყოფილი ქართლის საერისმთავროს გაუქმების საკითხი. მასში მოკლედ მიმოხილულია ქართლის სახელმწიფოს ნანგრევებზე ცალკეული სამეფო-სამთავროების აღმოცენების ისტორია. დისერტანტი, ძირითადად სწორად სვამს აქცენტებს ამ პროცესზე მსჯელობისას, თუმცა ზოგიერთი მისი დებულება ძნელად გასაზიარებელია. ასე მაგალითად, ის სავსებით მართებულად მიუთითებს, რომ „არაბები ამ დროს (VIII-IX სს. მიჯნა – ზ.პ.) ჯერ კიდევ ცდილობდნენ ქართლის ერისმთავრის ხელისუფლების შენარჩუნებას“, მაგრამ, დისერტანტის აზრით, მათი ეს დამოკიდებულება მოგვიანებით, „მას

შემდეგ, რაც თბილისის საამირო დამოუკიდებელ პოლიტიკურ ერთეულად გაფორმდა,“ შეცვლილა და ამის მიზეზი თურმე ყოფილა ის, რომ „თბილისის ამირა ასეთ ხელისუფალს, რომელიც ქართლის ერთიანობას განასახიერებდა, თავის რეზიდენციაში აღარ მოითმენდა“ (გვ. 124).

ჩვენთვის გაუგებარია, თუ რატომ უნდა ყოფილიყო მორჩილი, სახალიფოს რეჟიმის პოლიტიკის უსიტყვოდ გამტარებელი ადგილობრივი ხელისუფალი (ერისმთავარი), რომელიც სამართლებრივად მთელი ქვეყნის ერთიანობას განასახიერებდა, მიუღებელი თბილისის ამირასათვის (ისევე როგორც სახალიფოს ცენტრალური ხელისუფლებისათვის). განა მორჩილი ადგილობრივი ლიდერის დახმარებით უფრო ადვილი არ იქნებოდა დაპყრობილი ქვეყნის მართვა? ასე რომ, აქ სხვა ახსნა უნდა მოიძებნოს. კერძოდ, სრულიად აშკარაა, რომ თბილისის ამირასა და ქართლის უკანასკნელ ერისმთავარ აშოტ ბაგრატიონს შორის განხეთქილების მიზეზი იყო არა ის, რომ ეს უკანასკნელი „ქართლის ერთიანობას განასახიერებდა“, არამედ მისი ურჩობა და სწრაფვა, გამოეყვანა თავისი ქვეყანა არაბთა დაქვემდებარებიდან. სწორედ ამის გამო იღვენებოდა, თავის დროზე (VIII ს. 70-იან წლებში), ბაღდადის ხელისუფლების მიერ ნერსე ერისმთავარიც.

ასეთია, ძირითადად, ლ. ჭინჭარაულის სადისერტაციო ნაშრომის შინაარსი. როგორც დავინახეთ, ავტორს საკმაოდ შრომატევადი სამუშაო აქვს ჩატარებული. მიუხედავად საკვლევი თემის განსაკუთრებული სირთულისა, თამამად შეიძლება ითქვას, რომ მან მოახერხა ჩვენი ისტორიის თითქმის გაუვალ ლაბირინთებში გზის გაკვლევა და საკმაოდ მწყობრი სურათის შექმნა ქართლის საერისმთავროს პოლიტიკურ იერსახეზე მისი არსებობის მთელ მანძილზე. დისერტანტი ამჟღავნებს პრობლემის ირგვლივ არსებული საისტორიო წყაროების კვალიფიციურ ცოდნას, კარგადაა ჩახედული ისტორიოგრაფიულ მექვიდრეობაში.

განსაკუთრებით მისასალმებელია ის, რომ ამა თუ იმ საკითხზე მსჯელობისას, სხვადასხვა მოსაზრებების სიჭრელის მიუხედავად, ლ. ჭინჭარაული არ ერიდება საკუთარი ხედვის წარმოჩენას და, შესაძლებლობისამებრ, ცდილობს მის დასაბუთებას. ზოგიერთი მისი დაკვირვება და დასკვნა უაღრესად საყურადღებოა და ნამდვილად შეიცავს ისტორიოგრაფიულ სიახლეს. ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ვთვლით, რომ ლელა ჭინჭარაულის ნაშრომი მაღალ აკადემიურ დონეზე შესრულებული მონოგრაფიული გამოკვლევაა და მისი ავტორი იმსახურებს ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხს.

სარეცენზიო ნაშრომი, ბუნებრივია, არ არის დაზღვეული ცალკეული ხარვეზებისაგან. პირველ რიგში, ჩვენი აზრით, დასაკონკრეტებე-

ლი იყო საკვალიფიკაციო შრომის თემა. მისი სათაური – „ქართლის საერისმთავრო VI-IX საუკუნეებში“ – ზოგადად, ყოველგვარი დაკონკრეტების გარეშე, ძალიან პრეტენზიულია, ვინაიდან ის გულისხმობს მოცემულ პერიოდში ქართლის სახელმწიფოს მთელ ისტორიას, რისი სათანადო მეცნიერული სიღრმით გაშუქება ერთ საკანდიდატო დისერტაციაში, რასაკვირველია, სრულიად წარმოუდგენელია. ნაშრომში გაპარულია, ერთი შეხედვით, თითქოს უწყინარი შეცდომა: არაბთა სახელიფოს პროვინცია „არმინია“ მოხსენიებულია „არმენიად“.

ვფიქრობთ, იმ ფონზე, როდესაც ჩვენი სომეხი კოლეგები ყოველნაირად ცდილობენ, ეს არაბული პროვინცია ზოგადად სომხეთად („არმენიად“) წარმოაჩინონ,¹ ჩვენი მხრიდან, მეტი სიფრთხილეა საჭირო. არ მიგვაჩნია გამართლებულად ზოგიერთ ხელმისაწვდომ (მაგ. ე. პახომოვის და სხვ.) პუბლიკაციაში განვითარებული დებულების გადმოცემა სხვა ავტორის შრომის მიხედვით. არ შეიძლება წარსულის მოღვაწეების – იმპერატორების და ა.შ. სახელთა ინიციალის ფორმით გადმოცემა (მაგ. კ. პორფიროგენეტი). განა ვინმეს მოუვა თავში დაწეროს დ. აღმაშენებელი, ან გ. ბრწყინვალე. ამა თუ იმ საკითხის ირგვლივ მოსაზრებების განხილვისას, საჭიროა დავიცვათ ქრონოლოგიური პრინციპი. მაგ., ჯერ უპრიანია გავაანალიზოთ მ. ბროსეს თვალსაზრისი და მხოლოდ ამის შემდეგ თანამედროვე მკვლევრის გ. აბრამიშვილის, და არა პირიქით (ასეთი შემთხვევები ნაშრომის სხვადასხვა ადგილას გვხვდება). უფრო ფრთხილი უნდა ვიყოთ ცალკეულ გამოთქმებში. მაგ., 614 წლის მოვლენების გაშუქებისას არ შეიძლება ვილაპარაკოთ „საქართველოსა და მის სამეფო კარზე“. მართალია, დისერტანტი ძირითადად საკმაოდ კარგად წერს, მაგრამ ნაშრომის ცალკეული ადგილები ამ თვალსაზრისით მაინც დახვეწას მოითხოვს.

მიუხედავად ამ და სხვა ნაკლებად თვალში საცემი ნაკლოვანებებისა, რომელთა ნაწილს ზემოთაც შევეხეთ, მიგვაჩნია, რომ ლელა ჭინჭარაულის საკვალიფიკაციო ნაშრომი, მთლიანობაში, ნამდვილად პასუხობს საკანდიდატო დისერტაციისადმი წაყენებულ მოთხოვნებს, ხოლო მისი ავტორი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, იმსახურებს ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის დიებულ ხარისხს.

¹ ამის დასტურია თუნდაც Xs. ცნობილი სომეხი ისტორიკოსის იოანე დრასხანაკერტცის თხზულების რუსული თარგმანისათვის დართული რუკების, რომელშიც „არმინია“-„არმენის“ შემადგენლობაში თითქმის მთელი აღმოსავლეთ საქართველოა მოქცეული, დასათაურებები. იხ. **Ованес Дрახанакерти.** История Армении. Перевод с древнеармянского **М. О. Дарбинян-Меликян.** Ереван, 1984.

საინტერესო ნაშრომი ლაშა-გიორგის პიროვნებაზე

რეცენზია გვანცა აბღალაძის მიერ ისტორიის მეცნიერებათა
კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილ
ნაშრომზე: „საქართველოს მეფე გიორგი IV ლაშა (1206-1223)“
სპეციალობა 07.00.01 – საქართველოს ისტორია. 2006.

შუა საუკუნეების ხანის საქართველოს პოლიტიკურ მოღვაწეთა, პირველ რიგში, მეფეების სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური საქმიანობის მეცნიერულ შესწავლას ყოველთვის ექცეოდა ჯეროვანი ყურადღება ქართულ ისტორიოგრაფიაში, თუმცა, შეიძლება ითქვას, რომ ბოლო დრომდე, ამ მიმართულებით კვლევა, მაინც და მაინც პრიორიტეტულად არ ითვლებოდა. უფრო მეტიც, მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიური კონინქტურის არსებობის პირობებში, ერთგვარად საშიშიც კი იყო მეფეთა ნაღვაწის ობიექტური გაშუქება და გასაკუთრებით მისი რეკლამირება. მეფეები, როგორც „მჩაგვრელი კლასის“ მესვეურები, არ შეიძლებოდა წარმოჩენილიყვნენ პროგრესულ მოღვაწეებად.

ცნობილია, მაგალითად, თუ როგორ გაილაშქრა კრემლმა (მაშინდელი პარტიული ფუნქციონერის ალექსანდრე იაკოვლევის პუბლიკაციით) გასული საუკუნის 70-იანი წლების დამდეგს იმ ისტორიკოსების წინააღმდეგ (მეტადრე ეროვნულ რესპუბლიკებში), რომლებიც, ოფიციალური აზრით, ქება-დიდებას ასხამდნენ „მშრომელი ხალხის მჩაგვრელ“ მეფე-მთავრებს (როგორც ცნობილია, ალ. იაკოვლევის ერთ-ერთი სამიზნე რ. მეტრეველი აღმოჩნდა). უნდა აღინიშნოს, რომ კომუნისტური რეჟიმის ამ უბადრუკ მცდელობას წინ აღუდგნენ მაშინდელი საბჭოური ისტორიოგრაფიის თვალსაჩინო წარმომადგენლები.

ასე მაგალითად, 1973 წელს, ალ. იაკოვლევის „დამოდგურის“ საპირისპიროდ, გამოჩენილმა რუსმა ისტორიკოსმა და არქეოლოგმა, იმჟამად სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის განყოფილების აკადემიკოს-მდივანმა, სსრკ ისტორიკოსთა ეროვნული კომიტეტის თავმჯდომარემ, აკად. ბორის რიბაკოვმა, სრულიად შეგნებულად, შესაშური პატრიოტული პათოსით დაიწყო საჯარო ლექციების კითხვა ძველი რუსეთის დიდ მთავრებზე¹. მართალია, ქართველი ისტორიკოსე-

¹ ერთ-ერთ ასეთ ლექციას მოსკოვის მეცნიერთა სახლში, რომელიც მიქაძე დენა დიდი მთავრის ანდრია ბოგოლიუბსკის მოღვაწეობას, ესწრებოდა ამ სტრიქონების ავტორიც – იმჟამად აკად. ბ. რიბაკოვის ასპირანტი მ. ლომონოსოვის სახ. მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტიში.

ბი მაინცდამაინც არ შეუშინებია ცენტრის ამ კონიუნქტურულ მითითებას, თუმცა იყო შემთხვევები, როდესაც ზოგიერთი ჩვენი კოლეგა, „კლასობრივი პოზიციებიდან“ გამომდინარე, ერიდებოდა თვით დავით აღმაშენებლის მოხსენიებასაც კი იმ ეპითეტით, („აღმაშენებლის“), რომლითაც ეს დიდი პიროვნება შეამკო მაღლიერმა შთამომავლობამ.

როგორც ცნობილია, ქართველ მეფეთა სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური და კულტურულ-საგანმანათლებლო მოღვაწეობას საგანგებო ყურადღებას აქცევდა აკად. ივანე ჯავახიშვილი, სწორედ მის სახელს უკავშირდება ერთიანი საქართველოს მეფეთა ისტორიული პორტრეტების მთელი გალერეის შექმნა. ცალკეული მეფეების პორტრეტები მოგვცეს სარგის კაკაბაძემ, შოთა მესხიამ, გიორგი პაიჭაძემ, მარიამ ლორთქიფანიძემ, როინ მეტრეველმა, გიორგი მჭედლიძემ, ჯემალ სტეფენაძემ და სხვ. ამ ბოლო დროს საქართველოს ისტორიის კათედრამ განახორციელა საკმაოდ საინტერესო პროექტი, რომელიც შეჯამდა წიგნში: „**საქართველოს მეფეები**“: იმთავითვე გვინდა განვაცხადოთ, რომ **გვანცა აბღალაძის** მიერ ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი ნაშრომი – „**საქართველოს მეფე გიორგი IV ლაშა**“ – აღნიშნული მიმართულებით კვლევის წარმატებული გაგრძელებაა.

სარეცენზიო ნაშრომი შედგება შესავლის, 3 თავისა და დასკვნისაგან. ნაშრომს დართული აქვს გამოყენებული საისტორიო წყაროებისა და სპეციალური სამეცნიერო ლიტერატურის მეტად შთაბეჭდავი სია. ნაშრომის სტრუქტურა უაღრესად საინტერესოდ და ორიგინალურადაა გააზრებული. **შესავალში** მოცემულია საკვლევი თემის აქტუალობა, აგრეთვე საისტორიო წყაროებისა და პრობლემის ირგვლივ არსებული მრავალფეროვანი ისტორიოგრაფიული მემკვიდრეობის საკმაოდ სკრუპულოზური ანალიზი. ამ მხრივ ჩვენი ყურადღება განსაკუთრებით მიიპყრო „*ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანის*“ (ივანე მხარგრძელის მიერ ათაბაგობის „მოვერაგების“ ფაქტთან დაკავშირებით), აგრეთვე „*ცხოვრება მეფეთ-მეფისა თამარისის*“ (თამარ მეფის დის, რუსუდანის ასაკთან დაკავშირებით) ტექსტებზე დაკვირვებებმა და ამ მათიანეებში გვიანდელი რევიზიის კვალის ძიებამ. აქვე გვინდა შევნიშნოთ, რომ დისერტანტი თამარის მეორე ისტორიკოსის ვინაობის საკითხში მიჰყვება აკად. ივანე ჯავახიშვილის თვალსაზრისს და „*ცხოვრება მეფეთ მეფისა თამარისის*“ ავტორად უპირობოდ ბასილი ეზოსმოდვარს მიაჩნევს, რაც, დღევანდელი გადასახედიდან, მეტ არგუმენტაციას მოითხოვს.

სადისერტაციო ნაშრომის **I თავი**, რომელსაც მეტად ორიგინალური სათაური – „**მეფე და პიროვნება**“ – აქვს, დაყოფილია 4 პარაგრა-

ფად. მათში დისერტანტი თანმიმდევრულად აანალიზებს ლაშა-გიორგის მოღვაწეობის ყველა ასპექტს. ის აზუსტებს ლაშას დაბადების, გამეფებისა და გარდაცვალების თარიღებს. ცალკეა განხილული მეფის სახლობა, ტახტის მემკვიდრეობის საკითხი, გარკვეულია მეფის ტიტულატურა, დაზუსტებულია სამეფო დომენის საზღვრები და რეზიდენციების ადგილმდებარეობა, შესწავლილია იკონოგრაფიული მემკვიდრეობა, ინსიგნიები, ფაქსიმილე. აქვე, დისერტანტი საგანგებოდ ჩერდება ლაშა-გიორგის ფსიქოლოგიურ პორტრეტზე. სწორია გ. აბდალაძის დასკვნები თამარ მეფის მეორე ქორწინებისა (1188 წლის დასაწყისი) და ლაშა-გიორგის დაბადების (1192-1193წწ.) თარიღებთან დაკავშირებით. თუმცა ამ საკითხებზე მსჯელობისას არ იქნებოდა ურიგო ალ. აბდალაძისა (თამარისა და დავით-სოსლანის შეუღლების თარიღის ირგვლივ) და ილ. ანთელავას (ლაშას დაბადების თარიღზე) თვალსაზრისების მოტანა, მით უფრო, რომ ეს უკანასკნელი სულაც არ თვლის ლაშას 1192-1193 წლებში დაბადებულად.

დისერტანტი სწორად აღნიშნავს, რომ თამარის ეპოქაში გარკვეული ადმინისტრაციული რეფორმა გატარდა, რომლის შედეგადაც აფხაზთა და ცხუმის საერისთავოები გაიყო, და რომ ცხუმის ერისთავი იყო ამანელასძე, ხოლო აფხაზთა ერისთავი კი – ოთალო შარვაშიძე. დასაინათხვად, რომ ამ საკითხზე მსჯელობისას გ. აბდალაძე არ უთითებს იმ მკვლევართა (გ. ცქიტიშვილი, ილ. ანთელავა, მ. ბახტაძე და სხვ.) ნაშრომებზე, რომლებმაც დაამკვიდრეს ეს თვალსაზრისი ისტორიოგრაფიაში. უაღრესად საინტერესოა დისერტანტის დაკვირვებები თამარის გარდაცვალების თარიღთან დაკავშირებით, რომელიც ეფუძნება წყაროთა მონაცემების კვალიფიციურ ანალიზს. ასევე სწორად მიგვაჩნია ლაშა-გიორგის თამარის თანამოსაყდრედ კურთხევის 1206 წლით დათარიღება.

სადისერტაციო ნაშრომის ამ ნაწილში, როგორც უკვე აღვნიშნეთ, საგანგებოდაა ყურადღება გამახვილებული მეფის სახლობაზე. ავტორი ჩერდება დავით-სოსლანის თამარის ქმრად მოყვანის პერიპეტებზე და სავსებით სამართლიანად შენიშნავს, რომ ოვსი უფლისწულის კანდიდატურა „გულდასმით იყო აწონილი და მოფიქრებული“. მაგრამ სამეფო კარის სიფრთხილე ნამდვილად არ იყო გამოწვეული იმით, რომ თამარის პირველმა თანამეცხედრემ – „გიორგი რუსმა მეფობა მოინდომა“, როგორც ამას აღნიშნავს დისერტანტი. გიორგი რუსი ვერც განქორწინებამდე და, მით უმეტეს ვერც 1191 წელს, როდესაც მისმა მომხრეებმა მოაწყვეს დიდი აჯანყება რუსი უფლისწულის სასახლეში დასაბრუნებლად, არ იქნებოდა ისეთი გულუბრყვილო, რომ ეოცნება

საქართველოს მეფობაზე უთამაროდ. ერთადერთი რეალური მიზანი, რომლის განხორციელებისათვის იბრძოდა თამარის პირველი მეუღლის ბანაკი, უდავოდ იქნებოდა მეფე-ქმრის სტატუსის დაბრუნება და არა თამარის გადაყენება და მის ნაცვლად ყოფილი ქმრის საქართველოს სამეფო ტახტზე ერთპიროვნულად აყვანა. გეგუთის აქტი, რომელსაც ასე გაკვირვებით აფიქსირებს მემკატიანე ნამდვილად არ უნდა გავიგოთ პირდაპირი მნიშვნელობით. ეს უფრო იყო დასავლეთ საქართველოს არისტოკრატიის მხრიდან ძალის დემონსტრირება და სერიოზული განაცხადი იური ანდრეას ძის ტახტზე დასაბრუნებლად თამარის გვერდით. კიდევ ერთელ ხაზს ვუსვამთ, **არა თამარის ნაცვლად, არამედ მის გვერდით.**

იმავე დავით-სოსლანის ვინაობაზე მსჯელობისას, დისერტანტი მართებულად ამხვეილებს ყურადღებას მის წარმომავლობაზე და იხსენებს გიორგი I-ისა ოვსთა მეფის ასულ ალდას ურთიერთობას. ამასთან დაკავშირებითაც გვეუფლება ერთგვარი უკმაყოფილების გრძნობა. ჩვენის აზრით, გ. აბდალაძეს ნამდვილად შეეძლო ამ თემის გაშლა სათანადო სპეციალური ლიტერატურის, მათ შორის ი. ჯიჭონაიას უახლესი პუბლიკაციის¹ მოხმობით. ეს დისერტანტს უთუოდ გამოადგებოდა თუნდაც ლაშა-გიორგის შესაძლო ჯვრისწერაზე საუბრისას, ვინაიდან დაახლოებით იგივე სიტუაციასთან უნდა გვქონდეს საქმე გიორგი I-ისა და ალდას შემთხვევაშიც.²

არანაკლებ საინტერესოა სადისერტაციო ნაშრომის II თავი: „**საშინაო-პოლიტიკური ვითარება გიორგი IV-ის მეფობაში**“. მასში ცალკე პარაგრაფებადაა გამოყოფილი შემდეგი საკითხები: სახელმწიფო მმართველობის სისტემა, ლაშა-გიორგის ურთიერთობა სასულიერო ხელისუფლებასთან, ურთიერთობა აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთთან, მეფის საფინანსო პოლიტიკა, ურთიერთობა მეფის „მოწინააღმდეგეთა“ და „თანამოასაკეთა“ დასებს შორის. დისერტანტი მსჯელობს თამარისეულ ტოლერანტობის პოლიტიკაზე და თვლის, რომ სწორედ ამგვარი შემწინარებლური პოლიტიკა იყო „იმპერიის შენარჩუნების აუცილებელი პირობა“. მიუხედავად იმისა, რომ თამარის ისტორიკოსი ნამდვილად უსვამს ხაზს განსხვავებას (მეზობელ ქვეყნებთან დამოკიდებულებაში) დავით აღმაშენებლისეულ „აგრესიულ“ პოლიტიკასა და თამარის „ლი-

¹ ი. ჯიჭონაია. ქართული საისტორიო ტრადიცია დავით-სოსლანის ბაგრატიონობის შესახებ. – *საისტორიო ძიებანი*, წელიწადუული, V. თბ., 2002, გვ. 25-42

² იხ.: **ზ. პაპასქირი**. ერთიანი ქართული ფეოდალური სახელმწიფოს წარმოქმნა და საქართველოს საგარეო-პოლიტიკური მდგომარეობის ზოგიერთი საკითხი. თბ., 1990, გვ. 123-138.

ბერალურ“ კურსს შორის, ვფიქრობთ, ქართულ ისტორიოგრაფიაში გაბატონებული თვალსაზრისი საქართველოს ორი დიდი მეფის პრინციპულად განსხვავებულ საგარეო-პოლიტიკურ მიდგომებთან დაკავშირებით, რამდენადმე გადაჭარბებულია.

არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ქართული საისტორიო ტრადიციის თანახმად აჯანყებულ მთიელთა მიმართ მკაცრი რეპრესიული ღონისძიებები სწორედ თამარის მეფობისას გატარდა. თამარის დროს იქნა უშუალოდ შემოერთებული საბოლოოდ ანისის სომხური ქვეყანა და სხვა სომხური ტერიტორიები (მათი ჩამონათვალი იხ. საღისერტაციო ნაშრომის 68-ე გვერდზე). ერთი სიტყვით, სხვა მეზობელ ქვეყნებთან ყმაღნაფიცობას საქართველოს სახელმწიფო თამარის კეთილბუნებოვნების გამო კი არ სჯერდებოდა, არამედ ამას იმიტომ აკეთებდა, რომ იმჟამად მეზობელი მუსლიმური ქვეყნების შემომტკიცება და ამ რეგიონების საქართველოს სახელმწიფოსთან უშუალოდ შერწყმა არარეალური ჩანდა. სხვათა შორის, საღისერტაციო ნაშრომის სხვა ადგილას დისერტანტი თითქოს ამ დასკვნისკენაც იხრება.

საღისერტაციო ნაშრომის ამ ნაწილში ყურადღებას ამახვილებს საქართველოს ადმინისტრაციულ მოწყობაზე და ჩამოთვლის ქვეყნის საერისთავოებს. მიგვაჩნია, რომ აქაც შეიძლებოდა სპეციალური ლიტერატურის (თუნდაც მ. ბახტაძის მონოგრაფიის) მითითება. საინტერესოა დისერტანტის დაკვირვებები სავაზიროზე. ის სავსებით სწორად შენიშნავს, რომ ლაშა-გიორგის დროს სამხედრო უწყება საბოლოოდ არის გამოსული პირველი ვეზირის – მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდლის დაქვემდებარებიდან და რომ ლაშას მეფობაში ზოგადად ამ სახელოს დაკნინება-დამცრობა უკვე დაწყებულია. უფრო მეტიც, ჩვენის აზრით, დავით აღმაშენებლის გარდაცვალების შემდეგ, სამხედრო უწყების ხელმძღვანელები არანაკლებ აქტიურები ჩანან. რად ღირს თუნდაც ივანე ორბელის ფიგურა. თამარის მეფობის დასაწყის სტადიაზე თითქოს მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდლის სახელო კვლავ გახდა საინტერესო (გავიხსენოთ მიქაელ მირიანის ძის ბრძოლა ამ სახელოსათვის), მაგრამ მოგვიანებით, აღზევებული მხარგრძელების ფონზე, პირველი ვეზირის გავლენა მაინცდამაინც არ ჩანს. ვეთანხმებით დარბაზის როგორც სახელმწიფო მმართველობის მუდმივმოქმედ ორგანოს დისერტანტისეულ გააზრებას, თუმცა მიგვაჩნია, რომ ამ შემთხვევაშიც შეიძლებოდა განსხვავებული თვალსაზრისზე (ილ. ანთელავა) კომენტარი, აგრეთვე ზოგიერთი სხვა პუბლიკაციის (ალ. აბდალაძე, დ. ლეთოლიანი და ა.შ.) მითითება.

საღისერტაციო ნაშრომის ამ ნაწილში სავსებით სამართლიანადაა

გაკრიტიკებული თანამედროვე სომხურ ისტორიოგრაფიაში შემუშავებული თვალსაზრისი ე.წ. „ზახარიდების სომხეთზე“ როგორც ერთგვარ ავტონომიურ ერთეულზე საქართველოს სახელმწიფოს ფარგლებში და მართებულადაა აღნიშნული, რომ „ამ ეპოქის არცერთი ნარატიული და დოკუმენტური წყარო არ ახსენებს სომხეთის სახელმწიფოს ამიერკავკასიაში“.

ძალზე საინტერესო და ორიგინალურია დისერტანტის დაკვირვებები ლაშა-გიორგის ურთიერთობებზე აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთთან. მას საისტორიო მეცნიერების სამსახურში შემოაქვს მრავალფეროვანი ფოლკლორული მასალა. ისტორიოგრაფიული თვალსაზრისით ასევე უაღრესად ფასეულია პარაგრაფი მეფის „თანამოასაკეთა“ და „მოწინააღმდეგე“ დასებზე. დისერტანტი სავსებით სწორად შენიშნავს, რომ თამარის დროს დასავლეთ და ნაწილობრივ სამხრეთ საქართველოს არისტოკრატია რამდენადმე შეიზღუდა და, რომ მათი ერთგვარი რეაბილიტაცია მოახდინა ლაშა-გიორგიმ. ჩვენ არ გამოვიცხავთ, რომ „ახალი დაბალანსების პოლიტიკას“ მართლაც „თამარის დროსვე ჩაეყარა საფუძველი“, მაგრამ გვიჭირს იმის დაჯერება, რომ ამას (თუნდაც ორბელთა რეაბილიტაციას) თამარი გამიზნულად „გაზულუქებული მხარგრძელების წინააღმდეგ“ აკეთებდა, როგორც ამას ფიქრობს გ. აბდალაძე. აქ არ შეიძლება ყურადღება არ მიექცეს ერთ გარემოებას, რომელსაც თვით დისერტანტიც აფიქსირებს. ორბელთა შემდგომ დაწინაურება-გაძლიერებაში (უკვე ლაშას ეპოქაში) ივანე მხარგრძელის ხელიც ერია.

სადისერტაციო ნაშრომის დასკვნით თავში – **„გიორგი-ლაშას საგარეო პოლიტიკა“** – გულდასმითაა გაანალიზებული საქართველოს სახელმწიფოს საგარეო-პოლიტიკური მდგომარეობა ლაშა-გიორგის მეფობის პერიოდში. მახვილგონივრულადაა გამოკვეთილი ამ რაინდი მეფის საგარეო-პოლიტიკური პრიორიტეტები: „1. ამიერკავკასიაში სრული ჰეგემონობის მოპოვება არსებულ პოლიტიკურ ერთეულთა საქართველოს სახელმწიფოში ასიმილაციის (უფრო სწორი იქნებოდა ინტეგრაციის – **ზ.პ.**) გზით. 2. ანატოლიის სომხური სამფლობელოების (ხლათი, კილიკია) დაქვემდებარება და „ყოველი საქართველოს გარშემო“, სამხრეთ-აღმოსავლეთ საზღვრებთან, ბუფერული სივრცის შექმნა. 3. ჯვაროსნებთან ალიანსი და მონაწილეობა იერუსალიმის განთავისუფლებაში.“ ნაშრომში დეტალურადაა განხილული განძის საკითხი და ურთიერთობა ილდეგიზიანებთან, ხლათის საკითხი და ურთიერთობა აიუბიანებთან, ურთიერთობები ჯვაროსნულ სამყაროსთან და ბოლოს სამხედრო დაპირისპირება მონღოლებთან. სხვადასხვა ენოვანი წყაროე-

ბის მონაცემების შეჯერების შედეგად დისერტანტი ლაშა-გიორგის წარმოგვიჩინეს, როგორც საკმაოდ მასშტაბურ, მაღალი საერთაშორისო ავტორიტეტის მქონე მოღვაწედ. ეს ალბათ, მართლაც, ასე იყო, თუმცა მონღოლებთან განცდილი მარცხი მეტად დამაფიქრებელია და ლაშა-გიორგის საგარეო-პოლიტიკური (და თუნდაც სამხედრო) მოღვაწეობის შეფასებისას უფრო კრიტიკულად უნდა იქნეს გააზრებული.

ასეთია ზოგადად გვანცა აბღალაძის საკანდიდატო დისერტაციაში დასმული და მეცნიერულად გადაჭრილი საკითხების ნუსხა. როგორც ვხედავთ, შესრულებულია საკმაოდ შრომატევადი სამუშაო. დისერტანტმა მრავალფეროვანი საისტორიო წყაროების მონაცემების კრიტიკული ანალიზისა და ფართო ისტორიოგრაფიული მემკვიდრეობის კაპიტალური დამუშავების შედეგად შექმნა მაღალი დონის სამეცნიერო გამოკვლევა, რომელშიც სრულად წარმოაჩინა საქართველოს ერთ-ერთი საინტერესო მონარქის, უაღრესად რთული და წინააღმდეგობრივი პიროვნების ღვაწლი ქვეყნის წინაშე. მასში ამომწურავადაა გაშუქებული ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური და სამხედრო-პოლიტიკური ცხოვრების პერიპეტეიები და ნაჩვენებია ეპოქის ერთობ დამაჯერებელი სურათი, რომლის ფონზე იკვეთება მეფე ლაშა-გიორგი IV-ის – ამ მეტად ტრაგიკული პიროვნების – ისტორიული პორტრეტი. ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე შეიძლება ითქვას, რომ ცალკეული პოლიტიკური მოღვაწეების, მეფეების ისტორიული პორტრეტი სწორედ ასე უნდა იქმნებოდეს. საგანგებოდ უნდა აღინიშნოს დისერტანტის განსწავლულობა, წერის მაღალი კულტურა. უზადოა სადისერტაციო ნაშრომის გაფორმების ხარისხი, რაც ასე პრობლემური გახდა ამ ბოლო დროს.

წარმოდგენილი სადისერტაციო შრომა რასაკვირველია, არაა დაზღვეული ცალკეული ხარვეზებისაგან. მათგან განსაკუთრებით თვალში საცემია უყურადღებობა ციტირებული მასალის მითითებისას. კერძოდ, ნაშრომის მთელ რიგ ფრაგმენტებში დისერტანტს მოჰყავს ფაქტები ამა თუ იმ წყაროდან, ან ცალკეულ მეცნიერთა თვალსაზრისი, მაგრამ რატომღაც ავიწყდება მათი მითითება. ამ ხარვეზის აღმოფხვრა სრულიადაც არ წარმოადგენს დიდ სიძნელეს და ნაშრომის წიგნად გამოცემისას (რაც თავისთავად საშური საქმეა), აუცილებლად უნდა გასწორდეს. გვაქვს კიდევ ერთი სურვილი. იქნებ დისერტანტმა შეავსოს ნაშრომის ისტორიოგრაფიული ნაწილი ზოგადად მეფეთა ისტორიის მეცნიერული შესწავლის სფეროში ქართულ ისტორიოგრაფიაში არსებული თანამედროვე მდგომარეობის მოკლე მიმოხილვით და ამით უკეთ წარმოაჩინოს საკუთრივ მის მიერ შეტანილი წვლილი მოცემული პრობლემატიკის კვლევაში.

დაბოლოს, სრულიად აშკარაა, რომ ჩვენს წინაშე უდავოდ ნიჭიერი, ყოველმხრივ ჩამოყალიბებული მეცნიერი, რომელმაც წარმატებით გაართვა თავი დასახულ ამოცანას და წარმოადგინა სოლიდური მონოგრაფიული გამოკვლევა, რომელიც მთლიანად აკმაყოფილებს საკანდიდატო დისერტაციისათვის წაყენებულ მოთხოვნებს. უფრო მეტიც, გ. აბდლაძის ნაშრომი უდავოდ შენაძენია ქართული მედიევისტიკისათვის. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, თავს უფლებას ვაძლევ, ვიშუამდგომლო ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის, საქართველოს ისტორიის წყაროთმცოდნეობისა და ისტორიოგრაფიის, ისტორიული კულტუროლოგიის სადისერტაციო საბჭოს წინაშე, რათა **გვანცა აბდლაძეს** სადისერტაციო ნაშრომისათვის: **„საქართველოს მეფე გიორგი IV ლაშა (1206-1223)“** მიენიჭოს ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის დიეხული ხარისხი.

საჭირო გამოკვლევა შუა საუკუნეების სომხურ საისტორიო წყაროებზე

რეცენზია ელენე ცაგარეიშვილის მიერ ისტორიის მეცნიერებათა
დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილ
ნაშრომზე: „საქართველოს ისტორიის VII-XIII საუკუნეების სომხური
საისტორიო წყაროები“. სპეციალობა 07.00.02 – საქართველოს
ისტორიის წყაროთმცოდნეობა და ისტორიოგრაფია. 2006

არ ვიქნებით ორიგინალური, თუ ვიტყვით, რომ შუა საუკუნეების
ხანის სომხურ საისტორიო წყაროებს სრულიად განსაკუთრებული მნი-
შვნელობა ენიჭება ძველი და შუა საუკუნეების პერიოდის საქართვე-
ლოს ისტორიული წარსულის შესწავლისას. უფრო მეტიც, როგორც
საქართველოს შესახებ ინფორმაციის სიუხვით, ისე წარმოდგენილი სა-
ისტორიო მასალების სანდოობის თვალსაზრისითაც სომხური წერი-
ლობითი ძეგლები მხოლოდ საკუთრივ ქართულ წყაროთმცოდნეობით
მემკვიდრეობასა და თუ ჩამოუვარდება. ამ მხრივ რად ღირს თუნდაც ის
ფაქტი, რომ მეზობელ ხალხთაგან ერთადერთმა – სომხებმა ჯერ კი-
დეც XII საუკუნეში ჩათვალეს მიზანშეწონილად, ჰქონოდათ მშობლიურ
ენაზე საქართველოს ისტორიის ამსახველი წიგნი, რისთვისაც თარგმ-
ნეს კიდეც „ქართლის ცხოვრების“ კრებულის იმ დროისათვის არსე-
ბული რედაქცია. მართალია, „ქართლის ცხოვრების“ სომხური თარგმ-
ნის შექმნა მნიშვნელოვანწილად იმჟამინდელმა პოლიტიკურ-სახელმწი-
ფოებრივმა კონიუნქტურამ – სომხებს უნდა ცოდნოდათ იმ სახელმწი-
ფოს (საქართველოს) ისტორია, რომლის ფარგლებშიც ისინი აღმოჩნდ-
ნენ – განაპირობა, მაგრამ ეს სულაც არ აკნინებს თვით ამ ფაქტის
კულტურულ-საგანმანათლებლო მნიშვნელობას.

სომხური საისტორიო წყაროების მეცნიერულ შესწავლას ყოველ-
თვის ექცეოდა დიდი ყურადღება საქართველოში. ამ დარგის, ფუძემდ-
ბელი, როგორც ცნობილია, დიდი ივანე ჯავახიშვილი იყო, რომელმაც
შექმნა კლასიკური ნაშრომი ძველი სომხური საისტორიო მწერლობის
ძეგლებზე. სადღეისოდ, ქართველ არმენოლოგთა – ფილოლოგთა, ის-
ტორიკოსთა – მრავალი თაობის წარმომადგენლების მუხლჩაუხრელი
შრომის შედეგად სკრუპულოზურადაა შესწავლილი სომხური წერილო-
ბითი წყაროები, პირველ რიგში კი, სომხური საისტორიო ხასიათის
თხზულებები და შეიძლება ითქვას შექმნილია კიდეც ერთგვარი სომხუ-
რი „გეოგრაფია“. ამ მხრივ საგანგებოდ უნდა აღინიშნოს ლეონ ძეგლიქ-
სეთ-ბეგის, ილია აბულაძის, ლაშა ჯანაშიას, ზაზა ალექსიძის, ლიანა

დავლიანიძის, კარლო კუციას, ალექსანდრე აბდალაძის და სხვა მკვლევართა ნაღვაწი. ქართველ მეცნიერ-არმენისტთა ამ კოჰორტას ამშვენებს ჩვენი დღევანდელი დისერტანტის – ელენე ცაგარეიშვილის სახელიც.

თითქმის 40 წელია, რაც ქნი ელენე ნაყოფიერად იკვლევს შუა საუკუნეების სომხურ საისტორიო მწერლობას. ამ ხნის განმავლობაში მან საგულდაგულოდ შეისწავლა, ქართულად თარგმნა და ქართველ ისტორიკოსთათვის ხელმისაწვდომი გახდა არაერთი სომეხი ავტორის თხზულება. მას ეკუთვნის შუა საუკუნეების სომხური საისტორიო მწერლობის ისეთი გიგანტების ნაწარმოებთა თარგმნა, როგორცაა იოანე დრასხანაკერტცი და არისტაკეს ლასტივერტცი. გარდა ამისა, მანვე თარგმნა ქართულად და მიუჩინა სათანადო ადგილი საქართველოს ისტორიის წყაროთმცოდნეობით მონაცემთა ბაზაში სხვა სომეხ ისტორიკოსთა (სებოსი, ლევონდი, თომა არწრუნი, სტეფანოს ორბელიანი და ა.შ.) ცნობებს საქართველოზე. დღეს საპაექროდ გამოტანილი სადისერტაციო ნაშრომი სწორედ მეცნიერის მიერ ბოლო ათწლეულების მანძილზე ჩატარებული მრავალმხრივი წყაროთმცოდნეობითი კვლევის ერთგვარ შეჯამებას წარმოადგენს.

იმთავითვე გვინდა შევნიშნოთ, რომ ე. ცაგარეიშვილის უაღრესად საყურადღებო და მნიშვნელოვანი პუბლიკაციების ფონზე, თამამად შეიძლება ითქვას, დისერტანტს არ წარმოედგინა ცალკე გამოკვლევა და დაცვაზე წარმდგარიყო სამეცნიერო მოხსენება-ავტორეფერატით, რაც, ჩვენი ღრმა რწმენით სავსებით საკმარისი იქნებოდა მისთვის ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მისანიჭებლად. მიუხედავად ამისა, ქ-მა ელენემ, როგორც ჩანს, მაინც არჩია, არ წასულიყო იოლი გზით, მოეხდინა თავისი მრავალწლიანი წყაროთმცოდნეობითი დაკვირვებების კიდევ ერთხელ გაანალიზება, მათი ერთიან შემაჯამებელ ნაშრომში თავმოყრა და უკვე მონოგრაფიული გამოკვლევის სახით გამოტანა დასაცავად. სარეცენზიო ნაშრომი შედგება შესავლის, 5 თავისა და ძირითადი დასკვნებისაგან. ნაშრომს დართული აქვს გამოყენებული საისტორიო წყაროებისა და სამეცნიერო ლიტერატურის სია, აგრეთვე ფრაგმენტები სომეხ ავტორთა თხზულებებიდან მის მიერ შესრულებული თარგმანებიდან.

შესავალში გადმოცემულია საქართველოს სხვადასხვა სამეცნიერო ცენტრებში შესრულებული არმენოლოგიური სამუშაოების ისტორია. დისერტანტი იძლევა ქართული არმენისტიკის მიღწევების საკმაოდ სრულ სურათს და მის ფონზე წარმოაჩენს საკვლევი თემის აქტუალობას.

სადისერტაციო ნაშრომის პირველ თავში – „საქართველო VII-X სს. სომხურ წყაროებში“ – სომხურ წყაროთა მონაცემებზე დაყრდნობით დაზუსტებულია აღნიშნული პერიოდის საქართველოს საგარეო-პოლიტიკური ისტორიის ცალკეული საკითხები. პირველ რიგში, ესაა საქართველოში არაბთა პირველი ლაშქრობის თარიღი. ცნობილი სომეხი ისტორიკოსების სებეოსის, ლევონდის, სტეფანოს ტარონეცის, იოანე მამიკონიანის, აგრეთვე „წმინდა ნერსესის ისტორიის“ ცნობების კრიტიკული ანალიზისა და ურთიერთშეჯერების შედეგად დისერტანტი, ჩვენის აზრით, სავსებით დამაჯერებლად ასკვნის, რომ არაბთა პირველ შემოსევას სომხეთსა და საქართველოში ადგილი უნდა ჰქონოდა არა 642-43 წწ., არამედ 639 წლის ახლო ხანებში და რომ ამ ლაშქრობის „ძირითად მიზანს ნადავლის დატაცება და ტყვეთა წასხმა წარმოადგენდა, რაც სავსებით ბუნებრივი იყო არაბთა საგარეო ექსპანსიის პირველ ეტაპზე“.

არანაკლებ საყურადღებოა დაკვირვებები 652-656 წლებში სომხეთსა და აღმოსავლეთ საქართველოში განვითარებულ მოვლენებზე. მკვლევრის აზრით 657 წლისთვის არაბებს უნდა დაეტოვებინათ ამიერკავკასია და ამით უნდა შეწყვეტილიყო ის ურთიერთობები ქართლსა და არაბთა სახალიფოს შორის, რომელიც დამყარდა ჰაბიბ იბნ-მასლამას „დაცვის სიგელის“ მიხედვით. აქვე, გვინდა შევნიშნოთ, რომ დისერტანტს რატომღაც გამორჩენია „დაცვის სიგელის“ ტექსტის აბუ-უბეიდასა და იბნ-ზანჯუვაჰითის თხზულებებში მოთავსებული ვარიანტები, რომლებიც ამ რამდენიმე ხნის წინ გამოაქვეყნა ო. ცქიტიშვილმა.

ძირითადად მისაღებია VII-VIII საუკუნეების მიჯნაზე საქართველოს საგარეო-პოლიტიკური მდგომარეობის ე. ცაგარეიშვილისეული შეფასება, თუმცა ამ შემთხვევაში ზოგი რამ, ჩვენის აზრით, მაინც მოითხოვს დაზუსტებას. კერძოდ, ჩვენ არ მიგვაჩნია მთლად დასაბუთებულად დასკვნა იმის შესახებ, რომ არაბებმა თავიანთი პოლიტიკა აღმოსავლეთ საქართველოში ჯერ კიდევ VIII ს. მიწურულიდან გაამკაცრეს. ეგრისის პატრიკიოზის სერგი ბარნუკის ძის 697 წლის ანტიბიზანტიური დემარში საპირისპიროზე უნდა მიუთითებდეს.

ამკარაა, რომ დასავლეთ საქართველოს პოლიტიკური ელიტის ეს არჩევანი უდავოდ განაპირობა იმან, რომ იმ პერიოდში არაბთა სახალიფო ბიზანტიის იმპერიაზე გაცილებით უფრო მიმზიდველი იყო. ეს კი ირიბი დადასტურებაა იმისა, რომ არაბთა სახალიფო ქართლში ჯერ კიდევ მეტ-ნაკლებად ლობერალურ პოლიტიკას ატარებდა. გარდატეხა სახალიფოს ამიერკავკასიულ პოლიტიკაში უნდა მომხდარიყო 701-702 წლებში, როდესაც ხალიფა აბდ-ალ-მალიქის ძმამ მუჰამედ იბნ-მერვან-

მა მოაწყო ექსპედიცია ამიერკავკასიაში და კარგა ხნით დაიმორჩილა სომხეთი, ქართლი და ალბანეთი. სწორედ ამ ლაშქრობის შემდეგ ჩამოყალიბდა საბოლოოდ არაბული პროვინცია „არმინია“, რომლის შემადგენლობაში ცალკე ადმინისტრაციულ-პოლიტიკური ერთეულის სახით შევიდა ქართლის საერისმთავრო.¹

ჩვენ ასევე ვერ გავიზიარებთ თვალსაზრისს იმის შესახებ, თითქოს არ შეიძლებოდეს „მსჯელობა დასავლეთ საქართველოში არაბთა მფლობელობასა და ბატონობაზე“. მართალია, დასავლეთ საქართველო, როგორც ჩანს, ნამდვილად არ ყოფილა დიდხანს სახალიფოს გავლენის ქვეშ, მაგრამ ვერც იმას ვიტყვით, რომ აქ არაბთა ბატონობა საერთოდ არ დამყარებულა. ბიზანტიის იმპერიის ხელისუფლების მიერ 709 წლის ახლო ხანებში გატარებული ღონისძიებები, კერძოდ, ლეონ ისავრიელის დიპლომატიური ვოიაჟი კავკასიაში, რომლის შესახებაც ცნობები შემოგვინახეს ბიზანტიურმა წყაროებმა,² აშკარად მიუთითებენ, რომ არაბებს საკმაოდ მყარად ჰქონდათ ფეხი მოკიდებული დასავლეთ საქართველოში. სხვა საკითხია, რომ არაბები ეგრისს მთლიანად ვერ აკონტროლებდნენ. პირველ რიგში ეს ეხება სანაპირო ზოლს, მათ შორის ფაზის-ფოთს, რომელიც ბიზანტიელთა ხელში უნდა ყოფილიყო.³ სხვათა შორის, ამას პირდაპირ ადასტურებს ე. ცაგარეიშვილის მიერ ლეონიდის თხზულებიდან მოტანილი ცნობაც, რომლის მიხედვითაც სომხეთიდან არაბთა მიერ გამოდევნილ და ეგრისში გადასულ სუმბატ კურაპალატსა და მის ამაღლას თავშესაფარი ფოთში „ბერძენთა მეფემ“ მისცა.

ხალიფა ჰიშამის მმართველობის პერიოდში (724-743წწ.) ამიერკავკასიაში შექმნილი ვითარების დახასიათებისას დისერტანტი სავსებით სწორად ამახვილებს ყურადღებას არაბებსა და ხაზარებს შორის ურთიერთობების გამწვავებაზე, თუმცა ამ საკითხზე მსჯელობისას, უპრიანი იქნებოდა ხაზი გაესვა ქართლის ერისმთავართა დიპლომატიურ ინიციატივებზეც და მათ აქტიურ მონაწილეობაზე ხაზარ-არაბთა სამხედრო-

¹ იხ.: **А. Н. Тер-Гевондян.** Армения и Арабский халифат. Ереван. 1977, გვ. 77; **А. А. Богверадзе.** Раннефеодальные грузинские государства в VI-VIII вв. – *Очерки истории Грузии*, т. II. Тб., 1988. გვ. 174

² ამის შესახებ დაწვრილ. იხ.: **თეოფანე ჟამთააღმწერელი,** – *გეორგიკა*. ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ბერძნული ტექსტი ქართული თარგმანით გამოსცა და განმარტებები დაურთო **ს. ყაუხჩი-შვილმა**, ტ. IV, ნაკვ. I. თბ., 1941. გვ. 106-113; **А. А. Богверадзе.** Раннефеодальные грузинские государства в VI-VIII вв., გვ. 174-175; **ზ. პაპასქირი.** ბიზანტიის დიპლომატია და პოლიტიკური ცვლილებები დასავლეთ საქართველოში VIII ს.-ის I ნახევარში. – *ქართული დიპლომატია*, წელიწადეული, 4. თბ., 1997, გვ. 293-296.

³ **А. А. Богверадзе.** Раннефеодальные грузинские государства в VI-VIII вв., გვ. 175.

პოლიტიკურ დაპირისპირებებში VIIIს. 20-30-იანი წლების მიჯნაზე, რომლის შესახებაც ცნობებს გვაწვდის ზოგიერთი არაბული წყარო¹

უაღრესად ფასეულია დისერტანტის წყაროთმცოდნეობითი დაკვირვებები თომა არწრუნის თხზულებაზე. ამ მხრივ განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს თომა არწრუნის ცნობები სომხეთსა და საქართველოში ბულა-თურქის ლაშქრობის შესახებ. მკვლევარი სომეხი ავტორის ცნობის სხვადასხვა წყაროთა მონაცემებთან შეჯერების შედეგად აზუსტებს ბულა-თურქის სარდლობით ამიერკავკასიაში განხორციელებული დამსჯელი ექსპედიციის მიზანს, თბილისზე გალაშქრების თარიღს და ა.შ. ჩვენ მთლიანად ვუჭერთ მხარს ე. ცაგარეიშვილის არგუმენტაციას ბულა-თურქის წინააღმდეგ მებრძოლ „აფხაზთა“ მეფედ არა თეოდოსის, არამედ მისი ძმის დემეტრე ლეონის ძის მიჩნევის თაობაზე. ასევე სწორია თომა არწრუნთან მოხსენიებული „წანარების“ ე. ცაგარეიშვილისეული (ზოგადად კახეთის საქორეპისკოპოსოს მოსახლეობა) გაგებაც. თუმცა აქვე გვაქვს პატარა შენიშვნა არაბულ წყაროებში წანართა ტომის შესახებ არსებულ მასალებზე მომუშავე მეცნიერთა დასახელებისას, დისერტანტი რატომღაც იფარგლება მ. ლაზარიანის, ი. ჯავახიშვილის, ს. ჯანაშიასა და მ. ლორთქიფანიძის დასახელებით და ყურადღების მიღმა რჩება დ. მუსხელიშვილი, თ. პაპუაშვილი, ბ. სილაგაძე და სხვა მკვლევრები.

სადისერტაციო ნაშრომის ამ ნაწილში საკვებით სწორადაა შენიშნული, რომ ბულა-თურქის შემოსევის დროს საქართველოში ადგილი ჰქონდა პოლიტიკურ ძალთა გადაჯგუფებას და რომ, ამ დროს თითოეული ქართველი ლიდერი, პირველ რიგში, თავისი პიროვნული ინტერესების შესაბამისად მოქმედებდა. სწორედ ამით ხსნის დისერტანტი ბაგრატ კურაპალატის გამოსვლას ბულა-თურქის მხარეზე, თუმცა ის არ აზუსტებს, თუ კონკრეტულად რა პოლიტიკურ მიზანს ისახავდა ტაოკლარჯეთის ოფიციალური ხელისუფლების მეთაური ამ შემთხვევაში. არადა, ამ ბოლო დროს ისტორიოგრაფიაში არის მცდელობა, მოეძებნოს მოტივაცია ბაგრატ აშოტის ძის ამ ნაბიჯს. კერძოდ, აღნიშნულია, რომ ჯერ კიდევ IXს. 40-იანი წლებიდან მაინც ბაგრატ კურაპალატმა გადასინჯა პრობიზანტიური ორიენტაცია, კურსი სახალიფოს ცენტრალურ ხელისუფლებასთან დაახლოებაზე აიღო და ამ გზით შეეცადა შიდა ქართლზე ბაგრატიონთა სახლის უზენაესობის აღდგენას.²

¹ ამის შესახებ იხ.: **ბ. სილაგაძე**, არაბთა ბატონობა საქართველოში. არაბული ცნობების მიხედვით. თბ., 1991, გვ. 85-87.

² ამის შესახებ იხ.: **მ. ლორთქიფანიძე**, **ზ. პაპასქირი**. ახალი სამეფო-სამთავროების წარმოქმნა საქართველოში და მათი ადგილი საერთაშორისო ურ-

დიდა ე. ცაგარეიშვილის ღვაწლი Xს. სომეხი ისტორიკოსის იოანე დრასხანაკერტცის ისტორიოგრაფიული მემკვიდრეობის შესწავლის საკითხში. როგორც უკვე აღინიშნა, მან ქართულად თარგმნა იოანეს „სომხეთის ისტორია“ და დაურთო მას ვრცელი გამოკვლევა. სადისერტაციო ნაშრომში შევიდა მხოლოდ ნაწილი ე. ცაგარეიშვილის დაკვირვებებისა. დისერტანტი საგანგებოდ იხილავს იოანე დრასხანაკერტცის ცნობებს დასავლეთ საქართველოზე, კერძოდ სომეხი ისტორიკოსის მონაცემების ფონზე აზუსტებს ტერმინების „აფხაზისა“ და „აფხაზეთის“ შინაარსს. ამასთან დაკავშირებით, ის მოკლედ გადმოგვცემს „აფხაზთა“ სამეფოს ისტორიას და სავსებით სამართლიანად აღნიშნავს, რომ VIIIს. მიწურულიდან XI საუკუნემდე ტერმინები „აფხაზეთი“, „აფხაზები“ აღნიშნავდნენ მთლიანად დასავლეთ საქართველოსა და მის მოსახლეობას.

აქვე არ შეგვიძლია გვერდი ავუაროთ ლეონ აფხაზეთის ერისთავის მიერ მეფის ტიტულის მოპოვების შესახებ „მატიანე ქართლისაჲს“ ცნობის სადისერტაციო ნაშრომში მოცემულ არც თუ ზუსტ კომენტარს. ე. ცაგარეიშვილის განმარტებით „მატიანე ქართლისაჲს“ ცნობა „სხვა არას გულისხმობს, თუ არა დასავლეთ საქართველოს წვრილი პოლიტიკური ერთეულების გაერთიანებას აფხაზეთის სამეფოს სახელწოდებით და გამარჯვებული ლეონ მეფის დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე მობინადრე ტომების საერთო მეფედ აღიარებას“. სინამდვილეში კი ლეონ II-ს არ გაუერთიანებია (ყოველ შემთხვევაში ეს „მატიანე ქართლისაჲს“ არ ჩანს) ეგრის-აფხაზეთი. დასავლეთი საქართველო მანამდე იყო გაერთიანებული „აფხაზეთის სამთავროს“ ფარგლებში (VIIIს. 80-იანი წლების დამდეგისათვის ეს მომხდარი ფაქტია, რომელიც დოკუმენტურადაა დაფიქსრებული იოვანე საბანის ძის თხზულებაში). ლეონ II-მ მხოლოდ ხელში ჩაიგდო („დაიპყრა“) ძალაუფლება უკვე გაერთიანებულ აფხაზეთსა და ეგრისში, განუდგა ბიზანტიას და იწოდა „მეფედ აფხაზთა“.

ჩვენ ასევე ვერ დავეთანხმებით დისერტანტის მსჯელობას იმის შესახებ, რომ 861წ. გიორგი I-მა ისარგებლა ბაგრატ უფლისწულის მცირეწლოვნებით და ხელისუფლების უზურპირება მოახდინა. ყველა საფუძველი გვაქვს ვიფიქროთ, რომ „აფხაზთა“ სამეფოში ლეონ II-ის

თიერთობებში (IX-Xს.-ის I ნახევარი. საშინაო დიპლომატია. – *ქართული დიპლომატიის ისტორიის ნარკვევები*. ტ. I. თბ., 1998, გვ. 186-187; **მ. ლორთქიფანიძე, ზ. პაპასქირი**. ახალი სამეფო-სამთავროების წარმოქმნა საქართველოში და მათი ადგილი საერთაშორისო ურთიერთობებში (IX-Xს.-ის I ნახევარი. საშინაო დიპლომატია. – *ქართული დიპლომატიის ისტორია*. თბ., 2003, გვ. 114-116.

შემდეგ, ერთი პერიოდი, ტახტის მემკვიდრეობის გარკვეული წესი არსებობდა, რომლის მიხედვითაც ტახტი უშუალოდ მამიდან შვილზე კი არ გადადიოდა, არამედ მომდევნო ძმაზე. ასე რომ გიორგი I-ს არ წაურთმევია ტახტი თავის ძმისწულ ბაგრატისათვის, როგორც ამას ფიქრობს ე. ცაგარეიშვილი,¹ არამედ მას კანონიერად ეპყრა იგი. რაც შეეხება იმას, რომ ბაგრატმა ბიძის გარდაცვალების შემდეგ (868წ.) ვერ შეძლო „კანონიერი უფლებების მოპოვება“, ყველაზე ნაკლებად იყო ღამნაშავე უკვე გარდაცვლილი გიორგი I. უფლისწულ ბაგრატს (პირველ რიგში კი მის უფროს ძმას, ჩიხის ერისთავს – ტინენს) სამეფო ტახტი დროებით დააკარგვინა გიორგი I-ის ქვრივმა, რომელმაც თავის ფავორიტ იოანე შავლიანთან ერთად მოაწყო შეთქმულება და ქუთაისის ტახტზე ეს უკანასკნელი აიყვანა.²

საქართველოს შესახებ იოანე დრასხანაკერტცის ცნობებიდან ე. ცაგარეიშვილი საგანგებოდ ჩერდება „ქართველთა“ მეფე ადარნასე II-ისა და ანისის მეფე სმბატ ბაგრატუნის ურთიერთობების ამსახველ მასალებზე. დისერტანტი სავსებით მართებულად აღნიშნავს, რომ სწორედ ამ საკითხებზე (განსაკუთრებით ადარნასეს „ქართველთა“ მეფედ დადგომის ფაქტზე) მსჯელობისას იგრძნობა იოანე დრასხანაკერტცის ტენდენციურობა. მართალია, სუმბატ სომეხთა მეფის მონაწილეობას ადარნასეს ტახტზე ასვლის ცერემონიაში, რომელზედაც საკმაოდ დაწვრილებით მოგვითხრობს იოანე დრასხანაკერტცი, ნამდვილად ჰქონდა გარკვეული პოლიტიკური დატვირთვა, მაგრამ ეს სულაც არ გვაძლევს იმის უფლებას, რომ ადარნასე საერთოდ სუმბატის გამეფებულად მივიჩნიოთ.

ჩვენის აზრით, ბიზანტიასთან დაჭიმული ურთიერთობების ფონზე (ეს ნათლად გამოვლინდა ბაგრატ კურაპალატის და გუარამ მამფალის სახლებს შორის ატეხილი კონფლიქტისას, რომლის დროსაც იმპერიის ხელისუფლებამ ცალსახად გუარამ მამფალის მხარე დაიკავა) ადარნასემ და მისმა მომხრეებმა მარჯვედ გამოიყენეს არაბთა სახალიფოსა და მისი სატელიტი ქვეყნის, სომხეთის დიპლომატიური მხარდაჭერა და ამით უზრუნველყვეს პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივი თვალსაზრისით ამ უადრესად მნიშვნელოვანი აქტის – ქართველთა საკურაპალატოში მეფობის ინსტიტუტის დაწესების საერთაშორისო აღიარება. ეს უნდა

¹ დაახლოებით ამავე თვალსაზრისს ანვითარებს მ. ლორთქიფანიძეც. იხ.: **М. Д. Лордкипанидзе.** Возникновение новых феодальных государств. – *Очерки истории Грузии*, т. II. Тб., 1988, გვ. 293)

² ამის შესახებ დაწვრილ. იხ.: **ზ. პაპასქირი.** ვინ იყო „ერისთავი ჩიხისა“. – *ქართული წყაროთმცოდნეობა*, XI. თბ., 2006, გვ. 64-71.

მივიჩნით ადარნასე ბაგრატიონის მოხერხებულ დიპლომატიურ მანევრად და არა ტაოს ხელისუფალზე სომეხთა მეფის უზენაესობის დემონსტირებად.

ამ თვალსაზრისით გაცილებით უფრო მრავლისმეტყველია იმავე იოანე დრასხანაკერტცის თხზულებაში დაფიქსირებული ფაქტი ადარნასე ბაგრატიონის აშკარა ჩარევისა სომხეთის საშინაო საქმეებში და იქ მისთვის სასურველი პოლიტიკური წესრიგის დამყარებისა, რომელზედაც ასევე გამახვილებულია ყურადღება საღისერტაციო ნაშრომში. მხედველობაში გვაქვს სომეხი კათალიკოსის ცნობა იმის შესახებ, თუ როგორ გაემართა ადარნასე სომხეთში აშოტ ბაგრატუნის გარდაცვალებისთანავე (890წ.), შეისწავლა იქ შექმნილი ვითარება – დაპირისპირება გარდაცვლილი აშოტის ვაჟ სმბატსა და მის ბიძა აბასს შორის – და სასწრაფოდ დასვა სამეფო ტახტზე უფლისწული სმბატი. სრულიად აშკარაა, რომ ადარნასეს ეს ქმედება ნამდვილად აღემატებოდა ჩვეულებრივი დიპლომატიური ეტიკეტის ფარგლებს და უთუოდ შორსმიმავალ პოლიტიკურ მიზანს ემსახურებოდა.¹

იოანე დრასხანაკერტცის ცნობებიდან დისერტანტი ყურადღებას აქცევს აგრეთვე საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ამსახველ მასალებს და მათი მეშვეობით აზუსტებს მეზობელ ქვეყნებთან საქართველოს დამაკავშირებელ გზებსა და არაბ ოსტიკანთა ლაშქრობების მარშრუტებს. ნაშრომში ასევე განხილულია იოანე კათალიკოსის (აგრეთვე სხვა სომხური წყაროების) მონაცემები მიქელ-გობრონზე და დაზუსტებულია ამ უკანასკნელის წამების თარიღი. დამაჯერებელია დისერტანტის მსჯელობა სამშვილდის სიონის სომხური წარწერის ირგვლივ.

საღისერტაციო ნაშრომის II, III და IV თავებში თანმიმდევრულადაა განხილული სტეფანოს ტარონეცის, არისტაკეს ლასტივერტცისა და სტეფანოს ორბელიანის ისტორიოგრაფიული მემკვიდრეობა, ნაჩვენებია ამ ისტორიკოსთა თხზულებებში საქართველოს შესახებ არსებული მასალების წყაროთმცოდნეობითი მნიშვნელობა. დისერტანტი იძლევა საკმაოდ ამომწურავ ინფორმაციას თითოეული მათგანის ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე, აზუსტებს მათი ბიოგრაფიების ცალკეულ დეტალებს, გამოყენებული წყაროების ნუსხას, გამოთქვამს მოსაზრებებს აღნიშნულ ისტორიკოსთა პოლიტიკური ორიენტაციის საკითხებზე და ა.შ.

სტეფანოს ტარონეცის თხზულების ანალიზისას დისერტანტი სა-

¹ ამის შესახებ იხ.: **მ. ლორთქიფანიძე, ზ. პაპასქირი**. ახალი სამეფო-სამთავროების წარმოქმნა საქართველოში და მათი ადგილი საერთაშორისო ურთიერთობებში (IX-Xს.-ის I ნახევარი. საშინაო დიპლომატია. – *ქართული დიპლომატიის ისტორიის ნარკვევები*. ტ. I., გვ. 191-192).

განგებოდ ამხვილებს ყურადღებას სომეხი ისტორიკოსის ცნობებზე დავით კურაპალატსა და ბიზანტიის საიმპერატორო კარს შორის არსებულ ურთიერთობებზე. მთლიანად მისაღებია ე. ცაგარეიშვილის დასკვნა იმის შესახებ, რომ დავით III დიდი კურაპალატი ნამდვილად არ იყო ბიზანტიის კეისრის ჩვეულებრივი ვასალი და რომ მისი კონსტანტინოპოლისადმი მორჩილება მხოლოდ ნომინალურ ხასიათს ატარებდა. როგორც სავსებით სწორად შენიშნავს დისერტანტი დავით კურაპალატი „ყოველ თავის მოქმედებაში, უპირველეს ყოვლისა, ხელმძღვანელობდა საკუთარი ინტერესებით და არა ბიზანტიის იმპერიის საჭიროებებით“. დავით კურაპალატის პიროვნების როლის შეფასებისას, უაღრესად ფასეულია ე. ცაგარეიშვილის კომენტარები ამ საკითხთან დაკავშირებით სომხურ ისტორიოგრაფიაში არსებულ ტენდენციურ მიდგომებზე, თუმცა არ იქნებოდა ურიგო იმ სომეხ ავტორთა შორის, რომლებიც ტაოს („ტაიკ“-ს) სომხურ მხარედ აცხადებენ, კარენ იუზბაშიანიც მოეხსენიებინა. აღსანიშნავია, რომ ამ უკანასკნელის ცნობილ მონოგრაფიაში – *„Армянские государства эпохи Багратидов и Византия IX-XI вв.“* (М., 1988), რომელიც რატომღაც გამორჩენილია სადისერტაციო ნაშრომში, ცალკე თავადაა გამოტანილი დავით კურაპალატის სამფლობელო.

დავით კურაპალატის მოღვაწეობის შეჯამებისას, დისერტანტი სავსებით სამართლიანად აღნიშნავს, რომ „ქართულ ისტორიოგრაფიაში საკმაოდ ფართოდ და დამაჯერებლად არის წარმოდგენილი დავით კურაპალატის პიროვნების, როგორც ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური გაერთიანების ერთ-ერთი ინიციატორისა და განმახორციელებლის როლი და ყოველივე ამის ეჭვსქვეშ დაყენება უსაფუძვლოდ ჩანს“, მაგრამ რამდენადმე უცნაურად გვეჩვენება იმ მკვლევართა შორის (ივ. ჯავახიშვილი, ს. ჯანაშია, ნ. ბერძენიშვილი, შ. მესხია, ზ. ანჩაბაძე, ნ. შოშიაშვილი, მ. ლორთქიფანიძე, რ. მეტრეველი, ა. აბდალაძე, ზ. პაპასქირი), რომელთაც ამასთან დაკავშირებით უთითებს ე. ცაგარეიშვილი (ეს სია მოცემულია ავტორეფერატში), აკად. გიორგი მელიქიშვილის დასახელება.

როგორც ცნობილია, ამ შემთხვევაში, სწორედ რომ გ. მელიქიშვილია ერთადერთი გამონაკლისი, რომელმაც სერიოზული ეჭვი შეიტანა დავით კურაპალატის განსაკუთრებულ ღვაწლში ერთიანი ქართული სახელმწიფოს ფორმირების საქმეში. თავის დროზე, ჩვენ საგანგებოდ შევვხეთ ამ საკითხს და, შესაძლებლობისამებრ, შევეცადეთ მოგვეცა აკად გ. მელიქიშვილის თვალსაზრისის კრიტიკა,¹ ამდენად ამჯე-

¹ იხ.: **ზ. პაპასქირი**. ერთიანი ქართული ფეოდალური სახელმწიფოს წარმოქმნა და საქართველოს საგარეო პოლიტიკური მდგომარეობის ზოგიერ-

რად მასზე ყურადღებას არ გავამახვილებთ. აქვე ისიც გვინდა აღვნიშნოთ, რომ თვით ე. ცაგარეიშვილის მიერ დავით კურაპალატის მოღვაწეობის შეფასებაზე ყურადღების გამახვილების მიზანი, ჩვენის აზრით, სწორედ გ. მელიქიშვილის შეხედულების უსაფუძვლობის ჩვენებაა.

უაღრესად საინტერესოა დავით კურაპალატის გარდაცვალებასთან დაკავშირებული სომხური მასალების ანალიზი. აღსანიშნავია, რომ ეს მასალები ქართულ ისტორიოგრაფიაში ფაქტობრივად ე. ცაგარეიშვილის მიერაა შემოტანილი. დისერტანტი სავსებით სწორად აღნიშნავს, რომ ბიზანტიის იმპერია არ ენდობოდა დავით კურაპალატს და ამიტომ გადაწყვიტა მისი თავიდან მოშორება, მაგრამ მთლად დამაჯერებლად არ გვეჩვენება ბიზანტიის იმპერიის ხელისუფლების მხრიდან ასაკოვანი კურაპალატის მოკვდინების ინიცირების ახნა იმ გარემოებით, რომ ეს უკანასკნელი მიისწრაფვოდა ქართული პოზიციებისა და გავლენის განმტკიცებას მეზობელ სომხეთში.

ჩვენის აზრით, დავითის სიკვდილის დაჩქარება უფრო ქართულ პოლიტიკურ სივრცეში განვითარებულ მოვლენებს უნდა გამოეწვია და ეს დაკავშირებული უნდა იყო მოხუცი კურაპალატის მცდელობასთან, გადაესინჯა 990წ. შეთანხმება-ანდერძი, რომლის მიხედვითაც, როგორც ცნობილია, მას მოუწია უარის თქმა თავის შვილობილის, ბაგრატ „აფხაზთა“ მეფის მემკვიდრეობით უფლებებზე იმიერტაოში ბასილი კეისრის სასარგებლოდ. ამასთან დაკავშირებით, ჩვენ ვეთანხმებით კ. იუზბაშინის მოსაზრებას იმის შესახებ, რომ „Баграт становился серьёзным соперником и Василий II решил предупредить события“¹ და ასევე ვთვლით, რომ დავით კურაპალატის თავიდან მოშორებით კონსტანტინოპოლი ცდილობდა არ დაეშვა ბაგრატ III-ისათვის იმიერტაოს გადაცემა.²

დავით კურაპალატის პიროვნებაზე მსჯელობისას, ე. ცაგარეიშვილი სავსებით სამართლიანად უსვამს ხაზს მის ლიდერობას ტაო-კლარჯეთში და ყურადღებას ამახვილებს იმიერტაოს ხელმწიფის ტიტულატურაზე. მას არ ეეჭვება, რომ დავით III დიდი კურაპალატი ატარებდა „ქართველთა“ მეფის ტიტულს და თვით „მეფეთ-მეფის“ ტიტულსაც კი, რისი ასე ერთბაშად გაზიარება რამდენადმე გაგვიჭირდება. თავის დროზე, ჩვენ გამოვთქვით მოსაზრება, რომ 994 წელს ბაგრატ II „ქართველთა“ მეფის გარდაცვალების შემდეგ „ქართველთა“ სამეფო ტახტი, შესაძლებელია, იმთავითვე ბაგრატ „აფხაზთა“ მეფეს დაეკავე-

თი საკითხი. თბ., 1990, გვ. 11-62.

¹ К. Н. Юзбашян. Армянские государства эпохи Багратидов и Византия IX-XI вв. М., 1988, გვ. 141.

² დაწვრ. იხ.: ზ. პაპასქირი. ერთიანი ქართული..., გვ. 53-58.

ბინა და ეს საქართველოს გაერთიანებისათვის მებრძოლ ძალებს (პირველ რიგში თვით დავით კურაპალატს) გაეკეთებინათ ბაგრატის ლეგიტიმისტური უფლებების იმთავითვე განსამტკიცებლად ტაო-კლარჯეთში. რაც შეეხება დავით კურაპალატის „მეფეთ-მეფობას“, ვფიქრობთ, ამ წოდებას ის ოფიციალურად არ ატარებდა, აქ, პირველ რიგში, ანგარიშგასაწევია სუბბატ დავითის ძის საგანგებო განმარტება, რომლის მიხედვითაც პირველი ქართველი ლიდერი, ვინც ამ ტიტულის მატარებელი იყო ბაგრატ III-ის მამა გურგენია.¹

ძალზე საინტერესოა ე. ცაგარეიშვილის წყაროთმცოდნეობითი დაკვირვებები არისტაკეს ლასტივერტცის თხზულებაზე. ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე შეიძლება ითქვას, რომ ქნი ელენე ამ სომეხი ისტორიკოსის ისტორიოგრაფიული შემკვიდრების აღიარებული მკვლევარია და არ მხოლოდ საქართველოს მასშტაბით. სადისერტაციო ნაშრომში მეტ-ნაკლები სისრულით გაანალიზებულია არისტაკესის ცნობები საქართველო-ბიზანტიის, საკუთრივ საქართველო-სომხეთის ურთიერთობებზე. ჩვენი განსაკუთრებული ყურადღება სწორედ ამ მასალებმა მიიპყრეს. დისერტანტი სავსებით სამართლიანად უსვამს ხაზს ბიზანტიის იმპერიის პოლიტიკური ცხოვრების ღრმა ცოდნას სომეხი მემკვიდრის მხრიდან და იზიარებს კ. იუზბაშიანის დასკვნას იმის შესახებ, რომ „Осведомлённость в вопросах, связанных с византийской действительностью, носила не только книжный характер, так как он происходил из той части Армении, которая с конца IV в. была включена в состав империи“.²

ასევე სწორია ე. ცაგარეიშვილის თვალსაზრისი იმის შესახებაც, რომ არისტაკეს ლასტივერტცი თავისი პოლიტიკური მენტალიტეტით სამეფო ხელისუფლებისა და სასულიერო წოდების დაუცხრომელი დამცველი იყო, თუმცა ჩვენის აზრით ეს არაა საკმარისი არგუმენტი იმის სამტკიცებლად, რომ ის ბიზანტიის იმპერიის ფარგლებში ანისის ქვეყნის ინტეგრირების კატეგორიული წინააღმდეგი იყო. ამ საკითხთან დაკავშირებით, ჩვენ უფრო მართებულად მიგვაჩნია კ. იუზბაშიანის შეხედულება, რომლის მიხედვითაც „Аристокэс Ластивертцы не столько осуждает империю и её захватническую политику, сколько оплакивает бедственный “Конец страны нашей Армянской“ და რომ „Византийское владычество как таковое представляется ему столько же ес-

¹ დაწვრ. იხ.: **ზ. პაპასქიორი**. ერთიანი ქართული..., გვ. 75-82.

² **К. Н. Юзбашян**. Аристокэс Ластивертцы и его исторический труд. – *Повествование вардапета Аристокэса Ластивертцы*. Перевод с древнеармянского, вступительная статья, комментарии и приложения **К. Н. Юзбашяна**. М., 1968, გვ. 24.

тественной формой правления, что и царская власть в Армении“.¹

ამ მხრივ, ის რამდენადმე მოგავს თავის ქართველ კოლეგას სუმბატ დავითის ძეს, რომელიც, როგორც ჩანს, საქართველოში იმ პოლიტიკურ ბანაკს მიეკუთვნებოდა, რომელიც ბიზანტიასთან კონფრონტაციის წინააღმდეგი იყო და იმპერიასთან მორიგების (თუნდაც იმიერტაოზე საბოლოოდ უარის თქმისა და კონსტანტინოპოლის უზენაესობის ხარჯზე) მომხრე იყო.² აქ ანგარიშგასაწევია ის უცილობელი ფაქტი, რომ XI ს. I ნახევარში სომხეთში (ისევე როგორც საქართველოში) ორი – პრობიზანტიური და ანტიბიზანტიური დაჯგუფება არსებობდა.³

ღისერტანტის ყურადღების მიღმა არაა დარჩენილი არისტაკეს ლასტივერტეცის ცნობა 1045 წელს „ქალაქის მთავრების“ მიერ ანისის ქვეყნის ბაგრატ „აფხაზთა“ მეფისათვის გადაცემის შესახებ. მაგრამ სასურველი იყო ამ მეტად მნიშვნელოვან ინფორმაციას უფრო ვრცელი კომენტარი დართოდა, მით უფრო, რომ ეს მოვლენა მთლად სწორად არაა ინტერპრეტირებული სომხურ ისტორიოგრაფიაში.⁴ გარდა ამისა, სათანადო განმარტება სჭირდებოდა იმ ფაქტსაც, რომ სომეხი მკვლევრები გვთავაზობენ არისტაკესის ცნობის სხვაგვარ წაკითხვასაც. კერძოდ, ისინი მიიჩნევენ, რომ არისტაკესი ასახელებს არა ორ (დავით დვინელსა და ბაგრატ IV-ს, როგორც ეს მოცემულია ე. ცაგარეიშვილის თარგმანში), არამედ სამ პრეტენდენტს – ტაშირ-ძორაკეთის მეფეს დავით უმიწაწყლოს, აბულ-ასვარ შადადიდს – დვინის ემირს და „აფხაზთა“ მეფეს, ბაგრატ IV-ს – რომელთაც შესთავაზეს ანისელებმა თავიანთი ქვეყანა.⁵

სადღისერტაციო ნაშრომში გულდასმით არის გაანალიზებული სტე-

¹ **К. Н. Юзбашян.** Аристакеэ Ластивертцы и его исторический труд., გვ. 26-29

² დაწვრ. იხ.: **ზ. პაპასქორი.** ერთიანი ქართული., გვ. 140-149.

³ ამის შესახებ იხ.: **В. А. Арутюнова-Фиданиян.** Армянские средневековые исторические об экспансии Византийской империи на Востоке в X-XI вв. – *Историко-Филологический Журнал*, 1978, №2 გვ. 195; **К. Н. Юзбашян.** Аристакеэ Ластивертцы и закат «эпохи Багратидов». Автореферат докт. дисс. Л., 1975, გვ. 18-19; **К. Н. Юзбашян.** Скилица о захвате Анийского царства в 1045 г. – *Византийский временник*, 40. М., 1979, გვ. 84; **Р. М. Бартикян.** К вопросу о политической ориентации Григория магистра. – *Страницы истории и филологии армянского народа*. Ереван, 1971, გვ. 63-72.

⁴ მაგ. იხ.: **К. Н. Юзбашян.** Грузинские послы в Ани 1045 г. – *ბიზანტიური ეტიუდები*. ეძღვნება აკად. ს. ყაუხჩიშვილის 80 წლისთავს. თბ., 1978, გვ. 159-160.

⁵ იხ.: *Повествование варданета Аристакеэса Ластивертцы...*, გვ. 159-160; **К. Н. Юзбашян.** Грузинские послы в Ани 1045 г..., გვ. 84; **К. Н. Юзбашян.** Скилица о захвате Анийского царства..., გვ. 86; **В. П. Степаненко.** К идентификации личности «Веста» «Матиане Картелиса». – *Византийский временник*, 41. М., 1980, გვ. 171.

ფანოს ორბელიანის ცნობები XII-XIII საუკუნეების საქართველოს სახელმწიფოს პოლიტიკურ ცხოვრებაზე. დამაჯერებელია დისერტანტის არგუმენტაცია ორბელთა საგვარეულოს ჭანური წარმომავლობის შესახებ. მკვლევარს საინტერესო დაკვირვებები აქვს აბულეთისძეთა საგვარეულოს წარმომადგენელთა სამხედრო და საეკლესიო მოღვაწეობაზე. განსაკუთრებით საყურადღებოა ბარანის ციხის ქართული წარწერის მონაცემების ე. ცაგარეიშვილისეული ინტერპრეტაცია. აღნიშნული წარწერის თარიღის დაზუსტებისას, დისერტანტი სავსებით სამართლიანად არ ეთანხმება ცნობილ სომეხ მეცნიერს პარუირ მურადიანს და არ მიიჩნევს დაბრკოლებად წარწერაში დაფიქსირებული დიმიტრის „აფხაზთა მეფის“ ტიტულით მოხსენიებას.

მართლაც, ნამდვილად ცდება პ. მურადიანი, როდესაც აღნიშნავს, რომ არც დემეტრე I-ისა (1125-1156წწ.) და არც დემეტრე II-ის (1270-1289წწ.) მხოლოდ აფხაზთა მეფედ წოდების ფაქტობრივი საბაბი თურმე არ გაგვაჩნია, ვინაიდან ისინი სრულიად საქართველოს მეფეები იყვნენ. დემეტრე II-ზე ვერაფერს ვიტყვით, მაგრამ ის, რომ დემეტრე I საქართველოს ფარგლებს გარეთ ნამდვილად იწოდებოდა „აფხაზ“ („აფხაზეთის“) მეფედ სრულიად ნათლად ჩანს თუნდაც არაბი ავტორის იბნ ალ-აზრაკ ალ-ფარიკისა (რომელიც ერთი პერიოდი იმყოფებოდა საქართველოში და უშუალოდ დემეტრე I-ს სტუმარი იყო)¹ და XIII ს. შირვანელი პოეტის ფელეკი შირვანის თხზულებებიდან². არანაკლებ საინტერესოა დისერტანტის მსჯელობა დემეტრე უფლისწულის გასამეფებლად მოწყობილი აჯანყების პერიპეტიებზე. სომხური წყაროების ანალიზის საფუძველზე მკვლევარი აზუსტებს დემეტრე-ორბელთა ამბოხის თარიღს (1177-1178 წწ.).

ე. ცაგარეიშვილის სადისერტაციო ნაშრომში გამორჩეული ადგილი უკავია დასკვნით – V თავს: „**სომხურ საისტორიო წყაროებში დაცული ქართველთა ეთნიკურობისა და ქალკედონური აღმსარებლობის აღმნიშვნელი ტერმინები**“. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ნაშრომის ეს ნაწილი ფაქტობრივად არის დამოუკიდებელი მონოგრაფიული გამოკვლევა, რომელიც, სრულიად დასაბუთებულად საკადრის პასუხს სცემს ჩვენი სომეხი კოლეგების სპეკულატიურ მცდელობებს, რადაც არ უნდა დაუჯდეთ, ეთნიკურ სომხებად გამოაცხადონ შუა საუკუნეების მთელი რიგი გამორჩენილი ქართველი მოღვაწეები.

¹ **В. Ф. Минорский.** История Ширвана и Дербента. М., 1963, გვ. 222-223; **З. В. Папаскири.** У истоков грузино-русских политических взаимоотношений. Тб., 1982, გვ. 74.

² **З. М. Буниятов.** Грузия и Ширван в I-й половине XII века. – კრ.: *საქართველო რუსთაველის ხანაში*. თბ., 1966, გვ. 289

სათანადო სომხური საისტორიო წყაროების მონაცემების გამოწველილვითი კრიტიკული ანალიზისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე დისერტანტი დამაჯერებლად აჩვენებს, რომ ტერმინი „ვრაცი აზგავ“ („გვარად ქართველი“) აღნიშნავდა ეთნიკური წარმომავლობით ქართველს და არა სომეხ ქალკელონელს. აქედან გამომდინარე, მეცნიერი სავსებით ლოგიკურად ასკვნის, რომ სომხურ წერილობით წყაროებში „ვრაცი აზგავად“ მოხსენიებული სახელგანთქმული პოლიტიკური და კულტურული მოღვაწენი: კირონ ქართლის კათოლიკოსი, იოანეთორნიკე ერისთავი, ზაქარია ვალაშკერტეცი, ლიპარიტი და მისი ძმები რატი და ზვიადი, გრიგოლ ბაკურიანისძე, ვახტანგ V (შაჰნავაზი) ეთნიკურად ქართველები იყვნენ.

მართალია, სადისერტაციო ნაშრომის ამ ნაწილში განსახილველი საკითხები საკმაოდ ამოწურავად არის გაშუქებული, მაგრამ აქა იქ მაინც მოითხოვს ისტორიოგრაფიულ შევსებას. მაგალითად, ურიგო არ იქნებოდა გრიგოლ ბაკურიანისძის ეთნო-კონფესიურ იდენტობაზე მსჯელობისას დისერტანტს გაეთვალისწინებინა პროფ. ნოდარ ლომოურის ნაშრომი¹, რომელშიც მოცემულია აღნიშნულ საკითხზე ვ. არუთიუნოვა-ფიდანიანის თვალსაზრისის პრინციპული და ყოვლისმომცველი კრიტიკა.

ასეთია ძირითადად პრობლემათა ის წრე, რომელიც დასმული და შესწავლილია ე. ცაგარეიშვილის მიერ წარმოდგენილ სადისერტაციო ნაშრომში. ჩვენს წინაშეა მაღალ მეცნიერულ დონეზე შესრულებული სოლიდური გამოკვლევა, რომელშიც მოცემულია საქართველოს შესახებ შუა საუკუნეების სომხური საისტორიო თხზულებების მასალების კვალიფიციური წყაროთმცოდნეობითი ანალიზი და მათი მეშვეობით დაზუსტებულია ქვეყნის პოლიტიკური ისტორიის არაერთი საკითხი. თვალში საცემია კვლევის ფართო დიაპაზონი, განსახილველი პრობლემების თემატური მრავალფეროვნება. დისერტანტს სერიოზული წვლილი შეაქვს საქართველოს საგარეო-პოლიტიკური ისტორიის ისეთი კარდინალური პრობლემების სიღრმისეულ დამუშავებაში, როგორცაა საქართველო-ბიზანტიის, საქართველო-არაბთა სახალიფოსა და საქართველო-სომხური სამყაროს ურთიერთობები. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს დისერტანტის მიერ ყურადღების საგანგებო გამახვილება მთელ რიგ სადავო საკითხებზე (ძირითადად ქართულ-სომხური ურთიერთობების სფეროში) და ამ საკითხებისადმი უცხოელ მკვლევართა ტენდენციური მიდგომების დამაჯერებელი კრიტიკა. მიუხედავად ნაშრომში არსებული ცალკეული ნაკლოვანებებისა, რომელთა შესახებაც ნაწილობრივ ზემოთ

¹ Н. Ю. Ломоури. К истории Петрицонского монастыря. Тб., 1979.

გვეჩონდა კიდევ მსჯელობა, ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე შეიძლება ითქვას, რომ, მთლიანობაში, წარმოდგენილი სადისერტაციო ნაშრომი ქართული ისტორიოგრაფიის მნიშვნელოვანი შენაძენია.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, თავს უფლებას ვაძლევთ ვიშუამდგომლოთ სადისერტაციო საბჭოს წინაშე, რათა **ელენე ცაგარეიშვილს** ნაშრომისათვის: „**საქართველოს ისტორიის VII-XIII საუკუნეების სომხური საისტორიო წყაროები**“ მიენიჭოს ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის დიებული ხარისხი.

შ ტ რ ი ხ ე ბ ი
კ ო რ ტ რ ე ტ ე ბ ი ს ა თ ვ ი ს

ღვაწლი დიდი მამულიშვილისა
გიორგი შარვაშიძე*

160 წელი შესრულდა დიდი მამულიშვილის, თვალსაჩინო პოეტი-სა და დრამატურგის გიორგი შარვაშიძის დაბადებიდან. გიორგი შარვაშიძე სრულიად უნიკალური მოვლენაა XIXს. II ნახევრისა და XXს. დამდეგის საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკურ და კულტურულ ცხოვრებაში. მან თავისი საინტერესო შემოქმედებით, მრავალმხრივი საზოგადოებრივი მოღვაწეობით წარუშლელი კვალი დატოვა თანამედროვეებში და დიდი ზნეობრივი მაგალითი დაუტოვა შთამომავლობას.

გიორგი შარვაშიძის ცხოვრება და ღვაწლი საკმაოდ კარგადაა შესწავლილი ქართველი მკვლევრების მიერ. განსაკუთრებული წვლილი ამ საქმეში შეიტანა გამოჩენილმა ისტორიკოსმა აკად. სიმონ ჯანაშიამ, რომელმაც პირველმა მოიძია გ. შარვაშიძის ცხოვრების ამსახველი ფრაგმენტული მასალები, აგრეთვე კერძო კოლექციებში მიმოფანტული პოეტის ლიტერატურული მემკვიდრეობა და ხელმისაწვდომი გახადა ის საზოგადოებისათვის¹. ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე შეიძლება ითქვას, რომ ს. ჯანაშიას ნაშრომი, რომელსაც მეცნიერმა მორიდებულად „*კულტურულ-ისტორიული ნარკვევი*“² უწოდა, ნამდვილი გზამკვლევაა მწერლის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესწავლით დაინტერესებული ნებისმიერი მკვლევრისათვის. ს. ჯანაშიას გარდა გიორგი შარვაშიძის ცხოვრებასა და შემოქმედებას იკვლევდნენ სხვადასხვა თაობის მეცნიერები: გერონტი ქიქოძე³, ოთარ ჭურღულია¹, გი-

* დაიბეჭდა: *სოხუმის უნივერსიტეტის შრომები*. I. პუმანიტარულ და სოციალურ-პოლიტიკურ მეცნიერებათა სერია. თბ., 2007, გვ. 220-240.

¹ **გიორგი შარვაშიძე**. ლირიკა, დრამა, ეპოსი. აკად. **ს. ჯანაშიას** რედაქციითა და ნარკვევით. სოხუმი, 1946; **გიორგი შარვაშიძე**. ლირიკა, ეპოსი, დრამა. აკად. **ს. ჯანაშიას** რედაქციითა და ნარკვევით. II გამოცემა. თბ., 1986.

² **ს. ჯანაშია**. გიორგი შარვაშიძე. *კულტურულ-ისტორიული ნარკვევი*. – წგნ.: **გიორგი შარვაშიძე**. ლირიკა, ეპოსი, დრამა. აკად. **ს. ჯანაშიას** რედაქციითა და ნარკვევით. სოხუმი, 1946; **გიორგი შარვაშიძე**. ლირიკა, ეპოსი, დრამა. აკად. **ს. ჯანაშიას** რედაქციითა და ნარკვევით. II გამოცემა. თბ., 1986. იხ. აგრეთვე: **ს. ჯანაშია**. გიორგი შარვაშიძე. *კულტურულ-ისტორიული ნარკვევი*. – *შრომები*, ტ. VI, თბ., 1988, გვ. 5-72; **გიორგი შარვაშიძე**. *თხზულებანი ორ ტომად*. ტ. I. ქუთაისი, 2006, გვ. 7-84, 311-329.

³ **გ. ქიქოძე**. აფხაზეთ-საქართველოს ურთიერთობიდან. *სიტყვა წარმოთქ*

ორგი ძიძარია², სოლომონ ლეკიშვილი³, ავთანდილ ნიკოლეიშვილი⁴, ელგუჯა თავბერიძე⁵, ჯუმბერ თითმერია⁶ და სხვ. სულ ახლახან გამოვიდა გიორგი შარვაშიძის თხზულებათა ორტომეული⁷, რომელშიც, გარდა საკუთრივ მწერლის მხატვრული ნაწარმოებებისა და საგაზეთო პუბლიკაციებისა, შესულია ცალკეული მოგონებები მასზე, აგრეთვე სხვადასხვა მკვლევართა ნაშრომები, რომლებშიც მოცემულია გიორგი შარვაშიძის ლიტერატურულ-პუბლიცისტური მემკვიდრეობის საკმაოდ ამომწურავი ანალიზი⁸. მიუხედავად ამისა, არ შეიძლება იმის თქმა, რომ გიორგი შარვაშიძეს ჯეროვნად იცნობს ფართო საზოგადოება. განსაკუთრებით ეს ეხება მის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მოღვაწეობას. წარმოდგენილ ნაშრომში ჩვენ შევეცადეთ, ერთხელ კიდევ გაგვეზრებინა ამ დიდი მამულიშვილის მიერ გავლილი გზა და წარმოგვეჩინა მისი როგორც ქართველი მოღვაწის, ქართული ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთი უთვისაჩინოესი წარმომადგენლის ღვაწლი ერისა და სამშობლოს წინაშე.

მული სოხუმის თეატრში 1946 წლის 20 დეკემბერს. – წგნ.: *გიორგი შარვაშიძე. თხზულებანი ორ ტომად.* ტ. II. ქუთაისი, 2006, გვ. 50-57.

¹ **ო. ჭურღულია.** გიორგი შარვაშიძის პატრიოტული ლირიკა. – წგნ.: **ო. ჭურღულია.** „სიტყვა ფიქრის სხეულია“. *წერილები და გამოკვლევები.* თბ., 1992, გვ. 47-62; იხ. აგრეთვე: **ო. ჭურღულია.** აფხაზი და ქართველი ხალხების კულტურულ-მეგობრული ურთიერთობის ისტორიიდან. – წგნ.: **ო. ჭურღულია.** კრიტიკული წერილები. I. სოხუმი, 1958, გვ. 158-160; **ო. ჭურღულია.** გიორგი შარვაშიძე. წგნ.: *გიორგი შარვაშიძე. თხზულებანი ორ ტომად.* ტ. II. ქუთაისი, 2006, გვ. 58-124.

² **Г. А. Дзидзария.** Формирование дореволюционной абхазской интеллигенции. Сухуми, 1979, გვ. 87-94;

³ **ს. ლეკიშვილი.** გიორგი შარვაშიძე. *დოკუმენტური მასალები.* – კრებ.: *საქართველოს მთაბგე,* №31-32, თბ., 1975, გვ. 246-296.

⁴ **ა. ნიკოლეიშვილი.** გიორგი შარვაშიძე – საქართველოს ერთიანობისთვის მებრძოლი აფხაზი მწერალი. – წგნ.: **ა. ნიკოლეიშვილი.** ქართველი მწერლები და აფხაზეთი. ქუთაისი, 2004. იხ. აგრეთვე: *გიორგი შარვაშიძე. თხზულებანი ორ ტომად.* ტ. II. ქუთაისი, 2006, გვ. 125-156.

⁵ **ე. თავბერიძე.** უბედო მამულის ყმა. ქუთაისი, 2004. იხ. აგრეთვე: *გიორგი შარვაშიძე. თხზულებანი ორ ტომად.* ტ. II. ქუთაისი, 2004, გვ. 157-250.

⁶ **ჯ. თითმერია.** დიადლოგი გიორგი შარვაშიძესთან. – წგნ.: *გიორგი შარვაშიძე. თხზულებანი ორ ტომად.* ტ. II. ქუთაისი, 2006, გვ. 251-272.

⁷ *გიორგი შარვაშიძე. თხზულებანი ორ ტომად.* ტ. I, ტ. II. ქუთაისი, 2006.

⁸ გიორგი შარვაშიძის თხზულებების ახალი კრებულის გამოცემით, რასაკვირველია, ნამდვილად დიდი საქმე გაკეთდა, თუმცა დასანანია, რომ აღნიშნულ გამოცემაში, რომელსაც აქვს მწერლის მიერ შემოქმედების სრულად წარმოჩენის პრეტენზია, გამორჩენილია ს. ლეკიშვილის მიერ მოდიებული გიორგი შარვაშიძის მანამდე უცნობი უაღესად საინტერესო ნაწარმოებები. იხ.: **ს. ლეკიშვილი.** გიორგი შარვაშიძე, გვ. 253-257.

გიორგი შარვაშიძის საზოგადოებრივ ასპარეზზე გამოსვლა დაემთხვა საქართველოში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ახალი ეტაპის დაწყებას. მართალია, ის უშუალოდ არ იყო ილიას გუნდის წევრი¹, მაგრამ თავისი შემოქმედებითი და საზოგადოებრივი საქმიანობით გიორგი შარვაშიძე ნამდვილად იდგა XIX ს. 60-იან წლებში წამოწყებული დიდი ეროვნული ბრძოლის ავანგარდში. შეიძლება ითქვას, რომ გიორგი შარვაშიძე იყო ერთგვარი შემაერთებელი რგოლი ქართული ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის თავადაზნაურული და ილიასეული ეტაპებისა. მასში ძალუმად იყო მოზღვავებული ის პატრიოტული მუხტი, რომლის მატარებლები იყვნენ ერთი მხრივ დიმიტრი ყიფიანი და მისი თაობა, ხოლო მეორე მხრივ ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი და მათი თანამოაზრენი.

გიორგი შარვაშიძის, დიდი აფხაზისა და ამავე დროს „ქართული რასის ნამდვილი ვაჟის“ (გრიგოლ რობაქიძე)² ეროვნულ-სახელმწიფოებრივი და კულტურულ-საზოგადოებრივი ცნობიერება, როგორც მკაფიოდ აჩვენა აკად. ს. ჯანაშიამ, მთლიანად განაპირობა იმ ტრადიციებმა, რომელზეც იზრდებოდნენ შარვაშიძეთა სამთავრო სახლისა და სხვა აფხაზურ თავადაზნაურულ საგვარეულოთა შვილები საუკუნეების განმავლობაში. დიას, მიუხედავად XVI-XVIII საუკუნეებში თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიაზე განვითარებული პროცესებისა (კერძოდ, ჩრდილოეთ კავკასიიდან მოძმე ჯიქ-აფხაზთა მთიელი ტომების ახალი ტაღლის მოწოდისა და ოსმალეთის იდეოლოგიური ექსპანსიის შედეგად ერთ დროს მაღალგანვითარებული ფეოდალური მხარის – აფხაზეთის – ერთგვარი „გაბარბაროსებისა“ და იქ ქრისტიანობის საფუძვლების მორყევისა), აფხაზეთი გვიან შუა საუკუნეებში და მოგვიანებითაც (XIX ს. 60-იანი წლების ჩათვლით) ძირითადად მაინც რჩებოდა საერთოქართული კულტურულ-პოლიტიკური სამყაროს ორგანულ ნაწილად³. სწორედ ამ სამყაროს ღვიძლი შვილი იყო აფხაზეთის უკანასკნელი მთავრის მიხეილ შარვაშიძისა და სამეგრელოს მთავარ დადიანების გვერდითი შტოს წარმომადგენლის ალექსანდრა (ცუცა) დადია-

¹ ამით ჩვენ სულაც არ ვუარყოფთ თბილ ურთიერთობასა და სულიერ ნათესაობას, რომელიც ნამდვილად აკავშირებდა ილია ჭავჭავაძესა და გიორგი შარვაშიძეს (ამის შესახებ იხ. ო. ჭურდულია. გიორგი შარვაშიძე, გვ. 65-67).

² გივი გოლდენდი (გრიგოლ რობაქიძე). გიორგი შარვაშიძე. – გაზ.: „საქართველო“, №45, 1918წ. იხ. აგრეთვე: გიორგი შარვაშიძე. თხზულებანი ორ ტომად. ტ. II. ქუთაისი, 2006, გვ. 43.

³ ამის შესახებ დაწვრი. იხ.: ზ. პაპასქირი. ნარკვევები თანამედროვე აფხაზეთის ისტორიული წარსულიდან, ნაკვ. I. უძველესი დროიდან 1917 წლამდე. თბ., 2004, გვ. 87-103.

ნის ვაჟი – გიორგი შარვაშიძე.

ორიოდე სიტყვა მწერლის მშობლებზე. გიორგის მამა – მიხეილ შარვაშიძე, შარვაშიძეთა ძირძველი საგვარეულოს ერთ-ერთი ყველაზე კოლორიტული წარმომადგენელი იყო. ის 40 წლის მანძილზე (1823-1864წწ.) ეღვა სათავეში აფხაზეთის სამთავროს. მის მოღვაწეობას სამთავრო ტახტზე თანამედროვენი სხვადასხვანაირად აფასებდნენ. რუსეთის ხელისუფლების წარმომადგენლები აღნიშნავდნენ რა მიხეილ შარვაშიძის ცალკეულ დამსახურებებს რუსეთის მთავრობის წინაშე, მთლიანობაში, მაინც დიდ უნდობლობას ამჟღავნებდნენ მის მიმართ და ხშირად მოღალატედაც კი მიაჩნდათ იგი. აღსანიშნავია, რომ მიხეილ შარვაშიძის ნეგატიური პორტრეტის (განსაკუთრებით ყირიმის ომის პერიოდში) შექმნაში არც თუ უმნიშვნელო წვლილი შეიტანა დადიანთა სამთავრო სახლმა (უპირველესად ეკატერინე დადიანმა) და თვით შარვაშიძეთა საგვარეულოს ცალკეულმა წარმომადგენლებმა¹. მაგრამ ქართული ფეოდალური არისტოკრატის ელიტარულ ნაწილში იყვნენ ისინიც, ვინც ყოველნაირად ცდილობდა მიხეილ შარვაშიძის რეაბილიტაციას ხელისუფლების წინაშე. ამ მხრივ, პირველ რიგში, უნდა დავასახელოთ დიდი ქართველი ეროვნული მოღვაწე დიმიტრი ყიფიანი, რომელმაც ყველაფერი გააკეთა მიხეილ შარვაშიძის პოლიტიკური კარიერის გადასარჩენად.

რუსული ისტორიოგრაფია მიხეილ შარვაშიძის მოღვაწეობის შეფასებისას ძირითადად ოფიციალური კონიუნქტურით ხელმძღვანელობდა, რაც დღემდე უცვლელი რჩება². პირველი მეცნიერი, რომელიც შეეცადა რუსეთის ხელისუფლებისაგან შერისხული მთავრის რეაბილიტაციას, იყო აკად. სიმონ ჯანაშია, რომელმაც თავის ბრწყინვალე ნარკვევში გიორგი შარვაშიძის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ (ისევე, როგორც თავის დროზე დიმიტრი ყიფიანმა) მოიყვანა აფხაზეთის მთავრის ქმედებების გამამართლებელი არგუმენტები და მთელი პასუხისმგებლობა აფხაზეთში შექმნილი ვითარებისათვის კავკასიის რუსულ ადმინისტრაციას დააკისრა³. ანალოგიურად უდგებოდა მიხეილ შარვაშიძის

¹ ამის შესახებ იხ.: **ზ. პაპასქირი**. ნარკვევები... გვ. 158-159, 172—173.

² ამის მაგალითია ვინმე დ. დანილოვის სტატია, რომელშიც საგანგებოდაა ხაზგასმული, რომ მიხეილ შარვაშიძე „преспокойно промышленял турецкой контрабандой и имел тайные связи с горскими племенами“. იხ.: **Д. Д. Данилов**. Лорис-Меликов: Карьера парадоксального диктатора. – *Вопросы истории*, №11-12, 1998, გვ. 147.

³ **ს. ჯანაშია**. გიორგი შარვაშიძე. *კულტურულ-ისტორიული ნარკვევი*. – *შრომები*, VI, თბ., 1988, გვ. 6-13. აღსანიშნავია, რომ, თავის დროზე, თვით გიორგი შარვაშიძეც ცდილობდა მოეხსნა მიხეილ შარვაშიძისათვის რუსეთის სახელმწიფოს მიმართ ჩადენილი „ღალატის“ ბრალდება (იხ.: **Г. М.**

მოღვაწეობის შეფასების საკითხს ცნობილი ქართველი მეცნიერი შალვა ჩხეტია, რომელმაც სკრუპულოზურად შეისწავლა XIX ს. 50-იანი წლების მოვლენების ამსახველი მასალები¹. მაგრამ მიხეილ შარვაშიძის ყველაზე გამოკვეთილ დამკველად მაინც გამოჩენილი აფხაზი ისტორიკოსი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, პროფ. გიორგი ძიძარია მოგვევლინა. თავის ფუნდამენტურ შრომებში XIX ს. აფხაზეთის ისტორიის პრობლემებზე, მან მოგვცა კავკასიაში რუსეთის კოლონიური პოლიტიკის საკმაოდ მკაცრი კრიტიკა და ამ ფონზე შეაფასა აფხაზეთის უკანასკნელი მთავრის მოღვაწეობა. მეცნიერის აზრით, მიხეილ შარვაშიძე თითქმის ყოველთვის მოქმედებდა რუსეთის იმპერიის სასარგებლოდ და არა მის წინააღმდეგ². ფაქტობრივად, ამ თვალსაზრისს ავითარებენ ს. ლაკობა³ და სხვა აფხაზი, ასევე ქართველი ისტორიკოსებიც, მათ შორის ახალგაზრდა მკვლევარი ნ. თაკალანძე, რომელმაც მიხეილ შარვაშიძის ცხოვრებას და მოღვაწეობას სპეციალური მონოგრაფია (საკანდიდატო დისერტაცია) მიუძღვნა⁴.

მიუხედავად რუსეთის ხელისუფლების ვერაგობისა და ზემოთ დასახელებულ მკვლევართა მიერ მოტანილი სხვა არგუმენტებისა, ჩვენ მაინც გაუმართლებლად მიგვაჩნია მიხეილ შარვაშიძის მოღვაწეობაში მხოლოდ პოზიტიური მხარეების საგულდაგულოდ ძებნა. ჩვენი აზრით, მიხეილ შარვაშიძე იყო უადრესად რთული პიროვნება, რომელიც ყოველთვის ცდილობდა ნებისმიერი საშუალებით ხელისუფლების შენარჩუნებას. სწორედ ეს მისწრაფება უბიძგებდა მას ხან ერთ მხარეს გადახრილიყო, ხან კი – მეორეს. ერთი მხრივ, იგი აქტიურად თანამშრომლობდა რუსულ ადმინისტრაციასთან და ეხმარებოდა მას მოძველთა მთიელი ტომების წინააღმდეგობის დაძლევისა და ჩრდილო-დასავლეთ კავკასიაში რუსეთის გავლენის დამყარება-განმტკიცებაში⁵, მეორე მხ-

Шервашидзе. Так пишется история. – გაზ.: „*Закавказье*“, №125-126, 1910г. მითითებულია წიგნიდან: **გ. შარვაშიძე.** *თხზულებანი ორ ტომად.* ტ. I. ქუთაისი, 2006, გვ. 293-296), თუმცა, უნდა ითქვას, რომ მის მიერ მოყვანილი არგუმენტები მთლად დამაჯერებელი ვერ არის.

¹ **შ. ჩხეტია.** აფხაზეთის სამთავროს ისტორიისათვის. 1853-1855 წწ. – *სახელმწიფო მოამბე*, №15-16, თბ., 1963, გვ. 127-128; 130-136.

² **Г. А. Дзидзария.** Махаджирство и проблемы истории Абхазии XIX столетия. Сухуми, 1982, გვ. 140-141.

³ **С. З. Лакоба.** Очерки политической истории Абхазии, Сухуми, 1990, გვ. 17-25.

⁴ **ნ. თაკალანძე.** მიხეილ შარვაშიძე: ცხოვრება და საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოღვაწეობა, საკანდიდატო დისერტაციის ავტორეფერატი, თბ., 2000.

⁵ ამის შესახებ იხ.: **ზ. პაპასქირი.** ნარკვევები თანამედროვე აფხაზეთის ისტორიული წარსულიდან, ნაკვ. I. *უძველესი დროიდან 1917 წლამდე.* თბ., 2004, გვ. 151-152.

რივ, პირიქით, ღიად თუ ფარულად უჭერდა მხარს თავის კავკასიელ თანამოძმეთა (რომელთა ერთ-ერთი ბელადი უბიხთა წინამძღოლი და-გომუყვა ბარზეგი – მისი აღმზრდელი იყო) „საღვთო ომს“ რუსეთის იმპერიის წინააღმდეგ¹. არავითარ ეჭვს არ უნდა იწვევედეს ის, რომ მიხეილ შარვაშიძე ნამდვილად ეწეოდა ორმაგ თამაშს ყირიმის ომის პერიოდში და არცთუ იშვიათად ღიად თანამშრომლობდა ოსმალეთის საოკუპაციო რეჟიმთან. უფრო მეტიც, ის სულაც არ იყო წინააღმდეგი, თურქთა მხარდაჭერით დაუფლებოდა მთელ დასავლეთ საქართველოს და გამხდარიყო „ბრწყინვალე პორტას“ მთავარი დასაყრდენი დასავლეთ კავკასიაში². თურქეთთან მიხეილ შარვაშიძეს აკავშირებდა მერკანტილური ინტერესებიც. ის მართლაც ეწეოდა კონტრაბანდას და საკმაოდ სო-ლიდური შემოსავალიც გააჩნდა ამ საქმიანობიდან³.

მაგრამ ამ შემთხვევაში, ჩვენ უფრო მიხეილ შარვაშიძის კულ-ტურულ-სახელმწიფოებრივი იერ-სახე გვანტერესებს. მიუხედავად იმი-სა, რომ აფხაზეთის უკანასკნელი მთავარი, რუსი მაღალჩინოსნების თქმით, არც თუ იშვიათად „ველურ“ არაქრისტიანულ ჩვევებს ავლენ-და⁴, მისი მმართველობის ხანაში შარვაშიძეთა სახლი ერთმნიშვნელოვ-ნად რჩებოდა საერთოქართული ქრისტიანული სამყაროსა და იყო ქარ-თული წიგნიერების არეალში. რუსული ადმინისტრაციის ხელმძღვანე-ლი პირებიც კი აღიარებდნენ, რომ „в фамилии князей Шарвашидзе употребительный письменный язык грузинский“⁵.

ის, რომ ქართული წიგნიერება იყო მშობლიური მიხეილ შარვა-შიძისათვის, დასტურდება მისი ოფიციალური და არაოფიციალური მი-მოწერით. მიხეილ შარვაშიძის ეპისტოლარული მემკვიდრეობა კარგა-დაა ცნობილი მკვლევართათვის⁶, ამდენად, ამჯერად ამ თემაზე საგან-

¹ ამის შესახებ იხ.: **С. З. Лакоба.** Очерки политической истории..., გვ. 23-24; **ზ. პაპასქირი.** ნარკვევები თანამედროვე აფხაზეთის..., გვ. 175-176.

² **ზ. პაპასქირი.** ნარკვევები თანამედროვე აფხაზეთის..., გვ. 185.

³ ამის დამადასტურებელი ფაქტები თავის დროზე მოიძია გ. ძიძარიამ. კერ-ძოდ, თავის ნაშრომში მაჰაჯირობის შესახებ მას მოჰყავს ცნობილი მოგ-ზაურის ფრ. დიუბუა დე მონპერეს შემდეგი კომენტარი: „Торг (рабами) прек-ратился бы совершенно, если бы Михаил-бей и Гасан-бей не были сами его первыми зачинщиками“ იხ.: **Г. А. Дзидзария.** Махаджирство и проблемы исто-рии Абхазии..., გვ. 262.

⁴ *Акты, собранные Кавказскою археографической комиссиею (შემდგომ – АКАК)*, т. VIII, Тифлиси, 1881, გვ. 447.

⁵ **შ. ჩხეტია.** აფხაზეთის სამთავროს ისტორიისათვის..., გვ. 154.

⁶ იხ.: **ს. ჯანაშია.** გიორგი შარვაშიძე..., – *შრომები...*, გვ. 33-35, **შ. ჩხეტია.** აფხაზეთის სამთავროს ისტორიისათვის..., გვ. 195, 232, 239-241; **ზ. პაპასქი-რი.** ნარკვევები თანამედროვე აფხაზეთის..., გვ. 165-170, 186.

გებოდ არ შევჩერდებით, მაგრამ მიზანშეწონილად მიგვაჩნია, მოვიყვანოთ აფხაზეთის მთავრის ერთი (კონფიდენციალური) წერილი, გაგზავნილი ჭკადუაშში მყოფი მეუღლისადმი: „საყვარელო ალექსანდრა! გრივოლ შარვაშიძე და ქირთ ტაგუ გამოძივ ზაენია ვითომც შენი და ბავშვების წამოსაყვანად აქეთ, და არამც არ დაუჯერო იმათ და არ წამოხვიდე. ეს არავინ გაიგოს. რამდონიც ხანს შეგეძლოს(!) შეიქცე, და მამა შენი როცა მოვა, თვითონ მიხვთება. ეს წიგნი უჩვენე და რავარც სჯობდეს, იქს. გიორგი შენთან მოაყვანინე. ლეჩხუმს არ წაიყვანონ. ბაბუშია ჩქოტუებს გამოატანე. გულნაკლულად არიან, გაზრდილი წავგართვიო. მე მალე ვერ მოვალ, მაგრამე (!) ჩემთვის ნუ სწუხარ(!), პატარა გიორგი შეგიქცევს. შენი მიხაილ შარვაშიძე, 18 მაისს 1855 წელსა: ოჩამჩირით“. გარედან წერილს აწერია: „აფხაზეთის მთავრინა ალექსანდრა გიორგის ასულსა, ჭკადუაშს, საკუთარს ხელს“.¹

გარდა იმისა, რომ მიხეილ შარვაშიძის ამ წერილში პირდაპირი მინიშნებაა გიორგი შარვაშიძის ასაკზე – ის ამდროს ჯერ კიდევ მცირეწლოვანი იყო, აფხაზეთის მთავრის ეს ბარათი სხვა მხრივაცაა საინტერესო. ამ წერილისა და აფხაზეთის მთავრის სამღვიანმწიგნობროს² მიერ მომზადებული სხვა ქართული დოკუმენტების ფილოლოგი-

¹ ს. ჯანაშია. გიორგი შარვაშიძე... შრომები... გვ. 34-35.

² ის, რომ აფხაზეთის სამთავრო სახლის წარმომადგენლები მხარის „გაბარბაროსების“ შემდეგაც – XVII-XIX ს. დამდეგს – კვლავ რჩებოდნენ საერთოქართული სოციალურ-პოლიტიკური სისტემისა და ქართული წიგნიერების სივრცეში, ნათლად დასტურდება აფხაზეთის მთავრების, ყვაპუ შარვაშიძისა და ქელეშბეი შარვაშიძის ეპისტოლარული მემკვიდრეობიდანაც. ამ მხრივ, განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს მიხეილ შარვაშიძის პაპის, ქელეშბეი შარვაშიძის ხელწერილი, რომელიც მან მისცა თავის ახლო ნათესავს სოსრანბეგ შარვაშიძეს: „ესე ხელწერილს გაძღვე შენ, ჩემს ძმისწულს ბეჩირბეკის შვილს სოსრანბეგს, ასე რომ მე და შენ შევევლთ ვირდით და ღენერალ-მაიორ რიქხოფს და ბატონ დედოფალს (იგულისხმება სამეგრელოს დედოფალი ნინო ბაგრატიონი-დადიანი – **ზ.პ.**) ეახელი; აწ ამათმან უგანათლებულესობამ ინება ჩვენი და შენი ვარიკება და თავთ დედოფალი მობრძანდა და გაგვარიგეს, ასე რომ რაც მამა შენს ბეჩირბეგს ადვილ-მამული, ყმა და მოსამსახურე ჰყავდა, ან რაც ჰქონდა, სრულათ ოთხივე ძმებისათვის მოვიციეშია მაშიშენისეული ადვილ-მამული; კიდევ **როგორც რივი არის ბატონყმობისა**, ისე თავის ყმა იმსახურე და შენდა ნებად გყვანდეს, და ჩემგან არც სიყვდილით, არც დაჭერით, არც კაცის შეწინდლობით ფიქრი არ გქონდეს, თუ ცხადად შენგან ვნება არ გამოცხადდეს რა“ (AKAK, т. II. Тифлис, 1868, გვ. 190. ხაზგასმა ჩვენია – **ზ.პ.**). ქელეშბეი შარვაშიძის ეს ხელწერილი შედგენილია შუა საუკუნეების საქართველოში გამოქვეყნებული დიპლომატიკური ნორმების მიხედვით. ამ შემთხვევაში განსაკუთრებით ხაზგასასმელია ის გარემოება, რომ ამგვარი წერილი იწერება არა სამურზაყანოში, რომელიც მეტად იყო ინ-

ური შესწავლის საფუძველზე, თავის დროზე აკად. ს. ჯანაშია მივიდა იმ დასკვნამდე, რომ აფხაზეთის სამთავრო კარის კანცელარია მართლწერის გარკვეულ სისტემას მისდევდა; ეს სისტემა გამოძინარეობდა შესაბამისი ლიტერატურულ-გრამატიკულ-ორთოგრაფიული მოძღვრებიდან, რომელიც ეყრდობოდა ანტონ კათალიკოზის დიდ ავტორიტეტს. მეცნიერის აზრით, აფხაზეთის „სამთავროს კანცელარიის ქართული საბუთების ...სტილი და მართლწერა ანტონისეულია და მისი გავლენა ნაწილობრივ თვით მიხეილ შარვაშიძესაც ეტყობა... ამ სკოლის გავლენას... გარკვეულად ემორჩილება გიორგი შარვაშიძე“.¹

საერთო-ქართულ კულტურულ სამყაროსთან მჭიდრო კავშირის გამოხატულება იყო ისიც, რომ აფხაზური თავადაზნაურული ელიტის წარმომადგენელთა მნიშვნელოვანი ნაწილი ატარებდა ქართულ სახელეებს². არცთუ იშვიათად რუსულ ოფიციალურ დოკუმენტებში აფხაზ აზნაურთა მიმართ აფხაზური „აამსთას“ ნაცვლად ნახმარია ქართული „აზნაური“. და ბოლოს, ყველაზე მკაფიო დადასტურება იმისა, რომ აფხაზეთის სამთავრო სახლი რჩებოდა საერთო-ქართული ქრისტიანულ-კულტურულ-პოლიტიკური სამყაროს განუყოფელ ნაწილად, არის ის ფაქტი, რომ აფხაზეთის უკანასკნელი მთავარი მიხეილ შარვაშიძე და მისი ძე გიორგი დაასაფლავეს მოქვის ტაძარში და მათ საფლავებს ამშვენებს ძველი ქართული ასომთავრული წარწერები.

სრულიად ნათელ და ერთმნიშვნელოვან წარმოდგენას, თუ როგორ ესმოდათ ქართულ-აფხაზური ისტორიული ერთობა თვით აფხაზებს, იძლევა აფხაზეთისა და სამურზაყანოს თავადაზნაურთა ე.წ. „*მოხსენებითი ბარათი*“, რომელიც მათ 1870წ. მიართვეს გენერალ-ადი-

ტეგირიბუღი დანარჩენ საქართველოსთან, არამედ ე.წ. „უშინაგანეს“ აფხაზეთში, იმ მთავრის კარზე, რომელიც ითვლებოდა „მართლმორწმუნე მუსლიმად“. აი, ეს აფხაზეთიც ცხოვრობდა იმ ფეოდალურ-ბატონყმური სისტემის („*რიგი... ბატონყმობისა*“) პირობებში, რომელიც საყოველთაო იყო მთელი საქართველოსათვის. ყოველივე ეს აშკარად მიგვანიშნებს იმაზე, რომ მიუხედავად გვიანი შუა საუკუნეების აფხაზეთის ერთგვარი „წარმართად მიქცევისა“, რაც, როგორც ზემოთ აღინიშნა, გამოწვეული იყო მონათესავე მთიელ ტომთა ახალი ტაღლის ჩამოწოლით, ეს რეგიონი მაინც ქართული ფეოდალური სამყაროს ნაწილს წარმოადგენდა, ხოლო სამთავროს ოფიციალურ ენად კვლავ ქართული რჩებოდა.

¹ ს. ჯანაშია. გიორგი შარვაშიძე... *შრომები*., გვ. 33-42.

² სხვათა შორის, ქართული სახელეები გეხვდება არა მხოლოდ აფხაზებს ში, არამედ სამუბიხთა შორისაც. ასე, მაგალითად, XIX ს. I ნახევარში აღნიშნულ ტომთა ლიდერები იყვნენ **ლევან ცანუბაია** /ცანბა/ (AKAK, т. IV. Тифлис, 1870, გვ. 426, 429, 953) და უბიხების თავადი **ზურაბ** ხამიში (AKAK, т. IX, ч. I. Тифлис, 1884, გვ. 505.

უტანტ, თავად დ. სვიატოპოლკ-მირსკის, მაღალი ჩინის მოხელეს კავკასიის რუსულ ადმინისტრაციაში (Председатель Тифлисского комитета по сословно-поземельным делам). ამ დოკუმენტის, ერთგვარი თხოვნა-პეტიციის, რომელსაც ხელს აწერდნენ მთელ აფხაზეთში ცნობილი პიროვნებები, თავადები: ბათა ემუხვარი, მისოუსტ მარშანია, ტიტუ მარლანია, კონსტანტინე ინალ-იფა, შექმნის აუცილებლობა ნაკარნახევი იყო აფხაზეთის თავადაზნაურობის სურვილით, გაეტარებინათ საგლეხო რეფორმა აფხაზეთში იმ სახით, როგორც ეს განხორციელდა საქართველოს სხვა რეგიონებში. საკითხის ასე დასმის მთავარ არგუმენტად პეტიციის ავტორებს მოჰყავდათ ის გარემოება, რომ *„Издравне Абхазия составляла часть бывшего Грузинского царства. Последняя династия Грузинских царей – есть династия Абхазская. Древний Пицундский храм был в течение нескольких веков престольным храмом Католиков Абхазских и Грузинских.... Народ Абхазский и Самурзаканский почти до последнего времени имел с Грузией (იგულისხმება აღმოსავლეთ საქართველო – ზ.პ.), Мингрелией и Имеретией одну религию, одни обычаи, одни законы. Если вера христианская, под влиянием мусульманского ига и разных неурядиц в Абхазии значительно ослабла, то несомненные следы ее сохранились в жизни Абхазского народа.... Из целого ряда Абхазских владетелей, отделившихся от Грузии после разделения последней на уделы, только двое: Зураб-бей и Келеш-Ахмет бей исповедовали мусульманскую религию.... Все же остальные владетели Абхазии были христианами. Цари Грузинские никогда не исключали Абхазию из большой грузинской семьи и как до разделения царства так и после существования своего титуловались царями Грузинскими, до самого последнего времени Карталинскими, Абхазскими, Имеретинскими и Кахетинскими. Когда грузинский царь Вахтанг VI в начале прошедшего столетия (ე. ი. XVIII ს. – ზ.პ.) предпринимая издание законов, вызывал из всех провинции бывшего Грузинского Царства депутатов для содействия ему в этом труде, то между ними были и депутаты от Абхазского народа, который до последнего времени сохранил у себя древнейшие, грузинские обычаи. Не менее важными свидетельствами, принадлежности Абхазии к Грузии могут служить кроме христианских храмов, развалины разных светских и военных построек. Так известные башни над ущельем Псыраста, сооружены, по преданию, славной грузинской Царицей Тамарой; Каменная стена в Келассауре поставлена Вамекем Дадианом... Большая часть местностей носит грузинские названия; Большая часть жителей признает своё мингрельское происхождение и сохранили свои*

грузинские и мингрельские фамилии. ...Из всего выше изложенного, легко будет усмотреть, что в Абхазии не могло быть другого гражданского устройства, кроме того, которое всегда существовало в остальном христианском Закавказьи. По этому и права наши сословные и поземельные были те же, что и в Грузии, Мингрелии, Имеретии и Гурии, с самыми незначительными особенностями, обуславливавшиеся местными, чисто экономическими условиями и не превышавшими тех различий, какие существовали перед остальными областями Грузии, например между Карталинией и Имеретией. Различие это может касаться только некоторых частных, но нисколько не нарушает в общем полного сходства Абхазии со всеми областями, входившими в состав владений Грузинских Царей. ...Во главе всего Абхазского народа стоял владетель Абхазии из фамилии старинного грузинского рода Шарвашидзе“¹

აი, როგორ ჰქონდათ აფხაზი თავად-აზნაურობის ღირსეულ წარმომადგენლებს ძვალ-რბილში გამჟღადარი (XIX ს. 60-იან წლებშიც კი) ქართულ-აფხაზური ისტორიული და კულტურულ-პოლიტიკური ერთობის შეგრძნება. აი, როგორ ესმოდათ მათ ქართველთა და აფხაზთა თანაცხოვრების მრავალსაუკუნოვანი ისტორია. სწორედ ასეთ ატმოსფეროში ყალიბდებოდა გიორგი შარვაშიძის ეთნო-ეროვნული და სახელმწიფოებრივი მენტალიტეტი, ამიტომაც იქცა ის ქართულ-აფხაზური ისტორიული ძმობისა და ერთობის მეზარაზტრედ.

ზოგი რამ გიორგი შარვაშიძის დედაზე – ალექსანდრა (ცუცა) დადიანზე. ის სამეგრელოს ცნობილი თავადის გიორგი დადიანის („დიდი ნიკო“ დადიანის ვაჟის) ასული იყო. თანამედროვეთა ერთსულოვანი აღიარებით ალექსანდრა დადიანი მომხიბვლელი გარეგნობის, უაღრესად კეთილშობილი და განათლებული ადამიანი ყოფილა. მას დიდი ავტორიტეტი ჰქონია აფხაზებში². მან დიდი როლი ითამაშა გიორგი შარვაშიძის აღზრდაში, თუმცა ამ მხრივ არანაკლებ უღვაწია ალექსანდრას მამიდას, „დიდი ნიკოს“ ასულს, ცნობილი აფხაზი თავადის, აბჟუის მფლო-

¹ **А. Ментешавили.** Исторические предпосылки современного сепаратизма в Грузии. Тб., 1998, გვ. 28-30. ხაზგასმა ჩვენია – **ზ.პ.**

² აი, როგორ შეფასებას აძლევდა მის მოღვაწეობას გენერალი მ. კოცებუ კავკასიის მეფისნაცვლის ნ. მურავიოვისადმი გაგზავნილ წერილში: „Кн. Александра, женщина около 30 лет, отличается преданностью правительству, умом, благородными правилами и красотой. Она пользовалась неограниченной привязанностью абхазцев и живя прежде большей частью в Соуксу (დისხი – **ზ.პ.**), управляла всегда во время отсутствия мужа своего Бзыбским округом с таким искусством, что управление её жители предпочитали управлению владетеля“. იხ.: **შ. ჩხეტიძე.** აფხაზეთის., გვ. 154. ხაზგასმა ჩვენია – **ზ.პ.**

ბელის ალექსანდრე (ალი-ბეგ) შარვაშიძის ქვრივს კესარია დადიანს¹.

გიორგი შარვაშიძის ბიოგრაფიის შესახებ მხოლოდ ფრაგმენტული ცნობები მოგვეპოვება. მიაჩნიათ, რომ ის დაბადებული უნდა ყოფილიყო „1846 წლის მახლობლად“, ვინაიდან „ღიმიტრი ყიფიანს 1855 წლის შემოდგომაზე იგი დაახლოებით 9 წლისა სჩვენებია“² 1863წ. ოქტომბერში ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა გიორგი მსახურობდა თბილისში, სადაც ეკავა კავკასიის მეფისნაცვლის, დიდი მთავრის მიხეილ ნიკოლოზის ძის ადიუტანტის თანამდებობა. სწორედ ამ დროს, მიხეილ შარვაშიძემ, სამთავრო ხელისუფლების გახანგრძლივების მიზნით, ითხოვა გადადგომა თავისი ვაჟისა და მემკვიდრის – გიორგი შარვაშიძის სასარგებლოდ. ამასთან დაკავშირებით მან სათანადო თხოვნით მიმართა კავკასიაში რუსეთის ჯარების მთავარი შტაბის უფროსს, რათა ამ უკანასკნელს გაეთავისუფლებინა გიორგი სამხედრო სამსახურიდან. მიხეილ შარვაშიძე თავის ამ გადაწყვეტილებას ხსნიდა იმით, რომ ის ავადმყოფობის გამო ვერ ახერხებდა აფხაზეთის მართვას და ამიტომ სურდა ხელისუფლება თავისი ვაჟისთვის გადაეცა³.

მაგრამ მთავრის ამ ოცნებას აღსრულება არ ეწერა. კავკასიის რუსულმა მმართველობამ გამოიჩინა მორიგი ვერაგობა და მიხეილ შარვაშიძის ეს ინიციატივა გამოიყენა საბაბად იმპერიის უმაღლესი ხელისუფლების წინაშე სამთავროს გაუქმების საკითხის დააყენებისათვის. ამით განაწყენებულმა მთავარმა პროტესტის ნიშნად დემონსტრაციულად უარი თქვა რუსეთის ხელისუფლების მიერ მისთვის მინიჭებულ პატივზე და მოიხსნა გენერალ-ლეიტენანტისა და გენერალ-ადიუტანტის უფლებამოსილებანი, რითაც ფაქტობრივად, თავისი თავი რუსეთის იურისდიქციიდან გამოიყვანა. მაგრამ ამჯერად იმპერიის ხელისუფლება უკან დახევას არ აპირებდა. 1864წ. 24 ივნისს კავკასიის მეფისნაცვალმა აფხაზეთის მთავარს ოფიციალური შეტყობინება გაუგზავნა, რომელშიც, შეახსენებდა რა, თუ როგორ ითხოვდა იგი არაერთგზის ნებართვას, დაეტოვებინა სამთავრო ტახტი⁴, აცნობებდა იმპერატორის გადაწყვეტილებას ამ

¹ ღიმიტრი ყიფიანის ინფორმაციით, ალექსანდრა დადიანს მისთვის (1855წ.) უთქვამს: „მინდა შვილი (იგულისხმება გიორგი – ზ.პ.) სასწავლებელში გავგზავნო, მაგრამ ჯერ ყმაწვილია და თავის **ადმზრდელს, კნეინა კესარიას** ვერ შორდება“-ო. იხ.: **ს. ჯანაშია**. გიორგი შარვაშიძე, – *შრომები*, გვ. 44. ხაზგასმა ჩვენია – **ზ.პ.**

² **ს. ჯანაშია**. გიორგი შარვაშიძე, – *შრომები*, გვ. 13.

³ **ს. ჯანაშია**. გიორგი შარვაშიძე, – *შრომები*, გვ. 13.

⁴ ცნობილია, რომ მიხეილ შარვაშიძემ მისი მთავრის ტახტიდან გადადგომის საკითხი პირველად ოფიციალურად დასვა ჯერ კიდევ 1847წ. (მაშინ ის უკიდურესად გაღიზიანებული იყო „სამურზაყანოს საკითხში“ იმ-

თხოვნის დაკმაყოფილების შესახებ. ხელმწიფე-იმპერატორის ბრძანებით მიხეილ შარვაშიძე და მისი შთამომავლობა სამუდამოდ კარგავდა აფხაზეთის მართვის უფლებას და იქ მყარდებოდა რუსული მმართველობა¹.

რუსეთის ხელისუფლების ეს გადაწყვეტილება მიხეილ შარვაშიძემ გარეგნულად მშვიდად მიიღო. აფხაზეთის მთავარი, როგორც აღნიშნავდა ქუთაისის გენერალ-გუბერნატორი გენ. დ. სვიატოპოლკ-მირსკი, რომელიც პირადად ეახლა მას ტყვარჩელში, სადაც მიხეილ შარვაშიძე იმყოფებოდა სამკურნალოდ, არათუ წინ არ აღუდგა აფხაზეთში რუსული მმართველობის დამყარებას, არამედ „по первому требованию... созвал аххазцев для обнявления им высочайшей воли“.² ერთადერთი, რასაც მოითხოვდა მიხეილ შარვაშიძე, იყო ის, რომ მისთვის ნება დაერთოთ, ეცხოვრა აფხაზეთში. იმ შემთხვევაში, თუ ამის ნებას არ მისცემდნენ, ის ითხოვდა მამულს იმერეთში და ცხოვრების უფლებას ზამთრობით ქუთაისში, ხოლო ზაფხულობით რაჭაში. და თუ ამაზეც ეტყოდნენ უარს, მაშინ მთავარი ითხოვდა, მიეცათ მისთვის იერუსალიმში გამგზავრების ნებართვა, სადაც, მისი სიტყვებით, ის დაელოდებოდა სიკვდილს „უფლის საფლავთან“. „წინააღმდეგ შემთხვევაში, – უთვლიდა მიხეილ შარვაშიძე ხელისუფლებას, – შეგიძლიათ წამართლით აქიდან ძალით, დაე მოელმა ქვეყანამ ნახოს თქვენი უსამართლობა და სისასტიკე“.³

გიორგი შარვაშიძის პირველი აქტიური გამოჩენა პოლიტიკურ ასპარეზზე სწორედ ამ პერიოდს, კერძოდ კი 1866წ. ტრაგიკულ მოვლენებს უკავშირდება. ამ დროს, როგორც ცნობილია, აფხაზეთში მძლავრმა ანტირუსულმა აჯანყებამ იფეთქა, რაც ძირითადად მთავრის ხელისუფლების გაუქმებითა და რუს მოხელეთა განუკითხაობით იყო გამოწვეუ-

პერიის მიერ გამოჩენილი „ვერაგობით“). ხელისუფლებას ის ატყობინებდა, რომ სურდა აფხაზეთის საერთოდ დატოვება და იმერეთში დასახლება, სადაც მისთვის უნდა გადაეცათ 1500 გლეხი კარ-მიდამოთი, რომლებიც განთავისუფლებულნი იქნებოდნენ სამთავრობო გადასახადებისა და ვალდებულებებისაგან. მაგრამ კავკასიის მეფისნაცვალმა მიხეილ ვორონცოვმა დიპლომატიურად უარი თქვა მიხეილ შარვაშიძის თხოვნის დაკმაყოფილებაზე და მოუწოდა მას, განეგრძო „ღვთით მონიჭებული მოვალეობის“ შესრულება. С. Эсадзе. Историческая записка об управлении Кавказом, I. Тифлис, 1907, გვ. 134, 136; ზ. პაპასქირი. ნარკვევები თანამედროვე აფხაზეთის..., გვ. 153-154.

¹ Г. Г. Паичадзе. Абхазия в составе Российской империи. 1810-1917 гг. – *Разыскания по истории Абхазии/Грузии*. Тб., 1999, გვ. 227.

² Г. А. Дзидзария. Абхазия в годы Крымской войны. Упразднение владетельного княжества. – *Очерки истории Абхазской АССР*, т. I. Сухуми, 1960, გვ. 200.

³ ს. ჯანაშია. გიორგი შარვაშიძე, – *შრომები*, გვ. 12.

ლი¹. აფხაზებმა დიდი შეკრება მოაწყვეს ლიხნში, მთავრის სასახლის წინ. მათთან შესახვედრად გაემართა სოხუმის განყოფილების უფროსი პოლკოვნიკი კონიარი, რომელმაც დიპლომატიური მოსაზრებით თან იახლა მიხეილ შარვაშიძის ვაჟი – გიორგი და გარდაცვლილი მთავრის ძმა – ალექსანდრე შარვაშიძე.

კონიარმა ულტიმატუმი წაუყენა შეკრებილ ხალხს და თავყრილობის ინიციატორთა გაცემა მოითხოვა. ამან ისედაც აღზნებული აფხაზები მოთმინებიდან გამოიყვანა და მათ ცეცხლი გაუხსნეს კონიარსა და მის ამაღლას. გიორგი შარვაშიძე ამოღო ცდილობდა, შეეჩერებინა თავისი თანამემამულენი. ხალხმა მას არ დაუჯერა, შეიჭრა მთავრის სასახლეში, რომელსაც კონიარმა და მისმა გარემოცვამ თავი შეაფარა და სოხუმის ოლქის უფროსი და მისი მხლებლები სიცოცხლეს გამოასაღმა. ასე დაიწყო ლიხნის ამბოხი, რომელიც მალე აფხაზეთის სხვა რაიონებსაც მოედო და ფართო მასშტაბის ანტირუსულ გამოსვლაში გადაიზარდა.

აჯანყებულებმა გიორგი შარვაშიძე აფხაზეთის ახალ მთავრად გამოაცხადეს და მოსთხოვეს მას, გაძლოლოდა მათ ბრძოლას რუსული ხელისუფლების წინააღმდეგ. გიორგი შარვაშიძე ფაქტობრივად ერთგვარი მძევლის როლში აღმოჩნდა. ის კვლავ ცდილობდა შეეჩერებინა აჯანყებულები. მაგრამ მის რეპლიკას – „Мы не в силах бороться с русскими“, ხალხის ხმამაღალი შეძახილი მოჰყვა: „Нас много“². „ეხლა შენ ჩვენი მთავარი ხარ, საითაც წახვალ, წამოგყვებით; საცა შენ, ჩვენც იქ უნდა დავიღუპოთ“, – ეუბნებოდნენ ამბოხებული აფხაზები ახალგაზრდა მთავარს³ და ისიც იძულებული შეიქნა, მათ სურვილს დაჰყოლოდა. გიორგი შარვაშიძე კარგად გრძნობდა თავისი მდგომარეობის ტრაგიკულობას და ღიად გამოხატავდა წუხილს შექმნილი სიტუაციის გამო. „Меня поставили в такое положение, что не могу явиться к русским, которые меня вскормили и воспитали, предпочитаю

¹ მიუხედავად იმისა, რომ აჯანყების უშუალო საბაზი იყო აფხაზ გლეხთა უარყოფითი დამოკიდებულება იმ დროს მიმდინარე საგლეხო რეფორმისადმი, მათი ეს გამოსვლა იმთავითვე გასცდა ჩვეულებრივი სოციალური ამბოხის ფარგლებს და რუსეთის იმპერიის კოლონიალური რეჟიმის წინააღმდეგ საერთო-სახალხო აჯანყების ხასიათი მიიღო. სავსებით სწორია ცნობილი აფხაზი ისტორიკოსი სტანისლავ ლაკობა, როდესაც წერს, რომ „Абхазское (Лыхненское) восстание 1866 года... носило ярко выраженный, антиколониальный национально-освободительный характер“ (С. З. Лакоба. Очерки политической истории Абхазии..., გვ. 26. ხაზგასმა ჩვენია – ზ.პ.).

² *Документы по истории Грузии. 1862-1917*, т. I, ч. I. Под редакцией **Ш. К. Чхетия**. Тб., 1952, გვ. 112.

³ ს. ჯანაშია. გიორგი შარვაშიძე..., – *შრომები*., გვ. 15.

сене смерть“,¹ – აი, რა უთქვამს მას გადამწყვეტი ბრძოლის წინ თავისი ბიძის ალექსანდრესათვის.

ხელისუფლებამ სასწრაფო ზომები მიიღო აჯანყების ჩასახშობად. სოხუმში გადასროლილ იქნა დამატებითი სამხედრო ძალები პირადად ქუთაისის გენერალ-გუბერნატორის დ. სვიატოპოლკ-მირსკის სარდლობით. აჯანყება ჩაახშვეს, მისი მეთაურები და წამომწყებნი კი სასტიკად დასაჯეს. სოხუმში ადგილი ჰქონდა აჯანყების აქტიურ მონაწილეთა საჯარო დახვრეტასაც კი. ბევრი გადაასახლეს ციმბირსა და რუსეთის სხვა რეგიონებში. გადაასახლეს თვით გიორგი შარვაშიძეც, რომელიც გაგზავნილ იქნა სამხედრო სამსახურის გასაგრძელებლად ორენბურგის სამხედრო „ოკრუგში“.²

კიდევ ერთი ფაქტი გიორგი შარვაშიძის საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოღვაწეობის წარმოსაჩენად. ეს არის დიდი მამულიშვილის ცხოვრების ერთგვარი რეჟიემი. 1917წ. 8 ნოემბერს (ამ დროს პეტროგრადში დამხობილი იყო დროებითი მთავრობა და ძალაუფლება უკვე ბოლშევიკებს ეპყრათ) აფხაზეთის ანტიქართულად განწყობილი „ახლადგამომცხვარი“ ლიდერების ალექსანდრე შარვაშიძის, ტატამ მარშანიას, სიმონ ბასარიას, მიხეილ ცაგურიას, დიმიტრი ალანიას, მიხეილ ტარნავასა და ა.შ. ინიციატივით, მკვიდრი ქართული მოსახლეობის, აგრეთვე რეგიონში მცხოვრები სხვა ეროვნებების წარმომადგენელთა ზურგს უკან, მოწვეულ იქნა ე.წ. „აფხაზი ხალხის ყრილობა“, რომელმაც შექმნა „აფხაზთა სახალხო საბჭო“ (*Абхазский Народный Совет*) და მიიღო ოფიციალური დოკუმენტები: „აფხაზი ხალხის დეკლარაცია“ და „აფხაზთა სახალხო საბჭოს კონსტიტუცია“.

„ყრილობამ“ ოფიციალურად დაადასტურა აფხაზი ხალხის შესვლა (ხაზს ვუსვამთ: **აფხაზი ხალხის** და არა **აფხაზეთის**) „კავკასიის გაერთიანებულ მთიელთა კავშირში“. ამავე დროს, ყრილობამ ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოებისაგან (სამხარეო კომიტეტი, კომისიები და ა.შ.) **მოითხოვა**, წარემართათ თავიანთი საქმიანობა „В контакте с Абхазским Народным Советом“.³ ამით აფხაზთა სახალხო საბჭომ, რომელიც მხოლოდ ერთი – აფხაზი ხალხის ინტერესების გამომხატველი იყო, მკვიდრი ქართული მოსახლეობისა და რეგიონის სხვა

¹ *Документы по истории Грузии...*, გვ. 112.

² **С. З. Лакоба.** Очерки политической истории Абхазии..., გვ. 26.

³ *აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური რეგიონების სტატუსის საქართველოს შემადგენლობაში (1917-1988).* პოლიტიკურ-სამართლებრივი აქტების კრებული. კრებულის შემდგენელი და მთავარი რედაქტორი **თ. დიასამიძე**. თბ., 2004, გვ. 214. ხაზგასმა ჩვენია – **ზ.კ.**

მცხოვრებთა ნების სრული იგნორირებით, ფაქტობრივად, მოახდინა ხელისუფლების უზურპირება აფხაზეთში.

ყრილობამ ფეხქვეშ გათელა მრავალსაუკუნოვანი ქართულ-აფხაზური ისტორიული თანაცხოვრება და აფხაზი ხალხის მომავალი ცალსახად დაუკავშირა „აკაკასიის გაერთიანებულ მთიელთა კავშირს“. „ყრილობის“ მკვეთრად გამოხატულმა ანტიქართულმა პათოსმა და მიმართულებამ ქართველ პოლიტიკურ მოღვაწეთა პროტესტი გამოიწვია. როგორც აღნიშნავს თავისი სეპარატისტული განწყობილებებით ცნობილი მიხეილ ტარნავა, ყრილობაზე გამოცხადდა აკაკი ჩხენკელი – რუსეთის (IV) სათათბიროს დეპუტატი, „ოზაკობის“ („Особый Закавказский комитет“ – ამიერკავკასიაში რუსეთის დროებითი მთავრობის ხელმძღვანელი ორგანო) წევრი, აგრეთვე სხვა ცნობილი პიროვნებები, რომელთა შორის გიორგი შარვაშიძეც იყო¹.

გიორგი შარვაშიძემ აფხაზურ ენაზე მიმართა „ყრილობის“ მონაწილეებს, აუხსნა მათ რუსეთში განვითარებული მოვლენების არსი, მიულოცა თავისუფლების მოახლოება და მოუწოდა ქართველ ხალხთან მეგობრობისა და თანამშრომლობისაკენ: „თქვენ თქვენს უფროს ძმებს მიჰყევით, მათთან ერთად იმოქმედეთ და იბრძოლეთ თავისუფლების მოსაპოვებლად და შესანარჩუნებლად. ვიცით, ზოგიერთებს არ მოეწონებათ ჩემი ასეთი აზრი, რადგან ისინი მოსკოვისაკენ იყურებიან, მე კი – თბილისისაკენ. სხვა გზა არ არის და არც ყოფილა აროდეს აფხაზეთისათვის, გარდა საქართველოსთან მჭიდრო კავშირისა და მასთან ყოფნისა განუყრელად ჭირში და ლხინში“. ამ განცხადების შემდეგ, თავის თანამომხეთა ანტიქართული განწყობილებებით გაწბილებულმა გიორგი შარვაშიძემ დატოვა დარბაზი და შემდგომ არც მობრუნებულა².

¹ აღსანიშნავია, რომ ს. ლაკობა რომელსაც (მ. ტარნავას მიხედვით) მოჰყავს აკაკი ჩხენკელისა და სხვა მოღვაწეთა ყრილობაზე მოსვლისა და მასზე ამ უკანასკნელის გამოსვლის ფაქტი, კრინტს არ ძრავს იმაზე, რომ ქართული პოზიციების აქტიური დაცვით გამოვიდა გიორგი შარვაშიძე. არადა, ს. ლაკობას სულაც არ დავიწყინა გიორგი შარვაშიძის არსებობა. უფრო მეტიც, მან „აფხაზეთის ისტორიის“ ე.წ. „დამხმარე სახელმძღვანელოს“ ზუსტად იმ ნაწილში, (თითქმის იმავე გვერდზე), სადაც სკრუპულოზურად აცნობს მკითხველს „აფხაზი ხალხის ყრილობის“ პერიპეტიებს, მოათავსა გიორგი შარვაშიძისა და ალექსანდრე შარვაშიძის 1917წ. დათარიღებული ფოტო. იხ.: **С. З. Лакоба.** Абхазия в 1917-1921гг. – წგნ.: *История Абхазии*. Учебное пособие. гл. ред. С. Лакоба. Сухуми, 1991, გვ. 282-283.

² ეს მასალა სათაურით: „**გაუცხოების დასაწყისი (1917-1920)**“ გამოქვეყნებულია ბერლინში გამოცემულ ქართულ გაზეთში „თეთრი გიორგი“ (1931წ.). მითითებულია წიგნიდან: **დ. ჩიტაია.** აფხაზეთის საკითხი საქართველოს პირველ რესპუბლიკაში. *აფხაზეთის სახალხო საბჭო 1917-1921 წლებში*. თბ., 2006, გვ. 125-126.

სულ რაღაც სამ თვეში კი – 1918 წლის 19 თებერვალს – მთელი საქართველო შეძრა სოხუმიდან მოსულმა ცნობამ დიდი მამულიშვილის გარდაცვალების შესახებ.

გიორგი შარვაშიძის – აფხაზური თავადაზნაურული ელიტის ამ უკანასკნელი მოჰიკანის, ქართულ-აფხაზური ისტორიული ძმობისა და ერთობის ნამდვილი ბურჯის, უცარი გარდაცვალება 1918წ. დამდგეს, როდესაც ახლადმოვლენილი აფხაზი ლიდერები ყოველნაირად ცდილობდნენ მისი მშობლიური კუთხის დანარჩენი საქართველოსაგან მოწყვეტას, რამდენადმე სიმბოლურიც კი იყო. თავისი დიდი სამშობლოს – საქართველოს – მხურვალე პატრიოტის, რომელმაც ჭეშმარიტად მამულიშვილური, შეურიგებელი პოზიციის გამო არაერთხელ იწვნია რუსეთის ხელისუფლების რისხვა, გულმა ვერ აიტანა თანამოდმეთაღლატი. სავსებით ნათელი იყო, რომ ახალ აფხაზ ლიდერებს სრულიად განსხვავებული იდეალები ჰქონდათ. მათ უკვე არ შეეძლოთ და არც სურდათ გიორგი შარვაშიძის ნაკვალევზე სვლა. ამისთვის არ აღუზრდია ისინი „დედა-რუსეთს“.

სხვათა შორის, ეს შეუძნეველი არ დარჩენია იმდროინდელი ქართული საზოგადოების თვალსაჩინო წარმომადგენლებს. კერძოდ, აი რა განაცხადა ამასთან დაკავშირებით ცნობილმა ქართველმა მოღვაწემ ნიკო თავდგირიძემ გიორგი შარვაშიძის დაკრძალვაზე: *„შენი ხალხისათვის თავისუფლების მოპოების ხმაძალა აღიარების გამო იმ დროს, როცა ყველა წრის ჩვენ საზოგადოებას ღვთის წყალობად მიაჩნდათ რუსის მთავრობის ყურადღება, შენ აკრძალული გქონდა შენს სამშობლოში – აფხაზეთში ხანგრძლივი ცხოვრება, მხოლოდ 1905 წლის შეკვეცილ უფლებათა მოპოების შემდეგ შესძელ დაუბრკოლებლად აქ გეცხოვრა; დაუფრთხილავ მოაშურე შენს ქვეყანას, მაგრამ რა დავხვდა? იმ აბხაზეტმა, რომლების ღირსებას უცხოელები შენით პატივს გცემდნენ, რომლების თავისუფლებისათვის შენ შესწირე მთელი შენი ღიღებული კარიერა, ყოველივე შენი ქონება, სიმდიდრე, შენი აქ ჩამოსვლა ვერც კი შეამჩნიეს... შენი აქ ყოფნით ვერ ისარგებლეს. თუ ეს გარემოება მოსათმენი იყო ამ ორი წლის წინეთ, ეხლა ამ უკანასკნელ დროს, როცა ყველა ეროვნებას მიენიჭა თავისუფლად ამოსუნთქვის უფლება, შენდამი უყურადღებობა სწორედ დანაშაულება იყო... რა უსამართლობა, რა ირონია ცხოვრების: მთელი შენი მშვენიერი, მომზიბლავი ახალგაზრდობის ძალა, არა ჩვეულებრივი განსაკუთრებული უპირატესობით აღსავსე გარემოება მსხვერპლად შესწირე იმას, რომ შენს პატარა, მაგრამ შენთვის ცხოვრებაში ერთად-ერთ საფასურ-განძს – აბხაზეტს თავისუფლება მოვლინებოდა და შენ უკანასკნელი თავის და-*

ლით, როგორც ბიბლიური სიმონი მიჰგებებოდი მას, მაგრამ შენმა სიყვარულმა ხალხმა-აბხაზებმა გვერდი ავიხვია, ვერ შევაძინია შენ და იმ რუსის აღზრდა-აზროვნება-მიმართულებით გაჟღერთილ ადამიანებს მიჰყვა, რომელთან ბრძოლას შენი ხალხის დაჩაგვრისათვის მთელი შენი კაცთა შორის აღიარებული ბედნიერება შესწირე“¹.

საერთო-ქართული ეროვნული იდეალები ასულდგმულებდა გიორგი შარვაშიძის შემოქმედებას, მის მწვავე პუბლიცისტურ წერილებს. და ეს იმიტომ, რომ, როგორც უკვე აღინიშნა, ფეოდალური არისტოკრატის საუკეთესო ტრადიციებზე აღზრდილმა გიორგი შარვაშიძემ ბავშვობიდანვე შეისისხლხორცა როგორც მშობლიური აფხაზეთის, ისე თავისი დიდი სამშობლოს – საქართველოს, რომელსაც ის ხშირად ივერიას უწოდებდა², სიყვარული და ერთგულება. ის, რომ გიორგი შარვაშიძე თავის სამშობლოდ პირველ რიგში მიიჩნევდა საქართველოს მთლიანად და არა საკუთრივ აფხაზეთს, არავითარ ეჭვს არ იწვევს. თუმცა ეს სულაც არ გვაძლევს უფლებას, ეჭვი შევიტანოთ მის, ისევე როგორც საერთოდ გვიან შუა საუკუნეების შარვაშიძეთა საგვარეულოს აფხაზობაში ეთნო-ტომობრივად. გიორგი შარვაშიძეს, რომელიც უდავოდ იყო ქართველი ისტორიულ-კულტურულად, სავსებით ნათლად ჰქონდა გაცნობიერებული თავისი ეთნო-ტომობრივი აფხაზობა. ამის მკაფიო დადასტურებაა თუნდაც მისი პოეტური შედევრი „ვარადა“, რომელშიც ის მთელი გრძნობით გამოხატავს სურვილს, რომ არ მოწყდეს თავის აფხაზურ ფესვებს:

„განგებავ! ამას ნუ მიწყენ,

ვერ გადავკვარდე ვარადა,

ხანდისხან წავილულუნო

მამაპაპური ვარადა“ (ხაზგასმა ჩვენია – ზ.პ.).

სწორად აღნიშნავს აკად. სიმონ ჯანაშია, რომ „მშობლიური თავისებურების დიდი გრძნობის წიაღში შეიძლებოდა მხოლოდ დაბადებულიყო ისეთი შედევრი, როგორიცაა... აფხაზური სიმღერა „ვარადა“ – უშინაგანესი ლირიკული მღელვარების პოეტური შენივთება“³.

და ეს აფხაზი, მშობლიურ აფხაზეთზე უსაზღვროდ შეყვარებული, თავისი კუთხისა და აფხაზური ენის შესანიშნავი მცოდნე⁴, ამავე

¹ გიორგი შარვაშიძე. *თხზულებანი*., ტ. II., გვ. 39-40.

² თუ რატომ უწოდებდა გიორგი შარვაშიძე სრულიად საქართველოს – „ივერიას“ შესანიშნავად აქვს ახსნილი აკად. ს. ჯანაშიას. იხ.: ს. ჯანაშია. გიორგი შარვაშიძე., – *შრომები*., გვ. 54-59.

³ ს. ჯანაშია. გიორგი შარვაშიძე., – *შრომები*., გვ. 22.

⁴ ს. ჯანაშიას მამამისისაგან, ცნობილი ქართველი მოღვაწის, აფხაზმცოდნის ნიკო ჯანაშიასგან და აგრეთვე აფხაზეთის სხვა მკვიდრთაგან (კი-

დროს იყო თავისი დიდი სამშობლოს – საქართველოს ჭეშმარიტი შვილი და გულანთებული პატრიოტი, რომელიც ხელიდან არ უშვებდა შესაძლებლობას, მედგრად დამდგარიყო საქართველოს სადარაჯოზე, დაეცვა მისი ეროვნულ-კულტურული თვითმყოფადობა და საკადრისი პასუხი გაეცა ჩვენი ქვეყნის არაკეთილმოსურნეებისათვის. ამის ნათელი მაგალითია თუნდაც გიორგი შარვაშიძის წერილი გერმანული გაზეთის „*კურლინერ თაგებლაღ*“-ის რედაქტორისადმი, პასუხად აღნიშნულ გაზეთში კორესპონდენტ ლორენცის მიერ გამოქვეყნებული სტატიისა. ამ სტატიაში კორესპონდენტი მკითხველებს მოუთხრობდა მისი ყოფნის შესახებ გაგრაში პრინც ოლდენბურგელის მიწვევით. კორესპონდენტის მტკიცებით, წვეულების დროს „ადგილობრივი მაღალი წოდების წარმომადგენლებს, რომლებიც ემსახურებოდნენ სუფრას“, თურმე „ერთ-ერთი სტუმრისათვის პალტო მოუპარავთ“. ასევე ერთგვარი ზიზლით წერდა ლორენცი თბილისზეც, იგი აღნიშნავდა, რომ „აქ ადამიანები და ცხოველები ერთნაირ მდგომარეობაში არიან“.

გერმანელი კორესპონდენტის ამგვარი თავხედური გამოხდომების პასუხად გიორგი შარვაშიძე წერდა: *„Да, мы еще не дошли до европейской высоты цивилизации..., и такая отсталость может и делает нас похожим на людей медного века, но об этом не сожалеем, находим, что не следует усваивать себе... весь хлам, именуемый некоторым прогрессом, а мы стараемся выбирать из него, как жемчужины, выдающиеся произведения литературы и искусства, следим за открытиями в науке, словом берём лишь то, что считаем с пользой применимым к жизни и обществу. Так безхитростно мы живём, и если бы г. Лоренц больше вникнул в бытовые стороны, он бы понял всё это и многое другое; узнал-бы, что этот народ к которому он отнёсся презрительно, имеет блестящее историческое прошлое; что грузины – рыцари, ходившие в крестовый поход поборниками первого христианства, стояли у врат Кавказа... в течение пятнадцать веков не для того, чтобы врываться в чужие страны и расхищать чужое добро, а для защиты отечества, – для охраны христианской культуры и гражданского быта, узнал бы также, что у грузин есть богатейшая древняя эпическая литература, сравниваемая с мировыми произведениями; узнал бы, что в иерархии грузинских царей и народа встречаются имена необыкновенных героев и людей гениальной мудрости и т.п.*

ჭინ და მიხეილ მარღანიები, ანდრია ჭოჭუა, ბესლან ხვარცკია და სხვ.) ჰქონია გაგონილი „ასე ახლა არავინ ლაპარაკობს აფხაზურსო“. იხ.: **ს. ჯანაშია**. გიორგი შარვაშიძე., – *შრომები*., გვ. 22.

Можно бы еще многое сказать, но золотые страницы прошлого этого народа, омытые слезами и кровью всей нации, нельзя передать в газетном столбце. По правде говоря и не стоит...“¹

ამ წერილიდან სრულიად აშკარად ჩანს, რომ გიორგი შარვაშიძისათვის აფხაზები და აფხაზეთი ქართველებისა და საქართველოს განუყოფელი ნაწილია. ეს არის ერთიანი კულტურულ-პოლიტიკური და სახელმწიფოებრივი სამყარო. სწორედ ქართველთა და აფხაზთა ამ საერთო სამშობლოთი ამყობს ის. აი, რატომაა, რომ 1917 წელს, როდესაც გამოიკვეთა ქართული ეროვნული სახელმწიფოს აღორძინების კონტურები, გიორგი შარვაშიძე მთელი არსებით მიესალმა ახალი ეპოქის დადგომას.

ამასთან დაკავშირებით დიდ ინტერესს იწვევს მისი წერილი, გამოქვეყნებული გახეთ „საქართველოს“ (1917წ. 25-29 ივნისი) ფურცლებზე: „მართალია, ჩვენს სამშობლოს ივერიას ყოველგვარი დიდი კულტურული განცდა გამოუვლია, მაგრამ ჩვენი წარსული ისეთს უკმს გაშეშდა, რომ დაგვებნა ბუნებრივი ევოლუციის შარა და კანონი. დიად, ჩვენ შეგვიძლია თამამადაც ვთქვათ, რომ ილბალის უკულმართობას რომ ხელი არ შეეშალა, ევროპის წინათაც კი ვიქნებოდით ჩვენ დღეს; ვინაიდან, როდესაც ანდრია მოციქული აქ ქრისტეს მცნებას გვიქადაგებდა, მაშინ ევროპაში თვით ღუკებსაც კამეჩის ტყავი ეცვათ ტანზე და ფეხშიშველა, შუბებით ხელში, ნადირობდნენ ტყეებში. მას მერე, როგორც იყო, ომით, მუდამ დავიდარაბით, მოვიტანეთ ჩვენი კულტურის ცხოვრება თამარ დედოფლის დრომდი, რომელიც იყო ივერიის ოქროს ხანა! შემდეგ კი უკულმართად დატრიალდა ერის არსება. შემოსეული მტრები არ გვაძლევდნენ საშველს და ხალხი დაიღალა. ნელ-ნელა ჩაქრა დიდებული გონებრივი და ქონებრივი თანხა ქვეყნისა და დაიშალა ცხოვრება თვითარსებობისა. ენა გაღარიბდა, ზნეობა წაგვიხდა, ქონება-შედლება დაკარგეთ, რაინდობა და პატიოსნება განვადეთ და ბოლოს მოვალწიეთ იმ ხანაში, როცა კეთილდღეობასა ვპოვნიდით ჯაშუშობაში და სამშობლოს მტრობაში... ამ დროს, როდესაც შეგნებული ნაწილი ივერთა დაკუწულ ხალხისა, ხელგულდაკრეფილი, იღვა საფლავებზე თავის დავიწყებული, დამარხული დიდებისა, დღეს, უეცრად გაისმა ხმა სიმართლისა და თავისუფლებისა! დაჰკრა საქართველომ ნაღარა, დაჰკივლა ვაშა, ვაშა!“ და ასეთი ეროვნული გამოღვიძების ფონზე გიორგი შარვაშიძეს გულს უკლავს მაგანთა შემახილები: „ჩვენ არა გვსურს თავისუფლება, არ ვეძებთ ავტონომიას, ხალხი ქვეყნიერობისა ყველა ერთია, ჩვენ გვინდა მხოლოდ მუშა ხალხს მიეცეს სიკეთე-შეღავათი.

¹ ს. ლეკიშვილი. გიორგი შარვაშიძე., გვ. 285-286. ხაზგასმა ჩვენია – ზ.პ.

ამისათვის საჭიროა მამულები ჩამოერთვას მებატონეებს და დაურიგდეს მიწათ მუშებს, ძირს წოდება და მიწათპატრონობა და სხ... აგრე – სოფლურ ანგარიშზე ჩამოქვეითდა ბრწყინვალე მზე ერის განთავისუფლებისა და გამოცოცხლებისა“.¹ მართლაც ძნელია არ აღფრთოვანდე გიორგი შარვაშიძის ამ დიდი ეროვნული, ჭეშმარიტად ილიასეული შემართებით.

გიორგი შარვაშიძის, როგორც საქართველოს დიდი პატრიოტის, მამულიშვილის, მშობლიური ქვეყნის ჭირ-ვარამზე მუდმივად მაფიქრალი კაცის ეროვნული სატკივარი შესანიშნავადაა გადმოცემული ლექსში „პასუხი ვ.ო.“, რომელიც მას დაუწერია ბათუმში 1883წ. გაზეთ „დროებაში“ (№1, 1883წ.) გამოქვეყნებული ვახტანგ ორბელიანის ლექსის – „ამერ-იმერს“ წაკითხვისაგან მიღებული შთაბეჭდილებების ფონზე². ამ ლექსში (ის ცენზურის ზეწოლის შედეგად ვერ დაბეჭდა „დროებაში“) გიორგი შარვაშიძე უერთდება მეგობარი პოეტის პატრიოტულ სულისკვეთებას და გულისტკივილით იგონებს იმ დროს, როდესაც საქართველო იყო ერთიანი:

*„...დიად, მოგასწროს ის ბედნიერი
დღე, როცა ხალხში შეერთებული,
ძველებურათა ძველი ივერი
შეიქმნას მძლე და სახელ-ქებული
და საქართველოს ყოველ კუთხიდან
ლხინის საყვირთა გვესმას ტკრციალი;
იმერთა მღერა მთისა ლიხიდან,
ამერს დასძახდეს იარი-იალალი!..
დღე, ნულარ ვიყო მაშინ ცოცხალი
და ნულარცა სცემს ტანჯული გული,
ეხლავ წინდაწინ ოცნებით მთვრალი
შენთან გახლავარ, ძმავე ალლა-ვერდი!“³*

გიორგი შარვაშიძე მწარედ განიცდის, რომ ქართველობაში დაიკარგა ერთიანობის შეგრძნება, ქვეყანა მოიცვა შურმა და დაპირისპირებაში.

¹ გ. შარვაშიძე. სოციალიზმი და საქართველო. – ვახ.: „საქართველო“, №137-140, 1917წ.; გიორგი შარვაშიძე. თხზულებანი ორ ტომად. ტ. I. ქუთაისი, 2006, გვ. 306-307. საზგასმა ჩვენია – **ზ.პ.**

² ეს ლექსი მოიძია და გამოქვეყნა ს. ლეკიშვილმა. იხ.: ს. ლეკიშვილი. გიორგი შარვაშიძე, გვ. 256-257.

³ ს. ლეკიშვილი. გიორგი შარვაშიძე, გვ. 256-257.

„რადაც პაწია დასები, აზრები აჭრელებულნი,
ვაჰმე სად არი ქართველი ძველის ძველიდან ქებული!
ყაყანი, ლანძღვა, ჭორები, შურიანობით სნეული,
კალმის და ხანჯლის პრიალი, ორივე დაჩლუნგებული.
ვაჰმე, იმერი სად არი გონება დამიწებული!..
სად არის ვახტანგ მტერთ მეხი, მათგანვე ლომ წოდებული,
მხარგრძელი, სარდალთ სარდალი, ათასი წლისა ქებული,
ვახუშტი ბრძენი, რუსთველი ღვთაებით ამალღებული,
და ღავით ძირონცხებული, არ ხედავს ის დიდებული,
რომ ყოველივე დაინგრა, რა ჰყო მან აღშენებული!“¹

ამჯერად ჩვენ, გასაგები მიზეზების გამო თავს შევიკავებთ გიორგი შარვაშიძის ამ ბრწყინვალე ნაწარმოების ყოვლისმომცველი სრულფასოვანი ანალიზისაგან, ვფიქრობთ, ეს სპეციალისტების საქმეა. ვიტყვით მხოლოდ, რომ გ. შარვაშიძის ეს ლექსი თამამად შეიძლება ამოვუყენოთ გვერდში ქართული პატრიოტული ლირიკის საუკეთესო ნიმუშებს.

გიორგი შარვაშიძეზე, როგორც ქართველ მოღვაწეზე, საქართველოზე, ქართულ ენაზე, **მშობლიურ** ქართულ მწერლობაზე მაფიქრალ და მზრუნველ კაცზე წარმოდგენა არ იქნება მეტ-ნაკლებად სრული, თუ არ შევეხებით მწერლის კიდევ ერთ პუბლიკაციას: „*ქართული ენის გარშემო*“, რომელშიც ის ქართული სამწიგნობრო ტრადიციების აქტიური დამცველის როლში გვევლინება. მას არ მოსწონს „*სხვათა ენიდან უხეშად თარგმნა სიტყვისა და მიბაძვით გადმოლაგება სხვათა გონებრივი ვინაობისა*“. გიორგი შარვაშიძის აზრით, ეს „*სამშობლო ენის გადაგვარებისადმი*“ მისწრაფების გამოხატულებაა.² ის მეტად შეწუხებულია აგრეთვე ქართულში უცხო სიტყვების უსისტემო მოძრავლებით. მწერლის აზრით უცხო სიტყვებს და ტერმინებს „*უნდა მივმართოთ მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში, მაშინ როცა დასტურ ქართულად არ ითქმება აზრისა შინაარსი... დიად, საჭიროა ვეცადოთ ჩვენს ენას შევსძინოთ, გავამდიდროთ და არა გადავაშენოთ, გარდავაგვაროთ*“.³ როგორც ვხედავთ, აქაც ჭეშმარიტად ილიასებურ ზრუნვას იჩენს გიორგი შარვაშიძე მისი მშობლიური სამწერლობო ენისადმი.

¹ ს. ლექსიშვილი. გიორგი შარვაშიძე, გვ. 256-257.

² გაზ. „საქართველო“, №169, 1915; ს. ჯანაშია. გიორგი შარვაშიძე, – შრომები, გვ. 20.

³ გაზ. „საქართველო“, №169, 1915; ს. ჯანაშია. გიორგი შარვაშიძე, – შრომები, გვ. 20-21.

ასეთია ჩვენი ზოგიერთი დაკვირვება სასიქადულო მამულიშვილის, აფხაზი და ქართველი ხალხების ისტორიული ძმობისა და ერთობის სწორუპოვარი დამცველისა და პროპაგანდისტის, საქართველოს დიდი პატრიოტის – გიორგი შარვაშიძის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მოღვაწეობაზე. რასაკვირველია, ჩვენს მიერ აქ წარმოდგენილ მასალას ოდნავადაც არა აქვს გიორგი შარვაშიძის ცხოვრებისა და მოღვაწეობის სრულად გადმოცემის პრეტენზია – ეს თემა საფუძვლიან, მონოგრაფიულ შესწავლას მოითხოვს.

დიდი მეცნიერის გახსენება*

შოთა მესხია

ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე შეიძლება ითქვას, რომ შოთა მესხია, XXს. 50-70-იანი წლების დამდეგის ქართული საისტორიო მეცნიერების ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული წარმომადგენელი და ლიდერი, ისტორიკოსთა ჩემი (და არა მარტო ჩემი) თაობისათვის ნამდვილი კუშირი იყო. ის, თავისი მაღალი ინტელექტითა და ერუდიციით, გარეგნული და შინაგანი არისტოკრატიზმით, კაცური კაცობით, მშობლიური ქვეყნისადმი უსაზღვრო სიყვარულითა და მისი ისტორიული მონაპოვრების დაცვისთვის თავგადასხმული ზრუნვით, დიდი ზნეობრივი მაგალითი იყო თანამედროვეთათვის.

დიდია შოთა მესხიას ღვაწლი საქართველოს ისტორიის მეცნიერული შესწავლის საქმეში. მისი ისტორიოგრაფიული მემკვიდრეობა ფასდაუდებელი შენაძენია არა მხოლოდ საკუთრივ ქართული საისტორიო მეცნიერებისათვის, არამედ მას ზოგად-ეროვნული კულტურული მნიშვნელობაც გააჩნია. უაღრესად ფართო იყო შ. მესხიას მეცნიერული ინტერესების წრე. ის არის ავტორი საეტაპო გამოკვლევებისა შუა საუკუნეების საქართველოს ქალაქებზე და საქალაქო წყობაზე, სახელმწიფო წყობის, სამოხელეო სისტემისა და საშინაო პოლიტიკური ცხოვრების საკითხებზე. არაერთი ორიგინალური დაკვირვებითა და პრინციპული ხასიათის მეცნიერული მიგნებებით გამორჩეულია მეცნიერის წყაროთმცოდნეობითი და ისტორიოგრაფიული ხასიათის ნაშრომები. თაობები გაიზარდნენ საქართველოს ისტორიის სასკოლო სახელმძღვანელოზე, რომლის ავტორები შოთა მესხია და ვიქტორ გუჩუა იყვნენ.

შოთა მესხია ახალგაზრდების დიდი მოძღვარი და მოამაგე იყო. მან არაერთ მათგანს გაუწია ჭეშმარიტად მამობრივი მზრუნველობა და გაუკვალა გზა სამეცნიერო ასპარეზზე. უფრო მეტიც, შოთა მესხია იმ თითზე ჩამოსათვლელ დიდ მეცნიერთა (ივანე ჯავახიშვილი, სიმონ ჯანაშია, ნიკო ბერძენიშვილი...) შორისაა, რომლებმაც შექმნეს საკუთარი სამეცნიერო სკოლა. ამ სკოლის ღირსეული წარმომადგენლები იყვნენ

* მოგონება დაიწერა 2006წ. და გამოქვეყნდა ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის საქართველოს საისტორიო საზოგადოების აფხაზეთის ორგანიზაციის პერიოდული სამეცნიერო გამოცემის: „საისტორიო ძიებანი“ პროფ. **შოთა მესხიას** დაბადებიდან 90 წლისთავისადმი მიძღვნილ ტომში (იხ. *საისტორიო ძიებანი*, ტ. VIII-IX. თბ., 2006, გვ. 31-36. იხ ელექტრონული ვერსია: <http://saistoriodziebani.googlepages.com/dziebani2005-2006>).

და არიან „გაზრდილნი მისნი“: თამარ გამსახურდია, შოთა ბადრიძე, ლოვარდ ტუხაშვილი, ჯემალ სტეფენაძე, გულივერ იობაშვილი, ილია ანთელავა, გიორგი აფრასიძე, როინ მეტრეველი, ნათელა ვაჩნაძე, შანშე დარჩიაშვილი და ა.შ. ერთ-ერთი იმათგანი, ვისაც ბედმა გაუღიმა და ისტორიული მეცნიერების ანბანს უშუალოდ შოთა მესხიას ხელმძღვანელობით დაეწაფა, მეც გახლდით.

პირველად შოთა მესხიას სახელი ჩემს (ისევე როგორც ჩემი თანატოლების) ცხოვრებაში საშუალო სკოლაში სწავლისას შემოვიდა, როდესაც მისი და ვიქტორ გუჩუას ავტორობით გამოცემული „საქართველოს ისტორიის“ სახელმძღვანელოთი დავიწყეთ მშობლიური ისტორიის შესწავლა. მოგვიანებით (უკვე მაღალ კლასებში) გავეცანი აკად. ნიკო ბერძენიშვილის რედაქტორობით შედგენილ „საქართველოს ისტორიის“ როგორც სასკოლო, ისე საუნივერსიტეტო სახელმძღვანელოებსაც, რომელთა ავტორი, სხვა ცნობილ მეცნიერებთან ერთად, შ. მესხიაც იყო. სწორედ ამ წიგნებმა გამიღვიძეს ინტერესი ჩვენი ქვეყნის ისტორიისადმი და შემაყვარეს ის. მაგრამ იმხანად, რატომღაც, ისტორიკოსობაზე არ ვფიქრობდი და სამომავლოდ სულ სხვა გეგმები მქონდა. ყველაფერი შეცვალა ერთმა დაუვიწყარმა დღემ, რომელიც შოთა მესხიას ოჯახში გავატარე.

ეს იყო 1967 წლის გაზაფხულზე, როდესაც მე, X (დამამთავრებელი) კლასის მოსწავლე ზუგდიდიდან თბილისში ჩამომიყვანეს და „წარმადგინეს“ ბატონი შოთას წინაშე. ამ „ლონისძიების“ ინიციატორები იყვნენ ჩემი დიდი ბიძა (ბებიის ძმა) მიშა მესხია და მისი ქალიშვილი ნარგიზა. მართალია, სამსონ მესხიას (ბებიაჩემის მამა) და ამბაკო მესხიას (ბატონი შოთას მამა) ოჯახებს პირდაპირი ნათესაობა (ბიძაშვილობა) არ აკავშირებდათ, მაგრამ ისინი ობუჯში ერთ უბანში ცხოვრობდნენ და, შეიძლება ითქვას, ძია მიშა და პატარა შოთა (მათ შორის ასაკობრივი სხვაობა, სულ რაღაც, 5-6 წელს თუ შეადგენდა) ერთად იზრდებოდნენ. მოგვიანებით ეს ურთიერთობა დიდ მეგობრობაში გადაიზარდა და ისინი, ფაქტობრივად, ძმებავით იყვნენ. სწორედ ამ ახლობლობამ განაპირობა, რომ მიშა ბიძიას ქალიშვილი – ნარგიზა მესხია (წლების მანძილზე ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოცენტი, ფილოლოგიის ფაკულტეტის დეკანის მოადგილე) სტუდენტობის პერიოდში და მოგვიანებითაც, დიდი ხნის განმავლობაში, შ. მესხიას ოჯახში ცხოვრობდა და ბატონ შოთას და მის მეუღლეს, შესანიშნავ ადამიანს – ქალბატონ მაროს ქალიშვილებში გამორჩეული არ ჰყავდათ.

მესხიების ოჯახში – მაშინდელი გერცენის (ამჟამად შოთა მე-

სხიას) ქუჩაზე – დილადრიან მისულებს (მამაჩემსა და მე), კარი თვით ბატონმა შოთამ გაგვიღო და სახლში შეგვიძღვა. იმთავითვე მოვიხიბლეთ ამ დიდი პიროვნების თავაზიანობითა და უბრალოებით. საუზმისას მან ყურადღებით გამოძიებდა, თუ რას ვაპირებდი სკოლის დამთავრების შემდეგ. მაშინ, ერთგვარად, „მოდას“ აყოლილი ვიყავი და იურისტობის სურვილი მქონდა, თუმცა დაბეჯითებით ვერ ვიტყვი, თუ რატომ. საუზმის დამთავრების შემდეგ ბატონმა შოთამ კაბინეტში გამიხმო და, როგორც „მომავალ იურისტს“ (ეს მისი სიტყვებია), ხელში ჟურნალი „საბჭოთა სამართალი“ დამაკავა, რომელშიც დაბეჭდილი იყო, შემდგომში თვალსაჩინო მეცნიერის, სამართლის ისტორიკოსის, პროფ. ვანტანგ აბაშმაძის (ნაწილობრივ, მე მასაც შოთა მესხიას სკოლას მივაკუთვნებდი) სტატია ყუთლუ-არსლანის დასის გამოსვლაზე. ბატონმა შოთამ მთხოვა ამ სტატიის წაკითხვა და მასზე „ჩემი თვალსაზრისის“ წარმოდგენა. მე მართლაც გულდასმით გადავიკითხე აღნიშნული პუბლიკაცია, თან გაოგნებული შევცქეროდი თაროებზე ლამაზად და აკურატულად შემოწვრილ უამრავ წიგნს, რომელთა შორის ჩემი განცვიფრება განსაკუთრებით გამოიწვია „დაბადებისა“ და რუსული „აქტები“-ს (**Акты, Собранные Кавказской Археографической Комиссией**) ვებერთელა ტომებმა.

საღამოს, სამსახურიდან მობრუნებულმა, ზოგი რამ გამოძიებდა წაკითხულიდან. მეც, შეძლებისდაგვარად, ვუპასუხე. ამის შემდეგ დაიწყო ჩემი ნამდვილი გამოცდა. პირველი, რაც დამავალა, იყო იმ თხზულების დაწერა, რომელიც წინა კვირას მქონდა შესრულებული სკოლაში. აქ ყურადღება მინდა გავამახვილო შოთა მესხიას პედაგოგიურ მიდგომასა და ტაქტზე. მან დასაწერად მომცა არა ნებისმიერი თემა, რითაც თავიდან ამაცილა გარკვეული უხერხულობა, არამედ ზუსტად ის თემა, რომელიც უკვე მქონდა დამუშავებული. მისთვის მთავარი იყო გაერკვია, თუ რამდენად პერსპექტიული ვიყავი მე და როგორ შევძლებდი შესწავლილი, ხაზს ვუსვამ, **შესწავლილი** მასალის კვალიფიციურ გადმოცემას. მიუხედავად გასაგები ძლეულობებისა და ერთგვარი შებოჭილობისა, საბედნიეროდ, ეს დავალება საკმაოდ კარგად შევასრულე და ჩემი „ნაშრომი“ მაღალმა კომისიამ (თვითონ ბატონმა შოთამ და ნარგიზამ) „ხუთიანზე“ შეაფასა.

ქართული ლიტერატურის შემდეგ ჯერი ისტორიაზე მიდგა. აქ, ჩემდა გასაკვირად, გამოკითხვა დაიწყო არა ე.წ. „სსრკ ისტორიაში“, რომელიც, როგორც ცნობილია, ფაქტობრივად, რუსეთის ისტორია იყო და ბარდებოდა უმაღლეს სასწავლებელში მისაღებ გამოცდებზე, არამედ „საქართველოს ისტორიაში“, რომლის სწავლების დონე საშუალო სკოლაში იმჟამად საკმაოდ დაბალი იყო. ამ ფონზე ძალიან გამომადგა ჩე-

მი „ნაკითხოზა“, კერძოდ, ის, რომ, როგორც ზემოთ აღვნიშნე, გაცნობილი ვიყავი „საქართველოს ისტორიის“ სხვადასხვა (მათ შორის უმაღლესი სკოლის) სახელმძღვანელოს, აგრეთვე, წაკითხული მქონდა ცალკეული ისტორიული რომანები (კონსტანტინე გამსახურდიას „დიდოსტატის მარჯვენა“, ლევან გოთუას „გმირთა ვარამი“, ანა ანტონოვსკაიას „დიდი მოურავი“ და ა.შ.). ბატონი შოთა სასიამოვნოდ გააკვირვა ჩემმა გათვითცნობიერებამ ამ სფეროში. განსაკუთრებით დამამანსოვდა მისი განცვიფრება იმით, რომ მე ვიცოდი გიორგი სააკაძისა და შაჰ-აბას I-ის გარდაცვალების თარიღი, ისიც, თუ როდის და სად გარდაიცვალა პოეტი და ლიპლომატი ბესარიონ გაბაშვილი (ბესიკი). ამ თითქმის ერთსაათიანი „გამოცდა-გასაუბრების“ შემდეგ, რომლის დროსაც მთელი მისი ოჯახი ბ-ნი შოთას დედით, დიდი ქალბატონით – ლიდა შენგელაიათი დაწყებული და მაშინ ჯერ კიდევ პატარა მარინეთი (შ. მესხიას უმცროსი ქალიშვილი) დამთავრებული მხურვალედ მგულშემატკივრობდა, მან გამომიტანა, ჩემი აზრით (დღევანდელი გადასახედიდანაც კი), ერთადერთი სწორი „განაჩენი“ და უყოყმანოდ განაცხადა, რომ მე ისტორიკოსი უნდა გაემხდარიყავი. მართლაც, იმავე წელს, წარმატებით ჩავაბარე მისაღები გამოცდები უნივერსიტეტში და გავხდი ისტორიის ფაკულტეტის სტუდენტი.

თავდაპირველად, მე მოვხვდი უშუალოდ შ. მესხიას ინიციატივით იმ წელიწადს გახსნილ „ხელოვნებათმცოდნეობის“ ჯგუფში, მაგრამ მოხდა ისე, რომ ამ განყოფილებაზე ერთი დღეც არ მისწავლია, ვინაიდან „ისტორიის“ სპეციალობაზე ჩარიცხული ერთ-ერთი სტუდენტი (რეზო ეგაძე – შემდგომში ცნობილი კინომცოდნე, ჟურნალისტი) იმთავითვე გადავიდა „ხელოვნებათმცოდნეობის“ სპეციალობაზე და შოთა მესხიამ, რომელიც, როგორც ცნობილია, მაშინ ფაკულტეტის დეკანი იყო, მისი ადგილი მე შემომთავაზა. არასოდეს დამავიწყდება 1967 წლის 18 სექტემბრის მზიანი დღე, როდესაც ბატონმა შოთამ თვითონ ამიყვანა უნივერსიტეტის I კორპუსის 95-ე აუდიტორიაში, სადაც უნდა ჩაეტარებინა ლექცია „საქართველოს ისტორიაში“ და ჯგუფხელს გოგა რჩეულიშვილს (ამჟამად ცნობილ არქეოლოგს) ჩემი ჟურნალში ჩაწერა უბრძანა. ასე, შოთა მესხიას პირველი ლექციით დაიწყო ჩემი მომავალი ისტორიკოსობა.

შოთა მესხიამ მე და ჩემს ამხანაგებს, რომელთა შორის დღეს არაერთი ცნობილი მეცნიერია (დიმიტრი შველიძე, ელდარ ნადირაძე, როლანდ თოფჩიშვილი, ელვერ კუპატაძე, გიორგი რჩეულიშვილი, ემილ კოპალიანი და სხვ.), საქართველოს ისტორიასთან ერთად, პირველ რიგში, მამულისა და მოყვასის სიყვარული გვასწავლა. ბევრი რამის გახ-

სენება შეიძლება სტუდენტობის პერიოდში ბატონ შოთასთან ურთიერთობებიდან, მაგრამ მე მხოლოდ ზოგიერთი ფაქტის გახსენებით შემოვიფარგლები.

XX საუკუნის 60-იან წლებში, როგორც ცნობილია, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა პარტნიორობის ხელშეკრულება გააფორმა მაშინდელი გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის იენის ფრიდრიხ შილერის სახელობის უნივერსიტეტთან, რომელმაც სათავე დაუდო ხანგრძლივ მეგობრობას თბილისის უნივერსიტეტსა და უძველეს გერმანულ უნივერსიტეტს შორის. ამ ურთიერთობის ერთ-ერთი მუხაირახტრე და ბურჯი იყო შოთა მესხია, რომელიც მეგობრობდა იენის უნივერსიტეტის ავტორიტეტულ მოღვაწესთან, აღნიშნული უნივერსიტეტის ჰუმანიტარული პროფილის სპეციალობათა ინსტიტუტის დირექტორთან, პროფესორ ლიტერ ფრიკესთან. ეს უკანასკნელი, გარდა იმისა, რომ იენის უნივერსიტეტის ერთ-ერთი წამყვანი ფიგურა იყო, მთელ აღმოსავლეთ გერმანიაში ცნობილი პიროვნებაც გახლდათ. მას გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის იმჟამინდელ ლიდერთან ვალტერ ულბრიხტთან ერთად დაწერილი ჰქონდა გერმანიის მუშათა კლასის ისტორიის ორტომეული, რისთვისაც ავტორებს გდრ-ის უმაღლესი ჯილდო – კარლ მარქსის პრემია მიენიჭათ. პროფ. დ. ფრიკე რამდენიმეჯერ იყო საქართველოში, ორჯერ კი ოჯახით (მეუღლესთან და ქალიშვილთან ერთად) სტუმრობდა შოთა მესხიასთან, მის აგარაკზე ბაბუშერაში (აფხაზეთი).

მე მქონდა ბედნიერება, ორჯერ შევხვედროდი ბ-ნ დ. ფრიკეს ბაბუშერაში. განსაკუთრებით დასამახსოვრებელი იყო მეორე შეხვედრა 1971 წლის ზაფხულში. იმ დროს ისტორიის ფაკულტეტის IV კურსის საქართველოს ისტორიის ჯგუფის სტუდენტები, მაშინ ახალგაზრდა დოცენტის, შ. მესხიას ერთ-ერთი უსაყვარლესი მოწაფის, ბ-ნ შოთა ბადრიძის ხელმძღვანელობით გავდიოდით ე.წ. „საექსკურსიო პრაქტიკას“ აფხაზეთში. აღსანიშნავია, რომ ამ პრაქტიკის ორგანიზება მოხდა თვით ბ-ნ შოთასა და გამოჩენილი აფხაზი ისტორიკოსის, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის, პროფ. გიორგი ძიძარიას ერთობლივი ძალისხმევით.

1970-1971 სასწავლო წლის II სემესტრში უშუალოდ ბატონი შოთას ინიციატივით თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში „აფხაზეთის ისტორიაში“ ლექციების წასაკითხად მოწვეულ იქნა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის დიმიტრი გულაიას სახელობის აფხაზეთის ენის, ლიტერატურისა და ისტორიის ინსტიტუტის დირექტორი პროფ. გიორგი ძიძარია. არ ვიცი, შემთხვევით, თუ რაიმე სხვა გარემოების გამო, ბატონი გიორგისთვის რატომღაც შეირჩა ჩვენი (IV) კურსი და ის

ერთი კვირის განმავლობაში, ყოველდღე, გვიკითხავდა კიდეც XIX საუკუნის აფხაზეთის ისტორიას რუსულ ენაზე. მე და ჩემი ამხანაგები ინტერესით ვისმენდით ამ ლექციებს, რამაც, ეტყობა, ჩვენს სტუმარზე შთაბეჭდილება მოახდინა და მან ბატონ შოთას შესთავაზა, გამოეგზავნა აფხაზეთში სტუდენტთა ჯგუფი სასწავლო პრაქტიკის გასაგეგმად. ასე მოვხვდით სოხუმში მე, ბუხუტი ქასრაშვილი, ნანა დოლიძე და ნათელა აფციაური. მოვიარეთ სოხუმის შემოგარენი, ბიჭვინთა, მოქვი...

ერთ მშვენიერ დღეს, ჯგუფის ხელმძღვანელმა, ბ-მა შ. ბადრიძემ ბაბუშერაში თავისი მასწავლებლის მონახულება გადაწყვიტა. იმ დროს, ჩვენი ჯგუფის წევრს ბ. ქასრაშვილს ტყიბულიდან მამა – ბ-ნი დავით ქასრაშვილი ჰყავდა „გამოძახებული“, თავისი „სამსახურებრივი ვილი-სით“, რომლითაც განზრახული გვქონდა (ეს შ. ბადრიძის ინიციატივა იყო) ისტორიული ძეგლების დათვალიერება. ვისარგებლეთ ამ შემთხვევით და ვესტუმრეთ ბატონ შოთას, რათა ის და მისი გერმანელი სტუმარი რომელიმე ისტორიული ძეგლის დასათვალიერებლად დაგვეპატიჟნა. მასპინძელმა გულთბილად მიგვიღო. ქალბატონმა მარომ სახელდახელოდ გამალა სუფრა და შ. ბადრიძე (ის შ. მესხიას ოჯახთან გაშინაურებული იყო) თამალობასაც კი შეუდგა. მაგრამ იმ დღეს ვერ მოხერხდა ჩვენი ერთობლივი გასვლა. მეორე დღეს კვლავ გავწიეთ ბაბუშერისკენ. ამჯერად გაგვიმართლა და ბატონი შოთა და მისი „ამალა“ – თვით პროფ. დიტერ ფრიკე, მისი მეუღლე და ქალიშვილი, აგრეთვე ბატონი შოთას ქალიშვილები: მანანა და მარინე – სრულ მზადყოფნაში იყვნენ.

გეზი ახალი ათონის სამონასტრო კომპლექსისკენ ავიღეთ. აქამდე მომყვება ის ემოციები, რომლითაც იმ დღეს დავიტვირთე. გზაში, ახალ ათონში და განსაკუთრებით ეშერის რესტორანში – უკანმობრუნებულზე, სადაც ბ-მა დავით ქასრაშვილმა ბატონი შოთასა და მისი სტუმრის პატივსაცემად „მეფური პურმარილი“ გამალა, ყველა ჩვენგანი შოთა მესხიას ტყვეობაში ვიყავით. იშვიათად მინახავს ასეთი დახვეწილი მანერების კაცი (თუმცა მაშინ ამას ნაკლებად ვაცნობიერებდი). მისი ყოველი მოძრაობა განსაკუთრებული სისადავითა და სინატიფით იყო გამორჩეული, ხოლო თითოეული სიტყვა – უაღრესად მოზომილი.

მე მანამდეც არაერთხელ მოვხვედრილვარ სუფრაზე ბატონ შოთასთან (სხვათა შორის, იმავე პროფ. დ. ფრიკეს კომპანიაშიც – ბაბუშერაში – 1969 წელს) და შევსწრებივარ მის თამალობას, მაგრამ ეს, ძირითადად, შინაურ გარემოში ხდებოდა და ამიტომაც ადრე ამისთვის, მაინცდამაინც, საგანგებოდ ყურადღება არც მიმიქცევია. ამჯერად კი ვითარება რამდენადმე ოფიციალური იყო და, როგორც იტყვიან, თა-

მადის თითოეულ სადღეგრძელოს განსაკუთრებული (თუ გნებავთ, პოლიტიკურიც) დატვირთვა ჰქონდა. იმ დღეს, ძირითადად, საუბარი ქართულ და ინგლისურ ენებზე მიდიოდა (თარჯიმნის ფუნქციას ქნი მანანა მესხია ასრულებდა), თუმცა, უნდა შევნიშნო, რომ, შიგლში, შ. ბაღრიძე გერმანულ სტუმარს მის მშობლიურ ენაზეც ებაასებოდა, რაც ამ უკანასკნელს ძლიერ სიამოვნებდა. როდესაც სუფრა ემშში შევიდა და ჩვენც გვარიანად შევზარხოშდით (თამადას ეს სულაც არ დატყობია), ბატონმა შოთამ, მოულოდნელად, სადღეგრძელოს გერმანულად წარმოთქმა შემომთავაზა (დღევანდელისაგან განსხვავებით, ამ ენაზე მაშინ ერთ-ორ წინადადებას მაინც ვაკოწიწებდი), მეც ნაწილობრივ ღვინისაგან, ნაწილობრივ კი დ. ფრიკესთან მანამდელი „დილოგით“ (რომელიც რამდენიმე საათით ადრე ბაბუშერაში – ზღვის ნაპირზე შედგა* და რომლის შესახებაც, როგორც ჩანს, უკვე იცოდა მასპინძელმა) გათამამებულმა, რის ვაი-ვაგლახით, თავი მოვუყარე მთელ ჩემს სიტყვიერ მარაგს და „ველიჯე“ საქართველოსა და გერმანიის მეგობრობის სადღეგრძელო. ღვინომოკიდებულმა სტუმარმა აღტაცება ვერ დამალა, გერმანული სიღინჯე ერთბაშად დაივიწყა, გახარებულმა ტაში შემოკრა და მადლობის ნიშნად ხელი ჩამომართვა. დღესაც თვალწინ მიდგას ბატონი შოთას ამყი, კმაყოფილებით სავსე გამოხედვა. ამის შემდეგ კიდევ ერთი-ორჯერ გავბედე „ხმის ამოღება“ გერმანულად, რამაც უცხოელი სტუმარი უფრო მეტად გაახალისა. ვერ ფარავდნენ სიხარულს ბატონი შოთა და მისი ქალიშვილები. თავს უბედნიერეს კაცად ვგრძნობდი იმის გამო, რომ ჩემს სათაყვანო პიროვნებას მცირედით ვასიამოვნე.

შოთა მესხია ხშირად აოცებდა თავის თანამოსაუბრეებს არაორდინარული აზროვნებითა და შეფასებებით. მახსენდება ერთი შეხვედრა 1970 წლის შემოდგომაზე მის ოჯახში. იმჟამად სტუდენტებში გავრცელდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ მოსკოვში გამართულ ისტორიკოსთა მსოფლიო კონგრესზე (1970წ. ზაფხული) დასავლეთ გერმანულ ისტორიკოსებს თავიანთ მოხსენებაში კომუნისტი და ფაშიზმი ერთი მდელის ორ მხარედ გამოუცხადებიათ, რასაც თურმე საბჭოთა კომუნისტურ-ტოტალიტარული რეჟიმის მესვეურთა რისხვა გამოუწვევია. მე ღავინტერესდი, თუ რამდენად შეეფერებოდა სიმართლეს ეს ინფორმაცია. ბატონმა შოთამ დამიდასტურა ამ ფაქტის რეალურობა და თავის მხრიდან ჩემთვის აბსოლუტურად მოულოდნელად დაამატა: „რა,

* სხვათა შორის, მე გაცოცხლებული დავრჩი, როდესაც ბ-ნმა დ. ფრიკემ არათუ მიცნო ორი წლის წინ, ერთხელ ნანახი, არაფრით გამორჩეული ყმაწვილი, არამედ სახელითაც კი – „ხუღაბი“ (გერმანულად მოუქცია) მომმართა და ყურადღებით მომიკითხა.

არაა მართალი თუ? ოღონდ იმ განსხვავებით, რომ ფაშისტები უფრო ზრუნავდნენ ხალხის მატერიალურ კეთილდღეობაზე, ვიდრე კომუნისტები“. ამ პასუხით დავრწმუნდი, რომ ისიც „სხვაგვარად მოაზროვნე“ („ИНОКОМЫСЛЯЩИЙ“) იყო. ამ დღიდან ის ჩემს თვალში ერთი-ორად ამაღლდა.

შოთა მესხია ყურადღებით აკვირდებოდა ჩემს „საქმიანობას“ უნივერსიტეტში და ზოგჯერ უაღრესად საჭირო რჩევა-დარიგებებსაც მაძლევდა. მახსოვს, I კურსზე, ჩავეწერე სკკპ ისტორიის კათედრასთან არსებულ სტუდენტთა სამეცნიერო წრეში. მან ეს რომ გაიგო, ჯერ გაიკვირვა, შემდეგ კი ხუმრობანარევი ირონიით მითხრა: „რა, რაიკომის მდივნობა ხომ არ გინდაო“. დარცხვენილმა, მეორე დღესვე მივაშურე სკკპ ისტორიის სტუდენტთა სამეცნიერო წრის თავმჯდომარეს, სასწრაფოდ იქიდან ამოვეწერე და საქართველოს ისტორიის წრეში გავწევრიანდი.

შოთა მესხია იყო ჩემი პირველი დამკვალიანებელი „სამეცნიერო ასპარეზზე“. ეს მისი რჩევით დავამუშავე IV კურსზე, სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციაზე წასაკითხად, მოხსენება დემეტრე უფლისწულის აჯანყებაზე, რომლის თეზისები დაიბეჭდა კიდეც. ის იყო ამ ნაშრომის პირველი შემფასებელი. V კურსზე კი სწორედ ბატონმა შოთამ შემირჩია სადიპლომო შრომის თემა – **„საქართველოს საერთაშორისო ურთიერთობები XIს. მიწურულსა და XIIIს. I მეოთხედში. დავით IV აღმაშენებლის ეპოქა“**. ის დაინიშნა მეცნიერ-ხელმძღვანელადაც. საგანგებოდ უნდა აღვნიშნო, რომ ეს ნაშრომი იყო ბოლო სადიპლომო შრომა, რომლის სატიტულო გვერდს ამშვენებდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის, პროფ. შოთა მესხიას სახელი. ვაგლან, რომ ეს სახელი და გვარი მაშინ უკვე ჩარჩოში იყო ჩასმული, ვინაიდან 1972 წლის 15 მაისს, სადიპლომო შრომის დაცვამდე სულ რაღაც ერთი თვით ადრე, მისმა მეცნიერ-ხელმძღვანელმა, მძიმე ავადმყოფობის შემდეგ დატოვა წუთისოფელი და ზეციურ საქართველოში გადაინაცვლა.

ამასთან დაკავშირებით, მინდა გავიხსენო ერთი ფაქტი, რომელიც, ერთი შეხედვით, შეიძლება უმნიშვნელოდაც მოგვეჩვენოს, მაგრამ, ვფიქრობთ, ის მეტად ლამაზ შტრიხს მატებს შოთა მესხიას პორტრეტს. სადიპლომო თემის დამუშავების წინ, პირველი, რაც მან მირჩია, იყო ის, რომ გავცნობოდი აკად. სიმონ ჯანაშიას ბოლოსიტყვაობას, დართულს კონსტანტინე გამსახურდიას რომანის **„დავით აღმაშენებლის“** რუსული გამოცემისათვის (1945წ.), რომელშიც მოცემული იყო დავით აღმაშენებლის ეპოქის მოკლე, მაგრამ საკმაოდ ამომწურავი მიმოხილ-

ვა. და ეს მაშინ, როდესაც უკვე იყო გამოსული (1965წ.) თვით ბატონი შოთას ბრწყინვალე წიგნი – „**დიდგორის ბრძოლა**“, რომელიც თავად წარმოადგენდა დავით IV აღმაშენებლის ეპოქის საქართველოს ისტორიის ერთგვარ სახელმძღვანელოს და რომელიც სადიპლომო ნაშრომზე, მოგვიანებით კი საკანდიდატო დისერტაციაზე, მუშაობისას ჩემთვის მთავარი გზამკვლევი გახდა. ე. ი. ამ დიდმა კაცმა, მიუხედავად იმისა, რომ მისი ნაშრომი გაცილებით მეტ ინფორმაციას და არანაკლებ მეცნიერულ ანალიზს შეიცავდა აღნიშნული პერიოდის საქართველოს საგარეო-პოლიტიკურ ურთიერთობებზე, უპირატესობა მაინც თავისი მასწავლებლის სრულიად უპრეტენზიო პუბლიკაციას მიანიჭა და სიტყვაც არ დაუძრავს საკუთარ დამსახურებაზე აღნიშნული მიმართულებით. მართლაც რომ მეცნიერული მოკრძალების (იქნებ გადაჭარბებულისაც) იშვიათი მაგალითია.

შოთა მესხიას უდროოდ გარდაცვალებამ შესძრა სრულიად საქართველო. ის ამქვეყნიდან შემოქმედებითი გაფურჩქვნის ასაკში წავიდა. მას არ დასცალდა ძალიან ბევრი მნიშვნელოვანი ჩანაფიქრის აღსრულება. მაგრამ ის, რაც მან დაგვიტოვა მუდამ დარჩება ქართული ისტორიოგრაფიის საგანძურში. ესაა ფუნდამენტალური გამოკვლევები შუა საუკუნეების საქართველოს ქალაქებზე და საქალაქო წყობაზე, XIII. საქართველოს სახელმწიფო წყობის, სამოხელეო სისტემისა და საშინაო პოლიტიკური ცხოვრების საკითხების შესახებ და ა.შ. მათ შორის, გამოვარჩევდი მონოგრაფიას: „**საქალაქო კომუნა შუა საუკუნეების თბილისში**“. თამამად შემიძლია განვაცხადო, რომ ჩემი, როგორც მკვლევრის ფორმირებაზე გადამწყვეტი როლი სწორედ ამ გამოკვლევამ და შ. მესხიას ზემოთ ნახსენებმა „**დიდგორის ბრძოლა**“ (უპირატესად, ამ ნაშრომის მეორე შევსებულმა გამოცემამ – „**ძლევა და საკრველი**“) ითამაშა.

შოთა მესხიას მეცნიერულ ინტელექტზე მსჯელობისას არ შეიძლება არ გამოვყოთ ოპონირების მაღალი კულტურა. მისი კრიტიკა ყოველთვის დამაჯერებელი და მყარად არგუმენტირებული იყო. ეს განსაკუთრებით მკაფიოდ გამოვლინდა თამარის მეფობის დროინდელი საქართველოს სახელმწიფო წყობის პრობლემური საკითხებისადმი მიძღვნილ კაპიტალურ მონოგრაფიაში, რომელიც მეცნიერის გარდაცვალების შემდეგ – 1979წ. გამოიცა. ამ ნაშრომში მან მთელი დამაჯერებლობით აჩვენა მხარგრძელთა სავგარეულოს სომხურ-გრიგორიანული წარმომავლობით სპეკულირების მცდელობის სრული უსაფუძვლობა.

შოთა მესხიას ამ ნაშრომის გამოსვლა მოვლენა იყო ქართული ისტორიოგრაფიაში. მან არა მარტო სამეცნიერო წრეების, არამედ ფართო საზოგადოებრიობის ცხოველი ინტერესი გამოიწვია. დაიბეჭდა რამ-

დენიმე რეცენზია. ერთ-ერთი პირველი, ვინც გამოეხმაურა შ. მესხიას მონოგრაფიის გამოსვლას, მეც ვიყავი. აფხაზეთის ასსრ-ის ოფიციალურმა გაზეთმა „საბჭოთა აფხაზეთში“ 1980წ. გამოქვეყნდა ჩემი (მაშინ დამწყები მკვლევრის, „ახლად გამომცხვარი“ მეცნიერებათა კანდიდატის) მოკრძალებული რეცენზია, რომელშიც საგანგებოდ იყო ხაზგასმული შ. მესხიას წვლილი მხარგრძელთა ეთნო-კონფესიური იერსახისა და მათი სახელმწიფოებრივი მოღვაწეობის შესახებ არსებული სომხური თვალსაზრისის კრიტიკაში. მაშინ ასეთ „საჩოთირო“ თემებზე ყურადღების გამახვილებას და თანაც პერიოდულ პრესაში მის აჟიტირებას (რასაც შეიძლება ეროვნებათა შორის გარკვეული დაძაბულობა გამოეწვია) ერთგვარი სიფრთხილით ეკიდებოდნენ (განსაკუთრებით 1977-1978 წლების აფხაზეთა მორიგი სეპარატისტული „ამბოხის“ ფონზე). ამიტომაც ჩემი რეცენზია ერთბაშად არ გამოქვეყნებულა. ბოლოს, პასუხისმგებლობა თავის თავზე აიღო ბატონმა ზურაბ ნაყოფიამ, იმჟამად აფხაზეთის მთავარი რედაქტორის მოადგილემ, ცნობილმა მწერალმა და ჟურნალისტმა, ნაღდმა პატრიოტმა, რომელმაც, ჩემთან ცალკეული საკითხების დაზუსტების შემდეგ, უცვლელად დაბეჭდა რეცენზია.

შოთა მესხია იყო პატრიოტი ისტორიკოსი. მისი ყოველი ნაშრომი გამსჭვალულია მშობლიური ქვეყნისა და მისი ისტორიისადმი ამაღლებული სიყვარულით. იგი ყოველთვის აქტიურად იბრძოდა საქართველოს ისტორიის გამყალებლების წინააღმდეგ და მეღვრად იდგა ჩვენი ეროვნული ფასეულობების სადარაჯოზე. მისი კრიტიკა დიანაც იყო „გამოსარჩლებითი“, თუმცა არა „ურა-პატრიოტული“. მისთვის წინა პლანზე, პირველ რიგში, მეცნიერული კეთილსინდისიერება და ობიექტურობა იდგა. ამ მხრივ შოთა მესხია დიდი ივანე ჯავახიშვილისა და თავისი მასწავლებლის აკად. სიმონ ჯანაშიას ღირსეული მემკვიდრე იყო. სხვათა შორის, ამ კუთხით მე მას რამდენადმე თავის მოსკოველ კონსულტანტს, აკად. მიხეილ ტიხომიროვსაც (რომლის უშუალო ხელმძღვანელობითაც შ. მესხია მუშაობდა სადოქტორო დისერტაციაზე) შევადარებ. თავის დროზე (მოსკოვის უნივერსიტეტში – ასპირანტობის პერიოდში), მე მეტ-ნაკლები სისრულით გავეცანი გამოჩენილი რუსი ისტორიკოს-მედიევისტების, აკადემიკოსების: ბორის გრეკოვის, მიხეილ ტიხომიროვის, ბორის რიბაკოვის ლევ ჩერეპნინის, სხვა წამყვან მეცნიერთა ისტორიოგრაფიულ მემკვიდრეობას და ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, რომ მათ შორის აკად. მიხეილ ტიხომიროვი გამოირჩეოდა ზომიერი „პატრიოტული მუხტით“ (აკად. ბ. რიბაკოვისგან განსხვავებით, რომელიც ამ მხრივ ცოტას აჭარბებდა).

რადგან სიტყვა მოსკოვზე და რუს მეცნიერებზე ჩამოვარდა, ერთ

ფაქტსაც გავიხსენებ. 1972 წელს თბილისის უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ, სწავლის გაგრძელებამ მომიწია მოსკოვის მ. ლომონოსოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასპირანტურაში – სსრ კავშირის ფეოდალიზმის ხანის ისტორიის კათედრაზე, რომლის გამგე მაშინ გახლდათ პროფესორი გიორგი ნოვიცკი. ეს იყო 70 წელს მიტანებული კაცი, უაღრესად განსწავლული და კეთილშობილი პიროვნება (თუმცა ისტორიოგრაფიაში რაიმე განსაკუთრებული ღვაწლი არ ჰქონია). პირველივე შეხვედრაზე პროფ. გ. ნოვიცკის ვუხსენე თუ არა შოთა მესხიას სახელი, ეს ადამიანი ჩემდამი იმთავითვე სიმპათიით განიმსჭვალა და იმ დღიდან არ მომკლებია მისი ყურადღება. თურმე ისინი ერთმანეთს ვარშავაში, რომელიღაც საერთაშორისო სამეცნიერო ფორუმზე გაცნობიან და ბატონ შოთას მოსკოველ კოლეგაზე დიდი შთაბეჭდილება მოუხდენია. პროფ. გ. ნოვიცკი განსაკუთრებით ხაზს უსვამდა შ. მესხიას მაღალ ინტელექტს და ინტელიგენტურობას. შოთა მესხიას პატივისცემით იხსენებდნენ სხვა ცნობილი ისტორიკოსებიც. არაერთი თბილი სიტყვა მსმენია მასზე ჩემი მეცნიერ-ხელმძღვანელის, შემდგომში გამოჩენილი რუსი მეცნიერის, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის, ერთი პერიოდი სსრკ მეცნიერებათა აკადემიის სსრ კავშირის ისტორიის ინსტიტუტის დირექტორის, პროფ. ანატოლი ნოვოსელცევისაგან.

შოთა მესხიას დიდი ავტორიტეტი ჰქონდა აფხაზეთში. ზემოთ უკვე ვისაუბრეთ ბატონი შოთას მეგობრულ ურთიერთობებზე პროფ. გიორგი ძიძარიასთან. ის, რომ აფხაზ ისტორიკოსთა თავკაცი მან ლექციების წასაკითხად მოიწვია თბილისის უნივერსიტეტში, არ იყო რიგითი მოვლენა. ეს, უთუოდ, სცილდებოდა ორი მეცნიერის თანამშრომლობის ფარგლებს და იმ ვითარებაში საზოგადოებრივ-პოლტიკურ უღერადობასაც იძენდა. სრულიად აშკარაა, რომ ეს იყო ქართულ-აფხაზურ ურთიერთობებში (1967 წელს აფხაზეთში მომხდარი სეპარატისტული გამოსვლის* ფონზე) შექმნილი დაძაბულობის განმუხტვის მც-

* სხვათა შორის, შოთა მესხია უშუალოდ მონაწილეობდა 1967 წლის აფხაზეთის კრიზისთან დაკავშირებულ „ბატალიებში“. კერძოდ, ცნობილია, რომ ის სხვა წამყვან ქართველ მეცნიერებთან (გიორგი წერეთელი, გიორგი მელიქიშვილი, მაია დუმბაძე, ირაკლი ანთელავა, მარიამ ლორთქიფანიძე და სხვ.) ერთად გამოძახებული იყო საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში ბიუროს სხდომაზე, რომელზედაც მათ, როგორც იგონებს აკად. მ. ლორთქიფანიძე, მოახერხეს ბიუროს დადგენილების პროექტის შეცვლა და აკრძალვას გადაარჩინეს აკად. ნიკო ბერძენიშვილის წიგნის „საქართველოს ისტორიის საკითხების“ III ტომი (აფხაზეთა ამ სეპარატისტული გამოსვლის შესახებ დაწვრ. იხ: **ზ. პაპასქირი**. სეპარატისტული გა-

დელობა. მისი დიდი მეგობარი იყო აფხაზეთის უნივერსიტეტის პირველი რექტორი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, პროფ. ზურაბ ანჩაბაძე. შოთა მესხიას პატივს მიაგებდნენ და აფასებდნენ სხვა აფხაზი მეცნიერებიც. მათგან განსაკუთრებით მინდა გამოვყო ცნობილი აფხაზი ისტორიკოსი, თბილისის უნივერსიტეტის აღზრდილი გიორგი ამიჩბა, რომელიც ყოველთვის მაღლიერებით იხსენებდა ბატონ შოთას, მის გულისხმიერებასა და ამაგს. რაც შეეხება აფხაზეთში მოღვაწე ქართველ ისტორიკოსებს, მათთვის ის უბრალოდ სათაყვანო პიროვნება იყო. ეტყობა, იმ სიტბომ და სიყვარულმა, რომელსაც შ. მესხია ყოველ ნაბიჯზე გრძნობდა აფხაზეთში, მნიშვნელოვანწილად განაპირობა, რომ მან ბაბუშერაში აგარაკი შეიძინა და თავისი სიცოცხლის უკანასკნელი რამდენიმე ზაფხული იქ გაატარა.

შოთა მესხია, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ძალიან ადრე წავიდა ამქვეყნიდან. მისი დასაფლავება ამ დიდი კაცის (არ შევცდები, თუ ვიტყვი – ნამდვილი ერისკაცის) მეცნიერული და მამულიშვილური ღვაწლის საყოველთაო აღიარების ერთგვარ დემონსტრაციად იქცა. ის მთელმა საქართველომ დაიტირა. მე დღესაც თვალწინ მიდგას დიდი კონსტანტინე გამსახურდიას თავში წაშენილი ხელები და კოლხური დატირება დიდუბის პანთეონში (თუმცა კარგად არ მახსოვს ეს დასაფლავებისას იყო თუ მეორმოცე დღეს). ასევე არასოდეს დამავიწყდება დასაფლავებაზე გერმანიიდან სპეციალურად ჩამოსული პროფ. დიტერ ფრიკეს ცხარე ცრემლები.* ჩემზე განსაკუთრებით იმოქმედა ბატონ შოთასთან გამოთხოვების ბოლო სცენამ, როდესაც თბილისის უნივერსიტეტის I კორპუსში დასვენებულ ცხედართან საპატიო ყარაულში ერთად ჩადგნენ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ძველი და ახალი პრეზიდენტები: ნიკო მუსხელიშვილი და ილია ვეკუა, აგრეთვე საქართველოს უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მინისტრი, აკად. გიორგი ჯიბლაძე და უნივერსიტეტის ახლად დანიშნული რექტორი,

მოსვლები აფხაზეთში XX საუკუნის 50-70-იან წლებში. – *სახტორიო ძიებანი*, წელიწადი, VII. თბ., 2004, გვ. 3-25).

* ბ-ნი დ. ფრიკეს, თავდაპირველად, ოჯახში, მისამძიმებისას, თავი მკაცრად ეჭირა და მაინცდამაინც ემოციები არ გამოუმჟღავნებია. მაგრამ, მოგვიანებით, უკვე ქვემოთ, ქუჩაში, როდესაც მას ზემოთ ნახსენები ჩემი დიდი ბიძა – მიშა მესხია აცრემლებული გადაეხვია (ისინი ბაბუშერის შხვედრებიდან იცნობდნენ ერთმანეთს), ეს სულით და ხორციტ ევროპელი კაცი ერთბაშად გატყდა. და იდგა თბილისის ცენტრში – გერცენის ქუჩაზე – ეს ორი, თავისი ცხოვრების წესით დიამეტრალურად განსხვავებული ადამიანი და სახალხოდ, ცხარე ცრემლებით დასტიროდა უდროოდ გარდაცვლილ მეგობარს.

პროფ. დავით ჩხიკვიშვილი. ამის მიზეზი იყო ერთი, მაშინ ყველასათვის ცნობილი გარემოება – სულ რაღაც რამდენიმე ხნის წინ უნივერსიტეტის რექტორის პოსტზე სწორედ შოთა მესხიას კანდიდატურა განიხილებოდა და მხოლოდ უკურნებელმა სენმა არ მისცა მას ამ დიდი და ფრიად საპატიო თანამდებობის დაკავების შესაძლებლობა. ამ სცენას ვერ გავუძელი და მწარედ ავქვითინდი.

და მაინც, შოთა მესხია ქართული ისტორიოგრაფიის ერთ-ერთი ქურუმი, მისი ნამდვილი მშვენება, ჩემში მუდამ დარჩება ღიმილიან კაცად, რომელიც ყოველთვის მხნეობასა და ოპტიმიზმს მატებდა დიდსა და პატარას.

გამოჩენილი მაცნიერი, ღირსეული მამულიშვილი*

ზ უ რ ა ბ ა ნ ჩ ა ბ ა ძ ე

ამ დღეებში ჩვენი საზოგადოებრიობა, სრულიად საქართველო დიდი მოწიწებითა და პატივისცემით აღნიშნავს გამოჩენილი მეცნიერის, ჭეშმარიტი მამულიშვილის, საქართველო-აფხაზეთის დიდი პატრიოტის, ქართული ისტორიოგრაფიის, საზოგადო კავკასიათმცოდნეობის ნამდვილი მშვენების, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის პროფესორ ზურაბ ანჩაბაძის დაბადებიდან 80 წლისთავის იუბილეს.

ზურაბ ანჩაბაძე თავისი მრავალფეროვანი მეცნიერული მოღვაწეობითა და შინაარსიანი საზოგადოებრივი ცხოვრებით, ერისკაცობით მნიშვნელოვნად გასცდა თავის ეპოქას და საქართველო-აფხაზეთის მრავალსაუკუნოვანი ისტორიის კუთვნილებად იქცა. ღიახ, ზურაბ ანჩაბაძე თანაბრად ეკუთვნის არა მხოლოდ აფხაზეთს, არამედ სრულიად საქართველოს. ის არის დიდი შვილი როგორც აფხაზი ხალხის, ისე მთლიანად საქართველოსი. მისი ცხოვრება და მოღვაწეობა ნათელი მაგალითია იმისა, თუ როგორ შეიძლება იყო ერთდროულად მხურვალე პატრიოტი შენი მშობლიური კუთხის – აფხაზეთისა და, ამავე დროს, ღირსეული მოქალაქე და მამულიშვილი დიდი სამშობლოსი – საქართველოსი.

ძნელია მცირე მოცულობის წერილში სრულად გააშუქო ზ. ანჩაბაძის „ღიღინი საქმენი“, ჩვენ არც შეიძლება გვქონდეს ამის პრეტენზია. უბრალოდ, შევეცდებით, ძალზე სქემატურად მიმოვიხილოთ ბ-ნ ზურაბის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ძირითადი ეტაპები.

ზ. ანჩაბაძე დაიბადა 1920წ. 22 აპრილს ქ. გაგრაში. მისი მამა ვიანორ ტარასის ძე ანჩაბაძე, ექიმი, თავისი დროის ერთ-ერთი ყველაზე განათლებული აფხაზთაგანი, ცნობილი საზოგადო მოღვაწე. დედა – ვერა ანდრიას ასული შენგელაია. ბ-ნი ზურაბის პიროვნების ჩამოყალიბებაზე დიდი გავლენა მოახდინა ოჯახმა, ტრადიციებმა, რომელსაც ქმნიდნენ ზ. ანჩაბაძის დიდი წინაპრები. მისი პაპა მამის მხრიდან –

* წაკითხულ იქნა მოხსენებად აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემიის მიერ მოწოდებულ მეცნიერის დაბადებიდან 80 წლისთავისადმი მიძღვნილ საიუბილეო სესიაზე. დაიბეჭდა ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის საქართველოს საისტორიო საზოგადოების აფხაზეთის ორგანიზაციის პერიოდულ სამეცნიერო გამოცემაში: „საისტორიო ძიებანი“, ტ. III. თბ., 2000, გვ. 382-390. იხ. ელექტრ. ვერსია: <http://saistoriodziebani.googlepages.com/dziebani2000>.

ტარას ანჩაბაძე უაღრესად კოლორიტული პიროვნება იყო. განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ზურაბ ანჩაბაძის ბებულის მარიამ (მაშო) და დიანი-ანჩაბაძისას ფართო საზოგადოებრივი მოღვაწეობა. ის იყო საქართველოს წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების სოხუმის განყოფილების უცვლელი თავმჯდომარე (1908-1926წწ.). მისი უშუალო ინიციატივით გაიხსნა პირველი ქართული სკოლები აფხაზეთში; შეიქმნა ხალხური სიმღერების ცნობილი ანსამბლი ძუკუ ლოლუას ხელმძღვანელობით. ტარას და მაშო ანჩაბაძეებმა სახელოვანი შვილები გაზარდეს. მათი ოთხი ვაჟი მონაწილეობდა 1921წ. საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ ომში. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია ბ-ნი ზურაბის ბიძის პოლკოვნიკ ვალერიან ანჩაბაძის დამსახურება. ის სარდლობდა ქართული ჯარის არიერგარდს აფხაზეთში და მეღვინე წინააღმდეგობა გაუწია IX არმიის ნაწილებს ახალ ათონთან, გმირულად დაიღუპა გუმისთასთან.

მთელს აფხაზეთსა და საქართველოში ცნობილი პიროვნება იყო ბატონი ზურაბის პაპა დედის მხრიდან – ანდრია შენგელაია. ის მდიდარი მემამულე გახლდათ, ამ მხრივ მხოლოდ ოლდენბურგის პრინცს თუ ჩამოუვარდებოდა. ამავე დროს, მას გაგრის ქალაქის თავის თანამდებობა ეკავა. აღსანიშნავია, რომ ბ-ნი ზურაბის მშობლების – ვიანორ ანჩაბაძისა და ვერა შენგელაიას მეჯვარე იყო ქაქუცა ჩოლოყაშვილი, ხოლო მათ ქორწილში დაპატიჟებული ყოფილა იმ დროს ბზიფში მღვარი ქართული კავალერიის ესკადრონის ოფიცერთა კორპუსი მთლიანად. ქართულ ჯარში მსახურობდა აგრეთვე ბ-ნი ზურაბის ბიძა დედის მხრიდან ვარლამ შენგელაია. პირველი მსოფლიო ომის წლებში ის ირიცხებოდა ე.წ. „ველური დივიზიის“ ინგუშთა პოლკში. მოგვიანებით იყო დენიკინის არმიის პოლკოვნიკი, შემდგომ – ქართული გვარდიის ოფიცერი.

საგანგებოდ უნდა შევჩერდეთ ბ-ნი ზურაბის მამის ვიანორ ანჩაბაძის პიროვნებაზე. ვიანორ ანჩაბაძემ კლასიკური განათლება მიიღო. მან დაამთავრა თბილისის I კლასიკური გიმნაზია და სანქტ-პეტერბურგის სამხედრო-სამედიცინო აკადემია (1914წ.). უშუალო სამხედრო-სამედიცინო სამსახურის პარალელურად ის ეწეოდა ფართო საზოგადოებრივ და სახელმწიფოებრივ მოღვაწეობას. იყო აფხაზეთის სახალხო საბჭოს წევრი, საკონსტიტუციო კომისიის წევრი; აქტიურ მონაწილეობას იღებდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ხელისუფლების წარმოდგენლებსა და აფხაზეთის სახალხო საბჭოს შორის მიმდინარე მოლაპარაკებებში, რომლებმაც განსაზღვრეს აფხაზეთის ავტონომიის სტატუსი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შემადგენლობაში. მთელი თავისი საქმიანობით ის იყო საქართველო-აფხაზეთის სახელმწი-

ფოლკლორული ერთიანობის თანმიმდევრული დამცველი და მებაირახტრე. ვ. ანჩაბაძე იყო აფხაზეთში ჯანმრთელობის დაცვისა და სამედიცინო სამსახურის დიდი ორგანიზატორი. მას მრავალი წლის მანძილზე ეკავა ჯანმრთელობის დაცვის სახალხო კომისრის თანამდებობა. აღსანიშნავია, რომ ის იყო ერთადერთი უპარტიო სახალხო კომისარი საქართველოში.

ბ-ნი ზურაბის ბავშვობამ და ყრმობამ გაგრასა და სოხუმში განვლო. 1938წ. სოხუმის აფხაზეთი საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ ის ჩაირიცხა სოხუმის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ისტორიის ფაკულტეტზე, რომელიც წარჩინებით დაამთავრა 1941წ. ჯერ კიდევ სტუდენტობის წლებში მან გამოამუშავა დაინტერესება საქართველო-აფხაზეთის ისტორიის პრობლემებით, რისი ნათელი გამოხატულებაა მის მიერ პრესის ფურცლებზე გამოქვეყნებული წერილები აფხაზეთის ისტორიულ წარსულზე. ნიჭიერი ახალგაზრდის ეს დაინტერესება შეუმჩნეველი არ დარჩა გამოჩენილ ქართველ ისტორიკოსს, აკადემიკოს სიმონ ჯანაშიას, რომლის რეკომენდაციით ის ჩაირიცხა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ი. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის ასპირანტურაში, სადაც აკადემიკოს ნ. ბერძენიშვილის ხელმძღვანელობით მოამზადა და 1948წ. წარმატებით დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: „**სამეგრელო და აფხაზეთი XVII საუკუნეში**“. აქვე მუშაობდა ზ. ანჩაბაძე ჯერ უმცროსი, ხოლო შემდეგ უფროსი მეცნიერ-მუშაკის თანამდებობებზე.

1956წ. ზ. ანჩაბაძე გადადის სოხუმში და სათავეში უდგება საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აფხაზეთის ენის, ლიტერატურისა და ისტორიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ისტორიისა და ეთნოგრაფიის განყოფილებას. 1958წ. ის დაბრუნდა თბილისში, ისტორიის ინსტიტუტში, სადაც დაინიშნა აკად. ნ. ბერძენიშვილის ინიციატივით შექმნილი კავკასიის მთიელ ხალხთა ისტორიის განყოფილების (ამჟამად კავკასიის ხალხთა ისტორიის განყოფილება) გამგედ. ეს არჩევანი არ იყო შემთხვევითი. ამ დროისათვის ზურაბ ანჩაბაძე ჩამოყალიბდა ფართო პროფილის თვალსაჩინო მეცნიერ-კავკასიათმცოდნედ, ჩრდილოეთ კავკასიის ხალხების ისტორიისა და კულტურის კომპეტენტურ მკვლევრად. ის 1952-1956 წლებში კითხულობდა ლექციების კურსს ჩრდილოეთ კავკასიის ხალხთა ისტორიის პრობლემებზე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. აქ მან მოამზადა ამ დარგის სპეციალისტ-ისტორიკოსთა ჯგუფი, რომლითაც დაკომპლექტდა კიდევ ზემოხსენებული განყოფილება.

1960წ. მოსკოვში სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტში ზურაბ ანჩაბაძემ წარმატებით დაიც-

ვა სადოქტორო დისერტაცია თემაზე: „**შუა საუკუნეების აფხაზეთის ისტორიიდან (VI-XVII საუკუნეები)**“, ხოლო 1963წ. მას მიენიჭა პროფესორის სამეცნიერო-პედაგოგიური წოდება.

1973 წლიდან იწყება სრულიად ახალი ეტაპი ზურაბ ანჩაბაძის მოღვაწეობაში. ის ინიშნება სოხუმის მ. გორკის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის რექტორად. მის დანიშვნას ამ უაღრესად პასუხსაგებ თანამდებობაზე, გარდა სამეცნიერო-პედაგოგიურისა, უდავოდ პოლიტიკური მოტივაციაც ჰქონდა, ვინაიდან სწორედ ზურაბ ანჩაბაძე შეიძლებოდა ყოფილიყო ის პიროვნება, რომელსაც ხელეწიფებოდა წინ აღდგომოდა სეპარატისტულად განწყობილი ინტელიგენციის ერთი ნაწილის (რომელთა წარმომადგენლებიც საკმაოდ მრავლად იყვნენ პედაგოგიურ ინსტიტუტში) ანტიქართულ გამონღომებს და დაეცვა იქ საქართველოს სახელმწიფოებრივი ინტერესები. ამავე დროს, მხედველობაში იქნა მიღებული ის გარემოებაც, რომ იმ დროისათვის უკვე იკვეთებოდა კონტურები სოხუმში პედაგოგიური ინსტიტუტის ბაზაზე საუნივერსიტეტო ცენტრის გახსნისა, რომელსაც სათავეში უნდა ჩადგომოდა დიდი სამეცნიერო და საზოგადოებრივი ავტორიტეტის მქონე პიროვნება. მართლაც, 1979წ. ფრთები შეისხა აფხაზეთის ინტელიგენციისა და, მე ვიტყვოდი, მთელი მოსახლეობის (და არა მხოლოდ აფხაზეთა, როგორც ეს სეპარატისტებს წარმოუდგენიათ) დიდი ხნის ოცნებამ და სოხუმში გაიხსნა სახელმწიფო უნივერსიტეტი, რომლის პირველ რექტორად დაინიშნა ზურაბ ანჩაბაძე. ეს იყო საქართველოში მეორე და ამიერკავკასიაში მეოთხე საუნივერსიტეტო დაწესებულება.

ზურაბ ანჩაბაძის ხელმძღვანელობით სოხუმის (აფხაზეთის) სახელმწიფო უნივერსიტეტი სულ ცოტა ხანში იქცა უმაღლესი განათლებისა და მეცნიერების მძლავრ კერად არა მხოლოდ აფხაზეთის, არამედ მთელი დასავლეთ საქართველოს მასშტაბით. დიდ ორგანიზატორულ საქმიანობასთან ერთად ბ-ნი ზურაბი ეწეოდა აქტიურ პედაგოგიურ მოღვაწეობას. ის რუსულ და ქართულ ენებზე კითხულობდა ზოგად კურსს საქართველო-აფხაზეთის ისტორიაში, სალექციო კურსს „*დამხმარე ისტორიულ დისციპლინებში*“, „*არქეოლოგიის საფუძვლებში*“, „*ქართული სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიაში*“ და ა.შ.

მისი ინიციატივითა და უშუალო ხელმძღვანელობით 1980წ. აფხაზეთის უნივერსიტეტში გაიხსნა „*საქართველოს სსრ და აფხაზეთის ასსრ ისტორიის კათედრა*“. თბილისის უნივერსიტეტის შემდეგ ეს იყო საქართველოს ისტორიის მეორე კათედრა. აღნიშნულ კათედრას, გარდა ზოგადი კურსებისა საქართველოსა და აფხაზეთის ისტორიაში, რომელსაც კითხულობდნენ უნივერსიტეტის ყველა სპეციალობაზე, მიჰყავ-

და სპეც-კურსები და სპეც-სემინარები საქართველო-აფხაზეთის ისტორიის სპეციალიზაციით. თვით ზ. ანჩაბაძე კითხულობდა სპეც-კურსებს საქართველო-აფხაზეთის ისტორიის წყაროთმცოდნეობასა და ისტორიოგრაფიაში. ზ. ანჩაბაძის ხელმძღვანელობით კათედრა იმთავითვე იქცა საქართველო-აფხაზეთის ისტორიის მეცნიერული კვლევისა და კვალიფიციური სწავლების მნიშვნელოვან ცენტრად, სადაც თავი მოიყარეს აფხაზეთში მოღვაწე დარგის წამყვანმა სპეციალისტებმა.

დიდა ზურაბ ანჩაბაძის წვლილი საქართველო-აფხაზეთისა და კავკასიის ისტორიის მეცნიერული კვლევის საქმეში. მისი მონოგრაფიები: „**ძველი აფხაზეთის ისტორია და კულტურა**“, „**შუა საუკუნეების აფხაზეთის ისტორიიდან (VI-XVII საუკუნეები)**“ – დიდი ხანია იქცნენ სამაგიდო წიგნებად ამ პრობლემებით დაინტერესებული ნებისმიერი მკითხველისათვის. ამ ნაშრომებით ზ. ანჩაბაძემ ფაქტობრივად შექმნა აფხაზეთისა და აფხაზი ხალხის მეცნიერული ისტორია. მათში, პირველად ისტორიოგრაფიაში, სრულყოფილად არის გაშუქებული ძველი და შუა საუკუნეების პერიოდის აფხაზეთის ისტორიული წარსული. მეცნიერის მიერ შემუშავებული დებულებები აფხაზთა წარმომავლობაზე, აფხაზი ხალხის განვითარების ცალკეულ ეტაპებზე, აფხაზთა და აფხაზეთის როლსა და ადგილზე საერთო-ქართულ ისტორიულ პროცესში უდავოდ საეტაპო მნიშვნელობისაა.

მართალია, ზ. ანჩაბაძის შეხედულებები აფხაზთა ეთნიკური ისტორიის ზოგიერთ საკითხზე მაშინაც და მით უფრო დღეს, არაერთგვაროვნად აღიქმება მკვლევართა ერთ ნაწილში, მაგრამ ზოგადად აფხაზეთის ისტორიის ზ. ანჩაბაძისეული გაგება, მის მიერ აფხაზეთის ისტორიის განხილვა საერთო-ქართული ისტორიული პროცესის ჭრილში, მის ორგანულ შემადგენელ ნაწილად ურყევია. სწორედ ეს მომენტია გადამწყვეტი ზურაბ ანჩაბაძის ისტორიოგრაფიული მემკვიდრეობის შეფასებისას. სწორედ ამითაა ის ქართული ისტორიოგრაფიული სკოლის ღირსეული წარმომადგენელი, ივანე ჯავახიშვილის, სიმონ ჯანაშიასა და ნიკო ბერძენიშვილის მეცნიერული ხაზის გამგრძელებელი.

სწორედ ეს იწვევდა ყველაზე მეტ გაღიზიანებას სეპარატისტულად განწყობილ აფხაზურ ინტელიგენციაში, რომლის დიდი ნაწილისათვის, სამწუხაროდ, მიუღებელი იყო აფხაზ-ქართველთა ისტორიული ერთობის აღიარება და პროპაგანდა, რომელსაც ასე აქტიურად ეწეოდა ზ. ანჩაბაძე, როგორც თავის მეცნიერულ გამოკვლევებში, ისე საჯარო გამოსვლებში. სწორედ ამიტომ იქცა ბ-ნი ზურაბი სეპარატისტთა ერთ-ერთ მთავარ სამიზნედ 1977-1979 წლების მოვლენების დროს, როდესაც მან პირუთვნელი და მკაცრი კრიტიკის ქარცეცხლში გაატარა აფ-

ხაზური სეპარატისტული იდეოლოგიის ერთ-ერთი მამამთავრის პროფ. შ. ინალ-იფას გახმაურებული მონოგრაფია აფხაზთა ეთნოგენეზზე. როგორც ამ ამბების თვითმხილველი და უშუალო მონაწილე, ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე ვაცხადებ, რომ სწორედ პროფ. შ. ინალ-იფას წიგნის განხილვა, რომელიც ჩატარდა 1977წ. მარტში საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის დ. გულიას სახელობის აფხაზეთის ენის, ლიტერატურისა და ისტორიის ინსტიტუტში და რომელზედაც გადამწყვეტი სიტყვა თქვა ზ. ანჩაბაძემ, იქცა ერთ-ერთ მთავარ გამაღიზიანებელ ფაქტორად, რომელმაც გამოიწვია აფხაზთა მორიგი „ამბოხი“ 1977-1978 წლებში.

ზ. ანჩაბაძის მეცნიერული მოღვაწეობა საკუთრივ აფხაზეთის ისტორიის შესწავლით არ იფარგლებოდა. ის იყო ფართო მასშტაბის ისტორიკოსი. მისი მეცნიერული დაინტერესების სფეროში შემოდიოდა ძველი და შუა საუკუნეებისა თუ ახალი და უახლესი ხანის საქართველოს ისტორიის პრობლემები. განსაკუთრებული რულუნებით ის სწავლობდა XIX საუკუნეს. მისი დაკვირვებები აღნიშნული პერიოდის საქართველოს ისტორიის პრობლემებზე შეჯამდა წიგნში: „**XIX საუკუნის I ნახევრის საქართველოს ეკონომიკური ისტორიის ნარკვევები**“, რომელიც გამოიცა 1966 წელს. და მაინც, ბ-ნი ზურაბი, პირველ რიგში, იყო მედიევისტი. ამ სფეროში მისი დიდი დამსახურების გამოხატულება იყო „*საქართველოს ისტორიის ნარკვევების*“ მე-3 ტომის რედაქტორობა (ვ. გუჩუასთან ერთად), რომლისთვისაც ზ. ანჩაბაძეს, სხვა მეცნიერებთან ერთად, 1982წ. მიენიჭა საქართველოს სახელმწიფო პრემია.

ზურაბ ანჩაბაძე, როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, იყო ჩრდილოეთ კავკასიის ხალხების ისტორიული წარსულის აღიარებული მკვლევარი. უფრო მეტიც, ის შეიძლება მივიჩნიოთ ამ დარგის ერთ-ერთ ფუძემდებლად საქართველოში. მან ფაქტობრივად ჩამოაყალიბა ჩრდილოეთ კავკასიის ხალხთა ისტორიისა და კულტურის მკვლევართა მთელი სკოლა, რომლის წარმომადგენლები იღწვიან არა მარტო საქართველოში. ამ მიმართულებით მეცნიერის წვლილის ერთგვარ შეჯამებას წარმოადგენს „*ჩრდილოეთ კავკასიის მთიელ ხალხთა ისტორიის ნარკვევების*“ ორი ტომი (უძველესი ღროიდან 1917 წლამდე), რომელიც მომზადდა უშუალოდ ზურაბ ანჩაბაძის ხელმძღვანელობით საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ი. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტში. საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ ეს გამოცემა იყო პირველი ცდა ფუნდამენტალური განმაზოგადებელი ნაშრომის შექმნისა ჩრდილოეთ კავკასიის ხალხთა ისტორიაში.

განსაკუთრებით საყურადღებოა, რომ ამ ტიპის ნაშრომი შეიქმნა

თბილისში და არა მოსკოვში, რითაც საქართველომ დაადასტურა, რომ ის რჩება კავკასიოლოგიური კვლევებისა და საერთოდ კავკასიათმცოდნეობის ცენტრად. ამასთან დაკავშირებით, საინტერესოა, აგრეთვე, რომ 70-იანი წლების მეორე ნახევარში მოსკოვმა, კერძოდ, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის სსრ კავშირის ისტორიის ინსტიტუტმა მონღომა განმაზოგადებელი ნაშრომის – მრავალტომეულის – მომზადება და გამოცემა კავკასიის ხალხთა ისტორიაში. შეიქმნა საერთო სარედაქციო კომისია, შეირჩა ავტორები, ჩატარდა საკმაოდ განმარტებული შეხვედრა სოხუმში (1977წ.), რომლის მთავარი მასპინძელი, სხვათა შორის, სწორედ ზურაბ ანჩაბაძე გახლდათ (ის დამტკიცდა I ტომის მთავარ რედაქტორად), მაგრამ ამ წამოწყებამ მაშინ, სამწუხაროდ, გაგრძელება ვერ ჰპოვა.

ცალკე აღნიშვნის ღირსია ზურაბ ანჩაბაძის წვლილი აფხაზეთის ასსრ-ს ისტორიის ნარკვევების შექმნაში. ის იყო ერთ-ერთი ძირითადი ავტორი 1960წ. გამოცემული „აფხაზეთის ასსრ ისტორიის ნარკვევების“ I ტომისა. 1986წ. გამოვიდა „აფხაზეთის ისტორიის“ სახელმძღვანელო უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტებისათვის, რომლის დიდი ნაწილი (უძველესი დროიდან XIX საუკუნემდე) დაწერილი იყო ზურაბ ანჩაბაძის მიერ. როგორც ცნობილია, აღნიშნულმა სახელმძღვანელომ, განსაკუთრებით ზ. ანჩაბაძის ნაწილმა, სეპარატისტულად განწყობილი ისტორიკოსებისა და ინტელიგენციის სხვა წარმომადგენლების რისხვა გამოიწვია, რაც ნათლად გამოვლინდა წიგნის განხილვაზე, რომელიც მოეწყო აფხაზეთის უნივერსიტეტში 1987წ. მარტში. სეპარატისტებს არ მოსწონდათ წიგნში გატარებული მაგისტრალური ხაზი, რომლის მიხედვითაც აფხაზეთის ისტორია განიხილებოდა საერთო-ქართულ ისტორიასთან ორგანულ კავშირში. ქართულ-აფხაზური ისტორიული ერთობისა და მრავალსაუკუნოვანი ურთიერთთანამშრომლობის ნამდვილმატიანეს წარმოადგენს გ. დიძარასთან ერთად შესრულებული ნარკვევი: „Дружба извечная, нерушимая“, რომელიც გამოვიდა 1972წ. ზ. ანჩაბაძე აქტიურად იყო ჩართული ჩრდილოეთ კავკასიის ავტონომიური ერთეულების ისტორიის ნარკვევების შექმნაში; იყო ავტორი აღნიშნულ გამოცემათა ცალკეული თავებისა და სარედაქციო კოლეგიების წევრი.

საგანგებოდ უნდა გამოვყოთ ზურაბ ანჩაბაძის ღვაწლი სამეცნიერო კადრების მომზადების სფეროში. მისი მეცნიერ-ხელმძღვანელობით მომზადდა 6 სადოქტორო და 20-მდე საკანდიდატო დისერტაცია საქართველო-აფხაზეთისა და კავკასიის ისტორიის აქტუალურ პრობლემებზე. ის არის 50 წიგნის რედაქტორი, იყო 60-მდე სადოქტორო და საკანდიდატო დისერტაციის ოფიციალური ოპონენტი.

ზურაბ ანჩაბაძე იყო უბრწყინვალესი ლექტორი. მისი ლექციები და საჯარო გამოსვლები ყოველთვის სტუდენტური აუდიტორიისა თუ ფართო საზოგადოებრიობის უდიდეს ინტერესს იწვევდა. განსაკუთრებით უნდა აღვნიშნოთ მისი პოლემიკური გამოსვლები. თავისი მაღალი ერუდიციითა და, როგორც იტყვიან, რკინისებური ლოგიკით ის არავითარ შანსს არ უტოვებდა მოწინააღმდეგეს. ამ მხრივ, ჩემთვის პირადად დაუვიწყარია მისი გამოსვლა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის დ. გულიას სახ. აფხაზეთის ენის, ლიტერატურისა და ისტორიის ინსტიტუტში 1977წ. მარტში შ. ინალ-იფას წიგნის ზემოთნახსენებ განხილვაზე, აგრეთვე გამოსვლები აფხაზეთის უნივერსიტეტში 1984წ. იანვარში სეპარატისტულად განწყობილი აფხაზური სამეცნიერო წრეების მიერ პროვოცირებულ დებატებზე, რომელიც სეპარატისტთა სრული კრახით დასრულდა.

ზურაბ ანჩაბაძის, როგორც ქართული ისტორიოგრაფიის თვალსაჩინო წარმომადგენლისა და ერთ-ერთი თავკაცის ნაყოფიერი საქმიანობა სათანადოდ დაფასდა 1979წ., როდესაც ის არჩეული იქნა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად.

მრავალფეროვანი იყო ზურაბ ანჩაბაძის საზოგადოებრივი და სახელმწიფო მოღვაწეობა. 1974-1979 წლებში ის იყო სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, ხოლო 1979 წლიდან გარდაცვალებამდე – საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი. აქტიურად მონაწილეობდა სხვადასხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების მუშაობაში მაღალი პარტიული ინსტანციებიდან (საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტი, ქ. სოხუმის საქალაქო კომიტეტი) დაწყებული, ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის საქართველოს საისტორიო საზოგადოებით დამთავრებული. ის დაჯილდოებული იყო საპატიო ორდენებითა და მედლებით.

ზურაბ ანჩაბაძემ სულ 64 წელი იცოცხლა. ის ამქვეყნიდან 1984 წლის სუსხიან ზამთარში წავიდა. მისი გარდაცვალება სრულიად მოულოდნელი იყო როგორც ოჯახის წევრებისათვის, ისე კოლეგებისათვის. ზურაბ ანჩაბაძე მთელმა საქართველომ დაიტირა. აღსანიშნავია, რომ ოჯახს პირადად მიუსამძიმრა ბ-მა ელუარდ შევარდნაძემ, რომელიც, ამასთან დაკავშირებით, საგანგებოდ ჩამოვიდა სოხუმში.

ზურაბ ანჩაბაძის სახით აფხაზეთმა, სრულიად საქართველომ დიდი მამულიშვილი დაკარგა. დაკარგა პიროვნება, რომელსაც ალბათ, როგორც არავის აფხაზთაგან და ქართველთაგან, შეეძლო თავიდან აეცილებინა მისი მშობლიური აფხაზეთისათვის, მთლიანად საქართველოსათვის 90-იანი წლების საზარელი ტრაგედია. დიახ, სწორედ ზურაბ

ანჩაბადისა და მისი დიდი მეგობრისა და კოლეგის, აფხაზი ხალხის ღირსეული შვილის გიორგი ძიძარას გარდაცვალებამ გაუხსნა გზა ვლადისლავ არძინბას მსგავს ექსტრემისტ-ავანტიურისტებს მეცნიერებასა და პოლიტიკაში. ყოველივე ეს კი, ცნობილია, თუ რა დიდი უბედურებით დასრულდა.

80 წელი შესრულდა ზურაბ ანჩაბადის დაბადებიდან. აქედან 16 წელია, რაც ის ჩვენს შორის აღარაა, მაგრამ სახელი მისი და საქმენი მისი დაუვიწყარია. ჟამთა სიავემ, ისტორიულმა ბედუკუდმართობამ ჩვენ დროებით დაგვაშორა ბ-ნი ზურაბის სამუდამო განსასვენებელს, მაგრამ გვწამს და გვჯერა, რომ შორს არაა ის დრო, როდესაც სამართლიანობა გაიმარჯვებს, „ბოროტსა სძლევს კეთილი“, აღსდგება ქართველებსა და აფხაზებს შორის ჩატეხილი ხიდი და ჩვენ მოგვეცემა საშუალება, მოვეფეროთ წმინდა საფლავებს, რომელთა შორის ერთ-ერთი უპირველესი ზურაბ ანჩაბადის საფლავია. ზურაბ ანჩაბადის ხსოვნა ქართველებსა და აფხაზებს სხვა არჩევანის უფლებას არ გვაძლევს.

შოთა ბაღრიძის ბახსენება

XX საუკუნის 60-იან წლებში სამოღვაწეო ასპარეზზე გამოვიდა ნიჭიერ ქართველ მეცნიერ-ისტორიკოსთა თაობა, რომელმაც იმთავითვე მიიპყრო საზოგადოების ყურადღება. თამარ გამსახურდია, ლოვარდ ტუხაშვილი, გულივერ იობაშვილი, ჯემალ სტეფნაძე, გიორგი აფრასიძე, როინ მეტრეველი, ნათელა ვაჩნაძე, შანშე დარჩიაშვილი და ა.შ. ესაა არასრული სია იმ ახალგაზრდა მეცნიერთა, რომლებმაც ფეხი აიდგეს და დაფრთიანდნენ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში 50-იანი წლების მიწურულსა და 60-იანი წლებში და რომლებმაც სულ მალე თქვეს თავისი წონადი სიტყვა საქართველოს ისტორიის მეცნიერული შესწავლის საქმეში. ამ თაობის აღმზრდელი და გზის გამკვალავი იყო გამოჩენილი ისტორიკოსი, წლების მანძილზე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტის დეკანი და საქართველოს ისტორიის კათედრის გამგე, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, პროფესორი შოთა მესხია. შოთა ბაღრიძე ამ თაობის ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული და კოლორიტული წარმომადგენელია. მან მრავალმხრივი, ნაყოფიერი მეცნიერული მოღვაწეობით ღირსეულად დაიმკვიდრა ადგილი ქართულ ისტორიოგრაფიაში.

შოთა ბაღრიძე უაღრესად განსწავლული და ერუდირებული ისტორიკოსი იყო. მართალია, ის ძირითადად იკვლევდა შუა საუკუნეების ხანის საქართველოს ისტორიის პრობლემებს და სრულიად დამსახურებულად ითვლებოდა კიდევ ერთ-ერთ წამყვან მედიევისტად, მაგრამ მისთვის შორეული არც საქართველოს ახალი და უახლესი ისტორიის პრობლემები ყოფილა. ამიტომაც იყო, რომ ნებისმიერი მედიევისტისათვის სამაგიდო წიგნებად ქცეულ გამოკვლევებთან („ქართველთა“ სამეფოს პოლიტიკური ისტორიისა, საქართველო-ბიზანტიისა და საქართველო-ჯვაროსნების ურთიერთობების შესახებ და ა.შ.) ერთად მან ქართული ისტორიოგრაფია გაამდიდრა შესანიშნავი მონოგრაფიით დიდი ილიას ისტორიოგრაფიულ მემკვიდრეობაზე, ხოლო **„წიწამურის ტრაგედიის გამოცანებმა“** მას საყოველთაო აღიარება მოუტანა.

შოთა ბაღრიძის, როგორც ახალგაზრდა ნიჭიერი ისტორიკოსის სახელი პირველად 1967 წლის გაზაფხულზე, ჯერ კიდევ უნივერსიტეტში ჩარიცხვამდე, გავიგე მისი დიდი მასწავლებლის, შოთა მესხიას ოჯახში. სწორედ მაშინ გახდა ჩემთვის ცნობილი, რომ მან, სტუდენტობის პერიოდში, თავის თანაკურსელთან და მეგობართან, როინ მეტრეველთან ერთად, გამოაქვეყნა ნაშრომი ექვთიმე თაყაიშვილზე. ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე ვიტყვი, რომ ამ იმ დროისათვის საკ-

მაოდ არაორდინარულმა ფაქტმა სტუდენტი ისტორიკოსების მომდევნო თაობებისათვის კარგა ხნის მანძილზე (ყოველი შემთხვევისათვის, ჩემი სტუდენტობის პერიოდში ნამდვილად ასე იყო) ორივე ეს პიროვნება ერთგვარ კუშირად აქცია.

ბატონ შოთას მე I კურსიდანვე ვიცნობდი, თუმცა ეს ნაცნობობა 1971წ. ზაფხულამდე რამდენადმე სიმბოლური იყო. 1971წ. II სემესტრში პროფ. შოთა მესხიას ინიციატივით თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ლექციების წასაკითხად მოწვეულ იქნა ცნობილი აფხაზი ისტორიკოსი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის დიმიტრი გულისას სახელობის აფხაზეთის ენის, ლიტერატურისა და ისტორიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი პროფ. გიორგი ძიძარია. ეს იყო ერთკვირიანი სალექციო კურსი XIX ს. აფხაზეთის ისტორიის პრობლემებზე. აუდიტორია – ისტორიის ფაკულტეტის IV კურსი. სალექციო კურსის დასრულებისას პროფ. გ. ძიძარიამ ფაკულტეტის ხელმძღვანელობას შესთავაზა სტუდენტთა ერთი ჯგუფის გამოგზავნა აფხაზეთში სასწავლო პრაქტიკის (ითვალისწინებდა მატერიალური კულტურის ძეგლების გაცნობას) გასავლელად. ასეთი ჯგუფი მართლაც შედგა, პრაქტიკის ხელმძღვანელად კი დაინიშნა ახალგაზრდა დოცენტი შ. ბადრიძე. ჩავედით სოხუმში, სადაც დაგვაბინავეს ზღვის პირას, პანსიონატ „სინოპში“. ბ-ნ შოთას ახლდა მეუღლე – ქალბატონი ნანა და ვაჟიშვილი ლევანი, რომელიც მაშინ 3 წლისაც არ იყო.

დაუვიწყარი იყო ის დღეები. მოვიარეთ დრანდა, მოქვი, ილორი, ახალი ათონი, ბიჭვინთა. განსაკუთრებით დამამახსოვრდა ექსკურსია ახალ ათონში და, აი, რატომ. იმ პერიოდში საკუთარ აგარაკზე – ბაბუმერაში ისვენებდა პროფ. შ. მესხიას ოჯახი, რომელსაც სტუმრობდა ცნობილი გერმანელი ისტორიკოსი, იენის ფრიდრიხ შილერის სახელობის უნივერსიტეტის ისტორია-ფილოსოფიის ინსტიტუტის ხელმძღვანელი, პროფ. დიტერ ფრიკე მეუღლესა და ქალიშვილთან ერთად. ბატონმა შ. ბადრიძემ მოწიწებით სთხოვა თავის მასწავლებელს, წამოეყვანა თავისი სტუმარი ახალი ათონის დასათვალიერებლად. ბ-ნმა შ. მესხიამ ხათრი არ გაგვიტეხა და მართლაც რამდენიმე მანქანით გავემართეთ ახალი ათონისაკენ. პროფ. დ. ფრიკემ რუსული არ იცოდა და საუბარი ძირითადად ქართულ-ინგლისურად მიმდინარეობდა (თარჯიმნის ფუნქციას შოთა მესხიას ქალიშვილი, ქ-ნი მანანა მესხია ასრულებდა). ასეთ ვითარებაში, ჩემთვის სრულიად მოულოდნელად, ბატონმა შ. ბადრიძემ გერმანულად გააბა საუბარი დ. ფრიკესთან. ამ ფაქტმა ჩემი გაკვირვება გამოიწვია ერთი გარემოების გამო: მე ვიცოდი, რომ ბ-ნი შ. ბადრიძის, როგორც დღეს იტყვიან, ძირითადი უცხო ენა

ინგლისური იყო (მან ცოტაოდენი ფრანგულიც იცოდა) და არაფრით არ მეგონა, რომ მას ასე თავისუფლად თუ შეეძლო საუბარი გერმანულ ენაზეც. ერთი სიტყვით, მთელი გზა ახალ ათონამდე და უკან მობრუნებულზეც შ. ბადრიძე ღირსეულ მეგზურობას უწევდა გერმანულ პროფესორს და უყვებოდა მას ანაკოფია-ახალ ათონზე, აფხაზეთზე და ა.შ. ამ ეპიზოდმა ჩემში შოთა ბადრიძის ავტორიტეტი ერთი-ორად აამაღლა.

1972წ. სადიპლომო ნაშრომზე მუშაობისას მე გავეცანი შ. ბადრიძის შესანიშნავ ნარკვევს იოანე ხუცესზე (დაიბეჭდა 1968წ. თსუ შრომების 125-ე ტომში), რომელმაც ჩემზე წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვა (ეს მასალა სათანადოდ აისახა კიდეც სადიპლომო შრომაში). ამ დროიდან ჩემთვის სრულიად ურყევი იყო შოთა ბადრიძის, როგორც მეცნიერ-ისტორიკოსის მაღალი აკადემიურობა და კომპეტენტურობა.

მე ყოველთვის ვგრძნობდი ბ-ნი შოთას მხარდაჭერას. ასე იყო 1976წ., როდესაც მან სარეკომენდაციო წერილი გამატანა სოხუმში პედაგოგიური ინსტიტუტის რექტორთან, პროფ. ზურაბ ანჩაბაძესთან. თამამად შემიძლია ვთქვა, რომ სწორედ ამ წერილმა გადააწყვეტინა ბ-ნი ზურაბს ჩემი სამსახურში მიღება. ასე იყო იმ უძძიმეს წლებში (70-იანი წლების მიწურულსა და 80-იანი წლების დამდეგს), როდესაც სეპარატისტულად განწყობილმა აფხაზურმა პროფესურამ და სტუდენტობამ იერიში მიიტანეს ჩემზე და ფაქტობრივად მოითხოვეს ჩემი გამოძევება აფხაზეთიდან.

შოთა ბადრიძე ღრმად იყო ჩახედული აფხაზეთის ისტორიის პრობლემებში. თავის დროზე ის სათანადო კონსულტაციებს უწევდა ცნობილ აფხაზ ისტორიკოსს გიორგი ამიჩბას შუა საუკუნეების ქართულ წერილობით წყაროებზე მუშაობისას. 80-იანი წლებში შ. ბადრიძემ გამოაქვეყნა უაღრესად საყურადღებო ნაშრომი „აფხაზთა“ სამეფოს სოციალურ-ეკონომიკურ წყობაზე, რომელმაც აფხაზი სეპარატისტების რისხვა გამოიწვია (ეს ნაშრომი, რუსულ ენაზე, გამოქვეყნდა პროფ. ზ. ანჩაბაძის ხსოვნისადმი მიძღვნილ კრებულში). უნდა ითქვას, რომ ამ ნაშრომში იყო ერთი რამდენადმე „გამაღიზიანებელი“ დებულება, რომლიდანაც ისე ჩანდა, თითქოს „აფხაზთა“ სამეფოში მხოლოდ ქართველური ტომები ცხოვრობდნენ. მე ვიყავი ერთ-ერთი პირველი სოხუმში, ვინც შეამჩნია ეს „ხარვეზი“ და, ყოველგვარი მოსალოდნელი გართულების თავიდან ასაცილებლად, შევეცადე, პირად საუბრებში ცალკეულ აფხაზ მოღვაწეებთან (მათ შორის, პირველ რიგში, აფხაზეთის უნივერსიტეტის რექტორთან, პროფ. ალეკო გვარამიასთან) ამ „შეცდომისათვის“ გასამართლებელი ახსნა მომეძებნა (ყველაფერი კორექტურას გადავებრალე). მაგრამ, როგორც შემდეგ გამოირკვა, მათ ჩემი ახსნა არ

მიიღეს და დიდი ხმაური ატეხეს „ქართველი პროფესორის შოთა ბადრიძის მიერ დაშვებული ისტორიის ფალსიფიკაციის“ გამო.

განსაკუთრებით მწვავედ დაისვა ეს საკითხი საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის დ. გულიას სახელობის აფხაზეთის ენის, ლიტერატურისა და ისტორიის ინსტიტუტში საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტის აკად. ანდრია აფაქიძისა და იმჟამად აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების აკადემიკოს-მდივნის მოვალეობის შემსრულებლად ახლადდანიშნული პროფ. როინ მეტრეველის სტუმრობისას (დაახლ. 1988წ. შემოდგომა ან შეიძლება 1988-1989წწ. ზამთარი). სხდომაზე, რომელსაც თავმჯდომარეობდა ინსტიტუტის ასევე ახლადდანიშნული დირექტორი ვლადისლავ არძინბა, გამომსვლელებმა პირდაპირ „ჯვარს აცვეს“ შ. ბადრიძე. დაძაბულ სიტუაციაში მე შევეცადე, დამეცვა ბ-ნი შოთა. ამან წონასწორობიდან გამოიყვანა სეპარატისტების მომავალი ბელადი და მან ჯიქურ შემოიძვია. თუმცა მე ამან ვერ შემაჩერა და ჩემი სათქმელი მაინც ვთქვი. საბოლოოდ, შემაჯამებელ სიტყვაში ბ-მა ანდრია აფაქიძემ ძალზე დიპლომატიურად შეძლო კონფლიქტური სიტუაციის ჩაცხრობა და მხარი დაუჭირა ჩემს წინადადებას საქართველო-აფხაზეთის ისტორიის ე.წ. „სადავო“ პრობლემებზე დიალოგის გამართვის თაობაზე.

შოთა ბადრიძე თავისი სამშობლოს მხურვალე პატრიოტი იყო. ეს ნათლად გამოვლინდა 80-იანი წლების მეორე ნახევრიდან, როდესაც მან გააჩაღა აქტიური პუბლიცისტური საქმიანობა. საზოგადოების ყურადღება მიიპყრო შ. ბადრიძის მიერ ქართულ პრესაში გამოქვეყნებულმა წერილებმა, რომლებშიც ქვეყნის ეროვნულ-პოლიტიკური პრობლემები, ეროვნულ-განმათავისუფლებელი იდეოლოგიის კუთხით იყო გაშუქებული. შოთა ბადრიძის, როგორც კომპეტენტური ისტორიკოსისა და პატრიოტის ერთგვარი აღიარება იყო ის, რომ იგი შეყვანილ იქნა ილია ჭავჭავაძის ცხოვრებისა და მოღვაწეობის უკანასკნელი პერიოდის შემსწავლელ სამთავრობო კომისიაში. მას ყოველთვის ახლოს მიჰქონდა გულთან ეროვნული სატკივარი. არასოდეს დამავიწყდება 1989წ. 9 აპრილი, როდესაც სოხუმში ჩემს ბინაში, დილის 6 საათზე გაისმა სატელეფონო ზარი და ბ-მა შოთამ, აღელვებულმა, ბრაზმორეულმა, დიდი გულისტკივილით შემატყობინა თბილისში დატრიალებული ტრაგედიის ამბავი.

რამდენჯერ გვისაუბრია აფხაზეთზე! ის მწარედ განიცდიდა აფხაზეთის დაკარგვას და შესაძლებლობისამებრ ცდილობდა ჩვენს გამხნევებას, თუმცა უნდა ითქვას, რომ ბოლო წლებში მას ამ მხრივ ერთგვარი პესიმიზმი დაეუფლა.

შოთა ბადრიძე ნაადრევად წავიდა ჩვენგან. ვინ იცის, რამდენი საინტერესო გამოკვლევით გაამდიდრებდა ის ქართულ ისტორიოგრაფიას, რომ არა 1996წ. გაზაფხულის ის ავბედითი დღე, როდესაც ბანა-ლურმა შემთხვევამ იმსხვერპლა მისი ერთადერთი ვაჟი – ლევანი. ბ-ნი შოთა წელში გატეხა ამ უბედურებამ და, როგორც იტყვიან, თვალსა და ხელს შუა შემოგვადნა, ხოლო 2001 წლის 13 მაისს – შვილის ამ ქვეყნიდან წასვლის ზუსტად 5 წლისთავზე – საბოლოოდ დაგვტოვა.

ВИДНЫЙ УЧЕНЫЙ, БОЛЬШОЙ ДРУГ ГРУЗИИ

к 70-летию Анатолия Петровича
Новосельцева*

Среди деятелей русской культуры и науки всегда было немало людей, питавших особую привязанность к Грузии и искренне любящих её. В первую очередь, это известные поэты, писатели, посвятившие нашей стране не одно прекрасное творение. В отличие от нынешних горе-политиков, не перестающих строить великодержавные, имперские планы в отношении Грузии, твердо и бесповоротно ставшей на путь национально-государственного возрождения, многие деятели российской культуры по-прежнему сохраняют самые теплые, дружеские отношения со своими грузинскими собратьями, близко принимают к сердцу наши невзгоды и болеют за будущее Грузии. В когорте деятелей русской культуры и науки, чьи имена, безусловно, войдут в летопись русско-грузинской дружбы, есть люди, мало известные широкой общественности. В их числе видный учёный-историк, кавказовед и востоковед, член-корреспондент АН СССР, доктор исторических наук, профессор Анатолий Петрович Новосельцев.

Со всей ответственностью можно утверждать, что А. П. Новосельцев фактически единственный русский историк, который профессионально занимался фундаментальным изучением древней и средневековой истории Грузии, всего Закавказья. Для того чтобы показать всю значимость научного наследия А. П. Новосельцева в этой области, считаем необходимым, сделать краткий экскурс в европейское грузиноведение в целом.

Интерес к Грузии в Европе пробудился ещё в средние века, однако научное изучение проблем истории и культуры древней и средневековой Грузии, фактически, началось в XIX в. и приоритет в этом принадлежит выдающемуся французскому учёному-востоковеду, члену Российской академии наук Мари Броссе (1802-1880), которого принято считать основоположником европейского грузиноведения в целом. Начиная с 30-х годов XIX века, когда появились первые работы М. Броссе по картвелологии, многие европейские учёные проявили интерес к изучению истории и культуры Грузии. В

* თანაავტორი აკად. რონი მეტრეველი. პირველად დაიბეჭდა გაზ. „Свободная Грузия“ №9 (9.VIII. 2003). მოგვიანებით კი კრებულში: „ქართული დიპლომატია“ (ტ. 11. თბ., 2004).

результате, за полтора столетия в Европе возникла целая школа филологов-историков, непосредственно занимающихся исследованием грузинского языка, литературы, истории и т.д. Это были всемирно известные учёные, такие, как Рене Лафон, Юлиус Асфальг, Жерар Гарит, Ганс Фогт, Уильям Аллен, Дэвид Ленг и др.

Т.е. изучением грузинского языка, литературы, истории занимались французы, немцы, англичане и даже норвежец. Каждый из них, приступая к исследованию проблем картвелологии, первым делом считал основательное изучение грузинского языка. На этом фоне поразительное равнодушие проявляли русские ученые. Это тем более удивительно, что Россия, как правило, всегда занимала ведущие позиции в развитии таких отраслей науки, как востоковедение, византистика и др. Всё это трудно объяснить и потому, что на протяжении почти 2-х столетий Грузия была частью Российского государственного пространства и кому, если не российским учёным в первую очередь, а не французам или англичанам, следовало задавать тон и в области научного грузиноведения.

Однако в то время как в разных странах Европы десятки учёных предметом своих научных изысканий сделали грузинский язык, историю и культуру нашей страны, Россия не дала практически ни одного (за исключением известного лингвиста Г. Климова, специально занимавшегося изучением грузинского языка и оставившего в этой области достаточно солидное научное наследие) профессионала-картвелолога (деятельность акад. Н. Марра и его учеников – грузин здесь не в счёт). Сказанное, конечно, не означает, что в трудах русских ученых, в том числе и историков, полностью отсутствовала грузинская тематика. Ещё в XIXв. определённый интерес в этом плане проявляли такие видные русские ученые, как П. Бутков, С. Белокуров, Н. Дубровин и др. Отдельные вопросы истории Грузии вскользь были затронуты в работах Ф. И. Успенского, акад. В. В. Бартольда и др. Более того, в 50-х годах XXв. О. Маркова посвятила фундаментальное исследование Кахетинскому восстанию 1812г. Однако ни одного из этих историков нельзя назвать грузиноведом.

И вот, на таком фоне научного равнодушия, в 50-х годах прошлого столетия начинает свою исследовательскую работу с виду весьма скромный молодой ученый-историк, выпускник отделения востоковедения исторического факультета Московского государственного университета им. М. В. Ломоносова — Анатолий Петрович Новосельцев. Уроженец Северного Кавказа, выходец из Терских казаков, он с малых лет проявил, живой интерес к историческому прошлому стран Востока. Первые шаги в области изучения истории Вос-

тока А. П. Новосельцев сделал ещё, будучи студентом. Его дипломная работа была посвящена истории средневекового Ирана.

После окончания МГУ А. П. Новосельцев продолжил учёбу в аспирантуре Института истории СССР АН СССР, где он занялся изучением истории стран Закавказья. Именно в это время, владея персидским и арабским, а также несколькими европейскими языками, он самостоятельно выучил грузинский и армянский языки. При этом следует особо отметить, что А. П. Новосельцев свободно читал как современную литературу на этих языках, так и тексты на древнегрузинском и древнеармянском. В 1958г. он успешно защитил кандидатскую диссертацию на тему: **«Города Закавказья в XVII-XVIII вв.»**. Закавказская тематика становится главным направлением научно-исследовательской деятельности А. П. Новосельцева и в дальнейшем. В 60-х годах он приступает к разработке глобальной проблемы – сравнительно-исторического изучения генезиса и ранних этапов развития феодализма в странах Закавказья. Работа над данной проблемой требовала от молодого учёного основательного знания как разноязычных (греко-римских, грузинских, армянских, восточных) письменных источников, данных археологии, так и многочисленных трудов грузинских, армянских и азербайджанских историков.

Редкая языковедческая подготовка, о которой говорилось выше, позволила учёному успешно справиться с этой сложнейшей задачей и он, впервые в историографии, сумел создать фундаментальный труд, в котором были капитально исследованы все узловые вопросы генезиса и ранних этапов развития феодальных отношений в Закавказье целом.

В 1972г. вышла коллективная монография о путях развития феодализма в масштабе СССР. Примечательно, что одним из авторов этого, безусловно, этапного издания, наряду с крупнейшими русскими учёными акад. Л. В. Черепниным и членом-корреспондентом АН СССР проф. В. Т. Пашуто, был пока всё еще кандидат исторических наук А. П. Новосельцев, которому принадлежал раздел по Закавказью и Средней Азии. Само по себе, это было большое признание учёного и доказательством того, что в лице А. П. Новосельцева историческая наука имеет талантливого учёного с широким кругозором и диапазоном исследования. Материал, подготовленный А. П. Новосельцевым (а в нём фактически были изложены основные результаты его докторской диссертации) привлёк пристальное внимание не только узких специалистов, но и в целом научной общественности, интересующейся проблемами развития феодализма.

Итогом многолетней работы по сравнительно-историческому изучению генезиса феодализма в странах Закавказья, стала докторская диссертация ученого, успешно защищенная в 1973г. в Институте истории СССР АН СССР. Диссертационный труд А. П. Новосельцева по совершенно обоснованному заключению официальных оппонентов (а среди них были такие видные ученые-кавказоведы, как акад. АН Азербайджана З. М. Буниятов и член-корреспондент АН Грузии З. В. Анчабадзе) был признан значительным вкладом в историческое кавказоведение. Данная работа отдельной монографией («Генезис феодализма в странах Закавказья. Опыт сравнительно-исторического исследования») была опубликована в 1980г. и она сразу же стала настольной книгой для любого историка-медиевиста, занимающегося проблемами феодализма вообще.

В краткой статье, мы, конечно, лишены возможности, дать всестороннюю оценку исследованию А. П. Новосельцева. Отметим лишь, что он, на основе скрупулёзного анализа самого разнообразного источниковедческого материала и критического осмысления огромного историографического наследия, в целом сумел верно изложить основные вехи зарождения и развития феодальных отношений в Закавказье, показав как общие тенденции, так и специфику характерную для каждой отдельно взятой страны. Весьма важным представляется нам вывод А. П. Новосельцева о том, что феодализм в странах Закавказья зародился на основе постепенного разложения доклассовых и раннеклассовых отношений при определённой роли рабовладельческого уклада. Нельзя не согласиться и с рассуждениями учёного о структуре феодальной иерархии средневекового Закавказья. В частности, о том, что в Армении и Азербайджане в этой сфере имели место изменения, а Грузия, как справедливо указывает А. П. Новосельцев, вплоть до присоединения к России, сохранила сложную феодальную иерархию западноевропейского типа. Большую научную ценность представляют терминологические наблюдения учёного и т.д.

В научной деятельности А. П. Новосельцева особое место занимают источниковедческие изыскания. В этом плане в первую очередь следует отметить его обширную статью «**Восточные источники о восточных славянах и Руси VI-IX вв.**» опубликованную в таком солидном издании, как «*Древнерусское государство и его международное значение*» (М., 1965). Он долгое время был членом редколлегии, а затем и главным редактором периодического издания (ежегодника) отдела истории древнейших государств на территории СССР Института истории СССР АН СССР: «*Древнейшие го-*

сударства на территории СССР» (с 1991г. «Древнейшие государства Восточной Европы»). Приоритетным направлением данного сборника было как раз изучение и публикация древнейших источников по истории Восточной Европы. В 1991г. А. П. Новосельцев, совместно с известным русским византинистом, членом-корреспондентом АН СССР, проф. Г. Г. Литавриным, издал важнейший первоисточник по истории Византии и сопредельных с ней стран — «Об управлении империей» императора Константина VII Багрянородного.

В круг научных интересов А. П. Новосельцева входили и вопросы международных отношений Древней Руси, особенно её связи с Кавказом и со странами Востока. Из публикаций последних лет следует особо выделить фундаментальную монографию учёного: **«Хазарское государство и его роль в истории Восточной Европы и Кавказа»** (М., 1990). А. П. Новосельцев был признанным авторитетом и по древней и средневековой истории Средней Азии. В этом плане особо следует отметить обобщающую статью учёного об оценке политической деятельности Тимура, опубликованную в 70-х годах в журнале «Вопросы истории», которая вызвала большой резонанс и в определённой степени даже накалила национально-патриотические страсти в некоторых республиках Средней Азии.

Вся трудовая деятельность А. П. Новосельцева прошла в Институте истории СССР АН СССР (ныне Институт Российской истории РАН), где прошёл путь с должности младшего научного сотрудника до директора Института. Одновременно он был (после смерти В. Т. Пашуто – с 1985г.) заведующим отделом истории древнейших государств на территории СССР. С 70-х годов А. П. Новосельцев, будучи профессором кафедры истории СССР периода феодализма МГУ им. Ломоносова, вёл активную преподавательскую работу в главном вузе страны. А. П. Новосельцев был членом нескольких учёных советов и научных обществ, членом редколлегии журнала «История СССР» (АН СССР). В 1986г. он был избран председателем Российского палестинского общества.

Особо следует отметить плодотворную работу А. П. Новосельцева в качестве научного эксперта Высшей аттестационной комиссии (ВАК) СССР. А. П. Новосельцев был также научным консультантом *Большой Советской Энциклопедии*. Его заключения по статьям, вызывавшим споры в науке, всегда были научно обоснованными и объективными. При его активном участии создавались исторические карты, помещённые в БСЭ.

А. П. Новосельцев испытывал самые искренние дружеские чувства к нашей стране и нашему народу. Он неоднократно бывал у нас,

в частности в Тбилиси, Сухуми, выступал интересными научными докладами на различных научных форумах. У А. П. Новосельцева в Грузии были свои ученики, в частности, его аспирантами были и под его руководством успешно защитили кандидатские диссертации: З. В. Папаскири, Р. Н. Кацья, И. Ш. Агрба. Анатолий Петрович тревожно следил за трагическими событиями в Абхазии и глубоко переживал это большое горе грузинского и абхазского народов.

А. П. Новосельцев ушёл из жизни в 1995г. в совершенно зрелом, особенно для учёного-историка, возрасте. У него были большие творческие планы, в частности незавершённым остался капитальный труд по истории Ирана. Анатолий Петрович оставил прекрасную семью. Его сын Владимир Анатольевич пошёл по стопам отца и также стал востоковедом (японоведом). В настоящее время он работает в Японии.

Отмечая 70-летие А. П. Новосельцева, видного учёного, одного из крупнейших исследователей древней и средневековой истории Кавказа, признанного картвелолога, большого друга нашей страны, корпус ученых-историков Грузии считает своим неременным и почетным долгом, еще раз отдать дань глубокого уважения светлой памяти этой незаурядной личности, прекрасного человека, коллеги и учителя.

ზოგიერთი უბრისი მარიამ ლორთქიფანიძის პორტრეტი-სათვის*

მარიამ ლორთქიფანიძე 85 წლისაა. ნამდვილად ძნელია დაიჯერო ეს უცილობელი ჭეშმარიტება. ძნელია იმიტომ, რომ ქალბატონ მარიკას ოდნავადაც არ დასტყობია ეს საპატიო ასაკი. ის დღესაც, გარეგნულ მომხიბვლელობასთან ერთად ინარჩუნებს მაღალ ინტელექტუალურ პოტენციალს და შესაშური ენერჯითა და შემართებით დღესაც მუხლჩაუხრელად ემსახურება მშობლიური ქვეყნის ისტორიის მეცნიერული შესწავლისა და სტუდენტთა ახალგაზრდობისათვის მისი მაღალკვალიფიციურად მიწოდების საქმეს. ძნელია, მცირე მოცულობის წერილში სრულად წარმოვაჩინოთ მარიამ ლორთქიფანიძის მეცნიერული და პედაგოგიური ღვაწლი. ამ წერილს არც შეიძლება ჰქონდეს ამის პრეტენზია. ჩვენი ამოცანა ბევრად უფრო მოკრძალებულია – ყურადღება გავამახვილოთ მეცნიერის მოღვაწეობის მხოლოდ ცალკეულ ასპექტებზე. უპირველეს ყოვლისა, მის წვლილზე აფხაზეთის ისტორიის შესწავლის საქმეში.

მ. ლორთქიფანიძე, როგორც ცნობილია, სამეცნიერო ასპარეზზე XX საუკუნის 40-იან წლებში გამოვიდა, როდესაც აკად. ს. ჯანაშიას რეკომენდაციით, ჩაირიცხა ასპირანტურაში და შეუდგა შუა საუკუნეების ხანის საქართველოს ისტორიის ერთ-ერთი უროთულესი და ფაქტობრივად შეუსწავლელი პრობლემის – თბილისის საამიროს ისტორიის დამუშავებას. ახალგაზრდა მეცნიერის მიერ ამ მიმართულებით ჩატარებული კვლევა შეჯამდა მის საკანდიდატო დისერტაციაში, რომელიც მან წარმატებით დაიცვა 1948წ.

მ. ლორთქიფანიძის სამეცნიერო მოღვაწეობის მომდევნო ეტაპი ძირითადად მიეძღვნა VIII-IXსს. მიჯნაზე წარმოქმნილი ახალი ქართული სამეფო-სამთავროების სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური ისტორიის საკითხების ფუნდამენტურ კვლევას. ეს იყო პირველი ცდა საქართველოს პოლიტიკური გაერთიანების სოციალურ-ეკონომიკური და კულტურულ-პოლიტიკური წინამძღვრების ყოვლისმომცველი, მონოგრა-

* წარმოდგენილი სტატიის თავდაპირველი ვარიანტი მომზადდა აკად. მარიამ ლორთქიფანიძის დაბადებიდან 80 წლისთავის იუბილესთან დაკავშირებით (იხ. **ზ. პაპასჯიორი**, სახელოვანი მეცნიერის სახელოვანი იუბილე. *მარიამ ლორთქიფანიძის 80 წლისთავის გამო.* – საისტორიო ძიებანი, წელიწადუფი, V, გამომც. „არტანუჯი“. თბ., 2002, გვ. 380-390 (იხ. ელექტრ. ვერსია. <http://saistoriodziebani.googlepages.com/dziebani2002>). სტატიის განახლებული ვარიანტი დაიბეჭდა საიბილეო კრებულში: *მარიამ ლორთქიფანიძე* – 85. თბ., 2007, გვ. 68-75.

ფიული შესწავლისა. ამ ნაშრომისათვის, რომელიც ცალკე წიგნად გამოქვეყნდა 1963წ. სათაურით: „*ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური გაერთიანება*“, მ. ლორთქიფანიძეს მიენიჭა ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხი. საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ მ. ლორთქიფანიძის ეს გამოკვლევა დღემდე რჩება საეტაპო ნაშრომად ამ პრობლემატიკაზე.

უაღრესად ნაყოფიერი იყო მ. ლორთქიფანიძისათვის 70-90-იანი წლები. 1972წ. გამოჩენილი ისტორიკოსის, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის, პროფ. შოთა მესხიას გარდაცვალების შემდეგ ის სათავეში ჩაუდგა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის კათედრას და მეოთხედი საუკუნის მანძილზე უნარიანად უძღვებოდა მას. მეცნიერის მიერ ამ პერიოდში შექმნილი ნაშრომებიდან საგანგებოდ უნდა გამოვყოთ „*საქართველოს ისტორიის ნარკვევების*“ 8-ტომეულის მე-2 და მე-3 ტომებისათვის დაწერილი თავები, რომლებშიც ამომწურავადაა გაშუქებული IX-XIII ს. I მეოთხედის საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური ისტორიის პრობლემები. აღსანიშნავია, რომ ამ სამუშაოსათვის მას, სხვა კოლეგებთან ერთად, მიენიჭა საქართველოს სახელმწიფო პრემია.

1974წ. მ. ლორთქიფანიძემ რუსულ ენაზე გამოაქვეყნა ძალზე საჭირო წიგნი: „**История Грузии. XI – начало XIII в.**“, რომელშიც ქართული ისტორიული მეცნიერების მიღწევების სრული გათვალისწინებით, საფუძვლიანად იყო გაანალიზებული გაერთიანებული ქართული სახელმწიფოს სოციალურ-ეკონომიკური, პოლიტიკური და კულტურული ვითარება XI-XII საუკუნეებში. ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე შეიძლება ითქვას, რომ ეს ნაშრომი იმთავითვე იქცა სამაგიდო წიგნად საქართველო-კავკასიის ისტორიით დაინტერესებული რუსი და უცხოელი სპეციალისტებისათვის. 1987წ. გამოიცა ამ წიგნის ინგლისური თარგმანიც („**Georgia in the 11-th-12-th Centuries**“), რითაც კიდევ უფრო ფართო წრისათვის გახდა ხელმისაწვდომი საქართველოს ე.წ. „ოქროს ხანის“ ისტორია.

ამასთან დაკავშირებით, საგანგებოდ გვინდა აღვნიშნოთ, რომ მ. ლორთქიფანიძემ, გარდა აღნიშნული წიგნისა, რუსულ და სხვა უცხოურ (გერმანული, ინგლისური) ენებზე გამოაქვეყნა ათეულობით ნაშრომი, რითაც მნიშვნელოვნად წასწია წინ ჩვენი ქვეყნის ფარგლებს გარეთ საქართველოს ისტორიის პოპულარიზაციის საქმე. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით დიდია მნიშვნელობა მის მიერ გამოცემული ქართული ქრონიკების („*მატიანე ქართლისაჲ*“, სუმბატ დავითის ძის თხზულება) რუსული თარგმანებისა. აქვე არ შეიძლება არ მივუთითოთ იმ

წვლილზე, რომელიც მ. ლორთქიფანიძემ შეიტანა საერთოდ საქართველოს ისტორიის წყაროების მეცნიერული შესწავლის საქმეში, რისი დადასტურებაა თუნდაც მისი ნაშრომი: „რა არის „ქართლის ცხოვრება“, რომელშიც მოკლედ, მაგრამ საკმაოდ ამომწურავად არის გაშუქებული საქართველოს ისტორიის ამ დიდი წიგნის წყაროთმცოდნეობითი პრობლემები. ასევე აღსანიშნავია მ. ლორთქიფანიძის მუშაობა არაბულ წყაროებზე, კერძოდ მის მიერ ე.წ. ჰაბიბ იბნ-მასლამას „დაცვის სიგელის“ თარგმნა და გამოცემა.

მ. ლორთქიფანიძე წარმატებით იკვლევდა ქართული ისტორიოგრაფიის პრობლემებსაც. 1966წ. გამოქვეყნდა მისი მონოგრაფია „ადრეფეოდალური ხანის ქართული საისტორიო მწერლობა“, ხოლო 1976წ. – „ივანე ჯავახიშვილი“, რომელშიც სერუპულოზურადაა განხილული დიდი მეცნიერის ისტორიოგრაფიული მემკვიდრეობა. მასვე აქვს გამოქვეყნებული არაერთი საინტერესო ნარკვევი (მათ შორის, რუსულ, ინგლისურ და გერმანულ ენებზე), რომლებშიც გაანალიზებულია როგორც შუა საუკუნეების პერიოდის, ისე თანამედროვე ქართული ისტორიოგრაფიის ცალკეული პრობლემები.

მ. ლორთქიფანიძემ საგანგებოდ შეისწავლა ვახტანგ გორგასლის ეპოქა, რომელსაც მიუძღვნა მონოგრაფია: „ქართლი V საუკუნის მეორე ნახევარში“ (გამოცა 1979წ.). დიდია მეცნიერის ღვაწლი თბილისისა და ქუთაისის ისტორიული წარსულის შესწავლის საქმეში. მის მიერ მომზადებული ნარკვევები შესულია „თბილისის ისტორიის“ პირველ ტომში (1990), ხოლო 1991წ. რუსულ ენაზე გამოქვეყნდა მ. ლორთქიფანიძის წიგნი: „Тбилиси. Исторический очерк (IV – нач. XV в.)“. მანვე 1994წ. ო. ლანჩავასა და ო. ლორთქიფანიძესთან ერთად გამოსცა წიგნი: „ქუთაისი უძველესი დროიდან XIII საუკუნემდე“.

მ. ლორთქიფანიძის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის მნიშვნელოვანი მიმართულებაა შუა საუკუნეების საქართველოს საერთაშორისო ურთიერთობებისა და დიპლომატიის ისტორიის პრობლემები. მას გამოქვეყნებული აქვს შრომები საქართველო-სომხეთის, საქართველო-ბიზანტიის პოლიტიკური და კულტურული ურთიერთობების საკითხებზე. ის არის თანაავტორი 1998წ. გამოცემული „ქართული დიპლომატიის ისტორიის ნარკვევების“ ორტომეულისა და აგრეთვე „ქართული დიპლომატიის ისტორიის“ პირველი საუნივერსიტეტო სახელმძღვანელოსი (გამოცა 2003წ.). ცალკე უნდა აღინიშნოს მ. ლორთქიფანიძის წვლილი საქართველოს ისტორიის სასკოლო სახელმძღვანელოების შექმნაში. ის არის საქართველოს ისტორიის ახლახან გამოცემული საუნივერსიტეტო სახელმძღვანელოს I ტომის რედაქტორი და ერთ-ერთი ავტორი.

მარიამ ლორთქიფანიძე არის დიდი პედაგოგი, ისტორიკოსთა მთელი თაობების აღმზრდელი. ის არის ბრწყინვალე ლექტორი. ძნელია, მოიძებნოს სტუდენტი, რომელსაც მოესმინოს მისი თუნდაც ერთი ლექცია, საუბარი და არ მოჯადოებულებიყოს მისი, როგორც იტყვიან, რკინისებური ლოგიკით, მაღალი ორატორული ხელოვნებით. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ქ-ნი მარიამი ჭეშმარიტად ორატორული ხელოვნების ნამდვილი მეტრია და არა მარტო მშობლიურ ენაზე. ის შესანიშნავად ფლობს რუსულ ენას. მისი გამოსვლები რუსულად არანაკლებ დახვეწილი და ეფექტურია. ამასთან, ქ-ნი მარიამი რამდენიმე ევროპული ენის (გერმანული, ინგლისური, ფრანგული) მცოდნეცაა. მას არაერთხელ წაუყვანია ისტორიკოსთა და ბიზანტინოლოგთა მსოფლიო კონგრესებზე შესაბამისი სექციების სხდომები ინგლისურ და ფრანგულ ენებზე.

ამასთან დაკავშირებით, თავს უფლებას მივცემ, გავიხსენო ერთი ეპიზოდი. 1975წ. მ. ლომონოსოვის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში (იმჟამად მე იქ ვსწავლობდი ასპირანტურაში) ტარდებოდა ისტორიის კათედრების ხელმძღვანელთა საკავშირო თათბირი, რომელშიც, როგორც თსუ საქართველოს ისტორიის გამგე, მონაწილეობას იღებდა მ. ლორთქიფანიძეც. ერთ-ერთი სხდომის დამთავრებისას, მე ვისარგებლე შემთხვევით და რამდენიმე ჩემთვის საინტერესო კითხვით მივმართე ქ-ნი მარიამს. ჩვენი საუბრისას მოგვიახლოვდა ერთი საკმაოდ ასაკოვანი პროფესორი შუა აზიისა თუ ყაზახეთის რომელიღაც უნივერსიტეტიდან, დიდი პატივისცემით მიესალმა ქ-ნი მარიკას და მოაგონა მას ავსტრიაში, ისტორიკოსთა მსოფლიო კონგრესზე ყოფნა, სადაც, მისი თქმით, ქ-ნი მარიკა კონგრესზე საბჭოთა ისტორიკოსების ერთ ჯგუფს თარჯიმნობას უწევდა.

რადგან ისტორიკოსთა მსოფლიო კონგრესების თემას შევეხე, არ შეიძლება არ მოვიგონო კიდევ ერთი ფაქტი. იმავე 1975წ. ზაფხულში, აშშ-ში, ქ. სან ფრანცისკოში ჩატარდა ისტორიკოსთა მორიგი მსოფლიო კონგრესი, რომელშიც მონაწილეობას იღებდა მ. ლორთქიფანიძეც. კონგრესიდან დაბრუნების შემდეგ მისი მონაწილეები მოსკოვის უნივერსიტეტიდან ერთგვარ ანგარიშს აბარებდნენ შესაბამის კათედრებს. ერთ-ერთი ასეთი „ინფორმაცია-ანგარიში“ მოსკოვის უნივერსიტეტის სსრ კავშირის (ფეოდალური ხანის) ისტორიის კათედრის (მე სწორედ ამ კათედრის ასპირანტი ვიყავი) სხდომაზე გააკეთა კათედრის გამგემ, პროფ. ანატოლი სახაროვმა. უდიდესი სიამაყის გრძნობა დამეუფლა, როდესაც ა. სახაროვმა საგანგებოდ გაამახვილა ყურადღება კონგრესზე გამართული ერთ-ერთი დისკუსიისას მ. ლორთქიფანიძის გამოსვლაზე. მან სიტყვა-სიტყვით თქვა: „Прекрасно выступила Мариам Лордкипанидзе“.

დაახლოებით იგივე უთქვამს მ. ლორთქიფანიძის იმავე გამოსვლის შესახებ მოსკოვის უნივერსიტეტის შუა საუკუნეების ისტორიის კათედრაზე (ამის თვითმხილველია ამჟამად თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასისტენტ-პროფესორი, დოქტორი აკაკი გეთიაშვილი, რომელიც მაშინ გადიოდა სტაჟირებას მოსკოვის უნივერსიტეტის აღნიშნულ კათედრაზე) გამოჩენილ რუს მეცნიერს, აკად. ზოია უდალცოვას, რომელიც წლების განმავლობაში იყო სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის მსოფლიო ისტორიის ინსტიტუტის დირექტორი. აქ ხაზი მინდა გავუსვა ერთ გარემოებას: ა. სახაროვმა ქ-ნი მარიკა ახსენა ყოველგვარი რეგალიების გარეშე და მან ეს გააკეთა სრულიად ბუნებრივად, რითაც აგრძნობინა აუდიტორიას, რომ ისტორიკოსთა წრეში მარიამ ლორთქიფანის სახელი ისედაც ცნობილი იყო.

იმის დასტურად, თუ რა ურყევი ავტორიტეტი ჰქონდა მ. ლორთქიფანიძეს მოსკოვის მეცნიერ-ისტორიკოსთა წრეებში (საერთოდ მთელი სსრ კავშირის მასშტაბით და მის ფარგლებს გარეთაც) მინდა მოვიყვანო კიდევ ერთი ფაქტი. 1978 წლის აპრილში მე ვიცავდი საკანდიდატო დისერტაციას მოსკოვის უნივერსიტეტის სსრ კავშირის ისტორიის სპეციალიზირებული სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე. იმჟამად, სრულიად შემთხვევით, რომელიდაც საკავშირო ფორუმზე მონაწილეობის მისაღებად მოსკოვში ჩამოსული იყო ქ-ნი მარიამი. მე დაუკავშირდი მას და მორიდებით ვთხოვე სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე დასწრება. ის მართლაც მობრძანდა. სხდომა უკვე დაწყებული იყო, როდესაც ქ-მა მარიკამ შემოაღო უკანა კარი და აუდიტორიაში შემოვიდა. მთელი დარბაზი ერთიანად შემობრუნდა და წამიერად გაირინდა, მთელი ყურადღება მისკენ იყო მიპყრობილი. არასოდეს დამავიწყდება ის აღფრთოვანება და მოწიწება, რომელიც ამოვიკითხე მოსკოვის უნივერსიტეტის წამყვან ისტორიკოსთა თვალეებში. მაგრამ მის მოსვლას დაცვაზე ჩემთვის სხვა დატვირთვაც ჰქონდა.

მართალია, ჩემი სადისერტაციო ნაშრომი მოწონებული იყო უნივერსიტეტის შესაბამისი კათედრის მიერ და ოპონენტთა დასკვნებიც (მათ შორის ე.წ. „წამყვანი ორგანიზაციის“ – თსუ საქართველოს ისტორიის კათედრის დასკვნაც, რომელსაც ხელს ნ. ასათიანთან ერთად კათედრის გამგე მ. ლორთქიფანიძეც აწერდა) დადებითი იყო, მაგრამ მე მაინც მეშინოდა, რომელიმე ახირებული და მოკირკიტე პროფესორი (ასეთები იმ საბჭოში ნამდვილად იყვნენ) არ ამდგარიყო და უადგილო ჭკუის სწავლება არ დაეწყო. უადგილო იმიტომ, რომ, ცნობილი მიზეზების გამო, სადისერტაციო საბჭოს წევრებს შორის ფაქტობრივად არ იყო ისეთი მეცნიერი, რომელსაც შეიძლებოდა ჰქონოდა კომპეტენტური

აზრი ჩემს მიერ დასაცავად წარმოდგენილ სადისერტაციო ნაშრომზე (იგი ეძღვნებოდა საქართველოს ურთიერთობებს ჩრდილოეთ კავკასიის ხალხებთან, ყივჩაყებთან და ძველ რუსეთთან XI-XII საუკუნეებში). ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ სწორედ მ. ლორთქიფანიძის გამოჩენამ აუდიტორიაში მოუკლა „ზედმეტი აქტიურობის“ ყოველგვარი სურვილი არამკითხე ოპონენტებს და მნიშვნელოვანწილად განაპირობა ჩემთვის სამეცნიერო ხარისხის ერთხმად მონიჭება.

ცალკე თემაა მარიამ ლორთქიფანიძე და აფხაზეთის ისტორიის პრობლემები. პირველი შეხება ქ-ნ მარიკას აფხაზეთის ისტორიის საკითხებთან მოუხდა 50-იანი წლების მიწურულს, როდესაც მას, ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა მეცნიერს, აკად. ნ. ბერძენიშვილის რეკომენდაციით, დაეკალა მეტად საპასუხისმგებლო სამეცნიერო სამუშაოს – „აფხაზთა“ სამეფოსადმი მიძღვნილი თავის დაწერა „აფხაზეთის ასსრ ისტორიის ნარკვევებისათვის“, რომელსაც 50-იან წლებში ამზადებდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აფხაზეთის ენის, ლიტერატურისა და ისტორიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი. აღნიშნული გამოცემა, მიუხედავად მასში არსებული ცალკეული ხარვეზებისა, მთლიანობაში აფხაზეთის ისტორიის მეცნიერული შესწავლის საქმეში უდავოდ სერიოზული წინგადადგმული ნაბიჯი იყო. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ მასში აფხაზეთის ისტორია განიხილებოდა არა დანარჩენი საქართველოსაგან მოწყვეტით, როგორც ამას აკეთებდნენ XXს. 20-იან წლებში აფხაზეთის ისტორიაზე გამოცემული „შრომების“ ავტორები (ს. ბასარია, ს. აშხაცავა და ა.შ.) არამედ საერთოქართული ისტორიის ჭრილში და მასთან ორგანულ კავშირში. თუმცა ეს მთლად ადვილი მისაღწევი არ ყოფილა. ამიტომაც იმეორებს ხშირად დღესაც, ქ-ნი მარიკა: „ეს წიგნი სისხლითააო დაწერილი“.

დაწყებული ამ დროიდან მ. ლორთქიფანიძე მუდამ მედგრად და შეუპოვრად იბრძოდა საქართველო-აფხაზეთის ისტორიის გაყალბების ნებისმიერი გამოვლინების წინააღმდეგ, რაც კომუნისტური რეჟიმის პირობებში არც თუ უხიფათო იყო. სეპარატისტულად განწყობილ აფხაზთა შესაძლო საპროტესტო გამოსვლების შიშით, საქართველოს კომუნისტური ხელისუფლება ყოველნაირად ცდილობდა არ მიეცა ზედმეტი საბაბი სეპარატისტებისათვის და მაქსიმალურად აჩუმებდა ქართულ მხარეს. ყველაზე მკაფიოდ ეს გამოემჟღავნა ისტორიოგრაფიაში. ქართველ მეცნიერ-ისტორიკოსებს 60-70-იან წლებში ფაქტობრივად აკრძალათ, ჩაბმულიყვნენ კამათში აფხაზ „კოლეგებთან“. ვინც ამ „აკრძალვას“ არ დაემორჩილებოდა მას ხელისუფლების რისხვა ატყდებოდა.

ასეთ სიტუაციაში, ბევრი ნამდვილად ვერ ბედავდა „ხმის ამოღე-

ბას“ და ღუმელს ამჯობინებდა. მხოლოდ ცალკეული პიროვნებები არ უშინდებოდნენ არსებულ კონიუნქტურას და, ასე თუ ისე, მაინც ახერხებდნენ, საკადრისი პასუხი გაეცათ აფხაზური სეპარატიზმის იდეოლოგთა „თარეშისათვის“ ისტორიოგრაფიაში. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ერთ-ერთი პირველთაგანი ამ მხრივ სწორედ მ. ლორთქიფანიძე იყო. საყოველთაოდაა ცნობილი, თუ როგორ აღუდგა ის წინ თავის კოლეგებთან (შ. მესხია, ირ. ანთელავა და სხვები) ერთად 1967წ. საქართველოს კომუნისტური ხელმძღვანელობის მცდელობას აეკრძალათ ნ. ბერძენიშვილის „საქართველოს ისტორიის საკითხების“ III წიგნი, მხოლოდ იმის გამო, რომ მასში დაბეჭდილ ერთ-ერთ სტატიაში განვითარებულმა შეხედულებებმა სეპარატისტულად განწყობილი აფხაზური ინტელიგენციის გაღიზიანება გამოიწვია. მ. ლორთქიფანიძე იყო იმ თითო-ოროლა ქართველ მეცნიერთა შორის, რომელმაც 1977წ. გახდა სწორი და ობიექტური დასკვნის მიცემა აფხაზური სეპარატისტული ისტორიოგრაფიის მამამთავრის პროფ. შ. ინალ-იფას გახმაურებულ მონოგრაფიაზე აფხაზთა ეთნოგენეზისისა და ეთნიკური ისტორიის საკითხებზე. როგორც ცნობილია, სწორედ შ. ინალ-იფას აღნიშნული წიგნის კრიტიკა ქართველი მეცნიერების მხრიდან იქცა ერთ-ერთ საბაბად აფხაზთა სეპარატისტული გამოსვლებისა 1977-1978 წლებში.

მ. ლორთქიფანიძის „ზომაზე მეტმა“ აქტიურობამ მას სეპარატისტულად განწყობილ აფხაზობაში „აფხაზების მტრის“ იმიჯი შეუქმნა. არადა, ძველი და შუა საუკუნეების აფხაზეთის ისტორიის მ. ლორთქიფანიძისეული ხელვა ფაქტობრივად არაფრით განსხვავდებოდა ქართულ ისტორიოგრაფიაში შემუშავებული და მიღებული თვალსაზრისისაგან და, რაც მთავარია, ის შორს იყო პ. ინგოროყვას გახმაურებული კონცეფციისაგან. მიუხედავად ამისა, შეიძლება ითქვას, რომ ქართველ მეცნიერთაგან, პ. ინგოროყვას შემდეგ, ყველაზე მეტად აფხაზურ მხარეს სწორედ მ. ლორთქიფანიძე აღიზიანებდა.

ამასთან დაკავშირებით, მინდა გავიხსენო ერთი ჩემი საუბარი გამოჩენილ აფხაზ ისტორიკოსთან, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტთან, პროფ. გიორგი ძიძარასთან (ეს საუბარი შედგა 70-იანი წლების მიწურულს, აფხაზთა „მორიგი რევოლუციის“ ფონზე). მე მას ერთგვარი გაკვირვებით ვკითხე, თუ რატომაა, რომ აფხაზური ინტელიგენციის წარმომადგენლები „ვერ იტანენ“ მ. ლორთქიფანიძეს, ხოლო არავითარ პროტესტს არ გამოთქამენ, მაგალითად, აკად. გიორგი მელიქიშვილის მიმართ, თუმცა რაიმე პრინციპული განსხვავება აფხაზთა ეთნო-კულტურული ისტორიის საკითხების გაშუქებისას მათ შორის არ არის. ბ-მა გ. ძიძარამ, რომელიც, სხვათა შორის,

ქმ მარიამისადმი ყოველთვის ამჟღავნებდა მოწიწებასა და პატივისცემას, თავი აარიდა ამ კითხვაზე კონკრეტული პასუხის გაცემას. მოგვიანებით, მე ამ ფაქტს ასეთი ახსნა მოვუძებნე. აკად. გ. მელიქიშვილი, რომლის შრომებში იყო ბევრი რამ ისეთი, რომელიც აფხაზეთისათვის ნამდვილად მიუღებელი იყო (მაგ. სანიგ-ჰენიონთა ტომების ქართველურობის მტკიცება), სამწუხაროდ, არასოდეს გამოკამათებია აფხაზ „კოლეგებს“ და არ უცდია საქართველო-აფხაზეთის მართალი ისტორიის საჯარო დაცვა, მაშინ, როდესაც მ. ლორთქიფანიძე ყოველთვის მედგრად იღვანელებდა ეროვნული ისტორიის სადარაჯოზე და საკადრის პასუხს სცემდა ცალკეულ აფხაზ მოღვაწეთა მხრიდან საქართველო-აფხაზეთის ისტორიული წარსულის გაყალბების მცდელობებს. აი, ამიტომ ატყდებოდა მას სეპარატისტების რისხვა.

ეს განსაკუთრებით თვალში საცემი გახდა 1989 წლიდან, როდესაც პერიოდულ პრესაში გამოქვეყნდა მ. ლორთქიფანიძის არაერთი წერილი აფხაზეთის ისტორიის საკითხებზე. ქართული ისტორიოგრაფიის მხრიდან სეპარატისტების წინააღმდეგ, აქტიური მეცნიერული კონტროპოზიციის თვალსაზრისით, უაღრესად დიდი მნიშვნელობის მოვლენა იყო 1990წ. მარიამ ლორთქიფანიძის ნარკვევის: **„აფხაზები და აფხაზეთის“** გამოცემა, რაც იმანაც განაპირობა, რომ ის ერთდროულად (ერთ წიგნში) მიეწოდა მკითხველს ერთბაშად სამ (ქართულ, რუსულ და ინგლისურ) ენაზე. ნარკვევში მოკლედ, მაგრამ სათანადო სისრულით იყო ნაჩვენები აფხაზთა და აფხაზეთის ისტორიული განვითარების მეცნიერულად გამართული ობიექტური სურათი, რომლითაც ერთნიშნად მტკიცდებოდა, რომ თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორია, იქ მოსახლე ტომებით (განურჩევლად მათი ეთნიკური წარმომავლობისა), ისტორიულად ყოველთვის საერთოქართული ეთნო-კულტურული და პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივი სამყაროს ორგანულ ნაწილს წარმოადგენდა.

სწორედ ნაშრომში განვითარებული ეს თვალსაზრისი, ანუ ქართველთა და აფხაზთა მრავალსაუკუნოვანი ისტორიული თანაცხოვრების აღიარება კატეგორიულად მიუღებელი იყო სეპარატისტებისათვის. ამიტომაც, მათ სასწრაფოდ გაამზადეს რეცენზია პასკვილი აღნიშნულ წიგნზე და გამოაქვეყნეს რუსულენოვან გაზეთ „*Абхазия*“-ში (16. 07. 1991) მეტად გამომწვევი სათაურით: **„Ядовитые уроки госпожи Мариам“**. წერილის ავტორი იყო აფხაზური სეპარატიზმის ერთ-ერთი იდეოლოგი, არქეოლოგი იური ვორონოვი. გაზეთ „*Абхазия*“-ს პუბლიკაცია იყო პოლიტიკური სპეკულაციის იშვიათი ნიმუში, რომელშიც ნათლად გამოიქვეყნდა ავტორის (ე.ი. ი. ვორონოვის) სრული არაკომპეტენტურობა. ეს მკაფიოდ აჩვენა კიდევ ქ-მა მარიამმა საპასუხო წერილში, რომელიც

გამოქვეყნდა გაზეთ „*Заря Востока*“ ში (7,8 აგვისტო 1991წ.).¹

მარიამ ლორთქიფანიძემ ძალიან განიცადა აფხაზეთში დატრიალებული ტრაგედია. ის ხშირად აღნიშნავს კიდევ, როგორც საჯაროდ, ისე პირად საუბრებში, რომ, ამიერიდან მისი ცხოვრების მთავარი საფიქრალი, ცხოვრების მიზანი აფხაზეთის დაბრუნება და ქვეყნის გამოვლიანება გახდა. 90-იან წლებში მ. ლორთქიფანიძემ არაერთი წერილი მიუძღვნა აფხაზეთის თემას, მათგან საგანგებოდ უნდა გამოვყოთ მისი ვრცელი ნარკვევი „*Абхазское царство*“, რომელიც დაიბეჭდა ქართველ მეცნიერთა მიერ რუსულ ენაზე მომზადებულ ფუნდამენტურ გამოცემაში: „*Разыскания по истории Абхазии/Грузия*“ (Тб., 1999).

უკანასკნელი 15 წლის მანძილზე არ ჩატარებულა აფხაზეთის პრობლემისადმი მიძღვნილი მეტ-ნაკლებად სოლიდური არცერთი სამეცნიერო თუ სამეცნიერო-პოლიტიკური ხასიათის ფორუმი, რომელშიც აქტიური მონაწილეობა არ მიეღოს და თავისი ავტორიტეტული სიტყვა არ ეთქვას ქ-ნ მარიამს. მისი ყოველი გამოსვლა უდიდეს ინტერესს იწვევს აფხაზეთიდან დევნილებში, რომლებიც სახელოვან მეცნიერში სრულიად დამსახურებულად ხედავენ თავიანთ დიდ გულშემატკივარს და ქომაგს. მათთვის მარიამ ლორთქიფანიძე არის არა უბრალოდ გამოჩენილი მეცნიერი, თანამედროვე ქართული ისტორიოგრაფიის ერთ-ერთი ბურჯთაგანი, არამედ ეროვნული მოღვაწე, აფხაზეთზე უსაზღვროდ შეყვარებული ადამიანი.

აფხაზეთის ისტორიკოსთა კორპუსი, ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის საქართველოს საისტორიო საზოგადოების აფხაზეთის ორგანიზაცია, მისი სამეცნიერო გამოცემის: „*საისტორიო ძიებანი*“-ს – სარედაქციო კოლეგია, ახლად გახსნილი სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლები და სტუდენტობა ულოცავენ ქართული ისტორიული მეცნიერების ერთ-ერთ უბრწყინვალეს წარმომადგენელს, სასიქადულო მამულიშვილს, აკადემიკოს მარიამ ლორთქიფანიძეს სახელოვან იუბილეს და უსურვებენ დიდი ხნის სიცოცხლეს, ახალ შემოქმედებით გამარჯვებებს, და, რაც მთავარია, მისი ყველაზე სანუკვარი ოცნების – საქართველოს ძირძველი და განუყოფელი ნაწილის, აფხაზეთის ქართულ სახელმწიფოებრივ ორგანიზმში დაბრუნების – აღსრულებას.

¹ ი. ვორონოვის აღნიშნულ წერილს ოპერატიულად გამოვეხმაურეთ ჩვენც. იხ.: **ზ. პაპასქირი**. ინტერფერონტის ლიდერის ახალი „გმირობანი“. ანუ იმის შესახებ, თუ როგორ გააკრიტიკა ი. ვორონოვმა პროფ. მ. ლორთქიფანიძის წიგნი: „*აფხაზები და აფხაზეთი*“: – გაზ.: „*აფხაზეთის ხმა*“, 16, 17 აგვისტო, 1991; აღნიშნული პუბლიკაცია იხ. აგრეთვე: **ზ. პაპასქირი**. აფხაზეთი საქართველოა. თბ., 1998, გვ. 56-75.

ედიშერ ხოშტარია-ბროსე*

ეროვნულმა საისტორიო მეცნიერებამ აუნაზღაურებელი დანაკლისი განიცადა. ქართველ ისტორიკოსთა კორპუსს გამოაკლდა მისი ერთ-ერთი ყველაზე კოლორიტული წარმომადგენელი, გამოჩენილი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ედიშერ ხოშტარია-ბროსე.

ედიშერ ხოშტარია-ბროსეს პიროვნებაში, როგორც გარეგნულად ისე შინაგანად, თანაბრად იყო შეზავებული ევროპული არისტოკრატიზმი და ქართული სიღარბისღე. და ეს არ იყო შემთხვევითი, ვინაიდან ის ისეთი ფესვებიდან მოდიოდა. ბატონი ედიშერი მამის მხრიდან ხომ დიდი მარი ბროსეს პირდაპირი შთამომავალი (შვილიშვილის შვილიშვილი), ხოლო დედის მხრიდან დუტუ მეგრელისა და ანასტასია ერისთავ-ხოშტარიას შვილიშვილი იყო.

ე. ხოშტარია-ბროსე დაიბადა 1927 წლის 5 მარტს თბილისში. ეპოქის ურთულესმა კატაკლიზმებმა მის ცხოვრებას დიდი დაღი დაასვა – ტოტალიტარული რეჟიმის რეპრესიებს 1937 წელს ემსხვერპლა მეცნიერის მამა ვიქტორ ბროსე. საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ, 1944 წელს ე. ხოშტარია-ბროსე ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ისტორიის ფაკულტეტზე, რომელიც დაამთავრა 1949წ. არც უნივერსიტეტში სწავლის პერიოდი აღმოჩნდა ბატონი ედიშერისთვის დაღხინებული. რეპრესირებული მამის გამო, მას – წარჩინებულ სტუდენტს – არ მიენიჭა სტალინური სტიპენდია. მან ჯერ კიდევ სტუდენტობისას გამოამჟღავნა ინტერესი საქართველოს ისტორიის პრობლემების მეცნიერული კვლევისადმი, რისი დადასტურებაცაა მის მიერ სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციაზე წაკითხული მოხსენება XVIIIს. I ნახევრის ოდიშის სამთავროზე, რომლის თეზისები გამოქვეყნდა 1946წ. ფაქტობრივად ამ დროიდან იწყება ე. ხოშტარია-ბროსეს მეცნიერული მოღვაწეობა. 1945-1954 წლებში ის აქტიურ მონაწილეობას იღებდა არქეოლოგიურ და ისტორიულ-გეოგრაფიულ ექსპედიციებში: მცხეთა-ბაგინეთში, ქართლში, ივრის ხეობაში (უჯარმაში), აფხაზეთში; ხელმძღვანელობდა ისტორიულ-სადაზვერვო ჯგუფებს.

* დაიბეჭდა კრებ.: „ქართული დიპლომატია“. წელიწდეული, 13. თბ., 2007, გვ. 455-459.

უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ ე. ხოშტარია-ბროსე მუშაობდა თსუ საქართველოს ისტორიის კათედრის უფროს ლაბორანტად, იყო საქართველოს ისტორიის კაბინეტის გამგე, ისტორიის ფაკულტეტის დეკანის თანაშემწე. ამ პერიოდში (1953-1955წწ.) ახალგაზრდა მეცნიერი აქტიურად თანამშრომლობდა აკად. ნიკო ბერძენიშვილთან, გარკვეულ დახმარებას (დოკუმენტების დედანთან შეჯერება, ტექნიკური რედაქცია და ა.შ.) უწევდა მას „*საქართველოს ეკონომიური ისტორიის მასალების*“ II და III ტომების მომზადებაში, რაც საგანგებოდ არის აღნიშნული კიდევ ამ გამოცემათა წინასიტყვაობაში. ნ. ბერძენიშვილის ხელმძღვანელობითვე მოამზადა მან საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: **„დაქირავებული შრომა საქართველოში XVIIIს. მეორე ნახევარსა და XIXს. პირველ ნახევარში“**, რომელიც წარმატებით დაიცვა 1955წ.

1956-1962 წლებში ე. ხოშტარია-ბროსე საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის სწავლული მდივანია, ხოლო შემდგომ ამავე ინსტიტუტის ახალი ისტორიის განყოფილების უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი. 1966 და 1968 წლებში გამოვიდა მეცნიერის ფუნდამენტური მონოგრაფიის: **„მრეწველობის განვითარება და მუშათა კლასის ჩამოყალიბება XIXს. საქართველოში“** I და II ტომები, რომელთა საფუძველზე მან 1969წ. დაიცვა სადოქტორო დისერტაცია. ამ მიმართულებით ჩატარებული კვლევის შედეგები აისახა *„საქართველოს ისტორიის ნარკვევების“* V ტომისათვის მეცნიერის მიერ დაწერილ თავებში.

1972წ. ე. ხოშტარია-ბროსე დაინიშნა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის დიპლომატიკის განყოფილების გამგედ, 1982-1991 წლებში კი იყო ამ ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე სამეცნიერო დარგში. 1991 წლიდან ე. ხოშტარია-ბროსე ხელნაწერთა ინსტიტუტის მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი, ხოლო 2004 წლიდან მთავარი მეცნიერ-კონსულტანტია.

უაღრესად მრავალფეროვანია ედიშერ ხოშტარია-ბროსეს მეცნიერული შემოქმედება. გარდა XVIII-XIXსს.-ის სოციალურ-ეკონომიკური ისტორიისა, მისი დაინტერესების სფეროში შემოდიოდა შუა საუკუნეების საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური ისტორიის საკითხები. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს მისი პუბლიკაციები გლეხობის, „ერის“, „წვრილი ერის“, „საეროს“ სოციალური მდგომარეობის სოციალურ-სამართლებრივ ასპექტებზე, საქართველოს მთიანი რეგიონების (სვანეთი, არაგვის ხეობა და ა.შ.) ადგილზე ქართულ სოციალურ-პოლიტიკურ სისტემაში, ზოგადად მთისა და ბარის ურთიერთობის საკითხებზე, საქართველოში სამხედრო საქმისა და სამხედრო

ორგანიზაციის პრობლემებზე.

დიდა მეცნიერის ღვაწლი ქართული საისტორიო წყაროების შესწავლის საქმეში. მან არაერთი წელი შეაღია „ქართლის ცხოვრების“ დასაწყისი ციკლის წყაროთმცოდნეობითი საკითხების კვლევას, ცალკეული ქართული მატეანეების („მოქცევაჲ ქართლისაჲს“ ქრონიკა, „მატიანე ქართლისაჲ“ და ა.შ.), ტექსტოლოგიური აპექტების, ქართული საისტორიო თხზულებების რუსულ ენაზე თარგმნის მეთოდის დამუშავებას. უკანასკნელ წლებში ბატონი ედიშერის უშუალო ინიციატივითა და თაოსნობით განხორციელდა მეტად მნიშვნელოვანი პროექტი – გამოსაცემად მომზადდა „ქართლის ცხოვრების“ კრიტიკულად დადგენილი ტექსტი. უაღრესად ფასეულია ე. ხომტარია-ბროსეს წყაროთმცოდნეობითი დაკვირვებები შუა საუკუნეების ქართულ დოკუმენტებზე, კერძოდ, ქართული სამართლის ძეგლებზე (ე.წ. „ბაგრატის სამართალი“, ბექა-აღბუღას კანონმდებლობა და სხვ.), თეორიული სტატიები ქართული დიპლომატიკის განვითარებაზე.

არანაკლებ მნიშვნელოვანია ე. ხომტარია-ბროსეს ისტორიოგრაფიული ხასიათის ნაშრომები. ამ თვალსაზრისით, განსაკუთრებით საყურადღებოა მეცნიერის მიერ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ბიო-ბიბლიოგრაფიული სერიით გამოქვეყნებული ნარკვევები ივანე ჯავახიშვილზე, სიმონ ჯანაშიაზე, ნიკო ბერძენიშვილზე, გიორგი ხაჭაპურიძეზე, განმაზოგადებელი სტატიები ქართული ისტორიოგრაფიის განვითარების ეტაპებზე, აგრეთვე ნაშრომი შოთა მესხიას წყაროთმცოდნეობით მეძვედრეობაზე და ა.შ.

ედიშერ ხომტარია-ბროსემ დიდი წვლილი შეიტანა საქართველოს ისტორიის პოპულარიზაციის საქმეში. ის არის თანაავტორი, „საბჭოთა ისტორიულ ენციკლოპედიასა“ და „დიდ საბჭოთა ენციკლოპედიაში“, აგრეთვე უკრაინის, ბელორუსიისა და სომხეთის ენციკლოპედიებში საქართველოსადმი მიძღვნილი განმაზოგადებელი ისტორიული ნარკვევებისა. ათეულობით მისი სტატია გამოქვეყნებულია ქართულ ენციკლოპედიურ გამოცემებში.

ე. ხომტარია-ბროსეს ყურადღება მიიქცია საქართველოს საერთაშორისო ურთიერთობებისა და ქართული დიპლომატიის ისტორიის საკითხებმაც. ამ მიმართულებით მეცნიერის პირველ პუბლიკაციაში („ძრავალთავი“, 1983წ.) მოცემული იყო რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ამსახველი ზოგიერთი დოკუმენტის წყაროთმცოდნეობითი ანალიზი. ამავე პრობლემატიკას, კერძოდ, რუსეთ-საქართველოს ურთიერთობების (გეორგიევსკის ტრაქტატის დადებიდან 1801 წლამდე) კრიტიკულ გააზრებას მიეძღვნა საინტერესო სტატია, რომელიც გამოქვეყნდა „ქარ-

თული დიპლომატიის“ მე-6 ტომში (1999). უკანასკნელ პერიოდში საქართველო-რუსეთის ურთიერთობებში შექმნილ კრიზისულ ვითარებას ე. ხომტარია-ბროსე უაღრესად მწვავე და დროული ისტორიოგრაფიულ-პუბლიცისტური ხასიათის პუბლიკაციებით („Россия и Грузия. Историческая ретроспектива и взгляд на будущее“ – გაზ.: „Свободная Грузия“, 1999, 16 ოქტ.; „Россия и Грузия на пороге нового тысячелетия“. თბ., 1999 თანაავტ. რ. მეტრეველი) გამოეხმაურა, რომლებშიც მან მაღალ მეცნიერულ კომპეტენტურობასთან ერთად თავისი მოქალაქეობრივი, ჭეშმარიტად მამულიშვილური პოზიცია დააფიქსირა.

და ბოლოს, არ შეიძლება საგანგებოდ არ აღინიშნოს აკად. ედიშერ ხომტარია-ბროსეს, ფართო დიაპაზონის მეცნიერის, ქვეყნის ჭირვარამზე დღე-ნიადაგ მაფიქრალი კაცის, უდიდესი დამსახურება საქართველოში სეპარატიზმის (პირველ რიგში, აფხაზური სეპარატიზმის) ფესვების მხილებასა და მის წინააღმდეგ, ობიექტური, მეცნიერულად დასაბუთებული ისტორიოგრაფიულ-იდეოლოგიური კონტრპროპაგანდის წარმართვაში.

ამ თემას ე. ხომტარია-ბროსემ ათეულობით ნაშრომი მიუძღვნა. ის არის ერთერთი ავტორი ქართველი ისტორიკოსების მიერ მომზადებული პასუხისა „აფხაზური წერილის“ ავტორებისადმი: „По поводу искажения грузино-абхазских взаимоотношений“, რომელიც გამოქვეყნდა გაზ.: „Заря Востока“-ს 1989წ. 28,29 და 30 ივლისის ნომრებში. 1993წ. გამოვიდა მეცნიერის საგაზეთო პუბლიკაციების კრებული: „Межнациональные отношения в Грузии – причины конфликтов и пути их преодоления“, რომელშიც შესულია აგრეთვე მეცნიერის „ჩანაწერები“ გაკეთებული 1992წ. 11-12 ნოემბერს მოსკოვში აფხაზურ-ქართულ კონფლიქტთან დაკავშირებით ჩატარებული „მრგვალი მაგიდის“ (ის იყო ამ შეხვედრის მონაწილე) ირგვლივ.

მისი თანაავტორობით რუსულ და ინგლისურ ენებზე გამოვიდა ბროშურა: „Исторические и политико-правовые аспекты конфликта в Абхазии“, რომელშიც დამაჯერებლად იყო ნაჩვენები აფხაზი სეპარატისტების უსაფუძვლო პრეტენზიების სრული აბსურდულობა. ასევე რუსულ და ინგლისურ ენებზე გამოვიდა მეცნიერის წიგნი: „История да თანამედროვეობა. აფხაზეთის პრობლემა კონფლიქტოლოგიურ ასპექტში“. სრულიად განსაკუთრებულია ე. ხომტარია-ბროსეს დამსახურება ისეთი სოლიდური კრებულის შექმნაში, როგორიცაა „Разыскания по истории Абхазии/Грузия“ (თბ., 1999), რომელშიც მეტნაკლები სისრულით აისახა თანამედროვე ქართული მეცნიერების მიღწევები ისტორიული აფხაზეთმცოდნეობის სფეროში. ის იყო ამ გამო-

ცემის თანარედაქტორი და ერთერთი ავტორი.

ასეთია ძალზე სქემატურად აკად. ე. ხოშტარია-ბროსეს ისტორიოგრაფიული მემკვიდრეობა, რომელიც, მთლიანობაში, მოიცავს 130 მეცნიერულ პუბლიკაციას, მათ შორის 7 მონოგრაფიას. ნაყოფიერ მეცნიერულ საქმიანობას ბატონი ედიშერი წარმატებით უთავსებდა პედაგოგიურ მოღვაწეობას. ის წლების მანძილზე კითხულობდა ლექციების კურსს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, იყო ახალგაზრდა სამეცნიერო კადრების გულისხმიერი აღმზრდელი. მისი ხელმძღვანელობით მომზადდა არაერთი საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაცია.

აკად. ედიშერ ხოშტარია-ბროსე სხვადასხვა დროს იყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმთან არსებული საქართველოს ისტორიის წყაროების კომისიისა და მთავარი სარედაქციო კოლეგიის წევრი და დიპლომატიკის სერიის ხელმძღვანელი, საქართველოს ისტორიის დარგში სამეცნიერო-კვლევით სამუშაოთა კოორდინაციის სამეცნიერო საბჭოს წევრი, ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის საქართველოს საისტორიო საზოგადოების პრეზიდიუმის წევრი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის სამეცნიერო ხარისხების მიმნიჭებელი სადისერტაციო საბჭოს წევრი და ა.შ.

ქართველი ისტორიკოსები, სრულიად საქართველო მოწიწებით მიაგებენ პატივს დიდი მეცნიერის, მშობლიური ქვეყნის პირუთვნელი მემკვიდრის, შესანიშნავი მოქალაქის, მამულიშვილის, აკადემიკოს ედიშერ ხოშტარია-ბროსეს ნათელ ხსოვნას.

მურმან ბერია წავიდა*

ღიას, მურმან ბერია წავიდა. საწუთრო სამუდამოდ დატოვა და სხვა განზომილებაში გადაინაცვლა აფხაზეთის ქართველობის კიდევ ერთმა ღირსეულმა წარმომადგენელმა, მეცნიერმა-ისტორიკოსმა, პედაგოგმა, ისტორიკოსთა არაერთი თაობის აღმზრდელმა, თვალსაჩინო საზოგადო მოღვაწემ, აფხაზეთის ღვიწილი მოსახლეობის ერთ-ერთმა აღიარებულმა თავკაცმა.

მურმან ბერიას სულ რამდენიმე დღე დააკლდა 67 წლის შესრულებამდე. ამ ხნის მანძილზე ის არასოდეს ყოფილა ცხოვრებისაგან განებივრებული. მამის ომში დაკარგვით გამოწვეული ბავშვობის მძიმე წლები შეცვალა სოხუმის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში გატარებულმა სტუდენტობის არანაკლებ რთულმა პერიოდმა, როდესაც მას, უმეტესწილად გვარის გამო, უხდებოდა სრულიად გაუთვალისწინებელი წინააღმდეგობების დაძლევა. სწორედ 50-იანი წლების შუა ხანებში ქვეყანაში შექმნილი საზოგადოებრივ-პოლიტიკური კონიუნქტურა გახდა მთავარი მიზეზი იმისა, რომ მან, თავისი თაობის ერთ-ერთმა გამორჩეულმა, ნიჭიერმა ახალგაზრდამ, რომელმაც წარჩინებით დაამთავრა უმაღლესი სასწავლებელი, იმ ეტაპზე ვერ გაიკაფა გზა მეცნიერებისაკენ და მშობლიურ სოფელს დაუბრუნდა.

მხოლოდ 60-იან წლებში, თავისი მასწავლებლის, ცნობილი ისტორიკოსის პროფ. ირაკლი ახალაიას ღიდი თანადგომითა და დაჟინებული მოთხოვნით დაუბრუნდა ბ-ნი მურმანი მშობლიურ ინსტიტუტს და შეუდგა აქტიურ სამეცნიერო-პედაგოგიურ მოღვაწეობას. სულ მალე ის იქცა სოხუმის პედაგოგიური ინსტიტუტის – აფხაზეთში უმაღლესი განათლების ამ უმთავრესი კერის ერთ-ერთ ყველაზე კოლორიტულ ფიგურად. ის წლების განმავლობაში სათავეში ედგა და უნარიანად ხელმძღვანელობდა ჯერ ისტორია-ფილოლოგიისა, ხოლო უნივერსიტეტის შექმნის დღიდან – ისტორია-იურიდიულ ფაკულტეტს. ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე შეიძლება ითქვას, რომ დოცენტი მურმან ბერია, როგორც დეკანი, სარგებლობდა სრულიად განსაკუთრებული ავტორიტეტით პროფესორ-მასწავლებლებსა და, რაც მთავარია, სტუდენტობაში. ძნელია მოიძებნოს სტუდენტი, ისტორია-იურიდიული ფაკულტეტის კურსდამთავრებული, განურჩევლად ეროვნებისა, რომელსაც არ გამო-

* დაიბეჭდა ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის საქართველოს საისტორიო საზოგადოების აფხაზეთის ორგანიზაციის პერიოდულ სამეცნიერო გამოცემაში: „საისტორიო ძიებანი“, ტ. IV. თბ., 2001, გვ. 360-364. ის ელექტრონული ვერსია: <http://saistoriodziebani.googlepages.com/dziebani2001>.

ეხატოს განსაკუთრებული მოწიწება და თავყვანისცემა თავისი დეკანისადმი.

მურმან ბერია აფხაზეთის ქართული ინტელიგენციის, საერთოდ ქართული საზოგადოებრიობის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი იყო. ის ჯერ კიდევ 70-იან წლებში, როდესაც ცოტა ვინმე თუ ბედავდა ხმის დაძვრას აფხაზეთში გამეფებული ანტიქართული კონიუნქტურის წინააღმდეგ, აქტიურად დადგა ეროვნული ინტერესების სადარაჯოზე და ღიად დაუპირისპირდა სეპარატისტულ გამოვლინებებს ავტონომიურ რესპუბლიკაში, რის გამოც თავისი აფხაზი კოლეგების, რომლებთანაც მას, ადამიანურად, ყოველთვის თბილი, მეგობრული ურთიერთობები აკავშირებდა, რისხვა დაიმსახურა.

ამასთან დაკავშირებით, თავს უფლებას მიეცემ, გავიხსენო ერთი ეპიზოდი, რომელმაც ნათლად წარმოაჩინა ბ-ნი მურმანის მეტრძოლი ბუნება, მისი უშიშარი, პირუთვნელი მოქალაქეობრივი პოზიცია. 1982წ. აფხაზი პროფესორ-მასწავლებლებისა და სტუდენტების ერთმა ჯგუფმა, რომელსაც აღიზიანებდა ჩემი მხრიდან საქართველო-აფხაზეთის ისტორიული წარსულის სწორი, მეცნიერულად გამართული, ობიექტური გაშუქება, წამოიწყო ცილისმწამებლური კამპანია და ოფიციალურად დააყენა უნივერსიტეტიდან ჩემი დათხოვნის საკითხი. ასეთ კრიტიკულ სიტუაციაში უნივერსიტეტის ქართველ „ნომენკლატურულ“ მუშაკთაგან მურმან ბერია აღმოჩნდა ფაქტობრივად ერთადერთი, რომელმაც, ყოველგვარი მობოდიშების გარეშე, ღიად მიახალა უნივერსიტეტში მოკალათებულ აფხაზური სეპარატიზმის „მამებს“, რომ ჩემს წინააღმდეგ აგორებული ეს კამპანია თავიდან ბოლომდე ბინძური პროვოკაცია იყო და სხვა არაფერი.

მურმან ბერიას, როგორც აფხაზეთში ქართული ეროვნული ინტერესების დაცვისათვის აქტიურად მეტრძოლი მოღვაწის როლი, განსაკუთრებით წარმოჩინდა 1989 წლიდან, როდესაც ქართულ-აფხაზურმა დაპირისპირებამ აპოგეას მიაღწია. ის იყო 1989წ. აპრილ-მაისში მიმდინარე ქართველთა უპრეცედენტო საპროტესტო აქციის ერთ-ერთი ხელმძღვანელი. ეს აქცია, როგორც ცნობილია, იყო აფხაზეთის ქართველობის პირველი საყოველთაო საპროტესტო გამოსვლა აფხაზ სეპარატისტთა თავგასულობის წინააღმდეგ. ამ დროიდან დაწყებული ვიდრე 1993წ. 27 სექტემბრამდე არ ყოფილა არც ერთი მეტნაკლებად მნიშვნელოვანი საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოვლენა აფხაზეთში, რომლის ცენტრში მურმან ბერია არ ტრიალებდა. ის იყო რუსთაველის საზოგადოების აფხაზეთის ორგანიზაციის ხელმძღვანელი ბირთვის წევრი, ეროვნული ერთიანობის საბჭოს ერთ-ერთი დამფუძნებელი და მისი უცვლელ-

ლი წევრი; აქტიურად თანამშრომლობდა ილია ჭავჭავაძის საზოგადოების აფხაზეთის ორგანიზაციის, მაშინ – 1989წ. – აფხაზეთში ქართული ეროვნული მოძრაობის ერთგვარი ფლაგმანის, ლიდერებთან.

აფხაზეთის ტრაგედიამ მურმან ბერიას, მის ოჯახს, სანათესაოს, სამეგობროს დიდი დარტყმა და ტკივილი მიაყენა. მან დაკარგა არაერთი ახლობელი, მეგობარი, უახლოესი ნათესავი, მათ შორის უმცროსი ბიძაშვილი, ნალდი სოხუმელი, შესანიშნავი ოჯახის შვილი, დახვეწილი ინტელიგენტი, სამშობლოს ერთგული ჯარისკაცი, ვახტანგ გორგასლის ორდენის კავალერი – ბესარიონ ბერია, რომელიც გმირულად დაიღუპა ხელჩართულ ბრძოლაში მდ. გუმისთაზე, 1993 წლის გაზაფხულზე. ბრძოლის ველზე გმირულად იბრძოდნენ და, როგორც იტყვიან, ბოლო წუთამდე იცავდნენ მშობლიურ ქალაქს ბ-ნი მურმანის დიდი ოჯახის წევრები – მისი სიძეები. თვით ბ-მა მურმანმა ერთ-ერთმა უკანასკნელმა დატოვა მშობლიური კუთხე და ავადმყოფმა, მხცოვან დედასა და ფეხმძიმე ქალიშვილთან ერთად ჭუბერის გოლგოთა გამოიარა.

დევნილობაში მურმან ბერიას ერთი წუთითაც არ შეუწყვეტია ფიქრი აფხაზეთზე. ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა და აფხაზეთში დაბრუნება იქცა მის უმთავრეს საზრუნავად, ცხოვრების მიზნად. სწორედ ამან გადააწყვეტინა მას სათავე დაელო დევნილთა ახალი, საყოველთაო-სახალხო მოძრაობისათვის, რომელიც ოფიციალურად გაფორმდა 1996 წლის გაზაფხულზე მოწვეულ აფხაზეთიდან დევნილი მოსახლეობის წარმომადგენელთა ყრილობაზე. მურმან ბერია იყო ამ დიდი თავყრილობის სულისჩამდგმელი და უშუალო ორგანიზატორი და სრულიად ლოგიკური იყო ის, რომ ამ ფორუმმა სწორედ ბ-ნი მურმანი აირჩია ახლად შექმნილი სახალხო მოძრაობის – „აფხაზეთიდან დევნილთა კავშირის“ თავმჯდომარედ.

ამ დროიდან დაიწყო მურმან ბერიას საზოგადოებრივი მოღვაწეობის თვისობრივად ახალი ეტაპი. მისი ხელმძღვანელობით „დევნილთა კავშირი“ სულ მოკლე ხანში იქცა აფხაზეთიდან დევნილი მოსახლეობის ყველაზე ავტორიტეტულ საზოგადოებრივ ორგანიზაციად, რომელიც აქტიურად ჩაერთო აფხაზეთის პრობლემის მოგვარების საქმეში. „დევნილთა კავშირის“ მიერ ჩატარებულმა შეკრებებმა, მისი სახელით გაკეთებულმა პოლიტიკურმა განცხადებებმა მნიშვნელოვნად გამოაცოცხლეს და წინა პლანზე წამოსწიეს „აფხაზეთის საკითხის“ აქტუალობა. სამწუხაროდ, ბევრი ვინმე დააშინა ახალი ორგანიზაციისა და მისი თავკაცის ასეთმა აქტიურობამ და მზარდმა ავტორიტეტმა. დაიწყო დიდა და ფარული ბრძოლა, ზოგჯერ ყოვლად უსამართლო, უხამსი ინსინუაციებიც კი „დევნილთა კავშირისა“ და მისი ლიდერის წინააღმდეგ. ბა-

ტონი მურმანი არ შეუშინდა მავანთა გამოხდომებს და ჩვეული ერთუ-ზიაზმით, დაუშრეტელი ენერგიითა და გამბედაობით აგრძელებდა ბრძოლას. მის მწვავე კრიტიკულ გამოსვლებს ყველაზე მაღალი ტრიბუნებიდან არაერთხელ გამოუწვევია ხელისუფლების უმაღლესი ემელონების წარმომადგენელთა, მათ შორის, თვით ქვეყნის პრეზიდენტისა და პარლამენტის თავმჯდომარის საკმაოდ მძაფრი რეაქცია. მურმან ბერიას მაღალი საზოგადოებრივი ავტორიტეტის გამოხატულება იყო მისი ჩართვა გაერო-ს ეგიდით მიმდინარე ქართულ-აფხაზურ მოლაპარაკებებში. ის მონაწილეობდა ნიუ იორკის, ათენისა და სტამბოლის შეხვედრებში.

დიდი საზოგადოებრივი დატვირთვა სულაც არ უშლიდა მურმან ბერიას ჩვეული ენერგიით ეღვაწა თავის მშობლიურ უმაღლეს სასწავლებელში. თითქმის ბოლო დრომდე ის უნარიანად ხელმძღვანელობდა მსოფლიო ისტორიის კათედრას. ბ-ნი მურმანი იჩენდა ცხოველ ინტერესს აფხაზეთის მეცნიერ-ისტორიკოსთა საქმიანობისადმი და ყოველთვის მოუწოდებდა უმცროს კოლეგებს საფუძვლიანად შეესწავლათ საქართველო-აფხაზეთის ისტორიის პრობლემები. სწორედ ამ სურვილმა განაპირობა ის, რომ მ. ბერია აქტიურად გამოეხმაურა ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის საქართველოს საისტორიო საზოგადოების აფხაზეთის ორგანიზაციის აღდგენის ინიციატივას. ის იყო ამ ორგანიზაციის მთავარი საბჭოს წევრი, პერიოდული გამოცემის „საისტორიო ძიებნის“ სარედაქციო კოლეგიის წევრი.

მურმან ბერია მაღალი კაცური ღირსებების მატარებელი იყო. ის, ჭირში თუ ლხინში, ერთგულად ედგა გვერდში თავის ახლობლებს, ნათესავებს, მეგობარ-ამხანაგებს. მან დატოვა შესანიშნავი ოჯახი, საამაყო და სამაგალითო შვილები, ბაბუაზე უსაზღვროდ შეყვარებული შვილიშვილები.

წავიდა მურმან ბერია. წავიდა და, ვაგლახ, რომ თან წარიტანა სამშობლოს უბედურებით გამოწვეული მოუშუშებელი იარა. ის ვერ მოესწრო თავისი დიდი ნატურისა და ოცნების აღსრულებას – მამულის გამოთლიანებას. და დღეს ჩვენ, მის მეგობრებსა და თანამებრძოლებს უფლება არა გვაქვს, დავივიწყოთ საქმენი და ნაფიქრალი მისნი. დღეს, როგორც არასდროს, გვმართებს ერთ მუშტად შეკვრა და ყველაფრის გაღება იმ დიდი ეროვნული მიზნის მისაღწევად, რომელსაც აფხაზეთის დაბრუნება ჰქვია და რომლისთვისაც ასე თავგამოდებით იღვწოდა ჩვენი უფროსი ძმა და მეგობარი.

მისი ოცნება სოსუმში მუშაობის გაგრძელება იყო*

ბახვა გამყრელიძე

აფხაზეთის ტრაგედიის შემდეგ თბილისში დაფუძნებული სოხუმის უნივერსიტეტის ამოქმედებასა და ფეხზე დაყენებაში დევნილ პროფესორ-მასწავლებლებთან ერთად მნიშვნელოვანი როლი შეასრულა დედაქალაქში მოღვაწე არაერთმა ცნობილმა მეცნიერმა, უმაღლესი სკოლის გამოცდილმა მუშაკმა. მათ რიცხვში უდავოდ გამორჩეული ადგილი უკავია ქართული ეთნოგრაფიული სკოლის თვალსაჩინო წარმომადგენელს, საქართველო-კავკასიის ეთნოგრაფიის აღიარებულ მკვლევარს, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორ ბახვა გამყრელიძეს.

ბატონმა ბახვამ სოხუმის უნივერსიტეტში მოსვლის პირველი დღიდან შეისისხლხორცა დევნილი სასწავლებლის წინაშე მდგარი პრობლემები და თითქმის რვა წლის მანძილზე ერთგულად ემსახურა სტუდენტი ახალგაზრდობის აღზრდის საქმეს. ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე უნდა აღვნიშნოთ, რომ ისეთი დიდი პროფესიონალი ეთნოგრაფის მოსვლას სოხუმის უნივერსიტეტში, როგორც ბატონი ბახვა იყო, განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა. ისე მოხდა, რომ აფხაზეთში ქართული ეთნოგრაფიული სკოლა, როგორც ასეთი, პრაქტიკულად არ არსებობდა და ისტორიული მეცნიერების ეს დარგი მთლიანად აფხაზი მეცნიერების მონოპოლიას წარმოადგენდა. ერთადერთი ქართველი მეცნიერი, რომელსაც ჰქონდა დაცული საკანდიდატო დისერტაცია ეთნოგრაფიაში, იყო თეიმურაზ მიბჩუანი. მაგრამ ბატონი თეიმურაზის შემდგომი მეცნიერული მოღვაწეობა სხვა მიმართულებით წარიმართა და აფხაზეთში ეთნოგრაფიული კვლევა-ძიება ფაქტობრივად კვლავაც უქართველებოდ მიმდინარეობდა.

ბახვა გამყრელიძის სოხუმის უნივერსიტეტში მოღვაწეობის უმთავრესი დანიშნულება სწორედ ამ ხარვეზის აღმოფხვრა და ეთნოგრაფიის დარგში ახალგაზრდა მეცნიერული კადრების მომზადება იყო და რაოდენ სასიამოვნოა, რომ მან მოასწრო რამდენიმე ახალგაზრდის დაკვალიანება ამ მიმართულებით. მათგან ერთ-ერთმა – კობა ოკუჯავამ ბატონი ბახვას მეცნიერული ხელმძღვანელობით უკვე დაიცვა საკანდიდა-

* დაიბეჭდა ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის საქართველოს საისტორიო საზოგადოების აფხაზეთის ორგანიზაციის პერიოდულ სამეცნიერო გამოცემაში: „საისტორიო ძიებანი“, ტ. IV. თბ., 2001, გვ. 365-366. ის ელექტრონული ვერსია: <http://saistoriodziebani.googlepages.com/dziebani2001>.

ტო დისერტაცია და დღეს წარმატებით აგრძელებს საქართველო-კავკასიის ეთნოგრაფიის აქტუალური პრობლემების კვლევას.

ბატონი ბახვა დიდი ენთუზიაზმით შეხვდა ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის საქართველოს საისტორიო საზოგადოების აფხაზეთის ორგანიზაციის აღდგენას. ის იყო ამ ორგანიზაციის ყოველწლიური სამეცნიერო გამოცემის – „საისტორიო ძიებანი“ სარედაქციო კოლეგიის წევრი. ამ კრებულის სამივე ტომში დაბეჭდილია ბახვა გამყრელიძის უაღრესად საინტერესო ისტორიულ-ეთნოგრაფიული ხასიათის ნარკვევები ცენტრალური კავკასიის ეთნიკური ისტორიის პრობლემებსა და ქართულ-ოსურ ურთიერთობებზე.

დიდი შემოქმედებითი გეგმები ჰქონდა ბატონ ბახვას, ის ხშირად გვიზიარებდა კოლეგებს თავის მოსაზრებებს როგორც ცალკეულ მეცნიერულ პრობლემებზე, ისე უმაღლეს სკოლაში სწავლების შემდგომი დახვეწის საკითხებზე. მას ძალიან ახლოს მიჰქონდა გულთან ჩვენი დიდი სატკივარი – აფხაზეთი. არაერთხელ უთქვამს, რომ მისი ყველაზე დიდი ოცნება ჩვენთან ერთად სოხუმში დაბრუნება და იქ მუშაობის გაგრძელება იყო.

ვაგლახ, რომ ბახვა გამყრელიძე ვერ მოესწრო ამ სანუკვარი ოცნების აღსრულებას. მაგრამ ჩვენ, მისი კოლეგები ყველაფერს ვიღონებთ, რათა მშობლიურ აფხაზეთში დაბრუნების შემდეგ სათანადო პატივი მივაგოთ ყველა იმ მოღვაწეს, რომელიც კაცურად ამოგვიდგა გვერდში გაჭირვების ჟამს და შეგვანარჩუნებინა სისხლით მოპოვებული უნივერსიტეტი. მათ შორის ერთ-ერთი უპირველესი ყოველთვის იქნება გამოჩენილი მეცნიერი და სანიმუშო პედაგოგი, ღირსეული მამულიშვილი, პროფესორი ბახვა გამყრელიძე.

კეთილად მოსაზრნარი კაცი*

ვლადიმერ ქარჩავა

ბატონი ვლადიმერ ქარჩავა, რომელიც ახლობლებში უფრო ვალიკოს სახელით იყო ცნობილი, აფხაზეთის ქართული ინტელიგენციის უადრესად კოლორიტული წარმომადგენელი იყო. თავისი აქტიური სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობით მან წარუშლელი კვალი დატოვა ავტონომიური რესპუბლიკის კულტურულ ცხოვრებაში.

ბ-ნ ვალიკოსთან მე, ისევე როგორც ჩემი თაობის არაერთ წარმომადგენელს, თბილი, მეგობრული, კოლეგიალური ურთიერთობა მაკავშირებდა. ჩვენი ნაცნობობა შედგა 1976 წლის ზაფხულში, როდესაც მე, სრულიად ახალი კაცი სოხუმის პედაგოგიურ ინსტიტუტში, უმაღლესი სასწავლებლის თავკაცმა ზურაბ ანჩაბაძემ ჩამართო მისაღებ გამოცდებზე საგნობრივ-საგამოცდო კომისიაში. სწორედ მაშინ ვიგრძენი მისი გულისხმიერება და მზრუნველობა. ის ერთ-ერთი პირველი იყო, ვინც შეამჩნია და დააფასა ჩემი აკადემიური მომზადების დონე.

ბ-ნი ვალიკო ყოველთვის გულშემატკივრობდა ჩემს მეცნიერულ წინსვლას. კარგად მახსოვს მისი ომახიანი გამოსვლა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში 1991 წლის 24 ივნისს ჩემს მიერ სადოქტორო დისერტაციის დაცვაზე. ის აქტიურად მედგა მხარში მაშინაც, როდესაც 80-იანი წლების დამდეგს სეპარატისტულად განწყობილი აფხაზი პროფესორ-მასწავლებლების ერთმა ნაწილმა წამოიწყო ცილისმწამებლური კამპანია და მოითხოვა ჩემი გაძევება უნივერსიტეტიდან. სწორედ მაშინ დავინახე მისი ჭეშმარიტად პატრიოტული პოზიცია და მებრძოლი ბუნება. მისი ასეთი პოზიცია სრულებითაც არ იყო შემთხვევითი. ბ-ნი ვალიკო კომუნისტური რეჟიმის პირობებში, მაშინ, როდესაც ბევრი ვერ ბედავდა ხმის დაძვრას, იყო იმ თითო-ოროლა ქართველ მოღვაწეთა შორის, ვინც არ უშინდებოდა თავისი პოზიციის ღიად დაფიქსირებას და ხმას იმაღლებდა აფხაზეთში გამეფებული ანტიქართული კონიუნქტურის წინააღმდეგ. ეს ნათლად გამოჟღავნდა ჯერ კიდევ 1978წ., როდესაც ქართული ინტელიგენციის ერთმა ჯგუფმა, რომელთა შორის ვლადიმერ ქარჩავაც იყო, მოახერხა შეხვედრა საქართველოს მაშინდელ პარტიულ ხელმძღვანელთან და მოითხოვა მისგან ქმედითი ზომების გატარება ავტონომიურ რესპუბლიკაში შექმნილი ვითარების გამოსასწორებლად.

* დაიბეჭდა წიგნში: *ვლადიმერ ივანეს ძე ქარჩავა*. 1920-2000. თბ., 2001, გვ. 41-44.

ვლადიმერ ქარჩავას მკაფიო ეროვნული პოზიცია, მთელი სისრულით გამოვლინდა 1989წ., როდესაც ის მხარში ამოუდგა აფხაზეთის უნივერსიტეტის ქართველ სტუდენტობას, თავის უმცროს კოლეგებს და ღიად გაილაშქრა სეპარატიზმისა და შოვინიზმის წინააღმდეგ. ის არის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოხუმის ფილიალის – აფხაზეთში პირველი ქართული უნივერსიტეტის ერთ-ერთი ფუძემდებელი. არასოდეს დამავიწყდება მისი გამოსვლები მაღალ პარტიულ კაბინეტებში, სადაც ის ენერგიულად ასაბუთებდა აფხაზური სეპარატიზმის ბუდედ გადაქცეულ აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში ქართველთა შემდგომი დარჩენის შეუძლებლობას.

სამწუხაროდ, დღეს ეს თემა ხშირად პოლიტიკური სპეკულაციის საგანი ხდება. ბევრი ჩვენი თანამემამულე ვერ სწვდება პრობლემის მთელ სიმწვავეს და თვლის, რომ მაშინ, 1989წ. გაზაფხულზე უნივერსიტეტის გახლეჩით, ჩვენ ქართველებმა, თითქოს გავამწვავეთ პოლიტიკური სიტუაცია აფხაზეთში. ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე შეიძლება ითქვას, რომ ეს, არც მეტი, არც ნაკლები, მკრეხელური ბრალდებაა. ამ თვალსაზრისის მატარებლებს უბრალოდ ავიწყდებათ, რომ უნივერსიტეტის გახლეჩას წინ უძღოდა აფხაზთა მოღალატური ქმედება – ლიხნის თავყრილობა, რომელმაც მიიღო ერთსულოვანი გადაწყვეტილება აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის საქართველოს შემადგენლობიდან გამოყვანის შესახებ. ამ აქციაში, როგორც ცნობილია, აქტიურად მონაწილეობდნენ უნივერსიტეტის აფხაზი ხელმძღვანელები და პროფესორა. სწორედ მათ მიერ ჩადენილმა ღალატმა და ქართველი კოლეგებისა და სტუდენტების აბუჩად აგდებათ გამოიწვია კრიზისი უნივერსიტეტში და არა ქართველთა ახირებამ. ეს კარგად ესმოდა ვალიკო ქარჩავას და ამიტომაც იღწვოდა ის მუხლჩაუხრელად ქართული უნივერსიტეტის შესაქმნელად. ამიტომ ჩაერთო ის აქტიურად ეროვნულ მოძრაობაში და გახდა საქართველოს სახალხო ფრონტის აფხაზეთის ორგანიზაციის ერთ-ერთი დამფუძნებელი და თავკაცი.

უაღრესად ნაყოფიერი იყო ეს წლები ბ-ნი ვალიკოსათვის, როგორც მეცნიერ-ისტორიკოსისათვის. მან არ გამოიჩინა სიჯიუტე და მთლიანად განთავისუფლდა მარქსისტულ-კომუნისტური კონიუნქტურისაგან. ამ პერიოდში მოვიდა ის ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოხუმის ფილიალის საქართველოს ისტორიის კათედრაზე და ახალგაზრდული ენერგიით შეუდგა საქართველოს ისტორიის ზოგადი კურსის კითხვას.

აფხაზეთის ომმა, მისმა სავალალო შედეგებმა შეარყია ბ-ნი ვალიკოს ჯანმრთელობა და მან, სამწუხაროდ, ვერ შეძლო თბილისში აქ-

ტიური პედაგოგიური საქმიანობის გაგრძელება. მაგრამ ის მაინც მუდამ ჩვენს გვერდით იყო, გვაძინებდა და თავისი მამაშვილური რჩევა-დარიგებებით სტიმულს გვაძლევდა.

წავიდა ჩვენგან ვლადიმერ ქარჩავა, კაცი დიდბუნებოვანი და მედგარი, გულგაუტეხელი, ახალგაზრდობის გულისხმიერი აღმზრდელი. წავიდა და თან წაჰყვა აფხაზეთის დროებითი დაკარგვით გამოწვეული ტკივილი. მაგრამ, ჩვენ, მისი უმცროსი კოლეგები და მეგობრები, იმედს ვიტოვებთ, რომ სულ მალე შევძლებთ ბ-ნი ვალიკოს დიდი ნატვრის აღსრულებას, აფხაზეთის დაბრუნებას და იქ, მშობლიურ კუთხეში, სათანადო პატივს მივაგებთ მის უკვდავ ხსოვნას.

ზურაბ პაპასკირი

**და აღმოსკრდა საქართველო
ნიკოფსიიდან დარუბანდამდე**

ZURAB PAPASKIRI

**AND GEORGIA HAS RISEN
FROM NIKOPSIA TO DARUBAND**

ЗУРАБ ПАПАСКИРИ

**И ВОССТАЛА ГРУЗИЯ
ОТ НИКОПСИИ ДО ДАРУБАНДА**

გამომცემლობის რედაქტორები: **რობერტ მესხი**
ლელა მირცხულავა



ზურაბ ვალგერიანეს ძე პაპასჭირი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის სრული პროფესორი, ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის საქართველოს საისტორიო საზოგადოების აფხაზეთის ორგანიზაციის თავმჯდომარე, ამავე ორგანიზაციის პერიოდული სამეცნიერო გამოცემის „**საისტორიო ძიებანი**“ მთავარი რედაქტორი, გიორგი შარვაშიძის სახელმწიფო პრემიის ლაურეატი.

დაიბადა 1950წ. ქ. ზუგდიდში, 1972წ. წარჩინებით დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტი.

1972-1975წწ. სწავლობდა მ. ლომონოსოვის სახ. მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასპირანტურაში, იქვე 1978წ. დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: „**საქართველო და აღმოსავლეთი ევროპა XI-XII საუკუნეებში**“. 1991წ. ივანე ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში დაიცვა სადოქტორო დისერტაცია თემაზე: „**შუა საუკუნეების საქართველოს საერთაშორისო მდგომარეობა. Xს. 70-იანი – XIIს. 80-იანი წლები**“. 1994წ. მიენიჭა პროფესორის სამეცნიერო-პედაგოგიური წოდება.

1976 წლიდან მუშაობს მ. გორკის სახ. სოხუმის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში (1979 წლიდან – აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი) მასწავლებლის, დოცენტის, კათედრის გამგის მოადგილის თანამდებობებზე. 1989-2005 წლებში ივანე ჯავახიშვილის სახ. თსუ სოხუმის ფილიალის საქართველოს ისტორიის კათედრის გამგეა. 1994-2006წწ. პარალელურად სამეცნიერო-კვლევით საქმიანობას ეწეოდა ივანე ჯავახიშვილის სახ. თსუ ქართული სახელმწიფო და სასაღვთისმეტყველო ისტორიის ცენტრში, იყო ცენტრის ხელმძღვანელის მოადგილე.

ზურაბ პაპასჭირი არის 100-ზე მეტი სამეცნიერო პუბლიკაციის (მათ შორის 10 მონოგრაფიისა და წიგნის) ავტორი. მას განსაკუთრებული აღიარება მოუტანა მონოგრაფიებმა: „**У истоков грузино-русских политических взаимоотношений**“ (თბ., 1982), „**ერთიანი ქართული ფეოდალური სახელმწიფოს წარმოქმნა და საქართველოს საგარეო-პოლიტიკური მდგომარეობის ზოგიერთი საკითხი**“; წიგნებმა: „**აფხაზეთი საქართველოა**“ (თბ., 1998), „**ნარკვევები თანამედროვე აფხაზეთის ისტორიული წარსულიდან**“ (ნაკვ. თბ., 2004, ნაკვ. II, თბ., 2007). ის არის თანაავტორი და სარედაქციო კოლეგიის წევრი ისეთი სოლიდური გამოცემებისა, როგორიცაა: ქართული დიპლომატიის ისტორიის ნარკვევები“ (თბ., 1998), „**ქართული დიპლომატიის ისტორიის**“ საუნივერსიტეტო სახელმძღვანელო (თბ., 2003), აგრეთვე ენციკლოპედიური ლექსიკონებისა: „**ქართული დიპლომატიური ლექსიკონი**“ (ტ. I, თბ., 1997, ტ. II, თბ., 1999 და „**ივანე ჯავახიშვილი. ენციკლოპედიური ლექსიკონი**“ (თბ., 2002); მათში შესულია მეცნიერის მიერ მომზადებული 200-მდე და სახელების მასალა.

ISBN 978-9941-01230-3

